ზ ე ნ ო ნ
პოლიტოვსკი

ჯიგარი ფიქრები

„ნაკადული“ – 1976

Do czytelników Bratniej Gruzji!

Pragnę tu wyrazić radość i dumę, że Książka moja „Opowieści biblijne" zostaną udostępnione czytelnikom o tak starej, bogatej kulturze.

Mam nadzieję, że spotka się ona z uznaniem, wyraża bowiem stanowisko socjonalistyczne, stanowisko dzielące proz ludzi światłych, a Gruzja jako Kraj budujący socjalizm z takich właśnie ludzi się składa.

Zenon Kosidowski

Warszawa, styczeń 1975

მოხარული ვარ და მეამაყება, რომ ჩემს „ბიბლიურ თქმულებებს" ზშობლიურ ენაზე წაიკითხავს ასეთი ძველი და მდიდარი კულტურის ხალხი.

ვიმედოვნებ, წიგნს გულთბილად მიიღებს მკითხველი, ვინაიდან ეს გამოხატავს რაციონალურ თვალსაზრისს, რომელსაც იზიარებენ ნათელი აზრის ადამიანები. საქართველო კი, ეს სოციალიზმის ქვეყანა, სწორედ ასეთი ნათელი ადამიანების სამშობლოდ მეგულება.

ზენონ კოსიდოვსკი
ვარშავა, იანვარი, 1975

რუსულიდან თარგმნა ფილიპე ბერიძემ

К $\frac{70803-17}{М-603(08)-75}$ 124—75

შესავალი

ჩემს წიგნებს, ჩვეულებრივ, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას მიაკუთვნებენ. არ მინდა შევამცირო ამ მეტად სასარგებლო ჟანრის მნიშვნელობა, მაგრამ უნდა გამოეტყდე, რომ ჩემი პატივმოყვარე მისწრაფებანი უფრო შორს მიდიან. შეიძლება ეცდებოდე, მაგრამ ჩემი თაი მიმანნია მწერლად, რომელმაც თავისი შემოქმედების მასალად თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა ეპოპეა აირჩია. მე მიზიდავს მეცნიერული აღმოჩენები, მაგრამ უფრო მეტად მიზიდავს მეცნიერი, როგორც ადამიანი, მისი მცდელობა, მისი მძიმე შრომა და დრამატული პერიპეტიები ჭეშმარიტების გზაზე, მისი წარმატებები, რომელთა მიღწევას იგი ხშირად სწირავს ჯანმრთელობას და ზოგჯერ სიცოცხლესაც.

ჩემი აზრით, გენიალური და კეთილშობილი ენთუზიასტების, ცოდნას მოწყურებული, ჭეშმარიტების უანგარო მაძიებელი- მეცნიერ-მკელვერების ცხოვრების აღწერაზე მიმზიდველი არაფერი არის. ეს მეცნიერები თავდაუზოგველად ამხობდნენ ათასი ჯურის ცრურწმენებს და თანდათანობით ნაიელს ჰფენდნენ ადამიანთა ბნელით მოცულ გონებას. იმ საშინელებათა შორის, რომელთაც არასოდეს იშურებდა და არც ამჟამად იშურებს ჩვენთვის ისტორია, მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ჩვენი მიწიერი არსებობის გამართლებას. მათი მსხვერპლი თუ გამარჯვებები, მე მგონი, ყველაზე მიმზიდველი ლიტერატურული თემაა. შეიძლება შევცვალოთ სტენდალის სიტყვები და ვთქვათ, რომ ცოდნის გარეშე კაცობრიობა დაემგვანებოდა ბრმა სტიქიას მინდობილ უბალასტო ხომალდს.

თუ მე უძველეს კულტურათა ბედზე ვწერდი, ამას სწორედ იმ მიზნით ეშურებოდი, რომ ვეძებდი ისტორიის ოპტიმისტურ საწყისს, იმ გზის გამკვალავ ძაფს კაცობრიობის პროგრესისა, რომელმაც სისხლისმღვრელი ომების, სიმკაცრისა და უმეცრების მღელვარე საუკუნეებს გამოაღწია. მე ვეძებდი ადამიანს, რომელიც პირველყოფილი ინსტინქტებისა და ცრურწმენების ქაოსის მიუხედავად შეუპოვრად ილტვოდა მომავლის სათელი ჰორიზონტებისაკენ. ჩემს წიგნებში მე მიზნად ვისახავდი — გაეყოლოდი მის გზას ეპოქებსა და ათასწლეულებში. მე ვფიქრობ, არ არსებობს უფრო წარმტაცი ეპოპეა, ვიდრე ადამიანთა მოდგმის სელა გამოქვაბულების ყოფიდან ატომის აღმოჩენისა და კოსმოსის ათვისებისაკენ.

კაცობრიობის ამ წინსელაში მცირეოდენი აღგილი როდი უჭირავს ძველ აღოქმას. ათასი ძაფითაა იგი დაკავშირებული მრავალი ხალხის კულტურასთან. მისი გავლენით ყალიბდებოდა თაობათა წარმოდგენები, ენა და ადათები, მაგრამ რა ცუდად ვიცნობთ ჩვენ მის შინაარსს! უფროს თაობას ახსოვს

ბოლოდ ცალკეული რჩეული ადგილები ბიბლიიდან, ახალმა, მატერიალისტური სულისკვეთებით აღზრდილმა თაობამ კი აღარაფერი იცის მის შესახებ. ბიბლიის თანამედროვე თარგმანებსაც კი, მათი ენის არქაულობის გამო, არც თუ ისე ეტანება რიგითი მკითხველი, ხოლო ურწმუნოებს აშინებს დიდი ხნიდან დადგენილი შეხედულება, თითქოს ეს არის რელიგიური მითებითა და რიტუალებით აღსავსე „წმიდა“ წიგნი.. თანამედროვე მეცნიერებამ კი დაამტკიცა, რომ ბიბლია საერო ხასიათის თავისებური დოკუმენტია, რომელიც მრავალ ძვირფას ისტორიულ ცნობას შეიცავს.

კვლევა-ძიება ამ დარგში XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო, რომ არაფერი ვთქვათ ცალკეულ, უფრო ადრეულ ცდებზე. მაგრამ რა გრანდიოზული რევოლუციური გარდაქმნები მოხდა ჩვენს შეხედულებებში ბიბლიაზე ამ შედარებით მცირე პერიოდშიც კი! თითქმის გასული საუკუნის შუა წლებამდე ბიბლია, როგორც „ღმრთივშთაგონებული“ წიგნი, ხელშეუვალი იყო და მეცნიერებს მის საწინააღმდეგოდ ხმის გაღებაც კი არ შეეძლოთ. ამ იმუნიტეტს ამაგრებდა საეკლესიო დაწესებულებათა მკაცრი წესები. ბიბლიის ტექსტისადმი ლინგვისტური ან ისტორიული კრიტიკის თვალსაზრისით მიდგომის ცდები დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა მკრეხელობად და რელიგიურ რწმენაზე თავდასხმად. ღრმად გაიდგა ფესვები აზრმა, თითქოს მოსემ, ისუ ნაგემ, დავითმა, სოლომონმა და წინასწარმეტყველებმა ნამდვილად დაწერეს ბიბლიის შესატყვისი ნაწილები, რომ იაჰვემ წარმოთქვა ათი მცნება სინას მთაზე; რომ ელია წინასწარმეტყველი ნამდვილად ამაღლდა ცაში ცეცხლმოდებული ეტლით, დანიელი კი უვნებლად ამოვიდა ლომის მთხრებლიდან. როდესაც ბიბლიის ტექსტი ძალზე აშკარად შორდებოდა იმას, რასაც სიწმინდე შეიძლება ვუწოდოთ, კომენტატორები გამოძებნიდნენ ხოლმე მასში მისტიკური ხასიათის ალეგორიულ აზრს. ასე მაგალითად, ქებათა-ქებანი — სასიყვარულო ლირიკა, რომელსაც აღმოსავლური ეროტიკულობა ახლავს, მათ სულ სხვაგვარად განმარტეს; იგი აქციეს რელიგიურ პოემად, რომელშიც შეყვარებული იაჰვეს (ქრისტიანულ ერაში კი იესო ქრისტეს) სიმბოლურ გამოხატულებად იყო მიჩნეული.

ჩვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში უდიდესი აღმოჩენების ეპოქაში ვცხოვრობთ და ამიტომ გვიჭირს იმის გაგება, რომ ჯერ კიდევ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ბიბლია ითვლებოდა ერთადერთ ავტორიტეტად სამყაროს შესახებ არსებული მეცნიერების საკითხებში. ბიბლიის მომხიბლავ, მაგრამ გულუბრყვილო თქმულებებს ადამსა, ევასა და სამოთხეზე ადამიანები აღიქვამდნენ, როგორც საბოლოო ჭეშმარიტებას დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. როდესაც დარვინმა 1859 წელს „სახეთა წარმოშობაში“ თავისი ევოლუციის თეორია გამოაქვეყნა, ამან პროტესტის ქარიშხალი გამოიწვია არა მარტო ბიბლიის თაყვანისმცემლებს შორის, არამედ ზოგიერთ სამეცნიერო წრეებშიც.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მთელი რიგი უდიდესი მეცნიერული აღმოჩენების წყალობით, ადამიანთა ცოდნის ჰორიზონტი არაჩვეულებრივად გაფართოვდა, ამიტომ ბუნებრივია, უნდა შეცვლილიყო მათი დამოკიდებულებაც ბიბლიისადმი. ბოლოს და ბოლოს მისი პრობლემებით დაინტერესდნენ ნამ-

დელი მეცნიერები. თანდათან იწყო განვითარება ბიბლეისტიკამ, რომლის პირველი საწყისებიც ეკუთვნის ჯერ კიდევ XVII საუკუნეს. ჩამოყალიბდა მეცნიერების ახალი დარგი თავისი მეცნიერული კვლევის მეთოდებით, რომლებიც თანდათანობით ღრმავდებოდა. ამ ცვლილებებს ხელს უწყობდა, უწინარეს ყოვლისა, საერთო ატმოსფერო ევროპაში, რომელიც თანდათან თავს აღწევდა კულტურულ იზოლაციას. ნაკლებად შესწავლილი მატერიკების მოგზაურებმა და მკვლევრებმა გაუღვიძეს ევროპელებს ცოცხალი ინტერესი ახლო და შორეული აღმოსავლეთის დიდი კულტურებისადმი. მაშინღა გაიგეს ადამიანებმა, რომ ბიბლია არ ყოფილა ერთადერთი წმინდა წიგნი. ინდოელ ბრაჰმანებსაც ხომ ჰქონიათ რიგვედა, ახალი ინდუიზმის მიმდევრებს მაჰაბჰარატა და რამაიანა, ინდოეთის, იაპონიის, ჩინეთისა და მონღოლეთის ბუდისტებს — მაჰაიანას წიგნები, ფარსებს — ზოროასტრიზმის უკანასკნელ თაყვანისმცემლებს — ზენდავესტა, მუსლიმანებს — ყურანი. ეს სია სულაც არ არის ამომწურავი, რადგან ამათ უნდა დაემატოს წმინდა წიგნები ჩინური კონფუციანელებისა, დაოსიზმისა, იაპონური სინტოიზმისა. ეს „წმინდა წიგნები“ ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ყოველი მათგანი, მათ მიმდევართა თვალსაზრისით, შეიცავს ერთადერთ უზენაეს ჭეშმარიტებას. ამ რიგში ბიბლიასაც უჭირავს გარკვეული ადგილი, მაგრამ იგი არაა პირველი „წმინდა წიგნთა“ შორის, თუნდაც იმიტომ, რომ მიმდევართა რაოდენობის მხრივაც იგი ჩამორჩება ზოგიერთ სხვას.

ბიბლიამ, რაკი მას განუმეორებლობის შარავანდედი ჩამოშორდა, დაკარგა არანაკლებ ბრივი და ერთადერთი მოვლენის ნიღაბიც და ადამიანის მიერ ჭეშმარიტების წვდომისაკენ განუწყვეტელი ლტოლვის ერთ-ერთ გამოხატულებად იქცა.

როგორც სხვა მსგავს წიგნებში, ბიბლიაშიც აისახა ყველა კონტინენტის ხალხებისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, მიუხედავად მათი რასისა, კულტურისა და ენისა. ბიბლიის ტექსტის მკვლევარმა მეცნიერებმა დაამუშავეს მეცნიერების ახალი დარგი, რომელსაც ბიბლიის კრიტიკა დაერქვა, და რომელიც იყოფა ორ ნაწილად — „დაბალ“ და „მაღალ“ კრიტიკად. „დაბალი“ კრიტიკის მიზანია გადამწერლებისა და კომენტატორების შეცდომების გარკვევის გზით ბიბლიის ორიგინალური ტექსტის დადგენა. ჩვენ უფრო „მაღალი“ კრიტიკა გვაინტერესებს, რადგანაც მისი სენსაციური აღმოჩენების წყალობით შევიტყვეთ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ძველი აღთქმა. ამ დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა პიონერები იყვნენ ერნსტ რენანი და იულიუს ველჰაუზენი. მათი ლინგვისტური მეთოდების უზადო, ვირტუოზობამდე აყვანილმა ლოგიკამ ბოლოს და ბოლოს გადალახა დოგმატიკოსების წინააღმდეგობა და თვით კათოლიკური ეკლესიაც კი იძულებული გახადა, ანგარიში გაეწია ამ გარემოებისათვის.

რა მეთოდებით სარგებლობს „მაღალი“ კრიტიკა თავის საკვლევაძიებო მუშაობაში? ეს საკითხი ძალზე რთულია და არასპეციალისტებისთვის შეიძლება მოსაწყენიც იყოს. შევეცდებით, ჩვენი პრობლემა რამდენადმე გავამარტივოთ. ამ მიზნით, საილუსტრაციოდ ერთ უბრალო და თვალსაჩინო შედარებას შემოგთავაზებთ. წარმოვიდგინოთ პოლონელი ლინგვისტი, რომელმაც

მიზნად დაისახა შეისწავლოს ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ერთადაა შეტანილი და ღამონტაჟებული რეის (1505—1569), პასეკის (1636—1751), ნარუშევიჩის (1733—1796), ნემცევიჩის (1757—1841) და ლელეველის (1786—1861) ნაწარმოებები. პოლონური ენა დროთა მსვლელობაში ვითარდებოდა და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა; გარდა ამისა, ყველა აქ ჩამოთვლილ ავტორს თავისი საკუთარი სტილი ჰქონდა. ამიტომ პოლონური ლიტერატურის სპეციალისტი, რომელიც ასეთ არაერთგვაროვან ნაწარმოებებს შეხვდება, ადვილად იპოვის ტექსტის ცალკეულ ადგილებში განსხვავებებს სინტაქსში, ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაში. ტექსტის გულდასმითი ანალიზის შემდეგ იგი სწრაფად აღმოაჩენს მისტიფიკაციას, უფრო მეტიც, ცალკეული შემადგენელი ნაწილების ავტორებსაც დააღგენს; თუ რაიმე მიზეზის გამო მკვლევარი ამას ვერ შეძლებს, ენის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ამ ტექსტის დაწერის თარიღს მაინც დაუზუსტებს. ბოლოს და ბოლოს ის დაამტკიცებს, რომ ეს ნაწარმოები სხვადასხვა წარმოშობის ნაწყვეტებისაგან შეკრული მოზაიკაა და ამის გამო არ შეიძლება ეკუთვნოდეს ერთი ავტორის კალამს.

ბიბლიის კრიტიკასაც ამგვარ პრობლემებთან აქვს საქმე, ოღონდ ისინი გაცილებით უფრო რთულია. ძველი აღთქმის წიგნები შემორჩენილია ძველებრაულ ენაზე (აქა-იქ ბიბლიაში არის არამეული ფრაგმენტებიც)[1]. ამარნაში და რას-შამრაში ნაპოვნი დოკუმენტებისა და ბიბლიის რამდენიმე უძველესი ტექსტის (როგორიცაა, მაგალითად, მოსეს დის, მარიამის, ქება და დებორას ქება) წყალობით შესაძლებელი გახდა აღვვედგინა ძველებრაული ენის განვითარების გზა, დაწყებული XIII საუკუნიდან ჩვენს ერამდე. ამგვარად, მეცნიერებმა შეიძინეს შესანიშნავი იარაღი ბიბლიის ცალკეული წიგნების უფრო ღრმა ლინგვისტური ანალიზისათვის. რასაკვირველია, ესაა ტიტანური შრომა, რომელიც მოითხოვს დაძაბულ ყურადღებასა და ვეებერთელა ცოდნას. ბიბლიის კვლევა კელავ გრძელდება, მიღებული შედეგები კი გაცხოველებული კამათის საგანი ხდება. მაგრამ ზოგიერთი დებულება მეცნიერთათვის ახლა უკვე სრულიად უდავოა.

უწინარეს ყოვლისა, დადგენილია, რომ ძველი აღთქმა ისტორიული დოკუმენტების, ხალხური ლეგენდების, კანონების, რიტუალური წესებისა და მითების კრებულია, რომელთა წყაროებიც სხვადასხვა ეპოქებსა და სოციალურ ფენებშია საძებარი. შეკრიბეს და დაამუშავეს იგი ებრაელმა კომპილატორებმა საკმაოდ გვიანდელ პერიოდში, უმეტესად ბაბილონის ტყვეობის შემდეგ. ამ ფაქტებმა საფუძველი შეურყია ბევრ საუკუნეობით დაკანონებულ და წმინდად შერაცხულ ტრადიციულ წარმოდგენას. მაგალითად, ძველად სჯეროდათ, თითქოს ხუთწიგნეულის (ხუმაშის) ავტორები იყვნენ

---

[1] კათოლიკეები, გარდა იმ წიგნებისა, რომლებსაც აღიარებენ ებრაელები და არაკათოლიკე ქრისტიანები, ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებს მიაკუთვნებენ კიდევ ბერძნულად დაწერილ შვიდ წიგნს: ტობიას, იუდითის, ბარუქის, ისუ ზირაქის ძის სიბრძნისა და მაკაბელთა სამ წიგნს.

მოსე და ისუ ნავე, თითქოს წინასწარმეტყველნი თვითონ იწერდნენ თავიანთ მოძღვრებას, თითქოს დავითმა შეთხზა ფსალმუნები, ხოლო სოლომონმა ქებათა-ქება და იგავები.

ბიბლიის კრიტიკოსებმა კიდევ მრავალ წელს უნდა იმუშაონ, რომ გაერკვნენ ტექსტების უსასრულო დანაშრევებში და მისცენ მათ მეცნიერული ახსნა. მათი ამოცანა უფრო გაართულეს დამატებებმა, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო შეპქონდა უამრავ რედაქტორს, კომპილატორსა და გადამწერს. ამ დამატებათა რიცხვს, სხვათა შორის, მიეკუთვნებიან ე. წ. ეტიოლოგიური მითები, ანუ მითები, რომლებიც მოგვიანებით შეიქმნა თაობათა მეხსიერებაში უკვე წაშლილი ცალკეული მოვლენების ასახსნელად.

ეტიოლოგიურ მითებს წარმოადგენენ, მაგალითად, ისეთი ეპიზოდები, როგორიცაა სასწაულებრივი გადასვლა წითელ ზღვაზე, ცის მანანის მოვლენებისა და მდინარე იორდანის შეჩერების სასწაული. მკვლევრებმა დამტკიცეს, რომ ამ მითებს მიღმა იმალება სრულიად ბუნებრივი ფაქტები, რომლებიც ადამიანთა ფანტაზიამ საუკუნეთა განმავლობაში ზებუნებრივად გარდასახა.

მაგრამ ბიბლიის კვლევის მწვერვალს წარმოადგენს მისი ისტორიული კრიტიკა. შევეცდებით, რამდენიმე წინადადებით გიჩვენოთ, რა დამსახურება მიუძღვის ამ კრიტიკას.

მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წარმოდგენები ახლო აღმოსავლეთის კულტურებზე ძალზე შემოზღუდული და ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვანი იყო. მათი შესწავლის ერთადერთ წყაროს მაშინ წარმოადგენდა ბიბლიის ბუნდოვანი მითითებები და ბერძენ ისტორიკოსთა — ჰეროდოტეს, ქსენოფენტეს და სხვათა აღწერები. სახელწოდებები ისეთი ხალხებისა, როგორიცაა: ბაბილონელები, ასურელები, ეგვიპტელები, სპარსელები, ბევრს ევროპელს ეუბნებოდა ადამიანებს იმ ეპოქაში და მათ სახელმწიფოთა ტერიტორიებიც ძველი სამყაროს რუკაზე მხოლოდ თეთრ ლაქებად რჩებოდნენ, ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯილი ბიბლია კი ყველაზე ფანტასტიკური განმარტების საფუძველს იძლეოდა: მასში ევროპელთა გაორებული ერთმანეთისაგან ლეგენდასა და ისტორიულ სინამდვილეს.

გაურკვევლობის ბურუსმა გაფანტეა იწყო მხოლოდ უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქის დასაწყისში, გასული საუკუნის შუა ხანებში. უდაბნოს ქვიშა გათხარეს და გამოაელინეს მივიწყებული კულტურების შესანიშნავი ძეგლები — ფარაონთა სამარხები და აკლდამები, ტაძრებისა და მეფეთა სასახლეების ნაშთები — ხორსაბადის, ხათუსას, ნინევიის, ბაბილონის, ურის, უგარითისა და მესოპოტამიისა და სირიის სხვა მრავალი უძველესი ქალაქის ნანგრევები. გათხრებისას ნაპოვნია ურიცხვი პატარ-პატარა დოკუმენტი, ვეება ბიბლიოთეკები და არქივები. ასე, მაგალითად, ასურეთის მეფის, ასურბანიფალის სასახლის ნანგრევებში, ნინევიაში, შემონახულია 25 ათასი ცალი თიხის ფირფიტა ლურსმული ტექსტებით: აქ არის დიპლომატიური წიგნურ-მოწერა, ტრაქტატები, ლოცვები, ლიტერატურული ძეგლები და რელიგიური მითები წასული საუკუნეებისა, მათ რიცხვში გილგამეშის ეპოსი,

რომელმაც შემოინახა თქმულება წარღვნაზე. 1901 წელს სუზაში იპოვეს ბაბილონის მეფის ხამურაბის (ძვ. წ. II ათასწლეული) კანონთა კოდექსი, ეს კოდექსი, როგორც გამოირკვა, იყო წყარო მოსეს ხუთი წიგნის ზოგიერთი საკანონმდებლო დადგენილებისა.

იმის შემდეგ, რაც ფრანგმა შამპოლიონმა (1790—1832 წწ) გაშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები, ხოლო გერმანელმა გროტეფენდმა (1775—1853 წწ) ახსნა ლურსმული წარწერების საიდუმლოებანი, ყველა ადრე აღმოჩენილი დოკუმენტის წაკითხვა გახდა შესაძლებელი. ეს სამუშაო ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მაგრამ დღეისათვის ჩვენ უკვე ბევრი რამ ვიცით ძველი სამყაროს იმ ხალხთა შესახებ, რომლებიც ძველად ან ნაკლებად ცნობილნი იყვნენ, ან სრულებით მივიწყებულნი. ესენი არიან: შუმერები, ბაბილონელები, ასურელები, ქალდეველები, ფილისტიმელები, ხეთები, სპარსელები, არამეელები და ეგვიპტელები. ჩვენ მივიღეთ ბევრი ცნობა მათ კულტურაზე, რელიგიასა და ადათ-ჩვეულებებზე და ისე ძირისძირობამდე შევისწავლეთ ზოგიერთი მათგანის ისტორია, რომ ამ საკითხებზე კაპიტალური შრომები შეიქმნა.

გასული საუკუნის შუა ხანებში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო პალესტინაშიც. უკვე აღმოჩენილია ძალიან ბევრი ქალაქი, რომელთა სახელწოდებები მხოლოდ ბიბლიიდან ვიცოდით. ამ ქალაქების ნანგრევებში აღმოჩნდა დამამტკიცებელი საბუთები ბიბლიაში მოხსენებული მთელი რიგი ფაქტებისა. მათ რიცხვში ნაპოვნია ისუ ნავეს დამპყრობლური პოლიტიკის დამადასტურებელი ურყევი საბუთები, საულის, დავითისა და სოლომონის სასახლეთა ნანგრევების ნაშთები, აგრეთვე არამეელების, ასურელებისა და ქალდეველების გამანადგურებელი თავდასხმების კვალი. ეგვიპტურმა, ასურულმა, ქალდეურმა და სპარსულმა წარწერებმა და დოკუმენტებმა საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, რომ ბიბლიაში ყველაფერი როდია ლეგენდა და ფანტაზია; მასში არის ზოგი ნამდვილი ისტორიული ფაქტიც.

ისრაელიტელ ხალხს, ისე როგორც ყველა სხვა ერს, არ შეეძლო ეცხოვრა კულტურულ და საყოფაცხოვრებო იზოლაციაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის იყო ყველაზე ახალგაზრდა მის გარშემო არსებულ ძველ, მდიდარ და მომწიფებულ ცივილიზაციებს შორის. ისტორიულმა კრიტიკამ მიზნად დაისახა, დადგინა ეს კავშირები. მას უკვე შეუძლია იამაყოს ზოგიერთი უეჭველი წარმატებით. უწინარეს ყოვლისა, კორელაციის მეთოდის წყალობით მან შეძლო ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგიის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, ისტორიულმა კრიტიკამ შეავსო ან აღადგინა ეპიზოდები, რომლებსაც ან სრულებით გვერდი აქვს აელილი ბიბლიაში, ან მოთხრობილია ლაკონურად და ცალმხრივად. მანვე გამოარკვია პოლიტიკური მოტივები ბევრი, ადრე ჩვენთვის გაუგებარი მოვლენისა. ერთი სიტყვით, ბიბლიურმა კრიტიკამ შეძლო საკმაოდ გულუბრყვილოდ მოთხრობილი ბიბლიური ისტორიისათვის მიეცა ერთგვარი პრაგმატული წესრიგი მიზეზ-შედეგობრიობისა.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, დაგვედგინა მჭიდრო კავშირი ადათ-წესებსა, კანონმდებლობასა და რელიგიას შორის. ამ პრობლემებს ჩვენ დიდ ადგილს ვუთმობთ წიგნში. მაგალითისათვის საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მოსეს ათი მცნება და კანონი ჩამოყალიბდა მესოპოტამიური

კანონმდებლობის გავლენის შედეგად, რომ სამყაროს შექმნის ისტორია, ისეეე, როგორც თქმულება წარღვნაზე და მთელი რიგი სხვა თქმულებები, ნასესხებია ბაბილონური მითოლოგიიდან, რომ თითქმის მთელი ესქატოლოგია წინასწარმეტყველებისა, მაგალითად, სურათები საშინელი სამსჯაროსი, საიქიო ცხოვრებისა, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა, ანგელოზებისა და ეშმაკისა, — ნასესხებია უცხო წყაროებიდან. ერთი სიტყვით, ყველა ქრისტიანული რელიგიური კონცეფცია რამდენიმე საუკუნით ძველია ბიბლიაზე, საიდანაც ჩვენ გავეცანით მათ.

ამ სამეცნიერო აღმოჩენის გავლენით, ჩვენ სულ სხვა თვალით დავუწყეთ ცქერა ბიბლიას და ჩვენდა გასაოცრად, აღმოვაჩინეთ, რომ იგი ყოფილა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი, რეალისტური ნაწარმოები, რომელშიც დღეს და გადმოდღეს ნამდვილი ცხოვრება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს პლასტიკით, მოძრაობითა და კოლორიტით, ცოცხალი სახეებით აღსავსე თქმულებათა კალეიდოსკოპი შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთ შორეულ წარსულში და მოეღწია ჩვენს დღეებამდე.

ბიბლიის შინაარსი ისე მდიდარია, როგორც თვით ცხოვრება. მის ფურცლებზე იდილიურ სცენებს სცვლის სისხლისმღვრელი ომები, აღვირახსნილობისა და გარყვნილების ექსცესები, აგრეთვე ეპიზოდები, რომლებიც გვაძრწუნებენ თავისი ტრაგიზმით; რა კოლორიტულია გალერეა მისი სახეებისა! საკმარისია დავასახელოთ: მშფოთვარე და მერყეევი სამსონი, ეჭვიანი მარტოხელა მეფე საული, ანდა მოხერხებული და ფსიანი მეფე სოლომონი, რომელმაც უზარმაზარი ქონება შეიძინა ცხენების ვაჭრობითა და სპილენძის წარმოებით.

ამ მოვლენებს აგვირვვინებს ბაბილონის ტყვეობაში გარეკილი ებრაელი ხალხის კოლექტიური ტრაგედია. მაგრამ როგორც ყველა კლასიკური წესით აგებულ ტრაგედიაში, ფინალთან ერთად დგება კათარსისი — განწმენდა და რეაბილიტაცია. ლტოლვილები ცუდად როდი ცხოვრობდნენ ბაბილონში, მაგრამ მათ გულს ულრღნიდა სამშობლოს სევდა. ევფრატის ნაპირებზე ჩამომსხდარნი სევდიანად გალობდნენ სინანულის ფსალმუნებს და არ კარგავდნენ იმედს, რომ მათთვის კიდევ გამოანათებდა თავისუფლების მზე.

როდესაც სპარსთა მეფემ მათ სამშობლოში დაბრუნების ნება დართო, ისინი დაღლილობისა და გაჭირვებისაგან ქანცგაწყვეტილები მიაბიჯებდნენ უდაბნოებსა და მთის უღელტეხილებზე, რათა განადგურებული იერუსალიმის ნანგრევებზე ახალი ცხოვრება აეშენებინათ.

განცდილი ტანჯვის ზეგავლენის გამო ზოგიერთი წინასწარმეტყველი ქადაგებდა თავისებურ ეთიკას, საზოგადოებრივი მართლწესრიგის ნორმებს, მონოთეიზმს, რომელიც ემყარება რწმენას, რომ სამყაროს განაგებს მხოლოდ ერთი ღმერთი.

აი, ასეთად წარმომიდგებოდა მე ბიბლია, როდესაც ამ წიგნზე მუშაობას შევუდექი. სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ მე ორგვარი ხასიათის მასალებთან მქონდა საქმე: ერთი მხრივ, ბიბლიის ტექსტთან, მეორე მხრივ — აურაცხელ მეცნიერულ მონაცემებთან, რომლებიც ზოგჯერ სულ ახალ ნათელს ჰფენენ ბიბლიაში აღწერილ მოვლენებს. საჭირო იყო გამეერთია-

ნებინა ეს ორი ელემენტი წიგნში, რომელიც განსხვავებული უნდა ყოფილიყო მეცნიერული და თვით მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომებისგანაც კი.

ჩემთვის მთავარი იყო, მკითხველები გასცნობოდნენ ბიბლიის შინაარსს და გაეგოთ იგი ისე, როგორც მას ხსნის თანამედროვე მეცნიერება. ამიტომ აეირჩიე წიგნისთვის კომპოზიცია, რომელსაც შეიძლება ეუწოდოთ ორმწკრივიანი: ცალკე ბიბლიის შინაარსი, ცალკე — მისი კომენტარები. ამნაირად შეიქმნა ცოტა უცნაური და სარისკო ფორმა, რომელიც, ვიმედოვნებ, ძალიან უხერხული არ აღმოჩნდება საკითხავად.

ბიბლიის შინაარსის გადმოცემისას ეცდილობდი, ტექსტი იმდენად მისაწვდომი გამეხადა, რომ დღევანდელ მკითხველს იოლად შესძლებოდა მისი გაგება. როგორც წესი, ვცდილობდი დამეცვა ორმწკრივა კომპოზიცია, მაგრამ, იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელი იყო, შემეესო, შემელამაზებინა ან გამომეცოცხლებინა ბიბლიური თქმულების ფაბულა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული მონაცემებით, უყოყმანოდ ვაკეთებდი ამას. ეს შეეხება, მაგალითად, ქალაქ ურის ისტორიას და რეალიებს, რომლებიც უფრო მეტ გამომსახველობას აძლევენ თქმულებას აბრაამზე.

ძალიან დიდი ძალ-ღონის დახარჯვა მომიხდა სხვა რიგის პრობლემების გადაწყვეტაზე: როგორ გავრკვეულიყავი ფსიქოლოგიურ მოტივებში, რომლებიც საფუძველად უდევს ბიბლიის ბევრ ეპიზოდს. ძალიან ხშირად მისი ტექსტი არ გვაძლევს პირდაპირ ახსნას და შეიცავს უმეტესად ბუნდოვან მინიშნებებს, რომლებიც გვაიძულებენ, ჩავუფიქრდეთ და თვითონვე გამოვიტანოთ დასკვნები. რატომ აუჯანყდნენ ლევიტელები მოსეს კორეს მეთაურობით? რატომ უთხრეს უარი თაეისმა ნათესავებმა მორჩილებაზე? რატომ ვანუდგა იაკვეს უმაღლესი ქურუმი აჰრონი და დააწესა ოქროს ხბოს კულტი? ასეთი დამაინტერესებელი საკითხები უამრავია ბიბლიაში. თუ ზოგიერთ მათვანზე პასუხის გაცემას შევეცადე წიგნში, ყოველთვის ვეძებდი ჩემი დასკვნის დამტკიცებას რომელიმე ბიბლიურ ტექსტში ან მოცემული მოვლენის თანმხლები გარემოებებიდან გამომდინარე ლოგიკურ დასკვნაში.

სამყაროს შექმნიდან ბაბილონის გოდლამდე

სამყაროს შექმნა. თავდაპირველად ღმერთმა ცა და დედამიწა შექმნა. დედამიწა იყო ცარიელი, უდაბური და მარადიული წყვდიადით მოცული. უსასრულო სივრცეს მარტოოდენ წყალი ფარავდა. სული ღმერთისა კი წყალს დასტრიალებდა ზემოდან. და ბრძანა ღმერთმა: „იყავნ ნათელი!" იხილა ღმერთმა ნათელი, მოეწონა, და გაყო ღმერთმა ნათელი და ბნელი. ნათელს დღე უწოდა, ბნელს კი — ღამე. მეორე დღეს ღმერთმა წყალთა შუა შექმნა ცის კამარა, რომელმაც წყალი ორად გაყო: ცალკე დატოვა დედამიწაზე, ცის კამარის ქვეშ მყოფი წყალი, დანარჩენი კი ცაში წვიმად და ღრუბლად აქცია. მესამე დღეს ღმერთმა ცის კამარის ქვეშ ერთ ადგილზე შეკრიბა წყალი; გამოჩნდა ხმელეთი. ღმერთმა წყალთა შესაკრებელს ზღვა უწოდა, ხმელეთს მიწა დაარქვა. ღმერთმა ბრძანა, რომ მიწაზე ნაირ-ნაირი თესლის მქონე მცენარე და ნაყოფის მომცემი ხე აღმოცენებულიყო. მეოთხე დღეს შექმნა ცის კამარის მანათობელი ორი ციური სხეული — ერთი დიდი, რომ დღისით მოეცა ნათელი, მეორე — მცირე, რომ ღამით გაეფანტა სიბნელე. ასე გაჩნდა მზე და მთვარე დღისა და ღამის გასარჩევად, წლის დროთა, დღეთა და თვეთა აღსანიშნავად. ცის კამარა ღმერთმა ურიცხვი ვარსკვლავებით მოჭედა. მეხუთე დღეს მან სიცოცხლე მიანიჭა ზღვის ურჩხულებს, წყალში დამკვიდრებულ სხვა სულდგმულს, ჰაერში მონავარდე ფრინველთ, აკურთხა ისინი და ასე უბრძანა: „აღორძნდით და განმრავლდით და აღავსენით წყალნი ზღვისანი და მფრინველნი განმრავლდენ ქვეყანასა ზედა!" მეექვსე დღეს ღმერთმა შექმნა პირუტყვები, ქვეწარმავალნი და დედამიწის ზურგზე მავალი ყოველი ოთხფეხი. სულ ბოლოს შექმნა ადამიანი თავისი ხატებისა და მსგავსების მიხედვით; იგი უნდა ყოფილიყო უფალი და მბრძანებელი ყველაფრისა, რაც კი დე-

დამიწაზე ცოცხლობდა და ხარობდა. მეშვიდე დღეს ღმერთმა განასრულა ყოველი და განისვენა. ეს დღე მან აკურთხა და ბრძანა, რომ იგი სამუდამოდ უქმედ დარჩენილიყო.

ადამი და ევა სამოთხეში. აღმოსავლეთით გადაჭიმულ მოსავლიან დაბლობზე ღმერთმა გააშენა ბაღი, რომელსაც ედემი — სამოთხე ეწოდებოდა. შიგ დაამკვიდრა ადამი (სიტყვა-სიტყვით ადამიანი) და საქმე მიუჩინა: მას უნდა მოევლო და ეპატრონებინა ბაღისათვის. სამოთხეში ათასგვარი თვალწარმტაცი და ნაყოფით დახუნძლული ხეხილი ხარობდა. ბაღის შუაში ორი ხე იდგა: ერთი — ხე სიცოცხლისა, მეორე — ხე კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა. ხეებს რწყავდა დიდი მდინარე, რომელიც სამოთხეში მოედინებოდა. სამოთხის საზღვარს იქით წყლის ნაკადი ქვეყნის ოთხ მთავარ მდინარედ იყოფოდა. ერთი მათგანი, ფისონი, გარს უვლიდა ევილათის მიწას, სადაც იპოვებოდა სუფთა ოქრო, სურნელოვანი მური და ძვირფასი ქვა სარდიონი. მეორე მდინარე, გეონი, გარს ერტყმოდა მთელს ქუშის ქვეყანას. მესამეს ჰიდდეკელი (ტიგროსი) ერქვა. იგი ასურეთის აღმოსავლეთით მიედინებოდა; მეოთხე მდინარე ევფრატი იყო. ღმერთმა იაჰვემ ადამს ნება დართო ყოველგვარი ხეხილის ჭამისა, ოღონდ გააფრთხილა — კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფს ხელი არ ახლო, თორემ მოკვდებიო. ღმერთმა იაჰვემ იცოდა, რომ ადამიანს მარტო არ გაეძღებინებოდა, ამიტომ დედამიწის ბინადარი ცხოველები და ცის ფრთოსნები სამოთხეში მიჰგვარა ადამს. ადამმა ყველას შეარქვა სახელი — ცხოველებს, ფრინველებს და ყველა სულდგმულს, მაგრამ გული მაინც ეთანაღრებოდა, რადგან გვერდით არ ჰყავდა მეგობარი — თავისივე მსგავსი სულიერი. ღმერთმა ადამი ღრმა ძილით დააძინა, ამოართვა ნეკნი და მისგან ქალი შექმნა. ადამმა თქვა: „აჰა, ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ეწოდოს მას ცოლ, რამეთუ ქმრისაგან შექმნილ არს; და დაუტევოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეუერთდეს იგი ცოლსა თვისსა და იყვნენ ორივენი ერთ-ხორც“.

ადამსა და მის ცოლს ტანთ არ ეცვათ, მაგრამ არა რცხვენოდათ სიშიშვლისა. ღმერთის მიერ შექმნილ სულდგმულთა შორის ყველაზე ცბიერი გველი გამოდგა. ერთხელ მან ქალს ჰკითხა — ღმერთმა ბოროტებისა და სიკეთის შემეცნების ხის ნაყოფის ჭამა რატომ აგიკრძალათო. „რათა არა მოვკვდეთ“, — მიუგო ქალმა.

— ჯავრი ნურაფრისა გაქვს, არაფერი მოგივათო, — არწმუნებდა მას თვალთმაქცი გველი, თან უმტკიცებდა: ღმერთი ამ

ნაყოფის ჭამას იმიტომ არ განებებთ, რომ შიშობს: ადამიანებს თვალი აეხილებათ და ისევე შეიცნობენ სიკეთესა და ბოროტებას, როგორც თვითონ ღმერთმა შეიცნოო. ქალმა თვალი შეავლო სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხეს, დაინახა, რა მშვენიერი იყო თვითონ ისიცა და მისი ნაყოფიც, რომელსაც სიბრძნე უნდა მიენიჭებინა მისთვის. მოწყვიტა აკრძალული ნაყოფი, შეჭამა და ქმარსაც შესთავაზა. ადამიც დაჰყვა მის ნებას და ნაყოფს გემო გაუსინჯა. ორივეს მაშინვე აეხილა თვალები და თავისი სიშიშვლე დაინახეს; შერცხვათ და სხეულის დასაფარავად ლელვის ფოთლები დაკრიფეს.

როცა ღმერთი სამოთხეს ეწვია სასეირნოდ, ადამი და ევა ხეებს უკან მიიმალნენ. ღმერთი ადამს შეეხმიანა და ჰკითხა — სადა ხარო? ადამმა მიუგო: „მესმა ხმა შენი და შემრცხვა, რამეთუ შიშველ ვიყავ და დავიმალე". ღმერთი დაეკითხა: „ვინ გამცნო შენ, რამეთუ შიშველ ხარ, თუ არა გიჭამიეს ნაყოფისაგან აკრძალულისა?"

ადამმა ყველაფერი ცოლს გადააბრალა, ცოლმა კი გველი დაადანაშაულა — შემაცდინა, შემომიჩნდა — გინდა თუ არა, აკრძალული ნაყოფი ჭამეო. ღმერთი განრისხდა, დაწყეველა გველი და სამუდამოდ მიუსაჯა მიწაზე ხოხვა, მტვრის ჭამა და განუწყვეტელი მტრობა ადამიანებისა. ქალს უთხრა — ამიერიდან, წამებით გაჩენ შვილებს, ქმრის მორჩილი იქნები, ის კი შენი მბრძანებელი იქნებაო. ბოლოს ღმერთმა ადამს ამცნო, რომ მისი ურჩობის გამო წყეულიდა მიწას, რომელიც ადამს არჩენდა: „ეკალსა და კუროსთავსა აღმოგიცენებდეს იგი შენ და ბალახი ველისა სჭამო შენ. ოფლითა პირისა შენისაითა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიიქცე მიწად, რომლისაგან შექმნულ ხარ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე".

ადამმა მეუღლეს ევა დაარქვა, რადგან იგი უნდა გამხდარიყო დედამიწაზე მაცხოვრებელი ყოველი ადამიანის დედა. ღმერთმა ცოდვილ ცოლ-ქმარს ნადირის ტყავის სამოსელი მისცა, დაუფარა შიშველი სხეული და სამოთხიდან გააძევა — არ უნდოდა, სიცოცხლის ხის ნაყოფიც ეჭამათ და უკვდავნი გამხდარიყვნენ. სამოთხის კართან დარაჯად დააყენა ფრთოსანი ქერუბიმი და ხელში მოტყინარე მახვილი მისცა.

კაენი და აბელი. ადამსა და ევას ორი ძე ჰყავდა. უფროსს კაენი ერქვა, უმცროსს კი აბელი. აბელი ცხვარს მწყემსავდა, კაენი მიწას ამუშავებდა. ერთხელ კაენმა ღმერთს მსხვერპლი მიართვა — დედამიწის მცენარეთა მრავალი ნაყოფი; აბელმაც პირველშობილი ბატკნები შესწირა თავისი ფარიდან. ღმერთმა იაპვემ აბელის ძღვენი შეიწყნარა, კაენისა კი უარყო.

კაენს გულზე ცეცხლი შემოენთო და სახეც მოეღუშა. მაშინ იაჰვემ კაენს ჰკითხა: — „რად შეჭმუნვებულხარ? რად დაგიდრეკიეს პირი შენი მიწად? აჰა, ცოდვა ძევს კარსა თანა, — უთხრა მან კაენს, — ისწრაფის იგი შენდა, ხოლო შენ სძლიე მას“.

კაენმა არ შეისმინა გაფრთხილება. შურით გაბოროტებულმა აბელი მინდორში გაიტყუა და ვერაგულად მოკლა. ღმერთმა იხილა კაენის დანაშაული და კვლავ მიმართა მას: „კაენ, სადა არს აბელ, ძმა შენი?“ კაენმა მიუგო: „არა ვიცი, ნუუკვე მცველ ვარ ძმისა ჩემისა?“ მაშინ განრისხებულმა ღმერთმა კაენს ჰკითხა: „ეს რა ჰქმენ? ხმისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამო ქვეყნითგან!“

ღმერთმა შერისხა კაენი და ამცნო — უკუნითი უკუნისამდე იქნები დევნილი და ყარიბი, ხოლო თუ ვინმე განიზრახავს შენს მოკვლას, შემაძრწუნებელ სასღაურს მიიღებსო. კაენი იაჰვეს დაემალა — ედემის აღმოსავლეთით, ნაიდის ქვეყანაში დასახლდა. აქ მან ცოლად შეიროო ევა, ევამ შვა ძე — ენოქი*. ენოქის შვილიშვილის შვილს ლამექს ორი ცოლი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ადა, რომლისგანაც შეეძინა ვაჟიშვილი იაბალი. იგი მომთაბარეთა და მწყემსთა მამამთავარი გახდა. მისი ძმა იობალი იყო მამამთავარი მუსიკოსებისა, სალამურსა და ბარბითზე რომ უკრავდნენ. თუბალი, რომელიც მეორე ცოლთან, სელასთან შეეძინა, იყო ხელმარჯვე ოსტატი, რვალისა და რკინის მჭედელი.

ადამმა ცხრაას ოცდაათი წელი იცოცხლა. ევამ მას შესძინა ძენი და ასულნი, მათი შთამომავლები მეტად მომრავლდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო მათუსალა, რომელმაც ცხრაას სამოცდაცხრა წელი იცოცხლა. მისი შვილიშვილი იყო ნოე. ნოეს სამი ძე ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეთი.

წარღვნა. ადამისა და ევას შთამომავლობა თანდათან განეფინა დედამიწაზე. მაგრამ ადამიანთა მოდგმა შერისხული იყო პირველი ცოდვის გამო. ადამიანს უმძიმესი შრომით უნდა მოეწია პური არსობისა; მის გულში ღვარძლმა და სიბილწემ დაისადგურა. ადამიანები განუწყვეტლივ ებრძოდნენ, ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ ერთმანეთს. იმატა ძალმომრეობამ და დანაშაულმა. ამ შფოთსა და არეულობაში განგების გაფრთხილებას ყველამ ყური წაუყრეა.

იაჰვეს სანანებლად დაურჩა თავისივე ნამოქმედარი, ძალზე ხწუხდა ადამიანთა მოდგმის დანაშაულს. მან გადაწყვიტა, ერთიანად მოსრა ქვეყნად ყველა სულდგმული — ადამიანიცა და ცხოველიც და ბოლო მოეღო მათი ცოდვილი არსებობისათვის. მაგრამ თავისი ქმნილებანი მთლად ვერ გაიმეტა გასაცამტვერებლად. იმედი ჰქონდა — ადამიანთა და ცხოველთა მომდევნო

თაობა მეტად მორჩილი იქნება და უკეთეს, უფრო ბედნიერ ცხოვრებას შექმნისო.

ცოდვილთა შორის ღმერთი ერთადერთ კაცს უყურებდა კარგი თვალით — ნოეს, რომელიც მართალი და უცოდველი იყო. ნოეს სამივე ძეც — სემი, ქამი და იაფეთი — ერიდებოდნენ მრუდე გზაზე დადგომას. ღმერთის მითითებით ნოემ ააგო ხის კიდობანი და შიგნიდან და გარედან ყველა ღრიჭე გაფისა. კიდობნის სიგრძე იყო სამასი წყრთა, სიგანე — ორმოცდაათი, სიმაღლე კი ოცდაათი. კიდობანი სამსართულიანი იყო, სარკმელი და კარი კი თითო-თითო ჰქონდა. ნოე ამ დროს ექვსასი წლისა იყო, მაგრამ შვილების დახმარებითა და ხელშეწყობით კიდობნის აშენება მაინც დაამთავრა.

იხილა თუ არა ღმერთმა გამზადებული კიდობანი, ბრძანა, რომ დედამიწას წარღვნას მოუვლენდა. მან გადაწყვიტა, ადამიანთა შოდგმიდან გადაერჩინა მხოლოდ და მხოლოდ ნოე, მისი ცოლი და მათი სამი ძე, თავ-თავისი ცოლებითურთ, აგრეთვე ოთხფეხთა, ქვეწარმავალთა და ფრინველთაგან თითო წყვილი. ნოემ კიდობანში შეამწყვდია ეს წყვილები, მოიმარაგა სასმელ-საჭმელი და ოჯახიანად ჩაიკეტა შიგ.

შვიდი დღის შემდეგ დაიწყო კოკისპირული წვიმა, რომელიც ორმოც დღე-ღამეს გაგრძელდა. წყალი ზევით-ზევით იწევდა და ბოლოს მთელი დედამიწა დაფარა; მღელვარე ტალღებმა ყველაზე მაღალ მთებსაც კი გადაუარეს. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარსად დარჩა: წარღვნამ შთანთქა ადამიანებიც, პირუტყვიცა და ფრინველებიც. მხოლოდ ნოეს კიდობანი დაცურავდა უვნებლად უკიდეგანო წყლის სივრცის ზედაპირზე.

როგორც იქნა, წვიმა შეწყდა, მაგრამ წყალი ძალიან ნელა იკლებდა; გავიდა ასორმოცდაათი დღე და ამასობაში ერთი მტკაველი ხმელეთიც არსად გამოჩენილა. მეშვიდე თვეს კიდობანი სომხეთის* მთის, არარატის, წვერზე შეჩერდა, მეათე თვეს კი გარშემო მდებარე მთათა მწვერვალებიც გამოჩნდნენ წყალში.

ნოემ კიდევ თოთხმეტი დღე იცადა, შემდეგ სარკმლიდან ყორანი გადმოაფრინა — უნდოდა გაეგო, იპოვიდა თუ არა ხმელეთს. ფრინველი მალე დაბრუნდა. ნოემ ახლა მტრედი გამოუშვა. მაგრამ მანაც ვერსად იპოვა თავშესაფარი და მალე დაბრუნდა უკან. შვიდი დღის შემდეგ ნოემ კელავ გაუშვა მტრედი. ფრინველი საღამოთი დაბრუნდა და თან ნისკარტში გაჩრილი ზეთისხილის რტო მოიტანა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ აქა-იქ ხმელეთი გამოჩნდა. ნოემ კიდევ შვიდი დღე შეიცადა და მტრედი შესამედ გაუშვა. ფრინველი აღარ დაბრუნებულა, რადგან დედამიწა უკვე გამშრალიყო.

ნოე გადმოვიდა კიდობნიდან და ააგო საკურთხეველი, რათა ღმერთისთვის, ხსნის სამადლობლად, მსხვერპლი შეეწირა.

იაჰვემ გადაწყვიტა — ამიერიდან კაცთა მოდგმა წარღვნით აღარ დაესაჯა და ყველა ცოცხალ არსებასთან დადებული მარადიული ზავის ნიშნად ცაზე შვიდფერი ციისარტყელის სხივოსანი კამარა გამოჰკიდა.

ნოე კვლავ შეუგდა ხვნა-თესვასა და საქონლის მოშენებას, ჩაყარა ვაზი და ღვინის დაყენებასაც მიჰყო ხელი. ერთხელ მან ზომაზე მეტი დალია, სამოსელი შემოიხია და შიშველმა დაიძინა თავის კარავში. ნოეს თავს წამოადგა ქანაანის მამა ქამი. მან სიცილით აუწყა თავის ძმებს ყველაფერი, რაც ნახა. მაგრამ სემმა და იაფეთმა მეტი პატივისცემა გამოიჩინეს მამისა, მძინარეს თვალი მოარიდეს და შიშველ ტანზე ტანსაცმელი წააფარეს. ნოემ გამოიფხიზლა, გაიგო ქამის საქციელი. განრისხდა და დაწყევლა იგი*; უწინასწარმეტყველა ქამს: შენი შთამომავლები სემისა და იაფეთის შთამომავალთა მონები იქნებიანო.

წარღვნის შემდეგ ნოემ სამას ორმოცდაათი წელი იცოცხლა, სიკვდილის ჟამს იგი ცხრაას ორმოცდაათი წლისა იყო. მისი ვაჟებისაგან წარმოიშვა ადამიანთა მოდგმის სამი უდიდესი ჯგუფი. იაფეთი ჩრდილოეთის ხალხთა მამამთავარი გახდა; სემის ჩამომავლები იყვნენ სემიტები; ქამმა დასაბამი დაუდო აფრიკელ ხალხებს — ქამიტებს. ქამის ერთ-ერთი შთამომავალი იყო ნებროთი. მან სახელი გაითქვა, რადგან იყო „გმირი მონადირე წინაშე უფლისა“.

ბაბილონის გოდოლი. დედამიწის მკვიდრი ადამიანები თავდაპირველად ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. მათ ეკავათ სენაარის დაბლობი მდინარე ტიგროსისა და ევფრატის აუზის მიდამოებში. აქ მიწა დიდ მოსავალს იძლეოდა, ამიტომ ხალხს დოვლათი თანდათან ემატებოდა. ადამიანებს გულზვიადობის გრძნობა დაეუფლათ. მათ გადაწყვიტეს, აეგოთ ისეთი მაღალი გოდოლი, რომ მისი თავი ცას მისწვდომოდა.

შენებისას მასალად ქვის ნაცვლად იყენებდნენ გამომწვარ აგურს, კირის მაგივრად — თიხას. კოშკი ზევით-ზევით მიიწევდა მანამ, სანამ იაჰვე არ შეშფოთდა და მისი ნახვა არ გადაწყვიტა. ადამიანთა მედიდურობამ განარისხა ღმერთი. მან ისინი სხვადასხვა ენაზე აამეტყველა, რომ ერთმანეთისა ვეღარაფერი გაეგოთ და თავგზა აბნეოდათ. ამას ისეთი არეულობა მოჰყვა, რომ მშენებლებმა ხელი აიღეს თავის მედიდურ ზრახვებზე, მიატოვეს მასალა, იარაღი და მთელ ქვეყანაზე მიმოფანტნენ. იმ ქალაქს, სადაც გოდოლს აგებდნენ და სადაც ენათა აღრევა მოხდა, ბაბილონი უწოდეს.

ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ, ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ, ᲤᲐᲠᲦᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲒᲝᲓᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბიბლია გვამცნობს, რომ ებრაელთა პირველი სამშობლო იყო მესოპოტამია. აბრაამის ოჯახი ცხოვრობდა ურში, რომელიც შუმერთა უძველესი დედაქალაქი იყო, შემდეგ კი გადასახლდა ქანაანში, ახლანდელ პალესტინაში. ამრიგად, ებრაელები ეკუთვნოდნენ ხალხთა იმ დიდ ჯგუფს, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმდიდრესი კულტურა შექმნა ტიგროსისა და ევფრატის აუზის მიდამოებში. ამ უდიდესი კულტურის მთავარი შემოქმედნი იყვნენ შუმერები. ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისინი აშენებდნენ მშვენიერ ქალაქებს, უზარმაზარი განშტოებების მქონე არხებით რწყავდნენ ნიადაგს, მისდევდნენ ხელოსნობასაც, რომელიც მათ ძალიან ემარჯვებოდათ. შუმერებმა შექმნეს ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები. აქადელები, ასურელები, ბაბილონელები, ხეთები, არამეელები, რომლებმაც შემდგომ თავ-თავის სახელმწიფოები შექმნეს მესოპოტამიასა და სირიაში, შუმერთა მოწაფეები იყვნენ და მათგან მემკვიდრეობით მიიღეს უდიდესი კულტურული საგანძური.

XIX საუკუნის შუა წლებამდე ამ ხალხთა კულტურის შესახებ გაგვაჩნდა მხოლოდ ძუნწი, ზოგჯერ კი სულ ყალბი ცნობები. მხოლოდ მესოპოტამიაში ჩატარებულმა ფართო მასშტაბის არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ამ ხალხთა კულტურის სიმდიდრე და სიდიადე. გათხარეს ნანგრევები ისეთი დიდებული ქალაქებისა, როგორიცაა ური, ბაბილონი და ნინევია. მეფეთა სასახლეებში იპოვეს ლურსმული წარწერებით აჭრელებული ათასობით ფირფიტა, რომელთა ამოკითხვა უკვე მოხერხდა. შინაარსის მიხედვით ეს დოკუმენტები მრავალგვარია. მათ შორის გვხვდება ისტორიული ქრონიკები, დიპლომატიური კორესპონდენცია, ხელშეკრულებები, რელიგიური მითები და პოემები; აქ აღმოჩნდა კაცობრიობის უძველესი ეპოსი შუმერთა ნაციონალური გმირის გილგამეშის შესახებ.

ლურსმული ფირფიტების თანდათანობითმა ამოკითხვამ ცხადყო შემდეგი: ბიბლია, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში თვლიდნენ ღვთიური შთაგონების ნიადაგზე წარმოშობილ თხზულებად, ნამდვილად ებრაელების მიერ დაწერილი ორიგინალური ნაწარმოები არაა. იგი თავისი ფესვებით მესოპოტამიის ტრადიციებს უკავშირდება; მისი მრავალი დეტალი და ზოგჯერ მასში მოთხრობილი მთელი ამბებიც კი მეტ-ნაკლებადაა ნასესხები შუმერული მითებისა და ლეგენდების მდიდარი საგანძურიდან.

კაცმა რომ თქვას, ეს არცაა გასაკვირი. თანამედროვე ისტორიული მეცნიერებისათვის უფრო უცნაური სწორედ საქმის სხვაგვარი ვითარება იქნებოდა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ კულტურები და ცივილიზაციები უკვალოდ არ ქრებიან. თავის უძვირფასეს მონაპოვარს ისინი გადასცემენ უფრო ახალგაზრდა კულტურებს. ეს პროცესი ზოგჯერ რთული გზით მიმდინარეობს; არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენ გვეგონა, რომ ევროპული კულტურა მთლიანად საბერძნეთიდან მომდინარეობდა. უახლესმა გამოკვლევებმა კი ცხადყვეს, რომ ბევრი რამ ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ იქიდან, რაც ხუთი ათასი წლის წინათ შექმნა შუმერთა გენიამ. კულტურები და ხალხები განუწყვეტლივ ჩნდებიან და ქრებიან, მაგრამ მათი გამოცდილება ცოცხლობს და მდიდრდება მომდევნო თაობებში, მონაწილეობს ახალი, უფრო სრულყოფილი კულტურის შექმნაში.

ამ უწყვეტ ისტორიულ პროცესში ებრაელები განზე როდი იდგნენ. ასეთი განცალკევება არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ებრაული კულტურის ფესვები მომდინარეობს მესოპოტამიური კულტურიდან, აქედან ებრაელებმა ქანაანში გადაიტანეს წარმოდგენები, ზნე-ჩვეულებანი და რელიგიური მითები, რომლებიც ათასწლეულთა განმავლობაში ყალიბდებოდა ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე. ამ შორეულ გავლენათა ნათელ კვალს ღღეს ბიბლიის ტექსტებში ვპოულობთ. მაგრამ ასეთი ურთიერთობისა და სესხება-გადმოღების ფაქტების გამოვლინება მაინც არაა იოლი საქმე. ქანაანში დასახლებული ებრაელები თანდათან განთავისუფლდნენ მესოპოტამიის გავლენისაგან. აქედან წამოღებულ წარმოდგენებს, მითებსა და თქმულებებს ისინი ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას და თანდათან ასხვაფერებდნენ მათ. ებრაული ლეგენდების პირვანდელი სახე ისე ძირფესვიანადაა ზოგჯერ გადაშლილი, რომ მათი წარმომავლობის დადგენა მხოლოდ მესოპოტამიური წყაროებით შეიძლება.

ამ ნათესაური ურთიერთობის მიჩქმალვა უმთავრესად აინტერესებდა ქურუმებს, რომლებმაც ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეებში, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების

შემდეგ რედაქცია გაუკეთეს ძველი აღთქმის ტექსტს და გადმოგვცეს იგი იმ სახით, რა სახითაც დღეს გვაქვს. ისინი თავის კომპილაციებში წარბშეუხრელად ცვლიდნენ ძველ ხალხურ თქმულებებს და წინასწარ მოფიქრებული რელიგიური მიზნებისათვის იყენებდნენ. მათ არ ესმოდათ, რა არის სიმართლე. თაობიდან თაობაში გადმოსული თქმულებები მათთვის საჭირო იყო მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ იაჰვე ჯერ კიდევ აბრაამის დროიდან მართავდა თავისი რჩეული ხალხის ბედს.

მეცნიერთა და მკვლევართა საბედნიეროდ, ქურუმები გადაკეთებასა და გაყალბებას ყოველთვის ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ ახერხებდნენ. ბიბლიის ტექსტებში მათ ვერ შეამჩნიეს მრავალი წვრილმანი, რომელიც ამყარებდა მათ მჭიდრო კავშირს მესოპოტამიის კულტურასთან. საუკუნეთა განმავლობაში ვერავინ ჩასწვდა მათ აზრს. მხოლოდ დიდმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომლებმაც შუმერთა, აქადელთა, ასურელთა და ბაბილონელთა მივიწყებული კულტურის აღდგენის საშუალება მოგვცა, მოჰფინეს შუქი წინათ გაუგებარ დეტალებს და გამოაელინეს მათი ადრეული წარმოშობა.

ქურუმების მიერ ძველი მესოპოტამიური მითების შერყვნის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბიბლიური გადმოცემა სამყაროს შექმნის შესახებ.

ცნობილმა არქეოლოგმა ჯორჯ სმითმა ლურსმულ ფირფიტებზე წაიკითხა მთელი ბაბილონური პოემა „ენუმა ელიში", რომელშიც აღწერილი იყო სამყაროს შექმნის ამბავი. მას გარეგნულად არაფერი ჰქონდა საერთო ბიბლიურ თქმულებებთან. ამ მითოლოგიური ეპოსის შინაარსი (რა თქმა უნდა, ძალზე შემოკლებული სახით) ასეთია:

თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ წყალი და მეფობდა ქაოსი. ამ საშინელი ქაოსისაგან იშენენ პირველი ღმერთები. საუკუნეთა განმავლობაში ზოგიერთმა მათგანმა დედამიწაზე წესრიგის დამყარება განიზრახა. ამან განარისხა ღმერთი აბზუ და მისი ცოლი, ქაოსის საშინელი ქალღმერთი თიამათი.

ბრძენი ღმერთის ეას ხელმძღვანელობით მეამბოხეებმა აბზუ მოკლეს. თიამათმა, რომლის გამოსატულებები გველეშაპის სახისაა, გადაწყვიტა შური ეძია და ქმრის სისხლი აეღო. ღმერთებმა მარდუქის ხელმძღვანელობით ხელჩართული ბრძოლა გამართეს, სისხლისმღვრელი შეტაკების დროს მოკლეს თიამათი და მისი უზარმაზარი სხეული გაჩეხეს ორ ნაწილად — ერთი მათგანი მიწად იქცა, მეორე — ცად. აბზუს სისხლი კი შეურიეს თიხას და ამ ნარევისაგან გაჩნდა პირველი ადამიანი.

იბადება კითხვა: რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ძველ აღთქმაში აღწერილ ამაღლებულ, მონოთეისტურ ამბავს ამ უღიმღამო, ზედმიწევნით პრიმიტიულ ბაბილონურ კოსმოგო-

წიგნთან? და მაინც არსებობს უდავო მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს კოსმოგონია, ამა თუ იმ სახით, გახდა მასალა გაცილებით უფრო აღზევებული განწყობის მქონე ძველი ებრაული ვარიანტისათვის. ამერიკელმა არქეოლოგმა ჯეიმს ჯ. პრიჩარდმა საგულდაგულოდ შეუდარა ერთმანეთს ეს ორი ტექსტი და მათ შორის მრავალი განსაცვიფრებელი დამთხვევა აღმოაჩინა. უპირველეს ყოვლისა, გასაოცარია მოვლენათა ერთგვარი თანმიმდევრობა ორივე ტექსტისათვის: ცისა და ციური სხეულების წარმოშობა, წყლის გამოყოფა მიწისაგან, ადამიანის შექმნა მეექვსე დღეს, აგრეთვე ღმერთის დასვენება ბიბლიის თანახმად და ბაბილონელი ღმერთების ნადიმი მეშვიდე დღეს „ენუმა ელიშის" მიხედვით. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დაბადების ტექსტს ერთგან პოლითეისტური აზრი აქვს: „და იყვნეთ ვითარცა ღმერთი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა". (შესაქმე, თ. 3. მ. 5). თვლიან, რომ „ღმერთი" აქ „ღმერთებს" ნიშნავს და რომ ამ სიტყვას პოლითეისტური აზრი აქვს*.

თუ ეს სწორია, მაშინ აშკარაა, რომ იუდეველმა რედაქტორებმა უყურადღებობა გამოიჩინეს და ბიბლიის ტექსტებს ამიტომ შეძორჩა ძველი პოლითეისტური შეხედულებების კვალი. დაბადების მეექვსე თავში ადამიანებს ჰქვიათ „ძენი ღმრთისანი"; ამასვე უწოდებს ბაბილონური მითი აჯანყებულ ღმერთებს, რადგან ისინი ნამდვილად იყვნენ ღმერთ აბზუსა და ქალღმერთ თიამათის ძენი.

მკვლევრები დიდი ხნის განმავლობაში იმტვრევდნენ თავს დაბადების პირველი თავის მეორე მუხლზე; მასში ნათქვამია, რომ ღვთის სული — არსებითად ღვთის ცხოველმყოფელი სუნთქვა, წყალს დასტრიალებდა ზემოდან. ამ მუხლის აზრს სულ სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. განმარტებათაგან ზოგი მთლიანად აშკარად დაუჯერებელი და მოჩმახული იყო. ამგვარმა შეცდომამ გასტანა იქამდე, სანამ ფინიკიის ქალაქის, უგარითის, ახლანდელი რას-შამრას ახლოს (სირიაშია), ნანგრევებში ლურსმული ფირფიტები არ იპოვეს. ამ ფირფიტებს მითოლოგიურ პოემათა კრებულის სახე ჰქონდა. კოსმოგონიურ მითში მეცნიერები წააწყდნენ ტექსტს, რომლის მიხედვითაც ღმერთი იჯდა წყალზე, როგორც ფრინველი ზის კვერცხებზე, და ქაოსისგან გამოჩეკა სიცოცხლე. უეჭველია, ბიბლიაში განსახიერებული ღვთის სული, რომელიც „იქცეოდა წყალთა ზედა" უგარითული მითის გამოძახილია.

სამყაროს შექმნის ბიბლიური ამბავი უდავოდ ქვეყნიერებისაგან განშორებულ ქურუმთა განცალკევებულ წრეში იშვა; თეოლოგთა ინტელექტუალურმა კონცეფციამ პოპულარობა ვერ მოიპოვა ებრაელი ხალხის ფართო მასებში. უბრალო კაცის ფანტაზიაზე, ალბათ, გაცილებით მეტად მოქმედებდნენ დრამა-

ტული მითები, რომლებშიც მოთხრობილი იყო ამბავი ქაოსის გიგანტურ ურჩხულთან ღმერთების გმირული შეჭიდებისა. ძველი აღთქმის ტექსტებმა ამ ხალხური რწმენის მკაფიო კვალი შემოინახეს. უგარითული პოემა გადმოგვცემს, რომ ღმერთმა ბაალმა შვიდთავიანი ურჩხული ლევიათანი დაამარცხა. წინასწარმეტყველ ესაიას წიგნში სიტყვასიტყვით წერია:

„დღესა მას სცეს იაჰვემ მახვილი მისი, დიდი და მძიმე და ძლიერი, ლევიათანსა, გველსა მცურავსა და ლევიათანსა, გველსა დრკუსა და მოკლას ვეშაპი, რომელ არს წყალთა შინა“ (შდრ. ეს. თ. 27, მ. 1).

ეს ურჩხული ბიბლიაში რააბის სახელითაც გვეელინება. იაჰვეს კონფლიქტი რააბთან ნახსენებია იობის წიგნში, ერთ-ერთ ფსალმუნსა და აგრეთვე ესაიას წიგნში.

ჩვენ ხელსაყრელ მდგომარეობაში ვართ: შეგვიძლია თვალყური მივადევნოთ, თუ რა გზა გაიარა ისტორიაში მესოპოტამიურმა მითმა ურჩხულის წინააღმდეგ ღმერთების ბრძოლის შესახებ. შუმერების დროს ძლევამოსილ, ურჩხულის გამანადგურებელ ღმერთად თვლიდნენ ენლილს. როცა მესოპოტამია ბაბილონის მეფემ ხამურაბიმ დაიპყრო, ურჩხულის მძლეველი ღმერთი მარდუქი გახდა. განელეს საუკუნეებმა; შუამდინარეთში ასურელები გაბატონდნენ და მთელ სახელმწიფოში უზენაესი ღმერთის სახელი აშურმა მოიპოვა. ასურელმა მწერლებმა ლურსმულ ფირფიტებზე ამოშალეს მარდუქის სახელი და მის მაგივრად თავისი საკუთარი ტომის ღმერთის აშურის სახელი ჩაწერეს. მაგრამ მათ დაუდევრობა გამოიჩინეს და ტექსტში რამდენჯერმე გაეპარათ მარდუქის სახელი. შემდეგ მითმა მიაღწია პალესტინამდე, სადაც ებრაელებმა იაჰვე აიძულეს, ებრძოლა ურჩხულ ლევიათანთან ანუ რააბთან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ მითმა ქრისტიანულ რელიგიაშიც მოიკიდა ფეხი იმ ლეგენდებში, რომლებიც გველეშაპის შემმუსვრელ წმინდა გიორგის ეხებოდნენ.

დაბოლოს, სამყაროს შექმნაზე გავრცელებულ ბიბლიურ თქმულებებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი: იგი განსაკუთრებით ახასიათებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ძველ აღთქმაში ყოველგვარი ადამიანური ცოდნის ალფა და ომეგა დაინახეს. 1654 წელს ირლანდიელმა არქიეპისკოპოსმა უშერმა განაცხადა: „საღმრთო წერილის“ გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა 4004 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე“. მთელი საუკუნის მანძილზე ბიბლიის ყოველ მომდევნო გამოცემაში ასახელებდნენ ამ თარიღს. ყველას, ვინც მას ეჭვის თვალით შეხედავდა, მწვალებლებს უწოდებდნენ.

არქიეპისკოპოს უშერის წინააღმდეგ გამოვიდა ეპისკოპოს

ლაითფუთი და უსაყვედურა, რომ მისი ნაანგარიშევი თარიღი საკმაოდ ზუსტი არაა. ამ ეპისკოპოსის აზრით, სამყარო თურმე ღმერთს შეუქმნია არა მარტო ძველი წელთაღრიცხვის 4004 წელს, არამედ ამ წლის 23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე.

რაც შეეხება სამოთხეს, ისიც შუმერთა ფანტაზიის ნაყოფია. ღმერთ ენქიზე შექმნილ მითში სამოთხე წარმოდგენილია ხეხილით სავსე ბაღად, რომელშიც ადამიანები და მხეცები მშვიდობიანად და ჰარმონიულად ცხოვრობენ. მათთვის უცხოა ყოველგვარი ტანჯვა და ავადმყოფობა. სამოთხე გადაშლილია დილმუნის მიდამოებში (სპარსეთშია). ბიბლიური სამოთხე უეჭველად მესოპოტამიაში მდებარეობს, რადგან მის ტერიტორიაზე იღებს სათავეს ოთხი მდინარე, რომელთაგან ორი ევფრატი და ტიგროსია.

ამ ორი მითის ზოგიერთი ადგილი გასაოცრად ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ყოველი წვრილმანი დეტალის გარჩევა, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ: ადამიანის შეცოდების იდეა ორივე თქმულებაში ჩანს.

ბიბლიის მიხედვით, ადამსა და ევას გველი აცდუნებს და შთააგონებს, ბოროტებისა და სიკეთის შემეცნების ხის ნაყოფი იგემონ. მესოპოტამიური მითის თანახმად, ადამიანის მაცდური მრჩეველია ღმერთი ეა. ორივე ვერსია გამოხატავს ერთ აზრს — ბოროტებისა და სიკეთის შეცნობა, ანუ სიბრძნე, ადამიანს ღმერთთან ათანაბრებს და უკვდავებას ანიჭებს. გავიხსენოთ, რომ სამოთხეში სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხის გვერდით იზრდებოდა უკვდავების მომნიჭებელი სიცოცხლის ხეც. ღმერთს ადამი და ევა სამოთხიდან მარტო ურჩობის გამო კი არ გამოუძევებია, არამედ იმიტომაც, რომ შეეშინდა — სიცოცხლის ხის ნაყოფსაც მისწვდებიან და ჩემსავით უკვდავი გახდებიანო. დაბადების მესამე თავში ვკითხულობთ: „და თქვა ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩვენთაგანი (აქაც კვლავ პოლითეიზმის გადმონაშთია), მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და აწ განწვადოს ხელი თვისი და მოწყვიტოს ნაყოფი ხისაგან ცხოვრებისა და ჭამოს, და იცოცხლოს მარად". (დაბ. 3, მ. 22).

ასევე შეიძლება აიხსნას, ნაწილობრივ მაინც, ბიბლიის მაცდური გველის წარმოშობაც. შუმერი გმირი გილგამეში სიცოცხლის მცენარისათვის გაემგზავრა სამოთხის კუნძულზე ღმერთების საყვარელ უთნაფიშთიმთან; როდესაც უკან დაბრუნებისას მდინარეზე გადადიოდა, ერთ-ერთმა ღმერთმა, რომელსაც არ სურდა, ადამიანს უკვდავება მიეღო და ღმერთებს გასთანაბრებოდა, გველის სახე მიიღო, თავი ამოყო წყლიდან და გილგამეშს ჯადოსნური მცენარე გამოჰგლიჯა. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ამ შუმერულ ლეგენდას უეჭველად შეუძ-

ლია აგვიხსნას, თუ რატომ გამოსახავდნენ ებრაელები იაპეტის გველის სახით აბრაამის დროიდან მოყოლებული მრავალი საუკუნის განმავლობაში. ამგვარი გამოსახულებები ერთიანად გაანადგურეს მხოლოდ მაშინ, როცა ებრაელმა ქურუმებმა აკრძალეს მათი თაყვანისცემა. ხატთმებრძოლი მღვდელთმთავრები გმობდნენ ამ სიმბოლოებს, როგორც კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებას.

არქეოლოგებმა მესოპოტამიის ერთ-ერთი ქალაქის ნანგრევებში იპოვეს აქადური საბეჭდავი. მასზე ამოჭრილი სცენა, ალბათ, გადმოსცემს ადამსა და ევაზე გავრცელებული თქმულების პროტოტიპს. საბეჭდავზე მოჩანს გველშეძოხვეული ხე, აქეთ-იქით კი გამოსახულია რქებიანი მამაკაცისა და ქალის ფიგურები. ოღონდ ისიც არაა დასამალავი, რომ ფიგურების კონტურები გადაშლილია და მათი გარჩევა ძალიან ჭირს; ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი დაეჭვდა — აქვს თუ არა საბეჭდავს რაიმე საერთო პირველ ადამიანზე შექმნილ მითთან. მაგრამ რაკი ამ გამოსახულებას უფრო დამაჯერებელი ახსნა ვერავინ მოუნახა, სავარაუდებელია შემდეგი: ნამდვილადაა ნაპოვნი დამამტკიცებელი საბუთი, რომ მითი ადამსა და ევაზე ჯერ კიდევ მესოპოტამიაში არსებობდა.

ადამიანებს უხსოვარი დროიდან საგონებელში აგდებდა ის ფაქტი, რომ ღმერთმა ევა შექმნა ასეთი ახირებული გზით — ადამის ნეკნისაგან. მას ხომ თიხა ბლომად ჰქონდა და შეეძლო ისევე გამოეძერწა მისგან ქალი, როგორც მამაკაცი გამოძერწა. ბაბილონის ნანგრევებში აღმოჩენილმა ლურსმულმა ფირფიტებმა ამ საიდუმლოების სენსაციური ახსნა-განმარტება მოგვცეს. როგორც ჩანს, მთელი ეს ამბავი უცნაურ გაუგებრობაზეა დაფუძნებული. სახელდობრ: შუმერული მითის მიხედვით, ღმერთ ენქის ნეკნი სტკიოდა. სიტყვა „ნეკნს“ შუმერულ ენაზე შეესაბამება სიტყვა „თი“. ქალღმერთს, რომელიც ენქის ნეკნის მოსარჩენად გამოიძახეს, ერქვა ნინთი, ესე იგი, „ნეკნის ქალი“, მაგრამ „ნინთი“ აგრეთვე „სიცოცხლის მიცემასაც“ გამოხატავს. ამრიგად, „ნინთი“ ერთნაირად ნიშნავს როგორც „ნეკნის ქალს“, ასევე „სიცოცხლის მიმნიჭებელ ქალს“.

აი, სწორედ აქაა საძებარი გაუგებრობის თავი და თავი მიზეზი. ძველმა ებრაულმა ტომებმა ნინთი ევათი შეცვალეს, რადგან მათთვის ევა იყო ადამიანთა მოდგმის ლეგენდარული დედა, ესე იგი, „სიცოცხლის მიმნიჭებელი ქალი“, მაგრამ მათ მეხსიერებას როგორღაც შემორჩა ამ სიტყვის მეორე განმარტებაც („ნეკნის ქალი“). ამის გამოა, რომ ხალხურ თქმულებებში ყველაფერი აირია, რაკი მესოპოტამიური ხანიდან ახსოვდათ, რომ ნეკნსა და ევას შორის რაღაცაა საერთო, წარმოიშვა უცნაური ვერსია — თითქოს ევა შექმნილი იყო ადამის ნეკნისაგან.

ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ რამდენი რამაა ნასესხები ძველი ებრაელების ლეგენდებში მესოპოტამიის ხალხებისაგან.[1]

სამაგიეროდ, ლეგენდა აბელსა და კაენზე, როგორც ჩანს, მხოლოდ ძველი ებრაელების ფანტაზიის ნაყოფია. ძველი ებრაული ტომები ამ ლეგენდაში ეცადნენ აეხსნათ, თუ რატომ დაუბედა ადამიანთა მოდგმას მარადიული მძიმე შრომა, წამება და სნეულება მათმა კეთილმა მამამ იაჰვემ. ზოგიერთ მკვლევარს გაუჩნდა ასეთი აზრი: შორეულ წარსულში ხშირი იყო შეტაკებები მომთაბარე მესაქონლე ხალხებსა და იმ მოსახლეობას შორის, რომელიც თავიდანვე მიწათმოქმედებას მისდევდა და მუდმივი სამკვიდრებელი ადგილი გააჩნდა. ეს ლეგენდა კი მათი ბრძოლის გამოძახილია. ძველი ებრაელები იმ დროს მესაქონლეები იყვნენ. ამიტომაა, რომ მათ თქმულებაში ცხვრის მწყემსი აბელი — იაჰვეს რჩეული — მიწათმოქმედი კაენის უდანაშაულო მსხვერპლად იქცა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში პირუკუ ხდებოდა: სწორედ მომთაბარე ტომები ესხმოდნენ თავს მშვიდობისმოყვარე მიწათმოქმედ ხალხებს. ასეთი მიკერძოება ბიბლიურ ლეგენდაში საგულისხმოა, რადგან იგი მეტყველებს იმაზე, რომ თქმულება კაენსა და აბელზე წარმოიშვა ძალიან შორეულ ეპოქაში, როცა ძველი ებრაელები ჯერ კიდევ მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. როცა ისინი დამკვიდრდნენ ქანაანში და იძულებულნი გახდნენ უდაბნოს მეომარი ტომების შემოტევებისაგან დაეცვათ თავი, ლეგენდა ანაქრონიზმად იქცა, მაგრამ არსებობა განაგრძო, როგორც წინაპარ მესაქონლეთაგან მიღებულმა ძვირფასმა მემკვიდრეობამ.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა აღმოჩენამ ბიბლიური წარღვნის შესახებ.

ერთ მშვენიერ დღეს ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმის უბრალო მუშაკი ჯორჯ სმითი შეუდგა ნინევიიდან გამოგზავნილი და მუზეუმის სარდაფში დაწყობილი ლურსმული ფირფი-

---

[1] ადამთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ერთი სასაცილო შემთხვევა, რაც რამდენიმე წლის წინათ მოხდა შეერთებული შტატების კონგრესში. ოფიციალურ ბრიშურაში, რომელსაც „კაცობრიობის რასები" ეწოდებოდა, მხატვარს ჭიპიანი ადამი დეხატა, ამან დიდად განარისხა კონგრესმენი ჩრდილოეთ კაროლინას შტატიდან, ვინმე ჩარლზ თ. დერჰემი. მან სურათი დაგმო, როგორც მზარდი კომუნისტური პროპაგანდის გამოვლენის ფაქტი. ეს მოსაზრება მან ასეთნაირად დაასაბუთა: ადამი ღმერთმა თიხისაგან გამოძერწა, მას დედა არ ჰყოლია და როგორ შეიძლება ჭიპი ჰქონდესო. ცხარე დისკუსიის მსვლელობისას ბიბლიის თავგამოდებული დამცველი მხოლოდ მაშინ დაშოშმინდა, როცა უთხრეს — ვატიკანში, მიქელანჯელოს სურათზეც ადამი ჭიპიანადაა დახატულიო.

ტების ამოკითხვას. თავისდა გასაოცრად, იგი წააწყდა კაცობრიობის უძველეს პოემას, შუმერთა ლეგენდარული გმირის გილგამეშის გმირობასა და თავგადასავალს რომ აღწერდა.

ერთხელ კი ფირფიტების გარჩევისას სმითი ისეთ რამეს წააწყდა, რომ თვალებს არ დაუჯერა — რამდენიმე ფირფიტაზე იპოვა წარღვნაზე გავრცელებული თქმულების ფრაგმენტები, გასაოცრად რომ ჰგავდნენ ბიბლიურ ვარიანტს. სმითმა ეს ფრაგმენტები გამოაქვეყნა და დედოფალ ვიქტორიასდროინდელმა ინგლისელმა ფარისევლებმა მაშინვე ვაი-უშველებელი ატეხეს. მათთვის ბიბლია წმიდათაწმიდა, ღმერთის მიერ შთაგონებული წიგნი იყო, ამიტომ არ შეეძლოთ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ ნოეს ამბავი შუმერებისაგან ნასესხები მითია. მათი აზრით, ის, რაც სმითმა ამოიკითხა, დეტალების შემთხვევით მსგავსებაზე უფრო მეტყველებს.

ამ დავას საბოლოოდ გადაწყვეტდა იმ ფირფიტების მიკვლევა, რომლებიც პოემას შეავსებდნენ, ამ საქმეს კი სრულიადაც არ უჩანდა საიმედო პირი.

მაგრამ ჯორჯ სმითი იარაღს არ ყრიდა. იგი მესოპოტამიაში გაემგზავრა. და აი, სასწაულიც მოხდა: ნინევიის უზარმაზარ ნანგრევებში მან იპოვა თქმულების დანარჩენი ფრაგმენტებიც. ამ ფრაგმენტებმა სრულიად დაადასტურეს მისი ვარაუდი. ამას მოწმობდა ისეთი იდენტური დეტალები, როგორიც იყო: ყორნისა და მტრედის გამოშვება კიდობნიდან, აღწერა მთისა, რომელსაც კიდობანი მიადგა, წარღვნის ხანგრძლივობა და აგრეთვე თქმულების მორალი — ცოდვილი კაცობრიობის დასჯა და ღვთისმოსავი ადამიანის გადარჩენა. რა თქმა უნდა, მათ შორის განსხვავებაცაა. შუმერი ნოე უთნაფიშთიმად იწოდება, შუმერულ მითში მოქმედებს მრავალი ღმერთი, რომელთაც ყოველგვარი ადამიანური სისუსტე ახასიათებთ; ბიბლიაში კი ადამიანთა მოდგმას წარღვნას მოუვლენს იაჰვე — ქვეყნის ძლევამოსილი შემოქმედი, რომელიც წარმოსახულია მთელი თავისი სიდიადით. მითის გადაკეთება მონოთეისტურ ყაიდაზე უთუოდ უფრო გვიანდელი ამბავია; მისი საბოლოო რელიგიურ-ეთიკური გაღრმავება კი, როგორც ჩანს, ქურუმი რედაქტორების ნახელავია.

გამოცდილმა ისტორიკოსმა იცის, რომ ძალიან ხშირად ლეგენდა პოეტურად გადამუშავებული ნამდვილი ამბავია და რომ იგი ხშირად შეიცავს რაღაც ისტორიულ სიმართლეს.

ამიტომ წამოიჭრა კითხვა — ხომ არ არის თქმულება წარღვნაზე გამოძახილი დიდი ხნის წინათ მომხდარი სტიქიური კატასტროფისა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა მრავალი თაობის მეხსიერებაში. ეს საკითხი ბრწყინვალედ გადაჭრა დიდმა ინგლისელმა არქეოლოგმა ლეონარდ ვულიმ, რომელმაც ური აღმოაჩინა. მან შუმერის სახელმწიფოს კედლებთან ათასწლო-

ბით დაგროვილი ნაგვის უზარმაზარ გორაში გათხარა გვირაბი და თოთხმეტი მეტრის სიღრმეზე იპოვა შუმერის მეფეთა აკლდამები. ამ აკლდამებში, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება, იპოვეს დიდძალი განძეულობა და ადამიანთა ჩონჩხები.

ვულიმ გადაწყვიტა, აუცილებლად მიეკვლია, თუ რა იმალებოდა ამ სასაფლაოს ქვეშ. მისი მითითებით მუშებმა გათხარეს მომდევნო ფენა და წააწყდნენ მდინარის შლამს, რომელსაც ადამიანის არსებობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ნუთუ მუშებმა მიაღწიეს ნიადაგის იმდროინდელ ფენას, როცა მესოპოტამიაში ჯერ კიდევ არ სახლობდა ადამიანი? ტრიანგულაციური გაანგარიშების საფუძველზე ვულიმ დაასკვნა, რომ ყამირ მიწამდე მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია, რადგან შლამი მის გარშემო მდებარე შრეზე მაღლა იდო და თვალით ადვილად დასანახავ ბორცვს ქმნიდა. სამარხთა შემდგომ გათხრებს შესანიშნავი აღმოჩენები მოჰყვა. სამი მეტრის სისქის შლამის ქვეშ გამოჩნდა დასახლებათა ახალი კვალი: აგურები, ნაგავი, კოცონთა ფერფლი, კერამიკის ნამსხვრევები. ჭურჭლეულის ნამსხვრევთა ფორმაცა და ორნამენტიც მოწმობდა, რომ ეს ნაწარმი სულ სხვა კულტურას ეკუთვნოდა, მდინარის შლამის ზედა ფენაში აღმოჩენილი კი — სულ სხვას. შრეების განლაგება შეიძლებოდა მხოლოდ ასეთნაირად აგვეხსნა: რომელიღაც გრანდიოზულმა წყალდიდობამ გაანადგურა უხსოვარი დროის, ჩვენთვის უცნობი დასახლებანი. როცა წყალმა დაიწია, მოვიდა სხვა ხალხი და კვლავ დასახლდა მესოპოტამიაში. ახალმოსულნი იყვნენ შუმერები, რომელთაც ჩვენთვის ცნობილ მსოფლიო ცივილიზაციათა შორის ყველაზე ძველი ცივილიზაცია შექმნეს.

სამი მეტრის სისქე შლამის ფენის დასალექად საჭირო იყო ამ ადგილას წყალი მდგარიყო ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, თუ მეტი არა, რვა მეტრის სიმაღლეზე მაინც. გამოანგარიშებულია, რომ ასეთი წყალდიდობისას მთელი მესოპოტამია შეიძლებოდა გამხდარიყო აბობოქრებული ნიაღვრის მსხვერპლი. ეტყობა, იქაურობას თავს დასტყდომია ისეთი სტიქიური უბედურება, რომლის მსგავსიც იქ იშვიათად მომხდარა; მაგრამ ეს კატასტროფა მაინც ლოკალური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. წინა აზიის ხალხთა შეგნებაში კი სივრცე, რომელიც წყალმა დაფარა, მთელ სამყაროს წარმოადგენდა, მათთვის წყალდიდობა იყო მსოფლიო წარღვნა, რითაც ღმერთებმა ცოდვილი კაცობრიობა დასაჯეს. თქმულებები წარღვნის შესახებ გადადიოდა საუკუნიდან საუკუნეში, შუმერებიდან აქადელებსა და ბაბილონელებში. მესოპოტამიიდან ეს თქმულებები მოხვდა ქანაანში, სადაც ძველმა ებრაელებმა თავიანთ ყაიდაზე გადააკეთეს და ეს ვერსია ძველ აღთქმაში აღბეჭდეს.

ევფრატისა და ტიგროსის ნაპირებზე არსებულ ყველა ქალაქში აშენებდნენ უცნაური ფორმისა და უზარმაზარი სიმაღლის ნაგებობებს, რომელიც მრგვალი ან კუბური ლოდებით ამოჰყავდათ. ლოდებს ერთმანეთზე ალაგებდნენ იარუსებად, ზევით და ზევით შენობა საფეხურებიან პირამიდასავით ვიწროვდებოდა; პირამიდის ბრტყელ თავზე, ჩვეულებრივ, აგებდნენ ადგილობრივი ღვთაებისადმი მიძღვნილ პატარა ტაძარს, რომლისკენაც სამი ნაწილისაგან შემდგარი ქვის კიბე მიემართებოდა. ღვთისმსახურების დროს, გუნდის გალობისა და მუსიკალურ საკრავთა ხმების რიალში, კიბეზე ადიოდა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქურუმების პროცესია.

ზიქურათებად წოდებულ ამ პირამიდათა შორის ყველაზე ცნობილია ის, რომელიც აუგიათ ქვეყნის დიდებულ დედაქალაქში — ბაბილონში. არქეოლოგებმა გათხარეს მისი საძირკველი და კედლების ქვედა ნაწილი. ჩვენ ზუსტად ვიცით ამ პირამიდის არქიტექტურული სახე, რადგან აღწერილობასთან ერთად ფირფიტაზე ნაპოვნია მისი გამოსახულებაც. პირამიდა შედგებოდა შვიდი იარუსისაგან. მისი სიმაღლე ორმოცდაათ მეტრს აღწევდა.

წამოიჭრა კითხვა: ხომ არ იყო ბაბილონის პირამიდა ბიბლიური ბაბილონის გოდლის პირველსახე? ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ანდრე პარომ ამ პრობლემას წიგნი მიუძღვნა და მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე დაასკვნა, რომ ეს უეჭველად ასე იყო. ძნელია აქ სრულად აღვნუსხოთ პაროს საკმაოდ რთული და დაწვრილებითი არგუმენტები, მაგრამ მათგან არსებითს მაინც გაგაცნობთ. ბიბლიური თქმულების თანახმად, ადამიანები ბაბილონის გოდლის შენებას მაშინ შესდგომიან, როცა დედამიწაზე ჯერ კიდევ ერთი ენა არსებობდა. კოშკს აგებდნენ სენაარში, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი შუმერების ქვეყანასთან აიგივებს. საშენი მასალა (გამომწვარი აგური, მდინარის თიხა, რომელსაც ცემენტის მაგივრად ხმარობდნენ) ზუსტად ისეთივე იყო, როგორითაც ბაბილონის პირამიდა ააშენეს.

დაბადებაში ვკითხულობთ: „და აღვრიენეთ ენანი მათნი, რათა არა ესმოდეს კაცად-კაცადსა ენა მოყვასისა მისისა“ (დაბ. თ. 11, მ. 7). მაშ რატომღა მიაჩნდათ ებრაელებს ბაბილონის გოდოლი კაცობრიობის ამპარტავნობისა და გულზვიადობის სიმბოლოდ, რატომ ფიქრობდნენ, რომ იაჰვემ მაინცდამაინც აქ აამეტყველა სხვადასხვა ენაზე ნოეს შთამომავალნი? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ დედაქალაქის სახელწოდება „ბაბილონი“ ბაბილონურ ენაზე ნიშნავს „ღვთის კარს“ (ბაბ-ილუ), მის მსგავსად მეღერი სიტყვა „ბალალ“ კი ძველებრაულად შერევის პროცესს აღნიშნავს. ამ ორი სიტყვის ბგერითი მსგავსე-

ბის შედეგად თავისუფლად შეიძლებოდა, ბაბილონი მიეჩნიათ ენობრივი ქაოსის მსოფლიო სიმბოლოდ, მით უმეტეს, რომ იგი მრავალენოვანი ქალაქი იყო. არც ისაა გასაკვირი, რომ ებრაელები ბაბილონსა და მის პირამიდაში კადნიერებისა, ღვთის გმობისა და ცოდვის განსახიერებას ხედავდნენ. ბაბილონის მეფეებმა პირამიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მორეკილი მონებისა და სამხედრო ტყვეების შრომით ააგეს. VII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბაბილონის მეფე ნაბოფალასარი ძველი გოდლის აღდგენას შეუდგა და, სხვათა შორის, ბრძანა, კედელზე ამოეკვეთათ ასეთი ფრაზა: „მრავალი ტომის ხალხი ვაიძულე, ეშრომა ამ გოდლის აღსადგენად“.

გოდლის აღდგენაში მონაწილე მონათა შორის უთუოდ ებრაელებიც იქნებოდნენ. მათ ახსოვდათ მძიმე ტყვეობა ბაბილონში. ამ მწარე მოგონებებმა კი გამოხატულება ჰპოვეს ბაბილონის გოდოლზე შექმნილ თქმულებაში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბაბილონის გოდლის თემა ბიბლიაში კიდევ გამოჩნდება, როცა სიტყვა ჩამოვარდება ანგელოზის კიბეზე, რომელიც აბრაამის შვილიშვილს იაკობს დაესიზმრა; მაგრამ ბაბილონის ტყვეობის შემდეგ უკვე დიდი დრო იყო გასული.

ქანაანში შობილმა ახალმა თაობებმა თითქმის სრულიად დაივიწყეს ის შეურაცხყოფა, რაც ბაბილონის მეფეებმა მათ წინაპრებს მიაყენეს. მართალია, პირამიდის სახე მთლად არ გამქრალა მათი მეხსიერებიდან, მაგრამ მან სრულიად სხვაგვარი მნიშვნელობა შეიძინა: იგი იქცა კიბედ — ღმერთსა და კაცს შორის არსებული კავშირის სიმბოლოდ.

აბრაამი, ისაკი და იაკობი

აბრაამის ოჯახი ცხოვრობს ურში. თარას ჰყავდა სამი ვაჟი: არანი, აბრამი და ნაქორი. ყველაზე უფროსი არანი ადრე მოკვდა, დარჩა მხოლოდ ერთი ძე — ლოთი. აბრამმა ცოლად შეირთო სარა, რომელიც მას მამის მხრიდან დად ერგებოდა. სარა უშვილო გამოდგა. თარა ძალიან მდიდარი იყო.* ედგა საუცხოო სახლი, ჰყავდა მსახურები, მონები და ასობით ცხვარი, იყო ოქროისა და ვერცხლის მფლობელი. თარას ვაჟიშვილები მამას ესმარებოდნენ — შეთვალყურეობდნენ მსახურებს, რომლებიც ქალაქგარეთ აძოვებდნენ საქონელს.

თარამ კარგა ხანია, ხელი აიღო მომთაბარე მესაქონლის ცხოვრებაზე და ახლა ვაჭრობდა. ამრიგად, იგი იყო დარბაისელი პატრიცი ქალდეველთა ურისა, როგორც მას ბიბლია უწოდებს.

ბიბლიის ძუნწი ცნობები ამ ქალაქის შესახებ შეიძლება შევავსოთ არქეოლოგიური მონაპოვრებითა და ისტორიული მონაცემებით. ძველი შუმერის დედაქალაქს ამ დროისათვის არსებობის ათასი წელი უკვე შესრულებული ჰქონდა. მის ვიწრო, დაკლაკნილ და მოუკირწყლავ ქუჩებში ყოველთვის ირეოდა ხალხი, ისმოდა ყაყანი. ჭრელ ბრბოს გაჭირვებით არღვევდნენ საპალნიანი ვირების ქარავნები და მეფის დამცველი რაზმები. ხალხი მოწიწებით უთმობდა გზას მხოლოდ და მხოლოდ თეთრ ტილოს სამოსელში გამოწყობილ, დიდებული იერის მქონე ქურუმებს. ქალაქს თავზე დაჰყურებდა კონუსისებური პირამიდა, რომლის მწვერვალზე იდგა მთვარის ღმერთის, ნანფარ-სუენის ტაძარი. ეს იყო ერთ-ერთი პირამიდა-ზიქურათი, რომლის სახელი განთქმული იყო არა მარტო ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე, არამედ შორეულ ეგვიპტეშიც კი, სადაც უხსოვარი დროიდან აღმართულიყო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — ფარაონის პირამიდები. ურის შემოგარენი იმ ხანებში აყვავე-

ბულ ბაღს წააგავდა. დიდი და მცირე არხების ქსელი უჯრა-უჯრად ჭრიდა მიწას. ევფრატის მდორე ტალღები არხების საშუალებით მაცოცხლებელ წყალს აწვდიდა მზის სხივებზე მობიბინე ქერის ყანებსა და ბოსტნებს, ხეთისხილისა და ფინიკის წარაფებს, ხასხასა ბალახით დაფარულ მდელოებს. ყანებში მუშაობდნენ გარუჯული, ნახევრად შიშველი გლეხები და მონები. ევფრატზე გ'ხას მიიკვლევდნენ საქონლით დატვირთული მძიმე კარჭაპები. ქალაქის კარიბჭესთან და გალავანთან თავს იყრიდნენ მოგზაური ვაჭრები, მომთაბარენი, რომელთაც ხანგრძლივი მოგზაურობისაგან დაღალული საქონელი მოჰყავდათ.

თარამ ქარანში გადასახლება გადაწყვიტა. თარას მამისეული სახლი ქალაქში, ზედ ციხის გალავანთან იდგა. კირით შეთეთრებული, ორსართულიანი კოხტა აგურის სახლი სწორედ ისეთი იყო, როგორიც ქალაქ ურის თავისუფალ მოქალაქეს შეეფერებოდა. შესავალ კარს მოსდევდა პატარა წინა ოთახი, სადაც სტუმარს შეეძლო დაებანა ხელ-ფეხი. იგი გადიოდა ჰაერით სავსე, ნათელ, მოკირწყლულ ეზოში. ზევით ადიოდნენ ქვის კიბით. აქ განლაგებული იყო ცალკე ოთახები, რომლებსაც ოთხ ბოძზე დაყრდნობილი გალერეა აერთიანებდა, გალერეის დაქანებული სახურავიდან წვიმის წყალი პირდაპირ ეზოში ჩადიოდა, ეზოდან კი არხით ქუჩაში გადიოდა. კიბის უკან განლაგებული იყო: გამომწვარი თიხისაგან ნაგები საპირფარეშო, სამზარეულო, საკუჭნაო, აბანო და შენობა, რომელშიც მხევლები დოლაბით ფქვავდნენ მარცვლეულს. პირველ სართულზე იყო სამლოცველო, სადაც ფუძის ღვთაების ქანდაკება იდგა. სამლოცველოში ქვის ფილების ქვეშ თიხის კუბოებში მარხავდნენ გვარის მიცვალებულ წევრებს.

თარა უძღვებოდა მეურნეობას, იძლეოდა განკარგულებებს, ანგარიშობდა ფულს და ვაჭრობდა. ყოველდღე, დილა-საღამოს მოწიწებით სცემდა თაყვანს ფუძის ღვთაებას, დღესასწაულებზე კი მიდიოდა პირამიდასთან და მთვარის ღმერთის წინაშე მხურვალედ ლოცულობდა მაშინ, როცა დიდებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქურუმები კიბეზე ადიოდ-ჩამოდიოდნენ საყვირების წკრიალა ხმასა და გუნდის სიმღერაზე. ყველას ეგონა, რომ თარა სიკვდილამდე ასევე უზრუნველად და მშვიდად გაატარებდა თავის დღეებს, რადგან დროული კაციც იყო და არც დოულათი აკლდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თარამ გადაწყვიტა, გამოეკეტა სახლის კარი, დაეთმო ფუფუნება, სამუდამოდ მიეტოვებინა მშობლიური ქალაქი, გამგზავრებულიყო ზემო ევფრატის აუზისაკენ ევფრატის შენაკად ნარ-ბალიხ სანაპიროზე მდებარე შორეულ ქალაქ ქარანში.

ძველად პირველი მოგზაურები მომთაბარე მესაქონლეები იყვნენ, ვაჭრობაში შუაკაცობასაც ისინი ეწეოდნენ. მათ საქონელი საძოვრიდან საძოვარზე გადაპყავდათ და ხეტიალისას უვალ ადგილებამდე აღწევდნენ ხოლმე. თავდაპირველად ისინი უბრალოდ ცვლიდნენ თავის ნაწარმს — ტყავს, თხის მატყლის ქსოვილებს, ზეთს, კარაქს, რძეს, ხორცს, ისეთ საქონელზე, რომელსაც თვითონ ვერ ამზადებდნენ. დროთა განმავლობაში ისინი მიხვდნენ, რომ შეიძლება სარფა ნახო, თუკი საქონელს ერთ ქალაქში იაფად შეიძენ და მეორეში ძვირად გაყიდი. ასეთ ვაჭრობას ხელს უწყობდა მომთაბარეთა დღენიადაგ გზაში ყოფნა. ქალაქებისა და სოფლების მკვიდრი მოსახლეობა მათთან აღებ-მიცემობას ხალისით ეწეოდა.

სწორედ ამ გზით შეიძინა თარამ თავისი ქონება, შემდეგ სხვაგვარი ცხოვრება ირჩია: ხელი აიღო ხეტიალზე, დასახლდა ურში და მომთაბარე ტომებსა და მათ მუშტრებს შორის დალალობა დაიწყო. მოგზაურ ვაჭართა და მესაქონლეთაგან თარამ ბევრი რამ საინტერესო შეიტყო ქალაქ ქარანისა და მისი მიდამოების შესახებ. ქარანი მდებარეობდა იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე გაცხოველებულ სავაჭრო გზაზე. ქარავანთა მიერ გაკვალული გზა სპარსეთის ყურიდან ევფრატს მიპყვებოდა ზევითკენ, ქარანის რაიონში მკვეთრად უხვევდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გაივლიდა ორი ქალაქის — კადეშისა და დამასკოს მახლობლად, გადასერავდა ქანაანს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ და მიდიოდა ეგვიპტის საზღვრებთან. ეს იყო ძალიან გრძელი შემოსავლელი გზა. მაშ რატომღა არჩევდნენ პრაქტიკული ვაჭრები ასეული კილომეტრით მეტის გავლას, რატომ პირდაპირ ურიდან არ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ — ქანაანში? იმიტომ, რომ მათ სირიის საშინელი, უწყლო უდაბნო დახვდებოდათ წინ. მისი გადალახვა კი შეიძლებოდა მხოლოდ აქლემებით, რომლებიც იმხანად მოშინაურებული არ ჰყავდათ. აქლემები ტვირთის სახიდავად გამოიყენეს მხოლოდ XII საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ისინი მოიშინაურეს ბედუინებმა, რომლებიც იყვნენ მკვიდრნი იქამდე უცნობი და საიდუმლოებით მოცული მხრისა — შორეული არაბეთისა; ეს ქვეყანა გვიან გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე.

თარამ ალბათ იცოდა, რომ ქარანის მიწა ძალიან მოსავლიანი იყო. რომ იქ ხეხილის ბაღები, ყანები და ვრცელი მდელოები იყო გადაჭიმული; მან იცოდა, რომ იქ წყალიც ყველას სამყოფად ჰქონდა, რადგან მიწებს რწყავდა ორი მდინარე — ევფრატი და ნარ-ბალი; ამიტომ მიწათმოქმედებს ყოველთვის მშვიდად ჰქონდათ გული. თავი და თავი კი ის იყო, რომ ქარანი იმ დროს საერთაშორისო ბაზრის მაგივრობას სწევდა. აქ იდგნენ ბინად სავაჭრო ქარავნები, აქვე ცვლიდნენ მესოპოტამიიდან და

ეგვიპტიდან წამოღებულ ძვირფას საქონელს. ამრიგად, თარას შეეძლო ქარანში სარფიანად ევაჭრა, თან არც მესაქონლეობაზე — წინაპართა ტრადიციულ საქმეზე — მოუხდებოდა ხელის აღება.

ამასობაში ურში ვითარება გართულდა. ბაბილონის ძლევამოსილი მეფე და დიდი სჯულმდებელი ხამურაბი ცდილობდა დაპყრობილი ხალხებისათვის ძალით მოეხვია თავზე საერთო სახელმწიფოებრივი სარწმუნოება. ამ მიზნით იგი თავისი ტომის ღმერთს მარდუქს ადიდებდა და მესოპოტამიის სხვა ღმერთებზე მაღლა აყენებდა. ურნ ქალაქებს ცეცხლითა და მახვილით იპყრობდა და მოსახლეობას მონებად აქცევდა. მთვარის ღმერთის თაყვანისმცემლებს, მათ შორის თარასაც, მეტი გზა აღარ ჰქონდათ, უნდა გადასახლებულიყვნენ იქ, სადაც მათ ვერ მისწვდებოდათ გვირგვინოსანი მტარვალის ხელი.

ამრიგად, ქარანში ემიგრანტთა მრავალრიცხოვანი კოლონია შეიკრიბა. მათ აქ ააგეს დიდებული ტაძარი და ქარანი, ურის შემდეგ, ღვთაება სუენის კულტის მეორე ცენტრად იქცა. შორეულ ერთმორწმუნეთა შორის თარას მრავალი ნაცნობი, მეგობარი და ახლო ნათესავი ეგულებოდა და რა გასაკვირია, რომ მას გული ახალი და უცნობი მხრისაკენ მიუწევდა.

თარა, ნაქორი და აბრამი ახალ სამშობლოში.*

თარას ოჯახს არც ქარანში დაჰკლებია ქონება და დოვლათი. ოჯახის უფროსმა თავის ძველ ხელობას, ვაჭრობას, მიჰყო ხელი, ვაჟიშვილებს კი საქონელს ამწყემსინებდა. ეს გასაოცრად ლამაზი ადგილები ბარაქიანი გამოდგა. ჰატარა ქალაქი მწვანით დაფარულ გორაკებს შუა იყო გაშენებული. თეთრად შეფენილ გუმბათიან სახლებს მზეზე თვალისმომჭრელად გაჰქონდა ქათქათი. დღედაღამე არ წყდებოდა ცივი წყაროების ჩუხჩუხის ხმა. მდელოები და მთათა ფერდობები ყვავილებს დაეფარა. დასავლეთით, მზიანი ცის ქვეშ, მოჩანდა მთიანი ქედი — ანტიტავროსი.

აბრამი თავის ფარას უვლიდა და მწყემსებთან ერთად ხშირად ათევდა ღამეს ცეცხლის პირას. საოცრად გრილი, წყნარი ღამეები საოცნებოდ განაწყობდა ადამიანს. აბრამი საათობით შეჰყურებდა ვარსკვლავებს, აკვირდებოდა მათ მოძრაობას შავი ჩარდახის მაგვარ ცისკიდურზე და უფრო და უფრო ღრმად სწვდებოდა სამყაროს უსაზღვროებას, მის დიდებულებას, სილამაზესა და ჰარმონიას. გული უშფოთავდა: მთვარის ღმერთის რწმენა თანდათან ეკარგებოდა. და აი, ერთხელ მას გაუჩნდა ასეთი აზრი: სამყაროს, მზის, მთვარის, ვარსკვლავების შემქმნელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთადერთი ღმერთი* —

უძლეველი, ყველგან არსებული, უხილავი, მოწყალე, მაგრამ განრისხებისას ულმობელიც. აბრამი არ მალავდა თავის ახალ რწმენას და აშკარად ქადაგებდა მას ქალაქში.

რელიგიის რეფორმატორმა გარშემო შემოიკრიბა ერთი მუჭა მისთვის თავდადებული ხალხი. ახალი ღვთაების თაყვანისმცემელი გახდნენ აბრამის მეუღლე სარა, ძმისწული ლოთი და მსახურნი, რომელთაც აბრამი მუდამ კეთილად ეკიდებოდა. ქარანის მცხოვრებლებმა, ღვთაება სუენის ერთგულმა თაყვანისმცემლებმა გული აიყარეს განდგომილ აბრამზე. ახალი სარწმუნოების მიმდევართა პატარა კომუნამ, რომელიც მტრულ გარემოცვაში მოხვდა, განცალკევებით იწყო ცხოვრება.

სექტანტების მკაცრი, პურიტანული ზნეობრივი კოდექსი, წინაპარ მომთაბარეთა უბრალო ცხოვრებისაკენ შებრუნება, რომელიღაც უცნობი, მიუწვდომელი ღმერთისთვის მსხვერპლის შეწირვა, ღვთაება სუენის თაყვანისმცემელთა გაკიცხვასა და რისხვას იწვევდა. თარამ და ნაქორმაც კი საყვედურებით აავსეს აბრამი. განსაკუთრებით იმიტომ აითვალისწუნეს, რომ აბრამმა თავისი უწმინდური მკრეხელობით ახალგაზრდა ლოთიც შეაცდინა. მაგრამ აღმოსავლეთის ხალხებს ნათესაობა ადვილად არ ეთმობა, ამიტომ თარას სიცოცხლეში ოჯახში არაფერი შეცვლილა. ყველა ძველებურად შრომობდა, ერთმანეთს ეწეოდა და ოჯახშიც სიმშვიდე და თანხმობა სუფევდა.

მაგრამ გავიდა დრო და თარა წუთისოფელს გამოეთხოვა. გადმოცემის თანახმად, იგი იმხანად ორას ხუთი წლის იყო. აბრამმა და ნაქორმა თანაბრად გაინაწილეს მამისეული დიდი ქონება და ოჯახები გაიყარნენ. ამიერიდან აბრამს არაფერი აკავშირებდა ქალაქთან, სადაც მას ამღენი შეურაცხყოფა და დამცირება ხვდა წილად. სამოცდამეთხუთმეტე წელში გადამდგარმა კაცმა მაინც ვერ ამოიგდო გულიდან წინაპართა მომთაბარე ცხოვრება, ენატრებოდა გაშლილი სივრცეები, თსის მატყლის შავი კარვები, თავისუფლების ლაღი გრძნობა. გული იქით მიუწევდა, სადაც თავის ნებაზე ილოცავდა საყვარელ ღმერთს და ქვის საკურთხეველზე შესწირავდა მსხვერპლს; ხელშეუშლელად უქადაგებდა თავისიანებს ზნეობრივ სიწმინდეს და დაიცავდა ქალაქური ცხოვრების ცდუნებისაგან.

გზა ქანაანისაკენ. და აი, ერთხელ აბრამმა ბრძანა — გზას გავუდგეთო და გეზი ქანაანისაკენ აიღო. მას გაეგონა, რომ ეს მხარე ნაკლებად იყო დასახლებული, იქაური საძოვრების ქებასაც მიეღწია მის ყურამდე. ისიც იცოდა, რომ ქანაანში შეიძლებოდა აღებ-მიცემობის დაწყება, რადგან ეგვიპტისაკენ მიმავალ ვაჭართა ქარაენებს გზად მთელი ეს ქვეყანა უნდა გაევ-

ლოთ. ქანაანისაკენ უკვე არა ერთი და ორი მესაქონლე სემიტური ტომი გამგზავრებულიყო უკეთესი ცხოვრების საძებრად. ტიგროსისა და ევფრატის ქვეყნებში სივიწროვე იყო; მოსახლეობა მომრავლდა, ხალხს სიცოცხლეს უწამლავდა განუწყვეტელი ომები, გადასახადების ზრდა და ადმინისტრაციის თვითნებობა. მესაქონლეები და ვაჭრები ნიადაგ ქანაანის ამბებს ჰყვებოდნენ. გასაკვირი არაა, რომ ეს შორეული მხარე აბრამს აღთქმული ქვეყანა ეგონა.

ქარანიდან გამოსულ ქარავანს ეტყობოდა, რომ მისი პატრონი შეძლებული კაცი უნდა ყოფილიყო. მას წინ მიუძღოდნენ ფეხმაგარ, ღონიერ ვირებზე ამსედრებული აბრამი, სარა და ლოთი, მათ მიჰყვებოდა სურსათით, წყლით სავსე რუმბებით, კარვებით, ტანსაცმლითა და ჭურჭლეულობით დატვირთული ასობით სახედარი, უკან კი მწყემსები მიერეკებოდნენ ცხვრისა და თხის ფარას. ბოლოს მიდიოდა მშვილდებითა და შურდულებით შეიარაღებული სამასი მონა — აბრამის პირადი გვარდია. იმხანად გზები სახიფათო იყო. უდაბნოში მიმავალ ქარავანს შეიძლებოდა თავს ყაჩაღები დასხმოდნენ. ამიტომ ვერც ერთი ვაჭარი თუ ტომის შეიხი ვერ ბედავდა მგზავრობას, თუ შეიარაღებული რაზმი არ ახლდა.

ქანაანამდე ათას კილომეტრზე მეტი ჰქონდათ გასავლელი, მაგრამ მგზავრებს არ მოუწყენიათ. გზაზე გაცხოველებული მისვლა-მოსვლა იყო. აბრამსა და მის ამალას ხშირად ხვდებოდა ეგვიპტიდან მომავალი ქარავანი. გრძელწვერა ვაჭრები ბევრ საინტერესო ამბავს უყვებოდნენ მათ ქანაანსა და ფარაონთა დიდ სამეფოზე. აბრამის ქარავანს გზად მრავალი სოფელი და ქალაქი შეხვდა. ერთხელ კი მან დიდ ქალაქს კაღეშს ჩაუარა.

ბოლოს, გავიდა კიდევ მრავალი კვირა და მგზავრები განთქმული დამასკოს გამოჩენამ გაახარა. აბრამმა გადაწყვიტა, აქ შეჩერებულიყო, მგზავრობით გალახული ხალხი და საქონელი შეესვენებინა. ბრძანა, გაეშალათ კარვები ქალაქის კარიბჭესთან, მინდორში, თვითონ კი საჩუქრებით დატვირთული გაეშურა ადგილობრივ მთავართან შეწყნარებისა და თავშესაფრის სათხოვნელად. დამასკოს მცხოვრებნი მოაწყდნენ აბრამის ამალის დასათვალიერებლად. სწორედ რომ უცნაური სანახაობა იყო: შავ კარვებთან ფუსფუსებდნენ ქალები და მამაკაცები, დარბოდნენ ბავშვები. ამ ხალხის ტანსაცმელი ოდნავაც არ ჰგავდა ახლო მდებარე უდაბნოში მცხოვრები ბედუინების თეთრ მოსასხამებს. მამაკაცებს წელს ქვემოთ ეცვათ ლურჯზოლებიანი წითელი გაშლილი სამოსელი. ცივ დღეებში ისინი შიშველ სხეულზე მოკლესახელოებიან პერანგს იცვამდნენ, ზემოდან მოხურული ჰქონდათ ჭრელი მოსასხამი, რომელიც ღამღამობით

საბნის მაგივრობასაც სწევდა. ქალების საყვარელი ფერი იყო მწვანე; სწორედ ეს ფერი ჭარბობდა მათ ტანსაცმელში. გრძელი წამოსასხამების შიგნით ქალებს ეცვათ მჭახე ფერის მოკლესახელოებიანი პერანგები, თავზე ხალმის მსგავსად შემოეკრათ გრძელი ჭრელი შალები, რომლის ბოლოები უკან ეშვებოდა ზურგზე, წამოსასხამის ქობამდე. კეკლუცობის მოყვარულ მანდილოსნებს სამკაულიც ბლომად აესხათ. თმას იშავებდნენ ხურმით, ქუთუთოებს ძალაქიტითა და ფირუზის ფხვნილით იღებავდნენ, ტუჩებსა და ღაწვებზე კი წითელი ჟანგშიწა ჰქონდათ წასმული. ხელებსა და ფეხებზე ვერცხლის სამაჯურები უბრწყინავდათ, ყელს მრავალფერი მძივების ყელსაბამები უმშვენებდათ. შორეული ქარანიდან აყრილები ხალამო ხანს კოცონს შემოუსხდებოდნენ ხოლმე და პატარა ქნარების ხმაზე მღეროდნენ გულში ჩამწვდომ ნაღვლიან სიმღერებს. დედები ბავშვებს ნანას უმღეროდნენ და ტკბილად აძინებდნენ.

აბრამი ქალაქში დაძრწოდა, ყიდულობდა შემღებომი მგზავრობისათვის საჭირო საქონელს, ეფაჭრებოდა ყველას და თან აუარება ხალხს ეცნობოდა. ხეტიალში ერთხელ გადაეყარა დამასკოს ახალგაზრდა მკვიდრს, გაქნილსა და გამჭრიახ ელიაზარს, რომელმაც ბევრჯერ გაუმართა აბრამს ხელი. აბრამმა იგი იშვილა, თან წაიყვანა და თავის მეურნეობაში ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო სამუშაო მიანდო.

ალთქმულ ქვეყანაში. დამასკოდან გამგზავრების დროც დადგა. აბრამის მხლებლები სინანულით ეთხოვებოდნენ ქალაქს, რადგან დამასკოს სმაურიან ბაზრებსა და ხალხის მხიარულ ჟრიამულს კარგად შეეწყვნენ. აბრამის მხლებლები მთელი დღეების განმავლობაში დაეხეტებოდნენ ქალაქში და დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ შორეული ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელს. დამასკოს მიდამოებიც ერთობ მოსდიოდათ თვალში. ირგვლივ მდელოები და სასნავი მინდვრები გადაშლილიყო. გორაკების რბილ ფერდობებს ბაღები და ზეთისხილის ხეები ფარავდა. ნუშისა და გარგარის ტოტები ნაყოფის სიმძიმისაგან იზნიქებოდნენ.

აბრამმა ყური არ ათხოვა შინაურთა ბუზღუნს და ბრძანა, გზას გასდგომოდნენ. გრძლად გაჭიმულმა ქარავანმა სამხრეთისაკენ იბრუნა პირი. დატვირთული ვირები ნელა მიდიოდნენ, საქონელი საცოდავად მიბღაოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბოგზაურები მთებს მიადგნენ და მაღლა-მაღლა შეაყვნენ გზას. სირიისა და ქანაანის საზღვრებთან მათ თვალწინ გადაიშალა საოცარი სანახაობა — მარცხნივ უკიდეგანო უდაბნო სირიისა,

მარჯვნივ ერმონი — უზარმაზარი მთის მასივი, სადაც სათავეს იღებდა მდინარე იორდანე.

ქანაანი ჯერ კიდევ ნახევრად ველური და თითქმის უკაცრიელი მხარე იყო. ხეობებში, სადაც ნიადაგები მოსავლიანი იყო, აქა-იქ მოჩანდა დასახლებული პუნქტები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ციხესიმაგრეები, რომლებშიც ადგილობრივი გამგებლები და მათი შეიარაღებული რაზმები ცხოვრობდნენ. დანარჩენი მოსახლეობა ცხოვრობდა ციხესიმაგრის გარეთ, ქოხებსა და კარვებში. ისინი ამუშავებდნენ ყანებსა და ვენახებს. ხალხი ციხესიმაგრეს თავს აფარებდა მხოლოდ საშიშროების ჟამს, როცა მათ ესხმოდნენ მეომარი ტომები, ალაფის საშოვნელად რომ დაწანწალებდნენ ქანაანის მიწაზე.

აბრამი გვერდს უვლიდა ხეობებს, დიდ დასახლებებს და უფრო უდაბნოს მაღლობებისაკენ ეჭირა თვალი, რადგან აქ შეეძლო თავისუფლად ეძოვებინა თავისი პირუტყვი. მას არავინ უშლიდა ხელს. ადგილობრივი მცხოვრებლები შეჩვეული იყვნენ ნომადთა ქარავნებს, რომლებიც ქანაანის მიდამოებში დაძრწოდნენ და საძოვრებს ეძებდნენ. ქანაანელები დარწმუნდნენ, რომ მოგზაურებს ბოროტი განზრახვა არ ჰქონდათ და მათთან ვაჭრობას შეუდგნენ. გარდა ამისა, მზვერავებმა ქანაანელებს აცნობეს, აბრამს სამასი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი ჰყავსო. ამიტომ ადგილობრივი მცხოვრებლები დავასა და უთანხმოებას აერიდნენ.

მოგზაურები ცოტა ხნით შეჩერდნენ სიქემში, შემდეგ კი ბეთელის მახლობლად გაშალეს კარვები. აისა და ბეთელს შუა მდებარე მთაზე აბრამმა საკურთხეველი ააგო და ღმერთს მსხვერპლს სწირავდა მფარველობისათვის მადლობის ნიშნად. მაგრამ მალე აქაურმა საძოვრებმა აღარ იკმარა და ქარავანს ადგილიდან აყრა მოუხდა. ასეთია მესაქონლეების ხვედრი. აბრამი საძოვრიდან საძოვარზე გადადიოდა, მოიარა ქებრონი და ბერშება. და ბოლოს გადავიდა ქანაანის სამხრეთ ნაწილში — ნეგებში, რომელიც ეგვიპტეს ესაზღვრებოდა.

მოგზაური ვაჭრების ნაქებმა ქანაანის ქვეყანამ აბრამს იმედი გაუცრუა. მაღლობებზე, სადაც აბრამი თავისუფლად გრძნობდა თავს, საძოვრები მწირი იყო, ხეები კი იმდენად ცოტა, რომ გასათბობად და საჭმლის დასამზადებლადაც ჭირდა შეშის შოვნა. წყალსაც კი შორიდან ეზიდებოდნენ. ყველა ამ უბედურებას ემატებოდა ისიც, რომ ქანაანში გვალვები ხშირად იცოდა. თვითონ აბრამს გვალვამ ნეგებში მოუსწრო. საძოვრები ერთიანად გადაიხრუკა. ადამიანებსა და საქონელს შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა. სასოწარკვეთილი აბრამი ეგვიპტის საზღვარს მიადგა და ფარაონის მოხელეებს თავშესაფარი სთხოვა.

როგორ გახდა სარა ფარაონის ცოლი. ეგვიპტელები შეჩვეულნი იყვნენ ასეთ სტუმრებს. გვალვისაგან შეწუხებული მესაქონლე ტომები ხშირად მიაკითხავდნენ ხოლმე ეგვიპტეს. ჩვეულებრივ, მათ სთავაზობდნენ ვრცელ, უვალ საძოვრებს ნილოსის შესართავში. მოთარეშე ტომები საზღვარზე აწყდებოდნენ მთავრის კედლად წოდებულ ციხესიმაგრის სანგრებს, საგუშაგო კოშკებსა და ფხიზელ დაცვას. მშვიდობისმოყვარე მესაქონლეებს კი ეგვიპტელები, ჩვეულებრივ, კეთილ მასპინძლებად ხვდებოდნენ. რა თქმა უნდა, ფარაონის მოხელეები ამისათვის გარკვეულ სასყიდელს იღებდნენ. ზოგჯერ მოგზაურებს ლამაზ გოგონებსაც ართმევდნენ და გზავნიდნენ დიდებულთა ან თვით ფარაონის ჰარამხანებში. აბრამმა ეს იცოდა. ეგვიპტის საზღვარს რომ მიუახლოვდა, იხმო მეუღლე სარა და უთხრა: „ვიცი, რამეთუ დედაკაცი პირმშვენიერი ხარ. ოდეს გიხილონ ეგვიპტელთა, თქვან: ცოლი მისი არს იგი, და მომკლან, ხოლო შენ კეთილად შეგიწყნარონ. თქვი ესრეთ: და ვარ მისი, რათა კეთილი მეყოს შენ გამო და ცხოველ იყოს სული ჩემი“. სარა გამგონე მეუღლე იყო. ქმრის გადასარჩენად იეშმაკა და თავი მის დად გაასაღა. ეს მთლად სიცრუე როდი იყო. სარა დად ეკუთვნოდა აბრამს მამის მხრიდან. დიდებულებმა ფარაონს ამცნეს სარას სილამაზის ამბავი და მან სარა თავის ჰარამხანაში წაიყვანა. ფარაონს ძალიან შეუყვარდა ქალი და სარას ცრუ ძმა აბრამი უხვი საჩუქრებით აავსო. მალე აბრამს ჰყავდა „ძროხა და ცხვარი, ვირები, მონები, მხეელები, ჯორები და აქლემები“.

მაგრამ მოულოდნელად ეგვიპტეს თავს ტანჯვა და განსაცდელი დაატყდა. ფარაონმა ღმერთების განრისხების მიზეზი მოიძია და სიმართლე გაიგო კიდეც. ტომის ბელადის ცოლი ჰარამხანაში რომ წაიყვანა, ამით ებრაელთა ღმერთი შეურაცხყო. იხმო აბრამი და უსაყვედურა: „ესე რა ჰქმენ? რად არა მითხარ მე, ვითარმედ ცოლი შენი არს?“ აბრამმა, რაც გაეწყო, იმართლა თავი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა — ამ ტყუილით მან დიდი უპატიობა მიაყენა მონარქს. მაგრამ უცხო ღმერთის კვლავ განრისხების შიშისა თუ სარას მომეტებული სიყვარულის გამო, მან აბრამს შეურაცხყოფა აპატია. ის კი არა და ეგვიპტიდან გაუშვა და მთელი ავლა-დიდებაც თან გაატანა. აბრამი, სარა და ლოთი ქანაანს დაუბრუნდნენ, ახლა ოჯახი გაცილებით მდიდარი იყო, ვიდრე ეგვიპტეში მოსვლამდე.

ლოთის საშინელი თავგადასავალი. აბრამი დაბრუნდა ბეთელს, სადაც მან ოდესღაც თავის ღმერთს საკურთხეველი აუგო. მისი ძმისწული ლოთი ოჯახს მოეკიდა და დამოუკიდებლად შეუდგა საქონლის მოშენებას.

აბრამისა და ლოთის საქონელი თანდათან მრავლდებოდა. მალე დასატევი ადგილიც აღარსად იყო. აბრამისა და ლოთის მწყემსები დღენიადაგ კინკლაობდნენ საძოვრების გამო. აბრამს გული გაუწვრილა ჩხუბმა და აყალმაყალმა, უხმო ლოთს და უთხრა: „ნუ იყოფინ ლალვა შორის ჩემსა და შენსა, მწყემსთა ჩემთა და მწყემსთა შენთა, რამეთუ კაცნი ძმანი ვართ ჩვენ. ანუ არა ქვეყანა წინაშე შენსა არს? განეშორე ჩემგან. ანუ შენ მარცხენით და მე მარჯვენით, ანუ შენ მარჯვენით და მე მარცხენით“.

აბრამმა დიდსულოვნება გამოიჩინა და არჩევანი ლოთზე მიაგდო. მანაც მაშინვე გამოიყენა თავისი უფლება. ლოთს მოეწონა მკვდარი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ურიცხვი საძოვრებით განთქმული ხეობა და დასახლდა სოდომში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქის მკვიდრთ სახელი ცოტა არ იყოს გატეხილი ჰქონდათ თავისი უკეთური საქციელის გამო.

აბრამი დაბანაკდა მამბრეს ხეობაში, ქებრონის ახლოს. აქ მან მუხნარის ჩრდილში გაშალა კარვები და ღმერთს ახალი სამსხვერპლო აუგო. ერთხელ მასთან მოვარდა მაცნე და საშინელი ამბავი აუწყა. მკვდარი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე მწვანე ხეობაში, სადაც ლოთს ჰქონდა ბინა, სოდომისა და გომორის გარდა კიდევ სამი ქალაქი იყო. ამ ქალაქთა გამგებლები ეშორჩილებოდნენ ელამის მეფეს. თორმეტ წელს ისინი უდრტვინველად უხდიდნენ ხარკს თავის მბრძანებლებს, მეცამეტე წელს კი აუჯანყდნენ. ელამის მეფემ ევფრატზე სამი მოკავშირე მეფე გამონახა და მათთან ერთად სასტიკად დაამარცხა აჯანყებულნი. სოდომისა და გომორის გამგებლები ბრძოლაში დაიღუპნენ, დაჩარჩენებმა მთას შეაფარეს თავი. გამარჯვებულნი ალაფითა და ურიცხვი ტყვეებით დაბრუნდნენ სამშობლოში. ხსენებთან ერთად წაეყვანათ ლოთი მთელი ოჯახით. მისი ქონებაც თან წაეღოთ. აბრამი მაშინვე გადავარდა ძმისწულის გამოსახსნელად.

მან არად ჩააგდო მტრის რიცხვობრივი უპირატესობა, სათავეში ჩაუდგა სამას თვრამეტი შეიარაღებული მსახურისა და დაახლოებული მეზობლებისაგან შემდგარ რაზმს და დაედევნა მტრებს.

შესოპოტამიის მეფეთა ჯარები დაბანაკდნენ ქანაანის ჩრდილოეთ საზღვართან, დანის მიდამოებში. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებისაგან შემდგარი რაზმები უწესრიგოდ ირეოდნენ და უდარდელად ატარებდნენ დროს. გამარჯვებითა და ნაალაფარი ღვინით გაბრუებული ჯარისკაცები დასაძინებლად დაეყარნენ ისე, რომ ღამის გუშაგი არ დაუყენებიათ. აბრამმა თავისი მებრძოლები პატარ-პატარა რაზმებად დაყო, ბანაკს სხვადასხვა მხრიდან მოულოდნელად დაესხა და ისეთი პანიკა

გამოიწვია, რომ ყველა თავქუდმოგლეჯილი გაიქცა აბრამმა დამასკოს საზღვრებამდე სდია მტერს და გამარჯვებული დაბრუნდა ქანაანში; წამოიყვანა ლოთი და სხვა განთავისუფლებული ტყვეები და დაუბრუნა მათ მტრის მიერ მიტაცებული ქონება.

სოდომის ახალი მეფე და დანარჩენი ოთხი ქალაქის მეფეები აბრამს ისე შეხვდნენ, როგორც მხსნელს. მას პურ-ღვინით გამოეგება აგრეთვე სალემის[1] მეფე მელქისედეკი. მელქისედეკმა, რომელიც იაჰვეს ქურუმთმთავარიც იყო და იაჰვეს ისევე სცემდა თაყვანს, როგორც აბრამი, გამარჯვებული დალოცა მაღალი ღმერთის სახელით.

აბრამმა ნადავლის მეათედი ნაწილი შესწირა ღმერთს და, როცა სოდომის მეფემ სთხოვა, მთელი ნადავლი შენ გქონდეს, ოღონდ ხალხი დამიბრუნეო, აბრამმა ამპყად უპასუხა: „აღვიპყრნე ხელნი ღმერთისა მიმართ მაღლისა, რომელმან შექმნნა ცანი და ქვეყანა; არცა მკედი და ხამლისა შესასხმელი მივიღო ყოველისაგან, რომელ არს შენი, რათა არა სთქვა: მე განვამდიდრე აბრამი". ოღონდ აბრამმა მოითხოვა, რომ ნადაელის ნაწილი გადასცემოდა მეგობარი ტომების ბელადებს ანერს, ეშქოლსა და მამრეს, რომლებიც მის მხარდამხარ იბრძოდნენ.

აბრაამი შთამომავლობისათვის ზრუნავს*. აბრამს განუწყვეტლივ უღრღნიდა გულს ერთი ეჭვი: სიზმარში გაგონილი ჰქონდა ღვთის ხმა, რომელიც არწმუნებდა, ქანაანის მიწას შენს შთამომავლობას მიეცემ სამკვიდრებლადო. აბრამს კი ძე არ ჰყავდა. გამოდიოდა, რომ მისი ეროვანდერთი მემკვიდრე დამასკოელი ელიაზარი უნდა ყოფილიყო. მართალია, აბრამმა იშვილა იგი, მაგრამ ელიაზარი მაინც მსახური და სხვა სისხლის კაცი იყო. უშვილო სარამ ქმრის ტანჯვა რომ იხილა, შეიბრალა იგი და გადაწყვიტა, წინაპართა უძველესი ადათის მისედვით მოქცეულიყო. ამ წესით, უშვილო ქალს შეეძლო ქმრისთვის ხარჭი მოეყვანა. ასეთი კავშირის შედეგად დაბადებული შვილი ითვლებოდა კანონიერ მემკვიდრედ და პირმშოს უფლებებიც ჰქონდა. სარამ ეგვიპტელი მხევალი აგარი აირჩია. და მართლაც, აბრამის გულის გასახარად, აგარი დაორსულდა; მაგრამ ოჯახში მალე დაიწყო არეულობა. ეგვიპტელი მხევალი მომეტებულად ამაყობდა და თანდათან უფრო თავგასულად იქცეოდა. სარას შური ტანჯავდა და თავის ოჯახურ მდგომარეობაზე ფიქრი არ ასვენებდა. იგი აბრამს ეცა და საყვედურით

---

[1] ვარაუდობენ, რომ სალემი არის იერუსალემი, რომელიც შემდგომში ისრაელის დედაქალაქი გახდა.

აავსო — ყველაფერი შენი ბრალიაო. აბრამმა ამოიოხრა, ქალების კინკლაობაში ჩარევა არ უნდოდა და უთხრა: „აჰა, მხევალი შენი ხელთა შენთა შინა არს. უყავ მას, ვითარცა გსურს“, იგი არ მოელოდა, რომ სარა აგარს კინწისკვრით გააგდებდა სახლიდან.

ცრემლმორეული აგარი სახლიდან წავიდა, უგზოუკელოდ დაეხეტებოდა უდაბნოში, თავშესაფარს ვერსად მიაგნო და ღია ცის ქვეშ, ჭასთან, მიეძინა. მას აქ ანგელოზი გამოეცხადა და ჰკითხა: „აგარ, მხევალო სარაისო, ვინაით მოხვალ და სადა წარხვალ?“ აგარმა მიუგო: „ვივლტი პირისაგან სარაისა, დედოფლისა ჩემისა“. ანგელოზმა უბრძანა: „უკუ მიიქეც დედოფლისა შენისა და მორჩილ იყავ მისა!“ აგარს მოსწყინდა ხეტიალი, შეისმინა ანგელოზის რჩევა, შინისაკენ გაეშურა და ქალბატონს მორჩილება აღუთქვა. მალე მას შეეძინა ძე, რომელსაც ისმაელი დაარქვეს.

აბრაამი აბრაამად იქცა. გავიდა ცამეტი წელი. აბრამს უკვე ოთხმოცდაცხრამეტი წელი შეუსრულდა. მისი ვაჟი ისმაელი წამოიზარდა. იგი თავნება და ურჩი ჭაბუკი იყო. ერთხელ ღმერთმა აბრამს უბრძანა — შენი ხელქვეითები ერთ ერად, ერთი რელიგიური რწმენის საზოგადოებად შეაერთეო. ამასთან დაკავშირებით ღმერთმა ბრძანა, რომ ყველა მამაკაცსა და ყველა ბავშვს, როგორც მონას, ასევე აზატს, ღმერთთან კავშირის დამყარების აღსანიშნავად წინა უნდა დაეცვითა. ღმერთმა დააწესა წინადაცვეთა, როგორც სამუდამო წესი მამრობითი სქესის ყველა ბავშვისათვის. იგი უნდა შესრულებულიყო ბავშვის დაბადებიდან მერვე დღეს. ვინც წინადაცვეთაზე უარს იტყოდა, ტომის წევრად არ ჩაითვლებოდა.

აბრამს ოდესღაც სახელი დაარქვეს მრავალრიცხოვან მესოპოტამიელ ღმერთთაგან ერთ-ერთის პატივსაცემად. ახლა კი გადაწყვიტა, თავისი წარმართული წარსული უარეყო. ამ მიზნით მან სახელი შეიცვალა და დაირქვა აბრაამი, რაც „ხალხთა მამას“ ნიშნავს. ამავე დროს აბრაამმა თავის ცოლს სარას სარრა უწოდა; ახალი სახელი შეესაბამებოდა ასეთ მიმართვას: „თქვენო უმაღლესობავ“. სახელის გამოცვლას აბრამისთვის უნდა მიეხიჭებინა მთავრის პატივი, მეზობელ მეფეთა ოდენი უფლებები და თავისი ტომის ხალხზე მაღლა უნდა დაეყენებინა იგი.

სამი უცნობი სტუმრის მოსვლა. აბრაამმა დიდი პატივი მიანიჭა თავის თავს, მაგრამ ისევ კარავში ცხოვრობდა

ძველებურად, ისევ სადა მოქცევა შერჩა და ხელქვეითებს ისევ კეთილ და სამართლიან მამასავით ეპყრობოდა.

ერთხელ მუშაობით დაღლილი აბრაამი კარვის წინ იჯდა. სიცხისაგან მოთენთილს მუხნარის შრიალსა და ფუტკრის ზუზუნში ჩასთვლიმა. უეცრად ფეხის ხმა შეეოესმა, გამოფხიზლდა და თავის წინ სამი უცნობი მგზავრი დაინახა. სტუმართმოყვარეობის წესისამებრ, აბრაამი მიესალმა მათ და კარავში შეიპატიჟა. ბრძანა, სტუმრებისთვის დასაბანად წყალი მიერთმიათ. თვითონ სარრასთან მივიდა და უთხრა: „ისწრაფე და შეზილე სამი საწყაული სამინდო და ქმენ ყურბეული". მერე დაკლა ჩვილი ხბო და ბრძანა, შეეწვათ. კარვის წინ გაშლილ ტილოზე მხევალმა ქალებმა დააწყვეს რძით სავსე ჭურჭლები, ერბოთი, პურითა და ხორცით სავსე სინები. აბრაამმა სტუმრები სუფრაზე მიიხმო. თვითონ კი პატივისცემის ნიშნად, მათთან არ დამჯდარა, გვერდით დაუდგა და სტუმრებს სასმელ-საჭმელს სთავაზობდა.

დაპურებულმა სტუმრებმა იკითხეს: „სადა არს ცოლი შენი სარრა?" „აჰა, ეგერა კარავსა შინა არს", — მიუგო აბრაამმა. მოგზაურთაგან ერთ-ერთმა, ყველაზე დარბაისელმა, თქვა, სარრას ვაჟი შეეძინებაო. სარრამ კარავში გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ, რადგან ძალიან ხნიერი იყო, წინასწარმეტყველება არ დაიჯერა. მან სიცილი ვერ შეიკავა, როცა გაიფიქრა: „ნუუკვე მომეცეს შვება ჟამსა სიბერისასა? და უფალი ჩემი მოხუც არს". უცნობმა სტუმარმა გაიგონა სარრას სიცილი და საყვედურის კილოთი იკითხა: „რად განიცინა სარრა და თქუა: ნუუკვე ეშვა, რამეთუ მე დავბერდი? ნუუკვე ძნელ არს ღმრთისათვის ესე?" შეცბუნებული სარრა უარზე დადგა — მე არ ვყოფილვარო, მაგრამ სტუმარმა დაიჟინა — „არა, იცინოდი შენ".

მალე მგზავრები წამოდგნენ და სოდომისაკენ გასწიეს. აბრაამმა ისინი ცოტაზე გააცილა და მერეღა მიხვდა, რომ სტუმრად სწვეოდნენ იაჰვე და ორი ანგელოზი. მან ისიც გაიგო, რომ ღმერთი მიდიოდა სოდომსა და გომორში, რათა იქაურები უღმერთოებისათვის დაესაჯა. ღვთის განზრახვა აბრაამმა უსამართლოდ მიიჩნია და ღმერთს შეეკითხა — თუ სოდომში ორმოცდაათი მართალი აღმოჩნდება, სამართლიანი იქნება თუ არა მათი დასჯა ცოდვილებთან ერთად? ღმერთმა მიუგო — დავინდობ ქალაქს, თუკი იქ ორმოცდაათი მართალი იქნებაო. ამ პასუხმა აბრაამს გული ვერ შეუჯერა, მოწიწებით თაყვანი სცა ღმერთს, არწმუნა, შენს წინაშე მიწა და ნაცარი ვარო და კვლავ იკითხა — დააქცევ თუ არა ქალაქს, თუ შიგ მხოლოდ ორმოცდახუთი უმწიკვლო ადამიანი აღმოჩნდებაო? „არ გავანადგურებ", — მიუგო ღმერთმა. აბრაამი არც ამას დასჯერდა და კიდევ მიაყარა ღმერთს კითხვები. უნდოდა გაეგო, ააოხრებდა თუ არა იაჰვე

ქალაქს, ორმოცი, ოცდაათი ან თუნდაც ოცი ალალმართალი ადამიანი რომ ენახა შიგ, ღმერთი ყოველ შეკითხვაზე მოთმინებით აძლევდა პასუხს — დამსჯელ მარჯვენას მაშინაც არ აღვმართავო. ბოლოს აბრაამმა ათი დაუსახელა, იაპვემ ამაზეც დასტური დასცა და გაჭიანურებული საუბარი ამით დამთავრდა.

იაჰვე წავიდა. აბრაამი კი შინ დაბრუნდა.

სოდომი და გომორი! ღმერთი სოდომში თვითონ არ წასულა. ორი ანგელოზი წარავლინა. საღამო ჟამი იყო, როცა იაჰვეს ელჩები ლოთს ქალაქის კარიბჭესთან შესვდნენ. აბრაამის ძმისწული მგზავრებს მიესალმა და შინ შეიპატიჟა. როგორც ზრდილ მოგზაურებს შეპფერის, მათ იუარეს, ირწმუნებოდნენ, ქუჩაში გვირჩევნია ღამის გათევაო, მაგრამ ლოთი იმდენს ემუდარა, თავისი გაიტანა და სტუმრები შინ წასვლაზე დაიყოლია. ლოთს ძალიან გაუხარდა. მხვევლებს უბრძანა გამოეცხოთ ხმიადი, მოემზადებინათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო სამასპინძლოდ. მგზავრები დანაყრდნენ, ლოთმა მათ ლოგინი გაუშალა. ის-ის იყო სტუმრები დაწვნენ, რომ სახლს სოდომის მკვიდრმა მამაკაცებმა ალყა შემოარტყეს, ერთი აურზაური ატეხეს და მოითხოვდნენ — საეჭვო უცხოელები აქ გამოგვგზავრეთო.* მამაპაპეული ადათის მიხედვით მასპინძელს სტუმრის დაცვა მართებდა. ლოთსაც არ შეეძლო წმინდათაწმინდა წესის გატეხა და მის სახლში შეფარებული სტუმრების გაცემა. იგი გამოვიდა ქუჩაში, გამოიკეტა კარი და თანამოქალაქეებს შეევედრა — სტუმრებს უპატიობას ნუ მიაყენებთო. „აჰა, ორნი ასულნი ჩემნი, — შესძახა სასოწარკვეთილმა, — რომელთა არა იციან მამაკაცი, გამოგიყვანნე იგინი და უყავთ მათ, რაიცა გსურთ. ხოლო კაცთა მათ ნურას უყოფთ ბოროტსა, რამეთუ შემოვიდეს ქვეშე სართულსა სახლისა ჩემისა“.

ბრბომ ლოთის შუდარა არ შეისმინა. უფრო მეტიც: ხელი სტაცეს და მოკლავდნენ კიდეც, რომ ანგელოზებს სახლში არ შეეთრიათ. გააფთრებულმა ბრბომ კარის გატეხა სცადა. ანგელოზებმა მოთმინება დაკარგეს და მომხდურები დააბრმავეს. სოდომელები აღშფოთდნენ, ტირილითა და წყევლა-კრულვით მიმოიფანტნენ ქალაქში. ლოთის სასლში სიმშვიდე გამეფდა. ანგელოზებმა მას თავიხი ვინაობა გაანდეს, ამცნეს სოდომში მოსვლის მიზანიც. მათ ლოთს უბრძანეს, წაეყვანა ცოლი, ორივე ქალიშვილი საქმროებითურთ და დაეტოვებინა დასალუპავად განწირული ქალაქი. ლოთმა მაშინვე ირწმუნა უცნობთა ნათქვამი, მაგრამ მის თავდაჯერებულ, შეუსმენელ სასიძოებს, რომლებიც შემოესწრნენ ამ საუბარს, სასაცილოდ არ ეყოთ სტუმართა წინასწარმეტყველება; ასე განაცხადეს, ფიქრშიც არ

გავივლებთ მშობლიური ქალაქის დატოვებახო. განთიადისახ, როცა გზას უნდა გახდგომოდნენ, ლოთიც ეჭვმა შეიპყრო. იგი ფეხს ითრევდა, ყოყმანობდა მანამ, სანამ ანგელოზებმა ხელი არ წაავლეს და ძალით არ გაიყვანეს ქალაქიდან. ქალაქის კარიბჭესთან ანგელოზებმა ლოთის ოჯახს უბრძანეს, წასულიყვნენ მთებში, თან გააფრთხილეს, უკან მოხედვა არავინ გაბედოსო. ლტოლვილები უკვე სეგორის ძიდამოებში იყვნენ, როცა უკნიდან გაძაყრუებელი გრგვინვა მოესმათ. ღმერთმა აწვიმა სოდომსა და გომორს წუნწუბა და ცეცხლი. მთელი არემარე ირყეოდა, ორივე ქალაქი დაიქცა, მათ ადგილას კვამლში გახვეული ნანგრევებიდა დარჩა. ქალაქების მკვიდრთაგან არც ერთი ცოდვილი არ გადარჩენილა. სოდომსა და გომორში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ლოთის ცოლმა არ შეისმინა ანგელოზებისა, გადავიდა მათს ბრძანებას, უკან მოიხედა და იქვე მარილის სვეტად იქცა.

როგორ მოატყუეს მეფე აბიმელექი. აბრაამი კვლავ გაემართა ქანაანის სამხრეთი საზღვრებისაკენ და ხურსა და კადეშს შორის მდებარე ველზე დაიბანაკა. იგი ხშირად ნახულობდა გერარის მეფეს აბიმელექს, რომელსაც დაუმეგობრდა კიდეც. აბრაამმა აქაც თავის დად გაასაღა სარრა და აბიმელექმა იგი თავის ჰარამხანაში წაიყვანა. აბიმელექს ღმერთი გაურისხდა, სასტიკი სასჯელი აღუთქვა და უბრძანა ხელუხლებლად დაებრუნებინა სარრა ქმრისათვის. შეძრწუნებულმა აბიმელექმა იხმო აბრაამი და უსაყვედურა: „ესე რა მიყავ? რა შევცოდე, რამეთუ მოაწიე ჩემ ზედა და სამეფოსა ჩემსა ზედა ცოდვა დიდი?“ შეცბუნებული აბრაამი თავს იმართლებდა: „მე ესრეთ ვჰგონებდ: არა არს აქა შიში ღმრთისა და მომკლან მე ცოლისა ჩემისათვის. ჭეშმარიტად და არს ჩემი, ასული არს მამისა ჩემისა, ხოლო დედისა ჩემისაგან არა არს იგი ნაშობ. და იყო იგი ჩემდა ცოლ. და ოდეს გზად წარმომეგზავნა ღმერთმან სახლისაგან მამისა ჩემისა, ვეუოხარ მას: ქმენ სიკეთე, სადაცა მივიდეთ, თქვი ჩემთვის: ძმა არს ჩემი“.

აბიმელექმა აპატია სიცრუე აბრაამს, თავის ქვეყანაში ცხოვრების ნება დართო, უამრავი ცხვარი, ძროხა და მონა-მხევლებიც უბოძა. გარდა ამისა, სარრასთვის მისცა ათასი ვერცხლი— საფასური უპატიოებისა, რომელიც ეწია მას გერარის მკვიდრთა წინაშე.

ისააკის დაბადება. როცა აბრაამი ასი წლისა გახდა, ღმერთმა აუსრულა აღთქმა: სარრას ვაჟი შეეძინა. ბედნიერებით გახარებული სარრას დღეები სიცილსა და შვება-ლხენაში

გადიოდა. იგი ყველას უხმობდა მის ნეტარებაში წილის დასადებად. შვილს ძუძუს აწოვებდა და თან ფიქრობდა: „ვინ მიუთხრას აბრაამს, რამეთუ აწოებს სარრა ყრმასა, რამეთუ ვშევ ძე სიბერესა ჩემსა“. სასიხარულო მოვლენის მოსაგონებლად მან ჩვილს ისაააკი უწოდა. ეს სახელი ჟღერადობით წააგავდა ძველებრაულ სიტყვას, რომელიც სიცილს ნიშნავს. ბავშვი ჯანმრთელი გამოდგა, რამდენიმე წლის შემდეგ თავის ნახევარ ძმასთან ისმაელთან ერთად დანავარდობდა აქეთ-იქით. მათი თამაშის შემყურე სარრას სულ უფრო უშფოთავდა გული. მას ტვინს უღრღნიდა ფიქრი, რომ აბრაამის სიკვდილის შემდეგ პირმშო ისმაელს უნდა რგებოდა მამის ქონების მეტი წილი, ისაააკს კი მხოლოდ საცოდავი ნაშთი მემკვიდრეობისა. სარრამ თანდათან შეიძულა ეგვიპტელი მხევალი აგარი და მისი შვილი. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა მათი სამუდამოდ თავიდან მოშორება და აბრაამს უთხრა: „განაძევე მხევალი და ძე მისი, რათა არა დაიმკვიდროს ნაშობმან მხევალისა ამან ძისა ჩემისა ისაააკის თანა“. აბრაამი დიდხანს იდგა უარზე; არ უნდოდა ცოლის აყოლა, რადგან იგი მართლა შეეთვისა ახალგაზრდა ლამაზ ეგვიპტელ ქალს, აბრაამსა და ისმაელს ნამდვილი მამა-შვილობა ჰქონდათ. საქმეში ჩაერია ღმერთი და ბრძანა — მე გადავწყვიტე, რომ აბრაამის შთამომავლობის მამამთავარი უნდა იყოს ისაააკი და არა ისმაელი. აბრაამმა დიდი გულის ტკივილით აღასრულა სარრას ნება. მან უბედურ ლტოლვილებს მისცა პური, წყლით სავსე თხიერი, გადაკოცნა და ურჩია, წასულიყვნენ ეგვიპტეში, სადაც აგარს ნათესაობა ეგულებოდა. გზა გრძელი და სახიფათო იყო. მარტოხელა მგზავრებს უდაბნოში წყალი გამოელიათ და წყურვილით სიკვდილი მოელოდათ. აგარმა ისმაელი ხის ქვეშ ძიატოვა და მშვილდის მისაწიერზე დაშორდა, რომ შვილის წამება სულის ამოსვლის წინ არ ეხილა. სილაზე ჩაიკეცა შვილისაკენ ზურგშექცეულმა და მწარედ აქვითინდა. გამოჩნდა ანგელოზი, აგარს უბრძანა, შვილს დაუძახეო და ორივენი ჭისკენ წაიყვანა. მათ წყურვილი მოიკლეს და ცარიელი ტიკებიც აავსეს. ღმერთმა ისმაელს სიცოცხლე შეუნარჩუნა იმისათვის, რომ არაბი ტომების მამამთავრად გაეხადა. გადარჩენილმა ლტოლვილებმა ქვეყნის უკაცრიელ მხარეს დაიდეს ბინა. ისმაელი უბადლო მსროლელი და სწორუპოვარი მონადირე გახდა. დროდადრო იგი ეგვიპტელებთან მსახურობდა და მათ დაქირავებულ რაზმებთან იბრძოდა. დედამ მას ეგვიპტელი ქალი შერთო. აბრაამს აღარასოდეს უნახავს უარყოფილი შვილი[1].

---

[1] არაბები დღემდე მიიჩნევენ ისმაელს თავიანთი მოდგმის მამამთავრად და სწამთ, რომ ის და დედამისი დამარხულნი არიან მექაში, ქაბის შავი ლოდის ქვეშ, რომელიც ისლამის მიმდევრებს უდიდეს სიწმინდედ მიაჩნიათ. ეს გადმოცემა ყურანის ტექსტში შევიდა.

ისაკი სამსხვერპლოზე. ერთხელ ღმერთმა აბრაამის ერთგულების გამოსაცდელად გადაწყვიტა, განსაცდელი მოევლინებინა მისთვის. ღმერთმა აბრაამს უბრძანა თავისი საყვარელი ძე მსხვერპლად შეეწირა და დაეწვა. ისაკი აბრაამის ერთადერთი იმედი იყო, მაგრამ გულს აჯობა, დაემორჩილა ღვთის ნებას, და სარრასოვისაც არაფერი გაუმხელია, ღამით დააპო შეშა მსხვერპლის შესაწირავად, მოამზადა საგზალი, გაიყოლა ვაჟი, ორი მსახური და გზას გაუღგა. მესამე დღეს ისინი მთის ძირს მიადგნენ. აბრაამმა მსახურები და დატვირთული სახედარი მთის ძირში დატოვა, თვითონ კი წაიყვანა ისაკი და ორივენი მთის წვერზე ავიდნენ. შვილს შეშა ეკიდა ზურგზე, მამას ცალ ხელში ანთებული კვარი ეჭირა, მეორეში კი ალესილი მახვილი. გზაში ისაკმა ჰკითხა: „მამაო, აჰა, ცეცხლი და შეშა, სადა არს ცხოვარი სამსხვერპლო?“ აბრაამმა მიუგო: „ღმერთმან თვით იხილოს შესაწირავი, შვილო ჩემო“. მან მწვერვალზე ააგო ქვის სამსხვერპლო, შეკრა შეძრწუნებული ისაკი და შეშაზე დააწვინა. შემდეგ კი აღმართა დანა, მაგრამ ღმერთმა მოუელინა ანგელოზი, შეუჩერა ხელი და დალოცა, რადგან მან ღვთის ნება აღასრულა და ერთადერთი ძე სასიკვდილოდ გაიმეტა. სამაგიეროდ, ღმერთმა ერთხელ კიდევ აღუთქვა აბრაამს, რომ მისი შთამომავლობა განმრავლდებოდა, ვითარცა ვარსკვლავნი ცაზე და ქვიშა ზღვის პირზე. ამასობაში გზააბნეული ვერძი რქებით ძეძვში გაება. აბრაამმა ისაკის მაგივრად ღმერთს ის შესწირა და შინისკენ იბრუნა პირი.

სარრას სიკვდილი. მეფე აბიმელექთან დადებულმა ხელშეკრულებამ აბრაამს მისი საძოვრებითა და ჭუბით სარგებლობა შეაძლებინა. მაგრამ ეს ქვეყანა მას საყვარელ აგართან და პირმშო ისმაელთან განშორებას აგონებდა. აბრაამი გადასახლდა ქებრონში, სადაც ოდესღაც უშფოთველად და ბედნიერად ცხოვრობდა მამბრეს ხეობაში, მაგრამ მისდა საუბედუროდ, აქ გარდაიცვალა სარრა. სარრა უკვე ას ოცდაშვიდი წლისა იყო და ალბათ ხანგრძლივ მგზავრობას ვეღარ გაუძლო.

აბრაამი ეახლა ქეტელთა მეფეს, მოწიწებით თაყვანი სცა და მის მიწაზე სარრას დამარხვის ნებართვა სთხოვა. მეფემ მოწყალედ მიიღო აბრაამი და ქეტელთა სასაფლაოზე უბოძა ადგილი. მაგრამ აბრაამმა თავისი რწმენის გამო ეს ადგილი დაიწუნა. გარდა ამისა, იგი შიშობდა, ვაითუ ქეტელებმა მათი

---

* არაბების ძველი ქართული სახელწოდებებიც გვიჩვენებს, რომ ქართველებს არაბები აგარის შთამომავლებად მიაჩნდათ; მათ უწოდებენ „აგარიანებს“ ან „ისმაელიტელებს“. (რედ შენ.)

მეფის ქვეშევრდომად მიმიჩნიონო. აბრაამი ვერ ელეოდა მომთაბარე ცხოვრების თავისუფლებას და თავგამოდებით იცავდა თავის რელიგიურ და ტომობრივ დამოუკიდებლობას. ამიტომ მან არ ინდომა ქეტელთა სასაფლაოზე სარრას დასაფლავება. აბრაამმა სთხოვა მეფეს, მდიდარ ქეტელთან ეფრონთან ეშუამდგომლა, რათა დაეთმო მისთვის მაქფელას გამოქვაბული, რომელიც საგვარეულო სასაფლაოდაც გამოდგებოდა. ეფრონი დიდსულოვანი კაცი აღმოჩნდა, მზად იყო, გამოქვაბული უსასყიდლოდ მიეცა, მაგრამ აბრაამი არ დასთანხმდა და ბოლოს ოთხას სასწორ ვერცხლად იყიდა. სარრა პატივით დაასაფლავეს გამოქვაბულში. დასაფლავებას დესწრო მრავალი ქეტელი, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ აბრაამს. მამბრეს ასლოს მდებარე გამოქვაბული მაქფელა იქცა პირველი პატრიარქების საგვარეულო აკლდამად, სადაც აბრაამმა, ისაკმა და იაკობმა სამუდამო განსასვენებელი დაიმკვიდრეს.

რებეკა დაქორწინდა ისაკი. აბრაამი უკვე მოხუცი იყო და ისაკის დაქორწინება განიზრახა. მას არ უნდოდა, მის ძეს შეერთო ქეტელი ან ქანაანელი ქალი, რომელსაც ოჯახში უცხო სისხლი და უცხო ღმერთების რწმენა მოჰყვებოდა. აბრაამს მოგზაური ვაჭრებისაგან გაეგონა, რომ ქარანში ცხოვრობდა მისი ძმის ნაქორის ოჯახი. სწორედ აქ, თავისიანებში უნდა ეძიათ ისაკისთვის ცოლი. აბრაამმა უხმო თავის ერთგულ მსახურს და ისაკისთვის ქალის გარიგების საქმე მიანდო. მისცა ათი აქლემი თავ-თავისი მეაქლემეებით, გაატანა უხვი საჩუქრები სარძლოსა და მისი მშობლებისათვის. ქარავანმა ევფრატის სათავისაკენ გასწია. მოგზაურობას კარგა ხანს მოუნდნენ. ბოლოს ქარავანი შეჩერდა ქალაქ ქარანის მახლობლად მდებარე ჭასთან. მგზავრები დაღლილები იყვნენ. აქლემებმაც ჩაიმუხლეს წყლის მოლოდინში. მოახლოვდა საღამო. ამ დროს ქალები ჭაზე გამოდიოდნენ ხოლმე წყლისათვის. აბრაამის მსახურმა გადაწყვიტა, ისაკის საცოლედ ის ქალი აერჩია, რომელიც ყველაზე უმალ დაალევინებდა წყალს. მზე ჩადიოდა და მისმა სხივებმა ყველაფერი მეწამულად და ოქროსფრად აქცია. ქალაქის კარიბჭიდან საუბრითა და მხიარული სიცილით გამოვიდნენ ქალები. მათ შორის ერთი საოცრად ლამაზი გოგონა ერია. ქალს მხარზე კოკა შეედგა და ისე კოსტად მოდიოდა, რომ მისი შესედვა კაცს გულს გაუნათლებდა. აბრაამის მოციქული წყნარად მიეხალმა მას და წყალი სთხოვა. გოგონამ ალერსიანად გაუღიმა და წყლით სავსე ჭურჭელი მიართვა. შემდეგ სწრაფად ჩაცალა კოკა საქონლის გეჯაში და აქლემებიც დაარწყულა. ლამაზი გოგონა ისე მკვირცხლად და დაუზარელად ტრიალებდა, აბრაამის

მსახურს მაშინვე თვალში მოუვიდა იგი და იკითხა — რა ჰქვია და ვისი შვილიაო. ძისდა გასაოცრად, იგი აღმოჩნდა ბათოელის ასული, ნაქორის შვილიშვილი რებეკა. ნაძდვილად ღმერთმა წყალობის თვალით გადმომხედა და უშალვე თარას მოდგმის ქალი შემახვედრაო, — გაიფიქრა აბრაამის მსახურმა. იგი დარწმუნდა, რომ ისაკისთვის იპოვა იდეალური საცოლე, რომელსაც აბრაამი ვერაფრით დაიწუნებდა, თვალტანადობით, ზნითა და სიმარჯვით სწორედ რომ მისი მოსაწონი იქნებოდა. როგორც კი ასვა წყალი აქლემებს, რებეკამ მგზავრები მშობლების სახლში მიიპატიჟა. აღუთქვა, რომ პირუტყვისთვისაც მოინახებოდა საკვები და ღამის გასათევი ადგილი.

ქალწულის გულკეთილობით მოხიბლულმა აბრაამის მსახურმა საძგზავრო აბგიდან ამოიღო ოქროს საყურეები, სამაჯურები და მას მიართვა. დარცხვენილმა რებეკამ თვალი ვერ მოსწყვიტა ძვირფას სამკაულებს, მაგრამ ვერ გაებედა ასეთი დიდებული საჩუქრების მიღება. მალე ქალურმა კეკლუცობამ თავისი ქნა; სამკაულებით მოხიბლულმა დობილებმა ჟივილ-ხივილი ატეხეს; რებეკამ კი სამკაულები შეისხა და შინ გაიქცა, რომ თავი მოეწონებინა საჩუქრებით და მშობლებისთვის ეცნობებინა აბრაამის მოციქულის მოსვლა. სტუმარს გამოეგება რებეკას ძმა ლაბანი, შეიყვანა იგი სახლში, ხელ-პირი დააბანინა, აქლემები შერეკა სადგომში, აღვირი წაჰყარა ყველას, ბზე და საჭმელი მისცა. ამასობაში სუფრა გაშალეს და სტუმარი შინ მიიწვიეს. მან გადაწყვიტა, პურის ჭამამდე ეთქვა ოჯახის უფროსებისთვის თავისი ვინაობა და მოსვლის მიზანი. მსახურმა მოუთხრო მასპინძლებს აბრაამსა და ისაკზე, აუწყა მათი დიდი სიმდიდრე და ბოლოს ამოალაგა საჩუქრები: ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, დიდებული ქსოვილები და სხვა ძვირფასი ნივთები. ოჯახის უფროსები აღტაცებულნი ათვალიერებდნენ საჩუქრებს. შუამავალმა თავი დახარა და მორიდებულად სთხოვა მათ, რებეკა ისაკისთვის გაეტანებინათ ცოლად. მშობლებმა სიამოვნებით დასცეს დასტური, მაგრამ წესს გადავიდნენ და რებეკას დაეკითხნენ. შემოიხმეს ოთახში და ჰკითხეს — უცხო ქვეყანაში, უცნობ კაცს ცოლად გაჰყვები თუ არაო. ბათოელის ასულმა მოკლედ მოჭრა სიტყვა და თანხმობა განაცხადა ისაკის ცოლობაზე.

რებეკას გააყოლეს ძიძა და მოახლეები. ქალები შესხდნენ აქლემებზე და ქარავანი ქანაანისკენ დაიძრა. რებეკას მახლობლებმა ქალი ცრემლებითა და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრეს.

ისაკი მოუთმენლად ელოდა საცოლეს. იგი ხშირად გამოდიოდა გზაზე და შორს გაჰყურებდა სივრცეს. ერთხელ, საღამოჟამს, მას შემოესმა სპილენძის ეჟვანთა წკარუნი და მალე

ზანტად მომავალი აქლემები დაინახა. ისააკი ჯერ კიდევ ეჭვში იყო და მგზავრები მისიანებად ვერ შეეცნო. ამასობაში რებეკამ შეამჩნია იგი და შუამავალს ჰკითხა: „ვინ არს კაცი ესე, რომელი მოვალს ველით მოგებებად ჩვენდა?“ „ესე არს უფალი ჩემი“, — მიუგო აბრაამის მსახურმა. რებეკა დაუყოვნებლივ ჩამოხდა აქლემიდან, სახე მოსასხამით დაიფარა, როგორც საცოლეს შეეფერებოდა და მოკრძალებით მიესალმა მომავალ მეუღლეს. გასარეულმა ისააკმა იგი განსვენებული სარრას კარავში შეიყვანა, ეს იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ ამიერიდან მისი ცოლი იქნებოდა მოდგმის დედა. შემდეგ კი სასწრაფოდ გადაიხადეს ქორწილი. აბრაამის ძეს რებეკა ისე შეუყვარდა, რომ სიყვარულმა დედის გარდაცვალებით გამოწვეული წუხილი გაუქარწყლა.

აბრაამი მეორედ დაქორწინდა*. აბრაამს მოსწყინდა ქვრივობა. იგი ჯერ კიდევ არ გრძნობდა მოხუცებულად თავს და გადაწყვიტა, მეორედ დაქორწინებულიყო. შეირთო ქალი, რომელსაც სახელად ქეტურა ერქვა. მას ექვსი ვაჟი ეყოლა. ვაჟებმა კი მრავალი შვილიშვილი შესძინეს აბრაამს. მოსალოდნელი იყო, რომ ამოდენა ნაშიერი მემკვიდრეობის საკითხს გაართულებდა და ისააკმა მამას მოსთხოვა, სიცოცხლეშივე დაემტკიცებინა მისთვის პირმშოება. აბრაამს გულს სტკენდა ოჯახური შესლა-შემოსლა, მაგრამ აღარაფერი ეთქმოდა: ისააკი მართალი იყო, არ შეიძლებოდა ძველისძველი გვაროვნული წესის უარყოფა და ქონების გაყოფა. მთავარ მემკვიდრედ მხოლოდ პირველშობილი ძე უნდა დარჩენილიყო. აბრაამმა გადაწყვიტა, თავიდან მოეცილებინა მეორე ცოლისაგან შეძენილი შვილები და შვილიშვილები. უხვი საჩუქრებით აღავსო ისინი და ურჩია, დამკვიდრებულიყვნენ ქანაანის აღმოსავლეთით, სადაც თავისუფალი საძოვრები იყო.

აბრაამისა და ქეტურას შვილებმა დასაბამი დაუდეს ისააკის მოდგმისათვის უცხო და მტრულად განწყობილ ახალ ტომს.

აბრაამი ას სამოცდათხუთმეტი წლისა გარდაიცვალა. იგი დაასაფლავეს მაქფელას გამოქვაბულში, სარრას გვერდით. დასაფლავებაზე შორეული უდაბნოდან მოვიდა უბედური აგარის შვილი ისმაელი.

ისააკისა და რებეკას ტყუპები. ისააკსა და რებეკას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ოჯახში დღენიადაგ საწუხარი ის ჰქონდათ, რომ ოცი წლის განმავლობაში შვილი არ შეეძინათ. ბოლოს და ბოლოს ღმერთმა შეისმინა მათი ვედ-

რება: რებეკა დაორსულდა. ისააკი უკვე სამოცი წლის იყო, როცა რებეკამ ტყუპები შვა. პირველად გაჩნდა ესავი, ამიტომ იგი პირმშოდ ითვლებოდა. მეორეს უწოდეს იაკობი, რაც ამას ნიშნავს: „ქუსლს წაავლო ხელი“[1], ასეთი სახელი იაკობს იმიტომ დაარქვეს, რომ ძმის ქუსლზე ხელმოკიდებული დაიბადა.

ძმებს თვალტანადობა და ხასიათიც სხვადასხვა დაჰყვათ, სიამტკბილობა და სიყვარული ერთმანეთში არასოდეს ჰქონიათ. რებეკა ჩიოდა, მუცელშივე გამუდმებით ჩხუბობდნენო. უკვე მოწიფული ძმების შემხედვარე კაცი სულ არ დაიჯერებდა, რომ ისინი ტყუპები იყვნენ. დაჯედა და მხრებგანიერ ესავს წითური ბალანი უფარავდა მთელ სხეულს. ესავი თაშამი იყო, ჩხუბისთავი, მაგრამ კეთილი და გულუბრყვილო, სხვის ნათქვამს ადვილად იჯერებდა. ეს კი იყო, უეცარი გულის მოსვლა იცოდა და განრისხებულს ყველა უნდა გასცლოდა, თორემ ხეირს არავის დააყრიდა. ესავი დღედაღამ ან სანადიროდ იყო გადავარდნილი, ან მწყემსებთან იალაღებზე ატარებდა დროს. დაუდევარ ესავს სულ არ აწუხებდა თავის შესახედაობაზე ფიქრი. მის ტანსაცმელს მინდვრისა და თხების სუნი ასდიოდა. სიცოცხლე არად მიაჩნდა გაშლილი სივრცეებისა, მზისა და თავისუფლების გარეშე. არასოდეს შეუწუხებია ხვალინდელ დღეზე ზრუნვას. ხეტიალიდან დაბრუნებული ოჯახის საქმისთვის ხელსაც არ გაანძრევდა. მოშივდებოდა და დაჯდებოდა საჭმელად, მოსწყურდებოდა და სვამდა; სადაც მოერეოდა თვლემა, იქ მიეგდებოდა დასაძინებლად.

იაკობი სულ სხვა ზნისა და ხასიათის კაცი იყო. მამა-პაპურ ადათ-წესს მისდევდა, ოჯახს ზრუნვას არ აკლებდა, თითით საჩვენებელი შვილი გამოდგა—გამრჯე და მორჩილი. ესავი იაკობს გულუბრყვილოდ თვლიდა და აბუჩად იგდებდა. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ დედის ნებიერი იაკობი ცბიერი და მზაკვარი იყო.

მოხუც ისააკს აშკარად ესავი უფრო მოსდიოდა თვალში. შესაძლოა, მას მოსწონდა შვილის სიმარჯვე, ღონე და მონადირობა. ეს ვაჟკაცური თვისებები ისააკს თავის მომთაბარე წინაპრებს აგონებდა. ესავსაც თავისებურად უყვარდა მამა და მუდამ კეთილად ეპყრობოდა მას. ყოველთვის ცდილობდა, გაერთო და ნადირობიდან დაბრუნებული ნანადირევს პატივისცემით მიართმევდა ხოლმე.

რებეკას საყვარელი შვილი კი იაკობი იყო. ესავს იგი გაუთელს, უხეშს უწოდებდა და ერცხვინებოდა კიდეც მისი დედობა. რამდენჯერ თეთრად გაუტეხია ღამე რებეკას იმის გამო,

---

[1] „ქუსლით დაჭერა“ ებრაულად ნიშნავს „გზიდან ჩამოშორებას“, „ვინმეს დამარცხებას“.

რომ საგვარეულო ქონება ესავს რჩებოდა, რადგან ის იყო პირ-
მშო და მემკვიდრე. რებეკას იმისი შიში ჰქონდა, რომ ესავი
უაზროდ გაანიავებდა მამაპაპეულ ქონებას და ნამდვილი მეოჯა-
ხე, ფულის ყადრის მცოდნე იაკობი კი მშრალზე დარჩებოდა,
რებეკა დღე და ღამე ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ აეცდინა
უბედურება და იაკობისთვის მოეპოვებინა პირმშოება.

ოსპის შეჭამადის ფასად. ერთხელ იაკობი სამზა-
რეულოს კერასთან იდგა და ოსპის შეჭამადს ხარშავდა. უცებ
მოვიდა ესავი და ძმას საჭმელი მოსთხოვა. ესავი დაღლილი
იყო და შიმშილით კუჭი ეწვოდა. მთელი დღე ნადირობაში გაე-
ტარებინა და ხელცარიელი დაბრუნებულიყო. მოშიებულს კი
დაუყოვნებლივ უნდა ეჭამა, რადგან მოთმენა არ შეეძლო. მაგ-
რამ იაკობს აზრადაც არ მოსვლია, ძმისთვის შეჭამადი ენაწი-
ლებინა. ესავს საჭმლის სუნმა საღერღელი აუშალა და ძმას არ
ეშვებოდა, შეჭამადს სთხოვდა. იაკობმა ვითომ ხუშრობით ჰკი-
თხა: მომყიდი პირმშოებას, ოსპის შეჭამადი რომ გაჭამოო?
„მოგყიდი“! — დაუფიქრებლად მიუგო ესავმა. „მაშ შემომფიცე!“
„ვფიცავ!“ — თქვა თავქარიანმა. რა თქმა უნდა, მას ეს ამბავი
არაფრად ჩაუგდია. ვინ იცის, რას არ დაიფიცებდა ხოლმე
აგზნებული ესავი. ასე სჩვეოდათ მესაქონლეებსა და მონადი-
რეებს. ერძნობებით შეპყრობილთ საკუთარი სათქვამი არაფრად
მიაჩნდათ. იაკობისთვის კი ფიცი შეურყეველი და უწმინდესი
რამ იყო. ამიტომ მტკიცედ ირწმუნა, რომ პირმშოება მოიპოვა.
გახარებული ესავი შეექცა შეჭამადს და არც უფიქრია, რა სა-
ბედისწერო შედეგი მოჰყვებოდა მის დაუფიქრებლად წამოსრო-
ლილ სიტყვებს.

ისაკის ფარმატებანი და უბედურებანი. ქებ-
რონში დამდგარმა გვალვამ შიმშილობა მოიტანა. ისაკმა ვადა-
წყვიტა, მიეწოლებინა დიდი ხნის სამკვიდრებელი და გამგზავ-
რებულიყო გერარის შეფის აბიმელექის ქვეყანაში. ეს ის აბი-
მელექი იყო, რომელსაც ოდესღაც აბრაამი შეგობრობდა.

გერარის მცხოვრებლები ისე შოხიბლა რებეკას მშვენიერე-
ბამ, რომ ისაკს შიში ჩაუვარდა გულში: ვაითუ მომკლან, რომ
რებეკას დაეუფლონო. ყველას ეუბნებოდა, რებეკა ჩემი დაო.

ერთხელ აბიმელექმა შემთხვევით სარკმლიდან თვალი მოჰ-
კრა ისაკს, რომელიც რებეკას ეალერსებოდა და ყველაფერს
მისვდა. იხმო ისაკი და შეეკითხა: „აჰა, შენი ცოლი არს იგი;
რად გვითხარ ასე: და არს ჩემი?“ ისაკი შეცბუნდა და მიუგო:
„მე ვიფიქრე, ასე ვიტყვი, თორემ მომკლავენ“.

აბიმელექი განრისხდა. „ეს რა გვიყავ? — თქვა მან — კნინდა და ერთი ტომისა ჩვენისაგანი დაწვა ცოლისა შენისა თანა და მოაწიე ჩვენ ზედა ცოდვა!“ მან ისაკს სიცრუე მაინც აპატია ისე, როგორც ერთ დროს აბრაამს, ხალხს კი განუცხადა — ვინც რებეკას შეეხება, სიკვდილით დაისჯებაო.

გერარში ისაკმა მეზაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც მიჰყო ხელი. ეს ხელობა მისთვის ახალი იყო, მაგრამ ბედმა არ უმტყუნა, ყოველ აღებაზე უხვი მოსავალი ერგო. მალე უმდიდრესი კაცი გახდა — ჰყავდა უზარმაზარი ცხვრის ფარა, უამრავი საქონელი და მრავალი მსახური. ადგილობრივ მცხოვრებლებს შეშურდათ ისაკისა. გერარელი მწყემსები მას ედავებოდნენ ოდესღაც აბრაამის მიერ ამოჭრილი ჭების გამო. ისაკი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, მაგრამ ამოიღებდა თუ არა ჭას, მტრები მაშინვე მიწით უვსებდნენ.

ბოლოს და ბოლოს ისაკი გადასახლდა ბერშებას, სადაც იაჰვეს სამსხვერპლო აუგო. მას ეწვია აბიმელექი, რომ პატივები ეთხოვა შეურაცხყოფისათვის. მეფეს ახლდნენ მისი მეგობარი — ოქოზათ და მხედართმთავარი ფიქოლი. ისაკმა მწარედ ჰკითხა: „რად მოხვედით ჩემდა. რამეთუ მომიძულეთ მე და წარმავლინეთ მე თქვენგან?“ აბიმელექმა მიუგო: „ვიხილეთ, რამეთუ უფალი იყო შენ თანა და ვთქვით: იყოს ფიცი შორის შენსა და ჩვენსა და აღვთქვათ აღთქმა შენ თანა, რათა არა გვიყო ბოროტი; ვითარცა ჩვენ არა მოგიძაგეთ შენ და გიყავით შენ კეთილი და წარგგზავნეთ მშვიდობით. აწ კურთხეულ ხარ შენ უფლისა მიერ“.

ასე დამყარდა ახალი კავშირი ებრაელებსა და ადგილობრივ მეფეს შორის. ისაკმა ჩტუმრების პატივსაცემად დიდი პუროპა გამართა, შემდეგ კი მშვიდობიანად გაისტუმრა შინ.

რებეკასა და იაკობის მზაკვრობა. მოხუცებულობისას ისაკი თითქმის მთლად დაბრმავდა და ახლობლებსაც კი ვეღარ სცნობდა. ამას ისიც დაერთო, რომ ესავმა ძალიან ატკინა გული. წესი იყო, რომ ტომს უცხო სისხლი არ უნდა შერეოდა. ესავმა უარყო უხსოვარი დროიდან არსებული ტრადიცია და ორი ქეტელი ქალი მოიყვანა ცოლად. მიუხედავად ამისა, მამას ძველებურად უყვარდა ესავი და კვლავ პირმშოდ მიაჩნდა. ისაკმა ერთხელ უხმო მას და უთხრა: „აჰა, მე დავბერდი და არა ვიცი დღე აღსასრულისა ჩემისა. აწ აღიღე საჭურველი შენი, კაპარჭი და მშვილდი შენი და განვედ ველად, მინადირე ნადირი და მიქმენ საჭმელი, ვითარცა მიყვარს მე, მომართვი მე და ეჭამო და გაკურთხოს სულმან ჩემმან ვიდრე სიკვდილამდე ჩემდა“.

ესავი დაუყოვნებლივ გაეშურა სანადიროდ, რომ მამის ნება აღესრულებინა. რებეკამ ყური მოჰკრა მათ საუბარს და მზაკვრული ა'ხრი გაუსნდა. მან ისარგებლა ესავის წასვლით, გადაწყვიტა მამასთან მიეგ'ხავნა იაკობი და გამოეტყუებინა მისთვის კურთხევა, რომელიც მხოლოდ პირმშოს უნდა ხვდენოდა წილად.

ეს რომ იაკობმა გაიგო, შეეშინდა და უარზე დადგა: „ესავ, ძმა ჩემი არს თმოსან, და მე კაც წყლტუ. ნუუკვე ხელი შემახოს მამამან ჩემმან და ვიქმნე მის წინაშე მტყუვარ და მივიღო წყევა და არა კურთხევა“.

რებეკამ გული გაუკეთა და ორი თხის მოყვანა უბრძანა. დაამზადა საჭმელი, იაკობს ესავის სამოსელი ჩააცვა, რომ ისაკს მინდვრის სუნი ეგრძნო; მკლავებსა და კისერზე კი თხის ტყავი მოახვია.

გადაცმული იაკობი შევიდა მამასთან და ესავის მაგიერ საჭმელი მიაწოდა. ისააკი ეჭვში ჩააგდო ნადირობიდან ესავის ასე მალე დაბრუნებამ და, რომ დარწმუნებულიყო, იაკობს ხელი შეახო. „ხმა ესე — ხმა იაკობისი, ხოლო ხელნი ესე-ხელნი ესავისი“, — ჩაილაპარაკა მან.

ისააკმა საჭმელი ჭამა, ღვინოც დალია და კვლავ ეჭვმა შეიპყრო. მან ცრუ ესავს სთხოვა, მაკოცეო და დამშვიდდა, რაკი ოფლით გაეღენთილი სამოსლის სუნი იგრძნო. გახარებულმა თქვა: „აჰა, სულნელება ძისა ჩემისა, ვითარცა სულნელება სავსე ველისა, რომელი აკურთხა ღმერთმან“. ისააკმა იაკობი მაშინვე აკურთხა. კურთხევა იაკობს პირმშოებასა და მთავარი მემკვიდრის უფლებას ანიჭებდა.

ნადირობიდან დაბრუნებულმა ესავმა შეიტყო, თუ როგორი მზაკვრული ხერხით წაართვეს მას პირმშოება. მამის კურთხევა ითვლებოდა მისტიკური ძალის მქონე აქტად, რომლის შეცვლა არაფრით აღარ შეიძლებოდა. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ კურთხევა ისააკს გამოსტყუეს. ისააკსა და ესავს ამიერიდან აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლოთ. ესავს სისხლი ყელში მოაწვა და იაკობს სიკვდილით დაემუქრა, მაგრამ საყვარელი მამა შეიბრალა, გული დაიოკა და გადაწყვიტა, მუქარა მისი სიკვდილის შემდეგ აღესრულებინა.

ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲑᲔ. რებეკა გრძნობდა, რომ იაკობის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ეშინოდა. „აჰა, ესავ, ძმა შენი, ზრახავს სიკვდილსა შენსა. აწ, შვილო ჩემო! ისმინე სიტყვისა ჩემისა, აღდეგ და წარვედ ქარანს, ძმისა ჩემისა ლაბანისა თანა და იყავ მუნ, ვიდრე დასცხრეს რისხვა ძმისა შენისა და დაივიწყოს, რომელი შენ უყავ მას და მოვავლინო კაცი და მოგიწოდო შენ“.

ეს აზრი ისააკსაც ჭკუაში დაუჯდა. ქარანში იაკობს შეეძლო ცოლად შეერთო თავისი ტომის ქალი და აეცდინა შეცდომა ესავისა, რომელმაც ქეტის ტომიდან მოიყვანა ცოლები. მამამ, როგორც ჩანდა, უკვე აპატია შვილს უნამუსო ტყუილი — იგი ალერსით გამოეშვიდობა იაკობს და გზა დაულოცა. იაკობი მწირი ყარიბივით გაუდგა გზას; ზურგზე გუდა ეკიდა და ხელში არგანი ეჭირა. იგი მალულად უნდა გაპარულიყო ბანაკიდან გვიან ღამით, როცა განრისხებულ ესავს ღრმად ეძინა თავის კარავში. ქვეითად მავალი იაკობი ღამეს ციხქვეშ ათევდა. ერთხელ, დაღამებისას, მან სასთუმლად ლოდი დაიდო და დიდი გზით დაღლილმა დაიძინა. ნახა საოცარი სიზმარი: იხილა კიბე, რომლის თავიც ცას ებჯინებოდა, კიბეზე კი ანგელოზები ადიოდ-ჩამოდიოდნენ. სულ ზემო საფეხურზე მდგარმა იაჰვემ მას მოწყალედ უბრძანა: „მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამისა შენისა, და ღმერთი ისააკისა. ქვეყანა ეგე, რომელსა ზედა გძინავს, მოგცე შენ და ნათესავსა შენსა. და იყოს ნათესავი შენი, ვითარცა მტვერი მიწისა და განმრავლდეს იგი, ეიდრე ზღვამდე[1] აღმოსავლით და ჩრდილოით და ვიდრე სამხრით. და აჰა, მე შენ თანა ვარ“.

დილით იაკობმა გაიღვიძა და იაჰვეს შეჰფიცა — ჩემს ღმერთად მიგიჩნევ, შემოგწირავ ათეულს, თუ მიხსნი საშიშროებისაგან, საზრდოდ პურს გამიჩენ და მამის სახლში დამაბრუნებო. თავისი უჩვეულო ხილვის სამახსოვროდ იაკობმა აქ აღმართა სასთუმლად ნადები წმიდა ლოდი, ზეთი გადაასხა და ამ ადგილს უწოდა ბეთელი, რაც „ღვთის სახლს“ ნიშნავს.

როგორ ატყუებდნენ ერთმანეთს ლაბანი და იაკობი. იაკობმა ქარანს საღამოჟამს მიაღწია. ქალაქის კარიბჭესთან, ჭის ირგვლივ მწყემსები შეკრებილიყვნენ და საქონელს არწყულებდნენ. იაკობმა იკითხა — იცნობთ თუ არა ნაქორის შვილიშვილს ლაბანს? ამ დროს ჭასთან ცხვრის ფარა მიირეკა ლამაზმა გოგონამ. „აჰა, რაქელ, ასული მისი!“ — დაიძახეს მწყემსებმა. იაკობს ბიძაშვილის დანახვაზე გული აუჩუყდა, მივიდა და ლოყაზე აკოცა. რაქელი შინ შებრუნდა და მამას სტუმრის მოსვლა აუწყა. ლაბანი ჭასთან მოვარდა, იაკობს გადაეხვია და შინ წაიყვანა. ვახშმობისას მან გამოჰკითხა იაკობს ისააკისა და რებეკას ამბავი. გული რომ მოიჯერა, მერე მოინდომა გაგება — ქარანში რამ მოგიყვანაო. იაკობმა ბიძას სთხოვა — შენთან მამუშავეო. ლაბანი საქმიანი კაცი იყო და მაშინვე ჰკითხა — სასყიდლად რამდენს ითხოვო. საუბარს ყურადღებით

---

[1] ე. ი. დასავლეთით. რედ.

იხმენდა ლაბანის ორი ქალიშვილი, ორივე მორცხვად გაჩერდავდნენ ხოლმე დროდადრო სტუმარს. იაკობიც უთვალთვალებდა მათ და თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა. უფროს დას ლიას თვალები სტკიოდა და შესახედავადაც არ ვარგოდა, სამაგიეროდ, უმცროსი, რაქელი, ისეთი მშვენიერი იყო, იაკობმა თვალი ვერ მოსწყვიტა. ბოლოს მან ძალა მოიკრიბა და ლაბანს უთხრა: „ვმონებდე შენ შვიდ წელს რაქელისთვის, ასულისა შენისა უმრწემესისა“.

ლაბანს გაეცინა და, რადგან ეს გარიგება ხელს აძლევდა, სიამოვნებით მისცა დასტური. ლაბანმა იაკობს საქონელი ჩაბარა. იაკობს ეს საქმე ემარჯვებოდა და ლაბანის საქონელმა ისე იმატა, როგორც არასდროს. შვიდმა წელმა შვიდ დღესავით გაიარა. დადგა ანგარიშის გასწორების დროც. ლაბანმა დაარწმუნა იაკობი, სიტყვას არ გავტეხო და რაქელის ქორწილზე ხალხი მოიწვია. ქორწილი ზარ-ზეიმით გადაიხადეს, უზომო სასმელ-საჭმელი დაუშვეს სუფრაზე. სტუმრებს არაფერი დაჰკლებიათ და დროც კარგად გაატარეს.

ადათისამებრ, საღამოჟამს საქმრო გაემართა ჩაბნელებული ოთახისაკენ, სადაც დედოფალი უნდა მიეყვანათ მისთვის. იაკობმა ზომაზე მეტი დალია და ოთახისაკენ მიმავალს ფეხი ეშლებოდა, რაც სტუმრებს ძალიან ესიამოვნათ. ყველაფერი წესის მიხედვით ხდებოდა. დილით, როცა ოთახში მზემ შემოიხედა, გამოფხიზლებულ იაკობს ელდა ეცა: თავის გვერდით ლია ისილა. მიხვდა, რომ ლაბანმა უნამუსოდ გააცურა და თავისი უშნო ქალი შეატყუა. გაცეცხლებული წამოვარდა და მწარე საყვედურებით ეცა სიმამრს. ბებერმა მელამ აუღელვებლად მიუგო: „არა არს ჩვენ თანა ეგრეთ — მიცემად უმრწემესისა უწინარეს უხუცესისა“. ამ უტიფარმა პასუხმა სულ დააკარგვინა იაკობს მოთმინება. გულმოსულმა ისეთი ამბავი დააწია, რომ იქაურობა შეაწრიალა. ლაბანი წარბშეუხრელად უსმენდა. როცა სიძე დაიღალა და ცოტა დამშვიდდა, სიმამრმა შესთავაზა — კიდევ შვიდი წელი მემსახურე და რაქელს გაგატანო. საწყალ იაკობს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა. დაეთანხმა, ოღონდ ამ პირობით: ლაბანს წინასწარ უნდა გადაეხადა საზღაური. პირველი ქორწილიდან ერთი კვირის თავზე მეორე ქორწილიც გადაიხადეს. ამრიგად, იაკობს ორი ცოლი შეართვევინეს. თქმა არ უნდა, იგი ლიას ცუდად ეპყრობოდა, რაქელს კი თავს ევლებოდა. სახლში უთანხმოება იყო. დები ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ, ორივე ცდილობდა ქმარი თავისკენ გადაებირებინა, ამიტომ ხშირად იყო ჩხუბი და დავა. ლამაზ რაქელს თითქოს ბედმა დასცინაო, იგი უშვილო გამოდგა, ლიამ კი ზედიზედ უშვა იაკობს ოთხი ძე. შეუხედავ ლიას ამით უზომოდ მოჰქონდა თავი. შვილებს ძუძუს რომ აწოვებდა, ლამაზ, მაგრამ უბედურ რაქელს

აბუჩად იგდებდა. სასოწარკვეთილმა რაქელმა იაკობს მიმართა: „მეც მე შვილი, თუ არა მოვკვდე“. იაკობი განრისხდა და უკმეხად უპასუხა: „ნუუკვე მე ვარ ღმერთი, რომელმან დაგაკლო შენ ნაყოფი მუცლისა?“

რაქელი ველარას გახდა და თავისი ტომის ძველ ადათს მიმართა. გამონახა ლამაზი მხევალი ბალა და იაკობს ხარჭად მიუგვარა. ბალა მართლაც მალე დაორსულდა. მან ახალშობილი რაქელს ჩაუწვინა კალთაში, რათა, ადათის მიხედვით, მხევლის ნაშობი რაქელის შვილად ყოფილიყო მიჩნეული. ასე დაიბადა ძე დანი. რაქელი ცას ეწია სიხარულით და აღტაცებით შესძახა: „განმიკითხა მე უფალმან, შეისმინა ვედრება ჩემი და მომცა მე ძე“. მალე ბალამ მეორე ვაჟი ვაჩინა. რაქელმა შვებით ამოისუნთქა და თქვა: „ვბრძოდი დასა ჩემსა და ვძლიე მას“. ახლა ლია დადარდიანდა. მოულოდნელად შეწყვიტა შვილოსნობა და აშკარად აგებდა დედების ორთაბრძოლას. ბოლოს დას მიჰბაძა და ქმარს აურჩია ხარჭა, რომელსაც ზელფა ერქვა. კეთილხმოვანი სახელის მქონე ლამაზი ხარჭა იაკობს თვალში მოუვიდა. ზელფამ ზედიზედ შობა ორი ვაჟი. ლია აღტაცებული იყო, დას კვლავ რომ აჯობა. „ნეტარ ვარ მე და მნატრიდენ მე დედანი“, — წამოიძახა მან.

ლიას ძემ რუბენმა მკის დროს მინდორში იპოვნა მანდრაგორა, რომელიც უშვილობისათვის უებარ წამლად ითელებოდა. მან სასწრაფოდ მიურბენინა იგი დედას, რომ კვლავ გაეჩინა შვილები. მოხერხებული რაქელი, ეს ამბავი რომ მიუვიდა, სასწრაფოდ გაიქცა ღასთან და სასწაულმოქმედი წამალი სთხოვა. ჯადო წამლის ბედნიერ მფლობელს აზრადაც არ მოსვლია, დას დახმარებოდა. გაკაპასებულმა ლიამ უპასუხა: „ვერ კმა არს შენდა, რამეთუ მიმიღე ქმარი ჩემი, და აწ მანდრაგორიცა ძისა ჩემისა მიმიღო?“

რაქელი ხელცარიელი გაბრუნდა*. მომავალზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და საამისო მიზეზიც ჰქონდა, ლიამ ხომ კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი შობა. მას უკვე შეეძლო თავი მოეწონებინა, ექვსი ღვიძლი ვაჟისა და ერთი ქალის ღედა იყო, მის მხევალ ზელფასაც ორი ძე ჰყავდა. თითქოს ლიას უკვე ველარავინ აჯობებდა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: თურმე რაქელს უშვილოდ გადაგება არ ეწერა, მან შვა ძე, რომელსაც იოსები უწოდა.

მეორე შვიდი წელიც გავიდა და იაკობმა ქანაანში დაბრუნება გადაწყვიტა. მან ლაბანს დამატებითი სასყიდელი მოსთხოვა თავისი შრომისათვის. „შენ უწყი, ვითარ გმონე და რავდენ არს საცხოვარი შენი ჩემ თანა, რამეთუ მცირედ იყვნეს ვიდრე ჩემს მოსვლამდე. და აღადგინა უფალმან სიმრავლე მათი და გაკურ-

თხა შენ უფალმან მოსელასა ჩემსა შენ თანა“, — უთხრა მან სიძ-
მამრს.

ლაბანი ახალ-ახალ მიზეზებს ეძებდა, მაგრამ გულში კი
გრძნობდა, რომ სიძე მართალი იყო და ნელ-ნელა ყრიდა ფარ-
ხმალს. ყოყმანი რომ შეამჩნია, იაკობმა შესთავაზა — დავრჩები
შენთან და ვიმუშავებ, ოღონდ სასყიდლად უნდა მომცე, რაც
ფარაში ჭრელი თხა და ცხვარი გყავს. და ისიც უნდა მომცე,
რაც მერე გაჩნდებაო. ლაბანის ფარაში თეთრი და შავი თხა და
ცხვარი ჭარბობდა, ჭრელი კი თითქმის არ იყო, ამიტომ ლაბანი
სიამოვნებით დაეთანხმა და ჩუმ-ჩუმად დასცინოდა კიდეც სიძის
გულუბრყვილობას. ლაბანი ძალიან მოტყუვდა, — მას დაავიწყ-
და, რომ იაკობი თითქმის ბავშვობიდანვე მისდევდა მესაქონლე-
ობას და ცხვრის შეჯვარება-გამრავლების საქმეში მისგან არა-
ფერი ესწავლებოდა. იაკობი აგროვებდა ნედლ წნელებს, ზოლ-
ზოლად აცლიდა ქერქს და წყალსასმელ ისარნებთან ასობდა.
წყლის სასმელად მოსული ფარა აჭრელებულ წნელებს ხედავ-
და და თხაცა და ცხვარიც ჭრელს შობდა. ლაბანი დროზე ვერ
მიხვდა, რომ მის ფარაში შავი და თეთრი პირუტყვი თანდათან
გაწყდა, ჭრელმა კი იმატა და იმატა. ლაბანი თანდათან გაღატაკ-
და, იაკობი კი გამდიდრდა. მას უკვე ჰყავდა აუარებელი ცხვარი,
თხა, აქლემი, ვირი და მონა-მხევლები. ერთი სიტყვით, მოვიდა
სეტყვა და დახვდა ქვა. ლაბანის ვაჟებს, რა თქმა უნდა, ეს არ
მოსწონდათ. დაინახეს, რომ ეშმაკმა სიძემ მათ მთელი ქონება
გამოსტყუა, განგაში ატეხეს: „მიიღო ყოველი, რაიცა იყო მამი-
სა ჩვენისა და ყოვლისაგან, რომელი იყო მამისა ჩვენისა, შექ-
მნა სიმდიდრე ესე!“

იაკობი თავს იცავდა და ამბობდა — ღმერთმა ლაბანი ჩემი
მოტყუებისათვის დასაჯა და ჭრელი თხა და ცხვარიც ამიტომ
გააჩინაო. „მიიღო ღმერთმან ყოველი ცხოვარი მამისა თქვენისა
და მომცა მე“, — უხსნიდა იგი თავის ცოლებს. ქმრის მოყვა-
რულმა ცოლებმა მხარი იაკობს დაუჭირეს. როცა იაკობმა მათ
საიდუმლო გაანდო — ღმერთი ქანაანში წასვლას მიბრძანებსო,
ორივეს გუნება გაუნათლდა; დრო იხელთეს და მამას ძველი ამ-
ბავიც წამოაყეედრეს: „ანუ არა ვითარცა უცხონი შერაცხილ
ვართ მის წინაშე, რამეთუ განგვყიდნა ჩვენ და შეჭამა ვეცხლი
ჩვენი? ყოველი სიმდიდრე, რომელი მიიღო ღმერთმან მამისა-
გან ჩვენისა, იყოს ჩვენდა და შვილთა ჩვენთა. აწ ვითარცა გრქვა
შენ უფალმან შენმან, ეგრეცა ყავ!“

იაკობი გაიქცა. ლაბანის ოჯახში ყველაფერი აირია.
იაკობი უსაფუძვლოდ როდი ფიქრობდა, ლაბანის შვილები
მოინდომებენ ქონება ძალით წამართვანო — და გადაწყვიტა ქა-
რანიდან გაპარულიყო.

იაკობმა არ იცოდა, რომ გამგზავრების წინ რაქელმა მამის სახლიდან მოიპარა პატარა გამოსახულებები ფუძის ღმერთებისა, რომლებიც ძველთაგანვე თარას ძოელი მოღგმის მფარველები იყვნენ.

იაკობს მიჰყავდა ვეებერთელა ქარავანი — აქლემები, ვირები ტვირთის საზიდავად, ვერძები, ცხვარი და თხა. მას ახლდა ორი ცოლი, ორი ხარჭა, თერთმეტი ძე და მრავალი მსახური თავთავისი ოჯახით. ასეთ ქარავანს ქარანიდან შეუმჩნეველად გასვლა არც შეეძლო, მაგრამ ლაბანი მაინც მსოლოდ მესამე დღეს მოეგო გონს. მან სასწრაფოდ უხმო ვაჟებს, შეიარაღებული მსახურები გაიყოლა და ქარავანს გამოუდგა. გზაში იგი ღმერთმა გააფრთხილა — იაკობს არ აწყენინო და სისხლი არ დაღვაროო.

ლაბანმა იაკობს შვიდ დღეს სდია და გალაადის მთასთან დაეწია, როცა იაკობი კარვებს შლიდა. ლაბანი შეიარაღებული მსახურების თანხლებით მივიდა იაკობთან და უთხრა „ესე რა მიყავ? მეცრუვე მე და წარმოიყვანენ ასულნი ჩემნი, ვითარცა ტყვენი მახვილითა. რად წარმოხვედ იდუმალ, დამემალე მე და არა მითხარ მე? წარმოგგზავნიდი შენ მხიარულებითა და გალობითა, ბობღნითა და ქნარითა. არა ვღირდი ამბორის-ყოფად ყრმათა ჩემთა და ასულთა ჩემთა? ხოლო აწ უგუნურად ჰყავ. შემძლებელ ვარ ბოროტის ყოფად შენდა. ხოლო ღმერთმან მამისა შენისამან მრქვა მე გუშინ: „ეკრძალე, არა უთხრა იაკობს არცა ბოროტი, არცა კეთილი“. აწ წარმოსულ ხარ, რამეთუ გულმან გითქვა წარსვლა სახლად მამისა შენისა; ხოლო რად წარმოიპარენ ღმერთნი ჩემნი?“

იაკობი გაოცდა. ღმერთების მოპარვის ამბავი მან არ იცოდა. ლაბანს ქურდის დასჯას დაჰპირდა და ბანაკი გააჩხრეკინა. ლაბანმა გულდასმით მოათვალიერა იაკობის, ლიას და ორი ხარჭის კარვები, შემდეგ კი რაქელის კარვისაკენ გაემართა. დამნაშავემ უცებ შემალა პატარა ქანდაკებები აქლემის უნაგირის ქვეშ და თვითონ ზედ დაჯდა. ლაბანს აზრადაც არ მოსვლია ქანდაკებების ძებნა უნაგირის ქვეშ და, რა თქმა უნდა, მათ კვალსაც ვერ მიაგნო.

ახლა იაკობი გაჯავრდა. გული მოუვიდა სიმამრზე დადევნებისა და შეურაცხმყოფელი ჩხრეკისათვის და ლაბანს მოაგონა ყველა დამცირება, რაც მან ოცი წლის განმავლობაში გადაიტანა. „აღიხილე ყოველი ჭურჭელი სახლისა ჩემისა? რა ჰპოვე ყოველისაგან ჭურჭლისა შენისა? — განრისხებით ჰკითხა მან, — დადევ აქა წინაშე ყოველთა ძმათა შენთა და ძმათა ჩემთა და განსაჯონ შორის ჩვენსა. ესე ოცი წელი არს, ვარ მე შენ თანა. ცხოვარნი შენნი და თხანი შენნი არა უშვილო იქმნნეს, ვერძნი ცხოვართა შენთანი არა შევჭამენ. ნამხეცავი არაოდეს მოგართვი შენ. მე ვზღევდ ნაპარევსა დღისა და ღამისასა. შევიწვებო-

დი სიცხითა დღე და ყინვითა ღამე, და განშორებულ იყო ძილი თვალთა ჩემთაგან; ესე ოც წელ არს, ვარ მე სახლსა შენსა, გძონე შენ ათოთხმეტ წელ ორთა ასულთა შენთათვის და ექვს წელ ცხოვართა შენთათვის... არა თუმცა ღმერთი მამისა ჩემისა, ღმერთი აბრაჰამისი იყო ჩემ თანა, ცალიერიმცა გამოგიგზავნე".

ლაბანი ისევ თავისას გაიძახოდა, იაკობის მიერ წამოღებული მთელი ქონება მე მეკუთვნისო, მაგრამ სიძეს მაინც მისცა ქანაანში გამგზავრების ნება. „ასულნი ესე ჩემნი არიან და ძენი ესე ჩემნი არიან და საცხოვარი ესე ჩემი არს. და ყოველი, რომელსა ჰხედავ, ჩემი არს. და აწ რა ეყო ასულთა ჩემთათვის და ძეთა მათთა?"

ლაბანმა იაკობს შესთავაზა, შევრიგდეთო. შეთანხმების ნიშნად მათ აღმართეს ქვების ბორცვი, რომელსაც ლაბანმა იეგარსაჰადუთა უწოდა, იაკობმა კი გალაადი, ლაბანმა თქვა: „ესე ბორცვი და ესე ძეგლი მოწამე არს შორის შენსა და ჩემსა... არცა მე გარდამოვიდე შენდა და არცა შენ გარდამოხვიდე ჩემდა ბოროტებით... ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ნაქორისი მსაჯულ არს შორის ჩვენსა".

სუფრა გაშალეს და ერთად ჭამეს პური. შემდეგ ლაბანმა გადაკოცნა ასულები, შვილიშვილები და ვაჟების თანხლებით უკან გაბრუნდა.

იაკობი ღმერთს ებრძვის. იაკობი ქანაანის ხაზღვარს გასცდა და ადგილს, სადაც ბანაკი გაშალა, მაქანაიმი უწოდა. ადგილობრივ მკვიდრთაგან ესავის ამბავი გაიგო და შეშფოთდა: ესავი დასახლებულიყო მკვდარ ზღვასთან, ხეებით დაბურულ სეირის ზეგანზე და ედომის მმართველი გამხდარიყო. მეტწილად მთებში ნადირობდა და, თუ შემთხვევა მიუცემოდა, არც ძარცვაზე ამბობდა უარს. ქანაანის მჭიდროდ დასახლებულ ხეობებში ესავს სახელი ჰქონდა გატეხილი. იაკობს შიშისაგან გული შეეკუმშა. ძმასთან პირშავად იყო. არც იმის იმედი ჰქონდა, რომ ესავს მისი ძველი ჯავრი დავიწყებული ექნებოდა. იაკობმა ესავს მოციქულები გაუგზავნა და პატიება ათხოვნინა. ისინი მალე მობრუნდნენ და იაკობს აცნობეს — ესავი ოთხასი შეიარაღებული კაცით შენ შესახვედრად მოდისო. შეძრწუნებულმა იაკობმა ღმერთს შესთხოვა: „მიხსენ, მე, უფალო, ხელთაგან ძმისა ჩემისა ესავისთა, რამეთუ მეშინის მე მისგან, ნუუკვე მოვიდეს და მოკლას დედა შვილთა თანა. და შენ მითხარ მე: „გაკურთხო შენ და განვამრავლო ნათესავი შენი, ვითარცა ქვიშა ზღვისა".

შემდეგ იგი მზადებას შეუდგა. ვირები, ხარები, აქლემები,

ცხვრები და ხალხი ორად გაყო და ერთმანეთისაგან დაშორებით დაბანაკა, რომ თავდასხმის შემთხვევაში ერთ-ერთი მაინც გაქცეულიყო და გადარჩენილიყო. გარდა ამისა, იაკობმა გადაწყვიტა, უხვი საჩუქრებით მოენადირებინა ესავის გული. „დავამშვიდო გული მისი ძღვნითა წინასწარ წარგზავნილითა, ხოლო შემდგომად ამისა ვიხილო პირი მისი; ვინ იცის, შემიტკბოს შე“, — ფიქრობდა იგი. იაკობმა ქარავნიდან გამოყო ორასი დედალი თხა, ოცი ვაცი, ორასი ცხვარი, ოცი ვერძი, ოცდაათი აქლემი კოზაკებითურთ, ორმოცი ძროხა, ათი ხარი, ოცი დედალი და ათი მამალი ვირი. ეს უზარმაზარი ჯოგი სამ ნაწილად გაყო და ნაწილ-ნაწილ უგზავნიდა ძმას, რომ თანდათან მოელბო მისი გული.

ღამე იაკობმა გაათია ბანაკში, სადაც ძალიან უცნაური რამ გადახდა. ესიზმრა, თითქოს გააფთრებით ებრძოდა ღმერთს*, — „არა განგიტევო ვიდრემდე ძაკურთხო“, — ისე უყვიროდა იგი შას, როგორც თავის ტოლს. იაკობი თავგამოდებით იბრძოდა და ბოლოს აიძულა ღმერთი, ეკურთხებინა იგი, როგორც ისააკის კანონიერი შემკვიდრე. ღმერთი განთიადამდე ერკინებოდა იაკობს, დარწმუნდა, რომ მისი დაძლევა არ შეეძლო და ბარძაყის ძარღვზე შეახო ხელი. ბარძაყი მაშინვე გაუხმა. იაკობას ხელიდან თავი რომ დაიხსნა, ღმერთმა აკურთხა იგი და უთხრა, ამიერიდან შენი სახელი იქნება ისრაელი, რაც „ღმერთთან მებრძოლს“ ნიშნავს.

დილით იაკობმა გაიღვიძა და იგრძნო, რომ ცალი ფეხით კოჭლობდა, მაგრამ ეს არაფრად ჩაუგდია, რადგან ღამით მომხდარმა ამბავმა გაუქარწყლა ეჭვი, რომელიც წლობით აწამებდა. ღმერთმა აკურთხა იაკობი და ამით დააკანონა მოტყუებით მოპოვებული პირმშოების უფლება; გარდა ამისა, აღუთქვა, რომ იაკობი იქნებოდა მამამთავარი ტომისა, რომელიც სხვა ხალხებზე იბატონებდა. ადგილს, სადაც ეოველივე ეს მოხდა, იაკობმა უწოდა ფენუელი, რაც „ღვთის სახეს“ ნიშნავს. ისრაელის ძენი ამ შემთხვევის სამახსოვროდ დაკლული საქონლის ბარკლის ძარღვს არ ჭამენ.

შეხვედრა ესავთან. ბოლოს გამოჩნდა ესავი თავის მებრძოლებთან ერთად. ღვთისაგან ნაკურთხ იაკობს მაინც შიშით ელეოდა გული. იგრძნო თუ არა ძმის მოახლოება, ოჯახი სამ ჯგუფად გაყო. წინ დააყენა ორივე ხარჭი და მათი შვილები, შემდეგ ლია და მისი ნაშიერი, ბოლოს კი თავისი საყვარელი რაქელი და იოსები. იაკობმა დაინახა, რომ ესავს არაფერი დაუშავებია მათთვის და თვითონაც გაბედა ძმასთან მისვლა. მიუახლოვდა და შვიდჯერ სცა თაყვანი. ესავს დავიწყებოდა, რაც

იაკობმა აწყენინა. მან გულში ჩაიკრა ძმა და სიხარულისაგან ატირდა. თავშეყრილ ქალებსა და ბავშვებს რომ შეხედა, გაოცება ვერ დამალა და ძმას ჰკითხა: „ვინ არიან ესენი?“ „ყრმანი, რომელნი წყალობით მისცნა უფალმან მონასა შენსა“, — უპასუხა იაკობმა. მხევლები მდაბალი სალმით ეახლნენ ესავს.

ესავმა მხოლოდ ახლა მოჰკრა თვალი უზარმაზარ ჯოგს, რომელსაც იაკობი წინ მიერეკებოდა. „ვისთვის არს ბანაკები ესე, რომელ შემემთხვია მე?“ — ჰკითხა ესავმა. შენთვისო, — მიუგო იაკობმა. ესავი კარგა ხანს უარზე იყო, მაგრამ დაჟინებული თხოვნის შემდეგ, როგორც იქნა, საჩუქარი მიიღო.

ესავმა ძმა მთებში მიიპატიჟა და შესთავაზა, დარჩენილი გზა ერთად განვაგრძოთო. იაკობი ჯერ კიდევ მთლად არ ენდობოდა ძმას. ისეთი სახე მიიღო, თითქოს მიწვევაზე დაეთანხმა, ოღონდ უთხრა — ჩვენი ერთად წასვლა არ შეიძლებაო. მან ასეთი მიზეზი მოიდო: ჯოგს უნდა გავუფრთხილდე; ნელ-ნელა ვიარო და ხშირად შევისვენოო. გამოეთხოვა ძმას, აღუთქვა — კვალდაკვალ მოგყვები და სეირის ზეგანზე გესტუმრებიო.

იაკობის ძენი დის სისხლს იღებენ. ის იყო ესავი თვალს მიეფარა, რომ იაკობმა გზას გადაუხვია, იორდანე გადალახა და ქალაქ სიქემში დაბანაკდა. სიქემის მეფემ ემორმა ნება დართო, მის ქვეყანაში დასახლებულიყო. იაკობმა იყიდა მიწის ნაკვეთი, გაშალა კარვები და გადაწყვიტა, აქ დაფუძნებულიყო, მაგრამ მალე ისეთი რამ შეემთხვა, რომ გეგმები მთლად ჩაუშალა. სასეირნოდ გამოსული იაკობის ქალიშვილი დინა ემორის უფროსმა ვაჟმა სვიქემმა მოიტაცა და ნამუსი ახადა. ახალგაზრდა უფლისწული მთლად პირისწყალდაკარგული არ ყოფილა, შეუყვარდა თავისი მსხვერპლი და მისი ცოლად შერთვა განიზრახა. მამასთან ერთად დაუყოვნებლივ გაეშურა იაკობთან ქალის სათხოვნელად. ამ დროს იაკობის ძენი მინდვრად მუშაობდნენ. როცა დაბრუნდნენ და უფლისწულის საქციელი შეიტყვეს, საშინლად განრისხდნენ. დის მოტაცება იმ დროს უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა. უდაბნოს ადათ-წესების მიხედვით ამ შეურაცხყოფის გამოსყიდვა მხოლოდ სისხლით შეიძლებოდა. თარას შთამომავლები ამაყნი და თავისუფლებისმოყვარენი იყვნენ. მათ არ ესმოდათ ქალაქელებისა, რომელთაც ღირსება, პატიოსნება და რასობრივი სოლიდარობა დიდად არაფრად მიაჩნდათ. იაკობის ძეთა მრისხანება რომ იხილა, ემორი შეცბა და მათი დაყოლიება სცადა: „ძეთან ჩემთან აღირჩია სულითა თვისითა ასული თქვენი. მიეცით იგი მას ცოლად, გვემეგობრეთ, ასულნი თქვენნი მოგვცენით ჩვენ, ასულნი ჩვენნი მიათხოვენით ძეთა თქვენთა. დაეკვიდრენით ჩვენს შორის; აბა,

ფართო არს ქვეყანა ესე; დაეშენენით, ივაჭრეთ და დაეუფლენით მას“. სვიქემს სინდისი აწუხებდა და ამიტომ დასძინა: „რათა ვპოვო მადლი წინაშე თვალთა თქვენთა, ყოველი, რომელიცა სთქვათ, მოგცე თქვენ. განაძრავლეთ სასყიდელი ფრიად და მოგცე თქვენ... და მომეცით მე ქალი იგი ცოლად“. რა ცუდად იცნობდა ემორი ებრაელ მესაქონლეებს! იგი მათ დანათესავებას და ერთ ერად შეერთებას სთავაზობდა. სწორედ ამისა ეშინოდათ ყველაზე მეტად იაკობსა და მის შვილებს. ისინი ისე უფრთხილ-დებოდნენ ტომის სიწმინდეს, რომ ცოლის სათხოვად შორეულ ქარანში მიდიოდნენ. თუ რომელიმე ძე სხვა ტომის ქალს შეირ-თავდა, მას კიცხვა ხვდებოდა წილად.

იაკობის შვილებმა წამოაყენეს ერთი პირობა; ეგონათ, მეფე მას არ მიიღებდა. მათ მოითხოვეს, რომ მეფეს, მის ვაჟებსა და მთელი ერის მამაკაცებს წინა დაეცვითათ. მათ თქვეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგთანხმდებით, „უკვეთუ იქმნეთ თქვენ, ვითარ-ცა ჩვენ ვართ, უკვეთუ წინა დაიცვითოს ყოველმან წულმან თქვენმან. მაშინ მიგცნეთ ასულნი ჩვენნი და ასულნი თქვენნი მოვიყვანნეთ ჩვენ. და თუ არა ისმინოთ ჩვენი, რათა წინა დაი-ცვითოთ, წარვიყვანოთ ასული ჩვენი და წარვიდეთ“.

იაკობის ძენი სახტად დარჩნენ, როცა მეფემ ეს პირობაც მიიღო. როგორც ჩანს, სვიქემს დინა დიდი, ნამდვილი სიყვარუ-ლით უყვარდა. გარდა ამისა, მეფეს ენანებოდა ქონებისა და დოვლათის ხელიდან გაშვებაც. თავის ქვეშევრდომებს ურჩევდა, წინადაცვეთაზე დათანხმდითო, თან არწმუნებდა, მაშინ ინდო-მებენ ჩვენთან დამკვიდრებასა და შეერთებას, თუ ჩვენი მამაკა-ცებიც მათ მსგავსად წინა-დაცვეთილნი იქნებიანო: „და საცხო-ვარი მათი და მონაგები მათი და ყოველი ოთხფეხი მათი არა ჩვენი არს? ამით ხოლო ვემსგავსნეთ მათ და დაიმკვიდრონ ჩვენ თანა“.

საქმეს თითქო მართლა კეთილი ბოლო უჩანდა. სიქემისა და მისი შემოგარენის ყველა მამაკაცმა წინა დაიცვითა. მესამე დღეს, როცა ისინი, ოპერაციისაგან დაუძლურებულნი, თავ-თავის სახლებში იწვნენ, დინას ძმებმა, სიმონმა და ლევიმ, შეყარეს თავისიანები, ერთიანად ამოხოცეს სიქემელები და დინა მეფის სასახლიდან წაიყვანეს. ამასობაში დანარჩენმა ძმებმა გაძარ-ცვეს ქალაქი, ტყვედ წარეკეს ქალები და ბავშვები, წაასხეს მთელი საქონელი. იაკობმა არაფერი იცოდა შვილების შეთქმუ-ლებაზე და ძალიან ააღელვა ამ სისხლიანმა შურისძიებამ. მან უხმო სიმონს, ლევის და მწარედ უსაყვედურა. „საძულელ მქმე-ნით მე წინაშე მკვიდრთა ამის ქუეყანისათა — ქანაანელთა და ფერეზელთა და მე მცირე ვარ რიცხვით და შეკრბენ ჩემ ზედა და მომკლან მე და აღვიხოცო მე და სახელი ჩემი“, — თქვა მან.

იაკობი ბეთელსა და მამბრეში. იაკობი სასწრაფოდ უნდა წასულიყო სიქემიდან, რომ მეზობელ ტომებს შური არ ეძიათ მასზე ემორთან სისხლით ანგარიშის გასწორების გამო. ღამით მას ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: „აღდეგ და წარეედ ბეთელს და დაემკვიდრე მუნ. და აღუშენე საკურთხეველი ღმერთსა, რომელი გეჩვენა შენ, ოდეს იელტოდი ძმისაგან შენისა“. მეორე დღეს იაკობმა მთელ თავის ტომს მოუწოდა, განწმენდილიყო ცოდვისაგან და კერპთაყვანისმცემლობას განდგომოდა. „განასხენით ღმერთნი უცხონი, რომელნი არიან შორის თქვენსა, განიწმინდენით და ცვალეთ სამოსელი თქვენი. აღვდგეთ და აღვიდეთ ბეთელს. მუნ აღუშენო საკურთხეველი ღმერთსა, რომელმან შეისმინა ჩემი და იყო ჩემ თანა გზასა, რომელსა ზედა ვიდოდი“. ამის შემდეგ იაკობის შინაურებმა სიქემის ასლოს, დიდი მუსის ქვეშ ჩაფლეს მესოპოტამიიდან მოტანილი წარმართული კულტის სხვადასხვა საგანი.

იაკობი გზას გაუდგა. ახლომახლო ქალაქების მცხოვრებთ ღმერთის შეეშინდათ და ამიტომ მას არავინ გამოსდევნებია. ბეთელში რომ მივიდა, იაკობმა ააგო სამსხვერპლო და ამ ადგილს ელ-ბეთელი უწოდა, რადგან სწორედ აქ გამოეცხადა ღმერთი, როცა ესავს გამოექცა. აქ მან ღმერთს მსხვერპლად შესწირა ცხვარი და ზეთი. იაკობს კვლავ გამოეცხადა ღმერთი, ერთხელ კიდევ დაუდასტურა, ნამდვილად ისრაელი გქვიაო, და უთხრა: „მე ვარ ღმერთი ყოვლად მძლე. აღორძნდი და განმრავლდი. შენგან იყოს დასაბამი ხალხთა მრავალთა, და მეფენი გამოვლენ წელთა შენთაგან; და ქვეყანა, რომელი მივეც აბრაამსა და ისაკს, მოგცე შენ. შენდა იყოს იგი და ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა“.

როცა ისინი ბეთელიდან წავიდნენ ეფრათას (მას შემდგომში ბეთლემი ეწოდა), რაქელი მოსალოგინებლად დაწვა. მან იაკობს ვაჟი უშვა, მაგრამ თვითონ მუცელს გადაჰყვა. იგი ძალიან იტანჯებოდა და სიკვდილის წინ შვილს დაარქვა ბენონი, რაც „სალმობის ძეს“ ნიშნავს; მაგრამ მეთორმეტე ძის დაბადებით გახარებულმა იაკობმა მას სახელი შეუცვალა და უწოდა ბენიამენი — „ძე მარჯვენისა“ (მარჯვენა ხელის შვილი).

როგორც ჩანს, იაკობს ქანაანში მშვიდად ცხოვრება არ ეწერა. იგი დასახლდა გადერში, სადაც მისმა შვილმა რუბენმა კვლავ დანაშაული ჩაიდინა, მან მამამისის ხარჭა ბალა შეიყვარა. ახალი უბედურებით აღშფოთებული იაკობი გადასახლდა მამბრეში, სადაც მოხუცი ისაკი მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას. შვილის სიყვარულით გული რომ იჯერა, ისაკი გარდაიცვალა. იგი ას ოთხმოცი წლისა იყო. დასაფლავებაზე მოვიდა ესავიც. ძმებმა თანხმობითა და მშვიდობიანად დაასაფლავეს მამა საგვარეულო აკლდამა მაქფელაში, სადაც განისვენებდნენ აბრაამი და სარრა.

სიმართლე და ლეგენდა პატრიარქებზე

უკვე ვიცით, რომ ბიბლიის ტექსტის ჩვენამდე მოღწეული ვარიანტი შეიქმნა შედარებით გვიან, მას შემდეგ, რაც ებრაელები ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნდნენ, ესე იგი, ძველი წელთაღრიცხვის VI და IV საუკუნეებს შორის. საბოლოო ვარიანტის ავტორები იყვნენ ქურუმები. ამ ათი მიზანი იყო არა ხალხის ისტორიის დაწერა, არამედ შეგონება და ჭკუის სწავლება. ქურუმთა აზრით, ისტორია იყო იარაღი, რომელსაც ღმერთი იყენებდა თავისი ნების განსაცხადებლად, ვინმეს დასასჯელად ან დასაჯილდოებლად. ისინი თავისი რელიგიური და დიდაქტიკური მოსაზრებების შესაბამისად უცვლიდნენ სახეს ტრადიციულ ისტორიულ მემკვიდრეობას, აკლებდნენ მას ყველაფერს, რაც მათთვის ხელსაყრელი არ იყო და ავსებდნენ ტექსტს საკუთარი გამონაგონით, რომელშიც ცხადად იყო გამოკვეთილი ესა თუ ის რელიგიური იდეა. იმ ბიბლიურ გმირებს, რომლებიც, მათი აზრით, ღვთის მცნებას ემორჩილებოდნენ, ისინი დადებითად აფასებდნენ, მათ კი, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო კანონს არღვევდა, დამსახურებულად დასჯილ ცოდვილად გამოსახავდნენ.

უეჭველია, ქურუმები იყვნენ არა ორიგინალური ავტორები, არამედ მხოლოდ კომპილატორები და უფრო ძველი ტექსტების რედაქტორები. ბიბლიის დაწვრილებითმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მის ტექსტში აშკარად შეიმჩნევა სამი სხვადასხვა ფენა; ყველაზე ძველი. ნაწილი ბიბლიისა დაწერილია IX საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მისი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ უცნობი ავტორები ღმერთის აღსანიშნავად ხმარობენ „ელოჰიმ“ სიტყვას. უფრო გვიანდელ, ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის ტექსტებში კი ღმერთს „იაჰვე“ ეწოდება. ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ორივე ნაწილი გაერთიანებულია ისე, რომ ტექსტში „ელოჰიმი“ და „იაჰვე“ განუწყვეტლივ ენაცვლებიან ერთმანეთს*. მოგვიანებით ამ გაერთიანებულ ვარიანტებს მრავალგზის იწერდნენ და ასწორებდნენ. საბოლოო ვარიანტი ქურუმებმა გამოიყენეს საფუძვლად ბიბლი-

ური თქმულებების იმ სახით შესაქმნელად, რა სახითაც ისინი ბიბლიის კანონიკურ ტექსტში გაერთიანდნენ.

ბიბლიის ტექსტის კრიტიკული ანალიზისა და ცალკეული ნაწილების ქრონოლოგიის დადგენის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა გერმანელმა მეცნიერმა იულიუს ველჰაუზენმა. ბიბლიის ტექსტის გულდასმითმა კვლევამ იგი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: ბიბლიაში აღწერილი ისტორია ებრაელი ერისა არაა გადმოცემა იმხანად მომხდარი ამბებისა, ეს ისტორია დაიწერა ბევრად უფრო გვიან; მაშასადამე, შედარებით მცირე ხნის წინათაა შექმნილი ლეგენდები პატრიარქებზე, მოსესა და მსაჯულებზეც კი. ველჰაუზენის სკოლა უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში. მას დღესაც ჰყავს თავისი მომხრეები, მაგრამ მეცნიერება წინ მიდის. უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენები აბათილებენ გერმანელი მეცნიერის მრავალ დასკვნას. არქეოლოგებმა მიაკვლიეს არქივებს ისეთ ქალაქებში, როგორიც იყო ნინევია, მიაგნეს პატრიარქებზე გავრცელებულ თქმულებებში მოხსენებულ პალესტინის ქალაქთა ნაშთებს. ამ აღმოჩენათა შეპირისპირება ბიბლიის ტექსტებთან უცილოდ მოწმობს, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ქურუმების მიერ გამოყენებული ისტორიული მემკვიდრეობა ბევრად უფრო ადრინდელია, ვიდრე ველჰაუზენი ვარაუდობდა.

ამ ისტორიულ მემკვიდრეობას თაობიდან თაობას გადასცემდნენ ძველი ებრაელები. ზეპირი გადმოცემის გამო ნამდვილ ამბებს იმდენი ლეგენდა, თქმულება, გადმოცემა, მითი, იგავი თუ თქმულება დაერთო, რომ ახლა უკვე ძნელია გამოგონილისა და სიმართლის ერთმანეთისაგან გარჩევა. ქურუმი კომპილატორები მოურიდებლად ასხვაფერებდნენ თქმულებებს თავისი რელიგიური დებულებების შესაბამისად. შეგონებათა საფუძვლად კი მაინც ხალხის შემოქმედებითი ფანტაზიის, ზრახვათა, მისწრაფებათა და ადათ-წესთა ამსახველ ძველ თქმულებებს იყენებდნენ. უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო ქურუმებმა შიგადაშიგ ტექსტებში დატოვეს მათი სიძველის დამადასტურებელი ადგილები. მაგალითად, დაბადებაში შემონახულია პოლითეიზმისა და ფეტიშიზმის აშკარა გადმონაშთები. პატრიარქებზე გავრცელებულ თქმულებებში ძალიან ხშირად ვხვდებით მესოპოტამიური წარმოშობის ადათებსა და მითებს.

ნინევიისა და უგარითის გათხრების დროს ნაპოვნი ლურსმული ფირფიტები გვამცნობენ, რომ ბიბლიური თქმულებები ადამსა და ევაზე, ბაბილონის გოდოლსა და მსოფლიო წარღვნაზე, ცოტად თუ ბევრად, შუმერული და ბაბილონური მითებიდან მომდინარეობს. ბიბლიაში აღწერილი ზოგიერთი ჩვეულება გავრცელებული იყო მესოპოტამიაში. ამ წესების ნაწილი ხამუ-

რაბის კანონებშიცაა გამოხატული. ერთი სიტყვით, ზოგიერთი ბიბლიური თქმულების საწყისი მეტისმეტად შორეულ ეპოქაშია საძებარი.

მეცნიერებს დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ხალხური ლეგენდები მხოლოდ ზეპირი გადმოცემით ვრცელდებოდა. მაგრამ ინგლისელმა არქეოლოგმა ფლინდერს პეტრიმ 1905 წელს სინას მთაზე მდებარე სპილენძის მაღაროში მიაკვლია კლდეზე ამოკვეთილ წარწერას, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნეს განეკუთვნება. ამ აღმოჩენის შემდეგ წარმოიშვა ჰიპოთეზა, რომ უძველესი ბიბლიური თქმულებების ავტორებს ხელთ ჰქონდათ აგრეთვე რაღაც წერილობითი წყაროები. წარწერა ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გაშიფრული, მაგრამ უკვე დადგენილია, რომ იგი ოცდათორმეტ ნიშანს შეიცავს და შესრულებულია რომელიღაც სემიტურ ენაზე. ვარაუდობენ, რომ წარწერა ამოკვეთილია ისრაელიტელი მონების მიერ, რომლებიც ეგვიპტელებმა მაღაროში იძულებით სამუშაოზე გამოაგზავნეს. მაშასადამე, სავსებით სარწმუნოა, რომ ქანაანის მცხოვრებლები უკვე ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში აღგენდნენ წერილობით დოკუმენტებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ანბანური დამწერლობის სამშობლო იყო ქანაანის მოსაზღვრე ფინიკია. გარდა ამისა, ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნის საბუთებში, რომელიც თელ-ამარნაშია ნაპოვნი, აღმოჩენილია ვრცელი მიმოწერა ქანაანსა და ეგვიპტეს შორის. ყველა ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ, თუ ადრე არა, ყოველ შემთხვევაში, მოსეს დროს მაინც, ისრაელიტელებს ჰქონიათ დამწერლობა.

მაშ რატომაა ესოდენ ღარიბი წერილობითი წყაროებით პალესტინის გათხრები? ეგვიპტესა და მესოპოტამიაში ხომ ნაპოვნია უზარმაზარი არქივები, რომლებიც დაწვრილებით გადმოგვცემენ ამ ქვეყნების ისტორიას; პალესტინაში კი აღმოჩენილია წერილობითი საბუთების უმნიშვნელო რაოდენობა, მაგალითად, გეზერის ცნობილი კოდექსი — X საუკუნისა, ეზეკიელის ჩანაწერები — VII საუკუნისა და ლაქიშის წერილები — VI საუკუნისა. ამის ახსნა ადვილია: პალესტინაში ტუშით წერდნენ თიხის მყიფე ნამტვრევებზე, მესოპოტამიაში კი ლურსმული ნიშნები გამოჰყავდათ თიხის სქელ ფირფიტებზე, რომელთაც შემდეგ გამოწვავდნენ ხოლმე. პალესტინის ნოტიო ჰავამ თიხის ნატეხები დაშალა, სასწაულებრივ გადარჩენილ ზოგიერთ ნატეხზე კი ტუშით ნაწერი იმდენადაა გადაშლილი, რომ მისი წაკითხვა შეუძლებელია. 1960 წელს არქეოლოგებმა იპოვეს ძალიან კარგად შენახული წერილი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეს განეკუთვნება. წერილში ვლეხი მთავართან უჩივის გადასახადის ამკრეფს, რომელსაც მისთვის

ვითომდა გადაუხდელი ბეგარის გამო მოსასხამი წაურთმევია. წერილს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. იგი გვიჩვენებს, რომ იმ დროს პალესტინაში ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი სარგებლობდნენ დამწერლობით.

ბიბლიური თქმულებების სიძველეს მათი შინაარსიც გვიდასტურებს. ქანაანში აბრაამის ცხოვრების ხასიათი ტიპიურია მომთაბარე მესაქონლე ტომებისათვის.

წლის გარკვეულ დროს პატრიარქი შლიდა ბანაკს რომელიმე ქალაქის გალავანთან და ქალაქურ ნაწარმზე ცვლიდა თავის საქონელს — რძეს, მატყლსა და ტყავს. ბანაკი წრისებურად განლაგებული კარვებისაგან შედგებოდა, კარვებთან ისხდნენ ქალები, ართავდნენ მატყლს და მღეროდნენ მესოპოტამიურ სიმღერებს.

შუაში იდგა პატრიარქის დიდი კარავი, რომელშიც თავს იყრიდნენ უხუცესები. აბრაამი აქ განკარგულებას აძლევდა მწყემსებსა და მსახურებს, აგვარებდა სადავო საკითხებს და იღებდა სტუმრებს.

ეს ეპოქა იყო მძიმე და მკაცრი. ჯერ კიდევ ნაკლებ ცივილიზებულ ებრაელებს ძველთაგანვე ადათად ჰქონდათ ვენდეტის წესი — „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ". დინას მოტაცებით გამოწვეული სისხლისღვრა უთუოდ არ ყოფილა გამონაკლისი, თუმცა იაკობმა შვილების ქცევა იმიტომ გაკიცხა, რომ მისი დროისათვის მამაპაპეული წესები, ცოტა არ იყოს, შეიცვალა და შერბილდა.

ბიბლიურ თქმულებათა სიძველეს მოწმობს აგრეთვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანდათანობითი ცვლის პროცესი, რომელსაც შეიძლება თვალი გავადევნოთ ბიბლიის ტექსტის მიხედვით.

აბრაამის ტომში ვხედავთ ტიპიურ პატრიარქალურ დამოკიდებულებას, მაგრამ აქაც აშკარად იჩენს თავს კლასობრივი განსხვავება. აბრაამი მონათმფლობელია და მდიდარი. მას ტომის დანარჩენი წევრებისაგან ყოფს უფსკრული, რომლის გაღრმავებასაც იგი იმით ცდილობს, რომ თავისთვისა და თავისი ცოლისათვის დიდგვაროვანი წარჩინებულის შესაფერ სახელებს ირჩევს.

ჩვენ მოწმენი ვართ აგრეთვე ძველი ებრაელი ტომების თანდათანობითი გადასვლისა ბინადარ ცხოვრებაზე. აბრაამი ტიპიური ბედუინი შეიხია, რომელიც უბრალო პატრიარქალურ ცხოვრებას ეწევა. სამ უცნობ მგზავრს მან თავისი ხელით დაუკლა ხბო, სასმელად კი რძე მიართვა. ისააკი უკვე ცდილობს მიწათმოქმედებას მისდიოს და სვამს არა რძეს, არამედ ღვინოს. იაკობმა კი მომთაბარე ცხოვრებისა აღარაფერი იცის. თითქმის ქალაქური ცხოვრების პირობებში აღზრდილი კაცის ავი და

კარგი, მისი ზნე-ხასიათი და ქცევა განსაზღვრულია მისი გარემოს გავლენით.

მთელი ეს ევოლუციური პროცესი, ბიბლიურ თქმულებებში რომ თვალნათლივ მოჩანს, ორგანულად შეესაბამება იმას, რაც ცნობილია თანამედროვე მეცნიერებაში პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ.

ბიბლიური გადმოცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აბრაამმა მონოთეიზმის ქადაგება დაიწყო. ბიბლიის სხვადასხვა რედაქციულ ფენათა დაწვრილებითმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ აბრაამი მონოთეისტად აქციეს ძვ. წ. VI ს. ქურუმებმა, როცა ბიბლიის ტექსტის შესწორება-შელამაზებას შეუდგნენ. ცნობილია, რომ უფრო გვიანაც ებრაელებს არა ერთხელ უციათ თაყვანი ქანაანის ღმერთებისათვის, რისთვისაც მათ მრისხანედ ამხილებდნენ წინასწარმეტყველები. როგორც ჩანს, პატრიარქების ეპოქის რელიგია იმდენად წმინდა მონოთეიზმი არაა, რამდენადაც გენოთეიზმი, რომელიც ქადაგებდა მართალია, არსებობს მრავალი ღმერთი, მაგრამ თაყვანი უნდა სცე მხოლოდ ერთს — ტომის მფარველს. აბრაამის ღმერთი არ არის უნივერსალური, იგი ტიპიური ტომის ღმერთია, რომელიც მხოლოდ თავისი რჩეული ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

უკიდურესად პრიმიტიულია წარმოდგენა ამ ღმერთზე. მას უბრალო მოკვდავივით უჭირავს თავი, ერევა საყოფაცხოვრებო საქმეებში, ედავება აბრაამს და მის ხრიკებსაც კი იწონებს. იაკობი მთელი ღამის განმავლობაში ებრძვის ღმერთს და აიძულებს, კანონიერად სცნოს პირმშობა, რომელიც მან ესავს გამოსტყუა.

ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელების დაბრუნების შემდეგ, როცა წინასწარმეტყველთა გავლენით საბოლოოდ ყალიბდებოდა მონოთეიზმი, ასეთი რელიგიური კონცეფცია უკვე ანაქრონისტული იყო. ამ მიამიტი და პრიმიტიული წარმოდგენების არსებობა ბიბლიაში შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ქურუმმა რედაქტორებმა უცვლელად შეიტანეს ისინი ტექსტში იმ უძველეს ხალხურ გადმოცემებთან ერთად, რომლებსაც ისინი ეყრდნობოდნენ მუშაობის დროს.

ბიბლიურ თქმულებებში მკითხველს განსაკუთრებით ანცვიფრებს პატრიარქების ნათელი და მკაფიო დახასიათება. ყოველი სახე ინდივიდუალური და საოცრად რეალისტურია. როგორ არ ჰგვანან ერთმანეთს აბრაამი, ლოთი, ისაკი და იაკობი! რა ცხადი და დამაჯერებელია სარრას, რებეკას, რაქელის თუ უბედური აგარის ქალურობა! გავიხსენოთ თუნდაც ნადირობისა და თავისუფალი სივრცეების მოტრფიალე ესავი, მიწის დამუშავებას რომ არ კადრულობს! ესავი გულფიცხია, გუნების ამყოლი, მაგრამ ამავე დროს კეთილი. ვისიმე ჯავრის გულში ჩადე-

ბა არ იცის. საყურადღებოა, რომ ბიბლია აშკარა სიმპათიით მოგვითხრობს მის ამბავს. ისააკსაც კი უყვარს ესავი, თუმცაღ მის ქცევას ალბათ ბევრჯერ გასაჭირსა და დავიდარაბაში ჩაუგდია მამამისი. ეტყობა, ესავის სახეში გამოხატულება ჰპოვა ებრაელთა ქვეცნობიერმა სევდამ, თავისუფალ მესაქონლე და მომთაბარე წინაპართა მიმზიდველი ცხოვრების მოგონებებით გამოწვეულმა.

ყველაფერი, რასაც ბიბლია მოგვითხრობს პატრიარქებზე, ზედმიწევნით საინტერესოა. ამ ამბებში მრავლადაა დრამატული სიტუაციები და თავგადასავლები. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ადამიანი, რომელიც თავისი ავ-კარგითა და კონფლიქტებით ჩვენთვის ახლობელია და გასაგები. სწორედ ამის წყალობითაა, რომ ბიბლიამ — შორეულ ეპოქათა ცხოველი ცხოვრების ჩვენს დღეებამდე სასწაულებრივად მოღწეულმა ფრაგმენტმა — საშუალება მოგვცა, ჩავხედოთ და ჩავწვდეთ ჭეშმარიტად ადამიანურ და წარუვალ გრძნობათა სიღრმეს.

პატრიარქთა თავგადასავლებში მთელი სისრულითაა გამოკვეთილი ხალხურ თქმულებათა თავისებურება; ისინი პირველყოფილი ტომების აზროვნებას ასახავენ. თვალწინ წარმოგვიდგებიან მაშინდელი მესაქონლეები, კოცონთან რომ ისხდნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ გასართობ ამბებს წინაპრებზე: როგორ მოატყუა აბრაამმა ფარაონი, როგორ შეხვდა ისააკის მსახური ჭასთან რებეკას, როგორ გამოსცინცლა ეშმაკმა იაკობმა პირმშოება თავის ძმას, თითქმის მთელი ქონება წაართვა ლაბანს, როგორ ეჯიბრებოდნენ ლია და რაქელი შვილიერებაში.

ეს იყო თქმულებები უბრალო, პრიმიტიული ადამიანებისა, რომლებიც აღტაცებულნი იყვნენ თავისი ტომის გმირთა ოინებით. მათ გულის სიღრმემდე სწვდებოდა ამ თქმულებათა პოეტური მშვენება, მაგრამ როცა წინაპართა საქციელის შეფასებაზე მიდგებოდა საქმე, მორალური მსჯავრის გამოტანისას ხშირად ვეღარ არჩევდნენ ავსა და კარგს. მომთაბარეთა ცხოვრება მკაცრი და ხიფათით აღსავსე იყო. გადარჩენისა და თავის გამოჩენის მსურველს იმ ბარბაროსულ და ულმობელ დროში სინდისსა და ნამუსზე დგომა ხელს ვერ მისცემდა.

მომთაბარეთა თქმულებებში ფანტაზია ლაღად შლის ფრთებს. პატრიარქებს საოცარი დღეგრძელობა და ნაყოფიერება სჩვევიათ. მოხუცი სარრას მშვენიერება მეფეებს თვალსა სჭრის. ღმერთი და ანგელოზები ერევიან ყოველდღიურ წვრილმან საქმეებში და ხსნიან დრამატულ, გამოუვალ სიტუაციებს. ეს ჩარევა სილამაზით ხშირად ზღაპარს გვაგონებს. მოვიგონოთ ამაღელვებელი სცენა უდაბნოში, როცა ანგელოზი ლტოლვილ აგარს შინ დაბრუნებას ურჩევს, ანდა როცა იგი სიკვდილისაგან იხსნის მას და ისმაელს.

შეუძლებელია, რომ უძველესი ეპოქების ყოფის ასე ზუსტად ამსახველი დეტალები შეექმნათ ქურუმებს ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში, როცა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები სრულიად განსხვავებული იყო. ამას დიდი ტალანტის მწერალიც კი ვერ შეძლებდა.

მართალია, ქურუმებმა ტექსტის შესწორებისას მასში ზოგიერთი ანაქრონიზმები შეიტანეს, მაგრამ ეს ანაქრონიზმები შედარებით ცოტაა. მაგალითად, ქურუმების სიტყვით, პატრიარქებს აქლემები ჰყოლიათ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათ დროს აქლემები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა. არც თუ ასე დიდი ხნის წინათ დადგინდა, რომ ნამდვილად აქლემი ტვირთის საზიდავად ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნემდე გამოყენებული არ ყოფილა. მაშასადამე, აქლემის მოშინაურება პატრიარქთა ეპოქაზე რამდენიმე ასეული წლით გვიან მომხდარა.

ქურუმებს ალბათ ხელთ ჰქონდათ უძველესი თქმულებები პატრიარქებზე, შესაძლოა, წერილობითი სახითაც. მათ ზუსტად გადმოიღეს ტრადიციული ტექსტი და თითქმის უცვლელად შეიტანეს თავიანთ კომპილაციაში. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საფუძველს იყოს მოკლებული იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ თვით პატრიარქების არსებობის ფაქტს. რა თქმა უნდა, ძველებრაულ ტომებს ჰყავდათ თავ-თავისი ბელადები, მაგრამ ცნობილი არაა, შეიძლება თუ არა მათი გაიგივება ბიბლიური თქმულებების გმირებთან — აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან. ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს სინათლე კი არა, მეტი არევდარევა შეაქვთ ამ საკითხში. ვეცდებით, მოკლედ გადმოვცეთ ის, რაც უკვე ცნობილია მეცნიერებაში ამის შესახებ.

თელ-ამარნაში (ეგვიპტეში) ნაპოვნია ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნის სამასამდე ლურსმული ფირფიტა. მათ შორის არის სირიისა და პალესტინის მთავართა წერილები ფარაონების ამენჰოტეპ მესამისა და ეხნატონის მიმართ. ერთ-ერთ წერილში პალესტინის მთავარი იტყობინება, ჩემს ქვეყანაში მესოპოტამიიდან საბირუს ტომები მოვიდნენო. ბიბლიის მრავალი მკვლევარი ვარაუდობს, რომ აქ ნაგულისხმევია ებრაული ტომები.

სენსაციური აღმოჩენა ეკუთვნის ფრანგ არქეოლოგს ანდრე პაროს. მოსულსა და დამასკოს შუა მდებარეობს ბორცვი, რომელსაც არაბებმა თელ-ჰარირი შეარქვეს. ერთხელ აქ მუშებმა, საფლავის გათხრის დროს, იპოვეს უცნაური სტილის ქანდაკება, რომელიც იქამდე უცნობი კულტურის ნიმუშს წარმოადგენდა.

გაიგო თუ არა პარომ ეს ამბავი, მაშინვე იქ გაეშურა და 1934 წლიდან სისტემატურ გათხრებს შეუდგა. პირველ დღეებ-

შიგე მან იპოვა ფიგურა წვერიანი კაცისა, რომელსაც ხელებ1 სალოცავად ჰქონდა აპყრობილი. სკულპტურის ფუძეზე მოთავსებული ლურსმული ტექსტი გვამცნობდა: „მე ვარ ლამი-მარი, მარის სახელმწიფოს მეფე...“

ამ ახალმა აღმოჩენამ კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, მარის სახელმწიფოს არსებობა ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ვერვინ შეძლო მისი ადგილსამყოფელის გარკვევა. ძველი წელთაღრიცხვის XVII საუკუნეში მარი დაიპყრეს ბაბილონის ჯარებმა და დედაქალაქი მიწასთან გაასწორეს ისე, რომ მისი კვალიც აღარსად დარჩენილა. პაროს შემდგომმა ძიებამ ცხადყო, რომ ბორცვის ქვეშ მარის დედაქალაქის ნანგრევები მდებარეობდა. არქეოლოგებმა იპოვეს ტაძარი, საცხოვრებელი სახლები, ციხის გალავანი, ზიქურათი და, რაც მთავარია, ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში აგებული მეფის დიდებული სასახლე, რომელიც ორას სამოცი ოთახისა და დარბაზისაგან შედგებოდა. სასახლეს ჰქონდა სამზარეულოები, აბანოები აბაზანებითურთ, სეფე დარბაზი და ღმერთქალ იშთარისადმი მიძღვნილი სამლოცველო. ყველგან ჩანდა ხანძრისა და ძალად ნგრევის კვალი — ბაბილონელთა თავდასხმის უეჭველი ნაშთი.

უდიდესი მონაპოვარი იყო მეფის არქივი, რომელშიც ოცდაცამეტი ათას ექვსასი ლურსმული ფირფიტა აღმოაჩინეს. ეს ფირფიტები გვამცნობენ, რომ მარის მოსახლეობა ამორეველთა ტომებისაგან შედგებოდა. ამავე სახელმწიფოს ეკუთვნოდა ქალაქი ქარანიც, სწორედ მაშინ, როცა აქ თარას ოჯახი დასახლდა.

მარის სახელმწიფოს ქრონიკების, პატაკებისა და მიმოწერის გაშიფრვისას მეცნიერებმა გასაოცარი რამ აღმოაჩინეს: ამ საბუთებში ნახსენები ქალაქების სახელები (ნაქური, თარაჰი, სარუჰი, ფალექი) საოცრად ჰგავდა აბრაამის ნათესავთა სახელებს (ნაქორს, თარას, სერუქსა და ფალეგს). გარდა ამისა, საბუთებში იხსენება ტომები: აბამ-რამი, იაკობ-ელი, ბენიამენიც კი, რომელიც საზღვარზე გადმოდიოდა და მარის მცხოვრებლებს აწიოკებდა. უეჭველია, რომ აბრაამის, მისი შვილიშვილის იაკობის სახელები და იაკობის უმცროსი ვაჟის ბენიამინის სახელიც კი უშუალოდაა დაკავშირებული ამ ტომთა სახელწოდებებთან. უადგილო არ იქნება არც იმის გახსენება, რომ ნაქორის სიმამრს ბიბლიაში ქარანი ჰქვია. ამრიგად, აქაც კაცის სახელი სრულად ემთხვევა ქალაქის სახელწოდებას.

ამ აღმოჩენიდან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: პატრიარქების სახელები ნამდვილად ტომებისა და მათ მიერ დაფუძნებული თუ დაპყრობილი ქალაქების სახელებია. მაშასადამე, აბრაამი არის მითოლოგიური განსახიერება ერთ-ერთი ტომისა,

რომელიც ქანაანში მესოპოტამიიდან მოვიდა. აბრაამი ხალხის მეხსიერებაში განასახიერებს უცხო ქვეყანაში გადასახლებული მთელი ტომის ისტორიას.

მარიში აღმოჩენილი ლურსმული ფირფიტების ლინგვისტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ებრაელები წარმოშობის მიხედვით ძალიან ახლოს იყვნენ ამორეველებთან და მათ ერთ-ერთ ეთნიკურ განშტოებასაც კი წარმოადგენდნენ. ძველ დროში სპარსეთის ყურიდან ჩრდილოეთით დაიძრა უზარმაზარი მიგრაციული ტალღა სემიტური ტომებისა, რომლებსაც ამორეველებს უწოდებდნენ. მათი წინსვლის შეჩერება ვერაფინ შეძლო. სემიტთა ტომებმა გეზი აიღეს ევფრატის სათავისაკენ, განდევნეს შუმერები და თითქმის მთელი მესოპოტამია დაიკავეს. დაპყრობილ პატარ-პატარა სახელმწიფოთა ნანგრევებზე ამორეველებმა შექმნეს მრავალი საკუთარი სახელმწიფო, რომლებიც ბოლოს და ბოლოს დიდ სახელმწიფოდ გააერთიანა ამორეველთა ყველაზე გამოჩენილმა მეფემ ხამურაბიმ. ამორეველ ტომთა გადასახლებაში უეჭველად ებრაელებმაც მიიღეს მონაწილეობა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველად ისინი ცხოვრობდნენ ურში, შემდეგ კი გადასახლდნენ ქარანში, სადაც, მარიში ნაპოვნი ფირფიტების თანახმად, ამორეველები ცხოვრობდნენ.

შემდგომ ეპოქაში მესოპოტამიის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ არასემიტური წარმოშობის ტომები. მათგან დევნილმა სემიტმა ტომებმა სამხრეთ-დასავლეთით დაიხიეს. ამ ახალი მიგრაციის დროს არამეელებმა დაიკავეს სირია; მოაბელები, ამონელები და ედომელები დასახლდნენ დასავლეთ და სამხრეთ ქანაანში. ცოტა მოგვიანებით აქ დამკვიდრდა აბრაამიდების ტომი. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ამ ტომის გადასახლების მიზეზი იყო რაღაც რელიგიური ხასიათის კონფლიქტი. ბუნდოვანი მოგონებანი ამ მოვლენის შესახებ ხალხში ცოცხლობდა ლეგენდებისა და გადმოცემების სახით. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქურუმებმა ეს ლეგენდები და გადმოცემები ბიბლიაში შეიტანეს.

არქეოლოგიურ აღმოჩენათა წყალობით დღეს ჩვენ შეგვიძლია აბრაამზე, ისაკსა და იაკობზე გავრცელებულ თქმულებებში გამოვყოთ ის კონკრეტული ფრაგმენტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მესოპოტამიის ტრადიციებსა და უძველეს რელიგიურ კულტებს. საჭიროა ზოგიერთ მათგანზე შევჩერდეთ დაწვრილებით, რათა გავიგოთ, სწორია თუ არა ვარაუდი ამ ხალხური ლეგენდების სიძველის შესახებ.

აი, მაგალითად, საჩოთირო საკითხი მეფის ჰარამხანაში სარრას ყოფნის შესახებ. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასა-

წყისში, როცა მომთაბარე ტომების საზოგადოებრივი წყობა უკიდურესად პრიმიტიული იყო. ქალი ითვლებოდა მამაკაცის საკუთრებად. მისი ბედი მთლიანად მამაკაცის ხელში იყო. რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი იაჰვე დავით მეფეს ემუქრება: დაგსჯი იმით, რომ ცოლს წაგართმევ და მეზობელს მივაკუთვნებო. მაშ, რა გასაკვირია, რომ სარრა უსიტყვოდ დაემორჩილა ქმრის ნებას.

ძველ მესოპოტამიურ და, მაშასადამე, ებრაულ ტომებშიც გათხოვილი ქალის კავშირი სხვა მამაკაცთან დანაშაულად ითვლებოდა არა იმიტომ, რომ იგი მისი ქმარი არ იყო, არამედ იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ქალი სხვის საკუთრებას წარმოადგენდა. ეს ეხებოდა საცოლესაც, თუ მომავალ ქმარს ურვადი (გამოსასყიდი თანხა) უკვე გადახდილი ჰქონდა. ამავე დროს მაინცდამაინც საძრახისად არ ითვლებოდა კავშირი იმ ქალთან, რომლის ურვადი ჯერ გადაუხდელი იყო. მამაკაცს ქალის შობლებისთვის მხოლოდ საზღაური უნდა მიეცა.

ცოლს სხვა არაფერი ეკითხებოდა შვილების გაჩენისა და ქმრის გვარის გაგრძელების გარდა; ქმრის ერთგულებასაც მას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ავალებდნენ, რომ ამით შესაძლებელი ყოფილიყო მემკვიდრეობისა და შთამომავლობის უზრუნველყოფა.

ასეთ შეხედულებათა შესაბამისად გაუთხოვარი ქალის ქალწულობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სწორედ ამ ტრადიციით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლოთი თავისი სტუმრების გადარჩენის გულისთვის, მზად იყო, საკუთარი ქალიშვილები გასაუპატიურებლად მიეცა სოდომის მდაბიოთათვის. ქალები ჯერ კიდევ არ იყვნენ გათხოვილები, გვარის დედები და ამიტომ ეს მათთვის დიდ შეურაცხყოფად არ ითვლებოდა.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ებრაელებს მოსწონდათ ამგვარი საქციელი; მაგალითად, იაკობის შვილებმა, სიმონმა და ლევიმ სასტიკად იძიეს შური დის მოტაცებისათვის.

შემთხვევა, რომელიც ლოთს გადახდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, თაობიდან თაობაში გადასული თქმულებაა. როგორც ჩანს, ამ ჰიპერბოლური მეტაფორით ხალხს უნდოდა ეჩვენებინა, თუ რაოდენ ძვირფასი იყო ლოთისათვის სტუმარ-მასპინძლობის ადათი. გარდა ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში ბიბლია გადმოგვცემს ხალხში გავრცელებულ გესლიან ჭორს. ლოთი ხომ მოაბელთა და ამონელთა მამამთავარი იყო, ებრაელებს სძაგდათ ეს ტომები და მათ მტრულად ეპყრობოდნენ.

ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის გამომხატველი ადათები ფიქსირებულია ხამურაბის კოდექსში. ამ კოდექსის მიხედვით დასაშვები იყო ცოლის მრუშობაც, თუ ქმარი თანხმობას

განაცხადებდა რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად, თავისი სიცოცხლის გადასარჩენად. აბრაამმა ორჯერ გაასაღა თავის დედ სარრა და ორივეჯერ უცხო ქვეყნის სამეფო ჰარამხანაში გააგზავნა. ეს სრულებითაც არ მოწმობს, როგორც ადრე ფიქრობდნენ, ძველი ებრაელების ზნედაცემულობას. ამგვარი საქციელი უძველეს ეპოქაში საძრახისად არ ითვლებოდა. ამას ის გვიჩვენებს, რომ ღმერთმა აშკარად მოუწონა აბრაამს ეშმაკობა. ღმერთი აბრაამს კი არა, მეფეებს სჯის, თუმცა სწორედ ისინი დარჩნენ მოტყუებულნი. როგორც ჩანს, ამ მეფეთა დანაშაული ის იყო, რომ საერთოდ თვითნებობასა და ძალადობას მიმართავდნენ, ამიტომ აბრაამსაც ტყუილად როდი ეშინოდა მათი. ეს კია, რომ მეფეთა დასჯას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, მათ იძულებით უნდა დაებრუნებინათ სარრა, რომელიც ისრაელის ძეთა მოდგმის ფუძემდებელი უნდა გამხდარიყო.

რახან სარრა ვახსენეთ, უნდა შევჩერდეთ ერთ უცნაურ ამბავზე, რომელიც მის სილამაზეს ეხება; სარრა სამოცდახუთი წლისა იყო, როცა ფარაონმა იგი ჰარამხანაში წაიყვანა; ოთხმოცი წლისამ კი თავისი მშვენებით აბიმელექის სამეფოში მოახდინა ფურორი. ბიბლიური თქმულებების გმირები საერთოდ გამოირჩევიან ზებუნებრივი დღეგრძელობითა და ნაყოფიერებით: თარა ორას ხუთი წლისა მოკვდა, აბრაამმა ას სამოცდათუთმეტ წელს იცოცხლა; ამიტომ ბიბლიის თაყვანისმცემლებმა იოლად დაიჯერეს, რომ პატრიარქის ცოლმა ამ ხნისამაც შეინარჩუნა ქალური მომხიბვლელობა.

ბიბლიური ლეგენდა სარრას სილამაზის შესახებ ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში ყველგან ჩანს. 1947 წელს მკვდარი ზღვის კლდის სანაპიროზე, გამოქვაბულში, იპოვეს გრაგნილები, რომლებიც ბიბლიის ტექსტებს შეიცავდა. გრაგნილები დაწერილი ყოფილა ძველი წელთაღრიცხვის მესამე და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა შუა პერიოდში. გრაგნილთა მფლობელი ყოფილა ესეველთა ებრაული სექტა, რომლის ცენტრი იყო ალბათ ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ბგებული კუმრანის სამლოცველო. ერთ-ერთი გრაგნილი შეიცავს „დაბადების“ არამეულ კომენტარებს, რომელშიც სარრას სილამაზე ასეა აღწერილი: „ო, რა ყირმიზია მისი ღაწვები, რა მომაჯადოებელია მისი თვალები, რა კოხტაა მისი ცხვირი და რარიგ ნათელია მისი სახე!

ო, რა ლამაზია მისი მკერდი, რა სპეტაკია და თეთრი მისი სხეული! რა ტკბილია ცქერა მისი უზადო მხრებისა და ხელებისა! რა სათუთია და ნაზი მისი თითები, რა მოხდენილია მისი ფეხები!“

უბედური აგარის ამბავიც გასაგები ხდება, თუ დავუკვირდებით ხამურაბის კანონმდებლობაში ფიქსირებულ მესოპოტა-

მიურ ადათებს. კანონმა ნათლად განმარტა მხეკლისა და მისი შვილების როლი ოჯახში. ხარჭს უშვილო მეუღლის მუხლებზე უნდა მოელოგინებინა. ეს იყო მხეკლის შვილის ოფიციალური მიჩნევა გვარის კანონიერ მემკვიდრედ. ბიბლიაში ეს თავისებური ადათი აღწერილია იმ თქმულებაში, რომლებიც ლაბანის ასულებს ეხება.

ნუზის მკვიდრის, მესოპოტამიელი ვაჭრის სახლის ნანგრევებში აღმოჩნდა არქივი, რომელშიც იპოვეს თეხიბთილას საოჯახო საქორწინო კონტრაქტი (დაახლოებით 1500 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). იგი ასეთ პარაგრაფსაც შეიცავს: „თუ ცოლს ეყოლა შვილები, ქმარს არა აქვს მეორე ცოლის შერთვის უფლება. თუ ცოლს შვილები არ ეყოლა, იგი თვითონვე შეურჩევს ქმარს მხეკალს და მისგან შობილ შვილებს საკუთარივით გაზრდის“.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ხამურაბის კოდექსის მიხედვით, სარრას შეეძლო დაესაჯა მხეკალი აგარი, მაგრამ სახლიდან მისი გაგდების უფლება კი არ ჰქონდა.

ახლა გადავდივართ ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ და ძნელად ასახსნელ რიტუალზე, რომელიც აბრაამმა ქანაანში ხეტიალის დროს დაამკვიდრა, სახელდობრ, წინადაცვეთაზე. ეს არის პირველყოფილი ტომების ერთ-ერთი უძველესი წესი და მისი აზრი დღემდე გაურკვეველია. წინადაცვეთა ცნობილია ყველა ეპოქაში და ყველა კონტინენტზე. ჰეროდოტეს აზრით, იგი საჭიროა სხეულის სისუფთავისათვის. თანამედროვე მეცნიერები კი ამ წესს განიხილავენ უფრო როგორც მაგიურ აქტს, რომელიც სიმბოლური გამოხატულებაა ღვთისადმი სისხლიანი მსხვერპლის შეწირვისა. წინადაცვეთის წესს იცავდნენ ინდიელთა ზოგიერთი ტომები ამერიკის აღმოჩენამდე, ავსტრალიელი, პოლინეზიელი და აფრიკელი ხალხები. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ასევე იქცეოდნენ ეგვიპტელი ქურუმებიც. სავარაუდოა, რომ ებრაელები ამ წესს გაეცნენ ეგვიპტეში ხანმოკლე ყოფნის დროს და ეგვიპტელთა რელიგიური სიმბოლიკის გავლენით შეითვისეს იგი, როგორც ღმერთთან კავშირის გარეგნული ნიშანი. ჰეროდოტე ამტკიცებს: ებრაელებმა, ედომელებმა, ამონელებმა და მოაბელებმა წინდაცვეთის წესი ეგვიპტელებისაგან ვადმოიღესო. ეს აზრი სარწმუნო ჩანს, მით უმეტეს, რომ მესოპოტამიაში, საიდანაც ზემოდასახელებული ტომები მოვიდნენ ქანაანში, ასეთი წესი არასოდეს ყოფილა. ბერძენი ისტორიკოსი იმასაც ამტკიცებს, რომ ეგვიპტელებმა წინადაცვეთის წესი ეთიოპელებისაგან შეითვისეს. საფიქრებელია, რომ წინადაცვეთა არაბებმაც გადაიღეს ეთიოპელთაგან და ამ წესს მუჰამედამდეც მისდევდნენ. არაბები ამ წესს ისლამთან ერთად ამკვიდრებდნენ ყველგან, სადაც კი მათი გავლენა

ვრცელდებოდა, თუმცა ყურანი არამცთუ მოითხოვს წინადაცვეთას, არამედ დუმილითაც კი უვლის გვერდს ამ საკითხს.

თუ წინადაცვეთის ადათი ეგვიპტეს უნდა დავუკავშიროთ, აბრაამის საუბარი ღმერთთან და მისი ცდა უცოდველ სოდომელთა გადარჩენისა აშკარად მესოპოტამიური წარმოშობისაა. შუმერულ თქმულებაში, რომელიც წარღვნას ეხება, ქალღმერთი იშთარი მიდის უზენაეს ღმერთთან, რომელმაც ქვეყანას წარღვნა მოუვლინა. იგი ადანაშაულებს ღმერთს, უსაყვედურებს მას, რომ იგი უსამართლოდ მოიქცა და ბოროტმოქმედებაც კი ჩაიდინა. მისი აზრით, ღმერთს უფლება არ ჰქონდა გაენადგურებინა კაცთა მთელი მოდგმა, თუკი ცოდვილებთან ერთად დაიღუპებოდნენ უცოდველნი, ღვთისმოსავი ადამიანები. იშთარი თავის სიტყვას ამთავრებს ცნობილი ფრაზით: „ყოველი ცოდვილი თვითონვე აგებს პასუხს თავის შეცოდებაზე“.

ამ შუმერულ მითში დაგმობილია კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი. მართალი, პატიოსანი ადამიანების დასჯისა და სიკვდილის პრობლემა უხსოვარი დროიდან აღელვებდა თაობათა გონებას. რატომაა, რომ ღვთის განგების მიხედვით იტანჯებიან მართალნი, ცოდვილები კი განცხრომით ცხოვრობენ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდაა ის ბიბლიური თქმულება, რომელშიც მოთხრობილია იობის ტრაგიკული ბედი, აგრეთვე სხვა უძველესი ლეგენდები.

ებრაელებს კარგად ახსოვდათ თავისი ყოფნა მესოპოტამიაში. ამას მოწმობს იაკობის სიზმარი — კიბე და კიბეზე ამავალ-ჩამომავალი ანგელოზები. ეს საოცრად გვაგონებს ზიქურათებს (ურისა და ბაბილონის პირამიდებს) მათი ქვის საფეხურებით, რომლებზეც ადიოდ-ჩამოდიოდნენ ქურუმები. ეს რომ მართლაც ასეა, ჩანს იაკობის მიერ მეორე გამოღვიძების შემდეგ თქმული სიტყვებიდან: „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! და არა არს სხვა ესე, არამედ სახლი ღმრთისა, და ესე არიან ბჭენი ცისანი“.

კიბისთვის ცის ბჭეთა წოდება გაუგებარი იქნებოდა, მაგრამ რაკი ვიცით, რომ ბაბილონი ნიშნავს „ღვთის კარს“, ყველაფერი ნათელია. მაშასადამე, აქ აშკარა ასოციაციაა ბაბილონის ზიქურათებთან.

სიზმრის სამახსოვროდ იაკობმა დადგა ქვა და მას ზეთი სცხო. ესაა ძველი სემიტური წესი. ქვის კულტი პირველყოფილი ტომების ყველაზე ადრინდელი ადათია. ქაბა — შავი ლოდი ქალაქ მექაში — არაბთა უძველესი რელიგიის · პოლითეიზმის ძეგლია. ქვის კულტი გააჩნდათ ფინიკიელებსა და ქანაანელებსაც. პალესტინაში, გათხრების დროს, მრავალი ასეთი ქვა აღმოჩნდა. კერძოდ, ქალაქ გეზერის ნანგრევებში იპოვეს ბორცვზე აღმართული რვა წმინდა სვეტი. სემიტებს სწამდათ, რომ იქ ღმერთი ცხოვრობდა და ამ ადგილს დაარქვეს ბეთელი —

„ღვთის სახლი“. სწორედ ასე უწოდა იაკობმა ადგილს, სადაც კიბე და ანგელოზები დაესიზმრა. ეს ეპიზოდი ადასტურებს, რომ იაკობის თაობაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა არქაული ფეტიშიზმი.

მკვლევრები საგონებელში ჩააგდო ბიბლიის იმ თავმა, სადაც მოთხრობილია ისაკის მსხვერპლად შეწირვა. ეს შემაძრწუნებელი სცენა, რომელშიც იაჰვე თავის ერთგულ თაყვანისმცემელს ესოდენ მძიმე გამოცდას უწყობს, სრულიად შეუსაბამოა კეთილი, მოწყალე ღმერთის შესახებ არსებულ წარმოდგენასთან. დღეს ჩვენთვის ცხადია, რომ ეს ეპიზოდი ბარბაროსული საკულტო წეს-ჩვეულების უკანასკნელი გამოძახილია. არქეოლოგიური გათხრების წყალობით ჩვენ მისი წარმოშობაც დავადგინეთ.

მესოპოტამიაში, სირიასა და ქანაანში არსებობდა უძველესი წესი ღმერთისთვის პირმშო შვილის შეწირვისა. ქანაანური კულტის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის — გეზერის — გათხრების დროს არქეოლოგებმა იპოვეს მრავალი ჩონჩხი: რვა დღის ჩვილი ბავშვები ღმერთებისთვის შეეწირათ და მათი ძვლები ურნებში მოეთავსებინათ.

ბავშვებს მსხვერპლად სწირავდნენ აგრეთვე ტაძართა და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა შენებისას. შეწირულთა გვამები ხშირად შენობათა საძირკველშია ჩატანებული. ქალაქ მეგიდოს გალავნის ძირში მიაკვლიეს თხუთმეტი წლის გოგონას სხეულს, რომელიც შიგ იყო ჩაკირული.

ისაკთან დაკავშირებული ეპიზოდიც მესოპოტამიური მითებიდან მომდინარეობს. ამას მოწმობს ეკალბარდში რქებით გახლართული ვერძის ამბავი. საფიქრებელია, რომ ეს რომელიღაც კულტის სიმბოლოა. ინგლისელმა არქეოლოგმა ვულიმ, ურის გათხრების დროს, იპოვა ბუჩქნარში რქებით გაბმული ცხვრის ქანდაკება; ალბათ შუმერებს იგი წმინდად მიაჩნდათ და თაყვანს სცემდნენ. ამას მოწმობს არა მარტო ის ფაქტი, რომ ქანდაკება მეფის სამარხშია ნაპოვნი, არამედ მისი შესრულების თავისებურებაც. ხის ქანდაკება ოქროფურცლითაა შემოსილი, ცხვრის რქები და ბუჩქის ტოტები კი ძველ ოსტატს ლილაქვისაგან გამოუკვეთია.

აბრაამის დროს ქანაანში დასახლებული ტომები მეტწილად სემიტების დასავლურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ და ლაპარაკობდნენ ენაზე, რომელიც ებრაულთან ძალზე ახლო იყო. მათ რელიგიურ მრწამსზე დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვებოდა. მხოლოდ ფინიკიის ქალაქ უგარითის ნანგრევებში ნაპოვნმა ლურსმულმა ფირფიტებმა მოგვცეს საშუალება, ზუსტად აღგვედგინა მათი მითოლოგია და რელიგიური წეს-ჩვეულებანი. ქანაანელთა უზენაესი ღმერთი იყო ელი, რომელ-

საც ხშირად დაგანს ან დაგონს უწოდებდნენ. მას სამყაროს შემ-ქმნელად თელიდნენ; მის გამოსახულებებზე ნაჩვენებია გრძელ-წვერიანი მოხუცი. ყველაზე პოპულარული ღმერთი მაინც ბა-ალი იყო. იგი განაგებდა ჭექა-ქუხილსა და წვიმას, მფარველობ-და მიწათმოქმედებას. ქანაანელთა მრავალრიცხოვანი პანთეო-ნიდან უნდა დავასახელოთ სიყვარულის ქალღმერთი ასტარტე. მის პატივსაცემად გამართულ საკულტო ცერემონიალს სექსუა-ლური ორგიის სახე ჰქონდა. გარდა ამისა, ქანაანის ყოველ ქა-ლაქს ჰყავდა მფარველი ღმერთი.

რელიგიის მხრივ ქანაანელებს ბევრი რამ აქვთ საერთო ბა-ბილონელთა რწმენასთან. ზოგიერთ ქანაანელ ღმერთს ჰყავს თავისი ბაბილონური ორეული. მათი სახელებიც კი ჰგვანან ერთმანეთს. უეჭველია, რომ ებრაელების პირველყოფილი, პო-ლითეისტური რელიგია საკმაოდ ახლო იყო ქანაანურ რელიგი-ასთან. ბიბლიის ტექსტი მოწმობს, რომ ღმერთის აღსანიშნა-ვად ებრაელებიც ხშირად ხმარობდნენ სიტყვა „ბაალს". ღვთაე-ბა ელოჰიმის სახელი შეიცავს იმავე ფუძეს, რასაც ქანაანის უზენაესი ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა ელი. მის ძეს კი, რო-მელიც ხშირადაა გაიგივებული ბაალთან, ჰქვია იაჰვეს მსგავ-სი სახელი იავი.

მომთაბარე ებრაელ ტომებთან შედარებით ქანაანელები ცი-ვილიზაციის გაცილებით მაღალ დონეზე იდგნენ, თუმცა მსხვერ-პლად ადამიანებსაც სწირავდნენ. ისინი ცხოვრობდნენ ქალა-ქებში, იცოდნენ ხელოსნობა და ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. ცივილიზაციის ამ მაღალ საფეხურს, რომელზედაც ებრაელთა მონათესავე ენისა და რელიგიის მქონე ქანაანელები იდგნენ, არ შეიძლებოდა დიდი გავლენა არ მოეხდინა ახალ იმიგრან-ტებზე, კარვებში მცხოვრებ მომთაბარეებზე.

აბრაამი ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ამ გავლენისა-თვის; მისი პოზიცია გამოიხატა ისაკთან დაკავშირებულ ეპი-ზოდში. ჩვეულებისამებრ ბიბლიამ აქაც გააკეთილშობი-ლა ბარბაროსული საკულტო წეს-ჩვეულება; იგი ღრმა რელი-გიური აზრის სიმბოლო ხდება. ამ შემთხვევაში ბიბლიის ტექ-სტის ავტორებს სურდათ, ხაზი გაესვათ ღვთის ნებისადმი აბრა-ამის უსიტყვო მორჩილებისა და მისი ტომის რელიგიურ წარ-მოდგენებში მომხდარი არსებითი ძვრებისათვის.

რიცხვთა წიგნში ბავშვების მსხვერპლად შეწირვა გაკიცხუ-ლია, როგორც ქანაანელთა ყველაზე მძიმე დანაშაული. ამრი-გად, ისაკის ამბავი წარმოადგენს თითქო ოფიციალურ უარყო-ფას იმ სისხლიანი ადათებისა, რომლებიც ალბათ ჯერ კიდევ გავრცელებული იყო მაშინდელ ქანაანში.

დიდხანს გაუგებარი იყო საკითხი ფუძის ღვთაებათა ქანდა-კებების შესახებ, რაქელმა მამამისს რომ მოჰპარა. ბიბლიის

მკვლევრებს აინტერესებდათ — რატომ მოიპარა რაქელმა კერპთა გამოსახულებები და რატომ ანიჭებდა მათ ლაბანი ესოდენ დიდ მნიშვნელობას. პასუხს მხოლოდ ახლახან მიაკვლიეს. ნუზის არქივში აღმოჩენილ ლურსმულ ფირფიტებზე იპოვეს ანდერძი — მამა უფროს ძეს უტოვებს კერპს — ფუძის ღვთაების ქანდაკებას და ქონების მეტ ნაწილს. მამა ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დანარჩენ ვაჟებს უფლება აქვთ, მოვიდნეს ხოლმე ძირითადი მემკვიდრის სახლში და მსხვერპლი შესწირონ ფუძის ღვთაებას. ხამურაბის კანონმდებლობის თანახმად, სიმამრის კერპის მფლობელ სიძეს ვაჟიშვილებისოდენი სამემკვიდრეო უფლება ჰქონდა.

ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაქელს უბიძგებდა წმინდა პრაქტიკული მოსაზრება: ქანდაკების მოპარვით მან თავისი ქმარი მემკვიდრის უფლებით უზრუნველყო. ლაბანმა იცოდა ყოველივე ეს და ამიტომ ცდილობდა ესოდენ დაჟინებით ნაქურდალის დაბრუნებას.

უძველესია აგრეთვე საცოლის გამოსასყიდად სასიმამროსთან განსაზღვრული დროით მუშაობის წესი. საოცარია, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთი ხალხი ამ ადათს დღესაც მისდევს. პოლონელი მწერალი არკადი ფიდლერი თავის წიგნში, რომელსაც „ველური ბანანები“ ეწოდება, მოგვითხრობს, რომ მან ასეთი რამ აღმოაჩინა ვიეტნამში, ტაის ტომში. XIX საუკუნეშიც კი ეს წესი გავრცელებული იყო თათრებსა და სირიელებში. შვეიცარიელი მოგზაური ბურკჰარდტი ერთ თავის წიგნში აღწერს სირიაში მოგზაურობას და გვიამბობს: „ერთხელ დამასკოს ახლოს შემხვდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც რვა წელი ემუშავა უჯამაგიროდ. ამ ხნის განმავლობაში საჭმელ-სასმელის მეტი არაფერი ეძლეოდა. ასე ყოფილიყო გარიგებული იმისათვის, რომ ყავლის გათავების შემდეგ პატრონის ქალი შეერთო ცოლად. თუ არა და მამისათვის შვიდასი პიასტრი უნდა გადაეხადა. ჩვენ რომ გავიცანით, ჭაბუკი უკვე სამი წლის დაქორწინებული იყო, მაგრამ გამწარებული უჩიოდა სიმამრს, რომელიც ისევ მუქთად ამუშავებდა და თანაც უზომო ჯაფაში ჰყავდა. ამიტომ ჯერ არც თავისი სახლ-კარი გააჩნდა და ვერც ოჯახის გაძღოლა მოეხერხებინა“. რა საოცრადა ჰგავს ეს ეპიზოდი ლაბანისა და იაკობის ურთიერთობას!

ქალაქები, მოხსენებული დაბადების იმ თავებში, რომლებშიც აღწერილია სამი პატრიარქის თავგადასავალი, დიდი ხნის მანძილზე ლეგენდარულად იყვნენ მიჩნეული. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოპოვებულმა უდიდესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ცხადყვეს, რომ ეს ქალაქები ნამდვილად არსებობდნენ და რომ ბიბლია მათ შესახებ სიმართლეს ამბობს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ქალაქ ურს, საიდანაც აბრა-

ამის მამა ქარანში გადასახლდა. 1922 წელს არქეოლოგმა ლეონარდ ვულიმ დაიწყო გათხრები ბორცვზე, რომელსაც არაბებმა ფისის მთა უწოდეს. მან აღმოაჩინა ნანგრევები უზარმაზარი ქალაქისა, რომელიც აგებული იყო შუმერების მიერ ჩვენს ერამდე სამი ათასწლეულით ადრე. პირამიდა-ზიქურათის მსგავსი ნაგებობის მწვერვალზე იდგა მთვარის ღვთაების ტაძარი.

ვულიმ განათხარი მასალების მიხედვით აღადგინა სახლი შეძლებული ქალაქელისა, რომელიც ურში ცხოვრობდა ძვ. წ. XIX-XVIII საუკუნეებში, ესე იგი მაშინ, როცა იქ თარას მოდგმა იყო დამკვიდრებული. ამასთან დაკავშირებით ინგლისელი მეცნიერი შემდეგს წერს წიგნში, რომელსაც „ქალდეველთა ური“ ეწოდება:

„მას შემდეგ, რაც დავაზუსტეთ, თუ რა კულტურულ პირობებში გაიარა ბიბლიური პატრიარქის ჭაბუკობის წლებმა, ძირფესვიანად უნდა გადავსინჯოთ ჩვენი შეხედულებანი მასზე. იგი იყო უდიდესი ქალაქის მკვიდრი, ძველი, უმაღლესი ცივილიზაციის მემკვიდრე. მისი სახლი მეტყველებს კომფორტაბელურ ცხოვრებაზე, ფუფუნებაზეც კი“.

კიდევ უფრო საინტერესოა ქარანის აღმოჩენის ისტორია. ბიბლიური ტრადიციის თანახმად, თარას გვარი, რელიგიური მიზეზების გამო, ურიდან ქარანს გადასახლდა. ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნის ოლბრაითის აზრით, ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვის XX-XVII საუკუნეებს შორის, ხამურაბის მეფობის ჟამს. ხამურაბის მეფობის დრო დღემდე კამათის საგნად ითვლება. მეცნიერები ასახელებენ სამ თარიღს: 1955—1913, 1792—1750 და 1728—1686 წლებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ თარას გვარი თაყვანს სცემდა მთვარის ღმერთს; სახელდობრ, ამაზე მიუთითებს ისუ ნავეს წიგნის შემდეგი ფრაზა: „წიაღ მდინარესა მკვიდრ იყვნნეს მამანი თქვენნი პირველად. თარა, მამა აბრაჰამისი და მამა ნაქორისი და მსახურებდეს უცხო ღმერთებს“ (ისუ ნავე, თ. 24, მ. 2.).

ბიბლიიდან ვიცით, თუ რატომ დატოვა აბრაამმა ქარანი და რატომ გადასახლდა ქანაანში. ემიგრაციის მიზეზი იყო მისი გადასვლა გენოთეიზმზე, რაც, ბიბლიის თანახმად, ჯერ კიდევ ურში მოხდა.

უგარითში აღმოჩენილ ლურსმულ ფირფიტებზე დაწერილი ერთ-ერთი ლეგენდა გვიამბობს მზისა და მთვარის თაყვანისმცემლებს შორის ბრძოლის ამბავს და გვამცნობს მთვარის თაყვანისმცემელთა განდევნას. გარდა ამისა, მთვარის კულტის კვალი ნაპოვნია პალესტინაშიც. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აბრაამის მამის სახელი — თარა, წარმოიშვა ყველა სემიტური ენისათვის საერთო სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს მთვარეს.

1957 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა დევიდ სთორმ რაისმა სამხრეთ თურქეთში იპოვა ქარანის ნანგრევები. აღმოჩნდა, რომ ქალაქი გაშენებული იყო ურიდან დაახლოებით ხუთასი კილომეტრის დაშორებით, ზემო ევფრატის შენაკად ნარ-ბალიხე. ძველი ბაბილონური ტექსტებიდან ცნობილია, რომ ქარანი იყო ცენტრი მთვარის ღმერთის კულტისა; ქარანელები გამოირჩეოდნენ რელიგიური ფანატიზმით, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, თუ რაოდენ ძლიერი იყო ეს კულტი მათ შორის. ინგლისელი არქეოლოგის გამოკვლევათა შედეგად გამოვლინდა, რომ აქ მთვარის კულტი ბატონობდა რომის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე. მასთან ბრძოლაში ქრისტიანობა უძლური აღმოჩნდა, ისლამიც კი იძულებული გახდა, საუკუნეების განმავლობაში შერიგებოდა მას. მხოლოდ სალადინის მეფობის დროს დაანგრიეს მთვარის ღმერთის ტაძარი. მის საძირკველზე 1179 წელს დააშენეს მიზგითი, რომელიც მონღოლებმა ჩვენი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში დაანგრიეს.

მიზგითის სამი ბჭის ნანგრევების ქვეშ რაისმა იპოვა ქვის სამი ფილა, რომლებზეც ამოკვეთილი იყო მთვარის ღმერთის სიმბოლოები. ფილები ისე იყო განლაგებული, რომ მიზგითში შესვლისას მუჰამედის თაყვანისმცემლებს ფეხი მათთვის უნდა დაეჭიდებინათ, იმის ნიშნად, რომ ქარანის ძველი რელიგია სამუდამოდ იყო განადგურებული.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით რაისმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ მთვარის ღმერთის კულტი ქარანში ჩვენი წელთაღრიცხვის XII საუკუნემდე არსებობდა.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება აქედან? თუ დავუშვებთ, რომ ბიბლიური აბრაამი ნამდვილად არსებობდა, მაშინ მისი წასვლა ქარანიდან უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი კულტის დამფუძნებლის განდევნა მთვარის ღმერთის ფანატიკური თაყვანისმცემლების მიერ. ასეთივე ამბავი შეეშინა მუჰამედს, რომელიც იძულებული გახდა, მექადან გაქცეულიყო.

თუ აბრაამის რეალური არსებობა საეჭვოდ მივიჩნიეთ, მაშინ მარიში აღმოჩენილი ფირფიტების მიხედვით შეგვიძლია ეს ბიბლიური სახე ერთ-ერთი ებრაული ტომის მთელი მოხეტიალე ცხოვრების ისტორიის განსახიერებად მივიჩნიოთ. გავიხსენოთ: ზოგიერთი ბიბლიური ტექსტი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აბრაამის მონოთეიზმი არ იყო მონოთეიზმი თანამედროვე გაგებით. ის მხოლოდ ტომის ღმერთის — ელოჰიმის — კულტია და სხვა არაფერი.

შეიძლება თუ არა ამასთან დაკავშირებით უარვყოთ ჰიპოთეზა, რომ ქარანიდან გადასახლება გამოწვეული იყო რელიგიური მიზეზებით? ვფიქრობ, რომ არა. საკმარისია, აბრაამის პიროვნება შევცვალოთ ტომით და მთელი ჰიპოთეზა საესებით

დამაჯერებელი გახდება. ქარანში მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს უთანხმოება მოუვიდა მთვარის თაყვანისმცემლებთან. ამ ტომს არ სურდა, თავისი ღვთაების გარდა ვინმესთვის ეცა თაყვანი. ბოლოს იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქარანი და ქანანში ეძებნა თავისი ბედი. ამ მოვლენათა გამოძახილი შემოინახეს ხალხურმა ლეგენდებმა და ოქმულებებმა, რომლებიც შემდგომ ქურუმებმა ბიბლიის ტექსტში ძეიტანეს.

რელიგიის შედარებითი ისტორია გვიჩვენებს, რომ ღმერთები ისევე იცვლებოდნენ, როგორც მათი მიმდევრები. პოლიტიკური კატასტროფებისა და ტანჯვა-წამების გამო ებრაელები თანდათან აღრმავებდნენ თავისი ტომის რელიგიას. ბოლოს და ბოლოს, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულებმა, ტომობრივი რელიგია სრული მონოთეიზმის მწვერვალზე აიყვანეს. უნივერსალური ღმერთი გახდა იაჰვე, რომელიც ახალი გეოქისა და ცივილიზაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

ქურუმი რედაქტორები სწორედ ამ ყაიდაზე ასწორებდნენ ძველ თქმულებებს. ისინი ცდილობდნენ, აბრაამი წმინდა მონოთეიზმის მიმდევრად წარმოესახათ. როგორც ცნობილია, ეს მათ მთლად ვერ მოახერხეს: ტექსტის ცალკეულ ფრაგმენტებში იაჰვე ტომის პირველყოფილი ღვთაების ნიშნებს ინარჩუნებს.

არქეოლოგიური გათხრები პალესტინაში უფრო და უფრო მდიდარ მასალას იძლევა. ბოლო დროს ნაპოვნია ნანგრევები პატრიარქთა ბიბლიურ ისტორიაში მოხსენებული რამდენიმე პატარა ქალაქისა. მაგალითად: თანამედროვე დაბის — თელ-ბალაფის მახლობლად აღმოჩენილია მეფე ემორის ქალაქის ნანგრევები. სწორედ ამ ქალაქში აიღეს სისხლი იაკობის ვაჟიშვილებმა. უძველესი განათხარი ფენა განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის XIX საუკუნეს. აქ აღმოაჩინეს ციხის დიდი გალავნის, სასახლისა და ტაძრის ნანგრევები, რითაც დასტურდება, რომ მეფე ემორი ძლევამოსილი მბრძანებელი იყო.

მამბრე კი, სადაც მუხნარის ჩრდილში ჯერ აბრაამი განისვენებდა, შემდეგ კი ისააკი, არასოდეს გამქრალა. იგი მდებარეობს ქებრონის ჩრდილოეთით და მისგან სამი კილომეტრითა დაშორებული. არაბულად მას ეწოდება ჰარამ-რამათ-ელ-ჰალილი („წმინდა მაღლობი ღმერთის მეგობრისა", ესე იგი, აბრაამისა) და იქ ძველთაგანვე თაყვანს სცემდნენ აბრაამის მუხას, ჭასა და სამსხვერპლოს. არქეოლოგიური გათხრების დროს აქ აღმოაჩინეს უძველესი ჭა და სამსხვერპლოს საძირკველი, რომელზედაც შემდგომ ქრისტიანული საკურთხეველი ააგეს. გარდა ამისა, გარემო ვამოქვაბულებში -იპოვეს მრავალი ადამიანის გვამი. ეს მოწმობს, რომ ძველად მამბრეში დიდი სასაფლაოები ჰქონდათ. მაქფელას ვამოქვაბულის თაეზე (სადაც, ბიბლიის თანახმად, დამარხულნი არიან აბრაამი, ისააკი და იაკობი) ახლა

აღმართულია ისლამის მიმდევართა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიზგითი.

დღეს ჩვენ ისიც ვიცით, თუ სად იმყოფება გერარი — აბიმელექის ქალაქი. მისი ნანგრევები აღმოჩენილია თელ-ჯემლში, ღაზიდან ცამეტ კილომეტრზე, სამხრეთ-დასავლეთით.

1927 წელს ინგლისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, გათხრებისას, მიაკვლია იმ ფენას, რომელიც ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის. ნანგრევებში აღმოაჩინეს მრავალი სასწორი, რაც იმას მოწმობს, რომ აბრაამის დროს გერარი მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო.

სამწუხაროდ, დღემდე არ მოხერხდა სოდომისა და გომორის აღგილმდებარეობის დადგენა; თუმცაღა ბოლო წლებში მეცნიერულ სამყაროში დამკვიდრდა აზრი, რომ ეს ქალაქები ნამდვილად არსებობდნენ.

აი, მოკლედ დღემდე ჩატარებულ ძიებათა შედეგები:

1. უკვე XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ინგლისელებმა დაადგინეს, რომ მკვდარი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ლისანის ვიწრო კონცხიდან, წყალქვეშ გადაჭიმულია მაღალი, კლდოვანი თხემი, რომელიც ამ ტბას ორ აუზად ჰყოფს. სამხრეთით აუზი ღრმა არ არის, ჩრდილოეთით კი ფსკერი მკვეთრად ეშვება; აქ სიღრმე ოთხას მეტრს აღწევს. ვარაუდობენ, რომ პირველი ნაწილი ოდესღაც იყო ხმელეთი, რომელიც ჩაიძირა რაღაც გეოლოგიური კატაკლიზმის შედეგად. ბიბლიის თანახმად, სოდომი და გომორი მდებარეობდნენ სიდიმის ხეობაში, „რომელ არს ზღვა მარილთა“ (შდრ. დაბ., თავი 14, მ. 3;). ახლახან იპოვეს ნაწყვეტები ფინიკიელი ქურუმის სანხუნიათონის „ძველი ისტორიის“ წიგნისა. ავტორი წერს: „სიდიმის ხეობა ჩაიქცა და ტბად იქცა...“

2. გეოლოგიურმა დაზვერვამ აღმოაჩინა მძაფრი ვულკანური კატასტროფის კვალი იორდანის ხეობაში, არაბეთის უდაბნოში, ტავრის მთების ძირში, აქაბის ყურეში და მეწამული ზღვის ნაპირებზე. გეოლოგებმა ამ სტიქიური უბედურების თარიღიც კი დაადგინეს. ეს მოხდა დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასწლეულით ადრე, ესე იგი, აბრაამის დროს.

3. მკვდარი ზღვის მახლობლად განლაგებულია ქვამარილის ბორცვები. ზოგიერთი მათგანი, გამოფიტვის შედეგად, ადამიანის ფიგურას დამსგავსებია, უეჭველია ეს ფაქტი დაედო საფუძვლად ლეგენდას ლოთის ცოლზე, რომელიც მარილის სვეტად იქცა.

4. მაშასადამე, ხალხის მეხსიერებას შემორჩა მკვდარი ზღვის რაიონში ძველად მომხდარი რომელიღაც სტიქიური უბედურების ამბავი. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შეიქმნა

მრავალი გადმოცემა და ლეგენდა, რომელთა ფესვები ისტორიულად უტყუარია.

5. მფრინავები, რომელთა სისტემატური რეისების ტრასა მკვდარ ზღვაზე გადადის, ამტკიცებენ, რომ რაღაც ნანგრევების კონტურები შენიშნეს და ისიც იმ ადგილას, სადაც სოდომისა და გომორის ადგილმდებარეობაა ნავარაუდევი. აკვალანგისტები ცდილობდნენ, გამოეკვლიათ ზღვის ფსკერი. მაგალითად, ბეთლემის ბაპტისტური მისიის ხელმძღვანელმა დოქტორმა რალფ ბანეიმ 1958 წელს განაცხადა — ფსკერამდე მივაღწიე და კაშხალის კვალი ვიპოვეო. მაგრამ მის სიტყვებს ეჭვით შეხედნენ.

მკვდარი ზღვის ფსკერამდე ჩასვლა და მისი საიდუმლოების ამოცნობა მეტისმეტად რთული საქმეა. წყალი ოცდახუთ პროცენტ მარილს შეიცავს და ისეა ამღვრეული, რომ დაახლოებით გაწვდილი ხელის სიგრძეზე არაფერი ჩანს. გარდა ამისა, წყლის სიმკვრივე ისეთია, რომ ადამიანს შეუძლია არხეინად წამოწვეს ზედაპირზე და იკითხოს წიგნი. ფსკერზე დასაშვებად მყვინთავს ორმოცი კილოგრამი ტვირთი მაინც სჭირდება. ამას ისიც ემატება, რომ ამდენი მარილი კანის მწვავე გაღიზიანებასა და ტუჩების შეშუპებას იწვევს.

ბოლო დროს წყალქვეშა ექსპედიციისათვის გულდასმით ემზადება ამერიკა-კანადის არქეოლოგიური ჯგუფი. იქნებ ამ ჯგუფმა შეძლოს სოდომისა და გომორის საიდუმლოების გახსნა.

უნდა შეეხოთ დამასკოსთან დაკავშირებულ ამბავსაც. ბიბლიაში არაა აღნიშნული, რომ ქანაანში მიმავალი აბრაამი აქ შეჩერდა. მაგრამ ამ ეპიზოდის აღწერისას ჩვენ მაინც კონკრეტულ წყაროებსა და წინაპირობებს ვეყრდნობით.

1. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი (ჩვენი წელთაღრიცხვის 37-95 წლები) აბრაამის დამასკოში ყოფნას იხსენიებს თავის ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „ებრაული სიძველენი". როგორც ჩანს, მას ხელთ ჰქონდა ჩვენთვის უცნობი რომელიღაც წყაროები.

2. ძველი გზა ქარანიდან ქანაანისაკენ სირიაზე, მაშასადამე, დამასკოზე, გადიოდა. არა გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ აბრაამი აირჩევდა სხვა, ნაკლებ მოხერხებულ შემოვლით მარშრუტს.

3. დამასკოში აბრაამის ყოფნას ისიც ადასტურებს, რომ აბრაამის სახლში უცბად ჩნდება ახალი პიროვნება — დამასკელი ელიაზარი. პატრიარქმა მას თავის მეურნეობაში პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა და ვაჟის შეძენამდე თავის მემკვიდრედ თვლიდა (თანახმად ხამურაბის კოდექსისა, რომელიც უშვილოს ნებას რთავდა, ეშვილებინა ვინმე).

ქვეყანას, სადაც აბრაამი გადასახლდა, პირველად ქანაანი

ერქვა. მხოლოდ მოგვიანებით უწოდა მას ჰეროდოტემ პალესტინა, ბიბლიური ფილისტიმელი ხალხის სახელწოდების მიხედვით. ეს ხალხი XIII საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ქანაანის სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდა.

პალესტინა შეიძლება დავყოთ სამ ძირითად უბნად: დაბლობი ხმელთაშუა ზღვასთან, მაღლობი იორდანის დასავლეთით — ეგრეთ წოდებული წინა იორდანია, და კლდოვანი მიდამო მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე, ესე იგი, იმიერიორდანია. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს სამხრეთი ნაწილი საოცრად ნაყოფიერი იყო. ამ მიდამოებში მდებარე სარონის ხეობას „სამოთხის ბაღს“ უწოდებდნენ. დიდ მოსავალს იძლეოდა იორდანის დასავლეთით მდებარე მაღლობიც. ცხელი ჰავის წყალობით აქ ფინიკიც კი მოდიოდა. განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა გალილეა, რომელიც უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დასახლებული. სწორედ აქ აღმოჩნდა ნანგრევები ბიბლიაში მოხსენებული მთელი რიგი ქალაქებისა. იორდანის აღმოსავლეთით მდებარე ბევრი რაიონის მოსახლეობაც ეწეოდა მიწათმოქმედებას.

ქანაანი ძირითადად მაინც მესაქონლეობის ქვეყანა იყო. ქანაანელებს ჰქონდათ კარგი საძოვრები: ზეგნები, მთათა ფერდობები და ველები, თუმცაღა მათ დროდადრო გვალვა აზარალებდა. იორდანის ხეობაში მიწას მხოლოდ გენესარეთის ტბასთან ამუშავებდნენ. სხვა რაიონებში მიწა დაფარული იყო ხშირი მცენარეულობით. აქ მტაცებელი მხეცებიც კი ბინადრობდნენ.

მიწათმოქმედების პრიმიტიული მეთოდების, უსასუქობის, ნიადაგის სწრაფად გამოფიტვის, პერიოდული გვალვების გამო ქვეყანა ხშირად შიმშილობდა.

ეგვიპტელები შეეჩვივნენ მომთაბარე მესაქონლე ტომებს, რომლებიც საზღვართან მოდიოდნენ და თავშესაფარს ითხოვდნენ. ეგვიპტელები გრძნობდნენ, რომ მათ შიმშილი სდევნიდა, რომ ისინი მშვიდობისმოყვარენი იყვნენ და გულში მტრული განზრახვა არ ედოთ. ამიტომ მასპინძლები სიამოვნებით უშვებდნენ მათ ნილოსის შესართავის ჯერ კიდევ თხლად დასახლებულ ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, ეგვიპტელები ამ სამსახურისათვის ხარკს ითხოვდნენ. ერთ-ერთი ეგვიპტელის აკლდამის სურათებზე გამოსახულნი არიან გაძვალტყავებული, თითქმის ჩონჩხად ქცეული ნომადები. ბენი-ჰასანში აღმოჩენილი აკლდამის ფრესკაზე კი რეალისტურადაა წარმოსახული სემიტური მესაქონლე ტომები ეგვიპტელ მოხელეებთან საზღვარზე მოლაპარაკების დროს.

უდაბნოს მეომარ ტომთა შემოსევებისაგან თავდასაცავად ეგვიპტელებმა მიწაყრილები აღმართეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასწლეულით ადრე, ესე იგი აბრაამის

დროს. ამ ფაქტს გვაუწყებს ეგვიპტელი დიდებული სინუჰე თავის მოგონებებში. იგი სამეფო კარის ინტრიგებში ჩაერია და იძულებული გახდა, საზღვარგარეთ გაქცეულიყო. სინუჰე გვიამბობს, როგორ გაუჩინარდა ღამეში, გადავიდა მთვარის კედელზე და მიაღწია ჩრდილო ქანაანამდე, სადაც აბრაამის, ისაკისა თუ იაკობის მსგავს ტომის ბელადს შეაფარა თავი. მოგონებაში სინუჰე ბევრს წერს ქანაანის ნაყოფიერებაზე. ბიბლიის მიხედვითაც ქანაანში „რძე და თაფლი გამოდის". რა თქმა უნდა, ეს ხოტბა ეხებოდა მხოლოდ მიწათმოქმედებისა და მებაღეობის რაიონებს. სინუჰე წერს: „ეს იყო საუკეთესო მიწა. უსვ მოსავალს იძლეოდა ლეღვი და ვენახი. ქანაანელებს ღვინო წყალზე მეტი ჰქონდათ. არასოდეს დაგვკლებია თაფლი და ერბო. ნაირ-ნაირი ხეხილი ამშვენებდა იქაურობას. იქ მოჰყავდათ ქერი და პური, ჰყავდათ აურაცხელი პირუტყვი. ყოველდღიურად მიმასპინძლდებოდნენ პურით, მოხარშული ხორცით, შემწვარი ფრინველითა და ღვინით. საგანგებოდ ჩემთვის ნადირობდნენ და გარეულ ფრინველსაც ხშირად მომართმევდნენ ხოლმე. მეც ხშირად დავდიოდი სანადირიდ ძაღლებითურთ".

ეგვიპტეში ჩატარებული გათხრების წყალობით ჩვენ შეგვიძლია აღწერა იმ ტანსაცმლისა, რომელსაც აბრაამის ტომის წარმომადგენლები ატარებდნენ. ბენი-ჰასანში აღმოჩენილი ეგვიპტელი დიდებულის აკლდამაზე არის ფრესკა, რომელზეც პალესტინიდან მოსული მომთაბარე სემიტური ტომებია გამოხატული (ეს ფრესკა ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნისაა). აქ წარმოდგენილი არიან წვერიანი მამაკაცები, ქალები და ბავშვები. რამდენიმე მამაკაცს წელქვეით აცვია ჭრელი ზოლიანი ქსოვილის მოკლე სამოსელი; ქალებსა და დანარჩენ მამაკაცებს მოუხურავთ გრძელი, მშვენიერი მოსასხამები. მამაკაცებს ხელთ უპყრიათ იარაღი: შუბები, მშვილდები და შურდულები. ერთ-ერთი მათგანი უკრავს პატარა ქნარზე, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სემიტებს ჯერ კიდევ მაშინ უყვარდათ მუსიკა. სურათზე ჭარბობს მწვანე, წითელი და ლურჯი ფერები.

ბიბლიაშიც გვხვდება იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ებრაელ ტომებს მკვეთრი ფერები უყვარდათ. გამოსვლათა წიგნში ღმერთი უბრძანებს მოსეს, შეაგროვოს შეწირულობანი: „ოქრო და ვეცხლი და რვალი, მატყლი იაკინთის ფერი, ძოწის ფერი და მეწამული; ბისონი და თხის თმა, ტყავები ვერძთა, წითლად შეღებილი, და ტყავები დელფინისა და ხე აკაკისა" (გამოსვლათა, თ. 25, მ. 3—5).

მეფეთა მეორე წიგნში დავითი ამბობს: „ტიროდით საულს, ასულნო ისრაელისანო, რომელი შეგმოსდათ მეწამულსა და თვალთა პატიოსანთა და დაგდებდათ სამკაულსა ოქროსასა სამოსელსა ზედა თქვენსა" (მეორე მეფეთა, თ. 1, მ. 24).

იოსების ჟარიშსლიანი
თავგადასავალი

მონად გაყიდული. იაკობს ჰყავდა თორმეტი ძე, რომელთაგან ყველაზე მეტად უყვარდა უმცროსები — იოსები და ბენიამინი, მისი საყვარელი ცოლის რაქელის შვილები. ბენიამინი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. იოსები კი წამოიზარდა და ცოცხალი ყმაწვილი გამოდგა. საზრიანობასა თუ მოხერხებულობაში ტოლი არ ჰყავდა მთელ ოჯახში. მამას ძალიან ეამაყებოდა ასეთი შვილი და, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, მის ყოველ სიტყვას კვერს უკრავდა და ყველა სურვილს უსრულებდა. სხვათა შორის, მან საყვარელ შვილს ლამაზი ჭრელი ტანსაცმელი აჩუქა და მის ნებაზე მიუშვა: ოჯახის საქმით არ აწუხებდა. საქონლის მოვლა-პატრონობა მთლიანად ბალასა და ზელფას შვილებს დააწვა კისერზე. ისინი მთელი დღე საძოვრებზე დაეხეტებოდნენ გარე-გარე, იოსები კი ამ დროს გამოპრანჭული ნებივრობდა შინ, თანაც თავი ქედმაღლურად ეჭირა, მოურიდებლად ტრაბახობდა და, რაზეც უნდა ჩამოეგდოთ საუბარი, ყოველთვის ძმებზე მცოდნედ მოჰქონდა თავი. ამაზე უარესი ის იყო, რომ ძმებს უთვალთვალებდა კიდეც და წამდაუწუმ ენა მიჰქონდა მამასთან. იაკობის შვილებს კი, რომლებიც მეტ დროს კარში ატარებდნენ, სულაც არ უნდოდათ, მათი ყოველი ფეხის ნაბიჯი სცოდნოდათ შინაურებს. ამიტომაც თვალით დასანახავად ეზარებოდათ ამპარტავანი, ტრაბახა და მაბეზღარი ძმა, ცხოვრებას რომ უმწარებდა მათ. საკუთარი დიდების გრძნობით დაბრმავებულ იოსებს აინუნშიც არ მოსდიოდა ეს და არც იმას დაგიდევდათ, რომ ძმები დღითი დღე მეტ ბოღმას იხვევდნენ გულში. დღე ისე არ გავიდოდა, რომ იოსებს თავი არ მოებეზრებინა მათთვის. ყველაზე უფრო ის უკიდებდა ძმებს გულზე ცეცხლს, რომ იოსებმა სიზმრების მოყოლა იცოდა და ამ სიზმ-

რებში ისინი ყოველთვის დამცირებული და შეურაცხყოფილი გამოჰყავდა.

ერთხელ, როცა მთელი ოჯახი სუფრას შემოუსხდა, იოსები მოჰყვა ასეთ სიზმარს: „ვკრეფდით მჭელეულთა შორის ველსა და აღდგა მჭელეული ჩემი და აღემართა. და მოიქცეს მჭელეულნი თქვენნი და თაყვანის-სცეს მჭელეულსა ჩემსა“. ძმებს ეწყინათ ეს და იოსებს დაცინვა დაუწყეს: „აწ მეფობით ჰმეფობდე ჩვენ ზედა ანუ უფლებით უფლებდე ჩვენ ზედა?“ იაკობმა, როგორც ყოველთვის, ამ შეხლა-შემოხლაშიც თავის საყვარელ შვილს დაუჭირა მხარი, მაგრამ იოსებს მალე დაესიზმრა, რომ თერთმეტ ვარსკვლავთან ერთად მზე და მთვარეც ქედს უხრიდნენ მას. ამან კი ძალიან ატკინა გული მოხუც მამას.

„რა არს ჩვენება ესე? — წაიბურტყუნა გულმოსულმა იაკობმა, — აწ მოვიდეთ მე და დედა შენი და ძმანი შენნი თაყვანის ცემად შენდა?“

იოსები მამისაკან დატუქსვას არ ელოდა და ერთ ხანს თავს იკავებდა, როგორც იტყვიან, ჭიასაც არ აღვიძებდა. უსიამოვნო ამბავი მალე ყველამ დაივიწყა; მამაც ძველებურად არჩევდა იოსებს სხვა შვილებში და არაფერს აკლებდა.

ერთხელ ძმები საძოვრების ძებნას შეჰყვნენ და სიქემამდეც კი მივიდნენ. მათი ასავალ-დასავალი დიდხანს არავინ იცოდა შინ. შეწუხებულმა იაკობმა მათი ამბის გასაგებად იოსები გაგზავნა. მას ჭკუაში დაუჯდა მამის დავალება და უყოყმანოდ იკისრა ზედამხედველობა. სიქემში მან გაიგო, რომ ძმებს ფარა ქალაქ დოთაიმის მიდამოებში წაერეკათ და მათ კვალს გაჰყვა. ძმები საძოვარზე იყვნენ და გამოჩნდა თუ არა იოსები ჰორიზონტზე, მაშინვე იცნეს. ერთ-ერთმა მათგანმა დაცინვით წამოიძახა: „აჰა, ჩვენების მხილველი იგი მოვალს!“ მანვე აწვეთა ძმებს ყურში: მოდი, ისე შევხვდეთ, რომ სიზმრის ნახვის სურვილი დაეკარგოსო. გამოპრანჭული იოსების დანახვაზე გული გაუსკდათ — მიხვდნენ, რომ ისევ მათ დასასმენად მოდიოდა. მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, აბეზარი ძმა ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინათ თავიდან: მოეკლათ, ამომშრალ ჭაში ჩაეგდოთ და მამისთვის შეეთვალათ — მხეცმა შეჭამაო. რუბენი წინ აღუდგა ძმებს და შეევედრა: ძმის სისხლს ნუ დავღვრით, ცოცხალი ჩავაგდოთ ჭაში, სულ ერთია, შიმშილით მაინც მოკვდებაო. თვითონ კი იმედი ჰქონდა, რომ ღამით ძმას ჭიდან ამოიყვანდა და მამასთან გაგზავნიდა.

ბევრი კამათის შემდეგ გაბოროტებული ძმები რუბენს დაეთანხმნენ. მიუახლოვდა თუ არა მათ იოსები, ეცნენ, გააშიშვლეს, შეკრეს აღვირის თასმებით და ღრმა ჭაში ჩაუშვეს. იოსებმა მაშინვე დაკარგა გონება. რომ მოსულიერდა, თავზარი დაეცა და კივილი მორთო. დამნაშავე ძმებმა არ შეისმინეს მისი ხვეწნა-

მუდარა, ვითომც აქ არაფერიაო — სადილად დასხდნენ და იოსებისათვის ლუკმაც არ გაიმეტეს. ამასობაში შორს გამოჩნდა მადიამელ თუ ისმაიტელ[1] ვაჭართა ქარავანი, რომელსაც გალაადიდან ეგვიპტეში მიჰქონდა მური და საკმეველი, ნელსაცხებელი, გუნდრუკი. ესენი იყვნენ ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი მდიდარი ვაჭრები. კისერზე და მხრებზე ოქროს სამკაული უბრწყინავდათ. სასაპალნე ვირების მოსართავებსაც კი ოქროს ზანზალაკები ამშვენებდა. იაკობის შვილებმა გადაწყვიტეს, იოსები მონად გაეყიდათ. მოგზაურმა ვაჭრებმა მუშტრის თვალით ახედ-დახედეს ტანწერწეტა ჭაბუკს და მის ძმებს მოურიგდნენ; ოცი ვერცხლი გადაიხადეს. იცოდნენ, რომ ეგვიპტის ბაზარზე ახალგაზრდა მონა ძვირად ფასობდა. ქარავანი გზას გაუდგა. უნამუსო ძმებმა კი მაშინვე თხის სისხლით მოსვარეს იოსების ტანსაცმელი, გაუგზავნეს მამას და შეუთვალეს — აბა თუ იცნობო. საყვარელი შვილის გასისხლიანებული ტანსაცმელი რომ დაინახა, იაკობი კინაღამ შეიშალა. მან ტანსაცმელი შემოიხია და თან სასოწარკვეთილი მოთქვამდა: „სამოსელი ძისა ჩემისა არს ესე; მხეცმა ბოროტმა შეჭამა იგი. მხეცმა ბოროტმა მიმტაცა იოსებ". მერე ძაძებით შეიმოსა და დაუსრულებელი მოთქმა-ვაება მორთო. ოჯახი ცდილობდა, შეემსუბუქებინა მისთვის დარდი, მაგრამ იაკობი ქვითინით იმეორებდა ერთსა და იმავეს: „გლოვით შთავიდე ძისა ჩემისა თანა ჯოჯოხეთს". იმ დროს, როცა იაკობი გოდებდა და მოთქვამდა, მადიამელები გზას განაგრძობდნენ და ეგვიპტისაკენ მიჰყავდათ უბედური, მტირალი იოსები, რომელიც ასე მუხანათურად გაყიდეს ძმებმა.

იოსები პეტეფრეს სახლში. მოგზაურმა ვაჭრებმა იოსები მიჰყიდეს ფარაონის მცველთა უფროსს — პეტეფრეს. ამრიგად, იაკობის ძე ეგვიპტის ერთ-ერთი განთქმული დიდებულის მსახური გახდა. აქ იგი ცუდად როდი ცხოვრობდა. მუყაითი და პატიოსანი მონა პატრონს ფიანდაზად ეგებოდა ფეხქვეშ, ამით მისი გული მოიგო და ნდობაც დაიმსახურა. პეტეფრე თანდათან დაენდო, უფროსად „დაადგინა სახლსა თვისსა" და ყველაფრის მოვლა-პატრონობა მას დააკისრა. იოსები ყველაფერს ერთგულად უვლიდა, მისი თვალი და ხელი ყველაფერს სწვდებოდა. პეტეფრეს სანანებლად არ დარჩენია იოსების სხვა მონებისაგან გაძორჩეა. მას შემდეგ, რაც მან იოსებს მიანდო ზედამხედველობა, ოჯახი უფრო გამდიდრდა. პეტეფრეს კი ყოველდღიური წვრილმანები აღარ აწუხებდა. ამიტომ საშუალება

---

[1] ბიბლიაში არათანმიმდევრულად ასახელებენ ხან ერთს და ხან მეორეს. ზოგჯერ ისმაიტელები ეაიგიეებულნი არიან ბედუინებთან.

მიეცა, მეტი ეფიქრა ჯარებზე და თავისთავზეც ეზრუნა. მაგრამ, როგორც ამბობენ, ბედნიერება მარადისი როდია.

იოსები ლამაზი და მოხდენილი ჭაბუკი იყო. პეტეფრეს ცოლს მისი სიყვარულის ალი მოედო და ჭაბუკს შეუჩნდა, ათასი ხერხი იხმარა, რომ იგი შეეცდინა. იოსები არ აჰყვა ქალს, რადგან არ უნდოდა წყალობისა და სიკეთის სანაცვლოდ შეურაცხყოფა მიეყენებინა თავისი პატრონისათვის. საუბედუროდ, ავხორცმა ქალმა მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეცდუნებინა ჭაბუკი. ერთხელ შინ მარტო იოსები და პეტეფრეს ცოლი დარჩნენ. ქალმა დრო იხელთა, შეიტყუა იოსები საძინებელ ოთახში, მოეხვია და საწოლისკენ წაიყვანა. იოსები არ ნებდებოდა; რაკი ვეღარაფერი გააწყო, მაცდურს სამოსელი ხელში შეატოვა და გაიქცა. შეურაცხყოფილმა, დამცირებულმა და იმედგაცრუებულმა ქალმა შური იძია — საშინელი წივილ-კივილი მორთო. მოცვივდნენ მსახურები. ქალმა მათ იოსების ტანსაცმელი უჩვენა და ამით მისი დანაშაული ყველას ამცნო.

პეტეფრე შინ დაბრუნდა და ყველაფერი შეიტყო. ცოლის მონაჭორი დაიჯერა, მისი თვალთმაქცური აღშფოთება ირწმუნა და იოსები საპყრობილეში შეაგდო. იაკობის ძე უბედურების ჟამსაც გამგონე, თავაზიანი იყო და სულ მალე მოინადირა ციხის უფროსის გული. მან იგი ტუსაღთა ზედამხედველად დანიშნა. მარჯვე, გამჭრიახი იოსებისათვის თავისუფლად შეიძლებოდა ყოველდღიური სამეურნეო საქმის მინდობა. გულმოდგინეობის, მუყაითობისა და ერთგულების წყალობით იოსები ყველგან და ყოველთვის პირველთაგან პირველი იყო. პატივმოყვარე იოსები დიდსა და მცირე საქმეს არ არჩევდა — ორივე უნდა მოეთავებინა და დამში მოეყვანა. მოხერხებული, პრაქტიკული ჭკუის პატრონი იოსები გველის ხვრელში გაძვრებოდა, ოღონდ კი უფროსების გული მოეგო.

ერთხელ საპყრობილეში მოიყვანეს ეგვიპტის ფარაონის მთავარი მეპურეთ-მოძღვარი და ღვინის მნე. იოსები ცდილობდა შეემსუბუქებინა მათი მწარე ხვედრი და ზრუნვას არ აკლებდა პატიმრებს. ბედუკულმართი მსახურები შეეთვისნენ იოსებს, მთელი დღე მასთან ლაპარაკობდნენ, აცნობდნენ სამეფო კარის ინტრიგებსა და მეფის სუსტ მხარეებს. იოსები ყველაფერს გულის ფიცარზე იჭდევდა. გავიდა რამდენიმე ხანი და იგი სამეფო კარის საქმეებში ისე კარგად ერკვეოდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო ყველაფრის მოწმე და მხილველი. ერთხელ საუბარში გამოირკვა, რომ ორივე მსახურს უცნაური რამ ჰსიზმრებოდა.

ღვინის მნეს დაესიზმრა ვაზი, რომელმაც სამი რქა გამოიღო, ჯერ ყვავილებით დაიფარა, შემდეგ კი მტევნები მოისხა.

ღვინის მნემ თასში ჩაწურა ყურძენი და სავსე თასი ფარაონს მიაწოდა.

იოსები ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ ღვინის მნეს უწინასწარმეტყველა — სამი დღის შემდეგ ფარაონი შეგიწყალებს და ძველსავე ადგილზე დაგაბრუნებსო. მან ღვინის მნეს სთხოვა, ფარაონთან გამოქომაგებოდა, როგორც უდანაშაულოდ შეპყრობილს.

მეპურეთ მოძღვარმაც უამბო მას თავისი სიზმარი — თითქოს თავზე ედო სამი კალათა გამომცხვარი პური, რომელსაც ფრინველები დასეოდნენ და კენკავდნენ. იოსები მოიღუშა და უწინასწარმეტყველა — სამი დღის შემდეგ ჯალათების ხელში ჩაგაგდებენო.

ფარაონის სასახლეში. გავიდა სამი დღე და იოსების წინასწარმეტყველება აღსრულდა. ფარაონი თავის დაბადების დღეს დღესასწაულობდა. გაიხსენა მარჯვე ღვინის მნე. შეიწყალა, გაათავისუფლა და კვლავ ჩააბარა სასახლის მარნის გასაღები. მეპურეთ მოძღვარზე კი გული აღარ მოიბრუნა და ბრძანა, დასაჯეთო.

ღვინის მნემ, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, თავი არ შეიწუხა მეგობრისთვის, რომელმაც გათავისუფლება უწინასწარმეტყველა. იოსები ორ წელს კიდევ ეწამა ციხეში და დაკარგა იმედი, რომ უმადური ღვინის მნე დაპირებას შეუსრულებდა. ფარაონის სიზმრები რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ დატრიალდებოდა იოსების ბედი. ერთხელ ფარაონმა ღამით ასეთი სიზმარი ნახა: მდინარიდან შვიდი მსუქანი ძროხა გამოვიდა და მდინარის პირზე ძოვდა ბალასს. მაგრამ აი, მალე მათ კვალდაკვალ გამოჰყვა შვიდი მჭლე ძროხა, რომელთაც მსუქანი ძროხები შთანთქეს. მეორეღ ფარაონს ასეთი რამ ესიზმრა: მიწიდან ამოვიდა მარცვლით სავსე შვიდი თავთავი, მათ გვერდით კი შვიდი ცარიელი, ფშუტე თავთავი გაჩნდა და სავსე თავთავები შეჭამა.

ფარაონი შეაშფოთა საიდუმლოებით მოცულმა სიზმრებმა. მან მოუხმო ეგვიპტის საუკეთესო მისნებსა და ბრძენთ, რომელთაც სიზმრის ახსნა შეეძლოთ. ისინი იჭვნეულად აქნევდნენ თავს, ბჭობდნენ და კამათობდნენ ერთმანეთში. ბოლოს და ბოლოს უმწეოდ გაასავსავეს ხელები და უზენაეს მბრძანებელს გამოუტყდნენ — თქვენი სიზმრების ფარული აზრის ამოხსნა არ ძალგვეძსო.

ფარაონი შეწუხდა და სასახლეშიც ყველას წაუხდა გუნება. ღვინის მნემ მხოლოდ ახლა გაიხსენა იოსები. მან იფიქრა, ფარაონს კიდევ მეტ მოწყალებას გამოვტყუებო და უამბო ამბავი

ერთი ახალგაზრდა ებრაელისა, რომელმაც ოდესღაც ციხეში ზუსტად უწინასწარმეტყველა მას მომავალი. ფარაონს იმედი მიეცა. მეისვე ბრძანა — იოსები მომგვარეთო. პატიმარმა თმა-წვერი გაიკეთა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ფარაონს ეახლა და პირქვე დაემხო. ფარაონმა მოუთმენლად ჰკითხა: „ჩვენება ვი-სილე და განმმარტებელ არავინ არს. ხოლო მესმა შენთვის, რა-მეთუ ვითარ თქვან ჩვენება, განმმარტებ მას“.

იოსებმა ყურადღებით მოისმინა ფარაონის სიზმრები მსუქან და მჭლე ძროხებზე, სავსე და ცარიელ, ქარისაგან გამოფიტულ თავთავებზე. ჩაფიქრდა და თქვა: ეგვიპტეში შვიდი წელი მო-სავლიანი იქნება, შემდგომი შვიდი კი — გვალვიან-შიმშილია-ნიო. იგი მარტო ამ წინასწარმეტყველებას არ დასჯერდა და ფარაონს ურჩია, დაენიშნა განმგებლად ვინმე ბრძენი კაცი, რო-მელიც პირველი შვიდი წლის განმავლობაში ბეღლებში შეინა-სავდა მოსავლის მეხუთედ ნაწილს, რითაც მოუსაელიანობის ჟამს გაიტანდნენ თავს. ფარაონს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა. მან შეხედა პირმშვენიერ, ტანად, მოხდენილ ჭაბუკს და გაიფიქრა,— აი, ვიპოვე კაცი, რომელშიც ღვთიურ სულს დაუსადგურებიაო. მან მაშინვე დანიშნა იოსები თავის მოადგილედ და მთელი ეგვიპტის განმგებლობა მიანდო, რადგან მხოლოდ დიქტატორუ-ლი წესით შეიძლებოდა განხორციელება სამეურნეო გეგმისა, რომელიც გულისხმობდა მძიმე ხარკის დადებას როგორც ფეო-დალებსა და მებატონეებზე, ასევე ღარიბ გლეხობაზე.

იოსებს ოცდაათი წელი შეუსრულდა, როდესაც დამცირები-სა და შეურაცხყოფის შემდეგ მოულოდნელად წარმატებისა და დიდების მწვერვალზე მოექცა. თოთხმეტი წლის მონობის შემ-დეგ იგი ეგვიპტეში ღმერთად მიჩნეული მონარქის მარჯვენა ხელი გახდა, მისი ყოფილი ბატონები კი მის ხელქვეითებად იქცნენ.

სამეფო კარზე მიღებული წესის თანახმად, იოსებს დიდი ზარ-ზეიმით ჩააბარეს ძალაუფლება. მოოქრულ ტახტზე მჯდომ-მა ფარაონმა იოსებს გადასცა დიდი თანამდებობის შესაფერი რეგალიები: ოქროს ბეჭედი, ძვირფასი მანიაკი და დიდებული ტანსაცმელი. შემდეგ კი წარმოთქვა კურთხევის სიტყვები: „მე ვარ ფარაონი, ხოლო შენსა გარე არავინ აღაპყროს ხელი ანუ ფეხი ქვეყანასა ეგვიპტისასა“. იმავე დღეს ეტლებში ფეხმარ-დი ცხენები შეაბეს და მთელმა სასახლემ ტაძრისაკენ გასწია. იოსების ეტლი ფარაონის ეტლს მისდევდა. მაცნენი მოსახ-ლეობას მოუწოდებდნენ, მუხლებზე დამხობილიყვნენ ახალი გამგებლის წინაშე. ტაძარში ფარაონმა იოსებს დაარქვა ახალი, ეგვიპტური სახელი — ფონთო ფარნექი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ღმერთი ბრძანებს: დღეგრძელი იყოს“. გარდა ამისა, ფარაონმა მას ცოლად მისცა მზის ქალაქის — ონის — (ბერძნუ-

ლად ჰელიოპოლისის) გავლენიანი ქურუმის პეტეფრეს ქალიშვილი. ამით ფარაონმა იოსებს ყოვლისშემძლე ქურუმთა კასტის მხარდაჭერა მოუპოვა.

იოსების მეგვიპტეს მართავს. მოსავლიანი შვიდი წლის განმავლობაში იოსები მთელ ეგვიპტეში მიმოდიოდა და პირადად ადევნებდა თვალყურს განკარგულებათა შესრულებას. ბეღლები ხორბლით აივსო; ბეგარის მიუხედავად, ხალხი შეძლებულად ცხოვრობდა და ლოცვა-კურთხევას უთვლიდა ასალ გამგებელს. იოსებს ოჯახშიც სიამტკბილობა ჰქონდა. მეუღლემ, ასენეთმა, ორი ვაჟი — მანასე და ეფრემი — შესძინა.

გამოხდა ხანი. იოსების წინასწარმეტყველება გამართლდა — დადგა წლები გვალვისა და შიმშილისა. მოუსავლიანობამ მარტო ეგვიპტეს კი არა, მეზობელ ქვეყნებსაც მისცა ზარალი.

ეგვიპტელები შიმშილისაგან იტანჯებოდნენ და ფარაონს სთხოვეს, ბეღლები გაეღო. ფარაონმა იოსებს გაუგზავნა მთხოვნელები. იოსებმა, როგორც თადარიგიანმა კაცმა, თხოვნა კი შეისმინა, მაგრამ უფასოდ როდი გაუცია პური. ეგვიპტელები ჯერ ფულს იხდიდნენ სურსათში, მერე, ფული რომ შემოელიათ, ყიდდნენ ცხენებს, ცხვარს, ხარებსა და ვირებს, ოღონდ შიმშილისაგან თავი დაეხსნათ. ბოლოს და ბოლოს მათ მიწაც დაკარგეს და თვითონაც მონებად იქცნენ. ამრიგად, შვიდწლიანი კატასტროფის შემდეგ მთელი მიწა და ამ მიწის მფლობელნი ფარაონის საკუთრებად იქცნენ. ქონება შეინარჩუნეს მხოლოდ ქურუმებმა. ფარაონმა ანგარიში გაუწია მათ გავლენიანობას და ნება დართო, კეთილდღეობის ჟამს თვითონვე მოემარაგებინათ სურსათი.

როცა ფარაონმა ხელთ იგდო მთელი მიწა, იოსებმა მისი იჯარით გაცემა დაიწყო და ხალხს აუწყა: „აჰა, აწ მომიგიეთ თქვენ და ქვეყანა თქვენი ფარაოსადა. მიიღეთ თესლი და დასთესეთ ქვეყანა. და ნაყოფისა მისისაგან მიეცით მეხუთე ნაწილი ფარაოსა, ოთხი ნაწილი იყავნ თავისა თქვენისა სათესლედ და საზრდელად თავთა თქვენთა და ყრმათა თქვენთა“. ხალხმა დაიფიცა — ფარაონს ერთგულად ვემსახურებითო. ამ დღიდან დამკვიდრდა კანონი, რომლის თანასმადაც ეგვიპტელი ხალხი მოსავლის მეხუთედს ფარაონს აძლევდა. ეს კანონი ქურუმებზე არ ვრცელდებოდა, რის გამოც ისინი მდიდრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ.

იაკობის მოდგმას შიმშილი ტანჯავს. საშინელი გვალვა ქანაანშიც დადგა. იაკობს ამბავი მოუვიდა, რომ ეგვიპ-

ტეში ხორბალი იშოვებოდა. მან ათი ძე გაგზავნა ფარაონის ქვეყანაში პურისათვის. შინ მარტო ბენიამენი დატოვა. მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა და ძმებს ვერ ანდო — ვაითუ ყურადღება მოაკლონო. იაკობის შვილებმა ცარიელი ტომრები აჰკიდეს ვირებს და გაუდგნენ შორ გზას. ეგვიპტეში ისინი ქვეყნის უმაღლეს გამგებელს ეახლნენ, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა პურის გაყიდვის უფლება. იოსებმა შეხედა თუ არა ქანაანიდან მოსულ მთხოვნელებს, ელდა ეცა. მან მაშინვე იცნო თავისი ძმები, რომლებმაც ოდესღაც იგი ოც ვერცხლად გაყიდეს. მაგრამ ძმებს თავისი ვინაობა არ გაუმხილა და მათთან სალაპარაკოდ თარჯიმანი მოიშველია. ოღონდ გული იმით მოიოხა, რომ ძმები შეაშინა: ყველას გასაგონად დასწამა მათ მსტოვრობა: გამოაცხადა, რომ ისინი მოსული იყვნენ არა სურსათის საყიდლად, არამედ დასაზვერავად. ძმებს შიშისაგან ციებ-ცხელება აუტყდათ; ყოველი ღონე იხმარეს თავის გასამართლებლად, ირწმუნებოდნენ — მხოლოდ და მხოლოდ პურისთვის მოვედითო. მოუყვნენ — ჩვენს მოხუც მამას, რომელმაც გამოგვგზავნა, თორმეტი ძე ჰყავს. ყველაზე უმცროსი შინ დავტოვეთ, ერთი კი უგზო-უკვლოდაა დაკარგულიო.

იოსები მოღუშული უსმენდა ძმებს. არც კი აგრძნობინა, თუ როგორ ააღელვა იაკობისა და ბენიამენის ამბავმა. ვითომ უკიდურესად განრისხებულმა, ისევ თავისი დაიჟინა — მსტოვრებად ხართ მოსულიო. იოსებმა ძმებს უთხრა — ერთის გარდა ყველას ციხეში ჩაგყრით, იმას კი შინ გავუშვებ და უმცროს ძმას მოვაყვანინებ, რომ თქვენი ნაამბობის სიმართლეში დავრწმუნდეო. იოსებმა არ ისმინა ძმების ხვეწნა და რწმუნება, უხმო მცველებს და უბრძანა — ციხეში შეყარეთო.

სამი დღე რომ გავიდა, ძმები მაინც შეეცოდა და განაჩენი შეუმსუბუქა. გამოუძახა მათ და ერთხელ კიდევ გააფრთხილა — მოგყიდით პურს, გაგიშვებთ ქანაანში იმ პირობით, თუ უმცროს ძმას მომგვრით, ერთ-ერთ თქვენგანს კი ციხეში დავტოვებ მძევლადო.

იაკობის შვილები შეწუხდნენ; მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეგვიპტის გამგებელს ებრაული ეცოდინებოდა და ერთმანეთს გადაულაპარაკეს: დამსასურებულმა სასჯელმა გვიწია იმიტომ, რომ ძმას ვუმუხთლეთო. იოსები დარწმუნდა, რომ დამნაშავენი, ბოროტი საქმის ჩამდენნი, ნანობენ, რომ ისინი არც ისე ცუდი ადამიანები ყოფილან. მას გული აუჩუყდა, მეორე ოთახში განმარტოვდა და ცრემლებით გაიქარვა გულისტკივილი, ოჯახზე უსაზღვრო დარდმა რომ აღუძრა. მერე ცრემლები მოიწმინდა, გული გაიმაგრა და ბრძანა, ძმების ტომრები ხორბლით აევსოთ, უფროსი, სიმონი, კი კვლავ მძევლად დაიტოვა საპყრობილეში. იოსებმა ძმების ჩუმად ისიც ბრძანა, რომ მათ-

თვის ხორბალში გადახდილი ფული დაებრუნებინათ, მალულად ჩაედოთ ტომრებში.

მას უნდოდა ძმების პატიოსნება გამოეცადა. იაკობის შვილებმა ხორბლით სავსე ტომრებით დატვირთული ვირები გაირეკეს და ქანაანისაკენ გასწიეს. გზაში ღამის გასათევად შეჩერდნენ. ვირების დასაპურებლად ტომრებიდან ხორბალს რომ იღებდნენ, უცებ ვერცხლს წააწყდნენ. იფიქრეს, რაღაც გაუგებრობა მოხდაო და გადაწყვიტეს, ეგვიპტეში რომ დაბრუნდებოდნენ, ფული უკანვე მიეცათ. ეს კი არც ისე მალე მომხდარა. იაკობი არ ელეოდა ბენიამენს, სიმონს კი ამასობაში იმედი გადაუწყდა. იოსების დაკარგვით გულმოკლული მამა მოხუცებულობის ერთადერთ ნუგეშს — უმცროს ვაჟს — თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. არ გაჭრა არც მუქარამ, არც ხვეწნამ, არც რუბენის სიტყვამ — თუ ბენიამენი უკანვე არ დაგიბრუნო, ჩემი ორი ვაჟი მოკალიო. იაკობი ვერ დაიყოლიეს. ძმებმა გადაწყვიტეს, აღარ წასულიყვნენ ეგვიპტეში. ეშინოდათ, ეგვიპტის გამგებელს უბენიამენოდ რომ ხლებოდნენ.

ეგვიპტიდან მოტანილი ხორბალი მალე გამოილია და ოჯახში კვლავ შიმშილმა დაისადგურა. იაკობს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა — გულისტკივილით გამოეთხოვა ბენიამენს და ძმებს გააყოლა ეგვიპტეში. ეგვიპტის გამგებელს, გულის მოსანადირებლად, იაკობმა გაუგზავნა ცოტაოდენი საცხებელი და თაფლი, სურნელები და საკმეველი, ფსტა და ნუში. შვილებს უბრძანა, დაებრუნებინათ მისთვის ფული, რომელიც, რაღაც გაუგებრობის გამო, ტომრებში აღმოჩნდა.

ძმები უსიამო წინათგრძნობით გაემგზავრნენ ეგვიპტეში, მაგრამ ბენიამენის დანახვით გახარებულმა იოსებმა მოწყალედ მიიღო ისინი. მან მზარეულებს უბრძანა, ნადიმი გამართეთო, სტუმრები კი სახლთუხუცესს მიანდო, რომ მტვრისაგან განბანილიყვნენ. ძმებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და ფულის დაბრუნება სცადეს, მაგრამ, მათდა გასაოცრად, იოსების მსახურმა უარი თქვა და ძმები ასე ანუგეშა: „ნუ გეშინიათ, ვერცხლი უკვე მიღებული მაქვსო“.

ძმებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და მაშინვე ახალი სასიხარულო ამბის მოწმენი გახდნენ. სახლთუხუცესმა ციხიდან გამოიყვანა სიმონი და ახალი ტანსაცმლით შეამოსინა. ნადიმზე ისიც იყო მიწვეული.

სასახლეში ძმებმა მდაბლად დაუკრეს თავი ეგვიპტის გამგებელს და გადასცეს იაკობის გამოგზავნილი საჩუქრები. იოსები მიესალმა მათ, გადახედა საჩუქრებს და მამა მოიკითხა. ბენიამენს რომ შეხედა, გული აუჩუყდა, მაგრამ ძლივძლივობით შეიმაგრა თავი, სასწრაფოდ განმარტოვდა შიდა ოთახში და ატირდა. შემდეგ პირი დაიბანა, საზეიმოდ მორთულ დარბაზში

დაბრუნდა და ბრძანა, მაგიდა გაეშალათ. ნადიმის დროს იოსები ცდილობდა, საუკეთესო ლუკმა ბენიამენისთვის ერგო. მალე მაგიდაზე მსიარულება გამეფდა. ყველა შეთვრა.

იოსებმა ასალი განსაცდელი მოუვლინა ძმებს. მეორე დღეს იოსებმა სახლთუხუცესს უბრძანა, კვლავ ჩაედო ფული თითოეული ძმის ტომარაში; ბენიამენის ტომარაში კი, ფულის გარდა, ჩაადებინა ვერცხლის თასი, რომლითაც მას არა ერთხელ უმკითხავებია და თავისი მომავალი უწინასწარმეტყველებია.

ის იყო იაკობის შვილები და მათი დატვირთული ვირები ქალაქს გასცდნენ, რომ იოსებმა მათ სახლთუხუცესი დააღევნა. იოსების ძმებმა დიდი შიში ჭამეს, როცა საბრძოლო ეტლებში მსხდარი შეიარაღებული ჯარისკაცების ალყაში აღმოჩნდნენ. სახლთუხუცესი განრისხებული მივარდა ძმებს და ეგვიპტის გამგებლის ვერცხლის თასის მოპარვა დააბრალა. ძმები, რა თქმა უნდა, უარზე იყვნენ, ერთხმად თქვეს — გაგვჩხრიკეთო და განაცხადეს: „რომელისა თანა იპოოს ბარძიმი იგი, მოკუედინ იგი! ხოლო ჩვენ მონანი ვიყვნეთ უფლისა ჩუენისა!“ მე ციხეში მხოლოდ ქურდს წავიყვანო, — თქვა სახლთუხუცესმა. როგორ გაოცდნენ ძმები, როცა ვერცხლის თასი ბენიამენის ტომარაში აღმოჩნდა! სასოწარკვეთილმა ძმებმა ტანსაცმელი შემოიხიეს და თავიანთ უკულმართ ბედს დასტიროდნენ. ამრიგად, იოსებმა მეორედ გამოსცადა მათი პატიოსნება და ძმებს არც ახლა შეურცხვენიათ თავი: გადაწყვიტეს, არ მიეტოვებინათ ბენიამენი უბედურების ჟამს და მასთან ერთად დაბრუნდნენ ეგვიპტის დედაქალაქში.

სასახლეში რომ მივიდნენ, მუსლებზე დაეცნენ და იოსებს შეეევედრნენ — ბენიამენთან ერთად ჩვენც გვიმსახურეო. ეგვიპტის გამგებელმა არ მიიღო მათი მსხვერპლი და დაიჟინა — მხოლოდ და მხოლოდ ბენიამენი უნდა დავსაჯოო. მაშინ იუდა წინ წამოდგა და თამამად თქვა: „უფალო, შენ ჰკითხე მონათა შენთა და სთქვი: არა გივის მამა ანუ ძმა? და მოგიგეთ სიტყვა უფალსა ჩვენსა: გვივის მამა მოხუცებული და ძმა ჩვენი, ძე სიბერისა მისისა. და თუ აწ მივიდეთ მონისა თქვენისა მამისა ჩვენისა თანა და ყრმა ეგე არა იყოს ჩვენ თანა, მოკვდეს იგი. აწ ვდგე მე მონად,ხოლო ყრმა ეგე აღვიდეს ძმათა თანა მამისა!“

იოსები დარწმუნდა, რომ ძმები ღირსეული ადამიანები იყვნენ და გრძნობა ვეღარ მოთოკა. მან ოთახიდან დაითხოვა ყველა ეგვიპტელი და ძმებს თავისი ვინაობა გაუმხილა. იოსებს დარბაისლის დიდებული იერი სულ გაუქრა. ისეთი ტირილი მორთო, რომ სასახლის ყველა კუნჭულში ისმოდა. ძმებს თავ-

ზარი დაეცათ. მათ სულაც არ გახარებიათ ეს ამბავი, პირიქით, დანაღვლიანდნენ, ვაითუ იოსებმა შური იძიოს ჩვენზე ჩვენი მუხანათობისთვისო. მაგრამ იოსები მათ სიყვარულით ეამბორა. განსაკუთრებით გულობილად ეხვეოდა უმცროს ძმას ბენიამენს. ძმები რომ მოისიყვარულა, სიხარულის ცრემლები მოიწმინდა და ძმებს სულმოუთქმელად უთხრა: „აწ ისწრაფეთ და უთხარით მამასა ჩემსა: ასე იტყვის იოსებ, ძე შენი: მყო მე ღმერთმან უფლად ქვეყანასა ეგვიპტისასა. ნუ ჰყოვნებ, შთამოვედ და დაემკვიდრე ქვეყანასა გესემისასა. და იყავ მახლობლად ჩემდა შენ და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, ცხვარი და ძროხა შენი. და მე დაგამკვიდრო მუნ, რათა არა მოსწყედეთ, რამეთუ ხუთ წელყოფად არს სიყმილი“.

უწვეულო შესვედრის ამბავმა სწრაფად მიაღწია მეფის სასახლემდე. ფარაონმა წყალობის ნიშნად, იოსებს უფლება მისცა, გადმოეყვანა ქანაანიდან მთელი ოჯახი, ეტლები გაუგზავნა, მოსერსებულად იმგზავრებენო. იოსებმა ფარაონისაგან ნებართვა აიღო და უსვად დაასაჩუქრა მთელი თავისი ოჯახი. ბრძანა, ბენიამენისათვის მიეცათ სამასი თეთრი და ხუთი ხელი ტანსაცმელი, დანარჩენი ძმებისთვის კი ორ-ორი ხელი ტანსაცმელი; მამას ტანსაცმლისა და ფულის გარდა სხვა ეგვიპტური საჩუქრებიც გაუგზავნა. საჩუქრებით დატვირთეს ათი ვირი, კიდევ ათს აჰკიდეს სორბალი და სხვა სურსათ-სანოვაგე, რომ ეგვიპტეში დაბრუნებისას იაკობის ვაჟებს შიმშილი არ ეგრძნოთ. ძმები ქანაანში მივიდნენ და მამას უამბეს, რაც ფარაონის სასახლეში გადახდათ. მან ჯერ არ დაუჯერა შვილებს, მაგრამ, როცა საჩუქრები იხილა, შვილების ნაამბობი ირწმუნა; სიხარულისაგან ატირდა და თქვა: „კმა არს ესე ჩემდა, რამეთუ ძე ჩემი იოსებ ცოცხალ არს. მივიდე და ვიხილო იგი ვიდრე სიკვდილადმდე“.

ისრაელის მოდგმა ნილოსის შესართავში დასახლდა. ისრაელის მოდგმა — სამოცდაექვსი კაცი, ეგვიპტისაკენ დაიძრა და ნილოსის შესართავთან გესემის მიწაზე შეჩერდა. მამის მოსვლა რომ შეატყობინეს, იოსები ეტლით გაქანდა შესახვედრად და აცრემლებული მოესვია მას.

აღელვებულმა მოხუცმა იოსებს უთხრა: „მოვკვდე აწ, ვინაითგან ვიხილე პირი შენი, იოსებ“. შემდეგ ეგვიპტის გამგებელმა მამა და ხუთი ძმა სასახლეში წაიყვანა და თავის მწყალობელს წარუდგინა. ფარაონმა დააკმაყოფილა ძმების თხოვნა და გესემის მიწაზე დასახლების უფლება მისცა. მან პატივისცემით გადახედა ჭაღარა იაკობს, რომელსაც ფარაონის წინაშე ღირსეულად ეჭირა თავი. იაკობს შალის განიერი ტანსაცმელი ეცვა

და ხელთ მწყემსის არგანი ეპყრა. ფარაონმა ჰკითხა: „რავდენ არიან წელნი შენნი?“ „წელნი მწირობისა ჩემისანი ას ოცდათი“, — უპასუხა მოხუცმა, მარჯვენა ხელი აღაპყრო და ფარაონი დალოცა.

გესეემის საძოვრები ნოყიერი და ბარაქიანი იყო. ებრაელმა ახალმოსახლეებმა სწრაფად აითვისეს ყამირი ადგილები. იაკობმა კიდევ ჩვიდმეტ წელიწადს იცოცხლა. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ბოლოებს სთხოვა, დაესაფლავებინა იგი მამაპაპის გვერდით, მაქფელაში, მამბრეს ახლოს. სიკვდილის წინ იაკობმა ოჯახში მიიღო იოსებისა და ეგვიპტელი ქალის ვაჟები: მანასე და ეფრემი. დალოცა თავისი თორმეტი ძე, რომლებიც ებრაელთა თორმეტი ტომის მამამთავრები უნდა გამხდარიყვნენ, გადაბრუნდა კედლისკენ და სული განუტევა. ეგვიპტური წეს-ჩვეულების თანასწორად, მისი გვამი დაბალზამეს. დაკრძალვის ცერემონიალი ორმოც დღეს გაგრძელდა. შემდეგ კი, სამოცდაათი დღის განმავლობაში, მას მთელი ეგვიპტე სტიროდა. ქანაანში აბრაამის საფლავისკენ გაემართა ხალხმრავალი სამგლოვიარო პროცესია, რომელშიც ფარაონის ყველა დიდებული მონაწილეობდა. კუბოს მისდევდნენ მოხარე ქალები. ისინი ისე შეეზარავად მოთქვამდნენ, რომ ქანაანელები გაოცდნენ — ნეტავი რომელ გამოჩენილ ეგვიპტელს მარსავენ ჩვენშიო? იოსები შვილიშვილებს მოესწრო და ას ათი წლისა გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან გამოთქვა გულითადი სურვილი: თუ ისრაელის ერი ოდესმე დაბრუნდება ქანაანში, დაე, წაიღონ ჩემი ნეშტი და იაკობის გვერდით დამასაფლავონო. იოსების გვამიც დაბალზამეს ისევე, როგორც მამამისისა და ძველეგვიპტური წესის მისდევით ჩადეს კუბოში.

ხალხური თქმულება თუ სიმართლე?

იოსებზე გავრცელებული თქმულება უძველესი დროიდან სარგებლობს დიდი პოპულარობით. იგი დამკვიდრდა იმ. ხალხთა ფოლკლორში, რომლებიც ბიბლიაში პოულობდნენ თავის სულიერ საზრდოს. ამაში გასაკვირი არაფერია. ეს ხომ ტიპიური ხალხური თქმულებაა, რომელსაც მახვილი ფაბულა აქვს. იგი აღსავსეა უჩვეულო თავგადასავლებით; მას ზღაპრისათვის, შეიძლება ითქვას, ბალადისათვის, დამახასიათებელი მომხიბვლელობა ახლავს. მისი დასკვნითი მორალური შეგონება ზუსტად შეესაბამება მუდამ სამართლიანობის მონატრული, უბრალო, დაჩაგრული ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს.

გარდა ამისა, ამ თქმულებას აქვს ერთი საგულისხმო თვისებაც — მკითხველი მასში ვერ შეხვდება მთლიანად ბოროტ ან მთლიანად კეთილ გმირს, აბსოლუტურად ბნელ ან აბსოლუტურად ნათელ ხასიათს. ახალგაზრდობაში იოსები აუტანელი, ყოყოჩა, თავგასული და მამის ნებიერი იყო. შემდგომ წლებში, ტანჯვის, მშობლიურ ოჯახზე დარდის გამო, იგი გამოიცვალა და სულიერი სიდიადე გამოავლინა. გაბოროტებულმა ძმებმა მას უნამუსოდ უღალატეს, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ისინი არსებითად ცუდი ადამიანები არ იყვნენ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მათ სინდისი ქენჯნიდა, გულწრფელად უყვარდათ მოხუცი მამა და პატიოსნება ფულზე არ გაუცვლიათ. როცა ბენიამენს ბედი მონობას უქადდა, მათ უდიდესი თავგანწირვა გამოიჩინეს — გადაწყვიტეს, გაეზიარებინათ მისი მწარე ხვედრი.

ადამიანის რთული ბუნების ასეთი ღრმა ცოდნა, ესოდენი შემწყნარებლობა ადამიანისა და მის მიერ ჩადენილი ცოდვების მიმართ, ნათელჰყოფს დიდ ცხოვრებისეულ სიბრძნეს, რაც უჩვეულოა საყოველთაო ბარბაროსობის ეპოქებისათვის. იოსებზე გავრცელებული თქმულების ავტორებს—ძველ მწყემს ებრაელებს — მკაცრი ადათ-წესები ჰქონდათ, უხეში ზნისანი და ცრუმორწმუნენი იყვნენ; მაგრამ მათ მაინც მიაღწიეს გრძნობათა სიმწიფესა და ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნას, მიუხედავად იმისა, რომ მიუვალ კლდეებსა და ველებში ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი იტყვის, იოსების თავგადასავალი არ-

სებითად გვარიანული სოლიდარობისადმი მიძღვნილი დითირამბიაო, ასეთი ერთიანობა ახასიათებდა აღმოსავლეთის ხალხებს, სემიტებისათვის კი ბუნებრივი და სეფელებრივი მოვლენა იყო. ასეთ მოსაზრებას შეიძლება დაეთანხმო, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ფაბულის განვითარებასა და ხასიათების ხატვის მანერაში გვაოცებს მომწიფებული შეხედულებები მაშინდელ საშეარობზე. სწორედ ამ თვისებათა წყალობით ინარჩუნებდა მარადიული სიახლის ძალას თქმულება იოსების წარმატებებსა და უბედურებაზე, სწორედ ამიტომ აღელვებდა იგი მარად ჟამს ადამიანთა სულს.

მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ პალესტინის მეზობელ ხალხების ლიტერატურაში აღმოჩნდებოდა ამ ბიბლიური თქმულების მონათესავე სიუჟეტი, რადგან მსგავსი რამ არა ერთგზის მომხდარა.

ერთ დროს ეგონათ, რომ იოსებზე გავრცელებული თქმულების ფესვები ეგვიპტის ლიტერატურას უკავშირდებოდა. ეგრეთ წოდებულ დ'ორბინეის პაპირუსზე ამოიკითხეს იმ შორეული ეპოქისათვის ტიპიური მორალის შემცველი თქმულება: „ორი ძმის ამბავი". აქ მოთხრობილია ცოლიანი ანუბისისა და მისი უმცროსი ძმის ბატას თავგადასავალი. ბატა უცოლო იყო და უფროსი ძმის ოჯახში მუშაობდა. ერთხელ ანუბისის ცოლმა მისი ცთუნება განიზრახა, მაგრამ ჭაბუკი აღშფოთდა და ქალს არ აპყვა. ორგულმა ცოლმა ქმარს შესჩივლა — ბატამ ნამუსი ამხადა, თავის დაცვა ვცადე და დაუზოგავად მცემაო. ანუბისი გაცოფდა და ყოვლად უდანაშაულო ძმის მოკვლა დააპირა.

ეგვიპტური თქმულება მართლაც მოგვაგონებს იოსებისა და პეტეფრეს ცოლის ამბავს. მაგრამ ეს არის და ეს; მსგავსება მთავრდება ამ ეპიზოდთან, რომელიც ბიბლიური ფაბულის ერთი მცირე ფრაგმენტია. ეგვიპტური ლიტერატურიდან მისი სეხების ფაქტი შეიძლება საეჭვოდაც კი მივიჩნიოთ. მოღალატე ცოლის, მრუშობის თემა იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო. იგი მეორდება ძველი აღმოსავლეთის ხალხთა თქმულებებში და, ალბათ, ქანაანშიც საკმაოდ მოიკიდა ფეხი. საბოლოოდ უნდა ვაღიაროთ, რომ განთქმული ლეგენდა იოსების თავგადასავალზე, თავისი განუმეორებელი ორიგინალობით, ებრაელთა ფანტაზიის ნაყოფია.

მაგრამ არის თუ არა ეს თქმულება მხოლოდ ფანტაზიის ანარეკლი? უდევს თუ არა საფუძვლად რაიმე ნამდვილი ფაქტი ბიბლიურ თქმულებას? ხომ ცნობილია, რომ ხალხური ტრადიცია ღირსსამახსოვრო ისტორიულ ფაქტებს ლეგენდის სამოსელში ახვევს და ხშირად ისე ასხვაფერებს მათ, რომ ძნელია სინამდვილის გამონაგონისაგან გარჩევა. შესაძლოა, იოსების თავგადასავალი ლეგენდარულია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს

იმას, რომ ებრაელთა რომელიღაც შტო მართლაც დასახლდა ეგვიპტეში, სადაც ცუდად როდი ცხოვრობდა. ისიც საკვარაუდებელია, რომ ეს ახალმოსახლენი იაკობი და მისი შვილები იყვნენ, და რომ ერთ-ერთმა მათგანმა, იოსებმა, წარჩინებას მიაღწია ფარაონის კარზე.

მეცნიერები თავს იმტვრევენ ამ საკითხებზე, მაგრამ რადგან ხელთ არა აქვთ არავითარი ისტორიული საბუთები, იძულებული არიან, დასჯერდნენ დედუქციური მეთოდის გამოყენებით გამომუშავებულ ჰიპოთეზებს. მივყვეთ მათი მსჯელობის მსვლელობას. ეს უჩვეულოდ წარმტაცი ექსკურსიაა. იგი ჩაგვახედებს იმ ხერხების საიდუმლოებაში, რომელსაც მეცნიერები ისტორიის აღსადგენად იყენებენ. გარდა ამისა, იგი გვაგრძნობინებს იმ ესთეტიკურ სიამოვნებას, რომელსაც ადამიანი განიცდის ხოლმე დაქსაქსული მონაცემების ანალიზის საფუძველზე პრობლემის ლოგიკურად გადაწყვეტის ჟამს. სკრუპულოზურმა გამოთვლამ (მის ახსნას სირთულის გამო არ შევუდგებით) მეცნიერთა შორის განამტკიცა აზრი, რომ იაკობი აბრაამზე ორასორმოცდაათი წლით გვიან ცხოვრობდა. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ იოსების თავგადასავალი ეკუთვნის დაახლოებით XVII საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მეცნიერთა მიერ დასახელებული თარიღები მერყეობს 1730—1630 წლებს შუა (ჩვ. წ.-მდე). ცოტა ხნით ადრე კი ეგვიპტემ, თავისი დიდი ხნის ისტორიის მანძილზე, ყველაზე ქარიშხლიანი პერიოდი განიცადა. დაახლოებით 1780 წელს ქვეყანა რევოლუციურმა მოვლენებმა შეძრა. დიდ ფეოდალურ სამფლობელოებში აჯანყდა ხალხი — გლეხები, მოხელეები, ჯარისკაცები, მონები. დამონებულმა მოსახლეობამ ერთ ხანს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაც კი იგდო ხელთ. ამ აფეთქების შედეგები დიდ ხანს არ გამქრალა და ძვ. წ. XVII საუკუნეში ეგვიპტის პოლიტიკური სიმტკიცე ძალიან შეირყა.

პოლიტიკური დაცემის ჟამს ქვეყანას საშინელი უბედურება მოევლინა. აღმოსავლეთიდან დაიძრა აურაცხელი უცხო ჯარი და მთის ზვავივით დაატყდა თავს ეგვიპტეს. რკინის აბჯრით შემოსილი და გრძელი მახვილებით შეიარაღებული დამპყრობლები ელვის სისწრაფით მოქროდნენ ცხენებშებმული საომარი ეტლებით. ეგვიპტელებისათვის ომის ასეთი წესი უცხო იყო; მათ თავგზა აუბნია გაქაფულმა ცხენებმა, საომარმა ეტლებმა და წვეტიანმა შუბებმა. ისინი კი ქვეითნი და თითქმის შიშველნი იბრძოდნენ. სანამ ეგვიპტელი ჯარისკაცები შუბების, შურდულებისა და მშვილდების მომარჯვებას მოასწრებდნენ, მათ უკვე თელავდა ცხენთა ფლოქვები და ჭყლეტდა საომარი ეტლების ბორბლები. ეგვიპტელები უმწეონი აღმოჩნდნენ. დამპყრობელთა ბრძოლის ტემპი მათთვის მიუწვდომელი იყო. საუკუნე-

თა განმავლობაში უძლეველი ეგვიპტის სახელმწიფო გაცამ-
ტვერდა და ფარაონთა დიდება თითქმის ორი საუკუნით ნაკრა.
დამპყრობლები ჰიქსოსები იყვნენ. მათმა ბელადებმა გადაი-
ღეს ფარაონთა ძალაუფლების ყოველი გარეგნული ატრიბუტი
და დაახლოებით საუკუნენახევარი დაჰყვეს დამარცხებულ ქვე-
ყანაში. ისინი ცეცხლითა და მახვილით ახშობდნენ ყოველგვარ
წინააღმდეგობას. მართალია, ჰიქსოსებმა დაიკავეს მხოლოდ
ქვედა ეგვიპტე ნილოსის შესართავითურთ, მაგრამ ზემო ეგვიპ-
ტის პროვინციათა მმართველებიც მათი მოხარკენი გახდნენ.
ეგვიპტის ახალი მმართველების დედაქალაქი გახდა ნილო-
სის შესართავის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი ავარისი
სახელწოდება „ჰიქსოსებს" სხვადასხვაგვარად განმარტავენ.
ოდესღაც მიაჩნდათ, რომ იგი ნიშნავდა „ულაბნოს ბელადებს"
ან „მწყემსთა მეფეებს". ბოლო გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ
იგი უფრო „უცხო ქვეყნების მეფეებად" უნდა ითარგმნოს. ჰიქ-
სოსები სემიტები იყვნენ და, ალბათ, ძველებრაული ენის აღრე-
ული ფორმის მახლობელ ენაზე ლაპარაკობდნენ. სკარაბთა წარ-
წერები გვამცნობენ, რომ ჰიქსოსთა ბელადებს ნამდვილი სემი-
ტური სახელები ერქვათ; მაგალითად: ანათერი, ჰიანი და იაკო-
ბერი; ოღონდ ვარაუდობენ, რომ ჰიქსოსები მებრძოლთა სათა-
ვეში მდგომ მცირე ჯგუფს შეადგენდნენ. ჯარისკაცთა მასას კი
წარმოადგენდა უღისციპლინო ბრბო — უდაბნოებსა და მოებში
მცხოვრები სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი და სხვადასხვა
ენაზე მოლაპარაკე ხალხი — მძარცველები და ავანტიურისტები.
ესენი იყვნენ მტაცებლები, სისხლით გაუმაძღარი ყაჩაღები,
რომლებმაც კალიის გუნდებივით მოაოხრეს ეგვიპტე.
როგორც ჩანს, ჰიქსოსების შემოსევა იყო შედეგი მესოპო-
ტამიაში მომხდარი უზარმაზარი ეთნიკური ძვრებისა, ხალხთა
და ტომთა გადასაცვლება და მოძრაობა აქ უხსოვარი დროიდან
მიმდინარეობდა და არ წყდებოდა. ისე, როგორც ცეცხლზე შემ-
დგარ ქვაბში არ წყდება მდუღარე წყლის ქაფქაფი. მეორე ათას-
წლეულში ამ ტერიტორიაზე შემოიჭრნენ აზიური ტომები ხუ-
რიტებისა, რომლებმაც სირიისა და პალესტინისაკენ დაახევი-
ნეს სემიტურ ხალხებს და მათ შორის ჰიქსოსებსაც. იერიქონის
არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ რამდენიმე ხნის
განმავლობაში ეს ძველი ქალაქი ჰიქსოსებს ეკავათ. ამრიგად,
შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პალესტინაც ეგვიპტის დამპყრო-
ბელთა ხელთ იყო.
ისმის კითხვა — რა კავშირი აქვთ ამ მოვლენებთან იოსებსა
და მის ძმებს? თანამედროვე მეცნიერები ერთხმად აღიარებენ,
რომ სამოცდაათი ებრაელის გადასახლება ეგვიპტეში ჰიქსოსთა
ბატონობის პერიოდს ემთხვევა. იაკობის მოდგმა ან დამპყრობ-
თა საერთო ტალღამ გაიყოლა, ანდა, შესაძლოა, იგი ეგვიპტეში

მას შემდეგ მოვიდა, რაც ქვეყანას ჰიქსოსები დაეპატრონენ. იაკობსა და მის მოდგმას აქ პატივით შეხვდნენ, რადგან ისინი წარმოშობით ახლოს იყვნენ ოკუპანტებთან, ჰიქსოსებს კი, როგორც ჩანს, უნდოდათ, რაც შეიძლება მეტი აზიელი მიეზიდათ დაპყრობილ ქვეყანაში. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი ჰიქსოსებს თავის წინაპრებად იხსენიებს. ძვ. წ. XVI საუკუნის ეგვიპტურ ტექსტებში კი მოხსენებულია ქანაანელი მომთაბარე ტომები, რომლებიც ეგვიპტეში დასახლდნენ.

ამ პოლიტიკურ ფონზე ბიბლიის ზოგიერთი საეჭვო ეპიზოდი ლოგიკურ განმარტებას ჰპოვებს. უპირველეს ყოვლისა, გასაგები ხდება იოსების დანიშვნა ფარაონის მოადგილედ. ძნელი წარმოსადგენია, რომ დიდგვაროვან ეგვიპტელებს ჩვეულებრივ პირობებში დასტური მიეცათ ერთ-ერთი საძულველი აზიელის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისათვის. „დაბადებაში“ ებრაელებზე სიტყვასიტყვით წერია: „რამეთუ საძაგელ არს მეგვიპტელთათვის ყოველი მწყემსი ცხოვართა.“ (შდრ. დაბ. თ. 46, მ. 34). იოლი გასაგებია, რომ ჰიქსოსი ფარაონები იჭვის თვალით უყურებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და გაცილებით უფრო ენდობოდნენ ქანაანიდან მოსულ, ენითა და წარმოშობით მახლობელ აზიელებს. ზოგჯერ თვით ეგვიპტელი ფარაონებიც კი ასეთ დამოკიდებულებას იჩენდნენ ცალკეული პიროვნებების მიმართ. ფარაონი ეხნატონი — მონოთეიზმის შემქმნელი, მზის ღმერთის ატონის თაყვანისმცემელი (1377-1352 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ებრძოდა ქურუმებს, არისტოკრატებსა და საზოგადოების ფართო წრეებსაც კი, რომლებიც ტრადიციული ღმერთის ამონის ერთგულნი დარჩნენ. ასეთ შემთხვევაში იგი თანამებრძოლებად არჩევდა დაბალი ფენების წარმომადგენლებს, რომელთაც უფრო ენდობოდა. მისი ერთ-ერთი დიდებულის აკლდამაზე აღმოჩნდა ასეთი წარწერა: „მე, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან მდაბიო ვიყავი, მაგრამ მეფემ წელში გამმართა და დამაწინაურა. მე ვიყავი ღარიბ-ღატაკი და მან თავისი გულუხვობით ყოველდღიური საზრდო გამიჩინა. განმიკითხა კაცი, რომელიც ოდესღაც ლუკმაპურს ვმათხოვრობდი“.

თელ-ამარნაში (ამ ფარაონის დედაქალაქის ნანგრევებში) აღმოჩნდა სარკოფაგი დიდებულისა, რომელიც ეხნატონთან ერთად ერჩოდა. დიდებულს ნეჰემი ერქვა. იგი აზიელი იყო. ეხნატონის ვეზირი იანჰამუ, მიუხედავად იმისა, რომ სემიტურ რასას ეკუთვნოდა, სამეფო კარზე ყოველისშემძლე კაცი გახდა.

აღნიშნული ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იოსების თავბრუდამხვევ კარიერაში საეჭვო არაფერი იყო. თუმცაღა იგი ეგვიპტეს მართავდა ოკუპანტისათვის დამახასიათებელი ჩაგვრა-დაბეჩავების პოლიტიკის შესაბამისად. მან მოხერხე-

ბულად ისარგებლა შვიდწლიანი შიმშილობით და ხალხს პურ-
ში ჯერ ოქროს ახდევინებდა, შემდეგ ვერცხლსა და ძვირფას
ნივთებს; მერე ართმევდა მიწას, ბოლოს კი — პირად თავისუფ-
ლებას. ამ გზით იოსებმა დაარბია და დაიმონა დამოუკიდებელი
მიწის მუშები და მიწათმფლობელთა კლასს ძალა გამოაცალა.
მთელი მიწა და მუშახელი ფარაონის საკუთრებად იქცა. ალ-
ბათ ამ დროიდან იწყება ეგვიპტეში მეფის ძალაუფლების შეუზ-
ღუდველობა. მხოლოდ ქურუმებმა აიცდინეს ის მწარე ხვედრი,
რაც დანარჩენ მოსახლეობას არგუნა ბედმა. მათ თვითონვე და-
აგროვეს სურსათის მარაგი თავის დიდ მამულებში. ჰიქსოსები
გრძნობდნენ მათ გავლენიანობას და წინააღმდეგობას არ უწევ-
დნენ. ამრიგად, იოსების წყალობით ეგვიპტეში მოხდა ღრმა
ეკონომიური რევოლუცია, რომელსაც დიდი შედეგები მოჰყვა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეგვიპტე თავისი არსებობის მან-
ძილზე მრავალ სისხლიან რევოლუციას მოესწრო. ამ რევოლუ-
ციათა ტრადიციები დაჩაგრული მასების შეგნებაში ცოცხლ-
ობდა. აჯანყებათა უშუალო მიზეზი იყო ხოლმე დიდი შიმში-
ლობები, რაც პერიოდულად მეორდებოდა. აჯანყებათა ბობო-
ქარ მსვლელობაზე მეტყველებს ლექსის ფორმით შესრულებუ-
ლი წარწერა ლეიდენის პაპირუსზე. იგი ეკუთვნის მდიდარ
ეგვიპტელს იპუვერს. წარწერაში გვხვდება ასეთი ფრაზა: „ღ-
ტაკები გამდიდრდნენ, ის კი, ვისაც წინათ ხამლიც არ ღირსე-
ბია, ახლა განძის მფლობელი გახდა". აი, კიდევ ერთი ფრაგ-
მენტიც. „დიდებულთა შვილებს კედელზე ასრესენ, ყველანი
გარბიან ქალაქიდან... ვისაც კედელთან ჩრდილში ძილი ენატ-
რება, საგრილობელის მესაკუთრე გახდა, ვისაც ნავი არ ჰქონია,
ხომალდებს დაეპატრონა, ვისაც ლუკმაპური არ გააჩნდა, ხორ-
ლით სავსე ბეღელს შეეხარის, ვისაც წინათ, სიღარიბის გამო,
უცოლოდ ეძინა, ახლა დიდგვაროვან ცოლს ირთავს". აი, კი-
დევ ერთი მრავლისმეტყველი ციტატი: „მეფის დედაქალაქ
ერთ საათში დაიპყრეს. ღარიბებმა მეფე დაატყვევეს, სასახლის
მსახურნი განდევნეს, მოხელეები დახოცეს და მათი საბუთები
ხელთ იგდეს".

ჰიქსოსთა ფარაონს უთუოდ აფიქრებდა ეგვიპტის რევოლუ-
ციური ტრადიციები, ამიტომ შიშობდა, რომ ხალხთა მასების
ახალ აჯანყებას არ შეერყია მისი ძალაუფლება. ეს ამბავი მო-
სალოდნელი იყო, რადგან იგი უცხო და ამასთანავე საზიზღარი
დესპოტი გახლდათ. ამრიგად, როცა იოსებმა მომავალი შიმში-
ლისაგან თავის დასაღწევი გზა უჩვენა მეფეს, მან იგი განგები-
საგან მოვლენილ კაცად მიიჩნია. სწორედ ამით აიხსნება იოსე-
ბის განსაკუთრებული, პრივილეგიური მდგომარეობა სასახლის
კარზე და ის დიდი მოწყალება, რითაც იგი აღავსო ფარაონმა.

სკეპტიკურად განწყობილი კაცი შეიძლება შემოგვედაოს —

ეს ხელოვნური მსჯელობა ეყრდნობა მხოლოდ ბიბლიის ლაკონურ თხრობასა და ვარაუდებს, რადგან მტკიცედ არაა დადგენილი, რომ ისრაელიტელები ეგვიპტეში დასახლდნენ ჰიქსოსების ბატონობის ჟამს. ბიბლიის ქრონოლოგია მეტისმეტად პრობლემატურია და ამიტომ შეუძლებელია გადაჭრით თქმა იმისა, თუ სახელდობრ როდის მოხვდნენ ეგვიპტეში იაკობი და მისი მოდგმა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ჰიქსოსების შემოსევამდეც და მათი განდევნის შემდეგაც.

ამ ეჭვებს აქარწყლებს ფრანგი ეგვიპტოლოგის პიერ მონტეს წიგნი — „ეგვიპტე და ბიბლია", რომელშიც ავტორი ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ბიბლიურ ტექსტებს. მონტე მკითხველებს სთავაზობს ასეთ დაკვირვებებს:

იაკობი, როგორც ვიცით, დასახლდა ნილოსის შესართავის აღმოსავლეთით მდებარე გესემის მიწაზე. ფარაონის მოადგილე იოსები, ცხადია, ცხოვრობდა დედაქალაქში, მეფის მახლობლად. მამისა და ძმების მოსვლა რომ შეიტყო, იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ეტლით მათ შესაგებებლად. შემდეგ დაბრუნდა ფარაონთან და მამისა და ძმების შესახვედრად გამგზავრების ამბავი მოახსენა. ბიბლიაში სავსებით აშკარად ჩანს, რომ ყოველივე ეს თუ ერთ დღეში არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მცირე ხნის განმავლობაში მოხდა.

დაბადების წიგნში ნათქვამია, რომ იოსები მამას დაჰპირდა — გესემის მიწაზე, ესე იგი ჩემს ახლოს დაგასახლებო (დაბ. თ. 45, მ. 10). აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა — დედაქალაქი, რომელშიც იოსები ცხოვრობდა, გესემის ტერიტორიასთან ახლოს, ესე იგი თვით შესართავთან უნდა ყოფილიყო. ეს დედაქალაქი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა მემფისი, თებე ან ფაიუმი. ეს ქალაქები გესემიდან ძალიან შორს მდებარეობდნენ და იოსებს იქამდე რამდენიმე დღე უნდა ევლო ეტლით. გარდა ამისა, ფრანგი მეცნიერი მასპერო ამტკიცებს, რომ ეგვიპტეში, ცუდი გზების გამო, შორ მანძილზე ეტლით არავინ მგზავრობდა. საამისოდ იყენებდნენ ბრტყელძირიან ნავებს და მიჰყვებოდნენ მთავარ საკომუნიკაციო არტერიას — ნილოსს.

ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ავარისისაკენ, ჰიქსოსთა დედაქალაქისაკენ გვაძლევს გზს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ავარისი ნილოსის შესართავთან მდებარეობდა. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ ქალაქის ნანგრევები, ჰიქსოსთა მრავალ საბეჭდავთან ერთად, ამოთხრილია თანამედროვე სოფლის სანელ-ჰაგარის მახლობლად. თუ იოსები ავარისის მბრძანებელი იყო, მაშინ მისი ცხოვრების ისტორია უეჭველად ჰიქსოსთა ბატონობის ეპოქის საზღვრებში უნდა ჩავტიოთ. უფრო გვიანდელი თარიღი სრულიად გამორიცხულია, რადგან დამპყრობ-

თა განდევნის შემდეგ XVIII დინასტიის დიდგვაროვანმა ფარაონებმა დედაქალაქი თებეში გადაიტანეს. როგორც ვხედავთ, ჰიქსოსებზე შექმნილი თეორია სავსებით სოლიდურ საფუძვლებს ემყარება. ამიტომაც აღიარებს მას ახლა ბევრი მეცნიერი.

ბიბლიურ თქმულებაში ეგვიპტური წეს-ჩვეულებები განაოცარი ისტორიული სიზუსტითაა გადმოცემული. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება დაკრძალვის წესებს, იაკობისა და იოსების დამარხვას რომ უკავშირდება. მათ გვამებს ორმოცი დღის განმავლობაში აბალზამებდნენ, მუმიები კი ხის კუბოებში ჩადეს. ჰეროდოტე გვამცნობს, რომ დაბალზამების პროცესი ეგვიპტეში ორმოც დღეს გრძელდებოდა. ამასვე ამტკიცებს მეფეთა და დიდებულთა აკლდამებში ნაპოვნი პაპირუსების ტექსტებიც.

გავიხსენოთ: იოსებს ფარაონთან გამოცხადებამდე წერი გაბარსეს. ეს, თითქოსდა, წვრილმანი ფაქტი მრავლისმეტყველია. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ტექსტის ავტორი ეგვიპტურ წესს კარგად იცნობდა. ეგვიპტეში არავის არ ჰქონდა წერის ტარების უფლება. ეს პრივილეგია ეკუთვნოდა მარტო ფარაონს და ისიც მხოლოდ ხელოვნურ წერს ატარებდა. ებრაელი იოსები ალბათ წერს მოუშვებდა და ამიტომაც გაპარსეს, რასაც ფარაონის სასახლის ეტიკეტი მოითხოვდა. ეგვეე ითქმის ფარაონის მოადგილედ იოსების დანიშვნაზეც. საზეიმო ცერემონიალი წარიმართა იმ წესის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ აკლდამებში აღმოჩენილი პაპირუსებისა და სურათების მიხედვით. ახალმა დიდებულმა ფარაონის ხელით მიიღო მაღალი წოდების საკადრისი საპატიო საჩუქრები: ძვირფასი ყელსაბამი, საუცხოო ტანსაცმელი. გარდა ამისა, მას ფარაონმა დიდგვაროვანი ქალიც მისცა ცოლად. საზეიმო სვლის დროს მეფის ნაცვალი იჯდა სასახლის მოოქრულ ეტლში და ფარაონის ეტლს მიჰყვებოდა. ეგვიპტელებმა ჰიქსოსებისაგან ისწავლეს ცხენების ეტლში შებმა და ეს ცერემონიალი მათი განდევნის შემდეგაც შემორჩათ.

საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ თქმულებაში ნახმარი სახელები ტიპიური ეგვიპტური სახელებია. ფარაონმა იოსებს უწოდა ფონთო ფარნექი, რაც ნიშნავს: „ღმერთი ბრძანებს — დღეგრძელი იყოს". იოსების ცოლს ერქვა ასენეთი, რაც ნიშნავს: „ქალღმერთ ნეთის კუთვნილება" (მას თაყვანს სცემდნენ ნილოსის შესართავში). პეტეფრე (ებრ. ფოტი ფარ), დამახინჯებული ფორმაა „პა-დი-პა-რე" სახელისა, რაც ნიშნავს: „ის, ვინც (ღმერთმა) რამ გვიბოძა".

ბოლოს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იოსების ცხოვრებაზე გავრცელებული თქმულება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ეგვიპტის ტოპოგრაფიაზე. ეს დაწვრილებითი ცნობები მიგვა-

ნიშნებენ გესემის ტერიტორიის მდებარეობაზე და საშუალებას გვაძლევენ, ზოგი არაპირდაპირი ნიშნის მიხედვით გავარკვიოთ, თუ რომელ დედაქალაქში ცხოვრობდა იოსები.

მოკლედ რომ ვთქვათ, მასალამ, რომლისგანაც აუგიათ ეგვიპტური დეკორაცია, ნამდვილად გაუძლო თანამედროვე მეცნიერულ გამოცდას. საეჭვოა, დღეს ღირდეს თავისტეხა იმაზე, იყო თუ არა იოსები ისტორიული პიროვნება. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ თქმულება უშუალოდ ეგვიპტეში შეიქმნა. მისი ავტორები იყვნენ ადამიანები, რომლებიც დეტალურად იცნობდნენ ამ ქვეყანას და უდავოდ დიდხანს ცხოვრობდნენ აქ. ეს გარემოება ადასტურებს ფაქტს, რომ ებრაელთა რომელიღაც შტო, შესაძლოა, იაკობის მოდგმა, ნამდვილად დასახლდა ნილოსის შესართავში, გესემის ნაყოფიერ მიწაზე.

ასიც არ არის გამორიცხული, რომ ბიბლიური თქმულება ისტორიული მოვლენის გამოძახილი იყოს. ეგებ ერთ-ერთმა ებრაელმა, რომელსაც სახელად იოსები ერქვა, ნამდვილად მიიღო მაღალი თანამდებობა ფარაონის კარზე. უფრო გვიან კი მის შესახებ ლეგენდა შექმნეს ებრაელებმა, რომელთაც თავი მოჰქონდათ თავისი წინაპრის წარმატებით*.

თუ ეს ასე იყო, რატომ ერთხელ მაინც არაა მოხსენებული იოსები ეგვიპტურ ქრონიკებში? ჩვეულებრივ, ეს ქრონიკები ზედმიწევნით დაწერილებით და დეტალურადაა შედგენილი. სემიტის დანიშნა ფარაონის ნაცვლის თანამდებობაზე მეტისმეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა და ამ ფაქტისადმი უყურადღებობა ქრონიკების ხასიათს არ შეესაბამება. ეგვიპტურ ისტორიოგრაფიაში ასეთი ხარვეზი საეჭვო ჩანდა და იოსების რეალურობასაც საეჭვოს ხდიდა.

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ; ჰიქსოსებმა ისეთი სიძულვილი დაიმსახურეს, რომ ეგვიპტელები ერთიანად ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი მათი ბატონობის ხანას ახსენებდათ. მემატიანენიც კი დუმილით უვლიან გვერდს ჰიქსოსთა ბატონობის, ეგვიპტის ტანჯვისა და დამცირების პერიოდს. ეგვიპტური ისტორიული ქრონიკები მოულოდნელად წყდება ძვ. წ. 1730 წელს. მათი გაგრძელება გვაქვს მხოლოდ ძვ. წ. 1580 წლიდან. ამ ასორმოცდაათწლიანი ისტორიის წაშლამ იმსხვერპლა იოსებიც — ჰიქსოსთა პოლიტიკის ბრმა აღმსრულებელი, პასუხისმგებელი დიდი ეკონომიური გადატრიალებებისათვის, რომლებიც ეგვიპტელებს ჭკუაში არ უჯდებოდათ. იოსების მოქმედება მოგვიანებით მძიმეტვირთად დააწვა ისრაელიტელებს, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს დარჩნენ გესემის მიწაზე*.

ᲛᲝᲡᲔ

ᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ. იაკობის შთამომავლობა სრული ოთხი საუკუნე მკვიდრობდა გესემის მიწაზე. ებრაელები თავს ლაღად გრძნობდნენ და სწრაფადაც მრავლდებოდნენ. მაგრამ ამასობაში ეგვიპტის ტახტი დაიკავა ახალმა ფარაონმა. მან არაფერი იცოდა იოსების ღვაწლის შესახებ და ებრაელ მწყემსთა მოდგმის გამრავლებამ იგი შეაშფოთა. ახალ ფარაონს ებრაელები მიაჩნდა აზიელებად, უცხოელებად და სახელმწიფოსათვის საშიშ ხალხად. ფარაონმა მოხელეებს უთხრა: „აჰა, ნათესავი ძეთა ისრაელისათა მრავალ არს უფროის ჩვენსა. ბოროტი ვუყოთ მათ, რათა არა გამრავლდნენ და შეერთდნენ მტერთა ჩვენთა ბრძოლასა შინა და ეგრეთ განვიდენ ქვეყანით ჩვენით". ფარაონმა ნილოსის შესართავში გააშენა თავისი დედაქალაქი რამესე, აგრეთვე ქალაქი ჰითონი სამხედრო საწყობებისათვის და მარცვლეულის შესანახად. უიარაღო ებრაელები უდიდეს იაფ სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ და აი, ფარაონის ბრძანებისამებრ, ისინი სამშენებლო მოედნებზე გამორეკეს; აიძულეს, ეზილათ თიხა და გამოეწვათ აგური.

ასე შრომობდნენ ებრაელები დღე და ღამ მზის ცხარე სხივებით დამწვარნი და ხელკეტიანი ზედამხედველების მიერ გვემულნი. მაგრამ ფარაონს მოლოდინმა უმტყუნა. ისრაელის ძენი საუკუნეების განმავლობაში გამოიწვრთნენ, შეეჩვივნენ ბედის უკუღმართობას და დევნისა და აუტანელი პირობების მიუხედავად მაინც მრავლდებოდნენ. განრისხებულმა მბრძანებელმა გამოუძახა ორ ებრაელ ყრმის ამქმელს — ბებიაქალს (მეტი არც ჰყავდათ ებრაელებს) და მკაცრად უბრძანა, დაეხოცათ ძამრობითი სქესის ყველა ახალშობილი. ქალებმა მშვიდად მოისმინეს ბრძანება, მაგრამ გესემში რომ დაბრუნდნენ, ფიქრადაც არ მოსვლიათ, ახალშობილები დაეხოცათ და ამით თავი შეერცხვინათ. ფარაონმა მალე შეიტყო ბებიაქალების ურჩობა: გაიგო, რომ მათ

მისი დავალება ცალ ყურში შეუშვეს და მეორეში გაუშვეს. ბრძანა, ახლავე აქ მომგვარეთ, რომ ორივენი დავსაჯოო. ქალები დაკითხეს, მაგრამ ისინი თამამად და მოხერხებულად იმართლებდნენ თავს — მელოგინეები ჩვენს სამსახურს აღარ საჭიროებენო. სიმართლის დასამტკიცებლად მათ ფარაონს უთხრეს: „ლედანი ებრაელთანი არ არიან, ვითარცა დედანი ეგვიპტელთანნი; შობენ ისინი ვიდრე შესვლამდე ყრმის ამქმელთა და მერმეცდა გვიხმობენ ჩვენ“.

ფარაონი ვერაფერს გახდა და ბებიაქალები უვნებლად გაუშვა შინ. ისრაელიტელებმა მამაც ქალებს მადლობის ნიშნად მშვენიერი სასლები აუშენეს. ფარაონს მაინც არ აუღია ხელი თავის ბოროტ განზრახვაზე. ჯალათებს უბრძანა, დედებისთვის წაერთმიათ ასაღზობილი ვაჟები და ნილოსში დაესრჩოთ. გესლის მიწა კვნესა-გოდებამ აავსო, თითქოსდა დადგა იაკობის შთამომავალთა განკითხვის დღე.

სასწაულებრივი სსნა. ლევის ტომის ერთ ცოლქმარს ჰყავდა ორი შვილი — აპრონი და მარიამი. უმკაცრესი დევნის ჟამს მათ მესამე შვილი შეეძინათ. საუბედუროდ, დაიბადა ძე, ამიტომ იგი წინასწარ განწირული იყო ნილოსში დასახრჩობად. დედა სახოწარკვეთილებას მიეცა და, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი სასჯელი მოელოდა, გადაწყვიტა, შვილი ეგვიპტელი ჯალათებისათვის დაემალა. სამი თვის განმავლობაში სახლის ყველაზე ბნელ კუნჭულში აწოვებდა ძუძუს. ბავშვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა და ამან შეუშალა დედას ხელი ჩანაფიქრის აღსრულებაში. პატარა ბიჭი ფეხებს ღონივრად იქნევდა, მისი ხმამაღალი ტირილი და ტიტინი შორს ისმოდა. სოფელში მოწანწალე ფარაონის მოხელეებს ყოველ წუთს შეეძლოთ, მისთვის მიეგნოთ და ოჯახში უბედურება დატრიალდებოდა.

დედამ ხერხი იხმარა: მან იცოდა, რომ მდინარის ერთსა და იმავე ადგილას ყოველდღე ბანაობდა ფარაონის ასული. იგი დიდად თანაუგრძნობდა დევნილ ისრაელიტელებს. დედას დიდხანს აღარ უფიქრია, ბავშვი კალათაში ჩასვა, კალათა ფისით ამოლესა და ლერწმიანისაკენ გაეშურა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ფარაონის ასული სულ ადვილად იპოვნიდა კალათას. დედამ მარიამს დაავალა, ფხიზლად ედევნებინა თვალყური კალათისათვის. ყველაფერი ისე მოსდა, როგორც დედა ვარაუდობდა. ბანაობის შემდეგ ფარაონის ასულმა მხევალთა თანხლებით სანაპიროს გასწვრივ გაისეირნა. უეცრად ბავშვის ტირილი გაიგონა და მხევლებს უბრძანა, ლერწმიანი მოეხილათ, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ფეხთით დაუდგეს კალათა, რო-

მელშიც მტირალი ყრმა იყო. იგი ნაზად დაიხარა მიგდებული ბავშვისაკენ, მოეფერა და სცადა დაეწყნარებინა. ფარაონის ასული მაშინვე მიხვდა, რომ ყრმა ებრაელი იყო და, რადგან გულის სიღრმეში კიცხავდა მამის არაადამიანურ ბრძანებას, გადაწყვიტა ბავშვისათვის მფარველობა გაეწია. შორიდან მოთვალთვალე მარიამი ფარაონის ასულს ეახლა და ვითომდა ნაპოვნი ბავშვისთვის ძიძის გამონახვა შესთავაზა. თანხმობა რომ მიიღო, გახარებული გაქანდა შინ, დედასთან. აი, ასეთი შემოვლითი გზით ბავშვი მშვიდობიანად დაუბრუნდა დედის კალთას. მას აღარ ემუქრებოდა ნილოსის მორევში დახრჩობა, რადგან ჯალათები ფარაონის ასულის სიტყვას წინ ვერ აღუდგებოდნენ.

გავიდა რამდენიმე წელი. ყრმა წამოიზარდა. დედამ ჭაბუკი სასახლეში წაიყვანა. ფარაონის ასულმა იშვილა პატარა ებრაელი და მოსე დაარქვა. ამიერიდან მოსე სასახლეში ისე იზრდებოდა, როგორც სამეფო გვარის ჩამომავალს შეშვენის. ეცვა წმინდა სელის ქსოვილის ძვირფასი ტანსაცმელი, დადიოდა ტაძარში, სადაც მას ქურუმები ასწავლიდნენ და თავისი მეცნიერების საიდუმლოებას ანდობდნენ. მას ჰყავდა მსახურები, ქალაქში მიმოდიოდა ეტლით, რომელშიც ფეხმარდი ცხენები ება. ცხოვრობდა მშვიდად, განცხრომითა და მდიდრულად. თითქოს თავით ფეხამდე ეგვიპტელი გახდა და ებრაელობის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. მაგრამ დედა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ შვილს ებრაული წარმოშობა არ დავიწყებოდა და მართლაც ეგვიპტელად არ ქცეულიყო. ძალულად ასწავლიდა მშობლიურ ენას და წინაპართა ისტორიას. ბოლოს გამოუტყდა და უამბო, თუ როგორ გადაურჩა სიკვდილს — ნილოსში დახრჩობას.

მოსეს უმძიმდა ეგვიპტელი არისტოკრატის ნებიერი ცხოვრების უარყოფა. განათლება, სასახლის კარის მეგობრები და ეგვიპტური კულტურის ბრწყინვალება აახლოებდა მას იმ წრესთან, რომელსაც სიყრმიდანვე შეეჩვია. რა უნდა ჰქონოდა საერთო ამ განათლებულ, ფაქიზად აღზრდილ კაცს ისრაელიტელ ღატაკებთან, რომელთაც განუწყვეტლივ ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ ეგვიპტელები? მართალია, მოსეს დროდადრო გული ეკუმშებოდა, მძიმე შრომით ღონეშიხდილ თანამემამულეებს რომ ხედავდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა, გამოთხოვებოდა პრივილეგიებსა და დიდებულ ცხოვრებას.

მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მას არ დაჰკლებია ფარაონის ასულის შვილობილის საკადრისი ფუფუნება და განცხრომა. ეგვიპტელი ქურუმის წოდებაც კი მიიღო. ნილოსზე ფარაონის ნავით მგზავრობდა. აქ მას ართობდნენ მუსიკოსები და ჯამბაზები. სასახლეში დაბრუნებული სტვირისა და ქნარის სმაზე მოცეკვავე ქალების ცქერით ტკბებოდა. ახალი დედაქა-

ლაქი რამესე არაჩვეულებრივად დიდებული იყო. იგი ააგეს ძველი თებეს ყაიდაზე. მას ამშვენებდა ფართო ქუჩები, საუცხოო სასახლეები, საზოგადოებრივი ნაგებობანი და ეგვიპტელი ღმერთებისადმი მიძღვნილი ტაძრები. ქალაქის განაპირას აღმართული იყო ქერითა და ხორბლით სავსე საწყობები. მდინარის ნავსადგურში წამდაუწუმ შემოდიოდნენ საქონლით დატვირთული გემები. პატარა ტბები სავსე იყო ფრინველითა და თევზით. ქალაქის კარიბჭის ახლოს გადაშლილიყო საგულდაგულოდ დამუშავებული ბოსტნები (სადაც კვლებში ხახვი მოჰყავდათ), ბროწეულის, ვაშლის, ლეღვის, ზეთისხილის ნაყოფით სავსე ბაღები.

ამრიგად, მოსე უზრუნველად ნებივრობდა და ცხოვრების სიკეთით ტკბებოდა. მიუხედავად ამისა, იგი თავქარიანი და უსაქმური არასდროს ყოფილა. ყურადღებით ჩაკირკიტებდა ეგვიპტური სიბრძნის შემცველ პაპირუსებს; საღამოობით, როცა აგრილდებოდა და მთვარე ამოვიდოდა, სასახლის ბაღში დასეირნობდა ქურუმების თანხლებით, დიდხანს ესაუბრებოდა ხოლმე მათ ღმერთებზე, ფარაონებზე და ადამიანის დანიშნულებაზე. ღამღამობით კი, როცა თვალს ძილი არ ეკარებოდა, გულში ფარული სევდა უღვივდებოდა; თვალწინ ეშლებოდა თანამოძმეთა ცხოვრების სურათები, ხედავდა მათ ტანჯვას, ესმოდა, თუ როგორ სწყევლიდნენ ისინი გაჩენის დღეს; ყურებში უწიოდა სტვენა შოლტებისა, რომლითაც მონურ სამუშაოზე მიერეკებოდნენ მის ძმებს, ესმოდა მათი გოდება და სვეგამწარებულთა ვედრება, შველას რომ ითხოვდნენ. სიზმარში ელანდებოდა ხოლმე დედა, რომელსაც მშობლიური მზრუნველობით აღსავსე სახეზე რატომღაც სასოწარკვეთილება და ნაღველი გადაჰკრავდა. ასეთი ღამეების შემდეგ მოსე სულის გამაწამებელ მღელვარებას ვეღარ სძლევდა. რაღაცაში თავს დამნაშავედ გრძნობდა და საკუთარი ცხოვრება უაზრობად და ამაოებად ეჩვენებოდა. ამ დროს ქურდულად იპარებოდა ხოლმე ქალაქგარეთ, რათა შორიდან ეყურებინა, როგორ შრომობდნენ მისი ნახევრად შიშველი, გაოფლილი ძმები — წელში წახრილი რომ ზელდნენ თიხას და აგური გამოჰყავდათ.

ამრიგად, მოსე ჭეშმარიტად გაორებულ ცხოვრებას ეწეოდა: ღღისით მიუკარებელი ეგვიპტელი არისტოკრატი იყო, ღამღამობით კი უძღები შვილი, რომელიც თავის ხალხთან დასაბრუნებელი გზის ძიებაში იტანჯებოდა.

ერთხელ მოსემ იხილა, თუ რა შეუბრალებლად აწვალა ეგვიპტელმა ზედამხედველმა აგურის გამომწველი ებრაელი. გაცოფებულმა მოსემ ბოროტი მტანჯველი მახვილით განგმირა. ახლომახლო ეგვიპტელთაგან არავინ შეუმჩნევია. ფარაონისათვის რომ მკვლელობა დაემალა, გვამი სილაში ჩაფლა. ამ ამ-

ბის მოწმენი მხოლოდ მისი თანამემამულენი იყვნენ. სამწუხაროდ, მათ ენას კბილი ვერ დააჭირეს და მკვლელობის ამბავი იმავე დღეს, ვითომ ნაჩუმათევად მთელ ვესემში გაავრცელეს. თითქმის ყველა ებრაელი ხოტბას ასხამდა მოსეს გამბედაობისათვის, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც, ალბათ შურის გამო, აძაგებდნენ მას.

მოსეს აზრადაც არ ქონდა, რომ მითქმა-მოთქმა ასე ელვის უსწრაფესად გავრცელდებოდა. მკვლელობის მეორე დღეს იგი ორი ებრაელის ჩხუბს შეესწრო. ძოსემ დაუყოვნებლივ გააშველა მოწინააღმდეგენი და უფრო ღონიერს ჰკითხა: „რად ავნებ მახლობელსა შენსა?“ მან გამომწვევად უპასუხა: „ვინ დაგადგინა მთავრად და მსაჯულად ჩვენ ზედა? ანუ მოკვლა ჩემი გნებავს, ვითარცა მოჰკალ მეგვიპტელი?“ მოსე ძალიან შეშინდა; რაკი ყველამ იცოდა მკვლელობის ამბავი, ჯაშუშებს სულ იოლად შეეძლოთ ფარაონისათვისაც ეთქვათ. კეთილმა ადამიანებმა მოსე მალე გააფრთხილეს — შენს დასაპატიმრებლად სასახლის ებგურები გამოგზავნესო. მოსეს ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ბოლო წუთებში გაპარვა მოახერხა, ღამით გადაცოცდა სასაზღვრო კედელზე და ფეხით გაეშურა აღმოსავლეთისაკენ. აქ უდაბნოს შეაფარა თავი და დაემალა მდევარს.

ორმოცწლიანი ექსორია. აქაბის ყურის აღმოსავლეთით გადაშლილი იყო მადიამის ტერიტორია. აქ ცხოვრობდნენ მოსეს ნათესავები: აბრაამისა და მისი მეორე ცოლის ქეტურას ექვსთაგან ერთ-ერთი ვაჟის შთამომავლები. მოსემ გადაწყვიტა თავისი მახლობლებისათვის თავშესაფარი ეთხოვა. დაახლოებით ოთხას ორმოცდაათი კილომეტრი გაიარა. გზა უმეტესად უდაბნოსა და ტრამალ ველებზე გადიოდა. დაღლილ-დაქანცულმა მიაღწია მადიამს. ოფლით გაჟღენთილ და გაჭუჭყიანებულ ტანსაცმელს, ოდესღაც სამეფო კარზე რომ ეცვა, ძველი ბრწყინვალების კვალიც აღარ აჩნდა, აღმოსავლეთის ქვეყნებში მოწყალების სათხოვნელად მოხეტიალე მაწანწალას ძონძებს უფრო მიაგავდა.

მოსე ჭასთან ჩამოჯდა და ცნობისმოყვარე თვალით უყურებდა შვიდ ქალიშვილს, რომლებმაც ცხვარი მორეკეს წყალზე. უეცრად საიდანღაც ჭასთან მწყემსები მოვიდნენ. მათ უხეშად ჰკრეს ხელი ქალებს, უკან გააბრუნეს და თავისი საქონელი მიუშვეს წყლის დასალევად. მწყემსების საქციელით აღშფოთებულ მოსეს დაავიწყდა დაღლილობა, წამოიჭრა ფეხზე, თავხედებს შეუტია და დააფრთხო.

თურმე მწყემსი გოგონები გავლენიანი მადიამელი მღვდლის იოთორის შვილები იყვნენ. მადლიერმა მამამ მოსე შინ შეიპა-

ტიჯა. როცა შეიტყო, რომ მოსე ძისი შორეული ნათესაეიც იყო, ოჯახში შეიფარა და ცოლად მისცა თავისი ასული სეფორა. მისგან მოსეს შეეძინა ორი ვაჟი: გერსამი და ელიაზარი. მოსე ეხმარებოდა სიმამრს ოჯახში, საქონელს მწყემსავდა. ცხოვრების პირობების უეცარმა შეცვლამ იგი სულის სიღრმემდე შეაძრწუნა. ეგვიპტის კეთილმოწყობილ ქალაქებს შერჩეულმა თავმომწონე ნებიერმა თავი ამოყო უდაბნოში, კლდეებში, რომელსაც ზემოდან აბოლებული ვულკანები დაჰყურებდა.

თავდაპირველად იგი გაჭირვებით ეგუებოდა ახალ პირობებს, მარტოდმარტო ატარებდა დროს საძოვრებზე, ენატრებოდა თავისი სასახლე, პაპირუსები და ქურუმებთან საუბრები. მწარედ განიცდიდა ლტოლვილის საშინელ ბედს. შემდგომ კი მძიმე განცდებმა სასიკეთო გავლენა მოახდინეს მის გონებაზე. მკაცრმა ბუნებამ, მწყემსის უბრალო, პატიოსანმა ცხოვრებამ, ცის ქვეშ მარტოობაში გატარებულმა დრომ თავისი ქნა: მოსე თანდათანობით დაუფიქრდა თავის ცხოვრებას, დაიწყო მისი აზრის ძებნა. თანდათან გაუფერულდნენ ბედნიერი წარსულის სურათები. სამაგიეროდ, მოსე ხშირ-ხშირად მოაგონებდა ხოლმე თავის თავს, რომ დაბადებით ისრაელიტელი იყო, რომ მისი გვარის მამამთავარი იყო იაკობის ძე, აბრაამის შვილიშვილის შვილი ლევი.

მადიამელები ამაყობდნენ, რომ აბრაამის პირდაპირი შთამომავალნი იყვნენ. ისინი უამრავ ლეგენდებსა და ამბებს უყვებოდნენ მოსეს ამ დიდ პატრიარქზე, რომელიც დაკრძალული იყო ქანაანში; უამბობდნენ იმ ღმერთის შესახებ, რომელსაც თაყვანს სცემდნენ მათი წინაპრები. როცა ამგვარი ამბები ესმოდა, მოსე გრძნობდა, რომ დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ავიდოდა ხოლმე გორაკზე და შიდამოს ათვალიერებდა. დასავლეთით ხედავდა უდაბნოს, რომლის იქითაც გადაშლილი იყო მონობის ქვეყანა — ეგვიპტე, სამაგიეროდ აღმოსავლეთით, სადღაც მთებს გადაღმა იმალებოდა ქანაანი — მისი წინაპრების სამშობლო, აღთქმული ქვეყანა, ქვეყანა მშვიდობისა და სიკეთისა. ამ დროს მას დიდებული გეგმა ესახებოდა. მოსემ გადაწყვიტა, მონობიდან დაესნა თავისი ძმები და ეგვიპტიდან მშობლიურ, კურთხეულ ქანაანში წაეყვანა.

საკუთარ სინდისთან ბრძოლამ თითქმის ორმოც წელს გასტანა. მოსემ ვერაფრით ვერ სძლია საკუთარ დაბნეულობას, ეჭვებსა და სულიერ ტკივილს. იყო ისეთი ხანგრძლივი პერიოდები, როცა მწყემსის ცხოვრება აცდუნებდა და მთელ დღეებს ყოველდღიურ წვრილმან საქმეებზე ზრუნვას ანდომებდა. ასეთ შემთხვევებში ერთიანად იხშობდა ხოლმე სინდისის ქენჯნას. იგი უკვე ოთხმოცი წლისა ხდებოდა და ფიქრობდა, რომ ასეთი სახიფათო მისიის კისრად აღება გვიანი იყო. მას ერჩია, მშვი-

დად მომკვდარიყო ძადიამის მიწაზე. რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა. მაგრამ ახალი იდეა მოსეს ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ გაღვივდა, გაძლიერდა, მისი სმა ისეთი ძალუმი გახდა, რომ მოსეს ვეღარ შეძლო მისი ურჩობა.

ძადიამში ყოფნის ბოლო წელს მოსეს ხანდახან რელიგიური ექსტაზი შეეპყრობდა ხოლმე. დასჩემდა სიზმრები და წინასწარმეტყველური სილვები. ერთხელ იგი ცხვარს მწყემსავდა ქორების მთის ძირში. ეს მთა წმიდათაწმიდა ადგილად ითვლებოდა, რადგან ძადიამელები ფიქრობდნენ, რომ მის მწვერვალზე, ღრუბლებში, ცხოვრობდა ათი წინაპრების — აბრაამის, ისაკისა და იაკობის ღმერთი.

იქაურობას რომ ათვალიერებდა, მოსეს თვალწინ უცნაური სანახაობა გადაეშალა — რაღაც ბუჩქს ცეცხლი მოედო, მაგრამ ბუჩქი არ დამწვარა. უცბად ცეცხლმოდებული ბუჩქიდან მოსეს მოესმა ღმერთის ხმა, რომელიც მოსეს უბრძანებდა, დაუყოვნებლივ წასულიყო ეგვიპტეში და ტყვეობიდან დაეხსნა ისრაელელები. მოსეს თავზარი დაეცა. პირისახეზე სელები აიფარა, რომ ღმერთი არ დაენახა, მაგრამ მაინც შეებედა ღმერთს და გაუმხილა თავისი ეჭვი: „აჰა, მე მივიდე ძეთა ისრაელისათა და ვრქვა მათ: ღმერთმან მამათა თქვენთამან მომავლინა მე და თუ მკითხვიდენ, თუ რა არს სახელი მისი, რა მივუგო მათ?“ ღმერთმა პასუხი გასცა მოსეს და პირველად გამოეცხადა მას იაჰვეს სახელით. ეს სასწაულებრივი გამოცხადება იყო, მაგრამ მოსეს სულიერი შფოთი ვერ დააცხრო. მან ღმერთს შესჩივლა: რიგორ დავარწმუნო ისრაელის ძენი, თუკი მისიის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ შექნა და მხოლოდ ზეპირად ვეტყვი შენს სიტყვასო. ღმერთმა მას სასწაულმოქმედი ძალა მიანიჭა მცირედმორწმუნეთა დასაჯერებლად. ამიერიდან მოსეს შეეძლო, სურვილისამებრ გადაექცია კვერთხი გველად, წყალი სისხლად, გამოეწვია კეთრი და კეთროვანი განეკურნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსეს სასწაულმოქმედი ძალა მიეცა, მაინც ყოველნაირად ცდილობდა, უარი ეთქვა თავსმოხვეულ მისიაზე. ენაბრგვნილობა მოიმიზეზა და ღმერთს არწმუნებდა — თანამემამულეებს ვერაფერს გავაგებინებ ჩემი მძიმე ენითო.

იაჰვე ჯერ გაჯავრდა ამ ახალი ფანდის გამო, ბოლოს კი შეიწყალა მოსე და დაჰპირდა: მოგაშველებ დიდად მჭევრმეტყველ შენს უფროს ძმას აჰრონს და შენი სასელით იგი ილაპარაკებსო. მოსეს გამგზავრების გარდა არა დარჩენოდა რა. გამოემშვიდობა სიმამრს, ცოლი და ბავშვები ვირზე შესვა და გულდამძიმებული გაემგზავრა ეგვიპტისაკენ.

გზაში მას საშინელი ამბავი გადახდა. ღამის გასათევად რომ შეჩერდა იაჰვემ უეცრად გადაწყვიტა მოეკლა, რადგან წინადაცვეთილი არ იყო. სეფორამ ძლივს მოულბო გული განრისხე-

ბულ ღმერთს და ისიც მას შემდეგ, რაც თავის ვაჟებს წინააღ-ცვეთის წესი შეასრულებინა. ეგვიპტეში მოსეს აჰრონი შეეგება. ძმებმა შეკრიბეს ისრაელის ძენი და დაარწმუნეს, რომ იაჰვეს ნება-სურვილის თანახმად, მათ გესემის მიწა უნდა დაეტოვებინათ. ისრაელიტელებმა იმდენი ზეგავლენა არ მოუხდენია არც მოსეს მიერ თავისი მისიის დასამტკიცებლად ჩადენილ სასწაულებს, არც აჰრონის მეჭეურმეტყველებას, რამდენიც მოახდინა დევნამ და გაჭირვებამ, დღითიდღე რომ მატულობდა და მათ არსებობას ემუქრებოდა.

ეგვიპტიდან გაქცევა. ორმოცი წელი გავიდა იმის შემდეგ, რაც განრისხებულმა მოსემ ეგვიპტელი მოკლა. ეგვიპტეს სხვა ფარაონი მართავდა. მის კარზე მოხელეთა ახალი თაობა მსახურობდა. ხალხს დაავიწყდა მოსეს დანაშაული. ახლა მას საშიშარი აღარა ჰქონდა რა. ან კი ვინ მიხვდებოდა, რომ ეს მოხუცი,წვერმოშვებული, უხეშ მოსასხამში გახვეული, მწყემსის კომბლით მოარული აზიელი შვილობილი იყო ფარაონის ასულისა და ოდესღაც მდიდრულ ეგვიპტურ სამოსელში გამოწყობილი დადიოდა? რომ მის შესახებ ერთ დროს აუარებელი მითქმა-მოთქმა ყოფილა? ორმოც წელიწადში მოსე ისე დაბერებულიყო, რომ კაცი ვერ იცნობდა. მზისგან გარუჯული სახე ნაოჭებს დაესერა. იგი უკვე ოთხმოცი წლის მოხუცი იყო და წვერი მთლად გასჭაღარავებოდა.

მოსემ და აჰრონმა ფარაონს სთხოვეს, ისრაელის ძეთათვის ნება დაერთო, სამი დღით გასულიყვნენ უდაბნოში, რათა იაჰვეს პატივსაცემად ელოცათ და მსხვერპლი შეეწირათ. ეს, რა თქმა უნდა, ფანდი იყო. ისინი აღარ აპირებდნენ უკან დაბრუნებას და კვლავ ეგვიპტელთა უღელში შებმას. განრისხებულმა ფარაონმა მათ უარი უთხრა და ისრაელიტელთა დასასჯელად ახალი ბრძანება გასცა: მათ აგურის დამზადების ადრე დაწესებული ნორმაც უნდა შეესრულებინათ და, ამას გარდა, თვითონვე ეშოვათ ნამჯა თიხაში შესარევად. ეს მოითხოვდა დამატებით სამუშაო დროს, რადგან ეგვიპტეში ნამჯა ცოტა იყო და მის საშოვნელად მთელი ქვეყანა უნდა შემოევლოთ. თუ ვინმე ამ მიზეზის გამო ვერ მოასწრებდა დაწესებული რაოდენობის აგურის დამზადებას, მას მძიმე სასჯელი ელოდა. საქმე რომ ასე წაუვიდათ, დანაღვლიანებულმა ებრაელებმა მოსეს შესჩივლეს — ფარაონთან შენმა მისვლამ სიკეთის ნაცვლად ზიანი მოგვიტანაო. მოსე შეწუხდა და დაეჭვდა. იფიქრა — იაჰვემ თავისი სიტყვა არ შეასრულა და ისრაელის ძენი უფრო მეტ სატანჯველში ჩაყარაო.

იგი კვლავ ეახლა ფარაონს, გადაწყვიტა, ამჯერად მაგიის

ძალით დაემორჩილებინა. ტახტის წინ დადგა და ძირს დააგდო თავისი კვერთხი, რომელიც მყისვე გველად გადაიქცა. ფარაონმა სიბრალულის ღიმილით შეხედა წვეროსან ჯადოქარს და ბრძანა — ჩემი ქურუმები მომგვარეთო. მათაც იგივე გაიმეორეს. ფარაონზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არც იმას მოუხდენია, რომ მოსეს გველმა ეგვიპტელი ქურუმების გველები შთანთქა.

ამიერიდან გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ფარაონის უგუნური სიჯიუტის წინააღმდეგ. მოსემ ათჯერ რიგრიგობით სხვადასხვა სასჯელი მოუვლინა ეგვიპტეს. ჯერ ნილოსის წყალი იქცა სისხლად, მერე წარმოუდგენლად გამრავლდა მყვარი, კოღოები, ძაღლის მწერი. საქონელს ჭირი შეეყარა, ხალხს სხეული დაუწყლულდა და დაულპა. მოსავალი სეტყვამ გაანადგურა; ქვეყანას აურაცხელი კალია შეესია. ბოლოს ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ ხალხი ხელის ცეცებით ძიმოდიოდა. ფარაონს ზარს სცემდა ყოველი ახალი სასჯელი. თითოეულის მოვლინების შემდეგ ისრაელიტელებს განთავისუფლებას ჰპირდებოდა, მაგრამ მერე უარზე დგებოდა, თუმცაღა ეგვიპტელები ხმამაღლა მოითხოვდნენ, სიჯიუტისათვის თავი დაენებებინა და განსაცდელი აეცდინა მათთვის.

მოსეს მოთმინება დაელია და ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ფარაონის სიკერპე მეათე, ყველაზე მძიმე სასჯელით გაეტეხა. მან წინასწარ გააფრთხილა ებრაელები, მზად იყავითო. მოითხოვა, ყოველ ოჯახს დაეკლა ერთი წლის ბატკანი და მისი სისხლით სახლის კარი შეეღება. ებრაელებს ვახშმად უნდა ეჭამათ ცეცხლზე შემწვარი ბატკნის ხორცი, ხმიადი და მწარე მხალეული. გარდა ამისა, მოსემ მათ ურჩია, რომ ვახშმად სამგზავრო ტანსაცმლით დამსხდარიყვნენ, რათა ყოველ წუთს შესძლებოდათ ეგვიპტიდან გაქცევა.

დადგა შუაღამე. იაჰვემ კარდაკარ ჩამოიარა და ყველ-ოჯახში, რომლის კარზეც სისხლის ნიშანი არ იყო, დახოცა პირმშო შვილები. არ ინდობდა არც მხეველისა და არც ფარაონის შვილებს. პირუტყვის პირველნაშობნიც კი უსულოდ ეცემოდნენ.

ყველგან მოთქმა და ვაება ისმოდა. სიკვდილმა დაისადგურა ყოველი ეგვიპტელის ოჯახში. ახლაღა იგრძნო ფარაონმა მოსეს მრისხანე ძალა და ნება დართო, მონობისაგან ეხსნა ებრაელი ხალხი. ისრაელიტელებმა ისარგებლეს ქვეყნად გამეფებული არეულობით, შური იძიეს დევნისა და იძულებითი შრომისათვის და ეგვიპტელთა ოჯახები გაძარცვეს. მათ ხელთ იგდეს ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, ტანსაცმელი, სხვა ძვირფასი ნივთები და, რაც მთავარია, იარაღი, რომელიც უდაბნოში მცხოვრებ ტომებთან საბრძოლველად გამოადგებოდათ. მოსემ ამ შემთხვევის უკვდავსაყოფად დააწესა დღესასწაული პასექი-

სა, რაც ნიშნავს „განტევების“ დღესასწაულს; იაჰვეს ხელი არ უხლია ისრაელიტელებისათვის, მან მხოლოდ ეგვიპტელთა პირმშონი დასაჯა სიკვდილით.

გადასვლა მეწამულ ზღვაზე. ახმაურდნენ ვერცხლის საყვირები. ისრაელიტელთა კოლონამ გესემის მიწა დატოვა და აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ქალების, ბავშვებისა და მსახურთა გარდა რაზმში ექვსასი ათასი შეიარაღებული მამაკაცი იყო. კოლონას მიუძღოდა კატაფალკი, რომელზეც ხის კუბო იდო. კუბოში ესვენა იოსების დაბალზამებული მუმია. ბოლოს მიდიოდა ცხვრისა და თხის უზარმაზარი ფარა და საპალნიანი ვირები.

უდაბნოში ებრაელები, თავისდა სასიხარულოდ, დარწმუნდნენ, რომ მათ იაჰვე წინამძღოლობდა. დღისით ღმერთი ღრუბლის სვეტად იქცეოდა და ლტოლვილებს გზას უჩვენებდა, ღამით კი ცაცაზიდულ ცეცხლის სვეტად ელვინებოდა.

მოსემ ისრაელიტელები ჯერ ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ მიმავალი ძველი საქარავნო გზით წაიყვანა, მერე კი სამხრეთით, უკაცრიელი ეთამისაკენ გადაახვევინა, რადგან ეშინოდა, რომ იქაური ტომები, რომელთაც ზღვის პირად ციხესიმაგრეები ჰქონდათ, ქანაანისაკენ უბრძოლველად არ გაუშვებდნენ. ლტოლვილებმა ეთამში დაიბანაკეს და კარგა ხნით დაისვენეს, შემდეგ კი კვლავ დაიძრნენ ჩრდილოეთისაკენ და კარვები დადგეს ფიახიროთის წინ. ეს ადგილი მდებარეობდა მიგდოლსა და ზღვას შუა, ქანაანის ღმერთის, ბაალის ტაძრით განთქმული ქალაქის ბაალ-ცეფონის მახლობლად.

ამასობაში გაცოფებული ფარაონი ექვსასი საომარი ეტლით დაედევნა ლტოლვილებს. ებრაელები შიშმა აიტანა, როცა მტვრის ბუღი გაიფანტა და ეგვიპტელთა საბრძოლო ეტლები დაინახეს. გაქვავებულები შესცქეროდნენ მოახლოებულ ეგვიპტელ მეომრებს და ნანობდნენ — გესემის მიწა დაუფიქრებლად დავტოვეთ, მდევართა ხელით დახოცვას მონობაში ყოფნა გვერჩიაო. მოსე ამშვიდებდა სასოწარკვეთილებს და არწმუნებდა — უბედურების დროს იაჰვე არ მიგვატოვებსო. მართლაც, საღამოჟამს ეგვიპტელებს გზა გადაუღობა ცეცხლისა და კვამლის უზარმაზარმა, გადაულახავმა კედელმა, რომელიც განთიადამდე იდგა. განთიადისას მოსე ზღვის ნაპირზე გავიდა, აღმართა ხელი და ტალღებს უბრძანა, გზა მოგვეცითო. აქაფებული ტალღები ორად გაიპო. მათ შორის ამოჩნდა ხმელეთი და ისრაელიტელები მეორე ნაპირზე გადავიდნენ. განრისხებული ფარაონი ლტოლვილებს კვალდაკვალ დაედევნა. როცა მან შუა ზღვამდე მიაღწია, მოსემ კვლავ აღმართა მარჯვენა და მდევრებს უზარ-

მაზარმა ზვირთებმა გადაუარა. რამდენიმე საათის შემდეგ ტალღებმა ნაპირზე გამორიყეს ამაყი ეგვიპტური მხედრობის უბადრუკი ნაშთი* — ეტლთა ნამსხვრევები, აღჭურვილობისა და ცხენთა გვამები. მოსეს და ისრაელის შთელმა მოდგმამ საშიშარი უგალობა იაკვეს. ქალები, მარიამ წინასწარმეტყველის ხელმძღვანელობით, ზეიმობდნენ და ცეკვის რიტმს დაკვრეფების ხმას უწყობდნენ.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ. ამის შემდეგ ებრაელებმა სურის უდაბნოსაკენ აიღეს გეზი. მათი გზა უწყლო რაიონებზე გადიოდა. სამი დღე მწყურვალნი იყვნენ. ბოლოს მიაღწიეს შერას, სადაც მწარე წყალი დაუხვდათ. წყურვილისაგან გატანჯულ მოსეტიალეთათვის ეს მოულოდნელი უბედურება იყო და ბანაკში კვლავ უკმაყოფილებამ იფეთქა. ხალხი დრტვინავდა, მაგრამ მოსეს გამოსავალი იპოვა: ახლომახლო პატარა ტოტები აკრიფა და ჭაში ჩაყარა. წყალი დატკბა და დასალევადაც ვარგისი გახდა. მოგზაურებმა სული მოითქვეს და ელიმს მიაშურეს. ამ ოასისში, რომელიც სამოთხის ბაღს წააგავდა, სამოცდაათი დანაკის კუდის ხე იდგა და თორმეტი ანკარა წყარო ამოდიოდა. მაგრამ საჭირო იყო, კვლავ გზა გაეგრძელებინათ. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ექვსი კვირა რომ გავიდა, კოლონა დაბანაკდა ელიმსა და სინას შორის მდებარე სინის უდაბნოში.

ბნე უმოწყალოდ აცხუნებდა. სხვა უბედურებას ისიც დაერთო, რომ ბედკრულ მოხეტიალეებს წყალი და სურსათი გაუთავდათ. ხალხი დრტვინავდა: „მოგვეც წყალი!“ მოსეს მათ უთხრა: „რად მაგინებთ, რად სცოდავთ ღმრთისა მიმართ?“ უდაბნოს მკაცრ პირობებს შეუჩვეველი მოგზაურები თავიანთ უბედურებას, როგორც ყოველთვის, ახლაც მოსესა და აპრონს ებრალებდნენ. აღელვებული ბრბო გარს შემოერტყა ორიეე ბელადის კარვებს. ისინი მწარედ უჩიოდნენ ბედს: „უმჯობესი იყო ჩვენდა სიკვდილი ხელისაგან უფლისა ქვეყანასა ეგვიპტისასა, ოდეს ვისხედით ქვაბთა თანა ხორცისათა, ოდეს მაძღრიე ვჭამდით პურს! გამოგვიყვანეთ ჩვენ უდაბნოდ, რათა სიყმილით მოწყდეს ერი ესე!“

ეს სიტყვები რომ მოისმინა, დამწუხრებული მოსე მიხვდა — ისრაელიტელებს უკვე ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი მონური სული, რადგან თავისუფლებას პური და ხორცით სავსე ქვაბები ერჩიათ. მან მაინც დაამშვიდა თავისი სამწყსო და აღუთქვა — იაჰვე არ მიგვატოვებს, საკვებს მალე მოგვაწვდისო.

საღამო ჟამს დაპირება აღსრულდა. აღმოსავლეთიდან მოფრინდა ურიცხვი მწყერი და მიწა ერთიანად დაფარა. დიდი ხნის

ფრენით არაქათგამოცლილი ფრინველები ფრთებს უმწეოდ აფართხალებდნენ. ისე იყვნენ დაღლილნი, რომ მათი დაჭერა ხელით შეიძლებოდა. ებრაელები გაფაციცებით მიმორბოდნენ. აბრიალდა ცეცხლი, დატრიალდა შამფურებზე შემწვარი ფრინველის სასიამოვნო სუნი. დანაყრებული ებრაელები დასაძინებლად დაწვნენ და მოსეს სასწაულმოქმედი ძალის ქება ცამდე აღავლინეს.

განთიადისას, ვერცხლის საყვირის ხმაზე რომ გაიღვიძეს, ისრაელიტელებმა გასაოცარი რამ იხილეს — მთელი ველი დაფარული იყო თოვლივით თეთრი, სეტყვის მსგავსი მარცვლებით. ყველანი დედაბუდიანად გამოცვივდნენ კარვებიდან, რათა ახლოს ენახათ მოვლენილი საოცრება. კარვიდან გამოვიდა მოსეც. მას სახეზე ლაღი ღიმილი ეფინა, ბელადმა თავის სამწყსოს ამცნო, რომ ეს იყო იაჰვეს მიერ გამოგზავნილი მანანა, რომელიც მოგზაურებს პურის მაგივრობას გაუწევდა.

უცნაური მარცვლები რომ გასინჯეს, ისრაელიტელებმა თაფლიანი პურის გემო იგრძნეს და მანანის მოგროვებას შეუდგნენ. დღეში შეიძლებოდა იმდენის აკრეფა, რამდენიც აუცილებელი იყო შიმშილის მოსაკლავად. ამიერიდან უდაბნოში ორმოცი წლის ხეტიალის მანძილზე მანანა იყო ებრაელთა პური არსობისა.

მათ გზა განაგრძეს და რაფიდიმს მიადგნენ. ჭა არც აქ აღმოჩნდა და მოგზაურებს კვლავ უწყლობა ტანჯავდა. ბანაკში აურზაური ატყდა, გაისმა პროტესტისა და მუქარის ხმები. მაშინ მოსე ადგა და შორიახლოს აღმართულ მთას — ქორებს, მიაშურა. მივიდა მის ძირში და წყურვილისაგან გაწამებული ხალხის თვალწინ ციცაბო კლდეს კვერთხი დაჰკრა. კლდის ნაპირიდან იმავე წუთში მთის ანკარა წყალმა გადმოჩქეფა. ეს სასწაული რომ იხილეს, ისრაელიტელებს ჯერ სიტყვა შეაშრათ პირზე, შემდეგ კი სიხარულით აღივსნენ და მოსე დალოცეს. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ წყალთან მისვლას; ავსებდნენ კოკებს და ყოველგვარ ჭურჭელს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ.

ის იყო წყურვილი მოიკლეს, საქონელსაც დაალევინეს და მრისხანე საბრძოლო ხმაც შემოესმათ. ისრაელიტელებს პირველად მოუხდათ იარაღით ხელში უდაბნოს მეომარ ტომებთან ბრძოლა. ესენი იყვნენ ამალეკელები, რომელთაც გადაწყვიტეს, გზა გადაეღობათ დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის და ნადავლი ეშოვათ. ეგონათ, იოლად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ. მოსემ თავისი ჯარის სარდლობა მიანდო ისუ ნავეს, რომელმაც მოხერხებულად და სწრაფად წაიყვანა რაზმები მოვარდნილი მტრის შესახვედრად. მოსე აჰრონისა და ურის თანხლებით ბორცვის თხემიდან უთვალთვალებდა ომის მსვლელობას. ბრძოლა დილიდან შებინდებამდე გაგრძელდა, ხან ერთი მხარე

სჯობნიდა, ხან მეორე. აწევდა თუ არა მოსე ხელებს, ისრაელიტელები იმარჯვებდნენ, როგორც კი დაუშვებდა — მტრები. ასე გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში. ბოლოს დაღლილ და მოთენთილ მოსეს მკლავები უმწეოდ ჩამოუცვივდა. უბედურების თავიდან ასაცილებლად აჰრონმა და ურმა მოსე ლოდზე დასვეს, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ხელები აუწიეს. შუის ჩასვლისას ისუ ნავეთ მტერი გაანადგურა და უკუაქცია. ბრძოლის ველზე სამადლობელი სამსხვერპლო აღმართეს. იაჰვემ მოსეს ურჩია, ეს გამარჯვება სამარადისოდ ჩაეწერა წიგნში. „დაწერე ესე მოსახსენებელად წიგნსა და უთხარ ისუს, რამეთუ აღვხოცო პირისაგან მიწისა სახსენებელი ამალეკისი“.

მალე დიდი გამარჯვების ამბავი შეიტყო მადიამელმა მღვდელმა, მოსეს სიმამრმა იოთორმა. იგი დაუყოვნებლივ გაეშურა ისრაელის ძეთა ბანაკში, სიძეს მიჰგვარა მეუღლე და ორი ვაჟი — გერსამი და ელიეზარი. მოსეს შინაურები მადიამს გაეგზავნა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ფარაონს შეებრძოლებოდა და ეგვიპტიდან გამოიყვანდა ისრაელიტელებს.

მეორე დღეს მოსემ თავისი კარვის წინ სამსჯავრო გამართა. იგი დილიდან საღამომდე იჯდა და თვითონ იძიებდა ყველაფერს, ჩაჰკირკიტებდა ყოველგვარ წვრილმანს და სჯიდა უმნიშვნელო საქმესაც კი. იოთორი გააოცა მოსეს ასეთმა თავდაუზოგავმა მუშაობამ. მან დაინახა, რომ მოსე ბევრი წვრილმანი დავის მოსაგვარებლად ხარჯავდა დროს.

მართვა-გამგებლობის ხელოვნებაში გაწაფულმა იოთორმა სიძეს გულწრფელად გაუზიარა თავისი მოსაზრება: „რაღ შენ ჰზი მარტო და კრებული ყოველი დგას შენ წინაშე დილითგან ვიდრე მწუხრამდე?.. ტანჯვით იტანჯო შენ და ერი ესე. მძიმე არს შენდა საქმე ესე. ვერ შემძლებელ ხარ მარტო აღსრულებად ამას“. მოსემ ჰკითხა, როგორ მოვიქცეო და სიმამრმა ასეთი რამ ურჩია: დაჰყავი ხალხი ათას, ას ორმოცდაათ და ათკაციან ჯგუფებად. ყოველ ჯგუფს დაუნიშნე უფროსი, რომელიც ამავე დროს მოსამართლე იქნება, მოაგვარებს ყოველგვარ წვრილმანს სადავო საკითხს და შენ მხოლოდ მნიშვნელოვანი საქმის გადასაწყვეტად მოგმართავსო. ისრაელიტელებს ჭკუაში დაუჯდათ იოთორის რჩევა. ისინი მის სიტყვაზე მოიქცნენ და ამით თავის მომავალ საზოგადოებრივ წყობას ჩაუყარეს საფუძველი.

როკვა ოქროს კერპის გარშემო. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ სამი თვე რომ გავიდა, ისრაელიტელები სინას მთის პირდაპირ მდებარე უდაბნოში დაბანაკდნენ. პირქუშ, კლდოვან მასივში, რომლის მწვერვალები ცას ებჯინებოდნენ, შეფარული იყო რაღაც იდუმალი, რაც ნილოსის შესართავის

ვაკეებს თვალშეჩვეულ ცრუმორწმუნე ხალხს შიშს ჰგვრიდა. სამაგიეროდ, ახლო მდებარე მიდამოები ხელსაყრელი იყო ხანგრძლივი დასახლებისათვის. აქ საკმაო იყო წყალი, ხარობდა ფინიკის პალმა, სამშენებლო მასალად და საწვავად გამოსადეგი ხეები. ებრაელთა ბანაკი საქმეს შეუდგა. მართვის ახალმა სისტემამ მტკიცე წესრიგი უზრუნველყო. მამაკაცები ხელოსნობას ეწეოდნენ. ქალები ამზადებდნენ საჭმელს, ართავდნენ და ქსოვდნენ. ბავშვები კი მხიარულად თამაშობდნენ კარვებს შორის.

ამ ბედნიერი ცხოვრების დროს ერთხელ მოსე სინას მთაზე ავიდა, შეხვდა იაჰვეს, რომელმაც უთხრა — განზრახული მაქვს, ისრაელიტელებთან კავშირი შეკვრაო. ამ ამბით გახარებული მოსე დაბრუნდა და ბრძანა, რომ ყველას გაერეცხა თავისი ტანსაცმელი და სამი დღე ემარხულებინა, რათა ღირსეულად მომზადებულიყო დიდებული წუთისათვის. ის იყო დანიშნული დრო გაივლა, რომ ხალხი მთის ძირში შეიკრიბა. მოსემ ყველახ აუკრძალა წმიდათაწმიდა მთაზე ასვლა. მან მწყემსის არგნით გააელო ხაზი და სამწყსო გააფრთხილა — ვინც ამ ხაზს იქით გადავა, სიკვდილით დაისჯებაო.

საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცები, ქალები და ბავშვები ხაზის გასწვრივ ჩამწკრივდნენ. უცბად საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, იჭექა მეხმა, იელვა და მთა სქელ კვამლში გაეხვია. როცა ამას უხილავ საყვირთა ხმაც დაერთო, ისრაელიტელები მიწაზე დაემხვნენ და შეძრწუნებულებმა თვალებზე ხელები აიფარეს. მათ ვერ დაინახეს, რომ მოსე ამ დროს მთის ფერდობზე ავიდა და მალე გაუჩინარდა მწვერვალს მოდებულ კვამლში. აქ, სინას მთის მწვერვალზე, იაჰვემ მას აუწყა თავისი მცნებები და ღვთისმსახურების წესები, რომლებიც ამიერიდან ისრაელიტელთა კოლექტიური ცხოვრების საფუძველთა საფუძველი უნდა გამხდარიყო. მოსემ მიიღო ეს, როგორც უძვირფასესი საჩუქარი, და დაბრუნდა უკან. ისრაელიტელთა თორმეტ ტომს უბრძანა, თითოეულს საკუთარი სამსხვერპლო აეგო ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად. იგი რიგრიგობით გადადიოდა ერთი სამსხვერპლოდან მეორეზე, კლავდა ცხვრებს და მათ სისხლს, იაჰვესთან კავშირის ნიშნად, მორწმუნეებს ასხურებდა.

მალე მოსე კვლავ გაემგზავრა იაჰვესთან შესახვედრად, ამჯერად თან წაიყვანა აპრონი, ნადაბი, აბიუდი და სამოცდაათი უხუცესი ისრაელის ძეთაგან, ისინი შუა გზაში, მთის ფერდობზე დატოვა და მწვერვალზე მარტო ავიდა. აქ მან დაჰყო ორმოცი დღე-ღამე. იაჰვემ მოსეს გადასცა ქვისაგან გამოთლილი სჯულის ორი ფიცარი, რომლებზეც ამოკვეთილი იყო ათი მცნება. ასწავლა, როგორ აეგო შჯულის კიდობანი და კარავი,

რომელშიც კიდობანი უნდა შეენახათ. ბოლოს აცნობა — აჰრონს მღვდელთმთავრის წოდებას ვანიჭებ და ამ წოდებას მის მოდგმას მემკვიდრეობით ვუმტკიცებო.

ამასობაში მოსეს თანმხლებ პირებს ლოდინში გული გადაელიათ და დაქანცულები დაბრუნდნენ ბანაკში. აჰრონი შიშობდა, ძმა ალბათ ხიფათს გადაეყარაო, და აღარ იცოდა, რა ეღონა. ისრაელიტელებს იაჰვეს მფარველობის რწმენა შეერყა; მისი კულტი ხომ ახლახან დაინერგა მათ შორის. რაკი მოსე, რომელიც თავგამოდებით იღვწოდა ახალი რჯულის დასანერგავად, მათთან აღარ იყო, ისრაელის ძენი დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ ღმერთებს, რომელთაც ჯერ კიდევ ეგვიპტეში სცემდნენ თაყვანს. აჰრონის კარვის წინ უთვალავმა ხალხმა მოიყარა თავი. ღელავდნენ, მოსემ მიგვატოვაო, და მოითხოვდნენ: „აღდეგ და შეგვიქმენ ღმერთი, რომელ წინა-წარგვიძღვეს, რამეთუ არა ვიცით, რა შეემთხვა მოსეს, რომელმან ჩამოგვიყვანა ჩვენ ეგვიპტით.“ ეჭვით შეპყრობილ აჰრონს ძალა არ ეყო, რომ ასეთი დაჟინებული მოთხოვნისათვის წინააღმდეგობა გაეწია. მისი მოწოდების პასუხად ქალები დაუზარებლად იხსნიდნენ სამკაულებს. შეგროვდა იმდენი ოქრო, რომ შეიძლებოდა მისგან ოქროს კერპის — ხბოს ჩამოსხმა. მეორე დღეს ქანდაკება ბანაკის შუაგულში დადგეს. ხალხი, გახარებული იმ ღმერთის დაბრუნებით, რომელსაც უხსოვარი დროიდან სცემდა თაყვანს, კლავდა საქონელს და მსხვერპლს მიართმევდა ოქროს ხბოს. შემდეგ საზეიმო ნადიმი გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში ისმოდა საყვირებისა და დაირების ხმა. კაცები, ქალები და ბავშვები რელიგიურმა ექსტაზმა მოიცვა — გახელებით მღეროდნენ და ცეკვავდნენ კერპის გარშემო. მხოლოდ ლევიტელები გადგნენ განზე და შეძრწუნებულები უყურებდნენ ადამიანებს, რომელთაც იაჰვეს უღალატეს და კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდნენ.

მთის მწვერვალიდან ჩამოსვლისას მოსეს შორიდანვე შემოესმა ყურისწამღები ხმაური. მან ნაბიჯს უმატა, ბანაკამდე მიაღწია და თავაშვებული ნადიმი რომ იხილა, უზომოდ განრისხდა; სჯულის ფიცრები, რომლებზეც იაჰვეს მცნებები იყო ამოკვეთილი, კლდეს მიანარცხა. ოქროს ხბო მტვრად აქცია, წყალში გადაყარა და ისრაელიტელებს უბრძანა, ეს წყალი დაელიათ; მოსემ შეცბუნებული აჰრონი მკაცრად გაკიცხა. მოუხმო ლევიტელებს და უბრძანა: „ასე ბრძანებს უფალი, ღმერთი ისრაელისა, შემოირტყიოთ ყოველმან მახვილი წელსა თვისსა და მოვლეთ ბანაკი ბჭითგან ბჭემდე და მოკალთ ყოველმან ძმა თქვენი, მოყვასი თქვენი და მახლობელი თქვენი“. ლევიტელები შეიარაღდნენ მახვილებით და მრავალი ათასი განდგომილი გამოასალმეს სიცოცხლეს.

კავშირი იაკობსთან. როცა ბანაკი დაშოშმინდა, მოსე კვლავ წავიდა სინას მთაზე იაკვესთან, რათა მომხდარი ამბების გამო პატიება ეთხოვა. იაკვე შეეპირდა, რომ ისრაელის ერს მიაკუთვნებდა ქანაანს — „მიწასა, რომელსა გამოდის თაფლი და რძე". მოსე ბანაკისაკენ გამოეშურა და ბრძანა, მადლობის ნიშნად აეგოთ საგანგებო კარავი, რომელიც ტაძრის მაგივრობას გასწევდა. ამ კარავში შესვლის უფლება მხოლოდ მოსეს ჰქონდა. როცა იგი შესასვლელში დადგებოდა და ხელებს მაღლა აღაპყრობდა, კარვებიდან ყველანი გამოდიოდნენ და კდემით შეჰყურებდნენ, როგორ ესაუბრებოდა მათი ბელადი უშუალოდ იაკვეს. არავინ იცოდა, რა ხდებოდა მოსეს სულში. აქამდე მას მხოლოდ ხმა ესმოდა ღმერთისა, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა, ახლა კი ასეთი კავშირი ეცოტავა და მოინდომა, თვალითაც ენახა იაკვე. მაგრამ ღმერთმა მტკიცედ უთხრა — ჩემს სახეს მოკეფდავს არასოდეს ვაჩვენებო. მაინც შეისმინა მისი თხოვნა, მოსე კლდის ნაპრალში დააყენა, თვითონ სახეზე ხელები აიფარა, მოსეს გვერდით გაუარა და წამით აჩვენა ზურგი.

ცოტა ხანი რომ გავიდა, იაკვემ მოსეს უბრძანა, ქვისაგან გამოეთალა სჯულის ორი ფიცარი, რომელზეც მას მეორედ უნდა ამოეკვეთა ათი მცნება. მოსემ ფიცრები გამოთალა და მთის მწვერვალზე წაიღო. აქ მან უსმელ-უჭმელმა დაჰყო ორმოცი დღე-ღამე. იაკვემ ათი მცნებაც განუმეორა და მას კანონებისა და რელიგიური წესების კრებულიც დაურთო. ისრაელიტელებს ამ კრებულით უნდა ეხელმძღვანელათ.

მოსე ბანაკში გამობრუნდა. მისი სახე ისეთი სიდიადით ბრწყინავდა, რომ თანამემამულეებმა თვალი ვერ გაუსწორეს. მოსემ სახეზე საბურველი აიფარა, და როცა ის, ღვთის მიერ შთაგონებული, მორწმუნეებს იაკვეს სახელით ელაპარაკებოდა, მათ ეჩვენებოდათ, რომ მოსეს თავზე ადგა ნათლის რქები — წმინდანობის ნიშანი.

მოსე ენერგიულად შეუდგა საქმეს. უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა, აეგო შჯულის კიდობანი და მოძრავი კარავი საწამებელისა. მშენებლობისათვის საჭირო იყო დიდძალი ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. მან დახმარებისათვის მოუხმო მორწმუნეებს. ძვირფასი ნივთების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობდა. მოსე დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გეგმების განხორციელებას. ეს საქმე მიანდო ორ სახელგანთქმულ ოსტატს— ბესელიელსა და ელიაბს. ისინი დაოსტატებული ხუროები იყვნენ და ლითონის დამუშავების ხელოვნებასაც დიდებულად ფლობდნენ. კიდობანი აკაკის ხისა ააგეს და შიგნიდან და გარედან ოქროთი დაფარეს. სახურავზე დაამაგრეს ოქროს ფირფიტა, რომელიც ყველას აუწყებდა, რომ აქ დამკვიდრდა იაკვე. სახურავის ბოლოებზე დასვეს ორი ოქროს ქერუბიმი, რომელ-

თა ფართოდ გაშლილი ფრთები ფირფიტას ფარავდა — თითქოს უცხო თვალისაგან იცავდა.

მოსეშ კიდობანში ჩადო სჯულის ფიცრები, რომლებზეც ამოკვეთილი იყო ათი მცნება და სინას მთაზე მიღებული სხვა კანონების ტექსტები. საწამებლის კარავი იდგა ოთხკუთხა ეზოს შუაგულში. იგი გარშემორტყმული იყო ბრინჯაოს სვეტებით, რომლებიც ოსტატურად გამოყვანილ ვერცხლის ხარისხებს ეყრდნობოდა. გარდიგარდმო გადებულ ძელებზე ეკიდა სელის ქსოვილი; ასე რომ მოედანი ყოველი მხრიდან მაღალი ფარდებით იყო დაფარული. შიგნით შედიოდნენ კარით, რომელზეც ჩამოფარებული იყო ცისფერი და მეწამული ფერის ზოლებიანი შალის ქსოვილი და გრეხილი ბისონი. ოსტატებმა ტაძარი ააგეს აკაკის ხის მოოქრული ლატნებისა და ძელებისაგან. ძელები და ლატნები სიმყარისათვის ლურსმნებით არ დაუჭედებიათ ერთმანეთზე. ლატნები გაყრილი იყო ძელებზე მიმაგრებულ ოქროს რგოლებში. ამის წყალობით შეიძლებოდა კარავი სწრაფად დაედგათ, ან, თუ საჭირო იყო, დაეშალათ და ისე გადაეტანათ. კარვის გარეთა კედლები კი სადა იყო. ოქრო იქ არსად ჩანდა. მათ წვიმისა და მზისაგან იფარავდა ცხვრის ლურჯი და წითელი ტყავები. ტაძრის შესასვლელის წინ იდგა ბრინჯაოსაგან ჩამოხსმული სამსხვერპლო და წყლით სავსე სპილენძის დიდი საბანელი. როცა მღვდელთმთავარი იაჰვეს მსხვერპლს სწირავდა, ხალხს უფლება ჰქონდა, ელოცა მხოლოდ შემოსასვლელთან. ტაძარში წირვის დროს მღვდელთმთავარი იცვამდა დიდებულ ტანსაცმელს. ამ სამოსლის ყოველი წვრილმანი მოსემ დააწესა. თეთრი სელის კვართსა და იისფერ სამხრეზე მღვდელთმთავარი წამოისხამდა ცისფერ ფესვედს, რომლის კალთაც მორთული იყო ოქროს ზანზალაკებითა და ფოჩებით. ამრიგად, მღვდელთმთავრის ყოველ ფეხის გადადგმაზე ისმოდა ლითონის წკრიალა ხმა. ოქროსგან, ცისფერი და მეწამული შალისა და დაგრეხილი ბისონისაგან გაკეთებული სამკერდე სხვადასხვა ფერის სხივებს აფრქვევდა. სამკერდეზე ბრწყინავდა თორმეტი პატიოსანი თვალი — ისრაელიტელ ტომთა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ ქვაზე ამოკვეთილი იყო თითო სახელი. ამ სიმდიდრეს უნდა დავუმატოთ ძვირფასი საბეჭურები და ოქროს ორი მძიმე ძეწკვი. თეთრ კიდარს* წინ მიკერებული ჰქონდა ოქროს პატარა დაფა, რომელზეც ეწერა: „სიწმიდე უფლისა“.

მღვდელთმთავარი განბანის რიტუალს ასრულებდა და მარტო შედიოდა წმიდა კარვის წინა კარში. კარვის კალთები მორთული იყო სახიანი ფარდებით, რომლებზეც ისრაელიტელ ქალებს ქერუბიმთა ფიგურები ამოექარგათ. ტაძრის შუაგულში იდგა ოქროსაგან ჩამოსხმული სამსხვერპლო, რომელზეც ნელსურნელოვანი საკმეველი იკმეოდა, ტაბლა, რომელზეც იდო

ნაკურთხი პური და იღგა შვიდლამპრიანი ბრინჯაოს სანათი. მდიდრული, მოხატული ფარდები ფარავდა ტაძრის წმიდათა-წმიდა ადგილს, სადაც იაკვე იმყოფებოდა. აქ, იდუმალებით მოცულ ბინდში ინახებოდა ოქროსაგან ჩამოსხმული შუკლის კიდობანი, რომელიც ებრაელთა კულტის უძვირფასეს საუნჯეს შეიცავდა.

წმიდა კარავში სამსახურისა და ლაშქრობის დროს კიდობნის ტარების პრივილეგია მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ლევიტელებს. მათგანვე ირჩევდა მოსე მოსამართლეებს, მწერლებს, მოძღვრებს, ავადმყოფობის შემლოცველთაც და მხევრავებსაც. ქურუმთა კორპორაციის მსგავსად ლევიტელები ცალკე საზოგადოებრივ ჯგუფს შეადგენდნენ. ისინი ძოსეს ეაგგამოდებული მოძსრეები იყვნენ და ბოგსაურობის დროს მისი მცველების როლსაც ასრულებდნენ.

კადეშისაკენ მიმავალ გზაზე. ისრაელიტელთა ბანაკი მთელი წლის განმავლობაში იდგა სინას მთასთან. ამ ხნის მანძილზე დიდი ცვლილებები მოხდა. მოსეს მოწადინებისა და გულმოდგინების წყალობით მოხეტიალეთა უფორმო მასა იქცა საზოგადოებად, რომელსაც მოხელეთა იერარქია ხელმძღვანელობდა. ერთობლივი ცხოვრების ნორმებს იურიდიული დადგენილებები განსაზღვრავდა, იაჰვეს კულტმა კი კონკრეტული ფორმები მიიღო. უკვე არსებობდა რელიგიური ინსტიტუტი, საკულტო თანამდებობები და რიტუალური წესები. ისრაელიტელებს ამიერიდან ნაკლები სიფათი და საშიშროება ელოდათ. მათ უკვე შექმნეს რეგულარული და დისციპლინირებული არმია. ყოველმა ტომმა იცოდა თავისი ადგილი მწყობრში. თითოეულს თავის დროშა ჰქონდა და საკუთარი მსედართმთავარი ჰყავდა. ამრიგად, სინას მთის ძირში დასაბამი დაედო მომავალ ებრაელ ერს. საერთო ინტერესებმა და მიზნებმა ტომობრივი სეპარატიზმი დაძლიეს. საწადელი რომ აისრულა, მოსემ თავი იმდენად ძლიერად იგრძნო, რომ ქანაანის დაპყრობაც მოინდომა. მაგრამ ისრაელიტელთა შორის ვერ ნახა კაცი, რომ აღთქმული ქვეყნის გზა სცოდნოდა. მკაცრსა და მიყრუებულ მთიან მიდამოში, უკიდეგანო უდაბნოში ხომ იოლად შეიძლებოდა გზიდან აცდენა, ან ჩასაფრებული ავაზაკი ბედუინების ხელში ჩავარდნა. მოსემ კარგად აწონ-დაწონა მოსალოდნელი ხიფათი; იგი ეძებდა მეგზურს, ნავალს იმ ადგილებში, რომელზეც მათი მარშრუტი გადიოდა. ამ საქმისათვის მოსეს ყველაზე მეტად თავისი ნათესავი, მადიამელი მღვდლის იოთორის ძე ქობაბი მოსდიოდა თვალში. ქობაბი დიდ ხანს

უარზე იდგა და მხოლოდ დაჟინებული თხოვნის, მუდარისა და დაპირებების შემდეგ იკისრა მეგზურობა.

განთიადისას ვერცხლის საყვირები ახმაურდნენ, ისრაელიტელებმა კარვები აკეცეს და გზას გაუდგნენ. მოგზაურთა გრძელი კოლონა წინასწარ მოფიქრებულ რიგზე დაეწყო. წინ მიდიოდნენ ლევიტელები. მათ ლატნებით მიქონდათ ნაწილებად დაშლილი საწამებლის კარავი და წმიდა ჭურჭელი. ლევიტელებს მისდევდნენ ტომები. თითოეულ ტომს თავისი დროშა მიქონდა. ბოლოს მიერეკებოდნენ ცხვრის უზარმაზარ ფარას და საპალნიან ვირებს. კოლონას იცავდნენ საგანგებოდ შეიარაღებული რაზმები და წინ გაგზავნილი მზვერავები.

სამ დღეს მიდიოდნენ ისინი უდაბნოში მცხუნვარე მზის ქვეშ და კვლავ აბუზღუნდნენ. ცხვრის დაკვლა აკრძალული იყო, ამიტომ ხალხი იკვებებოდა მხოლოდ მანანით, რომელიც ყველას ყელში ამოუვიდა. ამ უსიამოვნებას ისიც დაემატა, რომ ერთხელ ბანაკში ხანძარი გაჩნდა; ცეცხლში დიდძალი ძვირფასი ქონება დაიწვა. შიმშილით, გაჭირვებითა და ზარალით განაწყენებული ისრაელიტელები შეწუხებულნი ისხდნენ თავიანთი კარვების წინ და მოსეს უჩიოდნენ — ეგვიპტე რატომ დაგვატოვებინაო. ტკბილად იგონებდნენ ძველ დროს, მონობა და დევნა აღარც ახსოვდათ. „მოვიხსენეთ ჩვენ თევზი, რომელსა ვჭამდით ჩვენ ეგვიპტეს უსასყიდლოდ, და კიტრი და ნესვი, პრასი, ხახვი და ნიორი. და აწ სული ჩვენი წუხს, არარა გვაქვს, მხოლოდ მანანასა ხოლო ხედავენ თვალნი ჩვენნი“.

მოსეს ძალიან ატკინა გული თავისი სამწყსოს სულმოკლე საქციელმა. მან მოიწვია უხუცესთა საბჭო, რათა გადაწყვიტა — რა ეღონათ მომავალში. და აი, მოხდა ახალი სასწაული; ბანაკის ახლოს მეორედ მოფრინდა ურიცხვი მწყერი. ისრაელიტელები დაერივნენ მათ და ხარბად შეექცნენ ფრინველის ხორცს. მწყერი იმდენი იყო, რომ შეიძლებოდა აპოხტის გაკეთება და სათადარიგოდ შენახვა. მოწუწუნეებსა და ურწმუნოებს მაინც მკაცრი სასჯელი ელოდათ, რადგან ხორცი შხამიანი გამოდგა. ბანაკს ავადმყოფობა დაერია, ხალხი ბუზივით იხოცებოდა. მალე ირგვლივ მთელი მიდამო საფლავებით დაიფარა. ისრაელიტელებმა წასვლისას გლოვისა და ტანჯვის ადგილს უწოდეს მოუთმენელთა სასაფლაო (რადგან აქ დამარხეს ისინი, ვინც სიხარბის მსხვერპლი გახდა).

შემდეგ გაჩერებაზე ასიროთში უფრო საშინელი რამ მოხდა — აჯანყდნენ მოსეს ახლო ნათესავები. მარიამი და აპრონი თავიანთ მძლეთამძლე ძმას უსაყვედურებდნენ „ეთიოპელის“, ესე იგი, უცხო წარმოშობის ქალისა და ისიც მხეველის შერთვას. ცნობილი არაა, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს ამბავი: მოსეს პირველი ცოლი, იოთორის ასული, მოკვდა, თუ „ეთიო-

პელი“ სარჭა იყო მხოლოდ. ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მოსეს ნათესავებს გული იძიტომ აემღვრათ, რომ მოსემ ებრაელთა ძველ ტრადიციას უღალატა.

ოჯახური განხეთქილების ნამდვილი მიზეზი უფრო დიდი უთანხმოება იყო. მარიამ წინასწარმეტყველსა და მღვდელთმთავარ აჰრონს გულს უკლავდათ მოსეს ქედმაღლობა: იგი ამტკიცებდა, რომ იაჰვე მხოლოდ მისი პირით ლაპარაკობდა, რომ მხოლოდ მას ჰქონდა უფლება, ღმერთის სახელით ემართა სამწყსო. მარიამი და აჰრონი კი ფიქრობდნენ — ამ საქმისათვის ჩვენცა ვართ მოწოდებულიო. ისინი ბანაკში დადიოდნენ და ჩიოდნენ: „ნუთუ მოსეს მარტოსა უბრძანებდა უფალი? ანუ ჩვენ არა გვეტყოდა?“ ეს იყო აშკარა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მოსემ გადაწყვიტა მაშინვე ჩაეხშო ეს წინააღმდეგობა. მან შფოთისთავები წაიყვანა კარავში, სადაც მათ იაჰვე ესაუბრა ღრუბლებიდან, მკაცრად გაიცხა და მოუწოდა მორჩილებისაკენ. იაჰვემ აჰრონს აპატია დანაშაული, შფოთის მოთავე მარიამს კი კეთრი შეჰყარა და ბანაკიდან გაამეცა. მხოლოდ შვიდი დღის შემდეგ შეიწყნარა ღმერთმა მოსეს ხვეწნა-მუდარა, განკურნა მარიამი და ნება მისცა, თავისიანებთან დაბრუნებულიყო.

ბოლოს და ბოლოს ისრაელიტელებმა მიაღწიეს ქანაანის სამხრეთ საზღვრამდე და შეჩერდნენ ქალაქ კადეშის ახლოს, ფარანის უდაბნოში. გასარეულებმა სულმოუთქმელად აირბინეს მაღალ მთაზე და მათ თვალწინ მომავალი სამშობლოს სასაზღვრო რაიონის ხედი გადაიშალა.

აბრაამის შემდეგ აქ დიდი ცვლილებები მოხდა. ხეობები დაიფარა მწვანე ბალახის ხალიჩით. ბალახში ყვაოდა ალისფერი ფრინტა. ფერდობებზე გადაშლილიყო ზეთისხილის, ბროწეულის, დანაკისკუდის ბაღები, აქა-იქ გულმოდგინედ დამუშავებული ვენახიც ხარობდა. უდაბნოს ერთფეროვნებით თავგაბეზრებული ისრაელიტელები მოხიბლა ამ სანახაობამ. ბედნიერებით აღვსილი მოგზაურები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ესწრაფვოდნენ, გზა განეგრძოთ და რაც შეიძლება მალე დაეპყროთ ეს ლამაზი მხარე, მაგრამ წინდახედულმა და შორსმჭვრეტელმა მოსემ არ მოიწონა თავისი სამწყსოს სულსწრაფობა და გადაწყვიტა, ჯერ მზვერავები გაეგზავნა. მან თითო ტომიდან თითო კაცი შეარჩია და ასე დაარიგა: „წარვედით ქვეყანასა ამას სამხრეთისასა და აღვედით მთასა და იხილეთ ქვეყანა ესე, ვითარ არს იგი და იხილეთ ერი, მცხოვრები მისი, ანუ თუ ძლიერ არს იგი, ანუ თუ უძლურ, ანუ თუ მცირე, ანუ თუ მრავალ“.

მზვერავები არავითარ წინააღმდეგობას არ წასწყდომიან და დავალება შეასრულეს. ორმოცი დღის შემდეგ ისინი ბანაკში დაბრუნდნენ და ქანაანის მიწის ნაყოფიერების დასტურად ლატანებით მოიტანეს ყურძნის აკიდოები, ბროწეული და მწიფე ლე-

ღვი. ისრაელიტელებს ხილის დანახვაზე გული გაუნათლდათ, მზად იყვნენ, იმწამსვე წასულიყვნენ ქანაანის დასაპყრობად, მაგრამ მათ ოცნებას ფრთები უმალ შეეკვეცა, როცა მსტოვრებმა იქაური ამბავი გააგებინეს. მზვერავებმა ის კი თქვეს, რომ ქანაანში მართლაც დუღს და გადმოდუღს სიმდიდრე, მაგრამ ესეც დაურთეს — მის დაპყრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან ქვეყნის საზღვრები გამაგრებულია ძლიერი ციხეებით, მეციხოვნენი კი გოლიათები არიანო. ისრაელიტელები, რომელთაც ერთი უკიდურესობიდან მეორეში იოლად გადავარდნა სჩვეოდათ, კვლავ სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მათ ისევ მორთეს ჩივილი: „უმჯობეს იყო ჩვენდა სიკვდილი ქვეყანასა ეგვიპტისასა, ანუ უდაბნოსა შინა! რად შევაყავთ უფალსა ქვეყანასა ამას? დაცემად მახვილითა? ყრმანი და ცოლნი ჩვენნი იყვნენ დატაცებულ მტერთაგან. აწ უმჯობეს არს ჩვენდა მიქცევა ეგვიპტედ!“

წყევლა-კრულვამ და ბუზღუნმა თანდათან იმატა და ბოლოს დიდ აურზაურად და უწესრიჯობად იქცა. წამქეზებლები და შფოთისთავები მოითხოვდნენ მოსეს გადაყენებასა და სხვა ბელადის არჩევას. „ღავიდგინოთ ერისთავი და მივიქცეთ ეგვიპტედვე“. ისუ ნავე და ქელები, ძე იეფონისი, რომელნიც მსტოვართა შორის იყვნენ, ცდილობდნენ დაეშოშმინებინათ შფოთისთავები; გაცხარებულ დავაში მათ სამოსელი შემოიხიეს, თავგამოდებით ამტკიცებდნენ — უფლის შემწეობით ქანაანს დავიპყრობთო, დამაჯერებლად უხსნიდნენ — სხვა მზვერავები შეშინდნენ და ქვეყნის საომარი ძალა ერთიასად მოეჩვენათო. ამის გაგონებაზე ხალხს ცეცხლი მოეკიდა გულზე. ყვიროდნენ — თვითმკვლელობისა და გარდაუვალი დაღუპვისათვის მიგყავართ გოლიათების ქვეყანაშიო. ისინი ხომ ციხესიმაგრეთა მიუდგომელ კედლებთან გველოდებიანო. შიშისაგან თავგზააბნეული ხალხი ეცა ისუსა და ქელებს და ქვებით ჩაქოლვა დაუპირა. გულადი მზვერავები კარვის ეზოში მიიმალნენ და გადარჩნენ.

განრისხებულმა იაჰვემ გადაწყვიტა, ისრაელის მთელი ერი ამოეწყვიტა წყლულითა და იარებით, მაგრამ ამჯერადაც შეისმინა მოსეს მუდარა და ებრაელებს სასჯელი შეუმსუბუქა. მისი განაჩენი იუწყებოდა: ოც წელს გადაცილებულ არც ერთ ისრაელიტელს არ ეღირსებოდა ქანაანის ხილვა. მათ ორმოცი წლის განმავლობაში უნდა ეხეტიალათ უდაბნოში და უდაბნოშივე დაელიათ სული. მხოლოდ მას, ვისაც ოცი წელი არ შესრულებოდა (ესე იგი, მომთაბარე ცხოვრების მკაცრ პირობებში დაბადებულ თაობას), ეწერა აღთქმულ მიწაზე ცხოვრება. სასჯელი არ ეხებოდა ისუ ნავესა და ქელებს, იაჰვესადმი ურყევი ერთგულებისათვის მათ ელოდათ დიდი პატივი — ისრაელიტელები ქანაანში უნდა შეეყვანათ.

ორმოცი წელი უდაბნოში. მოსემ კელავ ხელთ იგდო ძალაუფლება და პირველპირ სამსრეთს მიაშურა. ძან რამდენიმე ხანს დაბეო ქალაქის ყურის სანაპიროზე. შემდეგ კი მაინც დიდხანს საცხოვრებლად გამოსაღეგი ადგილის ძებნას შეუდგა. ამ პირიც ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა ქალაქ კადეშის მიდამოები. ბკარა ყველით გათქმული ორი ჭა და ვრცელი საძოვრები ხელს უწყობდა საქონლის მოშენებას. გარდა ამისა მეზობლად ბცხოვრები მშვიდობიანი ტომები დიდი ხალისით ვაჭრობდნენ ისრაელიტელებთან.

ისრაელის ტომებს მაინც არ ეღირსათ ერთმანეთში სიამტკბილობით ცხოვრება. მათ სიცოცხლეს უმწარებდა განუწყვეტელი დავა საძოვრების გამო. გარდა ამისა, მოსეს აუმსედრდნენ ლევიტელები, რომლებიც ოდესღაც მისი ყველაზე ერთგული მოამრენი იყვნენ. მათ არ უჭაშნიკებოდათ საქცელი აპრონისა და მღვდელთმსახურთა მთელი კასტისა, რადგან ისინი ქედმაღლურად განცალკევდნენ დანარჩენი ლევიტელებისაგან და თანდათან შეტ პრივილეგიებსა და მატერიალურ სიმდიდრეს ეუფლებოდნენ.

ეს იყო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია განაწყენებულთა და განდგომილთა შეთქმულება. მასში მონაწილეობდა ორას ორმოცდაათი ლევიტელი კორეს ხელმძღვანელობით. აჯანყებულნი შეეროვდნენ მოსესა და აპრონის კარვების წინ და სმამაღლა გაიბასოდნენ: „რად განადიდეთ თავი თქვენი კრებულსა ზედა უფლისასა?“ მოსემ მათ მშვიდად მოუსმინა, შემდეგ წავიღა საჭაბელის კარავში, შეჯულის კიდობნის წინ პირქვე დაემხო და უფალს რჩევა სთხოვა. მერე აჯანყებულებთან მივიდა და კორეს მიმართა: „ისმინეთ ჩემი, ძენო ლევისნო! მცირე არს თქვენდა ესე, რამეთუ განგყო თქვენ ღმერთმან ისრაელისმან და მიგიყვანა თქვენ თავისა თვისისა სამსახურად, მსახურებად კარვისა უფლისა, დადგომად წინაშე კრებულისა უფლისა და სამსახურებელად მისა? და მიგიყვანათ თავისა თვისისა თანა, შენ და ყოველნი ძმანი შენნი, ძენი ლევისნი, და თქვენ კი მღდელობა გეხება. შენ და კრებული შენი შეიკრიბენით წინააღმდგომად უფლისა. ვინ არს აჰრონი, რამეთუ დრტვინავთ მისთვის?“

მოსემ დაწყევლა შეთქმულნი და ყველას აუკრძალა თავისა და აჰრონის კარვებთან მიახლოებაც კი. შემდეგ მიწა გაირღვა და კორე ჩაყლაპა, დანარჩენი აჯანყებულები კი ღვთისაგან მოვლენილმა ცეცხლმა შთანთქა. ეს იყო გაფრთხილება, რომ მომავალში აღარავის გაებედა მღვდელთმსახურთა წინააღმდეგ გამოსვლა.

მკაცრმა სასჯელმა უბრალო ხალხი ვერ შეაშინა, პირიქით— უჩვეულოდ აღაშფოთა. დაიწყო დიდი უწესრიგობა. მოსემ და აჰრონმა წმიდა კარავს შეაფარა თავი და ძლივს გადაურ-

ნენ სიკვდილს. იაჰვემ აჯანყებულთ ცეცხლი მოუვლინა. დაიღუპა თოთხმეტი ათას შვიდასი კაცი. აჯანყება ჩაახშეს. მოსეს უნდა დაემტკიცებინა, რომ აჰრონს მღვდელთმთავრის წოდება უშუალოდ იაჰვემ უბოძა. მან უბრძანა ტომების მეთაურებს, მათ შორის აჰრონსაც, ტაძარში მოეტანათ თითო მწყემსის არგანი; და აი, მეორე დღეს მორწმუნეთა თვალწინ მოხდა სასწაული: მხოლოდ აჰრონის არგანმა გამოიღო კვირტები, აყვავდა და ნუში მოისხა. ხალხი დამორჩილდა იაჰვეს ნებას, შეწყვიტა დრტვინვა და აჰრონს აღარ კიცხავდა იმ პრივილეგიებისათვის, რომლითაც იგი სარგებლობდა.

კადეშში გარდაიცვალა მარიამ წინასწარმეტყველი, აჰრონისა და მოსეს და. ისრაელის ერს კიდევ ერთხელ დაატყდა თავს უბედურება — გვალვა. უწყლობით უზომოდ შეწუხებულები კვლავ აჯანყდნენ. მოსემ ისევ დაჰკრა კვერთხი კლდეს და წყალი გამოადინა.

ოცდათვრამეტ წელს გაგრძელდა ისრაელიტელი ტომების მშვიდობიანი მწყემსური ცხოვრება კადეშში. ისინი აქეთ-იქით საძოვრებზე მიმოიფანტნენ და განკერძოებულად ცხოვრობდნენ. ნაციონალური ერთიანობა თანდათან შესუსტდა. თავიანთ თავს თვითონვე განაგებდნენ; რელიგიის მიმართ ისეთი გულგრილები გახდნენ, რომ აღარც იაჰვეს სწირავდნენ მსხვერპლს და აღარც წინადაცვეთის წესს იცავდნენ. მოსემ და აჰრონმაც კი აღარ შეიწუხეს თავი. რადგან მოსე და აჰრონი რელიგიური გრძნობის დაცვის წინააღმდეგ არ იბრძოდნენ, იაჰვემ ისინი დასაჯა და განუცხადა: აღთქმულ მიწაზე ფეხს ვერ შეადგამთ და უდაბნოშიე დაიხოცებითო. ასეთი მკაცრი სასჯელის უშუალო მიზეზი მაინც ის იყო, რომ მოსესა და აჰრონს ეჭვი შეეპარათ იაჰვეს ყოვლისშემძლეობაში — მათ ხომ ორჯერ დაჰკრეს კლდეს კვერთხი წყლის მოსაპოვებლად.

აღთქმული ქვეყნისაკენ. ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისრაელიტელებმა ეგვიპტის საზღვრები დატოვეს. ამ ხნის მანძილზე უდაბნოში გაიზარდა და დავაჟკაცდა ახალი თაობა, რომელმაც ქალაქური ცხოვრების სიკეთე არ იცოდა. იგი გამოიწრთო ყაჩაღ ბედუინებთან შეტაკებებში და ბრძოლაში გაიწაფა. ამით დაიმედებულმა მოსემ გადაწყვიტა, ქანაანის დაპყრობა ეცადა. კადეშის აღმოსავლეთით გადაშლილი იყო ედომის სამეფო. მის მიდამოებზე გამავალ საქარავნო გზას სამეფო გზას უწოდებდნენ. მოსემ ედომის მეფეს ელჩები გაუგზავნა და შეუთვალა — შენს მიწაზე გაგვატარეო. იგი თავის მხრივ კისრულობდა, რომ გზიდან არ გადაუხვევდა, წყლის საფასურსა და საქონლის საბალახეს ზუსტად გადაიხდიდა. მეფემ მოსეს

თავი არ გაუყადრა, ელჩები უარით გაისტუმრა და საზღვრებზე დაუყოვნებლივ ჯარები გამოიყვანა. მოსეს ხელს არ აძლევდა ძლიერ მეფესთან ბრძოლა. გადაწყვიტა, ედომისათვის სამხრეთიდან შემოევლო, აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ წასულიყო ჩრდილოეთისკენ და ამ გზით მიეღწია იორდანის მარცხენა ნაპირამდე, სადაც გადაჭიმული იყო ქანაანი. დააპირეს თუ არა ლაშქრობა, აჰრონი ავად გახდა. მოსეს ბრძანა, მომაკვდავი ძმა ორის მთის მწვერვალზე აეყვანათ. აქ მან ძმას ტანსაცმელი გახადა და მის შესამე ძეს, ელიაზარს ჩააცვა. ასე აღსრულდა პირველად წესი მამის მიერ შვილისათვის მაღალი წოდების გადაცემისა. აჰრონი გარდაიცვალა ორის მთაზე. იგი აქვე დაიტირეს და დაასაფლავეს. დაკრძალვის ცერემონიალის შემდეგ ისრაელიტელები დაიძრნენ სამხრეთისაკენ — აქაბის ყურის მიმართულებით. ისინი მიდიოდნენ გრძელ კლდოვან ხეობაში და საჭმლისა და წყლის უკმარისობისაგან იტანჯებოდნენ.

არაქათგამოლეულმა მოგზაურებმა კვლავ დრტვინვა იწყეს. იმუქრებოდნენ, მოსეს აღარ დავუჯერებთო. ამისთვის მათ მორიგი სასჯელი დაიმსახურეს — ბანაკში გაჩნდა აუარებელი შხამიანი გველი. მათგან დაგესლილი იმდენი ხალხი დასნეულდა, რომ ლაშქრობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მოსემ აქაც მონახა გამოსავალი: ბრძანა, სპილენძისაგან ჩამოესხათ გველის ფიგურა და ბანაკის შუაგულში. აეკრათ ბოძზე. საკმარისი იყო, კაცს მისთვის შეეხედა, რომ მაშინვე დაბრუნებოდა ჯანმრთელობა და ძალა შემდგომი მგზავრობისათვის.

აქაბის ყურის ნაპირიდან ისრაელიტელებმა პირი იბრუნეს ჩრდილოეთისაკენ, შემოუარეს მტრულად განწყობილ ედომს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან და ბოლოს ზარედის ხევთან შეჩერდნენ. მის მეორე მხარეზე, მკვდარი ზღვის გასწვრივ, გაშლილი იყო მოაბელთა ტერიტორია. მოსემ იცოდა, რომ ამორეველებთან ბრძოლის შემდეგ მოაბელები დასუსტებულნი იყვნენ და ამიტომ მათი წინააღმდეგობისა არ ეშინოდა. ისრაელიტელებმა მართლაც შეუფერხებლად გაიარეს მოაბელთა ქვეყანა და მდინარე არნონამდე მივიდნენ. არნონი ამორეველთა ქვეყანასა და მოაბს ერთმანეთისაგან ჰყოფდა და მათ შორის საზღვარს წარმოადგენდა. იგი ძნელი გადასალახავი იყო, რადგან აქეთ-იქიდან ციცაბო კლდეები ერტყა. ამასთან ერთად, ამორეველთა მეფე სეონი გულადი მეომარი იყო და ისრაელიტელები თავის ქვეყანაში არ შეუშვა. მაგრამ სეონმა მათ გამანადგურებელ შეტევას ვერ გაუძლო. დამპყრობლებმა ერთიანად შემუსრეს ამორეველნი. შემდგომ ისრაელიტელებს მოელოდათ სასაზღვრო მდინარე იაბოკის ბრძოლით გადალახვა, რადგან მდინარის გადმა ბასანის სახელმწიფო მდებარეობდა.

ბასანის მეფე გოლიათი ოგი განთქმული იყო ვაჟკაცობითა

და ღონით. მისი რკინის სარეცელი სიგრძით ცხრა და სიგანით ოთხი წყრთა იყო. ისრაელიტელებს წარბიც არ შეუხრიათ მისი ამბის გაგონებაზე. მათ ხომ სულ ახლახან უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს. თავიანთ შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებულებმა შეუტიეს ბასანს, იოლად დაიმორჩილეს იგი და დაეუფლნენ იორდანის იქეთა მხარეს გენესარეთის ტბამდე. ახლა მათ ხელსაყრელი ბაბა ჰქონდათ ქანაანზე თავდასხმისათვის. მოსემ ბრძანა, ჯარებისათვის თავი მოეყარათ მოაბში, იორდანის აღმოსავლეთ სანაპიროზე. აქ იყო პატარა ფონი, რომელსაც მოპირდაპირე მხრიდან იერიქონის კოშკები და კედლები იცავდა.

ᲦᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲚᲐᲐᲛᲘ. მოაბელთა მეფე ბალაკი შეშფოთებული ადევნებდა თვალყურს ისრაელიტელთა წარმატებებს. აძორეველებსა და მეფე ოგზე გამარჯვების შემდეგ ისინი საშიში მეზობლები გახდნენ. ბალაკი ვერ ბედავდა მათთან პირისპირ იარაღით ბრძოლას და განიზრახა, გრძნებისათვის მიემართა. ევფრატზე მდებარე ქალაქ პეთორაში ცხოვრობდა სახელგანთქმული ჯადოქარი ბალაამი. ბალაკმა მასთან გაგზავნა უხუცესი მოაბელები, გაატანა უხვი საჩუქრები, შეუთვალა: ისრაელიტელები დაწყევლე და ბრძოლაზე ხელი ააღებინეო. ბალაამმა მოუსმინა უხუცესებს, ღამე ლოცვად დამდგარმა გაათენა და დილით განაცხადა — ისრაელიტელთა ღმერთმა ამიკრძალა და ამ საქმეს ვერ ვიკისრებო. ბალაკმა იხტიბარი არ გაიტეხა. მან გაგზავნა მეორე, უფრო წარჩინებული პირებისაგან შემდგარი დელეგაცია, გაატანა უფრო ძვირფასი საჩუქრები, მაგრამ მისანმა მოციქულებს ყურიც არ ათხოვა: „თუ მომცეს მეფემან სახლი თვისი, სავსე ოქროითა და ვეცხლითა, არა ძალ-ძიძს გარდასვლა ბრძანებისაგან უფლისა ღმრთისა ჩემისა“, — თქვა მან. იაკვემ გადაფიქრა განზრახვა და ბალაამს მოაბში გამგზავრების ნება დართო, ოღონდ იმ პირობით, რომ ღმერთის მითითებათა მიხედვით უნდა ემოქმედა. განთქმული გრძნეული შეჯდა თავის ერთგულ ჭაკ ვირზე და გზას გაუდგა. ამასობაში იაკვემ იგრძნო, რომ ბალაამს ისრაელიტელთათვის სიკეთე არ უნდოდა და გადაწყვიტა, შეეჩერებინა იგი. იაკვეს ბრძანებისამებრ ანგელოზმა შიშველი მახვილით გზა გადაუღობა ბალაამს.

ანგელოზი მხოლოდ ვირმა დაინახა. იგი ყალყზე შედგა. შემდეგ გზიდან გადაუხვია და თავი მინდორს მისცა. ბალაამმა ვერაფერი გაიგო, განრისხდა და ოჩან ვირს ჯოხით სცემა. მაინც ვერაფერს გახდა. გაცოფებულმა პირუტყვმა ბალაამს სადავე წაართვა და ვენახის ორღობეში ჭენებით შევარდა. ანგელოზი კვლავ გადაუდგა მას წინ. ვირი სწრაფად შემობრუნდა და პატრონის ფეხები კინაღამ ღობეს მიასრისა.. ბალაამი ტკივილმა

შეაწუხა, აღრიალდა და ვირს ისევ გადაუჭირა სახრე. შეურაცხყოფილმა პირუტყვმა პატრონს შესტირა: „რა გიყავ, რად მეც სამ გზის?“

ბალაამს რატომღაც სულ არ გაჰკვირვებია, რომ ვირი ადამიანივით ალაპარაკდა და რისხვადაუმცხრალმა გაკიცხვა დაუწყო: „ვეც, რამეთუ შეურაცხმყავ. და თუ მქონოდა მახვილი, განგგმერდი მსწრაფულ“. ვირმა კვლავ განაგრძო საყვედური: „არა მე ვარ კარაული შენი, რომელსა ზედა ჰზი მრავალ ჟამ, ვიდრე დღემდე? ნუთუ ოდესმე გიყავ ესრეთ?“ ბალაამი იძულებული იყო გულწრფელად ეთქვა, ყოველთვის ერთგულად მემსახურებოდიო. იმავე წუთს მან დაინახა ანგელოზის ნათელი ფიგურა, დაუყოვნებლივ ჩამოხდა და ანგელოზს თაყვანი სცა. ანგელოზმა საყვედურით შეხედა ბალაამს და ჰკითხა: „რად ეც არგანი ვირსა მაგას სამ გზის? აჰა, გამოსრულ ვარ დაბრკოლებად შენდა, რამეთუ არა არს წრფელ გზა შენი წინაშე ჩემსა. და მიხილა მე ვირმან და უკუიქცა სამ გზის. თუ არა ექმნა ესე, მოგკალმცა შენ, ხოლო იგი შევიწყალე“. შეცბუნებული ბალაამი თავს იმართლებდა: „გცოდე შენ; არა ვიცოდი, რამეთუ შენ წინა აღმიდეგ გზასა ამას ზედა; აწ თუ არა არს ესე სათნო წინაშე თვალთა შენთა, უკუვიქცე“. „წარვედ შენ კაცთა მათ თანა, ხოლო სიტყვა, რომელსა გეტყვი შენ, უთხარ მათ“, — მიუგო ანგელოზმა.

მოაბის მეფე მიეგება ბალაამს და სახელგანთქმულ გრძნეულს გადაეხვია. მიართვა ახალი საჩუქრები და წაიყვანა ბორცეზე, საიდანაც ისრაელის ძეთა ბანაკი ჩანდა. აქ ბალაამმა სამსხვერპლო ააგო და ზედ ვერძი აიყვანა. დააპირა კიდევაც ისრაელიტელების შეჩვენება და დახოცვა, მაგრამ მოხდა სასწაული და წყევლის მაგივრად ბალაამის ბაგეებს ლოცვა აღმოხდა. შვიდგზის ეცადა განთქმული ჯადოქარი მეფის სურვილის ასრულებას, შვიდი სამსხვერპლო ააგო, შვიდჯერ შესწირა მსხვერპლი, მაგრამ ღმერთმა შვიდჯერვე აკურთხებინა ისრაელის ძენი. მოაბელთა მეფე ეჭვის თვალით უყურებდა ბალაამს და როცა მეშვიდეჯერაც ლოცვა მოესმა, მეტისმეტად განრისხდა და გრძნეულს გაგდება მოუნდომა.

ამ ამბავმა ძალიან გაანაწყენა ბალაამი, უნდოდა შეურაცხყოფილი მეფის გული რითიმე მაინც დაეამებინა და წამოსვლისას მზაკვრული რჩევა მისცა: მოაბელ ქალებს გაარყვნეეინე ისრაელიტელები და ამით მათი ძლიერება შეარყიეო. მეფემ ყურად იღო მისი რჩევა. ისრაელიტელ მამაკაცებს მობეზრდათ ბანაკის ერთფეროვანი ცხოვრება და მოსეს მკაცრი რელიგიური წესები. ამიტომ მათი ცდუნება იოლი იყო. მოაბელი ქალები ღვთაება ბელფეგორის საპატივცემულო რიტუალის შესრულებისას აღვირახსნილ გარყვნილებას ეწეოდნენ. მათ ისრაელი-

ტელი მამაკაცები ტაძარში გამართულ ორგიებში ჩაითრიეს და ამ გზით კერპთაყვანისმცემლობისაკენ შეაბრუნეს. და აი, ერთმა დიდგვაროვანმა ისრაელიტელმა კარავში შეიყვანა მოაბელი ქალი. ამ დროს კი მორწმუნენი იაკვეს ტაძარში ლოცულობდნენ. ძღვდელმთავარ ელიაზარის ვაჟმა ფინეზმა, ამაზრზენი სანახაობით აღშფოთებულმა, შუბით განგმირა დამნაშავე წყვილი. მორწმუნეებმა იფიქრეს, შურისძიების ჟამი დადგაო და განდგომილებს დაერივნენ. ბანაკში ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. დაიღუპა იაკვეს მოღალატე ოცდაოთხი ათასი კაცი. მოაბელებსაც უწია სასჯელმა: თორმეტი ათასი რჩეული მეომარი ცეცხლითა და მახვილით შეეხია მათ ქვეყანას და ქვა ქვაზე აღარ დატოვა. ამ სოცვა-ჟლეტის დროს ბალაამიც დაიღუპა. იგი შეეწირა საკუთარ რჩევას, მოაბელთა მეფეს რომ მისცა. ისრაელიტელებმა მოაბში დიდი ალაფი აიღეს. ვარდა ოცდათორმეტი ათასი მონისა, მათ ხელთ იგდეს სამოცდათორმეტი ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი და სამოცდაერთი ათასი სასაპალნე ვირი. რუბენისა და გადის ვაჟებს, აგრეთვე მანასეს ტომის წევრთა ნახევარს თვალში მოუვიდა იორდანის გაღმა მდებარე მიდამოები და აქ დასახლება მოისურვა. მოსემ სიამოვნებით მისცა დასტური, ოღონდ გააფრთხილა, რომ ჯერ ქანაანის დაპყრობაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

მოსეს უკანასკნელი დღეები. მოსემ იცოდა იაკვეს განაჩენი, იცოდა, რომ იგი ვერ ეღირსებოდა ქანაანის საზღვრების გადალასვასა და თავისი ცხოვრების მთავარი მიზნის განსორციელებას. იგი უკვე ას ოცი წლისა იყო. არც ჯანი აკლდა, არც მსნეობა, მაგრამ სიკვდილის ძოახლოებას მაინც გრძნობდა. სიკვდილამდე კი ბევრი საქმე ჰქონდა კიდევ მოსაგვარებელი. უპირველეს ყოვლისა, მან ნაატარა საყოველთაო აღწერა და შეიტყო, რომ ისრაელიტელები — ექვსას ერთი ათას შვიდას ოცდაათი იყვნენ. მემკვიდრედ მან თავისი ერთგული თანამებრძოლი და გულადი მხედართმთავარი ისუ ნავე დანიშნა. მოსემ გამოიყენა ორმოცი წლის გამოცდილება და კანონთა იმდროინდელი კრებული შეავსო ახალი წესებითა და რელიგიური განჩინებებით. ამით მან ებრაელთა მომავალ საზოგადოებრივ წყობილებას მყარი საფუძველი ნაუყარა. შუღლისა და დავის აღკვეთის მიზნით, მან ქანაანის ტერიტორია გაანაწილა და თითოეულ ტომს თავისი სამფლობელო მისცა. მხოლოდ ლევიტელებმა და მღვდლებმა ვერ მიიღეს საგანგებო წილი, რადგან ისინი ვალდებულნი იყვნენ, მთელ ქანაანში გასძღოლოდნენ იაკვესათვის სამსახურის საქმეს. მაგრამ მოსემ მათ მაინც მისცა ორმოცდარვა ქალაქი და სხვა ადგილები, რომ შეძლებოდათ

უზრუნველი ცხოვრება. სისხლის აღების წესის მოსასპობად გამოყო ექვსი ქალაქი. ამ ქალაქებში თავის შეფარება შეეძლო ყველას, ვისაც უცაბედად შემოაკვდებოდა კაცი. მოსემ შეთხზა თავისი ღმერთის სადიდებლად შთაგონებული საგალობელი, ისრაელიტელებს უბრძანა, ზეპირად დაესწავლათ იგი და ბედნიერების თუ უბედურების ჟამს გასამხნევებლად ჰქონოდათ. შემდეგ გამოეთხოვა თავის ხალხს და მარტო ავიდა ნებოს მთის მწვერვალზე. მწუხარე თვალი მიმოავლო აღთქმული მიწის ვრცელ მიდამოს, სადაც მას ფეხის დადგმა არ ეწერა. ხელისგულივით ხედავდა იორდანეს, რომელიც მაღალ ნაპირებს შუა მიედინებოდა მკვდარი ზღვის წყნარი, მდორედ მოძრავი ზედაპირისაკენ. ხედავდა ზღვის გარშემო ჩამომწყდარ ციცაბო კლდეებს, რომელსაც სხვადასხვა ფერი გადაჰკრავდა — მოყვითალო, მოწითალო, მოლურჯო თუ მიხაკისფერი. იორდანის გაღმა, პალმების ოაზისების თავზე, აღმართულიყვნენ იერიქონის ციხეთა კედლები — პირველი ძლიერი საგუშაგო ხაზი ქანაანის კარიბჭესთან. თვალსაწიერის კიდეზე აციმციმდა ხმელთაშუა ზღვის ვიწრო ზოლი. აი, აღთქმული ქვეყანა, მიწა, საიდანაც რძე და თაფლი გამოდის, ებრაელთა მომავალი სამშობლო. სევდამორეული მოსე შემობრუნდა, ზურგი აქცია მომხიბლავ გადასახედს და მარტომ დალია სული. მისი სიკვდილი მარადიული საიდუმლოებითაა მოცული და დღემდე არავინ იცის, სად განისვენებს მოსეს ნეშტი. ხალხი ოცდაათ დღეს გლოვობდა თავის მოძღვარს. მერე კარვები აკეცეს და ისუ ნავეს წინამძღოლობით იორდანის გადასალახავად დაიძრნენ.

მოსე მითების შარავანდედში

ბიბლიაში აღწერილი ამბავი ეგვიპტიდან გამოსვლისა და აღთქმული ქვეყნისაკენ მგზავრობისა ამავე დროს ებრაული რელიგიის ისტორიაც არის. ისრაელიტელებს სწამდათ, რომ იაჰვეს ისინი განსაკუთრებულად უყვარდა, რომ ის იყო მათი მფარველი და გამათავისუფლებელი, რომ მან შეუქმნა კანონები, მორალური ნორმები, საზოგადოებრივი წყობა, რელიგიური ინსტიტუტები, მღვდლის თანამდებობა; რომ მან განუსაზღვრა ებრაელებს ლიტურგიული ცერემონიალის წესები და ბოლოს გაერთიანებული და ორგანიზებული ერის სახით მიიყვანა ქანაანში. იაჰვეს მფარველობის ღრმა რწმენა ისრაელიტელებს ანიჭებდა მორალურ ძალასა და მხნეობას უბედურებებისა და კატასტროფების ჟამს. ისრაელიტელები თავის თავს თვლიდნენ რჩეულ ხალხად, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ისტორიული მისია, ამიტომ მას არ ეწერა აღგვა დედამიწის პირიდან, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ღმერთი მათ სასტიკად სჯიდა ხოლმე სინას მთაზე დადებული აღთქმის დარღვევისათვის.

ისრაელის ძეთა მონობიდან გაქცევის დრამატულმა ამბავმა თანდათან დაკარგა რეალური ნიშნები. თქმულება მოსეზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა და თანდათან მეტ მისტიკურ ელფერს იძენდა, ისტორიული ფაქტები კი უკანა პლანზე გადადიოდა, ამ ფაქტებს ისვთ მცირე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ მდევნელი ფარაონის სახელის აღნიშვნაც კი არ მიაჩნდათ საჭიროდ.

ისრაელიტელების ეგვიპტიდან გამოსვლას ოსეს, მიქიასა და იერემიას იდუმალებით მოცულ ჩვენებებში მისტიკური მნიშვნელობა მიეცა. მან იაჰვეს ნების გამოვლენის სახე მიიღო და წმინდა რელიგიურ მოვლენად იქნა მიჩნეული. როცა ისრაელიტელ გლეხს მოსავლის პირველი ნაყოფი საკურთხეველზე შესაწირავად მიჰქონდა, იგი ასე ლოცულობდა: „ბოროტსა გვიყოფდეს, გვაჭირვებდეს ჩვენ ეგვიპტელნი ფრიად, და დაგვიდვეს ჩვენ საქმე მძიმე და ვღაღადებდით ჩვენ უფლისა მიმართ, ღმრთისა მამათა ჩვენთასა; და შეესმა უფალსა ხმისა ჩვენისა

და მოხედა დამდაბლებასა ჩვენსა და დაშვრომასა და ჭირსა ჩვენსა, გამოგვიყვანნა ჩვენ უფალმან ეგვიპტით ძალითა თვისითა, ხელითა მტკიცითა და შიშითა დიდითა, სასწაულებითა და ნიშნებითა მრავლითა და შემოგვიყვანნა ჩვენ ადგილსა ამას და მოგვცა ჩვენ ქვეყანა ესე, ქვეყანა, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი". (მეორე სჯ. თ. 26, მ. 6-9). ებრაელი მღვდლები, რომლებიც იწერდნენ ეგვიპტიდან ისრაელიტელთა გამოქცევის ეპოპეას და შეჰქონდათ იგი თავიანთ საღმრთო წიგნებში, არ იყვნენ ისტორიკოსები ამ ცნების თანამედროვე გაგებით. ისინი იყვნენ თეოლოგები და ისრაელის ისტორიას თავიანთი რელიგიური თვალსაზრისის შესაბამისად განიხილავდნენ. ყველაფერს, რასაც კი ლეგენდები მიაწერდნენ მოსეს (იაჰვესთან საუბარს, სასწაულებსა და მცნებებს) ისინი მიიჩნევდნენ უტყუარ, ჭეშმარიტ ფაქტებად. ამასთანავე, იმ დროს, როცა ებრაელი მღვდლები ისტორიული ლეგენდების რედაქციას შეუდგნენ, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ უკვე რამდენიმე საუკუნე იყო გასული. მოვლენათა რეალურმა მსვლელობამ ამ დროისათვის განიცადა პროცესი, რომელსაც წარსულის მითოლოგიზაციას ვუწოდებთ.

აი, რატომ უხდებათ თანამედროვე მეცნიერებს დიდი სიძნელეების გადალასვა იმისათვის, რომ ლეგენდებისაგან გამოაცალკევონ ჭეშმარიტების მარცვალი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს მეცნიერებმა დიდი ენერგია შეალიეს, დღემდე მაინც არ არსებობს ერთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ნამდვილად არსებობდა თუ არა მოსე. ჩვეულებრივ, რაც უფრო ვშორდებით დიდი ხნის გარდასულ ეპოქებს, მით უფრო იწევს წინა პლანზე ისტორიული სიმართლე და მცირდება ლეგენდის როლი. მოსეს ამბავი კი საწინააღმდეგო პროცესს გვიჩვენებს. აბრაამის, ლოთის, ესავის, ისაკისა და იაკობის სახეები შედარებით რეალისტური, მახლობელი და გასაგებია თავიანთი ადამიანური ნიშან-თვისებებით. მოსე კი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბიბლიის ისტორიაში ყველაზე უფრო მეტი საიდუმლოებით მოცული პიროვნებაა. მასზე მრავალი ლეგენდა შეუთხზავთ. მოსე — დიდი ბელადი, სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი — გვარწმუნებს და გვაკვირვებს, როცა ის ტრაგიკულად იბრძვის თავისი ხალხისა და საკუთარი სისუსტის წინააღმდეგ, მაგრამ რა ცოტა ვიცით მის პიროვნებაზე! ვიცით, რომ იგი ფიცხი იყო, იოლად განრისხდებოდა ხოლმე, რომ მას განუცდია დაეჭვების წუთები, ორი ცოლი ჰყოლია და ოჯახში უსიამოვნება ჰქონია. ამის მეტი მოსეზე ალბათ არც არაფერი გვცოდნია ოდესმე. ჩვენ ყოველთვის ვხედავთ მას, როგორც ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას. ესაა ღვთისაგან მირონცხებული, იაჰვეს ნების განუხრელად აღმსრულებელი

გმირი. ისრაელის ძენი ყოველწლიურად, საღდგომო დღესასწაულზე, ჰიმნებითა და ფსალმუნებით ადიდებდნენ იაჰვეს და მის სრულუფლებიან წარმომადგენელს მოსეს. უდაბნოში ხეტიალის გამოცდილებამ კი საკულტო წეს-ჩვეულებებში მიიღო სასე რელიგიური მისტერიისა, დრამისა, რომელიც სხვაგვარ სამყაროს განეკუთვნებოდა.

მაგრამ განა ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ მოსე არ ყოფილა რეალური, ისტორიული ფიგურა? სულაც არა. თანამედროვე მეცნიერება, როცა იგი ამგვარ საკითხებს იკვლევს, განანეს გამოტანისას სიფრთხილეს იჩენს, მას შემდეგ, რაც მრავალი ლეგენდისა და მითის მიღმა ჭეშმარიტი ფაქტების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. ასე მაგალითად, სოლონს, ლიკურგს თუ ნუმა პომპილიუსს მითიურ პიროვნებებად აღარ თვლიან. ესენი იყვნენ ბელადები, რომლებიც მოქმედებდნენ დიდ ისტორიულ გარდატეხათა დროს. ამიტომ მომდევნო თაობებმა თავიანთ თქმულებებში ისინი დიადი სიმბოლოების რანგამდე აამაღლეს.

შესაძლებელია, რომ ისრაელის ძეთა შორის მართლაც გამოჩნდა დიდი გაქანებისა და ნიჭის მქონე ბელადი, სჯულმდებელი და რელიგიური რეფორმატორი, რომელმაც თავისი ხალხი ეგვიპტეში მონობისაგან იხსნა და ქანაანში წაიყვანა. მისი ნიჭის წყალობით უდისციპლინო, შინაგან განხეთქილებათაგან დაქსაქსული ტომები გაერთიანდნენ და გაიმარჯვეს ეგვიპტეში, უდაბნოსა და ქანაანში.

ამრიგად, გასაკვირი არაა, რომ მოსე ხალხურ თქმულებებში საყვარელ ნაციონალურ გმირად, წინასწარმეტყველად იქცა და რომ იგი წმინდანის კვარცხლბეკზე აიყვანეს. ის ხომ იაჰვეს სიტყვას ქადაგებდა და ამიტომ ყველაფერი, რასაც მოსე იტყოდა ან ჩაიდენდა, კანონიერად და უცოდველ დოგმად ითვლებოდა.

ბიბლიური ლეგენდა მოსეს დაბადებისა და სიკვდილის შესახებ საოცრად ემთხვევა სხვა ძველი ხალხების ლეგენდებს. აზიაში, საბერძნეთსა და იაპონიაშიც კი ნაციონალური გმირების დაბადებას, ჩვეულებრივ, თან სდევს დრამატიზმით აღსავსე ამბები: ბავშვობისას მათ კალათაში ან ყუთში სვამენ და წყალში აგდებენ. ხალხურ თქმულებებში, წესისამებრ, არაფერია ხოლმე ნათქვამი გმირთა სიყმაწვილის წლების შესახებ; ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი უცხო მეფეთა კარზე იზრდებიან. მაგალითად: ლურსმული ტექსტებიდან შევიტყვეთ, რომ უდიდეს მეფეს სარგონს, რომელმაც 2350 წელს (ჩვ. წ-მდე) მესოპოტამიაში აქადის სახელმწიფო დააარსა, მოსესნაირი ბედი ერგო. იგი ქურუმმა დედამ მალულად შობა, გაფისულ კალათაში ჩასვა და მდინარეს გაატანა. ყრმა მდინარიდან ამოიყვანა წყლის მზიდავმა და მებაღემ აქამ, რომელიც დამუშავებულ მინდვ-

რებს რწყავდა. თქმულებას უეჭველად ხალხურობის დაღი აზის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარგონი ნამდვილად არსებობდა. ამას აშკარად ადასტურებენ მესოპოტამიის ქალაქთა ნანგრევებში მიკვლეული საბუთები.

ამრიგად, ლეგენდები, სასწაულები და სხვა ზებუნებრივი მოვლენები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ მოსეც ნამდვილად ისტორიული პიროვნება იყო. მაშასადამე, შეგვიძლია ისტორიულ ფაქტად მივიჩნიოთ ისრაელის ძეთა გამოქცევა ეგვიპტიდან და მათი ხეტიალი უდაბნოში. ეს კია, რომ ამის უთუოდ დამტკიცება არ შეიძლება, რადგან ეგვიპტური ქრონიკები და სხვა წყაროები აღნიშნულ ფაქტს დუმილით უვლიან გვერდს. ამიტომ, თუ გვსურს, ნაწილობრივი სიმართლე მაინც დავადგინოთ, უნდა მივმართოთ არაპირდაპირ გზას და შევისწავლოთ ძნელად ამოსაცნობი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ისტორიულ დოკუმენტებში მოიპოვება.

ამისათვის მეცნიერებმა მეტისმეტად საინტერესო რეკონსტრუქცია შეასრულეს. ვეცდებით, აღვადგინოთ მისი მთავარი ელემენტები.

აი, ისინიც:

ბიბლიაში ებრაელთა ისტორია მოულოდნელად წყდება იოსების სიკვდილთან ერთად, შემდეგ მოგვითხრობენ მოსეს პიროვნებასთან დაკავშირებულ ამბებს. ეს წყვეტილი პერიოდი ოთხასამდე წელს მოიცავს. რატომ გადაატხენ ოთხ საუკუნეს ბიბლიის ტექსტის რედაქტორები ისრაელიტელთა ისტორიის შეთხზვისას? შესაძლოა ეს ჩაიდინეს შეგნებულად, რათა მიეჩუმათებინათ ის პერიოდი, როცა ისრაელთა შესახებ სასახელოს ვერაფერს იტყოდა კაცი. ჰიქსოსთა განდევნის შემდეგ XVIII დინასტიის ფარაონებმა დედაქალაქი ავარისიდან მშობლიურ თებეში გადაიტანეს. ისრაელიტელები დარჩნენ გესემის მიწაზე, სადაც განკერძოებულ მწყემსურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მთავარი პოლიტიკური ცენტრისაგან მოწყვეტილ, სახელმწიფოს შორეულ მხარეში მცხოვრებ უბრალო მესაქონლეებს ყურადღებას არავინ აქცევდა. ეგვიპტელთათვის ეს პერიოდი მეტად მღელვარე იყო და ისრაელიტელთა ჩაგვრა ამ დროს არავის მოსდიოდა აზრად, მით უმეტეს, რომ ისინი უფრო და უფრო მეტად განიცდიდნენ ეგვიპტური კულტურის გავლენას და, როგორც სანდო წყაროები მიგვითითებენ, ეგვიპტელი ღმერთების კულტსაც კი აღიარებდნენ. ისუ ნავე ხომ ასე კიცხავს ისრაელიტელებს: „განიშორენით ღმერთნი უცხონი, რომელთა მსახურებდენ მამანი თქუენნი წიაღ მდინარისა და ეგვიპტესა შინა“ (ისუ ნავე, თ. 24, მ. 14). როგორც ჩანს, ისინი საბოლოო ასიმილაციისაგან იხსნა წინაპართა ენის, წესჩვეულებებისა და ტრადიციების ერთგულებამ. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება

დაღგენილად ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ ისრაელიტელთათვის გესემში გატარებული ოთხასი წელი სულიერი გადაგვარებისა და უმიზნო ცხოვრების ეპოქა იყო.

ამ საშიში პასიურობიდან ისრაელიტელები იხსნა ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ XIX დინასტიის ფარაონები. ამ დინასტიის მესამე ფარაონი რამსეს II, რომელიც სახელმწიფოს მართავდა ძველი წელთაღრიცხვის 1317—1251 წლებში, სახელგანთქმული მეომარი იყო. მას უნდოდა აზიის დაპყრობით აღედგინა ეგვიპტის სახელმწიფო. აღმოსავლეთში წარსავზავნი ექსპედიციების სამხედრო ბაზებისათვის ივი ყველაზე მოხერხებულად თვლიდა ნილოსის შესართავს გესემითურთ. ამასთან ერთად, რამსესს ნილოსის შესართავი თავის საგვარეულო მამულად მიაჩნდა, რადგან მისი ოჯახი წარმოშობით ავარისიდან იყო. მამამისს სეტი ერქვა და ეს სახელი ეტიმოლოგიურად უკავშირდება სეტს — ამ ქვეყნის სათაყვანებელ ღმერთს.

რამსესი მისთვის უცხო თებეში, ღვთაება ამონის კულტის ცენტრში, თავს მტკიცედ ვერ გრძნობდა. გარდა ამისა, მას უნდოდა შორს ყოფილიყო იქაური ქურუმების ძლიერი კასტისაგან, რომელსაც თავისი გავლენის ქვეშ ჰყავდა წინანდელი ფარაონები და ახლა რამსესის დამორჩილებას ცდილობდა. მან გადაწყვიტა, გადასულიყო ნილოსის შესართავში და გაპარტახებული ავარისის ნაცვლად აეშენებინა ახალი დედაქალაქი რამესე; ეს ის ქალაქია, რომელიც შემდგომ ტანისის სახელით გახდა ცნობილი. დაპყრობითი ლაშქრობისათვის მზადყოფნის მიზნით, მან ააგო კიდევ ერთი ქალაქი პითონი, რომელიც არსებითად სანოვაგისა და სამხედრო საჭურვლის საწყობთა ცენტრი იყო. არქეოლოგიურ ძიებათა წყალობით, ორივე ქალაქის ადგილმდებარეობა ზუსტადაა ცნობილი, რადგან შესაძლებელი გახდა მათი ნანგრევების გათხრა და ორივეს წარმომაელობის გარკვევა.

რამსესის გამეფებამ ბოლო მოუღო გესემის იდილიურ განკერძოებას. ერთ მშვენიერ დღეს ისრაელიტელმა მწყემსებმა ისეთი რამ იხილეს, რომ სახტად დარჩნენ: მათ საძოვრებზე მეომართა კოლონები მწყობრად მისდევდნენ ერთმანეთს. ეტლებით მოქროდნენ დიდებულები, რომელთაც მოსდევდნენ ურიცხვი მოხვლეები, მეზვერენი — ხარკის ამკრეფნი და შიკრიკები; ზედამხედველნი ჯოხებით მოერეკებოდნენ მონებს. მწყემსებს თვალები დარჩათ ხმაურიან პროცესიაზე, ის კი აზრად არ მოსვლიათ, თუ რა მოელოდათ. მაგრამ მალე მათ საკუთარ ტყავზე გამოსცადეს ფარაონის სიახლოვის სიმწარე. მათ ეზოებში ყვირილით შეიჭრნენ ჯარისკაცები, გადასახადის ამკრეფ-

ნი და დაიტაცეს მარცვლეული და საქონელი. შეუბრალებლად გაუსწორეს ყველა, ვინც წინააღმდეგობა ან პროტესტი გაბედა.

რამსესმა ეს არ აკმარა ებრაელებს. უზარმაზარი სამშენებლო გეგმების განსახორციელებლად მას მუშახელი სჭირდებოდა და იძულებითი მონური შრომა დააკისრა ისრაელიტელებს. რამსესი ფიქრობდა: წვერმოშვებული, განიერი ტანსაცმლით შემოსილი ისრაელიტელები აღმოსავლელები არიან, ისინი ძალიან სწრაფად მრავლდებიან და შესაძლოა აზიასთან ომის დროს ჩემთვის საშიშნი გახდნენო. ამასთანავე, ეგვიპტელებს ეზიზღებოდათ ყველა ხალხი, რომელიც პრიმიტიულ მწყემსურ ცხოვრებას მისდევდა. დაბადებაში ვკითხულობთ: „რამეთუ საძაგელ არს მეგვიპტელთათვის ყოველი მწყემსი ცხოვართა" (დაბადება, თ. 46, მ. 34). შესაძლოა, ეგვიპტელებმა ისიც გაიხსენეს, რომ ეგვიპტეში ჰიქსოსთა ბატონობის უმძიმეს ჟამს ისრაელიტელები ჰიქსოსების ერთგული ქვეშევრდომები და ფავორიტები იყვნენ.

რამსეს მეორემ სწრაფად დაიმორჩილა პალესტინა და სირია, მაგრამ მალე პირისპირ შეეჩეხა გაცილებით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს. ესენი იყვნენ ხეთები, რომლებმაც მცირე აზიაში უძველესი სამხედრო სახელმწიფო შექმნეს. სულ ახლახან მათ შესახებ ცოტა რამ ვიცოდით. გერმანელმა არქეოლოგებმა ვინკლერმა და პუჰშტეინმა ხეთელთა დედაქალაქის ნანგრევები მხოლოდ ჩვენი საუკუნის პირველ წლებში აღმოაჩინეს თურქეთში, მდინარე ღალისზე (ასლანდელი ყიზილ-ირმაკი), რომელიც აქ უსვევს და შავ ზღვას ერთვის. დედაქალაქს ერქვა ხათუსა. მას ეკავა ას სამოცდაათი ჰექტარი ფართობი. ქვიშნარის ფენის ქვეშ აღმოჩნდა მეფის უზარმაზარი სასახლე, ტაძრები, ციხის გალავნები და შავი ბაზალტისაგან გამოკვეთილი ქანდაკებები მამაკაცებისა, რომელთაც გრძელი თმა ზურგზე სცემთ, ახურავთ მაღალი ქუდები, აცვიათ მოკლე ქვედაკაბები და ცხვირწაწვეტილი ფეხსაცმელები.

ნაპოვნია აგრეთვე არქივი, რომელშიც მრავალი ლურსმული ფირფიტა იყო. წარწერები შესრულებულია მანამდე სრულიად უცნობ ენაზე. მათი გაშიფვრის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ჩეხ მეცნიერს ბ. ჰროზნის. მან მიუთითა, რომ ხეთური ენა შედის ინდოევროპულ ენათა ჯგუფში. ეს კი, საერთოდ, ხეთების, ან, ყოველ შემთხვევაში, მათ მმართველთა ინდოევროპულ წარმოშობაზე მეტყველებს. ბ. ჰროზნისა და ინგლისელი არქეოლოგის ვულის შრომების წყალობით ამ ხალხის ისტორიის, კულტურის, რელიგიისა და ყოფის საკმაოდ სრული სურათის აღდგენა მოხერხდა.

რამსეს მეორის ომმა ხეთების წინააღმდეგ სულ ოცდაერთ წელს გასტანა. ომის მეხუთე წელს მოხდა დიდი ბრძოლა მდი-

ნარე ორონტის ხეობაში, ქალაქ კადეშის მიდამოებში. ბრძოლა უაღრესად სისხლიანი იყო, მაგრამ გადაწყვეტით ვერაფერი გადაწყვიტა, თუმცალა რამსეს მეორე მრავალრიცხოვან ჩანაწერებში თავის თავს გამარჯვებულად ეხსენიებს. ხანგრძლივმა გააფთრებულმა ბრძოლამ არაქათი გამოაცალა ორივე მხარეს. ამასთანავე, მესოპოტამიაში ხეთებს ემუქრებოდა ასურელთა მზარდი ძალა. ამიტომ 1296 წელს (ჩვ. წ.-მდე) ომი „სამარადისო ზავის" დადებით დამთავრდა. ზავი განამტკიცა ხეთების მეფის ხათუსილის ასულისა და რამსეს მეორის ქორწინებამ.

ზავმა ისრაელიტელებს მდგომარეობა ვერ შეუმსუბუქა. ჩაგვრა და მონური შრომა კვლავ გრძელდებოდა. რამსესი მშენებლობის მანიამ შეიპყრო. მას სულ უფრო და უფრო მეტი მუშახელი სჭირდებოდა. იგი აგებდა ახალ შენობებს, სასახლეებს, ტაძრებს და ამასთანავე ბრძანებდა — ძველ ნაგებობებზე წაშალათ ადრინდელი ფარაონების სახელები და მისი სახელი ამოეკვეთათ.

ახალშობილთა სიკვდილით დასჯის ბრძანება, რომლის შესახებაც ბიბლია მოგვითხრობს, მოწმობს, რომ ისრაელიტელთა დევნამ თანდათან მიიღო უმძიმესი სისხლიანი ფორმა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენებს წავაწყდით: ფარაონი ისრაელიტელთაგან ერთი მხრივ მეტ მუშახელს მოითხოვდა, მეორე მხრივ კი, თავისივე სასტიკი კანონის გამო უმუშახელოდ რჩებოდა. სავარაუდოა, რომ ამ სასჯელის გამომწვევი მიზეზია ისრაელის ძეთა ნაყოფიერება და მოსახლეობის სიჭარბე ნილოსის შესართავში მას შემდეგ, რაც აქ დამკვიდრდა ცენტრალური ადმინისტრაცია ურიცხვი თანმხლები მოხელეებით, მსახურებითა და სამხედრო ბირებით. ბიბლია იმასაც გვამცნობს, რომ ბევრ ისრაელიტელს ამ დროს არ შეეძლო მარტო მესაქონლეობით ერჩინა თავი და ამიტომ იგი იძულებული იყო, ქალაქებს შეჰკედლებოდა და წვრილ ვაჭრულ-ხელოსნური საქმისთვის მოეკიდა ხელი. ეგვიპტელებმა სწრაფად იგრძნეს ებრაელთა კონკურენციის შედეგი, რასაც სიძულვილი და ზიზღი მოჰყვა.

ტანჯვა და დევნა ჩაგრულთა შორის აძლიერებდა ეროვნული ერთიანობის სურვილს, ჯერ პასიური, შემდეგ კი აქტიური წინააღმდეგობის გრძნობას. ამ პროცესს ცხადად წარმოგვიდგენს მოსეს ცხოვრების მაგალითი. ლეგენდის თანახმად, მას ტიპური ეგვიპტური სახელი ერქვა; განათლება მიიღო ფარაონის სასახლის კარზე. აქ იგი ცხოვრობდა ისე, როგორც შეეფერებოდა ეგვიპტელ დიდებულს, მაგრამ თანამემამულეთა დევნის შემყურემ კვლავ ისრაელიტელად იგრძნო თავი. ულმობელი ზედამხედველის მოკვლა და აღმოსავლეთში გაქცევა მარტო მისი პირადი წინააღმდეგობის გამოვლენა კი არ ყოფი-

ლა, იგი ისრაელიტელი ხალხის ამბოხების პირველი სიგნალიცაა.

ბიბლიაში გვხვდება ორი გაუგებარი მუხლი, რომლის აზრის ამოცნობა არც თუ ისე ადვილია. გამოსვლათა წიგნში იაჰვე ამბობს: „... და მოვსცე მადლი ერსა ამას მეგვიპტელთა წინაშე; რაჟამს გამოხვიდოდეთ, არა გამოხვიდეთ ცარიელნი, არამედ ითხოვონ დედათა მეზობელთაგან და მათ სახლში მცხოვრებთაგან ჭურჭელნი ვეცხლისანი და ოქროისნი, და სამოსელნი; და შემოსეთ ძენი და ასულნი თქვენნი და გაძარცვეთ მეგვიპტელნი". (გამოსელათა, თ. 3; მ. 21). იმავე წიგნში, ცოტა ქვემოთ ეკითხულობთ: „და უფალმან მოსცა მადლი ერსა თვისსა წინაშე მეგვიპტელთა და ათხოვეს მათ და გაძარცვეს მეგვიპტელნი". (გამოსელათა, თ. 12, მ. 36).

გაოცებას იწვევს ის, რომ ორივე ტექსტს აკლია თანამიმდევრობა — ერთადაა ნახსენები სესხიცა და გაძარცვაც. კაცმა რომ თქვას, რა იმალება ამ ფაქტის იქით? დავუშვათ, ისრაელიტელებმა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი მოტყუებით ითხოვეს, ფარაონი დაარწმუნეს — სამი დღით უდაბნოში გაეალთ და, როგორც კი დავბრუნდებით, უკანვე ჩაგაბარებთო. მაგრამ მნელი დასაჯერებელია, ეგვიპტელები იმდენად გულუბრყვილონი ყოფილიყვნენ, რომ თავისი განძეულობა საძულეელი და მტრულად განწყობილი ხალხისათვის ენდოთ.

ზოგიერთ მეცნიერს აქედან გამოყავს დასკვნა, რომ ისრაელის ძენი აჯანყდნენ, გაძარცვეს ეგვიპტელთა სახლები და საზღვარს გარეთ გაიქცნენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ შეტყველებს ის ფაქტი, რომ უდაბნოში ხეტიალის დროს ისინი ტრიუმფალურ ომებს მართავდნენ.

მაშასადამე, ისრაელიტელები ეგვიპტიდან თავით ფეხამდე შეიარაღებულნი უნდა გამოსულიყვნენ. როგორღა ჩაიგდეს ხელში იარაღი? რა თქმა უნდა, მას ერთ დღეში ვერ იშოვნიდნენ. სავარაუდებელია, რომ იარაღი მონობის ბოლო წლებში დაგროვეს მალულად. მაშასადამე, გამორიცხული არაა, რომ მათ იარაღის შემწეობით მოიპოვეს თავისუფლება. თუ ეს მართალია, მაშინ გასაგებია, რატომ მისდია მათ განრისხებულმა ფარაონმა მეწამულ ზღვამდე. თუ ამ ჰიპოთეზას მივიღებთ, შესაძლებელია დავუშვათ ისიც, რომ მოსე, თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში შაინც, ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო ისრაელიტელთა აჯანყების ბელადი.

ისტორიკოსები დღემდე თავს იმტვრევენ ეგვიპტიდან გამოსვლის თარიღის დადგენაზე. ამ საკითხის გამო მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდნენ ცხარე პოლემიკას. ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეგვიპტიდან გა-

მოსელა მოხდა ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის მეორე ნახევარში.

რამსესი სახელგანოქმული ფარაონი იყო. მისი მართვა-გამგებლობის დროს ეგვიპტემ ძლევამოსილების მწვერვალს მიაღწია. ამიტომ საეჭვოა, რომ ისრაელიტელებს რამსესის სიცოცხლეში მოეპოვებინათ თავისუფლება. გამოსვლათა წიგნის ფრაზა—„შემდგომად დღეთა მრავალთა, მოკედა მეფე იგი ეგვიპტისა" (გამოსვლათა, თ. 2, მ. 23) გვაფიქრებინებს, რომ მოსე ეგვიპტეში დაბრუნდა რამსეს მეორის მემკვიდრის — მერნეპტაჰის ტახტზე ასვლის შემდეგ. მისი მეფობის დროს ეგვიპტეს დასავლეთიდან თავს ესხმოდნენ ლიბიელები, აღმოსავლეთიდან კი — ინდოევროპელი ტომები, რომელთაც ბალკანებზე მიატოვეს დიდი ხნის დამკვიდრებული ადგილები, შეიჭრნენ მცირე აზიაში, ააოხრეს ხეთების სახელმწიფო და დაიკავეს ხმელთაშუა ზღვის სანაპირო. მართალია, აგრესორებთან ბრძოლაში მერნეპტაჰმა გაიმარჯვა, მაგრამ ეგვიპტე იმდენად დაუძლურდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ შეძლო წარსული ძლიერების აღდგენა. ალბათ ისრაელიტელებმა ისარგებლეს ეგვიპტის დროებითი დასუსტებით და მონობიდან თავი დაიხსნეს.

სხვა საფუძველიც არსებობს საიმისოდ, რომ გამოსვლა ეგვიპტიდან ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღდეს. არქეოლოგებმა მოახერხეს ქანაანის ქალაქთა ნანგრევების გათხრა. ბიბლიის მიხედვით, ეს ქალაქები დაიპყრეს ისრაელიტელებმა მოსეს მემკვიდრის ისუ ნავეს წინამძღოლობით. გათხრების იმ ფენებში, რომლებიც უეჭველად XIII საუკუნის მეორე ნახევრისაა, მეტწილად ნაპოვნია განზრახი ნგრევისა და ხანძრების კვალი, რაც ადასტურებს, რომ ეს ქალაქები სწრაფი თავდასხმების მსხვერპლი გამხდარა.

მოსემ, როგორც ბიბლიიდან ვიცით, ედომის მეფეს სთხოვა, ისრაელიტელები თავისუფლად გაეტარებინა თავის ტერიტორიაზე. მან პასუხად უარი მიიღო. მაგრამ მოსემ ვერ გაბედა, წინააღმდეგობა გაეწია უძლიერესი სამხედრო სახელმწიფოსათვის, მის საზღვრებს შემოუარა და გზა ისე განაგრძო. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში ედომი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ისტორიის სარბიელზე იგი გამოჩნდა მხოლოდ ძვ. წ. XIII საუკუნეში როგორც ორგანიზებული და მძლავრი სახელმწიფო. მაშასადამე, ისრაელიტელები ედომის საზღვარს მიადგნენ ამ საუკუნეში და არა უფრო ადრე.

მაგრამ ამ სათვალავს მაინც აქვს ერთი დიდი ნაკლი. ეჭვები გამოიწვია ვითომდა ისუ ნავეს მიერ დაპყრობილი იერიქონის ციხის ახალმა გათხრებმა, რომელიც 1952 წელს დაიწყო და

ჩატარდა ინგლისელი არქეოლოგის დოქტორ კ. კენიონის ხელმძღვანელობით. ამ გათხრებმა მრავალი მხრიდან მოჰფინა ნათელი ამ უძველესი ქალაქის ისტორიას. მისი ნანგრევები ქმნიან უზარმაზარ ბორცვს, რომელიც იორდანის დასავლეთ ნაპირზეა აღმართული. ძიების შედეგი მართლაც რომ განსაცვიფრებელია: აღმოჩენილია ციხის სქელი გალავნები, სახლები, ჭები და რამდენიმე იარუსად განლაგებული საფლავები. არქეოლოგები ჯერ არ დასულან სულ ძირამდე, სადაც უნდა ყოფილიყო ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი დასახლება, მაგრამ დღეს უცილობლადაა დამტკიცებული, რომ იერიქონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე შვიდი ათასი წლით ადრე არსებობდა. კაცობრიობის ისტორიაში ის უძველესი ქალაქი უნდა იყოს. ამ ფაქტმა მატერიალური კულტურის განვითარების საკითხზე არსებულ შეხედულებებში გადატრიალება მოახდინა, რადგანაც არსებობს მოსაზრება, თითქოს ნეოლითის ეპოქის ადამიანები ქალაქებს კი არ აშენებდნენ, არამედ დაქსაქსულად ცხოვრობდნენ პატარ-პატარა დასახლებებში, სადაც სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. გარდა ამისა, აქამდე ვარაუდობდნენ, რომ ყველაზე უძველესი ქალაქები გაჩნდა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. იერიქონის გათხრებმა კი ცხადყვეს, რომ ამ მხრივ პრიორიტეტი პალესტინას ეკუთვნის.

ჩვენთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა რამ. ბრიტანეთის ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ იერიქონი ნამდვილად დაანგრიეს აგრესორებმა, მაგრამ ნახანძრალი და ნანგრევები იპოვეს შრეში, რომელიც ეკუთვნის არა XIII, არამედ XIV საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. თარიღი დაადგინეს კერამიკულ ნაკეთობათა ნატეხებზე შესრულებული დამახასიათებელი ნახატებისა და სკარაბების მიხედვით.

მეცნიერები საგონებელში ჩაცვივდნენ: ერთი მხრივ ძველი ედომის სახელმწიფოს გათხრები და ისტორიული ცნობები ეგვიპტის შესახებ გვიდასტურებენ, რომ ებრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან მოხდა XIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მეორე მხრივ, ახალი მონაცემები გაკიკარნახებენ, რომ იერიქონი მთელი ერთი საუკუნით ადრე დაეცა. იქნებ ისრაელიტელებს არ დაუპყრიათ ეს მძლავრი ციხესიმაგრე? მაშასადამე, შესაბამისი ეპიზოდი ბიბლიური თქმულებისა უნდა მივიჩნიოთ ბიბლიის კომპილატორთა გამოგონილ ლეგენდად, რომლითაც მათ ისუ ნავეს სამხედრო დიდება გაბუქეს?

მეცნიერები სხვადასხვა გზით ცდილობდნენ ამ წინააღმდეგობათა გადაჭრას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მართლაც არსებობს საკმაო საბუთები იმისა, რომ ისრაელიტელები ეგვიპტიდან XIV საუკუნეში გამოვიდნენ, მაგრამ ამ ჰიპოთეზას

მრავალი სუსტი მხარე აქვს და მკვლევართა უმრავლესობა მას არ იზიარებს.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის პიერ მონტეს ჰიპოთეზას. სწორედ მან შეიტანა ეჭვი არქეოლოგების მიერ დადგენილი თარიღის სიზუსტეში. არქეოლოგებმა თარიღი ძირითადად ნახანძრალ ადგილებში ნაპოვნი სკარაბების მიხედვით დაადგინეს. მონტე კი ფიქრობს, რომ სკარაბები ქრონოლოგიის გასარკვევად ყოველთვის არ გამოდგება; სკარაბი იყო ძვირფასი საგვარეულო ქონება, იგი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილებზე. გარდა ამისა, სკარაბზე ამოკვეთილი მეფის სახელი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს სკარაბი მაინცდამაინც ამ მეფის დროინდელია. მაგალითად, ეგვიპტელ ხელოსნებს პტოლემეიდთა ეპოქაშიც კი ჰქონდათ ჩვეულებად სკარაბებზე ფარაონ თუტმოს მესამის სახელის ამოკვეთა. ძალიან იოლად შეიძლება დავუშვათ შეცდომა კულტურული შრეების დათარიღებისას, თუ საყრდენად ასეთი არასაიმედო წყაროები გვექნება. ეს თანაბრად ეხება კერამიკულ ნაკეთობათა ნამტვრევებსაც, რომლებიც, სხვათაშორის, იერიქონში მცირე რაოდენობით აღმოაჩინეს. ერთი სიტყვით, პიერ მონტეს მიაჩნია, რომ იერიქონის კულტურული ფენა, რომელშიც ნაპოვნია ხანძრისა და მძვინვარე მსხვრევის კვალი, შეიძლება თანაბარი უფლებით მიეკუთვნოთ ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნესაც.

არქეოლოგები, რომელთაც იერიქონს მიაგნეს, არ ეთანხმებიან მონტეს დებულებას. სამეცნიერო წრეებში დღეს უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ იერიქონი ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში დაანგრიეს.

ამრიგად, ბიბლიის მკვლევარებმა ან ერთი უნდა ირწმუნონ, ან მეორე: ან ისრაელიტელები ეგვიპტიდან ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში გამოსულან, ნამდვილად დაუპყრიათ იერიქონი, ან გამოსვლა მომხდარა XIII საუკუნეში (ჩვ. წ-მდე), როცა ისუ ნავე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა მისი დამპყრობი. ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ ცდილობენ მეცნიერები ამ გორდიასის კვანძის გახსნას.

ისტორიკოსებთან ერთად ჩვენც იმ დასკვნამდე მივედით, რომ გამოსვლა შეიძლებოდა მომხდარიყო ფარაონ მერნეპტაჰის მეფობის დროს, გადმოცემას თუ დავუჯერებთ, მერნეპტაჰი მეწამულ ზღვაში დაიხრჩო. ათეულ თაობას სწამდა, რომ ნამდვილად ასეთი იყო ბედი ეგვიპტის გამგებლისა, რომელიც ამგვარად დასაჯა ღმერთმა ისრაელიტელთა ჩაგვრისა და დევნისათვის.

ამ დრამატული თქმულების მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორაა ბიბლიაში ერთმანეთში არეული ისტორიული ფაქტები და

ლეგენდები. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ორმა არაბმა აღმოაჩინა კლდეში გამოკვეთილი კატაკომბები, სადაც ეგვიპტელ ქურუმებს, გაძარცვისაგან გადარჩენის მიზნით, ხის კუბოებში ოცდაჩვიდმეტი მეფის მუმია ჩაელაგებინათ. აქ იყო სეტი პირველი, რამსეს მეორე, მრავალი სხვა ფარაონი, მათი ცოლები და ასულები. არ ჩანდა მერნეპტაჰი, რაც, ერთი შეხედვით, ამტკიცებდა ბიბლიური თქმულების სიმართლეს.

მაგრამ 1898 წელს, ესე იგი ცამეტი წლის შემდეგ, ბიბლიური თქმულების უტყუარობა კვლავ საეჭვო შეიქნა. მეფეთა ხეობაში აღმოაჩინეს მეორე კოლექტიური აკლდამა, რომელშიც თოთხმეტი მეფის მუმია განისვენებდა. მოხდა სასწაული და მათ შორის მერნეპტაჰიც აღმოჩნდა. ასე გამოირკვა, რომ იგი ზღვაში კი არ დაშრჩენილა, არამედ ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარა თავის სასახლეში. შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ მისი გვამი ზღვამ გამორიყა ნაპირზე და შემდეგ, დაკრძალვის წესების მიხედვით, დააბალზამეს; მაგრამ მედიცინის სპეციალისტებმა გულმოდგინედ შეისწავლეს მკვდარი ფარაონის სხეული და ზღვის წყლის ოდნავი ზემოქმედების კვალიც კი ვერ აღმოაჩინეს. ბიბლიურმა თქმულებამ ვერ გაუძლო მეცნიერების ულმობელ ლოგიკას.[1]

თუ ფარაონის დახრჩობის ცნობა შემთხვევითია, სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით სხვა, უფრო სერიოზული მნიშვნელობის, ლეგენდაზე. მრავალსაუკუნოვანი რელიგიური ტრადიციის თანახმად, ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნის (ე. წ. ხუთწიგნეულის) ავტორად მოსე ითვლება. როცა ბენედიქტე სპინოზამ (1632—1677 წწ), წარსულის ზოგიერთი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის — ფილონის, იოსებ ფლავიოსის, იბნ ეზრას,

---

[1] მე მივიღე რამდენიმე წერილი მკითხველებისა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ზემოთ აღნიშნულ მტკიცებასა და ვ. ბოულტონის წიგნში („პირამიდების მარადიულობა და პომპეუსის ტრაგედია"). წარმოდგენილ დებულებას შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. ერთ-ერთის ავტორი წარმოგვიდგენს წერილს, რომელიც 1929 წელს ლონდონის გაზეთ „თაიმსში" გამოაქვეყნა არქეოლოგმა ე. სმითმა. წერილში აღნიშნულია, რომ ფარაონ მერნეპტაჰის მუმიას, საფლავთა მძარცველების მიერ დაჩეხილს, „მარილის კრისტალების ინკრუსტაცია" ემჩნევა, რაც თითქოს იმას ადასტურებს, რომ ფარაონი ნამდვილად ზღვაში დაშრჩენილა.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ უცნაურ ფაქტს: ასეთი მნიშვნელოვანი დეტალი გამოქვეყნდა მუმიის აღმოჩენიდან მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ; გარდა ამისა, მეცნიერებმა ეს ღებულება ახლახან უარყვეს შემდეგი მიზეზების გამო: ფარაონის ნეშტი დაბალზამებული იყო, დაბალზამების სანგრძლივსა და რთულ პროცესს ზღვის მარილის ყოველგვარი, უმცირესი კვალიც კი უნდა გაექრო; თუ მუმიაზე ნამდვილად იპოვეს მარილი, მაშინ მისი კრისტალები აქ უთუოდ სხვა გზით მოხვედრილა: უნდა გვახსოვდეს, რომ მერნეპტაჰი, სხვა ფარაონებთან ერთად, პირველი სამარხიდან კოლექტიურ აკლდამაში გადაიტანეს.

ურიელ და კოსტას მსგავსად, გაბედა და მოსეს ავტორობაში ეჭვი შეიტანა, ამსტერდამის სინაგოგამ იგი შერისხა როგორც მწვალებელი.

უბრალოდ რომ გადავავლოთ თვალი მოსეს ხუთ წიგნს, მაშინაც კი ნათელი გახდება ამ ლეგენდის უსაფუძვლობა. როგორ ძოასერხა მოსემ თავისივე სიკვდილის აღწერა? რა სასწაულმა შთააგონა მას, რომ მისი საფლავი დაიკარგებოდა და აღარასოდეს აღმოჩნდებოდა?

მეორე სჯულის წიგნის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „და არღარა აღდგა კვალად წინაწარმეტყველი ისრაელსა შორის მსგავსი მოსესი“ (შდრ. მეორე სჯულ. თ. 34, მ. 10). ახლა უკვე ცნობილია, რომ სიტყვა „წინასწარმეტყველი“ ძველ ებრაულ ენაში საკმაოდ გვიან დამკვიდრდა. ხუთი წიგნიდან დავასახელებთ აშკარა ანაქრონიზმის კიდევ ერთ მაგალითს: „და ესე მეფენი, რომელნი მეფობდუს ქვეყანასა ედომისასა, ვიდრე მეფისა ყოფამდე ისრაელსა ზედა“ (შდრ. დაბადება, თ. 36, მ. 31).

განა შეეძლო მოსეს სცოდნოდა, რომ ისრაელიტელებს მეფე ეყოლებოდათ? პირველი ებრაელი მეფე იყო საული, რომელიც მეფობდა ძვ. წ. XI საუკუნის ბოლო მეოთხედში, ესე იგი, მოსეს სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ.

მსგავსი მაგალითები ანაქრონიზმებისა შეიძლება უსასრულოდ დავასახელოთ, მაგრამ ზემოთ აღნიშნულნიც საკმაოდ ადასტურებენ, რომ ხუთწიგნეულის ძირითადი ნაწილები არ შეიძლებოდა შექმნილიყო ძველი წელთაღრიცხვის XI საუკუნის დასასრულზე ადრე. ხუთწიგნეულის თხრობა შეკრულია და ერთიანი. მოსეს ხუთი წიგნი[1] შეიცავს უძველეს თქმულებებს, რომლებიც ეხება ისრაელიტელთა წინაპრების ცხოვრებას, ეგვიპტიდან გამოქცევას, უდაბნოში ხეტიალს; მასში შედის აგრეთვე კანონთა და რიტუალური წესების კრებული.

ხუთწიგნეულის კრიტიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი წარმოადგენს კონგლომერატს სხვადასხვა სახის ტექსტებისა, რომლებიც შექმნილია ძველი წელთაღრიცხვის IX—IV საუკუნეებში. ჩვენ შეგნებულად ვხმარობთ სიტყვა „კონგლომერატს“, რადგან ეს კომპილაცია შეკერილია ისეთი უხეში ძაფებით, რომ ძნელი არაა მათი შემადგენელი ნაწილების გარჩევა ერთმანეთისაგან.

მოსეს ხუთ წიგნში აუარებელია არათანმიმდევრული და ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებები. იმის გამო, რომ

---

[1] ე. ი. დაბადების, გამოსელთა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულის წიგნები (რედ.).

მთლიანად არ შეიძლება მათი აღნუსხვა, განვიხილავთ რამდენსამე ყველაზე უფრო ხელშესახებ მაგალითს.

ვინც დაკვირვებით წაიკითხავს დაბადების წიგნის პირველ და მეორე თავს, უცებ შეამჩნევს, რომ მეორე თავის მესამე მუხლში მთავრდება ერთი თქმულება ადამიანის შექმნის შესახებ, იქვე იწყება სრულიად სხვა ამბავი იმავე თემაზე, მაგრამ ეს მეორე ამბავი პირველისაგან დიდად განსხვავდება. პირველი თქმულების მიხედვით, ღმერთმა მეექვსე დღეს ერთდროულად შექმნა კაცი და ქალი. მეორე თქმულება გვაუწყებს, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა მიწისაგან, დაასახლა იგი ედემის ბაღში, მეგობრებად მიუჩინა ცხოველები და ფრინველები და ბოლოს მისი ნეკნისაგან შექმნა ქალი. ცხადია, რომ საქმე გვაქვს მექანიკურად შეერთებულ ორ სრულიად სხვადასხვა წყაროსთან, რომელთაც ფაბულაც კი არა აქვთ ერთიანი.

ტექსტის ანალიზმა ცხადყო, რომ მთელ წიგნში გვხვდება სხვადასხვა ეპოქებიდან მომდინარე ოთხი წყარო. მაშასადამე, არც გვაქვს საიმისო საფუძველი, რომ მისი ავტორობა მივაწეროთ ერთ კაცს, ესე იგი, მოსეს.

რაც შეეხება მოსეს ცრუ სასწაულებს, მეცნიერებმა ეჭვმიუტანლად დაამტკიცეს, რომ ბევრ შემთხვევაში ასეთი მოვლენები სრულიად ბუნებრივი იყო. მაშ როგორ ამაღლდნენ ისინი სასწაულის რანგამდე? პასუხი ადვილი გახლავთ: ლტოლვილმა მოსემ თითქოს ორმოცი წელი სინას ნახევარკუნძულზე გაატარა და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ისწავლა, როგორ უნდა შეენარჩუნებინა სიცოცხლე უდაბნოს ველებისა და მთიანი რაიონების მკაცრ პირობებში. გამოცდილებით შეძენილი ცოდნა მან შემდგომ, გამოსვლის დროს გამოიყენა. მასთან ერთად მოხეტიალე ადამიანების წინაპართა რამდენიმე თაობა კი ეგვიპტეში ბინადარ ცხოვრებას იყო შეჩვეული. მოსეს თანამგზავრები სრულიად გამოუცდელნი მოვიდნენ სინას ნახევარკუნძულზე, ამიტომ მოსეს ზოგიერთი მოქმედება მათ ზებუნებრივად უნდა მიეჩნიათ. რაღა ითქმის ისრაელიტელებზე, რომლებიც ამის შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ ქანაანში და სინას ნახევარკუნძულზე ფეხიც არ დაუდგამთ? მომდევნო თაობების უმეტესობა ისწრაფვოდა, მოსე ღმერთისაგან მინიჭებული ზებუნებრივი ძალის მქონე ფიგურად გადაექციათ. მოსეს მოღვაწეობის აღწერის დროს მითოლოგიზაციის პროცესი თითქმის მთლიანად დამთავრებული იყო, ეს კი ებრაელ კულტის მსახურთა და ხუთწიგნეულის კომპილატორებს ხელს აძლევდა. ამიტომაც იქცა იუდაიზმის დოგმატად მოსეს სასწაულები.

მაგალითად, ბიბლიაში მოსე ისრაელიტელებს უყვება, თუ როგორ ესაუბრებოდა მას ცაცვე ბუჩქიდან, რომელსაც ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ბუჩქი ნამ-

დვილად არსებობს. იგი დღესაც გეხვება სინას ნახევარკუნძულზე და მას დიფთამს, ან მოსეს ბუჩქს ეძახიან. ეს თავისებური მცენარე გამოჰყოფს აქროლად ეთეროვან ზეთს, რომელიც ადვილად ენთება მზეზე. ამ ბუჩქის ნერვი პოლონეთშიც კი ჩამოიტანეს და სკოროტიცის მთა-ველიან ნაკრძალში დარგეს. 1960 წელს გაზეთები იტყობინებოდნენ: ადგილობრივ მცხოვრებთა გასაოცრად, მოსეს ბუჩქს, ერთ ცხელ დღეს ლურჯ-წითელი ალი მოედო.

სენსაციური შედეგები მოჰყვა ყბადაღებული ბიბლიური მანანის გამოკვლევას. 1927 წელს იერუსალიმის ებრაელთა უნივერსიტეტის ზოოლოგმა ბოდენჰაიმერმა სინას ნახევარკუნძულზე აღმოაჩინა იალღუნის ერთი ჯიში, რომელიც გაზაფხულზე ტკბილ სითხეს გამოჰყოფს. სითხე ჰაერში სწრაფად მყარიდება და სეტყვის მსგავს თეთრ მარცვლებად იქცევა. იქაურ მკვიდრ ბედუინებს ეს ტკბილეული ძალიან უყვართ. გაზაფხულის დამდეგს ისინი შეიკრიბებიან და მიემგზავრებიან ველებში, სადაც წებოვან თეთრ მარცვლებს აგროვებენ, როგორც ჩვენ მარწყვს ვაგროვებთ ხოლმე. ერთ კაცს დღის განმავლობაში შეუძლია მოკრიბოს კილონახევარი, რაც შიმშილის მოსაკლავად სრულიად საკმარისია. საინტერესოა, რომ ბაღდადის ქუჩებში დღესაც იყიდება იალღუნის ტკბილი ფისი, რომელსაც მანს ეძახიან. ამ აღმოჩენის შემდეგ აღარ შეგვიძლია ვირწმუნოთ ბიბლიური მანანის სასწაულებრივობა. ალბათ მოსემ ჯერ კიდევ ლტოლვილობის დროიდან იცოდა მანანის ნოყიერება და ამიტომაც აჭმევდა მას ისრაელიტელებს.

ასევე უნდა მივუდგეთ მწყერების მოფრენის ეპიზოდსაც. სინას ნახევარკუნძულის ახლანდელ მაცხოვრებლებს რომ უთხრათ, მწყერების მოფრენა სასწაულად უნდა მიიჩნიოთო, მათ გაოცებას ალბათ საზღვარი არ ექნება. გაზაფხულობით აფრიკის სიღრმიდან ევროპას მწყერების უზარმაზარი გუნდი ეწევა ხოლმე. შორეული ფრენით არაქათგამოლეულები ზღვის სანაპიროს გასწვრივ სხდებიან, დასუსტებულებს განძრევის თავი აღარა აქვთ და მოსახლეობა მათ ხელით იჭერს. ისრაელის ძენიც ალბათ ასეთ ამბავს შეესწრნენ და შორეული ფრენისაგან ღონემიხდილ ფრინველებზე სიამოვნებით წაინადირეს.

ბიბლია გადმოგვცემს, რომ მოსემ ქორების მთის ძირში კლდეს კვერთხი დაჰკრა და კლდიდან წყაროს წყალი გადმოსკდა. ეს საიდუმლოება მან უეჭველად მადიამელთაგან ისწავლა. ბედუინებისათვის იგი დღესაც ცნობილია. მათ იციან, რომ ხანგრძლივი გვალვის მიუხედავად, მთის ძირში, კირისა და ქვიშის თხელი ქერქის ქვეშ, გროვდება წვიმის წყალი. საკმარისია, გატეხო ეს ქერქი, რომ წყალიც გამოჩნდეს.

ბიბლია მოგვითხრობს, რომ ებრაელები სინის უდაბნოში

სამი დღის ხეტიალის შემდეგ მივიდნენ მერაში, სადაც საშინელი ფაქტის მოწმენი გახდნენ: აქაური წყალი მწარე და სასმელად უვარგისი გამოდგა. მოსემ რაღაც პატარა ტოტები ჩაყარა წყალში და ჰოი, საოცრებავ! წყალი დატკბა. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მერას მიდამოებში მწარე წყარო დღესაც არსებობს. ინგლისელებმა ქიმიური ანალიზის საშუალებით დაადგინეს, რომ აქაური წყლები გარკვეული რაოდენობით შეიცავს გოგირდმჟავა კალციუმს. თუ წყალს მჟაუნმჟავას დავუმატებთ, გოგირდმჟავა კალციუმი ფსკერზე ილექება და წყალი სიმწარეს კარგავს. ბედუინები მწარე წყლის დასატკბობად მასში ყრიან ერთგვარი ბუჩქის ტოტებს (ამ ბუჩქს ელვაჰს უწოდებენ), ამ მცენარის წვენში ბევრია მჟაუნმჟავა, რომელიც წყალს მწარე გემოს უკარგავს.

აი, ბიბლიის მეორე ეპიზოდიც: სინას მთიდან კადეშისაკენ მიმავალ ისრაელიტელებს გზად კვლავ შემოაკლდათ სურსათი; ისევ დაიწყეს ბუზღუნი და ჩივილი. ამ დროს მეორედ მოფრინდა მწყერთა გუნდი. დამშეული მოგზაურები ხარბად დაერივნენ ფრინველებს, მაგრამ მათი ხორცი უწინდებურად მარგებელი როდი გამოდგა. თითქმის ყველა ებრაელი მძიმედ დაავადდა, მრავალი მათგანი კი სიხარბეს გადაჰყვა. გამოსვლათა წიგნში ეს დრამატული ეპიზოდი გადმოცემულია იგავის სახით. ამ იგავის მორალი ასეთია: ღმერთი არ დაინდობს მას, ვინც მისი ნების წინააღმდეგ აღდგება. ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ თქმულების ეს ფრაგმენტი სწორედ ამდაგვარად უნდა გაგებულიყო; მასში ჩანს დიდაქტიკური ხალხური იგავის ტიპური ნიშნები. მით უფრო გაკვირდა ყველა, როცა გაირკვა, რომ ეს შემთხვევა არამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ უსაზღვრო ფანტაზიის ნაყოფად.

ალჟირის პასტერის სახელობის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა სერჟანმა აღმოაჩინა, რომ სინას ნახევარკუნძულს დროდადრო ნამდვილად მოევლინებიან ხოლმე შხამიანი მწყერები. ეს მწყერები, სანამ ევროპას მიაღწევენ, ჩერდებიან სუდანში, სადაც მომწამვლელი ნივთიერების შემცველი მარცვლეულით იკვებებიან. ასეთი ფრინველის ხორცი ადამიანს ვნებს და შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს მისი სიცოცხლე. როგორც ჩანს, ისრაელიტელთ ბედმა უმტყუნა, სწორედ ასეთი მწყერები დაიჭირეს და მათი ავბედითი თავგადასავალი ბიბლიურ თქმულებაში აისახა.

ამავე რიგისაა ის უბედურებაც, რომელიც ქალაქ კადეშიდან აქაბის ყურისაკენ მიმავალ მოგზაურებს შუა გზაში დაატეხეს თავს შხამიანმა გველებმა. შვეიცარიელმა მოგზაურმა ბურკჰარდტმა 1809—1816 წლებში მოიარა სინას ნახევარკუნძული. ბიბლიაში მოხსენებული მარშრუტის შესაბამის ადგილებში იგი

ერთგან წააწყდა ხეობას, რომელშიც აურაცხელი შხამიანი გველი ფუოფუოებდა. ისინი აქ უხსოვარი დროიდან ბუდობენ. ბედუინები ფეხს არ ადგამენ ამ მიდამოებში. მაშასადამე, შესაძლოა, თქმულების ეს ფრაგმენტიც ისევე ემყარებოდეს ნამდვილ ფაქტებს, როგორც მწყერების მიფრენის ეპიზოდი.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ეგრეთ წოდებული „ტანჯვანი ეგვიპტისანი" არც თუ იშვიათად მოევლინებოდნენ ხოლმე ფარაონთა ქვეყანას. ყველა მათგანი, მეათის გარდა, ეგვიპტისათვის საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წყალდიდობის დროს ნილოსი ხშირად იცვლის ფერს — ეთიოპიის ტბებიდან ჩამოტანილი შლამი წყალს მიხაკისფრად ან წითლად ღებავს. გარდა ამისა, დროდადრო, ნილოსის ადიდების დროს, კოღოები და სხვა მავნე მწერები ძალიან მრავლდებოდნენ; ეგვიპტელ გლეხებს ეს მოვლენა მართლაც რომ უბედურებად მიაჩნდათ. სეტყვა ძალიან იშვიათი კი იყო ნილოსის მიდამოებში, მაგრამ ხანდახან მაინც მოდიოდა და საგრძნობ ზიანსაც აყენებდა იქაურობას. სამაგიეროდ, გაცილებით უფრო ხშირად ტანჯავდა ეგვიპტეს სხვა უბედურება — კალიების შემოსევა. „ეგვიპტური სიბნელის" მიზეზი კი იყო უსწრაფესი გრიგალი — სიროკო. მას უდაბნოში მოხვეტილი ქვიშის უზარმაზარი მასები მოჰქონდა ეგვიპტისაკენ, მზის სინათლე ქვიშის ბურში ვეღარ აღწევდა და ქვეყნად სრული სიბნელე ისადგურებდა.

ბიბლიის თანახმად, ყველა ეს სატანჯველი მოსემ მოუელინა ეგვიპტეს ჯიუტი ფარაონის დასამორჩილებლად. როგორ შეიძლებოდა ასეთი ლეგენდის გაჩენა? ამ კითხვას იოლად გავცემდით პასუხს, რომ ზემოთ აღნიშნული კატასტროფები ეგვიპტეში მომხდარიყო ფარაონ მერნეპტაჰის მეფობის ჟამს, ესე იგი, იმ დროს, როცა მოსე იქ მოღვაწეობდა. უბრალო, ცრურწმენებით შებოჭილი ისრაელიტელები იოლად დაიჯერებდნენ, რომ ეს სასჯელები ეგვიპტელებს მოუელინა მოსემ — დიდმა ჯადოქარმა და იაჰვეს წარმომადგენელმა. უფრო მეტიც: სავსებით შესაძლოდნელია, რომ ეგვიპტელებსაც დაეჯერებინათ ეს ამბავი, მათ ხომ მისანთა არსებობა სწამდათ. ისტორიული დოკუმენტები და ბიბლია გვამცნობს, რომ ეგვიპტელები თავიანთ ქურუმს მიაწერდნენ ისეთსავე ზებუნებრივ ცოდნას, როგორიც მოსემ ფარაონის წინაშე გამოაელინა.

ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა მოვლენათა ჩვეულებრივ თანმიმდევრობასთან დროში (Post hoc), რომელიც ადამიანებს სწორ მიზეზობრივ კავშირად (Propter hoc)* მიიჩნიონ. ისრაელიტელთა აზრით, მოსე იყო ყოვლისშემძლე სასწაულმოქმედი,

რომელმაც თავისი სასწაულებით არაერთხელ გააოცა და შეაშინა თანამემამულენი. მაშასადამე, მას შეეძლო, ეგვიპტის თვისაც მოევლინებინა ზედიზედ ათი სხვადასხვა სატანჯველი, სწორედ ასეთი ილუზიის საინტერესო მაგალითს ვხვდებით ე. როსტანის ცნობილ პიესა „შანტეკლერში". ამ პიესის ერთმა პერსონაჟმა, მამალმა, შეამჩნია, რომ მზე ამოდიოდა სწორედ მაშინ, როცა ის დაიყივლებდა ხოლმე. მამალმა ირწმუნა, რომ ცისკიდურზე მზე ნამდვილად მას ამოჰყავს.

ამგვარადვე დაედო საფუძვლად მრავალ ლეგენდასა და რელიგიურ მითს მიზეზობრივი კავშირები, რომელსაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენებსა თუ შემთხვევებს მიაწერდნენ. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბიბლიური ტანჯვანი ნამდვილად მოევლინენ ეგვიპტეს ფარაონ მერნეპტაჰის დროს. ეს ამბები ასევე შეიძლებოდა მომხდარიყო დედაქალაქ რამესეში მოსეს დაბრუნებამდე რამდენიმე, ანდა ათეული წლებით ადრე.

ნუთუ ამასთან დაკავშირებით ჩვენი თეორია მცდარად უნდა მივიჩნიოთ? პრინციპში, რა თქმა უნდა, არა, რადგან მას მხარს უჭერს კიდევ ერთი თვისება, რომელიც ახასიათებს ხალხის ფანტაზიას მითების შექმნისას. ეს თვისება ემყარება ასეთ საფუძველს: წელთა სვლის შესაბამისად, ადამიანთა წარმოდგენაში ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას შორის დროის მანძილი მცირდება მანამ, ვიდრე ამ მოვლენათა სრული სინქრონიზაცია არ მოხდება. ისრაელიტელებს ახსოვდათ ხალხური გადმოცემები იმ სტიქიურ უბედურებებზეც, რომლებიც ზედიზედ ატყდებოდა თავს ეგვიპტეს. იმისათვის, რომ თავისი ბელადის უძლეველობისათვის ხაზი გაესვათ, მათ დროთა ვითარებაში შექმნეს ლეგენდა, თითქოს ყველა ეს სასჯელი მოსემ მოუვლინა ეგვიპტეს. ამ ლეგენდამ მათ მორალური კმაყოფილება მიანიჭა, რადგან იგი შეურაცხმყოფელი იყო ამპარტავანი ფარაონისათვის, რომელმაც ისრაელიტელთა ტანჯვისათვის ღვთის სასჯელი დაიმსახურა.

ლეგენდის შექმნისას დროის უგულებელყოფისა და აღრევის სხვა მაგალითებიც გვხვდება ბიბლიაში. ქანაანის ქალაქი აი, რომელიც ბიბლიის თანახმად, ისუ ნავემ დაიპყრო, ზოგიერთი არქეოლოგის აზრით, იმ დროს უკვე ხუთასწლოვან ნანგრევებად იყო ქცეული. ქანაანის დამპყრობი ისრაელელების შთამომავლები ალბათ არა ერთხელ დაფიქრებულან მის ნანგრევებთან და ერთმანეთისათვის უთქვამთ: „აი, ისუ ნავეს მიერ ნანგრეული ქალაქი". პოპულარულმა ვერსიამ შემდეგ ბიბლიაში ჰპოვა ადგილი და მხოლოდ თანამედროვე არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა შეძლო მისი უარყოფა. ალბათ ანალოგიური რამ დაემართა იერიქონსაც. როგორც ინგლისის არქეოლოგიურმა

ექსპედიციამ ცხადყო, იერიქონი ქანაანში ეგვიპტიდან მოსულ ისრაელიტელთა გამოჩენამდე ერთი საუკუნით ადრე დაეცა.

უადგილო არ იქნება აქვე დავასახელოთ სხვა უაღრესად საინტერესო მაგალითიც მსგავსი ლეგენდებისა. მოსეს მზვერავებმა ქანაანიდან მოიტანეს ცნობა, რომ ქებრონში ცხოვრობდნენ გოლიათების შთამომავალი ენაკის ძენი. გავიხსენოთ, რომ ბასანის მეფე ოგიც გოლიათი იყო. იგი იძინებდა რკინის საწოლზე, რომელიც სიგრძით ცხრა და სიგანით ოთხი წყრთა იყო. როგორც ჩანს, ლეგენდა ამ გოლიათებზე შეიქმნა დოლმენებად* წოდებული ძველი მეგალითური საფლავების გავლენით. ასეთი დოლმენები ნაპოვნია აგრეთვე ევროპის ქვეყნებში. უჩვეულო ზომის გამო მათ „გოლიათების სარეცელი" უწოდეს. 1928 წელს გერმანელმა არქეოლოგმა გუსტავ დალმანმა დოლმენები აღმოაჩინა სწორედ ქებრონისა და ბასანის ყოფილი სამეფოს მიდამოებში.

ადრეული ქვის ეპოქის დროინდელი ეს მეგალითური საფლავები რკინასავით მაგარი ბაზალტითაა ნაგები. ალბათ აქედან წარმოდგა ბიბლიური გამოთქმა „რკინის სარეცელი". ხალხურმა ფანტაზიამ, რომელიც ვერ არჩევს, თუ დროის რა დიდი შუალედითაა დაშორებული ეს საფლავები მოსესაგან, დოლმენები ეგვიპტიდან გამოსვლას დაუკავშირა. ამის შედეგად ბიბლიურ ლეგენდაში ვკითხულობთ, რომ ქებრონში ცხოვრობდა გოლიათთა ტომი, რომ ბასანის მეფეც გოლიათი იყო.

რამდენიმე სიტყვა მეათე სასჯელის თაობაზე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ, ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ ბიბლიის მტკიცება, თითქოს სიკვდილი ირჩევდა მაინცდამაინც პირმშო შვილებსა და პირველშობილ შინაურ ცხოველებს. შეიძლება მაინც ვივარაუდოთ: ეს ლეგენდა გამოძახილია რომელიღაც ეპიდემიისა, რომელმაც ზედა ნილოსის მხარეში მრავალი ბავშვი იმსხვერპლა. ამ ეპიდემიას გესემამდე არ მიუღწევია; ასე რომ ებრაელ ბავშვებს მისი სუსხი არ მოხვედრიათ. ამბის დასასრული კი ხალხის ფანტაზიამ შექმნა. როგორც ესავისა და იაკობის თავგადასავლიდან და სხვა ბიბლიური ლეგენდებიდან ვიცით, ძველი ებრაელი ტომები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პირმშო ვაჟებს; ისინი მთავარი მემკვიდრეები და ოჯახის ტრადიციის გამგრძელებლები იყვნენ. პირმშო ძის სიკვდილი გაცილებით უფრო დიდ უბედურებად ითვლებოდა, ვიდრე მისი უმცროსი ძმების დაღუპვა. ამრიგად, ისრაელიტელებმა შექმნეს ლეგენდა, თითქოს იაჰვემ დამნაშავე ეგვიპტელები ძალიან მკაცრად დასაჯა იმით, რომ პირმშო ძენი და პირველშობილი პირუტყვი დაუხოცა.

კარგა ხანია, რაც ცხარე მეცნიერული კამათის საგნად ითვლება სასწაულებრივი გადასვლა მეწამულ ზღვაზე. ეს

რიული საკითხია და მას ჩვეულებრივ მაშინ განიხილავენ ხილმე, როცა მოსეს მარშრუტის მიმართულების გარკვევას ცდილობენ. ავტორები ზოგიერთი პოპულარული ბიოგრაფიებისა ამტკიცებენ, რომ ეგვიპტიდან გამოსავალი გზა უკვე საკმაოდ ზუსტადაა დადგენილი ბიბლიის ტექსტებისა და არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. სინამდვილეში კი თანამედროვე მეცნიერებას ჯერჯერობით უჭირს დაბეჯითებით რაიმეს თქმა ამის თაობაზე. ამ მოჩმახული ვერსიის მიზანია, დაამტკიცოს, თითქოს მოსე, მეწამულ ზღვაზე გადასვლის შემდეგ პირდაპირ გაემართა სინას მთაზე, რომელიც ბიბლიაში გაიგივებულია სინას ნახევარკუნძულის სამხრეთ კონცხზე მდებარე მთასთან. უპირველეს ყოვლისა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიურ ლეგენდაში ყველაფერი რიგზე არაა, ბევრი რამ მიჩუმათებულია და ცნობებიც ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამიტომ მარშრუტის მკაფიო სურათის აღდგენა ძალიან ძნელია. არქეოლოგები მთლად დარწმუნებულნი არ არიან, რომ აღმოჩენილი ნანგრევები და ბიბლიაში მოხსენებული პუნქტები ერთი და იგივეა. ასე მაგალითად, ისრაელიტელთა მოგზაურობაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ქალაქი მიგდოლი, რაც ძველებრაულად და ეგვიპტურ ენებზე ნიშნავს „გამაგრებულ კოშკს". ასეთი სახელწოდების ადგილები კი სხვადასხვა მიდამოებში აღმოჩნდა.

ამრიგად, ეგვიპტიდან გამოსვლის მარშრუტის აღდგენის ყოველგვარი ცდა ჰიპოთეზური ხასიათისაა. ამჟამად ასახელებენ სამ სავარაუდო გზას: ცენტრალურს, სამხრეთისას და ჩრდილოეთისას. ამ გზებზე მგზავრობის ეტაპთა გამოთვლა მძიმე საქმეა და მას დიდი დროც უნდა. სამი ათასი წლის წინათ მეწამული ზღვის დასავლეთი კიდე, რომელიც ამჟამად სუეცს ერთვის, გრძელდებოდა გაცილებით უფრო შორს ჩრდილოეთით და მწარე ტბებს უერთდებოდა. გეოლოგიურმა გამოკვლევებმა ეს ფაქტი თვალნათლივ გვიჩვენეს. ახლა ამ ადგილზე მდებარეობს სუეცის არხი, ოდესღაც კი აქ გაშლილი იყო საფლობებითა და ხმელეთის ვიწრო ზოლებით გადასერილი პატარა ჭალები. ზღვას, რომელზეც ისრაელიტელები ფეხდაუსველებლად გადავიდნენ, ძველებრაულად იამ-სუფი ჰქვია. იამ-სუფი სიტყვასიტყვით „ლელიანის ზღვას" ნიშნავს. მტკიცება, თითქოს აქ მეწამული ზღვა იგულისხმება, გვხვდება მხოლოდ ახალ აღთქმაში. მეწამულ ზღვაზე კი ლელი არც მაშინ იყო და არც ახლა არის. მის ახლომახლო მდებარე პატარა ტბებისა და ჭალების ჭაობიან მიდამოებში კი იგი უხვად იყო.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბიბლიური იამ-სუფი სწორედ მწარე ტბებია. ახლა კი იოლად შეიძლება მოსეს სასწაულის ახსნა. ებრაელები პატარა ფონსა და ხმელეთის ვიწრო

ზოლებზე გავლით ადვილად გადალახავდნენ ჭალებსა და ჭაობებს. მძიმე ეტლებით მიმავალი ეგვიპტელები კი ალბათ ლიამპალთა ლაბირინთში მოხვდნენ, ჭაობში ჩაეფლნენ და, როგორც ბიბლია ამტკიცებს, შესაძლოა, კიდეც დაიხრჩვნენ. აქ ხომ გამალებით ქროდა ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარები, რომლებიც წყლის უზარმაზარ ტალღებს მოაგორებდნენ და მეჩეჩებს უცბად აქცევდნენ მაცდუნებელ სიღრმედ.

როგორც ვხედავთ, ჰიპოთეზა საკმაოდ დამაჯერებელია. სამწუხაროდ, მას ერთი სუსტი მხარე აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტელები კარგად იცნობდნენ მწარე ტბების მიდამოებს და აქაურ სახიფათო გზებს; მაშ, რატომ მოქმედებდნენ ასე წინდაუხედავად? ეგვიპტურ არმიას ხომ თვითონ ფარაონი და ბრძოლებში ნაცადი მისი მხედართმთავრები მიუძღოდნენ. ძნელია, მათ დილეტანტობა და სიფრთხილის უკმარობა დაეწამოთ. ამრიგად, ამ სასწაულს სხვაგვარი ახსნა უნდა გამოვუნახოთ.

ყველაზე მეტი აღიარება ჰპოვა ზემოთ მოხსენებული ფრანგი ორიენტალისტის პიერ მონტეს გაბედულმა ჰიპოთეზამ. მონტე ვარაუდობს: დედაქალაქ რამესესგან გამოსული ისრაელიტელები პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ გაეშურნენ, შემდეგ კი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გაჰყვნენ და ქანაანის საზღვრისაკენ გასწიეს. გზად ისინი წააწყდნენ ეგვიპტელთა ციხე-სიმაგრეებს; მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ზღვის პირას დამკვიდრებულმა ტომებმაც. ბიბლია ამ ტომებს ფილისტიმელებს უწოდებს. ეს სახელწოდება მცდარია, რადგან ფილისტიმელები პალესტინაში რამდენიმე ათეული წლით გვიან შეიჭრნენ. ყოველივე ამან ისრაელიტელები აიძულა დაუყოვნებლივ შებრუნებულიყვნენ სამხრეთისაკენ.

ბიბლიაში არის ადგილები, რომლებიც ადასტურებენ ამ ვარიანტს, სახელდობრ, ეგვიპტიდან გამოსვლას ჩრდილოეთის გზით. მაგალითად: აქ მიგდოლი მიჩნეულია ეგვიპტის ყველაზე ჩრდილოეთ ქალაქად. არქეოლოგებმა მისი ნანგრევები აბუ-ჰასანში იპოვეს. გამოსვლათა წიგნში ვკითხულობთ: „უთხარ ძეთა ისრაელისათა, რათა მიიქცნენ და განეწყვნენ წინაშე ფიახიროთისა, შორის მიგდოლსა და შორის ზღვასა, პირისპირ ბაალ-ცეფონისა“ (გამოსვლათა, თ. 14, მ. 2).

ახლა კი ცნობილია, რომ ბაალ-ცეფონი იყო ქანაანის ღმერთის ბაალ-ცეფონის (ბელსეფონის) თაყვანისცემის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ამ ღმერთის სახელი კი „ჩრდილოეთის მეუფეს“ ნიშნავს. ბერძნები მას ზეუს კასიოსთან აიგივებდნენ. მისი ტაძარი აღმართული იყო პატარა ბორცვზე, მონს-კასიუსზე, რომელიც მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვისა და სირბონიხის ტბის შუა გაწოლილ ხმელეთის ვიწრო ზოლზე. სირბონისის ტბას შემდგომში ბარდავილის ტბა უწოდეს.

ისრაელიტელებმა უთუოდ ძველი, მოგზაურთაგან წავალი ტრასა ირჩიეს. ეს გზა გადიოდა ხმელთაშუა ზღვის სანაპირო-სა და ვიწრო ყელზე, ხმელთაშუა ზღვას რომ ყოფდა სირბონი-სის ტბისაგან.

ამ გზით რომაელებიც ხშირად სარგებლობდნენ. ჩვენი წელთაღრიცხვის 68 წელს რომის იმპერატორმა ტიტუსმა ამ მიმართულებით წაიყვანა თავისი ლეგიონები იერუსალიმში აჯანყებული ებრაელების წინააღმდეგ.

სირბონისის ტბა შდებარეობს ზღვის დონიდან რამდენიმე მეტრით დაბლა და ხშირად ისე ამოშრება ხოლმე, რომ მის ფსკერზე გავლა სრულებით არაა საშიში. ეგვიპტეში ბერძნების ბატონობის დროს ამ ტბაზე რამდენიმე კატასტროფა მოხდა. ხმელთაშუა ზღვაზე ამტყდარი მოულოდნელი ქარიშხლებისაგან მონადენი ტალღები ფარავდნენ ხმელეთის ვიწრო ზოლებს ტბის ფსკერზე და აბრჩობდნენ მოგზაურებს, რომლებიც გზის შემოკლების მიზნით ამ ფსკერს მიჰყვებოდნენ.

ამ ფაქტების საფუძველზე პიერ მონტემ ბიბლიაში აღწერილი მოვლენების მსვლელობა აღადგინა. ისრაელიტელებმა მოასწრეს ტბის ფსკერზე გავლა და ამომშრალი ტბის აღმოსავლეთ ნაპირს მიუახლოვდნენ. ეგვიპტელები ჩქარობდნენ, მათ უნდოდათ, გზა გადაეჭრათ, ალყა შემოერტყათ ლტოლვილებისათვის და ტბის ამომშრალ ფსკერზე ოთხით მიდიოდნენ. ისინი უზარმაზარ ქვაბურის ცენტრში იყვნენ, როცა ხმელთაშუა ზღვაზე მოულოდნელად ამოვარდა ქარიშხალი. ჩრდილოეთიდან მოვარდნილი გრიგალი უზარმაზარ ტალღებს მოერეკებოდა. ტალღებმა გადმოხეთქეს ვიწრო ჯებირი და თავს დაატყდნენ ეგვიპტელებს. ტბას სიგრძე სამოცდაათი, სიგანე კი ოცი კილომეტრი ჰქონდა. ეგვიპტელებს შეეძლოთ თავი შეეფარებინათ მაღალ ნაპირისათვის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ შორს იყო; ამრიგად, ისინი ბობოქარი წყალდიდობის მორევში დაიღუპნენ.

გადავიდეთ მოსეს ხუთწიგნეულის სხვა გაურკვეველ ეპიზოდებზე. აქ აღნიშნულია, თითქოს მოსემ ეგვიპტიდან წამოიყვანა ექესასი ათასი მამაკაცი (ქალებისა და ბავშვების გარდა); ესე იგი, სულ დაახლოებით ორ მილიონამდე კაცი. ეს რიცხვი პირველი შეხედვისთანავე მეტისმეტად გადაჭარბებული ჩანს, უდაბნოს მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების კარგმა მცოდნემ, ჩეხმა მოგზაურმა ალოის მუზილმა გამოიანგარიშა: ხუთი ათასი ოჯახისაგან შემდგარი ბედუინთა ტომი მარშის დროს ქმნის კოლონას, რომელიც სიგრძით სამზე მეტი და სიგანით ოცი კილომეტრისაა. რაც უფრო განიერია მარშის ფრონტი, მით უფრო ადვილია წყლისა და საძოვრის მიკვლევა. მაგრამ, სამაგიეროდ, მტრულად განწყობილი ტომების თავდასხმის საშიშროებაც იზრდება. მუზილის აზრით, ვარაუდი, თითქოს სინას ნახევარ-

კუნძულის ოაზისებში ორ მილიონ ისრაელიტელს შეეძლო თავის რჩენა, სავსებით არარეალურად უნდა მიეიჩნიოთ. ლაპარაკიც კი ზედმეტია იმის შესახებ, თითქოს ყველანი ერთ ბანაკში მოთავსდნენ, როგორც ბიბლია ამტკიცებს.

თანამედროვე ადამიანი, რომელმაც იცის, თუ რაოდენ დიდი მოცულობისაა დღევანდელი ორმილიონიანი ქალაქი, იოლად წარმოიდგენს, თუ რამოდენა ფართობს დაიკავებს ასეთი ბანაკი.

ეს კია, რომ თვით ბიბლიის მომდევნო წიგნებში დასახელებულია გაცილებით უფრო მცირე რიცხვები. ასე მაგალითად: ბიბლიური ვერსიის მიხედვით, იერიქონი ღაიმორჩილა მხოლოდ ორმოცი ათასმა ისრაელიტელმა მეომარმა. ტექსტიდან კი ვიცით, რომ მოსემ ყველა ტომს დაავალა ქანაანის დაპყრობაში მონაწილეობის მიღება. მსაჯულთა ძალაუფლების დროს ყველაზე მრავალრიცხოვან ტომს ორმოცი ათასი შეიარაღებული მეომარი გამოჰყავდა. ყველა მონაცემი ადასტურებს, რომ ებრაელები იმჟამად ნახევარ მილიონზე მეტი არ ყოფილან.

საიდან გაჩნდა ეს ფანტასტიკური რიცხვი?

ზოგიერთი მეცნიერი ასე ფიქრობს: ბიბლიის რედაქტორებმა შეცდომა დაუშვეს; აქ ლაპარაკია ექვსი ათას შეიარაღებულ მამაკაცზე. თუ მათ დავუმატებთ ქალებსა და ბავშვებს, ჯამი ოცდახუთი ათასს შეადგენს. ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ძველ ებრაულ არსებით სახელს „ელეფს", რომელიც არა მარტო „ათასს", არამედ „რაზმს", „ოჯახურ წრეს", „თაობასაც" ნიშნავს. სიტყვა „ელეფის" ასეთი განმარტების შედეგად უფრო მცირე რიცხვს ვღებულობთ, რადგან იგულისხმება არა ექვსასი ათასი მებრძოლი, არამედ მხოლოდ ექვსასი ოჯახი. როგორც ჩანს, ეს ბოლო რიცხვი ყველაზე უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ეგვიპტეში ყველა ებრაელ მელოგინე ქალს ორი ყრმის ამქმელი აუდიოდა და უვლიდა.

ცხადია, ასეთი მცირე ძალებით ებრაელები ვერ დაიპყრობდნენ იორდანის იქითა მხარეს და ქანაანს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ორმოცი წლის მანძილზე უდაბნოში ხეტიალის დროს ისინი სხვა ტომებს შეუერთდნენ.

ბიბლიაში აღნიშნულ ისრაელიტელთა რაოდენობის საკითხს არსებითად დიდი მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით ხუთი წიგნის კანონთა კრებულზე. XIX საუკუნემდე არსებობდა მოსაზრება, რომ ებრაულ კანონთა უძველესი კრებულის, ეგრეთ წოდებული აღთქმის წიგნების ავტორი თვით მოსე იყო. ტექსტის თანამედროვე ანალიზმა უცილობლად დაამტკიცა ამ შეხედულების უსაფუძვლობა. დღეს უკვე ძნელია უარყოფა იმისა, რომ საკანონმდებლო და რელიგიური დადგენილებანი (მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკმაოდ უწესრიგო-

დაა თავმოყრილი ხუთ წიგნში) სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნება და ძველი აურიდიული აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგია.

ზოგიერთი კანონის სიმკაცრე მის სიძველეზე მეტყველებს. ასეთია, მაგალითად, ბიბლიისეული პრინციპი: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ". ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა ჩაქოლვით. გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ ქალი თითქმის მონურ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო.

ამ ბარბაროსული სიმკაცრის გამოსახულებაა ერთ-ერთი წესი, რომელიც ამბობს: თუ ადამიანს მოკლავს ხარი, რომლის პატრონმაც იცოდა, რომ იგი საშიში ცხოველია, მაგრამ წინასწარ თადარიგი არ დაუჭერია, რათა ხარს არავინ მოეკლა, მაშინ ხარსაც და პატრონსაც სასჯელად ჩაქოლვით სიკვდილი მოელის.

მეორე მხრივ, ხუთწიგნეულში გეხვდება საკმაოდ ჰუმანური კანონები. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მონებსა და მხევლებს. მონა დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებინათ, თუ მეპატრონე მას თვალს დაუკსებდა, ან კბილს ჩაუმტვრევდა. კანონი მდიდრებისა და მევახშეების შეურაცხყოფისაგან იცავდა ქვრივებს, ობლებსა და ღარიბებს. აი, რამდენიმე მაგალითი: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი," „ნუ გაამრუდებ სასჯელსა შეწირისასა, ნუცა ობლისასა და ქვრივისასა. ნუ დაიტოვებ გიროდ სამოსელსა ქვრივისასა" (მეორე სჯულ. თ. 24, მ. 17). „და ასეთი არს ბრძანება მიტევებისა: ყოველმან, რომელმან ავალა მოყვასსა თვისსა, მიუტევოს მას ვალი და არა წაართვას მახლობელსა თვისსა და ძმასა თვისსა". (მეორე სჯულთ. თ. 15, მ. 2)

მოსეს ხუთი წიგნის კანონებში უპირატესად გამოხატულია საზოგადოებრივი მდგომარეობა იმ პერიოდისა, როცა ისრაელიტელებმა ქანაანში უკვე მკვიდრი ცხოვრება დაიწყეს და მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას მიჰყვეს ხელი. მაშასადამე, არ შეიძლება ეს კანონები შექმნილიყო უდაბნოში ხეტიალის დროს; სხვანაირად რომ ვთქვათ, მათი ავტორი მოსე ვერ იქნებოდა. რელიგიური წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა და მღვდლების მიმართ მოქალაქეთა ვალდებულებების განმსაზღვრელი მრავალი კანონი კიდევ უფრო გვიანდელია, რადგან ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან თეოკრატიულ წყობილებას, რომელმაც იერუსალიმში ფეხი მოიდგა მხოლოდ ბაბილონის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ. ერთი სიტყვით, ეგრეთ წოდებული აღთქმის წიგნი გვიხატავს სურათს ებრაული კანონმდებლობის ევოლუციისა, რომელიც მიმდინარეობდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ აღთქმის წიგნში წარმოდ-

გენილი ყველაზე ადრინდელი ებრაული კანონები ნასესხებია სხვა ძველი ხალხების კანონმდებლობიდან და შესაბამისადაა გადამუშავებული. გერმანელმა მეცნიერმა ა. ალტმა შრომაში, რომელსაც ეწოდება „ისრაელიტელთა სამართლის წყაროები", ნათელჰყო, რომ ეს კანონები შექმნილია ხამურაბის ბაბილონური კოდექსის, აგრეთვე ხეთური, ასურული, ეგვიპტური და ქანაანური კანონმდებლობის მიხედვით. ათი მცნებაც კი არ არის ისრაელიტელთა ორიგინალური შემოქმედება. იტალიელმა ისტორიკოსმა ჯუზეპე რიჩიოტიმ, „ისრაელის ისტორიის" ავტორმა, დეტალურად შეუდარა ერთმანეთს რამდენიმე ძველი ტექსტი და აღმოაჩინა, რომ ათი მცნება საოცრად ჰგავს ეგვიპტურ „მიცვალებულთა წიგნს" და შურპუს ბაბილონურ ლიტურგიულ ტექსტს. ამრიგად, ბიბლიის კომპილატორებმა აქაც ისარგებლეს მესოპოტამიისა და ეგვიპტის მემკვიდრეობით.

ახლა შევეხებით საკითხს, თუ როგორ შექმნა მოსემ ებრაული რელიგია. ამ პრობლემის მკვლევარები ძალიან საინტერესო დასკვნებამდე მივიდნენ.

ბიბლიური თქმულების მიხედვით, — ამბობენ ისინი, — მოსეს ლტოლვილობის ორმოცი წელი მადიამელებთან გაატარა. ეს ტომი წარმოშობით ახლოს იყო ისრაელიტელებთან. ბიბლიის მიხედვით, მადიამელები იყვნენ ჩამოშავლები აბრაამის ერთ-ერთი ვაჟის მადიამისა და მისი მეორე ცოლის ქეტურასი. ეს ტომი დასახლებული იყო აქაბის ყურის აღმოსავლეთ მიდამოებში, ახლანდელ არაბეთში. მოსე აქ ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში. მან ადგილობრივი მღვდლის ერთ-ერთი ქალიშვილიც კი შეირთო. მადიამის მიწაზე, ვულკანური მთის ქორების ძირში, პირველად გამოეცხადა მას ღმერთი იაჰვეს სახელით. გამოსვლათა წიგნში ძველი ებრაულიდან თარგმნილი ტექსტი ასეთია: „მე ვარ უფალი. ვეჩვენე მე აბრაამს, ისააკსა და იაკობს „უძლიერესი ღმერთის" (ელ-შადდაის) სახელით. და სახელი ჩემი „უფალი"[1] არა ვაუწყე მათ" (გამოსვლათა, თ. 6, მ. 2-3). მართალია, ხუთი წიგნის წინა თავებში შეგვხვდა სახელი „იაჰვე", მაგრამ ახლა ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ეს სახელი აქ გაცილებით გვიან ჩაწერეს ბიბლიის კომპილატორებმა.

ბევრი მეცნიერი ვარაუდობს, რომ იაჰვე მადიამელთა ომის ღმერთი იყო და მოსე მისი მიმდევარი გახდა. ეგვიპტეში დაბრუნებისთანავე მან განიზრახა იაჰვეს კულტი დაენერგა ისრაელიტელთა შორის. თავისი მოძღვრების ყველაზე გულმოდგინე მომხრეები მოსემ გამონახა ლევის ჩამოშავალთა ტომში, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი

[1] „უფალი" — ე. ი. იაჰვე (რუს. მთარგმნელის შენიშვნა).

ესოდენ განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ლევიტელებს ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. მართალია, მოსემ მათ არაფერი არგუნა ქანაანის განაწილების დროს, მაგრამ, სამაგიეროდ, ათეულის აკრეფის უფლება მიაკუთვნა და მატერიალურად უზრუნველყო. ისინი ღვთის ტაძარში ასრულებდნენ მღვდელმსახურთა, მცველთა, ხაზინადართა, მწერალთა, მგალობელთა და მსახურთა მოვალეობებს.

ლევიტელთა ეს პრივილეგიურ-ზეტომობრივი როლი მოწმობს, რომ მათ ეკისრებოდათ იაჰვიზმის ქადაგება ხალხში, რომელიც იოლად ითვისებდა კერპთაყვანისმცემლობას, ეგვიპტისა და ქანაანის ღმერთების კულტს; ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მადიამელთაგან ახლასან გადმოღებულ იაჰვიზმს ჯერ კიდევ ღრმად ვერ გაედგა ფესვები. სინას მთასთან ხალხი ძველი ღმერთების დაბრუნებას მოითხოვდა. სწორედ მაშინ დააწესა აჰრონმა ოქროს ხბოს კულტი. ხბო არის ხარის (აპისის) დამაკნინებელ-შეურაცხმყოფელი სახელი. ბიბლიის თანახმად, ისრაელიტელები ოდესღაც ეგვიპტეში თაყვანს სცემდნენ აპისს. შესაძლოა, ამ მხრივ ისინი ქანაანელთა გავლენას განიცდიდნენ.

ლევიტელთა პრობლემა საკმაოდ რთული და ბუნდოვანია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ლევიტელები წარმოადგენდნენ კადეშის ქურუმთა კასტას და არა ცალკე ტომს. მადიამის ყოფილი ტერიტორიის აღმოსავლეთით (დღევანდელი არაბეთის ტერიტორიაზე მდებარე ელ-ოლის მიდამოებში) ნაპოვნ წარწერებში ღმერთ უადდის ქურუმი ქალები აღნიშნულია „ლე"-ით, ქურუმი მამაკაცები კი „ლეტ" სიტყვათა ძირებით. თითქოს ამ სიტყვებიდანაა წარმოქმნილი სახელწოდება „ლევიტელი". მოსემ ცოლად შეირთო მადიამელი ქურუმის ქალიშვილი, მიიღო მისი რელიგიური რწმენა და შემდგომ თვითონვე გახდა ქურუმი, ესე იგი, ლევიტელი. მერე ლევიტელი მღვდლების ჯგუფს სათაოში ჩაუდგა და ეგვიპტეში გაემგზავრა, რათა თანამემამულენი იაჰვიზმისაკენ მიექცია. მაშასადამე, იგი მისიონერად მოევლინა ისრაელიტელებს, რომლებიც ეგვიპტელ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს.

ჰიპოთეზა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზეტისმეტად სუსტ საფუძველს ემყარება და ხელაღებით მისი დაჯერება არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე მეორე მოსაზრებაც არსებობს. ზოგიერთმა მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სახელწოდება „ლევი" ენათესაობა ძველებრაულ სიტყვას, რომელიც „გველს" ნიშნავს. სხვათა შორის, „ლევი" შედის მითიური ურჩხულის, ლევიათანის სახელწოდებაში. გარდა ამისა, დადგენილია განსაცვიფრებელი ფაქტი: ლევიტელებში გავრცელებული იყო სახელები, რომელთა ძირებსაც „გველის" მნიშვნელობა აქვს.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან?

ამ თეორიის მიხედვით, ლევიტელები ეგვიპტეში თაყვანს სცემდნენ გველის ღმერთს და თავისი კულტი არ ეთმობოდათ. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ გველის კულტმა პალესტინაში კიდევ რამდენიმე საუკუნის მანძილზე გაძლო და რომ ისრაელიტელთა შორის მას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ამ აღმოჩენით შუქი ეფინება საიდუმლოებით მოცულ ეპიზოდს: მოსემ ბანაკში გველის გამოსახულება დადგა, რათა ჯანმრთელობა დაებრუნებინა შხამიანი გველების მიერ დაკბენილი ადამიანებისათვის. ჩანს, ლევიტელებმა ეს იმიტომ ჩაიდინეს, რომ სჯეროდათ: გველის ღმერთმა განდგომის გულისთვის ხალხი დასაჯა და უბედურება მოუვლინაო. მოსემ შეისმინა მათი დაჟინებითი მოთხოვნა და დასტური მისცა, რომ იაჰვესთვისაც ეცათ თაყვანი და ძველი ეგვიპტური კულტიც შეენარჩუნებინათ. ასეთი სინკრეტული კომპრომისები ხშირად იჩენდა ხოლმე თავს სხვა რელიგიებშიც. ასე რომ, ისრაელიტელთათვის ეს მოვლენა გამონაკლისი არ ყოფილა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მეფე სოლომონი. მართალია, იგი თაყვანს სცემდა იაჰვეს, როგორც ღმერთს, მაგრამ ამავე დროს ბრძანებდა, იერუსალიმში ქანაანელი ღმერთების ქანდაკებებიც დაედგათ.

დიდი მორალური ავტორიტეტისა და წმინდანის შარავანდედის მიუხედავად, მოსე ვერ გაექცა განაწყენებული იაჰვისტების საყვედურებს — გველის ღმერთის კულტი რომ დაუშვი, ამით ებრაულ რელიგიას ჩირქი მოსცხეო. ეს ნათლად ჩანს მეფეთა მეოთხე წიგნში. აქ ვკითხულობთ, რომ იუდეველთა მეფემ ეზეკიამ (721—693 წ.წ. ძვ. წ.-აღ.) „დაამსხვრია გველი რვალისა, რომელი შექმნა მოსე, რამეთუ ვიდრე იმ დღემდე ძენი ისრაელისანი უკმეოდეს მას და უწოდდეს მას ნეხუშთანს“ (მეოთხე მეფეთა, თ. 18, მ. 4).

ამ სტრიქონებიდან შეიძლება დავასკვნათ ორი რამ:

1. ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ლევიტელები გველს თაყვანს სცემდნენ, სავსებით დამაჯერებელია. 2. გველის კულტმა ქანაანში ხუთას წელზე მეტ ხანს გასტანა. ეს კულტი ნებადართული იყო თვით მოსეს მიერ.

მოსე მადიამს მეორე სამშობლოდ თვლიდა; მან ხომ აქ თავისი ცხოვრების ორმოცი წელი გაატარა და გამონენილი მღვდლის ქალიშვილთან შეუღლებით დაუკავშირდა ამ ქვეყანას. ამრიგად, უაზრობა იქნებოდა, რომ მას ისრაელიტელები პირდაპირ თავის ნაცად მეგობრებთან და ახლობლებთან არ წამოეყვანა ეგვიპტიდან. იგი დაიმედებული უნდა ყოფილიყო, რომ მხოლოდ აქ მიიღებდნენ მათ დიდი პატივით და დაეხმარებოდნენ დასახული გეგმის განხორციელებაში. და მართლაც, ჩვენს ხელთაა გარკვე-

ული დამამტკიცებელი მონაცემები იმისა, რომ მოსე ნამდვილად მადიამში გაემგზავრა და არა სინას ნახევარკუნძულის კონცხზე, რომ მან იაჰვესთან კავშირი შეკრა ქორებზე და არა სინაზე. როცა მოსე ექსორიის დროს მადიამის მთის ძირში აღმოჩნდა, იაჰვემ მას ასეთი მითითება მისცა: „ოდეს გამოიყვანო ერი ჩემი ქვეყანით ეგვიპტით, მსახურებდენ ღმერთსა მთასა ამასა ზედა". (გამოსვლათა, თ. 3, მ. 12). ამ უთუოდ ანაკრონიზულ სიტყვებში საკმაოდ გარკვეულად ჩანს, რომ ებრაული ტრადიცია „საღმრთო წერილის" კომპილატორთა ეპოქამდე თაყვანს სცემდა ქორებს, როგორც წმინდა მთას. ამ მუხლის სხვაგვარი განმარტება არაფრით არ შეიძლება.

გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ არგუმენტს ამ საკითხის განხილვისას. ბიბლიაში სიტყვასიტყვით ვკითხულობთ: „ხოლო მთა სინა კუმოდა ყოვლად, რამეთუ გარდამოსრულ იყო ღმერთი მას ზედა ცეცხლითა და აღვიდოდა კვამლი, ვითარცა სახმელისა, და ირყეოდა ყოველი იგი მთა ძლიერად და ხმა საკვირისა აღვიდოდა და უძლიერეს იქნებოდა ფრიად. მოსე ეტყოდა და ღმერთი მიუგებდა მას ხმითა" (გამოსვლათა, თ. 19, მ. 18—19).

უეჭველია, რომ ესაა აღწერა ვულკანური მთისა, ყურთასმენის წამღები ხმით რომ აფრქვევდა ცეცხლს. ეს ცეცხლი კი ისრაელიტელებმა იაჰვეს ზებუნებრივ გამოჩინებად ეიღეს. ცნობილია, რომ სინის ნახევარკუნძულზე ვულკანები არასოდეს ყოფილა. აქაბის ყურის აღმოსავლეთ მხარეზე, ესე იგი, მადიამის ტერიტორიაზე კი გაბმულია ვულკანური მთების ჯაჭვი. ეს ვულკანები, მართალია, ახლა კარგა ხნის ჩამქრალია, მაგრამ მოსეს დროს კი მოქმედებდა.

ახლა ერთიც ვიკითხოთ: იყო თუ არა მოსე მომხრე ერთღმერთიანობისა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით? პასუხის გაცემა ჭირს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არ ძალგვიძს დავადგინოთ, რამდენად შეალამაზეს ბიბლიის ტექსტი გვიანდელმა კომპილატორებმა იმისათვის, რომ მოსე მონოთეისტად წარმოჩინათ. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ მას გააჩნდა მონოთეისტური იდეების ჩანასახი. ამ მხრივ მოსე ერთადერთი არ ყოფილა. ამერიკელმა ორიენტალისტმა ოლბრაითმა ლურსმული საბუთების საფუძველზე ნათელყო, რომ ძველი წელთაღრიცხვის 1500—1200 წლებში დასავლეთ აზიის ქვეყნებში მონოთეისტური ტენდენციები ფართოდ გამოვლინდა. საერთო განწყობილება შეიძლება მოსესაც გადასდებოდა, თუ დავუშვებთ, რომ იგი განათლებული კაც იყო და, რომ მას ახალი რელიგიური და ფილოსოფიური იდეები აინტერესებდა. მაინც შეიძლება ვივარაუდოთ: ყველაზე მეტი გავლენა მოსეზე მოახდინა ეგვიპტის ფარაონმა ეხნატონმა — მონოთეიზმის წინამორბედმა

და ღმერთ ატონის რელიგიის შემქმნელმა ატონს თაყვანს სცემდნენ, როგორც მზის სიმბოლოს. მოსე ჰელიოპოლისში სწავლობდა „ეგვიპტურ სიბრძნეს“ და გამორიცხული არაა, რომ მისი რელიგიური დოქტრინა როგორდაც დაკავშირებული ყოფილიყო ატონის კულტთან.

ეხნატონი მეფობდა ძვ. წ. XIV ს. შუა წლებში, ესე იგი მოსემდე. დაახლოებით ასი წლით ადრე. ფარაონის სიკვდილის შემდეგ ჰელიოპოლისის ქურუმები მკაცრად სდევნიდნენ ახალი კულტის თაყვანისმცემლებს და იმდენი ქნეს, რომ ეს კულტი მოსპეს. მაგრამ არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით დღეს ვიცით, რომ ძვ. წ. აღ. XIII საუკუნემდე არსებობდა ატონის გასაიდუმლოებული სექტები, რომლებშიც მეტწილად გაერთიანებულნი იყვნენ განათლებული ადამიანები, რადგან მხოლოდ მათ შეეძლოთ დაეფასებინათ ამ კულტის უბრალოება და ერთი ღმერთის (ქვეყნის შემოქმედისა და კაცობრიობის კეთილი მფარველის) არსებობის აბსტრაქტული იდეა.

მაშასადამე, სავარაუდოა, რომ მოსეს რაღაც ურთიერთობა ჰქონდა სექტანტებთან; შესაძლოა იგი იმ საიდუმლო ცერემონიალებშიც მონაწილეობდა, რომლებსაც ისინი მზის ღმერთის, ატონის, პატივსაცემად მართავდნენ. მან ალბათ იცოდა, რომ ეხნატონის ღმერთს ჰქონდა მეტისმეტად გონებაჭვრეტითი კონცეფცია, რომელიც უბრალო ხალხისათვის ზედმიწევნით ძნელი გასაგები იყო და ებრაელთა ფართო მასებში გავრცელებას ვერ ჰპოვებდა. ამიტომ მოსე იძულებული გახდა, სხვადასხვაგვარ კომპრომისებზე წასულიყო, ოღონდ ებრაელთა შეგნებაში მონოთეიზმის თუნდაც პირველი ნიშნები გაეღვივებინა. იგი თანამემამულეთა ცრუმორწმუნეობრივ ფანტაზიას იშველიებდა, როგორც სასწაულმოქმედი, მაგიური ხერხების გამოყენებისას, კი ერთნაირად სარგებლობდა ქურუმების მიერ ეგვიპტის ტაძარში ამოკრებილი ცნობებით და უდაბნოში მადიამელთაგან შეძენილი გამოცდილებით.

მოსე ცდილობდა გველის კულტი იაჰვიზმთან შეეერთებინა. მისი ღმერთი უხილავი არსება არ არის. იგი მადიამელთა ომის ღმერთის ყველა ატრიბუტს იძენს. ამ ღმერთის კონცეფცია ისეთივე პრიმიტიულია, როგორიც ისრაელიტელების ინტელექტი იყო. ხუთწიგნეულში წარმოსახული იაჰვე ცხადად მოგვაგონებს ბედუინ ბელადს, მთელი მისი ავითა და კარგით. იგი ყოველთვის წინ მიუძღოდა ისრაელიტელთა კოლონას, ცხოვრობდა კარავში, ომის დროს ხელმძღვანელობდა მხედრობას და ისეთი განრისხება იცოდა, რომ ათასობით კაცის მოკვლა შეეძლო, თუკი ისინი მას ეურჩებოდნენ. გარდა ამისა, მას მაინცდამაინც ის თვისებები გააჩნდა, რომლებიც უდაბნოში მომთაბარეთათვის იყო დამახასიათებელი; დაუნდობლად ებრძო-

და უზნეობას და მოითხოვდა, რომ ებრაელები სტუმართმოყვარულად შეხვედროდნენ უცხოელებს, თანაეგრძნოთ ღარიბებისათვის და ღირსეულად მოქცეოდნენ ტყვე ქალებს. ცხოველებსაც კი იცავდა იგი ადამიანთა სიმკაცრისაგან.

ეხნატონის გავლენა მოსეს რელიგიურ შეხედულებებზე მხოლოდ სავარაუდოა და იგი მარტოოდენ გონების თვალით განჭვრეტილ თეორიას წარმოადგენს. სამაგიეროდ, თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ ეგვიპტის გავლენის ზოგი სხვა ნიშანი. ასე მაგალითად: ძველ ებრაელებს მღვდლების განცალკევებული კასტა არ ჰყავდათ, ასეთი კასტა ვერ თავსდებოდა ძველ ებრაელ მომთაბარეთა პატრიარქალურ წყობაში. გესემში დამკვიდრებული ისრაელიტელები კი მიახლოებით იცავდნენ ეგვიპტური ღმერთების კულტს.

მხოლოდ მოსემ ჩამოაყალიბა ქურუმთა განცალკევებული კასტა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ქურუმთმთავარი. მეფის ასულის შვილობილი ახლო იცნობდა ეგვიპტელ ქურუმთა ინსტიტუტს. იგი დარწმუნდა, რომ ეს იყო ხელისუფლების დიდი ბურჯი და ნილოსის მიდამოებში გავრცელებული პროვინციული კარჩაკეტილობის ნიველირების ფაქტორი. ეს გამოცდილება მან გამოიყენა ქანაანზე ლაშქრობის დროს, ისრაელიტელთა შორის ჯერ კიდევ არსებული ტომობრივი ინსტიტუტის დასაძლევად და მათგან მონოლითური საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. ამ ორგანიზაციის შემამტკიცებელ ძალად უნდა ქცეულიყო ქურუმთა კასტა, რომელსაც აჰრონი ხელმძღვანელობდა. ზეტომობრივი კასტა, რომელსაც სხვადასხვა პრივილეგიები ჰქონდა მინიჭებული, ამ პრივილეგიათა და იაჰვეს ავტორიტეტის წყალობით ძალაუფლებით იყო მოსილი. როგორც კორეს აჯანყება მოწმობს, ისრაელიტელები წინააღმდეგობისა და პროტესტის გარეშე არ დამორჩილებიან ახალ ხელისუფლებას. თეოკრატიული წყობილების შემოღებას ხომ კლასობრივ განსხვავებათა გაღრმავება მოჰყვა. წარმოიშვა განსაკუთრებულ პრივილეგიათა მქონე საზოგადოებრივი ფენები.

ეგვიპტური გავლენა აშკარად გამოსჭვივის ბიბლიის იმ ეპიზოდში, სადაც აღწერილია ტანსაცმელი, რომელსაც მღვდლები იცვამდნენ ლიტურგიის (მღვდელმსახურების) დროს. ეს ტანსაცმელი ჰელიოპოლისელი ქურუმების სამოსლის ზუსტი ასლია. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ისრაელიტელი მღვდლები წვერს ატარებდნენ, ეგვიპტელები კი თმასაც იპარსავდნენ და წვერსაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვერ გაბედა მოსემ ძველისძველი სემიტური წესის დარღვევა.

შჯულის კიდობანიც ეგვიპტიდანაა გადმოღებული. თებელ და ჰელიოპოლისელ მღვდლებს პროცესიის დროს პატარა ყუთები დაჰქონდათ. ამ ყუთში ისინი კულტის რომელიმე საგანს

ლებდნენ. ყოველ ყუთზე ამოკვეთილი იყო ორი გენიის, ან მფარველი სულის ფრთაგაშლილი ფიგურა. ფრთები სკივრის სახურავს ფარავდა. ამრიგად, აღთქმის კიდობნის შემამკობელი ქერუბიმებიც კი ეგვიპტური წარმოშობისაა.

უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. შჯულის კიდობანი და საწამებლის კარავი ისრაელიტელთაგან გადაიღეს ბედუინთა ტომებმა. პალმირის ნანგრევებში აღმოჩენილ რომის ეპოქის ბარელიეფზე გამოსახულია აქლემი, რომელსაც ზურგით პატარა წმინდა კარავი მიაქვს. ამ ეგვიპტურ-ებრაული წესის კვალი დღემდე შემორჩა რუბალის ტომის ბედუინებს, რომლებიც მომთაბარე ცხოვრებას მისდევენ სირიის უდაბნოში. მათ აქლემით დააქვთ თავისებური სკივრი. ამ სკივრს ჰქვია მარქაბი ანუ ისმაილის კიდობანი და იგი ტომის თავისებურ წმინდა რელიკვიას წარმოადგენს.

ბიბლიის ტექსტში ეგვიპტის გავლენის სხვა მაგალითებსაც ვხვდებით. გავიხსენოთ ეპიზოდი, რომელშიც მოსემ სახე საბურველით დაიფარა, და სიწმინდის ნიშნად თავზე რქების ფორმის ნათლის შარავანდედი დაედგა. ტაძარში რელიგიური რიტუალის საზეიმო შესრულებისას, აგრეთვე წინასწარმეტყველებათა დროს ეგვიპტელი ქურუმებიც ასევე იფარავდნენ სახეს რიდით. რქები არის გადმონაშთი ეგვიპტური კულტისა; ეგვიპტელები თაყვანს სცემდნენ ხარს აპისს და მისმა კულტმა ისრაელიტელთა სულში ღრმა კვალი დატოვა. ამას მოწმობს ოქროს კერპის — ხბოს ამბავი. რქები ებრაელთა შეგნებაში სიწმინდის სიმბოლოდ დარჩა. ბიბლიურ თქმულებებში გამოყვანილი ნათლის რქების მქონე მოსე არის ღვთისაგან მირონცხებული და ღვთიური საიდუმლოების შარავანდედით გაცისკროვნებული. სწორედ ასეთი დიადი, დაღვრემილი და თავზე რქებდადგმული წარმოგვისახა იგი მიქელანჯელომ თავის გენიალურ ქანდაკებაში.

უნდა გაგვაკვირვოს თუ არა იმან, რომ მოსე ეგვიპტის ძლიერ გავლენას განიცდიდა და სხვადასხვაგვარ ეგვიპტურ სიბრძნეს იყო ნაზიარები? მისი სახელი (ძველებრაულად მოშე) ისრაელიტური წარმოშობისა არაა. იგი ეტიმოლოგიურად უკავშირდება უგარითულ „მ-ვ-შ-ს", რაც „ახალშობილ ბავშვს" ნიშნავს, ან ეგვიპტურ „მეი" ზმნას, რომელსაც „შობის" მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ამის გამო ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ მოსე ეგვიპტელი იყო, დევნის დროს ძველებრაულ ტომებს შეეკედლა და დროთა ვითარებაში მათი ბელადი გახდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოსეს რელიგია თავისებურად სინკრეტული იყო. მასში ერთადაა შერწყმული ძველთაძველი, პატრიარქების დროინდელი ებრაული რწმენა, მადიამელი ომის ღმერთის კულტი, ეგვიპტელთა რელიგიური წარმოდგენები და წესები. არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, მესოპოტამიისა და ქა-

ნაანის სერიოზული გავლენაც. ამრიგად, მოსემ შექმნა სინთეზი, რომელიც ებრაელი წინასწარმეტყველების გვიანდელი ეთიკური მონოთეიზმის შემოქმედებითი საფუძველი გახდა.

ეგვიპტიდან გამოსვლის ისტორიაში წამდაუწუმ ვხვდებით განსაცვიფრებელ ამბებს. განსაკუთრებით საინტერესოა მოსეს მემკვიდრის, ქანაანის დამპყრობლის ისუ ნავეს საიდუმლოებით მოცული სახე. იერიქონის გათხრებში მონაწილე მეცნიერები, როგორც ვიცით, გადაჭრით ამტკიცებენ, რომ ეს ციხე-სიმაგრე ხელთ იგდეს რომელიღაც დამპყრობლებმა XIV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ეგვიპტიდან ისრაელიტელთა აქ მოსვლამდე დაახლოებით ასი წლით ადრე. მაშასადამე, ბიბლიური ისუ ნავე არ შეიძლებოდა ყოფილიყო იერიქონის დამპყრობი.

ბიბლიის ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი ცდილობს ეს დილემა შემდეგნაირად გადაჭრას: მთელი თავისი არსებობის მანძილზე ებრაელი ხალხი იყოფოდა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ, ჯგუფად: ისრაელიტელებად (ე. ი. ისრაელის ჩამოშავლებად), რომელთაც პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილი ეკავათ, და იუდეველებად, რომლებიც სამხრეთით ცხოვრობდნენ. მათ შორის ღრმა ანტაგონიზმი იყო. მხოლოდ ცოტა ხნით, და ისიც იძულებით, გაერთიანდნენ ისინი მონოლითურ სახელმწიფოდ. ეს მოხდა საულის, დავითისა და სოლომონის მეფობის დროს. სოლომონის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო მალე ორ ნაწილად გაიყო. მათ შორის ისეთი გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა, რომ თითოეული მხარე უსინდისოდ ამყარებდა კავშირს საერთო, ძველთაძველ მტრებთანაც კი. ჩრდილოელმა ისრაელიტელებმა აიშენეს ახალი დედაქალაქი სამარია. იერუსალიმი კი იუდეველთა სახელმწიფოს დედაქალაქად დარჩა.

სავარაუდოა, რომ ასეთი ანტაგონისტური დამოკიდებულება გამოიწვია არა მარტო ამ სახელმწიფოთა მმართველ ორ სამეფო დინასტიას შორის არსებულმა მეტოქეობამ, არამედ სხვა გარემოებამაც. ამ გააფთრებული შუღლის საფუძველი უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო. ჩანს, მისი მიზეზი რაღაც ეთნიკური სხვაობები იყო.

როგორ ავხსნათ ეს სხვადასხვაობა? შესაძლოა, ამ კითხვის პასუხს შეიცავს ლურსმული ფირფიტები, რომლებიც აღმოაჩინეს ფარაონ ეხნატონის დედაქალაქის ნანგრევებში, იმ მიდამოებში, რომლის დღევანდელი არაბული სახელწოდებაა თელ-ამარნა. აქ არის დიპლომატიური მიმოწერა, რომელიც განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეს. ეგვიპტის ქანაანელი ვასალები ფარაონს ატყობინებენ — ხაბირუს სახელწოდებით ცნობილი უდაბნოს ტომები ჩვენს პატარ-პატარა სახელმწიფოებს თავს ესხმიან და გვძარცვავენო. თუ „ხაბირუ“-

ში იმალება ძველი ებრაული ტომების სახელწოდება (ებრაები), როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, მაშინ ეს წერილები ამტკიცებენ, რომ ძველი ებრაული ტომები ქანაანში შეიჭრნენ ეგვიპტიდან გამოსულ ისრაელიტელებზე საუკუნეზე ხევრით ადრე.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც: დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ითხოვენ ვასალები ისეთი ქალაქებისა, როგორებიცაა: მეგიდო, გეზერი, ასკალონი, ლაქიში და იერუსალიმი. წერილებში მოხსენებული არ არის ქალაქები: სიქემი, სილოქი, გიბეაქი, მისფაქი და იერიქონი. რატომ? ნუთუ ამ დროს ებრაელები უკვე ფლობდნენ ამ ქალაქებს? საინტერესოა, რომ ერთ-ერთ წერილში ნახსენებია მხედართმთაური ისუ. ისმის კითხვა: ხომ არ არის იგი, შემთხვევით, ჩვენთვის ხუთი წიგნიდან ნაცნობი ისუ? ამერიკელმა ორიენტალისტმა ფოუელ დევისმა, ზოგიერთ სხვა მეცნიერთან ერთად, აქედან ასეთი დასკვნა გამოიტანა: ძველ ებრაელთა რომელიღაც შტომ ან მოსეამდე საუკუნენახევრით ადრე დატოვა ეგვიპტე, ან აღმოსავლეთიდან შემოიჭრა ქანაანში და ჩვენთვის უცნობი ვინმე ისუს ხელმძღვანელობით, სხვა ქალაქებთან ერთად, XIV საუკუნეში იერიქონიც დაანგრია. მოსეს კი, ამ ვერსიის მიხედვით, ეგვიპტიდან გამოიყვანა მხოლოდ ლევიტელთა ტომი. ფოუელ დევისის ჰიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ლევიტელები, ისევე როგორც მოსე, აბორიგენებნენ ტიპიურ ეგვიპტურ სახელებს (ფინეზ, ური, ოფნი, ფასური). უდაბნოში ლევიტელებს შეუერთდნენ სხვა ტომებიც და შეიქმნა დიდი შეიარაღებული ძალა. იმის გამო, რომ ლევიტელებს სწამდათ თავიანთი ეგვიპტური წარმოშობა და სისხლით მოსესთან იყვნენ დაკავშირებულნი, ამ ტომობრივ ერთიანობაში მათ მაინც შეინარჩუნეს მმართველი, პრივილეგიური კასტის მდგომარეობა.

ეს ფაქტები შუქს ჰფენს ქანაანში შექმნილ ვითარებას. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დასახლდნენ იმ ებრაელთა შთამომავალნი, რომელნიც არასოდეს ყოფილან ეგვიპტეში, ანდა უხსოვარი დროიდან დატოვეს იგი. მათ შეითვისეს აქაური კულტურა და ქანაანელთა ღმერთების თაყვანისცემა დაიწყეს. ქვეყნის სამხრეთი ნაწილი, იუდეა, კი დაიკავეს ეგვიპტიდან წამოსულმა ისრაელიტელებმა. ეს ორი ჯგუფი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებითა და რელიგიური რწმენით ისე ღრმად განირჩეოდა ერთმანეთისაგან, რომ ასეული წლების მეზობლობამ და პოლიტიკურმა ურთიერთობამაც კი ვერ წარხოცა ეს სხვაობა. აქედან მომდინარე ანტაგონიზმმა და სისხლისმღვრელმა სამოქალაქო ომებმა, რომლის დროსაც ძმა ძმას არ ინდობდა, ბოლოს და ბოლოს დაღუპვის კარამდე მიიყვანა ისრაელიტელები.

ქანაანის ჩრდილოეთ ნაწილში დასახლებულ ისრაელიტელებს ჰყავდათ თავისი ნაციონალური გმირი, რომელსაც ისუ ერქვა. იგი იერიქონის ძლევამოსილ დამპყრობად ითვლებოდა. სამხრეთის მცხოვრებლები კი თაყვანს სცემდნენ მოსეს —თავიანთ ბელადს, სჯულმდებელსა და წინასწარმეტყველს.

მოგვიანებით, სახელმწიფოებრივი გაერთიანების ეპოქაში, საულის, დავითისა და სოლომონის გამგებლობისას, იერუსალიმის ქურუმებმა ისარგებლეს იუდეველთა ჰეგემონიით და ომი გამოუცხადეს ქანაანელ ღმერთებს. ერთიანი სახელმწიფო რელიგიის შექმნის მიზნით ისინი ცდილობდნენ, ჩრდილოეთის მცხოვრებთათვის თავს მოეხვიათ იაჰვეს კულტი. იაჰვიზმის ბრძოლა ბაალსა და ასტარტესთან ბიბლიური თქმულებების ერთ-ერთი დიდი ნაწილია. მონარქიის განმტკიცებისა და სხვა ქვეყნებზე იუდეველთა ბატონობის შენარჩუნების მიზნით, ქურუმებმა ქანაანში ყველა ტაძარი გააუქმეს, იერუსალიმის ტაძარი კი იაჰვეს კულტის ერთადერთ ცენტრად აქციეს. გარდა ამისა, ისინი ცდილობდნენ, მოსახლეობის ორივე ჯგუფში აღმოეფხვრათ ტრადიციასა და კულტურაში არსებული განსხვავებანი და ამით მიეღწიათ სულიერი ერთიანობისათვის. ამ მიზნით გააერთიანეს ებრაელმა მღვდლებმა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ციკლი ლეგენდებისა: ჩრდილოური ციკლი ისუ ნავეზე და სამხრეთული მოსეს შესახებ. ასეთი ხერხით გადამუშავებულ თქმულებებში ისუ ნავე, რა თქმა უნდა, დაიკავებდა მეორე ადგილს მოსეს შემდეგ, როგორც მისი თანაშემწე და მემკვიდრე; ბუნებრივია, რომ ეგვიპტიდან წამოსულ ისრაელიტელთა შთამომავლებმა ისუ ნავესთან ერთად თავის თავი გაასაღეს იერიქონის დამპყრობლებად. ახალმა ვერსიამ ფეხი მოიკიდა და დამკვიდრდა იმის გამო, რომ ასურელებმა ისრაელიტელთა ჩრდილო სამეფო დაიპყრეს და გააპარტახეს. იუდეველთა სახელმწიფო გახდა ნაციონალური ტრადიციების ერთადერთი მემკვიდრე და განმგრძობი მაშინ, როცა ჩრდილოეთის ტომებმა, რომელთა მეტი წილი განადგურებული იყო, ერთი ნაწილი კი — ტყვედ ჩავარდნილი, ფაქტიურად არსებობა შეწყვიტეს.

ამ ჰიპოთეზის თანახმად ისუ ნავეს ბიოგრაფია ასე თუ ისე გარკვეულია, აჰრონის ამბავი კი ჯერ კიდევ არაა მთლად ნათელი. ხუთწიგნეულის უძველეს ნაწილებში იგი საერთოდ არაა ნახსენები, გვიანდელ ტექსტებში კი უფრო მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ამ ფაქტის ახსნა შეიძლება ორგვარად: ან ისუ ისტორიული პიროვნება იყო (ამ შემთხვევაში კი იგი მოსეს ძმა ვერ იქნებოდა და არც მოსეს შეეძლო მისი დანიშვნა მდვდელმთავრად), ან ყველაფერი, რაც მის შესახებაა თქმული ბიბლიაში, შეთხზულია ამ ნაწარმოების ავტორთა მიერ.

ფოუელ დევისმა მახვილგონივრულად გადაჭრა ეს დილემა.

იგი ამტკიცებს — აჰრონის მიერ ოქროს ხბოს კულტის დაწესება ნამდვილი ამბავიაო. ჩრდილოეთში მცხოვრები ძველი ებრაული ტომები საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდნენ ხარის კულტს. თავდაპირველად მას ნაყოფიერების ღმერთად მიიჩნევდნენ, მოგვიანებით კი, იუდეველთა გავლენის გავრცელების დროს, იაჰვეს სიმბოლოდ. განხეთქილების შედეგად იუდეველებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ისრაელის მეფემ იერობოამმა ამ კულტის მნიშვნელობა კვლავ განამტკიცა. მან ბეთელსა და დანში ხარის ქანდაკებები აღმართა. დევისი ფიქრობს, რომ აჰრონი ოდესღაც ამ კულტის რჩეული ქურუმთმთავარი იყო და იქაური ქურუმების კასტა მას თაყვანს სცემდა, როგორც თავის მამამთავარს.

ისმის კითხვა: ბიბლიის კომპილატორებმა თავის თქმულებაში აჰრონი რატომღა მიიჩნიეს მოსეს ძმად და იაჰვეს ქურუმთმთავრად? ჩრდილოეთში გავრცელებული ხარის კულტის ქურუმს უპირატესად ხომ გაკიცხვა უნდა დაემსახურებინა მათგან. და მართლაც: აჰრონი გაძოყვანილია სუსტი ნებისყოფის კაცად, რომელიც მოსეს არ ყოფნის დროს ბრბოს ნებას დაემორჩილა და კერპთაყვანისმცემლობით დაიმცირა თავი. ამ დახასიათებაში უთუოდ შეიგრძნობა მტრული ტონი. წმინდა წიგნებში ამ დრამატული ინციდენტის შეტანის ფაქტიც კი ფრიად ბევრს გვეუბნება. იგი მოწმობს, რომ ისრაელიტელებს არ დაეწყებიათ აჰრონის წარმოშობა და მისი როლი ჩრდილოეთში გავრცელებული ხარის კულტის საქმეში. ბიბლიაში აღწერილი როკვა ოქროს ხბოს გარშემო უკანასკნელი მაგალითია იმისა, რომ ებრაელებს აჰრონის წინაპრები და ხარის კულტი ახსოვდათ.

ბიბლიაში წარმოდგენილმა საოცარმა დეტალებმა ფოუელ დევისს საფუძველი მისცა საინტერესო დასკვნების ჩამოყალიბებისათვის. იაჰვეს ქურუმები, ამბობს იგი, თავდაპირველად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ლევის შთამომავალნი, რომლებიც მოქმედებდნენ არა მარტო იუდეველთა ტერიტორიაზე, არამედ ქანაანის ჩრდილოეთ ნაწილშიც. აქ ისინი ადგილობრივ ძველებრაულ ტომებს მოსეს რელიგიის მისიონერებად ევლინებოდნენ, მაგრამ ლევიტელებთან ერთად აქ მოქმედებდა ქურუმთა სხვა კასტა; მისი ქურუმები თაყვანს სცემდნენ ხარის სახით ხორცშესხმულ იაჰვეს და თავის ძალაუფლებას ასაბუთებდნენ იმით, რომ მღვდელთმთავარ აჰრონის შთამომავალნი იყვნენ. ასე ყალიბდებოდა ორი, ერთმანეთისაგან განკერძოებული, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი კორპორაცია ქურუმებისა. თითოეულს საკუთარი ტრადიციები ჰქონდა და საკუთარი წინაპრები გააჩნდა.

ისრაელის ჩრდილოეთ სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ქუ-

რუმებმა მოინდომეს კულტის მონოპოლიზაცია იერუსალიმის ტაძარში. მათ ქანაანის ყველა საკულტო ცენტრი გაანადგურეს და ტაძრებიდან განდევნილ ქურუმებს იერუსალიმში მოღვაწეობის უფლება მისცეს. ცხადია, ქურუმები ბევრნი იყვნენ. ამიტომ ამ პრივილეგიებით სარგებლობდა მათგან ყველაზე გამოჩენილი და მდიდარი. რიგით ქურუმებს ტაძრის მსახურთა უმნიშვნელო როლი დააკისრეს. ამრიგად, ლევიტელთა უმრავლესობამ დაკარგა მღვდლის წოდება და სასულიერო იერარქიაში დაბალი საფეხური დაიკავა.

ამ ძირეულ გადაჯგუფებას თან სდევდა ბრძოლა. რამდენიმე საუკუნით ადრინდელი კონფლიქტების აშკარა გამოძახილი იგრძნობა ლევიტელების, მარიამისა და აჰრონის, ამბოხებაზე შექმნილ თქმულებაში: რიცხვთა წიგნში ვკითხულობთ: „ნუთუ მოსეს მარტოსა უბრძანებდა უფალი; ანუ ჩვენცა არა გვეტყოდა?“ (რიცხვთა, თ. 12, მ. 2.). ცხადია, მოსეს ხუთი წიგნის შემდგენლები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ქურუმთა ახალი გაერთიანება თვით იაჰვეს ნებით იყო შექმნილი. ამის ცხადსაყოფად ისინი იმოწმებდნენ სასწაულებს, რომელთაც ეს ნება უნდა დაემტკიცებინათ. აჰრონის არგანი აყვავდა და ნუში მოისხა, ლევიტელები მიწამ ჩაყლაპა, მარიამი კი მძიმე სენმა — კეთრმა შეიპყრო. მხოლოდ და მხოლოდ აჰრონს ასცდა სასჯელი. იოლი გასაგებია, რატომ ქურუმებისათვის ზელსაყრელი არ იყო, ხალხის თვალში აჰრონის ავტორიტეტის შელახვა; იგი ხომ მათი მამამთავარი, უზენაესი ქურუმი იყო და მათ თავისი უფლებები და პრივილეგიები მისი წყალობით მოიპოვეს. იაჰვემ შეუნდო აჰრონს შეცოდება, რადგან ადრევე მიანიჭა მას საპატიო ადგილი თავის მიმდევართა შორის.

ქურუმთა ახალი კასტა საბოლოოდ ყალიბდებოდა სამხრეთელი ლევიტელების რჩეულ მოთავეთა და ჩრდილოელ აჰრონიდთა შორის მიღწეული კომპრომისის შედეგად. საჭირო იყო პრივილეგიური პოზიციის გამართლება დაბალი რანგის მდაბიო ქურუმთა უკმაყოფილო მასის წინაშე. ტრადიციული ლევიტური უფლებამოსილების დამოწმება არ შეიძლებოდა, რადგან ლევიტელთა უმრავლესობა ამ პრივილეგიას გამოეთხოვა. გარდა ამისა, ახლადშექმნილ კასტაში მიიღეს ქანაანის ჩრდილო რაიონების ქურუმთა არისტოკრატია, რომელსაც არაფრით არ შეეძლო დაემტკიცებინა თავისი თუნდაც შორეული ნათესაური კავშირი ლევიტელებთან.

ბიბლიის შემდგენლებმა ოსტატურად დააღწიეს თავი ამ სიძნელეს. მოსეს ხუთწიგნეულში მათ წამოაყენეს ვერსია, თითქოს აჰრონი იყო ძმა მოსესი, რომელმაც იგი იაჰვეს მღვდელთმთავრად დანიშნა. აჰრონი რომ ესოდენ დიდი ავტორიტეტით შემოსეს, ქურუმებმა ამით თავიანთი პრივილეგიები განამტკი-

ცეს, რადგან ამბობდნენ — აპრონის პირდაპირი შთამომავალნი ვართო. ამით ქურუმთა ახალი კასტა, რომელმაც ხალხის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში ყველაზე საპატიო ადგილები დაიკავა, ცდილობდა თავისი საგანგებო, განსაკუთრებული მდგომარეობის გამართლებას ჰერშიჩალაგამოვლებული ლევიტელების თვალში. ამის შედეგად ხარის კულტის უზენაესი ქურუმი ეგვიპტიდან გამოსვლის ისტორიაში მოხვდა, თუმცადა მას მოსესთან საერთო არა ჰქონდა რა. იგი ცხოვრობდა სხვა ეპოქაში და ქანაანის სხვა მხარეს.

როგორც ვხედავთ, მოსეს ხუთი წიგნი სავსეა საიდუმლოებით მოცული მოვლენებით. მოსეს სიკვდილიც კი ათასგვარ ეჭვს ბადებს. ბიბლია გვეუბნება, რომ მოსე გარდაიცვალა მთაზე, რომელიც მოაბის ზეგანზე მდებარეობს. თურმე არავინ იცის, სად ასაფლავია იგი; ხელმძღვანელი და წინასწარმეტყველი უკვალოდ იგამქრალა. არ ყოფილა და არც ახლა არის სადმე მისი აკლდამა, რომლის თაყვანისცემა შესაძლებელი იქნებოდა მადლიერი ხალხისათვის.

ზოგიერთმა მეცნიერმა, რომელიც ამ გამოცანის პასუხს ეძებდა, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ძველ მითოლოგიაში ნაციონალური გმირები ხშირად იღუპებიან საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში. საკმარისია, დავასახელოთ ჰერაკლე, თეზევსი და კორინთის ვაჟი ბელეროფონტი; ელია და რომული ცეცხლის ეტლებმა აიტაცა ცაში, ოდიპოსი კი დაიღუპა შურისძიების ულმობელი ქალღმერთების ევმენიდების წმინდა ჭალაში.

ბიბლიური ვარიანტი ყველა მკვლევარს რიდი მიაჩნია გმირის შესახებ მითის შექმნის ერთ-ერთ ტიპიურ მაგალითად. მოსეს დაღუპვის ამბავში ისინი რეალური ტრაგიკული მოვლენების კვალს ეძებენ. მათ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზათაგან მოკლედ მოვიყვანთ რამდენიმეს.

მოსეს ხუთწიგნეულში ნართაულადაა მოხსენებული მოსეს მიერ ჩადენილი რაღაც ცოდვა. როგორც ჩანს, დანაშაული ფრიად სერიოზული უნდა ყოფილიყო, რაკი იაჰვემ მოსე ესოდენ დასაჯა — უფლება წაართვა ქანაანში ისრაელიტელ ხალხთან ერთად შესვლისა. ბიბლიის რამდენიმე გადაკრული ფრაზა მიგვითითებს, რომ მოსემ დანაშაული ჩაიდინა კადეშში. შესაძლოა შეცოდება ის იყო, რომ მისი დაუდევრობის გამო ისრაელიტელებმა უგულებელჰყვეს თავიანთი მოვალეობა — არა სწირავდნენ იაჰვეს მსხვერპლს და წინადაცვეთაზეც უარს ამბობდნენ.

იოლი საკვარაუდებელია, რომ დანაშაულისა და დასჯის გვიან შეთხზული ვერსია იუდეველმა მღვდლებმა ადრინდელად გაასაღეს, უნდოდათ მოსეს მაგალითზე ეჩვენებინათ, თუ რაო-

დენ დიდი სასჯელი მოელოდა მას, ვინც იაჰვეს კანონებსა და მითითებებს ყურად არ იღებდა. შესაძლოა ისიც, რომ ამ ვერსიის ავტორი იყო თვით ისრაელიტელი ხალხი და, რომ ეს ლეგენდა ასეული წლების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. იქნებ ამით ისრაელიტელებმა გამოხატეს თავიანთი განაწყენება, რაღაც ძველი პრეტენზია მოსეს მიმართ და ამასთან ერთად თავისი საქციელის გამართლებაც სცადეს. მაინც რა აწყენინა მათ ასეთი მოსემ? ბიბლიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისრაელიტელებს მოსესთან იდილიური დამოკიდებულება არ ჰქონიათ; დავასახელებთ თუნდაც იმ კონფლიქტებსა და სისხლიან ბრძოლებს, რომელმაც მრავალი ათასი ადამიანი შეიწირა. ამ საქმეში დამნაშავე იყო თვით მოსე, რომელიც უჩვეულო სიმკაცრითა და ფანატიზმით სჯიდა იაჰვესაგან განდგომის ყოველ შემთხვევას. ამ გარემოებას ღრმა კვალი უნდა დაეჩინა მრავალი მომდევნო თაობის სულზე. ბიბლიის ზოგიერთ მკვლევარს ასეთი ვარაუდიც კი გაუჩნდა: მოსე მოკლეს მოაბში, ისრაელიტელ კერპთაყვანისმცემელთა ამბოხის დროს და საერთო საფლავში დამარხეს.

ამ ჰიპოთეზის მომხრენი იმოწმებენ საბუთებს, რომლებიც მართლაც ყოველმხრივ უნდა ავწონ-დავწონოთ. ჯერ ერთი, ბიბლიის ტექსტში დაბეჯითებითაა ნათქვამი, რომ თავისი სიცოცხლის ბოლო ხანებშიც მოსე მხნედ გრძნობდა თავს. მართალია, იგი ძალიან მოხუცი იყო, მაგრამ, როგორც მეორე სჯულის წიგნში ვკითხულობთ: „არა მოაკლდა ხედვა თვალთა მისთა, და არცა წარვიდა სიცოცხლის ძალა მისგან“ (მეორე სჯ. თ. 34, მ. 7). აღსანიშნავია ისიც, რომ მოსეს სიკვდილის შესახებ ყველა დუმს, თითქოს პირი შეუკრავთო. კაცმა რომ თქვას, ეს ერთ-ერთია იმ იშვიათ შემთხვევათაგან, როცა ეროვნული გმირის სიკვდილს მოკლედ აღწერენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირველი, ვრცელი აღწერა ამოიღეს ტექსტიდან; თითქოს ბიბლიის რედაქტორებს უნდოდათ დაემალათ ის დეტალები, რომლებიც მოსეს გვიან შექმნილ სახეს აყენებდნენ ჩრდილს. ბიბლიის ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მოსეს ასეთ ბედზე ზოგი რამ გადაკვრითაა გამოთქმული ოსეა და ამოს წინასწარმეტყველთა წიგნებში და ასმეექვსე ფსალმუნში.

თავის თანამედროვეთა თვალში მოსე ნამდვილი დესპოტი იყო, მაგრამ შემდგომმა თაობებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მის დამსახურებას ებრაელი ხალხის წინაშე. თანდათანობით, მრავალი წლის განმავლობაში მისი სახის გარშემო იქმნებოდა მითებისა და სასწაულების შარავანდედი. ძნელი იყო ამ სახისა და ნაძალადევი სიკვდილის ერთმანეთთან შეთანხმება. მისი ხალხის დანაშაული და უმადურობა მეტისმეტად აშკარა გახდებოდა და შთამომავლობას ნამეტნავად მძიმე ტვირთად და-

აწვებოდა. ამიტომ გაჩნდა ვერსია მოსეს ბუნებრივი სიკვდილისა, ვითომც იაჰვემ ამნაირად დასაჯა იგი რაღაც შეცოდებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ებრაელი ხალხის ბრალი არაა ის, რომ ღმერთმა მოსე აღთქმული ქვეყნის საზღვარზე მოკლა ბუნებრივი სიკვდილით.

რა თქმა უნდა, ეს რთული თეორია შეიძლება ვირწმუნოთ, მაგრამ ასევე შეგვიძლია უარვყოთ, რადგან მას საფუძველად უდევს მეტისმეტად არამყარი დებულებები. ეს თეორია გამოდგება იმის საჩვენებლად, რომ ჩვენ არსებითად, ძალიან ცოტა რამ ვიცით მოსეს შესახებ. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, ყველაზე სარწმუნო მაინც ის ფაქტია, რომ ნამდვილად არსებობდა კაცი, რომელსაც მოსე ერქვა და რომელმაც ეგვიპტის ტყვეობიდან გამოიყვანა ისრაელიტელები.

თაობიდან თაობაში გარდამავალ ლეგენდაში, ბელადი, რომელიც დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. თანდათან უფრო და უფრო წაიშალა ისტორიული პიროვნების რეალური ნიშნები. კიდეც რომ ვირწმუნოთ ჰიპოთეზა მოსეს რეალურად არსებობისა, ის მაინც უნდა დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ძველი აღთქმის მოსე ნამდვილ მოსეს ალბათ სულაც არა ჰგავს.

ისუ ძე ნავესი და მსაჯულები

ᲘᲔᲠᲘᲥᲝᲜᲘ — ᲑᲣᲠᲯᲘ ᲥᲐᲜᲐᲐᲜᲘᲡᲐ. ისრაელიტელებმა აღასრულეს მოსეს უკანასკნელი სურვილი: მოსეს სიკვდილის შემდეგ მთელი ძალაუფლება მიანდეს ისუ ნავეს ძეს[1], კაცს, რომელსაც უდაბნოს ტომებთან ჭიდილსა და იორდანის იქითა მხარის დასაპყრობად გაჩაღებულ ხანგრძლივ ომებში ჭკვიანი და მოხერხებული ბელადის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ეს კია, რომ ისრაელის ძეთა რჩეული უთუოდ უნდა ყოფილიყო სამხედრო ხელოვნების კარგად მცოდნე კაცი, რომელიც შეძლებდა მათი დიდი ხნის ოცნების განხორციელებას და ქანაანის დაპყრობას. ისუ ნავეს ძემ იცოდა, რომ ქანაანის მთავართა ქვის ბასტიონების შემუსვრა მოუწევდა, ისიც იცოდა, რომ უნდა პირისპირ შეხვედროდა საუცხოოდ გაწვრთნილ, საომარი ეტლების მფლობელ შეიარაღებულ რაზმებს. ამიტომ თავიდანვე გადაწყვიტა, ჯარში მკაცრი დისციპლინა დაემყარებინა. აქამდე ისრაელის ძენი, უდაბნოს სხვა ნომადებისა არ იყოს, არ იცავდნენ საბრძოლო მწყობრს და წარმოადგენდნენ ანარქიული გუნებაგანწყობის მქონე არაორგანიზებულ მასას. ამ ომში კი გამარჯვების შანსები შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ რეგულარულ არმიას, რომელიც უსიტყვოდ დაემორჩილებოდა ერთი ბელადის ბრძანებებს. სახალხო ლაშქარს, რომელიც ტომების თორმეტი შეიხის წინამძღოლობით იბრძოდა, ახალ პირობებში არავითარი რეალური ძალა აღარ გააჩნდა.

მოსეს სიცოცხლეშივე მოპოვებულმა დიდმა ავტორიტეტმა ისუ ნავეს ძეს საშუალება მისცა სწრაფად მიეღწია თავისი მიზნისათვის. მან მალე შექმნა სამხედრო ხელოვნების წესების მიხედვით ორგანიზებული ორმოცათასიანი არმია. ვერავინ ბედავდა, გამოეთქვა უკმაყოფილება და მის ბრძანებას არ და-

[1] ისუ ნავეს ძეს ქართულ წყაროებში ისუ ნაევსაც უწოდებენ (რედ.).

მორჩილებოდა. სიკვდილით დასჯა ელოდა ყველას, ვინც თუნდაც ბეწვისოდენად ეურჩებოდა ისუ ნავეს. ისუ ნავემ შეძლო ამ დიდი სამხედრო ძალის მართვა და მანევრირება. მან თავისი ხალხი იორდანის აღმოსავლეთ სანაპიროზე მიიყვანა და აბელ-შიტიმში დაიბანაკა. მდინარის მოპირდაპირე მხრიდან, პალმების ვრცელ წარაფში იერიქონის კოშკები მოჩანდა.

ციხესიმაგრე ზვიადად გადმოჰყურებდა ალაფსა და საშოვარზე მეოცნებე ისრაელის ძეთა ბანაკს. აღმოსავლეთიდან მომავალ დამპყრობთა არა ერთი და ორი ტალღა შესკდომია იერიქონის კედლებს და განადგურებულს დაუხვევია უკან თავისი შორეული ქვეყნისაკენ. საუკუნეთა განმავლობაში იერიქონი შეუდრეკელ ბურჯად იდგა ქანაანის შესავალში.

ისუ ნავეს ძე ნაცადი ბელადი იყო, ბრძად და წინდაუხედავად არ გაუშვია თავისი რაზმები ციხესიმაგრეზე იერიშის მისატანად. ჯერ მოინდომა, გარნიზონის ძალა და თავდაცვით ნაგებობათა ამბავი შეეტყო. მან ქანაანური ტანსაცმლით შემოსა ორი მებრძოლი და დასაზვერად გაგზავნა. მზვერავებმა ღამის წყვდიადში გადაცურეს მდინარე იორდანე. დილით, ჭიშკრის გაღებისას, ქალაქში შეიპარნენ და ხალხს — ვაჭრებს, მოხელეებსა და გლეხებს შეერივნენ. მთელი დღე მიმოდიოდნენ ქალაქში და მათთვის ხელი არავის შეუშლია. მაგრამ ქალაქიდან გასვლა კი დააგვიანდათ — ღამით ჭიშკარი უკვე ჩარაზული დაუხვდათ. გადაწყვიტეს, ღამე გაეთიათ ქალაქის გალავანზე მიშენებულ სახლში, რომ უცაბედად არავინ წამოხდგომოდათ თავზე. დიასახლისი, შეძავი რააბი, ჭკვიანი ქალი გამოდგა. ხელად მიხვდა, რომ სტუმრები უცხო ტომისანი იყვნენ, ისიც იაზრა, თუ ვინ იყვნენ უცხოელები. მიუხვდავად ამისა, მაინც მოყვრულად დაუხვდა: რააბი ხედავდა ღამღამობით იორდანის გაღმა დანთებულ მრავალ კოცონს და ამიტომაც მოინდომა, მომავალი დამპყრობლების ნდობა დაებეჭებინა, მაგრამ მაინც გამოჩნდა კაცი, რომელმაც უცნობები ნახა და ეჭვი აიღო. იერიქონის ამ ფხიზელმა მოქალაქემ ყველაფერი აცნობა მეფეს. მან ქალაქის შესასვლელში დაუყოვნებლივ გაგზავნა მცველები და უბრძანა, დაეკავებინათ საეჭვო უცნობები. მცველებს დავალებული ჰქონდათ, „გამოიყვანენ კაცნი, რომელნი მოვიდეს შენ თანა, რამეთუ მოსრულ არიან მოხილვად ქვეყანისა“.

რააბმა სარკმლიდან დაინახა მოახლოებული მცველები, სწრაფად აიყვანა მგზავრები სახლის ბანზე და მზეზე გახახმობად გაფენილ სელში ჩამალა. მცველებმა მთელი სახლი განხრიკეს, მაგრამ სელის კონებისათვის ხელი არ უხლიათ. სელს იერიქონის ყველა მოქალაქე ახმობდა ხახლის სახურავზე. ეს იმდენად ჩვეულებრივი სურათი იყო, რომ ეჭვს არავის აღუძ-

რავდა. რააბს ყველაფერი ჩაციებით გამოჰკითხეს, ის კი თავს ასე იმართლებდა: „ვთქვა მე მართალი: მოვიდეს ჩემდა ორნი, და მე არა ვიცი, თუ ვინ იყვნეს იგინი. და მწუხრი, ოდეს დახშან ბჭენი, განვიდეს და მე არა ვუწყი, სადა წარვიდეს. დევნა უყავთ მათ და ეწიოთ". ასე მოატყუა ცბიერმა რააბმა მოუსაზრებელი მცველები. ისინი გამალებით დაედევნენ უცხოელებს და იორდანემდე მივიდნენ. მერე კი პირში ჩალაგამოვლებულები გამობრუნდნენ უკან. მათ დაიჯერეს, რომ ჯაშუშებმა უკვე მოასწრეს მდინარეზე გადასვლა და თავიანთ ბანაკს შეუერთდნენ.

ამასობაში რააბიც არ მჯდარა გულხელდაკრეფილი. იგი სახლის სახურავზე ავიდა და მსტოვრებს დახმარება აღუთქვა, ოღონდ დააფიცა, რომ ქალაქის აღების შემთხვევაში ისრაელის ძენი მას, მის დედ-მამას, ძმებსა და დებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. მზვერავებმა სიამოვნებით დადეს ფიცი. ისინი გულწრფელად უმადლოდნენ რააბს გადარჩენას, ურჩიეს — ფანჯარაში, ქუჩის მხრიდან მეწამული ფერის საბელი გადმოკიდე და ომის დროს შენს ოჯახს დავინდობთო. შემდეგ თოკით დაეშვნენ ქალაქის კედელზე, ახლოს მდებარე მთებს შეაფარეს თავი და მიიმალნენ, რომ მცველებისათვის გზა-კვალი აებნიათ.

სამი დღის შემდეგ მზვერავებმა მშვიდობიანად გადაცურეს იორდანე და ისუ ნავეს აცნობეს ყველაფერი, ნანახი და გაგონილი. ბანაკში ბრძანება გაიცა: ყველას უნდა მოემზადებინა სამი დღის საგზალი. ღამით ჯარი და მოელი ხალხი მდინარის ნაპირს მიადგა და გადასვლა დააპირეს. ეს იოლი საქმე არ გახლდათ. გაზაფხული დადგა. ერმონის მთებში კოკისპირული წვიმების შემდეგ მდინარე საშინლად ადიდდა, იორდანეს ამ ადგილზე ფონით გასვლა არ შეიძლებოდა. ელდანაცემი ისრაელის ძენი შიშით შესცქეროდნენ ამღვრეულ, აბობოქრებულ მორევს, დახრჩობას რომ უქადდა დამპყრობლებს. მაინცდამაინც არც ქალაქის გალავანზე მოფუსფუსე იერიქონელები მოსდიოდათ თვალში. ქალაქის მკვიდრთ სწამდათ, რომ მდინარის ტალღები საიმედოდ იცავდა იერიქონს, ამიტომაც დაუპატიჟებელ სტუმრებს მუქარითა და ლანძღვა-გინებით დაუხვდნენ.

ისუ ნავე მდინარეზე გადასვლის იმედს არ კარგავდა, რადგან ღამით იაჰვეს ხმა შემოესმა. იაჰვემ კვლავ აუწყა მას ქანაანელებზე ისრაელიტელთა გამარჯვების გარდაუვალობა. დანიშნულ დროს ვერცხლის ბუკებმა ხმა გამოსცეს და ბელადის ბრძანებით მდინარეში პირველნი ლევიტელები შევიდნენ. მათ მხრებზე შჯულის კიდობანი შემოედგათ. ძლივძლივობით მიაპობდნენ აბობოქრებულ ტალღებს, წყალი მხრებამდე სწვდებოდათ, მაგრამ მაინც შეუპოვრად მიიწევდნენ წინ.

შუა წყალში რომ შევიდნენ, მოხდა ისეთივე ჩასწაული, რო-

გორიც მეწამულ ზღვაზე გადასვლისას. რამდენიმე მილის დაშორებით, მდინარის ზედა წელში, ქალაქ ადამის მახლობლად, იორდანე უცებ შეჩერდა ქვიან ნაპირებს შუა და მაღალ ზღუდედ აღიმართა. კალაპოტში დარჩენილი წყალი სწრაფად გაქანდა მკვდარი ზღვისკენ. ისრაელიტელები ფეხდაუსველებლად გადავიდნენ მდინარეზე და ორმოცი წლის ხეტიალის შემდეგ აღთქმულ მიწას დაადგეს ფეხი. გადასვლა რომ დამთავრდა, იორდანე კვლავ კალაპოტს დაუბრუნდა.

პირველად გალგალში შეჩერდნენ. ისრაელიტელთა ბანაკში უჩვეულო სიხარული სუფევდა. მთელ დღეს უგალობდნენ ჰიმნებს იაჰვეს. ქალები და ბავშვები მადლობის ნიშნად მხიარულად ცეკვავდნენ ნესტვთა და ებანთა ხმაზე. ისუ ნავემ შეკრიბა თორმეტი კაცი, ყოველი ტომიდან თითო, უბრძანა მდინარის ფსკერიდან თორმეტი ქვა ამოეღოთ და, უდიდესი სასწაულის სსოვნის ნიშნად, ამ ქვებით წრე შემოეკლოთ. გალგალში ისრაელიტელებმა მეორმოცეჯერ იდღესასწაულეს აღდგომა. ამიერიდან მათ მანანა აღარ დასჭირდებოდათ. იერიქონის დამუშავებული მინდვრები ისრაელიტელებს უსრუნველყოფდა მარცვლეულით, რომლისგანაც ისინი სმიადებს აცხობდნენ. იერიქონის მცხოვრებლები ლაჩრულად ჩაიკეტნენ ციხესიმაგრეთა კედლებში და მრისხანე უცხოელთა შეურაცხყოფას ველარ ბედავდნენ.

ისრაელიტელებმა გალგალში აღადგინეს დიდი ხნის უარეოფილი წინადაცვეთის წესი. ერთ დროს ეგვიპტიდან წამოსული მოხუცები დაიხოცნენ. ახალგაზრდა თაობამ კი წინაპართა რწმენას ზურგი შეაქცია და ქანაანელ ღმერთებს სცა თაყვანი. ახლა ისუ ნავეს ბრძანებით, ყველა ჭაბუკმა და ყრმამ დაიცვეთა. ამრიგად, იაჰვესთან დადებული აღთქმა ისევ განაახლეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მეომრებს ჭრილობები მოუშუშდათ და ისუ ნავემ იერიქონს ალყა შემოარტყა. მან უჩვეულო ხერხი იხმარა: ისრაელის ძენი ექვსი დღის განმავლობაში გამოდიოდნენ ბანაკიდან და დღეში ერთხელ საზეიმო პროცესიას მართავდნენ ციხესიმაგრის გალავნის გარშემო. პროცესიის დროს ციხესიმაგრიდან დაშორებულნი იყვნენ ისეთი მანძილით, რომ მტრის ნასროლი ისარი და ქვა მათ ვერ სწვდებოდა. ალყაშემორტყმულნი გალავანზე ადიოდნენ, გაოცებულნი და შიშმორეულნი გადმოჰყურებდნენ პროცესიას. ეჭვობდნენ, რომ მას რაღაც საზარელი გრძნეული ძალა უნდა ჰქონოდა. იერიქონის მთელი არსებობის მანძილზე არცერთ მომსდურს არ ჩაუდენია ასეთი უცნაური რამ. ამ მოქმედებაში იყო რაღაც შემაშფოთებელი, რაც ალყაშემორტყმულთ სულს უფორიაქებდა.

პროცესიას წინ მიუძღოდა შეიარაღებულ მებრძოლთა მწყობრი კოლონები. მათ კვალდაკვალ მისდევდნენ წვერიანი,

გრძელტანსაცმლიანი მამაკაცები და თავგამეტებით ახმიანებდნენ ბუკებს. შემდეგ მიდიოდა მამაკაცთა ჯგუფი, რომელსაც ოქროს ლატნებით ოქროს კიდობანი მიჰქონდა. კიდობანში ეწყო ფრთიანი ქერუბიმების ოქროს გამოსახულებები. პროცესიას ბოლოში მიჰყვებოდნენ საზეიმო ხამოსლით მოსილი ქალები, ბავშვები და მოხუცები. ყველა მონუსხულივით დუმდა, ისმოდა მხოლოდ ბუკების ძლიერი, ამაზრზენი ხმა.

მეშვიდე დღეს ისუ ნავემ გადამწყვეტი შეტევა დაიწყო. განთიადისას მან კვლავ გამოიყვანა ხალხი ბანაკიდან, მაგრამ ამჯერად წრიულ პროცესიას აღარ დახჯერებია. ისრაელიტელებმა, როგორც წინა დღეებში, ექვსჯერ მდუმარედ შემოუარეს გალავანს; მაგრამ მეშვიდე შემოვლისას ნიშანზე მღვდლებმა დაჰბერეს ნესტვსა და ერმა ღაღადყო ისე ძლიერად, რომ ზღუდე ქალაქისა საძირკვლამდე შეირყა და დაირღვა. ისრაელის ძეთა შეომრები ხსვადასხვა მხრიდან შეიჭრნენ ქალაქში და თავიანთ საშინელ საქმეს შეუდგნენ. რააბისა და მისი ოჯახის გარდა ყველა ამოხოცეს. არ დაინდეს არც ქალები, არც ბავშვები და არც პირუტყვი. ბოლოს გადაწვეს სახლები, ხალხის შესაკრები ყველა შენობა და ციხესიმაგრე ფერფლად აქციეს. ცეცხლს გადაურჩა მხოლოდ ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და რკინა, რადგან ძვირფასი ლითონები წინასწარვე იყო ნავარაუდევი უფლის სახლისა და იაჰვეს მღვდელმსახურთათვის.

დრაძატული მოვლენები აის ციხესიმაგრის კედლებთან. იერუსალიმის ჩრდილოეთით, ჰატარა ქალაქ ბეთელის მახლობლად, მთაგორიან ადგილზე მდებარეობდა გამაგრებული ქალაქი აი, რომელსაც გარშემო გალავანი ერტყა. ისუმ გადაწყვიტა, ამჯერადაც მზვერავები გაეგზავნა წინ. „აღეედით და მოიხილეთ ქვეყანა იგი!“ — ბრძანა მან. მზვერავები დაბრუნდნენ და ისუს ამცნეს — აი ჩვენს გასავლელ გზაზეა, მისი აღება პირდაპირ იერიშით შეიძლებაო. აის ისეთი ძლიერი ციხესიმაგრეები არ გააჩნდა, როგორიც იერიქონს, ამიტომ იფიქრეს, რომ მის დასაპყრობად სამი ათასი მებრძოლი იკმარებდა, მაგრამ აის დამცველები, იერიქონის მცხოვრებლებთან შედარებით, გაცილებით უფრო მამაცურად იქცეოდნენ. ქალაქის კარიბჭესთან გამართულ ბრძოლაში ისრაელელებმა გამანადგურებელი დამარცხება იგემეს და ზარდაცემულებმა დაიხიეს უკან. მოწინააღმდეგეებმა მათ ქალაქ შებარიმამდე მისდიეს. ისრაელის ძეთა ბანაკში სევდამ და გულგატეხილობამ დაისადგურა. ისუ ნავემ გაითვალისწინა მარცხის მრისხანე შედეგები. აის დამცველებმა ქანაანის სხვა ქალაქებს დაუმტკიცეს, რომ შეიძლება თავს დაცემული მტრის შემუსვრა მაშინაც კი, როცა მას

უძლეველის სახელი აქვს, ოღონდ გულადად და გაბედულად უნდა დახვდე.

მდგომარეობა რომ აწონ-დაწონა, ისუ ძე ნავესი იხვთმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, რომ ტანსაცმელი ზედ შემოიხია. იგი მთელი ღამე ლოცულობდა და ინანიებდა შჯულის კიდობნის წინაშე. იაპვეს შეეკედრა — ამიხსენი, რატომ განმიდევ, დახმარების ხელი რატომ არ გამომიწოდეო და საშინელი რაც შეიტყო: რომელიღაც ისრაელიტელს წმიდათაწმიდა სამხედრო ფიცი უგულებელეყო და ტაძრიხოვის განკუთვნილი ნადავლის ნაწილი მიეთვისებინა. ამ დანაშაულმა ღმერთი განარისხა. მხოლოდ დამნაშავის სიკვდილით დასჯა მოულბობდა გულს მას. მეორე დღეს ისუმ მთელი ერი შეყარა დამნაშავის აღმოსაჩენად. ეველა ტომს, გვარსა და ოჯახს უნდა მიეღო წილის გდებაში მონაწილეობა. წილი ყარეს და დანიშნული კენჭი იუღეველთა ტომის წევრს აქანს შეხვდა. იკი შეძრწუნდა და მაშინვე გამოტყდა: „ჭეშმარიტად შეეცოდე მე წინაშე უფლისა ღმერთისა ისრაელისა". მას თავისი კარვის ქვეშ ჩაემარხა ძვირფასი ტანსაცმელი, ორასი შეკელი ვერცხლი და ოქროს ზოდი. აქანის ნაჩვენებ ადგილზე მართლაც იპოვეს მის მიერ მითვისებული ნადავლი. დამნაშავე ქვებით ჩაქოლეს აქორის ხეობაში და მისი ქონება კოცონზე დაწვეს. დასჯის ადგილზე ქვების გროვა აღმართეს. ეს ძეგლი სამარადისო გაფრთხილება იყო ეველასათვის, ვინც კი ოდესმე გაბედავდა წმინდა სამხედრო ფიცის, თვით იაპვესაგან დადგენილი კანონის დარღვევას.

მწარე გამოცდილებამ ისუ ნავეს ქალაქ აის დასაპყრობად უფრო წინდახედულად დააწყებინა სამზადისი. ახლა ხერხითა და ეშმაკობით დააპირა ისუმ ქალაქის აღება. ღამით ახლომახლო, მთაგორიან ადგილებში ოცდაათი ათასი მეომარი დამალა. თვითონ განთიადისას დანარჩენ რაზმებს გაუძღვა და ქალაქის გალავნისაკენ დაიძრა, ვითომ პირდაპირ იერიშზე მიდიოდა. ახლახან მოპოვებული გამარჯვებით გამხნევებულმა აის მეფემ კარის გაღება ბრძანა. მან მთელი შეიარაღებული ძალები გამოიყვანა მტერთან სიბოლოო ღა გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად. მცირედი შებრძოლების შემდეგ ისუმ თავის ძალებს ანიშნა უკან დაიხიეთო. აის დამცველები დაედევნენ ვითომდა დამარცხებულ მტრებს, რომლებმაც ისინი შორს გაიტყუეს. უკან რომ მოიხედეს, ელდა ეცათ, მათი ქალაქი ხანძარში იყო გახვეული. საფარში შემალულმა მტრებმა ელვის უსწრაფესად დაიპყრეს და ააოხრეს დაუცველი ციხესიმაგრე. მეფემ ჯარს უბრძანა, დაუყოვნებლივ დაესია უკან და ქალაქს მიშველებოდა. მაშინ ისუმ ზურგიდან შეუტია, აის დამპყრობმა ოცდაათიათასიანმა არმიამ კი მეფეს წინიდან უყელა. აის დამცველები მარწუხში მოექცნენ. ისუ ნავეს ლაშქარმა ისინი ერთიანად ამოჟლიტა.

მეფე ცოცხლად შეიპყრეს. სამხედრო ფიცის თანახმად, ისუმ ბრძანა, დედაწულიანად ამოეხოცათ აის თორმეტი ათასი მაცხოვრებელი. არ დაენდოთ არც ქალები და არც ბავშვები. მდიდარი ალაფი, პირუტყვისა და ძვირფასი განძეულობის ჩათვლით, ამჯერად მეომრებმა გაინაწილეს. მეფე ქალაქის კარიბჭესთან ჩამოახრჩვეს. მისი გვამი ჩამოხსნეს მხოლოდ მზის ჩასვლისას, დამარხეს შუა მინდორში და ზევიდან ქვები დააყარეს. აის გმირი მთავრის ყორღანი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ღირსშესანიშნაობად ქანაანის იქითა მხარეს დასახლებულ ისრაელის ძეთათვის.

გამარჯვების შემდეგ ისუ ნავემ ქვაზე ჩამოწერა მოსეს მცნებანი, და გებალის მთაზე წაუკითხა ისინი ხალხს. ისუმ მოითხოვა, რომ ყველანი იაჰვეს ერთგულნი ყოფილიყვნენ და არასოდეს ეღალატათ მისთვის.

გაბაონელთა მზაკვრობა. იერიქონიდან თხუთმეტიოდე მილის დაშორებით, მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა ქალაქი გაბაონი. ამ ქალაქის მკვიდრნი გულადობასა და ვაჟკაცობაზე დიდად არ სდებდნენ თავს. ამიტომ, ისრაელის ძეთა გამარჯვება რომ გაიგეს, გაბაონელებმა გადაწყვიტეს — რადაც უნდა დაგვიჯდეს, მათთან შეტაკება თავიდან უნდა ავიცილოთო. გაბაონი ისრაელის ძლევამოსილ მოდგმას გზად უნდა გაევლო. ქალაქის აღებისას მდიდარ ალაფს იგდებდნენ ხელთ. ამიტომაც იყო, რომ გაბაონის მკვიდრნი შიშობდნენ — მრისხანე დამპყრობლები ჩვენთან მოლაპარაკებას არ ისურვებენო. რა გზით უნდა დაეყოლიებინათ თავდამსხმელები, რომ ზავი შეეკრათ? მართალია, გაბაონელები მეომრებად არ ვარგოდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მოხერხებულობა და დიპლომატიური ხრიკიანობა არ აკლდათ. მათ სწორად ივარაუდეს, რომ ისრაელელებს მაინცდამაინც არ ეცოდინებოდათ მათი ქვეყნის გეოგრაფია და ასეთი ხერხი იხმარეს: ქალაქის წარმომადგენლები ეახლნენ ისუ ნავეს (იგი იერიქონსა და აიში გამარჯვების შემდეგ გალგალში მყოფ ისრაელის ძეთა ბანაკს დაუბრუნდა) და მეგობრული ხელშეკრულების დადება შესთავაზეს. „მოსრულ ვართ შორით. დადეე აღთქმა ჩვენ თანა“, — თქვეს მათ. ისინი ისუს არწმუნებდნენ — ჩვენი ქალაქი გალგალიდან ძალიან შორსაა და კავშირის შეკვრა ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იქნებაო. ელჩები მოქარგული ენით ცდილობდნენ ისუ ნავეს გულის მოგებას: თქვენმა დიდებამ ჩვენს შორეულ ქალაქამდეც მოაღწია და ასეთ განთქმულ ბელადთან კავშირის დამყარება დიდ პატივად მიგვაჩნიაო. ისუ ნავემ ელჩებს ახედ-დახედა და დაიჯერა, რომ ნამდვილად შორიდან იყვნენ მოსულნი — დამაშვრალ ელჩებს მკვდრის ფერი

ედოთ სახეზე; მათი ფეხსაცმელი, სამოსელი და ტყავისაგან დამზადებული ღვინის ტიკები დაკონკილი და დაკერებული იყო. ჩანთებით წამოღებულ პურს მწვანედ გადაჭროდა ობი. ისუ ნავემაც მოისურვა გაბაონის მეფესთან კავშირის შეკვრა. მას უფრო იმიტომ დაუჯდა ჭკუაში გაბაონელებთან კავშირი, რომ იფიქრა, ამით დანარჩენი ქანაანელი მეფეების ერთიანობას შევასუსტებო. (ხმა დადიოდა, რომ ისინი გაერთიანებულნი იყვნენ საიერიშო-თავდაცვით კოალიციაში). კავშირის ხელშეკრულება დადეს. ისუ ნავემ საზეიმო ფიცით დაამოწმა და განამტკიცა იგი.

სამწუხაროდ, მან მალე შეიტყო ელჩების თაღლითობა. გაბაონი ძალიან ახლოს იყო იერიქონსა და აისთან. ნადავლს მოწყურებული მებრძოლები დაჟინებით მოითხოვდნენ — ნება მოგვეცით, ქალაქის მზაკვარი და ცბიერი მოსახლეობა სანიმუშოდ დავსაჯოთო. ისუ ნავემ ფიცი არ გატეხა და თანამემამულეებისადმი ერთგულებით გაისტუმრა. გაბაონელები სიკვდილს გადაურჩნენ, მაგრამ სამუდამო მონობის უღელი კი დაიდგეს. ამიერიდან, საუკუნეთა განმავლობაში ისინი ასრულებდნენ ყველაზე შეურაცხმყოფელ მოვალეობას — ისრაელიტელ ბატონებს შეშას უჩეხდნენ და წყალს უზიდავდნენ.

ხუთი მეფის კოალიცია. იერუსალიმის მეფეს ადონი-სედეკს გაბაონელთა ღალატობის ამბავი მიუვიდა. შეეშინდა, ვაითუ მათ ქანაანის სხვა ქალაქებმაც დაუჭირონ მხარი და გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა მხდალი გაბაონელებისათვის. ამ მიზნით, მან კავშირი შეკრა ქებრონის, ლაქისის, ეგლონის, იარმუთის მეფეებთან და ერთიანი შეიარაღებული ძალით მიადგა ქალაქს, რომელმაც დამპყრობლებთან მამაცურ ბრძოლას შეურაცხყოფილი და დამცირებული სიცოცხლე არჩია. გაბაონის მცხოვრებლებმა მოასწრეს და მოსალოდნელი საფრთხე ისუ ნავეს აცნობეს. ისრაელის ძეთა ჯარი დაუყოვნებლივ გამოვიდა გალგალიდან, მთელი ღამე სწრაფად იარა და მოულოდნელად გაჩნდა გაბაონის მასლობლად. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. კოალიცია დამარცხდა. ერთიანად განადგურებული ქანაანელები თავგზარაცემულები გაიქცნენ და ბრძოლის ველზე უამრავი გვამი მიატოვეს. ამ უბელურებასთან ერთად მათ თავს დაატყდა საშინელი სეტყვა. მხოლოდ ღმის სიბნელემ იხსნა ქანაანელები სრული განადგურებისაგან. მაშინ ისუ ნავემ ღაღადეო და წმინდა წიგნის სიტყვები წარმოთქვა: „დადეგ, მზეო, გაბაონს ზედა და მოსარე, აიალონის ველსა ზედა!“ მზე და მთვარე მართლაც შეჩერდნენ ცაზე; სანამ ისრაელიტელები საბოლოოდ არ გაუსწორდნენ მტრებს და მათი ქალაქები არ დაიკავეს, მნათო-

ბებს ადგილი არ შეუცვლიათ. ხუთივე გაქცეულმა მეფემ ალიაქოთში დრო იხელთა და ქალაქ მაკედის ახლოს მდებარე გამოქვაბულს შეაფარა თავი. ისუ ნავეს ბრძანებით გამოქვაბულის შესასვლელი ქვებით ჩახერგეს. ბრძოლის შემდეგ ტყვეები ისრაელის ძეთა ბელადს წარუდგინეს. ისუ ნავემ ტომთა უფროსებს უბრძანა, გამარჯვების ნიშნად მეფეთათვის „ქედსა ზედა დადგეთ ფეხი“. მერე კი, სამხედრო წესის მიხედვით, ტყვე მეფეები ჩამოასრჩვეს. დღე რომ გავიდა, მზის ჩასვლის შემდეგ ხეებზსნეს და გვამები შეყარეს იმ გამოქვაბულში, სადაც მეფეები დაიმალნენ დამარცხების შემდეგ. ლოდებით ჩახერგილი საერთო საფლავი დიდხანს აგონებდა თაობებს ისრაელის ძეთა ტრიუმფალურ გამარჯვებას ხუთი მეფის კოალიციაზე.

ისუმ ხელთ იგდო მრავალი ქალაქი: მაკედი, ლიბნა, ლაქიში, ეგლონი, ქებრონი, დებირი და გასწია წინ სამხრეთისაკენ ელვისებური სისწრაფით დაიპყრო მთელი ტერიტორია კადეშიდან ღაზამდე. შემდეგ ბანაკს დაუბრუნდა გალგალში, გადაწყვიტა ნაჯაფი მებრძოლები დაესვენებინა და შემდგომი ბრძოლებისათვის მოემზადებინა.

ბრძოლა ჩრდილოეთ ქანაანის მეფეებთან. ჩრდილოეთ ქანაანის პატარა სახელმწიფოების მეფეებს სულაც არ ადარდებდა ისრაელის ძეთა წინსვლა. როცა ისრაელის მოდგმამ დაიპყრო სამხრეთ და ცენტრალური ქანაანის რამდენიმე გამაგრებული ქალაქი, მაშინღა მოეგენ გონს და მიხვდნენ, თუ რა დღე ელოდათ. მაშინ იაბინმა, ასორის მეფემ, ხელახლა შექმნა ახალი კოალიცია. მას მიემხრო თითქმის ყველა მეფე, რომელსაც სამფლობელო ჰქონდა ზღვის სანაპიროზე, ქარმელის მთამდე. იაბინს შეუერთდნენ ისინიც, ვისი სამთავროებიც ჩრდილოეთით არნონის მთამდე აღწევდა. მოკავშირეთა არმიამ დაიბანაკა მერომის წყლებთან (ელ-ჰულეჰის ტბასთან). ფისი მთავარი ძალა საბრძოლო ეტლები იყო. ოდესღაც ისრაელის ძეთა ლაშქარს უჭირდა მათთან ბრძოლა, საომარი ეტლები ფიშის ხარს სცემდნენ ყველას. ახლა კი ისუ ნავემ თავისი სამხედრო გაშოცდილება გამოიყენა და საომარ ეტლებთან ბრძოლაც მოახერხა. თავის რჩეულ ჯარს მან იაჰვეს ნაკარნახევი განუმეორა: „ჰუნეთა მათთა დაჰკვეთეთ ძარღვნი და ეტლები მათი დაწვით ცეცხლითა.“ ისუს ლაშქარი სწრაფად დაიძრა მერომის წყლებისაკენ და მოულოდნელად დაესხა თავს აქ დაბანაკებულ ქანაანელებს. გაფთრებულ ბრძოლაში ისუ ნავემ მთლად გაანადგურა მტერი, მერე უკან დაედევნა გაქცეულთ და თითქმის მთლიანად ამოოწყვიტა ქანაანელები. ბრძოლის ველი დანახშირებულმა ეტლებმა, ადამიანთა და ცხენთა გვამებმა დაფარა.

ისუ ნავე ქალაქს ქალაქზე იპყრობდა იერიშით, ერთიანად ანგრევდა მათ და მცხოვრებლებს ჟლეტდა. აურაცხელ ალაფს — ძვირფას განძეულობას და საქონელს იგი სამართლიანად უყოფდა ისრაელის ძეთა ტომებს.

როგორ მართავდა ისუ ქანაანს. ქანაანის დაპყრობა შვიდ წელს გაგრძელდა. სისხლიან ბრძოლებში დაიღუპა ქანაანის ოცდათერთმეტი მეფე, და მათთან ერთად აუარებელი ხალხი. იერუსალიმისა და კიდევ რამდენიმე ზღვის პირად და მთებში მდებარე გამაგრებული ქალაქის გარდა მთელი ქვეყანა, სამხრეთ კიდიდან ლიბანის დაბლობში მდებარე ბაალ-გადამდე ისრაელის ძეთა საბრძანებლად იქცა. ისუ ძე ნავესი შეუდგა ქანაანის განაწილებას ისრაელის მოდგმის ტომთა შორის. სულ ცამეტი ტომი იყო, რადგან იოსების ჩამომავლობა ორ ჯგუფად გაიყო. ამ ორ ჯგუფს დასაბამი დაუდეს მისმა ვაჟებმა — ეფრემმა და მანასემ. რუბენისა და გადის შთამომავლობასა და მანასეს ტომის ნახევარს წილად ხვდათ იორდანის იქით მდებარე მიწები, ლევიტელებს ცალკე ტერიტორიის ფლობის ნება არ ჰქონდათ. ამიტომ ქანაანის განაწილებაში მონაწილე მხოლოდ ცხრა ტომი და მანასეს ტომის მეორე ნახევარი იყო.

ამრიგად, ქანაანი ათ ნაწილად გაიყო. სამხრეთით დასახლდნენ სიმონის, იუდასა და ბენიამენის შთამომავალნი. დაპყრობილი ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია, სამხრეთიდან ჩრდილოეთით, დაიკავეს ეფრემის, მანასეს, ისაქარის, ზაბულონის, ნეფთალემისა და ასერის ტომებმა. დანის პატარა ტომმა დაიკავა ვიწრო ხეობა ზღვასა და მთებს შუა — ბენიამენისა და იუდას შთამომავალთა საძვალიდრო ადგილის ჩრდილოეთით. დანის ტომის მეზობლად ცხოვრობდნენ ფილისტიმელები. ფილისტიმელებთან მეზობლობა კარგს არას უქადდა ებრაელებს, რომელთაც ჯერ არ ჰქონიათ ამ მრისხანე მეომრებთან შეტაკება.

ეფრემის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქი სელომი. აქ მიუნიშნეს ადგილი საწამებლის კარავს და შჯულის კიდობანს. ამრიგად, სელომი გახდა ისრაელის ძეთა პირველი დედაქალაქი, რომელსაც დაქსაქსული ტომები ერთ ერად უნდა გაეერთიანებინა.

ლევიტელებს სამფლობელოდ მიაკუთვნეს ორმოცდარვა ქალაქი, სადაც ისინი, მოსეს მცნების თანახმად, მღვდლობას ეწეოდნენ. ლევიტელების სარჩო იყო საქონელი, რომელსაც ისინი აშენებდნენ და ადგილობრივი მოსახლეობისაგან აკრეფილი ათეული შემოსავლისა.

სისხლის აღების ადათი რომ მოესპოთ, უცაბედად კაცის

მკვლელთ ნება დართეს თავი შეეფარებინათ იორდანის გაღმა მდებარე ექვს ქალაქსა და თვით ქანაანშიც.

ისუ ძე ნავესი ეფრემის მთის მწვერვალზე, პატარა ქალაქ თიმნათსერაში დასახლდა.

რუბენის, გადისა და მანასეს ტომებმა, რაკი მოსეს პირობა შეუსრულეს, ახლა მოისურვეს დაბრუნებოდნენ იორდანის გაღმა მდებარე მიწას, რომელიც მათ ერგოთ. ისუ ნავემ დალოცა ისინი, გზა მშვიდობისა უსურვა და მოსთხოვა, არ უგულებელეყოთ სელომის ტაძარი, სადაც იაჰვემ დაიდო ბინა. გამომშვიდობებისას უთხრა: „საფასითა დიდითა ფრიად მიიქცევით კარვებად თქუენდა, და საცხოვარითა მრავლითა, ვეცხლითა, ოქროითა, რვალითა და რკინითა, და სამოსლითა ფრიადითა. განუყავთ თქვენს მოძმეთ ნატყვენავი მტრისა".

მაგრამ მალე სელომის მკვიდრთ შემაძრწუნებელი ამბავი მოუვიდათ. თურმე იორდანის გადაღმა მიმავალ რუბენის, გადისა და მანასეს მებრძოლებს ბორცვზე საკურთხეველი აღემართათ და იაჰვესათვის მსხვერპლი შეეწირათ. ამით მათ ხელყვეს უფლება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სელომის მღვდლებს ეკუთვნოდათ. მაშასადამე, მოსეს რელიგიას თავიდანვე წვალება (ერესი) ემუქრებოდა. ამას კი თავის მხრივ შეეძლო პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა ქვეყანაში.

ისუ ნავემ გადაწყვიტა გაღვიეებამდე ჩაეკლა განხეთქილებისა და გათიშვის ჩანასახი. დამნაშავეთა დასასჯელად დანარჩენი ტომების ჯარებს სელომისაკენ მოუხმო. მაგრამ ძმათა შორის სისხლისღვრას შეიძლებოდა სავალალო შედეგი მოჰყოლოდა, რაკი ისრაელის მოდგმას ჯერ მკვიდრად არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ახლად დაპყრობილ ქვეყნებში. ამიტომ გადაწყვიტეს, ჯერჯერობით გალაადში გაეგზავნათ მღვდლის, ელიაზარის, ვაჟი ფინეზი და გაეყოლებინათ მისთვის ათივე ტომის მეთაურები. ფინეზი ჩავიდა გალაადს. რუბენის, გადის და მანასეს შვილებს მან ასე მიმართა: „რა არს შეცოდება, რომელი სცოდეთ წინაშე ღმერთისა ისრაელისა? უკუიქეცით ღმერთისაგან, ჰქმენით ბომონი და აწ განდგომილ ხართ უფლისაგან".

იორდანეს გადაღმა მცხოვრებ ისრაელის ძეთა უხუცესებს შეეშინდათ მოძმეთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება და ფიცზე ცა და ქვეყანა დაიმოწმეს, სელომის მღვდელთა უფლება არ მიგვიტაცებიაო. თავს იმართლებდნენ — იორდანეზე სამსხვერპლო იაჰვეს გამარჯვების სამადლობელ ძეგლად ავუგეთო. ასეთი პასუხი მაინცდამაინც ვერაფრად ეჯაშნიკათ ფინეზსა და მის მხლებლებს, მაგრამ მაინც დასჯერდნენ მას, რადგან გულით უნდოდათ, როგორმე ავცილებინათ თავიდან ძმათა შორის სისხლისღვრა. თან დაიჯერეს, რომ იორდანის გაღმა მცხოვრებ

ტომები დაშინდნენ და ვერასოდეს გაბედავდნენ ისრაელთან რელიგიური ერთიანობის დარღვევას.

ისუ ძე ნავესი კიდევ დიდხანს მართავდა ისრაელის მოდგმას. მისი დიდი ავტორიტეტი ერის შემჭიდროებას უწყობდა ხელს. ქანაანის მიწაზე გაფანტული ტომები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მის ნებას. სელომის ტაძარი კი იაკვეს ერთადერთი რეზიდენცია იყო. მაგრამ ისუს არ ასვენებდა ერთი ფიქრი — როგორ წაუვიდოდა მის ხალხს საქმე მისი სიკვდილის შემდეგ? ისუს არ ჰყავდა ღირსეული მემკვიდრე, ამიტომ შიშობდა, ვაითუ ძლიერი ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილი ტომები დაიქსაქსონ და ამით საერთო კეთილდღეობასა და სარწმუნოებას ავნონო. სახელმწიფოს დაცემის თავიდან აცილების მიზნით მან სიქემში შეკრიბა ისრაელის მთელი მოდგმა, კიდევ წაუკითხა მოსეს მცნებანი და უბრძანა, დაედოთ ფიცი, რომ უცხო ღმერთებს არასოდეს სცემდნენ თაყვანს. იაკვესთან კავშირის განახლების სამახსოვროდ ისუ ნავემ მუხის ქვეშ დიდი ქვა დადო და თქვა: „აჰა, ქვა ესე არს მოწმე ჩვენდა, რამეთუ ისმინა მან ყოველი თქმული, რომელი გვითხრა ჩვენ უფალმან და იყოს მოწამე თქვენდა, რათა არაოდეს ეცრუენეთ ღმერთსა“.

ისუ ძე ნავესი ას ათი წლისა გარდაიცვალა. ღაასაფლავეს ეფრემის მთაზე, თავის სამფლობელო თიმნათსერაში. მას საფლავში ჩაატანეს ქვის დანები, რომლებიც ისმარეს ისრაელიტელებმა, ქანაანის საზღვარზე გადასვლისას წინადაცვეთის წესის შესასრულებლად.

ისრაელი ქანაანში მკვიდრდება. მოსესა და ისუ ნავეს შემდეგ ისრაელის მოდგმაში აღარავინ გამოჩენილა მათი შესადარი. ისრაელის ტომები ქანაანის მიწაზე გაიფანტნენ თავთავისი წილი მიწების დასაკავებლად და ამისთვის ზოგჯერ ბრძოლაც სჭირდებოდათ. ტომებს შორის თანხმობა არ იყო. წვრილმანმა შურმა, განხეთქილებებმა საზღვართა გამო, თანამდებობისათვის ბრძოლამ და პატივმოყვარეობამ დაშალა ერთიანობა, შეარყია ნაციონალური სიმტკიცე, უმისოდ კი დაპყრობილი მიწების შენარჩუნებაც გაჭირდა. ერთმანეთის მოქიშპე ტომებმა, ცალცალკე რომ მოქმედებდნენ და მხოლოდ საკუთარ ძალაზე ამყარებდნენ იმედს, ბოლომდე ვერ დაიპყრეს ქვეყანა. ქანაანელები, რომელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდნენ დაკარგული მიწების დასაბრუნებლად. ქანაანელ ხალხებს კი — ეველებს, ქანაანელებს, ამორეველებსა და იებოსელებს ძალა შესწევდათ მომხდურთათვის საკადრისი პასუხის გასაცემად. ისრაელიტელებისთვის მუდმივ საშიშროებას წარმოადგენდა იერუ-

სალიმი, ღაზა, ასკალონი, ეგლონი და მთებსა და ხეობებში მიმოფანტული სხვა ციხესიმაგრენი, რომელთა დაპყრობა ისუ ნავემ ვერ მოასწრო.

მრავალწლიანი ხეტიალითა და ომებით არაქათგამოცლილ ისრაელის ტომებს კი სული მისდიოდათ, უნდოდათ, მაშინვე დამტკბარიყვნენ გამარჯვების ნაყოფით. მათ ხომ ბარაქიანი საძოვრები, სახნავი მიწდერები, ზეთისხილის ბაღები და ვენახები მიისაკუთრეს. როგორც იქნა, აუსრულდათ ოცნება — მესაქონლეები და მიწათმოქმედები შეძლებულად და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. რაღა დროს ომზე ფიქრი იყო. აკი აღსრულდა იაკვეს დანაპირები! გარშემორტყმულ ქანაანელ ხალხთან როგორმე შეიძლებოდა საერთო ენის გამონახვა, მათთან მშვიდობიანი ცხოვრება, რაც ისრაელიტელებს გასაქანს მისცემდა და შეაძლებინებდა დაპყრობილ მიწებზე მეურნეობის წარმოებას.

ასეც მოხდა: ისრაელის ძენი პატარ-პატარა კუნძულებივით გამოიყურებოდნენ ზღვა ქანაანელ მოსახლეობაში. გათიშულობისა და განკერძოების შედეგებმა მალე იჩინა თავი. ისრაელის ძენი მკაცრი, უბრალო, უდაბნოში ცხოვრებას ნაჩვევი ადამიანები იყვნენ. ქანაანელები ბევრად მაღლა იდგნენ მათზე კულტურით და ცივილიზაციით. ისინი დიდ ქალაქებს აშენებდნენ და ძველი ებრაულის მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ. იაკობის მოდგმას იგივე დღე ელოდა, რაც ყველა ბარბაროს დამპყრობელს: იგი უნდა გათქვეფილიყო მის მიერვე დამორჩილებულ ხალხში, რომელსაც დამპყრობლებზე მაღალი კულტურა გააჩნდა. თანდათანობით იმატა შერეულმა ქორწინებებმა: ისრაელიტელ მამაკაცებს სათაკილოდ და უწესოდ აღარ მიაჩნდათ სხვა ერის ქალზე დაქორწინება, მათი ქალებიც სიამოვნებით თხოვდებოდნენ ქანაანელებზე.

ამ ახლო, მჭიდრო ურთიერთობას სხვა უფრო საშიში შედეგებიც მოჰყვა. ისრაელის ძენი ყოველთვის თაყვანს სცემდნენ იაჰვეს, როგორც თავიანთ ღმერთს. იაჰვე კი მკაცრი და ულმობელი ღმერთი იყო, რომელიც იშვიათად, საგანგებო შემთხვევებში, თუ მოეკლინებოდა ხოლმე თავის რჩეულ ხალხს და მას მხოლოდ საფრთხის დროს უწევდა ქომაგობას. მას შორს, სელომის ტაძარში ჰქონდა ბინა. მორწმუნენი წელიწადში სამჯერ მიდიოდნენ იქ სალოცავად. მღვდლების შუამავლობით მსხვერპლს სწირავდნენ მას და თაყვანს სცემდნენ, ლოცულობდნენ, გალობდნენ და რიტუალურ ცეკვებს ასრულებდნენ. დანარჩენ დროს ისრაელიტელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე სვდებოდნენ უფრო მახლობელ ადგილობრივ ღმერთებს, რომლებიც უფრო ახლოს იყვნენ მათთან თავისი ადამიანური თვისებების გამო. ბაალს, ასტარტესა და სხვა ღმერთებს უსსოვარი დროიდან სცემდნენ თაყვანს ქანაანში. ამას მოწმობდნენ ბორცვებზე აღმართული ქვის სვეტები, ჭალები, წმინდა ხეები,

ბრინჯაოსა და გამომწვარი თიხისაგან დამზადებული ქანდაკებები, მითები, სიმღერები, თქმულებები და ღია ცის ქვეშ აღმართული სამსხვერპლოები, სადაც იწვოდა მსხვერპლი და საკმეველი. შემოდგომაზე, როცა ხიკვდილის ღმერთი მოთი მოსავლის ღმერთს ბაალს იტაცებდა და ქვესკნელში მიჰყავდა, ქანაანელები ტირილითა და გოდებით მისდევდნენ მას, მართავდნენ სამგლოვიარო პროცესიებს, გაზაფხულის პირზე კი, როცა მათი საყვარელი ღმერთი მკვდრეთით ახალი აღმდგარი იყო, როკვითა და ცეკვით დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ქალაქებსა და სოფლებში. ასეთი გახლდათ რიტმი ქანაანის ზედმიწევნით კოლორიტული ცხოვრებისა, რომელიც დაკავშირებული იყო მხიარულ, გამამხნევებელ წეს-ჩვეულებებთან.

ისრაელიტელებმა ქანაანელთაგან ისწავლეს შიწის დამუშავება. მათგანვე შეიტყვეს, რომ ბაალი, ასტარტე და სხვა ადგილობრივი ღმერთები განაგებენ ბუნებასა და წელიწადის დროებს, მათ უნდა შეეევედრო, რომ მოგიელინონ წვიმა და მოგცენ უხვი მოსავალი; მათ ძალუძთ აგაცილონ ხეტყვა, გვალვა ღ მკალის თაედასხმა.

სელომში ბინადარი ღმერთი კი მეტისმეტად მიუკარებელი, ქედმაღალი და მედიდური იყო; ასეთი ჩვეულებრივი საქმეების მოგვარებას მას ვერ შეჰკადრებდნენ, მაგრამ იაჰვე მაინც განრისხდა და განდგომილთა დასჯა განიზრახა. იაჰვემ ბრძანა დ ცალკეული ისრაელიტელი ტომები რიგრიგობით მოხვდნენ ქანაანელთა უღელქვეშ. დამონებული განდგომილები გულმხურვალედ ინანიებდნენ ცოდვებს და ლოცვით ითხოვდნენ შებრალებას. იაჰვე მკაცრი, მაგრამ მოწყალე ღმერთი იყო. ასეთ დროს იგი თავის ერს უვლინებდა ღირსეულ ბელადს, რომელიც მსაჯულის მაღალ თანამდებობას იკავებდა და თანამეშამულეებს ათავისუფლებდა. მაგრამ ისრაელის ჩამომავალნი მოურჯულებელნი და გამოუსწორებელნი იყვნენ — ცოტა შვება მიეცემოდათ თუ არა, ისევ თავისი ცრუ ღმერთების თაყვანისცემას იწყებდნენ.

სამხრეთ ქანაანში მცხოვრები ისრაელის ტომები დაიმორჩილა არამის მეფემ ქუშანრეშათიმმა[1] და რვა წელს ამეოფა მონობაში. დიდი ბრძოლების შემდეგ ისინი გაათავისუფლა იუდეველთა ტომის წარმომადგენელმა გოთონიელმა, რომელიც შემდგომ ორმოც წელიწადს იყო მსაჯულად.

უარესი ბედი ეწია ბენიამენის შთამომავლებს. ეობელთა

---

[1] ქუშანრეშათიმი იყო სირიაში მდებარე არამის მეფე; ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი არამისაგან ესოდენ დაშორებულ სამხრეთ ქანაანზე ვერ გადალაშქრებდა. როგორც ჩანს, ბიბლიის რედაქტორებმა დაუშვეს შეცდომა და ედ-ს (ედომის) ნაცვლად დაწერეს რმ — არამი... ედომის სამეფო სამხრეთ ქანაანს ესაზღვრებოდა.

მეფემ ეგლონმა ამონელებსა და ამალეკელებთან ერთად დაიპყრო მათი მიწები და თვრამეტი წლის განმავლობაში მძიმე ხარკს ახდევინებდა. ბენიამენის ტომის მამაცმა შვილმა, ეაცია აოდმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ჩაგვრისათვის. მან ხმალი მარჯვნივ შემოირტყა, მოსასხამში გაეხვია და გასწია მეფე ეგლონთან, ვითომდა თანამემამულეთაგან მიძღვნილი საჩუქრების მისართმევად. სასახლის მსახურებმა გაჩხრიკეს, რომ დამალული იარაღი ენახათ, მაგრამ მარჯვენა თეძოზე ხელიც არ უხლიათ, რადგან აზრადაც არ მოსვლიათ, რომ აოდს შეეძლო ამ მსარეს იარაღი ეტარებინა. ღიპგადმოგდებული დესპოტი სამეფო ტახტზე იჯდა, გარს მსახურები და ხარჭები ეხვივნენ. მეფემ მედიდურად შესედა ისრაელიტელ გადამთიელს, არც კი გაუელია გუნებაში, რომ მას იარაღი შეიძლებოდა ჰქონოდა თან. აოდი მის წინ პირქვე დაემხო, ძღვენი მიართვა და სთხოვა — მარტო მიმიღეო. მოიმიზეზა, თითქოს მნიშვნელოვანი რამ უნდა ეცნობებინა: „სიტყვა მაქვს ფარულად შენდა, მეფეო", — უთხრა აოდმა და ცოტა მოგვიანებით დაუმატა: „სიტყვა უფლისა მომაქვს შენთვის". მეფემ ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ მერე იფიქრა, რომ აოდი მრავალრიცხოვან მსტოვართა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იქნებოდა. ასეთები ხომ ბენიამენის მოდგმაშიც ბევრი ჰყავდა. მეფემ მსახურებს ანიშნა, გადითო და აოდს მიუბრუნდა. აოდი ახლოს მივიდა, თითქოს რაღაც საიდუმლოს თქმა უნდოდა. მიუახლოვდა, მახვილი ელვის სისწრაფით იხადა და უცბად განგმირა დესპოტი. მეფეს დაყვირებაც აღარ დასცალდა. როცა სისხლმა ითქრიალა და დესპოტის ჩაგოდრებული სხეული ქვის იატაკზე დაეშვა, აოდმა სწრაფად ჩარაზა კარი ურდულით და უკანა გასასვლელიდან უჩუმრად გაიპარა.

მსახურები მოთმინებით იცდიდნენ მეზობელ ოთახში, ფიქრობდნენ, რომ მეფე ჩურჩულით ელაპარაკებოდა საიდუმლო სტუმარს. როცა საუბარი მეტისმეტად გაუგრძელდათ, ყველაზე გამბედავმა მსახურებმა სცადეს კარებთან მიყურადება. სამარისებური სიჩუმისაგან თავზარდაცემულებმა ბოლოს და ბოლოს განგაში ატეხეს. კარი შელეწეს, გაქცეულ მკვლელს დაედევნენ, მაგრამ გვიანღა იყო. აოდი მშვიდობიანად დაბრუნდა და ეფრემის მთიდან თანამემამულეებს აჯანყების ნიშანი მისცა. ისრაელიტელებმა ისარგებლეს მეფის სიკვდილით გამოწვეული არეულობით, შეიჭრნენ მოაბში და მოულოდნელად მეხივით დაატყდნენ თავს მჩაგვრელებს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ისრაელიტელებმა მუსრი გაავლეს მოაბელებს და ათი ათასი მეომარი მოუკლეს. გმირობისა და მამაცობის ჯილდოდ ხალხმა აოდი თავის მსაჯულად აირჩია. იგი ოთხმოცი წლის განმავლობაში მშვიდობიანად უძღოდა ეფრემის შეიამომავლობას.

დებორა — ისრაელის ქანა დ'არკი. მძიმე ხვედრი ერგუნა ბედმა იეზრეელის ხეობის სამხრეთით დასახლებულ ისრაელიტელებს. ასორის მეფემ იაბინმა და მისმა მხედართმთავარმა სისარამ დაიკავეს ციხესიმაგრე, რომელიც მთებიდან ხეობებსა და გზებს გადმოჰყურებდა. მათ ხელსაყრელი პოზიციით ისარგებლეს. ისრაელიტელ მოსახლეობას კომუნიკაციები გადაუჭრეს, დაამშიეს და ბოლოს და ბოლოს დაიმორჩილეს კიდეც. ეფრემის, ბენიამენის, ზაბულონის, ისაქარის, ნაფთალიმის ტომები და მანასეს ტომის ნახევარი სხვის მიწას ამუშავებდნენ და ხარკს იხდიდნენ. შეურაცხყოფასა და მონობაში გაატარეს მათ ოცი წელი. იარაღაყრილთ და იმედდაკარგულთ აღარც ეგონათ, თუ თავისუფლებას მოესწრებოდნენ.

სწორედ ამ ხანებში ამობრწყინდა დებორას ვარსკვლავი. დებორა — იაჰვეს ერთგული მსახური — წინასწარმეტყველი და პოეტი ქალი იყო. იგი მკვიდრობდა ეფრემის მთაზე დანაკისკუდის ხის ქვეშ, რამასა და ბეთელს შუა გამავალ გზასთან. დებორა აქ იღებდა მთელი ისრაელის მოციქულებს, აძლევდა მათ ბრძნულ რჩევას, უწინასწარმეტყველებდა მომავალს, წყვეტდა სადაო საკითხებს ტომებს, გვარებსა და ცალკეულ პირებს შორის. ყველას სწამდა, რომ დებორას პირით თვით იაჰვე ლაპარაკობდა, ამიტომ მისი ყოველი რჩევა და მითითება წინასწარმეტყველებად მიაჩნდათ. იმჟამად დებორა ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქანაანში.

პატრიოტული გრძნობით გამხნევებულმა დებორამ გადაწყვიტა ხალხი თავისუფლებისათვის საბრძოლველად აემხედრებინა. გრძნობდა, რომ ამისთვის იყო მოწოდებული. სწამდა, რომ ღმერთისაგან შთაგონებული სიტყვით სიმამაცეს ჩაუნერგავდა გულში თავის სასოწარკვეთილ მოძმეთ.

კადეშში, ნეფთალემის შთამომავალთა ქვეყანაში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც სახელად ბარაკი ერქვა. იგი განთქმული იყო სიმამაცითა და ქანაანელებთან ბრძოლაში მიღებული სამხედრო გამოცდილებით. დებორამ გადაწყვიტა, ბარაკი მხედართმთავრად დაენიშნა და მოიხმო. ბარაკმა არ დაიჯერა, რომ გაიმარჯვებდნენ. არ ეგონა, რომ ეჭვითა და შიშით დაუძლურებული ისრაელის ძენი მტერს დასძლევდნენ. მისი აზრით, ერს გაიყოლიებდა ისეთი ბელადი, რომელიც ხალხს ვაჟკაცურ სულს გაუღვივებდა და შთააგონებდა, რომ იაჰვე მისი მფარველი იყო. ასეთი ვინმე კი ყველასაგან პატივცემული დებორას გარდა მას არავინ ეგულებოდა. დებორას წინამძღოლობით მჩაგვრელთა წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა მიიღებდა რელიგიურ ხასიათს, გადაიქცეოდა წმინდა ომად. ბარაკმა ყველაფერი მოიფიქრა, აწონ-დაწონა და დებორას უთხრა: „უკეთუ მოხვიდე შენცა, წარვიდე, უკეთუ არა მოხვიდე, არა წარვიდე". დებორა აღაშ-

ფოთა ბარაკის სიჯიუტემ, მაგრამ დათანხმებით მაინც, დეთანხმა. ესოდენ აშკარა ურწმუნოებისათვის ბარაკს სასჯელი მაინც არ უნდა ასცდენოდა. ამიტომ მისანმა ქალმა უწინასწარმეტყველა, რომ ქანაანის მხედართმთავარი სისარა დაიღუპებოდა. არა ბარაკის, არამედ სუსტი ქალის ხელით.

წინასწარმეტყველი ქალის მოწოდებას ყველა ტომი არ გამოხმაურებია. მიუხედავად ამისა, ათი ათასმა მებრძოლმა მაინც მოიყარა თავი. მართალია, მათ საომარი საჭურველი აკლდათ, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდნენ.

„ისრაელის დედის" (ასე ეძახდნენ დებორას) გამოჩენამ ენით გამოუთქმელი აღტყინება გამოიწვია. ისრაელიტელთა არმიამ დაიბანაკა თაბორის მთის ფერდობზე. ამასობაში ხეობაში გამოჩნდა ქანაანელთა არმიაც, რომელსაც სისარა მეთაურობდა. ჯარს წინ მიუძღოდა რკინით შეჭედილი ცხრაასი საომარი ეტლი. ეს ეტლები იმიტომაც იყო საშიში, რომ მათ გვერდებზე ჰქონდათ ბასრი მახვილები. შეტევის დროს ისინი მოჭრილი თავთავებივით მიჰკაფავდნენ მტრის ქვეით ჯარს. ისრაელიტელებს მაინც გაუმართლა ბედმა. კოკისპირული წვიმებისაგან ადიდებულმა მდინარე კიშონმა კალაპოტი გადმოლახა და ბრძოლის ველი საფლობად აქცია. ბარაკს შეტევაზე მიჰყავდა თავისი რაზმები. ხეობაში მომავალი ისრაელიტელების წინააღმდეგ დაძრული მტრის ეტლები მაშინვე ლაფში ჩავფლო. ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ და ეცემოდნენ. ქანაანელები შფოთავდნენ და წრიალებდნენ. ისრაელიტელებმა ისარგებლეს არევ-დარევით, გაბედულად ეკვეთნენ მტერს და ერთიანად გაანადგურეს. თითქმის ყველა ქანაანელი მეომარი დაიღუბა: ზოგი ომშივე, ზოგი კი შემდეგ, ბრძოლის ველიდან გაქცეული.

სისარა გადმოხტა ეტლიდან, ბრძოლის ველი მიატოვა და კადეშში გაიპარა, იქ მეგობარი, კენეველთა თემის უფროსი ქებერი ეგულებოდა. იმედი ჰქონდა, რომ იგი შეიფარებდა. მაგრამ ქებერი შინ ვერ შეისწრო. ქებერის ცოლმა იაელმა იგი კარავში შეიპატიჟა და ორხოვა გადაუფარა. ბრძოლით მოქანცულ სისარას უნდოდა ძილი და მოსვენება. სისარამ ჩაიძინა, იაელმა კი მაშინვე საფეთქელზე წვეტიანი პალო დააბჯინა, პალოს თავზე ჩაქუჩი დაარტყა და სისარას თავის ქალა შეულეწა. ძალე ბარაკიც მოვარდა, მაგრამ გვიანღა იყო. აღსრულდა დებორას წინასწარმეტყველება: სისარა მოკლა ქალმა — იაელმა და არა ბარაკმა. მახვილმა განგმირა აგრეთვე ისრაელის ძეთა მთავარი მჩაგვრელი — ასორის მეფე იაბინი. დებორამ თავის საგალობელში გამოხატა ებრაელთა სიხარული ქანაანელებზე გამარჯვების გამო. მას არც იაელის გმირობა დავიწყებია. დებორამ ისიც ჩაურთო თავის სამადლობელ ჰიმნში, რომ სისარას გვამი ქალის ფეხქვეშ ეგდო მტვერში და რომ სისარას დედა ამ დროს მოუთმენ-

ლად ელოდა შვილის დაბრუნებას: „ხარკმლით გარდამოიხედავს დედა სისარასი და გოდებს: რად არა მოვლენან მხედარნი მისნი. რად აყოვნებენ თვალნი ხისარას ეტლისანი? ბრძენნი მთავარნი მიუგებენ მას და იგი იტყვის: ჭეშმარიტად, განყოფენ ნატყეუენავსა, ქალწულთა ტყვეთა... საბოსელსა ზრავალფერსა, ჭრელსა“.

ამის შემდეგ ისრაელის ტომები ორმოც წელს ცხოვრობდნენ მშვიდობიანად და მსაჯულად ჰყავდათ დებორა, რომელსაც მადლიერი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა.

როგორ გაათავისუფლა ისრაელის ძენი გედეონმა. თავისუფლების მოპოვების შემდეგ ისრაელის მოდგმაშალე დაივიწყა იაჰვეს სიყვარე და ყველავ ქანაანელ ღმერთებს სცა თაყვანი, რისთვისაც ღმერთმა ახალი სასჯელი მოუვლინა. მადიამელებმა, ამალეკელებმა და სხვა ძომთაბარე ტომებმა აღმოსავლეთიდან გადმოლახეს ორდანე და კალიასავით შეესიენენ ისრაელიტელთა მინდვრებს. ისინი ყოველ წელს მაინცდამაინც ზუსტად შეის დროს გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მათი აქლემები — ხაოცარი არსებანი, რომელთა მსგავსიც ჯერ არავის ენახა ქანაანში, ბოდენენ მდელოებსა და ბინდვრებს, ქელავდნენ ნათესებს, ბოსტნებს და ვენახებს. უდაბნოს ყაჩაღები არბევდნენ ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ: მიაქონდათ სარჩო, მიერეკებოდნენ საქონელსა და ხაპალნის ვირებს. უიარაღო მიწის მუშები მთებში გარბოდნენ, ხეობებსა და გამოქვაბულებში იმალებოდნენ. მოუველელი მიწა ბოლოს და ბოლოს გაცარიალდა, ქვეყანად გამეფდა საშინელი უბედურება — შიმშილი და სენი. მხოლოდ შვიდი წლის განუწყვეტელი ტანჯვის შემდეგ შეიწყალა იაჰვემ თავისი ერი.

პატარა ქალაქი აფრა მდებარეობდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ეკავა იორდანის აქეთ დარჩენილ მანასეს ტომის ნახევარს. ამ პატარა ქალაქში ცხოვრობდა მიწათმოქმედი, სახელად იოასი. მას ბაალს ასისხვერპლო აუგო, თუმცაღა მისი ერთგული მიმდევარი ორასოდეს ყოფილა. არც იოასის ვაჟს, გედეონს, მიუწევდა დიდად გული ბაალისაკენ, მაგრამ ისრაელიტელთა უბედურებით დაწუხრებულს იაჰვეს ნდობაც დაეკარგა.

ერთხელ გედეონმა საჭაროდ ვალეწა ხორბალი, უნდოდა ზურსათი მოეშარაგებინა და რაც შეიძლება მალე გაქცეოდა მადიამელებს მთებში. უცებ მას ანგელოზი გამოეცხადა და ამცნო — იაჰვემ ისრაელის ერის განთავისუფლება მოგანდოო. „უფალო, — ლაღადყო გედეონმა, — ვით შევძლო ხსნა ისრაე-

ლისი? უმდაბლეს არს ტომი ჩემი შორის ტომთა მანასესთა და უმცირეს ვარ მე სახლსა მამისა ჩემისასა“.

ანგელოზი გედეონს არწმუნებდა, რომ მადიამელებს დაამარცხებდა, მაგრამ გედეონს მაინც უნდოდა ეხილა იაჰვეს რაღაც სასწაული. მან მუხის ქვეშ შემწვარი თხა დადო და ხმიადები დააწყო. ანგელოზმა ურჩია, ეს მსხვერპლი კლდეზე წაიღეო. გედეონი ასეც მოიქცა. ანგელოზმა კვერთხი დაჰკრა კლდეს, იფეთქა ცეცხლმა და ხორცი და პური შთანთქა. სასწაულმა რწმენა შეჰმატა გედეონს და მან თავისი მისია იწამა.

ღამით, როდესაც აფრის მკვიდრთ ღრმად ეძინათ, გედეონმა თავის მონებში ათი ერთგული კაცი ამოარჩია და მამისეულ სამფლობელოს მიაშურა. ორი ხარის შემწეობით ბაალის სამსხვერპლო დაანგრია და მის გარშემო წმიდა ჭალაც აჩეხა. შემდეგ იაჰვეს აუგო სამსხვერპლო და ზვარაკიც შესწირა.

დილით აფრის მცხოვრებლებმა ბაალის განადგურებული სამსხვერპლო იხილეს, განრისხდნენ და მოითხოვეს, რომ იოასს სიკვდილით დასჯა მკრეხელი გედეონი. იოასი საზრიანი კაცი იყო და მეზობლების დაშოშმინებას შეუდგა: „ნუთუ მწენი ხართ თქვენ ბაალისნი? ანუ თქვენ იხსნათ იგი? შემწე მისი მოკვდეს განთიადამდე. უკეთუ ღმერთ არს, იძიოს შური“. აფრის მკვიდრთ ეს სიტყვები ჭკუაში დაუჯდათ და სახლებში წაიდწამოვიდნენ. ამ დღიდან გედეონს ხუმრობით შეარქვეს იერობაალი, რაც ნიშნავს: „დაე, ბაალი თვითონვე შეეწიოს თავის თავს.“

დრო მიდიოდა და ყველა დარწმუნდა, რომ ქანაანელ ღმერთს აზრადაც არ მოსვლია შური ეძია თავისი სახელის წაბილწვისა და შებღალვისათვის. ამ დღიდან გედეონმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ისრაელის ძეთა შორის. გედეონმა მოუწოდა და აბიეზერის ტომის შეიარაღებული მეომრები, მანასეს, ასერის, ზაბულონისა და ნეფთალემის ტომები ეახლნენ მას. აროდის წყაროსთან ოცდათორმეტი ათასი ისრაელიტელი მეომარი შეიყარა. გედეონმა იცოდა, როგორ უნდა ებრძოლა უდაბნოს ყაჩაღების ურდოებთან. გადაწყვიტა, მოულოდნელად დასხმოდა მტერს თავს და დაეპყრო იგი შეუპოვარი, გულადი და თავგანწირული მეომრებისაგან შემდგარი პატარა რაზმით. მრავალრიცხოვანი, სწრაფად მოძრაობის უნარის არ მქონე და ნაირ-ნაირი ხალხისაგან შემდგარი არმია გედეონს არ გამოადგებოდა. გედეონმა შინ დააბრუნა ყველა, ვისაც კი გული არ მიუწევდა საბრძოლველად. ამრიგად, ჯარს დააკლდა ოცდაორი ათასი კაცი. გედეონს დარჩა ათი ათასი მამაცი მებრძოლი, მაგრამ მას ესეც ებევრა. როგორღა აერჩია ამ მამაცთა შორის უმამაცესნი?

თვით იაჰვემ უკარნახა გედეონს მოქმედების გეგმა. შეღამებისას ახლომდებარე ბორცვიდან გედეონი ყურადღებით უთვალ-

თვალები და მდინარეზე წყურვილის მოსაკლავად მიმავალ ჯარისკაცებს. ჯარისკაცთა უმრავლესობამ იარაღი მიწაზე დადო, დაიჩოქა და წყალი ორივე პეშვით შესვა. ზოგიერთი ჯარისკაცი კი მუცელზე გაწვა, იარაღი ხელიდან არ გაუგდია და წყალი ძაღლივით პირდაპირ მდინარიდან პირით ამოხვრიპა. ესენი იყვნენ ბრძოლებში გამოწრთობილი, ფხიზელი და მტრის მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში საიმედო მეომრები. ასეთები გედეონმა სულ სამასი დაითვალა და გადაწყვიტა, სწორედ მაი გასძღოლოდა მტრის წინააღმდეგ, დანარჩენები კი უკანვე გაბრუნა.

მომთაბარე მადიამელებმა იეზრეელის ხეობაში დაიბანაკეს. შვიდი წლის განმავლობაში ისინი ლაღად დათარეშობდნენ, აოხრებდნენ ქვეყანას და ამიტომ თადარიგი არც ახლა დაუჭერიათ. მათ თითქმის ჩაშლილი ჰქონდათ საყარაულო სამსახური. ბანაკში აუწერელი ფრიალი და აურზაური იყო. კარვებს შორის მამაკაცები, ქალები და ბავშვები ირეოდნენ. აქლემებს, ვირებს და ალაფს თვლა არ ჰქონდა.

შეღამებისას გედეონმა თავისი რჩეული რაზმი წაიყვანა მთაზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მთელი ხეობა. ყოველ მებრძოლს მისცა საყვირი და თიხის ჭურჭელში დამალული ჩირაღდანი. მებრძოლები სამ ჯგუფად გაყო და უბრძანა, სამი მხრიდან მიპპარვოდნენ მტრის ბანაკს. შუაღამისას, მადიამელებს ის იყო ჩაეძინათ, რომ გედეონმა თავის მებრძოლებს შეტევაზე გადასვლის ნიშანი მისცა. ისრაელიტელებმა დალეწეს თიხის ჭურჭლები, ანთებული ჩირაღდნები გამოაჩინეს, აახმიანეს საყვირები და საბრძოლო შეძახილებით მთელი არემარე გააყრუეს. მომთაბარენი ყურისწამლებმა ხმაურმა გააღვიძა. ეგონათ, მტრის დიდმა არმიამ ალყა შემოგვარტყაო და შეშინებულებმა იორდანის გადალმა მხარეს მიაშურეს. გედეონი და მისი მამაცი მეომრები დაედევნენ; გზაში მათ შეუერთდნენ ისრაელის სხვა ტომებიც და ყველამ ერთად ამოჟლიტეს ბედუინები. გედეონმა გადალახა იორდანე, მიწასთან გაასწორა მტერი, აოხრა მათი ქვეყანა და ოთხი მადიამელი მეფე მოკლა.

მდევრებს შეემთხვათ ერთი უსიამო ამბავი, რომელმაც ცხადყო, რომ ისრაელიტელები მხდალები იყვნენ და ტომობრივი სოლიდარობის გრძნობა არ ჰქონდათ; იორდანის იქით მდებარე ქალაქების სუქოთისა და ფენუელის მცხოვრებლებმა მშიერ ისრაელიტელ მებრძოლებს საჭმელი დაუკავეს — ვაითუ ბედუინებმა გაიგონ და ჩვენზე შური იძიონო. გედეონმა სანიმუშოდ დასაჯა ლაჩრები. მან ბრძანა და ქალაქის უხუცესები და მთავრები უკანასკნელი მაწანწალებივით გაჯოხეს ეკლიანი არგნებით; მერე კი ჯალათმა ხმლით მოუსპო მათ სიცოცხლე. გედეონი უბრალო მცხოვრებთაც მკაცრად გაუსწორდა — ერთიანად

გაქლიტა ისინი, შემცოდე ქალაქები მიწასთან გაასწორა, რათა მათი ნანგრევები სამარადისო გაფრთხილება ყოფილიყო მის-თვის, ვინც ასეთ ღალატს ჩაიდებდა გულში.

გედეონმა ხელთ იგდო უზარმაზარი ალაფი. აღმოსავლეთის ტომები, განსაკუთრებით კი მადიამელები, მარტო ძარცვა-გლეჯას როდი ეწეოდნენ. ისინი უნარიანი და მოხერხებული ვაჭრებიც იყვნენ და ხელს უწყობდნენ აზიისა და ეგვიპტის ქვეყნებს შორის აღებ-მიცემობას. მათ უყვარდათ თავიანთი სიმდიდრის გამოფენა, სხვის დასანახავად გამოჩენა, იცვამდნენ ძვირფას ტანსაცმელს და ოქროს სამკაულით მორთულ-მოკაზმულები დადიოდნენ. ასე გასინჯეთ, აქლემებსაც კი ოქროს ძეწკვებს ჰკიდებდნენ კისრებზე და მოსართავებსაც ოქროთი უმშვენებდნენ.

ისრაელის ტომებმა თავის მხსნელს მეფის გვირგვინი შეაძლიეს. ისრაელის მოდგმის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო. გედეონს კარგად ესმოდა, რომ მის თანამემამულეთა შორის ყველა არ იქნებოდა მისი გამეფების მომხრე, ამიტომ ამ პატივზე უარი თქვა. ის კი ითხოვა, რომ სამხედრო ნადავლიდან მისთვის გამოეყოთ ყველა ოქროს საყურე. კარვის წინ გედეონმა გააგო მოსასხამი, რომელზეც მებრძოლები სათითაოდ ყრიდნენ ოქროს საყურეებს. მოგროვდა ათას შვიდასი (დაახლოებით ოცდაშვიდი კილოგრამი) ოქრო.

მიუხედავად იმისა, რომ გედეონმა სამეფო გვირგვინზე ფორმალურად უარი თქვა, იგი ნამდვილად მაინც მონარქი გახდა. თავის დედაქალაქად გედეონმა აირჩია მშობლიური ოფრა, საიდანაც მონობიდან დახსნილ ტომებს ხელმძღვანელობდა. ის იყო ქვეყნად დამკვიდრდა მშვიდობა და კეთილდღეობა, რომ გედეონმა იაჰვე უარყო და ბრძანა — ჩემი კუთვნილი ოქროსაგან ბაალის კერპი ჩამოასხითო. ოფრას ტაძარი სახელმწიფოს რელიგიურ ცენტრად იქცა.

აღმოსავლელი დესპოტების ადათისამებრ გედეონს ჰარამხანაში ჰყავდა სამოცდაათი ცოლი, რომელთაგან სამოცდაათი ვაჟი შეეძინა. იგი ორმოცი წლის განმავლობაში მეფობდა.

გედეონის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება მისი ვაჟების ხელში გადავიდა. ისინი კოლეგიალურად მართავდნენ ქვეყანას. ოღონდ ახლოსაც არ გაიკარეს აბიმელექი, რადგანაც იგი დაბადებული იყო სიქემელი ხარჭის ოჯახში და არა ჰარამხანაში. აბიმელექი დედას ეახლა და დედის ნათესავებს სთხოვა, დამეხმარეთ, რომ ძმებს მამის ადგილი წავართვაო. „რა არს უმჯობეს თქვენდა, — მიმართა მან სიქემელებს, — გმთავრობდნენ თქვენ სამეოცდაათნი ძენი იერობაალისნი, ანუ ერთი? მოიხსენეთ, რამეთუ ძვალ უარ ძვალისა თქვენისა და ხორც ხორცისა თქვენისა“. ნათესავებმა მებრძოლების დასაქირავებლად ბაალბერითის ტაძრის განძეულიდან მისცეს სამოცდაათი შეკელი ვერცხლი. აბი-

შელექი ჯარით გაემგზავრა ოფრაში, დაამარცხა ძმები და იოთამის გარდა ყველანი დახოცა. იოთამმა მეგობრებთან დიალვა მოასწრო. შემდეგ იგი კარდაკარ დაეხეტებოდა და ხალხს აჯანყებდა უზურპატორის წინააღმდეგ.

აბიმელექი სიხსლიანი დესპოტი გამოდგა. დროთა განმავლობაში ხალხს მოთმინება დაელია, მისი თვითმპყრობელური რეჟიმი ვეღარ აიტანა. სიქემელებმა შეიარაღებული აჯანყება მოუწყვეს ქალაქის უხუცესებს, რომლებიც აბიმელექს ძალაუფლების მოპოვებაში დაეხმარნენ. აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა ებედის ძე გაალი. მათ ქალაქი დაიპყრეს და ბაალის ტაძარში ღრეობდნენ სოლიზე. ააოხრეს გარემო მინდვრები და ზვრები. მეფეს და მის მახლობლებს მთებში უსაფრდებოდნენ.

ქალაქ სიქემის უპირველესმა მთავარმა, აბიმელექის ერთგულმა ზებულმა, მალულად გაუგზავნა მეფეს შიკრიკი და დახმარება სთხოვა. მეფემ გაანადგურა აჯანყებულნი, ამოჟლიტა მცხოვრებლები და ქალაქი ნანგრეებად აქცია. ათასობით აჯანყებულმა, სიქემში მომხდარი ამბავი რომ შეიტყო, ბაალბერითის კოშკს შეაფარა თავი. უზურპატორმა კოშკის დაპყრობა ვერ შეძლო და ბრძანა, ცეცხლი მოუკიდეთო. შემდეგ აბიმელექმა შეუტია კიდევ ერთ აჯანყებულ ქალაქს თებეცს. მისი მცხოვრებლები გამაგრებულ კოშკში ჩაიკეტნენ და შეუპოვრად იცავდნენ თავს. მეფე ციხესიმაგრის კარს მიუახლოვდა, მისი დაწვა უნდოდა, მაგრამ ერთ-ერთმა ქალმა თავში წისქვილის ქვის ნატეხი ესროლა. ძმიმედ დაჭრილმა აბიმელექმა ხიკვდილის წინ საჭურველმტვირთველს უბძო და უთხრა: „იხადე მახვილი და მოკალ, რათა არა თქვან, ვითარმედ დედაკაცმან მოკლა იგი“. ასე დაამთავრა სიცოცხლე გედეონის ვაჟმა აბიმელექმა სამი წლის მრისხანე მმართველობის შემდეგ. გედეონის საძოცდარვა ძის სიხსლი აღებულ იქნა.

იეფთაე — გალაადის უბედური გმირი. იორდანის გაღმა მდებარე მთაგორიან მიდამოებში, მდინარე არნონსა და მდინარე იაბოკს შუა, მდებარეობს გალაადის მხარე. აქ მცხოვრები ისრაელის ძენი, რომლებმაც ჯერ კიდევ ისუ ნავეს დროს დაიპყრეს ეს კუთხე, უმთავრესად შესაქონლეობას მისდევდნენ. ერთხელ გალაადში გარდაიცვალა ერთი შეძლებული კაცი, რომელსაც ცოლ-შვილი დარჩა. ობლები წამოიზარდნენ და სახლიდან გაავდეს იეფთაე, რადგან იგი მათ მკვიდრ ძმად არ ერგებოდათ — იეფთაე ხარჭის შვილი იყო და არა მათი დედისა. დაემუქრნენ — თუ მამის მემკვიდრეობაში შეგვეცილები და წილს მოიოხოვ, სიცოცხლეს გამოგასალმებთო.

იეფთაე წინდახედულად მოიქცა — გაიპარა და თავი შეაფა-

რა იორდანის სათავესთან ახლო მდებარე ტობის ქვეყანახ. აქ დაუკავშირდა ბედუინთა რაზმს, რომელიც გარშემო მცხოვრებლებს აშინებდა და ხარკს ახდევინებდა. გავიდა დრო და იეფთაე რაზმის ბელადი გახდა. იგი ყველას შიშის ზარს სცემდა, როცა სათარეშოდ გამოჰყავდა თავისი რაზმი. ამასობაში გალაადელ ისრაელიტელებს შავი დღე დაუდგათ. ოდესღაც განდევნილმა ამონელთა ტომმა თავი წამოჰყო. იგი მარტო გალაადს კი არ ძარცვავდა, იორდანზეც გადადიოდა და იუდას, ბენიამენისა და ეფრემის ტომთა მიწებსაც აოხრებდა. თვრამეტი წლის განმავლობაში ითმინეს გალაადელებმა. როცა მოთმინების ფიალა აევსოთ, სასოწარკვეთილებმა იეფთაე გაიხსენეს. იფიქრეს, მხოლოდ მას, თავზეხელაღებულ, უშიშარ კაცს, ყაჩაღთა რაზმის ბელადს ძალუძს მტრის გამკლავება და თანამემამულეთა განთავისუფლება მძიმე უღლისაგანო.

გალაადის უხუცესებმა იეფთაეს მიმართეს დახმარების სათხოვნელად. მას არ დაჰვიწყებია დიდი ხნის წინანდელი შეურაცხყოფა და მოციქულებს დააყვედრა: „არა თქვენ მომიძულეთ და განმაძეთ სახლისაგან მამისა ჩემისა? და აწ რად მოსრულ ხართ ჩემ თანა, რაჟამს გიჭირს?“ უხუცესებმა მორჩილად მიუგეს — ოღონდ ჩქარა მოგვეშველე და ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვართო. იეფთაემ მოითხოვა — სანამ ცოცხალი ვარ, ტომის მთავარი და მსაჯული მე უნდა ვიყოო. უხუცესები უდრტვინველად დაეთანხმნენ. იეფთაე მაშინვე გაემგზავრა მშობლიურ ქალაქ მისფას მეამბოხეთა რაზმების შესაქმნელად.

მან ეფრემის ტომსაც მოუწოდა ამონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ამიტომ ვერ გაბედა ამონელებთან იარაღით შებმა და დროის მოგების მიზნით ჯერ მოლაპარაკება არჩია. მან ამონელებს ელჩები გაუგზავნა და შეუთვალა — ისრაელის ძეთა წამება შეწყვიტეთო. ამონელთა მეფემ ასეთი პასუხი დაუბრუნა: „რაჟამს გამოვიდოდა ეგვიპტით, დაიპყრო ისრაელმან ქვეყანა ჩემი არნონითგან ვიდრე იაბოკამდე და იორდანედ. დამიბრუნეთ იგი მშვიდობით“.

მეტი გზა აღარ იყო, ომისა და სისხლისღვრის აცილება აღარ შეიძლებოდა. იეფთაე დახმარებას შეევედრა იაჰვეს და საზეიმოდ აღუთქვა, რომ ლაშქრობიდან დაბრუნებისას მსხვერპლად შესწირავდა თავის სასლეულთაგან პირველსავე შემხვედრს. ომი ამონელთა სრული განადგურებით დამთავრდა. გალაადელებმა ოცი ქალაქი დაიპყრეს, საძოვრები, ზვრები მოაოხრეს და იეფთაე ზარ-ზეიმით დაბრუნდა მისფას.

სახლს რომ მიუახლოვდა, პირველად მხოლოდშობილი უსაყვარლესი ასული გამოეგება. იგი გახარებული მიესალმა მამას, თან დაფის ხმას აყოლებდა ფეხს. იეფთაე უსაზღვრო სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მან ტანსაცმელი შემოიხია და მოთქმით

შეჰღაღადა: „ვაი მე, ასულო ჩემო, შენ დამთრგუნე მე და შენ შთაგაგდე განსაცდელსა, რამეთუ აღვუთქვი უფალსა და არა ძალმიძს უკუქცევა“. გოგონამ იცოდა, რომ იაკვესთვის მიცემული აღთქმის ღალატი არ შეიძლებოდა. ოღონდ მამას სთხოვა — მეგობრებთან ერთად გაეშვა ორი თვით მთაში თავისი ხვედრის დასატირებლად. მამამ თხოვნა შეუსრულა. გოგონა რომ დაბრუნდა, იეფთაემ ფიცი აღასრულა — გოგონამ იაკვეს შესწირა თავისი სიცოცხლე. ამის შემყურე ხალხი კი საზარლად გოდებდა. იმ დროიდან გალაადში დამკვიდრდა ერთი უცნაური აღათი: ისრაელიტელი ქალწულები ყოველწლიურად სამგლოვიარო პროცესიას მართავდნენ მთაში და ოთხი დღის განმავლობაში დასტიროდნენ იეფთაეს ასულის მწარე ხვედრს.

გალაადელებმა ეფრემის ტომს ღალატი არ აპატიეს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოხატავდნენ მათ მიმართ ზიზღსა და უპატიოცემლობას. ეფრემის ამაყი შთამომავალნი თავს იმართლებდნენ— იეფთაეს ამბოხელთა წინააღმდეგ ომის მზადების ამბავი არ უცნობებიათ. მაინ არავის სჯეროდა. განრისხებულმა ეფრემის ტომმა იეფთაესა და გალაადელებს ომი გამოუცხადა. ერთ-ერთ ღამეს მათ იორდანე გადალახეს და გალაადში შეიჭრნენ. თავდამსხმელებს ბედმა უმტყუნა და ისინი აქეთ-იქით დაიფანტნენ. ცბიერმა იეფთაემ მდინარე იორდანეზე ყველა ფონი დაიკავა და ლტოლვილებს დაელოდა. ისინი სათითაოდ მიდიოდნენ მდინარესთან და ირწმუნებოდნენ — ჩვენ ეფრემის მოდგმისა არა ვართ, ისრაელის სხვა ტომებს ვეკუთვნითო. გალაადელებმა იცოდნენ, რომ ეფრემის ჩამომავლები თანხმოვან „შ“-ს ვერ გამოთქვამდნენ. ამიტომ ყოველ ლტოლვილს „შიბოლეთ“ სიტყვას ათქმევინებდნენ. ვინც „სიბოლეთს“ იტყოდა, მას ან ხმლით კლავდნენ, ან შუბით.

ისრაელის ტომებს შორის გამართულ სისხლისმღვრელ ომში ორმოცდაორიათასი ეფრემის ჩამომავალი დაეცა. გამარჯვების შემდეგ იეფთაე გალაადელმა ექვს წელს იცოცხლა. იგი მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა. როცა სახელოვანი გმირი გარდაიცვალა, იგი ჯეროვანი პატივით დაასაფლავეს გალაადის ერთ-ერთ ქალაქში.

ს ა მ ს ო ნ ი. ფილისტიმელები ქანაანში ზღვის მხრიდან მოვიდნენ და დაიკავეს სანაპირო ზოლი სამხრეთით. ხუთ ქალაქს (აშდოდს, ეკრონს, ასკალონს, ღაზასა და გეთს) ხუთი ფილისტიმელი მეფე განაგებდა. ცოტა ხანი რომ გავიდა, მომსვლელებმა ვიწროდ იგრძნეს თავი და ხმელეთის სიღრმისაკენ, იუდასა და დანის ტომებისაკენ დაიძრნენ. ფილისტიმელები მკაცრი, ბრძოლებში გამოწრთობილი, რკინის საჭურველში ჩამ-

სხდარი შეომრები იყვნენ, ქანაანში კი რკინა ჯერ კიდევ ნაკლებად გავრცელებული იყო.

გასაკვირიც არაა, რომ ფილისტიმელებმა დაიმორჩილეს მეზობელი ტომები. ისრაელის ძენი იძულებულნი იყვნენ, ორმოცი წლის განმავლობაში ეთმინათ მათი უღელი.

დანის ტომის წარმომადგენელი მანოე პატარა ქალაქ ცარას მკვიდრი იყო. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყავდა. ერთხელ მათ ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა — მალე დიდი ხნის ნანატრი ვაჟი შეგეძინებათო. სამგზეროდ, ანგელოზმა მოითხოვა, მანოეს შვილი ნაზორეველი (ღმრთისადმი შეწირული) ყოფილიყო: აღთქმისამებრ ღვინო არ უნდა დაელია, და სამართებელი მის თმას არ უნდა შეხებოდა.

ვაჟი, რომელსაც სამსონი დაარქვეს, უჩვეულო სისწრაფით იზრდებოდა და ძლიერთა შორის უძლიერესი გახდა. მშობლების ფიცის ერთგულმა სამსონმა აღთქმა დადო, რომ ნაზორეველი გახდებოდა. დიდად ღვთისმოსავი არ გახლდათ, მაგრამ არც ღვინოს სვამდა და არც თმებს იკრეჭდა. ბუნებამ ამ ქოჩორა ბიჭს არნახული ღონე მისცა, არც ცბიერება და ეშმაკობა დაუკლია მისთვის. სამსონის გულს სარბუნად ხვდებოდა ხალხის ქება-დიდება და ტაშისცემა, ამიტომ ცდილობდა თავისი ძალღონის ჩვენებას. ხანდახან სულელურ ოინებს იგონებდა და ათასგვარი ხრიკი იცოდა. სამწუსაროდ, უხეში ხუმრობა უყვარდა. ხშირად სამსონი ხარხარით კვდებოდა, როცა მისი თავხედური სისულელის მსხვერპლი თავბედს იწყევლიდა, მაგრამ მის გადაკიდებას ყველა ერიდებოდა. თუ ვინმე შეურაცხყოფდა, სამსონი ცოფებს ყრიდა და აღარავის ინდობდა. გარდა ამისა, ამ გულფიცხ, ჩქარსა და ახირებულ ყმაწვილს ერთი ზნეც სჭირდა: ქალებზე გადამკვდარი იყო. ვინმე თავისნათქვამა დედაკაცს რომ გადაეყრებოდა, სულ თავს ევლებოდა, გონებას კარგავდა, თვინიერ კრავს ემსგავსებოდა ხოლმე.

სამსონმა ცოლის შერთვა მოინდომა. სამსონს ხეტიალი უყვარდა. ერთხელ იგი ქალაქ თიმნაში მოხვდა. აქ მას გულში ჩაუვარდა მოხდენილი ფილისტიმელი ქალი და მისი ცოლად შერთვა განიზრახა. დაუყოვნებლივ გასწია სახლისაკენ და მშობლებს სთხოვა — სატრფოსთან მოციქულად მიმეგზავნეთო. თავზარდაცემულმა მოხუცებმა თავში ხელები წაიშინეს: ისედაც გაჩენის დღეს გვაწყევლინებს და ახლა კიდევ უცხოელის წინადაუცვეთელი ფილისტიმელის ქალის შერთვა მოპრიანაო. სამსონი თავისას არ იშლიდა, მამას ჯიუტად ეუბნებოდა: „მომგვარე იგი ცოლად, რამეთუ შვენიერ არს თვალთა შინა ჩემთა“.

მშობლებმა ვერაფერი გააწყვეს და გულისტკივილით აღსრულეს ჟინიანი შვილის ახირებული სურვილი. სამსონი ფილისტიმელი ქალის საქმრო გახდა და ხშირად დადიოდა სტუმრად საცოლის მახლობლებთან.

ერთხელ სამსონი უდარდელად მიაბიჯებდა ვენახებშუა მიმავალ ბილიკზე. მას გზა გადაუღობა მბრდღეინავმა ლომმა. ღონიერმა სამსონმა ლომი ასო-ასოდ დაგლიჯა და, თითქოს არაფერი მომხდარიყო, კვლავ მშვიდად გასწია თიმნისაკენ. არც კი გაუმხელია ვინმესთვის, თუ რა გადახდა. შინ რომ ბრუნდებოდა, საოცარი რამ ნახა. მკვდარი ლომის ხახაში ფუტკარი დაბუდებულიყო და უკვე ბლომად დაეგროვებინა თაფლი. სამსონმა მშობლებს გოლეული მიუტანა, თუმცა არ გაუმხელია, სად იშოვა იგი.

ბოლოს დიდი ხნის ნანატრი ქორწილის დღეც დადგა. ფილისტიმელთა წესის მიხედვით, ქორწილი შვიდ დღეს გაგრძელდა. ერთ-ერთ ნადიმზე სამსონი ოცდაათ ფილისტიმელს შეეჯიბრა ანამოცანების შეთხზვა-ამოხსნაში. იგი ფილისტიმელებს წმინდა ტილოს ოცდაათ პერანგსა და ოცდაათ ხელ ტანსაცმელზე დაენაძლევა, ჩემს გამოცანებს ვერ გამოიცნობთო. დანაძლევდნენ და სამსონმა თქვა: „მჭამელისაგან გამოვიდა საჭმელი, და ძლიერისაგან გამოხდა ტკბილი“.

ფილისტიმელები სახტად დარჩნენ. სამი დღის განმავლობაში იმტვრიეს თავი უცნაურ გამოცანაზე და ვერაფრით ვერ მიხვდნენ, რას გულისხმობდა სამსონი. სასოწარკვეთილები მიხ ცოლთან მივიდნენ და პირდაპირ უთხრეს: „უთხარ ქმარსა შენსა, გვითხრას იგავი იგი, რათა არა დაგწვათ შენ და სახლი მამისა შენისა. ნუთუ მოგვიწოდეთ, რათა გლახაკ-გვყოთ ჩვენ?“

რა ღონე ჰქონდა უბედურ ქალს? მრისხანე მუქარით დაშინებული პატარძალი იძულებული იყო, ეთვალთმაქცა, რომ მშობლების ქონება გადაერჩინა. მივიდა ქმართან და თვალცრემლიანმა შესჩივლა: „მომიძულე და არა გიყვარ მე. იგავი უთხარ ძეთა ერისა ჩემისათა, ხოლო მე არა მითხარ იგი“.

სამსონი ყოველნაირად ცდილობდა პასუხის თავიდან აცილებას, უნდოდა ყველაფერი ხუმრობაში გაეტარებინა და სიტყვა ბანზე აეგდო. მაგრამ ქალი ტიროდა, ეფერებოდა და ეკეკლუცებოდა, ვიდრე გული არ მოულბო და საიდუმლოც არ გამოსტყუა.

მეორე დღეს სამსონი და ოცდაათი ფილისტიმელი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ნადიმზე. ფილისტიმელებმა ქვეშ-ქვეშად ჩაიცინეს და მოახსენეს: შენი გამოცანა მკვდარი ლომი და მის ხახაში ნაპოვნი გოლეულიაო. სამსონი უმალ მიხვდა, რომ გაბრიყვეს, იხტიბარი არ გაიტეხა და ფილისტიმელებს მშვიდად უთხრა: თქვენ რომ უღელში ჩემი ძროხა არ შეგებათ, გამოცა-

ნას ვერ გამოიცნობდითო. ყველაფერზე მწარე მაინც ნაძლევის გადახდა იყო. ოცდაათი პერანგი და ოცდაათი ხელი ტანსაცმელი იოლი საქმე როდი გახლდათ, სამსონის მშობლები ღარიბად ცხოვრობდნენ; ასე რომ მათი დახმარების იმედი არ ჰქონდა. სამსონი ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი გასაჭირიდან და ბოლოს ადვილი და ხელსაყრელი გზა გამონახა.

დილაადრიან ასკალონს წავიდა, მოკლა ოცდაათი ფილისტიმელი, ყველა მოკლულს სათითაოდ გახადა პერანგი და ტანსაცმელი. ვალი გადაუხადა ვერაგ თანამოსუფრეებს და შინ ისე გამობრუნდა, რომ მუხანათი ცოლისთვის ზედაც არ შეუხედავს.

ცოტა ხანი რომ გავიდა, განრისხებულმა სამსონმა გული მოიბრუნა და მეუღლე მოენატრა. თავი დააჯერა — მას ბოროტი განზრახვით არ მოვუტყუებივარ, ძალა დაატანეს და ისიც მშობლების სიყვარულმა აცდუნაო. მაშ რატომ უნდა დავსაჯო იგი უმწეობისა და უნებური ღალატისთვისო.

სამსონი მაშინვე თიმნისკენ გაეშურა და შერიგების ნიშნად თან თიკანი წაიყვანა. მაგრამ აქ მას ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომელსაც სულ არ ელოდა. მოუთმენელმა სამსონმა თავი ვერ შეიკავა და პირდაპირ მიადგა ცოლის საძინებელ ოთახს, მაგრამ... ოი, საშინელებავ! მას გზა გადაუღობა სიმამრმა და აუწყა: ჩემი ასული სხვას მივათხოვე, მეგონა, რომ შენ სამუდამოდ მიატოვეო. სიმამრმა მაინც კეთილკაცობა გამოიჩინა და სამსონს შესთავაზა უმცროსი ასული, რომელიც უფროსზე ლამაზი იყო. სამსონი საშინლად განრისხდა, მას უმცროსის სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა. მისთვის ნათელი იყო, რომ უკანასკნელ ვიგინდარასავით მოექცნენ, მოატყუეს და აი, დამცირებული და შეურაცხყოფილი დგას საყვარელი მეუღლის საწოლი ოთახის კართან. გააცურეს და მერე ვინ? უძლიერესი უძლიერესთა შორის, ვისაც ქება-დიდებას ასხამდა ყველა — თავისიანიც და უცხოც. სადღა გამოყოფს თავს ასეთი შერცხვენილი და შეურაცხყოფილი? სისხლის ფასად რომ დაუჯდეს, ჩირქი უნდა ჩამოირეცხოს. ეშმაკობითა და ძალით იძიებს შურს დამცირებისათვის. გულში ავი ჩაიდო, მოიღუშა და ფილისტიმელს დაემუქრა: „ამიერითგან უბრალო ვარ წინაშე ფილისტიმელთა, ოდეს ბოროტი ვუყო მათ“.

ასე დაიწყო ომი მარტოხელა სამსონსა და ფილისტიმელებს შორის. სახლში გამოჩენა ვერ გაბედა. მგელივით დაძრწოდა თიმნის მიდამოებში და საძულველ ქალაქზე შურის საძიებლად ემზადებოდა. ბოლოს შემზარავი და ორიგინალური იდეა გაუჩნდა. მახით დაიჭირა სამასი მელა, ორ-ორი კუდებით გადააბა ერთმანეთს, კუდებს შუა ანთებული ჩირაღდნები მიუბა და დამფრთხალი მელები ქალაქისაკენ გარეკა. გახელებული მხეცები მირბოდნენ და გზადაგზა ყანებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბა-

ღებს ცეცხლს უკიდებდნენ. ფილისტიმელთა მთელი ქონება ფერფლად იქცა. სასოწარკვეთილებაში ჩაცვივნილმა თიმნელებმა სამსონს ნაცოლარი და სიმამრი მოუკლეს. იმან უმალვე გაიგო ეს ამბავი და დაიფიცა, რომ საშინლად იძიებდა შურს. ფიცი შეასრულა კიდეც. მოულოდნელად აისვეტებოდა ხოლმე შარაგზაზე მგზავრის წინ, ხოცავდა ყველას, ვისაც შეეჩეხებოდა და ისეთ შიშის ზარს სცემდა მცხოვრებლებს, რომ თიმნიდან ცხვირის გამოყოფასაც ვეღარავინ ბედავდა. მალე შიმშილობა დაიწყო. ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. ყველა შიშმა ძოიცვა. ერთი ვაჟკაცის წყალობით თიმნა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თითქოს უზარმაზარ არძიას შემოერტყას მისთვის ალყა. ფილისტიმელებმა გადაწყვიტეს, ჰოლო მოეღოთ სამსონის ტეროორისათვის. მათი ჯარები იუდეის ქვეყანას შეესივნენ და მოითხოვეს — თუ სამსონს არ გასცემთ, ქვეყანას ავაოხრებთო.

ლაჩარმა იუდეველებმა მყისვე გაგზავნეს სამი ათასი მებრძოლი ეტამის კლდოვან ხეობაში, რომლის ერთ-ერთ გამოქვაბულშიც იმალებოდა სამსონი. იუდეველთა მხედართმთავარმა მასთან მოლაპარაკება დაიწყო და თან გულისწყრომით უსაყვედურა: „ნუთუ არა იცი, რამეთუ უფლებენ ფილისტიმელნი ჩვენ ზედა? ეს რა გვიქმენ?“ „ვითარცა მიყვეს მე, ესრეთ ვუყავ მათ“, — პირქუშად მიუგო სამსონმა და მაშინვე დაუმატა: „ძეფიცენით, რათა არა მომკლათ“. იუდეველებმა აღუთქვეს, არ მოგკლავთო. სამსონი დაჰყვა მათ ნებას და თავი გაათოკინა. ფილისტიმელები ლანძღვითა და დაცინვით შეხვდნენ ტყვეს. სამსონმა ლანძღვა-გინებას ყურიც არ ათხოვა, მაგრამ როცა ზოგმა ყველაზე თავხედმა ფილისტიმელმა ჩქმეტა და მუშტების ცემა დაუწყო, მაშინ კი სისხლი ყელში მოაწვა. სამსონმა ღონე მოიკრიბა, საბელი ერთი ხელის მოქნევით მატყლის ნართივით გაწყვიტა, ხელი დასტაცა იქვე დაგდებულ ვირის ყბას და გაშმაგებული დაერია მტანჯველებს. ეშმაკეულივით აბორგებულმა ვირის ყბა დაატრიალა და ყველა, ვიზეც კი ხელი მიუწვდა, თავგაპობილი მიაწვინა მიწაზე.

ფილისტიმელები შიშმა აიტანა. მოთქმა-გოდებით გარბოდნენ ზარდაცემულები. ამასობაში სამსონმა აურზაურში ათასი კაცი დახოცა. უსაზღვროდ კმაყოფილი დაბრუნდა თავის გამოქვაბულში, თან ნაბიჯების რიტმზე მხიარულად მიღიღინებდა: „ძვალითა ვირისაითა შევმუსრე ერი, ძვალითა ვირისაითა მოვსრენ კაცი ათასი“.

სამსონი დიდხანს არ დარჩენილა მთებში, რადგან მადლიერმა თანამემამულეებმა იგი მსაჯულად აირჩიეს.

ოც წელს მართავდა მათ სამსონი. მისი სახელი შიშის ზარს სცემდა ფილისტიმელებს, რომლებმაც ჭკუა ისწავლეს და სამსონის აუგად ხსენებასაც ვეღარ ბედავდნენ.

სამსონის თავგადასავალი ღაზაში. სამსონს აინუნშიაც არავინ მოსდიოდა ფილისტიმელთაგან და მათ ქალაქებში მხლებლის გარეშე დადიოდა. მიაბიჯებდა ქუჩებში, დინჯად ავლებდა თვალს გასასყიდად გამოფენილ საქონელს, ქალაქის ბრბოს კი, რომელიც მოკრძალებით უთმობდა გზას, ზედაც არ უყურებდა. ხანდახან აღებმიცემობით განთქმულ ხალხმრავალ ღაზაშიც შეივლიდა ხოლმე. ერთხელ აქ შეხვდა ლამაზ მეძავს. ქალი თვალში მოუვიდა, ამიტომ სტუმრადაც ეწვია. ფილისტიმელებმა მაშინვე გაიგეს, რომ სამსონი ღაზაში ღამის გათევას აპირებდა. სიხარულით ცას ეწივნენ — როგორც იქნა ხაფანგში გავაბითო. საღამოჟამს ქალაქის ჭიშკარი ჩაკეტეს და მცველები დაუყენეს. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, გათენებისას მოულოდნელად დასხმოდნენ სამსონს და მოეკლათ. სამსონს გულმა ავი უგრძნო და შუაღამისას გაიპარა მეძავის სახლიდან. მცველებს არხეინად ეძინათ. ასე ადრე არ ელოდნენ მტერს. სამსონმა დახოცა მცველები, ქალაქის მძიმე კარი ჩამოხსნა, გაიდო მხარზე, ქებრონისაკენ მიმავალ გზას გაჰყვა და ქალაქის კარი მთის მწვერვალზე აიტანა. ამ გმირობამ, რომელმაც დაადასტურა არა მარტო გასაოცარი ძალა სამსონისა, არამედ მისი უჩვეულო ცბიერებაც, მის დიდებას კიდევ უფრო შეჰმატა სხივი, ფილისტიმელები კი მეზობელი ხალხებისაგან აბუჩად ასაგდები გახადა.

სამსონი და დალილა. ქალების მუსუსი სამსონი ახლა სხვა ფილისტიმელი ქალის მახეში გაება. ეს იყო დალილა, რომელიც სორეკის ხეობაში ცხოვრობდა. ცბიერი და ვერაგი ქალი მისი სიყვარულის ღირსი არ იყო. დალილას ფილისტიმელთა მოთავენი ეახლნენ. ასე უთხრეს: „აცთუნე სამსონ და ახილე, თუ საითგან არს ძალი მისი დიდი, რათა შევძლოთ და შევიპყრათ იგი, შევკრათ და დავამდაბლოთ იგი. და მოგცეთ შენ კაცად-კაცადმან ათას და ას შეკელი ვეცხლისა“. ფულის მოყვარულ ხარბ ქალს თვალები გაუბრწყინდა, ამოდენა ფული რომ შეაძლიეს.

დალილამ შემდეგ ნახვაზევე იხელთა დრო, საყვარელს მოეფერა და მიამიტად სთხოვა, აეხსნა თავისი გოლიათური ძალღონის საიდუმლოება. სამსონს მწარედ ახსოვდა ქალის ვერაგობა, ამიტომ თავის მიჯნურებთან ძალზე ფრთხილად იყო და ენას კბილს აჭერდა. ახლაც იფიქრა, ცნობისმოყვარე ქალს ტინს ვუზამო და ვითომ დიდი საიდუმლოება გაანდო — საკმარიხია, შვიდი ნედლი ძარღვით შემკრან და ძალას მაშინვე დავკარგავო.

მუხანათი ქალი მოუთმენლად ელოდა დაღამებას განზრახვის

აღსასრულებლად. სამსონმა დაიძინა. დალილამ იგი საქონლის შვიდი ნედლი ძარღვით შებოჭა, სახლიდან გაიპარა და ფილისტიმელები მოიყვანა. საწოლ ოთახში რომ შევიდა, ვითომდა შეშინებულმა დაიყვირა: „ფილისტიმელნი მოსრულ არიან, სამსონ!“ გოლიათი თვალის უსწრაფესად წამოვარდა სარეცლიდან, დაგლიჯა ყველაფერი, რითაც იყო შებოჭილი და დამცინავი ხარხარი მიაყოლა უკან თავქუდმოგლეჯით გაქცეულ შეთქმულებს. დალილა არწმუნებდა, რომ მასაც ეძინა და თავის უდანაშაულობას უმტკიცებდა: აკი დროზე გაგაფრთხილეო. სამსონმა თავი მოისულელა და ვითომ ყველაფერი დაიჯერა. გაიძვერა ქალი კვლავ ჩააცივდა — შენი ძლიერების საიდუმლოება გაამანდეო. სამსონმა იფიქრა, ამას თამაშას ვაჩვენებ და მეც გავერთობი. იგი ვითომცდა ქალის ნებას დაჰყვებოდა ხოლმე, უცბად რაღაცას მოუჩმახავდა, საიდუმლოდ გაანდობდა და მშვიდად იძინებდა დალილას მკლავზე თავდადებული. ასე მაგალითად, ერთხელ უთხრა — ძალას ძაშინ დავკარგავ, თუ ახალი, უხმარი საბლით შემკრავენო. მეორედ გამოუტყდა — იოლად რომ დამძლიონ, ოშა შეიდად უნდა დამიწნან, საქსოვი დაზგის ქსელში ჩაატანონ და იატაკზე დააჭედონო. დალილამ ყველაფერი სცადა და ყოველ ცდაზე კოვზი ნაცარში უვარდებოდა. ფილისტიმელები კი გასწრებაზე გარბოდნენ თავის გადასარჩენად. სამსონი სიცილით კვდებოდა, მაგრამ ამნაირი თავის შექცევა დიდხანს ეეღარ გასტანდა. გაიძვერა დალილა გაიბუტა, ვნებაშლილი საყვარელი ახლოს აღარ გაიკარა, სამდურავითა და ჭირვეულობით სიცოცხლე მოუშხამა. ბოლოს და ბოლოს შეწუხებული სამსონი გამოუტყდა დალილას: „არა აღსრულ არს საპარსველი თავსა ჩემსა, რამეთუ ნაზორეველ ვარ დედის მუცლით ჩემით. და თუ შემკეეცო თმა ჩემი, განვიდეს ჩემგან ძალი ჩემი და დავუძლურდე, და ვიქმნე ვითარცა ერთი კაცთაგანი“.

დალილამ საჩქაროდ კაცი აფრინა თავისიანებთან — მოდით და დაპირებულიც მოიტანეთო. სანამ ფილისტიმელები მოვიდოდნენ, დალილამ თავის კალთაში დააძინა სამსონი და დალაქს უბრძანა, შვიდი ნაწნავი შეაჭერიო. მერე სამსონი გააღვიძა, ზიზღით ჰკრა ხელი და სახლიდან გაადგო. ამ დროს ფილისტიმელებიც მოვიდნენ. სამსონი მტერს ეკვეთა, მან არ იცოდა, რომ ნაზორეველის აღთქმის დარღვევისათვის — თმის შეჭრისათვის — იაჰვემ ძალა წაართვა. ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ ფილისტიმელებმა სამსონს სძლიეს, შებორკეს, თვალები დათხარეს და ზარ-ზეიმით მიიყვანეს ღაზაში.

უძლური და თვალებდავსებული ტყვე ჯერ გამოიყვანეს, რომ ყველას ენახა და შეურაცხეყო იგი, შემდეგ ბნელ ჯურღმულში ჩააგდეს. აქ იგი, რვალის ჯაჭვით შებორკილი, წისქვილის ქვებს აბრუნებდა.

სამსონის გმირული სიკვდილი. ფილისტიმელებმა მოინდომეს დაუძინებელ მტერზე მოპოვებული გამარჯვება ეზეიმათ. ამისათვის გადაწყვიტეს მსხვერპლის შეწირვა და თავისი ღმერთის დაგონის ტაძარში ნადიმის გადახდა. ამ მაღალი, მსხვილ სვეტებზე დაყრდნობილი შენობის ფართო შიდა ეზოს პირველ სართულზე ისევ სვეტები ზღუდავდა, მეორეზე კი კამაროვანი სტოა. ძრავალმა სტუმარმა მოიყარა თავი ტაძარში. ყველანი მხიარულობდნენ და ლაღობდნენ. ფილისტიმელებს ზეიმი და ნადიმი თავდავიწყებით უყვარდათ. ისინი მარტო ღვინოს კი არ სვამდნენ, ლუდსაც კარგად ატანდნენ გემოს.

ღრეობა გაგრძელდა. ხმაურმა იმატა. მონები გაჩქარებულნი მიმოდიოდნენ, რომ სტუმართა სასმისები ზედიზედ აევსოთ. შეზარხოშებულმა სტუმრებმა მოითხოვეს, სამსონმა მუსიკით გაგვართოსო. იგი დილეგიდან ამოიყვანეს და ხელში შვიდსიმიანი ქნარი შეაჩეჩეს. თავს დატეხილ უბედურებათაგან დამცირებული ბრმა გოლიათი ტაძრის ორ სვეტს შუა იდგა და მორჩილად უკრავდა იმ მელოდიას, ოდესღაც დედა რომ უმღეროდა. ღვინოში ჩამხრჩვალმა მოქეიფეებმა მუსიკას ყურიც არ ათხოვეს. მათ სამსონი მხოლოდ იმიტომ მოიყვანეს, რომ მისი შეურაცხყოფით დამტკბარიყვნენ და განცდილი შიშისა და განაწყენებისათვის სამაგიერო მიეზღოთ.

თვალებდათხრილი სამსონი, რომელსაც მკვდრის ფერი ედო, მოთმინებით იტანდა აბუჩად აგდებასა და შეურაცხყოფას. ყველას ეგონა, რომ იგი უძლური და სულით დაცემული იყო. არავინ იცოდა, რას განიცდიდა იგი ამ წუთში. ისიც ვერავინ შეამჩნია, რომ სამსონს კვლავ წამოზრდოდა თმა, ის თმა, რომელიც მას ძალას ანიჭებდა. ტყვეს ტუჩები ოდნავ უთრთოდა, სამსონი ვედრებით ჩურჩულებდა: „უფალო ღმერთო ძალთაო! მომიხსენე მე და განმაძლიერე ერთ გზის ოდენ. და ვიძიო შური და მივაგო ფილისტიმელთა შურისგება ერთი ორისა თვალისა წილ“. მან თანმხლებ ყრმას მიმართა: „მიმიყვანე მე, რათა შევეხო სვეტთა, რომელთა ზედა დამკვიდრებულ არს სახლი ესე, და უკუეყრდნო მათ“. ყრმამ თხოვნა შეუსრულა. სამსონმა ორ სვეტს ხელები შემოაჭდო და ხმამაღლა წამოიძახა: „მოკვედ, სულო ჩემო, ფილისტიმელთა თანა!“ დაგონის ტაძარში სიჩუმე გამეფდა. ყველა ფეხზე წამოიჭრა. ბრმას შეძრწუნებულები შეაცქერდნენ. იმავე წამში სამსონმა ძალ-ღონე მოიკრიბა, სვეტებს მოზიდა; ტაძარი საზარელი ხმაურით ჩამოინგრა. ნანგრევებმა ქვეშ მოიყოლა გოლიათი სამსონი და მასთან სამი ათასი ფილისტიმელი, რომელიც ტაძარში ღრეობდა.

იუდეველებმა გამოისყიდეს ცხედარი გმირისა, რომელმაც დამცირებასა და მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა.

სამსონი მამამისის, მანოეს, აკლდამაში დაკრძალეს და იმ დღიდან მისი ცხოვრების ამბებს სიამაყის გრძნობით იგონებდნენ ხოლმე.

როგორ მოიპარეს იაჰვეს კერპი დანის ტომის წარმოადგენლებმა. ეფრემის მთაზე ცხოვრობდა ქერუბი დედაკაცი, რომელსაც ათას ასი შეკელი ვერცხლი ჰქონდა გადანახული. ერთ დღეს ქერუბმა თავისი ზარდახშა ცარიელი ნახა. ქურდს მთელი ვერცხლი მოეპარა. აღშფოთებულმა და უსასოობაში ჩავარდნილმა ქალმა არამზადა დაწყევლა; იაჰვეს შეეეედრა, ქურდი სიკვდილით დაესაჯა. ქერუბის ძე მიქია შეძრწუნდა, გამოტყდა და ნაქურდალი ვერცხლი დააბრუნა. დედამ უკან წაიღო წყეველა და შვილს დანაშაული აპატია. ქერუბმა ორასი შეკელი გადათვალა, ოქრომჭედელს იაჰვეს კერპი ჩამოასხმევინა და შვილს გადასცა, რაკი მან ცოდვა მოინანია. მიქიამ საკუთარ სახლში იაჰვეს ტაძარი გაუმართა, მღვდლად თავისი ვაჟი დანიშნა. ასეთი რამ ისუ ნავეს აკრძალული ჰქონდა. მიქიას ძისი ბრძანება არაფრად ჩაუგდია. მაგრამ იმედიც არ გაუმართლდა — ტაძარი შემოსავალს არ იძლეოდა. ადგილობრივი მოსახლეობა არ ცნობდა მღვდელს, რადგან იგი ლევიტელთა ტომს არ ეკუთვნოდა.

ერთხელ მიქიას სახლს ვინმე მოხეტიალე ლევიტელი მოადგა და თავშესაფარი ითხოვა. იგი წარმოშობით იუდეველთა ბეთლემიდან იყო. სამუშაოს ძიებაში დაეხეტებოდა კარიბაკარ. მიქიამ შესთავაზა მღვდლობა თავის ტაძარში. გასამრჯელოდ დაპირდა საჭმელ-სასმელს, წელიწადში ათ შეკელ ვერცხლსა და სამოსელს.

ამ ღროს ქანაანის საკრეთით მცხოვრები დანის ტოტი დიდ გასაჭირს განიცდიდა. მათ მეზობლად სახლობდნენ ფილისტიმელები, რომლებიც სულ უფრო კაბინიერად და აშკარად ეშზადებოდნენ თავდასხმისათვის. დანელებმა თავის გადარჩენად ბოლოს და ბოლოს ქანაანის სხვა ნაწილში დასახლება განიზრახეს. ამ მიზნით მათ ხუთი კაცი გაგზავნეს ჩრდილოეთში და დაავალეს დასასახლებლად ასალი მიწების გამონახვა. გზად მიმავალმა ელჩებმა მიქიასთან შეიარეს, გაოცებით დააკვირდნენ ღვთის სახლი და მღვდელს ყველაფერი წვრილად გამოჰკითხეს. ნასული და გაგონილი ძალიან მოეწონათ. საკუთარი რელიგიური ცენტრის ქონა მოხერხებულად და ხელსაყრელად ეჩვენათ. მაშინ ხომ დამოკიდებულნი არ იქნებიან შორეულ სელომზე. მაგრამ საკრეთელთა მოციქულებმა არავინ გაუმხილეს, თუ რა ჰქონდათ უზურში და გზა განაგრძეს. ისინი ბოლოდ ქანაანის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ლაიშში შეჩერ-

დნენ. აქ მიწამ უხვი მოსავალი იცოდა. მოსახლეობაც დიდად ბრძოლებში გამოცდილი არ ჩანდა.

მალე დანის ტომის ექვსასი მეომარი ცოლ-შვილითა და ქონებით დაიძრა ლაიშის დასაპყრობად. გზად მიმავალნი ეფრემის მთაზე შეჩერდნენ და შეღამებისთანავე მიქიას ტაძარში შეიპარნენ. მათ უნდოდათ მოეპარათ იაჰვეს კერპი და მღვდელთმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები. ლევიტელს, რომელმაც დანაშაულის ადგილზე შეისწრო ისინი, წამსვე გულმა უახრა, რომ წინ უკეთესი ცხოვრების პერსპექტივები ეშლებოდა: შეკრა თავისი ბარგი, აიკიდა და დანელებთან ერთად გაუძგა გზას.

დილით მიქიამ გაიგო ღამის ამბავი, სახლეულები შეკრიბა და გამტაცებლებს დაედევნა. ქურდები შორიდან შენიშნა და შესძახა — ახლავე შეჩერდითო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ისინი თავზეხელაღებული ყაჩაღები იყვნენ და რომ მათთან შებმა არ ღირდა. ამიტომ დინჯად აქცია მათ ზურგი და შინისაკენ გამობრუნდა.

დანელებმა იოლად დაიპყრეს და დაანგრიეს ლაიში, დედაწულიანად ამოჟლიტეს მცხოვრებლები, ნანგრევებზე კი თავისი დედაქალაქი დანი ააშენეს. აქაურმა ტაძარმა, რომელშიც იაჰვეს ვერცხლის კერპი ინახებოდა, მთელს ქანაანში გაითქვა სახელი, თუმცაღა სელომელი მღვდლები გმობდნენ მას და მის არსებობას უკანონოდ მიიჩნევდნენ. შაგრამ იმ ხანებში არსად იყო ისუ ნავეს მსგავსი ბელადი, რომელიც შეძლებდა დაქუცმაცებული ისრაელის ერის ხელახლა გაერთიანებას.

ბენიამენის ტომის დანაშაული. ეფრემის მთის ძირში ერთი ლევიტელი ცხოვრობდა. მას ცოლად ჰყავდა ბეთლემელი დედაკაცი. ცოლ-ქმარი ვერ შეეთვისნენ ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს ცოლს მობეზრდა გაუთავებელი ჩხუბი, ქმრის სახლ-კარი მიატოვა და მამისეულ სახლში დაბრუნდა.

გავიდა ოთხი წელი. ლევიტელი მარტოობამ გააბეზრა და ცოლთან შერიგება გადაწყვიტა. ორ ვირს აჰკიდა საგზალი, პურ-ღვინო და მსახურის თანხლებით გზას გაუდგა.

გახარებული სიმამრი ჭერში ქუდის კვრით დაუხვდა სიძეს და რამდენიმე დღე ჩიტის რძე არ დაუკლია მისთვის. ცოლმაც კი ირწმუნა ქმრის სინანული. შერიგებულ ცოლ-ქმარს ერთი სული ჰქონდა, სანამ დაუბრუნდებოდნენ საკუთარ კერას ეფრემის მთის ძირში.

გზაზე მათ იერუსალიმის გალავანთან შემოაღამდათ და მსახურმა ცოლ-ქმარს ქალაქში ღამის გათევა ურჩია. მაგრამ აქ იებოსელები ცხოვრობდნენ, ამიტომ ლევიტელმა მსახურს მიუ-

გო: „არა შევიდეთ ქალაქსა უცხოსა, ხადა არავინ არს ძეთაგან ისრაელისათა, წარვიდეთ გაბას“.

ხალხმრავალი ქალაქი გაბა ბენიამენელთა მიწა-წყალზე მდებარეობდა. მოგზაურებს ღამის გასათევი ადგილი არ ჰქონდათ და ქუჩაში ჩამოსხდნენ, მაგრამ გამვლელ-გამომვლელნი ვერც ამჩნევდნენ ტვირთაკიდებულ გადამთიელებს და თავს მოვალედ არ თვლიდნენ, მათთვის მასპინძლობა გაეწიათ. იმავე ქუჩას მიჰყვებოდა ერთი მოსუცი, რომელიც მინდვრიდან ბრუნდებოდა. მთელი დღის მუშაობისაგან დაღლილი, წლებისაგან წელში მოხრილი კაცი შეჩერდა და მგზავრები ღამის გასათევად მიიპატიჟა. მოხუცი ბენიამენის ტომისა არ იყო, იგი ეფრემის ჩამომავლებს ეკუთვნოდა, მაგრამ გაბაში ცხოვრობდა და მიწის ნაკვეთსაც ფლობდა.

მან სტუმრები შინ შეიყვანა. ვირებს ბზე დაუყარა და მგზავრები ვახშამზე მიიწვია. ამ დროს სახლს ქალაქელ გარეწართა ბრბო მოადგა. მომხვლელები კარზე მუშტებს უბრახუნებდნენ და მასპინძელს უცხოელების გამოყვანა მოსთხოვეს. „მოგვეც კაცი ეგე, რათა ვცნათ იგი“, — ბობოქრობდნენ ისინი. მასპინძელი ქუჩაში გავიდა და აღვირახსნილ არაშზადებს შეევედრა: „არა, ძმანო, ბოროტსა ნუ იქმთ, შემოვიდა კაცი ეგე სახლსა ჩემსა, ნუ იქმთ უგუნურებას. აჰა, ასული ჩემი ქალწული, და ხარჭი კაცისა მის; მსწრაფულ გამოვიყვანნე ორნივე, დაამდაბლნეთ ისინი და ჰქმენით რაცა გსურთ, ხოლო კაცსა ამას ნუ უყოფთ საქმესა უგუნურებისასა“.

ბოლოს და ბოლოს ბრბომ ხელთ იგდო ლევიტელის ცოლი და მთელი ღამით მოიტაცა. დილით განაწამებმა ქალმა მოხუცის სახლამდე კი მიაღწია და ზედ კართან დალია სული. ლევიტელმა ცოლის ცხედარი ვირს აჰკიდა და სასწრაფოდ დატოვა ქალაქი. შინ რომ მივიდა, ტანჯული ცოლის სხეული თორმეტ ნაწილად დაჭრა და ისრაელის ყველა ტომს დაუგზავნა გაბას მკვიდრთა საშინელი დანაშაულის ნიშნად.

ლევიტელის საჩივრის განსახილველად ებრაელები მიხფას შეიკრიბნენ. გაბას გაგზავნილი ელჩები მოითხოვდნენ, რომ ბოროტმოქმედნი მათთვის გადაეცათ, მაგრამ ბენიამენის ჩამომავლებმა მოციქულებს ციცი უარი სტკიცეს. დაიწყო ომი — ისრაელიტელთა ერთიანი ლაშქარი მიადგა გაბას გალავანს, ხადაც თავმოყრილნი იყვნენ ამბოხებულნი.

ომი ხანგრძლივი გამოდგა. მოწინააღმდეგეებმა სისხლის ტბა დააყენეს. ებრაელები ვერაფერს გახდნენ. ორი დამსჯელი ექსპედიცია ხელმოცარული დაბრუნდა. ბრძოლის ველზე ათასობით მკვდარი დარჩა. გაიმარჯვა მხოლოდ მესამე ექსპედიციამ, ცბიერი ხერხის წყალობით. ბენიამენელთა მტკიცე წინააღმდეგობისა და მძიმე დანაკლისისაგან ეაფეთრებულმა თავ-

დამსხმელებმა გაბას მკვიდრნი სისხლში ჩაახრჩვეს. არ დაუნდვიათ არავინ: არც კაცი, არც ქალი და არც ბავშვი. ქალაქი დაცარიელდა, სახლები გადაიწვა, საქონელი განადგურდა. ბენიამენის ტომის რაზმმა, რომელშიც ექვსასი კაცი იყო, რიმონის კლდეს შეაფარა თავი. რაზმი თავგანწირვით იბრძოდა ოთხ თვეს და ბოლოს პატიებაც მიიღო.

ლაშქრობის წინ ისრაელიტელებს ფიცი დაედოთ, რომ თავისი ტომის ქალწულებს არასდროს მიათხოვებდნენ დამნაშავეებს. ახლა კი, როცა ბენიამენის ტომის ქალები და ბავშვები ერთიანად ამოჟლიტეს, ფიცის აღსრულება ისრაელის თორმეტი ტომიდან ერთ-ერთის გარდაუვალ დაღუპვას მოასწავებდა, რადგან ცოცხლად დარჩენილ ექვსას კაცს დაცოლშვილებას უკრძალავდა. ისრაელის ტომების უხუცესნი სელომის ტაძარში შეიკრიბნენ. ისინი ხმამაღლა გოდებდნენ და მოთქვამდნენ: „უფალო, ღმერთო ისრაელისაო, რად იქმნა ესე ისრაელს შინა, რად აღიხოცა დღეს ისრაელს შორის ტომი ერთი?“

ბოლოს გამოსავალი იპოვეს ისე, რომ არც მწვადი დაწვეს და არც შამფური. თურმე გალაადის ქალაქ იაბისს ომში მონაწილეობა არ მიუღია და გადაწყვიტეს, განდგომისათვის იგი სამაგალითოდ დაესაჯათ. თორმეტი ათასი მეომარი გაემართა იაბისისაკენ. მათ ამოწყვიტეს ქალაქის მკვიდრთაგან ყველა მამაკაცი და ქალი, რომელსაც მამაკაცი ეცნა. სიცოცხლე შეუნარჩუნეს ქალწულებს, რათა ბენიამენის ტომისათვის რძლებად მიეგვარათ. მაგრამ დამპყრობლებს მხოლოდ ოთხასი ქალწული ერგოთ ნადავლად. ბენიამენის ტომის ჩამომავალთაგან ორასი კაცი მაინც უცოლოდ რჩებოდა. უხუცესები აქაც იოლად გავიდნენ ფონს. დარჩენილები დაარიგეს, უთხრეს დამალულიყვნენ ვენახში ქალაქ სელომის კარიბჭის მახლობლად, სადაც სწორედ ამ დროს დიდი ტაძრობა იყო. ძველი წესისამებრ, სელომელი ახალგაზრდა ქალები მინდორში გამოდიოდნენ და იაჰვეს პატივსაცემად ფერხულს მართავდნენ. როცა სელომელ ქალებს ცეკვა-სიმღერამ გულისყური წაართვა, ბენიამენის ტომის ვაჟები საფარიდან გამოცვივდნენ და ყველაზე ლამაზი ქალები დაიტაცეს. შემდეგ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდნენ და ახალ ცხოვრებას შეუდგნენ. ოხრებული სოფლები თუ ქალაქები ხელახლა გააშენეს. აი, როგორ გადაურჩა დაღუპვას ბენიამენის შთამომავალთა ტომი.

სათნო და ერთგული რუთი. მსაჯულთა ზეობის ეპოქაში, ერთხელ ქანაანს შიმშილობა დაატყდა თავს. ბეთლეჰემელმა ელიმელექმა, მისმა ცოლმა ნოომინმა და ორმა ძეძ მალონმა და ქელონმა დახვიეს ხელი თავის ავლადიდებას, იორ-

დანეზე გადავიდნენ და მოაბში დამკვიდრდნენ. ვაჟები ოჯახს მოეკიდნენ, მოაბელი ქალები ურფა და რუთი მოიყვანეს. მაგრამ ელიმელექის ოჯახს მალე გამოეცალა საძირკველი: მამაკაცები დაიხოცნენ და სამი ქვრივი ქალი ულუკმაპუროდ დარჩა.

ნოომინს მოენატრა ბეთლემი, რაკი იქ იყო დაბადებული და ყმაწვილქალობაც იქ გაეტარებინა. ჩამოსულთაგან შეიტყო, რომ ბეთლემში ცხოვრებას უკეთესი პირი დასტყობოდა. ნოომინმა სამშობლოში დაბრუნება მოინდომა. ორივე რძალიც თან წაიყვა. გზაში მოხუცი ქალი ნოომინი საგონებელში ჩავარდა: რა დარჩენიათ ახალგაზრდა ქვრივებს უცხო მხარეში, ვინ იცის, რა ბედი ელის მათ ბეთლემში. სჯობს, მოაბში დაბრუნდნენ, იქნებ იქ შეძლონ ხელახლა გათხოვებაო. ქალებს გული აუჩუყდათ, წამოიტირეს და გულკეთილი დედამთილი გადაკოცნეს.

ნოომინის რჩევა—მოაბს დაბრუნება—მხოლოდ ურფას დაუჯდა ჭკუაში. ცრემლმორეულმა რუთმა კი მიუგო: „ნუ მეტყვი, რათა დაგიტოვო და უკუმივიქცე. სადაც მიხვიდე, მივიდე მეც; მუნ და სადაცა დაემკვიდრო, მეცა დავემკვიდრო. რამეთუ ერი შენი ერი ჩემი და ღმერთი შენი ღმერთი ჩემი არს; და სადაცა მოჰკვდე შენ, მეცა მუნ მოვკვდე და დავიმარხო. ასე და ასე მიყავნეს უფალმან, და უმეტესი მიყავნ, სიკვდილმან ხოლო დადევინ ზღვარი შორის შენსა და ჩემსა“.

ნოომინმა და რუთმა ბეთლემს მაშინ მიაღწიეს, როცა ქალაქის გარეუბნებში ქრთილს მკიდნენ. უქონელ და უპოვარ ქალებს, დღიური ლუკმის სახსარიც არ გააჩნდათ. რუთმა მოგზაურთა და ღარიბთა ძველი პრივილეგიით ისარგებლა და ყანაში მომკელთა მიერ დატოვებულ თავთავებს ჰკრეფდა. განთიადიდან მწუხრის ჟამამდე წელში მოხრილი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მომკელთ, რომ ერთი თავთავიც არ გამორჩენოდა. საღამოობით კი დედამთილთან ბრუნდებოდა და შეგროვილი მარცვლისაგან უბრალო შეჭამადს ამზადებდა.

ერთხელ დილით, როცა რუთი თავთავებს კრეფდა, ბეთლემიდან ყანის პატრონი, ბოოსი მოვიდა. იგი ნოომინის განსვენებულ ქმარს ნათესავად ერგებოდა. რუთს რომ მოჰკრა თვალი, ხახლეულებს ჰკითხა: „ვინ არს დედაკაცი ესე?“ მომკელებმა ამცნეს: „მოაბელი არს და მოვიდა ნოომინის თანა მოაბით“. ბოოსი გულმოწყალე კაცი გამოდგა. უცხო ქალს, რომელსაც მუშაობაში დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, თავთავის შეგროვებაზე დასტური მისცა და ისიც დასძინა — პურის ჭამაზე ჩემს მსახურებთან იყავიო. რუთის უჩუმრად ისიც უბრძანა მსახურებს, რომ ქალისთვის განზრახ დაეტოვებინათ მეტი თავთავი. „რა არს ესე, რამეთუ ვპოვე მადლი წინაშე შენსა და შემიწყნარე და ვარ მე უცხო?“ — ჰკითხა რუთმა. ბოოსმა მიუგო: „მითხრეს მე, რა უყავ დედამთილსა შემდგომად სიკვდილისა

ქმრისა შენისა: დაუტევე მამა შენი და დედა შენი და ქვეყანა შენი, მოხვედ ერისა, რომელ არა იცოდე". ამ სიტყვებით ფრთებშესხმული რუთი დედამთილთან დაბრუნდა, ექვსი საწყაო ქრთილი და მისთვის გადანახული კერძის ნახევარი მიართვა. მაშინ ნოომინმა რუთს ამცნო — ბოოსი ელიმელექის ახლო ნათესავიაო.

ამ ამბის შემდეგ ცოტა ხანი რომ გავიდა, ნოომინი რუთს მოეფერა, დაუყვავა და უთხრა: „ასულო ჩემო, ვეძიებ სამკვიდრებელსა შენთვის, რათა კეთილი გეყოს შენ". ქანაანში ჰურის ლეწვა ღამ-ღამობით იცოდნენ. ამ დროს ქროდა ნიავი, რომელიც მარცვალსა და ბზეს ათავთავისებდა. ნოომინმა შეიტყო, რომ ბოოსი სწორედ იმ ღამეს აპირებდა ჰურის გალეწვას, ნამუშევარზე კი იქვე ზვინებში ჩაწვებოდა დასაძინებლად. ამიტომ ფანდი იხმარა: ნოომინის რჩევით, რუთმა ტანი დაიბანა, სულნელი იცხო, მდიდრულად გამოეწყო და ყანაში წავიდა. ბოოსს ნამჯაში ეძინა და მოსასხამი ეხურა. რუთი მიიპარა, ფერხთით მიუწვა და მოსასხამი ზედ გადაიფარა. ბოოსმა შუაღამისას გაიღვიძა და ქალი რომ დაინახა, სახტად დარჩა. ცოტა შიშმაც გაუარა გულში, რადგან სიბნელეში ქალი ვერ იცნო. „ვინ ხარ შენ?" — შეეხმიანა ბოოსი მწოლარეს. „მე ვარ რუთ, მხევალი შენი, — ხმის კანკალით მიუგო ახალგაზრდა ქალმა, — გარდამომდევ ფრთა სამოსლისა შენისა, რამეთუ ნათესავი ხარ შენ ჩემი".

ბოოსი მაშინვე მიუხვდა ქალს იგავით ნათქვამს. ძველი კანონი ავალებდა მას ახლო ნათესავის უშვილო ქვრივის ცოლად შერთვას, არც საბაბი გააჩნდა უარზე დამდგარიყო, რადგან რუთს შრომისმოყვარე და სათნო ქალად იცნობდა. მაგრამ ბეთლემში ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც უფრო ახლო ნათესავად ერგებოდა რუთს და ამიტომ პირველობის უფლებაც მას ეკუთვნოდა. ბოოსს ჯერ უნდა გაეგო, ხომ არ მოინდომებდა იგი თავის უფლებით სარგებლობას. ბოოსმა ათი უხუცესი მოწმე იხმო და მათთან ერთად ქალაქის კარიბჭესთან დაჯდა. რუთის ნათესავი კაცი მიწის მუშა იყო და ყოველდღე ქალაქიდან გადიოდა მინდორში სამუშაოდ. ბოოსმა შეაჩერა იგი, გვერდით მოისვა და ათი მოწმის თანდასწრებით საქვეყნოდ აუწყა: ნოომინი დაბრუნდა და ელიმელექის მიწის ნაწილი, მემკვიდრეობით მისი კუთვნილი, გაყიდა. შენ, როგორც მის ახლობელს, უფლება გაქვს პირველმა იყიდოო. რუთის ნათესავს თვალები წამოენთო. როგორც ყველა მიწათმოქმედი, ისიც დახარბებული იყო მიწას და დაუფიქრებლად შეაგება სიტყვა: მე გამოვისყიდიო. ბოოსმა მიუგო: „უკეთუ მოიგო მიწა ნოომინისგან და რუთისგან მოაბელისა, რომელსა მოუკვდა ქმარი, მოიყვანე იგი შენდა ცოლად, რათა აღუდგინო სახელი მკვდარსა, სამკვიდრებელსა

მისსა“. ნათესავს სახე მოელუშა, მიწას კი სიამოვნებით შეიძენდ›, მაგრამ რუთის შერთვა აღარ ეჭაშნიკა — წვრილშვილის პატრონი იყო. ხელები გაასავსავა — პირველობაზე უარს ვამბობ, მიწის ყიდვის უფლებაც ბოოსისთვის დამითმიაო.

ისრაელში ძველთაგანვე ასეთი წესი არსებობდა: კაცი, რომელიც ნათესავის ქვრივის ცოლად შერთვასა და ქალის მზითევზე უარს იტყოდა, ფეხთ იხდიდა და მოწმეთა თანდასწრებით სხვას გადასცემდა ხამლს. ეს სიმბოლური ჟესტი მის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმას იურიდიულ ძალას ანიჭებდა. ბოოსმა იმიტომაც მოიხმო ელიმელექის ნათესავი, რომ მისგან ხამლი მიეღო. მან ხამლი უხუცესებსა და თავშეყრილ ხალხს აჩვენა და უთხრა: „მოწამე ხართ თქვენ დღეს, რამეთუ მომიგებიეს ყოველივე ელიმელექისი და მაალონისი და ქელონისი› ხელთაგან ნოომინისა; და რუთი მოაბელი, ცოლი მაალონისი, მოვიგე თავისა ჩემისა ცოლად, რათა აღვუდგინო სახელი მკვდარსა სამკვიდრებელსა შინა მისსა“. უხუცესებმა ერთხმად მიუგეს: „მოწამე ვართ. მიეცინ უფალმან ცოლსა მას შენსა, რომელი შევალს სახლსა შენსა, ვითარცა რაქელს და ლიას, რომელთა აღაშენეს სახლი ისრაელისი. განმდიდრდი ეფრათს და იდიდე ბეთლემს“. ამ რიტუალური ფორმულის წარმოთქმისთანავე ბოოსი რუთის ქმარი და ელიმელექის მემკვიდრეობის კანონიერი მფლობელი გახდა. ცოლ-ქმარი სიამტკბილობით ატარებდნენ დღეებს. მოხუცი ნოომინიც მათ შეიფარეს. მალე რუთს შეეძინა ძე, რომელსაც ობედი დაარქვეს. მას — ებრაელი ხალხის უდიდესი გმირის, მეფე დავითის, პაპას — ბედმა სამარადისო დიდება განუმზადა.

ბრძოლისა და გმირობის ეპოქა

არის თუ არა ძველი აღთქმის მეექვსე წიგნი, როგორც ბიბლიის თაყვანისმცემლები საუკუნეთა განმავლობაში ფიქრობდნენ, ნამდვილად ისუ ნავეს ძის თხზულება? შეიძლება თუ არა განვიხილოთ იგი, როგორც უტყუარი ისტორიული წყარო? მეცნიერება უარყოფით პასუხს იძლევა ორსავე კითხვაზე.

ტექსტის ლინგვისტური ანალიზის მეშვეობით აბსოლუტურად ზუსტადაა დადგენილი, რომ ისუ ნავეს წიგნი რამდენიმე ისტორიული დოკუმენტის კონგლომერატია. ეს დოკუმენტები ეანეკუთვნება სხვადასხვა ეპოქას და საზოგადოების სხვადასხვა ფენათა ინტერესებს გამოხატავს. ამასთან ერთად რედაქტორებს ამ დოკუმენტებში დროთა განმავლობაში უამრავი შესწორება შეუტანიათ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ისუ ნავეს წიგნში წარმოდგენილია ორი ძირითადი დოკუმენტი: ქანაანის დაპყრობის ქრონიკა, რომელიც შედგენილია ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნის დასაწყისში და ქანაანის დანაწილების აღწერა (სოლომონის მეფობის დროს). მოკლედ რომ ვთქვათ, ისუ ნავეს წიგნი მისი სიკვდილიდან რამდენიმე ასეული წლის შემდეგ შეიქმნა.

ჩვენ შეგნებულად ვიხმარეთ ტერმინი „კონგლომერატი", რადგან ბიბლიის რედაქტორები მათ ხელთ მყოფ დოკუმენტებს კრიტიკულად არ უდგებოდნენ და მათი ლოგიკური გაერთიანება არ უცდიათ. ამის შედეგად ბიბლიურ ტექსტებში გვხვდება უამრავი განმეორება და არათანმიმდევრობა, რომელიც მკითხველს თავგზას უბნევს.

აღვნუსხავთ მხოლოდ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს, რადგან ყველას დასახელება შორს წაგვიყვანდა. ბიბლიის დაკვირვებული მკითხველი, რომელიც მოინდომებს ამ საკითხების მიყოლას, მაინც იოლად დარწმუნდება, თუ რამდენი არეულ-დარეულობა და შეცდომაა ამ წიგნში. ყოველივე ეს პირველწაკითხვისთანავე გვეცემა თვალში.

აი, მაგალითიც: ბიბლიაში მოთხრობილია, რომ სამხრეთ ქანაანის კოალიციის განადგურების შემდეგ ისრაელიტელებმა იერუსალიმი დაანერიეს და მისი მცხოვრებლები ამოჟლიტეს.

მაგრამ მომდევნო თაეში გულმაეიწყო კომპილატორები ტექსტისა მშვიდად მოგვითხრობენ, რომ თურმე იერუსალიმი დაპყრობილი არ ყოფილა, რომ იებოსელები აქ ჯერ კიდევ მათ დროს ცხოვრობდნენ. ამას ამტკიცებს ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია ამბავი ლევიტელისა, რომელიც თავის ცოლს ხან ენიხუბებოდა, ხან ურიგდებოდა. მორიგი შერიგების შემდეგ შინისაკენ მიმავალმა ცოლ-ქმარმა იერუსალიმის გალავანთან გაიარა. მსახურმა მათ ურჩია, ღამე აქ გაეთიათ. ლევიტელმა მიუგო: „არა შევიდეთ ჩვენ ქალაქსა უცხოსა, სადა არავინ არს ძეთაგან ისრაელისათა...“ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს თქმულება წარმოიშვა ისუ ნავეს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ. შესაძლოა, ამის შემდეგ ათეული წლებიც კი ყოფილიყო გასული. ისუ ნავეს ძეს კი ბიბლია იერუსალიმის დამპყრობლად მიიჩნევს.

ასევე მრავალი შეუსაბამობა გვხვდება ბიბლიაში ქალაქ სიქემთან დაკავშირებით. ბიბლიის ტექსტის მიხედვით ისუ ნავემ სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში აქ ისრაელის ძენი შეკრიბა და ერთხელ კიდევ მოსთხოვა, რომ იაჰვეს აღთქმის ერთგულნი ყოფილიყვნენ.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქალაქი სიქემი ისუ ნავეს ძის სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს ეპყრათ ქანაანელებს. ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარი ცდილობდა, თავისებურად განემარტა ეს ფაქტი. მათ მიაჩნდათ, რომ ეს კრება შედგა არა თვით ქალაქში, არამედ მის გარეუბანში, სადაც ისრაელის ძენი თითქოს უკვე დამკვიდრებულნი იყვნენ. ეს ჰიპოთეზა არადამაჯერებელია. ბიბლიის ტექსტების კომპილატორებმა უბრალოდ წარსულში გადაიტანეს მათ დროს არსებული სიტუაცია. სიქემი მაშინ ისრაელიტელებს ეკუთვნოდა. ამიტომ მათთვის ძნელი არ იყო იმის ფიქრი, რომ ქალაქი მათ მფლობელობაში იყო ისუ ნავეს ძის დროსაც.

ცხადია, აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია იმ ლეგენდამდე, რომლის მიხედვით თითქოს ნამდვილად ამ ქალაქში შედგა ისტორიული კრება. სიქემი ხომ აბრაამის ქალაქია, რომელსაც ისრაელის ძენი ძველთაგანვე პატივს სცემდნენ. ისუ ნავეს ძის უკანასკნელი გამოსვლისა და სინაზე დადებული აღთქმის სახალხოდ აღიარების ადგილად სიქემის დასახელებით ბიბლიის რედაქტორებმა ქალაქს უზარმაზარი რელიგიური და სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭეს და ერთგვარი კავშირი დაამყარეს პატრიარქთა ეპოქის უძველეს თქმულებებთან.

საოცრად საწინააღმდეგო ფაქტებს ვხვდებით ბიბლიის იქ თავებში, სადაც ჩამოთვლილია ისრაელის ძეთა მიერ ქანაანში დაპყრობილი ადგილები. იერუსალიმის მეფე ადონისედეკი პირველად ისუ ნავეს ძის ბრძანებით მოუკლავთ. შემდეგ კი იგი მეორედ იღუპება, როცა იუდეველთა ტომს ჩაუვარდება ხელში.

მართალია, პირველ შემთხვევაში მას ადონი-სედეკი ჰქვია (ისუ ნავესი, თ. 10, მ. 1.), მეორეში კი ადონი-ბეზეკი (მსაჯ. თ. 1, მ. 7.), მაგრამ ყველაფერი გვიჩვენებს, რომ საქმე ერთსა და იმავე პიროვნებას ეხება. მსაჯულთა წიგნის პირველი თავის მიხედვით იუდეველთა ტომი იპყრობს ქალაქებს: ღაზას, ასკალონსა და ეკრონს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქალაქები სანაპირო დაბლობში მდებარეობდნენ; ბიბლიის რედაქტორები მომდევნო მუხლში გვაუწყებენ, რომ იუდამ „...დაიმკვიდრა მთა იგი, რამეთუ ვერ შეუძლო განდევნად მკვიდრთა მათ ხევისათა, რამეთუ ეტლები რკინისა იყო მათი." (მსაჯულთა თ. 1, მ. 19). „მათ" გულისხმობს ფილისტიმელებს, რომლებიც მაშინ დაპორჩილებულნი არ ყოფილან. პირიქით, მომავალში მათ თვითონ დაიმორჩილეს ისრაელის ძენი.

ასეთი წინააღმდეგობებით გზააბნეულებს ბოლოს და ბოლოს გვებადება კითხვა: რომელი ქალაქები დაიპყრო ისუ ნავემ, რომელი — მისმა თანაშემწეებმა და მემკვიდრეებმა და ქანაანის რომელი ქალაქები დაიმორჩილეს ნამდვილად ისრაელიტელებმა?

თუ ჩვენს ყველა ეჭვს იმასაც დავუმატებთ, რომ ისრაელის ძეთა შემოჭრის დროს იერიქონი და აი უკვე ღიდი ხნის დანგრეული იყო, და რომ ისუ ნავეს ძის პიროვნების რეალურობა მეტად პრობლემატურია, დავრწმუნდებით: ბიბლიის მეექვსე წიგნი აბსოლუტურად არაა სარწმუნო, როგორც ისტორიული წყარო.

ბიბლიის კომპილატორებს არ აინტერესებდათ ისტორიული სიმართლე ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. ისინი არც ქრონოლოგიას აქცევდნენ ყურადღებას, მათი საზრუნავი მხოლოდ ერთი რამ იყო: უნდოდათ, საგანგებოდ შერჩეული მაგალითებით ეჩვენებინათ, რომ ქანაანის დამორჩილება იაჰვეს ნების აღსრულებას ნიშნავდა და, მაშასადამე, რელიგიური მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მეტად თვითნებურად ეპყრობოდნენ ისტორიულ დოკუმენტებს: ზოგს სულაც არ ახსენებდნენ, ზოგს კი სურვილისამებრ გადაამუშავებდნენ ხოლმე. ამის შედეგად ბიბლიის მეექვსე წიგნი რელიგიურ-ზნეობრივი ტენდენციის მქონე თქმულებათა კრებულად იქცა. ეს თქმულებები გვასწავლის, რომ ისრაელის ძენი ყველაფერს უნდა უმადლოდნენ იაჰვეს — ღმერთს, რომელიც დამპყრობლური კომპანიის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა და საჭიროებისამებრ სასწაულებით ეხმარებოდა ისრაელიტელებს. ინტერვენციის ბელადი ისუ ნავე მტრებს მხოლოდ იმიტომ ამარცხებდა, რომ იაჰვიზმის ერთგული მიმდევარი იყო. სიკვდილის წინ მან განამტკიცა სინას აღთქმა და გარდაიცვალა წმინდანის შარავანდედით მოსილი, როგორც ხალხის ბრძენი მასწავლებელი და მოსეს მემკვიდრეობისათვის შეუდრეკელი მებრძოლი.

ბიბლიის ტექსტების რედაქტორები ისტორიის ასეთ ინტერ-პრეტაციას ემყარებიან და ქანაანის დაპყრობას უკვე მომხდარ ფაქტად წარმოგვიდგენენ. მათი ვერსიით ქანაანელები ან განადგურებულნი იყვნენ, ან დაპყრობილნი. ეს გულისხმობდა სრულ გამარჯვებას რჩეული ერისა. გამარჯვებულნი კი უარს ამბობდნენ ყოველგვარ კომპრომისზე და დამარცხებულისადმი თანაგრძნობაზე. იაჰვე, რომელიც ომის მრისხანე და ულმობელ ღმერთად არის გამოსახული, თავის მიმდევრებს მოუწოდებს — არ დაინდონ არც ქალი, არც ბავშვი და არც პირუტყვი. მეორე სჯულის წიგნში წარმოდგენილ დადგენილებებსა და მცნებებში შეტანილი სამხედრო ფიცის თანახმად, დაპყრობილ ქალაქებში ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ. ძვირფას სამხედრო ნადავლსაც კი ცეცხლს უკიდებდნენ. თუკი ვინმე დაარღვევდა წმინდა კანონს და ნადავლის ნაწილს მიითვისებდა, მას კოცონზე წყავდნენ. ასე დაემართა, მაგალითად, აქანს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბიბლიაში აღწერილი ამბების განხილვა თანამედროვე მორალის თვალსაზრისით. ეს იყო ბარბაროსული ეპოქა. არსებული სამხედრო წესები უფლებას იძლეოდა, ამოეწყვიტათ ტყვეები. და დაპყრობილ ციხესიმაგრეთა მოსახლეობა, შეუბრალებლად დაესახიჩრებინათ ან მოეკლათ მეფეები და მიემართათ ვერაგობისა და ღალატისათვის. აი, ასე ომობდნენ იმ შორეულ ეპოქაში. ამ მხრივ ისრაელის ძენი თავის ეპოქის ნამდვილი შვილები იყვნენ და ძველი სამყაროს სხვა ხალხებისაგან არ გამოირჩეოდნენ. ტოტალური ომი ჩვეულებრივი რამ იყო. ასე ომობდნენ ბაბილონელები, ეგვიპტელები, ასურელები, და, როგორც ჰომეროსი გადმოგვცემს, ბერძნები.

ერთი რამ კი მაინც უნდა ვთქვათ: ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ბიბლიური მემატიანეები ისრაელის ძეთა სისასტიკეს მეტისმეტად აზვიადებდნენ. განა ისევ ბიბლიიდან არ ჩანს, რომ ისუ ნავეს გაბაონელებთან დაუმყარებია კავშირი? მსაჯულთა წიგნშიც ნათქვამია — ამ ქვეყანაში უწინდებურად მრავალრიცხოვანი ქანაანელი მოსახლეობა ბინადრობსო. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: ნამდვილად დაიპყრო თუ არა ვინმე ისუ ნავეს ძემ ქანაანი? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან მსაჯულთა წიგნი ნამდვილად ისრაელიტელთა განმთავისუფლებელი ომის ისტორიაა ქანაანელი ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც სულ იმის ცდაში იყვნენ, მორჩილებაში ჰყოლოდათ ისრაელიტელები.

მაშ, სახელდობრ რა გააკეთა ისუ ნავეს ძემ? ეს პრობლემა არქეოლოგიამ მხოლოდ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გადაწყვიტა. პირველი სენსაციური აღმოჩენა იყო ეგვიპტური ლარნაკები, რომლებზეც ფარაონები მათ წინააღმდეგ მტრულად განწყობი-

ლი ან ამბოხებული პალესტინის ქალაქების სახელწოდებებს აწერდნენ. ამ ჯურჭელს შერჩევნებისა და წყევლის ნიშნად, დიდ რელიგიურ ზეიმთა დროს აძსხვრევდნენ. ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით ეს მარტო სიმბოლური აქტი როდი იყო. ეგვიპტეში სწამდათ, რომ ხალხების, ქალაქებისა თუ ცალკეულ ადამიანთა სახელების მოსპობა მათ გარდაუვალ განადგურებას გამოიწვევდა. ბიბლიის მკვლევართაოვის მთავარი მაინც ის იყო, რომ ამ ნამსხვრევებზე ბიბლიაში აღნიშნული ქანაანის ქალაქთა სახელწოდებების წაკითხვა მოხერხდა. მათთვის ეს ფაქტი იმას ნიშნავდა, რომ ბიბლიამ ნამდვილი ამბები ასახა.

ამ აღმოჩენის შემდეგ სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციები შეუდგნენ ქანაანის აღნიშნული ქალაქების ძებნას. ეძიოკელებმა აღმოაჩინეს ნანგრევები ქალაქ ბეთელისა, რომელიც ქალაქ აიდან კილომეტრნახევარზე მდებარეობდა.

მათ რამდენიმე კულტურული ფენა გაიარეს და მიადგნენ ნანგრევებს, რომლებიც უთუოდ ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნეს მიეკუთვნება. აქ მათ საშინელი ხანძრის კვალს მიაგნეს. შენობათა ნანგრევებში ფერფლი მეტრის სიმაღლემდე აღწევდა, ხოლო ღმერთების დამსხვრეული ქანდაკებები ადასტურებდნენ, რომ ყველაფერი ეს უცხო დამპყრობლების ნამოქმედარი იყო. უფრო ღრმა ვათხრებმა გვიჩვენა, რომ ბეთელი დაარსებული ყოფილა ადრეული ბრინჯაოს ხანაში, დაახლოებით იმ დროს, როცა აი დაანგრიეს. ბიბლიის მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ მემატიანეებს ერთმანეთში აერიათ აი და ბეთელი. ჯერ კიდევ ისუ ნავემდე რამდენიმე საუკუნით ადრე ქალაქი აი ნანგრევებად იყო ქცეული და ივი არასდროს აღარ აღუდგენიათ. ამასობაში კი ბეთელის ნანგრევებზე ისრაელიტელებმა საკუთარი სახლები ააშენეს.

ამ პირობებში იოლად გაჩნდებოდა ვარაუდი, თითქოს აის ნანგრევები ისუ ნავეს ლაშქრობის ძეგლი იყო.

გარდა ამისა, გათხარეს ლაქიშის, ეგლონის, დაბირის, ქებრონისა და სხვა ქალაქების ნანგრევებიც. ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნის ყველა ფენაში აღმოჩენილია ძალადობისა და ხანძრის აშკარა კვალი. 1956 წელს იერუსალიმის უნივერსიტეტის ექსპედიცია უბედური მეფის, იაბინის, დედაქალაქს ასორს წაწყდა. ციხესიმაგრე გალილეის ტბის ჩრდილოეთით მდებარეობდა; მასში დაახლოებით ორმოცი ათასი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. გათხრების საფუძველზე დადგენილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის XVII საუკუნეში ქალაქი ეპყრათ ჰიქსოსებს, რომლებმაც ეგვიპტე დაიმორჩილეს. დატკეპნილი მიწის ვრცელი მოედანი და საჯინიბოთა ნაშთები ადასტურებს, რომ აქ ეტლებითა და ცხენებით აღჭურვილი ძლიერი გარნიზონი მდგარა.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ასორიც ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში იმსხვერპლა დიდმა ხანძარმა.

სამაგიეროდ, ქალაქ გაბაონში ხანძრისა და განადგურების კვალი არ აღმოჩნდა, რასაც სწორედ ბიბლიური თქმულება ადასტურებს. გაბაონი ხომ ნებაყოფლობით დანებდა მტერს და განადგურებას გადაურჩა. აღვნიშნავთ საყურადღებო დეტალს — გათხრებმა კიდევ ერთი მხრივ დაადასტურეს ბიბლია. ისუ ნავეს წიგნში სიტყვასიტყვით ეკითხულობთ: „ქალაქი დიდი იყო გაბაონი, ვითარცა ერთი სამეფო ქალაქთაგანი“ (ისუ ნავეში, თ. 10, მ. 2.). ნანგრევები აღმოჩნდა იორდანიის სოფელ ელ-ჯიბში, იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქიდან დაახლოებით რვა კილომეტრზე. გაბაონში მრავალი ქუჩა, მოედანი, ტაძარი და საზოგადოებრივი შენობა იყო. მის სიმდიდრეს ადასტურებს სამარხებსა და შენობათა ნანგრევებში მიკვლეული ბრინჯაოს მრავალი ნივთი. დადგენილია, აგრეთვე, რომ გაბაონელები ფართო საერთაშორისო ვაჭრობასაც ეწეოდნენ, რადგან დოქებს, თასებს, ლანგრებს, ქანდაკებებს, დანებს, სკარაბებსა და ბეჭდებს შორის აღმოჩენილია კვიპროსული და სირიული ჭურჭლეულის განსაცვიფრებელი რაოდენობა. რით ვაჭრობდნენ გაბაონელები? საწნახელებისა და ყურძნის წვენის შესანახი გამოქვაბულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ღვინოსაც აყენებდნენ და იგი სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

აღმოჩენილია ჭურჭელიც, რომელზეც ამოკვეთილია სახელწოდება „გაბაონი“. ისინი ამ ჭურჭლით ღვინოს უგზავნიდნენ საზღვარგარეთელ მუშტრებს.

ამ არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით ნათელი გახდა, თუ რატომ მიიღეს გაბაონის მცხოვრებლებმა კაპიტულაციის ისეთი პირობები, რომლებიც მათთვის სასახელო არ ყოფილა. მათი საქმე ვაჭრობა იყო და არა სამხედრო ხელოვნება. როგორც ჩანს, მათ მიზანს მიაღწიეს, მაგრამ, სამაგიეროდ, პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგეს. ციხესიმაგრეთა კარგად შემონახული გალავნები, ისევე როგორც სხვა არქიტექტურული ძეგლები, ნათელყოფს: გაბაონს ასცდა ქანაანის სხვა ქალაქების ხვედრი და მას ისრაელიტელთა ბატონობის დროსაც არ შეუწყვეტია მშვიდობიანი და უზრუნველი ცხოვრება.

რაკი არქეოლოგია ვახსენეთ, ერთი დეტალიც უნდა გავაცნოთ. როგორც ბიბლიიდან ვიცით, ისუ ნავეს ძე დაკრძალეს თიმნათსერაში, ეფრემის მთაზე. სეპტუაგინტა (ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი) გვაწვდის ერთ საინტერესო დეტალს: ისუ ნავეს აკლდამაში ჩაატანეს ის დანები, რომლებითაც გალგალში ისრაელიტელებმა წინა დაიცვითეს. 1870 წელს იმავე რაიონში აღმოჩენილი ერთ-ერთი სამარის მღვიმეში მრავალი ქვის დანა

იპოვეს. ცხადია, შეცდომას დავუშვებდით, თუ ამ ფაქტიდან ნაჩქარევად დავასკვნიდით, რომ მღვიმე ისუ ნავეს აკლდამაა. სამაგიეროდ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ბიბლიური ვერსია წინადაცვეთის შესახებ ემყარებოდეს ძველ რელიგიურ წესჩვეულებებს, რომლებსაც ამ ადგილებში დამკვიდრებული ქანაანელი ტომი იცავდა. წინადაცვეთის წესი სხვადასხვა უძველესმა ხალხმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აითვისა. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ: ისრაელიტელებმა უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალის მანძილზე ისე დაიკიწყეს მოსესაგან ნაანდერძევი წინადაცვეთა, რომ მხოლოდ ქანაანელ ტომის გავლენით დაუბრუნდნენ მას თიმნათსერაში.

მაინც როგორ მიმდინარეობდა ისუ ნავეს ლაშქრობა (თუ პირობით ვუწოდებთ ამ სახელს ისრაელის მოდგმის ვინმე დამპყრობელს)?. ვცადოთ და რუკაზე ხაზებით შევაერთოთ ის ქალაქები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში გადაწვეს და ისუ ნავეს ლაშქრობის გზასაც ზუსტად აღვადგენთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას მოგვცემს, ბიბლიის რედაქტორთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, დავადგინოთ, რომ ჩვენს პირობით ისუ ნავეს არამც და არამც არ დაუპყრია მთელი ქანაანი. ვერნერ კელერი, ავტორი წიგნისა — „საღმრთო წერილი მაინც სიმართლეს ღაღადებს", აღნიშნავს, რომ იგი „ნაკლებ სახიფათო" გზით მიდიოდა. ძლიერ ციხესიმაგრეებს ვერდს უელიდა და უმთავრესად იკავებდა ნაკლებად დასახლებულ მთიან რაიონებს, როგორიცაა, მაგალითად, იორდანის ორივე კლდოვანი ნაპირი. მან ვერ გაბედა დაუფლებოდა იმ ნაყოფიერ ხეობებს, რომლებიც შემდგომ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ეპყრათ ქანაანელებს. ეფრემის მთებსა და იუდეველთა მთებს შუა კვლავ დარაჯად იდგა იებოსელთა ციხესიმაგრე იერუსალიმი, ზღვისპირა ქალაქები კი ფილისტიმელებმა ჩაიგდეს ხელში. შორს, ჩრდილოეთის მიმართულებით გაბაონის ქალაქთა ფედერაციამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში დამკვიდრებული ისრაელიტელი ტომები სამხრეთით მცხოვრები თავიანთი თანამემამულეებისაგან მოწყვეტილნი იყვნენ ქანაანელთა ციხესიმაგრეების ჯაჭვით. ეს ციხესიმაგრეები იეზრეელის ხეობაში მდებარეობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ხეობებს მაღლობ ადგილებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ქანაანელთა გაცილებით უკეთესი შეიარაღების გამო. ისინი აღჭურვილნი იყვნენ მრავალრიცხოვანი საომარი ეტლებით, რომელთაც ფეხმარდ ბედაურები მიაქროლებდნენ. ეს ეტლები ძალიან მოძრავი იყო და ტაქტიკური მოქმედების დროს ისრაელიტელთა ქვეით ჯარებს დიდ საფრთხეს უქმნიდნენ.

ამრიგად, ისუ ნავეს ლაშქრობის მიზანი ქანაანის ნაკლებად

დასახლებული და შედარებით სუსტად დაცული რაიონების თანდათანობით დაპყრობა იყო. იაჰვეს მხარდაჭერის მიუხედავად, ლეგენდარულმა გმირმა ამ ქვეყნის მთლიანად დამორჩილება ვერ შეძლო. მისი სიკვდილის შემდეგ ისრაელიტელთა ცალკეული ტომები იძულებულნი იყვნენ, არსებობისათვის ებრძოლათ და არაერთხელ მოხვედრილან ქანაანელთა უღელქვეშ, ხოლო მშვიდობიანი არსებობის ჟამს, მათი მაღალი კულტურისა და რელიგიის გავლენას განიცდიდნენ. ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობასთან ამ ხანგრძლივი ბრძოლების ამბავს გვამცნობს მსაჯულთა წიგნი.

საოცარია, როგორ მოახერხა პირველყოფილმა, ცუდად შეიარაღებულმა ხალხმა თავდასხმა იმ ქვეყანაზე, რომელშიც ცივილიზაციის დონე საკმაოდ მაღალი იყო და რომელსაც მრავალი გამაგრებული ქალაქი და საუცხოოდ შეიარაღებული სამხედრო ნაწილები გააჩნდა. მაგრამ ისრაელიტელთა წარმატება ვასაგები იქნება, თუ მას იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციას შევუდარებთ. ქანაანი — აფრიკისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი — დიდი სახელმწიფოების, — მესოპოტამიისა და ეგვიპტის შეტოქეობის მუდმივი ობიექტი იყო. ჰიქსოსთა განდევნის შემდეგ იგი სამი საუკუნის მანძილზე ითვლებოდა ეგვიპტელთა პროვინციად. ფარაონებს ამ ქვეყანაში არსებული წყობილება არ შეუცვლიათ. გამაგრებულ ქალაქებს ადგილზევე მართავდნენ მოხელეები, რომლებიც მეტწილად უცხო წარმოშობისა იყვნენ. ქანაანელები კი, რომლებიც ძველი ებრაულის მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ, უპირატესად მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ.

ეგვიპტე ქანაანელ მეფეებს საკუთარ ვასალებად თვლიდა, მაგრამ გარკვეულ თავისუფლებას აძლევდა. მათ უფლება ჰქონდათ, ჰყოლოდათ სამხედრო ნაწილები და საომარი ეტლებით აღჭურვილიყვნენ. ეგიპტე ხელსაც კი უწყობდა მათ შუღლსა და ომებს. მეფეთა ინტრიგები და კინკლაობა ამტკიცებდა ეგვიპტის ჰეგემონიას, ამაღლებდა მის ავტორიტეტს, როგორც უმაღლესი სამედიატორო ინსტანციისა. რომის პოლიტიკურ პრინციპს — „divide et impera“,[1] — როგორც ეხედავთ, ჯერ კიდევ ეგვიპტის ფარაონები იყენებდნენ.

ქანაანის დიდ ქალაქებში ეგვიპტელთა გარნიზონები იდგა. აქვე იყო რეზიდენცია მეფისნაცვლებისა, რომელთა ძირითად ამოცანას ხარკის აკრეფა შეადგენდა. ხარკი კი მეტად მძიმე იყო. ყოველივე ამასთან ერთად, ხარკის ამკრეფნი ფულზე დახარბებული მექრთამეები იყვნენ და სიმდიდრის მოსახვეჭად სახელმ-

---

[1] გათიშე და იბატონე — ლათინურად.

წიფოს გაქურდვასაც არ ერიდებოდნენ. ეგვიპტელთა არმია სხვადასხვა რასის დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მათ ხშირად ჯამაგირს არ აძლევდნენ. სურსათ-სანოვაგის ულუფის გაცემის დროსაც ატყუებდნენ; ამიტომ ისინი სოფლებში დაძრწოდნენ და რასაც მოიხელთებდნენ, ყველაფერს იპარავდნენ. ქანაანის მცხოვრებლებს სასახლეებისა და თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობაზე ამუშავებდნენ. მათ ჯარისკაცები ძარცვავდნენ. ბოლოს ისინი მონათა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქანაანელთა ცხოვრების მატერიალური დონე სულ უფრო ეცემოდა, მცირდებოდა მოსახლეობის რიცხვიც. ამრიგად, ოდესღაც აყვავებული ქანაანი თითქმის მთლად გაპარტახდა.

ქანაანის განადგურებისა და გაღატაკების ეს პროცესი რამდენიმე აისახა ისუ ნავესა და მსაჯულთა წიგნების ზოგიერთ თავში. გარდა ამისა, მის განადგურებასა და დაცემაზე ცნობებს გვაწვდის თელ-ამარნაში აღმოჩენილი ლურსმული ფირფიტები და სხვა არქეოლოგიური გათხრები. იმდროინდელი არქიტექტურა (მათ შორის არისტოკრატიის სასახლეებიც) საკმაოდ საცოდავად გამოიყურებოდა, ქალაქთა თავდაცვითი ნაგებობებიც დაინგრა და დაიქცა. საერთო გაღატაკებას ადასტურებს მიკვლეულ ფუფუნების საგანთა საოცრად მცირე რაოდენობაც. წერილ-წერილ სამთავროთა გამგებლებისა და მათ ეგვიპტელი სუვერენების ხელისუფლების ქვეშ მოქცეული ქანაანი ბოლოს მიყრუებულ, ჩამორჩენილ პროვინციად იქცა.

წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, რომ რამსეს მეორემ მრავალწლიანი ომის შემდეგ ხეთებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. მისი სიკვდილის შემდეგ ეგვიპტეში ინდოევროპელები, ეგრეთ წოდებული „ზღვის ხალხები", შემოიჭრნენ. საბერძნეთსა და მცირე აზიაზე გავლისას მათ ხეთების სახელმწიფო დაამარცხეს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები დაიპყრეს და ნილოსის შესართავში შეიჭრნენ. ფარაონმა მერნეპტაჰმა თავდასხმა მოიგერია, მაგრამ მძიმე ომმა ეგვიპტე მეტისმეტად დააუძლურა. XIX დინასტიის უკანასკნელ ფარაონთა მეფობის დროს ეგვიპტე ქაოსმა მოიცვა. სწორედ ამ დროს იფეთქა დაბეჩავებული გლეხების, ხელოსნებისა და მონების ერთ-ერთმა აჯანყებამ, ეგვიპტე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოებად დაიშალა, ხოლო ფარაონის ტახტისათვის ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა.

ბოლოს ძალაუფლება XX დინასტიამ ჩაიგდო ხელში და მთელი სახელმწიფო დაიმორჩილა. ამ დინასტიის მეორე ფარაონმა, რამსეს მესამემ, „ზღვის ხალხთა" ახალი შემოტევა მოიგერია და პელუზიუმის მახლობლად გამართულ საზღვაო ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ისინი. მაგრამ მისი მემკვიდ-

რეები, ეგრეთ წოდებული რამსესიდები, უძლური და უუნარო მმართველები გამოდგნენ. სახელმწიფოში უკმაყოფილებამ იმატა. ხშირად იფეთქებდა ხოლმე ამბოხი და შფოთი. არეულობას უმთავრესად იწვევდა ქურუმების საქციელი: მათ სახნავ-სათესი მიწების უდიდესი ნაწილი ჰქონდათ მიტაცებული და ისე იყენენ ეგოიზმით შეპყრობილები, რომ მშიერი მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგე არ ემეტებოდათ.

ამ მოვლენათა შედეგად ეგვიპტეს ავტორიტეტი სრულიად დაკარგა. სხვა ხალხები მას აღარაფრად აგდებდნენ. პაპირუსი, რომელშიც აღწერილია ეგვიპტელი ელჩის ვენ ამონის მოგზაურობა, ამ გარემოებას თვალნათლივ გვიჩვენებს. თებელ ქურუმთა ელჩს ვენ ამონს ლიბანის კედარი უნდა ეყიდა ღმერთ ამონრას წმინდა ნავის ასაგებად. ვენ ამონი ბიბლოსში ზღვით გაეგზავრა. გზად მიმავალი ქალაქ დორის ნავსადგურში შეჩერდა. ვიღაც მეზღვაურმა სავაჭროდ წამოღებული ოქრო-ვერცხლი სულ მოპარა. ცნობილი იყო, რომ დამნაშავე ქალაქში იმალებოდა. ეგვიპტელებმა მოითხოვეს — ქურდი მოგვეცითო. როგორც ჩანს, ადგილობრივმა მმართველმა ნადავლის შენარჩუნება ამჯობინა. მან ოდესღაც ძლიერი სახელმწიფოს ელჩი აბუჩად აიგდო და განაჩენის გამოტანა სხვადასხვა საბაბით გააჭიანურა. ცხრა დღის ამაო ლოდინის შემდეგ პირში ჩალაგამოვლებულმა ვენ ამონმა გზა განაგრძო.

კიდევ უფრო მეტი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება ელოდა მას ბიბლოსში. ფინიკიის ნავსადგურის მმართველმა, შეიტყო თუ არა, რომ ელჩი უფულოდ იყო ჩამოსული, არამცთუ ნისიად მისცა საქონელი, არამედ გემიც ჩამოართვა და ბრძანა — არასასურველ უცხოელს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ქალაქი. რა თქმა უნდა, უხომალდოდ დარჩენილ ვენ ამონს ამ ბრძანების შესრულება არ შეეძლო. როცა სხვა გემით გამგზავრება გადაწყვიტა, დააპატიმრეს.

ბევრი დაცინვისა და დავის შემდეგ ვენ ამონმა ფულისა და გასაცვლელი საქონლის მოსატანად თებეში კაცი გაგზავნა, რათა ხომალდი გამოესყიდა და კედარის ხეც შეეძინა. ბიბლოსის მმართველმა ეგვიპტის უძლურებით ისარგებლა და საქონელს ცეცხლის ფასი დაადო. ოქროსა და ვერცხლის გარდა მან მიიღო წმინდა სელის ქსოვილის ათი ხელი სამეფო ტანსაცმელი, პაპირუსის ხუთასი გრაგნილი, ხუთასი ხარის ტყავი, ხუთასი დახვევა ბაგირი, ოცი ტომარა ოსპნი და ოცდაათი კალათა თევზი.

ეგვიპტის ძლიერების დაცემის პარალელურად აზიაში პოლიტიკური ქაოსი იზრდებოდა. ხეთების სახელმწიფო „ზღვის ხალხებმა“ დაარბიეს.

ბაბილონი, რომელსაც კასიტების დინასტია მართავდა, სუს-

ტი სახელმწიფო იყო. ასურეთისა და ელამის გაძლიერება მას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ძველი სამყაროს ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი პერიოდი, როცა ქანაანში ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა აზიისა და ეგვიპტის ექსპანსიონისტური მისწრაფებები.

ეგვიპტის ყოფილმა ქანაანელმა ვასალებმა დამოუკიდებელ სუვერენებად იგრძნეს თავი. ისინი თავ-თავისი პატარა სახელმწიფოების საზღვრების გაფართოებას ცდილობდნენ და ერთმანეთს გააფთრებით ებრძოდნენ მიწის ყოველი მტკაველისათვის. ქვეყანა პოლიტიკურად იმდენად დაქუცმაცებული იყო, რომ უდიდესი საფრთხის დროსაც ვერ შეძლო თავდაცვის ერთიანი ფრონტის შექმნა. ამას ადასტურებს ისუ ნავეს წიგნი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მან ოცდათერთმეტი მეფე მოკლა.

ამ პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე სავსებით გასაგებია ის წარმატება, რომელსაც ბიბლიურ ისუ ნავეს მიაწერენ. იგი მთელი ქანაანის გაერთიანებულ ძალებს კი არ შესჯახებია, არამედ ცალკეულ მეფეებს ან მათ კოალიციებს, რომელსაც სახელდახელოდ ქმნიდნენ ხოლმე საერთო თავდაცვისათვის. ისრაელიტელები მათ სჯობნიდნენ არა მარტო საბრძოლო აზარტით, არამედ რიცხობრივი უპირატესობითაც. ქანაანის უძლურება პოლიტიკური დაქუცმაცებითაც აიხსნება. პოლიტიკური ურთიერთობა, რომელსაც ისუ ნავემ მოუსწრო, ბევრ რამეში რომის დიდი იმპერიის დაცემის პერიოდს მოგვაგონებს. გადასახადებით შეეიწროებული და გაღატაკებული ხალხის მასები ისე ხვდებოდნენ გერმანელ ტომებს, როგორც განმათავისუფლებლებს. აგრესორებს თან მოჰქონდათ სოციალური რევოლუცია და დაპირება უკეთეს მერმისზე. ყოველ შემთხვევაში, მათ მოსპეს მმართველობა მექრთამეობით გარყვნილი ბიუროკრატიისა, რომელიც უსაზღვროდ გაიზარდა უკანასკნელ კეისართა დროს და საზრდაღოებას სასიცოცხლო ძალას აცლიდა.

ახლა წარმოვიდგინოთ, რა სიტუაცია იყო ისრაელიტელების შემოჭრის დროს. შინაომებით საკმაოდ გატანჯულ, დაზარალებულ გლეხებსა და ხელოსნებს ომი აღარ სურდათ. ისინი ჯარში ძალით იყვნენ გაწვეულნი, უგულოდ იბრძოდნენ და ბრძოლის ველიდან ხალისით გარბოდნენ. ეს იყო არა მათი ომი, არამედ ბატონებისა, რომელთაც ბევრი რამ ჰქონდათ დასაცავი. შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ ისრაელიტელი დამპყრობლები ხალხთა მასების ფარული სიმპათიითაც კი სარგებლობდნენ. ისრაელის ძენი მათსავით უბრალო ადამიანები იყვნენ, კიდევ მეტი: მათი ენაც სემიტური იყო და ისე ჰგავდა ქანაანელთა ენას, რომ მომსვლელებსა და დამხვდურებს თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთში საერთოს გამონახვა.

კი მაგრამ, რამ შეაყვარა ქანაანელებს დამპყრობლები, რომ-

ლებიც ბიბლიის ვერსიით, ულმობელ, ტოტალურ ომებს მართავდნენ, ულეტდნენ ტყვეებს და მოსახლეობას ერთიანად ანადგურებდნენ? უკვე ვთქვით, რომ ბიბლიის რედაქტორებმა ისრაელიტელების სიმკაცრე მეტად გააზვიადეს. თუ მსაჯულთა წიგნს წავიკითხავთ, დავასკვნით, რომ დამპყრობლები, შერეულ ქორწინებათა წყალობით, ადგილობრივ მცხოვრებლებს მალე დაუნათესავდნენ და მათი ღმერთების გულმოდგინე თაყვანისმცემლები გახდნენ. ეს ფაქტი ბიბლიის რედაქტორებმაც ვერ მიჩქმალეს. მათ მხოლოდ აგვიხსნეს: იაჰვემ იმიტომ გადაარჩინა ამდენი ქანაანელი, რომ ისრაელიტელები დაესაჯა განდგომისა და მოსეს მცნებათა დარღვევისათვისო.

ამრიგად, ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ ქანაანელი ხალხის ფართო მასები დამპყრობლებს ნამდვილად კარგი თვალით უყურებდნენ, დაბოლოს ეთვისებოდნენ კიდეც.

როგორც ჩანს, ეს განწყობილება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ისრაელიტელებმა ქანაანის ცალკეული რაიონები შედარებით იოლად დაიმორჩილეს. ბიბლიის თანახმად, ისუ ნავეს გამარჯვებაში თვით იაჰვეს ხელიც ურევია. იგი სასწაულებით ეხმარებოდა ისრაელიტელებს. ალბათ ამით ტექსტის რედაქტორებს უნდათ, რომ ხაზი გაუსვან ამ აგრესიის ზებუნებრივ ხასიათს. მაგრამ ამჯერადაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აღწერილი მოვლენები მათი გამოგონილი არ არის. ისინი მხოლოდ თავიანთი განზრახვების შესაბამისად თავისებურად განმარტავდნენ დამპყრობლური კამპანიის დროს ნამდვილად მომხდარ ფაქტებს. ისუ ნავეს წიგნში გვხვდება სამი სასწაული. ყოველი მათგანი ბუნებრივად აიხსნება.

პირველი სასწაული მოხდა მაშინ, როცა უეცრად შეჩერდა მდინარე იორდანე. ისუ ნავეს წიგნში ამ მოვლენის შესახებ შემდეგს ეკითხულობთ: „და დადგა წყალი, მავალი ზემოითგან და აღემართა ვითარცა ზღუდე დიდი, ვიდრე ადამადმდე, ქალაქად, რომელი ახლო არს სართანთან; ხოლო წყალი, ქვე შთამავალი ზღვასა მარილოვანსა, მოაკლდა და განხმა (ისუ ნავე, თ. 3, ბ. 16.).

სწორედ ტექსტში მოხსენებული ქალაქი ადამი დაეხმარა ბიბლიის მკვლევარებს ამ სასწაულის ახსნაში. იერიქონის ჩრდილოეთით ოცდახუთი კილომეტრის მანძილზე იორდანეზე გადასასვლელ ფონს, დღესაც. ელ-დამიეს უწოდებენ. გარდა ამისა, მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე აღმართულია პატარა ბორცვი თელ-ელ-დამიე.

ორივე სახელწოდება უთუოდ ადომისაგანაა (ადამი) წარმომდგარი. ამ ქალაქის ნანგრევები ახლახან მართლაც აღმოაჩინეს ზემოთ დასახელებული ბორცვის ქვეშ.

აქ იორდანე ღრმა ხევში მოედინება. კირქვისა და თიხნარი

მიწის შეეულ კედლებში. ორივე ნაპირი ხშირად განიცდის ვულკანური წარმოშობის მიწისქვეშა ბიძგებს. არაერთხელ ჩაქცეულა კლდოვანი ნაპირები მდინარის კალაპოტში, კაშხალივით ჩაწოლილა შიგ და შეუჩერებია მდინარე. ასე მოხდა 1927 წელს, როცა იორდანე თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში იყო ჩახერგილი. წყალი ელ-დამიეს ჩრდილოეთით დაგუბდა და მდინარის სამხრეთ მონაკვეთი ისეთი თავთხელი გახდა, რომ მასზე თითქმის ფეხდაუსველებლად შეიძლებოდა გადასვლა.

აღნიშნული ფაქტების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავასკვნათ: თუ არაჩვეულებრივი მოვლენა იორდანის გადალახვისას ნამდვილად მომხდარა, მაშინ იაჰვე არაფერ შუაშია, ესაა ამ მიდამოებში ხშირი ამბავი, ბუნების კაპრიზი.

რატომ არ იხსენიებენ მიწისძვრას ბიბლიის შემდგენლები? ვფიქრობ, მათ ეს განზრახ ჩაიდინეს. იორდანის მთიან მიდამოებში მცხოვრებმა ისრაელიტელებმა კარგად იცოდნენ, რომ კლდის ზვავს მდინარის კალაპოტის ჩახერგვა სწორედ ქალაქ ადამასთან შეეძლო. მაშასადამე, მათ იოლად ვერ დაარწმუნებდი, რომ მდინარის შეჩერება სასწაულის წყალობით მოხდა. ბიბლიის შემდგენლებს ესმოდათ, რომ ფაქტების თეოლოგიური განმარტება ეჭვს აღძრავდა. ამიტომ გამოტოვეს თავიანთ აღწერაში ყოველივე ის, რაც მათ ხელს არ აძლევდა. ტექსტის შემდგენლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ხალხური გადმოცემა მიწისძვრაზე მთლიანად არ გამქრალა და ბიბლიის სხვა ფრაგმენტებში გვხვდება. ასე მაგალითად: წინასწარმეტყველი ქალი დებორა გამარჯვების დიდებულ საგალობელში ამბობს: „უფალო, გამოსლვასა შენსა სეირით და სლვასა შენსა ველსა ედომისასა, შეირყა ქვეყანა“. ასმეცამეტე ფსალმუნში კი, რომელიც ალბათ ისუ ნავეს თქმულებების დროინდელია, ვხვდებით ასეთ პოეტურ სტრიქონებს: „იორდანე უკუიქცა, მთები ხტოდნენ, ვითარცა ვერძნი, და ბორცვნი ვითარცა კრავნი“. როგორც ვხედავთ, ბიბლიის რედაქტორთა მიერ აღწერილი ნაკლული სურათი შეივსო: იორდანე მიწისძვრამ შეაჩერა. ხეობის კედლებიდან ჩამოცვენილმა ქვებმა კალაპოტი ჩახერგა.

მეორე სასწაულია იერიქონის კედლების ჩამონგრევა. ბიბლიის მკვლევარებმა ამ ლეგენდაშიც მიაგნეს ნამდვილად მომხდარ ფაქტებს. მაგრამ ვიდრე მათი ჰიპოთეზების მოკლე მიმოხილვას შევუდგებოდეთ, დავუბრუნდეთ იმას, რაც სხვა საბაბით უკვე ითქვა. ყველაზე კომპეტენტური ადამიანები — არქეოლოგები, რომლებმაც იერიქონი აღმოაჩინეს, გადაჭრით ამტკიცებდნენ, რომ ეს ქალაქი ჯერ კიდევ ისრაელიტელთა შემოჭრამდე ასი წლით ადრე დაეცა სხვათა შემოსევის შედეგად და ბიბლიური ისუ ნავე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დამპყრობელი.

ამასთან დაკავშირებით სავარაუდოა, რომ იერიქონი რომე-

ლიღაც სხვა ძველმა ებრაულმა ტომებმა დაანგრიეს. ამ ტომებს მეთაურობდა კაცი, რომელიც ძველი აღთქმის ისუზე გაცილებით ადრე ცხოვრობდა, მაგრამ მისი სეხნია იყო. შემდგომ, იუდეის ჰეგემონიის ეპოქაში, ეს ორი პიროვნება გააიგივეს. იუდეველები ამ გზით ცდილობდნენ, ჩრდილო და სამხრეთ ქანაანის ძველებრაულ ტომთა პოლიტიკური და სულიერი უნიფიკაციისათვის მიეღწიათ. ცხადია, ჩრდილო ტომების გმირთან ერთად ისტორიულ გადმოცემათა საუნჯეში შევიდა მისი გმირობის გამომხატველი თქმულებების მთელი კომპლექსი, მათ შორის თქმულება იერიქონის დაპყრობაზეც. ამიტომაა, რომ ამ კონცეფციის თანახმად, ისუ ნავეს სახე ბიბლიაში ორ ფენას შეიცავს. იგი შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც ეკუთვნის სხვადასხვა ეპოქასა და განკერძოებულ ძველებრაულ ცენტრებს.

ყველა ამ აუცილებელი შენიშვნის შემდეგ მოვისმინოთ, რას ამბობენ არქეოლოგები და ისტორიკოსები იერიქონში მომხდარ სასწაულზე. იერიქონის აღმომჩენთა აზრით ეს ციხესიმაგრე, მიწისძვრამ და ხანძარმა იმსხვერპლა. ამას ადასტურებს გაჭვარტლული ქვებისა და აგურების გროვა, დანახშირებული ხის ნაჭრები, ფერფლის სქელი ფენა, რომელიც ზედა კულტურულ შრეს ფარავს. გარდა ამისა, ციხესიმაგრის გალავნის შემონახულ ნაწილებში მოჩანს ღრმა ბზარები, ხოლო სახლების სახურავები, როგორც ჩანს, მოულოდნელად ჩამონგრეულა და ყოველდღიური მოხმარების ნივთები ნანგრევებქვეშ ჩაუმარხავს. მაგრამ ასეთი ვერსია ეწინააღმდეგება ისუ ნავეს წიგნს, რომელშიც ნათქვამია: ციხესიმაგრის კედლები ბუკების შეძახილმა და მოიერიშე ჯარის ყვირილმა ჩამოანგრიაო. ბიბლიის მკვლევარები, რომელთაც სურდათ არქეოლოგიური დასკვნების შეხამება ბიბლიურ ვერსიასთან, სხვა, უფრო დამაჯერებელ, ჰიპოთეზას გვთავაზობენ.

ლურსმული დოკუმენტების წყალობით ვიცით, რომ ციხესიმაგრეთა კედლების დანაღმვა საალყო ტექნიკის ერთ-ერთი უძველესი საშუალებაა კაცობრიობის ისტორიაში. ღამის წყვდიადს შეფარებულ მეომრებს ციხესიმაგრის საძირკველქვეშ გაჰყავდათ თხრილები და შიგ მსხვილ მორებს აწყობდნენ. გარკვეულ მომენტში მორებს ცეცხლს უკიდებდნენ, საძირკველგამოცლილი კედლები თხრილებში ეშვებოდა, ალყაშემორტყმულებს შიში იპყრობდა და მოიერიშეებს ქალაქში შესასვლელი გზა ეხსნებოდათ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იერიქონის აღების დროსაც ასეთი საალყო ტაქტიკა გამოიყენეს. იმ დროს, როცა ციხესიმაგრის გალავანს ძირს უთხრიდნენ, მოიერიშეები, ალბათ, ალყაშემორტყმულთა ყურადღების მიპყრობასა და მიწისქვეშა

სასანგრე სამუშაოთა სმაურის ჩახშობას ცდილობდნენ. ამ მიზნით მათ ცბიერი ხერხი გამოიყენეს: შეიარაღებული რაზმები ბუკის ხმაზე საბრძოლო შეძახილებით მარშით მიმოდიოდნენ გალავნის გარშემო. გათხრების დროს აღმოჩენილი ხანძრის კვალი. ამ ჰიპოთეზას სრულებითაც არ ეწინააღმდეგება. ისუ ნავეს წიგნში ხომ აღნიშნულია — ისრაელიტელებმა, ქალაქის დაპყრობის შემდეგ, „ყოველი, რომელი იყო მას შინა, დასწვეს ცეცხლითა".

ყველაზე დიდი დავა გამოიწვია ისრაელიტელთა ლაშქრობის დროს მომხდარმა მესამე სასწაულმა. სამხრეთ ქანაანში, ხუთი მეფის არმიას რომ უკან დაედევნა, ისუ ნავემ ვითომდა მზე და მთვარე შეაჩერა, რათა მტრისთვის ღამის წყვდიადში შეფარების საშუალება არ მიეცა. ყველაზე თავგამოდებული ფიდეისტებიც კი ვერ ბედავდნენ იმის მტკიცებას, თითქოს ისუ მზისა და მთვარის მბრძანებელი იყო. ამიტომ, ისინი ამ სასწაულის ასახსნელად სხვადასხვა გზას ეძებდნენ და ამოსავლად იყენებდნენ დებულებას: „ბიბლია მართალია" და ამტკიცებდნენ, რომ ამიტომაც მასში აღწერილი ბუნების მოვლენა ნამდვილად მოხდებოდაო. ჩვენ ყველა ჰიპოთეზის ჩამოთვლის საშუალება არა გვაქვს. მაგალითისათვის განვიხილავთ მხოლოდ ერთს, რომელსაც თავის დროზე ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდა. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, სიბნელე თითქოსდა სქელ, სეტყვის მომასწავებელ ღრუბელს მოჰყვა. ჰორიზონტს მოფარებულმა მზემ მოულოდნელად გაარღვია ღრუბლები და სხივების ათინათმა უცებ გაანათა მოქურუხებული ცა. მოულოდნელი გამონათებით ისარგებლეს ისრაელიტელებმა და ქანაანელები ერთიანად დაამარცხეს. შემდგომში ხალხის ფანტაზიამ ამ ეპიზოდს „მიუმატა ლეგენდა, თითქოს ისუ ნავემ სასწაული ჩაიდინა — მზე და მთვარე შეაჩერა, რომ საბოლოო გამარჯვებამდე ბრძოლის საშუალება ჰქონოდა.

მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მთელი ეს ამბავი, კაცმა რომ თქვას, გაუგებრობას ემყარება. სიხარულით აღგზნებულმა ისუ ნავემ წამოიძახა: „დადეგ, მზეო, გაბაონსა ზედა, და მთოვარეო, ხევსა ზედა აიალონისსა! და დადგა მზე და მთოვარე დადგომით, ვიდრემდის სძლო ღმერთმან მტერთა მათთა" (ისუ ნავე, თ. 10. მ. 12-13).

როგორც ვხედავთ, სასწაულის აღწერას გარკვევით პოეტური აპოსტროფის ხასიათი აქვს. ამ სტრიქონების ავტორს სწადია, პოეტური მეტაფორის საშუალებით ხაზი გაუსვას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისუ ნავეს გამარჯვებას, გვიჩვენოს, რომ გამარჯვება იმდენად ელვისებური და სრული იყო, რომ მზეცა და მთვარეც გაოცებული შეჩერდნენ. მსგავსი პოეტური ჰიპერბოლები ხშირად გვხვდება ძველ პოემებში, სხვათა შორის,

ჰომეროსთანაც; ამიტომ ბიბლიაში აღწერილი სასწაული სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს სტილისტიკური ფიგურაა, ამაღლებული და ეგზალტირებული საგალობელი ისუ ნავეს განსადიდებლად.

მოგვიანებით ჩატარებულმა ლინგვისტურმა კვლევა-ძიებამაც გააქარწყლა ყოველგვარი ეჭვი ამ ადგილის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ზუსტადაა ამოღებული „მართლის წიგნიდან". ეს ციტატა საკმაოდ გვიან შეიტანეს ისუ ნავეს შესახებ გავრცელებულ თქმულებაში ბიბლიის მემატიანეებმა. „მართლის წიგნი" წარმოადგენს ებრაელთა შორის მეტად პოპულარული ჰიმნებისა და მოკლე ეპიკური პოემების კრებულს. ამ ძველი ანთოლოგიიდან ამოღებული მეორე ციტატა აღმოჩნდა მეფეთა მეორე წიგნში (თ. 1, მ. 18). ასე ვაქარწყლდა საბოლოოდ ლეგენდა მზის სასწაულებრივი შეჩერების შესახებ.

მსაჯულთა წიგნი ისუ ნავეს წიგნის გაგრძელებაა და დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 1200—1050 წლებს მოიცავს. ბიბლიის თარიღების თანახმად, ეს პერიოდი ისუ ნავეს სიკვდილიდან სამოელის მიერ შემოღებული მონარქიული წყობილების დასაწყისამდე გრძელდება.

მაგრამ ბიბლიის რედაქტორებს ამ პერიოდის სრული ისტორია არ დაუწერიათ. მათ არც ფაქტები და მოვლენები დაუკავშირებიათ ერთმანეთთან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ისევე, როგორც წინა წიგნებში, რედაქტორები ამ წიგნშიც ცდილობენ, საგანგებოდ შერჩეული მაგალითებით გვიჩვენონ, თუ როგორ ისჯებოდნენ ისრაელის ტომები იაჰვესაგან განდგომისა და უცხო ღმერთების თაყვანისცემისათვის. ამრიგად, მივიღეთ ეპიკურ თხზულებათა ანთოლოგიის მსგავსი რამ, რომელიც ცხადად მოგვაგონებს სკანდინავურ საგებს. ეს თქმულებები აღსავსეა შეუბრალებლობით, სამხედრო განგაშებით, ხანძართა საშინელებით და გამანადგურებელი კატასტროფებით; მაგრამ ამავე დროს ისინი გვიჩვენებენ პირად გმირობასაც, კეთილშობილურ მისწრაფებებს და მწვავე კონფლიქტებს ჭეშმარიტი ადამიანურობისათვის. ბიბლიურ თქმულებებში სხვა წყაროებიდან ჩვენთვის კარგად ცნობილ მოტივებსაც ვხვდებით. დებორა ხოს ისრაელიტელთა ჟანა დ'არკად გვევლინება, იეფთაეს ქალიშვილი ისევე იღუპება, როგორც აგამემნონის მიერ მსხვერპლად შეწირული იფიგენია; სამსონს ბევრი აქვს საერთო ჰერაკლესთან, ხოლო ბენიამინელთა გროტესკულ და ამავე დროს კოშმარულ თავგადასავალში თითქოსდა ვხედავთ რომაული ლეგენდის პირველსახეს საბინელ ქალთა მოტაცების შესახებ.

ერთ წიგნში ამდენი უმოწყალობის, ულირსი საქციელისა და დაუჯერებელი ამბების თავმოყრის შემდეგ ბიბლიის ტექსტის

რედაქტორები თითქოსდა უცებ გონს მოვიდნენ. შემთხვევითი არაა, რომ ამ ნაღვლიან საგათა კრებული მთავრდება ოპტიმისტური აკორდით — მომხიბვლელი თქმულებით ერთგულ რუთზე. ეს თქმულება ბიბლიაში შედარებით გვიან შეიტანეს. იგი მსაჯულთა ეპოქის დროინდელია. აი, იდილიური, მომხიბვლელი სიმყუდროვით აღსავსე სურათი: ალოობა, მომკელები ერთად სადილობენ; დიდსულოვანი მხვნელ-მთესველები და კდემამოსილი, მოსიყვარულე ქალები, — რა მკვეთრი კონტრასტია საერთო ანარქიის, უხეშობისა და ბარბაროსობის ფონზე! ამ თქმულების ავტორებს თითქოსდა სურდათ ეჩვენებინათ: მსაჯულთა ეპოქაშიც კი, ყველაფრის მიუხედავად, არსებობდა ჩვეულებრივი სამყარო პატიოსანი ადამიანებისა, რომლებმაც საერთო ქაოსის დროსაც კი შეინარჩუნეს ზნეობრივი სიწმინდე, ალალმართლობა და ადამიანური ღირსება.

მარცალია, ბიბლიის რედაქტორებმა ისტორია თავიანთ რელიგიურ ტენდენციებს შეუგუეს, მაგრამ მსაჯულთა წიგნი მაინც საშუალებას გვაძლევს, მოვხაზოთ პოლიტიკური ურთიერთობის საკმაოდ ზუსტი სურათი, ქანაანში ისრაელიტელი ტომების შეჭრის შემდეგ რომ შეიქმნა. უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვიგებთ, რომ რასობრივი მთლიანობის იდეამ, რომელიც ბიბლიური ვერსიის მიხედვით, ისრაელიტელებს თავს მოახვია მოსემ და განამტკიცა ისუ ნავემ, დროის გამოცდას ვერ გაუძლო. ძველი სემიტური ტომობრივი ორგანიზაცია, რომელიც სისხლით ნათესაობას ემყარებოდა, ჯერ კიდევ ძალზე სიცოცხლისუნარიანი იყო და ბინადარი ცხოვრების ახალ პირობებშიც არ იხევდა უკან.

ყოველ ტომს თავისი განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო ტრადიციები ჰქონდა და საკუთარ კილოზეც კი ლაპარაკობდა. ისუ ნავეს სიკვდილის შემდეგ, როცა საერთო ბელადი უკვე აღარ ჰყავდათ, კვლავ იჩინა თავი ძველმა შუღლმა, სხვისმა ათვალწუნებამ და სეპარატისტულმა მიმდინარეობებმა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ პირველყოფილი ერთიანობის დაშლისა და კლასობრივ განსხვავებათა გაღრმავების შედეგად წინათ არჩეული გვარის უხუცესები მემკვიდრეობით არისტოკრატებად იქცნენ. ტომის ან გვარის ბელადები იჩემებდნენ თავადის ან უფროსის ტიტულს და თავს იმკობდნენ ეპითეტებით: „უძლეველი“ ან „კეთილშობილი“. სწორედ ეს პრივილეგიური ფენები ექიშპებოდნენ ერთმანეთს, რითაც ხელს უწყობდნენ არა მარტო ისრაელის მთლიანობის დარღვევას, არამედ ძმათამკვლელ ომებსაც.

ამრიგად, ისრაელის ხალხს პოლიტიკური ქაოსისა და თვითნებობის ხანა დაუდგა. მსაჯულთა წიგნში ვკითხულობთ, რომ ისრაელს მაშინ მეფე არ ჰყავდა და ყველა ჩადიოდა იმას, რაც

მართებულად მიანნდა. დანიელ როფსი წიგნში „აბრაამიდან ქრისტემდე“ ძახვილგონიერულად შენიშნავს: ამ პერიოდში ისრაელს იმდენი ისტორია გაანსია, რამდენი ტომიც ჰყავდა.

ისრაელის ერის დაშლა თორმეტ ერთმანეთს შორის მტრულად განწყობილ ტომად მით უფრო სახიფათო იყო, რომ ისუ ნავეს მხოლოდ ნაწილობრივ ჰქონდა ქანაანი დაპყრობილი. ქვეყნის ცენტრში დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს ქანაანის ძლიერმა ტომებმა, რომლებიც ფლობდნენ ხელშეუვალ გამაგრებულ ქალაქებსა და ყველაზე ნაყოფიერ მიწებს. ისრაელიტელები პირველად მკვიდრდებოდნენ თხლად დასახლებულ მთიან ადგილებში. აქ ისინი მესაქონლეობასა და ნახეკრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ახალმოსახლეები ქვის სახლებს არ აშენებდნენ. მათი ბინა იყო კარვები და ხის ქოხები. სამკვიდრებელ ადგილებს ისინი იშვიათად თუ იპყრობდნენ იარაღის ძალით. მეტწილად ეს იყო მომთაბარე მესაქონლეთა მშვიდობიანი, თანდათანობითი შეღწევის პროცესი უცხო ქვეყანაში.

ცხადია, ისრაელის ცალკეული შეუკავშირებელი ტომები მეზობელი ქანაანის პატარა სახელმწიფოების მფლობელთა წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ ბედავდნენ. ახლომახლო მიდამოებში დასახლების უფლებისათვის მათ ქანაანის მთავართა ჰეგემონია უნდა ეცნოთ და მათთვის ხარკი ეხადათ. ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას ხშირად ჩაგვრა, ხარკი და მონობა მოსდევდა.

მსაჯულთა წიგნი, არსებითად, თქმულებათა კრებულია ისრაელის ჩაგრულ ტომებზე, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იტანდნენ მონობას და ბოლოს თავიანთი ეროვნული გმირების, ეგრეთ წოდებულ მსაჯულთა ხელმძღვანელობით განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის აღდგნენ. ბიბლია დაწერილებით მოგვითხრობს ექვს გამოჩენილ ბელადზე და იხსენიებს კიდეც ამდენივე ნაკლებად მნიშვნელოვან ბელადს, რომელთა შესახებ მათი სახელების გარდა არაფერი ვიცით.

მსაჯულებს ძველებრაულ ენაზე „შოფეტიმს“ უწოდებდნენ. ეს სიტყვა წარმოდგება „შაფატ“ ზმნიდან, რაც „განსჯას“ ნიშნავს, მაგრამ მათი მოვალეობა მხოლოდ მსაჯულთა ფუნქციებით არ ამოიწურებოდა. სემიტთა შორის უძველეს დროშივე არსებულ ამ წოდებას ადმინისტრაციის უმაღლეს მოხელეებს ანიჭებდნენ. ფინიკიელთა ქალაქებში ყოველწლიურად ირჩევდნენ ეგრეთ წოდებულ სუფეტესებს, ანუ მეფის ნაცვლებს კოლონიებისათვის. როცა კართაგენი ფინიკიის მეტროპოლიას გამოეყო და სუვერენულ სავაჭრო სახელმწიფოდ იქცა, მისი ხელმძღვანელები უწინდებურად სუფეტესები იყვნენ. მათ ყოველწლიურად საკაჭრო პლუტოკრატია ირჩევდა. ზოგჯერ, უმეფობის დროს, მათ ირჩევდნენ ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოებში.

მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის 563—556 წლებში მაო ტვიროსის მართვა-გამგებლობა ანდეს.

ბიბლიაში კი ეს ამბავი ცოტა სხვანაირად გამოიყურება. მასში ისრაელიტელი მსაჯულები მეტწილად ამბოხებათა მამაც ბელადებად ან პარტიზანებად გვევლინებიან და შემთხვევით თუ წარმოგვიდგებიან სამოქალაქო ადმინისტრატორების როლში. ბიბლიას თუ დავუჯერებთ, ისინი საშხედრო დიქტატორები უფრო იყვნენ, პირადი ღირსების წყალობით თვისტომთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და სათანადო მომენტში მათ განმათავისუფლებელ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ. მსაჯულთა ძალაუფლება მეტწილად მხოლოდ ერთ ტომზე ვრცელდებოდა, თუმცა ქანაანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად ზოგიერთმა მსაჯულმა რამდენიმე ტომის დროებითი კოალიციის შეკოწიწებაც კი მოახერხა. დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ მსაჯულებს, როგორც ეროვნულ გმირებს, სიკვდილამდე ეპყრათ ძალაუფლება. მაგრამ ამა თუ იმ მსაჯულის სიკვდილის შემდეგ მის მართვა-გამგებლობაში მყოფი ტომი ხშირად კვლავ ქანაანელთა უღელქვეშ ექცეოდა.

პოლიტიკურ ქვეშევრდომობაზე უფრო სახიფათო ის იყო, რომ ისრაელიტელები იოლად ხვდებოდნენ ქანაანელთა კულტურისა და რელიგიის გავლენის ქვეშ, რაც მათ ნაციონალურ ხასიათს სრულ გადაგვარებას უქადდა. მსაჯულთა წიგნში საკმაო სიცხადით არა ჩანს, რატომ ხდებოდა ეს ამბავი. ბიბლიის რედაქტორები, რომლებიც მკაცრი იუდაიზმის პოზიციებს იცავენ, ქანაანელებს გახრწნილებად, ბარბაროსებად, უზნეო და საძაგელი რელიგიური კულტის მიმდევრებად გვიხატავენ. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად გაჩნდა ერთი კითხვა: როგორღა მოხდა, რომ მოსეს მორალურ მცნებებზე აღზრდილი ისრაელის ტომები ასე იოლად ასცდნენ სწორ გზას და შესცოდეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი იყო, სანამ ჩვენი ცოდნა ქანაანელების შესახებ უმთავრესად ბიბლიის ცნობებით ამოიწურებოდა. ამ საკითხს მხოლოდ პალესტინაში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მოჰფინა ნათელი. ახლა ვიცით, რომ ქანაანელებს ჰქონდათ მაღალგანვითარებული მატერიალური კულტურა, რომელიც ეგვიპტის, სირიისა და მესოპოტამიის კულტურას არაფრით ჩამოუვარდებოდა. ქანაანელთა მრავალრიცხოვანი ქალაქები საზოგადოებრივი შენობებითა და სასახლეებით იყო განთქმული. ამ ქალაქებს სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ სხვა სახელმწიფოებთან. მათი მოსახლეობა წარმატებით მისდევდა აღებ-მიცემობასა და ხელოსნობას. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად აქ მებაღეობაც იცოდნენ. ქვეყანა დაფარული იყო დანაკისკუდის (ფინიკის პალმის), ზეთისხილის, ლეღვისა და ბროწეულის კარგად

მოვლილი ბაღებით. მთის ფერდობებზე, მზის სხივებში გადაშლილიყო ვენახები, ხეობებში კი ყოველნაირი ბოსტნეული მოჰყავდათ. ცნობილია, რომ ქანაანელებს ეგვიპტეში შეჰქონდათ ღვინო, ზეთისხილი და ბოსტნეული.

არქეოლოგიური მონაპოვრები ქანაანელთა დიდად განვითარებულ ხელოვნებასა და შინამრეწველობასაც მოწმობენ. ქანაანის ქალაქთა ნანგრევებში აღმოჩენილია ორიგინალურად გამოძერწილი ქანდაკებები ღმერთებისა, მაღალი წრის წარმომადგენელთა პორტრეტები, ოქროსა და ვერცხლის საიუველირო ნაკეთობანი, სპილოს ძვლებზე ამოჭრილი ბარელიეფები, სახიანი და ორნამენტით დამშვენებული ქაშანურის ჭურჭლეული და აგრეთვე ოსტატურად ამოკვეთილი ყოველდღიური მოხმარების ნივთები (კოლოფები, შუბები, სტილეტები, ცულები, იარაღები და ყოველგვარი კერამიკული ნაწარმი). ფარაონი თუტმოს III ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ ჩანაწერში გადმოგვცემს — პალესტინიდან მდიდარი ნადავლი, ოქროსა და ვერცხლის უმრავი ჭურჭელი წამოვიღეო. ბეთ-შანში ნანგრევებიდან ამოიღეს ქვის დიდებული ქანდაკება, რომელიც გამოხატავს ლომების ორთაბრძოლას. გარდა ამისა, ქანაანი განთქმული იყო ადგილობრივი წარმოების ძვირფასი მეწამული საღებავით შეღებილი საფეიქრო ნაწარმითაც.

როგორც ადრე აღვნიშნავდით, ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნე ქანაანური კულტურის დაცემის პერიოდს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მას დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მომთაბარე ისრაელიტელებზე, რომლებიც ორმოცი წლის მანძილზე უდაბნოს პირველყოფილ პირობებში ცხოვრობდნენ. ქანაანელთა ხალხმრავალი ქალაქები, დიდებული შენობები და ქულბაგები უთუოდ მოეწონებოდათ უბრალო მესაქონლეებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისრაელიტელები, როგორც ბიბლია ამტკიცებს, სიამოვნებით ირთავდნენ აქაურ ქალებს, ხოლო თავის ასულებს ქანაანელებს ატანდნენ, რადგან ასეთი ნათესაური კავშირი მათთვის უფრო საპატიო იყო.

მაგრამ ქანაანის პატარა სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ვერ შეძლეს თავის დაცვა, ისრაელიტელთა შემოჭრა კატასტროფას ნიშნავდა. გათხრებმა დაადასტურეს, რომ ამ დროს აქ ხელოსნობა და, უპირველეს ყოვლისა, მშენებლობა, საოცრად დაქვეითებული იყო. ქანაანელთა ქალაქების ნანგრევებზე დამპყრობლები აგებდნენ ქოხმახებს, რომელთაც ნაწვიმარი წყლის სადენი პრიმიტიული მოწყობილობაც კი არ გააჩნდათ. ცხადია, ისრაელიტელ ტომებს გამოცდილება აკლდათ. მშენებლობას უდაბნოში ვერ ისწავლიდნენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ საქმეში მათ პატრიარქალური დემოკრატიული წყობილებაც აფერხებდა. იმ დროს დიდი შენობებისა და თავდაცვითი ნაგე-

ბობების შექმნა შეიძლებოდა მხოლოდ დამონებული ხალხის მასების კოორდინირებული შრომის გამოყენებით. ისრაელიტელები კიდევ დიდხანს დარჩნენ თავისუფალ მესაქონლეებად. მართალია, მათ ტომებში უხუცესთა წოდება უკვე მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ მათ ისეთი განუსაზღვრელი ძალაუფლება არ ჰქონდათ, როგორიც ქანაანელთა ქალაქების მმართველებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქანაანელთა სამკვიდრო მიწა-წყალზე უცხო ტომების შემოჭრას დიდი ეკონომიური ძვრა უნდა გამოეწვია. ქანაანის ქალაქების აღმავლობა უმთავრესად საერთაშორისო ვაჭრობის შედეგი იყო. ამიტომ, როგორც კი გადაჭრეს დამპყრობლებმა საქარავნო გზები, ვაჭრობაც შეფერხდა და, ცხადია, მატერიალური კეთილდღეობის დონეც დაეცა.

ეკონომიური კრახის შედეგები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იგრძნობოდა. სოლომონი იძულებული იყო, იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაზე ფინიკიის ტვიროსიდან მოეწვია ხელოსნები, მხატვრები და მშენებლები. მხოლოდ ამ ენერგიული და შეუპოვარი მეფის წყალობით გამოცოცხლდა ვაჭრობა და კვლავ აყვავდა ქალაქები. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, იერუსალიმი სირიისა და ეგვიპტის ქალაქებსაც კი უწევდა მეტოქეობას.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რა როლი შეასრულეს ისრაელიტელმა დამპყრობლებმა ქანაანში. მაგრამ უპასუხოდ დარჩა ერთი კითხვა — რატომ მოხდა, რომ ისინი ასე გაიტაცა ქანაანელთა რელიგიამ, რომელსაც ბიბლიის რედაქტორები ყოველთვის ზიზღით იხსენიებენ და გმობენ? ამ საკითხს ნათელი მოეფინა მხოლოდ 1928 წელს, როცა ჩრდილოეთ სირიაში, ფინიკიელთა ქალაქის უგარიოის ნანგრევებს მიაკვლიეს. ნანგრევებში აღმოაჩინეს რამდენიმე ასეული დოკუმენტებიანი ლურსმული ფირფიტა, ზოგი მათგანის ტექსტი უგარითულ ენაზე იყო დაწერილი. გაშიფვრისას აღმოჩნდა. რომ ეს იყო უპირატესად ჰიმნების, ლოცვებისა და მითოლოგიური პოემების შემცველი რელიგიური ტექსტები. მეცნიერებმა დიდ შეფასება მისცეს ამ აღმოჩენას, რადგან მიკვლეული ფირფიტების საფუძველზე ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდა ცალმხრივი ბიბლიური ვერსიის უარყოფა და ქანაანური რელიგიის აღდგენა მისი ნამდვილი სახით.

რა აქვს საერთო ფინიკიელთა რელიგიას ქანაანელებთან? უპირველეს ყოვლისა, დადგენილია, რომ ფინიკია და ქანაანი კულტურულ, რელიგიურ და ეთნიკურ ერთიანობას ქმნიდნენ. ქანაანელი ხალხები უპირატესად ფინიკიურ ენაზე, ან მასთან ძალზე ახლო მდგომ კილოებზე ლაპარაკობდნენ და აღიარებდნენ იმავე ღმერთებს, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ ტვიროსის,

ბიბლოსისა და უგარითის მცხოვრებლები. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ფირფიტებზე ამოიკითხეს, არსებითად ქანაანში გავრცელებულ რელიგიასაც უნდა ეხებოდეს.

სემიტური წარმოშობის ფინიკიელები მეზღვაურები, ვაჭრები და მოგზაურები იყვნენ; ისინი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში დამკვიდრდნენ სირიის სანაპიროზე. ფინიკიელთა საპორტო ქალაქები ტვიროსი, ბიბლოსი და სიდონი გაცხოველებულ საზღვაო ვაჭრობას ეწეოდნენ. მათი ხომალდები აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებამდე და ინგლისამდე მიდიოდნენ. შესაძლოა, მათ აფრიკასაც კი შემოუარეს. ფინიკიელი ვაჭრების მიერ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაფუძნებულ კოლონიათა შორის კართაგენმა იმით გაიოქცა სახელი, რომ თავისი მეტროპოლიის ძალაუფლებისაგან განთავისუფლდა და როგორც სუვერენულმა საზღვაო სახელმწიფომ, რომის იმპერიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გააჩაღა.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ფინიკიელებმა კულტურული განვითარების მეტად მაღალ დონეს მიაღწიეს. მესოპოტამიელთა და ეგვიპტელთა გავლენის მიუხედავად, მათი კულტურა ორიგინალური იყო. ფინიკიის ქალაქებში მშენებლობა, ხელოსნობა და ხელოვნება ყვაოდა. ფინიკიური მხატვრული ნაწარმი, ყაცალითი ვაჭრობის გზით, მაშინდელი მსოფლიოს შორეულ კუთხეებშიც კი მიდიოდა. მაგრამ ფინიკიელთა უდიდესი მიღწევა ანბანური სისტემის დამწერლობის შექმნა იყო.

უგარითში ჩატარებულმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ ძველი ქანაანის რელიგია სულაც არ იყო ისეთი უზნეო, როგორადაც მას გვიხატავენ ბიბლიის რედაქტორები. დოკუმენტებში წარმოდგენილი ღმერთების საშყარო მდიდარია და წარმტაცი. იგი აღსავსეა პოეზიითა და დრამატული დაძაბულობით. ეს ღმერთები და ქალღმერთები შეპყრობილნი არიან ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დამახასიათებელი ვნებათა ღელვით: მათ იციან სიყვარულიცა და სიძულვილიც. ისინი ერთმანეთს ებრძვიან, იტანჯებიან და კვდებიან. რა თქმა უნდა, ეს რელიგია მაღალ მორალურ პრინციპებს არ ქადაგებდა. ანტიკური პოლითეიზმის ყველა ნაირსახეობათა მსგავსად, ეს რელიგიაც გამოხატავდა მაშინდელი ადამიანის გულუბრყვილო წარმოდგენებს კოსმოსის იდუმალებაზე, ასახავდა ადამიანის ცხოვრების დრამატულობას მისი პირადული და საზოგადოებრივი კონფლიქტებით.

ფინიკიური რელიგიური ეპოსი ხანდახან აშკარად მოგვაგონებს ჰომეროსს.

აი, ბაალის სადიდებელი ფრაგმენტი:

თასით შესვა მან სასმელი გრძნეული,
წამოდგა სარეცელიდან, აღმოხდა მას ხმა მხიარული,
წინწილის ხმას ააყოლა მან გალობა,
და ხმა მისი იყო მშვენიერი;
ზაპონის მთის მწვერვალზე აღვიდა იგი,
იხილა ნადრია, ასული თვისი, ქალღმერთი ნათლისა,
იხილა ასული თვისი, თალია, ქალღმერთი წვიმისა.

ფინიკიელთა უმაღლესი ღვთაება იყო სისხლის მწყურვალი, თითქოსდა ნგრევის ჟინით შეპყრობილი, ამავე დროს გულარხეინი და მოწყალე ელი. მაგრამ, როგორც ვიცით, ყველაზე დიდ პატივს სცემდნენ ბაალს — მოსავლის, წვიმისა და საქონლის მფარველ ღვთაებას. მისი მეუღლე იყო ასტარტე, სიყვარულისა და ნაყოფიერების ღვთაება, ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალღმერთი, რომელსაც ქანაანში აშურსაც უწოდებდნენ.

ბაალი შუმერულ-აქადური წარმოშობის ღვთაებაა. აღმოსავლეთის ხალხებში იგი სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი. ფინიკიელები მას აგრეთვე თამუზს ან ეშმუნს უწოდებდნენ. ეგვიპტელები — ოსირისს, ხოლო ბერძნებს მარად ჭაბუკი ადონისის სახით წარმოედგინათ.

როგორც ეზეკიელის წინასწარმეტყველებიდან ვიცით, თამუზის კულტს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 590 წელს სცემდნენ თაყვანს იერუსალიმის ტაძრის ეზოში. მის წინასწარმეტყველებაში სიტყვასიტყვით ვკითხულობთ: „მიმიყვანა ბჭეთა თანა სახლისა უფლისათა, რომელი ჰხედავს ჩრდილოეთით. და აჰა, ისხდეს მუნ დედანი და გოდებდეს თამუზს (ეზეკ. 8, 14).

ბაალის (ბალას) პოპულარობას, უპირველეს ყოვლისა, ის ამტკიცებს, რომ მისი სახელი ხშირად პირთა სახელების შემადგენელი ნაწილი იყო ფინიკიაში, ისრაელსა და კართაგენში. ერთ-ერთ მსაჯულს მეტსახელად იერობაალი ერქვა, მეფე საულის ძეს — იეშბაალი, ხოლო კართაგენის უდიდეს გმირებს ჰასდრუბალსა და ჰანიბალს უწოდებდნენ.

ტვიროსში ბაალის სიმბოლოდ იდგა ორი სვეტი — ერთი ოქროსი, მეორე კი ვერცხლისა. შემდგომში ხალხურმა ფანტაზიამ ეს ორი სვეტი შორეულ დასავლეთში, გიბრალტარის სრუტეში გადატყორცნა, ხოლო ბერძნებმა ჰერაკლეს სვეტების სახელწოდებით შეიტანეს თავიანთ ლეგენდებში.

ბაალის კულტთან დაკავშირებული იყო დიდებული ღღესასწაულები და რელიგიური პროცესიები, რომლებიც აჩვენებდნენ ამ ღვთაების საოცარ დრამატულ ბედს. შემოდგომის დასაწყისში სიკვდილის ღვთაება მოთი ბაალს იტაცებდა და ქვესკნელის სამეფოში მიჰყავდა, რასაც ბუნების სიკვდილი და ზამთარი

მოჰყვებოდა ხოლმე. ქანაანელები გარდაცვლილ ღმერთს დასტიროდნენ. სასოწარკვეთილები ტანსაცმელს იხევდნენ, სხეულს ისახიჩრებდნენ და სამგლოვიარო ჰანგებს მღეროდნენ. მაგრამ გაზაფხულობით ნაყოფიერების ქალღმერთი ანათი მოთს ამარცხებდა და თავისი მეუღლე დედამიწის ზედაპირზე ამოჰყავდა. ამ დროს მიწათმოქმედები მკვდრეთით აღმდგარი ნაყოფიერების ღვთაების პატივსაცემად მხიარულ პროცესიებს მართავდნენ, დაფდაფების ხმაზე ცეკვავდნენ და ჰიმნებს მღეროდნენ.

მოსავლის ღვთაების სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მითი მარტო ფინიკიელთა და ქანაანელთა ცხოვრებაში როდი ასრულებდა დიდ როლს, გავიხსენოთ თუნდაც ოსირისისა და ქალღმერთ ისიდას ეგვიპტური კულტი, დემეტრასა და მის ქალიშვილ პერსეფონესთან დაკავშირებული ბერძნული მისტერიები, ფრიგიული ქალღმერთი კიბელე და მისი ჭაბუკი მეუღლე ატისი, აგრეთვე ელინისტური ეპოქის მისტიკური წეს-ჩვეულებანი, რომლებსაც აფროდიტესა და ადონისის პატივსაცემად ასრულებდნენ.

ქანაანში ბაალთან ერთად, უდიდეს პატივს სცემდნენ ნაყოფიერების ქალღმერთ ასტარტესაც. ეს იყო ტიპური ქალღმერთი — დედა, რომელიც სხვა რელიგიურ კულტებშიც წარმოგვიდგება. ბიბლიაში მას მკაცრად გმობენ, რადგან ასტარტეს კულტში ხაზგასმულია სექსუალობა, როგორც სიცოცხლის მთავარი ასპექტი, რაც რელიგიის მიერ ნაკურთხ თავაშვებულებაში გამოიხატა. ტაძრები ასრულებდნენ საროსკიპოების როლს, ტაძრის მსახურნი — ქალები და მამაკაცები პროსტიტუციას ეწეოდნენ. მათი სამსახურის სასყიდელი ღვთაებისადმი შეწირულებათა სახით გროვდებოდა სალაროში. არსებითად, კულტის ეს ფორმა უბრალო ადამიანების გრძნობათა გულუბრყვილო გამოხატულება იყო. ისინი სქესობრივ ურთიერთობას ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ და მასში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავდნენ. ასტარტეს კულტი სრულებითაც არ ადასტურებს ქანაანელთა მორალურ გარყვნილობასა და თავაშვებულობას, რასაც ბიბლიაში წარმოგვისახავენ იაჰვიზმის მკაცრი მიმდევრები.

ფინიკიელებისა და ქანაანელების ღვთაებათა პლეადაში მაინც იყო ერთი ღმერთი, რომელსაც შეეძლო სამართლიანად გამოეწვია აღშფოთება. მას ჰქვია მოლოქი, რაც სემიტური „მელექის“ დამახინჯებული ფორმაა და უბრალოდ მეფეს ნიშნავს. შუმერის ურის მკვიდრნი მას მალქუმს უწოდებდნენ, ამონელები — მილქს, სირიასა და ბაბილონში მას მალიქი ერქვა, ტვიროსსა და კართაგენში — მელექქარტი, რაც ქალაქის მეფეს ნიშნავს.

ამ კულტის ყველაზე საშინელი მხარე ის იყო, რომ მოლოქის თაყვანისმცემლები მას ადამიანებს და განსაკუთრებით ჯი ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ ხოლმე მსხვერპლად. კერძოდ, ეს შემაძრწუნებელი რიტუალი ფართოდ იყო გავრცელებული კართაგენში. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ქანაანში ყრმათა მსხვერპლად შეწირვა ისრაელიტელთა შემოჭრიდან დიდი ხნის შემდეგაც იცოდნენ. გეზერში ახალშობილთა მთელი სასაფლაო აღმოჩნდა. მათ ძვლებს ატყვია ხანძრის აშკარა კვალი. მსხვერპლად შეწირულ ბავშვებს თავდაღმა ათავსებდნენ თიხის ჭურჭელში და მიწაში მარხავდნენ.

ქანაანელთა რელიგია მჭიდროდ უკავშირდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კალენდარს და ბუნების რიტმული მიძინებისა და გამოცოცხლების ახსნა-განმარტებას ცდილობდა. სწორედ ამიტომ მოექცნენ ისრაელიტელები ამ რელიგიის გავლენის ქვეშ ესოდენ იოლად. მომთაბარე ცხოვრებიდან მიწის დამუშავებაზე გადასვლის დროს მიწათმოქმედება მათ ქანაანელებისაგან უნდა ესწავლათ. მათგანვე გაიგეს, რომ უხვი მოსავლის მოსაწევად საჭირო იყო თაყვანი ეცათ ადგილობრივი ღმერთებისათვის.

ისრაელიტელ მიწათმოქმედს ძალიან სჭირდებოდა ისეთი რელიგია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებოდა. წარმტაცი სანახაობა, საზეიმო რიტუალი, რომელიც ბაალისა და ასტარტეს კულტთან იყო დაკავშირებული, ისრაელიტელთა ფანტაზიაზე დიდ გავლენას ახდენდა და მათ პრიმიტიულ ბუნებას მოსეს პურიტანულ რელიგიაზე უფრო მეტად შეესაბამებოდა.

ამ რელიგიური განდგომის გამომწვევ ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ მოტივთა გამო იაჰვისტებმა არსებითად ვერასდროს ვერ შეძლეს აღმოეფხვრათ „კერპთაყვანისმცემლობა". მსაჯულთა წიგნში ვკითხულობთ: ისრაელიტელები „განაგრძობდეს ყოფად ბოროტისა წინაშე უფლისა და მსახურებდეს ბაალთა და ასტაროთთა, ღმერთთა ასურეთისა და ღმერთთა სიდონისათა და ღმერთთა მოაბისთა და ღმერთთა ძეთა ამონისთა, და ღმერთთა ფილისტიმელთასა, და დაუტევეს იაჰვე და არა ჰმონებდეს მას" (მსაჯულთა, თ. 10, მ. 6).

ვიდრე ისრაელიტელი მიწათმოქმედი ხნავდა და თესავდა, ქანაანელთა ღმერთებისგან განდგომა არც შეეძლო და არც უნდოდა. დროგამოშვებით იგი კუთვნილს მიუზღავდა ხოლმე იაჰვეს, მაგრამ ნამდვილად მისთვის ყველაზე ახლობლები იყვნენ მიწათმოქმედების ღმერთები, რომლებიც უხსოვარი დროიდან ბატონობდნენ ქანაანში. ოსეს წინასწარმეტყველებაში (VIII საუკუნე) გვხვდება ერთი ნაწყვეტი, რომელიც შესანიშნავად განმარტავს ამ საჭირბოროტო მოტივებს. აქ სიტყვასიტყვით

ვკითხულობთ: „რამეთუ იტყოდა (ისრაელის ძეთა დედა. ზ. კ.): შეუდგე ტრფიალთა ჩემთა, რომელნი მომცემენ პურსა და წყალსა ჩემსა, მატყლსა და სამოსელსა ჩემსა, და ზეთსა და სასმელსა. მაგრამ არა უწყოდა, რამეთუ მე (იაჰვემ, ზ. კ.) მივეც მას პური და ღვინო და ზეთიცა. მე ვუშრაველე ვეცხლი და ოქრო, რომლისაგან შექმნეს კერპი ბაალისი“ (ოსე, თ. 2, მ. 5—8).

ეს ნაწყვეტი გვიჩვენებს, თუ რა ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული ისრაელიტელთა შორის ქანაანელთა ღმერთების კულტს. ბიბლიის ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ამ კულტმა რამდენიმე საუკუნეს გაუძლო და იერუსალიმის დაცემის შემდეგაც (ძვ. წ. 571 წელს) განაგრძო არსებობა.

მსაჯულთა წიგნში ვკითხულობთ — გმირი გედეონის მამას იოასს ბაალის სამსხვერპლო ჰქონდაო. როცა გედეონმა ბაალის სამსხვერპლო გაანადგურა და მის ადგილზე იაჰვეს სამსხვერპლო აღმართა, ისრაელიტელები ისე აღშფოთდნენ, რომ მისი მოკვლა მოითხოვეს; მაგრამ თვით გედეონმა მტრებზე გამარჯვების შემდეგ ბრძანა, ოქროსაგან ჩამოესხათ ეფუდი, ე. ი. ქანაანური კულტის რომელიღაც საგანი. გარდა ამისა, ამავე წიგნიდან ჩანს, რომ სიქემელებმა აბიმელექს სახელმწიფო გადატრიალების დასაფინანსებლად ბაალის სახლის სალაროდან გამოუყვეს სამოცდაათი შეკელი ვერცხლი.

მისფაში არქეოლოგებმა ბაალისა და იაჰვეს ტაძრების ნანგრევები აღმოაჩინეს. ტაძრები ერთმანეთთან ახლოს დგას და ორივე ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეს განეკუთვნება. აი, საინტერესო დეტალიც. ორივე ტაძრის ნანგრევებში ქალღმერთ ასტარტეს მრავალი ქანდაკება აღმოჩნდა. არქეოლოგები დაეჭვდნენ: სიქემის მცხოვრებლებს ასტარტე იაჰვეს მეუღლედ ხომ არ მიუჩნეიათო. ეს ჰიპოთეზა არც ისე ფანტასტიკურია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. უფრო გვიანდელმა ეპოქამ დაგვიმტკიცა, რომ ამგვარი სინკრეტიზმი ისრაელიტელთა შორის შესაძლებელი იყო. იერუსალიმის დაცემის შემდეგ ლტოლვილ იუდეველთა ჯგუფი დამკვიდრდა ეგვიპტის კუნძულ ელეფანტინზე — ნილოსის პირველ ჭორომთან, ასუანის მახლობლად. იუდეველებმა აქ იაჰვესა და მისი მეუღლის ასტარტეს საერთო ტაძარი ააგეს. ასტარტეს აქ ქანაანური სახელი — ანათ-იაჰუ ჰქვია.

შესაძლოა იაჰვიზმის მაშინდელ დედაქალაქ სელომში, მღვდელმთავარ ელიას მმართველობის დროს, ასევე სცემდნენ თაყვანს ასტარტეს: მეფეთა პირველ წიგნში ვკითხულობთ: „ხოლო ელი მოსუცებულ იქმნა ფრიად, და ესმა, რასა უყოფდეს ძენი მისნი ყოველთა ძეთა ისრაელისათა, და ვითარ წვებოდეს დედათა თანა, რომელნი იყვნეს ლოცვასა ზედა კართა თანა კარვისა საწამებელისათა“ (I მეფ. 2, 22). ესაია, როგორც მისი წინას-

წარმეტყველებიდან ჩანს, გაემგზავრა იერუსალიმში ქანაანის ერთ-ერთ ტაძარში, რომ ქალღმერთ ასტარტეს ქურუმ ქალთან ბავშვი ჰყოლოდა (ეს. თ. 8, მ. 3).

სოლომონის მეფობის დროს იერუსალიმის ტაძარში იაჰვესთან ერთად თაყვანს სცემდნენ ბაალსა და ასტარტეს, რომელთაც საგანგებო სამსხვერპლო აუგეს. იაჰვიზმის აღორძინების დროსაც კი იოსიას მეფობის ხანაში და მისი გარდაცვალების (ძველი წელთაღრიცხვის 609 წ.) შემდეგაც არ მოხერხდა ქანაანელთა ღმერთების კულტის ჩახშობა. ეს დაადასტურა წინასწარმეტყველმა იერემიამ, როცა ეგვიპტელთა და ბაბილონელთა მიერ მოოხრებულ იერუსალიმში მივიდა. იგი ქუჩებში შეხვდა ბავშვებს, რომლებიც კოცონთათვის შეშას აგროვებდნენ. ეს ბავშვები მამებს ზეცის ქალღმერთის პატივსაცემად უნდა დაეწვათ. ამ დროს ქალები წმინდა კვერებს აცხობდნენ და ზედ ასტარტეს გამოსახულება გამოჰყავდათ. გაოცებული იერემიას საყვედურის პასუხად იერუსალიმელებს უთქვამთ: ქალღმერთს მსხვერპლი უნდა შეეწიროთ, რომ სასმელ-საჭმელი უხვად მოგვცესო. შემდეგ შესჩივლეს: იმ დღიდან, რაც იოსიამ ასტარტეს კულტის მოსპობა განიზრახა, უბედურება მუდამ თან გვდევსო. იერუსალიმი ქალდეველებმა ააოხრეს, მცხოვრებთა ერთი ნაწილი მესოპოტამიაში გარეკეს, მეორე კი იძულებულია, თავშესაფარი ეგვიპტეში ეძებოსო. იერემიას უთქვამს: ყველა ეს კატასტროფა და უბედურება სასჯელია იაჰვეს რელიგიისაგან განდგომისთვისო. მაგრამ სასოწარკვეთილ იუდეველებს ამ სიტყვებისათვის ყურიც არ უთხოვებიათ.

ბუნებრივია, ქანაანური რელიგიის გავლენამ თავისებური დაღი დაასვა ბიბლიურ ლიტერატურას. ასე მაგალითად: ძველი უგარითული ჰიმნის კვალი გარკვევით შეინიშნება ოცდამერვე ფსალმუნში. ამაზე მიუთითებს საერთო იდეები, აქ მოხსენებულ სირიის მხარეთა სახელწოდებების განსაცვიფრებელი დამთხვევა და უგარითული ენის გავლენა. წინასწარმეტყველ ესაიას წიგნის მეთხუთმეტე თავის მეთორმეტე და მეთხუთმეტე მუხლები სიტყვასიტყვითაა ამოღებული უგარითული მითოლოგიური პოემიდან, რომელიც უგარითში აღმოაჩინეს. ცნობილია აგრეთვე, რომ ზოგიერთი ბიბლიური გამონათქვამი ზუსტად არის გადმოღებული ქანაანური ნიმუშებიდან. მკვლევართა ერთი ნაწილი იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ „ქებათა-ქება“ ღვთაება თამუზის პატივსაცემად შეთხზულ საწესჩვეულებო საგალობელთა კრებულია.

ამასთან დაკავშირებით უფლება გვაქვს ვიკითხოთ: რა სასწაულმა გადაარჩინა მოსეს რელიგია ასეთ პირობებში? უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ისრაელიტელები, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ქანაანელ ღმერთებს, თავიანთი ტო-

მის ღმერთს საბოლოოდ არასოდეს განდგომიან. ბევრგან იაჰვესა და ბაალის ტაძრები ერთმანეთის გვერდით იდგა. ზოგიერთი მეფე (მაგალითად, აქაბი და სოლომონი) ქანაანელი ღმერთების ტაძრებს აგებდა, მაგრამ კვლავ იაჰვეს მიმდევრად რჩებოდა. ამრიგად, ეს იყო სრულიად აშკარა პოლითეიზმი, რომლის დროსაც, გარემოებათა მიხედვით, იაჰვეს მეტნაკლებად საპატიო ადგილი ეჭირა სხვა ღმერთების პანთეონში.

როგორც ჩანს, იმ უდიდესი შფოთის პერიოდში არსებობდა იაჰვეს მტკიცე მიმდევართა წრეები, რომლებიც განდგომილთა საერთო ტალღას არ აჰყოლიან და არაერთგზის ცდილან თავისი რელიგიის აქტიურად დაცვას. როცა მეფე აქაბის მეუღლე იეზაბელი იაჰვეიზმის მქადაგებლებს სდევნიდა, მეფის მსახურმა აბდიამ „წარიყვანნა ასნი კაცნი წინაწარმეტყველნი, და დამალნა იგინი ორმეოცდაათნი ქვაბსა შინა და საზრდოდ მისცემდა მათ პურსა და წყალსა“ (III მეფეთა, თ. 18, მ. 4).

ქურუმთა და ლევიტელთა გარდა მოსეს ძველ სარწმუნოებას რამდენადმე მხარს უჭერდა სხვადასხვა გაერთიანებები, მათი წევრები იყვნენ ღვთისმოშიში ადამიანები, რომლებიც იაჰვეს აღთქმას აძლევდნენ. ჩვენ უკვე ვიცნობთ ნაზორეველებს, რადგან მათ რიცხვს ეკუთვნოდა სამსონი. ისინი ღვინოს არ სვამდნენ, თმას არ იკრეჭდნენ, ახლოსაც არ ეკარებოდნენ იმ კერძებს, რომლებიც რიტუალური თვალსაზრისით უწმინდურად ითვლებოდა და ვერ ბედავდნენ, მიცვალებულს შეხებოდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო რექაბელთა დასი. ისინი რექაბის ძის იონადაბის შთამომავალნი იყვნენ. რექაბი აქაბის მეფობის დროს ბაალის მიმდევრებს ანადგურებდა. რექაბელები ღვინოს არ სვამდნენ, არც მიწას ამუშავებდნენ და არც მევენახეობას მისდევდნენ. ისინი მწყემსთა პირველყოფილი ცხოვრებით ცხოვრობდნენ კარვებში; გმობდნენ ქანაანელთა ურბანიზმს და მისგან გამომდინარე ცუდ საზოგადოებრივ და რელიგიურ შედეგებს. რა თქმა უნდა, მოსეს დროინდელი მწყემსური წყობილების შენარჩუნების ცდა მხოლოდ ანაქრონიზმი იყო და სწორედ ამის გამო იყო, რომ რექაბელთა დასს ისრაელიტელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობა არ მოუხვეჭია.

მოგვიანებით, იუდეის მეფის იოსიას დროს (ძვ. წ. 640—609 წლებში) იერუსალიმელმა მღვდლებმა განდგომილებს სასტიკად შეუტიეს. ისინი ცდილობდნენ, თეოკრატიული წყობილება დაემყარებინათ და ფაქტიურად ხელთ ეგდოთ ძალაუფლება იაჰვეს სახელით. არსებითად ისინი პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ, რელიგიურ ქადაგებაში კი კულტის გარეგანი ფორმების, რელიგიური წესებისა და რიტუალის დაცვას მოითხოვდნენ.

ისრაელიტელებმა მხოლოდ წინასწარმეტყველთა მორალუ-

რი ქადაგებების გავლენით განავითარეს თავის რელიგია წმინდა ეთიკურ მონოთეიზმამდე. მათ იაჰვე სამყაროს უნივერსალურ, ერთადერთ ღმერთად მიიჩნიეს. ამრიგად, ძველებრაული მონოთეიზმი ძნელი ისტორიული გზის — საუკუნეთა მანძილზე განცდილი ტანჯვის, ხეტიალისა და პოლიტიკური კატასტროფების საკმაოდ გვიანდელი და საბოლოო შედეგია.

მსაჯულთა ეპოქაში ისრაელმა სამოქალაქო ომები და რელიგიური ერთიანობის რყევა განიცადა. ამ შინაგან ურთიერთობათა შემაძრწუნებელ სურათს გვიხატავს კერძოდ სამი თქმულება: პირველი აღწერს ეფრემის მოდგმის ხოცვა-ჟლეტას, რომელიც იორდანის ფონთან მოხდა; მეორეში მოთხრობილია ბენიამენელთა თითქმის მთელი ტომის განადგურების ამბავი, მესამე შეეხება აბიმელექის სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას.

ბოლო თქმულება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან იგი დამატებით ცნობებს გვაწვდის ისრაელიტელთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურასა და პოლიტიკურ მიმდინარეობებზე, რომლებიც მომდევნო მონარქიული წყობილების მაუწყებელია. მსაჯულთა წიგნში ვკითხულობთ:

„და ჰრქუეს კაცთა ისრაელისათა გედეონს: მთავრობდი შენ ჩვენ ზედა, და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, რამეთუ შეგვიხსენ ჩვენ ხელთაგან მადიამელთა“ (მსაჯ. თ. 8, მ. 22.).

გედეონმა უარი თქვა შემოთავაზებულ სამეფო გვირგვინზე, თუმცა ფაქტიურად მემკვიდრეობითი მბრძანებელი გახდა. იგი დედაქალაქში იჯდა და სახელმწიფოს მართავდა ისე, როგორც აღმოსავლეთის ტიპიური დესპოტი. ჰარამხანაში ჰყავდა ხარჭები, რომელთაგან სამოცდაათი ძე შეეძინა.

მაშ რატომ არ მოისურვა მან მიეღო ფორმალურად მეფის ტიტული? უეჭველია, რომ იმ დროს ისრაელიტელთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ერთადერთ გამოსავალსა და ანარქიისა და დაღუპვისაგან ხსნის გზას მონარქიულ წყობილებაში ხედავდნენ. მათი აზრით, მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას შეეძლო ისრაელის ტომთა გაერთიანება ერთიან ფრონტად მათდამი მტრულად განწყობილი ქანაანელი ხალხების მზარდი მუქარის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, მონარქისტები უმცირესობას წარმოადგენდნენ. ხალხის ფართო მასებს დესპოტიზმისა ეშინოდა და ტომობრივი სეპარატიზმი არ ეთმობოდათ. გედეონი ალბათ ანგარიშს უწევდა ამ განწყობილებას და ამიტომ განაცხადა უარი სამეფო გვირგვინზე. ეს კია, რომ მას შეეძლო მისი მიღება, რადგან საკუთარი ავტორიტეტის წყალობით ისედაც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა თავის მორჩილ ტომებზე.

აბიმელექის ამბავი ადასტურებს, თუ რა ძლიერი იყო მო-

ნარქიული იდეის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია, გვიჩვენებს იმასაც, თუ ყველაზე ღრმად რომელ საზოგადოებრივ ფენებში გაიდგა მან ფესვები. არსებითად, აბიმელექი იყო არა მეფე, არამედ უზურპატორი, რომელმაც ნაიესავების დახმარებით მოიპოვა ძალა-უფლება. სიქემში მათგან მიღებული სახსრებით მეომრები დაიქირავა, თავისი ნახევარძმები აშოხოცა და არნახული სისხლიანი რეჟიმი დაამყარა.

მაგრამ აბიმელექმა ტახტზე მხოლოდ სამ წელს გაძლო. აჯანყება წამოიწყო სწორედ იმ სიქემმა, რომელიც ესოდენ აქტიურად დაეხმარა მას სახელმწიფო გადატრიალებაში. რატომ აჯანყდა მაინცდამაინც მისი მშობლიური ქალაქი? თუ ბიბლიის სათანადო სტრიქონებს ყურადღებით წავიკითხავთ, ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს მივიღებთ.

მსაჯულთა წიგნში ნათქვამია: „და შეკრბეს ყოველნი კაცნი სიქემისნი, და ყოველი სახლი მაალოსი, და მივიდეს და მეყუდ ყვეს აბიმელექ...“ (მსაჯულთა, თ. 9, მ. 6.).

სინამდვილეში მაალო სახლი (ე. ი. ტომი) კი არ ყოფილა, არამედ არისტოკრატიული უბანი, რომელიც ცოტად თუ ბევრად ბერძნულ აკროპოლს შეესაბამებოდა. არქეოლოგებმა ასეთი უბნები აღმოაჩინეს არა მარტო სიქემში, არამედ იერუსალიმსა და პალესტინის სხვა ქალაქებშიც. ეს იყო ქვით მოკირწყლული და გალავანშემოვლებული მოედანი, რომელზეც დიდებულთა და არისტოკრატთა სასახლეები იდგა.

ამრიგად, გამოცანის გასაღები ნაპოვნია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის ნათელია, თუ როგორი კლასობრივი დაყოფა არსებობდა ისრაელიტელთა იმდროინდელ საზოგადოებაში. ამავე ცნობიდან უცილობლად გამომდინარეობს, რომ მონარქისტული მეტწილად პრივილეგიური ფენების წარმომადგენლები იყვნენ და სწორედ მათ აიყვანეს ტახტზე აბიმელექი. ამ მხრივ ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს მსაჯულთა წიგნის ზემოთდასახელებული თავის ოცდამესამე და ოცდამეოთხე მუხლები. აქ ნათქვამია: „და აღდგეს კაცნი სიქემელნი სახლისა მიმართ აბიმელექისა, რათა მოეწია შურისგება მასზე და სამეოცდაათთა ძეთათვის იერუბაალისათა და სისხლი მათი მიექცა თავსა აბიმელექისა ძმისა მათისა, რომელმან მოსრნა იგინი და კაცთა სიქემელთა, რამეთუ განაძლიერნეს ხელნი მისნი“ (მსაჯულთა, თ. 9, მ. 23—24.).

ერთი სიტყვით, ქალაქ სიქემის ამბოხი იყო სახალხო აჯანყება, მიმართული არა მარტო უზურპატორის, არამედ ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგაც. მაშასადამე, იგი მკვეთრად გამოკვეთილ სოციალურ რევოლუციად უნდა მივიჩნიოთ. როგორც აჯანყების აღწერიდან ჩანს, ხალხი უჩვეულო გაშმაგებით იბრძოდა და სიკვდილს არად აგდებდა. აჯანყების საერთო სა-

ხალხო ხასიათზე ისიც მიგვითითებს, რომ მარტო მამაკაცები არ იბრძოდნენ. აბიმელექს ალყაშემორტყმული კოშკიდან ქალმა ესროლა დოლაბის ნატეხი და სასიკვდილოდ დაჭრა იგი.

აბიმელექის სიკვდილის შემდეგ დიდი დრო გაეიდა, მაგრამ ისრაელიტელები მეფის არჩევას ვერ ბედავდნენ. მათ მხოლოდ მაშინ გაბედეს ეს, როცა ფილისტიმელთა თავდასხმის საშიშროებამ ძალზე იმატა. მაგრამ როგორც სამოელის ისტორიიდან ჩანს, მონარქიის საწინააღმდეგო ოპოზიცია უწინდებურად ძლიერი და აქტიური იყო.

მართალია, მსაჯულთა წიგნი ჩვენამდე მოღწეული სახით შედარებით გვიანდელი ნაწარმოებია, მაგრამ ტექსტში ბევრი რამ ამტკიცებს, რომ მას არაერთგზის დაედო საფუძვლად ძველი ისტორიული დოკუმენტები.

მაგალითისათვის დავასახელებთ თქმულებას ისრაელიტელ წინასწარმეტყველსა და პოეტ ქალ დებორაზე. ამ თქმულების წყარო იყო ორი სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის დოკუმენტი: პროზაული თქმულება ისრაელიტელთა მტანჯველ მეფე იაბინსა და მის მხედართმთავარ სისარაზე და წინასწარმეტყველ დებორას გამარჯვების საგალობელი. პროზაულ თქმულებაში ასორის მეფე იაბინი ისრაელის მთავარ მოწინააღმდეგედ წარმოგვიდგება, სისარა კი მხოლოდ მის ხელქვეითად. დებორას ჰიმნში კი იაბინი საერთოდ არაა ნახსენები. სუვერენულ მბრძანებლად გვეელინება სწორედ სისარა. სრულებით არ ეთანხმება ერთმანეთს ვერსიები სისარას დაღუპვის შესახებ: პროზაული ტექსტის მიხედვით, შემაძრწუნებელმა სიკვდილმა სისარას ძილის დროს უწია, პოემაში კი მას ზურგიდან მიეპარებიან და სიცოცხლეს გამოასალმებენ მაშინ, როცა სისარა რძეს სვამს.

ტექსტის ლინგვისტურმა ანალიზმა გვიჩვენა: გამარჯვების სევდანარევი ჰიმნი, რომელსაც დებორას მიაწერენ, ძველებრაული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ძეგლია; მიუხედავად იმისა, რომ მასში იარაღის ჟღარუნი ისმის, იგი მაინც უაღრესად ადამიანური მელოდიით მთავრდება იქ, სადაც აღწერილია სისარას დედის ტანჯვა და მოუსვენარი მოლოდინი. ვარაუდობენ იმასაც, რომ ეს საგალობელი მასში აღწერილი მოვლენების დროინდელია; ამიტომ იგი ისრაელიტელთა ცხოვრების ნამდვილ სურათს გვიხატავს, პალესტინის კოლონიზაციის ყველაზე ადრეული პერიოდისას.

მეტად ძველი წყაროები უდევს საფუძვლად თქმულებას იეფთაეს ტრაგედიის შესახებაც, იეფთაემ აღთქმისამებრ თავისი საყვარელი ასული შესწირა მსხვერპლად იაჰვეს. ეს რიტუალური მსხვერპლის შეწირვა უდავოდ კაცობრიობის ძველთაძველი წინარეისტორიის ხანას მიეკუთვნება.

ბიბლიური გმირის ესოდენი ბარბაროსობით შეცბუნებულმა ზოგიერთმა მკვლევარმა წამოაყენა ჰიპოთეზა, თითქოს იეფთაეს ასული კი არ მოუკლავთ, არამედ იაჰვეს ერთ-ერთ ფარულ ტაძარს შესწირეს მსახურად. ამავე მკვლევართა აზრით, ისრაელიტელ ქალთა სამგლოვიარო პროცესია და იეფთაეს ასულის დატირება სინამდვილეში ქანაანელთაგან ნასესხები წესჩვეულებაა, რომელსაც ნაყოფიერების ქალღმერთ ასტარტეს პატივსაცემად ასრულებდნენ.

მაგრამ ბიბლიის ორთოდოქსალური კომენტატორები იეფთაეს მსხვერპლს არასდროს არ განიხილავდნენ, როგორც სიმბოლურ აქტს. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი (რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ცხოვრობდა) და ეგრეთ წოდებული ბაბილონური თალმუდი (შექმნილი ჩვ. წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში) იეფთაეს მსხვერპლს მიიჩნევდნენ ნამდვილ, ისტორიულ ფაქტად. მართალია, ბიბლია ადამიანის მსხვერპლად შეწირვას მკაცრად გმობს და მას შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებად მიიჩნევს, მაგრამ იეფთაეს საქციელი გამონაკლისი არ ყოფილა. ასე მაგალითად: წინასწარმეტყველმა სამოელმა მეფე აგაგი ნაკუწ-ნაკუწ აკაფა იაჰვეს სამსხვერპლოსთან, ხოლო დავითმა, შიმშილის თავიდან აცილების მიზნით, საულის შვიდი ძე ჩამოახრჩო. ცხადია, უაზრობა იქნებოდა, რომ ეს ფაქტები დღევანდელი მორალის ან მონოთეიზმისდროინდელ წინასწარმეტყველთა ეთიკური ნორმების მიხედვით გაგვეხილა. არ უნდა დავივიწყოთ, რაოდენ ძველ ეპოქაზეა აქ ლაპარაკი. ეს ხომ ძველი წელთაღრიცხვის XII, XI ან X საუკუნეა, საუკუნე იფიგენიასი და კლიტემნესტრასი, ტროას ომისა და ამ ომის მონაწილე კრეტის მეფე იდომენევსისა, რომელმაც პოსეიდონს საკუთარი ძე შესწირა მსხვერპლად ზღვის ქარიშხლისაგან ხსნის სამადლობლოდ. სულიერი განვითარების მხრივ მაშინდელი ძველებრაული ტომებიც თავისი ეპოქის ხალხთა (მათ შორის დორიელთა და აქეველთა) დონეზე იდგნენ. მათზე არც უარესნი იყვნენ და არც უკეთესნი.

ძველი და ახალი მოტივების ერთ თქმულებაში გაერთიანების საინტერესო მაგალითია მშვენიერი ლეგენდა ერთგული რუთზე. ტექსტის უამრავი არამეული კონსტრუქცია ადასტურებს, რომ ლეგენდა წარმოიშვა ძალიან გვიან — დაახლოებით ბაბილონის ტყვეობის შემდეგ. ბიბლიის ზოგიერთმა მკვლევარმა დაასკვნა, რომ რუთის ამბავი თავისებური პოლიტიკური პამფლეტია, რომელიც ალეგორიულად გამოხატავს პროტესტს ეზრასა და ნეემიას უსასტიკესი გამგებლობის წინააღმდეგ. ეზრა და ნეემია არა მარტო უარყოფდნენ შერეულ ქორწინებას, არამედ იერუსალიმიდან აძევებდნენ ყველა უცხოელ ქალს, რომე-

ლიც ებრაელს ცოლად გაჰყვებოდა. ლეგენდის ავტორს სურდა, შეეხსენებინა იუდეველი ფანატიკოსებისათვის, რომ რუთი — ისრაელიტელთა მეფის დავითის პაპის დედა — მოაბელი ქალი იყო და, რომ მაშასადამე ისინი შერეულ ქორწინებას უსამართლოდ გმობდნენ.

თუკი ეს ნამდვილად ასე იყო, ლეგენდის ავტორს მაინც ალბათ მოუხდა ბევრად უფრო ძველი მსგავსივე თემის მქონე ლეგენდის გამოყენება, რადგან ბაბილონის ტყვეობის შემდეგდროინდელ ეპოქაში რუთის თქმულებაში აღწერილი წეს-ჩვეულებანი სულ აღარ არსებობდა, ან დავიწყებას ეძლეოდა.

კიდევ ერთი მაგალითი: ნაწვერალზე დატოვებული თავთავების აკრეფა ღარიბების, ქვრივ-ობლებისა და მგზავრების ძველი პრივილეგია იყო. ეს წესი ჯერ კიდევ მოსეს კანონებმა განამტკიცეს. მაგრამ როცა ისრაელიტელები ქალაქებში დამკვიდრდნენ და კლასობრივი განსხვავება გაძლიერდა, ამ ძველ წესს იშვიათად თუღა მისდევდა ვინმე. ზოგიერთი წინასწარმეტყველი, განსაკუთრებით ამოსი, ესაია და მიქია, ღარიბთა ჩაგერისათვის ამხილებდნენ მდიდრებს: „ისმინეთ ესე, რომელნი ეძიებთ შთანთქმასა გლახაკთასა და წარწყმედასა უპოვართასა", — ამბობს ამოსი (თ. 8, მ. 4). ლეგენდაში აღწერილი იდილიური საზოგადოებრივი ურთიერთობა, როდესაც მიწათმოქმედნი თავის სახლეულებთან პატრიარქალური ჰარმონიის პირობებში ცხოვრობდნენ და ღარიბებს თანაუგრძნობდნენ, მაშინ უკვე ანაქრონიზმი გახლდათ.

ამავე ლეგენდაში აღწერილი მეორე დაკანონებული წესი კიდევ უფრო მოძველებული იყო. ჩვენ ვგულისხმობთ ეგრეთ წოდებულ ლევირატს, რომლის მიხედვით გარდაცვლილი ქმრის ძმას უშვილო ქვრივი ცოლად უნდა შეერთო. თუ მაზლი უარს განაცხადებდა, ქვრივს სასამართლოს მეშვეობით შეეძლო თავისი უფლებების მოპოვება. რუთი ლევირატის კანონის ძალით გაჰყვა ცოლად ბოოსს. ლევირატმა ისრაელიტელებში ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე იარსება.

მაგრამ ბაბილონის შემდეგდროინდელ ეპოქაში უკვე აღარ არსებობდა ლევირატთან დაკავშირებული პროცედურა. ამ წესის მიხედვით, კაცს, რომელიც უარს ამბობდა ცოლის შერთვაზე, ფეხსაცმელი უნდა გაეძრო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იგი თავის უფლებას შემდეგ უახლოეს ნათესავს გადასცემდა. დიდი ხნის წინათ მივიწყებულ ფორმალურ რიტუალს ყოფაცხოვრებაში საფუძველი და გამარილება გააჩნდა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა დამწერლობა და ფიქსირებული იურიდიული აქტები. რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ წესის ყველაზე უძველეს ფორმას მეტად არასასიამოვნო შედეგები შეიძლებოდა ჰქონოდა: თუ ნათესავი უარს ამბობდა თა-

ვისი მოვალეობის შესრულებაზე, ქერივი ძალით ხდიდა ფეხსაცმელს, პირში აფურთხებდა და ამრიგად საზოგადოების სასაცილოდ ხდიდა.

ჩვენ შევეხეთ მსაჯულთა წიგნის ყველაზე საგულისხმო ასპექტებს, სამსონის სახის განხილვა კი განზრახ გადავდეთ, რადგან მისი თავგადასავალი სამოელის, საულისა და დავითის ისტორიისათვის ერთგვარ შესავალს წარმოადგენს.

უეჭველია, რომ სამსონი ლეგენდარული ფიგურაა. ზოგიერთი თვისებით იგი შუმერ გილგამეშსა და ბერძენ ჰერაკლეს მოგვაგონებს. მეცნიერები იმასაც კი ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად სამსონი მზის თაყვანისმცემელი ტომების მითოლოგიური ღვთაება იყო. ამ კულტს ქანაანში ბევრი მიმდევარი ჰყავდა. სამსონის სახელი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძველებრაულ „შემეშ“ და ბაბილონურ „შამშუ“ სიტყვებს, რომელიც „მზეს“ ნიშნავს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ბეთ-შეშეში, სამსონის მშობლიური სოფლის ახლოს, იყო მზის ღვთაებისადმი მიძღვნილი ტაძარი. მაშასადამე, გამორიცხული არ არის, რომ სამსონის პირველსახე ყოფილიყო ქანაანელთა შორის პოპულარული რომელიმე ღმერთი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ბიბლიური გმირის სახე ძველებრაული ფანტაზიის ნაყოფი არაა. შეუპოვარი, შფოთისთავი, ათასგვარი ოინის ჩამდენი მარჯვე და ბრგე ვაჟკაცი, ბავშვურად გულუბრყვილო გოლიათი — რა დიდებული და ტიპიური ხალხური ფიგურაა! მის ფანდებსა და თავგადასავალში ვლინდება ძველი ებრაელი მწყემსების უხეში იუმორი და აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი სწრაფვა სათავგადასავლო, ზღაპრული თქმულებებისადმი.

ხალხს სამსონი უყვარდა, სიამოვნებით ჰყვებოდა მის სატრფიალო თავგადასავლებს და გულს იოხებდა, როცა გმირი საძულველ ფილისტიმელებს უსწორდებოდა. სამსონის პიროვნებაში თავისებურად აირეკლა ისრაელიტელთა მაშინდელი, ჯერ კიდევ სუსტი პოლიტიკური თვითშეგნება. სამსონი ბელადი არ არის, რომ სხვა მსაჯულებივით დარაზმოს ხალხი მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მისი შეხლა-შემოხლა ფილისტიმელებთან ინდივიდუალური პარტიზანული ბრძოლაა ფანატიკოსისა, რომელსაც სურს შური იძიოს ნამდვილი ან მოჩვენებითი შეურაცხყოფისათვის. სამსონის მოქმედება უფრო პირადი ანგარიშის გასწორების სურვილით არის ნაკარნახევი, ვიდრე პატრიოტული გრძნობით. მისი სახე მხოლოდ თქმულების ბოლოში მაღლდება, გმირული და ჭეშმარიტად ტრაგიკული ხდება. ეს შემზარავი ფინალი თითქოსდა მაუწყებელია ახალი დროისა, როცა ფილისტიმელთა მზარდმა საფრთხემ ბოლოს და ბოლოს შეაგნები-

ნა ერთმანეთის მოკინკლავე ისრაელის ტომებს, რომ თავისუფლებისათვის საბრძოლველად აუცილებელია გაერთიანება.

მშობელთა სურვილისამებრ, სამსონს ჯერ კიდევ ყრმობიდანვე ჰქონდა დადებული ნაზორეველის აღთქმა, რომელსაც იგი მხოლოდ გარეგნულად იცავდა — არ იკრეჭდა თმას და ღვინოს არ სვამდა. სხვაფრივ კი მისი საქციელი არასდროს ყოფილა შეპირობებული რელიგიური მოტივებით. ამრიგად, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი იაჰვიზმისთვის იბრძოდა. ფილისტიმელ ქალებთან სასიყვარულო ავანტიურებში, ერთპიროვნულ პარტიზანულ გამოხდომებსა და მორალური თვალსაზრისით უკიდურესად საეჭვო სისხლიან თავგადასავლებში იგი ველურ კაცად და წარმართად წარმოგვიდგება. სამსონი არც ბრძენი მსაჯული ყოფილა, არც თავისი ტომის ბელადი და არც ღვთისმოსავობით გამორჩეული მორწმუნე.

ამიტომ საოცარია, რომ ბიბლიის რედაქტორებმა მისი თავგადასავალი კანონიკურ წიგნებში შეიტანეს და იგი ასე თუ ისე მისაბაძ მაგალითად წარმოგვიდგინეს; ამასაც არ დასჯერდნენ და უხეში ნატურალიზმით აგვიწერეს ისეთი ამბები, რომლებიც, გულახდილად რომ ვთქვათ, „წმინდა წიგნებს“ სულაც არ შეეფერება. კიდევ მეტიც, თქმულებაში ისინი იშვიათი ლმობიერებით აღწერენ ისრაელიტელი ნაზორეველის რომანებს უცხო ტომის ქალებთან და მის ველურ ოინებს ისე იწონებენ, რომ კმაყოფილებასაც ველარ ფარავენ.

როგორ მოხდა, რომ ხალხური გადმოცემების ხეპრე და გაუთლელი გმირი ბელადების, მეფეებისა და წინასწარმეტყველთა რჩეულ საზოგადოებას მიაკუთვნეს? ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არაა. სამსონი გახდა ფილისტიმელების წინააღმდეგ ისრაელიტელთა ბრძოლის ეპოქის გმირული სიმბოლო და ამ სახით იმდენად შეუსისხლხორცდა ეროვნულ ტრადიციებს, რომ მისი უგულებელყოფა აღარ შეიძლებოდა.

ისრაელიტელები ფილისტიმელებს ებრძოდნენ ეროვნული მყოფობის დასაცავად. ეს კი რელიგიის შენარჩუნებასაც გულისხმობდა. აი, რატომ ჰქონდა იაჰვეს მიმდევართა თვალში სამსონის საქციელს რელიგიური აზრი და მნიშვნელობა.

უკვე ვთქვით, რომ სამსონი ლეგენდარული ფიგურაა, მაგრამ თქმულების ფაბულა ისტორიულ მოვლენათა მასალებს ემყარება. ისრაელიტელთა შეიარაღებული შეტაკებები ფილისტიმელებთან ორი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და ბოლოს ბრძოლა დავითის გამარჯვებით დამთავრდა.

არც ისე დიდი ხნის წინათ ძალზე ცოტა რამ ვიცოდით ფილისტიმელთა შესახებ. უკანასკნელი ათეული წლების არქეოლოგიური გათხრების, ეგვიპტისა და მესოპოტამიის ლურსმუ-

ლი წარწერების გაშიფვრის წყალობით, შედარებით სრული ინფორმაცია მივიღეთ იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ და საიდან წარმოიშვნენ ისინი.

თუ გვსურს, მათზე წარმოდგენა ვიქონიოთ და გავიგოთ, რა ვითარებაში გაჩნდნენ ისინი ქანაანში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავეცნოთ იმ ეპოქას, რომელშიც ფილისტიმელები ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ. პელოპონესის მიკენში, კრეტაზე, ტროაში, ანატოლიაში, სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები უამრავ ცნობას გვაწვდის ამ შორეულ და ადრე სრულიად შეუსწავლელ ეპოქათა შესახებ.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში კრეტაზე ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ნატიფი კულტურა გააჩნდა. მას ეგეოსის ზღვაზე უძლიერესი სავაჭრო სახელმწიფო შექმნა. ამავე დროს პელოპონესში მკვიდრობდნენ ტომები, რომელთა წარმოშობა და ენა ჩვენთვის უცნობია. ისინი ბრინჯაოს ჯავშანასხმულმა მეომარმა აქაველებმა დაიპყრეს.

აქაველებმა მიკენში, ტირინთსა და არგოლიდის სხვა ადგილებში ქვის ბლოკებისაგან ციხესიმაგრეები ააშენეს. ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე გვამცნობს: აქაველები მეკობრეები იყვნენ და ისეთი ძლიერი ფლოტი ააგეს, რომ კრეტელებს საშიშ მეტოქეობას უწევდაო.

ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნიდან აქაველებმა ატრიდების (ატრიდების დინასტიას აგამემნონიც ეკუთვნოდა) ხელმძღვანელობით თანდათან განდევნეს კრეტელები თავისი კოლონიური სამფლობელოებიდან — ეგეოსის კუნძულებიდან და მცირე აზიის ნაპირებიდან. ძველი წელთაღრიცხვის 1400 წელს ისინი კრეტას იპყრობენ და ანადგურებენ მინოსის ძლიერ კულტურას, რომელმაც სახელწოდება მითოლოგიური მეფის მინოსის სახელის მიხედვით მიიღო. ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 1180 წელს, ათწლიანი ალყის შემდეგ, მათ ტროა ნანგრევებად აქციეს.

მაგრამ აქაველებს არ დასცალდათ თავისი წარმატებებით გახარება. ევროპის სიღრმიდან მოვიდნენ სხვა ბარბაროსული ბერძენი ტომები, რომლებიც დორიელთა საერთო სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი. მათ დაიპყრეს პელოპონესი, კრეტა, ეგეოსის კუნძულები და მცირე აზიის სანაპიროები.

ამ ტომების გაელენით ეგეოსის ზღვაზე მოხდა ერთ-ერთი იმ ეთნიკურ რევოლუციათაგანი, რომლებიც ხალხთა დიდ გადასახლებას იწვევდა. ბალკანეთის, ილირიისა და ეგეოსის კუნძულების მკვიდრნი, რომლებსაც საკუთარი სამფლობელოებიდან დევნიდნენ, დასახლებული ადგილების საძებრად ზედიზედ დაიძრნენ სამხრეთისკენ. მათ გადაიარეს ანატოლია, მცირე

აზია, სირია, ქანაანი და ნილოსის შესართავამდე მიაღწიეს. აქ ისინი ფარაონმა მერნეპტაჰმა სასტიკად დაამარცხა და უკან დაახევინა.

ყველაზე მრისხანე იყო ბერძენ ტომთა თავდასხმა ეგვიპტეზე. ეს მოხდა 1191 წელს ჩვენს ერამდე. მეომართა აურაცხელი ურდოები ოჯახებითა და ავლადიდებით მიჰყვებოდნენ სირიისა და ქანაანის სანაპიროს. მათ ზღვის მხრიდან იცავდა აფრებიანი ხომალდების მრავალრიცხოვანი ფლოტილია. მათ დაანგრიეს ხეთების სახელმწიფო. მისი დედაქალაქი ხათუსა, რომელიც მდინარე ღალისის ნაპირზე მდებარეობდა, სამუდამოდ იქცა ღორღისა და ფერფლის გროვად. შემდგომ მათ დაიპყრეს კილიკია, რომელიც თავისი ჯიშიანი ცხენებით იყო განთქმული, და ურიცხვი ჯოგები იგდეს ხელთ. ფინიკიელთა ქალაქები ბიბლოსი, სიდონი და ტვიროსი მტერს ნებაყოფლობით დანებდნენ და განადგურებას გადაურჩნენ. დამპყრობლებმა ზღვის სანაპიროთი გაიარეს ქანაანი, ეგვიპტეში შეიჭრნენ და მისი ჩრდილო რაიონები დაარბიეს. ფარაონ რამსეს მესამეს ყოველი ღონის ხმარება მოუხდა, რომ მტრის შემოტევა შეეჩერებინა. ბოლოს და ბოლოს მან აგრესორები ხმელეთსა და ზღვაზე დაამარცხა და მათი ფლოტი პელუზიუმთან გაჩაღებულ საზღვაო ბრძოლაში გაანადგურა. ეგვიპტელებმა თავის ისტორიაში ყველაზე დიდი განსაცდელი მოიგერიეს, მაგრამ რამსეს მესამეს ძალა არ ეყო, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები ქანაანიდან და სირიიდანაც განედევნა. აი, როგორ მოხდა, რომ დამპყრობელთა გადარჩენილმა ნაწილმა სამხრეთ ქანაანის ნაყოფიერი ზღვისპირა ხეობა შეუფერხებლად დაიპყრო და აქ სამუდამოდ დამკვიდრდა.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენილია ეგვიპტური დოკუმენტი, რომელიც ამ იდუმალებით მოსილი მოქთაბარე ხალხების შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის. მედინეთ-გაბუში, თებედან ცოტა დაშორებით, ღვთაება ამონის ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინეს. მისი კედლები ერთიანადაა დაფარული წარწერებითა და სურათებით, რომლებიც გვიჩვენებენ ფარაონის ბრძოლას აგრესორებთან: ეგვიპტელთა ქვეითი ჯარი გააფთრებით ებრძვის უცხოელ მეომრებს ხმელეთზე, ფარაონის ხომალდები კი საზღვაო ბრძოლაში იმარჯვებენ. სურათებზე ჩანს, თუ როგორ ცვივიან მკვდრები ცეცხლმოდებული და ჩასაძირავად განწირული იალქნიანი გემებიდან, როგორ ხტებიან ზღვაში ზარდაცემული მეზღვაურები.

ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია ქალებით, ბავშვებითა და სამხედრო ალაფით დატვირთული ხარებშებმული მძიმე საზიდრები. მაშასადამე, ეს იყო ხალხთა გადასახლება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მამაკაცები ტანმაღალნი და წვერგაპარსულნი არიან, მათ სწორი, ტიპიური ბერძნული ცხვირი და მაღ-

ღალი შუბლი აქვთ. მეომრებს ახურავთ ფრინველის ბუმბულისაგან გაკეთებული თავისებური მუზარადები, სწორედ იმ მუზარადების მსგავსი, ჰომეროსის გმირებს რომ ამშვენებს ძველ ბარელიეფებზე. ფართო, მოკლე მახვილები და მომცრო მრგვალი ფარებიც ბერძნული წარმოშობისა უნდა იყოს.

კედლის წარწერები გვამცნობს, რომ ეგვიპტელები დამპყრობლებს „ზღვის ხალხებს“ უწოდებდნენ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ „დონოისა“ და „აქაივის“ ტომებს. შესაძლოა, რომ ამ სახელწოდებებში ჩვენთვის ძველი ბერძნული ისტორიიდან ცნობილი დანაელები და აქაველები იგულისხმებიან. აქვე გვხვდება ფილისტიმელთა ეგვიპტური სახელწოდება — „ფელესეტ“ ანუ „ფრსტ“. ამ მონაცემთა მიუხედავად, მეცნიერები აგრესორთა ეთნიკური წარმოშობის განსაზღვრისას ვერ შეთანხმებულან. აქ ერთმანეთშიც რომ იყვნენ არეული სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომები, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ეროი რამ მაინც უდავოა: ისინი ბერძნული კულტურის გავლენას განიცდიდნენ; მათ შორის იმყოფებოდნენ აქაველებიც, რომლებიც დორიელებმა გამოდევნეს მცირე აზიიდან, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, და ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან.

ეგვიპტეში უშედეგო ლაშქრობის შემდეგ ფილისტიმელები თიიქმის ისრაელიტელებთან ერთად დამკვიდრდნენ ქანაანში. ბიბლიიდან ვიცით, რომ მათ დაიკავეს ნაყოფიერი სანაპირო ზოლი ქარმელის მთის სამხრეთით. ფილისტიმელებმა დააარსეს ფედერაცია ქალაქ-სახელმწიფოებში: ღაზაში, ასკალონში, აზოთში, გეთსა და ეკრონში. ამ ფედერაციას ბერძნულად „პენტარქია“ ეწოდებოდა. მათ ექსპანსია მატერიკის სიღრმისაკენ მიმართეს და მალე ისრაელის ტომებს — იუდეველებსა და დანელებს შეეჯახნენ. სწორედ ეს პირველი შეტაკება უქმნის ისტორიულ ფონს თქმულებას სამსონის შესახებ.

„ზღვის ხალხებს“ შორის ფილისტიმელები წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ, ეთნიკურად არც თუ ისე მრავალრიცხოვან ჯგუფს. ბიბლიის მკვლევრები და არქეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ, ფილისტიმელებზე რაიმე ახალი გაიგონ და კიდეც მიაღწიეს მთელ რიგ წარმატებებს ამ მიმართებით. მოკლედ გაგაცნობთ დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს.

თუ ბიბლიას დავუჯერებთ, ფილისტიმელები წარმოშობით კრეტიდან იყვნენ. წინასწარმეტყველი ამოსი იაჰვეს სახელით კითხულობს: „... არა ისრაელი აღმოვიყვანე ქვეყანისაგან ეგვიპტისა, და უცხო ტომნი ქაფთორითგან“? (ამ. თ. 9, მ. 7.).

ქაფთორში იგულისხმება კრეტა (ბაბილონური ლურსმული წარწერების ტექსტში აღნიშნულია კაფტარა). რომ ასეთი გა-

გება სწორია და რომ ქაფთორი მართლაც მაინცდამაინც კრეტას აღნიშნავს, ეჭვმიუტანლად გვიჩვენებს წინასწარმეტყველი ეზეკიელი, რომელიც პირდაპირ აიგივებს ერთმანეთთან ფილისტიმელებსა და კრეტელებს. მაშასადამე, თუ ბიბლიურ თქმულებას დავუჯერებთ, დავრწმუნდებით, რომ ფილისტიმელები იყვნენ იგივე აქაველები, რომლებმაც კრეტა დაიმორჩილეს, ხოლო შემდეგ ისინი თავის მხრივ დორიელთა მიერ იყვნენ განდევნილნი.

სამწუხაროდ, ასეთი სახის თქმულებები ხშირად მაცდუნებელია: მათ მეცნიერული დამაჯერებლობა არ გააჩნია. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს ერთ ღირსშესანიშნავ ფაქტს: ფილისტიმელთა ზოგიერთი სახელი ილირიული წარმოშობისა იყო და ილირიაში ქალაქი პალესტე არსებობდა. რაკი დორიელ ხალხთა გადასახლება სწორედ აქ დაიწყო, გამორიცხული არ არის, რომ ფილისტიმელები ბერძნებზე ადრე ცხოვრობდნენ ილირიაში, საიდანაც მორიგმა დამპყრობლებმა გამოდევნეს.

ახლა კი ვნახოთ, როგორ აშუქებს ამ საკითხს არქეოლოგია სირიასა და პალესტინაში ჩატარებული გათხრების საფუძველზე. ქალაქ უგარითში აღმოჩენილია სამარხები, რომლებიც ეგეოსური, კვიპროსული და მიკენური კულტურის ტიპისაა. სამაგიეროდ, ყოფილი ქანაანის ხუთი ფილისტიმური ქალაქის ნანგრევებში აღმოჩენილი კერამიკა უპირატესად მიკენურია. თასებსა და დოქებს ამშვენებს ღია ყვითელი ჭიქურის ფონზე ამოკვეთილი შავი და წითელი სახიანი ორნამენტი. ასეთ კერამიკულ ჭურჭელს სწორედ მიკენში, აგამემნონის ქალაქში იყენებდნენ.

უფრო მნიშვნელოვანია სხვა არქეოლოგიური აღმოჩენები. სამსონზე შექმნილ თქმულებებში ბიბლია ფილისტიმელებს ხალხმრავალი ნადიმების მოყვარულებად გვიხატავს. მასში სიტყვასიტყვით ეკითხულობთ: „რაჟამს მხიარულ იყო გული მათი, თქვეს: მოუწოდეთ სამსონს, რათა იმღერდეს. და მოუწოდეს სამსონს სახლისაგან საპყრობილისა და იმღერდა იგი. და დაადგინეს იგი შუა სვეტებსა... ხოლო სახლი აღავსეს მამაკაცთა, და დედაკაცთა, და იყვნეს მუნ ყოველნი მთავარნი ფილისტიმელთანი. და იყვნეს სართულსა ზედა სამ ათას მამაკაც და დედაკაც, და ხედვიდეს სამსონს“ (მსაჯულთა, თ. 16, მ. 25.).

მხიარული ნადიმის ეს ცოცხალი სურათი არქეოლოგიამ რამდენიმე მოულოდნელი აღმოჩენით შეავსო. ფილისტიმელთა ქალაქების ნანგრევებში ნაპოვნია ლუდის მრავალი დოქი. დოქებს ტუჩებზე ჰქონდა ფილტრი, რომელიც ახალ მოდუღებულ ლუდს ჩენჩოსაგან წმენდდა. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ღვინის ქვეყანაში ფილისტიმელები ბერძენ მეომართა ტრადიციულ სასმელს — ლუდს ამჯობინებდნენ.

რა დასკვნები გამომდინარეობს ამ ფაქტებიდან?

არ შეგვიძლია გადაჭრით ვამტკიცოთ, თითქოს ფილისტიმელები[1] ბერძენი ტომების დიდ ოჯახს ეკუთვნოდნენ, მაგრამ უდავოა, რომ ისინი დიდხანს განიცდიდნენ ბერძნული კულტურის გავლენას და მათი წეს-ჩვეულებანი აითვისეს. ისიც შესაძლოა, რომ მათ შორის იყვნენ არგოლიდან, ილირიიდან, მცირე აზიიდან, კრეტიდან და ეგეოსის კუნძულებიდან გამოქცეული აქაველებიც. მოსალოდნელია, რომ ისინი იყვნენ ბერძნული და არაბერძნული წარმოშობის მომთაბარე ტომები, რომლებიც ეგვიპტეში დამარცხების შემდეგ ქანაანის დასაპყრობად გაერთიანდნენ.

მართებული იქნებოდა, თუ ვიკითხავდით: როგორ მოხდა, რომ ასე მცირერიცხოვანმა აგრესორებმა არა მარტო შეინარჩუნეს დაპყრობილი მიწები, არამედ დროთა განმავლობაში ისრაელიტელებთან ერთად თითქმის მთელი ქანაანიც დაიმორჩილეს? თურმე მათი უპირატესობა ის ყოფილა, რომ ფილისტიმელებს რკინის დამუშავების საიდუმლოება სცოდნიათ და მოუტანიათ თან. რკინის იარაღისა და ინსტრუმენტების წყალობით მათ აჯობეს იმ ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქაში იმყოფებოდა.

დავიხიოთ რამდენიმე საუკუნით უკან, რომ გავიგოთ, თუ როგორ დაეუფლნენ ფილისტიმელები რკინას. სადღაც სომხეთის მთებში ცხოვრობდა ქიცუვათნას ტომი, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნეში აუთვისებია რკინის გამოდნობა. ამ ტომს ახალი არაფერი აღმოუჩენია, მან უბრალოდ მიაგნო რკინის დიდი რაოდენობით დამზადების ხელსაყრელ მეთოდს. ეგვიპტესა და მესოპოტამიაში რკინას ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში იცნობდნენ, მაგრამ ეს ლითონი იმდენად იშვიათი იყო, რომ ოქროზე მეტად ფასობდა.

ქიცუვათნა ხეთებმა დაიმორჩილეს და, რა თქმა უნდა, გამოგლიჯეს მათ რკინის გამოდნობის საიდუმლოებაც, რომელსაც ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. როცა ერთ-ერთმა ფარაონმა მეგობარ ხეთელ მეფეს სთხოვა — საიდუმლოებაზ გამანდეო, პასუხად მხოლოდ რკინის სტილეტი მიიღო ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში „ზღვის ხალხებმა" ხეთები დაამარცხეს და რკინის გამოდნობის მკაცრად დაცულ საიდუმლოებას დაეუფლნენ.

ეს უძვირფასესი განძი ფილისტიმელებს ერგოთ. მეფეთა პირველ წიგნში ეკითხულობთ: „მჭედელი რკინისა არა იყო ყო-

---

[1] ქართულ წყაროებში მათ ხშირად „უცხოთესლნი" ეწოდება (რედ).

ველსა ქვეყანასა ისრაელისასა, რამეთუ იტყოდეს ფილისტიმელნი: ნუუკვე ქმნან ებრაელთა ხრმალი და შუბი და ვიდოდნენ ყოველნი ძენი ისრაელისანი ქვეყანასა ფილისტიმელთასა ჭედად თავისა თავისათვის სახნისისა, მანელისა და ცულისა მათისა... დღესა ბრძოლისასა არა იყო ხრმალი და შუბი ხელთა შინა ყოველთა ერთასა, რომელნი იყვნეს საულისა და იონათანის თანა..." (1 მეფ. თ. 13, მ. 19—22).

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ფილისტიმელებს მორჩილებაში ჰყავდათ ისრაელიტელები და მკაცრად იცავდნენ თავის მონოპოლიას რკინაზე. ეს იყო სამხედრო და ეკონომიური მონოპოლია, რადგან ქანაანში ხელოსნებისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო რკინის იარაღისა და ინსტრუმენტების დამზადება ძათ გარდა არავის ეხერხებოდა. მართალია, ისრაელიტელებს შეეძლოთ იარაღი შეეძინათ ფილისტიმელთაგან, მაგრამ მის გასამართავად თუ გასალესად უნდა მისულიყვნენ იმავე ფილისტიმელებთან, რომლებიც თავისი სამსახურისთვის დიდ გასამრჯელოს მოითხოვდნენ.

არქეოლოგიამ დაადასტურა ბიბლიაში აღნიშნული ფაქტები. ფილისტიმელების ყოფილ პატარა სახელმწიფოთა მთელ ტერიტორიაზე რკინის უამრავი ნაკეთობა ამოიღეს მიწიდან, ქანაანის სხვა რაიონებში კი ასეთი აღმოჩენა იშვიათია. სურათი მაშინვე მკვეთრად შეიცვლება, თუ თვალს გადავავლებთ კულტურულ ფენათა გათხრებს, რომლებიც ქანაანში ფილისტიმელთა ბატონობის დამხობის პერიოდს განეკუთვნება. ამ დროიდან რკინა დიდი რაოდენობით გვხვდება. იგი გავრცელებულია ქანაანის მთელ ტერიტორიაზე.

ისრაელიტელთა გამარჯვება ამავე დროს ეკონომიურ გადატრიალებასაც მოასწავებდა. ეს გადატრიალება განაპირობა ფილისტიმელთა ჰეგემონიის დამხობამ და ქანაანელი სემიტი ხალხების გადასვლამ რკინის ეპოქაში.

მართალია, ორსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგად ფილისტიმელები დამარცხდნენ და მას შემდეგ პოლიტიკურად მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, მაგრამ ისტორიის ფურცლებიდან არ გამქრალან. სწორედ მათგან მოდის სახელწოდება პალესტინა, რომელიც მოგვიანებით ხშირად იხსენებოდა რომის ოფიციალურ ისტორიულ მასალებში. ამრიგად, ფილისტიმელებმა მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვეს: თავისი თავი უკვდავყვეს იმ ქვეყნის სახელწოდებით, რომელსაც დიდხანს ებრძოდნენ, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს.

ისრაელის ოქროს ხანა

ᲛᲚᲔᲓᲔᲚᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ. ეფრემის მთის ძირში გადაშლილა ქალაქი რამათაიმი. აქ ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც სახელად ელკანა ერქვა. მას ორი ცოლი ჰყავდა ანნა და ფენანა. ფენანა ვაჟების დედა იყო და მუდამ დასცინოდა უშვილო ანნას. წელიწადში ერთხელ, როცა მთელი ოჯახი სელომს, უფლის ტაძარში მსხვერპლის შესაწირავად მიემგზავრებოდა, უბედური ქალი იაჰვეს სულ ამას ევედრებოდა: ოღონდ ძე მომეცი და სიკვდილის დღემდე ტაძარში ვამსახურებო. იმ ხანებში უზენაესი ქურუმი იყო ელი — ღვთისმოსაავი კაცი, რომელსაც ყველა პატივს უყოფდა. მაგრამ იგი უკვე ხანში შესული და უძლური იყო.

ერთხელ კარიბჭესთან მჯდომმა ელიმ ლოცვაში გართული ანნა შენიშნა. ელკანას საბრალო ცოლი მხურვალედ ლოცულობდა და ბაგეები უთრთოდა. ამან ძლიერ გააკვირვა მოხუცი ელი. იგი შეჩვეული იყო მლოცველთა ხმამაღლა გოდებას და მათი გასაჭირის საქვეყნოდ განცხადებას. ამიტომ გაიფიქრა — ქალი ტაძარში მთვრალი მოსულაო და გაიცხა. ანნამ მოკრძალებით მიუგო: „არა, უფალო, მე დედაკაცი ვარ, ურვილი გულითა, ხოლო ღვინო და სასმელი სათრობელი არა მისვამს, არამედ განვფენ სულსა ჩემსა წინაშე უფლისა“.

ელის გულს მოხვდა ქალის მწუხარება, ანნა შინ გაუშვა და უთხრა: „წარვედ მშვიდობით და ღმერთმან ისრაელისამან მოგცეს შენ ყოველი თხოვნა შენი“.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ანნამ ძე შვა და ახალშობილს სამოელი უწოდა. როგორც კი სამოელი წამოიზარდა, დედამ, რომელსაც თავისი აღთქმა ახსოვდა, შვილი წაიყვანა სელომს, სადაც სიკვდილამდე იაჰვეს მსახური უნდა ყოფილიყო. ანნამ ელის მიართვა სამი ხბო, სამი საწყაო ფქვილი, ერთი ტიკი ღვინო, ილოცა და გახარებული დაბრუნდა რამათაიმში. სა-

მოელი კი ტაძარში მსახურებას შეუდგა და ქურუმად კურთხევისათვის ემსადებოდა.

ღვდელთმთავარ ელის ტკბილი სიბერე არ ღირსებია. მისი ქურუმი ვაჟიშვილები — ოფნი და ფინეზი უკეთურად იქცეოდნენ და მამას ბევრ უსიამოვნებას აყენებდნენ. უძღები იყვნენ და მლოცველთაგან უზომო საწირავს მოითხოვდნენ. არც მრუშობას ერიდებოდნენ ტაძრის ბჭესთან მყოფ დიაცებთან. როცა შემწირველნი ხორცს ხარშავდნენ, ძმები ქვაბიდან ჩანგლებით იღებდნენ ხოლმე უკეთეს ნაჭრებს. მათმა გაუმაძღრობამ, თვითნებობამ და გარყვნილებამ ისრაელში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ელი კიცხავდა შვილებს, უქადაგებდა ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნებას, მაგრამ მის შვილებს არად მიაჩნდათ მამის რჩევა, ელი კი ვერაფერს აწყობდა მათთან, ამიტომ ყველას ეგონა, მამა შვილების საქციელს ხელს აფარებდა.

ამ ბილწ გარემოში ყოფნამ სამოელს ვერაფერი დააკლო. იგი უმწიკვლოდ იქცეოდა და ერთგულად ემსახურებოდა იაჰვეს. მალე იგი ქურუმი გახდა და მლოცველებმა მთელ ქვეყანას მოჰფინეს მისი სათნოების ამბავი. ელისაც კი, რომელსაც მაინც უყვარდა თავისი გარყვნილი შვილები, საიმედოდ მხოლოდ სამოელი ჰყავდა — გულის სიღრმეში იგი თავის მემკვიდრედ მიაჩნდა.

სამოელი ისე გულმხურვალედ ემსახურებოდა ღმერთს, რომ ღამეებსაც კი ტაძარში ათენებდა. ერთხელ მას მოესმა, რომ ვიღაც უხმობდა. იფიქრა, ელი მეძახისო და მოხუცისაკენ გაეშურა. მაგრამ ელის ეძინა და არა იცოდა რა. მეორე ღამეს იგივე განმეორდა. მხოლოდ მესამე ღამეს მიხვდა ელი, რომ სამოელს იაჰვე უწოდებდა. მან სამოელს ურჩია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში. სამოელმა ელის გაუგონა. როცა ძახილი კვლავ განმეორდა, სამოელი პირქვე დავარდა და ისე იკითხა იაჰვეს ნება-სურვილი. იაჰვეს ნათქვამმა შეაძრწუნა სამოელი. დილით ელიმ გამოჰკითხა იმღამინდელი საუბრის ამბავი. სამოელმა ჯერ კი თავი აარიდა პასუხს, მაგრამ შემდეგ შეძრწუნებულმა უთხრა: უკეთურ ძეთა დასასჯელად აღშფოთებულ იაჰვეს გადაუწყვეტია, რომ მთელი შენი მოდგმა მიწასთან გაასწოროსო. ზარდაცემულმა ელიმ მდაბლად მიუგო: „უფალია არს იგი, რაცა ჰნებავს, აღასრულებს მას“.

მთელს ქანაანში სწრაფად დაირხა ხმა, რომ სამოელს იაჰვე გამოეცხადა. ისრაელის ტომებმა იგი წინასწარმეტყველად მიიჩნიეს. მათთვის სამოელი იყო ღვთის მიერ ცხებული და ბრძენი. მისი ღვთისმოსავობა ერთადერთ ზნეობრივ საყრდენად იქცა ხალხისათვის, რაკი მღვდელთმთავარმა და მისმა შვილებმა ყველას თვალში დაკარგეს ნდობა.

ელის ეოდგეის მოსპობა. ფილისტიმელებმა დაიპყრეს ოუდას ტომი და ეფრემის ტომის წინააღმდეგაც ამხედრდნენ. აფეკთან ბრძოლაში მათ ოთხი ათასი ისრაელიტელი დახოცეს და გამარჯვება მოიპოვეს. ისრაელის ძეთა მხედართმთავრებს მოაგონდათ, რომ მოსესა და ისუ ნავეს არასდროს უბრძოლიათ შჯულის კიდობნის გარეშე, რომელიც იაპვეს სამყოფელი იყო. აფეკთან დამარცხება მათ აღთქმის კიდობნის უქონლობას დააბრალეს და მყისვე წარგზავნეს მის მოსატანად სელომში ლევიტელები, რომელთაც ელის ძენი — ოფნი და ფინეზი მიუძღოდნენ წინ. გამოჩნდა თუ არა ისრაელის ძეთა ბანაკში ფრთოსანქერუბიმებიანი ოქროს კიდობანი, მეომრებს გული მიეცათ და გამხნევდნენ. ომი კვლავ გაჩაღდა, მაგრამ ისრაელიტელებს კვლავ საშინელი დამარცხება ხვედათ წილად. ბრძოლის ველზე დარჩა ოცდაათი ათასი მოკლული, დანარჩენები კი გაიქცნენ. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ შჯულის წმინდა კიდობანი ხელთ იგდეს საძულველმა და უღმერთო ფილისტიმელებმა.

ელი ამ დროს ოთხმოცდათვრამეტი წლისა იყო. მიხრწნილი, ნახევრად ბრმა მოხუცი გზის პირას იჯდა სკამლოგინზე და ბრძოლის დასასრულს ელოდებოდა. მას ძალზე აწუხებდა კიდობნის ბედი. თუმცა კი ღრმად სწამდა მისი სასწაულმოქმედი ძალა, მაგრამ წუხდა, შვილებმა ტაძრიდან მის წაღებაზე რომ დაიყოლიეს.

და აი, მოვარდა მაცნე — ერთ-ერთი გადარჩენილი მეომართაგანი. დამარცხების, ორივე ძის დაღუპვისა და მტრის მიერ წმინდა კიდობნის ხელში ჩაგდების ამბავი რომ გაიგო, ელიმ გრძნობა დაკარგა, ტახტიდან გადმოვარდა და სული განუტევა.

შჯულის კიდობნის საოცარი ბედი. აფეკთან გამარჯვების შემდეგ ფილისტიმელებმა ხელთ იგდეს ეფრემის ტომის მიწები, დაანგრიეს სელომი — ისრაელიტელთა ყველა ტომის რელიგიური და ეროვნული დედაქალაქი. ხანძარმა შთანთქა უდიდესი სიწმინდე — მოსეს კარავი. ისრაელიტელებს დაუტეხეთ მონობის, ჩაგვრის, უძლურებისა და სასოწარკვეთილების ხანგრძლივი პერიოდი, მაგრამ მალე იმედის პირველი სხივი აკიაფდა. ფილისტიმელთა ქალაქებიდან უცნაური და ამაღელვებელი ხმები მოდიოდა. ფილისტიმელებს სჯულის კიდობანი თურმე აზოთში ჩაეტანათ და თავიანთი უზენაესი ღმერთის დაგონის ტაძარში დაედგათ. მეორე დღეს ტაძარში შესვლისთანავე ზარდაცემულებმა იხილეს დაგონის კერპი იატაკზე, კიდობნის წინ დანარცხებული. ქანდაკება თავის ადგილას აღმართეს, მაგრამ მეორე დღეს კვლავ ძირს, მიწაზე დაუხვდათ.

კერპს თავი და ხელები მოკვეთილი ჰქონდა. ამავე დროს აზოთის მიდამოებს უამრავი თაგვი შემოესია, ისინი აჩანაგებდნენ მოსავალს მინდვრებში და ეპიდემიას ავრცელებდნენ. აზოთელები ფილისტიმელთა მბრძანებლებს ეახლნენ და შეეკედრნენ: რადაც უნდა დაგვიჯდეს, სახიფათო ნადავლი აქედან უნდა გავარიდოთო. კიდობანი ქალაქ გეთში გადაიტანეს, მაგრამ მალე იქაც იფეთქა საშინელმა ეპიდემიამ, რომელმაც აუარებელი ადამიანი იმსხვერპლა. მაშინ ნადავლი ქალაქ ასკალონში წაიღეს, მაგრამ იქაურები უარზე დადგნენ: „მოიღეს ჩვენდა კიდობანი ღმერთისა ისრაელისა მოსასრველად ჩვენდა!" ფილისტიმელთა მბრძანებლები სათათბიროდ შეიყარნენ, მაგრამ არცერთმა ქალაქმა არ ისურვა ძვირფასი კიდობნის შეფარება. ხალხს შიშის ზარს სცემდა მისი ჯადოსნური ძალა. ბოლოს წინასწარმეტყველებმა ურჩიეს, კიდობანი ისრაელიტელთათვის დაებრუნებინათ. იგი დადვეს ურემზე, რომელშიც ახლად ხბომოგებული ფურები შეაბეს. კიდობანთან ერთად ურემზე დადეს აგრეთვე ფილისტიმელთა ხუთი მთავარი ქალაქის მიერ გამოღებული შესაწირავით სავსე ზარდახშა. ძროხებისთვის არავინ გაუყოლებიათ, მაგრამ მოხდა სასწაული: ფურებმა დედობრივი ინსტინქტის მიუხედავად, ბოსლებში ჩაკეტილი ხბოები მიატოვეს და ისრაელის საზღვრისაკენ გაეშურნენ.

შვიდი თვის ტყვეობის შემდეგ შჯულის კიდობანი სამშობლოში დაბრუნდა. ისრაელიტელები ბეთშემეშში პურს მკიდნენ, როცა წმინდა კიდობანი იხილეს და სიხარულით ცას ეწიენ. მათ იქვე, მინდორში დიდ ლოდზე აღმართეს კიდობანი, ურემი შეშად დააპეს, ხოლო ფურები დაკლეს და იაჰვეს შესწირეს მსხვერპლად. მაგრამ ამასთან ერთად მკრეხელობა ჩაიდინეს: სულმა წასძლიათ და ზარდახშაში ჩაიხედეს, სურდათ გაეგოთ, რა იყო შიგ. განრისხებულმა იაჰვემ ბეთშემეშის ორმოცდაათი ათასზე მეტ მკვიდრს მოუსწრაფა სიცოცხლე.

შჯულის კიდობანი კარიათ-არიმში გადაიტანეს. იქ მას მცველად დაუდგინეს ამინადაბი და მისი ვაჟი ელიაზარი. ისინი იცავდნენ შჯულის კიდობანს, ვიდრე დავით მეფემ დიდი ზეიმით არ გადაიტანა იგი იერუსალიმს.

სამოელი — მმართველი. დადგა მონობისა და დამცირების მძიმე წლები. სელომი დაანგრიეს და სამოელი თავის მშობლიურ ქალაქს რამათაიმს დაუბრუნდა. მისი სახელი და დიდება თანდათან იზრდებოდა. ჩვენებათა მხილველი სამოელი წინასწარმეტყველებდა და ქანაანის ღმერთებს ებრძოდა. მას ჰქონდა სკოლა, სადაც თავის მოსწავლეთ წინასწარმეტყველებას ასწავლიდა. მათთან ერთად ისმენდა მუსიკასა და დაფდაფების

ხმ.ს. მუსიკიისა და როკვით რელიგიურ ექსტაზში შესული წინასწარმეტყველებდა, რომ იაპვე მალე გაიმარჯვებდა ისრაელის ძეთა მსაგვრელებზე. თანდათანობით მთელი ქვეყანა მოიცვა ფანატიკურმა სიძულვილმა ფილისტიმელთა მიმართ.

სამოელი არც მეომარი ყოფილა და არც სარდალი; იგი გახლდათ მმართველი, ხალხის ბრძენი მოძღვარი, უზენაესი ქურუმი და მსაჯული. წელიწადში სამჯერ ჩადიოდა ბეთელს, გალგალს და მასეფას და სამართალს წყვეტდა. მისი განაჩენი და ბრძანება ურყევი იყო. სიტყვის შებრუნებას ვერც ერთი ტომის წარმომადგენელი ვერ შეუბედავდა. ისრაელიტელებს კვლავ გაუჩნდათ ბელადი, რომელმაც ქვეყანა შინაგანი აღორძინებისა და პოლიტიკური გაერთიანების მძიმე გზაზე დააყენა.

გავიდა ოცი წელი. საბოელმა მასეფაში შეყარა ყველა ისრაელიტელი და უბრძანა, გაერთიანებულიყვნენ მომავალი გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის. შეშფოთებულმა ფილისტიმელებმა მათ დიდი ლაშქარი შეაგებეს, რომ ჩაქროთ აჯანყების პირველი ნაპერწკალი. ბრძოლამდე უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ჭექა-ქუხილმა თავზარი დასცა ფილისტიმელებს. ისრაელიტელები გამხნევდნენ და თავს დაესხნენ მათ. დარბეული დამპყრობლები უკუიქცნენ და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

მოულოდნელმა მარცხმა ფილისტიმელებს ისე გაუფუჭა გუნება, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამგვარი ლაშქრობა აღარ მოუნდომებიათ.

ამიერიდან სამოელს დამშვიდებით შეეძლო განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება. რამათაიმი ისრაელის რელიგიური და ეროვნული დედაქალაქი გახდა. დიდმა წინასწარმეტყველმა და მსაჯულმა აქ იაპვეს ახალი ტაძარი დააარსა. იგი ოცნებობდა, მის მიერ შექმნილი წყობილება განმტკიცებულიყო და რელიგიური და სამოქალაქო ძალაუფლება მის მოღვაწეობის მეშვიდეობით გადასცემოდა. სამოელმა მართვა-გამგებლობა ასწავლა თავის ვაჟებს და ბერშებას მსაჯულებად დანიშნა. თვითონ უკვე მოხუცი იყო და შვილების დახმარებას საჭიროებდა, მაგრამ ბედის უცნაურმა ირონიამ მასაც ელის ხვედრი არგუნა. სამოელის შვილები უკეთურნი გამოდგნენ. ხარბნი და ანგარებით სავსენი ქრთამს იღებდნენ და უსამართლო განაჩენი გამოჰქონდათ. მალე ხალხის ნდობა დაკარგეს და პატივისცემა აიყარეს. ღრმად მოხუცი სამოელი კი იწყნარებდა შვილების საქციელს, ძალა აღარ შესწევდა, რომ შვილების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო და მათი ბოროტება აღეკვეთა.

ისრაელიტელებმა დრტვინვა დაიწყეს ამგვარი ყოფის გამო. ფილისტიმელებს კი კვლავ გაეღვიძათ აგრესიული ზრახვები და ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ. ამიტომ საჭირო გახდა ძლიე-

რი ბელაჯი, რომელიც ხათაველში ჩაუდგებოდა თავისუფლებისა-
ოვის მებრძოლ ხალხს. მეზობელ ხალხთაგან ყველას ჰყავდა
მეფე და ისრაელიტელებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მხო-
ლოდ მონარქიულ წყობილებას შეეძლო მათი ხსნა. ისინი ისე
დიდ პატივს სცემდნენ სამოელს, რომ მეფის არჩევა მას მიან-
დეს. სხვადასხვა ტომთა წარმომადგენლები მივიდნენ მასთან
რამათაიმში და უთხრეს: „აჰა, შენ დაბერებულ ხარ და ძენი
შენნი არა ვლენან გზათა შენთა. აწ მოგვეც მეფე, რათა ხჯიდეს
სამართალსა, ვითარცა არს სხვაგან". ასეთმა მოთხოვნამ სამოე-
ლი ძალიან გაანაწყენა. მან პასუხის მიცემა ხვალისთვის გადა-
უდო და მეორე დღეს ელჩებს მოასხენა: ღამით იაჰვე გამომე-
ცხადა და გულნატკენმა მითხრა: „ისმინე სიტყვა ერისა და ის-
მინე ყოველი, რომელი გითხრან შენ; რამეთუ არა შენ უარ-
გყვეს, არამედ უარ-მყვეს მე, რათა არა ვიყო მეუფედ მათ ზედა.
და ქმნეს ესე იმ დღითგან, ოდეს გამოვიყვანე იგინი ეგვიპტით
დღემდე მსახურებდეს კერპთა უცხოთა და ეგრევე გიყვეს შენ".

სამოელმა იგრძნო, რომ მისი სიტყვები მოციქულებმა არად
ჩააგდეს. ახლა მათი შეშინება სცადა. აუწერა ხიფათი, რომე-
ლიც მეფის ყოლას სდევდა თან. „ესე არს წესი მეფისა: მოგ-
თხოვოს მან შვილნი თქვენნი და ყვნეს იგინი მეეტლეებად და
მხედრებად და წინა მსრბოლად ეტლისა. და დაადგინნეს იგინი
ათასის თავებად და ორმოცდაათის თავებად, და სხვანი — მხვნე-
ლებად და მომკალად. და იქმნნენ იგინი მოქმედნი საჭურველისა
და ეტლისა. და წარიყვანნეს მან ასულნი თქვენნი და ყვნეს
იგინი საცხებლის მგბოლველ, მზარეულ და მცხობელ პურისა.
და წარიღოს ყანები და ვენახები და ზეთისხილი თქვენგან და
მისცეს მონათა თვისთა. და ყანათა და ვენახთაგან აღიღოს მან
ათეული და მისცეს იგი მსახურთა თვისთა. და მონანი და მხე-
ვალნი თქვენნი და ჭაბუკნი თქვენნი კეთილნი და ვირნი წარი-
ყვანნეს მან და დაადგინნეს საქმესა თვისსა. და ათეული აღი-
ღოს ცხოვართა თქვენთაგან და იყვნეთ თქვენ მონა მისდა".

მაგრამ სამოელმა ვერც ახლა გააწყო რამ. მოციქულები
მაინც თავისას გაიძახოდნენ. სამოელმა გულისტკივილით აღუ-
თქვა, რომ ტახტისათვის მეფის კანდიდატურას შეარჩევდა.

რობორ აკურთხეს მეფედ საული. ბენიამენის მი-
დამოებში ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც კისი ერქვა. მისი
შვილები მამაცობითა და თვალტანადობით იყვნენ განთქმულნი.
მათ შორის განსაკუთრებით ირჩეოდა საული, პირმშვენიერი,
ახოვანი ჭაბუკი. საულს ისეთი ტანი ჰქონდა, რომ ყველა ისრა-
ელიტელს ზემოდან დასცქეროდა.

კისის ოჯახი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მის-

დევდა. მისი ოჯახის წევრები იყვნენ უბრალო გლეხები, სულითა და ხორცით ჯანმრთელნი და ქალაქური ცხოვრებისაგან გაურყვნელნი.

ამასთან ერთად, მათ სახელი გაითქვეს, როგორც კარგმა ისრაელიტელებმა: გადამთიელთა უღელს ვერ ურიგდებოდნენ და უფალ იაჰვეს ერთგულნი დარჩნენ.

ერთხელ კისს ვირები დაეკარგა. მან საულს უბრძანა, მსახური წაეყვანა და საძებნელად წასულიყო. საულმა და მსახურმა გადაიარეს ეფრემის მთა, მოვლეს შაალეშის, შაალიმის, ბენიამენისა და სუფას მიდამოები, მაგრამ ვირები ვერ იპოვეს. ქალაქ რამათაიმამდე რომ მიაღწიეს, საულმა შინ დაბრუნება მოინდომა — მამას არ შეეშინდესო, მაგრამ მსახურმა ურჩია — დახმარებისათვის რამათაიმში მცხოვრებ ქურუმსა და წინასწარმეტყველს მივმართოთო. საულს ჭკუაში დაუჯდა ნათქვამი, მაგრამ ქურუმთან ხელცარიელი მისვლა ითაკილა. მაშინ მსახურმა თქვა: „მაქვს მე მეოთხე ნაწილი შეკელი ვეცხლისა, მივცე იგი კაცსა ღმრთისასა და გვიჩვენოს მან გზა ჩვენი“.

ისინი ქალაქის კარიბჭესთან შეხვდნენ სამოელს. იმ ღამეს სამოელმა ასეთი ჩვენება იხილა: იაჰვემ აღუთქვა, ბენიამენის მიწა-წყლიდან ისეთ კაცს გამოგიგზავნი, რომელიც ისრაელის ერს ფილისტიმელთა უღლისაგან გაათავისუფლებსო.

მაღალი, პირმშვენიერი საული რომ იხილა, სამოელი დარწმუნდა, რომ მის წინ სამეფო ტახტისთვის ღირსეული კაცი იდგა. მან საული სადილად იხმო და აღუთქვა — დაკარგული ვირები მოინახებაო. ქურუმის ყურადღებით შეცბუნებული საული უარზე დადგა: ასეთი პატივის ღირსი არა ვარ, რადგან წარმოშობით ყველაზე პატარა ტომის ყველაზე უბრალო ოჯახიდან ვარო. მაგრამ სამოელმა დაამშვიდა საული. შინ შეიყვანა, სხვა ოცდაათ მეინახეთ შორის საპატიო ადგილზე დასვა და საუკეთესო საჭმელი მიართვა. შემდეგ საული სახლის ბანზე აიყვანა და გვიანობამდე ესაუბრა.

დილით ადრე კი სამოელმა გააღვიძა საული და ქალაქგარეთ წაიყვანა. უბრძანა, მსახური გაეშვა. მარტო რომ დარჩნენ, სამოელმა ჭურჭელი აიღო, საულს წმინდა ზეთი სცხო და შეფედ აკურთხა. ჭაბუკი შეძრწუნდა: მას არ სჯეროდა, რომ ასეთი იყო იაჰვეს ნება. იგი მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, როცა უკან დაბრუნებისას ზუსტად აღსრულდა სამოელის წინასწარმეტყველება: რაქელის საფლავის მახლობლად საულს ორი კაცი შემოხვდა. მათ უთხრეს, ვირები ვიპოვეთ და მამა მოუთმენლად გელოდებაო. შემდეგ თაბორის მუხნართან რამათაიმში მსხვერპლის შესაწირავად მიმავალი სამი მლოცველი შემოეყარა და ორი პური მისცეს. ყველაზე მთავარი მაინც მესამე შეხვედრა იყო. საულმა ზთიდან ჩამომავალ წინასწარმეტყველთა კრებულს მოპკრა თვა-

ლი. ისინი ქნარის, სტვირისა და ჩანგის ხმაზე ცეკვავდნენ, გალობდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. საული მონუსხულივით შესცქეროდა წინასწარმეტყველთა დასს და თანდათან გრძნობდა, რომ მას ღვთიური სული ეუფლებოდა. იგი აჰყვა საერთო რელიგიურ ექსტაზს და ვერც კი შენიშნა, როგორ იწყო როკვა, გალობა და მისნობა. ამასობაში შეიყარა მინდვრებში მომუშავე ხალხი, რომლებიც საულს უბრალო გლეხის შვილად იცნობდნენ. ისინი განცვიფრებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „რა ექმნა ესე კისის ძესა? აწ საულცა წინაწარმეტყველთა თანა არს?“ ეს კითხვები საულის პატივისცემას არ მოასწავებდა. მაშინდელი წინასწარმეტყველები, რომელთა შორის ბევრი მატყუარა და თაღლითი ერია, კარდაკარ დაეხეტებოდნენ, თავხედურად მათხოვრობდნენ და საჭმელისა თუ სხვა მოწყალების ფასად მისნობდნენ. ცრუმორწმუნე ხალხს მათი ეშინოდა. არსებითად კი მათ ყველა აბუჩად იგდებდა*. მათ შესახებ დაცინვით იკითხავდნენ ხოლმე: „ვინ არს მამა მათი?“ არც საულს მოუხვეჭია დიდება. გესლიანი კითხვა: „აწ საულცა წინაწარმეტყველთა თანა არს?“ ანდაზადაც კი იქცა.

საულის მეფედ კურთხევა საიდუმლოდ მოხდა. საულმა სახლეულებსაც კი არ გაუმხილა, თუ რა შეემთხვა რამათაიმში. საჭირო იყო, რომ საულის მეფედ არჩევისათვის მხარი დაეჭირათ ისრაელიტელებს. ამ მიზნით სამოელმა შეკრიბა ხალხი მასეფაში და დასამტკიცებლად წარუდგინა თავისი კანდიდატი. მისი რეკომენდაციით საული მეფედ აირჩიეს.

დიდი ღონისა და მამაცობის მიუხედავად, საული მორიდებული და თავმდაბალი ჭაბუკი იყო. მეფედ არჩევამ ისე შეაცბუნა, რომ ურმებში და საპალნიან პირუტყვთ შორის დაიწყო სამალავის ძებნა. იგი ძალით გამოიყვანეს. როცა ხალხს წარუდგა, ძლიერი და სხეებზე მთელი თავით მაღალი, გამხნევებულმა ისრაელიტელებმა წამოიძახეს: „დღეგრძელ იყავნ მეფე!“

შემდეგ სამოელმა მეფის უფლებები განმარტა, ჩაიწერა და ყველანი შინ გაუშვა. საული მრავალრიცხოვან მსედრობას ჩაუდგა სათავეში და გაეშურა შინ — გებას.

არჩევნების დროს ბევრმა ისრაელიტელმა ხმა არ მისცა საულს. მეფედ არჩევის შემდეგაც ბევრს იმდენად სძულდა, მასთან არც კი მისულან, რომ თაყვანი ეცათ. მაგრამ ჭკვიან და მომთმენ საულს თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც ამჩნევდა ამ ამბავს და ურჩებზე შურს არ იძიებდა.

საულის პირველი გამარჯვება. გადიოდა წლები. საულს არ შეეძლო აშკარად ემართა ქვეყანა და მთლიანად მისი ბატონ-პატრონი ყოფილიყო, რადგან გებაში, ისევე როგორც

ისრაელიტელთა ბევრ სხვა ქალაქში, ფილისტიმელთა დამ-
ცველი ჯარები იდგა. საული ისევ მიწათმოქმედებას მისდევდა
და დაცოლშვილდა კიდეც. უკვე ორი მოზრდილი ვაჟის მამა
იყო. ერთ-ერთი მათგანი, იონათანი, ძლიერებითა და მამაცო-
ბით გამოირჩეოდა.

მდინარე იორდანის აღმოსავლეთით, გალაადის მთებში,
მდებარეობდა ისრაელის ქალაქი იაბისი. ქალაქისთვის ალყა შე-
მოერტყა ამონელთა მეფეს ნაასს და გადამწყვეტი იერიშისთვის
ემზადებოდა. იაბისის მცხოვრებლებმა ძოლაპარაკება გამართეს
ნაასთან. მან განაცხადა: კაპიტულაციის მიღებაზე თანახმა ვარ,
მაგრამ ყველას მარჯვენა თვალი უნდა ამოვთხაროო. ამითვე
ემუქრებოდა იგი ყველა ისრაელიტელს.

ამ პირობების ასაწონ-დასაწონად იაბისის უხუცესებმა
შვიდდღიანი დაზავება მოითხოვეს. მათ ისარგებლეს შესვენე-
ბით, საულს მოციქულები გაუგზავნეს და დახმარება სთხოვეს.
მათმა ნათქვამმა საული განარისხა; იგი კვლავ წინასწარმე-
ტყველურმა ექსტაზმა შეიპყრო. საულმა დაკლა ორი ხარი,
რომლებიც გუთანში ჰყავდა შებმული, ასო-ასო აკაფა, ნაწილე-
ბი ისრაელის ყველა ტომს დაუგზავნა და შეუთვალა: ხარების
ბედი ეწევა ყველას, ვინც წმინდათაწმინდა ომში მონაწილეობას
არ მიიღებსო. ისრაელიტელები შეაშინა მუქარამ. მალე ბეზეკის
მახლობლად შეიკრიბა აურაცხელი ლაშქარი, რომელიც საულ-
მა ამონელთა წინააღმდეგ დაძრა. იგი შეიჭრა ამონელთა ბანაკ-
ში იაბისთან და შურისძიების ცეცხლი დაატრიალა.

საულმა ეროვნული გმირის სახელი მოიხვეჭა; მაგრამ მის-
მა პოპულარობამ კინაღამ ძმათაშორისი ომი გამოიწვია, რად-
გან მის თაყვანისმცემლებს სწყუროდათ გასწორებოდნენ ყვე-
ლას, ვინც მასეფაში საულის მეფედ არჩევის წინააღმდეგი იყო
და მის სამტროდ ხალხს ამხედრებდა. მაგრამ საულმა არ დაუ-
შვა ახალი სისხლისღვრა. იგი ამბობდა: გამარჯვების საზეიმო
დღის დაჩრდილვა არ შეიძლებაო.

სამოელმა კვლავ შეკრიბა ხალხი გალგალში. აქ ერთხელ კი-
დევ დაადასტურეს საულის მეფედ არჩევა, ხოლო გამარჯვების
აღსანიშნავად ღმერთს მსხვერპლი შესწირეს და ნადიმი გამარ-
თეს.

სამოელს მსაჯულის საერო ძალაუფლებაზე უარის თქმის
ნაღვლიანი წუთი დაუდგა. იგი ახალგაზრდობიდანვე ხელმ-
ძღვანელობდა თავის ხალხს, დაბერდა და გაჭაღარავდა ამ თა-
ნამდებობაზე. შვილებმა იმედი გაუცრუეს, სასოწარკვეთილების
მეტი არაფერი მოუტანიათ მისთვის. იგი თავშეყრილი ისრაე-
ლიტელების წინაშე წარსდგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:
„აჰა, აქა ვარ; მიწამეთ მე წინაშე ღმრთისა და ცხებულისა მი-
სისა. თქვით, თუ მოვიღე ვისგანმე ხარი ანუ კარაული, ანუ თუ

შევაჭირვე ვინმე, ანუ თუ ხელთაგან ვის რა გამოვსტაცე, ანუ თუ ქრთამი მოვიღე, დავხუჭე თვალი და არა განვიხილე საქმე თქვენი? შემწაძეთ მე და ყოველივე მოგაგო თქვენ". ხალხმა მიუგო: „არცა რა ვის ჩვენგანსა აჭირვე, არცა რა მიიხვეჭე ჩვენგან და არცა რა მიიღე ხელთაგან ჩვენთა".

საულს რომ ძალაუფლებას აბარებდა, სამოელი სრულებითაც არ ამბობდა უარს სახელმწიფოში თავის მთავარ როლზე. როგორც უზენაესი ქურუმი და იაჰვეს წარმომადგენელი მიწაზე, იგი ფიქრობდა, რომ წინანდებურად შეეძლო ისრაელიტელთა ბედ-იღბალზე გამგებლობა, დარწმუნებული იყო, რომ აღზევებული იყო ხალხსა და ახალ მეფეზე და რომ მეფე მისი მორჩილი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მკის დრო იყო, თავისი ღვთაებრივი ძალის დასამტკიცებლად მან ჭექა-ქუხილი და წვიმა მოუელინა ხალხს. ამ ხასწაულის მნახველ ისრაელიტელებს შეეშინდათ არა მარტო იაჰვესი, არამედ სამოელისაც. „ილოცე უფლისა მიმართ მონათა შენთათვის, — შეეეედრნენ სამოელს, — რათა არა მოვწყდეთ ყოველნი, რამეთუ გარდავჰმეტეთ ყოველთა ცოდვათა ჩვენთა, ოდეს ვითხოვეთ მეფე".

ამრიგად, სამოელმა ისრაელის ყველა პოლიტიკურ და რელიგიურ საქმეში გადამწყვეტი სიტყვის უფლება დაიტოვა და უზენაესი ქურუმის მაშინდელ რეზიდენციაში — რამათაიმში დაბრუნდა.

რობორ ბანარისხა საულმა სამოელი. საულმა ჯარი გაუშვა და მხოლოდ სამი ათას* მეომარს დაუტოვა იარაღი. აქედან ათასი კაცი თავის ფიცხ და მეომარ ვაჟს იონათანს ჩაბარა. ერთხელ, ღამით იონათანი ამ ლაშქრით თავს დაესხა ფილისტიმელთა დამცველ რაზმს, რომელიც გებაში იდგა, დაამარცხა იგი და ასისთავი მოკლა. საულის სამშობლო ქალაქმა თავისუფლება დაიბრუნა. სასიხარულო ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ისრაელში და საყოველთაო აჯანყების საბაბად იქცა. საულმა იხმო ისრაელიტელი მეომრები გალგალში, სადაც მეამბოხეთა არმია შეიქმნა. ფილისტიმელებმა იგრძნეს, რომ ცუდად წაუვიდათ საქმე და თავის ლაშქარს მაქმაში, ბეთავენის აღმოსავლეთით მოუყარეს თავი. ეს იყო შესანიშნავად შეიარაღებული ჯარი, რომელიც აერთიანებდა არა მარტო ქვეით რაზმებს, არამედ ისრაელიტელთა ქვეითი ჯარისათვის განსაკუთრებით საშიშ მრავალ ათას საბრძოლო ეტლსაც. საულის ჯარს არ ჰყოფნიდა კარგი იარაღი. მხოლოდ მას და იონათანს ჰქონდათ რკინის ხმლები და შუბები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ფილისტიმელთა ლაშქრის გამოჩენამ პანიკა გამოი-

წვია. ხალხი ტოვებდა თავის საცხოვრებელს და გამოქვაბულებსა და ციხესიმაგრეთა კოშკებში იმალებოდა. ზოგი კი იორდანეზე გადადიოდა და თავშესაფარს გადისა და გალაადის ქვეყნებში ეძებდა. საული ამ დროს გალგალში იმყოფებოდა, ელოდა სამოელს, რომელიც უნდა მოსულიყო და იაკვესთვის მსხვერპლი შეეწირა. საული შვიდ დღეს ელოდა სამოელს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი არმია ყოველდღიურად ილეოდა, ბოლოს კი მეფეს მხოლოდ ექვსასი ყველაზე ერთგული მეომარი შერჩა. მდგომარეობა მეტად დაიძაბა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგესთან პირველი შეტაკება, იაკვეს დაუხმარებლად ბრძოლა კი კარგს არაფერს უქადდა ისრაელიტელებს. საულმა ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც კაცს შეიძლებოდა უზენაესი ქურუმის უფლებების ხელყოფად მიეჩნია. მან ბრძანა, სამსხვერპლო აღემართათ და თვითონ შესწირა ღმერთს მსხვერპლი. ბანაკში ჩამოსულმა სამოელმა ეს ამბავი გაიგო და განრისხდა, საულს დაემუქრა, იაკვე სამეფო გვირგვინს წაგართმევს და უფრო გამგონე მეფეს აირჩევსო. საულს ბოდიშის მოხდამ ვერ უშველა. სამოელმა ისე დატოვა ბანაკი, არც კი გამომშვიდობებია.

იონათანის გმირობა. ქურუმებთან უთანხმოებამ საული ააღელვა, მაგრამ ვერ გატეხა. თითქმის ყველასაგან მიტოვებული, პატარა რაზმთან ერთად დარჩა გალგალში. ამ პირობებში შეუძლებელი იყო ფილისტიმელებთან აშკარა შებმა. მან პარტიზანულ ომს შიმართა და მტრის რაზმებს მოულოდნელად ესხმოდა თავს. თავდასხმებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საულის ძემ — თავზეხელაღებულმა და მამაცმა იონათანმა. ერთხელ თავის საჭურველმტვირთველთან ერთად იონათანი მოულოდნელად შეიჭრა მტრის ბანაკში, ოცი გუშაგი მოკლა და ისეთი აურზაური გამოიწვია, რომ დანარჩენები თავზარდაცემულნი გაიქცნენ. საულმა არა იცოდა რა შვილის სახიფათო გამოხდომების შესახებ. მტრის ბანაკში განგაშს რომ მოკრა ყური, ბრძანა ენახათ, ვინ აკლდა რაზმს. შეამოწმეს და იონათანი არ აღმოჩნდა. საული დაუყოვნებლივ დაიძრა შვილის დასახმარებლად და ლტოლვილი მტერი დაარბია. მას მიემხრნენ მტრის ჯარში ძალით გაერთიანებული ისრაელიტელთა რაზმები. ხოლო როცა მას ახლომდებარე მთებსა და გამოქვაბულებში გადამალული ისრაელიტელებიც შეუერთდნენ, ფილისტიმელებმა უსასტიკესი დამარცხება იგემეს. მტერს თვით ბეთ-ავენამდე სდიეს.

ისრაელიტელებს ილაჯი გაუწყდათ, მაგრამ დაღამებას ბევრი უკლდა და საულმა ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა.

„წყეულ იყავნ ყოველი კაცი, რომელმან ჭამოს პური ვიდრე მწუხრამდე, ვიდრე არა სრულად ვიძიო შური მტერთა ჩემთა ზედა“, — უთხრა მან მეომრებს.

ისრაელიტელ მეომრებს დიდი შიში და კრძალვა ჰქონდათ მეფისა და საჭმლისთვის პირიც არ დაუკარებიათ. გრამ იონათანის ყურამდე მამის ბრძანება არ მისულა. იონათანმა ხის ფუტკრიანში ფუტკარი შენიშნა, გოლეულში ჯოხის წვერი ჩააწო და თაფლს გემო უნახა. მხოლოდ ამის შემდეგ მოახსენეს მას საულის ბრძანება. იონათანი მაინც და მაინც დიდად არ შეწუხებულა. პირიქით, მამის ბრძანებას აკრიტიკებდა და ამტკიცებდა: ისრაელიტელთა გამარჯვება უფრო სრული იქნებოდა, ბრძოლა რომ მშიერ-მწყურვალებს არ გვიხდებოდესო.

საღამო ხანს დაღლილი და მშიერი გამარჯვებული ისრაელიტელები ალაფს დაერივნენ. ისინი პირდაპირ ბრძოლის ველზე ხოცავდნენ ცხვრებს, ხარებსა და ხბოებს, ხარბად ყლაპავდნენ უმ, სისხლიან ხორცს. როგორც კი გაიგო საულმა ეს ამბავი, სასტიკი ბრძანება გასცა — საქონელი დაეკლათ ქვებზე, რომ სისხლს თავისუფლად ედინა მიწაში.

დაღამდა. მეფემ განკარგულება გასცა, სამსხვერპლო აღემართათ. ღმერთს მსხვერპლი შესწირა და ქურუმს დაავალა, გაეგო, განეგრძო თუ არა ფილისტიმელთა დევნა. მაგრამ იაჰვე დუმდა. საული მიხვდა — ვიღაცა გადასულიყო მის ბრძანებას და ამით ღვთის რისხვა მოევლინებინა ჯარისთვის. როცა გაირკვა, რომ დამნაშავე იონათანი იყო, მას სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ ისრაელიტელმა მეომრებმა არ ინდომეს გმირის სიკვდილი: „არა დავარდეს თმა ერთი იონათანისი მიწისა ზედა, რამეთუ უფლისა მიერ იქმოდა იგი დღეს ამას!“ — ყვიროდნენ აღშფოთებულები. საული იძულებული გახდა, მტრის შემდგომი დევნისათვის თავი დაენებებინა და ამგვარად ფილისტიმელები საბოლოო დამარცხებას გადაურჩნენ. ისინი, მართალია, დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებში, მაგრამ ისრაელზე თავდასხმის მუქარას მაინც არ იშლიდნენ.

საბოლოო განხეთქილება სამეფოსთან. თავის მშობლიურ ქალაქს გებას რომ დაუბრუნდა, საული განცხრომას არ მისცემია. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ფილისტიმელებთან გადამწყვეტი შეტაკება მოუხდებოდა და ბრძოლისთვის ემზადებოდა. მთელ თავის ენერგიას ახმარდა ჯარების ჩამოყალიბებას. ჯარში იწვევდა ყველას, ვისაც გაბედულებასა და სიმამაცეს ატყობდა. ზურგის გამაგრების მიზნით, წარმატებით ებრძოდა მოაბელ, ამონელ და ედომელ მეფეებს. ჩრდილოეთით დაიპყრო არამეველთა სამეფო სობა, ხოლო ქანაანის დამოუკიდებელი

ქალაქების დამორჩილებით ქვეყნის შიგნით პოზიციები განიმტკიცა. ამრიგად, საულმა შექმნა ისრაელის ძლიერი სახელმწიფო.

იონათანის გარდა საულს ორი ძე და ორი ასული ჰყავდა. მეფე მიწათმოქმედის უბრალო ცხოვრებას ეწეოდა და ერთი ცოლის მეტი არასოდეს ჰყოლია.

ჯარების მთავარსარდლად დანიშნა თავისი ბიძაშვილი და მეგობარი აბინერი.

საულს მოსაველელი დარჩა ერთი საქმე: სინას მთასა და ქანაანის სამხრეთ სასზღვარს შორის მდებარე უნაყოფო მიწებზე ცხოვრობდნენ ამალეკელები. ესენი იყვნენ ყაჩაღთა ტომები — ესავის შვილიშვილის ამალეკის ჩამომავალნი. ისრაელიტელებს მუდმივი შეხლა-შემოსლა უხდებოდათ მათთან. ამალეკელთა ბრბოები არბევდნენ სამხრეთ ქანაანის მხარეს, ჟლეტდნენ მცხოვრებლებს და მაშველი ძალის გამოჩენამდე უდაბნოს აფარებდნენ თავს. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ამალეკელები ემხრობოდნენ ფილისტიმელებს ისრაელიტელთა წინააღმდეგ. სხვა ომებში ჩაბმულ საულს მათთან ანგარიშის გასასწორებლად აღარ ეცალა. ამ ამბავმა სამოელი აღაშფოთა. იგი გაეშურა გებას და საულს შეახსენა-— მეფედ იმიტომ აგირჩიე, რომ ისრაელიტელები დაგეცვაო. უბრძანა, სასწრაფოდ დაძრულიყო თავის ჯარით ამალეკელთა წინააღმდეგ: „წარეედ და მოსპე ამალეკი და ყოველი, რაიცა იყოს მათი. არა შეიწყალო არავინ, არცა მამაკაცი და დედაკაცი, არცა ყრმა და ძუძუმწოვარი, არცა ხარი და ცხოვარი, არცა აქლემი და სახედარი“. საული დაემორჩილა, დაძრა თითქმის მთელი თავისი არმია და ამალეკელები ნეგებში დაამარცხა. დახოცა ყველა ტყვე, არ დაუნდვია არც ქალი, არც ბავშვი და ამალეკელთა მეფე აგაგიც დაატყვევა. მაგრამ ბოლომდე ვერ შეასრულა სამოელის ბრძანება და ამით მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა: დაენანა და ვერ გაანადგურა მდიდარი სამხედრო ალაფი — ცხვრები, ვერძები, ხარები და ამალეკელთა დანარჩენი ავლა-დიდება. ამასთან, აგაგის მამაცობით მოხიბლულმა ამალეკის მეფეს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სამოელს რომ მიუვიდა ეს ამბავი, მყისვე გაეშურა ქარმელის მთისაკენ, სადაც საული ძეგლს დგამდა თავისი გამარჯვების აღსანიშნავად. მათი შეხვედრა მეტისმეტად ქარიშხლიანი გამოდგა. განრისხებული სამოელი უსაყვედურებდა საულს ბრძანების შეუსრულებლობას და ეუბნებოდა: „შეურაცხგყოს შენ უფალმან, რამეთუ შეურაცხყავ შენ იგი და არღარა იყო შენ მეფედ ისრაელსა ზედა“. ეს უკვე გვირგვინის ფაქტიურ დაკარგვას მოასწავებდა. საული ანგარიშს უწევდა წინასწარმეტყველის დიდ მორალურ ავტორიტეტს და მორჩილად სთხოვა პატიება. ეშინოდა, რომ მათი განხეთქილების ცნობა არევდარევას

შეიტანდა ხალხში. შეეევედრა — ბანაკში დარჩი და გალგალში ერთად წავიდეთო. სამოელმა კვლავ მიუგო: „არა მივიდე შენ თანა, რამეთუ უარჰყავ შენ სიტყვა უფლისა და უფალმა უარგყო შენ, რათა არღარა ჰმეფობდე ისრაელსა ზედა“. ასეთი მკვახე პასუხის მიჩუმათება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ საულმა მოიწადინა საიდუმლოდ შეენახა განხეთქილების ამბავი და სცადა, ძალით გაეჩერებინა სამოელი: ხელი ჩასჭიდა მის სამოსელს და ტანსაცმლის ნახევი შერჩა ხელში. მაშინ სამოელმა თქვა: „აწ განხეთქა უფალმა სამეფო ისრაელისა და მისცა იგი მოყვასსა შენსა, რომელი უმჯობეს არს შენსა“.

მაგრამ მან მაინც არ გააწბილა საული და გალგალში წაჰყვა. ხალხის ყურამდე მათი განხეთქილების ამბავი არ მისულა.

იქ დაბრუნებისას სამოელმა ბრძანა, მეფე აგაგი იაჰვეს სამსხვერპლოსთან მიეყვანათ და საჯაროდ თავისი ხელით ასოასოდ აკუწა. სამოელი მალე რამათაიმში დაბრუნდა და საულის ნახვა აღარ ინდომა. უფრო მეტიც, ხშირად იტყოდა ხოლმე ყველას გასაგონად: შეცდომა დავუშვი, საული მეფედ რომ ავირჩიეო. ისიც ბევრჯერ უთქვამს, რომ იაჰვესაც სანანებლად დაურჩა საულის გამეფება... მალე სამოელი სამეფო ტახტზე ასაყვანად ახალი კაცის ძებნას შეუდგა. იგი ძალიან ფრთხილობდა, საულმა შეთქმულების მოწყობა და სახელმწიფო ღალატი არ დამაბრალოსო და საიდუმლოდ ინახავდა ამ ამბავს.

ერთხელ სამოელი ბეთლემში ჩავიდა თითქოსდა მსხვერპლის შესაწირად. ამ ქალაქის უხუცესებს ყური უკვე მოეკრათ სამოელისა და საულის განხეთქილების ამბისათვის. მათ საულისა ეშინოდათ და ქურუმს დიდი ხალისით არ შეხვედრიან. პირდაპირ ჰკითხეს ჩამოსვლის მიზანი. მან დაარწმუნა უხუცესები, რომ მხოლოდ რელიგიური მიზნებით იყო ჩამოსული. ღამით კი საიდუმლოდ გაემგზავრა ბეთლემში იესესთან, რომლის მოდგმა იუდას ტომს ეკუთვნოდა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქალაქში. იესეს შვიდი ძე ჰყავდა. სამოელმა მათი გაცნობა მოისურვა. შეათვალიერა იესეს ექვსი უფროსი ვაჟი, მაგრამ არჩევანი არცერთზე არ შეუჩერებია და ყველაზე უმცროსის, დავითის მოყვანა ბრძანა. დავითი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო და მამა მას ცხვარს ამწყემსინებდა. იესე გააკვირვა სამოელის მოთხოვნამ, მაგრამ უარი ვერ შეჰკადრა და გაგზავნა კაცი სამოვარზე დავითის მოსაყვანად. ყმაწვილი თვალში მოუვიდა სამოელს. ტანმორჩილ, კოხტად ჩამოსხმულ ქერა ყმაწვილს ლამაზი და ჭკვიანი თვალები ჰქონდა. მასთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ სამოელი დარწმუნდა, რომ დავითი საოცრად მკვირცხლი, აზრიანი და თავაზიანი ყმაწვილი იყო. თანაც საძოვრებზე მოცლილად ყოფნისას დავითს ქნარზე ოსტატურად დაკვრაც ესწავლა. იგი ისე კარგად და გულში ჩამწვდომად

უკრავდა ქნარს, რომ წინასწარმეტყველს გული აუჩუყდა. როცა შეიტყო, რომ დავითის მიერ შესრულებული ღვთის სადიდებელი სიმღერები მისივე შეთხზული იყო, უკანასკნელი ეჭვიც გაუქარწყლდა. ტახტის უკეთეს მემკვიდრეს ვერც ისურვებდა. საცხებლით სავსე რქის ჭურჭელი აიღო და ძმების თანდასწრებით დავითი მეფედ აკურთხა. მეფედ კურთხევა ოჯახურ წრეში მოხდა და ბეთლემში არავის შეუტყვია, რომ ისრაელის მომავალი მეფე მათი ქალაქის მკვიდრი იყო.

საული კი ამ დროს გებაში იყო, სადაც მიუდგომელი ციხესიმაგრე ააშენა კლდეზე. სამოელმა იგი ფაქტიურად ჩამოაგდო ტახტიდან და აშკარად განუცხადა, რომ იაჰვე სხვა მეფეს აირჩევდა. საულს სასო წარუკვეთა თავისმა მარცხმა. ყოველ ნაბიჯზე ელანდებოდა შეთქმულება და მტრობა, რომელთა მოთავედ სამოელი მიაჩნდა. დღედაღამ იგონებდა განცდილ შეურაცხყოფას და ბოლოს ისე აეწეწა ძარღვები, რომ მელანქოლია მოეძალა. მისმა მოღუშულმა, უძილობისაგან ჩაწითლებულმა თვალებმა და გონდაკარგულმა გამოხედვამ ყველაზე ერთგულ ადამიანებსაც კი აფიქრებინეს, რომ იგი უფალმა მიატოვა და ბოროტმა სულმა შეიპყრო. იმჟამად ასეთი ავადმყოფობის საუკეთესო წამლად მუსიკა ითვლებოდა. და აი, ვიღაცამ, შესაძლოა, სამოელის წაქეზებით, ურჩია, მოეწვია ქნარის შესანიშნავი დამკვრელი, უბრალო მწყემსი, ბეთლემელი დავითი. იგი სასწრაფოდ მოჰგვარეს საულს გებაში. მეფემ დავითი ძალზე გულთბილად მიიღო. სახეზე დიდი ხნის მივიწყებული ღიმილი აუთამაშდა. ხოლო როცა ჭაბუკს მოუსმინა, იგრძნო, რომ ძალ-ღონე ემატებოდა. მას შემდეგ, როგორც კი სევდა შემოაწვებოდა გულზე, საული ბეთლემიდან მოაყვანინებდა ხოლმე დავითს სამკურნალოდ.

როგორ დაამარცხა დავითმა გოლიათი. ფილისტიმელები კვლავ დაძრწოდნენ საომრად ისრაელის წინააღმდეგ. ომის სამზადისს შეუდგნენ და ქალაქ სოქასთან დაბანაკდნენ. საული მათ შესახვედრად გაემართა, რათა მტრისთვის თავის სახელმწიფოში შესასვლელი გზა ჩაეკეტა. ბრძოლისთვის გამზადებული მოწინააღმდეგეთა არმიები ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ ორ მთაზე. შუაში, ხეობაში მტრები ორთაბრძოლაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ისრაელიტელთაგან ვერავინ ბედავდა შებმას გოლიათთან, რომელიც ფილისტიმელთა ქალაქ გეთიდან იყო. მძიმე ჯავშანში ჩაჭედილი, უზარმაზარი ხმლითა და გრძელი შუბით შეიარაღებული გოლიათი ყოველდღე გამოდიოდა საზღვარზე და ეძებდა მოწინააღმდეგეს. როცა დარწმუნდებოდა, რომ მასთან მებრძოლი არავინ ჩანდა, ისრაელიტე-

ლებს ლანძღვა-გინებითა და დაცინვით იკლებდა, მეფე საული, მისი სარდლები და მთავარსარდალი აბინერი შეურაცხყოფილნი და შერცხვენილნი კარვებიდან თავს ვეღარ ჰყოფდნენ. ორმოცი დღე გავიდა. გოლიათი ვერ მორჩა ლანძღვა-გინებას. მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან სდევდათ გოლიათის ქირდვა და დაცინვა. საული ვერაფერს უხერხებდა მტერს და ბოღმით იხრჩობოდა. აღთქმა დადო, რომ იმ ვაჟკაცს, ვინც გოლიათის გამოწვევას მიიღებდა, აურაცხელ სიმდიდრეს უბოძებდა, გადასახადებს აღუკვეთავდა და თავის უფროს ასულს მიათხოვებდა. მაგრამ გოლიათმა ისეთი შიშის ზარი დასცა ყველას, რომ ბრძოლის ველზე ვერავინ ბედავდა გამოსვლას.

ისრაელიტელ მეომართა შორის იესეს სამი უფროსი ძეც იმყოფებოდა. დავითი კი, როგორც ყველაზე უმცროსი, შინ დაეტოვებინათ. იგი ლაშქარს მყოფ ძმებს ბანაკში საჭმელს უსიდავდა. ერთსელ იგი გოლიათისაგან ისრაელიტელთა ლანძღვა-გინებას შეესწრო. თავისი თვალით ნახა, რომ გადამთიელი ლაფს ასხამდა ყველაფერს, რაც ისრაელიტელთათვის წმიდათა-წმიდა და სათაყვანო იყო. დავითი მისმა თავსედობამ განარისხა და ძმებს განუცხადა — გოლიათის გამოწვევას ვიღებო. გამოცდილ მეომრებს სასაცილოდ არ ეყოთ მისი ნათქვამი, მაგრამ როცა დავითმა არ დაიშალა, ძმებს მართლა მოუვიდათ გული და უბრძანეს, დაუყოვნებლივ გასცლოდა იქაურობას. კადნიერი მწყემსის გადაწყვეტილებამ საულიც ბევრი აცინა. მან დავითი კარავში იხმო და მამაშვილურად უთხრა: „ვერ შემძლებელ ხარ შენ ბრძოლად ფილისტიმელისა და წინა-დადგომად, რამეთუ ყრმა ხარ, ხოლო იგი მბრძოლ არს სიჭაბუკითგან“. გაჯიუტებული დავითი თავისას გაიძახოდა, უამბობდა საულს, რომ მას უბრძოლია ფარაში შემოჭრილ ლომებთან და დათვებთან, რომლებიც მის ცხვარს ეპარებოდნენ. არწმუნებდა, ღონე და სიმარჯვე არ მაკლიაო. ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლია. მეფემ ჭაბუკს თავისი აბჯარი ჩააცვა, თავისი მუზარადი დაახურა, საკუთარი ხმალი შემოარტყა და უბრძანა, კარავში გაიარ-გამოიარე, მინდა დავრწმუნდე, შესძლებ თუ არა ფარხმალ ასხმული სიარულსო. მართლაც, დავითმა ვერ იგუა მძიმე საჭურველი და განაცხადა, ბრძოლა ჩვეულებრივად, მწყემსურად ჩაცმულს მირჩევნიაო. საულს სიცილი წასკდა და დავითი თავის ნებაზე მიუშვა.

დავითის ბრძოლის სამზადისი ის იყო, რომ მხოლოდ თავისი კომბალი და შურდული წაიყოლა თან. გზად მდინარესთან შეჩერდა, ხუთი სიპი ქვა აიღო, ღვთის სადიდებელი საგალობელი წამოიწყო და გაეშურა ხეობაში გოლიათთან შესახვედრად. დაინახა თუ არა გოლიათმა დავითი, ისეთი ხარხარი ატეხა, რომ მთებიც კი შეიძრნენ; გოლიათმა ლანძღვა-გინება დააყარა და-

ვითს, დასცინოდა მის წითურ თმას და სუსტ აგებულებას. კომბლის დანახვაზე კი სიცილისაგან სული შეუგუბდა. თითქოს მეტისმეტად აღშფოთდაო, შესძახა: „რად მოხვალ არგნით ჩემ ზედა? ნუთუ ძაღლი ვარ?“ მაგრამ მაშინვე ეჭვმა უკბინა: ალბათ ისრაელიტელები აბუჩად მიგდებენ და იმიტომ გამომიგზავნეს უსუსური ყმაწვილიო. გოლიათი გინებასა და წყევლას მოჰყვა. დავითს დაემუქრა: თავხედობისთვის შენს გვამს ყვავ-ყორნებს და მხეცებს მივუგდებ საჯიჯგნადო. დავითი არ შეპუა ლაპარაკში, ოღონდ სერიოზულად გააფრთხილა: სიკვდილისთვის მოემზადე, იაპეველ ნებით ახლავე წუთისოფელს უნდა გამოესალმოო.

ორივე მთაზე მყოფი ხალხი მიჩუმდა და გაქვავდა. ფილისტიმელებს მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, ეგონათ, რომ გოლიათს ერთი ხელის მოქნევა ეყოფოდა მტრის მიწასთან გასასწორებლად. ისრაელიტელები კი გულის კანკალით ადევნებდნენ თვალს მამაც ჭაბუკს, რომელიც ასეთი მიამიტი თავდაჯერებულობით ხვდებოდა უეჭველ სიკვდილს. გოლიათმა უხარამაზარი ხმალი მოიმარჯვა და საბრძოლველად მოემზადა. იგი იმდენად დარწმუნებული იყო თავის უპირატესობაში, რომ დავითისკენ არც კი გაუხედავს. ამასობაში ყმაწვილმა მალულად ამოიღო ჩანთიდან ქვა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შურდულით სტყორცნა გოლიათს. ქვამ ჰაერში გაიზუზუნა და გოლიათს შუბლის ძვალი შეულეწა. ვეება ასმახი მოცელილივით დაეცა მიწაზე. დავითი ელვის უსწრაფესად ეცა გონდაკარგულ გოლიათს, გამოსტაცა ხელიდან ხმალი და ერთი დარტყმით მოჰკვეთა თავი.

გოლიათის მოულოდნელმა დამარცხებამ ენით აუწერელი არეულობა შექმნა ფილისტიმელთა ბანაკში. ამით ისარგებლეს ისრაელიტელებმა და ისეთი რისხვით დაატყდნენ მათ, რომ უილისტიმელთა ჯარი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ისრაელიტელებმა მისდიეს მტერს და მხოლოდ ფილისტიმელთა ქალაქებთან — გეთსა და ეკრონთან შეწერდნენ. ფილისტიმელთა მთელი ბანაკი, დიდძალი პირუტყვი და ისრაელიტელთა ალაფი საულმა დაინარჩუნა. დავითმა საულს მიართვა გოლიათის თავი, მისი იარაღი კი თავის კარავში დაკიდა.

მაგრამ ამ ორთაბრძოლაში დავითისთვის ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი სამხედრო დიდება და ისრაელიტელთა შორის პოპულარობა იყო.

დავითი, საული და იონათანი. მოპოვებული გამარჯვების ჯილდოდ დავითს მეომართა მოზრდილი რაზმის მეთაურობა მიანდეს. იგი ყველაზე ახალგაზრდა მხედართმთავარი იყო ისრაელის ისტორიაში. საულის ძემ, ტახტის მემკვიდრე

ონათანმა, პირველივე შეხვედრისთანავე შეიტკბო იგი და სიყვარულის ნიშნად თავისი სამოსელი, ხმალი და სარტყელი უბოძა.

სიყმაწვილის მიუხედავად დავითი შესანიშნავად ართმევდა თავს მხედართმთავრის მოვალეობას. რამდენჯერმე დალაშქრა ფილისტიმელთა სამფლობელო და ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნდა. მას ისრაელის ქალაქებში აღტაცებით ხვდებოდნენ ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები. ისინი როკვა-თამაშით, სიმღერებითა და დაფდაფებით ეგებებოდნენ ხოლმე დავითს. მის სადიდებლად შეთხზეს ერთი სიმღერა, რომელსაც ქუჩებში მღეროდნენ და რომელმაც მალე გებამდეც კი მიაღწია.

„სძლო საულ ათასთა,
და დავით — ბევრეულთა“.

სიმღერის სიტყვები გულზე ეკლად ესობოდა საულს. ძალიან ითაკილა, რომ დავითის სამხედრო გამარჯვებას მის მიერ მრავალი წლის მანძილზე ისრაელის ერისათვის გაწეულ სამსახურზე მაღლა აყენებდნენ. ეს იყო სასტიკი და უსამართლო შეურაცხყოფა. ორი დღე-ღამე იბორგა საულმა: გულს უღრღნიდა ეჭვი, რომ სიმღერის სულისჩამდგმელი სამოელი იყო და რომ დავითთან სწორედ მას ჰქონდა პირი შეთქმული. მეფე გრძნობდა, რომ ხალხმა თანდათან აიცრუა მასზე გული, სწორედ იმ ხალხმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ მას სცემდა თაყვანს. ვისი ხრიკები უნდა ყოფილიყო ეს, თუ არა მღვდელთმთავრისა, რომელმაც ერთხელ პირში მიახალა — სამეფო ტახტს წაგართმევო. ნერვიულმა აშლილობამ, უძილობამ და გულში ჩახვეულმა ჯავრმა იქამდე მიიყვანა, რომ დროდადრო გონება ემღვრეოდა. მისი ახლობლები ჯავრში ჩაცვივდნენ. ვერავის გაებედა ხმამაღლა თქმა, მაგრამ მალულად ყველა ჩურჩულებდა: „მოუვლინა ღმერთმან სული ბოროტი საულს; და ბორგავს იგი სახლსა შინა თვისსა.“

კვლავ გაგზავნეს კაცი დავითის მოსაყვანად, იქნებ მუსიკამ არგოს რამ მეფესო. ყრმა მეფეს ეახლა და ქნარი დაუკრა. საული გაოგნებული შესცქეროდა დავითს. მერე უცებ მოეგო გონს, თვალებში სიძულვილის ცეცხლმა გაუელვა, შუბს ხელი წაავლო და დავითს ესროლა. დავითი სწრაფად გაერიდა და შუბი კედელში ჩაერჭო.

საული მიხვდა, რომ კიდევ ცოტაც და გამოუსწორებელ დანაშაულს ჩაიდენდა. სახელგანთქმული გმირის მოკვლას შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა. გულის მოსაგებად ათასის თავად დანიშნა და ფილისტიმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. ჭაბუკმა მხედართმთავარმა ახლაც ზედიზედ რამდენჯერმე გაიმარჯვა, დიდება და ხალხის სიყვარული მოი-

ხვეჭა. ამაკე დროს საულსაც სულ უფრო ერეოდა ეჭვი. დავითის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება ვერ გაბედა, მაგრამ საიდუმლო მოქმედების გეგმა შეადგინა. ბრძანა, დავითისთვის გადაეცათ, რომ თავის უფროს ასულს მერობს მიათხოვებდა, თუ ას ფილისტიმელს მოკლავდა და მათი წინადაცვეთილების ნიშანსაც მოუტანდა. მეფეს იმედი ჰქონდა, რომ მისი მეტოქე ამ სახიფათო დავალების შესრულებისას დაიღუპებოდა. დავითმა უმალვე გამოიცნო საულის ზრახვები. ღირსი არა ვარ, მეფის სიძე ვიყოო, — მოიმიზეზა და ცდილობდა, თავი აერიდებინა ამ ლაშქრობისათვის, მაგრამ საული დაჟინებით მოითხოვდა ბრძანების შესრულებას. დავითი გზას გაუდგა მცირე რაზმით, რომელიც მისი ყველაზე ერთგული თანამებრძოლებისაგან შედგებოდა. მალე დახოცა არა ასი, არამედ ორასი ფილისტიმელი და მეფეს ნიშანიც მოართვა. საული სასოწარკვეთილებას მიეცა და დავითის დამცირება განიზრახა: პირი გატეხა და უფროსი ასულის მაგივრად უმცროსი მიათხოვა — მელქული. ქალიშვილი ცას ეწია სიხარულით, რადგან დიდი ხანია უყვარდა ახალგაზრდა გმირი. დავითს გულზე ცეცხლი წაეკიდა, როცა საულმა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. უფროსი ასულის ქმრობა უფრო ხელს აძლევდა: ტახტის ხელში ჩაგდება მაშინ სათუო აღარ იქნებოდა*. საულს კი ეჭვი ჰქონდა, რომ დავითსა და ხამოელს მის წინააღმდეგ პირი ჰქონდათ შეკრული და დავითს სიკვდილით ემუქრებოდა.

დავითი გადაარჩინეს მელქულმა და იონათანმა. ამ სახიფათო ჟამს იონათანმა ნამდვილი მეგობრობა გაუწია დავითს. თუმცა კარგად იცოდა, რომ დავითი სამეფო ტახტის საშიში პრეტენდენტი იყო, მაგრამ მამის რისხვას არ მოერიდა და დავითს მოსალოდნელი ხიფათი შეატყობინა. იონათანმა მას მთაში გახიზვნა ურჩია, თვითონ კი შუაკაცობა იკისრა მამასთან. ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ საულმა შეიწყნარა დავითი და უკან დაბრუნების უფლება მისცა. მაგრამ მათი ზავი მოკლე დღისა გამოდგა. დავითმა ფილისტიმელებთან ბრძოლაში კიდევ ბევრი გამარჯვება მოიპოვა. ეს კი საულს ეკლად ესობოდა გულზე. განრისხების ჟამს მეორედ სტყორცნა დავითს შუბი, მაგრამ კვლავ აცდინა. ახლა კი მიხვდა დავითი — სანამ გვიან არ იყო, უნდა გასცლოდა იქაურობას. დაღამდა თუ არა, მეფის სასახლე დატოვა და შინ გაიქცა. მაშინ საულმა მკვლელები შიუგზავნა. მელქულმა ძლივს მოასწრო მეუღლის ხსნა. დავითი სარკმლიდან გააპარა, თვითონ კი ქმრის სამოსლით შემოსა კერპის ქანდაკება, დავითის ლოგინში ჩააწვინა და საბანი გადაეფარა*. მეფის ებგურები სახლში შეცვივდნენ. მელქულმა ლო-

გინზე მიუთითა და უთხრა — დავითი მძიმე სენითაა შეპყრობილი და ფეხზე ვერ დგებაო. განრისხებულმა საულმა ბრძანა: „მომგვარეთ აქა ცხედრითა, რათა მოვკლა იგი!“

სიცრუე გამოაშკარავდა. შელქული მამასთან მიიყვანეს, ქალმა სასჯელისაგან თავი დაიძვრინა, ყველაფერი დავითს გადააბრალა: დამემუქრა, მოგკლავ, თუ არ გადამარჩენო.

ამასობაში დავითი სამოელს ეახლა და თავისი გასაჭირი მოუთხრო. უცებ ხმა დაირხა, რომ რამათაიმში მეფის მცველები მოდიოდნენ ლტოლვილის შესაპყრობად. სხვა წინასწარმეტყველებთან ერთად მათ სამოელი გამოეგება როკვით, გალობითა და ღაღადით. ყველა რელიგიურმა ექსტაზმა შეიპყრო. მორწმუნე ჯარისკაცები ჯერ შიშით შესცქეროდნენ მათ, მაგრამ მალე თავადაც შეუერთდნენ წინასწარმეტყველთა თავდავიწყებულ ფერხულს. ამ ოინის წყალობით დავითმა მიმალვა მოასწრო, ჯარისკაცები კი ხელცარიელები დაბრუნდნენ გებას. საულმა კიდევ ორჯერ გაგზავნა ჯარისკაცები დავითის შესაპყრობად, მაგრამ ორჯერვე წინასწარმეტყველებმა თავის ჭკუაზე წაიყვანეს და მეფის ბრძანება ვერ შეასრულეს. მაშინ საული თვითონ გაემგზავრა რამათაიმს მოუხელთებელი მეტოქის შესაპყრობად. შევიდა თუ არა ქალაქში, სამოელი წინასწარმეტყველებთან ერთად როკვა-სიმღერითა და დაფდაფების ხმით შეეგება მეფეს. საულმა ჯერ გულგრილად შეავლო მათ თვალი, მაგრამ მერე თანდათანობით ახალგაზრდობის რელიგიური აღტყინება მოევლინა. აღგზნებული თვითონაც ჩაება ფერხულში. პირზე დუჟმომდგარი ბუტბუტებდა და ტანსაცმელს იხევდა. ბოლოს მთლად შემოიძარცვა სამოსელი და უგონოდ დაეცა მიწაზე. მთელი დღე ეგდო უსულოდ. გონს რომ მოეგო, დავითი უკვე ქალაქში აღარ იყო. ლტოლვილი გებას დაბრუნდა და ყველაფერი თავის ერთადერთ მეგობარს იონათანს შესჩივლა: „რა შევცოდე, ანუ რა ბოროტი ვუყავ მამასა შენსა, რამეთუ მეძიებს მე მოკლვად?“ იონათანმა ანუგეშა დავითი, პირობა მისცა, რომ შეეწეოდა და ადრევე გააგებინებდა ხოლმე მოსალოდნელ ხიფათს, რადგან მამა მისთვის ყველა განზრახვის განდობას იყო ჩვეული. მაგრამ დავითმა სიტყვა მოუჭრა: „იცის მამამან შენმან, რამეთუ ვპოვე მადლი წინაშე თვალთა შენთა და ასრე იტყვის, ნუმცა იცის იონათან ესე, რათა არა შეჭმუნდეს იგი“.

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მეორე დღეს საულს დანიშნული ჰქონდა ნადიმი. ასეთ წვეულებას იგი ყოველი თვის დასაწყისში უმართავდა თავის უახლოეს თანაშემწეებს. ნადიმი ამავე დროს უმაღლეს სახელმწიფო თათბირადაც ითვლებოდა და ყველა მიწვეული უთუოდ უნდა ხლებოდა მეფეს. მოუსვლელობა არ შეიძლებოდა: იგი შეუწყნარებელ დანაშაულად ეთვლებოდა ყველას და მას შეიძლება საბოლოო განხეთქილება

მოპყოლოდა. დავითს საულთან შერიგების იმედი ჯერ კიდევ ჰქონდა და ამიტომ ყველა უკანდასაბრუნებელი გზის მოჭრა არ უნდოდა. მაგრამ საულის თავშეუკავებლობის ამბავიც არ იყო მისთვის უცხო და ამიტომ ნადიმზე გამოცხადებაც ეშინოდა. იონათანს შესთხოვა: მამაშენს უთხარი, რომ მე ბეთლემში გამგზავრება მომიხდა ოჯახურ დღესასწაულზეო". მეგობრები შეთანხმდნენ, რომ დავითი გაიხიზნებოდა მთაში, გებას მახლობლად, ვიდრე იონათანი არ შეატყობინებდა, როგორ მიიღებდა საული მეტოქის ნადიმზე კლებას. თუ საული სიმშვიდეს შეინარჩუნებდა, ხომ კარგი. ხოლო თუ დავითისთვის მიჩენილ ადგილს ცარიელს ნახავდა და განრისხდებოდა, მაშინ შერიგებაც ადვილად იყო მოსალოდნელი.

იონათანმა მეგობარს თხოვნა შეუსრულა და გამწყრალმა საულმა მიუგო: „ძეო ჩემო, უკეთურო და ბოროტო! ანუ არა ვიცი, რამეთუ შეიყვარე შენ ძე იესესი სარცხვინელად ჩემდა და დედისა შენისა? ვიდრე ცხოველ იყოს ძე იესესი, არა განგემარჯვოს შენ, არცა სამეფოსა შენსა. აწ მიავლინე და შეპყრობად მიეც და მოყვანებად, რამეთუ მოკვდეს იგი". მამის გაფროხილებამ — სამეფო გვირგვინს დაკარგავ, თუ დავითს დაეხმარებიო, ვერ შეარყია უმწიკვლო და კეთილშობილი იონათანის მეგობრული გრძნობა. შეწუხებულმა მამას ჰკითხა: „რაისათვის მოკვდების დავით, რა შეუცოდებიეს?" საულს რისხვისაგან გონება წაერთვა. შვილს შუბი სტყორცნა, მაგრამ აცდინა. შუბის წვერი ხის კედელში ჩაერჭო. გამწყრალმა იონათანმა სუფრა მიატოვა და წავიდა. მეორე დღეს აღელვებულს ლუკმაც არ ჩაუდევს პირში. დაღამებისას კი მალულად წავიდა დავითთან და გააფრთხილა, რომ მეფეს აღარასოდეს დანახვებოდა თვალით.

დადგა გამოთხოვების წუთიც. დავითი სამჯერ ქედმოდრეკით დაემშვიდობა იონათანს, ხოლო იონათანმა გულში ჩაიკრა მეგობარი და გადაკოცნა. გამომშვიდობებისას ორივე ტიროდა და ერთმანეთს სამუდამო მეგობრობას აღუთქვამდა. იონათანმა უთხრა: „წარვედ მშვიდობით და ვითარცა ვეფუცეთ ერთმანეთსა სახელითა ღმერთისათა: იყავნ ღმერთ მოწამე შორის ჩემსა და შენსა, შორის ნათესავსა ჩემსა და ნათესავსა შენსა — ეგრეთ იყავნ საუკუნოდ!"

ქურუმთა დახოცვა და დავითის მიმოსვლა უცხო მხარეს. დავითი გაემართა ნობას ცნობილ ქურუმ აქიმელექთან. რაკი აქიმელექის ვაჟკაცობის დიდი იმედი არ ჰქონდა, აღარ გამოტყდა, რომ მეფისგან შერისხული იყო და უთხრა — საულის საიდუმლო დავალებით ჩამოვედიო. აქიმელექს ლუკმა საჭმელიც არ გააჩნდა, ამიტომ დავითს შესაწირა-

ვად განკუთვნილი პურით გაუმასპინძლდა და ტაძარში შენახული გოლიათის ხმალიც კი აჩუქა.

დავითი შემთხვევით გადაეყარა ვიღაც მგზავრებს და გაიგო, რომ საული თავად წამოსულიყო მის შესაპყრობად. მან მიაშურა ფილისტიმელთა ქალაქ გეთს, სადაც მეფედ ანქუში იჯდა. დავითს ეგონა, რომ იქ ვერავინ იცნობდა, მაგრამ მისი იმედი ამაო გამოდგა. ყველა — გამვლელი თუ გამომვლელი — უმალვე მიხვდა, რომ მათ წინ გოლიათის მძლეველი კაცი იდგა. ფილისტიმელთა შურისძიებისაგან თავის დასაღწევად დავითმა სიგიჟე მოიგონა, რადგან სულით სნეულ კაცს ხელს ვერავინ ახლებდა. დავითი ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა, თავისთვის ბუტბუტებდა, პირიდან დორბლი გადმოსდიოდა და ჭიშკრებზე რაღაც მაგიურ ნიშნებს ხატავდა. შიშით შეპყრობილი ცრუმორწმუნე გეთელები დიდხანს დასდევდნენ ფეხდაფეხ, ბოლოს კი გაბედეს, შეკრეს და თავის მეფეს მიჰგვარეს. ანქუშმა ზიზღით გადახედა შეშლილს, ვერაფერი უქნა და გააშვებინა. გეთიდან გაქცეულმა დავითმა იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით ოცდახუთ კილომეტრზე მდებარე ქალაქ ოდოლამის მახლობლად მთის მიუვალ გამოქვაბულში ჰპოვა თავშესაფარი. მას ძალიან აწუხებდა ახლობელთა ბედი. ბოლოს კაცი გაგზავნა და ისინიც მოაყვანინა.

დავითთან თავს იყრიდა ხალხი ქვეყნის ყველა მხრიდან. ესენი იყვნენ სხვადასხვა ჯურის ადამიანები: თავგადასავალთა მაძიებლები, კანონგარეშე გამოცხადებული ლტოლვილები, ბეგარისა და ვალის გადაუხდელობისათვის დევნილი ღარიბები და ბრძოლაში სახელის მოპოვებაზე მეოცნებე ახალგაზრდები. ეს ჭრელი ბრბო დავითმა აქცია დისციპლინირებულ რაზმად, რომელშიც ექვსასი თავზეხელაღებული კაცი გააერთიანა. ყოველი მათგანი მზად იყო, დავითისთვის გაეწირა თავი. მისი მეთაურობით რაზმი უეცარ თავდასხმებს აწყობდა — იტაცებდა სურსათ-სანოვაგეს, არბევდა მეფის პატარ-პატარა რაზმებს და მოსახლეობას, რომელიც მათ უხვად ამარაგებდა, ფილისტიმელთაგან იცავდა. ერთი სიტყვით, იგი ყაჩაღთა ნამდვილი ბრბოს მეთაური გახდა.

გაცოფებული საული სულ უფრო და უფრო მეტი გააფთრებით დევნიდა დავითს. მან ფეხზე დააყენა მთელი თავისი ჯარი. დადგა წუთი, როცა დავითმა იგრძნო, რომ თავშესაფარი აღარსად გააჩნდა. იგი დაუსხლტა საულს, მოაბელთა მეფეს ეახლა და ოჯახი მას შეაფარა. შემდეგ იუდეველთა მხარეში დაბრუნდა და ქერეთის ტყეში დაიმალა.

ამასობაში საულს ამბავი მოუვიდა, რომ აქიმელექმა თავის დროზე სურსათით მოამარაგა დავითი და გაქცევაში დაეხმარა. ენის მიმტანი აღმოჩნდა ერთ-ერთი მსახური, სახელად დოეკი, მეფეს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ქურუმები დავითთან იყვნენ

შეთქმულნი და გზას უკაფავდნენ სამეფო ტახტისაკენ. სასწრაფოდ დაძრა ჯარი ქალაქ ნობის წინააღმდეგ, რათა დაესაჯა აქიმელექი და სხვა იქაური ქურუმები სახელმწიფო ღალატისათვის. აქიმელექი ამაოდ არწმუნებდა, რომ დავითმა მოატყუა და ისე მიიღო მისგან დახმარება. მეფემ ყურად არ იღო აქიმელექის თავის მართლება და მუდარა; საულმა მეომრებს მისი მოკვლა უბრძანა, მაგრამ პირველად წააწყდა ურჩობას. მისი პირადი გვარდიის მეომრებმა, ჯარისკაცებმაც და უფროსებმაც, ყველამ უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე. მათ ეშინოდათ, რომ ქურუმის მოკვლით ცოდვას ჩაიდენდნენ. საული მეტისმეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი იხსნა მაბეზღარა დოეკმა. მეფის გულის მოსაგებად მან თავისი დაქირავებული ყაჩაღები მოიყვანა და ბრძანების შესრულებაზე თანხმობა განაცხადა. საულის მითითებით, დოეკის ბანდა თავს დაესხა ქალაქს, სიცოცხლეს გამოასალმა ყველა ქურუმი, მათ შორის აქიმელექიც, შემდეგ კი მთელი მოსახლეობა გაწყვიტა. არ დაუნდვიათ არც ქალი და არც ყრმა. მხოლოდ აქიმელექის ძე, ქურუმი აბიათარი გადაურჩა სიკვდილს. იგი ღამეს შეეფარა, ცეცხლმოკიდებული ქალაქიდან გაიქცა, დავითს ეახლა და მისი უახლოესი თანაშემწე გახდა.

როგორ დაინდო დავითმა საული და შეიყვარა აბიგაილი. დავითმა ყური მოჰკრა, რომ ფილისტიმელებს ალყა შემოერტყათ ქალაქ კეილისათვის. დიდხანს არ უფიქრია, საშველად გაეშურა და ქალაქი გადაარჩინა, მაგრამ უმადურმა მცხოვრებლებმა უღალატეს დავითს: მათ შეატყობინეს საულს, რომ დავითი ქალაქში იმალებოდა; დაჰპირდნენ, რომ ხელში ჩაუგდებდნენ, ოღონდ სასწრაფოდ უნდა მოსულიყო. საბედნიეროდ, დავითმა დროზე შეიტყო შეთქმულების ამბავი და აბიათართან ერთად გაქცევა მოასწრო. მას შემდეგ დავითი და მისი თანამებრძოლები სამყოფლად ირჩევდნენ მთასა და უკაცრიელ მიდამოებს, სადაც მდევრები ადვილად ვერ მიაგნებდნენ.

ერთხელ ზიფის უდაბნოში დავითს მალულად ეწვია იონათანი, შეატყობინა მეფის ბოროტი ზრახვები და მარადიული მეგობრობა აღუთქვა. ზიფელები საულს ემხრობოდნენ და მეფეს დავითის ადგილსამყოფელი აცნობეს. საულმა ლაშქარი შეყარა, გაეშურა მთისკენ, სადაც დავითი იმალებოდა თავისი რაზმით და მას ალყა შემოარტყა. დავითისა და მასთან ერთად ექვსასი კაცის ბედი უკვე გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ უეცრად მაცნემ ცუდი ამბავი მოიტანა — ფილისტიმელები ისრაელის ტერიტორიაზე შემოჭრილიყვნენ. საულს ალყის მოხსნა და მოწინააღმდეგის შესახვედრად გალაშქრება მოუხდა. ფილისტიმელთა თავდასხმა მოიგერია და კვლავ დავითს დაედევნა. მეფეს სა-

მი ათასი კაცი ახლდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც უნდა დაჯღომოდა, ხელში ჩაეგდო საძულველი მეტოქე.

დავითის დევნისას საული ერთხელ მოსასაქმებლად შევიდა რომელიღაც გამოქვაბულში. გამოქვაბულის ბნელ კუთხეში კი დავითი იყო მიმალული. მას რამდენიმე მეომარიც ახლდა თან. დავითს სულ იოლად შეეძლო საულის მოკვლა, მაგრამ არ ისურვა ღვთის მიერ ცხებული კაცის სისხლში ხელის გასვრა. იგი მიეპარა საულს და წამოსასხამის კიდე შეაჭრა. შემდეგ კი, როცა მეფე თავისი რაზმით გზას დაადგა, კლდის ქიმზე გადმოდგა და დაცინვით ჰკითხა: „აწ ვის შეუდგს და სდევნის მეუფე ისრაელისა, ძაღლსა ერთსა მკვდარსა ანუ თუ რწყილსა?“

შემდგომში კი დავითი უფრო გაკადნიერდა. თავის საჭურველმტვირთველებთან ერთად ღამით შეიპარა მეფის ბანაკში, შევიდა კარავში, სადაც საულსა და მის მხედართმთავარს აბინერს ეძინათ. საჭურველმტვირთველმა მეფის მოკვლა დააპირა, მაგრამ დავითმა მეტოქის მიპარვით მკვლელობა არ იკადრა. მან მხოლოდ შუბი და წყლის ჭურჭელი გამოიყოლა კარვიდან და უკან გამობრუნდა. მისი შეშფოთებული რაზმი დავითის გამოჩენას მოუთმენლად ელოდა. გათენებისას დავითი ერთხელ კიდევ ავიდა მიუვალ მთის წვერზე და იქიდან დასცინოდა აბინერს, რომელსაც მეფის დაცვისას ზედ თავზე წამოადგა მტერი, გული რომ მოიჯერა, მერე გადასძახა — მეფის შუბისა და ტოლჩის წასაღებად გამოგზავნეთ ვინმეო. მომხდარმა აშფოთა საული შეაცბუნა, დავითის სულგრძელობამ კი გული მოულბო. ამიტომ საულმა დევნა შეწყვიტა და გებას დაბრუნდა.

დავითის საზრუნავი ის იყო, რომ თავისი რაზმისთვის სარჩოს შოვნაზე ეფიქრა. ცხვარს, ხარსა და თხებს უმთავრესად ფილისტიმელებს ართმევდა, ერთხელაც არ უხლია ხელი თანამემამულეთა საქონლისათვის. ისრაელიტელთაგან იღებდა მხოლოდ სასმელ-საჭმელს, რადგან მათ პირუტყვსა და საცხოვრებელს იცავდა ბედუინებისა და ფილისტიმელთა თავდასხმისაგან.

მაონის მახლობლად მინდორზე თავის ფარას აძოვებდა ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ნაბალი ერქვა. მას სამი ათასი ცხვარი და ათასი თხა ჰყავდა. დავითს არასდროს აუღია მისგან სასყიდელი, თუმცა ნაბალის ფარასაც იცავდა. მისი ერთი დანახვაც კი აფრთხობდა მძარცველებს. ერთხელ დავითმა შეიტყო, რომ ნაბალს ცხვარი გასაკრეჭად ამოეყვანა ქარმელის მთაზე. მან ნაბალთან ათი კაცი გაგზავნა სურსათის სათხოვნელად და დაუბარა: „მიეგებეთ ნაბალისა, მიუგეთ სიტყვა კეთილი სახელითა ჩემითა და უთხარით: იყავნ მშვიდობა შენდა და სახლეულთა შენთა და ყოველთა, რომელ არს შენი“.

მაგრამ ნაბალი ძუნწი და გაუთლელი კაცი იყო. მან ხელცარიელი გამოუშვა მოციქულები და გულმოსულმა უთხრა: „ვინ

ბრს დავით, ვინ არს ძე იესესი? აწ დღეს მრავალ არიან, რომელთა დაუტევებიან უფალნი მათნი. ნუ,ეე პური, წყალი და ხორცი, რომელი განმიმზადებიეს მათთვის, რომელნი რისვენ ცხოვართა ჩემთა, მივსცე მათ?"

ამ უარმა მეტად აღაშფოთა დავითი. მყისვე შეყარა ოთხასი კაცი, რაზმს სათავეში ჩაუდგა და თავხედის დასასჯელად გაეშურა. მაშინ ნაბალის ჭკვიანმა და მშვენიერმა ცოლმა აბიგაილმა ქმარს უსაყვედურა, მერე სახედრებს აჭიდა ორასი პური, ორი ტიკი ღვინო, ხუთი შემწვარი ცხვარი, ხუთი საწყაული მოხალული ხორბალი. ასი აცმა ქიშმიში და ორასი ლეღვის კვერი და მრისხანე მხედართმთავრის შესახვედრად გაეშურა. დავითის დანასვაზე ჩამოხდა, თაყვანი სცა მას და შეეეედრა: „უფალო ჩემო! უგულებელ ჰყავ ბოროტი კაცი ეგე ნაბალ; რამეთუ შემსგავსებულ არს სახელისა თვისისა, ნაბალ[1] სახელი მისი — და უგუნურება მისი მის თანა არს. ხოლო მე, მხევალმან შენმან, არა ვიხილენ მსახურნი შენნი, რომელნი მოავლინენ!"

აბიგაილის სილამაზემ მოხიბლა დავითი. გული მოულბა და ქალს ასე მიმართა: „კურთხეულ იყავნ უფალი ღმერთი ისრაელისა, რომელმან მოგავლინა შენ დღეს აქა". შემდეგ დაჰპირდა — ნაბალს არაფერს ვავნებო და ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა: „წარვედ მშვიდობით, აჰა, შევისმინე სიტყვა შენი და ჰატივი გიყავ შენ".

ამასობაში ნაბალმა ცხვრის კრეჭის აღსანიშნავად ნაღიმი გადაიხადა და სახლში უგრძნობლად გაილეშა. როცა გამოფხიზლდა, აბიგაილმა უამბო, რა საშინელი ხიფათი ემუქრებოდა. ამ ცნობამ ნაბალს თავზარი დასცა; გულის შეტევა დაემართა, ათი დღე იავადმყოფა და გარდაიცვალა.

დავითმა გაიგო ეს ამბავი და აბიგაილს ცოლობა სთხოვა. ქვრივი უყოყმანოდ შეჯდა სახედარზე და ხუთი მხევლის თანხლებით დავითის ბანაკისაკენ გაეშურა. თაყვანი სცა დავითს და უთხრა: „აჰა, მხევალი შენი მზა ვარ მსახურებად მონათა უფლისა ჩემისათა და დაბანად ფერხთა მათთა".

დავითს უკვე ჰყავდა ორი ცოლი. მელქული, რომელიც შემდგომში მას საულმა წაართვა და ერთ-ერთ თავის მახლობელ კაცს ფალტიას გაატანა; მეორე კი ისრაელიტელი ქალი აქინოამი. მაგრამ ნამდვილი სიყვარულით მას მხოლოდ აბიგაილი უყვარდა.

დავითი ფილისტიმელთა სამსახურში. საულის ტრაგიკული ხვედრი. დავითს ესმოდა, რომ მეფე არ დამ-

---

[1] ნაბალი — ნიშნავს ებრაულად „გიჟს" (რუს. მთარგ. შენიშვნა).

შვიდდებოდა, ვიდრე მას ხელში არ ჩაიგდებდა მკვდარსა თუ ცოცხალს. მეტი ღონე არ ჰქონდა, ისრაელის საზღვრები უნდა დაეტოვებინა და ისეთ ადგილას დასალულიყო, სადაც საულის ძალა-უფლება არ ვრცელდებოდა. ხეტიალმა და გაჭირვებამ დავითი ძალიან შეაწუხა და ჯავრში ჩააგდო. მოგვიანებით ნიჭიერი პოეტი ღრმა ტკივილებით გამსჭვალულ სტრიქონებს ათქმევინებს დავითს:

„მიწყალე მე, ღმერთო,
რამეთუ მდევნა მე კაცმან,
მარადღე ბრძოლითა მაჭირვა მე,
მტერნი მბრძვიან მე,
და მრავალნი აღდგეს ჩემ ზედ,
ღმერთო მაღალო!“

დავითს შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ნაბიჯის გადადგმა მოუხდა: ფილისტიმელთა ქალაქ გეთის მეფე ანქუშს სამსახური შესთავაზა. ეოფილ მტერს ეს ძალიან ეამა და ადვილად დათანხმდა. მეფეს უხაროდა, რომ ბრძოლებში გამობრძმედილი ექვსასი თავზეხელაღებული მეომარი იშოვა. გარდა ამისა, ანქუშს ხელს აძლევდა ისიც, რომ ისრაელი შინაგანი შფოთისაგან სუსტდებოდა. იგი დავითს ხელს უწყობდა საულის წინააღმდეგ ბრძოლაში და უფრო ამწვავებდა ამ შინაგან აშლილობას.

ანქუშმა დავითს უბოძა ღაზის მახლობლად მდებარე ქალაქი სიკლაგი, სადაც იგი დასახლდა თავის რაზმთან ერთად. თან ჰყავდა ორივე ცოლი, აბიგაილი და აქინოამი. მეფემ დავითს უბრძანა, ისრაელის მიწა-წყალი დაელაშქრა, მაგრამ დავითს თანამემამულეთა განაწყენება არც კი უფიქრია. სამაგიეროდ, ისრაელის ოდინდელი მტრების — ამალეკელთა მიწებს აოხრებდა. იგი ისე ჟლეტდა მოსახლეობას, რომ თავდასხმის მოწმესაც არ ტოვებდა. ხარებს, სახედრებს, აქლემებსა და სხვა ნადავლს ანქუშს აძლევდა და ეუბნებოდა — ყოველივე ეს ისრაელიტელებს წავართვიო. ფილისტიმელთა მეფეს სჯეროდა მისი. იგი გახარებული ხელებს იფშვნეტდა და ტრაბახით იმეორებდა: „მოიძაგა ერმან მისმან ისრაელმან დავით და იყოს იგი ჩემდა მონა საუკუნოდ“.

ფილისტიმელები საულთან ახალი ომისთვის ემზადებოდნენ. ანქუშმა სალაშქროდ დავითი და მისი რაზმიც იხმო. მაგრამ ფილისტიმელი მთავრები არ ენდობოდნენ ისრაელიტელებს და მტკიცედ მოითხოვეს მათი გამოყვანა ჯარიდან. დავითი დაბრუნდა სიკლაგში. უხაროდა, რომ თავისიანებთან ბრძოლა არ მოუწევდა. მაგრამ რაკი დავითი იქ არ იყო, ამალეკელებმა დრო იხელთეს და სიკლაგი მიწასთან გაასწორეს. ქალაქის მკვიდრნი,

მათ შორის დავითის ოჯახიც, ტყვედ წაიყვანეს. ისინი, კი, ვინც ტყვეობას გადაურჩა, გოდებითა და წყეული-კრულვით შეხვდნენ დავითს და მისი ჩაქოლვა მოინდომეს. დავითი ძყისვე დაედევნა მოწინააღმდეგეს, დაამარცხა იგი და ყველა ტყვე გაათავისუფლა. ალაფი თავისიანებს — იუდეველებს გაუყო, რათა ტახტისათვის მომავალ ბრძოლაში მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა.

ამასობაში წინასწარმეტყველი სამოელი გარდაიცვალა და რამათაიმი გლოვამ მოიცვა. ამრიგად, საული კიდევ ერთი მრისხანე მოწინააღმდეგისაგან განთავისუფლდა. მას სურდა, ქურუმები ერთიანად შიშში ჰყოლოდა, ამიტომ ბრძანა ქურუმების ყველა ხელქვეითი — ყოველნაირი წინასწარმეტყველები, მკითხავები, ჯადოქრები შეეპყროთ და დაეხოცათ. ასეთი კი ისრაელში მაშინ უამრავი იყო. ხალხი დაჩვეული იყო მათთან სიარულს. ამიტომ მათი გაწყვეტის შემდეგ სახელმწიფოში ტერორისა და შიშის ატმოსფერო გამეფდა.

საული წინანდებურად უბრალო ცხოვრებას ეწეოდა. არავინ უარყოფდა მის საბრძოლო დამსახურებასა და თავდადებას ისრაელის საკეთილდღეოდ. ისრაელიტელთა უმეტესობა ჯერ კიდევ პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდა მას. საულის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ დავითმაც კი ვერ გაბედა მისი მოკვლა, თუმცა ორჯერ ჰქონდა ამის საშუალება.

მაგრამ ქურუმების მუდმივმა ხრიკებმა და ხმებმა — სამოელმა დავითი მეფედ აკურთხაო, საულს სულიერი სიმშვიდე დააკარგვინეს და საშინელი, დესპოტური დანაშაულისაკენ უბიძგებდნენ. განაწყენებული, ეჭვებისაგან გაწამებული და განმარტოებული მეფე გების მიუვალ კლდეზე გაშენებულ ქვის ციხესიმაგრეში ცხოვრობდა. ამასობაში ისრაელის ახალგაზრდა სახელმწიფოს დიდი გასაჭირი დაადგა. მისი საზღვრები გადმოლახა ფილისტიმელ მთავართა გაერთიანებულმა, მძლავრმა არმიამ. ასობით საბრძოლო ეტლი და რკინის ჯავშანში ჩაჭედილი ათასობით მეომარი დაბანაკდა შუნამში, იეზრეელის ველზე-ისრაელის სახელმწიფოს შუაგულში. საულმა თავის ჯარებს ბანაკი გააშლევინა გელბუის მთის ფერდობებზე, საიდანაც მთელი ხეობა ხელისგულზე გადაშლილი ჩანდა. ფილისტიმელთა უზარმაზარი ბანაკის დანახვაზე იგი შიშმა აიტანა და შეძრწუნებულმა დამარცხების გარდუვალობა იგრძნო. სახეზე შეეტყო სასოწარკვეთილება. დაახლოებულ პირებს ჰკითხა: ახლო-მახლო ხომ არ გეგულებათ ისეთი მისანი ქალი, მომავლის წინასწარმეტყველება რომ შეეძლოსო. განცვიფრებულმა კარისკაცებმა მიუგეს — განა შენი განკარგულება არ იყო, რომ ყველა მისანი დაეხოცათო? შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ენდორის მახლობლად ცხოვრობდა ერთი მოხუცი ქალი, რომელსაც მკვდარი სუ-

ლების გამოძახება და მათგან მოშავლის გაგება შეეძლო. ხაულ-
მა ტანსაცმელი გამოიცვალა და გრძნეულ ქალთან წასვლა გა-
დაწყვიტა. ღამით სამგსავრო მოსასხამში გაეხვია და ორი სა-
ჭურველმტვირთველის თანხლებით ბანაკი დატოვა. ძისან ქალს
შეფისა ეშინოდა და უცნობების შინ შეშვება არ უნდოდა. და
მხოლოდ მას შემდეგ, რაც საულმა დაიფიცა — არაფერს გავნებ-
თო, ქალმა ჰკითხა, ვისი სული გინდა, რომ მოგვაროო? საულ-
მა სამოელის გამოძახება სთხოვა. და აი, გამოჩნდა წინასწარმე-
ტყველის აჩრდილი და მისანი მიხვდა, რომ მის წინ საული
იყო. „რად მეცრუეე მე? შენ თვით სარ საულ!“ — წამოიძახა
თავზარდაცემულმა ქალმა. საულმა კვლავ დააშშვიდა იგი. და
რადგან აჩრდილი თვითონ ვერ დაინახა, ქალს ჰკითხა, ვინ გა-
მოგვეცხადაო. ქალმა აუწერა იგი და საული მიხვდა, რომ ეს იყო
თავად მისი დიდი ხნის დაუნდობელი მტერი სამოელი. ახლა
საულმა მორჩილად სცა თაყვანი მას და შეეკედრა — მირჩიე,
როგორ მოვიქცე, ფილისტიმელების თავდასხმის საფრთხე რო-
გორ ავიცილოო. ძაგრამ სამოელი სიკვდილის შემდეგაც ულ-
მობელი იყო. მან კიდევ ერთხელ წამოაყვედრა საულს ქურუმთა
პრივილეგიების უზურპაცია და ამით იაჰვეს ნება-სურვილის
უგულებელყოფა. სამოელმა ამ დანაშაულისთვის სასჯელიც
უწინასწარმეტყველა საულს; უთხრა, რომ ფილისტიმელებთან
ბრძოლაში თავის შვილებთან ერთად ისიც დაიღუპებოდა, შემ-
დგომ კი მთელი მისი მოდგმა ამოწყდებოდა. ამ საშინელმა
ცნობამ იმდენად შეაძრწუნა საული, რომ გონება დაკარგა და
ძირს დაეცა. გონს რომ მოვიდა, მიუხედავად სისუსტისა, საჭ-
მელზე უარს ამბობდა. მხოლოდ ჯადოქარი დედაბრის დიდი
ხვეწნა-მუდარის შემდეგ შეჭამა მან ხმიადის ნატეხი და მოხარ-
შული ხბოს ხორცი.

მეორე დღეს დაიწყო ბრძოლა. ისრაელიტელები სასტიკად
დამარცხდნენ. სიკვდილს გადარჩენილი მეომრები გაიქცნენ.
საულის შვილები, მათ შორის იონათანიც, სხვა ათასობით მეო-
მართან ერთად ბრძოლის ველზე დაიღუპნენ. დაჭრილმა საულ-
მა გაქცევა მოახერხა, მაგრამ ფილისტიმელები კვალდაკვალ მის-
დევდნენ. როცა დარწმუნდა, რომ გაქცევით თავს ვერ უშველი-
და, საჭურველმტვირთველს უხმო და სთხოვა მომკალიო. ჭა-
ბუკმა ვერ გაბედა მეფის მოკვლა. მაშინ საული წამოეგო თავიხ
მახვილს და თავი მოიკლა. ერთგულმა მსახურმაც მის მაგა-
ლითს მიჰბაძა.

ფილისტიმელებმა საულს თავი მოჭკვეთეს და მეფის იარაღ-
თან ერთად საქვეყნოდ გამოფინეს ასტარტესა და დაგონის ტა-
ძარში. ხოლო თავმოჭრილი სხეული ბეთ-შანის გალავანზე და-
კიდეს.

ფილისტიმელთა მიერ მეფის ცხედრის შეურაცხყოფის ამბა-

ვი ოდესღაც საულის მიერ ამალეკელთა უღლისაგან განთავისუფლებული ქალაქის იაბისის მცხოვრებლებმა შეიტყვეს. ქალაქის მადლიერმა მცხოვრებლებმა მოიპარეს მეფის ცხედარი და პატივით დაკრძალეს თავის სასაფლაოზე. ფილისტიმელებმა ხელთ იგდეს იეზრეელის ხეობა და ამრიგად მთელი ქანაანის დასაპყრობად მოხერხებული სტრატეგიული პოზიცია დაიკავეს. საულის მიერ ესოდენი წვალებით შექმნილმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

დავითი საულსა და იონათანს გლოვობს. იეზრეელის ხეობაში მომხდარი ტრაგიკული ამბები დავითმა მაშინ გაიგო, როცა ამალეკელთა განდევნის შემდეგ სიკლაგს დაბრუნდა. მას ეახლა ჭაბუკი, რომელსაც საშოსელი შემოეხია და თავზე მიწა დაეყარა გლოვის ნიშნად. იგი დავითს ფეხებში ჩაუვარდა და ქვითინით აუწყა საულის, იონათანისა და მისი ორი ძმის დაღუპვა. ამბების მომტანი გამოდგა ამალეკელი ჭაბუკი, რომელიც ისრაელიტელთა ჯარში მსახურობდა და საბედისწერო ბრძოლის მონაწილე იყო. ყმაწვილმა უთხრა — მისივე თხოვნით მეფე მოეკალიო და დასტურად განსვენებულის გვირგვინი და სამაჯურები მიართვა. ყმაწვილმა იმიტომ შეთხზა მთელი ეს ამბავი, რომ ეგონა — მეტოქის მოკვლისთვის დავითი უხვად დამაჯილდოებსო. ნამდვილად კი ბრძოლის ველიდან გაქცევისას იგი მეფის ცხედარს წააწყდა და ვიდრე ფილისტიმელები საულის გვამს იპოვნიდნენ, გვირგვინი და სამაჯურები აართვა. მაგრამ მას იმედი გაუცრუვდა: დასაჩუქრების ნაცვლად დავითმა ბრძანა, ღვთის მიერ ცხებული კაცის მოკვლისთვის ყმაწვილი სიკვდილით დაესაჯათ.

საულის სიკვდილმა დავითი საგონებელში ჩააგდო, რადგან ეს ამბავი ისრაელის პირველი გაერთიანებული სახელმწიფოს დაცემასაც მოასწავებდა. იონათანის დაღუპვამ კი მას უზომო მწუხარება მიაყენა პირადად: დავითმა დაკარგა ერთადერთი ნამდვილი და უანგარო მეგობარი. ამიერიდან ვერაფინ დაიკავებ. და იონათანის ადგილს მის გულში. დავითმა გოდება მორთო, ტანსაცმელი შემოიხია და თავს ახლიდა კედელს. მასთან ერთად ტიროდნენ და ვაებდნენ მისი თანამებრძოლი მეგობრები და მთელი ოჯახი. საღამომდე ლუკმის-ბემოც არ უნახავთ. თეთრად გაათენეს ღამე. მეორე დღეს პირქუში და მწუხარებისაგან დაოსებული დავითი ოთახიდან ოთახში დადიოდა მოუსვენრად, მერე საყვარელი ქნარი აიღო, თითებით მოსინჯა სიმები და თავისი მწუხარება ასეთ ელეგიაში გამოთქვა:

> მშვენება შენი, ისრაელ, დაეცა სიმაღლესა ზედა,
> დაეცნეს ძლიერნი!

ნუ მოუთხრობთ მაგას გეთს,
ნუცა მოუთხრობთ გზათა ასკალონისათა,
რომელ არა ისმინონ და მხიარულ იყვნენ ასულნი უცხო თესლთანი,
ნუცა იზახებენ ასულნი იგი წინადაუცვეთელთანი.
მთანო გელბუისნო!
ნუ გარდამოვალნ თქვენ ზედა ცვარი და ნუცა გარდამოვალნ წვიმა,
ნუცა იქმნებიან მუნ ველნი ნაყოფიერნი;
რამეთუ მუნ სირცხვილეულ იქმნა ფარი ძლიერთა,
ფარი საულისი, ვითარმცა არა იყო იგი ცხებულ.
ისარნი იონათანისნი არა უკუმოქცეულ იყვნეს,
მახვილი საულისი არა მოქცეულ იყო ცუდად.
იონათან და საულ საყვარელნი და შვენიერნი,
რომელ არა განიყვნეს ცხორებასა მათსა,
არცაღა განიყვნეს სიკვდილსა მათსა,
უმაღლესნი ორბთანი და უმხნესნი ლომთანი.
ასულნო იუდაისნო,
იგლოვდეთ საულს,
რომელი შეგმოსდათ მეწამულსა,
და დაგდებდა სამკაულთა ოქროსათა სამოსელსა თქვენსა ზედა.
დაეცნეს ძლიერნი იგი ბრძოლასა,
დაეცა იონათან ბორცვთა შენთა ზედა.
იონათან! ძმაო ჩემო, მელმას შენთვის,
საყუარელ იყავ ჩემთვის,
უმჯობეს იყავ უფროის სიყუარულისა მის დედათასა.
ვითარ დაეცნეს გმირნი, წარწყმდა საჭურველი მათი!

დავითი არჩეულია იუდეველთა მეფედ და ისრაელის ტასტისთვის იბრძვის. დავითი წარმოშობით იუდას ტომს ეკუთვნოდა. ლტოლვილობაში ყაჩაღთა ბანდის მეთაურად ყოფნისას იგი არა მარტო იცავდა თავის თანამემამულეებს მტერთა თავდასხმისაგან, არამედ ნადავლსაც უნაწილებდა. ამით მან იუდეველთა დიდი პატივისცემა და კეთილი განწყობილება დაიმსახურა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საულის სიკვდილის შემდეგ თანამემამულეებმა ქებრონში მიიწვიეს და იუდეველთა მეფედ აირჩიეს. ამავე დროს იორდანის გაღმა მდებარე ქალაქ მაქანაიმში მხედართმთავარმა აბინერმა ჩრდილოეთის ათი ტომის მხარდაჭერით მეფედ გამოაცხადა საულის მეოთხე ვაჟი იშბოშეთი. იგი უძლური და ხუსტი ნებისყოფის კაცი იყო. აბინერის მორჩილ იარაღად იქცა და ფაქტიურად იგი იუდას ტომის გარდა მთელ ისრაელს მართავდა. დავითმა იშბოშეთი მეფედ არ ცნო. ამას კი მოჰყვა განხეთქილება სახელმწიფოში. საულს ხალხის უმრავლესობა უჭერდა მხარს და ამიტომ

მისი დინასტიის წინააღმდეგ გალაშქრება ადრე თუ გვიან ხამოქალაქო ომს გამოიწვევდა. დავითმა თადარიგი დაიჭირა და ომისათვის ემზადებოდა. იგი იყო არა მხოლოდ მამაცი და გამოცდილი მხედართმთავარი, არამედ მოხერხებული და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც. მან იცოდა, რომ განხეთქილების ნაძღვილი მიზეზი იყო დიდი ხნის შეღლი სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტომთა შორის. ამიტომ იმთავითვე ცდილობდა ჩრდილოეთის ტომთა გულის მონადირებას. მან ელჩები მიუგზავნა იაბისელებს და საულის დაკრძალვისათვის მადლობა შეუთვალა. შეეცადა, მთელ ქვეყანაზე გაევრცელებინა ხმა საულის სიკეთილის გამო თავისი გლოვისა და იმ ამალეკელი ყმაწვილის დასჯის შესახებ, რომელმაც მეფეზე ხელი აღმართა. ამ საქმიანობაში დავითს გულმოდგინედ ეხმარებოდნენ ქურუმები. სამოელსა და საულს შორის მომხდარი განხეთქილებისა და ნობაში გამართული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ქურუმები საულის ოჯახის დაუძინებელი მტრები იყვნენ და დავითს თავის ნება-სურვილის მორჩილ აღმასრულებლად თვლიდნენ.

ქებრონში შვიდნახევარი წლის მეფობა დავითმა ძლიერი არმიის შესაქმნელად გამოიყენა. არმიის სათავეში იდგა მამაცი მხედართმთავარი იოაბი. ფილისტიმელები, რომელთა სიფხიზლის მოდუნება დავითმა უკვე მოასწრო, ვერაფერს ხვდებოდნენ. ისინი საიმედო და სასარგებლო ვასალადაც კი მიიჩნევდნენ დავითს, რადგან მან ისრაელიტელთა ერთიანობა შეარყია.

სამოქალაქო ომი ისრაელში დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლით გაბაონის ტბასთან. უძველესი ადათის თანახმად, ომს წინ უძღოდა წყვილთაბრძოლა — ერთმანეთს შეხვდა იშბოშეთის თორმეტი ბენიამენელი და თორმეტი იუდეველი მებრძოლი. ბრძოლა იმდენად გააფთრებული იყო, რომ მისი ყველა მონაწილე სიცოცხლეს გამოესალმა. შემდეგ გაჩაღდა მთავარი ბრძოლა, რომელმაც მთელ დღეს გასტანა. იუდეველთა ჯარმა იოაბის ხელმძღვანელობით სრული გამარჯვება მოიპოვა.. იშბოშეთის მეომრები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. საძულველ მტერს, აბინერს, დაედევნა იოაბის ძმა ასაელი. იგი მამაცი ყმაწვილი იყო, მაგრამ საომარი გამოცდილება აკლდა. აბინერმა სამგზის ურჩია, სხვა მოწინააღმდეგეს დაედევნეო. „უკუდეგ, — უთხრა მან ასაელს, — რათა არა გცე და დაგაბხო მიწასა ზედა. და ვითარღა შევადგნე თვალნი ძმასა შენსა იოაბს?“ ჭაბუკმა ყურად არ იღო მისი გაფრთხილება და აბინერი იძულებული გახდა, შებმოდა. მან უეცრად ჩასცა შუბი ასაელს და იოლად გაიმარჯვა. დაინახა თუ არა იოაბმა ძმის ცხედარი, სასოწარკვეთილებამ მოიცვა, ტანსაცმელი შემოიხია და ფიცი დასდო, რომ აბინერს სამაგიეროს გადაუხდიდა.

ისრაელის ტახტისთვის ბრძოლა ხანგრძლივი და მძაფრი გა-

მოდგა. ისრაელიტელებს თანდათან ეცლებოდათ წიადაგი, ბოლო დავითი სულ უფრო იმტკიცებდა პოზიციებს. მისი ჯარის რიგები თანდათან ივსებოდა. მას შეუერთდნენ ჩრდილო ტომთა წარმომადგენლებიც. მათ შორის იყვნენ გულწრფელი პატრიოტები: მათ სჯეროდათ, რომ მხოლოდ დავითს შეეძლო ისრაელის დაცვა ფილისტიმელთაგან. მაგრამ იყვნენ აგრეთვე სხვადასხვაგვარი შემთანხმებლებიც, რომლებიც ხელსაყრელ დროს არჩევდნენ და გამარჯვებულის მხარეზე გადადიოდნენ.

ძუდმივმა მარცხმა ძლიერ შეარყია აბინერის გავლენა მაქანაიმში. აბინერის ძალაუფლებას საფუძვლად ეღო საყოველთაო რწმენა, რომ მთელს ისრაელში იგი იყო სწორუპოვარი მხედართმთავარი და თვით დავითსაც კი არ შეეძლო მას გამკლავებოდა. ახლა კი აბინერს იმდენად გაუტყდა სახელი, რომ ჯარის მხარდაჭერის იმედიც აღარ ჰქონდა. მარიონეტული მეფე იშბოშეთი და მისი მსახურები აბინერს არაფრად აღარ აგდებდნენ. ამ ამბავმა აშკარა განსეთქილება გამოიწვია. აბინერი გრძნობდა, რომ ძალაუფლება ხელიდან ეცლებოდა და მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიასლოვა საულის ხარჭი რესფა. ამან შეაშფოთა იშბოშეთი. ძველი ადათის მიხედვით, გარდაცვლილი მეფის ჰარამსანით სარგებლობა მხოლოდ ტასტის მემკვიდრეს შეეძლო. აბინერის საქციელი იმას მოასწავებდა, რომ იგი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა. ამის გამო მეფესა და მხედართმთავარს შორის დავა ატყდა. აბინერმა იშბოშეთს შეახსენა — სამეფო ტასტზე ჩემი წყალობით ახვედიო. შემდეგ კი წონასწორობიდან გამოსულმა პირდაპირ განუცხადა — ჩემი აზრით, საულის მემკვიდრეებს დავითი დაამარცხებსო. უძლურმა და მხდალმა მეფემ აბინერის სიტყვებში ღალატის საფრთხე იგრძნო და შეშინებული შინ წავიდა. აბინერმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ემოქმედა. მაშინვე ელჩები გაუგზავნა დავითს და შეუთვალა: მთელი ჩემი ჯარით შენს მხარეზე გადმოვალ, თუ არ მიმტრობ და მხედართმთავრად დამნიშნავო. დავითი თანახმა იყო, იმ პირობით, თუ აბინერი დაუბრუნებდა მელქულს, რომელიც საულმა წაართვა და სხვას მისცა. აბინერმა ძალით წაართვა მელქული ახალ ქმარს — ფალტიას. ქმარი სასოწარკვეთილებას მიეცა. საყვარელ მეუღლეს ქვითინითა და თავში ხელების ცემით მისდევდა უკან, სანამ მოთმინებიდან გამოსულმა აბინერმა სიკვდილის მუქარით არ გააბრუნა უკან. ფალტია დაემორჩილა.

რადგან ქურუმებს დიდი ხნის წინათ ჰქონდათ გამოცხადებული — დავითი ისრაელის მეფედ იაჰვემ აირჩიაო, აბინერმა იოლად დაიყოლია ტომების ბელადები მოლაპარაკებაზე. ჩრდილოეთის ტომთა ელჩები კარგად მიიღეს ქებრონში. შეთანხმებისთანავე დავითმა დიდებული ნადიმი გადაიხადა ელჩების პა-

ტოესაცემად. მხედართმთავარი იოაბი ამ დროს ბანაკში იმყოფებოდა არმიასთან ერთად. შეიტყო თუ არა შეთანხმების ამბავი, დავითთან გაეშართა და გულისწყრომით უთხრა: „ესე რა ქენი? მოვიდა შენდა აბინერ და შენ განუტევე იგი და წარვიდა მშვიდობით. ანუ არა უწყი უკეთურება აბინერისა, ძისა ნერისი? მოვიდა იგი შეტყუვილად შენდა და განცდად შესავალგამოსავლისა შენისა და გულისხმისყოფად ყოვლისა, რასაცა იქმ შენ".

ცხადია, იოაბს არ სიამოვნებდა დავითისა და აბინერის მოლაპარაკება. აბინერი მისი საშიში მეტოქე იყო, თანაც მისი ძმის მკვლელი. მეფესთან ამ შეფოთიანი საუბრის შემდეგ იოაბმა განისრახა ემოქმედა. აბინერი უკან გაბრუნდა მაქანაიმში. იოაბმა ქებრონში დააბრუნა იგი, მოიმიზეზა, მეფეს შენთვის კიდევ რაღაცა აქვს სათქმელიო და სიცოცხლეს გამოასალმა. დავითს არ დაუსჯია იოაბი ამ მკვლელობისათვის. არსებითად, იგი მოხარულიც კი იყო, ასეთი საშიში მოკავშირე რომ ჩამოიშორა. ესეც რომ არ იყოს, სისხლის აღება მოგვარის მკვლელობისათვის წმინდა მოვალეობად ითვლებოდა ისრაელში; და ბოლოს, დავითს საერთოდ არ სურდა ურთიერთობის გაფუჭება იოაბთან, რომელიც ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

დავითთან შეთანხმებამ თავზარი დასცა ყველას მაქანაიმში. იშბოშეთს შიშით გული შეუწუხდა, მისმა მოძმრეებმა კი თავს უშველეს და სასახლიდან ჩუმად გაიქცნენ. ერთხელ, დღისით, როცა ყველასაგან მიტოვებული იშბოშეთი საღილის შემდეგ თვლემდა, პურით მოვაჭრეთა ტანსაცმელში გადაცმული ორი ბენიამინელი სასახლეში შეიპარა. ისინი მეფის საწოლ ოთახში შეცვივდნენ და იშბოშეთი ხმლებით აჩეხეს. მათ მეფის თავი დავითს მიართვეს, იმედი ჰქონდათ, რომ ჯილდოს მიიღებდნენ, მაგრამ დავითმა ბრძანა, მკვლელებისთვის ხელ-ფეხი დაეჭრათ, გვამები კი ქებრონს ტბაზე დაეკიდებინათ იმათთვის ჭკუის სასწავლებლად, ვინც ღვთის მიერ ცხებული კაცის მოკვლას განისრახავდა. იშბოშეთის თავი კი ზეიმით დაკრძალა აბინერის სამარხში.

მაქანაიმის სასახლეში ცხოვრობდა იონათანის ძე, რომელიც ორივე ფეხით კოჭლობდა. როცა იონათანი იეზრეელის ხეობაში დაიღუპა, ყრმა მხოლოდ ხუთი წლისა იყო. დამარცხების ამბავი რომ გაიგო, ძიძა შინიდან გაიქცა, ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და მიწას დაასკდა. დავითმა შინ წაიყვანა მეგობრის შვილი და მამობრივ მზრუნველობას უწევდა. საულის კოჭლ მემკვიდრეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში უფლება ჰქონდა დავითის სუფრასთან მჯდარიყო. მას ოჯახის წევრად თვლიდნენ.

ბინერის სიკვდილისა და საულის დინასტიის დამხობის შემდეგ ისრაელის სამეფო ტახტის ერთადერთი სერიოზული პრეტენდენტი დავითი გახდა. — არა მარტო იმიტომ, რომ სათავეში ედგა გამარჯვებულ ჯარს, არამედ იმიტომაც, რომ იგი სახელმა აკურთხა ოდესღაც მეფედ. ფილისტიმელთა გაძლიერებით შეშინებული ჩრდილოეთის ტომთა წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ქებრონში და ოფიციალურად შესთავაზეს დავითს სამეფო ტახტი. ამრიგად, ქებრონში შვიდი წლის მეფობის შემდეგ დავითი მთელი ისრაელის სახელმწიფოს მეფე გახდა. მან კიდევ ოცდაცამეტი წელი იმეფა. ამ ხნის განმავლობაში დაიმორჩილა ფილისტიმელები და ებრაელი ხალხის ისტორიაში უძლიერესი სახელმწიფო შექმნა.

დავითის ქალაქი. ფილისტიმელებს ამბავი მიუვიდა, რომ მათი ვასალი მთელი ისრაელის მეფე გახდა. გადაწყვიტეს შეეპყროთ იგი და დაესაჯათ, როგორც მეამბოხე. ფილისტიმელთა ძლიერი არმია შეიჭრა რეფაიმის ხეობაში, იერუსალიმის დასაელეთით და ერთმანეთისაგან გათიშა სახელმწიფოს ჩრდილოეთი და სამხრეთი. დავითი შეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, მისი ჯარი ჩრდილოეთის ტომთა მეომრებით იყო შევსებული, მაგრამ ფილისტიმელთა საომარ ეტლებს მაინც ვერ გაუმკლავდებოდა. გადაწყვიტა, საულის შეცდომა არ გაემეორებინა, თავი აარიდა აშკარა შეტაკებას და ბარტიზანული ომი არჩია. ამ საქმეში დავითს დიდი გამოცდილება ჰქონდა, რაც ხეტიალის დროს შეიძინა. გარდა ამისა, მას გააჩნდა ერთი უპირატესობაც — ფილისტიმელების ვასალად ყოფნისას კარგად შეისწავლა მათი სამხედრო ტაქტიკა.

ისრაელიტელ პარტიზანთა მიერ განაწამებ ფილისტიმელთა რაზმებში საბრძოლო სულისკვეთება თანდათან ეცემოდა. უმნიშვნელო განგაშის დროსაც კი გარბოდნენ ხოლმე. ხელსაყრელ მომენტში დავითი აშკარა შეტევაზე გადადიოდა და ამრიგად ორი მნიშვნელოვანი გამარჯვებაც იზეიმა. ყოველი მხრიდან შევიწროებულმა დამპყრობლებმა ბოლოს საკუთარ ტერიტორიაზე დაიხიეს. მათ დამარცხებაზე ისიც მიგვითითებს, რომ ხერიშზე გადასულმა ისრაელიტელებმა ფილისტიმელთა ქალაქ გეთამდეც კი მიაღწიეს. ამიერიდან ფილისტიმელებმა ვეღარ შეძლეს ყოფილი ძლიერების აღდგენა, ხოლო დროთა ვითარებაში ისრაელის ჰეგემონიის აღიარებაც კი მოუხდათ.

დავითის გაერთიანებულ სამეფოს საკუთარი დედაქალაქი არ ჰქონდა. ქებრონი მეტისმეტად შორს მდებარეობდა სამხრეთიდან. ამასთან ერთად, ჩრდილოეთის ტომებს მაინცდამაინც არ სურდათ, რომ მათი დედაქალაქი იუდეველთა ქალაქი ყოფილი-

ყო. დავითმა ანგარიში გაუწია ამ გარწყობილებას და ყურადღება იერუსალიმზე შეაჩერა. იერუსალიმი ოთხასი წლის განმავლობაში ეკუთვნოდათ იებოსელებს და ეჭვიან ჩრდილოეთის ტომებს ქალაქი ნეიტრალურად მიაჩნდათ. იერუსალიმის დაპყრობა იოლი არ იყო. სამ ბორცვზე გაშენებული ქალაქი, რომელსაც სიონის მიუვალ კლდეზე მდებარე ციხესიმაგრე იცავდა, წარმატებით იგერიებდა მტრის ყველა შემოტევას. საკუთარ უძლეველობაში დარწმუნებული იერუსალიმელები ხუმრობით იტყოდნენ ხოლმე — ჩვენი ქალაქის დაცვა ბრმებისა და ხეიბრებისაგან შემდგარ რაზმსაც კი შეუძლიაო. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისრაელიტელთა შემოტევას იერუსალიმელები დაცინვითაც კი შეხვდნენ. დავითს იერიში იერიშზე მიეჭონდა, მაგრამ ამაოდ. ბარცხით შეწუხებულმა მეფემ განაცხადა: ვინც იებოსელებს დაამარცხებს, მთავრის ტიტულსა და ჯარის უფროსობას ვუბოძებო. ეს საქმე იოაბმა იკისრა. ქალაქის აღება მხოლოდ რაიმე ხერხის წყალობით შეიძლებოდა. იოაბი დაეხეტებოდა ქალაქის მიდამოებში, გამველელ-გამბოძველს ეკითხებოდა იქაურ ამბავს და ბოლოს ციხესიმაგრეში შესასვლელი საიდუმლო გზაც აღმოაჩინა. იერუსალიმის აღმოსავლეთით მდებარე ხეობაში ერთი წყარო ამოდიოდა. წყაროდან ქალაქისაკენ მიემართებოდა კლდეში ამოკვეთილი ვერტიკალური გვირაბი. იებოსელები არ ელოდნენ ამ მხრიდან თავდასხმას და ისრაელიტელები რომ შენიშნეს, მათკენ გაექანენ. ქალაქის გალავანი კი უპატრონოდ დარჩა. დავითმა უმალვე ისარგებლა ამით და ერთი მძლავრი დარტყმით აიღო ქალაქი. მან იერუსალიმის სამხრეთით მდებარე ბორცვზე გაშენებული ციხესიმაგრე ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა და მას „დავითის ქალაქი“ უწოდა. მეფემ მაშინვე მშენებლობა წამოიწყო და დიდი მონარქისათვის შესაფერი სასახლის აგებას შეუდგა. ამ მიზნით სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა ტვიროსის მეფე ქირამთან, რომელმაც მშენებლობისათვის საჭირო ხის მასალა, ხუროთმოძღვრები და ხელოსნები გამოუგზავნა. მათი დახმარებით ისეთი შენობა ააგო, რომ მეზობელ სახელმწიფოთა ყველაზე ძლიერი მეფეების სასახლეებსაც არ ჩამოუვარდებოდა. დავითი კიდევ ერთ რამეში ჰბაძავდა მეზობლებს: მან დიდი საკუთარი ჰარამხანა გაიჩინა. იმ დროს მეფეთა დიდების საზომად სწორედ ეს იყო მიჩნეული. რამდენიმე წლის შემდეგ მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა გახდა. მისი სასახლის ყველა კუთხეში ისმოდა ბავშვების ხმაური, სიცილისა და ჩხუბის ხმა.

დავითს სურდა, რომ იერუსალიმი რელიგიურ ცენტრად გაეხადა. ამისათვის კი საჭირო იყო, რომ სჯულის კიდობანი, რომელიც საულის დროიდან პატარა ქალაქ კარიათ-არიმში ინახებოდა, იერუსალიმში გადმოეტანათ. დავითი მსახუ-

რებითა და ოცდაათიათასიანი არმიითურთ გაეშურა კიდობნის მოსატანად.

კიდობანი ურემზე დადეს და შიგ ხარები შეუბეს. მას მოჰყვებოდნენ ქურუმები და უამრავი ხალხი. საზეიმო პროცესია ცეკვა-თამაშით, სიმღერებით, ქნარების, სალამურების, დაირების, დაფდაფებისა და წინწილების ხმით გამოხატავდა სიხარულს. პროცესიას მიუძღოდა ქურუმის თეთრი ტილოს ტანსაცმლით შემოსილი დავითი, მაგრამ იერუსალიმში შესვლამდე იაჰვემ ავისმომასწავებელი ნიშანი მისცა მოზეიმეებს. ხმაურმა დააფრთხო ხარები, ისინი ადგილს მოსწყდნენ და გზას გადაუხვიეს. ურემი გადაიხარა და კიდობანი კინაღამ გადმოვარდა. უკანასკნელ წამს ვინმე ოზიამ შეაკავა იგი. მაგრამ კიდობნისთვის ხელის ხლება საშინელ მკრეხელობად ითვლებოდა, იაჰვემ არ შეიწყნარა ოზიას კეთილი განზრახვა და იმწამსვე სიკვდილით დასაჯა.

შეძრწუნებულმა დავითმა პროცესია დაუყოვნებლივ შეაჩერა და კიდობანი ერთ ისრაელიტელ კაცს, ვინმე ობედომს მიაბარა. მხოლოდ სამი თვის შემდეგ გადაწყვიტა მეფემ კიდობნის გადატანა დედაქალაქში. ხალხი კვლავ გამხიარულდა, ცეკვა-თამაშს შეუდგა. პროცესიას კვლავ ქურუმის ქათქათა ტანსაცმელში გამოწყობილი დავითი წაუძღვა წინ. მეფის თავზე სამეფო გვირგვინი ბრწყინავდა, დავითს ხელთ ქნარი ეჭირა და უკრავდა, უკან ქურუმები მოჰყვებოდნენ. მათ ხელაპყრობით მოქონდათ კიდობანი, რომლის ქერუბიმთა გაშლილი ფრთები ჩირაღდნებივით ელვარებდნენ.

პროცესიას სარკმლიდან გადმოჰყურებდა დავითის ცოლი მელქული. როცა ბრბოს შუა მომავალი მეფე დაინახა, შესძაგდა იგი და არც დაუმალავს თავისი ზიზღი.

კიდობანი დაასვენეს საგანგებოდ გაწყობილ წმინდა კარავში. დავითმა მსხვერპლი შესწირა უფალს, სასმელ-საჭმელი გასცა, ნადიმი გადაიხადა და სასახლეში დაბრუნდა. მელქული შეეგება მეუღლეს და გაკილვით უთხრა: „რაოდენ დიდებული იყო დღეს მეფე ისრაელისა, ოდეს განკვართული მოეიდოდა წინაშე მხევალთა და მონათა, ვითარცა კაცი უგუნური!“

შეურაცხყოფილმა დავითმა სამუდამოდ დაკარგა მისი სიყვარული. მელქული სიკვდილამდე ათვალწუნებული ჰყავდა და მაგ მეფეს ვაჟი ვერ შესძინა. მას დასცინოდნენ აბიგაილი, აქინოამი და მრავალრიცხოვანი ხარჭები, მეფის ძეთა და ასულთა დედები.

ერთხელ დავითმა წინასწარმეტყველი ნათანი იხმო და უთხრა: „აჰა, მე დამკვიდრებულ ვარ სახლსა ნაძვისასა და კიდობანი უფლისა კარავსა შინა დგას?“ შემდეგ კი განაცხადა — იერუსალიმში ისეთი დიდებული ტაძარი უნდა ავაშენო, რომ

ჩემს სასახლეს აჯობოსო. ნათანმა პირველად კერი დაუკრა, მაგრამ მეორე დღეს უთხრა — ღამით იაკვემ მიხმო და ტაძრის მშენებლობა ამიკრძალა. მისი სურვილია, წინანდებურად მწყემსთა ღმერთი იყოს და კარავში ცხოვრობდესო.

დავითი დაემორჩილა მაღალი ღმერთის ნებას და გადაიფიქრა დედაქალაქის დამშვენება დიდებული ტაძრით. ასეთი ტაძარი შემდგომ დავითის მემკვიდრემ სოლომონმა ააგო.

დავითი — დიდი სახელმწიფოს დაარსებელი.

ისრაელის ყველა ტომის გაერთიანებისა და ფილისტიმელთა დამორჩილების შემდეგ დავითი თავისი სახელმწიფოს გაფართოებას შეუდგა და ახალი მიწები დაიპყრო. ჯერ მოაბელები და ედომელები დაიმორჩილა. შემდეგ, მის უნებურად, აჰოსელებთან მოუხდა ბრძოლა. გარდაიცვალა ამონელთა მეფე ნაასი და ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ანონი. დავითმა მას ელჩები გაუგზავნა, სამძიმარი შეუთვალა და ბედნიერი მეფობა უსურვა. მაგრამ ამონელმა მთავრებმა ახალგაზრდა მეფე დააფრთხეს და უთხრეს: „ნუუკვე გგონიეს, ვითარმედ სადიდებლად მამისა შენისა მოავლინნა დავით ნუგეშისმცემელნი ესე? მსტოვრად მოავლინნა, რათა ცნას შესავალ-გამოსავალი ქალაქისა შენისა და გამოიხილოს იგი და აღძრას იგი". ანონმა დაუჯერა მთავრებს, ბრძანა, ყველა ელჩისთვის ნასევრად გაეპარსათ წვერი, წელამდე შეეჭრათ ტანსაცმელი და ასე შერცხვენილები გაებრუნებინათ იერუსალიმში. დავითმა იუკადრისა შეურაცხყოფა და ანონის წინააღმდეგ გაგზავნა ნაცადი არმია, რომელსაც იოაბი მეთაურობდა. ომი მძიმე და სახიფათო გამოდგა, რადგან ამონელებმა არამეველთა ხუთი მეფე მოიშველიეს. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი ბრძოლა ისრაელიტელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამრიგად, დავითმა სირიის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაიპყრო. ამიერიდან დამასკოში ისრაელიტელთა მძლავრი რაზმი იდგა და მეფის ნაცვალი იმყოფებოდა.

დიდი ტერიტორიის დაპყრობის წყალობით დავითმა შექმნა დიდი სახელმწიფო, რომლის საზღვრები გადაიჭიმა აქაბის ყურიდან ევფრატამდე, ხოლო იორდანის გაღმა—არნონიდან ერმონამდე. დავითის მიერ დამარცხებული ფილისტიმელები თანდათან კარგავდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ისრაელმა საბოლოოდ დაამარცხა მტერი; ამით დაიწყო ერთადერთი პერიოდი ისრაელის ისტორიაში, როდესაც იგი დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

დავითი სახელმწიფოს საშინაო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. მეფის ძლიერების საფუძველი არმია იყო და, უწინარეს ყოვლისა, მას მიაპყრო ყურადღება. მაგრამ შეიარაღების დარგ-

ში არავითარი სიახლე არ შეუტანია. არმია წინანდებურად შედგებოდა ქვეითი ნაწილებისაგან, რომლებიც შუბებით, შურდულებითა და მახვილებით იყვნენ შეიარაღებულნი. ფილისტიმელთა მრისხანე იარაღი — საომარი ეტლები — დავითს რატომღაც ჭკუაში არ დაუჯდა. მას იოლად შეეძლო, საგანგებო ხარჯების გარეშე აღეჭურვა ჯარი საომარი ეტლებით. არამეველებთან ბრძოლაში ხომ ათას შვიდასი საომარი ეტლი ჩაიგდო ხელში ცხენებიანად; მაგრამ იმის მაგივრად, რომ ამ ნადავლით არმია გაემაგრებინა, ბრძანა ეტლები დაეწვათ, ცხენები კი დაეხახჩრებინათ. მხოლოდ ასი წყვილი დაატოვებინა სასახლის საჭიროებისათვის. ამ ეტლებით მისი ვაჟიშვილები და სასახლის დიდებულები დასეირნობდნენ ხოლმე იერუსალიმის ქუჩებში. ჯარის ბირთვს შეადგენდა ექვსასკაციანი „მამაცთა რაზმი“, რომელიც დავითს ექსორიის დროიდან შემორჩა. მეფე ორავალ პრივილეგიას ანიჭებდა „მამაცთა რაზმის“ მეომრებს; საჩუქრად აძლევდა დაპყრობილ მიწებს და მაღალ თანამდებობებზედაც ნიშნავდა. ჯარის ეს რჩეული ნაწილი დაქირავებულთა ორი მოზრდილი რაზმით შეავსეს. ომის შემთხვევაში საელაშქროდ იწვევდნენ ყველა მამაკაცს, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. ჯარის მეთაურობა იოაბს ებარა. მას უშუალოდ ემორჩილებოდა სამი უფროსი მხედართმთავარი და ოცდაათი. მათზე დაბალი წოდების სამხედრო პირი. ყველანი ერთად შეადგენდნენ მთავარ სამხედრო საბჭოს, რომელიც მეფეს ემორჩილებოდა. დავითმა ეგვიპტურ ყაიდაზე გარდაქმნა სამოქალაქო ადმინისტრაციაც. სახელმწიფოს სათავეში უხუცესთა საბჭო და კანცლერი ჩააყენა. ყველაზე მსხვილი მოხელეები იყვნენ მეფის ორი ხაზინადარი, ოლქის მეზვერენი — გადასახადთა ამკრეფნი, კანცელარიის მწერლები და შვიდი მთავარი მმართველი. მათ გამგებლობაში შედიოდა მინდვრები, ვენახები და მეფის ბაღები; მისი ცხვარი, ძროხა, სახედრები და აქლემები... სამეფოში კეთილდღეობა და წესრიგი სუფევდა. მეფე აურაცხელი სამხედრო ნადავლით — ოქროთი, ვერცხლითა და სპილენძით ამდიდრებდა ხაკუთარსა და იაჰვეს ტაძრის. ხაზინასაც. ტყვეებს ცოცხალს ტოვებდა, მონებად აქცევდა და თავის მაძულებსა და სასახლეებში ამუშავებდა.

დავითმა მოაგვარა რელიგიური საქმეებიც — ქურუმთა შორის მტკიცე იერარქია დააწესა. უზენაესი ქურუმის თანამდებობის გამო კი, ცოტა არ იყოს, საქმე გაუმწვავდა. მთავარ რელიგიურ ცენტრში — გაბაონში, უზენაესი ქურუმი იყო ელიაზარის მთამომავალი სადოკი. იგი დანიშნა საულმა მას შემდეგ, რაც ნობაში ქურუმები გაწყვიტა. იერუსალიმში იმყოფებოდა აბიათარი — ნობაში გადარჩენილი ერთადერთი ქურუმი, დავითის განუყრელი მეგობარი ლტოლვილობის დროს. დავითს არ შეეძ-

ლო სადოკის გადაყენება, რადგან ჩრდილოეთის ტომთა განაწყენებას ერიდებოდა. მან გადაწყვიტა ისრაელში ყოფილიყო ორი უზენაესი ქურუმი: სადოკი და აბიათარი.

დავითმა ურიას ცოლი მოსტაცა. სანამ იოაბი ამონელებს ებრძოდა და ქალაქ რაბაზე ალყა ჰქონდა შემორტყმული, დავითი იერუსალიმში იმყოფებოდა თავის სასახლეში. ერთხელ მან სარკმლიდან გადაიხედა და მოპირდაპირე სახლში მობანავე ლამაზ ქალს მოჰკრა თვალი. მეფეს ვნების ალი შემოენთო და ქალის ვინაობის გასაგებად მსახურები გაგზავნა. მსახურებმა მოახსენეს, რომ ეს იყო, ოცდაათიდან ერთ-ერთი მხედართუფროსის, ურია ქეთელის ცოლი ბერსაბე. ურია იოაბთან ერთად იბრძოდა ამონელთა წინააღმდეგ. დავითმა ისარგებლა ქმრის შინ არ ყოფნით და ბერსაბე შეაცდინა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ბერსაბე ფეხმძიმედაა. მეფემ ბილწი სრასვა ჩაიდო გულში — მოინდომა შეურაცხყოფილი ქმრის თავიდან მოშორება. იოაბს უბრძანა, ურია გამოეგზავნა და ომის მსვლელობის ანგარიში წარმოედგინა. ძამაცი მხედართმოძღვარი გამოცხადდა სასახლეში და მეფეს ყველაფერი მოახსენა. დავითმა ნაძალადევი ღიმილით მიიღო ურია, სუფრაზე მიიპატიჟა და სადამოხანს შინ გაისტუმრა — ნამგზავრი ხარ და დაისვენეო. მაგრამ ურია იატაკზე დაწვა სასახლის მცველებთან ერთად. დილით ჰკითხეს — ცოლთან რატომ არ წახვედიო, ურიამ ღირსეულად უპასუხა: „კიდობანი შჯულისა და ისრაელი და იუდა დამკვიდრებულ არიან კარვებითა, უფალი ჩემი იოაბ და მონანი უფლისა ჩემისანი ველსა გარე არიან, და მე ვითარ შევიდე სახლსა ჩემსა, ვსვა, ვჭამო და დავწვე ცოლისა ჩემისა თანა?“

დავითმა უკანვე გაბრუნა ურია იოაბთან და დაბეჭდილი წერილი გაატანა, რომელშიც სხვათა შორის ეწერა: „წარგზავნეთ ურია საბრძოლსა ძნელსა და უკუიქეცით თქვენ, რათა სცენ მას და მოკლან“.

იოაბმა მორჩილად შეასრულა ეს სამარცხვინო ბრძანება და უბედური, ბრძოლის ველზე ყველასაგან მიტოვებული ურია, მარტოდმარტო დაიღუპა რაბის კედელთან. ბერსაბე, რომელიც გულწრფელად დასტიროდა მეუღლეს, დავითმა ჰარამხანაში წაიყვანა. მალე მას ვაჟი შეეძინა.

მეფის საქციელმა იერუსალიმში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დავითთან გამოცხადდა წინასწარმეტყველი ნათანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სასლში. მეფემ განსაკუთრებული პატივით მიიღო იგი და გვერდზე მოისვა; ნათანმა მწუხარე ხმით მოუთხრო დავითს ერთი შემთხვევა:

„კაც ორ იყვნეს ქალაქსა ერთსა, ერთი იგი მდიდარ იყო და ერთი გლახაკ. მდიდრისა იყო არვე და მროწეული ფრიად, ხოლო გლახაკისა არა იყო, გარნა ტარიგი ერთი მცირე, რომელი მოეგო და განეზარდა შვილთა თანა. ბურსა მისსა ჭამდა, და სასმელსა მისსა სვამდა, და მკერდსა მისსა ზედა განისვენებდა და იყო იგი მისა, ვითარცა ასულ. და აჰა, დღესა ერთსა მოვიდა კაცი მოგზაური მდიდრისა სტუმრად; და ინანა მდიდარმან მოღებად არვისა ანუ მროწეულისა მისისაგან და მომზადებად მოგზაურისა პურად; არამედ მოიღო ტარიგი გლახაკისა და დაკლა იგი და საჭმელი განუმზადა სტუმარსა". აღშფოთებულმა დავითმა წამოიძახა — მდიდარი სიკვდილის ღირსიაო. ნათანმა მეფეს თვალი თვალში გაუყარა და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: „შენ ხარ კაცი იგი!" შემდეგ განუცხადა — იაჰვე განგირისხდა და სასჯელად ბერსაბესაგან შეძენილ შვილს მოგიკლავსო.

დავითმა შეიგნო თავისი საქციელის უკეთურება და გულწრფელად ნანობდა, მაგრამ იაჰვემ არ შეიწყალა იგი. მალე ბავშვს მძიმე სენი შეეყარა. იგი შვიდ დღეს ებრძოდა სიკვდილს. მეფე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მარხულობდა და მიწიდან თავაუღებლივ შესთხოვდა მოწყალებას უფალს. ახლობლები და მსახურები ამაოდ სთხოვდნენ, ამდგარიყო და პური ეჭამა. როცა ბავშვი გარდაიცვალა, ვერავინ გაბედა მეფისათვის გაეგზავნა მისი სიკვდილი. დავითმა შეამჩნია, რომ ყველა თავზარდაცემული იყო და კუთხე-კუთხე ჩურჩულებდნენ. უბედურება რომ შეიტყო, იგი მაშინვე წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, ნელსაცხებელი იცხო და ტაძარში სალოცავად გაემართა. ხასახლეში რომ დაბრუნდა, სუფრის გაშლა ბრძანა და მადიანად შეექცა საჭმელს. შინაურები განცვიფრებულნი იყვნენ. მოულოდნელი საქციელის მიზეზი ჰკითხეს მეფეს, მან მიუგო: „ვიდრე ყრმა ცოცხალ იყო, ვიმარხულევდი და ვტიროდი, რამეთუ ვთქვი გულსა შინა ჩემსა: ნუთუ წყალობა მიყოს უფალმან და ცოცხალ იქმნეს ყრმა! აწ მკვდარ არს იგი და რად მარხვა ვყო მე? ნუთუ შემძლებელ ვარ, მოვაქციო იგი აქავე? მე მივიდე მის თანა, არა თუ იგი მოქცევად ჩემდა არს".

ბერსაბე დავითის ყველაზე საყვარელი ცოლი გახდა. ერთი წლის შემდეგ მან კვლავ უშვა მეფეს ძე. ეს იყო ისრაელის მოსავალი მეფე სოლომონი.

ახალი სამარცხვინო ამბები მეფის სასახლეში.

დავითს მრავალრიცხოვანი და ჭირვეული შემკვიდრეები ჰყავდა. მისი ცოლებისა და ხარჭების ვაჟები და ასულები ყოველნაირად ლაღობდნენ მამის გულის მონადირებასა ამისთვის ინტრიგებსა და ცილისწამებასაც კი არ ერიდებოდნენ. დავითმა ვერ შეძ-

ლო ოჯახში წესრიგის დამყარება და კინკლაობის აღკვეთა. მისი სასახლე ბიწიერებისა და გარყვნილების ბუდედ იქცა. ერთხელ სასახლეში აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. დავითის პირმშომ ამნონმა შეიყვარა თავისი ნახევარ ძმის აბესალომის მკვიდრი და, პირმშვენიერი თამარი. ქალიშვილმა ძალიან შორს დაიჭირა ამნონის არშიყობა და ქალწულობას უფრთხილდებოდა. ენებით შეპყრობილი ამნონი სულ უფრო ილეოდა და ყვითლდებოდა. ეს შეამჩნია მისმა მეგობარმა იონადაბმა და ჰკითხა: „რად განილევი დღითი-დღე, ძეო მეფისაო?“ „ძიყვარს თამარი, და ძმისა ჩემისა აბესალომისა“, — გამოუტყდა ამნონი. მეგობარმა ძზაკვრული რჩევა მისცა — მოეავადმყოფებინა თავი და მამისთვის ეთხოვა, მომველელად თამარი მიეჩინა. თამარს გულში ეჭვი არ გაუვლია, საჭმელი მოამზადა და ამნონს ლოგინში მიუტანა. მაგრამ იგი მოულოდნელად მოეხვია ქალს და უთხრა: „დაწევ ჩემთან, დაო ჩემო“. ქალიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია: „არა, ძმაო, ნუ შეურაცხმყოფ, არასადა ყოფილ არს ესე ისრაელსა შორის, ნუ იქმ ბილწებასა — არა იყოს ადგილი, სადა არა მიიწიოს სირცხვილი ჩემი და შენცა გამოჩნდე, ვითარცა ერთი უგუნურთაგანი. და აწ თუ ეგრე გნებავს, უთხარ მეფესა და უნებელსა არას გიყოფს შენ“. ამნონმა არ შეისმინა თამარის თხოვნა და ძალა იხმარა. წადილი რომ აისრულა, ამნონმა გული აიყარა თამარზე და უბრძანა, წასულიყო. გაუბედურებულმა ქალმა შესტირა: „უდიდეს არს უსჯულოება ეგე უკანასკნელი უფროის პირველისა მის საქმისა, რომელი მიყავ“. პასუხად ამნონმა მსახური იხმო და უბრძანა: „გააძეთ ეგე და დაუსაშთ კარი“.

ნამუსახდილმა თამარმა თავზე მიწა დაიყარა, ტანსაცმელი შემოიხია და ისე მოთქვამდა, რომ მთელმა სასახლემ შეიტყო მისი შერცხვენის ამბავი.

დავითს ძლიერ უყვარდა ამნონი და დასასჯელად ვერ გაიმეტა, თუმცა ძალიან კი იყო განაწყენებული. მაგრამ აბესალომის საქციელმა ყველა გააკვირვა. მან გულგრილად გადაიტანა შეურაცხყოფა, მიუხედავად იმისა, რომ მისი და თამარის დედა გეშურის მეფის თალმის ქალიშვილი იყო და მთელი ოჯახი ამაყობდა თავისი ჩამომავლობით. ადათი სისხლის აღებას მოითხოვდა. ამასობაში ორი წელი გავიდა; აბესალომი კი არაფერს აპირებდა. პირიქით — ძალზე თავაზიანად ეპყრობოდა ამნონს. ზოგიერთებმა აითვალწუნეს კიდეც ასეთი საქციელისთვის; მაგრამ რა იცოდნენ, რომ აბესალომის ღიმილში სიძულვილი და შურისძიების წყურვილი იმალებოდა. ამნონიც მოტყუვდა და ძმას აღარ ერიდებოდა.

და აი, ერთხელ, ცხვრის კრეჭის დრო რომ დადგა, აბესალომმა მეფის მთელი ოჯახი მიიწვია ნადიმზე თავის მამულში

ბაალ-ასორში. დავითმა რაღაც მოიმიზეზა და უარი უთხრა, შვილებს კი, მათ შორის ამნონსაც, წასვლის ნება დართო. ეს იყო მახე. როგორც კი დაითრო ამნონი, აბესალომის მსახურებმა იგი ხმლებით აჩეხეს. სანოვაგითა და ღვინით სავსე სუფრაზე ალიაქოთი ატყდა. დავითის დანარჩენი ვაჟები ჯორებზე ამხედრდნენ და იერუსალიმს მიაშურეს. მაგრამ იერუსალიმში მათ ჩაასწრო ხმამ — აბესალომმა მეფის ყველა ვაჟიშვილი დახოცაო, დავითი და მისი ახლობლები სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მათ ტანსაცმელი შემოიხიეს პირქვე დაემხვნენ და ხმამაღლა სტიროდნენ მეფის ყველა მემკვიდრე მამაკაცის დაღუპვას. საბედნიეროდ, მალე გამოირკვა, რომ ცნობა ყალბი იყო, მეფის ვაჟიშვილები სასახლეში დაბრუნდნენ. კარისკაცები მათ აღტაცებით მიეგებნენ. დავითს სიხარულისაგან ტირილი აუვარდა და შვილები გრძნობამორეულმა სათითაოდ ჩაიკრა გულში.

ამასობაში აბესალომი თავის პაპას, გეშურის მეფეს თალმის შეეხიზნა. აქ მან სამი წელი დაჰყო. მამისაგან ბატიებას ელოდა. აბესალომს იოაბმა უშუამდგომლა და როგორც იქნა, დაიყოლია. მაგრამ იერუსალიმში მის დაბრუნებაზე. მაგრამ მამას არ უნდოდა შვილის დანახვა და სასახლეში შესვლა აუკრძალა. გავიდა კიდევ ორი წელი. აბესალომს მოთმინების ფიალა აევსო. მან კიდევ ერთხელ სთხოვა იოაბს დახმარებოდა, მაგრამ იოაბმა ამჯერად მტკიცე უარი უთხრა. მაშინ აბესალომმა იოაბის ბაღლეხისათვის ცეცხლი წააკიდებინა მსახურებს, თანაც დაემუქრა — უარესს გიზამ, თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებო. იოაბმა დაუთმო. მეფე დიდ ანგარიშს უწევდა მის აზრს და მალე აბესალომი და დავითი შერიგდნენ. დავითი გაახარა კიდეც ამ ამბავმა და დიდი ხნის გადახვეწილ ძეს ალერსიანად მოეხვია.

აბესალომის ამბოხება. აბესალომი ისრაელში ყველაზე ლამაზ მამაკაცად მიაჩნდათ. იგი შესახედავად მშვენიერი იყო. წარმოსადეგი აღნაგობა, მეტყველი თვალები და სახის ვაჟკაცური, სწორი ნაკვთები ჰქონდა. განსაკუთრებით უხდებოდა ხშირი და მბზინვარე თმა.

იგი ყველას, მდაბიოებსაც კი, თავაზიანად ექცეოდა და მალე შეაყვარა ხალხს. თავი. როცა გამოწყობილი, ძვირფასი და ელეარე სამკაულებით დამშვენებული აბესალომი ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი პირადი გვარდიის თანხლებით ეტლს მიაქროლებდა ქალაქში, ხალხი აღტაცებით ესალმებოდა მეფის ძეს. ქალებს ზღაპრულ უფლისწულად მიაჩნდათ, მამაკაცებს კი — ისრაელის სიამაყედ და იმედად. დროთა განმავლობაში აბესალომი მამის საყვარელი და საამაყო შვილი გახდა. დავითი ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, არად აგდებდა მის ქარაფშუტობას,

ამპარტავნობას, მფლანგველობას და არაფერს უშლიდა. ეაფის სიეკვარულმა მეფე ისე დააბრმავა, რომ ყურად არ იღებდა მახლობელთა გაფრთხილებასა და ქარაგმებს. მის გუნებაში ერთხელაც არ გაუვლია აზრს, რომ ბრწყინვალე გარეგნობის მქონე აბესალომი ვერაგი და მოღალატე გულის პატრონი შეიძლება ყოფილიყო. აბესალომს უკვე ოცდაათი წელი შეუსრულდა და მოუთმენლად ელოდა ტახტზე ასვლას. თავისი მიზნების მისაღწევად და ხალხის გულის მოსაგებად არაფერს ერიდებოდა. ქუჩებში სეირნობისას ეხვეოდა ყველას, ვინც კი სალამს მისცემდა. ხალხი აღტაცებით ამბობდა: ჩვენი გუნების კაცი ესაო. იგი ხშირად დადიოდა ქალაქის კარიბჭესთან, სადაც დავითი სასამართლოს მართავდა ხოლმე, გვერდზე გაიყვანდა სარჩელში გაცრუებულს და ნაგონებდა — შეფემ შეურაცხყო, მე კი საქმეს შენს სასარგებლოდ გადავწყვეტდიო. ამრიგად, აბესალომი მეფის სიძულვილს თესავდა ხალხში, თვითონ კი პოპულარობას იხვეჭდა. თანდათან მთელი სახელმწიფო გაახვია თავის ინტრიგების ქსელში. საიდუმლო მსტოვრების მეშვეობით გადაბირა ჩრდილოეთის ტომები, რომლებმაც აჯანყების შემოხვევაში შეიარაღებული მხარდაჭერა აღუთქვეს. ამ ტომებს ვერა და ვერ ეპატიებინათ დავითისათვის საულის დინასტიის დამხობა, ისინი უზურპატორად მიიჩნეოდნენ მეფეს. საჩხრეთის მკვიდრთ იუდას ტომი ოდითგანვე სძულდათ და ეზიზღებოდათ. ამიტომ ვერ შეერიგებოდნენ იმ ფაქტს, რომ ამ ტომიდან გამოსული კაცი მთელ ისრაელში მეფობდა.

აბესალომმა მოიმიზეზა, ლტოლვილობიდან იერუსალიმში ჩემი. დაბრუნების საბოლოოდ მსხვერპლი უნდა შევწირო იაჰვესო და მამას ქებრონში წასვლის უფლება სთხოვა. დავითი ვერ მიუხვდა განზრახვას, თანხმობა მისცა და აბესალომი ორასი მომხრის თანხლებით ქებრონს გაემგზავრა. ქებრონში რომ ჩავიდა, შეთქმულების ყველა მონაწილე იხმო და მალე შეკრიბა მრავალრიცხოვანი არმია, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ჩრდილოეთის თითქმის ყველა ტომის მეომრები. აჯანყებულებმა აბესალომი მეფედ გამოაცხადეს და იერუსალიმისკენ დაიძრნენ.

დავითმა უკანასკნელ წუთს შეიტყო აჯანყების ამბავი და თავზარდაცემული გაიქცა იერუსალიმიდან. ქვეითად მიმავალ მეფეს უკან გაჰყვა გვარდია — ექვსასი ძველი თანამებრძოლი და დაქირავებულ ფილისტიმელთა ორი ერთგული რაზმი. დავითმა მთელი თავისი ოჯახი წაიყვანა თან. მხოლოდ ათი ხარჭი დატოვა სასახლის მოსავლელად.

ქურუმები სადოკი და აბიათარიც შეუერთდნენ ლტოლვილებს და შჯულის კიდობანიც თან წაიტანეს.

მაგრამ მალე დავითმა გული გაიმაგრა, ღონე მოიკრიბა და

ოქმედებას შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, ქურუმებს უბრძანა, იერუსალიმში გაბრუნებულიყვნენ და მისთვის იქაური ამბები ეცნობებინათ. განშორება მეტად მძიმე იყო. მეფე და მისი ახლობლები ტიროდნენ. გლოვის ნიშნად თავზე მოსასხამები წამოიხურეს, ფეხშიშველები ავიდნენ ზეთისხილის მთაზე, საიდანაც ჩანდა, თუ როგორ ეფარებოდა თვალს შჯულის კიდობანი. მათ ყველაფერი დაკარგეს: დედაქალაქიც, მშობლიური სახლიც და წმიდათაწმიდა სალოცავიც. წინ გაურკვეველი ცხოვრება და ხეტიალი ელოდათ.

ცოტა მოგვიანებით დავითმა შეიტყო, რომ აბესალომს მრჩეველად ჰყავდა დიდად ნიჭიერი კაცი აქიტოფელი. ამ ამბავმა ძლიერ შეაშფოთა იგი. აბესალომი, რომელიც აქიტოფელის რჩევით სარგებლობდა, შესაძლოა, მეტად საშიში გამხდარიყო. ამიტომ როგორმე ხელი უნდა შეეშალა. გადაწყვიტა, შპიონაჟისთვის მიემართა. თავის ყველაზე ერთგულ მრჩეველს ქუშს უბრძანა, იერუსალიმში დაბრუნებულიყო და აბესალომის ნდობა დაემსახურებინა. აბესალომს რომ დაუახლოვდებოდა, უნდა უარეყო აქიტოფელის რჩევა და მეფისთვის აჯანყებულთა გეგმები ეცნობებინა.

დავითი გზას განაგრძობდა. ერთხელ ქალაქ ბაჰურიმის ვავლისას საულის შთამომავალი, ვინმე სემეი შემოხვდა. მან მეფეს ქვების სროლა დაუწყო და მიაყვირა: „განვედ, განვედ, კაცის-მკვლელო და უსჯულოო! აჰა, ღმერთმან მოაქცია შენ ზედა ხისხლი სახლისა საულისი, რამეთუ ჰმეფობ შენ მის წილ. აწ ძესა შენსა აბესალომს უბოძა უფალმან მეფობა და აღასრულა შენ ზედა ყოველი უკეთურება, რამეთუ კაცი მოსისხლე და უსჯულო ხარ შენ!“

ეს სიტყვები რომ გაიგონა, მეფის ერთგულმა მსახურმა აბეზამ თქვა: „ვინ არს ესე ძაღლი ერთი მკვდარი, რომელი აგინებს უფალსა ჩემსა მეფესა? მივიდე და წარვჰკვეთო თავი მისი!“ მაგრამ დავითმა შეაჩერა აბესა, რადგან არ უნდოდა ჩრდილოეთის ტომებთან კიდევ უფრო გაემწვავებინა ურთიერთობა. მეფემ გზა განაგრძო. გათავზედებული სემეი კი ღრიალებდა, იგინებოდა და ისე გამალებით ისროდა ქვებს, რომ მეომრებს მოუხდათ დავითის დაცვა — ქვებს ფარები შეაგებეს. ხანამ იორდანეზე არ გადავიდნენ, იქამდე სდია სემეიმ ლტოლვილებს, მერე კი დაბრუნება თავი და შინისაკენ მიბრუნდა.

ამასობაში აბესალომმა მომავალი გეგმების განსახილველად ხამხედრო ხაბჭო მოიწვია იერუსალიმში. აქიტოფელი ურჩევდა, შენ მეფის ხარჭებს მიხედე, მე კი დავითს ხასწრაფოდ დავედევნები. მაგრამ ქუში, რომელსაც უკვე მოპოვებული ჰქონდა აბესალომის ნდობა, უარზე დაღგა და აქიტოფელს შეეკამა. მან შეახსენა: დავითი გამოცდილი მხედართმთავარია და პარტი-

ზანულ ბრძოლებში გაწაფული მეომარი, მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, შეიძლება აქიტოფელის არმია დამარცხდეს და შეშინებული ჩრდილოელი ტომები აბესალომს განუდგნენო. ქუშმა ურჩია, მთელ სახელმწიფოში შეეკრიბათ სახალხო რაზმები და ძლიერი, კარგად ორგანიზებული არმიით დაძრულიყვნენ გადამწყვეტი შეტევისათვის. ეს გეგმა აბესალომმაც მოიწონა და სამხედრო საბჭომაც. აქიტოფელი მიუხვდა, რა ჰქონდა ქუშს გუნებაში, მაგრამ, რაკი არავინ დაუჯერა, თავის ჯორს მოაჯდა, შინისკენ გასწია და სასოწარკვეთილებით შეპყრობილმა თავი ჩამოიხრჩო. ქურუმებმა დავითს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება აცნობეს. მან ისარგებლა შესვენებით და ჯარის შეკრებას შეუდგა. სამეფოში მას ჯერ კიდევ ბევრი მომხრე ჰყავდა. ჯარის რიგები შეავსო ახალგაზრდა მეომრებით; ხოლო მდიდარი მომხრეები სობი, მაქირი და ბარზილაი დავითს ამარაგებდნენ ქვეშაგებით, თიხის ჭურჭლით, ხორბლით, ქერით, ღერღილით, ცერცვით, მარცვლეულით, ოსპით, მოხალული მარცვლეულით, თაფლით, ერბოთი, ცხვრებითა და ხბოებით.

რამდენიმე ხნის შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლისთვის მომზადებულმა აბესალომმა იორდანე გადალახა. დავითს ჯერ კიდევ უყვარდა თავისი მეამბოხე ძე და საგანგებოდ ბრძანა: არ მოკლათ, სიცოცხლე შეუნარჩუნეთო.

ბრძოლა მეამბოხეთა სრული განადგურებით დამთავრდა. ჯორზე მჯდარი აბესალომი თმებით გაეხლართა მუხის ტოტებში; ჯორი გაიქცა, აბესალომი კი თმით დაკიდებული დარჩა. აქ მას იოაბი წააწყდა და, მამის ბრძანების მიუხედავად, სიცოცხლეს გამოასალმა. აბესალომის ცხედარი ტყეში, ერთ დიდ ორმოში ჩააგდეს და ორმო ქვებით ამოხერგეს.

ძის სიკვდილმა ძალიან შეაწუხა დავითი. თავში ხელებს იცემდა და ტიროდა: „შვილო ჩემო, აბესალომ! შვილო ჩემო, შვილო, აბესალომ! ვინმემცა მომაკვდინა მე სიკვდილისა შენისა წილ, შვილო, აბესალომ!“ — ასე მოთქვამდა იგი მთელი დღე, ვიდრე მოთმინებადაკარგულმა იოაბმა არ განუცხადა — როგორც ჩანს, შენთვის მტრები უფრო ახლობლები არიან, ვიდრე მეგობრები, რომლებმაც შენთვის თავი გასწირესო.

დავითმა დედაქალაქში დაბრუნება გადაწყვიტა. მისმა მომხრეებმა თავი მოიყარეს და ყოველი მხრიდან მოვიდნენ მის გასაცილებლად, ტრიუმფალურ მსელელობაში მონაწილეობის მისაღებად. პატიების სათხოვნელად ეახლნენ ისინიც, ვინც ცოტა ხნის წინათ ემტერებოდნენ დავითს. მათ შორის იყვნენ საულის მსახური სიბა თორმეტი ვაჟის თანხლებით, სემეი, რომელმაც გაქცევის დროს ესოდენ შეურაცხყო მეფე. დავითმა ყველაფერი აპატია მათ და აღუთქვა, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. მან

დაჯილდოვა ყველა, ვინც ერთგულება დაუმტკიცა მძიმე წუთებში. განსაკუთრებით კი ბარზილაის ემადლიერებოდა ჯარის უხვად მომარაგებისათვის. „წარმოვედ ჩემ თანა, იერუსალიმს, და უზრუნველგყო შენ“, — უთხრა მეფემ. ბარზილაიმ უპასუხა: „აწ მე ოთხმეოცის წლის ვარ; არღარა უწყი გამორჩევა კეთილისა და ბოროტისა; ანუ თუ ვიცი მონამან თქვენმან გემოის ხილვა ჭამადისა და სასმელისა? ანუ თუ მიძლავს სმენად მგალობელთა და ქალთა მეღოდართა? აწ რად ტვირთგეყო მონა შენი უფალსა ჩემსა მეფეს? მცირედ წიაღ გყვე იორდანეს მონა შენი; რად მომანიჭებ ნიჭსა ეგოდენსა? მიმაქციე მონა შენი ქალაქსა ჩემსა და მოვკვდე, სადა არს საფლავი მამისა ჩემისა და დედისა ჩემისა“. მან მეფეს სთხოვა, ჩემი ვაჟი ქამაანი წაიყვანეო.

გამოთხოვებისას მეფე მოხუცს მოეხვია, იორდანეზე გადავიდა და დედაქალაქისკენ გაეშურა. გზაში ისრაელიტელ და იუდეველ ტომებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ვერ მორიგდნენ და ტრიუმფალურ მსვლელობაში ადგილები ვერ გაიანაწილეს. ცოტა ხნის წინანდელი მოწინააღმდეგეებიდიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო წინა ადგილებს იჩემებდნენ. იუდეველები არაფერს თმობდნენ და ერთი ნაბიჯითაც კი არ ისვევდნენ უკან.

მალე ისრაელიტელები მეორედ აჯანყდნენ. მეამბოხეთა ბელადი ამჯერად ბენიამინელი საბიე იყო. ამბოხების ჩაქრობა დავითმა მხედართმთავარ ამესას დაავალა, რამაც იოაბი შურით აღავსო. ერთხელ იგი შეხვდა თავის მეტოქეს, გადაეხვია, ხელმოხვეულმა მახვილი ჩასცა და ცხედარი გზაზე დააგდო. იმ ხანებში იოაბს უკვე ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ დავითმა მისი დასჯა ვერ გაბედა, გულში კი რისხვა ჩაიმარხა.

საბიე აბელ-ბეთ-მაქეს ციხესიმაგრეში შეიხიზნა. მეამბოხეებთან ერთად. ციხესიმაგრის მცხოვრებლებს განადგურების შეეშინდათ. საბიე მოკლეს და მისი თავი ციხეზე გადაჰკიდეს კაპიტულაციის ნიშნად. ასე დამთავრდა ჩრდილოეთის ტომთა მეორე ამბოხი იუდეველთა ჰეგემონიის წინააღმდეგ.

იერუსალიმში რომ დაბრუნდა, დავითმა ოჯახის საქმე მოაწესრიგა. აბესალომის მიერ გაუპატიურებულ-ათ ხარჭს ცალკე სახლში მიუჩინეს ბინა. აქ მათ ყარაჩაეტილებმა ქვრივობაში გაატარეს მთელი სიცოცხლე.

რეზეფა — ისრაელის ანტიგონე. ისრაელში სამ წელს ბობოქრობდა შიმშილი. დავითმა მიმართა ქურუმ წინასწარმეტყველებს და ჰკითხა — იაჰვესრისხვა როგორ დავაცხროო და უბედურების მიზეზს მიაგნო. თურმე ისუ ნავეს გაბაონელთათვის ფიცი მიეცა, რომ ისრაელის ძენი არასოდეს აიღებდნენ

მახვილს. მაგ წინააღმდეგ, მაგრამ საულს დაურღვევია ფიცი — გაბაონელების დახოცვა და მათი ქალაქების დაპყრობა უცდია. ახლა დახოცილთა სისხლი საულის შთამომავლებს უნდა ეზღოთ. დავითმა იხმო დარჩენილი გაბაონელები და ჰკითხა, რა გზით გამოესყიდა საულის დანაშაული. გაბაონელებმა მოითხოვეს, რომ მეფეს მათთვის საულის შვიდი შთამომავალი მამაკაცი მიეცა გუბას კარიბჭესთან ჩამოსახრჩობად. მეფემ თხოვნა შეუსრულა და საულის შვიდი შთამომავალი ჩამოახრჩვეს. გვამები მტაცებელ ცხოველებსა და ფრინველებს მიუყარეს მინდორში. ეს იყო საშინელი სასჯელი, რადგან, მაშინდელი რწმენის მიხედვით დაუმარხავი ადამიანი სიკვდილის შემდეგ ვერსოდეს ეღირსებოდა განსვენებასა და სიმშვიდეს.

სიკვდილით დასჯილთა შორის საულის ხარჭის რესფას ორი ძეც ერია. უბედურმა დედამ სამგლოვიარო სამოსი ჩაიცვა, შვილების გვამებს მიუწვა და დღედაღამ მხეცებსა და ფრინველებს უგერიებდა.

ასე იწვა იგი აპრილის თვიდან — ალოობის დაწყებიდან — ოქტომბრამდე — პირველ წვიმიან თვემდე.

მცხუნვარე მზე წვავდა მინდვრებს, ყვავილებსა და ბალახს. ყველა ჩრდილს აფარებდა თავს. მხოლოდ რესფა არ სცილდებოდა დახოცილ შვილებს. მისი სახელი ცნობილი გახდა მთელს ისრაელში. დავითს შეეშინდა მზარდი უკმაყოფილებისა და განკარგულება გასცა, სიკვდილით დასჯილთა ცხედრები დაეშართათ. ამან ისიც გაახსენა მეფეს, რომ საულისა და მისი შვილების გვამები იმ დღემდე გალაადის იაბისში იყო. ჩრდილოეთის ტომთა გულის მოსაგებად მან ყველას ნუშტი გადმოასვენა საულის საგვარეულო აკლდამაში და დიდი ამბით დაკრძალა.

სასასლის ინტრიგები. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დავითი ძალიან მოტყდა. მიხრწნილ მოხუცს სისხლი ისე უცივდებოდა, რომ ლოგინშიც ველარ თბებოდა. კარისკაცებმა გადაწყვიტეს, მოენახათ ქალწული, რომელიც მეფესთან დაიძინებდა და გაათბობდა. ეძებეს მთელ ისრაელში და ბოლოს შუნამში წააწყდნენ ერთ ლამაზ ქალიშვილს აბიშაგს. მშვენიერი შუნამელი ასული ღამ-დამობით ათბობდა მეფეს, დღისით კი უვლიდა.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ დავითის დღეები დათვლილი იყო, და ტახტისთვის ბრძოლა გაჩაღდა. პრეტენდენტები იყვნენ მეფის ვაჟები ადონია და სოლომონი. ადონია, აგითის ძე, ლამაზი და ქედმაღალი ჭაბუკი გახლდათ. მას მხარს უჭერდნენ ჩრდილოეთის ტომები და გავლენიანი პირები: იოაბი და უზენაესი ქურუმი აბიათარი. მას ეჭვიც არ ეპარებოდა გამარჯვებაში და

სამეფო ეტლით დასეირნობდა ხოლმე ქალაქის ქუჩებში. მას სასახლის ხუთასკაციანი გვარდია ახლდა თან.

სოლომონი ნაკლებად პოპულარული იყო, მაგრამ გავლენიანი პირების მხარდაჭერა არც მას აკლდა. მის მომხრეებს უზენაესი ქურუმი სადოკი და წინასწარმეტყველი ნათანი მეთაურობდნენ. გარდა ამისა, მის მხარეზე იყო ჯარის რჩეული ნაწილები, დავითის ძველ თანამებრძოლთა გვარდია (ექვსასი კაცი) და დაქირავებულ ფილისტიმელთა ორივე რაზმი. სოლომონი დავითის ყველაზე საყვარელი ცოლის — ბერსაბეს ძე იყო. მამა სოლომონს სხვა შვილებში არჩევდა და მას წარმატების დიდი შანსი ჰქონდა.

სასახლეში, მომაკვდავი მეფის სასთუმალთან, ერთი შესლა-შემოხლა ატყდა; ტახტის მოპოვების წყურვილით შეპყრობილი ადამიანები ინტრიგების ქსელს ქსოვდნენ. ადონიამ გადაწყვიტა, ტასტისკენ დროზე გაეკაფა გზა. მან თავის თანამებრძოლებს როგელის წყაროსთან გადაუხადა დიდი ნადიმი. ნამდვილად კი ადონიამ საშხედრო თათბირისთვის შეყარა ხალხი. ნადიმში მონაწილეობდნენ იოაბი, აბიათარი, მეფის შვილები სოლომონის გამოკლებით, და ჩრდილოეთის ტომთა მრავალი ბელადი. ეს ამბავი სასახლემდე მივიდა. წინასწარმეტყველი ნათანი ბერსაბესთან გაეშურა და უბრძანა, დაუყოვნებლივ ეცნობებინა დავითისთვის, რომ ადონიამ თვითნებურად გამოაცხადა თავი მეფედ და თვითონ კი აღუთქვა — ცოტა მოგვიანებით მეც მოვალ და შენს სიტყვებს დავადასტურებო. ბრალდება უსამართლო, ყოველ შემთხვევაში, ნაჩქარევი იყო, მაგრამ ძალაუფლებისათვის ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი მხარეები აღარაფერს ერიდებოდნენ. ბერსაბე დაიხარა ავადმყოფი მეფის სასთუმალთან და უთხრა: „უფალო ჩემო, მეფეო! ჰფუცე მხევალსა შენსა უფალი ღმერთი შენი, ვითარმედ: „ძე შენი სოლომონ მეფობდეს შემდგომად ჩემსა და იგი დაჯდეს საყდარსა ჩემსა“. აწ დაჯდა მეფედ ადონია და შენ, უფალო ჩემო, მეფეო, არა უწყი ესე. დაწყვიდა მან ზროხა და საცხოვარი დიდძალი და მოუწოდა მეფისა ძეთა, აბიათარს მღვდელსა და იოაბს სპასპეტსა. ხოლო სოლომონს, მონასა შენსა არა მოუწოდა მან“.

ამ დროს შემოვიდა ნათანი და ბერსაბეს სიტყვები დაადასტურა. მეფემ ძალა მოიკრიბა და თქვა: „წარიყვანეთ თქვენ თანა მსახურნი უფლისა თქვენისანი, აღსვით ძე ჩემი სოლომონ ჯორსა ჩემსა და შთაიყვანეთ გეონს. და სცხონ მას სადოკ მღვდელმან და ნათან წინასწარმეტყველმან და აკურთხონ მეფედ ისრაელსა ზედა. დაჰბერეთ ნესტვსა და ღაღადყავთ: „დღეგრძელ ოყავნ მეფე სოლომონ!“ ასეც მოიქცნენ. სოლომონმა სამეფო ბეერგვინი დაიღგა და ზეიმით დაბრუნდა სასახლეში.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი ადონიას მომხრეებმა, რომელნიც როგელის წყაროსთან ნადიმობდნენ, თავზარდაცემულები მიმოფანტნენ, ადონიამ კი ტაძარს შეაფარა თავი და საკურთხეველს ჩასჭიდა ხელი.

სოლომონმა დაიფიცა, რომ თითსაც არ დააწებებდა ადონიას, ოღონდ მას სამეფო ტახტის მიტაცება უნდა ამოეღო გულიდან. ადონიამ თაყვანი სცა ახალ მეფეს და შინ დაბრუნდა.

დავითი გრძნობდა, რომ მისი აღსასრული მოახლოებული იყო. იხმო სოლომონი და უბრძანა: ერთგულად ემსახურე იაჰვეს, იერუსალიმში ტაძარი ააგე და ჩემ მიერ მომარაგებული ოქრო-ვერცხლი და საშენი მასალა მის შენებას მოახმარეო.

სიცოცხლეში დავითი ანგარიშს უწევდა იოაბს, რომლის წყალობითაც ბევრი გამარჯვება მოიპოვა. ახლა, სიკვდილის პირზე მისულმა, გაიხსენა მის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტება: აბესალომის მოკვლა, ამესას ვერაგული მკვლელობა, ახლანდელი შეთანხმება ადონიასა და აბიათართან. ყველაფერი გაუდიოდა იოაბს, რადგან დავითს ვერ გაებედა მისი დასჯა. ახლა კი უანდერძა მეფემ სოლომონს, იოაბისთვის ძველი ანგარიშები გაესწორებინა და სიკვდილით დასჯა. დავითი ვერც იმას შეერიგებოდა, რომ სემეი ცოცხალი გადარჩა; მან ხომ თავხედურად შეურაცხყო მეფე ქალაქ ბაჰურიმთან აბესალომის ამბოხების დროს. მართალია, დავითმა დაიფიცა, რომ სემეის არ დასჯიდა, მაგრამ მაშინ ჩრდილოეთის მეამბოხე ტომებთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. ეს ფიცი კი მის მემკვიდრეს ვერ დაამბრკოლებდა. დავითმა სოლომონს უბრძანა, შეურაცხმყოფელი სიკვდილით დასჯა სემეი.

არც მეგობრები დაივიწყა მომაკვდავმა მეფემ. განსაკუთრებით ემადლიერებოდა ბარზილაის. ბარზილაი სარჩოს არ აკლებდა დავითს, როცა იგი, ყველასაგან მიტოვებული, მთებში იყო გახიზნული და ემალებოდა აბესალომს. დავითმა პირობა დაადებინა სოლომონს, რომ ერთგული მოხუცის მემკვიდრეებს უზრუნველყოფდა: მათ უნდა რგებოდა დიდძალი ქონება იერუსალიმში და საპატიო ადგილი მეფის სუფრაზე.

მალე სოლომონს დედაქალაქში საზეიმოდ დაადგეს გვირგვინი. სამსხვერპლოზე შესაწირავად მოიყვანეს ათასი ხარი, ათასი ვერძი და ათასი ბატკანი. მირონის ცხების წესი შეასრულა ახალი მეფის ერთგულმა მომხრემ, უზენაესმა ქურუმმა სადოკმა.

დავითი გარდაიცვალა სამოცდაათი წლისა. მან ორმოც წელს იმეფა და შვილს მემკვიდრეობით დაუტოვა უზარმაზარი სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც გადაჭიმული იყო დამასკოდან ეგვიპტემდე, ზმელთაშუა ზღვიდან იორდანის აღმოსავლეთით მდებარე მიწებამდე.

ისრაელისა და იუდეის მეფე სოლომონი. ტახტზე ასვლისას სოლომონი მხოლოდ ოცი წლისა იყო. იგი ენერგიული მმართველი და საზრიანი დიპლომატი გამოდგა. იმედი გაუცრუვდათ მის მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც ახალი მეფის ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამოყენება სურდათ. ხელისუფლებას მოცილებული ადონია, იოაბი და აბიათარი იერუსალიმში იმყოფებოდნენ და შეიძლებოდა ცუდიც არა დამართნოდათ რა, რომ ამპარტავან ადონიას შეცდომა არ მოსვლოდა. ამ შეცდომას კი საბედისწერო შედეგები მოჰყვა. ერთხელ მან ბერსაბეს მოაკითხა. თავისი დაუძინებელი მტერი რომ დაინახა, განცვიფრებულმა და შეშფოთებულმა ბერსაბემ ჰკითხა: „მშვიდობით არს შემოსლვა შენი?“ ადონიამ მიუგო „მშვიდობით“ და ნაღელიანად დაუმატა: „შენ უწყი, რამეთუ ჩემი იყო მეფობა. და ჩემ ზედა დადვა პირი ყოველმან ისრაელმან მეფობად... აწ თხოვასა ერთსა მცირესა ვითხოვ და ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა“. მართალია, ადონიამ თავი ვერ შეიკავა და კვლავ ხაზგასმით აღნიშნა — ტახტი მე მეკუთვნოდაო, მაგრამ კეთილი ქალი მაინც დათანხმდა მოესმინა მისი თხოვნა. ადონიამაც აუხსნა მოსელის მიზეზი: „გვედრებ, უთხარ სოლომონს — რამეთუ არა მიიქციოს პირი მისი შენგან, — და მომცეს მე ცოლად აბიშაგ შუნამიტელი“. ბერსაბე ცოტა კი გააკვირვა ამ თხოვნამ, მაგრამ მაინც დაპირდა, ვეტყვი სოლომონს და ვეცდები რაიმე გავაწყოო.

სოლომონმა მოკრძალებით მოუსმინა დედას, მაგრამ, რომ გაიგო, რაში იყო საქმე, აღშფოთდა და მტკიცე უარი უთხრა. მან ეჭვი აიღო, რომ ადონიას თხოვნის მიღმა რაღაც ცბიერი ზრახვა იმალებოდა. დავითის ერთ-ერთ ხარჭთან ქორწინება ადონიას ტახტისათვის ბრძოლის განახლების საშუალებას მისცემდა: ძველი ჩვეულების მიხედვით ხომ გარდაცვლილი მეფის ჰარამხანით სარგებლობა მხოლოდ მის კანონიერ მემკვიდრეს შეეძლო.

ამ ინციდენტით განრისხებულმა სოლომონმა მამის ანდერძი გაიხსენა და გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა მის მიმართ მტრულად განწყობილი დაჯგუფების წინამძღოლისათვის.

ახლად დანიშნულ მხედართმთავარს ბანეას უბრძანა, მოეკლა ადონია და იოაბი. ბანეამ ტახტის მოცილეს შინ შეუსწრო და მოკლა. იოაბმა კი ტაძრის ეზოში დამალვა მოასწრო. კანონის მიხედვით აქ თავშეფარებული კაცის ხელეოფა არ შეიძლებოდა, მაგრამ ბანეამ შებილწა წმინდა ადგილი და ზედ იაჰვეს საკურთხეველთან განგმირა ხმლით იოაბი.

ამგვარად, სოლომონმა ორი ყველაზე საშიში მტერი წამოიცილა. ქურუმთმთავარ აბიათარს სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ პატივი აჰყარა და სამუდამოდ გაძევება დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქ ანათოთში.

ამ დროიდან ისრაელში კვლავ ერთადერთი უზენაესი ქურუმი დარჩა. ეს გახლდათ სოლომონის ერთგული თანაშემწე სადოკი.

გადარჩა აგრეთვე სემეი, რომლის დასჯა უნდოდა დავითს. სოლომონმა მას ნება დართო, აეშენებინა სახლი იერუსალიმში და სიცოცხლე შეუნარჩუნა იმ პირობით, რომ ნებართვის გარეშე ქალაქს არასოდეს დატოვებდა. მაგრამ სემეი კადნიერი იყო და დიდად არ დაგიდევდათ აკრძალვას. ერთხელ მას რამდენიმე მონა გაექცა ფილისტიმელთა ქალაქ გეთში, რათა თავშესაფარი ეთხოვათ მეფე ანქუშისათვის. სემეი მათ უნებართვოდ დაედევნა. დედაქალაქში რომ დაბრუნდა, სოლომონმა მას თავის მართლება არ აცალა და ბანეას უბრძანა სიკვდილით დასჯეო.

ორი დედის ამბავი. ისრაელის მთავარი სამსხვერპლო გაბაონში იყო, სოლომონ მეფე გაემგზავრა იქ და სახეიმოდ შეწირა მსხვერპლად ათასი სული საქონელი. დასაძინებლად რომ დაწვა, იაჰვე გამოეცხადა და ჰკითხა: მითხარი რა გსურს და აგისრულებო. მეფემ სთხოვა მიეცა მისთვის „გული გულისხმისმყოფელი“ — ე. ი. სიბრძნე, რომ თავისი ქვეშევრდომების სამართლიანი მსჯელი ყოფილიყო. იაჰვეს მოეწონა მეფის თავმდაბლობა და არა მარტო სიბრძნე უბოძა, არამედ შეჰპირდა — ყველაზე მდიდარ და გამოჩენილ მეფედ გაგხდი მთელს დედამიწაზეო.

სოლომონი გახარებული დაბრუნდა იერუსალიმში. უხვად შესწირა მსხვერპლი შჯულის კიდობანთან და ნადიმი გაუმართა მთელ ქალაქს. შემდეგ ქალაქის ბჭესთან დაადგმევინა მოსამართლის საჯდომი და სჯას შეუდგა.

მას ორი ქალი მოჰგვარეს. მათი საქმე ძალზე რთული და უცნაური იყო. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც ტირიდა და თან იფიცებოდა, მართალს ვამბობო, თქვა: „მე და ესე დედაკაცი მეოფ ვიყვენით ერთსა სახლსა და ვშვ მე შვილი და ესე დედაკაცი მუნ იყო. და სამისა დღისა შემდგომ შვა დედაკაცმან აპაჰ... და მრკვდა ყრმა დედაკაცისა ამის ღამე, რამეთუ დაწვა ზედა. და აღდგა ესე დედაკაცი შუადამე და მომპარა ყრმა ჩემი, ოდეს მე, მხევალსა შენსა, მეძინა და დაეძინა იგი უბესა თვისსა, ხოლო ყრმა თავისი მკვდარი შემომიწყვინა უბეთა ჩემთა. და აღვდეგ დილით, რათა ძუძუ ვაწოვო ყრმასა და აპა, მომკვდარ იყო იგი. ვიხილე და არა იყო იგი ჩემი შვილი, რომელი ვშვ“.

ბრალდებული ყველაფერს უარყოფდა. ორივე დედაკაცი ხმამაღლა კიოდა და ილანძღებოდა. წუთიერი ფიქრის შემდეგ მეფემ მახვილს დაავლო ხელი და ბრძანა: „განკვეთეთ ყრმა ცოცხალი ორად და მიეცით ნახევარი ერთსა და ნახევარი მეორესა!“

მაშინ ბრალმდებელმა ქალმა შეძრწუნებულმა შესძახა: „უფალო ჩემო! მიეცით მას ყრმა ცხოველი და ნუ მოაკვდინებთ მას!“ მეორე ქალმა კი მშვიდად განაცხადა: „ნუმცა ჩემთვის არს იგი, ნუმცა მისთვის, განკვეთეთ იგი ორად!“

მეფემ მოუსმინა მათ, მიუთითა ქალზე, რომელიც იხვეწებოდა, სიცოცხლე შეენარჩუნებინათ ბავშვისთვის და ბრძანა: „მიეცით ამას ყრმა ცხოველი და არა მოაკვდინოთ იგი. ესე დედაკაცი არს დედა ყრმისა“.

ამ დღიდან ისრაელიტელებს დიდი შიში და კრძალვა ჰქონდათ მეფისა, რადგან დარწმუნდნენ, რომ მის სიბრძნეს არაფერი დაემალებოდა.

სოლომონი — ნიჭიერი მმართველი. სოლომონმა მემკვიდრეობით მიიღო ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო, სადაც ხალხი მშვიდობიანად და უზრუნველად ცხოვრობდა. დაბყრობილი მეზობელი ხალხებისაგან ისრაელს საფრთხე უკვე აღარ ელოდა. ტვიროსის მდიდარ მეფესთან ქირამთან ისრაელს ჯერ კიდევ საულის დროს ჰქონდა დადებული მეგობრობის ხელშეკრულება. ახალგაზრდა მეფემ სოლომონმა დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვა იმით, რომ ფარაონის ასული შეირთო ცოლად და მზითევში ფილისტიმელთა მიერ მიტაცებული ქალაქი გეზერი მიიღო. ეგვიპტის დინასტიასთან დანათესავებამ უზრუნველყო ისრაელის სამხრეთ საზღვრების უშიშროება და ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების განმტკიცება. ებრაელ ტომებს, უსსოვარი დროიდან ბრძოლასა და შფოთში ყოფნის შემდეგ, ახლა პირველად შეეძლოთ ეცხოვრათ და ეშრომათ მშვიდობიანად და დაუბრკოლებლად. თაობიდან თაობას გადაეცა ხსოვნა ამ ნეტარ დროზე. ერთ-ერთი მემატიანე შემდეგ ჩაიწერს: „და იჯდა იუდა და ისრაელი მშვიდობით დანითგან, ვიდრე ბერშებამდე, ყოველი კაცი ვენახსა თვისსა თანა და ლეღვსა თვისსა ქვეშე ყოველთა დღეთა სოლომონისთა“.

სოლომონი მშვენიერი ადმინისტრატორიც გამოდგა. ყველა უმაღლესი თანამდებობა თავის მომხრეებსა და მეგობრებს დაუნაწილა. ამგვარად, საიმედო, მეფისთვის თავდადებულ ადამიანთა ხელში აღმოჩნდა კანცლერის, მთავარსარდლის, მეფის პირადი გვარდიის უფროსის, მწერლების, მდივნებისა და მთავარი მებაჟის თანამდებობები.

მწარე გამოცდილებამ ჭკუა ასწავლა სოლომონს. იგი ისრაელიტელთა ტომების დასუსტებით თავისი ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობდა. ამისათვის მან ქვეყანა დაყო თორმეტ ადმინისტრაციულ ოლქად, რომელთა საზღვრები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვეოდა ცალკეული ტომების ტერიტორიებს.

თითოეული ოლქის სათავეში დასვა თავისი ნაცვალი და გარნიზონის უფროსი. თითოეული ოლქი, რიგრიგობით, ყოველ წელს ერთი თვის განმავლობაში ამარაგებდა სურსათით სამეფო კარსა და არმიას.

არმიამაც დიდი რეორგანიზაცია განიცადა. დავითს, როგორც ცნობილია, მხოლოდ ქვეითი ჯარი სწამდა, თვითონ კი ვირით ბაზავრობდა. ამგვარად, სოლომონმა მემკვიდრეობით შეიღო მოძველებული არმია, რომელიც არ შეეფერებოდა ეპოქის მოთხოვნებს. ისრაელიტელები ძველთაგანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ ცხენოსან ჯარს. სოლომონი არ აჰყვა ძველი წესების მომხრეთ და შექმნა ცხენოსანთა მძლავრი კორპუსი, რომელიც თოთხმეტი ათას საომარ ეტლს აერთიანებდა. სოლომონმა სიახლე შეიტანა არმიულ აღალშიც. მას ოთხთვალები და ცხენების საზიდრები დაუმატა. გარდა ამისა, ისრაელის მთელ რიგ ქალაქებში ააგო საჯინიბოები. ყველაზე დიდი საჯინიბოები იყო მეგიდოში, სადაც ახალი ცხენოსანი ჯარის უდიდესი რაზმიც იდგა. ქერი და ბზე ცხენებისთვის ადმინისტრაციულ ოლქებს მოჰქონდათ რიგრიგობით.

ამ სიახლეთა წყალობით ისრაელის სახელმწიფოს ძლიერება განმტკიცდა, სოლომონს კი დიდი ბრძენის სახელი გაუვარდა.

სოლომონი აგებს ტაძარს. თავისი მეფობის მეოთხე წელს სოლომონმა გადაწყვიტა, აღესრულებინა მამის უკანასკნელი სურვილი და იერუსალიმში აღემართა დიდებული მონარქის საკადრისი ტაძარი. მას არც კარგი ხის მასალა გააჩნდა და არც დახელოვნებული მშენებელი ოსტატები ჰყავდა, ამიტომ დახმარებისათვის მიმართა ტვიროსის მეფეს ქირამს. მალე ხელშეკრულებაც დაიდო. ქირამმა სოლომონი მოამარაგა კედრითა და კვიპაროსით. მასალა იაფამდე ზღვით მოჰქონდათ, აქედან კი ისრაელიტელები ტვირთს ზურგით ეზიდებოდნენ იერუსალიმში. ლიბანის მთებში ტყის ჭრის დასაჩქარებლად სოლომონმა ადონირამს უბრძანა, ქანაანიდან იძულებით წამოყვანილი მუშებისაგან შეექმნა არმია. იგი ოცდაათი ათასი კაცისაგან შედგებოდა და იყოფოდა ათიათასიან ჯგუფებად. ეს ჯგუფები რიგრიგობით მიდიოდნენ ტვიროსში რამდენიმე თვით, ეხმარებოდნენ ფინიკიელებს ხეების ჭრასა და ტივების შეკვრაში.

მეფე ქირამმა ისრაელში გამოგზავნა საუკეთესო ოსტატები. მათი უფროსი იყო უბადლო ოსტატი, რომელსაც აგრეთვე ქირამი ერქვა. ქირამი ოქრომჭედელი იყო. იცოდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ჩამოსხმაცა და ჭედვაც.

სამშენებლო მასალების სანაცვლოდ სოლომონმა იაისრა ვო-

ველწლიური გადასახადი: ოცი ათასი საწყაო ხორბალი, ღვინო და საუკეთესო ზეითუნის ზეთი. ამავე დროს ისრაელში შეიქმნა მუშათა არმია, რომელსაც იძულებით ამუშავებდნენ მშენებლობაზე. არმიაში შედიოდნენ მხოლოდ ისრაელიტელთა ძიერ დამონებული ქანაანელები. მუშათა არმია ას ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შედგებოდა: ოთხმოცი ათასი ქვას ათლიდა იორდანის იქეთა მთებში, დანარჩენს კი გათლილი ქვა გადმოჰქონდა იერუსალიმის სამშენებლო მოედანზე. მათ ხელმძღვანელობდა სამი ათას სამასი ისრაელიტელი ზედამხედველი.

ტაძარს აშენებდნენ ოფელის ბორცვზე, რომელსაც მწვერვალი წაჰკვეთეს და მოასწორეს. მოედანს გასაფართოებლად შვმოავლეს გათლილი ქვის ლოდების ვერტიკალური კედელი. ლოდები ერთმანეთზე კალით დაადუღეს. ტაძრის შენებას შვიდ წელზე მეტი დრო მოანდომეს. ბორცვის მწვერვალისაკენ ორიოდა გზა, რომლითაც გარე ეზოში შედიოდნენ. აქ ყოველთვის ირეოდნენ იერუსალიმის მცხოვრებლები და ქანაანიდან მოსული მლოცველები. მეორე კედელი ერტყა შიდა ეზოს — რელიგიური წესების აღსასრულებელ ძირითად ადგილს. ეზოს შუაგულში იდგა სამსხვერპლო, რომელზედაც მარადიული ცეცხლი ენთო. მის გვერდით იყო „სპილენძის ზღვა" — წყლით სავსე სპილენძის ცისტერნა შესაწირავი ცხოველების განსაბანად. ეს ვეებერთელა ჭურჭელი, რომელიც ქირამმა იორდანის გადაღმა მთებში ჩამოასხმევინა, სპილენძის თორმეტ ხარზე იდგა. მათგან სამს ჩრდილოეთისკენ ჰქონდა პირი, სამს — დასავლეთისკენ, სამს — სამხრეთისკენ და სამს — აღმოსავლეთისაკენ. გარდა ამისა, ეზოში იდგა სპილენძისაგან ჩამოსხმული ათი ბორბლიანი ურიკა წყლის გადასაზიდად.

ტაძარი ძომცრო ზომისა იყო. სულ ოცდათერთმეტი მეტრის სიგრძისა და ათნახევარი მეტრის სიგანისა... ორ გვერდით და ერთ უკანა კედელს ეკვროდა სამი ნაგებობა. ამ შენობებში ცხოვრობდნენ ქურუმები. აქვე იყო პატარ-პატარა სახლები, საკუჭნაოები და სხვა. ტაძრის შიდა ნაწილი სამად იყოფოდა: კარიბჭე, მთავარი დარბაზი და ყმიდათაწმიდა. სამლოცველო — პატარა, უსარკმლო ნაგებობა, სადაც იდუმალ სიბნელეში განისვენებდა შეხულის კიდობანი. აქ შესვლის უფლება ჰქონდა მარტო უზენაეს ქურუმს და ისიც წელიწადში ერთხელ.

კარიბჭის შესასველის ორივე მხარეზე ცალ-აზიდულიყო სპილენძის თორმეტმეტრიანი სვეტები შესანიშნავად ნაჩუქურთმევი. გვირგვინებით — ძალისა და სიდიადის მისტიკური სიმბოლოებით.

სამივე ნაგებობა სიმდიდრითა და დიდებულებით აოცებდა ადამიანს. კედლები და ჭერი კედრის ხით იყო მოპირკეთებული. იატაკი კვიპაროსის გაპრიალებული ფიცრისა ჰქონდა, ქე-

რუბიმების, პალმებისა და ევავილების ბარელიეფებით შემკული პანელები ოქროსფრად ბრწყინავდნენ. ცენტრალურ დარბაზში იდგა პურის შესაწირავად განკუთვნილი კედრის ხის მოოქრული მაგიდა, ოქროსაგან ჩამოსხმული საკურთხეველი საკმეველის საკმეველად, ათი ოქროს შანდალი და სხვა ჭურჭელი. თაღის ქვეშ გამოყვანილი სარკმლებიდან დარბაზში მკრთალი ნათელი შედიოდა. აქ ქურუმები საკმეველს აკმეედნენ, პურს სწირავდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, რომ შანდლებში სანთლები არასოდეს ჩამქრალიყო.

წმიდათაწმიდა სალოცავი მოოქრული კედრის ხის კედლის უკან იყო. ქერუბიმებით დამშვენებული ჭედური კარები მუდამ ღიად რჩებოდა, მაგრამ შესასვლელს ფარავდა ქერუბიმებით, ევავილებითა და პალმებით მდიდრულად მოქარგული ტილოს ფარდა. ფარდის მიღმა ხიბნელეში იდგა სჯულის კიდობანი. შიგ იდო ქვის ორი ფიცარი, რომელზედაც მოსემ იაპვეს მცნებები დაწერა. კიდობანს იცავდა ზეთისხილის ხისაგან გამოთლილი, სქელი ოქროფურცლით დაფარული ვეებერთელა ფიგურა ქერუბიმებისა. მათი გაშლილი ფრთები ერთმანეთს ეხებოდა, მეორე მხარეს კი ტაძრის ორ მოპირდაპირე კედელს სწვდებოდა.

მშენებლობის დასასრულს, როცა სჯულის კიდობანი ტაძარში დადგეს, დავითმა დიდი ზეიმი გამართა. კიდევ უფრო ადრე მან შექმნა ქურუმთა კასტა. მისი ბრძანებით, ოცდათექვსმეტ ათას ლევიტელთაგან ოცდაოთხი ათასმა მიიღო ქურუმის წოდება, დანარჩენებს კი მცველის, მწერლის, მოსამართლისა და მგალობლის თანამდებობები აკმარებინეს. აპრონის შთამომაელებმა, რომელთა წარმომადგენელიც სადოკი იყო, ხელთ დგდეს მონოპოლია უზენაესი ქურუმის თანამდებობაზე.

ზეიმზე ხალხით აივსო გარე ეზო, შიდა ეზოში კი ამ დროს კიდობნის კურთხევისა და დადგმის ცერემონია მიმდინარეობდა. სამსხვერპლოს ირგვლივ შეიყარნენ ისრაელიტელ ტომთა უხუცესნი, ტილოს თეთრსამოსიანი ქურუმები, სამეფო კარის დიდებულები, მგალობლები, მუსიკოსები ქნარებითა და წინწილებით და ას ოცი ქურუმი ნესტვებით. სოლომონი, შემკული მეწამული, მდიდრულად ნაქარგი წამოსასხამითა და სამეფო გვირგვინით, ტახტზე იჯდა. უკან რიგით იდგა მეფის პირადი გვარდიის ხუთასი მხედარი. მათ ხელთ ეპყრათ ბაჯაღლო ოქროს ფარები. ზეიმის დასაწყისში იმდენი მსხვერპლი შეწირეს, რომ მისი დათვლა შეუძლებელი გახდა. ყოველადდასაწველს — სამსხვერპლოზე მიტანილ ხორცს — ცეცხლი წაეკიდა და ტაძარში ხრაკის სუნი დადგა. დამწვარმა ხორცმა კვამლი აუშვა, საყვირებმა იჭექეს და ლევიტელებმა მხრებზე დადგმული შემოიტანეს სჯულის კიდობანი. მისი ოქროსფერი ელვარებით აღტაცებულმა მგალობლებმა ქნარებისა და წინწილების ხმაზე დაიგუ-

გუნეს ჰიმნი, რომლის შინაარსიც ისეთივე იყო, როგორიც მოგვიანებით შექმნილი ოცდამესამე ფსალმუნისა:

„განიხარეთ, ბჭენო,
განიხარეთ, ბჭენო საუკუნენო,
მოვალს მეუფე დიდებისა!"

აქ გუნდი ორ ჯგუფად გაიყო და დაიწყო შემდეგი სტროფი:

„ვინ არს იგი, მეუფე დიდებისა?"

მეორე ჯგუფმა კი ხმამაღლა, მხიარულად მიუგო:

„მეუფე ძლიერი და მტკიცე,
უფალი, ძლიერი ბრძოლასა შინა".

კითხვა-პასუხი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ოქროს კიდობანი თავის ადგილზე არ დადგეს. მოქარგული ფარდა დაეშვა და მას შემდეგ უზენაესი ქურუმის გარდა კიდობნის ხილვის ნება აღარავის ჰქონდა.

სოლომონი ტახტიდან წამოდგა და ზეცისაკენ ხელაპყრობილმა ღაღადყო:

„უფალო, შევიყვარე საყოფელი სახლისა შენისა,
და ადგილი სამკვიდრებელი დიდებისა შენისა!"

ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა მოწიწებით უგდებდა ყურს მეფის ხმას. სოლომონი დადუმდა, თითქოს საკუთარი სიტყვების გამოძახილს უსმენსო, შემდეგ კი მდაბალი ლოცვა აღუვლინა იაჰვეს, — შესთხოვა — ისრაელს მოწყალებას ნუ მოაკლებო.

დაიწყო თოთხმეტდღიანი დღესასწაული. მთელი ქვეყანა მხიარულობდა და ღრეობდა. ამ დღეებში სამსხვერპლოზე დაწვეს ოცდაორი ათასი ხარი და ასოცი ათასი ცხვარი. ისრაელში არ დარჩენილა ადამიანი, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს ამ გრანდიოზულ მსხვერპლისშეწირვაში და თითო ხარი ან ცხვარი მაინც არ გაეღოს.

სოლომონის სიმდიდრე. სოლომონმა მარტო ტაძრის აშენება არ იკმარა. მომდევნო ცამეტი წელი მან სამშენებლო საქმეს შეალია. იგი ცდილობდა, გაეძლიერებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და თავისთვის ღირსეული სამეფო რეზიდენცია შეექმნა.

სახასლის კომპლექსი ზედ გკეროდა ტაძრის შიდა ეზოს. იგი სამი შენობისაგან შედგებოდა. საკუთრივ მეფის რეზიდენციას ორი ფრთა ჰქონდა ერთი სოლომონს და მის პარამხანას ეკავა, მეორე კი, რომელიც ფარაონის მოთხოვნით აგეს, განკუთვნი-

ლი იყო ეგვიპტელი მთავრის ამაყი ასულისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალისათვის. ხალხის თავყრილობისა და დიდი სახელმწიფოებრივი დღესასწაულებისათვის გამოყოფილი იყო „ლიბანის სახლი“. ეს იყო ვეებერთელა დარბაზი, რომლის ჭერიც ლიბანის კედრის ორმოცდახუთ სვეტს ეყრდნობოდა. მეორე დარბაზში მეფეს სამსჯავრო ჰქონდა, აქვე იღებდა უცხოელ ელჩებს. აქ ამაღლებულ ადგილზე იდგა სპილოს ძვლის მოოქრული ტახტი.

საზღვრებისა და მთავარი სავაჭრო გზების დასაცავად სოლომონი ქალაქთა მისადგომებს ამაგრებდა და ახალ ციხესიმაგრეებს აგებდა. მაგალითად: ჩრდილოეთის ქალაქებს ასორსა და მეგიდოს და ქვეყნის შუაგულში მდებარე გეზერს, ბეთორონსა და ბალათს მაგარი გალავნები შემოარტყა და ქალაქების გარშემო კოშკები ააგო. ამ ციხესიმაგრეებში ცხენოსანი და ქვეითი ჯარის რაზმები საბრძოლოდ მუდამ მზად იყვნენ.

შეიარაღებისა, მშენებლობისა და ფუფუნების საგნებისათვის გაღებულ დიდ ხარჯებს სოლომონი ფარავდა იმ შემოსავლით, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა სხვადასხვა წყაროებიდან. ისრაელიტელებისაგან მიღებულ ნატურალურ ბეგარაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გადასახადები, სავაჭრო ბაჟები და ვასალების სარკი მას ყოველწლიურად ექვსას სამოცდა ექვს ტალანტს, ანუ ოცდაორი ათას რვაას ოცდახუთ კილოგრამ ოქროს აძლევდა.

სოლომონი ვაჭრობაშიც მარჯვე გამოდგა. მას გაცხოველებული აღებ-მიცემობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან. იგი კილიკიაში ყიდულობდა ცხენებს და მესოპოტამიაში და ეგვიპტეში ყიდდა. ეგვიპტიდან კი მოჰქონდა საუკეთესო საომარი ეტლები სხვა ქვეყნებში გასაყიდად. გარდა ამისა, სოლომონმა ხელი მიჰყო ძალზე სარფიან საზღვაო ვაჭრობას. ისრაელიტელებმა გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობისა არა იცოდნენ რა. სოლომონმა ამჯერადაც ქირამს სთხოვა დახმარებოდა და აქაბის ყურეში ააგო პორტი ესიონ-გებერი. აქედან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მისი ფლოტი მიემართებოდა იდუმალებით მოცული ოფირის ქვეყნისაკენ. სპილენძის მადნის სანაცვლოდ, რომელსაც ისრაელის საბადოებში იღებდნენ და საგანგებო ღუმელებში ადნობდნენ, სოლომონის გემებს მოჰქონდათ ძვირფასი საქონელი: ოქრო, ვერცხლი, სპილოს ძვალი, სანდალოზის ხე; მოჰყავდათ მაიმუნები და ფარშავანგები. მეფემ ბრძანა, მის სასახლეში სანდალოზის ხისაგან გაეკეთებინათ კიბეები და მოაჯირი.

მაგრამ მთელი ეს სიმდიდრე არ კმაროდა მშენებლობის, შეიარაღებისა და მეფის სასახლის ფუფუნების ხარჯების დასაფარავად. სოლომონმა ქირამისაგან ისესხა ას ოცი ტალანტი

ოქრო და გირაოდ გალილეის ოცი ქალაქი მისცა. ტეიროხის მეფემ დაათვალიერა ეს ქალაქები და დაასკვნა, რომ გარიგება ხელს არ აძლევდა, რადგან დიდი სარკით წელში გაწყვეტილ ქალაქებს სიღარიბეში ხდებოდათ სული.

შებას დედოფალი. სოლომონის სიბრძნისა და მისი ხასახლის ბრწყინვალების ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. შებას დედოფალმაც მოჰკრა ყური ამ ხმებს. მან გადაწყვიტა, წასულიყო იერუსალიმს და თვითონ დარწმუნებულიყო, რამდენად მართალი იყო ეს მითქმა-მოთქმა.

დედოფლის შესვლა იერუსალიმში ჭეშმარიტად დიდებული ხანახაობა გახლდათ. ოქროთი შემკულ ჭრელყაჯრებიან აქლემების გრძელ ქარავანს მოჰყავდა უდაბნოს მრისხანე მეომრები, ხამეფო კარის დიდებულები, ქალები; მოჰქონდათ ურიცხვი საჩუქარი: ოქრო, ძვირფასეულობა და სუნნელი. დედოფალი დაბრძანებულიყო ტახტრევანზე, რომელიც აქლემზე ისე ირწეოდა, როგორც გემი ზღვის ტალღებზე. ძოწეულითა და ოქროთი შემოსილი სოლომონი სეფე დარბაზში დახვდა დედოფალს. ამ ეგზოტიკური ქალის დანახვისთანავე, სოლომონი ტასტიდან წამოიჭრა და დედოფალს შეეგება. მან თვალი ვერ მოსწყვიტა დედოფლის ნატიფ ფიგურას, თხელ, ოქრომკედით ნაკერ კაბაში რომ გამოსჭვიოდა.

მეფე ძრხიბლა მისმა შავგვრემანმა, ნაზი ნაკვთების მქონე, ხახემ, ფარული ცეცხლით ანთებულმა დიდმა შავმა თვალებმა, ფარშავანგის ბოლოსავით გადმოუშალა. მან დედოფალს მთელი თავისი სიბრძნე და სიმდიდრე. საათობით ესაუბრებოდა მას, ბასუხს აძლევდა შეკითხვებზე და უძვირფასეს რჩევა-დარიგებას არ აკლებდა. შებას დედოფალი დარწმუნდა სოლომონის სიბრძნესა და სიმდიდრეში. იგი განაცვიფრა ხასახლის არნახულმა ბრწყინვალებამ, კედარის ხისკედლებიანმა, დარბაზებმა, ძვირფასმა ფარდებმა, სპილოს ძვლის მოვარაყებულმა ტახტებმა და ოქროს ჭურჭლის უანგარიშო სიმრავლემ. ერთ-ერთი ხაუბრის დროს აღელვებულმა ქალმა უთხრა მეფეს: „ჭეშმარიტი იყო სიტყვა, რომელი მესმა ქვეყანასა ჩემსა საქმეთა შენთათვის და სიბრძნისა შენისათვის. და არა მრწმენა მთხრობელთა მათ, ვიდრე არა მოვედ და ვიხილე თვალითა ჩემითა და აჰა, ნახევარი არა იყო, რომელსა მითხრობდეს. ჰმატებს სიბრძნე და სიმდიდრე შენი ყოველსა მას, რომელი მესმა მე“.

გამოთხოვებისას შებას დედოფალმა სოლომონს უძღვნა ფასდაუდებელი განძი: კერძოდ, ას ოცი ტალანტი ოქრო. მეფეშაც არანაკლები საჩუქრებით გაისტუმრა იგი.

სოლომონის პარამხანა და უცხო ღმერთები.

სოლომონს სხვა მეფეებივით თავის ჰარამხანაში მოპყავდა სხვადასხვა ტომებისა და სარწმუნოების ქალები: ეგვიპტელები, მოაბელები, ამონელები, იდუმიელები, სიდონელები და ხეთები. ვაი, რომ შებერებული მეფე ერთობ იოლად ექცეოდა თავისი ფავორიტი ქალების გავლენის ქვეშ. მათ შემოაღებინეს სოლომონს იერუსალიმში უცხო ღმერთების კულტი. მათ პატივსაცემად ბრძანა მეფემ იაჰვეს ტაძრის ეზოშიც კი შესწირა მსხვერპლი. გარდა ამისა, მან ცალ-ცალკე აუგო ტაძარი ასტარტეს, ბაალს, მოლოქსა და მოაბელთა ღმერთს ქამისს.

იაჰვე განურისხდა სოლომონს და გადაწყვიტა, მისი ქვეყანა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაეთიშა.

არეულობის პირველი ნიშანი იყო აჯანყება იდუმეაში. ამბოხებას სათავეში უდგა ადადი — იდუმეის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი. ადადი დამარცხდა და გაიქცა ეგვიპტეში, სადაც ფარაონმა არა მარტო შეიფარა იგი, არამედ თავისი ასულიც მიათხოვა. ფარაონს ეშინოდა ისრაელის ძლიერებისა, ამიტომ გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა მისი მტრებისათვის და, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაესუსტებინა იგი.

მეორე დარტყმა სოლომონს სუბის მეფის ადრაზარის ყოფილმა მხედართმთავარმა რაზონმა აგემა. მან მეფის სამსახური მიატოვა და დიდი ხნის განმავლობაში ავაზაკთა ბანდას მეთაურობდა; რაზონმა დრო იხელთა და თავს დაესხა დამასკოს, გაანადგურა იქ მყოფი ისრაელიტელთა გარნიზონი და თავი მეფედ გამოაცხადა. ამგვარად, სოლომონმა დაკარგა სირია. იგი უკვე მოხუცი იყო და ვერ შეძლო ამბოხების ჩახშობა. ირაღლით. ამ დროიდან დამასკოს აგამგებელნი გამუდმებით ესხმოდნენ თავს ისრაელის ჩრდილოეთ საზღვრებს.

მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ჩრდილოეთის ათ ტომს შორის უკმაყოფილებამ იმატა. დიდმა გადასახადებმა და იძულებითმა შრომამ ხელახლა გააღვივა შური იუდას ტომთა მიმართ, ამან კი აჯანყება გამოიწვია. მისი წამომწყები იყო ჩრდილოელი მეზვერე — ხარკის ამკრეფი იერობოამი. თავის ტომის წარმომადგენელთა შემეურე. იერობოამი სოლომონის მოწინააღმდეგე წინასწარმეტყველმა აქია ადვილად გადაიბირა თავის მხარეზე. იერობოამმა ხალხი ააჯანყა, მაგრამ მალე დამარცხდა და ეგვიპტეში გაიქცა, სადაც იგი ადადის მსგავსად ფარაონმა შეიხიზნა.

სოლომონი გარდაიცვალა ორმოცი წლის მეფობის შემდეგ. იგი იერუსალიმში დაკრძალეს. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი რობოამი.

სიმართლე და ლეგენდა ისრაელის სამეფოს შემქმნელთა შესახებ

ისრაელის ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე პერიოდი ემთხვევა ძველი წელთაღრიცხვის 1040—932 წლებს; მაშასადამე, იგი ას წელზე ცოტა მეტ ხანს გრძელდება. ამას რომ დავუმატოთ მოსეს შემდეგ ყველაზე დიდი წინასწარმეტყველისა და მონარქიის ფაქტიური ფუძემდებლის სამოელის მმართველობის წლები, დიდი-დიდი, საუკუნენახევარი გამოვა. დროის რა უმნიშვნელო მონაკვეთია ისრაელის მთელ ისტორიასთან შედარებით!

გაერთიანებული სახელმწიფოს ეპოქა — არსებითად, არის მმართველობის ხანა სამი ისრაელიტელი მეფისა: საულისა (ძვ. წ. 1040—1012 წლები), დავითისა (ძვ. წ. 1012—972 წლები) და სოლომონისა (ძვ. წ. 972—932 წლები). ძველი წელთაღრიცხვის 932 წელს სახელმწიფოს გამოეყო ათი ჩრდილოელი ტომი, რის შედეგადაც წარმოიქმნა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ორი სამეფო: იუდეა და ისრაელი.

თითქმის ყველა ცნობა ამ ეპოქის შესახებ ამოკრეფილია ბიბლიიდან, უფრო სწორად, მეფეთა ⲙⲁⲃⲓ და მატიანეთა ორი წიგნიდან, რომლებსაც ⲡⲁⲣⲁⲗⲓⲡⲟⲙⲉⲛⲟⲛ უწოდებენ.[1] ეს ბერძნული სიტყვა „უყურადღებოდ დატოვებულს“ ნიშნავს, რადგან ბიბლიის ბერძენი მთარგმნელები შეცდომით ფიქრობდნენ, რომ მატიანეთა წიგნები შეიცავდნენ ადრინდელ წიგნებში გამოტოვებულ ცნობებს.

ბიბლიის მკვლევარნი სხვადასხვა აზრისა არიან ამ წიგნთა შექმნის დროის შესახებ. დიდხანს მიაჩნდათ, რომ მეფეთა წიგნების ავტორები იყვნენ მეფე სოლომონი და წინასწარმეტყველები გადი და ნათანი. თალმუდის თანახმად, ამ წიგნების ავტორია იერემია წინასწარმეტყველი. ამ შეხედულებას ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარიც იზიარებს.

მატიანეთა წიგნები, როგორც ჩანს, შეიქმნა ძველი წელთაღ-

---

[1] ქართულად მათ ნეშტთა წიგნები ეწოდება (რედ).

რიცხვის IV საუკუნის მეორე ნახევარში. ამაზე მეტყველებს, კერძოდ, არამეიზმების სიმრავლე მათ ენაში.

ერთი რამ უეჭველია: ტექსტის საბოლოო ვარიანტის ავტორები იყვნენ გადაძწერი ქურუმები, რომლებიც მეფე ოსიას (ძვ. წ. 640—609) მიერ გატარებულ რელიგიურ რეფორმებს ემხრობოდნენ. ამას მოწმობს მკვეთრად გამოხატული მისწრაფება ყველა ისტორიული მოვლენის თეოკრატიული სულისკვეთებით შეფასებისა. ბიბლიის შემდგენელთა აზრით, მეფეთა უპირველესი მოვალეობა იყო ღმერთ იაჰვეს საძსახური და უზენაეს ქურუმებისადმი მორჩილება. მთელი მათი მოღვაწეობის ავად თუ კარგად მიჩნევა მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ასრულებდნენ ისინი ამ მოთხოვნებს.

საულს კონფლიქტი ჰქონდა უზენაეს ქურუმ სამოელთან და ამის გამო შემდგენლებს მაინცდამაინც თვალში არ მოსდით იგი. სამაგიეროდ, ქურუმთა წოდების ერთგული მეგობრის, დავითისათვის არაფერი ეშურებათ. ისინი ცდილობენ, დავითის ზოგიერთი დანაშაული გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის შედეგად მოგვაჩვენონ, ზოგს კი რელიგიური მოსაზრებებით ამართლებენ. აი, მაგალითიც: მათი სიტყვით, საულის შეიდი შთამომავალი დავითს იაჰვეს პირდაპირი მითითებით გაუნადგურებია.

ამ ეპოქის ისტორია დაიწერა ძალიან დიდი ხნის შემდეგ. მისი ერთი ნაწილი კი რამდენიმე საუკუნის შემდეგ იქნა აღწერილი. ამიტომ, რა თქმა უნდა, ბიბლიის ზემოთ ჩამოთვლილ წიგნებში მოთხრობილ ამბებში ყველაფერი როდია ჭეშმარიტი და მართალი. მიუხედავად ამისა, ამ წიგნებში მაინც ბევრია ისეთი ცნობა, რომელიც ისტორიულ სინამდვილედ შეიძლება მივიჩნიოთ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება იმ მოვლენებს, რომლებიც აღწერილია დაწვრილებით, უამრავი, საოცრად რეალისტური, მკვეთრი და დრამატული დეტალებით. ასეთი აღწერა კი უტყუარი ფაქტების გადმოცემისას ხდება ხოლმე.

ბიბლიის შემდგენლებს არ მიუჩუმათებიათ მთელი რიგი მოქმედებანი და დანაშაულებანი, რომელთა ხსენება თავს ლაფს ასხამდა ნაციონალურ გმირებს — დავითს თუ სოლომონს. ეს ფაქტი კი ადასტურებს, რომ შემდგენლებს ხელთ უნდა ჰქონოდათ რაღაც უტყუარი ისტორიული წყაროები. ამასთან ერთად, ცხადია, მათ სულაც არ ამოძრავებდათ მიუკერძოებელი ისტორიული ობიექტურობის იდეა. ასეთი ცნებები სრულიად უცხო იყო იმ ეპოქის ადამიანებისათვის. ალბათ შემდგენლებმა ამ სასირცხო ფაქტებს იმიტომ ვერ აუარეს გვერდი, რომ ხალხი მათ ძალიან კარგად იცნობდა. საულის შთამომავალთა განადგურება, თუ სოლომონის კერპთაყვანისმცემლობა იერუსალიმში უთუოდ მრავალ თაობას დაამახსოვრდა.

საბოლოოდ მაინც მოხერხდა მრავალი ლეგენდიდან, მითი-

დან და ხალხური გადმოცემიდან ზოგიერთი ძირითადი ფაქტის გამოწვლილება. ამ ფაქტებმა შეგვაძლებინა (ნაწილობრივ მაინც) ისრაელიტელი ხალხის მაშინდელი ცხოვრების ნამდვილი სურათის აღდგენა.

მეფეთა პირველი წიგნი მღვდელთმთავარ ელისა და მისი შვილების მოკლე, მაგრამ ძალზე დრამატული ბიოგრაფიით იწყება. რამდენი სიმართლეა ამ ტრაგიკულ სახეში? ძვონი, ზედმეტ სითამამეში არ ჩამოგვართმევენ, თუ დავუშვებთ ვარაუდს, რომ მღვდელთმთავარი ელი ნამდვილად არსებობდა. ეს იყო კაცი, რომელსაც ღვთისმოსაობით ისრაელიტელი ტომების პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური ურთიერთობანი ელისათვის ძალზე ხელსაყრელად წარიმართა. ისრაელის რელიგიური დედაქალაქი — სელომი მდებარეობდა ეფრემის მრავალრიცხოვანი და ძლიერი ტომის ტერიტორიაზე. ამასთანავე, ეს ტერიტორია ქვეყნის ცენტრში იყო და, მაშასადამე, მტრის შემოსევებისაგან თავისუფალი იყო, მაშინ, როცა ჩრდილოეთში, აღმოსავლეთსა და სამხრეთში მცხოვრები ტომები იძულებულნი იყვნენ, თავგანწირული წინააღმდეგობა გაეწიათ მეზობელი ხალხების შემოტევისათვის. იუდას ტომი, რომელიც ისრაელში თავისი გავლენის დამკვიდრებისათვის ძველთაგანვე ებრძოდა ეფრემის ტომს, ფილისტიმელთა გამგებლობაში მოექცა და დროებით დაკარგა პოლიტიკური როლი.

აქედან იწყება ეფრემის ტომის ჰეგემონია, რომლის შედეგი იყო საერო და რელიგიური ხელისუფლების თავმოყრა უზენაესი ქურუმის ელის ხელში.

მოსეს გარდაცვალების შემდეგ პირველად განხორციელდა იაჰვეს მიმდევართა სანუკვარი ოცნება: ისრაელში თეოკრატიული რეჟიმი დამკვიდრდა. მაგრამ ცალკეული პიროვნების მორალურ ავტორიტეტზე დამყარებული რეჟიმი მტკიცე ვერ იქნებოდა. ელიმ იცოდა ეს, ამიტომაც ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ უზენაესი ქურუმის თანამდებობა მემკვიდრეობით გადასცემოდა მის ოჯახს. მას გეგმები ჩაუფუშეს შვილებმა, რომელთა გარყვნილობამ და უპატიოსნებამ ხალხი ამხედრა თვით ელი კი ძალზე შოხუცი იყო და შვილებთან ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა.

მისი ოჯახის გავლენის დაცემასა და სჯულის კიდობნის დაკარგვას შეიძლებოდა თეოკრატიის საბოლოო განადგურება მოჰყოლოდა, რომ იგი კვლავ არ გაეძლიერებინა წინასწარმეტყველ სამუელს.

მეფეთა წიგნები ლუმილით უვლიან გვერდს აფეკთან ისრაელიტელთა დამარცხების სამხედრო და პოლიტიკურ შედეგებს. მაგრამ ზოგიერთი შენიშვნების მიხედვით, რომლებიც ბიბლიის

სხვა წიგნებში გვხვდება, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამარჯვებულმა ფილისტიმელებმა მთელს ისრაელში დაიწყეს პარპაში. ქვეყნის მთელი ცენტრალური ნაწილი მათ კონტროლქვეშ იმყოფებოდა. ისრაელის მრავალ ქალაქში ფილისტიმელთა რაზმები იდგნენ. ეს მდგომარეობა ოც წელს გრძელდებოდა, სანამ ისტორიის ასპარეზზე მეფე საული არ გამოჩნდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბიბლიის შემდგენლებს მეფეთა წიგნებში კრინტიც არ დაუძრავთ ისრაელის მაშინდელი დედაქალაქის სელომის ბედის შესახებ. დაკვირვებული მკითხველი ყურადღებას მიაქცევს საოცარ ფაქტს: ელის შემცველი წინასწარმეტყველი სამოელი არ დამკვიდრებულა წმინდა ქალაქში, სადაც მოსეს კარავი და სჯულის კიდობანი იყო. იგი რამათაიმში გადაბარგდა.

რა ბედი ეწია სელომს? ამ კითხვაზე არაპირდაპირ პასუხს ვხვდებით იერემია წინასწარმეტყველის წიგნში, სადაც ნათქვამია: „მივედით ადგილსა ჩემსა სელომს, სადა დავაკვიდრე სახელი ჩემი პირველად და იხილეთ, რა უყო მას პირისაგან უკეთურებისა ერისა ჩემისა ისრაელისა“ (წინასწარმეტყველება იერემიასი, თ. 7; მ. 12).

ამ ინფორმაციის შესაბამად გამოდგება მეორე ადგილი იმავე წიგნიდან: „ვითარცა სელომი იყოს სახლი ესე და ქალაქი ესე იყოს ცარიელ და მოოხრდეს მკვიდრთაგან“ (წინასწარმეტყველება იერემიასი, თ. 26; მ. 9).

ეს ციტატები ნათელჰყოფს, რომ ფილისტიმელებმა დაანგრიეს სელომი. იგი უკვე აღარ არსებობდა, როგორც ისრაელის დედაქალაქი. ეს მოვლენა ისე მკვიდრად ჩარჩა ხალხის გონებაში, რომ იერემია მას ოთხასი წლის შემდეგაც კი იხსენებს, როგორც ღვთის რისხვის მაგალითს. ბიბლიის შემდგენელმა ქურუმებმა მოხერხებულად აუარეს გვერდი ამ საკითხს და ძირითადი ყურადღება მიაქციეს სჯულის კიდობნის ტრიუმფალურ სვლას ფილისტიმელთა ქალაქებში.

საკითხი საბოლოოდ ახსნა არქეოლოგიამ. 1926—1929 წლებში დანიის ექსპედიციამ მიაკვლია სელომის ნანგრევებს ქალაქ სიქემის სამხრეთით, დაახლოებით ოცდაორ კილომეტრზე. ერთ-ერთ ბორცვზე აღმოაჩინეს ადგილი, სადაც ალბათ იდგა წმინდა კარავი, რომელშიც იაჰვეს სამსხვერპლო და სჯულის კიდობანი იყო. რაც მთავარია — ნანგრევებს, რომელიც კუთვნის XI საუკუნეს ჩვენს ერამდე, აშკარად ატყვია ხანძრისა და ნგრევის ნაკვალევი. ამგვარად, ზუსტად დადგინდა, რომ სელომი ფილისტიმელ დამპყრობთა მსხვერპლი გახდა.

ჩანს, ცეცხლმა შთანთქა მოსეს კარავი — ისრაელის უძვირფასესი ნაციონალური ძეგლი. მაგრამ რა მოუვიდა სჯულის კიდობანს? ყველაფერი, რასაც ბიბლია მოგვითხრობს ამის შესა-

ხებ, იმდენად ფანტასტიკურია, რომ მართალი არ შეიძლება იყოს.

თუკი ფილისტიმელებმა მართლაც ხელთ იგდეს სჯულის კიდობანი, რატომღა თქვეს მასზე უარი შვიდი თვის შემდეგ? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფილისტიმელებს იმ დროს თავს დაატყდათ რაღაც სტიქიური უბედურება ან ეპიდემია. ხალხურმა ცრურწმენამ კი იგი ისრაელიტელთა ღვთაების შურისძიებად მიიჩნია. ეს სავსებით შეესაბამება ჩვენს ცნობებს ძველი ხალხების რელიგიურ წარმოდგენებზე. საკუთარი ღმერთების კულტი სრულებითაც არ გამორიცხავდა მაშინ უცხო, მტრულად განწყობილი ღმერთების არსებობისა და ძლიერების რწმენას. ამიტომ სჯულის კიდობნის საოცარ ბედზე გავრცელებულ ამბავში იქნებ მართლაც არის სიმართლის ნატამალი.

ამ ამბავში განსაკუთრებით გაუგებარია ერთი ეპიზოდი. ბეთშემეშში იაჰვემ დახოცა ორმოცდაათიათას სამოცდაათი ისრაელიტელი იმიტომ, რომ ზოგმა მათგანმა სჯულის კიდობანში ჩახედვა გაბედა. ეს, რასაკვირველია, ურჯუკ ფანატიკოსთა ვერსიაა. მაგრამ, შესაძლოა ამას საფუძვლად უდევს თაობათა მეხსიერებაში შემონახული რომელიმე ნამდვილი ამბავი.

მკვლევარებმა ამ გაუგებარი ინციდენტის ასახსნელად მრავალი ვარაუდი გამოთქვეს. ზოგიერთის აზრით, ისრაელიტელებმა სჯულის კიდობანი დაგონის ტაძრიდან მოიპარეს. მათ ფილისტიმელები დაედევნენ და ბეთშემეშთან დაეწიენ. აქ მომხდარ ბრძოლაში დაიღუპა იმდენი მეომარი, რამდენიც ბიბლიაშია დასახელებული. კიდობანი კი გადაარჩინეს და კარიათ-არიმში დამალეს. მაგრამ ამ თეორიას აქვს სუსტი მხარეც. ისმის კითხვა: რატომ წარმოგვიდგინეს ბიბლიის შემდგენლებმა აღთქმის კიდობნის დაცვისას დაღუპული მებრძოლები დამნაშავეებად, მკრეხელებად და იაჰვეს მიერ დასჯილებად?

არსებობს სხვა ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვითაც სჯულის კიდობანი არასოდეს ჩავარდნილა ფილისტიმელთა ხელში და აფეკთან დამარცხებისთანავე იგი კარიათ-არიმში გადაიტანეს. ბეთშემეშის მკვიდრნი კი იმიტომ ამოჟლიტეს დედა-ბუდიანად, რომ ისრაელის ძეთა სხვა ტომებმა შური იძიეს მათზე, რადგან ამ ქალაქის მცხოვრებლებმა უარი თქვეს ფილისტიმელების წინააღმდეგ გამართულ ომში მონაწილეობაზე. სწორედ ამით აიხსნება ბიბლიის ავტორთა ცუდი დამოკიდებულება მათ მიმართ.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ჰიპოთეზა სამოქალაქო ომის შესახებ, მაგრამ მართლაც საოცრად გვეჩვენება ბეთშემეშის მცხოვრებთა მოქმედება. ისინი ფილისტიმელებთან მრისხანე ომის დროს მშვიდად გავიდნენ სამკალში, თითქოს დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლა და სჯულის კიდობნის დაცვა მათ სულაც არ ეხებოდათ.

ელის შემდეგ მართვა-გამგებლობა სამოელის ხელში გადავიდა. მაგრამ ეს აფეკთან დამარცხებისთანავე არ მომხდარა. რამდენიმე წლის შემდეგ სამოელის გავლენა იმდენად განმტკიცდა, რომ იგი ისრაელის ფაქტიური მმართველი გახდა და შერყეული თეოკრატიული რეჟიმი აღადგინა.

ებრაელები სამოელს აკუთვნებდნენ თავის უდიდეს წინასწარმეტყველთა რიცხვს. კათოლიკური ეკლესიაც კი მას თვლის წმინდანად და ქრისტეს მაუწყებლად. წმინდა იერონიმე ამტკიცებს, რომ იმპერატორმა არკადიმ (ჩვენი წელთაღრიცხვის 378—408 წლები) რამათაიმიდან თრაკიაში გადაიტანა სამოელის ნეშტი, ხოლო მისმა ასულმა პულქერიამ (ჩვენი წელთაღრიცხვის 405—453 წლები) იგი კონსტანტინოპოლში წაიღო და დიდი ამბით დაკრძალა საგანგებოდ აგებულ მაზოლეუმში.

დროთა განმავლობაში სამოელზე იმდენი ლეგენდა შეიქმნა, რომ ბიბლიის შემდგენლები ვეღარ გაერკვნენ, ვინ იყო იგი და რაში გამოიხატებოდა მისი მოღვაწეობა.

რასაკვირველია, ხალხის ფანტაზიის ნაყოფია მოთხრობების მთელი ციკლი დედამისზე, მის დაბადებაზე, იაჰვესთან საუბარსა და წინასწარმეტყველებაზე.

ბიბლიის ტექსტში გვხვდება ისეთი ცნობები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ბურუსით მოსავს ისტორიული სინამდვილის სურათს. აი, მაგალითად: ლეგენდის დასაწყისში სამოელი მთელს ქვეყანაში ცნობილ კაცად არის გამოყვანილი, მეცხრე თავში კი იგი ერთი უბრალო წინასწარმეტყველია, რომელსაც მხოლოდ თავის კუთხეში იცნობენ და რომლის ამბავსაც საულს მსახურები აგებინებენ. ამრიგად, გამორჩენილი ქურუმი უცებ რატომღაც დამდაბლებულია და გამოყვანილია უბრალო მკითხავად, რომელიც მცირეოდენი საზღაურის ფასად გირჩევს, როგორ იპოვო დაკარგული ვირები.

ახლა, ცხადია, უკვე შეუძლებელია ჭეშმარიტების აღდგენა. წინააღმდეგობა ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ბიბლიის შემდგენლები ერთ სიუჟეტად აერთიანებდნენ ორ სხვადასხვა ხალხურ თქმულებას და არ ზრუნავდნენ მათ ლოგიკურ შეთანხმებაზე.

ამრიგად, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ სრულ სიმართლედ მივიღოთ ყველაფერი, რაც ბიბლიურ თქმულებაში შედარებით უფრო დამაჯერებლად მოგვეჩვენება. თითქმის არაა საეჭვო, რომ სამოელი იყო უზენაესი მღვდელთმთავარი და მსაჯული, რომ ელის სიკვდილისა და სელომის დანგრევის შემდეგ მან თავის რეზიდენციად რამათაიმი აირჩია და საული მეფედ აკურთხა. შემდეგ კი მათ უთანხმოება მოუვიდათ ქურუმთა კუთვნილ

ბრიეილეგიების გამო. ამიტომ სამოელი საულის მოწინააღმდეგე გახდა და ტახტის პრეტენდენტად დავითი წამოაყენა. ეს ფაქტები სრულიად შეესაბამება იმას, რაც ჩვენთვის ცნობილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ძველ მსოფლიოში. არქეოლოგების მიერ მიკვლეული მასალებიდან ვიცით, რომ ქურუმები ცდილობდნენ, თეოკრატიული რეჟიმი დაემყარებინათ აგრეთვე შუმერში, ასურეთსა და ეგვიპტეში. ამ სიადაგზე წარმოქმნილი განსხეთქილებანი საერო ხელისუფლებასა და ქურუმთა ზედა ფენებს შორის საკმაოდ გავრცელებული და კანონზომიერი მოვლენა იყო სოციალური პროცესების შესაბამისად.

თავისი მორალური ავტორიტეტის წყალობით სამოელმა ისრაელში თეოკრატიული რეჟიმის აღდგენა მოახერხა. ელის მსგავსად, ისიც იმაზე ოცნებობდა, რომ მღვდელთმთავრისა და მსაჯულის თანამდებობა მისი ოჯახისათვის მემკვიდრეობად ქცეულიყო.

ბიბლიის თანახმად, ამ გეგმების განხორციელებას ხელი შეუშალეს სამოელის სულმდაბალმა და მექრთამე შვილებმა. ასეთი ასნნა, რა თქმა უნდა, უკიდურესად პრიმიტიულია და უფრო დასამოძღვრავად გამოთქმულ იგავს მოგვაგონებს. თეოკრატიის დაცემისა და მონარქიის აღმოცენების ნამდვილი მიზეზი გაცილებით უფრო ღრმადაა საძებარი — მაშინდელ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაში.

აფეკთან დამარცხების შემდეგ, სამოელის მმართველობის დროს, ქვეყანას ფილისტიმელთა უღელი ტანჯავდა. სწორედ მაშინ დამკვიდრდა რწმენა, რომ მხოლოდ უდიდესი სამხედრო ტალანტის მქონე ბელადს შეუძლია იხსნას ხალხი დამპყრობლებისაგან. ეს ბელადი მეზობელი სახელმწიფოების მეფეთა მსგავსად სამეფო ტახტზე უნდა ასულიყო.

ერთი სიტყვით, ისრაელიტელებმა ყოველგვარი უბედურებისაგან ხსნის ერთადერთ საშუალებად მიიჩნიეს ტომთა გაერთიანება ერთიან სახელმწიფოდ ძლიერი მონარქის ხელისუფლების ქვეშ. ამ საღ პოლიტიკურ რეალიზმს სულ ახალ-ახალი მომხრეები შეემატა, რაკი ხალხი თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ უზენაესი ქურუმი ნამდვილად უძლურია და, რომ მისი მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა და მონანიებისაკენ მოწოდება ვერაფის შველის.

ამ განწყობილების ზრდას ხელს უწყობდა მაშინდელი კლასობრივი ურთიერთობანი. ქანაანის დაპყრობის შემდეგ ბევრი ისრაელიტელი ქალაქებში დასახლდა. ამის შედეგად გაჩნდა მდიდარ ვაჭართა, მიწათმოქმედთა, მოხელეთა, მხედართმთავართა და ტომების უხუცესთა ფენა. სწორედ ასეთი მდიდარი იყო ის ნაბალი, რომელმაც უარი განაცხადა დავითის სურსათით მო-

მარაგებაზე. მას სამი ათასი ცხვარი და ათასი თხა ჰყავდა. მეორე მხრივ კი იზრდებოდა გადასახადებითა და ვალებით წელში გაწყვეტილი ხალხის ფართო მასების სიღატაკე.

პრივილეგიების მქონე ახალ ფენას თავისი ქონება უნდა დაეცვა გაუბედურებულ თვისტომთა შემოტევისაგან. ამას კი მხოლოდ მონარქიული წყობილება უზრუნველყოფდა. გავიხსენოთ, რომ აბიმელექმა ქალაქ სიქემის მმართველთა მხარდაჭერით იგდო ხელთ ძალაუფლება, რომელიც მას სახალხო აჯანყებამ დააკარგვინა.

კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად იზრდებოდა ძალაუფლება მეფისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს აღმოსავლური ტიპის დესპოტად გადაიქცა. საული ჯერ კიდევ პატრიარქალური მეფე, მეფე-გლეხი იყო. იგი ძველებურ უბრალო ადათ-წესებს მისდევდა და თავისუფალ დროს თვითონვე მწყემსავდა საქონელს. დავითს კი უკვე დიდი სამეფო კარი და ჰარამხანა ჰქონდა; თავის ქვეშევრდომებსაც იგი ხშირად თვითნებურად ექცეოდა. და ბოლოს, სოლომონი ამყარებს წესებს, რომლებიც დიდებული პირამიდების მშენებლობისდროინდელ მონათმფლობელურ ეგვიპტეს მოგვაგონებს. იგი აიძულებს ათეულ ათასობით ქვეშევრდომს, მონურად იშრომონ ლიბანის ტყეების ჭრაზე, იორდანის იქით მდებარე მაღაროებში და იერუსალიმის სამშენებლო მოედნებზე.

უკვე სამოელის დროს მდიდარმა ზედა ფენამ, ოპოზიციის მიუხედავად, ისეთი პოლიტიკური გავლენა მოიპოვა, რომ მეფის არჩევასაც მიაღწია. საარჩევნო კრებები მასეფასა და გალგალში, როგორც ჩანს, ძალზე მღელვარედ მიმდინარეობდა. ბიბლიაში ხომ საგანგებოდ არის ხაზგასმული — საულმა შური არ იძია იმ ადამიანებზე, რომლებმაც მის წინააღმდეგ მისცეს ხმაო.

სრულიად გასაგები მიზეზების გამო სამოელიც მონარქიის წინააღმდეგი იყო. მეფის არჩევის მოთხოვნა მან პირად შეურაცხყოფად და დამარცხებად მიიჩნია, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ორივე ხელისუფლება — რელიგიურიც და საეროც — მისი საგვარეულო მონოპოლია იქნებოდა და მამისაგან შვილს გადაეცემოდა. ტომების წარმომადგენლებს იგი ნაღვლიანად ეკითხებოდა — რაში ვარ დამნაშავე, ხელისუფლებას რატომ მართმევთო, თან მეტად მუქ ფერებში უხატავდა საშიშროებას, რაც მათ მეფისაგან ელოდათ. ამანაც რომ არ გაჭრა, სამოელმა მათ განუცხადა — უზენაესი ქურუმის თეოკრატიული ძალა-უფლების უარყოფით თვით იაჰვეს უარყოფთო.

ბოლოს და ბოლოს სამოელმაც შეისმინა დაჟინებითი მოთხოვნები და დათმობაზე წავიდა, მაგრამ გულშიც არ გაუვლია ფაქტიურ ძალაუფლებაზე ხელის აღება და საქმე ისე წაიყვანა, რომ მომავალი მეფე მისი მორჩილი იარაღი ყოფილიყო. სწორ-

რედ ამის გამო დაადგა თვალი სამოელმა უბრალო ოჯახიდან გამოსულ ჭაბუკს, ისრაელიტელთა ყველაზე პატარა ტომის წარმომადგენელს. სამოელმა დააარსა წინასწარმეტყველთა სკოლა და, თუ ბიბლიას დავუჯერებთ, ამ სკოლაში წვრთნიდა თავის კანდიდატს, უნერგავდა მას უზენაესი ქურუმისადმი მორჩილების გრძნობას, მოსეს კანონებისა და იაჰვეს ერთგულებას.

როგორც ცნობილია, სამოელს მოლოდინი გაუცრუვდა. მოკრძალებული ჭაბუკი ბრწყინვალე მხედართმთავრად და ენერგიულ მმართველად იქცა. იგი დამოუკიდებლად წყვეტდა საქმეებს. ამის გამო საულსა და სამოელს შორის მძაფრი კონფლიქტი მოხდა და სამოელი გარეგნულად ვითომ ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ნამდვილად კი მან გააფთრებული ფარული ბრძოლა გაუმართა თავის ურჩ აღზრდილს. სამოელმა მოინდომა მისი ტახტიდან ჩამოგდება და მეფედ დავითი აკურთხა. კონფლიქტი აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა, როცა საულმა ბრძანა, ნობას ტაძარში დაეხოცათ ყველა ქურუმი, რადგან ისინი დავითს დაეხმარნენ. ამგვარად, ჩვენს წინაშეა კაცობრიობის ისტორიაში გავრცელებული ტიპიური კონფლიქტი საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის.

სურათი რომ სრული იყოს, უნდა შევჩერდეთ თავისებურ ინსტიტუტზე, რომელსაც ჩვენ წინასწარმეტყველთა სკოლას ვუწოდებთ. ეს გახლდათ უკიდურეს რელიგიურ ფანატიკოსთა გაერთიანებანი, რომლებიც პირველად გამოჩნდა ისრაელში დაახლოებით 1000 წელს ჩვენს ერამდე. ეს გაერთიანებები, ჩვეულებრივ, არსებობდნენ ისეთი მსხვილი რელიგიური ცენტრების მახლობლად, როგორიც იყო გება, ბეთელი, რამათაიმი, შემდეგ კი სამარიაც.

რელიგიური ექსტაზი უცხო არ ყოფილა არც სამოელისთვის, არც საულისა და დავითისათვის. რამათაიმიდან შინ მიმავალი საული წინასწარმეტყველთა ჯგუფს შეუერთდა და მონაწილეობა მიიღო მათ აღტყინებულ როკვა-სიმღერაში. მან მეორედ დაკარგა გონება, როცა ქალაქ იაბისისათვის ალყის შემორტყმის ამბავი გაიგო. მაშინ საულმა აჩეხა ორი ხარი, რომლებიც სახნავში ჰყავდა გამოყვანილი". მესამედ ასეთი რამ შეემთხვა რამათაიმში, როცა დავითს დაედევნა. მას გამოეგება სამოელი თავის წინასწარმეტყველებთან ერთად; მონუსხა იგი როკვით, სიმღერით, შეძახილებით და საერთო ფერხულში ჩაითრია.

მეფეთა პირველ წიგნში ნათქვამია: „და ოდეს აღხვიდე მუნ ქალაქად, და შეგემთხვიოს დასი წინაწარმეტყველთა, გარდამოსავალი მაღლით, და წინაშე მათსა ქნარი, და წინწილი და ებანი და ნესტვი და იგინი წინასწარმეტყველებდენ". (პირ. მეფეთა, თ. 10, მ. 5). ეს აღწერა ამტკიცებს, რომ ქვეყნად ფანატიკოსე-

ბისა და რელიგიური მისტიკოსების ჯგუფები დაეხეტებოდნენ. ისინი საოცრად ჰგავდნენ ისლამის დერვიშებს. ეს ისრაელიტელი წინასწარმეტყველები ატარებდნენ ტილოს ტანსაცმელს, საგანგებო ქამრებს და, დერვიშების მსგავსად, მოწყალებას ითხოვდნენ. მათი რელიგიური წესები მარტო სიმღერით, როკვითა და წინასწარმეტყველებით როდი ამოიწურებოდა. მათ ჩვეულებად ჰქონდათ აგრეთვე საკუთარი თავის ტანჯვა, სხვადასხვა საწამებელი იარაღით იგვემდნენ სხეულს. ნიშანდობლივია, რომ ეს წინასწარმეტყველები საკმაოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ ისრაელის რელიგიური ცხოვრების ასპარეზზე. ეს იმას მოწმობს, რომ ერთობლივი აღტყინებული წინასწარმეტყველება არ ყოფილა ადგილობრივი, ისრაელში წარმოშობილი მოელენა. მისი სადაურობის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. თუმცა გაბატონებულია აზრი, რომ ისრაელიტელებმა იგი ბაალის, ასტარტესა და ფინიკიის სხვა ღვთაებათა კულტთან ერთად ქანაანელებისაგან გადმოიღეს.

წინასწარმეტყველთა ასეთი სკოლების სამშობლოდ ფრიგია (მცირე აზია) მიაჩნიათ. აქედან სკოლებმა ფინიკიასა და ქანაანში შეაღწიეს. მეფეთა მესამე წიგნში ნათქვამია, რომ დედოფალი იეზაბელი ოთხას ფინიკიელ წინასწარმეტყველს ინახავდ.

აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა სხვა ხალხებისთვისაც არ ყოფილა უცხო. საკმარისია გავიხსენოთ აპოლონისა და დიონისეს პატივსაცემად გამართული ძველი ბერძნული ორგიები. ჰეროდოტე გვიამბობს შთაგონებულ ადამიანებზე, რომლებიც საბერძნეთში დადიოდნენ და ლექსად წარმოთქვამდნენ წინასწარმეტყველებას.

ისრაელში წინასწარმეტყველთა მოძრაობამ ფანატიკური ფორმები მიიღო. წინასწარმეტყველ ოსეს (VII საუკუნე ჩვენს ერამდე) სურდა, იუდეველთათვის დამტკიცებინა, რომ სხვათა ღმერთების თაყვანისცემა უმძიმესი ცოდვაა და იგივეა, რაც სიძეა. ამიტომ იგი სამი წელი ცხოვრობდა გარყვნილ ქალთან, სხვის ცოლთან. წინასწარმეტყველი ესაია (VIII საუკუნე ჩვენს ერამდე) ქალაქში შიშველი დადიოდა. ამით იერუსალიმის მცხოვრებლებს აფრთხილებდა — იაჰვე ასე განძარცვავს თქვენს ცოდვილ ქალაქს და მთელ სიმდიდრეს წაგართმევთო.

რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ქანაანში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მოხეტიალე წინასწარმეტყველთა ჯგუფები, რომელთაც ცრუმორწმუნე ისრაელიტელები შიშითა და პატივისცემით ექცეოდნენ, უსმენდნენ მათ წინასწარმეტყველებას და მოწყალებაზე უარს არ ეუბნებოდნენ. დროთა განმავლობაში წმინდა ადამიანთა რიგებში ყველა ჯურის თაღლითები შეიპარნენ. ბიბლიაში ისინი ცრუწინასწარმეტყველებად იხსენიებიან. მათ გამო ხალხი მტრულად განეწყო წინასწარმეტყველებისად-

ზი და შეიძულა კიდეც ისინი. ამას მოწმობს, კერძოდ, ის კითხვები, რომლითაც ერთმანეთს მიმართავდნენ გებას მცხოვრებნი: „ნუთუ აწ საულცა წინაწარმეტყველთა თანა არს?“ როცა დავითი როკვით მოუძღოდა აღთქმის კიდობანს, მისმა მეუღლემ მელქულმა ზიზღით განაცხადა — მეფეს ასეთი საქციელი არ შეჰფერისო. ბრძენი და ხალხის მოძღვარი ამოსი დიდად თაკილობდა წინასწარმეტყველობას და ითხოვდა, ამას ნუ მიწოდებთო.

წინასწარმეტყველთა მოძღვრების გავლენით, აგრეთვე პოლიტიკურ უბედურებათა და ჩაგვრის გამო ებრაელები თანდათანობით აღრმავებდნენ თავის რელიგიას, ვიდრე ბაბილონის ტყვეობის შემდეგ მან წმინდა მონოთეიზმის სახე არ მიიღო.

ბუნებრივია, ამ ევოლუციას კოლექტიური წინასწარმეტყველების პრიმიტიული ფორმების ლიკვიდაცია უნდა მოჰყოლოდა. უმაღლესი რანგის წინასწარმეტყველებს, რომელთა საწარმოებებიც ბიბლიაში შევიდა, საერთო არა ჰქონდათ რა ქვეყნად მოხეტიალე მისნებთან. მაგრამ ისინი ისრაელის ისტორიულ ასპარეზზე ისე კი არ გამოჩენილან, როგორც „deus ex machina“*, მათი მოვლინება უეჭველად კოლექტიური რელიგიური წინასწარმეტყველების მრავალსაუკუნოვანი განვითარების ნაყოფი იყო.

საულის ტრაგიკულ ისტორიას ჩვენ მხოლოდ ბიბლიიდან ვიცნობთ, და არსებითად, არ ძალგვიძს ვთქვათ, თუ რამდენად მართალია იგი. ამიტომ აღმოჩენა რაიმე რეალური საბუთისა, რომელიც რამდენადმე მაინც დაადასტურებდა ბიბლიის ვერსიას, ნამდვილად ამაღელვებელი მოვლენაა. ასეთი რამ მოხდა 1922 წელს — ამერიკელმა არქეოლოგმა და აღმოსავლეთმცოდნემ ოლბრაითმა თელ-ელ-ფულეში, იერუსალიმიდან ხუთ კილომეტრზე, საულის დედაქალაქის გებას ნანგრევები აღმოაჩინა. გათხრებმა ნათელყო, რომ იგი იყო მთაზე აგებული ძლიერი ციხესიმაგრე, კონსტრუქციულად სადა და უბრალო, მაგრამ სრულიად მიუდგომელი. მას იცავდა კუთხის კოშკები და ქვის ბლოკებით ნაგები ორმაგი გალავანი. გალავნებს შორის ფარული გადასასვლელები და სურსათის საწყობები იყო. ნანგრევებში დიდი რაოდენობით იპოვეს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ისრის ბუნიკები და შურდულით სასროლი ქვა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნანგრევები ეკუთვნის ძველი წელთაღრიცხვის XI საუკუნის მეორე ნახევარს — ისრაელის პირველი მეფის მმართველობის ხანას.

აღმოჩნდა აგრეთვე ნანგრევები ბეთ-შანისა, სადაც ფილისტიმელებმა შეურაცხყვეს საულის გვამი. ბიბლიის თანახმად, მათ ბედუკულმართი მეფის თავი დაგონის ტაძარში მოათავსეს,

საჭურველი — ასტარტეს ტაძარში, ტანი კი ქალაქის გალავანზე გადმოჭკიდეს. ქალაქის ნანგრევები ოცდასამ მეტრზე მაღალი იყო და შედგებოდა თვრამეტი ფენისაგან, რომლებიც სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნებოდა. ყველაზე ქვედა ფენა თარიღდება მეოთხე ათასწლეულით ჩვენს ერამდე; მაშასადამე, ბეთ-შანი ქანაანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო ის არის, რომ საულის დროინდელ ფენაში აღმოჩენილია ნანგრევები ერთმანეთის გვერდით მყოფი ორი ტაძრისა (დაგონისა და ასტარტესი), რომელთაც ბიბლია იხსენიებს.

ეს ორი ტაძარი მოწმე იყო ფილისტიმელთა და ისრაელიტელთა კონფლიქტისა, რომელიც გულადი მეფისა და მისი სამი ძის დაღუპვით დამთავრდა. გზადაგზა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ისტორიული დეტალი, რომლის შესახებაც ბიბლიის ავტორებს კრინტიც არ დაუძრაეთ. ფერფლის სქელი ფენა, გაჭვარტლული ქვები და ღვთაებათა დამსხვრეული ქანდაკებები უჭეველს ხდიან, რომ ქალაქი იმსხვერპლა მოულოდნელმა თავდასხმამ და ხანძარმა. ეს გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დავითმა თავისი წინამორბედის გვამის შეურაცხყოფისათვის იძია შური და მოაოხრა ბეთ-შანი.

ბიბლიის სხვა ნაწილებზე საუბრისას ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ დავითის ამბავი აგებულია ხალხურ თქმულებებზე, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ასეული წლების განმავლობაში. ამ თქმულებათა ბიბლიაში ჩართვისას შემდგენლებს არ შეუნიშნავთ, ან არაფრად ჩაუგდიათ ის წინააღმდეგობანი, რომლებიც მათში გვხვდება.

ამ წინააღმდეგობათაგან მაგალითისათვის ზოგიერთს დავასახელებთ იმის საჩვენებლად, თუ როგორ სიძნელეებს აწყდებიან ბიბლიის მკვლევარნი ისტორიული სიმართლის დადგენისას.

თუ შევეცდებით, ვუპასუხოთ კითხვას, რა გზით მოხვდა დავითი საულის სამეფო კარზე, საყოყმანოდ გაგვიხდება საქმე, რადგან ბიბლია ამის შესახებ ორ სრულიად სხვადასხვა ვერსიას გვაწვდის. მეფეთა პირველი წიგნის მეთექვსმეტე თავიდან ვიგებთ: დავითი იმიტომ მოუყვანიათ სასახლეში, რომ ემარჯვებოდა ქნარზე დაკვრა და ამით მეფის გული მოუგია. მეჩვიდმეტე თავი კი გვამცნობს, რომ დავითმა გოლიათზე გამარჯვებით მიიპყრო საულის ყურადღება. გოლიათი უცნობმა მწყემსმა დაამარცხა. საულმა მოაყვანინა იგი და იკითხა: „ვისი ძე არს ჭაბუკი ესე?“ მაშასადამე, იგი მას ადრე არ იცნობდა.

კიდევ უფრო საყურადღებო მაგალითია გოლიათის მოკვლის ამბავი. გავრცელებული ვერსია, რომ გოლიათი დავითმა მოკლა ორთაბრძოლაში, მეფეთა პირველ წიგნს ეყრდნობა. მეფეთა მეო-

რე წიგნის კითხვისას კი გაოცება გვიპყრობს. იგი გვამცნობს, რომ გოლიათი თურმე მოუკლავს არა დავითს, არამედ ვინმე ბეთლემელ ელქანანს.

ბიბლიის მკვლევარებმა არა ერთხელ სცადეს ამ წინააღმ-დეგობათა ახსნა და გაქარწყლება. ახალმა აღმოჩენამ გოლიათის შესახებ მეცნიერები მოულოდნელად დააკვალიანა. გამოირკვა, რომ თურმე, არც კი გვცოდნია, რა ერქვა საულის მომდევნო მეფეს ისრაელის ტახტზე. „დავითი", ისევე, როგორც „დავი-თული", მარის ტექსტებში, საკუთარი სახელი კი არაა, არამედ წოდება ან მეტსახელი, რომელიც წინამძღოლს, ან მზრუნველს ნიშნავს. ეს რომ გამოირკვა, ბიბლიის მრავალმა მკვლევარმა დაასკვნა, რომ დავითი და ელქანანი ერთი და იგივე პიროვნე-ბაა.

ამგვარად, თუ ვივარაუდებთ, რომ გოლიათი მოკლა ბეთლე-მელმა მწყემსმა ელქანანმა, რომელსაც შემდეგ მადლიერმა ის-რაელიტელმა ხალხმა დავითი უწოდა, წინააღმდეგობა ქრება, თითქოს მას ჯადოსნური კვერთხით შეეეხეთო.

მაგრამ ამ ჰიპოთეზას მთლიანადაც რომ დავეთანხმოთ, რჩე-ბა კიდევ მრავალი წინააღმდეგობა, რომლებიც ამცირებს ბიბ-ლიურ თქმულებათა ისტორიულ ღირებულებას. ბიბლიაში ერთ-მანეთშია არეული ფაქტები და ლეგენდები, ძველი ხალხური გადმოცემები შევსებულია გვიანდელი დამატებებით. მაშასადამე, მეცნიერები, ძალიანაც რომ ეცადონ, ვერასოდეს შეძლებენ სრული ჭეშმარიტების დადგენას. ასეთი შეუსაბამობის ტიპიუ-რი მაგალითია იმის მტკიცება, თითქოს დავითმა გოლიათის თა-ვი იერუსალიმში წაიღო. ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით გვიან-დელი დამატებაა. ცნობილია, რომ დავითმა იერუსალიმი დაი-პყრო უფრო გვიან, როცა უკვე ისრაელის მეფე იყო.

ლეგენდა გახლავთ აგრეთვე ის ტრადიციაც, რომელიც და-ვითს მიაწერს ბიბლიაში თავმოყრილ ფსალმუნთა უმრავლე-სობის ავტორობას. ეჭვი არ არის, რომ მომდევნო თაობათა შეგ-ნებაზე ფსალმუნებმა უფრო დიდი გავლენა მოახდინეს, ვიდრე ძველი აღთქმის სხვა წიგნებმა. ესაა რელიგიური ლირიკა, რო-მელიც გამოირჩევა წარმტაცი და მდიდარი განწყობილებით. იგი გამოხატავს გრძნობათა მთელ გამას: უსასოობას, მორჩი-ლებასა და უიმედობას, იმედსა და რწმენას, მადლიერებასა და მხიარულებას. დიდებულმა უბრალოებამ, ლაკონიზმმა, სადა სტილმა და გულში ჩამწვდომმა ღრმა რელიგიურმა გრძნობამ ფსალმუნები აქცია მრავალი პოეტის, მხატვრისა და კომპოზი-ტორის შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ.

ამ რელიგიური ჰიმნების მთავარი იდეაა მონოთეიზმი. ისიწი თავისებური აპოთეოზია იაჰვეს დიდებულებისა და ძლიერებისა. იაჰვე მოწყალეა, მას შეუძლია ადამიანებს მიუტევოს უმძიმესი

შეცოდებანი, მაგრამ, ამავე დროს, მრისხანების ჟამს, იგი ულმობელია და დაუნდობლად სჯის ყველას. ეს უკვე უმაღლესი რანგის ღვთაების კონცეფციაა, ღვთაებისა, რომელიც ადამიანს ზნეობრივ კანონებს კარნახობს. მაგრამ ამ პოემების კოსმოლოგია ისეთივე პრიმიტიულია, როგორიც აბრაამის დროს იყო. იაჰვე ზეცაში ზის ტახტზე, მის გარშემო დგანან ანგელოზები. მიწა ბრტყელია და ოკეანით გარშემორტყმული, ქაოსისა და ბოროტების საშინელი ურჩხულები ებრძვიან წესრიგსა და შეშოქმედ ძალებს. მხოლოდ მოგვიანებით იმარჯვებს იაჰვე, ქვეყანას კი დავითის შთამომავალი მეფეები განაგებენ.

ფსალმუნთა სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან. „ფსალლეინ“ ნიშნავს სიმებზე თითების შეხებას, ხოლო „ფსალმოსი“ — სიმებიან ინსტრუმენტს (რომელიც, ალბათ, ფინიკიური წარმოშობისაა), ანდა მისი აკომპანემენტით შესრულებულ სიმღერას. მეექვსე და მეთერთმეტე ფსალმუნები იწყება შენიშვნით: „რვასიმიან საკრავზე“. უეჭველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ფსალმუნი უნდა შესრულდეს რვასიმიანი საკრავის აკომპანემენტით. ფსალმუნებში ბევრი რამ გვიჩვენებს, რომ ტექსტი იყოფოდა სოლოსა და გუნდის პარტიებად. თითოეული პოემა მსგავსი იყო ლიტანიისა თუ ანტიფონისა — სხვადასხვა ლიტურგიული ცერემონიების ამ განუყრელი კომპონენტებისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითის ავტორობა ლეგენდაა. ფსალმუნთა ტექსტის ანალიზი უდავოს ხდის, რომ მათი უმრავლესობა ვერ შეიქმნებოდა ბაბილონის ტყვეობამდე. ფსალმუნები ბიბლიაში შეიტანეს მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. III საუკუნეში. მათი შინაარსი გამოხატავს ისეთ რელიგიურ წარმოდგენებსა და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომლებიც დამახასიათებელია ებრაული ისტორიის ბოლო, ბაბილონის ტყვეობის შემდგომი პერიოდისათვის. ელეგიური მოთქმაც კი, რომელიც თითქოსდა დავითს შეუქმნია საულისა და იონათანის სიკვდილის შემდეგ, სინამდვილეში ნასესხებია ჰიმნთა უძველესი კრებულიდან — „მართლის წიგნიდან“.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დავითი არ ყოფილა პოეტი და მუსიკოსი. ისრაელიტელები, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მუსიკალურობით გამოირჩეოდნენ. ბენი-ჰასანში აღმოჩენილ ფრესკაზე ებრაელ მწყემსთა შორის გამოსახული არიან მუსიკოსები, რომელთაც ქნარები უჭირავთ. ეგვიპტისა და მესოპოტამიის წარწერები გვამცნობენ, რომ ისრაელი ამ ქვეყნებში გზავნიდა ორკესტრებსა და მოცეკვავე ქალთა ანსამბლებს. არსებობდა აგრეთვე ქალთა ორკესტრებიც.

იუდეველთა მეფემ ეზეკიამ (ძვ. წ. ა. 721—693 წლები) ასურეთის მეფეს სინაქერიბს, მისი გულის მოსაგებად, მომღერალ მამაკაცთა და ქალთა გუნდები გაუგზავნა.

ასეთი მდიდარი მუსიკალური ტრადიციის მქონე ხალხში ზოგიერთი მეფე მართლაც შეიძლება გამომდგარიყო ნიჭიერი ბოეტი ან კომპოზიტორი. ეს არავის გაუკვირდებოდა.

არქეოლოგიის სიკეთე სწორედ ის გახლავთ, რომ იგი ხანდახან მოულოდნელად გადააქცევს ხოლმე უტყუარ მეცნიერულ ჭეშმარიტებად ისეთ ისტორიულ თქმულებას, რომლის გამო ეჭვში ვიყავით და არ ვიცოდით — სინამდვილეა იგი თუ ლეგენდა. ასე დაემართა ბიბლიაში აღწერილ ამბავს, რომელიც დავითის მიერ იერუსალიმის აღების ფაქტს ეხება. ერთი სენსაციური აღმოჩენის წყალობით ჩვენ ახლა დანამდვილებით ვიცით, რომ დავითმა დაიპყრო იერუსალიმი. ისიც ვიცით, თუ რა სასწაულმა ჩაგდებინა ხელში დავითს იებოსელების ეს ციხესიმაგრე.

ჩვენ შეგნებულად ვიხმარეთ სიტყვა „სასწაული", რადგან იერუსალიმი მიუდგომელი კლდის მწვერვალზე მდებარეობდა და ოთხასი წლის განმავლობაში წარმატებით იგერიებდა ყველა მტრის თავდასხმას. მისი დაპყრობის ამბავი ბიბლიაში ლაკონურია და ბუნდოვანი. იგი გვამცნობს, რომ იოაბს ეშმაკობით მოუხერხებია ციხესიმაგრის აღება. მან შეაღწია შიგ რაღაც საიდუმლო გვირაბით და ზურგიდან მოუარა იებოსელებს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე არქეოლოგიური აღმოჩენებისას, საიდუმლოება სრულიად მოულოდნელად გამჟღავნდა. 1867 წელს ინგლისელი ოფიცერი, კაპიტანი უორენი, იერუსალიმსა და მის ახლომახლო შემოგარენს ათვალიერებდა. იგი დაინტერესა კედრონის ხეობაში მდებარე აინ-სითი-მარიამის წყარომ. ეს ხეობა ბიბლიაში გეონის სახელით არის ცნობილი. მუსლიმანური მეჩეთის ნანგრევებში უორენმა აღმოაჩინა მიწის სიღრმეში მიმავალი ხვრელი. იგი კლდეში გამოჭრილი საფეხურებით დაეშვა და წააწყდა მიწისქვეშა წყალსაცავს, რომელშიც წყაროს წყალი ამოდიოდა. სიბნელის მიუხედავად, უორენმა ზევით კლდეში მრგვალი ნახვრეტი შეამჩნია. მონახა კიბე, თოკი და სიღრმეში შეძვრა. ეს იყო კედელში გამოკვეთილი გვირაბი, რომელიც ჯერ ჰორიზონტალურად მიემართებოდა, შემდეგ კი ვერტიკალურად. უორენი დიდი წვალებით მიიკვლევდა გზას ზევით და ცამეტი მეტრის სიმაღლეზე ნახა გასასვლელი; ქვაში გამოჭრილი საფეხურები ოდნავ განათებული გამოქვაბულისაკენ მიემართებოდა. აქედან უორენმა ვიწრო ნაპრალით გარეთ გამოაღწია და, თავისდა გასაოცრად, დარწმუნდა, რომ ქალაქის უძველესი გალავნის შიგნით იმყოფებოდა.

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, გვირაბი გაყვანილია ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლოს. სწორედ ეს არის ის გზა, რომლითაც იოაბმა შეაღწია ქალაქში. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ როგორ მოხდა ეს. ჯერ თვითონ შეიპარა გვირაბ-

ში თოკით, შემდეგ კი თავისი ჯარისკაცები შეიყვანა და შიგნიდან დაესხა მეციხოვნეებს. დავითი კი ამ დროს გარედან უტევდა.

იერუსალიმი ქანაანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სიმაგრე იყო, მაგრამ მასაც ჰქონდა თავისი აქილევსის ქუსლი: ქალაქს წყალი არ გააჩნდა. მშვიდობიანობისას მცხოვრებნი გეონის წყაროთი სარგებლობდნენ, ალყაშემორტყმულებს კი წყაროსკენ მიმავალი გზა მოჭრილი ჰქონდათ; ამიტომ მათ კლდეში გამოკვეთეს საფეხურებიანი გვირაბი. მასში თოკით უშვებდნენ ჭურჭლებს, ხოლო ქვედა გამოქვაბულში დამალული კაცი წყალსაცავიდან ავსებდა მათ.

გასასვლელის არსებობას ძალზე საიდუმლოდ ინახავდნენ. ჩვენ არ ვიცით, როგორ მიაგნო მას იოაბმა. შეიძლება მისი ამბავი რომელიმე ტყვემ გაამხილა, ან იქნებ ისრაელიტელმა მებრძოლებმა შემთხვევით გაიგონეს წყლიანი ჭურჭლის კლდეზე მიხლის ხმა.

მოთხრობა ისრაელის პირველ ორ მეფეზე შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს მივაკუთვნოთ. საულის ბრძოლა ქურუმებთან ტახტის დასაცავად, ნაღელიანი, შემზარაი სცენა აენდორში გრძნეულ ქალთან, მთელი მისი სიცოცხლის მიზნებისა და მისწრაფებების მარცხი და თვითმკვლელობა, შემდეგ ქარიშხლიანი ცხოვრება დავითისა, ამბიზებებითა და სასახლის ინტრიგებით მოწამლული მისი სიბერე — ყველაფერი ეს მართლაც რომ შექსპირული ტრაგედიის ძალით ჟღერს.

ორივე მეფე არაჩვეულებრივ პიროვნებადაა დახატული. ისინი ღრმად ადამიანურნი არიან თავ-თავისი ავ-კარგითა თუ დანაშაულით. ორივეს ბევრი სიკეთე ჩაუდენია, ორივენი გვაღელვებენ თავისი ძალითა და გრძნობათა გზნებით. ბიბლიურ თქმულებებში, რომლებიც ზოგჯერ გულუბრყვილოა და მიამიტი, ცოცხლად გვეხატება სისხლძარღვიანი, ძლიერი და მრავალფეროვანი ადამიანური ხასიათები. რა შესანიშნავი ფსიქოლოგიური ეტიუდია, მაგალითად, ეჭვისა და შურის შხამით მოწამლული საულის თანდათანობითი სულიერი დაცემა.

გვაოცებს ის რეალიზმიც, რომელიც დავითის აღწერაში ჩანს. დავითი ქურუმთა ერთგული მსახური და მათი უსაყვარლესი გმირი იყო, მაგრამ ბიბლიის შემდგენლები მაინც არ დაერიდნენ დავითის ბევრი სიავკაცის ჩვენებას. მათი პირადი სიმპათიები უძლური აღმოჩნდა უცილობელი ისტორიული დოკუმენტების წინაშე და შემდგენლები იძულებულნი იყვნენ, ანგარიში გაეწიათ მათთვის.

ბიბლიის ტექსტში აშკარად გამოსჭვივის შემდგენელთა დამოკიდებულება ორივე მეფისადმი. იაჰვეს მღვდელთა მტერი

საული წარმოდგენილია უარყოფით პიროვნებად, მიუხედავად იმისა, რომ მას მის სიცოცხლეში სასირცხო თითქოს არაფერი ჩაუდენია. სამაგიეროდ, დავითი, ქურუმთა საყვარელი ადამიანი, ცაშია აყვანილი, მისი ყოველგვარი დანაშაულება და უხეირო ქცევა ან მიჩქმალულია, ან არაჩვეულებრივი შემწყნარებლობით არის გამოხატული.

დავითი უზურპატორი იყო და ტახტზე ასასვლელად გვამებით მოფენილი გზა მოიტოვა უკან. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება უარვყოთ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და ღვაწლმოსილი პიროვნებაა ისრაელის ისტორიაში. როგორც სარდალი, სახელმწიფოს დამპყრობელი და ფუძემდებელი, იგი დამსახურებულად არის მიჩნეული თავისი ერის საამაყო შვილად. მაგრამ დავითი საოცრად სწრაფად შეიცვალა. იგი იქცა აღმოსავლურ დესპოტად და აზიზ სიბარიტად. მრავალრიცხოვანი ჰარამხანა, ვერცხლისმოყვარე, სინდისგარეცხილი, ინტრიგებსა და კინკლაობას გადაყოლილი კარისკაცები და ფავორიტების — კაცებისა თუ ქალების გავლენა — ასეთი გახლავთ ამ უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის თანდათანობითი ზნეობრივი დაცემის შემაძრწუნებელი სურათი.

საეჭვოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, მტკიცება იმისა, რომ დავითი იყო ერთგული იაჰვისტი; თუ მხოლოდ იაჰვეს სცემდა თაყვანს, მაშ საიდან გაჩნდა მის სახლში კერპი, რომელიც მელქულმა მეუღლის ტანსაცმლით შემოსა და ლოგინში ჩააწვინა? ეს ხომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფუძის ღვთაებაა — წარმართული კულტის საგანი, რომელსაც იაჰვისტები კრძალავდნენ და დევნიდნენ.

რაც შეეხება დავითის დამოკიდებულებას ქურუმებისადმი, გვაქვს საფუძველი, ვიფარაუდოთ, რომ იგი მხარს უჭერდა მათ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით. იუდას ტომიდან გამოსული უზურპატორი, რომელმაც საულის კანონიერ დინასტიას ძალაუფლება წაართვა, ჩრდილო ისრაელის ტომების უმრავლესობაში პოპულარობით ვერ სარგებლობდა. დავითი გრძნობდა, რომ ტახტი მას ფეხქვეშ ერყეოდა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მის პირად გვარდიაში სულ დაქირავებული უცხოელები, უმეტესად ფილისტიმელები ჰყავდა.

დავითი არაფერს იშურებდა, ოღონდ კი ჩრდილოელ ტომთა გული მოეგო. ამიტომ იყო, რომ მან ბრძანა, ყველას ეგლოვა საულის გარდაცვალება, ამითვე აიხსნება მეფის მდიდრული დაკრძალვა და აგრეთვე განკარგულება, რომ მიწისათვის მიებარებინათ გარდაცვლილი მეფის ჩამოხრჩობილი ნათესავებიც. ეს მაშინ მოხდა, როცა რესფას საქციელმა შეძრა და ააღელვა ხალხი.

მაგრამ აბესალომისა და სიბას ამბოხებები მოწმობენ, რომ

დავითს ცდამ ამაოდ ჩაუარა. სწორედ ამის გამო მიმართა მან ქურუმებს და სცადა მათი მხარდაჭერის მოპოვება. ქურუმებთან კავშირს, რა თქმა უნდა, მთელი რიგი კომპრომისები ახლავდა. ეს დათმობანი ზოგჯერ ერთობ უცნაური იყო. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ უზენაესი ქურუმის თანამდებობის აღმბავი. კანონიერი უზენაესი ქურუმი, რომელსაც გაბაონსი (ჩრდილოეთ ქანაანში) ჰქონდა რეზიდენცია, იყო სადოკი. დავითმა იუდეველთა მეფედ ყოფნის დროს მღვდელთმთავრობა უბოძა თავის მეგობარსა და მრჩეველს აბიათარს. როცა მეფემ თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა ქანაანის ორივე ნაწილი, წამოიჭრა საჩოთირო კითხვა, თუ ვის უნდა დარჩენოდა ეს მაღალი თანამდებობა. დავითს ერთგული მეგობრისა და თანაშეძწის აბიათარის გადაყენება არ უნდოდა, მაგრამ ვერც სადოკს წაართმევდა თანამდებობას, რადგან ჩრდილოეთის ტომები გადაუდგებოდნენ დავითს. ამის გამო ისრაელის არსებობის მანძილზე პირველად გადაწყდა, რომ ორივე უზენაესი ქურუმი პოსტზე დარჩენილიყო. ეს არანორმალური მდგომარეობა მხოლოდ სოლომონმა შეცვალა. მან განდევნა აბიათარი, რაკი მან ადონიას დაუჭირა მხარი სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში. მას შემდეგ უზენაესი ქურუმის თანამდებობა მამიდან შვილზე გადადიოდა სადოკის მოდგმაში. შემდეგ აქედან წარმოდგა სადუკეველთა პარტია, რომელსაც იერუსალიმის ტაძარში მრავალი საუკუნის განმავლობაში ეპყრა ხელთ მონოპოლია უმაღლესი ქურუმისა და ყველა სხვა მაღალ თანამდებობაზე.

ბიბლიაში ზოგჯერ გვხვდება ლაკონური შენიშვნა, რომელიც ნათელს ჰფენს ზოგ საკითხს. ამის მაგალითად მოვიყვანთ დავითთან დაკავშირებულ ერთ ამბავს. ჩვენ გვახსოვს, რომ მას განზრახული ჰქონდა, იერუსალიმში ტაძარი აეგო. წინასწარმეტყველმა ნათანმა განუცხადა — იაჰვე კარავში ცხოვრებას არის ნაჩვევი და ქვის სახლი არ უნდაო. ბიბლიის თანახმად, დავითმა მორჩილად თქვა უარი თავის გეგმებზე, თუმცა მშენებლობისათვის უკვე გამზადებული ჰქონდა ხის მასალა და ოქრო-ვერცხლი.

მაგრამ აი, ვკითხულობთ მეფეთა მესამე წიგნის მეხუთე თავს და გაოცება გვიპყრობს. ამ თავის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ სოლომონი წერს წერილს ფინიკიელთა მეფეს ქირამს და უხსნის, რომ ტაძრის აგებაში მას ხელი შეუშალეს მუდმივმა ომებმა.

ამგვარად, ყველაფერი ნათელი ხდება. ამჯერადაც, როგორც სხვა დროს, დავითი წინასწარმეტყველთა ბრძანების უბრალო აღმსრულებელი კი არ ყოფილა, უპირველეს ყოვლისა, იგი პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ კარვის მცველი ნათანი გამოხატავდა აზრს რე-

ლიგიური პურისტების გავლენიანი დაჯგუფებისა. იგი ცდილობდა, შეენარჩუნებინა მოსესდროინდელი პატრიარქალური წესჩვეულებანი, იყო ქალაქების ზრდის წინააღმდეგი და ა. შ.

დავითი მკაცრი და ულმობელი მმართველი იყო. ამასთანავე იგი გახლდათ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და შორსმჭვრეტელი დიპლომატი, რომელსაც შეეძლო რელიგიური ინსტიტუტები და განწყობანიც კი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა. მისი დამსახურება ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობაში უდავოა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მომდევნო თაობები მას აიდეალებდნენ. დავითის ოჯახთან ნათესაობა უდიდეს ღირსებად ითვლებოდა. ამიტომ გასაგებია ისიც, თუ რად იმეორებდნენ დაჟინებით მახარებლები ანუ ევანგელისტები ნაზარეთიდან გამოსული უბრალო მოძღვრის იესო ქრისტეს ისტორიული მისიის დასაბუთებისას, რომ იგი იყო შთამომავალი ისრაელის მეფეთა შორის უდიდესი მეფისა.

სოლომონი იყო ისრაელის პირველი მეფე, რომელმაც მეჰკვიდრეობით მიიღო მეფობა, მაგრამ მასაც ბრძოლა და ინტრიგები დასჭირდა ტახტზე ასასვლელად. მის დედას, პატივმოყვარე და ენერგიულ ბერსაბეს, წინასწარმეტყველ ნათანის ჯგუფის მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა და მეფისათვის ძალა არ დაეტანებინა, ალბათ სოლომონიც იქნებოდა ერთ-ერთი მეფის მრავალრიცხოვან უსახელოდ ნახსენებ შვილთაგან, რომელთა შესახებაც თითქმის არაფერი ვიცით. ეჭვი არ არის, ტახტის მოპოვებისათვის ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა დავითის მეოთხე ვაჟს ადონიას, რომელსაც ემხრობოდნენ უმაღლესი ქურუმი აბიათარი და მხედართმთავარი იოაბი. სოლომონმა შეიწყნარა აბიათარი და ბრძანა, მოეკლათ იოაბი და ადონია, თუმცა ადონიას ადრე აღუთქვა, სიცოცხლეს შეგინარჩუნებო. თავის მხრივ იგი მართალი იყო. ტახტის განმტკიცებისათვის სოლომონს უთუოდ უნდა ჩამოეცილებინა საშიში მეტოქე და დაეშინებინა მისი მომხრეები.

ასეთი ვითარება მარტო ისრაელისათვის როდი იყო დამახასიათებელი. აღმოსავლელ დესპოტთა ვეებერთელა ჰარამხანებმა, მამრობითი სქესის მრავალრიცხოვანმა შთამომავლებმა და ტახტის მემკვიდრეობის უფლებათა საკითხებში იურიდიულ ნორმათა უქონლობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ტახტის პრეტენდენტთა ძალით ჩამოცილება ხშირად გარდაუვალი ხდებოდა. ასეთივე სასტიკი ადათი არსებობდა ბიზანტიის იმპერატორთა კარზეც, სადაც იგი ლამის იქცა კორონაციის თანმხლებ ლეგალურ სახელმწიფო აქტად.

სოლომონს მშვიდობიანი მმართველობა შეხვდა. მან მამი-

საგან მემკვიდრეობით მიიღო დიდი და ბლიერი სახელმწიფო, რომელსაც იგი მართავდა ორმოცი წლის (ძვ. წ. 972—932 წლები) განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე სოლომონს არც ერთი დიდი ომი არ გადაუხდია. მან თავის ნებაზე მიუშვა არამეველი რაზონიც, რომელმაც დამასკოდან განდევნა ისრაელის გარნიზონი და თავი მეფედ გამოაცხადა. ეს მაშინ წვრილმან ინციდენტად ითვლებოდა. სოლომონი შეცდა, მან ვერ გაითვალისწინა, რომ მომავალში არამეველთა ახალი სამეფო სერიოზულ საფრთხეს გაუჩენდა ისრაელს.

სოლომონის ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ პატრიარქალურ-ტომობრივი წყობილების მქონე ღარიბი სამიწათმოქმედო ქვეყანა მან აქცია ერთიან, ეკონომიურად ძლიერ და ბრძოლისუნარიან სახელმწიფოდ, რომელსაც დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი გააჩნდა. სოლომონი იყო კარგი ადმინისტრატორი, დიპლომატი, მშენებელი და მოვაჭრე. მის დროს ისრაელის დედაქალაქის დიდებულება და სამეფო კარის თვალისმომჭრელი სიმდიდრე საქვეყნოდ იყო განთქმული.

სოლომონის ავტორიტეტს თუნდაც ისიც მოწმობს, რომ გოროზმა ფარაონმა მას თავისი ასული მიათხოვა. სოლომონის ძალასა და გავლენიანობას გვიდასტურებს მისი საოცარი დიდი ჰარამხანა, უსაზღვრო ფუფუნება და უზომო ქედმაღლობა ხელქვეითებთან, რომელთაც სოლომონი მონებივით ეპყრობოდა.

მაგრამ ამ ნაკლოვანებებთან ერთად არ შეიძლება უარვყოთ სოლომონის მეფობის დადებითი მხარეები. სწორედ მან აააშენა იერუსალიმი და აქცია იგი ნამდვილ დიდებულ დედაქალაქად. მის მიერ აგებული ტაძარი გახდა ებრაული რელიგიის ერთადერთი ცენტრი და სიმბოლო. უდავოა სოლომონის დამსახურება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. მოვიგონოთ გამაგრებული ქალაქების მშენებლობა და არმიის რეორგანიზაცია — საომარი ეტლების შემოღება.

სოლომონი აგრეთვე ცდილობდა ისრაელში ხელოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის განვითარებას. ამ მიზნით მას ფინიკიიდან მოჰყავდა სპეციალისტები. ფინიკიელების, სირიელებისა და ეგვიპტელების წესზე გამართულმა სამოხელეო იერარქიამ უზრუნველყო სახელმწიფო ადმინისტრაციის ზუსტი მოქმედება. სოლომონი უბადლო დიპლომატიც იყო. მისი უდიდესი მიღწევა იყო ფარაონის ასულზე დაქორწინება და თანამშრომლობა მეფე ქირამთან, რომლის დახმარების გარეშეც იგი მიზანს ვერ განახორციელებდა.

სოლომონის გამჭრიახობის წყალობით ისრაელი აყვავებულ სახელმწიფოდ იქცა. ამასთან დაკავშირებით მეფეთა მესამე წიგნში ნათქვამია: „და ქმნა მეფემან ვეცხლი იერუსალემს შინა, ვითარცა ქვა, და კედარის ხე ქმნა, ვითარცა ლეღვი, რომე-

ლი ველთა ზედა არს" (მესამე მეფეთა, თ. 10, მ. 27). ეს, რასაკვირველია, აღმოსავლური სტილისათვის დამახასიათებელი გაზვიადებაა, მაგრამ გვაქვს საიმისო მონაცემები, რომ ეს ჰიპერბოლა არც თუ მთლად ტყუილია. ცნობილია, რომ სოლომონის წლიური შემოსავალი ექვსას სამოცდა ექვს ტალანტს (დაახლოებით ოცდაორი ათას რვაას ოცდახუთ კილოგრამ ოქროს) შეადგენდა; ამ შემოსავალს აძლევდა მას ვაჭრობა, გადასახადები და არაბ ვასალთა ხარკი. ისრაელის მოსახლეობისაგან ნატურით მიღებული სურსათ-საქონელი კიდევ სხვა იყო.

ისრაელში მიწათმოქმედების აყვავებას მოწმობს ის ფაქტი, რომ სოლომონი ყოველწლიურად აწვდიდა ქირამს ოცი ათას საწყაო ხორბალს და ოცი ათას საწყაო ზეთს. ცხადია, მიწათმოქმედნი სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ, მაგრამ ასეთი კოლოსალური რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაცემა მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა გაგვაცნო მაშინდელი ყოფაცხოვრების მრავალი მხარე. კერძოდ, ეს მონაპოვარნი მოწმობენ ცხოვრების საკმაოდ მაღალ დონეს. ალებასტრისა და სპილოს ძვლისაგან ნაკეთები ურიცხვი ძვირფასი ფიალები კოსმეტიკისათვის, სხვადასხვა ფორმის შუშები, სარკეები და თმის სამაგრები მოწმობენ, რომ იმდროინდელი ისრაელიტელი ქალები ბევრს ზრუნავდნენ თავის მორთვა-მოკაზმვაზე. ისინი ხმარობდნენ ნელსაცხებლებს, ფერუმარულს, სუნამოებს, მურს, ჰინას, კვიპაროზის ფესვებისაგან დამზადებულ ფხვნილს, წიოელ საღებავს ფრჩხილებისათვის და ცისფერს — ქუთუთოებისათვის. ამ წამლების უმრავლესობა საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ; ასეთი იმპორტი კი მხოლოდ მდიდარ ქვეყანას ძალუძს.

გარდა ამისა, არქეოლოგებმა დაადასტურეს ქალაქების სწრაფი ზრდის პროცესი, რის წინააღმდეგაც ჯერ კიდევ დავითის დროს ასე გაშმაგებით იბრძოდნენ კონსერვატორი იაჰვისტები. მიწათმოქმედება ისევ რჩებოდა სახალხო მეურნეობის მთავარ დარგად. მაგრამ მიწათმფლობელები უმთავრესად ქალაქებში ცხოვრობდნენ. ქანაანის ყველა ქალაქს ციხესიმაგრის გალავანი ერტყა. ამიტომ ისინი სულ უფრო და უფრო მჭიდროდ დასახლებულნი ხდებოდნენ. სახლების მეტი წილი ორსართულიანი იყო. მათ აგებდნენ მიწის ყოველ თავისუფალ ნაკვეთზე— ვიწრო და მჭიდროდ დასახლებული ქუჩების გასწვრივ.

ისრაელის მკვიდრთა საცხოვრებლის მთავარი ნაწილი იყო პირველ სართულზე მოთავსებული დიდი ოთახი, რომელშიც ქალები საჭმელს ამზადებდნენ და პურს აცხობდნენ. მთელი ოჯახი აქ იყრიდა თავს საჭმელად. ავეჯი არ ჰქონდათ. შეძლე-

ბული ადამიანებიც კი ჭილოფებზე ჭამდნენ და იძინებდნენ. ზემო სართულის ოთახებში ადიოდნენ ქვის საფეხურებით ან მისადგმელი ხის კიბით. ზაფხულობით ეძინათ სახლის ბანზე, სადაც მაცოცხლებელი ნიავი ქროდა.

უბრალო და მაწიერ საჭმელებში ბევრ ხახვსა და ნიორს ხმარობდნენ. ძირითადი საკვები იყო მოხალული და მოხარშული ხორბალი, სხვადასხვა ღერღილი, ოსპი, კიტრი, ლობიო, ხილი და თაფლი; ხორცს მხოლოდ დღესასწაულებზე ჭამდნენ. სასმელად მეტწილად თხისა და ცხვრის რძე ჰქონდათ, ღვინოს კი ზომიერად ხმარობდნენ.

რა იყო სოლომონის სიმდიდრის წყარო?

მეცნიერები დიდხანს საეჭვოდ თვლიდნენ ბიბლიის ყველა ცნობას სოლომონის სიმდიდრის შესახებ, მათი ფანტასტიკურობისა და ბუნდოვანობის გამო. მეფეთა მესამე წიგნში ნათქვამია: „და მოჰგურიდეს სოლომონს ცხენთა ეგვიპტით, იყიდეს კრებული ვაჭართა ვეცხლითა და მოვიდოდეს ეტლნი ეგვიპტით ექვსას სასწორ ვეცხლისა: ცხენი ას ორმეოც და ათ სასწორ ვეცხლისა. ეგრეთვე მიჰგვრიდეს მათ მეფეთა ქეტელთა და ასურასტანისათა“ (მესამე მეფეთა, თ. 10, მ. 28—29). აქ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ სოლომონ მეფე ყიდულობდა ცხენებს და ეტლებს, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ იგი კიდეც ჰყიდდა მათ. არქეოლოგიურმა ძიებამ კი ზუსტად გვიჩვენა, რომ სოლომონი ასრულებდა შუამავლის როლს ეგვიპტისა და აზიის სავაჭრო ურთიერთობაში; იგი ვაჭრობდა ცხენებითა და ეტლებით.

1925 წელს ამერიკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისტორიულ იეზრეელის ველზე ქალაქ მეგიდოს ნანგრევები აღმოაჩინა. ამ ქალაქს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ველის ჩრდილოეთ საზღვრებს იცავდა, მასზე გადიოდა სავაჭრო გზა აზიიდან ეგვიპტისაკენ. დავითმა და სოლომონმა მეგიდო ძლიერ ციხესიმაგრედ აქციეს, მაგრამ ქალაქი არსებობდა ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს ერამდე.

სწორედ აქ გახდა შესაძლებელი სოლომონის საიდუმლოების ამოცნობა. ნანგრევებს შორის აღმოაჩინეს მის მიერ აშენებული თავლები ოთხას ორმოცდაათი ცხენისათვის. თავლები განლაგებული იყო დიდი მოედნის ირგვლივ, სადაც, ალბათ, ცხენებს ხედნიდნენ და აურვებდნენ. შესაძლოა, მათ აქავე ყიდდნენ. თავლების ზომები და მათი მდებარეობა სავაჭრო გზაზე გვიმტკიცებს, რომ მეგიდო იყო აზიისა და ეგვიპტეს შორის ცხენებით ვაჭრობის ძირითადი ბაზა. სოლომონი კილიკიაში ყიდულობდა ცხენებს და, ალბათ, ყიდდა ეგვიპტეში, საიდანაც, თავის მხრივ, შემოჰქონდა ეტლები მესოპოტამიის ბაზრებზე გასაყიდად.

ბიბლიის მიხედვით, ფინიკიელ სპეციალისტთა და მეზღვაურთა დახმარებით სოლომონმა შექმნა საეჭრო ფლოტი, რომელიც პორტ ესიონ-გებერში (აქაბის ყურეში) იდგა და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ოფირში მიდიოდა. ამ ქვეყნიდან მოჰქონდა ოქრო და უცხო საქონელი. ბიბლიის მკვლევარებს ორი საკითხი აინტერესებდათ: 1) სად მდებარეობდა იდუმალებით მოცული ოფირის ქვეყანა? 2) რისი შეტანა შეეძლო ოფირში ისეთ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას, როგორიც ქანაანი იყო?

მეცნიერება დღემდე კამათობენ იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყანაა ბიბლიაში ოფირად წოდებული. ასახელებენ ინდოეთს, არაბეთს, მადაგასკარს. გამოჩენილი ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე ოლბრაითი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლაპარაკია სომალიზე. სხვა მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს თებეს ერთ-ერთი ტაძრის ფრესკას. აქ გამოსახულია შავგვრემანი ქალი, რომელსაც პუნტის დედოფალი ეწოდება. ფრესკის წარწერაში ნათქვამია, რომ ეგვიპტური ხომალდები ამ ქვეყნიდან ეზიდებოდნენ ოქროს, ვერცხლს, შავ და წითელ ხეს, ვეფხის ტყავს, ცოცხალ მაიმუნებსა და მონა ზანგებს. გაჩნდა ვარაუდი, რომ პუნტი და ბიბლიური ოფირი ერთი და იგივეა.

მეორე კითხვას პასუხი გასცა არქეოლოგიამ. 1937 წელს არქეოლოგი ნელსონ გლიუკი ვადი-ელ-არაბის უდაბნოს ველზე კლდეში გამოკვეთილ სპილენძის საბადოს შახტს წააწყდა. მეშახტეთა საცხოვრებლად აგებულ ქვის ფარღალალა შენობათა ნანგრევებმა და უდაბნოს ავაზაკ ტომთა თავდასხმებისაგან დასაცავმა გალავანმა გლიუკი დაარწმუნა, რომ მან სოლომონის შაღაროს მიაგნო.

აქაბის ყურის მახლობლად, სადაც ქვიშის ფენის ქვეშ ადრე უკვე იყო მიკვლეული პორტ ესიონ-გებერის ნანგრევები, გლიუკმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა. ციხის გალავნით გარშემორტყმულ ვრცელ მოედანზე განლაგებული იყო მრავალი სპილენძის სადნობი ქურა. მათ მილებს პირი ჰქონდათ ჩრდილოეთისაკენ, საიდანაც ზღვის მუდმივი ქარები ქრიან. ამ მარჯვე ხერხით ადვილად ინარჩუნებდნენ დნობისათვის საჭირო ტემპერატურას.

ამ აღმოჩენათა წყალობით ჩვენ გავიგეთ, რომ სოლომონი მარტო ცხენებით კი არ ვაჭრობდა სარფიანად, არამედ მრეწველიც გახლდათ. მას, ალბათ, მონოპოლია ჰქონდა სპილენძის წარმოებაზე, რაც საშუალებას აძლევდა თავის ნებაზე აეწ-დაეწია ფასები და მიეღო ის უდიდესი შემოსავალი, რაც ბიბლიაშია მოხსენიებული.

სოლომონის სიბრძნის, სიმდიდრისა და სასახლის ფუფუნების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. სხვადასხვა ქვეყნების ელჩები მოდიოდნენ იერუსალიმში, რომ ხელშეკრულებები დაე-

დოთ მეგობრობისა და სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. დედაქალაქის მცხოვრებლები თითქმის ყოველდღიურად ხვდებოდნენ უცხო სტუმართა ქარავნებს, რომლებსაც მეფისთვის უხვი საჩუქრები მოჰქონდათ. და, უდავოა, ამაყობდნენ იმით, რომ მათი მშობლიური ქალაქი ესოდენ მსხვილ სავაჭრო და დიპლომატიურ ცენტრად იქცა.

ერთხელ ხმა გავრცელდა შორეული არაბეთიდან შებას დედოფლის ქარავნის ჩამოსვლის შესახებ. ხალხი ქუჩაში გამოეფინა და აღტაცებით შეეგება დედოფალს, რომელსაც ახლდა კარისკაცთა და მონათა მრავალრიცხოვანი ამალა, უკან მოჰყვებოდა სოლომონისათვის განკუთვნილი ძვირფასი, დიდებული საჩუქრებით დატვირთულ აქლემთა გრძელი მწკრივი.

ვინ იყო ეს ლეგენდარული დედოფალი — ბიბლიის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი თქმულების გმირი?

ახლა ეს უკვე ცნობილია. ამ აღმოჩენის ისტორია იმდენად საინტერესოა, რომ ღირს მისი მოყოლა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში სანელებელთა და ნელსაცხებელთა ქვეყანა — სამხრეთ არაბეთი, რომელსაც ძველი რომაელები „ბედნიერ არაბეთს" (Arabia felix) უწოდებდნენ, ევროპელებისათვის შეუვალი იყო. „მუხთალ ქოფაკებს", თუკი ისინი მუჰამედის ქვეყანაში ფეხის დადგმას გაბედავდნენ, სიკვდილი ელოდა. მაინც გამოჩნდნენ გულადი ადამიანები, რომელთა ცნობისმოყვარეობამ და თავგადასავლების წყურვილმა სძლია შიშს. ფრანგი ჟ. ჰალევი და ავსტრიელი ექიმი ე. გლაზერი არაბულად შეიმოსნენ და აკრძალული ქვეყნისაკენ გაემართნენ. მრავალი თავგადასავლისა და სიძნელეთა დაძლევის შემდეგ ისინი უდაბნოში წააწყდნენ ვეებერთელა ქალაქის ნანგრევებს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ქალაქი მერიბად იწოდებოდა. აქ აღმოაჩინეს და ევროპაში ჩამოიტანეს მრავალი გამოუცნობი წარწერა. სენსაციურმა აღმოჩენამ სამეცნიერო წრეებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. არაბმა სოვდაგრებმა დრო იხილთეს და მერიბის წარწერებით გაცხოველებული ეაჭრობა გააჩაღეს. ამგვარად, მეცნიერთა ხელში აღმოჩნდა ჰალესტინურ ანბანურ სისტემაზე დამყარებული წარწერებით დაფარული რამდენიმე ათასი ქვის ნატეხი. ღმერთებზე, ტომებსა და ქალაქებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობათა შორის ამოიკითხეს ოთხი სამხრეთ-არაბული სახელმწიფოს სახელწოდება: მინეა, ჰადრამაუთი, კატაბანი და საბა (შება).

საბას ქვეყანა მოხსენებულია აგრეთვე ძვ. წ. VIII საუკუნის ასირიულ დოკუმენტებში. მათში ნათქვამია, რომ ამ ქვეყანასთან გაცხოველებული აღებ-მიცემობა ჰქონდა მესოპოტამიას, რომელიც აქ უმთავრესად სანელებლებსა და ნელსაცხებლებს ყიდულობდა. საბას მეფეები ატარებდნენ „მუქარიბის" ტიტულს,

რაც „ქურუმთმთავარს“ ნიშნავს. მათი რეზიდენცია იყო ქალაქი მერიბი, რომლის ნანგრევებიც იპოვეს არაბეთის ნახევარკუნძულის, დღევანდელი იემენის, სამხრეთ ნაწილში. ქალაქი მთებში მდებარეობდა, მეწამული ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე.

მრავალრიცხოვან კლდეებსა და სვეტებს შორის მშვენიერებით გამოირჩეოდა მერიბის მახლობლად მდებარე ჰარამ ბილკისის ძველი ლეგენდარული ტაძარი. ეს იყო ოვალური ნაგებობა საუცხოო პორტალით, რომლისკენაც ბრინჯაოთი მოპირკეთებული ქვის საფეხურები მიემართებოდა. მრავალრიცხოვანი სვეტები და პილასტრები, ვრცელ ეზოში მოწყობილი შადრევნები სრულ წარმოდგენას გვიქმნიან ტაძრის ყოფილ მშვენიერებაზე. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ იგი არაბული ღმერთის ილუმკუჰის პატივსაცემად აუგიათ.

გულმოდგინე კვლევამ შესაძლებელი გახადა იმის დადგენა, თუ რა იყო საბას სამეფოს კეთილდღეობის წყარო. ოცი მეტრის სიმაღლის მქონე ვეებერთელა კაშხალი ამაღლებდა მდინარე ადჰანათის დონეს. აქედან მიემართებოდა სარწყავი არხების დატოტვილი ქსელი. საბას ნარწყავი მიწები ძალზე ნაყოფიერი იყო და უხვ მოსავალს იძლეოდა.

მცხოვრებლებს უმთავრესად მოჰყავდათ ნაირნაირი ჯიშის სანელებლები, რომლებიც სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ. ასე გრძელდებოდა ძვ. წ. 542 წლამდე, როცა მუდმივი თავდასხმებისა და ომების გამო, კაშხალი დაინგრა. აყვავებული ბაღი უდაბნოს ქვიშამ შთანთქა.

ახლა გასაგებია, რატომ ესტუმრა სოლომონს შებას დედოფალი. სავაჭრო გზა, რომელსაც „სურნელოვან გზას“ უწოდებდნენ და რომლითაც შებას სამეფოს მცხოვრებლებს საქონელი გაჰქონდათ ეგვიპტეში, სირიასა და ფინიკიაში, მეწამულ ზღვას გასდევდა და ისრაელის ქვეშევრდომთა ტერიტორიაზე გადადიოდა. ამის გამო ქარავანთა მშვიდობიანი მოგზაურობა სოლომონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

შებას დედოფალი სოლომონს ეწვია წმინდა პრაქტიკული მიზნით, მან მოინდომა უხვი საჩუქრებითა და მოგებაში წილის დადების დაპირებით მოეგო ისრაელის მეფის გული და მასთან მეგობრობის ხელშეკრულება დაედო.

მაგრამ ხალხურმა ფანტაზიამ მდუმარედ აუარა გვერდი ვიზიტის ნამდვილ მიზეზს და ყველაფერს რომანტიკული შეფერილობა მისცა. თითქოს დედოფლის უზადო სილამაზით მოხიბლულ სოლომონს თავდავიწყებით შეჰყვარებია იგი და მასთან ძეც ჰყოლია. აბისინიელები დღესაც ამტკიცებენ, რომ სწორედ იგი იყო ნეგუსთა დინასტიის მამამთავარი.

შევეხოთ სოლომონთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ლეგენ-

დას. აბისინიის ყოფილი დედაქალაქის აქსუმის ტაძრის საგანძურში თითქოს ინახება შჯულის კიდობანი. საიდან მოხვედა იგი იქ? თქმულება მოგვითხრობს, რომ ეს კიდობანი სოლომონის ტაძრიდან მოუპარავს სოლომონისა და შებას დედოფლის ძეს, იერუსალიმში კი ყალბი კიდობანი დაუტოვებია.

ამგვარად, გამოდის, თითქოს ნამდვილი შჯულის კიდობანი აქსუმშია. იგი აბისინიელთა უდიდესი საღოცავია, მისი დანახვის უფლებას არავის აძლევენ. წვიმის პერიოდის დამთავრების აღსანიშნავად გამართულ ეგრეთ წოდებულ მოსკალის დღესასწაულზე ხალხის საჩვენებლად გამოაქვთ კიდობნის ასლი.

ებრაელი ხალხის მრავალ თაობას სოლომონი სიბრძნის განსახიერებად მიაჩნდა. ეს გასაკვირიც არ არის. მისი მეფობის წლები იყო ისრაელის უმაღლესი ეკონომიური და პოლიტიკური აყვავების ხანა, ერთადერთი პერიოდი ძლიერებისა, მშვიდობისა და აყვავებისა ქვეყნის ისტორიაში.

მართალია, მომდევნო თაობათა მესსიერებამ სოლომონის მმართველობის მხოლოდ ნათელი მხარეები შემოინახა, ჩრდილოვანი კი დავიწყებას მისცა, მაგრამ ეს ჩრდილოვანი მხარეები ცოტა არ ყოფილა და მათი გახსენება აუცილებელია, იმისათვის, რომ იმ ეპოქის ამსახველი ნამდვილი სურათი წარმოვიდგინოთ.

ჩვენ ვიცით, რა ვეებერთელა შემოსავალს აძლევდა სოლომონს ვაჭრობა და სპილენძის წარმოება. მიუხედავად ამისა, მას მზრუნველ და შორსმჭვრეტელ გამგებელს ვერ ეუწოდებთ. მისმა მფლანგველობამ და აღმოსავლური ფუფუნებისაკენ ლტოლვამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ქირამს ას ოცი ტალანტი ვეღარ დაუბრუნა და იძულებული გახდა, ვალში გალილეის ოცი ქალაქი მიეცა. ეს იყო ფინანსურ ჩიხში მომწყვდეული ბანკროტის ნაბიჯი.

როგორც ბიბლიური თქმულებებიდან ჩანს, მშენებლობაზე, შეიარაღებასა და სამეფო კარის შენახვაზე გაწეული ხარჯების მთელი სიმძიმე უპირველესად ქანაანის მცხოვრებლების მხრებზე გადადიოდა. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ ყოველწლიურად ორას ათას კაცზე მეტს მიერეკებოდნენ იძულებით სამუშაოზე ლიბანის ტყეებში, იორდანის ნაპირას მდებარე ქვის სამტეხლოებში და სამშენებლო მოედნებზე. მონური შრომის ეს შემზარავი სისტემა არაფრით განსხვავდებოდა დიადი პირამიდების მშენებლობათა ეპოქის ფარაონთა წესისაგან. თუ მხედველობაში მივიღებთ დავითის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ისრაელსა და იუდეაში იმხანად მილიონ ორასი ათასი მამაკაცი ითვლებოდა, ძნელი არ

იქნება წარმოდგენა იმისა, რომ მეფე თავის ხელქვეითთა დიდ ნაწილს უწევდა ექსპლოატაციას იძულებითი სამუშაოებით.

ასეთ ეკონომიურ შევიწროებას არ შეიძლება ღრმა სოციალური ძვრები არ მოჰყოლოდა. ყოველწლიურად იზრდებოდა უფსკრული მდიდრებსა და გადასახადებითა და შრომითი ბეგარით განაწამებ უუფლებო ღარიბთა შორის. დაბალ ფენებში იზრდებოდა უკმაყოფილება. იწყებოდა დრტვინვა და მღელვარება.

ქურუმებსაც კი, დავითის დროს რომ მეფის მოკავშირეები იყვნენ, ჰქონდათ უკმაყოფილების საფუძველი. მომდევნო თაობებს ახსოვთ სოლომონის დიდი დამსახურებანი და ამიტომ აპატიეს კერპთა საქეყნოდ გამოტანილი თაყვანისცემა თვით იერუსალიმის ტაძრის ეზოში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მისი თანამედროვე ქურუმების აღშფოთებას იწვევდა.

მეფის უზარმაზარი ჰარამხანა სავსე იყო ყოველგვარი რასისა და რწმენის ქალებით. აქ იყვნენ ხეთები, მოაბელები, იდუმიელები, ამონელები, ეგვიპტელები, ფილისტიმელები, ქანაანელები და კიდევ ბევრი სხვაც. საკუთარ წეს-ჩვეულებებთან ერთად მათ თავ-თავის ღვთაებათა კულტიც მოჰქონდათ სასახლეში. სოლომონი, განსაკუთრებით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, თავისი ფავორიტი ქალების ძლიერ გავლენას განიცდიდა: მათ თხოვნას თუ რჩევას ადვილად მიმყოლი მეფე სხვადასხვა კერპთაყვანისმცემლურ კულტს ამკვიდრებდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ტაძრის ეზოში თაყვანს სცემდნენ ბაალს, ასტარტეს და მოლოქს. რადგანაც ხალხთა მასები, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ქანაანელი ღმერთებისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი, მეფის მაგალითი მაინცდამაინც ვერ შეუწყობდა ხელს იაჰვიზმის განმტკიცებას.

მართალია, დავითმა და სოლომონმა ერთიან სახელმწიფოდ შეკრეს ყველა ტომი, მაგრამ სულიერ მთლიანობას მაინც ვერ მიაღწიეს. ჩრდილოეთ და სამხრეთ ქანაანის ტომებს შორის კვლავ პოლიტიკური და რასობრივი ანტაგონიზმი სუფევდა, თვით დავითიც კარგად გრძნობდა განკერძოებას მოსახლეობის ორივე ჯგუფს შორის. ლოგინად ჩავარდნილმა დავითმა სიკვდილის წინ სოლომონზე ასე თქვა: „და მე ვამცნო, რათა იყოს მფლობელად ისრაელსა და იუდასა ზედა“ (მესამე მეფეთა, თ. I, მ. 35).

ამასთან დაკავშირებით სოლომონმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა, რომელიც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს არ ეპატიება. მან ქვეყანა დაყო თორმეტ ოლქად, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, სამეფო კარის საჭიროებისა და არმიისათვის მიეწოდებინათ გადასახადი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობა. ამასთანავე კაცს თვალში ეცემა ისიც,

რომ ოლქების სიაში არ არის იუდას ტერიტორია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იუდა — დავითისა და სოლომონის ტომი, განთავისუფლებული იყო და არაფერს იხდიდა. ასეთ პრივილეგია კი აუცილებლად გააგულისებდა სხვა ტომებს, განსაკუთრებით ეფრემის ამაყ ტომს, რომელიც მუდამ მეტოქეობას უწევდა იუდას პრიორიტეტისათვის.

უკვე დავითის მეფობის დროს სახელმწიფო ხელისუფლებას ბზარი გაუჩნდა. აბესალომისა და სიბას ამბოხი არსებითად იყო ჩრდილოელ ტომთა აჯანყება, მიმართული იუდას პეგემონიის წინააღმდეგ. ეს ტომები მხარს უჭერდნენ სამეფო ტახტის პრეტენდენტებს — იშბოშეთს და ადონიას დავითისა და სოლომონის წინააღმდეგ. ეს მოწმობს იმ შინაგანი კონფლიქტების სიმწვავეს, ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო დაშლამდე რომ მიიყვანა.

სოლომონის უდიდესი შეცდომა იყო ის, რომ მას არასიდეს გაუწვევია ზრუნვა თავისი სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცებისათვის. სიბეცისა და ეგოიზმის გამო იგი დაუფიქრებლად აღრმავებდა საშიშ ანტაგონიზმს ტომთა შორის, რამაც მისი სიკვდილის შემდეგ კატასტროფა გამოიწვია. პირველი სახიფათო ნიშნები ჯერ კიდევ სოლომონის სიცოცხლეში გაჩნდა; ეს იყო ეფრემის ტომის აჯანყება იერობოამის მეთაურობით. იერობოამი დამარცხდა, მაგრამ მოახერხა გაქცეულიყო ეგვიპტეში, სადაც ფარაონი სუსაკიმი ძალზე გულთბილად შეხვდა. ეს უკვე მეორე ცუდი ნიშანი იყო: იგი მოწმობდა, რომ ეგვიპტეს რაღაც მტრული განზრახვა ჰქონდა ისრაელის სამეფოს წინააღმდეგ და ამიტომ უჭერდა მხარს ყველას, ვინც მის დასუსტებასა და დაქუცმაცებას უწყობდა ხელს. მართლაც, სოლომონის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ სუსაკიმი შეიჭრა იუდეაში და ბარბაროსულად გაძარცვა იერუსალიმის ტაძარი. ეს მოხდა დაახლოებით 926 წ. ჩვენს ერამდე.

სერიოზული ისტორიული შედეგი მოჰყვა აგრეთვე სოლომონის უძლურებას რაზონის მიმართ. მან ჯერ კიდევ დავითის მეფობის დროს გამოაცხადა თავი დამასკოს მეფედ. მიუხედავად იმისა, რომ უზურპატორმა ზედიზედ მოაოხრა ისრაელის ჩრდილოეთის საზღვრები, სოლომონმა მაინც ვერ გაბედა, მისთვის გადამწყვეტი დარტყმა ეგემებინა. ისრაელსა და იუდეას შორის განხეთქილების შემდეგ დიდად გაძლიერდა დამასკოს არამეული სამეფო. იგი მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა ისრაელს. ამან გაუადვილა ასურეთს სირიის დაპყრობა ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში, შემდეგ კი ისრაელის დამორჩილება 722 წელს და ისრაელის ათი ტომის წასხმა ბაბილონის ტყვეობაში. ასურეთის დაცემის შემდეგ ახალ ბაბილონურ სამეფოსა და ეგვიპტეს შორის დაიწყო ბრძოლა სირიისა

და ქანაანისათვის. იგი დამთავრდა 586 წელს იუდეის დაპყრობით და ქალდეველთა მიერ იერუსალიმის დანგრევით.

ამ ფაქტების მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ სოლომონის მეფობა, მთელი მისი ბრწყინვალებისა და მოჩვენებითი სიმდიდრის მიუხედავად, ბედნიერი არ ყოფილა. მეფის დამღუპველი პოლიტიკისა და დესპოტიზმის შედეგად შინაგანი სოციალური კონფლიქტებით შერყეული ისრაელი განუხრელად მიექანებოდა დაღუპვისაკენ. გასაკვირი არ არის, რომ დავითის მიერ ამოდენა ვაი-ვაგლახით შეკოწიწებული სამეფო მეფის გარდაცვალებისთანავე გაიყო ორ სუსტ, ერთმანეთისაგან განცალკევებულ სახელმწიფოდ, რომელთაც მუდმივი შინაომები ჰქონდათ ერთმანეთში.

აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ ტრადიციულ აზრს, თითქოს ქებათა ქებისა და იგავთა წიგნის ავტორი სოლომონ მეფეა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ სოლომონმა შეთხზა ათას ხუთი საგალობელი და სამი ათასი იგავი, რომლებშიც გამოხატულია მისი არაჩვეულებრივი სიბრძნე.

ქებათა ქება ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და თავისებური ეროტიკული პოემაა მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. ეგზოტიკური მეტაფორებისა და შედარებების ცეცხლით გავარვარებული მშვენიერი რიტმული ფრაზები ნამდვილად აღმოსავლური მგრძნობიარობით ვეაოცებენ. გასაკვირი არ არის, რომ პოეტების, მხატვრებისა და მუსიკოსების მრავალი თაობისათვის იგი იყო შთაგონების ამოუწურავი წყარო, პოეზიის ჯადოსნური სასმელით პირამდე სავსე ფიალა.

აი, როგორ მიმართავს თავის შეყვარებულს პოემის ახალგაზრდა გმირი:

„რაბამ შვენიერ ხარ და რაბამ ტკბილი ხარ,
საყვარელო, შვენებითა შენითა!
ემსგავსა სიმაღლე შენი ფინიკსა
და სასძეურნი შენნი — ტევანთა ყურძნისათა.
და ვთქვი — აღვიდე ფინიკსა
და დავიპყრნე რტონი მისნი,
იყვნენ ძუძუნი შენნი ვითარცა ტევანნი ყურძნისანი
და სული ნესტვთა შენთა ვითარცა ვაშლისა".

(ქებ. 7, 8)

ქალიშვილი კი ასე გვიხატავს თავის სატრფოს:

„თავი მისი — ოქრო წმიდა,
კოწოლნი მისნი — ყვავილნი დანაკისკუდიხანი,
შავ არიან, ვითარცა ყორანი.
თვალნი მისნი, ვითარცა ტრედნი
წარსადინელთა თანა წყალთასა.

ღაწენი მისნი — ნერგოვანი ბალსინისა,
გოდოლ ნელსაცხებელთა.
ბაგენი მისნი შროშანნი,
მწთოლვარენი მურისა მდინარისანი,
მკლავნი მისნი — სიმგრგველენი ოქროისანი,
შეჭედილნი თვალებითა პატიოსნითა.
მუცელი მისი — ფიცარი პილოის ძვალედი,
დაფარულ საფირონითა.
წვიენი მისნი — სვეტნი მარმარილოისნი,
დამტკიცებულ საფუძველთა ზედა ოქროისათა".
(ქებ. 5, 11)

პოემაში გვხვდება აგრეთვე ბუნების საუცხოო სურათები.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ქარმელის მთის საგაზაფხულო პეიზაჟის აღწერას:

„აჰა, ზამთარი წარხდა,
წვიმა დასცხრა, წარვიდა,
ყვავილნი გამოჩნდეს ქვეყანასა ზედა,
ჟამი სხლვისა მიიწია,
ხმა გერიტისა ისმა ქვეყანასა ჩვენსა,
ლეღვმან მოამწიფა ნაყოფი თვისი,
ვენახნი ჩვენნი ყვავიან,
გამოსცემენ სულნელს.
აღდეგ, მოვედ, საყვარელო ჩემო,
მშვენიერო ჩემო, მოვედ!"
(ქებ. 2, 11).

მხურვალე სასიყვარულო გრძნობები იშლება სიუჟეტურ ქარგაზე, რომელიც ძველ პასტორალებს მოგვაგონებს. მეფეს შეუყვარდა უბრალო სოფლელი ქალი სულამითი. მან თავის ჰარამხანაში წაიყვანა გოგონა: მაგრამ მისი გული ვერაფრით მოინადირა. ქალიშვილი თავისი შეყვარებულის — თანასოფლელი მწყემსის ერთგული დარჩა.

სასახლის ფუფუნებაში ბატონის ზრუნვითა და ალერსით გარემოსილი გოგონა გამუდმებით მისტირის იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც თავის შეყვარებულთან ერთად მთებში ცხვრის ფარას მწყემსავდა. ღამღამობით კი სატრფოს ძალუმ და საამო ხვევნაზე ოცნებობს.

ბოლოს და ბოლოს სიყვარული იმარჯვებს და შეყვარებულები კვლავ ერთდებიან.

ამ პოემას, სატრფიალო ლირიკის შედევრს, საოცარი ბედი ეწია. ჯერ არის და, გაუგებრობას იწვევს ის, რომ იგი ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებში აღმოჩნდა. როგორ მოხდა, რომ

რელიგიურ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნეს ესოდენ აშკარა ეროტიზმით გამსჭვალული პოემა? მკვლევარებმა ვერ შეძლეს ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა. ალბათ „საღვთო წერილის“ შემდგენლებმა იგი ბიბლიაში იმიტომ შეიტანეს, რომ მის ავტორად სოლომონ მეფე მიიჩნიეს.

იერუსალიმის ტაძრის აგებისათვის სოლომონს იდეალურ მეფედ მიიჩნევდნენ და ეთაყვანებოდნენ. ამიტომ მისთვის ეროტიკული პოემის ავტორობის მიწერა მკრეხელობა იქნებოდა. მაშასადამე — ასე იფიქრეს ბიბლიის შემდგენლებმა — ქებათა ქებაში სატრფიალო კი არა, რელიგიური გრძნობებია გადმოცემული. ავტორმა მას სატრფიალო ალეგორიის ფორმა მისცა მხოლოდ იმიტომ, რომ პოემა უფრო ადვილად გასაგები ყოფილიყო ერთმორწმუნეთათვისო.

მაგრამ ყველა და ყოველთვის როდი იყო დარწმუნებული ამ განმარტების სისწორეში. შემთხვევითი როდია, რომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ისრაელიტელი რაბინი და მეცნიერი აკიბა (ჩვენი წელთაღრიცხვის 50—135 წლები) ხალხს მოუწოდებდა, არ შეებილწათ ქებათა ქება და სამიკიტნოებში არ ემღერათ იგი. არაერთხელ წამოჭრილა საკითხი — სწორად არის თუ არა ეს პოემა მიკუთვნებული კანონიკურ თხზულებებს? დროთა განმავლობაში მაინც ტრადიციამ გაიმარჯვა. ქებათა ქება შევიდა ებრაულ ლიტურგიაში და პასექის დღესასწაულის პირველ დღეს სრულდება. მას კითხულობენ, როგორც მისტიკურ დრამას და ყოფენ მონოლოგებად, დიალოგებად და გუნდის პარტიებად. პოემის შინაარსი თითქოს გამოხატავს უფალ იაჰვესადმი ისრაელიტელთა დამოკიდებულების თანმიმდევრობით ცვლილებებს ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, სანამ ხალხი თავს დააღწევს მიწიერ ტანჯვას და ღმერთს შეუერთდება.

ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში პოემამ ძლევამოსილად გადააბიჯა კათოლიკური ეკლესიის ზღურბლს, რასაკვირველია, სახეშეცვლილი განმარტებით. შეყვარებული ვაჟი — ეს თვით იესო ქრისტეა, შეყვარებული ქალი — ეკლესია ან ქრისტიანის სული, გუნდში კი, შეყვარებული წყვილის მეგობრების სახით, ანგელოზები, წინასწარმეტყველები და პატრიარქები იმალებიან.

მართალია, V საუკუნეში კვლავ გაჩნდა ეჭვი პოემის რელიგიური ხასიათის შესახებ. კერძოდ, ზოგნი იმ აზრისა იყვნენ, რომ სოლომონმა პოემა დაწერა ერთ-ერთი თავისი ცოლის დასაცავად. ეს იყო შავგვრემანი ეგვიპტელი ქალი, ფარაონის ასული, რომელიც კანის ფერის გამო არ მოსწონდათ იერუსალიმში.

მაგრამ ეკლესია და ინკვიზიცია ფხიზლად იყვნენ და ამის წყალობით მკვლევარები მხოლოდ XVIII საუკუნეში მიუდგნენ ქებათა ქებას ჭეშმარიტად კრიტიკული თვალსაზრისით. მაგრამ

მაშინაც კი არავის მოსვლია აზრად. დაეჭვებულიყო სოლომონის ავტორობაში. პირიქით, ყველა იმის გამოცნობას ცდილობდა, მეფის რომელი საყვარელი იგულისხმებოდა სულამითის სახეში. რიგრიგობით ასახელებდნენ ხან მეფე ქირამის ასულს, რომელსაც სოლომონი თითქოს პირველად ქარმელის მთაზე შეხვდა, ხან ეგვიპტელი ფარაონის შვილს, ხან შებას დედოფალს, ბოლოს, შუნამელ აბიშაგს, რომელიც თავის დროზე ღრმად მოხუცებულ დავით მეფეს მოჰგვარეს სხეულის გასათბობად. რომანტიკული ელფერის წყალობით, ყველა ეარაუდი მრავალ მომხრეს პოულობდა, განსაკუთრებით მსატვრებსა და მწერლებს შორის.

მაგრამ ეს ჰიპოთეზები 1873 წელს უარყო პრუსიის კონსულმა დამასკოში ი. გ. ვეცშტეინმა. სირიელ გლეხთა საქორწინო წესებზე დაკვირვებისას მან ყურადღება მიაქცია საოცარ მსგავსებას მათ საწესჩვეულებო სიმღერებსა და ბიბლიურ ქებათა ქებას შორის. აი, რას წერს ვეცშტეინი თავის მემუარებში:

„სირიელი გლეხისათვის საუკეთესო დღეები მის სიცოცხლეში არის ქორწინების პირველი კვირა. ახალდაქორწინებულები წარმოადგენენ მეფეს და დედოფალს, მათ ემსახურება მთელი სოფელი.

ქორწილს უმთავრესად მარტში იხდიან. ესაა წელიწადის საუკეთესო დრო სირიაში. წვიმიანი ამინდები უკვე მოთავებულია, მზე კი ისე უწყალოდ არ აცხუნებს, როგორც შემდგომ თვეებში. დღესასწაული ეწყობა გარეთ, კალოზე, რომელიც ამ დროს მინდვრის ყვავილებითაა მოფენილი. ახალდაქორწინებულები საგანგებო ტახტზე სხედან, სტუმრები კი მათ ირგვლივ ცეკვავენ და მღერიან — ხან თითო-თითოდ, ხან გუნდურად, აქებენ ახალგაზრდა წყვილს, მათ სილამაზესა და მშვენებას. საქორწილოდ დიდებულად მორთული ნეფე-დედოფალი მთელი კვირის განმავლობაში არაფერს აკეთებენ, სხედან ტახტზე, იმსახურებენ სტუმრებს, უსმენენ სიმღერებს, უყურებენ, თუ როგორ ეჯიბრებიან მამაკაცები ერთმანეთს ვაჟკაცობასა და სიმარჯვეში. დედოფალი დროდადრო ადგება და ცეკვავს, რათა საქმროს ყურადღება მიიპყროს თავისი სილამაზით“.

შეპირისპირების გზით მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქებათა ქება ებრაელი ხალხის საქორწილო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ხალხური სიმღერების კრებულია. ასეთი სიმღერები ყველა ხალხის ფოლკლორში შეიძლება მოიძებნოს. ჩვეულებრივ, ისინი გარკვეულ საწესჩვეულებო რიტუალს უკავშირდებიან და ამგვარად ერთიან კომპოზიციას ქმნიან. ეს სიმღერები ძველთაგანვე გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში და, როგორც ვეცშტეინი ამტკიცებს, შემონახულია

ჩვენს დრომდე. სირიელი გლეხები დღესაც მღერიან ამ სიმღერებს ქორწილის დროს.

თუ რა შორეულ წარსულში მიდის ამ სიმღერების ფესვები, გავიგეთ მხოლოდ მაშინ, როცა მესოპოტამიის ლურსმული წარწერების გაშიფვრა ძოხერხდა. მკვლევარებმა წაიკითხეს ორი ეროტიკული პოემა. უეჭველია, ეს პოემები იმ სიმღერების ანსამბლია, რომელსაც დედოფალი უმღეროდა თავის საქმროს — მეფეს. შუმერული წესის მიხედვით, მეფე ვალდებული იყო, წელიწადში ერთხელ სიყვარულის ქალღმერთის ინანას ერთ-ერთ ქურუმ ქალზე დაქორწინებულიყო, რათა თავის ქვეყანაში უხვი მოსავალი უზრუნველეყო. სადედოფლოს მიერ შესრულებული სატრფიალო პოემა საოცრად ჰგავს ქებათა ქების ზოგიერთ ნაწყვეტს. მაგალითისათვის დავიმოწმებთ შემდეგ ოთხტაეპიან ლექსს:

„სატრფოვ, საყვარელო ჩემი გულისა,
შვენება შენი ტკბილ არს, ვით თაფლი.
ლომო, საყვარელო ჩემი გულისა,
შვენება შენი ტკბილ არს, ვით თაფლი".

ქებათა ქების ფოლკლორული წარმომავლობა, რა თქმა უნდა, გამორიცხავს სოლომონის ავტორობას და ამით ბიბლიურ ტრადიციას უარყოფს.

თანამედროვე მეცნიერებამ საბოლოოდ დაადასტურა ამ დასკვნის სისწორე. ქებათა ქების ფილოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ პოემის ენა სოლომონის ეპოქის ძველებრაულ ენაზე გვიანდელია. მათ, სულ მცირე, რამდენიმე საუკუნე მაინც აშორებს ერთმანეთს. მრავალრიცხოვანი არამეიზმები და ელინიზმები უცილობლად ამტკიცებენ, რომ პოემა შეიქმნა ბაბილონის ტყვეობის, ანუ ძვ. წ. 532 წლის შემდეგ, როცა ჰალესტინაში ძალზე ძლიერი იყო ბერძნული კულტურის გავლენა.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში უარყვეს აგრეთვე მეორე ტრადიციაც, რომელიც მეფე სოლომონს მიაწერდა იგავთა წიგნის ავტორობას. ბიბლიაში ნათქვამია, რომ სოლომონმა მთელ ეგვიპტურ სიბრძნეს აჯობა. ამ ფრაზის აზრი გასაგები გახდა მხოლოდ ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტელების, როგორც ძალზე ბრძენი ადამიანების, რეპუტაციას თავისი საფუძველი ჰქონდა. უკვე ფარაონთა V დინასტიის მეფობის დროს, დაახლოებით 2450-2315 წლებში ჩვენს ერამდე, კარის დიდებულმა პტახოტეპმა თავისი ძისათვის შეადგინა კრებული საყოფაცხოვრებო რჩევა-დარიგებებისა, რომლებიც მოკლე ანდაზების ფორმით იყო გადმოცემული. მასში აისახა ცხოვრების ჭეშმარიტად მდიდარი გამოცდილება, რადგან ავტორს კრებულის შედგენისას ას ათი წელი შეუსრულდა. კიდევ უფრო

საინტერესოა ეგვიპტელი ბრძენის ამენემოპეს დიდაქტიკური სენტენციები, რომელიც XVI საუკუნეს (ჩვენს ერამდე) ეკუთვნის.

ლურსმული ფირფიტებიდან შევიტყვეთ, რომ მსგავსი კრებულები ჰქონიათ აგრეთვე შუმერებს, ასურელებს, ქალდეველებსა და ფინიკიელებს. ბიბლიურ იგავთა წიგნის შედარებამ ამ მასალასთან გვიჩვენა, რომ მასში მრავალი რამაა ნასესხები ამ გაცილებით უფრო ძველი კრებულებიდან. აქ გვხვდება სრულიად მსგავსი აზრები და გამოთქმებიც კი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს იგავთა წიგნი არ შეიცავდეს ორიგინალურ ანდაზებს; მაგრამ მათი უმრავლესობა უეჭველად უცხოური წარმოშობისაა. ალბათ ეს იგავები გავრცელებული იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში და ქანაანშიც შეაღწია. ისრაელის ხალხმა ისინი თავის საკუთრებად მიიჩნია და შემდგომში მათი სიბრძნე სოლომონს მიაწერა.

ისრაელი და იუდეა

როგორ გაითიშა ისრაელისა და იუდეის გზები. დავითის სამეფო გვარს იუდეაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ამიტომ სოლომონის ვაჟმა რობოამმა დაუბრკოლებლად დაიკავა იერუსალიმის ტახტი. ახალ გამგებელს მაინც დასჭირდა სიქემში წასვლა, რათა მიეღო ჩრდილოეთის ტომთა თანხმობა თავის გამეფებაზე. თითქოს იქაც იოლად უნდა მოგვარებულიყო საქმე. ჩრდილოეთი მზად იყო, მომავალშიც დამორჩილებოდა იუდეველთა დინასტიას, ოღონდ სოლომონის მიერ შემოღებული მძიმე გადასახადების შემცირებას ითხოვდა. ჩრდილოეთის ტომებმა თავიანთ რწმუნებულად დანიშნეს მეამბოხეთა ყოფილი მეთაური იერობოამი, რომელიც ფარაონისაგან ოქროთი უხვად დასაჩუქრებული დაბრუნდა ეგვიპტიდან. ჩრდილოეთის ტომებმა აიძულეს ჭაბუკი მეფე მოლაპარაკებოდა მეამბოხესა და ლტოლვილს. ამით მეფეს აგრძნობინეს — თუ ჩვენს ნებას არ დაჰყვები, კვლავ იარაღს მოვკიდებთ ხელსო. უხუცესთა საბჭოზე იერობოამმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მეფეს: „მამამან შენმან დაამძიმა უღელი ჩვენი, ხოლო შენ შეგვიმცირე ფიცხელი შრომა მამისა შენისა და უღელი მძიმე, რომელი დაგვდგა მან და გმონებდეთ შენ“.

რობოამმა მოფიქრებისათვის სამი დღე ითხოვა. სოლომონის ძველი გამოცდილი მრჩეველები სთხოვდნენ დათმობაზე წასულიყო. მაგრამ რობოამს ტოლ-მეგობრების დარიგება უფრო დაუჯდა ჭკუაში. ისინი კი აგულიანებდნენ და ურჩევდნენ, შორს დაეჭირა კადნიერი მოთხოვნები. და აი, როცა სამი დღის შემდეგ კვლავ შეიკრიბნენ ტომთა წარმომადგენლები, მეფემ მათ მრისხანე პასუხი მისცა: „მამამან ჩემმან დაგდგათ თქვენ უღელი მძიმე, ხოლო მე შევჰმატო უღელსა თქვენსა. მამა ჩემი გტანჯვიდა თქვენ შოლტითა, ხოლო მე ღრიაკალითა გტანჯოთ თქვენ“.

ამის პასუხად ისრაელიტელებმა უარი თქვეს, ეცნოთ მეფე და სიქემი დატოვეს. რობოამი მაშინაც ვერ მიხვდა, რომ საქმე უკუღმა წაუვიდა და გადაწყვიტა, ძალით დაემორჩილებინა ჩრდილოეთი. დამსჯელი ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნა ყველასათვის საძულველი მეზვერე ადორამი, ვისი სახელიც სოლომონის დროს ძრწოლას იწვევდა. ჩრდილოეთის ტომებმა დაარბიეს მეფის რაზმები და ადორამი მოკლეს. შეშფოთებული რობოამი ეტლით გაიქცა და იერუსალიმის ციხესიმაგრეს შეაფარა თავი.

ამ უგუნური პოლიტიკის შედეგმა მალე იჩინა თავი. ჩრდილოეთის ათი ტომი იუდეას გამოეყო და თავის მეფედ იერობოამი გამოაცხადა.

ამგვარად, დავითისა და სოლომონის სახელმწიფო გაიყო ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ორ სუსტ სამეფოდ — ისრაელად და იუდეად.

ჯიუტ რობოამს არასგზით არ სურდა შერიგებოდა ამ მდგომარეობას. მან შეკრიბა დიდი არმია და დააპირა ჩრდილოეთისკენ დაეძრა იგი, რომ მეამბოხე ტომებს გასწორებოდა, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია მოხუცი წინასწარმეტყველი სამეა, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი გააჩნდა იერუსალიმში. მან იაკვეს სახელით შეაჩვენა ძმათა სისხლის მღვრელი ომი და მოსთხოვა მეფეს, ხელი აეღო თავის უგუნურ განზრახვაზე. ამგვარად, თავიდან აიცილეს სამოქალაქო ომი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ამ სახელმწიფოთა შორის თანხმობა დამყარდა. ათეული წლობით გრძელდებოდა შეურიგებელი მტრობა, რომელიც თავს იჩენდა ინტრიგებსა და სასაზღვრო ინციდენტებში, ამას კი ბოლოს და ბოლოს ომი მოჰყვა.

განხეთქილების შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ფარაონი სუსაკიმი დარწმუნდა, რომ მუდმივმა უთანხმოებამ ორივე სახელმწიფოს გამოაცალა ძალა. იგი თავს დაესხა ქანაანს, მოაოხრა იუდეა, ისრაელის ნაწილი და მხოლოდ მაშინ გაბრუნდა უკან, როცა რობოამმა უზარმაზარი ხარკი მიართვა — მან სუსაკიმს გადასცა იერუსალიმის ტაძრისა და სამეფო კარის აურაცხელი საგანძური. სოლომონის დიდებული ნაგებობანი გაპარტახდა. სულ ოცდაოდე წლის შემდეგ იქ, სადაც ადრე ოქრო ბრწყინავდა, შიშველი კედლები დარჩა. ეგვიპტემ ხელთ იგდო აგრეთვე ოქროს ფარები, რომელიც „ლიბანის ტყის სახლს“ ამშვენებდა. რობოამმა ბრძანა, მათ მაგივრად ჩამოესხათ სპილენძის ფარები; სურდა მათი ცრუ ბრწყინვალებით დაეფარა თავისი დაცემა.

ისრაელი თაყვანს სცემს ოქროს კერპს. იერობოამმა თავდაპირველად ხიქემი აქცია თავის დედაქალაქად. მერე,

ფარაონ სუსაკიმის შიშით, თავისი რეზიდენცია იორდანეს იქით, ქალაქ ფენუელში გადაიტანა, ბოლოს კი თერსას დამკვიდრდა.

ისრაელს ძალიან აწუხებდა რელიგიური ცენტრის უქონლობა. იაკვეს მღვდლები იერუსალიმში იყვნენ წასული, მორწმუნენი კი სალოცავად კვლავ სოლომონის ტაძარში დადიოდნენ. აქ იყო კულტის ერთადერთი და უწმინდესი საგანი — შჯულის კიდობანი. იერობოამს ძალზე აწუხებდა ის, რომ ხალხი სალოცავად მტრის დედაქალაქში დადიოდა. მას ეშინოდა, რომ დროთა განმავლობაში მისი ქვეშევრდომები კვლავ მოინდომებდნენ იუდეველთა ტომებთან გაერთიანებას, როგორც დავითისა და სოლომონის მეფობის დიდებულ ხანაში იყო. საფრთხის თავიდან ასაცილებლად იერობოამმა გადაწყვიტა, რელიგიურადაც ჩამოშორებოდა იერუსალიმს. ამ მიზნით ბეთელსა და დანში ააგო ტაძრები და იაკვეს ტახტის კვარცხლბეკად ორი ოქროს კერპი ჩამოასხმევინა. შექმნა ქურუმთა ცალკე კორპორაციაც, დაადგინა თავისი რელიგიური დღესასწაულები და რიტუალური წესები. ამგვარად, ეს გახლდათ ნამდვილი რელიგიური მწვალებლობა, თანაც კერპთაყვანისმცემლობასთან შერწყმული. იაკვისტები იერობოამის განდგომილებას კიცხვითა და გმობით შეხვდნენ. განსაკუთრებით აღშფოთებული იყო წინასწარმეტყველი აქია, რომელმაც თავისი ავტორიტეტით ხელი შეუწყო იერობოამის გამეფებას ისრაელში. ერთხელ, როცა იერობოამი ბეთელში ოქროს კერპს სწირავდა მსხვერპლს, გამოჩნდა აქია, წარმოთქვა შელოცვა და საკურთხეველი შუაზე გაიპო. განრისხებულმა მეფემ ხელი აღმართა და თავხედი წინასწარმეტყველის შეპყრობა ბრძანა, მაგრამ წმინდა კაცზე აღმართული ხელი წამსვე გაუხმა. იერობოამი შეძრწუნდა და აქიას შეევედრა, ჯანმრთელობა დამიბრუნეო. აქიამ იაკვეს დასმარებით აღასრულა მისი თხოვნა, მაგრამ იერობოამს ამ შემთხვევამ ჭკუა ვერ ასწავლა. იგი კვლავ კერპთაყვანისმცემლობას უქადაგებდა თავის ქვეშევრდომებს. წინასწარმეტყველი აქია მოუწოდებდა, დაბრუნებოდა ჭეშმარიტი რწმენის გზას, მაგრამ მეფემ ყურად არ იღო მისი სიტყვა. აქია წავიდა სელომში, სადაც მარტოდმარტო ცხოვრობდა. მიხრწნილ, დაბრმავებულ მოხუცს ძალზე სტკიოდა გული: მას იმედი გაუცრუა კაცმა, რომელიც გაამეფა იმ რწმენით, რომ იგი ერთგულად დაიცავდა მოსეს სარწმუნოებას.

თერსაში მეფობის დროს იერობოამს ავად გაუხდა საყვარელი შვილი, პატარა ბიჭუნა აბია. იერობოამმა ცოლს უთხრა: „აღდეგ და შეიცვალე სამოსელი და ნუმც ვინ უწყის, რამეთუ ცოლი ხარ იერობოამისა და წარვედ სელომს. მუნ არს წინასწარმეტყველი აქია და იგი იტყოდა ჩემთვის მეფობასა ერსა ამა-

სა ზედა. მიართვი მას ათი ჰური და კვერი და თაფლი ჭურჭ-
ლითა და გითხრას, რა იყოს ყრმისა ამის“.

მაგრამ ბრმა წინასწარმეტყველმა უმალვე შეიცნო დე-
დოფლის ვინაობა. მისი პირით იაპვე ამეტყველდა, იერობოამს
უცხო ღმერთების გამოსახულებათა აღმართვა უსაყვედურა და
ბრძანა: „ამისათვის მოვუვლინო ბოროტი სახლსა იერობოამის-
სა და მოვსპო ყოველი მამაკაცი სახლისა მისისა, დაყენებული
და დაშთომილი ისრაელსა. და აღვგავო სახლი იერობოამისი,
ვითარცა მტვერი, ვიდრე მოისრულოს იგი. რომელი მომკვდარ
იყოს იერობოამისი ქალაქსა შინა, შეჭამონ ძაღლთა, ხოლო
მომკვდარი ველსა შეჭამონ მფრინველთა ცისათა. ასრე ბრძა-
ნებს უფალი: აღდეგ და მიიქეცი; შესვლასა შენსა ქალაქად
მოკვდეს ყრმა იგი“.

შეძრწუნებული ქალი დაბრუნდა თერსას და როგორც კი კა-
რის ზღურბლს გადააბიჯა, ბავშვი უეცრად შემოაკვდა ხელში.

იერობოამმა ოცდაორ წელს იმეფა. მისი სიკვდილის შემდეგ
ტახტზე ავიდა მისი ძე ნაბატი.

რა ხდებოდა იუდეაში?. სოლომონის ძე რობოამი
ჩვიდმეტ წელიწადს მეფობდა იუდეაში. მისი მმართველობა ხელ-
საყრელი არ იყო იაპვეს რელიგიისათვის: მისი მეფობის მესუ-
თე წელს ფარაონმა სუსაკიმმა იერუსალიმის ტაძარი გაძარცვა.
ამას ისიც დაემატა, რომ რობოამი თავისი დედის, ამონელი ნა-
ამის გავლენით, კერპთაყვანისმცემელი გახდა. მთელ ქვეყანაში,
ბორცვებზე თუ წმინდა ხეების ქვეშ, მისი ქვეშევრდომები უცხო
ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. რობოამს გაუთავებელი შეიარა-
ღებული შეტაკებები ჰქონდა ისრაელთან. იერობოამის მეომარ-
თა თავდასხმისაგან დასაცავად მან სასაზღვრო ქალაქები გა-
ამაგრა. ამ ციხესიმაგრეში მეციხოვნე ჯარის უფროსობა თავის
ოცდარვა ძეს ჩააბარა. იერუსალიმში დაიტოვა მხოლოდ აბია,
რომელიც მემკვიდრედ გაიხადა. აბიამ მხოლოდ სამ წელიწადს
იმეფა. რელიგიურ საქმეებში იგი მამისა და დედის — მააქას
კვალს მისდევდა და კერპთაყვანისმცემლობას არ ებრძოდა.

მაგრამ აბია ენერგიული პოლიტიკოსი და სარდალი იყო.
მან კავშირი დაამყარა დამასკოს მეფესთან, რათა მოეპოვებინა
უპირატესობა ისრაელზე და უზარმაზარი არმია დაძრა იერო-
ბოამის წინააღმდეგ. სისხლისმღვრელ შეტაკებაში, რომლის
დროსაც ხუთასი ათასი ისრაელიტელი დაიღუპა, აბიამ სრული
გამარჯვება მოიპოვა. იგი შეიჭრა ბეთელში და ჩრდილოეთის
სხვა ქალაქებში, გააპარტახა ისინი და მრავალი ტყვე წამოას-
ხა. ამის შემდეგ იერუსალიმში დაბრუნდა. მას ჰყავდა თოთხმე-

ტი ცოლი, რომლებმაც ოცდაორი ძე და თექვსმეტი ასული უშვეს.

იუდეველთა ტახტზე აბია შესცვალა მისმა შვილმა ასამ, რომელმაც ორმოცდაერთ წელს იმეფა. თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ასა იყო თავგამოდებული იაპვისტი და კერპთაყვანისმცემლობის მტერი. მან ხელისუფლებას უმალვე ჩამოაშორა თავისი დიდიდედა მააქა, რომელიც ასტარტესა და პრიაპოსის კულტს ნერგავდა და იერუსალიმის ტაძარში დადგა ხის კუნძი — ასტარტეს სიმბოლო. ასამ ბრძანა, ეს კუნძი კედრონის ხეობაში დაეწვათ, ბორცვებზე თუ ჭალებში ააღებინა კერპები და ქვეყნიდან გააძევა ყველა უცხოელი, რომლებიც ცრუ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. იგი ცდილობდა, იაპვეს კულტი დაემკვიდრებინა იერუსალიმის ტაძარში, სადაც ხელახლა აგროვებდა განძეულობას და ტაძარს უბრუნებდა ყოფილ დიდებულებას. მაგრამ არც ისე იოლი იყო იუდეველ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა მიზიდვა დედაქალაქში. მათ წმინდა ადგილები დაიტოვეს ბორცვებზე და ჭალებში, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ იაპვეს.

ასამ წარმატებით მოიგერია სამხრეთელი ბედუინი ტომების შემოსევა და იმისათვის, რომ ისრაელის სამეფო ორ ცეცხლს შუა მოექცია, კავშირი განაახლა დამასკოს მეფესთან. ამ კავშირისათვის, მოსეს სარწმუნოებას რომ საფრთხეს უქმნიდა, იგი კადნიერად ამხილა წინასწარმეტყველმა ანანიამ. აქის გამო ასამ იგი დილეგში ჩააგდო. სიბერის ჟამს ასა მაინც მიხვდა, რა საზიფათო შეიძლებოდა ყოფილიყო ებრაელთა ტომებისათვის სირიის მზარდი ძლიერება და ამიტომ ისრაელთან ურთიერთობის გაუმჯობესება მოინდომა.

ასას ძემ იოსაფატმა ოცდაერთ წელს იმეფა. იგი, მამის მსგავსად, თავგამოდებული იაპვისტი იყო და მის პოლიტიკას განაგრძობდა. მან მოახერხა, თუმცა მცირე ხნით, ზავი შეეკრა ისრაელთან და ეს ურთიერთობა თავისი შვილის იორამისა და ისრაელის უძლიერესი მეფის აქაბის ასულის გოთოლიას ქორწინებით განამტკიცა.

ამბრი — ისრაელის უდიდესი მეფე. იერობოამის შვილმა ნაბატმა სულ ორიოდე წელიწადს იმეფა. ფილისტიმელთა ქალაქის გაბაონის ალყის დროს იგი მუხანათურად მოკლა ისაქარის ტომის წარმომადგენელმა ბაასამ. მეფის მკვლელმა მისი ოჯახიც ამოწყვიტა, გაანადგურა იერობოამის მთელი მოდგმა და ტახტს დაეუფლა. ბაასა ხერხიანი დიპლომატი და მამაცი მებრძოლი იყო. მან კავშირი შეკრა დამასკოს მეფე ბენადად I-თან და თავს დაესხა იუდეას. მოახერხა ქალაქ რამას

ხელში ჩაგდება, მაგრამ ცბიერებით იუდეველთა მეფემ ახამ აჯობა. მან უხვი საჩუქრებით გადაიბირა ბენადადი, რომელმაც გაწყვიტა კავშირი ბაასასთან და თავს დაესხა ისრაელს. ბაასა ჩრდილოეთში გაიქცა.

მეფის მკვლელმა და უზურპატორმა ბაასამ ოცდაოთხ წელს იმეფა და თავისი დღით მოკვდა. მისმა შვილმა ელამ კი მხოლოდ ორ წელიწადს შეინარჩუნა ტახტი. თერსაში, რომელიც მან სატახტო ქალაქად აქცია, გამართულ დიდ ნადიმზე იგი უგრძნობლად დათვრა. ამ დროს სასახლეში შეიჭრა საომარი ეტლების უფროსი ზამბრი, მოკლა მეფე და მთელი მისი ოჯახი ამოჟლიტა. ასე დაიღუპა ისრაელიტელთა მეორე დინასტია, რომლის მამამთავარი იყო ბაასა. ხელისუფლება ხელთ იგდო ზამბრიმ, მაგრამ არმიამ მას მხარი არ დაუჭირა. მხედართმთავარმა ამბრიმ თავისი რაზმებით თერსას მიაშურა და ალყა შემოარტყა ქალაქს. ზამბრი შვიდ დღეს უწევდა წინააღმდეგობას, მერე კი მიხვდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იყო, გადაწვა მეფის სასახლე და თვითონაც ცეცხლში დაიღუპა. ჯარმა მეფედ გამოაცხადა ამბრი, რომელმაც დასაბამი დაუდო ისრაელიტელთა მეოთხე დინასტიას. ეს დინასტია ორმოცდაათ წელიწადს იდგა ხელისუფლების სათავეში.

ყველა ისრაელიტელმა მაშინვე როდი აღიარა იგი მეფედ. ზოგიერთმა ტომმა წამოაყენა ვინმე თაბნის კანდიდატურა. მას განსაკუთრებით მხარს უჭერდა ეფრემის გავლენიანი ტომი. ოთხ წელს გრძელდებოდა საბოძალაქო ომი. საბოლოოდ ამბრიმ გაიმარჯვა, თაბნი კი სრულიად გაქრა პოლიტიკური არენიდან.

ამბრიმ ახალი დედაქალაქის აშენება გადაწყვიტა. იგი შეხაფერ ადგილს ეძებდა და ბოლოს არჩევანი ერთ-ერთ ბორცვზე შეაჩერა. აქედან მოჩანდა ქანაანის ყველა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა. კარგ ამინდში აქედან შესაძლებელი იყო ყველა მიმავალი ქარავნის დანახვა თვით ხმელთაშუა ზღვამდე. გარდა ამისა, ბორცვის დაცვა ალყის დროსაც ადვილი იყო, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს მომავალი სატახტო ქალაქისათვის. ამბრიმ ორი ტალანტი ვერცხლი მისცა ბორცვის მფლობელს სემერს და ქალაქსაც მისი სახელი — სამარია უწოდა.

ამბრის ძალზე ბედნიერი მეფობა შეხვდა. ასურელებიცა და ეგვიპტელებიც პატივს სცემდნენ მას. ამბრიმ დაიმორჩილა მოაბელები და მოხარკედ გაიხადა, მაგრამ სირიის მეფე ბენადადთან ვერაფერი გააწყო. ბენადადმა წაართვა მას რამდენიმე ქალაქი და დაითანხმა იმაზე, რომ სირიელ ვაჭრებს სამარიაში საკუთარი კვარტალი და თავისუფალი ვაჭრობის უფლება ჰქონოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ამბრი გამოცდილი სარდალი იყო, ომებს მაინც გაურბოდა. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა სიდო-

ნის მეფე ეთბაალთან. მასთან დადებული ხელშეკრულება ამბრიმ თავისი შვილის აქაბისა და სიდონის მეფის ასულის იეზაბელის ქორწინებით განამტკიცა. ამბრი იუდეველთა მეფესთანაც მეგობრობდა. ეს მეგობრობა კიდევ უფრო გააძლიერა მისმა ვაჟმა აქაბმა, რომელმაც თავისი ასული გოთოლია მეფე იორამს მიათხოვა.

ამბრიმ თორმეტ წელს იმეფა. მართალია, კერპთაყვანისმცემლობას არ ებრძოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი რამ კარგი გააკეთა. მის დამსახურებათა შორის მთავარია დიდებული სატასტო ქალაქის სამარიის მშენებლობა.

ფინასწარმეტყველი ელია და იეზაბელი. ამბრის შვილმა აქაბმა ოცდაორ წელს იმეფა. თავისი მეუღლის, სიდონის მეფის ასულის იეზაბელის ჩაგონებით მან უარყო იაჰვე და ისრაელში სახელმწიფო რელიგიად ბაალის კულტი დააწესა. იეზაბელმა ფინიკიელთა ღმერთს მელქარფს სამარიაში ტაძარი აუგო. იგი მისი ერთგული თაყვანისმცემელი იყო, იაჰვიზმის წინასწარმეტყველებს კი ავიწროებდა, სდევნიდა და ხოცავდა. საქმე იქამდე მივიღა, რომ იაჰვეს მიმდევრები იძულებულნი იყვნენ, თავისი რწმენა დაემალათ. ასეთი ფარული იაჰვისტი იყო მეფის სასახლის მთავარი გამგებელი აბდია. იგი იაჰვეს ას წინასწარმეტყველს დაეხმარა — დევნისაგან თავი დააღწევინა, სამარიის მახლობლად მდებარე გამოქვაბულში დააბინავა და წყლითა და პურით ამარაგებდა.

ერთხელ აქაბთან წინასწარმეტყველი ელია გამოცხადდა. იგი წარმოშობით გალაადელი იყო. უდაბნოში მას გამოეცხადა იაჰვე და უბრძანა წასულიყო აქაბთან. ელია მეფეს ეახლა განდეგილის ტანსაცმლით მოსილი, თოკის ქამარშემორტყმული; იგი მეფეს პირისპირ დაუდგა და ამხილა იგი სარწმუნოებისაგან განდგომისათვის. ელიამ უწინასწარმეტყველა, რომ ქვეყანას თავს დაატყდებოდა უბედურება — გვალვა და შიმშილი. „ცხოველ არს უფალი ღმერთი ისრაელისა, რომლისა წინაშე დავდეგ მე! — მრისხანე ხმით შეჰღაღადა ელიამ. — არა იყოს წელთა ამათ ცვარი ანუ წვიმა, თუ არა სიტყვითა ჩემითა!“

ამ წინასწარმეტყველების შემდეგ, მეფის შურისძიების შიშით, ელია სატასტო ქალაქიდან გაიქცა და იორდანეს იქით, მთებს შეაფარა თავი. აქ უდაბური ადგილები იყო, მაგრამ ელია მაინც არ შიმშილობდა. ყორნებს დღეში ორჯერ მოჰქონდათ მასთან პური და ხორცი, წყალს კი მდინარე ქორათიდან სვამდა, მაგრამ აი, დადგა ნაწინასწარმეტყველევი გვალვა, წვიმები შეწყდა და მდინარე სულ დაშრა. ელია სიდონის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქს სარეფთას დასახლდა. აქ იგი ერთმა

ღარიბმა ქვრივმა შეიკედლა და თავისი ღარიბული ლუკმაც უნაწილა. მოხდა სასწაული: ქვრივთან წინასწარმეტყველის ყოფნისას ჩანასს ფქვილი არ დაკლებია, ქოთანს კი ერბო.

მაგრამ აი, ქვრივს დაატყდა უბედურება: მის პატარა შვილს მძიმე სენი შეეყარა და გარდაიცვალა. ელიამ თავის ოთახში შეიტანა მიცვალებული, საწოლზე დააწვინა და იაკვეს შეეკედრა, მკვდართაგან აღადგინა იგი. იაკვემ შეისმინა წინასწარმეტყველის თხოვნა და ბიჭი გაცოცხლდა. გახარებულმა ქვრივმა შესძახა: „აწ ესე ვცან: კაცი ღმრთისა ხარ შენ და სიტყვა უფლისა ჭეშმარიტ არს პირსა შენსა!“

ისრაელში სამ წელს მძვინვარებდა შიმშილი. ამ ამბით შეძრწუნებული აქაბი დათანხმდა შეხვედროდა ელიას, რომ გამოეცადათ, რომელი ღმერთი იყო ჭეშმარიტი — იაკვე თუ ბაალი. ქარმელის მთაზე თავი მოიყარა ბაალის ოთხას ორმოცდაათმა წინასწარმეტყველმა, რომელსაც დედოფალი იეზაბელი არჩენდა. მათთან საბრძოლველად კი ელია გამოვიდა მარტოღმარტო. ისრაელიტელთა და ქანაანელთა მრავალრიცხოვანი ბრბო მოუთმენლად ელოდა ამ თავისებური ორთაბრძოლის დასასრულს. ელიამ ბაალის წინასწარმეტყველებს წინადადება მისცა, სამსხვერპლოზე დაედოთ დაკლული ხბო და თავისი ღმერთისათვის ზეციდან ცეცხლის გარდამოვლენა ეთხოვათ. წინასწარმეტყველები სამსხვერპლოს ირგვლივ ტრიალებდნენ, დანებს და შუბებს იჩხვლეტდნენ და გახელებულნი ყვიროდნენ: „ყურად იღე ხმა ჩემი, ბაალ!“ დადგა შუადღე, ხბოს ცეცხლი არ მოეკიდა. ელია მათ დამცინავად ურჩევდა: „უღაღადეთ ხმითა დიდითა, რამეთუ ღმერთი არს იგი. ნუუკვე ზრახავს იგი რასმე, ანუ საქმესა იქმს, ანუ გზად არს, ხოლო სძინავს თუ მას, განიღვიძოს“.

შუადღე მიიწურა. ელიამ სამსხვერპლო აღმართა, მას ირგვლივ თხრილი შემოავლო, შეშა დააწყო, ასო-ასო აქნა თავისი ხბო და ბრძანა, სამსხვერპლოზე წყალი დაესხათ. როგორც კი თხრილი წყლით აივსო, მან ზეცისაკენ აღაპყრო ხელები და ხმამაღლა შეეკედრა იაკვეს, დაემტკიცებინა, რომ იგია ჭეშმარიტი ღმერთი. უმალვე ზეციდან გამოჩნდა ცეცხლი, რომელმაც შთანთქა არა მარტო ხბო, არამედ სამსხვერპლოს ქვებიც და თხრილის წყალიც. ამ სასწაულის მხილველი ხალხი პირქვე დაემხო შეძახილებით: „უფალ არს ღმერთი! უფალ არს ღმერთი“! მაგრამ ელია ამას არ დასჯერდა, ბრძანა, შეეპყროთ ცრუწინასწარმეტყველნი და ყველანი სიკვდილით დაესაჯათ მდინარე კიშონზე. შემდეგ იგი ქარმელის მთაზე დაბრუნდა, ქვაზე ჩამოჯდა და ზღვის თავზე წვიმის ღრუბლის გამოჩენას ელოდა. რამდენიმე წამის შემდეგ მთელი ცა ღრუბლებით დაიფარა და დიდი ხნის ნანატრი კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

დედოფალმა იეზაბელმა ქარმელის მთაზე მომხდარი ამბავი

რომ გაიგო, დაიფიცა, შურს ვიძიებო. მოურჯულებელი წარმართი ქალის რისხვის შიშით ელია იუდეაში გაიქცა. აქ იგი კლდის გამოქვაბულებში იმალებოდა. ელიას კვლავ გამოეცხადა და იაჰვე, უბრძანა წასულიყო დამასკოში და სირიის მეფედ აზაელი ეკურთხებინა. მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დავალება ის გახლდათ, რომ ისრაელის მეფედ ეკურთხებინა იუ, აქაბის მხედართმთავარი.

გზაზე ელიას შემოხვდა ისრაელიტელი ელისე. მას თორმეტი უღელი ხარი ჰყავდა შებმული და ყანას ხნავდა. ელიამ წინასწარმეტყველს თვალში მოუვიდა და თავისი ხალვნი წამოასხა მხრებზე, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მოწაფედ მიჰყავდა. ამ მოულოდნელი წყალობით აღელვებულმა ელისემ თქვა: „მიტევე, ვეამბორო მამასა ჩემსა და დედასა ჩემსა და მოგდევდე შენ!“ შემდეგ დაკლა ორი ხარი, მეზობლებსა და ახლობლებს ნადიმი გაუმართა, მშობლები დატოვა და თავის ახალ მოძღვარს გაჰყვა.

ნაბოთეს ვენახი. მეფე აქაბს მუდმივი ომი ჰქონდა სირიელებთან. დამასკოს მეფე ბენადად II ოცდათორმეტ მოკავშირე მეფესთან ერთად ისრაელში შეიჭრა და სამარიასაც კი შემოარტყა ალყა. მაგრამ იგი დამარცხდა და იძულებული გახდა, თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. ერთი წლის შემდეგ ბენადადი კვლავ გამოჩნდა ისრაელში და კვლავ დამარცხდა, ამჯერად უკვე აფეკთან. იგი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ აქაბმა გაათავისუფლა, ოღონდ დაებრუნებინა ამბრის დროს მიტაცებული ისრაელის ქალაქები და ისრაელიტელი ვაჭრებისათვის დამასკოში თავისუფლად ვაჭრობის ნება მიაცემინა. ეს კი იყო, რომ იაჰვეს ერთ-ერთმა წინასწარმეტყველმა ასეთი ბრძანებანი არ მოუწონა.

გამარჯვებით დაგვირგვინებულმა ომებმა და ქვეყნის კარგმა ეკონომიურმა მდგომარეობამ აქაბს საშუალება მისცა, სამარიასთან ერთად თავისი მეორე დედაქალაქის — იეზრეელის გამშვენიერებას შესდგომოდა. მან ბრძანა, გაეფართოებინათ და სპილოს ძვლით მოეპირკეთებინათ მამამისის აშენებული სასახლე. სასახლის ირგვლივ მდებარე ბაღის გაფართოება და გამშვენიერებაც მოინდომა. ამ მიზნით მან მიმართა ნაბოთეს, რომელსაც სასახლის გვერდით ვენახი ჰქონდა. სთხოვა, ნაკვეთი ან მომყიდე, ან სხვა ვენახზე გადამიცვალეო. ნაბოთემ უარი უთხრა: მამა-პაპათა სამკვიდრებელია და ვერ შეველევიო. აქაბი ძალზე შეწუხებული დაბრუნდა სასახლეში. დაწვა, პირი კედლისკენ იბრუნა და აღარც საჭმელი ინდომა. უმშვენიერესი, დიდი სამეფო ბაღის შექმნაზე ოცნება ოცნებად უნდა დარჩენილიყო მისი ქვეშევრდომის ჯიუტობის გამო. როგორც ჩვეულებრივ ასეთ

დროს ხდება სოლომე, საქმეს ხელი მოკიდა ენერგიულმა და ცბიერმა იეზაბელმა. იგი ქმართან მივიდა და უთხრა: „აღდეგ და ჭამე პური და განიხაროს გულმან შენმან და მოგცე შენ ვენახი ნაბოთესი!“

მან მაშინვე მისწერა წერილი სანდო კაცს, დაალალა, გამოეძებნათ ორი ცრუ მოწმე, რომლებიც ნაბოთეს სახელმწიფო ღალატს დააბრალებდნენ. ასეც მოიქცნენ, ცრუ ბრალდების საფუძველზე ნაბოთე სიკვდილით დასაჯეს, მისი ვენახი კი მეფეს დარჩა.

მეფე-დედოფალს მთელი ქვეყანა ძრახავდა ამ უსამუსო საქციელისათვის, მაგრამ პროტესტის ხმამაღლა გამოთქმა ყურავინ გაბედა. მხოლოდ წინასწარმეტყველი ელია მივიდა აქაბთან და იაჰვეს ბრძანებით ასეთი თამამი სიტყვებით უწინასწარმეტყველა მისი მომავალი ბედი: „ასრე ბრძანებს უფალი: შენ მოკალ ნაბოთე და დაიმკვიდრე ვენახი მისი? ამისთვის, სადა ლოშნიდეს ძაღლნი სისხლსა მისსა, იქ ლოშნიდენ იგინი სისხლსა შენსა... ხოლო ეზაბელისთვის ბრძანებს უფალი: ძაღლთა შეჭამონ იეზაბელ ეზრეელის ზღუდისა გარე“.

ასეთი წინასწარმეტყველებით თავზარდაცემულმა აქაბმა ტანსაცმელი შემოიხია, ძაძები ჩაიცვა და მარხულობდა. იაკვემ მისი გულწრფელი მონანიება რომ იხილა, გადაწყვიტა, სამეფო გვარი აქაბის სიკვდილის შემდეგ მოესპო.

მეფე აქაბის სიკვდილი. სირიელებთან მშვიდობიანი ურთიერთობა მხოლოდ სამ წელს გაგრძელდა. ხელშეკრულების მიუხედავად, დამასკოს მეფემ უარი განაცხადა ისრაელისათვის გალაადის ქალაქ რემოთის დაბრუნებაზე. მაშინ აქაბმა იუდეის მეფე იოსაფატთან შეკრა პირი და მათ ერთად დაძრეს თავისი საომარი ეტლები სირიის ჯარების წინააღმდეგ. რომ არ ეცნოთ, აქაბი გადაცმული იბრძოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მძიმედ დაიჭრა მშვილდიდან ნასროლი ისრით. იგი ბრძოლის ველიდან სამარიაში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. იოსაფატმა კი გაქცევა მოახერხა და თავისი ჯარის დარჩენილ ნაწილებთან ერთად იერუსალიმში დაბრუნდა.

ამგვარად, აღსრულდა ელიას წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი. აქაბის სისხლით გასვრილი ეტლი მსახურებმა სამარიის ტბაში გარეცხეს, ძაღლები ისევ ლოკავდნენ მეფის სისხლს, როგორც ოდესღაც სიკვდილმისჯილი ნაბოთეს სისხლი ალოკეს.

აქაბის ძემ ოქოზიამ სულ ორ წელს იმეფა. ერთხელ იგი თავისი სასახლის აივნიდან გადმოვარდა და მძიმედ დასახიჩრდა. დახმარების სათხოვნელად მან მოციქულები გაუგზავნა აკარო-

ნელთა ღმერთს ბეელზებულს, რომელიც სნეულთა განკურნებით იყო ცნობილი. მეფის მოციქულები გზაზე წინასწარმეტყველმა ელიამ შეაჩერა და უწინასწარმეტყველა, რომ ოქოზია მალე მოკვდებოდა, თან წარგზავნილნი გაიცხა რჩევისათვის უცხო ღმერთთან წასვლის გამო. ელჩები სამარიაში დაბრუნდნენ. ელიას თავხედობით აღშფოთებულმა მეფემ მისი შეპყრობა ბრძანა, მაგრამ ბრძანების აღსრულება ადვილი როდი იყო. წინასწარმეტყველმა ზეციური ცეცხლით ზედიზედ გაანადგურა მის შესაპყრობად გაგზავნილი მეფის მცველთა ორი რაზმი. შემდეგ თვითონვე ეახლა მეფეს და უცხო ღმერთების თაყვანისცემისათვის მალე სიკვდილი უწინასწარმეტყველა. ოქოზია მართლაც მალე გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა იორამი — უკანასკნელი მეფე აქაბის დინასტიისა.

ელიას ზეცად ამაღლება. ელია თავისი ყველაზე ერთგული მოწაფის ელისეს თანხლებით ქანაანს მიდიოდა. იერიქონში რომ შევიდნენ, ელიამ ორმოცდაათი წინასწარმეტყველის თვალწინ თავისი მოსასხამი დაახვია და იორდანის წყალს დაჰკრა. წყალი მაშინვე გაიპო შუაზე და ისინი ფეხდაუსველებლად გადავიდნენ მეორე მხარეზე. გადასვლისთანავე უძლიერესი ქარი ამოვარდა; გამოჩნდა ცეცხლის ეტლი, რომელშიც ცეცხლის ცხენები ება. ელია ეტლზე ავიდა და ცეცხლის ალმა იგი ცისკენ აიტაცა. ელისემ ტანსაცმელი შემოისია და სასოწარკვეთით შესძახა: „მამაო ჩემო, მამაო ჩემო, ეტლო ისრაელისაო და მხედრობაო!“ პასუხი რომ ვერ მიიღო, ელიას დატოვებული მოსასხამით კვლავ გააპო იორდანის წყალი და იერიქონში დაბრუნდა. სასწაულის მნახველმა იერიქონელმა წინასწარმეტყველებმა ელისე ელიას მემკვიდრედ გამოაცხადეს.

ელისეს სასწაულები. იერიქონელები წუხდნენ—უვარგისი წყალი და უნაყოფო მიწა გვაქვსო. ელისემ ბრძანა, მოეტანათ მისთვის მარილით სავსე ახალი ჭურჭელი. შემდეგ ადგა, წყაროებს ჩამოუარა, შიგ ყველას მარილი ჩააყარა და წყალი სასმელად ვარგისი გახდა. იმ დღიდან იერიქონში წყალიც კარგი იყო და მიწაც ნაყოფიერი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ელისე ბეთელში გაემგზავრა. იგი ძმთავრესად ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობდა და ამ მხრივ ბრალებით არ ჰგავდა თავის მასწავლებელს, რომელსაც უდაბნოში ყოფნა ერჩია. ერთხელ გზად მიმავალ ელისეს ცელქი ბიჭების ჯგუფი აედევნა. ისინი მას დასცინოდნენ, რადგან მელოტი იყო, ქაჩალს უწოდებდნენ და უყვიროდნენ: „ავიდოდე, მტიე-

რო!“ წინასწარმეტყველმა შეხედა პატარა მდევრებს და იაჰვეს სახელით დასწყევლა ისინი. მაშინვე ტყიდან გამოეარდა ორი ძუ დათვი და ორმოცდაორი ბავშვი დაგლეჯა.

ბეთელიდან ელისე ქარმელის მთაზე წავიდა, იქიდან კი ისრაელის სატახტო ქალაქ სამარიაში. აქ მასთან მივიდა ერთი ქვრივი ქალი და შესჩივლა — მევალემ ჩემი ორი ძე მონებად წაიყვანაო. ელისემ შეიბრალა იაჰვეს ერთგული თაყვანისმცემელი ქალი. უბრძანა, შეეკრიბა ცარიელი ჭურჭლები და ყველა ერბოთი აუვსო. იმდენი ერბო შეგროვდა, რომ მისი საფასურით ქვრივმა შვილები გამოისყიდა.

სონამში ცხოვრობდა ერთი ქალი, რომელიც მასზე ბევრად უფრო ხნიერ კაცს გაჰყვა ცოლად და შვილი არ გაუჩნდა. იგი ყოველთვის კარგ მასპინძლობას უწევდა წინასწარმეტყველს, მისთვის ყოველთვის მზად ჰქონდა ცალკე ოთახი, ლოგინი, მაგიდა და სანთელი. მადლიერმა ელისემ უწინასწარმეტყველა — ერთი წლის შემდეგ სანატრი შვილი შეგეძინებაო. წინასწარმეტყველება აღსრულდა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ბავშვს ძაძმე სენი შეეყარა და გარდაიცვალა. მაშინ წინასწარმეტყველმა იგი თავისი ხელეულით გაათბო და სიცოცხლე დაუბრუნა.

გალგალში შიმშილობა იყო. მცხოვრებლები ბალახითა და სარეველა მცენარეებით საზრდოობდნენ. ერთმა მორწმუნე კაცმა, რომელიც ბაალ-შალიშის მკვიდრი იყო, გაიგო გალგალში ელისეს ჩამოსვლა და რომ არ ეშიმშილა, ოცი ქერის პური და ერთი ტომარა ხორბალი მიართვა. წინასწარმეტყველმა მადლობა გადაუხადა და სთხოვა, იქვე მყოფი ასი კაცისათვის ჩამოერიგებინა პური. ბაალშალიშელმა მიუგო — სულ ერთია, ყველას მაინც არ ეყოფაო. მაგრამ მოხდა სასწაული: პურები გაძრავლდა და იქ მყოფნი არა თუ დანაყრდნენ, პური შინაც წაიღეს.

როგორ განკურნა ელისემ კეთრისანი. სირიის მეფის მხედართმთავარი ნეემანი მდიდარი და ცნობილი კაცი იყო. უბედურება შეემთხვა — კეთრი შეეყარა. ნეემანის მეუღლეს ერთი ისრაელიტელი მხევალი ჰყავდა, რომელიც ბავშვობაშივე წამოეყვანათ ტყვედ. ერთხელ ახალგაზრდა ტყვემ, რომელსაც გულს სტკენდა მისი პატრონის უბედური ბედი, მას უთხრა: სამარიაში ცხოვრობს წინასწარმეტყველი, რომელსაც თქვენი განკურნება შეუძლიაო. ნეემანმა სთხოვა მეფეს, გაეშვა იგი სამარიაში, თან ისრაელის მეფესთან სარეკომენდაციო ბარათი გაეტანებინა. მეფემ შეუსრულა თავის მხედართმთავარს თხოვნა და მეფეს მისწერა: „აწ წარმოვგზავნე წიგნი ესე შენდა და მოვავლინე მონა ჩემი ნეემან, რათა განკურნო კეთრისაგან“. ისრაელის მეფემ წერილი რომ წაიკითხა, ტანსაცმელი შემოიხია და

შესძახა: „ნუთუ ღმერთი ვარ მე? არა ძალმიძს მოკვდინება და განცხოველება. და ძოაღლინა ჩემდა კაცი, რათა კეთროვანებისაგან მისისა განვწმიდო იგი?“ მას ეჭვი შეეპარა, რომ დამასკოს ცბიერი მმართველი უბრალოდ საბაბს ეძებდა ისრაელისათვის ომის გამოსაცხადებლად. ეს ამბავი ელისეს მიუვიდა და მანაც შეუთვალა გაჭირვებაში ჩავარდნილ-მეფეს, ავადმყოფი აქ გამოგზავნეთო. ამაყი სირიელი დიდებული წინასწარმეტყველის სახლთან ბრწყინვალე ეტლითა და ძრავალრიცხოვანი ამალით მიბრძანდა. ელისე მათ არ გამოეგება თაყვანისსაცემად. ამას კი ნეემანი არ მოელოდა. წინასწარმეტყველმა მსახურის პირით შემოუთვალა, რომ ავადმყოფი შვიდჯერ ჩასულიყო იორდანეში, წყალი გადაველო ტანზე და სნეულებაც გაუქრებოდა. ნეემანმა იწყინა ელისეს საქციელი და სიტყვებიც. იგი ასეთ მიმართვას არ იყო ნაჩვევი. ამასთანავე ეჭვმაც გაჰკრა, წინასწარმეტყველი ხომ არ დამცინისო. მან აღშფოთებით წამოიძახა: „ნუთუ უმჯობეს არა არიან აბანა და ფარფარი, დამასკოს მდინარენი, ვიდრე ყოველნი წყალნი ისრაელისანი? არა ძალ-მედვა განბანა წყალთა მათთა შინა განსაკურნელელად?“ შემდეგ კი განრისხებულმა დატოვა სამარია. გზაში მსახურებმა მაინც დაიყოლიეს და შეასრულებინეს თავზედი წინასწარმეტყველის ბრძანება. მან გადაუხვია იორდანისაკენ და შვიდჯერ ჩავიდა წყალში. ყველას გასაოცრად, კეთრი თვალის დახამხამებაში გაქრა და ნეემანს ტანი ახალშობილის სხეულივით სუფთა გაუხდა. მადლიერებით აღსავსე ნეემანმა ელისეს სასლს მიაშურა და ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი სამკაულები შეაძლია წინასწარმეტყველს საჩუქრად. როცა ელისემ უარი განაცხადა ძღვენის მიღებაზე, ნეემანმა შესძახა, რომ ამიერიდან თაყვანს სცემს მხოლოდ და მხოლოდ იაჰვეს, რომელმაც მას ჯანმრთელობა დაუბრუნა. ელისემ მიუგო, რომ იაჰვეს თაყვანისცემა მხოლოდ და მხოლოდ ისრაელის მიწაზე შეიძლებოდა. ამიტომ ნეემანმა მსახურებს უბრძანა, ამ მიწით ტომრები აევსოთ და ორი ჯორისათვის აეკიდებინათ — ჩემს სამშობლოში იაჰვეს საკურთხევლის წინ დავყრი და ამგვარად წესს ზუსტად დავიცავო.

მაგრამ შემდეგ ნეემანი ეჭვმა შეიპყრო. იგი დიდი თანამდებობის მოხელე იყო, და ამიტომ მაინც ვერ დააკლდებოდა სირიის ღმერთის რიმონის ტაძარში გამართულ რელიგიურ დღესასწაულებს. მეფე რომ რიმონს სცემდა თაყვანს, მასაც იგივე უნდა ექნა. მან წინასწარ სთხოვა თავის მწყალობელს, მიეტევებინა მისთვის ეს განდგომა. ელისემ დალოცა იგი და მომავალი შეცოდებანი შეუნდო.

ელისეს მსახურმა მალულად მოისმინა მთელი ეს საუბარი და გადაწყვიტა ხელთ ეგდო რაიმე იმ განძეულობათაგან, რაზეც ასე ოოლად თქვა უარი მისმა ბატონმა. იგი ნეემანს გამოუდგა,

დაწია და უთხრა: ელისემ შემოგიოთალა, ერთი ტალანტი ვერცხლი და ორი ხელი ტანსაცმელი გამოძიებულნე, ეფრემის ქალაქიდან სტუმრად მოსული ორი ჭაბუკისთვის მინდაო. ხირიელმა დიდი სიამოვნებით შეასრულა ეს თხოვნა და ერთი კი არა, ორი ტალანტი ვერცხლი გაატანა. მსახურმა მოტეკუებით მოპოვებული საჩუქრები შინ შეინახა, მაგრამ წინასწარმეტყველს კი ვერ გამოაპარა ეს ამბავი. ელისემ მოიხმო მატყუარა და რისხვით უთხრა: „ნუთუ არს ჟამი აღებად ვერცხლისა და ხამოსლისა, ანუ ზეთისხილისა და ვენახისა, ანუ პირუტყვისა და ცხოვარისა, მონათა თუ მხევალთა? და იყოს კეთრი ნეემანისი შენ თანა და თესლისა შენისა თანა უკუნისამდე". მართლაც, ელისეს ნათქვამი აღსრულდა.

აშაბის დიოასტიის დალუპვა. ისრაელის მეფე იორამი თოთხმეტ წელიწადს მართავდა ქვეყანას. ტახტზე ასვლისთანავე იგი შეუთანხმდა იუდეველთა მეფეს და ომი გაუმართა მეშას — მოაბელთა მეფეს. იგი ისრაელის ვასალი იყო, მაგრამ ხარკის გადახდაზე უარი თქვა. გაერთიანებულმა ჯარებმა დაამარცხეს მეშა, მაგრამ ის კი ვეღარ შეძლეს, ისრაელისათვის კვლავ დაემორჩილებინათ იგი.

მალე ისრაელში დამასკოს მეფე ბენადადი შემოიჭრა და სამარიას ალყა შემოარტყა. ალყა დიდხანს გაგრძელდა. ქალაქში ისეთი შიმშილობა დადგა, რომ დედებმა საკუთარი შვილები დაჭამეს. საბედნიეროდ, ხირიელთა ბანაკში ხმა გავრცელდა — ისრაელიტელთა დასახმარებლად ხეთები და ეგვიპტელები მოემართებიანო. შეშინებულმა ბენადადმა მოხსნა ალყა და სამარია მოულოდნელად გადაურჩა დაღუპვას.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე ბენადადს მძიმე სენი შეეყარა. გაიგო თუ არა, დამასკოს ელისე ეწვიო, მეფემ მას თავისი კარისკაცი აზაელი გაუგზავნა, მდიდრული საჩუქრები გაატანა და დაბარა — სთხოვე, მიმკურნალოსო. ელისემ მოუხმინა აზაელს და ტირილი მორთო. — რად სტირიო? — ჰკითხა აზაელმა. წინასწარმეტყველმა უპასუხა:

„ვტირ, რამეთუ ვუწყი, რომელი ბოროტი უყო შენ ძეთა ისრაელისათა. ცხენნი მათნი დასწვა ცეცხლითა და ჭაბუკნი მათნი განგმირო მახვილითა და ძუძუმწოვარნი მოსრნე და დედაკაცნი, მატარებელნი ყრმათა მუცლითა, განაპო".

აზაელი შეესიტყვა: „ვინ ვარ მე, მონა შენი, ნუთუ ძაღლი ვარ, ესევითარისა ბოროტისა მქმნელი?" ელისემ საზეიმოდ განუცხადა მას: „მამცნო უფალმან, რამეთუ ჰმეფობდე შენ ასურასტანსა ზედა".

ასეთი წინასწარმეტყველების მოსმენის შემდეგ აზაელი სა-

სახლეში დაბრუნდა, საბნით გაგუდა თავისი ბატონი და თავი დამასკოს მეფედ გამოაცხადა.

იორამს უნდოდა ესარგებლა დამასკოში სახელმწიფო გადატრიალებით, არეულობით და დაებრუნებინა სირიელთა ძიერ ძიტაცებული ქალაქი — გალაადის რამათი, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა და იეზრეელში დაბრუნდა სამკურნალოდ, სარდლობა კი თავის მხედართმთავარს იუს მიანდო.

იეზრეელში იორამი მოინახულა იუდეის მეფემ ოქოზიამ, რომელიც ძასთან მეგობრობდა.

იაკვისტებს სძულდათ იორამი, როგორც აქაბის შვილი და ოქროს კერპის თაყვანისმცემელი. ელისე წინასწარმეტყველმა გადაწყვიტა, ესარგებლა მისი ავადმყოფობით და ტახტიდან ჩამოეგდო. მან თავისი ერთ-ერთი სანდო ძოწაფე გალაადის რამათში გაგზავნა, რათა იუ ეკურთხებინა მეფედ. ამ წესის აღსრულებისას ელისეს წარგზავნილმა შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ასრე იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: „გცხო შენ მეფედ ზედა ერსა რჩეულსა უფლისა მიერ, ზედა ისრაელსა და დასცე შენ სახლი აქაბისი, უფლისა შენისა, რამეთუ ვიძიო შური სისხლისათვის მონათა ჩემთა, სისხლისათვის წინასწარმეტყველთა და ყოველთა მონათა უფლისათა, რომელნი დაეცნეს ხელითა იეზაბელისითა“.

ისრაელის არმიამ იუს მეფედ კურთხევა რომ შეიტყო, ერთხმად აღიარა იგი მეფედ. ასალი გამგებელი ეტლით გაეშურა იეზრეელისაკენ აჯანყებულ მეომართა თანხლებით. იორამმა არაფერი იცოდა შეთქმულების შესახებ და ძალზე გაოცდა, რომ იუმ გალაადის რამათი ღატოვა და მისკენ გაეშართა. მან ორჯერ გაგზავნა ელჩები იუს შესაგებებლად, მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა. ყველანი მეამბოხეებმა დააკავეს. მოციქულთა მოუბრუნებლობით შეწუხებული იორამი იუდეის მეფე ოქოზიასთან ერთად თვითონ გაემგზავრა თავისი მხედართმთავრის შესახვედრად. მეამბოხენი ძას მტრული და შეურაცხმყოფელი შეძახილებით შეხვდნენ. იორამი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გაქცევა დააპირა, მაგრამ უზურპატორის ისრით განგმირული ეტლიდან გადმოვარდა. ოქოზიასაც გაქცევით უნდოდა თავის დახსნა, მაგრამ იუმ ისიც დაჭრა. ოქოზიამ მხოლოდ მეგიდომდე მიაღწია და აქ მოკვდა. მისი ნეშტი მსახურებმა იერუსალიმს წაიღეს დავითის აკლდამაში დასაკრძალავად.

დედოფალი იეზაბელი მიხვდა, რომ აღსასრულის ჟამი დაუდგა. მან გადაწყვიტა, სიკვდილს ღირსეულად შეხვედროდა: სახეზე ფერ-უმარილი წაისვა, თმა დაივარცხნა და ამაყად გადმოდგა სასახლის ფანჯარაში. ქუჩაში იუ რომ დაინახა, შეურაცხყოფა და დაცინვა შეაგება. გაცოფებულმა მეფისმკვლელმა ბრძანა, ფანჯრიდან გადმოეგდოთ იგი. მისი გვამი ცხენებმა გა-

თელეს. მთელ ღამეს სისხლის გუბეში იწვა იეზაბელი, სასახლეში კი შეთქმულნი ღრეობდნენ. დილით იუმ ბრძანა, დაესაფლავებინათ იეზაბელის ნეშტი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ძაღლებს შეეჭამათ. ამგვარად, აღსრულდა ელიას წინასწარმეტყველების მეორე ნაწილიც.

სამარიაში აქაბის სამოცდაათი ძე ცხოვრობდა. იუმ ქალაქის უხუცესებს წერილი მისწერა და მორჩილების ნიშნად მათი მოკვეთილი თავები მოსთხოვა. შეშინებულმა სამარიელებმა აღასრულეს მეფის მოთხოვნა და თავები კალათებით გაუგზავნეს იეზრეელში. იუმ ბრძანა, თავები ქალაქის კარიბჭესთან აქეთ-იქით დაეყარათ, რათა მცხოვრებლებს საკუთარი თვალით ენახათ აქაბის მოდგმის დაღუპვა.

სანამ მოკლული მეფის ოქოზიას ნეშტს იერუსალიმში ჩაიტანდნენ, მისი ორმოცდაორი ძმა, რომლებსაც ჯერ არ მისულოდა სახელმწიფო გადატრიალების ამბავი, სტუმრად გაემართა იორამთან. იუმ შეიპყრო ისინი და ბრძანა, ჭასთან სიკვდილით დაესაჯათ.

მრისხანე უზურპატორი სამარიაში მივიდა და მაშინვე სასტიკად გაუსწორდა იორამის მომხრეებს, მეგობრებსა და ძოწეულებს. შემდეგ მთელი ქანაანიდან დედაქალაქში იხმო ბაალის ქურუმები და განუცხადა — მეფეს კურთხევის გამო მსურს თქვენს ღმერთს მსხვერპლი შევწიროო. მაგრამ იუმ მახე ღუგო მათ: როცა ბაალის ქურუმებმა ტაძარში მოიყარეს თავი, მათ თავს დაესხნენ ჯარისკაცები და მთლად ამოჟლიტეს. ბაალის ქანდაკება დაამსხვრიეს, ტაძარი კი შებილწეს და ფუხისადგილად აქციეს. იაჰვემ სძლია ქანაანელთა ღმერთებს, მაგრამ ეს იყო არასრული გამარჯვება, რადგან იუმ ვერ გაანადგურა ოქროს კერპის კულტი, რომლის ცენტრებიც იყო ქალაქები ბეთელი და დანი. წინასწარმეტყველები, რომლებმაც იუ ტახტზე აიყვანეს, აღშფოთდნენ, იაჰვე კი განრისხდა და სასჯელად დამასკოს მეფე აზაელს ნება დართო, გაენადგურებინა ისრაელის მიწები იორდანის აღმოსავლეთით. იუ გარდაიცვალა ოცდარვა წლის მეფობის შემდეგ. ისრაელის ტახტზე ავიდა მისი ვაჟი იოაქაზი, რომელმაც თექვსმეტ წელიწადს იმეფა.

გოთოლია — იუდეის დედოფალი. იუდეის მოკლული მეფის ოქოზიას დედა გოთოლია აქაბისა და იეზაბელის ასული იყო. იგი დედასავით დიდი ნებისყოფით გამოირჩეოდა. მისი გავლენით ბაალის კულტმა თანდათანობით სძლია იაჰვეს კულტს. სოლომონის ტაძარში უცხო ღმერთებს უკმევდნენ და სწირავდნენ მსხვერპლს, მათი ქურუმები და თაყვანისმცემელნი კი თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში.

შვილის დაღუპვა რომ შეიტყო, გოთოლიამ ხოსხლიანი საბელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ხელთ იგდო ძალაუფლება. იგი გვამებით მოფენილი გზით შეემართებოდა ტახტისაკენ და სამეფო საგვარეულოს ყველა წარმომადგენელს სპობდა. ვერ გაბედა მხოლოდ ოქოზიას დის იოსაბეს მოკვლა, რადგან იგი იაჰვეს უძლიერესი ქურუმის იოდაეს ცოლი იყო. იოსაბემ სიკვდილს გადაარჩინა ოქოზიას შვილი, ერთი წლის იოასი და დედოფლისაგან ფარულად ზრდიდა თავის სახლში. როცა იოასი შვიდი წლისა გახდა, ქურუმმა იოდაემ იაჰვისტთა დიდი შეთქმულება მოაწყო. თავდაპირველად მან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ყველა მხედართმთავართან და იოასისაკენ გადმოიბირა ისინი. შემდეგ მოიმიზეზა შაბათის დღესასწაული, რომელიც იერუსალიმში იმართებოდა, მოიწვია ლტოლვილები იუდეველთა მთელი სამეფოდან და დავითის ზარაღხანიდან იარაღი დაურიგა. დათქმულ დღეს, შაბათს, შეთქმულებმა ხელთ იგდეს ტაძრის ტერიტორია და იარაღი აპყარეს მეფის მცველებს. ცოცხალი არ გაუშვიათ არავინ, ვინც კი მათ შეთქმულებაში ჩაბმული არ იყო და ტაძარში შესვლას ცდილობდა. შემდეგ იოდაემ გამოიყვანა ჰატარა იოასი და მეფედ აკურთხა. როცა ყმაწვილს სამეფო გვირგვინი დაადგეს და ტახტზე დასვეს, ყველა იქ მყოფმა ერთხმად შესძახა: „ცხოველ იყავ მეფე!"

გოთოლია მაშინღა ეიხვდა, რომ ტაძარში რაღაც უჩვეულო ამბავი იყო. იგი სასახლიდან გამოეშურა და ტახტზე გვირგვინოსანი იოასი რომ დაინახა, საზარლად შეკივლა: „განდგომილება! განდგომილება!"

იოდაემ ბრძანა, გაეყვანათ და მოეკლათ იგი.

სანამ იოასი სრულწლოვანი გახდებოდა, მისი სახელით გამგებლობდა უზენაესი ქურუმი იოდაე, რომლის წყალობითაც კვლავ იაჰვეს თაყვანისმცემლებმა გაიმარჯვეს. მათ იერუსალიმის ტაძარში კერპთაყვანისმცემლობის ყოველგვარი კვალი მოსპეს, დაანგრიეს ბაალის სამსხვერპლოები და მისი ქურუმებიც განდევნეს. ამასობაში ტაძარი ძალზე დაზიანდა. საჭირო გახდა მისი შეკეთება. ამას ისიც დაერთო, რომ კედლებმა რღვევა დაიწყო. ტაძრისთვის მისი პირვანდელი დიდებულების დასაბრუნებლად საჭირო იყო დიდძალი სახსრები. მეფე იოასმა გადაწყვიტა, მოსახლეობაში აეკრიფა ეს თანხები; ტაძრის კარებში დადგა დიდი ყუთი. ყუთს ჰქონდა ჭრილი, რომელშიც მორწმუნენი ყრიდნენ შესაწირავს. თანხის შეგროვება ოცდასამ წელს გაგრძელდა; მაგრამ ტაძრის აღდგენას საშველი არ დაადგა. ქურუმები სისტემატურად ცლიდნენ ყუთს და ითვისებდნენ დაგროვილ თანხას. ბოლოს მეფეს მოთმინების ფიალა აევსო და თავის მწერალს დაავალა, ოვალეური ედეკენებინა შესაწირავის შეგროვებისათვის. აქედან მოგოლებული შესაწირავს იღებდნენ

და თვლიდნენ მეფის მოხელისა და უზენაესი ქურუმის დასწრებით. მალე აღდგენილი საშუშაოების დაწყება შეუძლებელი გახდა.

უზენაესმა ქურუმმა იოდაემ ას ოცდაათ წელს იცოცხლა. მისი სიკვდილის შემდეგ მეფე იოასმა იუდეველთა გავლენიანი დიდებულების ძალდატანებით, უარყო იაჰვე და ბაალის თაყვანისმცემელი გახდა. როცა იოდაეს შვილმა, ქურუმმა ზაქარიამ ამხილა იოასი სარწმუნოებისაგან განდგომის გამო, მეფემ მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. იაჰვემ გადაწყვიტა, დაესაჯა იოასი. მალე იუდეას თავს დაესხა დამასკოს მეფე. აზაელი. იგი აოხრებდა ქვეყანას და ყლეტდა მოსახლეობას. ომში დამარცხებამ ქვეყნად უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხმა იოასს მხარი აღარ დაუჭირა. ამასთანავე მას მძიმე სენი შეეყარა. ამით ისარგებლა იაჰვეს ქურუმებმა, რომლებმაც მეფეს ზაქარიას მოკვლა ერ აპატიეს. მათი ხელმძღვანელობით სასახლეში გადატრიალება მოხდა. ავადმყოფი იოასი საკუთარმა მსახურებმა მოკლეს.

ისრაელის აღმასასრული და დაცემა. იუს მოსახლე მტკრი იყო. დამასკოს მეფე აზაელი. როცა დამასკოს თავს დაესხა ასურეთის მეფე ხალმანასარ III, იუ მას მიეშველა. მაგრამ მალე შინაური შეღლით დასუსტებული ასურეთი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ექსპანსიის პოლიტიკაზე. ამით ისარგებლა აზაელმა და შური იძია იუზე. იგი ზეციზედ დაესხა თავს ისრაელს, ხელთ იგდო ირდანეს გაღმა მდებარე ტერიტორია და ისრაელის სამფლობელო თითქმის ერთი ნესამეოთით შეამცირა. იუს მეფობა დამარცხებითა და სახელმწიფოს დასუსტებით დამთავრდა. მისი შვილი იოაქაზი, რომელმაც ხეიდმეტ წელიწადს იმეფა, იძულებული იყო, ეცნო დამასკოს ჰეგემონია ისრაელის არმიამ არსებობა შეწყვიტა. დამასკოს იოაქაზს ნება დართეთ, ჰყოლოდა მხოლოდ ათი ათასი ქვეითი ჯარისკაცი, ათი საომარი ეტლი და ორმოცდაათი მხედარი. ქვეყანას თავდაცვის ძალა აღარ შესწევდა. მეფე აზაელმა თავის არმიასთან ერთად დაიარა ივი და ქალაქები და სოფლები გაარცეა. ისრაელის დასუსტებამ ხელი შეუწყო აზაელს ფილისტიმელთა და იუდეველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მან ხელთ იგდო ფილისტიმელთა ქალაქი გეთი. შემდეგ იერუსალიმისაკენ გაემართა და ალყა შემოარტყა. მას იუდეველთა მეფე იოასმა აზაელს უარი ელი ოქრო-ვერცხლით გადაუხადა. გამოსასყიდი და. მანაც ალყა მოხსნა.

ისრაელის ტახტზე ავიდა იოაქაზის ძე იოასი. იგი ყარგი სარდალი და ენერგიული მმართველი იყო. მისი ზეობისას ასურეთი კვლავ დაესხა დამასკოს და სერიოზული დამარცხებაც

აგემა. იოასმა ისარგებლა თავისი ძირითადი მტრის დროებითი სისუსტით და ძამის მიერ დაკარგული მთელი ტერიტორია დაიბრუნა. შემდეგ იგი შეიჭრა იუდეაში, გაიმარჯვა და გაძარცვა იერუსალიმი; დაანგრია იერუსალიმის ზღუდე, იუდეის ტახტზე თავის ვასალად ამასია დატოვა და სამარიას დაუბრუნდა.

დამასკოს დასუსტებამ და შინაურმა შუღლმა ასურეთში მთელ ქანაანს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მეფე იერობოამ მეორის დროს აღდგა დაცემული ისრაელი და დიდ ეკონომიურ აღმაველობას მიაღწია. ქვეყანა თითქმის ისევე აყვავდა, როგორც სოლომონის დროს. კვლავ გამოცოცხლდა საერთაშორისო აღებ-მიცემობა, გაჩნდა შეძლებულ მოქალაქეთა დიდი ფენა. ხელახლა აშენდა და დიდ ქალაქად იქცა სამარია. მაგრამ ამ ბრწყინვალე პერიოდს ნაკლიც ბევრი გააჩნდა, წვრილ მეურნეობათა ადგილი დაიჭირეს დიდმა სამფლობელოებმა, რომლებშიც მონები და უმიწაწყლო გლეხები მუშაობდნენ. საზოგადოების მცირე ნაწილი ზღაპრულ ფუფუნებაში ცხოვრობდა, დანარჩენ ხალხს კი სიღატაკესა და უუფლებობაში ხდებოდა სული. მდიდრებს შეწყალება არ ჰქონდათ გლახაკისა, მოვალეებს საპყრობილეში ყრიდნენ, სასმელ-საჭმელს ცეცხლის ფასად აძლევდნენ და არაადამიანურ ექსპლოატაციას უწევდნენ. სამხედრო ხარჯების სიმძიმეც ძირითადად ხალხთა მასებს აწვა მხრებზე. მიწათმფლობელები და სახელმწიფო მოხელეები კი სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრეს აგროვებდნენ.

იმ დროს ბეთლემის მახლობლად, თეკოეში, ცხოვრობდა ერთი მწყემსი ამოსი. იგი დღე და ღამე მთასა და ტყე-ღრეში დახეტიალებდა, უყვარდა ბუნება, თავმდაბალი და პატიოსანი კაცი იყო. ერთხელ ამოსმა ჩვენება იხილა: მას გამოეცხადა იაჰვე და უბრძანა, გაესწორებინა ქვეყანა. ამოსმაც აიღო თავისი მწყემსური კომბალი და სამარიისაკენ გაეშურა. იგი შეაძრწუნა ღრეობამ და გარყვნილებამ ქალაქში. შეშფოთებული შეჰყურებდა ფერ-უმარილით პირშეგლესილ ქალებს, მორთულ-მოკაზმულ ახალგაზრდებს, გულქვა დიდებულებს, სახლებისა და სასახლეთა ზღაპრულ სიმდიდრეს და ღარიბ-ღატაკთა უბედური ბედი გულს უთუთქავდა. იგი მაშინვე გაემართა ბეთელს. ისრაელის რელიგიურ ცენტრს რომ მიაღწია, დადგა იმ ტაძრის წინ, რომელშიც მოსეს ღმერთი ოქროს კერპის სახით იყო გამოხატული და წინასწარმეტყველებას შეუდგა. ქალაქის მცხოვრებნი და მლოცველები გაკვირვებულები უსმენდნენ შორეული მთებიდან მოსულ მწყემსის მხურვალე სიტყვებს. ამოსს უბირი ენა ჰქონდა, ხშირად ხმარობდა მეტაფორებს, რომლებშიც ჩიტები, დათვები, ლომები და გველები გამოჰყავდა. მას მთიელი კაცის ბირდაპირი მზერა ჰქონდა და ღრმად სწამდა, რომ ხალხს ჭეშ-

მარიტ, ღვთიურ სიტყვას ეუბნებოდა. ამოსი აღწერდა ისრაელის განადგურებას ცით მოვლენილი მკალისა და ცეცხლის მიერ, აფრთხილებდა ერს, რომ იაჰვე დასჯიდა მათ უღმრთოებისათვის. ამოსი დაჟინებით იმეორებდა, რომ იგი წინასწარმეტყველი არ იყო. მართლაც, იგი მკვეთრად განირჩეოდა მათგან. ამოსი არაფრად აგდებდა რელიგიური რიტუალის გარეგნულ ფორმას, მაგრამ მოუწოდებდა ხალხს, არ შეურაცხყოთ ღმერთი სიძვითა და მრუშობით, ფუფუნებით, გლახაკთა და უმწეოთა შევიწროებითა და ჩაგვრით. ეს იყო მოძღვრება, რომელიც არასოდეს გაეგონათ თავდადებულ იაჰვისტთა ბაგეთაგან. ამოსი ისრაელისა და სამარიის დაღუპვას წინასწარმეტყველებდა, რადგან გარყვნილი და გულქვა მდიდრები, რომლებიც სპილოს ძვლის სარეცლებზე ნებივრობდნენ ფუფუნებაში, ძძიმე შრომაში ხდიდნენ სულს დაბეჩავებულ ღარიბ-ღატაკებს. მან შეძრწუნებულმა შეჰღაღადა: „ისმინეთ ესე ყოველთა, რომელთა გრეხავს შემუსვრად გლახაკთა და მძლავრობად დავრდომილთა ქვეყანასა ზედა! და იტყვით: ოდეს გარდახდეს თვე და განვიყიდოთ პური, და შაბათი, და განვაღოთ პურის-საცავნი, და ვყოთ საწყაული შემცირებულად, და განვადიდოთ ფასი შეკელისა და ვეშოათ საწონელი ცრუ, რათა ვიყიდოთ უქონელნი ვეცხლითა და გლახაკნი ხამლისა წილ და ასაცერი პურისა განვყიდოთ!"

ეს იყო მძიმე ბრალდება. ამოსი მდიდარ ისრაელიტელებს უსაყვედურებდა ღატაკთა და უქონელთა მოტყუებას პურის სარისსა, წონასა და ფასში; ამხილებდა ქაო, ვისაც მოვალე ზოგჯერ წყვილი ფეხსაცმელისათვის მიჰყავდა მონად.

საზოგადოების მორალური დაცემის მამხილებელ წინასწარმეტყველს აუმხედრდნენ მდიდრები, რომლებიც მას საშიშ ჩაქქეზებლად თვლიდნენ. უხეშესი ქურუმი ამასია მეფე იერობოამს აფრთხილებდა: „ამბოხს აღადგენს შენ ზედა ამოს შორის სახლსა ისრაელისასა. ვერ შეძძლებელ არს ქვეყანა თმენად ყოველთა სიტყვათა მისთა". მეფის ბრძანებით ამოსი ისრაელიდან განდევნეს, რათა ვეღარ წაექეზებინა ხალხი მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ამასობაში, თითქოს ამოსის წინასწარმეტყველების დასადასტურებლად, ისრაელსა და იუდეას საშინელი საფრთხე მოვლინა. ასურეთმა მოაგვარა შინაური არეულობა და კვლავ დაიბრუნა ყოფილი ძლევამოსილება. ტახტზე ავიდა დიდი სარდალი თიგლათფალასარ მესამე, მან ხელი მიჰყო სამხედრო მიტაცების პოლიტიკას, მაგრამ ისრაელის ხელისუფალნი ვერ გაერკვნენ საფრთხეში, სასახლის გადატრიალებები და შინაომები ერთმანეთს მისდევდა ისრაელში. გააფთრებით ებრძოდა ერთმანეთს ორი დაჯგუფება; ერთი ეგვიპტისაკენ მიიწევდა, მეორე — ასურეთისაკენ. ამას არეულობა და ანარქია მოჰყვა სა-

მარიაში. იერობოამ მეორის შვილმა ზაქარიამ სულ ექვსიოდე თვეს იმეფა. იგი მოკლა ვინმე შალუმმა, რომელიც თავის მხრივ შემდგომ მანაიმმა მოკლა და ხელთ იგდო ტახტი. ამ უსურვა-ტორს ხუთ წელს ებყრა ხელისუფლება ასურეთის მხარდაჭერით. თიგლათფალასარი მაშინ პირველად შეიჭრა ისრაელის ტერიტორიაზე და ტახტზე თავისი ვასალი დასვა. მან მანაიმს ათასი ტალანტი ვერცხლი გადაახდევინა და ნინევიაში დაბრუნდა. ამ თანხის შესაგროვებლად მანაიმმა ყველა მდიდარ ისრაელიტელს ორმოცდაათ-ორმოცდაათი შეკელი ხარკი შეაწერა. ამან მთელ ქვეყანაში მღელვარება გამოიწვია. მანაიმის შვილმა ფაკიამ სულ ორიოდე წელს იმეფა და შეეწირა შეთქმულებას, რომელსაც მეთაურობდა მისი მხედართმთავარი, ეგვიპტის ერთ-ერთი მომხრე ფეკა. ამგვარად, გაიმარჯვა ეგვიპტის მომხრეთა დაჯგუფებამ. ფეკამ ანტიასურული პოლიტიკა დამასკოს მეფე რესინ პირველთან შეკავშირებით დაიწყო. მაგრამ მოკავშირეები თავს არც ისე ძლიერად გრძნობდნენ, რომ ასურეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაეწყოთ და იუდეველთა მეფე აქაზს შესთავაზეს, შეერთებოდა მათ კავშირს. უარი რომ მიიღეს, გადაწყვიტეს, ძალით გამოეგლიჯათ თანხმობა. მეფე აქაზი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. იმ დროს, როცა მოკავშირეებმა ჩრდილოეთიდან დაარტყეს იუდეას, სამხრეთიდან მას თავს დაესხნენ ედომელები, დასავლეთიდან კი ფილისტიმელები. აქაზმა დიდი ბრძოლა წააგო და გამაგრდა იერუსალიმში, რომელსაც ალყა შემოარტყეს სირიისა და ისრაელის ჯარებმა. იგი ველას შესთხოვდა ღმერთს მოლოქს და მსხვერპლად თავისი პატარა ძეც კი შესწირა. როცა ამანაც არ უშველა, დახმარება სთხოვა ასურეთის მეფეს. აქაზმა მას გაუგზავნა მთელი ოქრო და ვერცხლი, რისი შეგროვებაც კი შეძლო ტაძარსა და სასახლეში და მისწერა: „მონა შენი და ძე შენი ვარ მე. მოვედ და მიხსენ ხელთაგან მეფეთასა, რომელნი ფლობენ ასურასტანს და ისრაელს და აღმდგარ არიან ჩემ ზედა“.

თიგლათფალასარ მესამემ ელვისებური სისწრაფით დაანგრია დამასკო და მოკლა მეფე რესინი. შემდეგ ისრაელში შეიჭრა. წვეტიანი მუზარადებითა და რკინის ჯავშნებით შეჭურვილი მისი მეომრები ანადგურებდნენ ქვეყანასა და მოსახლეობას ულეტდნენ. ალმოდებულ ქალაქებსა და სოფლებში ნაწამებ მსხვერპლთა კვნესა-გოდება ისმოდა. დამპყრობლები ტყვეებს თეალებს სთხრიდნენ, ხელ-ფეხს აჭრიდნენ, სარზე აცვამდნენ და ცოცხლად ხდიდნენ ტყავს. გადარჩენილი ისრაელიტელები თიგლათფალასარმა მესოპოტამიის შუაგულში გადაასახლა, მათ ადგილზე კი სხვა დამორჩილებული აზიელი ტომები გამოგზავნა. ასურეთის პროვინციად იქცა მთელი ისრაელი, გარდა იმ ბორცვისა, რომელზედაც სამარია იყო გაშენებული. იუდეა ეე-

რუსალიმთან ერთად გალარჩა, მაგრამ ასურეთის ვასალი გახდა. და მოჩვენებითი დამოუკიდებლობისათვის ყოველწლიურად უზარმაზარ ხარკს იხდიდა.

სამარია ძლიერი, მიუდგომელი ციხესიმაგრე იყო. ასურელებს არც უცდიათ მისი დამორჩილება. მეფე ფეკა იქ გამაგრ- და თავისი არმიის დარჩენილ ნაწილთან ერთად, მაგრამ ტახტი. დიდხანს ვერ შეინარჩუნა. თიგლათფალასარის ინტრიგის შე- დეგად პროასირიულმა დაჯგუფებამ გადატრიალება მოახდინა, მეფე მოკლეს და ხელისუფლება ხელთ იგდო შეთქმულთა მეთა- ურმა ოსიამ. იგი ასურეთის მეფის მორჩილი იარაღი იყო. რამ- დენიმე წლის განმავლობაში ოსია უსიტყვოდ უხდიდა მას ხარკს. მაგრამ ანტიასურულმა დაჯგუფებამ ეგვიპტის დახმარე- ბით თანდათანობით წამოიწია თავი. ეგვიპტის მომხრენი უჩინი- ნებდნენ ოსიას, აჯანყებოდა ასურეთის ხელისუფლებას.

ოსიამ ამის აღსრულება გადაწყვიტა 727 წელს (ჩვენს. წელთაღრიცხვამდე), როცა თიგლათფალასარი გარდაიცვალა. მაშინ სირიაში აჯანყებამ იფეთქა და სამარიასაც მოეფლთ. თიგ- ლათფალასარის მემკვიდრემ სალმანასარმა დაუყოვნებლივ და- ძრა ჯარები. აჯანყებულთა წინააღმდეგ, გაანადგურა ისრაელი- ტელები, ოსია კი ტყვეედ წამოიყვანა და შებორკილი გაგზავნა ნინევიაში. ძვ. წ. 724 წელს სალმანასარმა სამარიას ალყა შე- მოარტყა. ორი წელი გავიდა და სალმანასარი ისე გარდაიცვალა, რომ ქალაქი ვერ აიღო. მხოლოდ მისმა მემკვიდრემ, მეფე სარ- გონ მეორემ დაიპყრო და დაანგრია ისრაელიტელთა ეს უკანას- კნელი ციხესიმაგრე. ასურული წესის მიხედვით, მან ადგილობ- რივი მცხოვრებლები ასურეთში გადაასახლა, ისრაელიტელთა გაპარტახებულ მიწებზე კი ჩამოასახლა სხვადასხვა ტომები არაბეთიდან და ბაბილონიდან. ახალმოსულებიც იაჰვეს თაყვა- ნისმცემლები გახდნენ. მაშინ ასურეთის მეფემ იქ გაგზავნა ერთ- ერთი ისრაელიტელი ქურუმი, რომელსაც მათთვის მოსეს სარ- წმუნოების საფუძვლები უნდა გაეცნო.

ამგვარად, უკვალოდ დაიკარგა იაკობის ათი ტომი. მათ ად- გილზე გაჩნდა სხვადასხვა მოდგმის ადამიანთა კონგლომერა- ტი. ამ ხალხს შემდგომ ერთიანად ეწოდა სამარიელები.

იუდეის სამეფოს ბედი. იოზიასა და სიბას ძის იოა- ხის მოკვლის შემდეგ იუდეის ტახტზე ავიდა ამასია. მან გა- ანადგურა მკვდარი ზღვის სამხრეთით მცხოვრები იდუმეველები, წაართვა მათ კერპები და იერუსალიმის ტაძრის ეზოში დადგა. ამის გამო იაჰვისტებმა დედაქალაქში ამბოხება მოაწყვეს. ამა- სია გაიქცა ლაქიშში, სადაც შეთქმულებმა მოკლეს. მისი ძე აზარია მამაცი სარდალი და კარგი გამგებელი იყო. მან ისრა-

ელთან აღადგინა მეგობრული ურთიერთობა, გაიმარჯვა ფილისტიმელებზე, დაიმორჩილა მეზობარი არაბი ტომები და ამონელები. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით გაზარდა არმია და გაამაგრა იერუსალიმი. იდუმეელებზე გამარჯვებისა და პორტ ელაფის გამაგრების წყალობით მან შეძლო მეწამულ ზღვაზე ვაჭრობის განახლება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. მაგრამ მმართველობის ბოლო ხანებში აზარიას ქურუმებთან მოუხდა დიდი კონფლიქტი, რადგან მან მსხვერპლის შეწირვის უფლება მიისაკუთრა, თანაც კეთრი შეეყარა და იძულებული გახდა, იერუსალიმი დაეტოვებინა.

ქურუმებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ იაჰვემ აზარია დასაჯა მათი პრივილეგიის ხელყოფისათვის. აზარიას ძემ იოთამმა სულ ხუთ წელს იმეფა. იგი მხურვალე იაჰვისტი იყო, მაგრამ იუდეაში მაინც სცემდნენ თაყვანს უცხო ღმერთებს, ხეებსა და ქვებს. იოთამის გამგებლობის დროს შეკავშირდნენ ისრაელი და დამასკო, რომლებიც მალე თავს დაესხნენ იუდეას. ტახტზე ავიდა იოთამის შვილი აქაზი. ისრაელიტელი და სირიელი ლაშქრით გარემოცულმა აქაზმა, როგორც უკვე ვიცით, მსხვერპლად შესწირა თავისი პატარა ძე და ასურეთს დახმარება შესთხოვა.

ამ დროს შეუდგა მოღვაწეობას სახელგანთქმული წინასწარმეტყველი ესაია — ძალზე განათლებული კაცი, ბრწყინვალე ორატორი და მწერალი. იგი თავგამოდებით ამხილებდა ქვეყნად დამკვიდრებულ კერპთაყვანისმცემლობას, იუდეველებს მოუწოდებდა ერწმუნათ იაჰვეს მფარველობა და აფრთხილებდა, კავშირი არ დაედოთ ასურეთთან. მაგრამ აქაზმა ბრძენს ყური არ ათხოვა და დასახმარებლად მრისხანე ასიელს მიმართა. შედეგი საბედისწერო გამოდგა არა მარტო მოძმე ისრაელისათვის, არამედ თვით იუდეისთვისაც. უცხოელ მებრძოლთაგან აოხრებული ქვეყანა გაღატაკდა. ცრუ მხსნელისათვის ხარკის გადახდის შემდეგ ხაზინა დაცარიელდა. იუდეამ დაკარგა დამოუკიდებლობა. აქაზი ნინევიაში გაემგზავრა ასურეთის მეფის თაყვანისსაცემად. უზარმაზარმა ქალაქმა თავისი გრანდიოზული ნაგებობებით მასზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისი კერპების ერთგული თაყვანისმცემელი გახდა. მან იერუსალიმის ტაძრიდან იაჰვეს საკურთხეველი გაატანინა და მის მაგივრად უცხო კერპთა საკურთხეველი დაადგმევინა. დავითის ქალაქში შემოვიდა ასურეთის რელიგია და კულტურა.

აქაზის შვილის მეფე ეზეკიას გამგებლობის დროს სამარია დაეცა. ამან შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა იუდეაში. წინასწარმეტყველი ესაია ხალხს საფრთხეს ამცნობდა, ასურეთს ამხილებდა და ღაღადებდა: „ისარნი მისნი მახვილ

არიან და ყოველნი მშვილდნი მისნი მორთხჳულ; ფერხნი ცხენთა მისთანი ვითარცა მყარი კლდე და ეტლის თუალნი მისნი ვითარცა ნიავქარი; ხმა მისი არს ვითარცა ლომისა და ზახილი მისი — ვითარცა ლომისა ლეკვისა. და იყეიროს და შეიპყრას ნადირი. და წარიღოს და არავინ იყოს მხსნელ მისა". აპოკალიფსური საშინელებით აღსავსე სიტყვებით იგი მოუწოდებდა იუდეველებს, უარი ეთქვათ უცსო ღმერთებზე და იაკვეს ღვაწრუნებოდნენ. ესაია გმობდა მლიდარეთა ფარისეველობას. ისინი მარხულობდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ იერუსალიმის ტაძარში, აბავე დროს კი ჩაგრავდნენ ღარიბებს, შეურაცხყოფდნენ ქვრივ-ობლებსა და ჩვილ ყრმებს. ისრაელისა და იუდეის ისტორიაში მან პირველმა იქადაგა, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რელიგიურ წესებს, თუ მათი შემსრულებელი სიბოროტილერი და საშართლიანი არ იქნება.

ესაიას გავლენით მეფე ეზეკიამ დაიწყო დიდი ბრძოლა იაკვიზმის აღორძინებისათვის. იგი წინ აღუდგა კერპთაყვანისმცემლობის ყოველგვარ გამოვლინებას, ამსხვრევდა ქვებს და ჭრიდა ხეებს, რომელთაც ხალხი ბორცვებზე თაყვანს სცემდა. მოსეს განკარგულებით რვალისაგან ჩამოსხმული გველის დამტვრევაც კი ბრძანა. იაკვიზმის აღორძინება ასურეთის გაძლიერებასაც ნიშნავდა. ეზეკია ბრძენი მმართველი იყო და ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან გარდაუვალი იყო ასურეთის სახელმწიფოსთან შეიარაღებული შეტაკება. იგი აგროვებდა სასხვრეხსა და იარაღს, წვრთნიდა არმიას. მან გაამაგრა იერუსალიმი, ციხესიმაგრეს მეორე ზღუდე შემოარტყა და კუთხეებში კოშკები დაატანა. გადაწყვიტა, უპირველეს ყოვლისა, ქალაქი წყლით მოემარაგებინა. კლდეში გამოაჭრევინა მიწისქვეშა არხი, რომლითაც წყაროს წყალი პირდაპირ ქალაქში მიედინებოდა. იერუსალიმი გაცხარებული პოლიტიკური მოლაპარაკების ადგილი გახდა. ამ მოლაპარაკებათა შედეგად შეიქმნა ანტიასურული კავშირი, რომელსაც შეუერთდნენ: ბაბილონის მეფე ბეროდაქ ბალადანი, ეგვიპტის ფარაონი და ფილისტიმელთა და ფინიკიელთა სახელმწიფოების მმართველები. მოკავშირეებს ყველაზე მეტად ეგვიპტის იმედი ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილმა და განათლებულმა წინასწარმეტყველმა ესაიამ იცოდა, რომ ეგვიპტე შინაური შუღლით იყო არაქათგამოცლილი და რომ მასზე იმედის დამყარება არ შეიძლებოდა; მან ყოველივე ეს ეზეკიას აცნობა და გააფრთხილა, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მალე აჯანყებამ იფეთქა ასურეთის ვასალ სახელმწიფოებში. ასურეთის მეფემ სინაქერიბმა უცბად დაიპყრო ბაბილონი, ჩაახშო აჯანყება ფინიკიაში და შემდეგ შეეტაკა ეგვიპტის არმიას, რომელიც მოკავშირეთა დასახმარებლად მიეშურებოდა. აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება. ეგვიპტელები სასტიკად დამარცხ-

დნენ ეკრონთან და ბედის ანაბარად მიატოვეს მოკავშირენი. სინაქერიბმა ხელთ იგდო ლაქიშის ციხე, გააცამტვერა იუდეა და ასურეთში გაირეკა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები. ნანგრევებსა და ნახანძრალებში მტერს მხოლოდ იერუსალიმი აღუდგა წინ. ასურეთის მეფემ მას ალყა შემოარტყა და ორჯერ, ერთხელ მოციქულთა საშუალებით და მეორეჯერ წერილობით, შესთავაზა ეზეკიას, დამნებდიო. მაშინ ესაიამ კვლავ მოუწოდა თანამემამულეებს, მედგრად დაეცვათ თავი და უწინასწარმეტყველა — იაჰვე მტრებს დასჯისო; და მართლაც, ერთხელ ღამით მტრის ბანაკს მოევლინა ანგელოზი და ხმლით გაწყვიტა ახოთხმოცდახუთი ათასი ასურელი მეომარი. სინაქერიბმა უკან დახევა ბრძანა და ნინევიაში დაბრუნდა. იერუსალიმი თავისუფალი დარჩა. ეზეკიამ კიდევ რამდენიმე წელს იმეფა და გაპარტახებული იუდეის ნანგრევებიდან აღდგენა მოასწრო. ქვეყნის მეურნეობა კვლავ კალაპოტში ჩადგა, მოსახლეობას დოვლათი დაუბრუნდა, ხალხი თაყვანს სცემდა მხოლოდ და მხოლოდ იაჰვეს, რომელმაც იგი ასურეთის უღლისაგან იხსნა. წინასწარმეტყველი ესაია, რომელმაც ასე ზუსტად იწინასწარმეტყველა მომავალი, სარგებლობდა უზარმაზარი ავტორიტეტით, როგორც მეფის კარზე, ასევე მოსახლეობის ფართო მასებში.

ეზეკიას გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე, თორმეტი წლის მანასე (687—642 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მისი სახელით სახელმწიფოს მართავდა სასახლის კარისკაცთა ჯგუფი, რომელიც იაჰვიზმის დაუძინებელ მტრებს აერთიანებდა. მათი გავლენით მეფემ უცხო ღმერთების კულტი აღადგინა. იუდეის ბორცვებზე კვლავ გააღმერთეს ქვის სვეტები და ხეები. იერუსალიმის ტაძარში გაჩნდა ასურელთა, ქანაანელთა, მოაბელთა, სიდონელთა ღმერთების სამსხვერპლოები და კერპები. ყველაზე მეტად ქალღმერთ ასტარტეს სცემდნენ თაყვანს. ტაძრის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ასტარტეს ქურუში ქალები, რომლებიც მის პატივსაცემად რიტუალურ მრუშობას ეწეოდნენ. გარდა ამისა, თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარესა და სხვა პლანეტებს. ტაძრის კარებთან ააგეს თავლა, რომელშიც მზის ღმერთისათვის შეწირულ ცხენებს ინახავდნენ. გეჰინომში მოლოქს მსხვერპლად სწირავდნენ ახალშობილებს, თვით მეფემაც კი შესწირა მას თავისი ძე მსხვერპლად. ამავე დროს მკაცრად სდევნიდნენ იაჰვეს თაყვანისმცემლებს. კერპთმსახურ მანასეს ბევრი წამებულის უდანაშაულო სისხლი დაედვა. იგი განსაკუთრებით ულმობლად სჯიდა იმ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ადანაშაულებდნენ და უწინასწარმეტყველებდნენ — იუდეა მალე დაიღუპებაო. წამებაში გარდაიცვალა

მოხუცი წინასწარმეტყველი უსაია, რომელიც სიხ ხერხით შუაზე გაჭრეს[1].

მანასე იაჰვისტების ოპოზიციასთან ბრძოლის დროს ასურეთს ეურდნობოდა და მიხი ვასალი გახდა. ასურეთმა ამ დროს თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ტახტზე ავიდა უდიდესი მეფე, განათლებული მმართველი ასურბანიფალი. მან ნინევია დიდებულ ქალაქად აქცია. თავის ბიბლიოთეკაში შეაგროვა ათასობით ლურსმული ფირფიტა, რომლებიც გარდასულ საუკუნეთა დამწერლობის ძვირფას განძს შეიცავდნენ. დოსლოებით 652 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამბოხება მოაწყო ბაბილონის გუბერნატორმა — ასურბანიფალის ძმამ. ამავე დროს ასურეთის ვასალებიც აჯანყდნენ. მანასეზე ეჭვი მიიტანეს, რომ აჯანყებულებთან შეთქმული იყო. ასურეთის ჯარები იუდაში შეიჭრნენ, დაატყვევეს მანასე და ბორკილებშეყრილი წაიყვანეს ნინევიაში. აქ მან საპყრობილეში გაატარა რამდენიმე წელი და ამ საშინელი განცდების ზეგავლენით იაჰვიზმს დაუბრუნდა. გათავისუფლებისა და იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ მანასე ჯერპმასურეობას ებრძოდა და თაყვანს სცემდა მხოლოდ იაჰვეს.

მისმა ძემ ამონმა მხოლოდ ორ წელიწადს იმეფა. უცხო ღმერთების კულტზე აღზრდილი ამონი შეეცადა. ის მოეშალა, რაც მამამისმა ბოლოს შემოიღო, ამიტომ იაჰვისტებმა მოკლეს.

ტახტზე ავიდა მანასეს ძე იოსია (640—609 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მისი მეფობის მეექვსე წელს ასურეთს თავს დაატყდა საშინელი უბედურება. კავკასიის მთებიდან დაიძრა სკვიდების ველური ტომების უსარმაზარი ტალღა, შეიჭრა ძიდიასა და ასურეთში, გაიარა ქანაანი, ოღონდ ისე, რომ იერუსალიმს ასცდა და ნილოსის ნაპირთან შეჩერდა. ასურეთის მეფემ ნინევიას შეაფარა თავი და გადარჩა, მაგრამ ასეთი დიდი შემოსევისაგან დაქცეული ქვეყანა წელში ვეღარ გასწორდა, მიუხედავად იმისა, რომ სკვიდები რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ კავკასიის მთებს დაუბრუნდნენ. იოსიამ ასურეთის დასუსტებით ისარგებლა და შეუდგა ქვეყნის ძირეულ სოციალურ რელიგიურ გარდაქმნას. სახოგადოებრივი სიმტკიცისათვის მებრძოლი მეფე ულმობლად ახშობდა ყოველგვარ უცხოურ კულტს და იაჰვიზმი ერთადერთ სახელმწიფოებრივ რელიგიად აქცია. ამ საქმეში მას მხარს უჭერდნენ ქურუმები და წინასწარმეტყველები ნაუმი და სოფონია. იოსიას მეფობის

---

[1] ბიბლია დუმილით უვლის გვერდს ესაიას ცხოვრების უკანასკნელ წლებს. ცნობა მისი მოწამებრივი სიკვდილის შესახებ შემონახულია ბაბილონის თალმუდში. ალბათ იგი ამოღებულია აპოკრიფული ტექსტიდან, რომელსაც ეწოდება „ესაიას ამაღლება ზეცად".

მეცამეტე წელს დედაქალაქში გამოჩნდა დიდი წინასწარმეტყველი იერემია, შთამომავალი ქურუმთა ძველი გვარისა, რომლის მამამთავრად უზენაეს ქურუმს აბიათარს მიიჩნევდნენ. იერემიამ მოუწონა მეფეს მის მიერ გატარებული რეფორმები, რადგან მათ იუდეა თეოკრატიული რეჟიმისაკენ მიჰყავდათ. იერემიას ისიც ესმოდა, რომ ეს მკვეთრი რეფორმები არსებითად მიმართული იყო ასურეთის გავლენის წინააღმდეგ და ხალხს ეგვიპტესთან კავშირს უშლიდა. იგი წინასწარმეტყველებდა — ეგვიპტე იუდეას განსაცდელსა და განადგურებას მოუვლენსო. თავის ქადაგებებში იერემიამ იწინასწარმეტყველა ჩრდილოელ ტომთა შემოსევა და იერუსალიმის დამხობა, ეს, რა თქმა უნდა, დიდად ვერ შეუწყობდა ხელს მის პოპულარობას დედაქალაქის მცხოვრებთა შორის.

კერპმსახურების ორმოცდაათი წლის შემდეგ საჭირო იყო, ტაძარში აღეგავათ უცხო კულტთა კვალი და შენობა განეახლებინათ. სწორედ მაშინ მოხდა შემთხვევა, რომელმაც ძალზე ააღელვა იაჰვეს ყველა ერთგული მიმდევარი. ტაძრის ერთ-ერთ კუთხეში იპოვეს გრაგნილი, რომელზეც სჯულის მივიწყებული წიგნის ტექსტი ეწერა. უზენაესმა ქურუმმა ქელკიამ „მატიანე სჯულისა“ მეფეს წაუკითხა. კერძოდ, აქ სათითაოდ იყო ჩამოთვლილი ის მკაცრი სასჯელები, რომელთაც მოსეს მიერ დადგენილი რიტუალური წესების დამრღვევნი იმსახურებდნენ. რჩევისათვის მიმართეს წინასწარმეტყველ ქალს ულდას. მან დაუდასტურა, რომ წიგნი ნამდვილია, დაამშვიდა იოსია და დაარწმუნა, რომ წიგნში ჩამოთვლილი სასჯელები მას არ ეხებოდა, რადგან იგი იაჰვეს ერთგული დარჩა. საღმრთო წიგნი საზეიმოდ წაუკითხეს ხალხს ტაძრის ეზოში. ერთგულებმა დაიფიცეს, აღესრულებინათ ყველაფერი, რაც მასში იყო დასახელებული.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ასურეთში ახალი პოლიტიკური ქარიშხალი ამოვარდა. ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ ასურეთის სამეფოს რამდენიმე პროვინცია გამოეყო. ასურელებს ჩრდილოეთიდან მიდიელები ავიწროებდნენ, სამხრეთიდან კი ქალდეველთა სემიტური ტომები, რომელთაც ბაბილონი დაიპყრეს. 612 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დამპყრობლებმა დაიკავეს და ერთიანად გაანადგურეს ნინევია. ასურეთის არმიის ბელადი, გადარჩენილი მეომრებითურთ, ქარანში გაიქცა. აქ იგი გააფთრებით იცავდა თავს. ქალდეველთა მეფემ ნაბოფალასარმა ბაბილონი თავის დედაქალაქად აქცია და ასურეთის ნანგრევებში საფუძველი ჩაუყარა ქალდეურ, ანუ ახალბაბილონურ სამეფოს. იგი უკვე მოხუცი იყო, ამიტომ სამხედრო კამპანიის წარმართვა თავის ვაჟს ნაბუქოდონოსორს მიანდო. ეგვიპტის ფარაონს ნეხო მეორეს ესმოდა, რა საშიშრო-

ებასაც წარმოადგენდნენ მისი ქვეყნისაოვის ასილი დამპყრობლები. ასურეთთან მუდმივი მტრობის მიუხედავად, მან გადაწყვიტა ქარანში დახმარებოდა ასურელთა რაზმებს, რომლებიც დამპყრობთა წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ. იოსია ბეცი და წინდაუხედავი პოლიტიკოსი აღმოჩნდა, ამ ვითარებას მან ალღო ვერ აუღო. ასურეთის სიძულვილით დაბრმავებულმა გზა გადაუღობა ეგვიპტის არმიას, რომელიც ქანაანზე გავლით ქარანში მიეშურებოდა. მეგიდოს მახლობლად გამართულ ბრძოლაში იოსია დამარცხდა და ეგვიპტელი მეომრის ისრით განგმირული დაიღუპა. იოსიას ნეშტი იერუსალიმში წაასვენეს და სამეფო აკლდამაში დამარხეს. ტახტზე ავიდა მისი ძე იოაქაზი.

ამასობაში ქარანის მახლობლად ნეხო დამარცხდა და გაიქცა. უკან მიმავალს წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. იგი იერუსალიმში შეიჭრა, იოაქაზი ეგვიპტეში წაიყვანა და იუდეის ტახტზე მისი ძმა იოაკიმი დასვა. იოაკიმი ფარაონის ნებას ემორჩილებოდა, თაყვანს სცემდა უცხო ღმერთებს და იაპვისტებს დევნიდა. მისი მეფობის დროს მოთავეობდა პროეგვიპტური დაჯგუფება, იერუსალიმი კი ახალბაბილონურ სამეფოს წინააღმდეგ შეთქმულებათა ცენტრად იქცა.

წინასწარმეტყველ იერემიას ფანატიკურად უყვარდა თავისი ხალხი. ქვეყნის მორალური დაცემა, სოციალური უთანასწორობა და მოსახლეობის პოლიტიკური სიბეცე მას თავის პირად ტრაგედიად მიაჩნდა. განმარტოებით ფიქრს მიჩვეული წინასწარმეტყველი ხშირად ვარდებოდა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, მიუხედავად ამისა, იგი მაინც გამოდიოდა ხალხში და ქოუწოდებდა, არ გაეხელებინათ ბაბილონის კოლოსი, რომ საკალალოდ არ გახდომოდათ ასეთი უგუნური ქცევა. ამ ქადაგებებით იგი მოტყუებული ბრბოს გულისწყრომას იწვევდა. ერთხელ ჩაიგდეს ხელში და კინაღამ შემოკვდათ, მაგრამ მეფის ჯარმა იხსნა. იოაკიმიც მტრულად ეკიდებოდა იერემიას. იერუსალიმის დაღუპვის წინასწარმეტყველებით შეურაცხყოფილმა მეფემ ბრძანა, დაეწვათ იერემიას ქადაგებები, რომელიც მას ჩაწერილი ჰქონდა. ორი წლის შემდეგ იერემიამ კვლავ იგივე უკარნახა და ჩააწერინა თავის მდივანს ბარუქს.

პირველი დამარცხების შემდეგ ფარაონმა ნეხომ კვლავ შეკრიბა ლაშქარი და 609 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბაბილონელთა წინააღმდეგ გაილაშქრა. ქარხემიშის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში იგი სასტიკად დამარცხდა. დაღუპეისაგან კი ერთმა გარემოებამ იხსნა — ის იყო ნაბუქოდონოსორი დაეღევნა, რომ მამის სიკვდილის ცნობა მიიღო და სასწრაფოდ გაბრუნდა ბაბილონში. ნაბუქოდონოსორი გამეგბლობდა 605—562 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პირველ ხანებში იგი

სახელმწიფოს შინაგანი საქმეების მოგვარებას უნდებოდა და იუდეისთვის ხელი არ უხლია. ფარაონის დაძარცხებამ ქარხემიშის მისადგომებთან მძლავრად შეარყია პროეგვიპტური დაჯგუფების გავლენა იუდეაში და იოაკიმი ხარკს უხდიდა ბაბილონის მეფეს. მაგრამ სამი წლის შემდეგ ეგვიპტისა და ხელახლა მომძლავრებულ პროეგვიპტური დაჯგუფების მიერ წაქეზებული მეფე აჯანყდა და ხარკი შეუწყვიტა ბაბილონს. მაშინ ნაბუქოდონოსორი ელვისებურად გაჩნდა იუდეაში, დაიპყრო იერუსალიმი და ტყვედ წაიყვანა იოაკიმი, რომლის ასავალ-დასავალი მესოპოტამიის ტერიტორიაზე ვეღარავინ გაიგო. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი იექონია. იგი მამისეულ ანტიბაბილონურ პოლიტიკას აგრძელებდა, ამიტომ ნაბუქოდონოსორი კვლავ გაჩნდა იუდეაში უზარმაზარი არმიით და იერუსალიმს ალყა შემოარტყა. იექონია, სიმხდალის გამო, თუ იერუსალიმის გადარჩენის მიზნით, ნებაყოფლობით დანებდა მტერს და მიჰგვარა მას დედა, ცოლები, ვაჟიშვილები და კარისკაცები. მან გამარჯვებულ მტერს გულის მოსალბობად მიართვა ყოველგვარი ძვირფასეულობა და ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეული, რაც კი მოიძევებოდა სასახლესა თუ ტაძარში, და შეწყალება ითხოვა: მაგრამ ამჯერად ნაბუქოდონოსორი ულმობელი აღმოჩნდა და ყურიც არ ათხოვა მის ვედრებას. მან მეფის ოჯახთან ერთად ბაბილონში წაასხა შვიდი ათასი გამოჩენილი ისრაელიტელი და ათასი ხელოსანი. მათ შორის იყო წინასწარმეტყველი ეზეკიელი. იექონიამ ოცდაჩვიდმეტი წელი გაატარა ციხეში. იგი გაათავისუფლა ახალი ბაბილონის მეფემ ევილმეროდაქმა. იუდეველთა უბედურმა მეფემ სიკვდილამდე უცხო ქვეყანაში ცხოვრება არჩია და სამშობლოში არ დაბრუნებულა. ბაბილონის სასახლეში მას თავისოვისა და ხუთი ძისათვის შესაფერი ბინა მიუჩინეს, ჰყავდა მსახურები და საჭმელ-სასმელსაც იღებდა. ნაბუქოდონოსორმა იექონიას ნაცვლად იუდეის მეფედ დანიშნა მისი ბიძა მათანია, რომელსაც სახელი გადაარქვა და სედეკია უწოდა. მას ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, მაგრამ სუსტი და გონებაშეზღუდული კაცი იყო. ძალიან მალე მოქცა პროეგვიპტური დაჯგუფების ფანატიკოსთა გავლენის ქვეშ და ქვეყანა კვლავ დაადგა ბაბილონის საწინააღმდეგო მცდელობის სახიფათო გზას. ეგვიპტის ტახტზე ავიდა ფსამეტიქ მეორე, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ დამონებული ხალხები. იერუსალიმში მიმდინარეობდა მათი ელჩების საიდუმლო თათბირები, ქალაქის ქუჩებში აგიტატორები და ფანატიკოსი იაჰვისტები უქადაგებდნენ და აქეზებდნენ ხალხს. იერემია სასოწარკვეთილი და აღშფოთებული იყო. იგი ხშირად მიმართავდა ხალხს მგზნებარე სიტყვით და მოუწოდებდა, არ გაეხელებინათ ბაბილონი. ურჩევდა, რომ მაინცდამაინც იმედი არ ჰქონოდათ ეგვიპტის დახმარებისა. იე-

რუსალიმის ბრბომ შეიძულა იგი ხიმართლის თქმისათვის. სასახლის მმართველმა წრეს მას ღალატი დასწამა და დააბრალა, რომ თავისი ქვეყნის დაძარცხება უნდოდა. იერემია ციხეში შეაგდეს და უმოწყალოდ სცემდნენ, მაგრამ წინასწარმეტყველი ვერ მოტეხეს. თავისუფლება ძიიღო თუ არა, კელავ განაგრძო მოღვაწეობა სამშობლოს ხახსნელად. როცა ეგვიპტის ტახტზე ფარაონი ჰოფრა აუიდა, ანტიბაბილონურმა დაჯგუფებამ თავისი განზრახვა საამყარაოზე გამოიტანა. ნაბუქოდონოსორმა იფიქრა, ‘ მოქმედების დრო დადგა. შეიჭრა იუდეაში, დაიპყრო ლაქიში, სხვა ციხეხიმაგრეები და შემდეგ დეღაქალაქს შემოარტყა ალყა. იერუსალიმი გმირულად იცავდა თავს. იარაღი აისხეს მოხუცებმა, ქალებმა, ბავშვებმა და მონებმა, რომელთაც ჯილდოდ გათავისუფლებას პპირდებოდნენ. იერემია ყოველსაირად ცდილობდა, ქალაქი და ტაძარი სრული განადგურებისაგან გადაერჩინა. იგი კეთილგონივრებისა და ნუბაყოფლობით კაპიტულაციისაკენ მოუწოდებდა ყველას. . ამისათვის მას ღალატი დააბრალეს. უნებისყოფო მეფე სედეკია მას ხან ხაპყრობილეში უკრავდა თავს; ხან კი ათავისუფლებდა, რომ თავის მახლობელთაგან მალულად რჩევა უკითხა. ქალდეის ჯარი მოელი წელი იდგა იერუსალიმის გალავანთან; მაგრამ მოვიდა ამბავი, რომ ალყაშემორტყმულთა საშველად უხარმაზარი არმიით მოდიოდა ფარაონი. ნაბუქოდონოსორს ალყის მოხსნა მოუხდა, იგი ეგვიპტის არმიისაკენ დაიძრა და იერუსალიმიც თავისუფლებას ეღირსა. მთელი ქალაქი ზეიმობდა. ქალაქის მკვიდრნი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ეგვიპტელ მხსნელებს ლოცავდნენ, მხოლოდ იერემია არ იზიარებდა საერთო სიხარულს. მან იცოდა ნაბუქოდონოსორის ძლიერება, ეგვიპტელთა გამარჯვება არ სჯეროდა და მომავალში სასაკეთოს ვერაფერს ხედავდა. ამას ისიც დაერთო, რომ მდიდრებმა და დიდებულებმა მას პირი უცვალეს: ღარიბებს ფალები არ აპატიეს და მონები არ გაათავისუფლეს. ამის გამო იერუსალიმში მღელვარებამ იფეთქა. ქალაქის მოტეეუებული დამცველები აჯანყდნენ. იერემიამ დედაქალაქის გადარჩენის იმედი დაკარგა. გადაწყვიტა, მშობლიურ ქალაქ ანათოთში წასულიყო და თავისი ქონებისათვის მიეხედა. ქალაქის კართან იგი დაიჭირეს, დეზერტირად ცნეს, მაბეკვეს და ციხეში შეაგდეს. მაგრამ მეფე სედეკიამ ბრძანა — იერემია მოსცავარეთო, რადგან გაჭირვების ‘ ‘ ‘

ცხვამდე ქალდეველებმა შეტევა დაიწყეს, გაანგრიეს კედელი და ქალაქში შეიჭრნენ. გამძვინვარებული ბაბილონელი ჯარისკაცები ხოცავდნენ ხალხს, ძარცვავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს. მალე იერუსალიმი ნანგრევების გროვად იქცა. ტაძრისა და მეფის სასახლისაგან დარჩა მხოლოდ კედლების შერჩული ნანგრევები და დამსხვრეული სვეტები. ქალაქმა არსებობა შეწყვიტა. მეფე სედეკია ოჯახითა და მსახურთა ჯგუფის თანხლებით იერუსალიმიდან გაიპარა და იორდანის მიმართულებით გაიქცა. მდევარმა რაზმმა იგი იერიქონთან შეიპყრო. ნაბუქოდონოსორმა ბრძანა, დაეხოცათ მეფის შვილები, სედეკიას კი თვალები დათხარა და ბორკილებშეყრილი ბაბილონში გაგზავნა. იუდეველთა უკანასკნელმა მეფემ მალე ციხეში დალია სული.

იერემიას კი ნაბუქოდონოსორმა სამშობლოში დარჩენის ნება დართო. წინასწარმეტყველმა ისარგებლა ამით, იერუსალიმიდან შჯულის კიდობანი და იაჰვეს საძსხვერპლო გამოიტანა და გადამალა*. შემდგომში კი მათი პოვნა აღარ მოხერხდა.

მესოპოტამიური წესის მიხედვით, გამარჯვებულებმა იწყეს მცხოვრებლების განდევნა იუდეველთა ქალაქებიდან და სოფლებიდან. ათობით ათასი ტყვე ერთმანეთზე გადააბეს თოკებით და შორეულ უცხო ქვეყანაში გარეკეს. დევნილთა კოლონები მრავალი თვის განმავლობაში მიეხეტებოდნენ უდაბნოში, გზაში ათობით და ასობით გვამი მოიტოვეს უკან. ვინც გზას გადაურჩა, ბაბილონის ახლოს ბანაკებში მოათავსეს. აოხრებულ იუდეაში დარჩნენ მხოლოდ სოფლელი ღატაკები, რომელთაც მეპატრონეთა მიერ მიტოვებული მინდვრები და ვენახები მიანდეს მოსავლელად თუ სამეთვალყურეოდ. მათ გუბერნატორად ნაბუქოდონოსორმა დანიშნა იუდეველი გოდოლია, რომელმაც თავის რეზიდენციად ქალაქი მასეფა აქცია. მის სასახლეში ბინა დაიდო იერემიამ, რომელიც დარჩენილი იუდეველი მოსახლეობის სულიერი მოძღვარი გახდა. ქვეყანა გაღარიბდა და აოხრდა. მებაჟეები მიწათმოქმედებსა და მესაქონლეებს უკანასკნელ ლუკმას აცლიდნენ პირიდან. პარტიზანები და ყაჩაღთა ბრბოები ქალაქებსა და სოფლებს ძარცვავდნენ. ასურეთის ფანატიკურმა შტრებმა ტერორი დაიწყეს. ხოცავდნენ რენეგატებად და შემთანხმებლებად მიჩნეულ თანამემამულეებს. ბოლოს და ბოლოს გოდოლიასაც მისწვდნენ და მოკლეს. ამის შემდეგ ეგვიპტეში გაიქცნენ და ძალით წაიყვანეს იერემია. წინასწარმეტყველი ტაფნისში დასახლდა და წყევლა-კრულვით იხსენიებდა თანამემამულეებს კერპთმსახურებისა და იაჰვეს ღალატისათვის[1].

---

[1] თალმუდის თანახმად, იერემია გარდაიცვალა ბაბილონში, სადაც იგი მიიყვანა ნაბუქოდონოსორმა ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით კი იერემია თანამემამულეებმა მოკლეს ეგვიპტეში.

ბაბილონის ტყვეობა. იუდეველი ტყვეები პირველად ცალკე ბანაკებში დაასახლეს. ისინი მუშაობდნენ ქალაქ ბაბილონში მშენებლობაზე, მეფის მამულში სარწყავი არხები გაჰყავდათ. დროთა განმავლობაში კი, განსაკუთრებით ნაბუქოდონოსორის სიკვდილის შემდეგ, მათ პირადი თავისუფლება დაუბრუნეს. იუდეველები დედაქალაქის გარეუბნებში სახლდებოდნენ და მებაღეობასა და მებოსტნეობას ეწეოდნენ. ბევრმა ვაჭრობას მიჰყო ხელი და დიდი ქონებაც შეიძინა, რადგან ბაბილონი იმჟამად საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ზოგიერთი იუდეველი მდიდარი ვაჭარი ან დიდი მიწათმფლობელიც კი გახდა. ზოგს დიდი პოსტი ეჭირა სახელმწიფო აპარატში და მეფის კარზე.

ბაბილონი ხალხმრავალი ქალაქი იყო. მას გარს ერტყა ციხის ორმაგი გალავანი. ეს ზღუდე იმისიქე იყო, რომ მასზე თავისუფლად შეიძლებოდა ოთხცხენიანი ეტლით ვალა. ექვსასზე მეტი კოშკი იცავდა დედაქალაქის მცხოვრებთა სიმშვიდეს. დიდებულად მოჩუქურთმებული იშთარის ჭიშკრიდან მიემართებოდა ფართო ქუჩა, რომლის კედლები დამშვენებული იყო ლომების ბარელიეფებით. ქალაქის ცენტრში მდებარეობდა ხელოვნებიდან დაკიდებული ბაღი, რომელიც ძველი სამყაროს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთად ითვლებოდა. ბაღი გაშენებული იყო ტერასებზე, რომლებიც გამომწვარი აგურის თაღებს ეყრდნობოდა. წმიდათაწმიდა სალოცავი იყო ბაბილონის მთავარი ღმერთის მარდუქის ტაძარი. მის ახლოს ცამდე აეყორცნილიყო მესამე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) აგებული შვიდსართულიანი კოშკი — ზიკურათი. კოშკის თხემზე მზის სხივებში ბრწყინავდნენ ფილები პატარა ტაძრისა, რომელშიც მარდუქი „ცხოვრობდა". ვიწრო ქუჩების ლაბირინთში ირეოდა და ყაყანებდა ხალხი. ნელ-ნელა მიიწევდა ხალხის ბრბოში აქლემების ქარავნები, საქონლით დატვირთული ურმები და მლოცველთა ჯგუფები. ვაჭრები გამყივანი ხმით აქებდნენ თავის საქონელს. სახელოსნოებიდან გამაყრუებელი ხმაური გამოდიოდა ქუჩებში. ხალხში მრავალი ენის გაგონება შეიძლებოდა, რადგან დედაქალაქში მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოდიოდნენ ბოგ'ხაურები*.

პატარა, მიყრუებული იერუსალიმიდან დიდი სამყაროს შუაგულში მოხვედრილ იუდეველ დევნილებზე ბაბილონი განმაცვიფრებელ და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ბევრმა სწრაფად გადმოიღო ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებები და მათ დაემსგავსა; ზოგნი, რომელთაც დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდათ, ცდილობდნენ, შეჰგუებოდნენ ახალ ცხოვრებას და რაც შეიძლება კარგად გაემართათ ახალი სახლ-კარი. უმეტესობას მაინც სტანჯავდა ლტოლვილთათვის ჩვეული ავად-

მყოფობა — სამშობლოს სევდა. ეს ოპტიმისტები ისე იქცეოდნენ, თითქოს უკანდასაბრუნებლად უკვე შეკრული აქონდათ ბარგი, ახალი ცხოვრების ყოველგვარ სიკეთეზე თვალს ხუჭავდნენ და მოუთმენლად ელოდნენ, როდის დასჯიდა იაჰვე ბაბილონს და როდის მისცემდა იუდეველებს სამშობლოში დაბრუნების ნებას. იერემიას მუდმივი მიმოწერა ჰქონდა ბაბილონში მყოფ იუდეველ ლტოლვილებთან; აფრთხილებდა — ილუზიებს თავი დანებებეთ, სახლები ააგეთ და ბაღები გააშენეთო. წინასწარმეტყველის ფხიზელი ხმა მათ მხოლოდ დარდს უმლიდა. ისინი ხშირად ერთად სხდებოდნენ ევფრატის ნაპირზე და სევდისაგან გულდამწვარნი ნაღვლიან სიმღერებს მღეროდნენ. მოგვიანებით ერთ-ერთმა პოეტმა, ას ოცდამეთექვსმეტე ფსალმუნის ავტორმა, ასე გამოსატა მათი გრძნობები:

მდინარეთა ზედა ბაბილონისათა
მუნ დავსხედით და ვტიროდით,
რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი.
ძეწნთა ზედა შორის მისსა
დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი.
უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ,
დამივიწყენ მკჳა მარჯვენანმან ჩემმან!
აღექუნ ენა ჩემი სასასა ჩემსა,
თუ არა მოგიხსენო შენ!

ასურელების მიერ 722 წელს გაძევებული ისრაელიტელები გაიფანტნენ და ბოლოს და ბოლოს უკვალოდ ჩაინთქნენ აზიის ხალხების ზღვაში; იუდეველები კი ერთად სახლობდნენ ქალაქებსა და დაბებში, იცავდნენ თავიანთ ძველ ადათ-წესებს, ინასავდნენ შაბათს და ყველა სხვა რელიგიურ დღესასწაულს. რადგან ტაძარი არ ჰქონდათ, უხუცესთა სახლებში იკრიბებოდნენ და ერთად ლოცულობდნენ. ეს კერძო სამლოცველოები მომავალ სინაგოგათა ჩანასახი იყო. იუდეველთა თემებს ძველებურად ჰყავდათ თავიანთი ქურუმები, წინასწარმეტყველები და წინამძღოლები. მათთან ერთად გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც აგროვებდნენ ხალხის სულიერ მემკვიდრეობას და სისტემაში მოჰყავდათ იგი. ლტოლვილებმა მოასერხეს და ცეცხლმოდებული იერუსალიმის ტაძრიდან გამოიტანეს ზოგიერთი გრაგნილი, მაგრამ მრავალი ისტორიული და საკანონმდებლო მასალის ხელახლა ჩაწერა მოუხდათ ზეპირი გადმოცემების მიხედვით. ეს იყო საღმრთო წერილის ტექსტის შექმნის შემდგომი ეტაპი. ეს ტექსტი მათ საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაამუშავეს. ლტოლვილები ჩაუფიქრდნენ უბედურების მიზეზს და გააანალიზეს თავიანთი ისტორია. ტანჯვა-წამებამ გააღრმავა და გააკეთილშობილა მათი დამოკიდებულება იაჰვესთან. გამოსვ-

ლათა და მეორე სჯულის წიგნებში იაჰვე გამოხატულია რო-
გორც დამსჯელი ღმერთი, რომელიც მეოთხე თაობამდე იძიებს
შურს შვილებზე მამათა დანაშაულისათვის. მაგრამ შეიძლება
თუ არა ღმერთი იყოს იმდენად უსამართლო, რომ უდანაშაულო
და დამნაშავე ერთნაირად დასაჯოს? კოლექტიური პასუხისმგებ-
ლობა ეწინააღმდეგებოდა იუდეველთა მორალურ პრინციპებს,
საჭირო იყო მონახულიყო სხვაგვარი ახსნა ხალხის თავზე დამ-
ტყდარი უბედურებისა. ასე დაიბადა მესიანობის იდეა. იუდეველ-
ი ხალხი იაჰვემ აირჩია, რათა ცოდვებისაგან წამებით გან-
წმენდილიყო და ქვეყნისათვის მიეწოდებინა ერთი, ყოვლისშემ-
ძლე და ყოვლადმოწყალე ღმერთის რწმენა. ამ მესიანური იდე-
ების მთავარი გამომხატველი იყო წინასწარმეტყველი ეზეკიელ-
ი, რომელიც ბაბილონში, ჯერ კიდევ 597 წ. (ჩვენს წელთ-
აღრიცხვამდე) გადაასახლეს. იგი ქადაგებდა პირადი პასუხის-
მგებლობის პრინციპს, რასაც ასეთი სიტყვებით გამოთქვამდა:
„სულმან, რომელმან ცოდოს, იგი მოკვდეს. ძემან არა იტვირ-
თოს ცოდვა მამისა მისისა, არცა მამამან ცოდვა ძისა თვისისა.
სიმართლე მართლისა მის ზედა იყოს და უშჯულოება უშჯულო-
ისა მის ზედა“. ეს იყო წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი მო-
ნოთეიზმის ეოიკური გაღრმავებისათვის, წვრილმანებს აყოლი-
ლი გულღვარძლიანი ღმერთის წარმოდგენის უარყოფა. იუდეველ
ხალხს უდიდესი ისტორიული მისია უნდა შეესრულებინა; აძი-
ტოშაც მისანი წინასწარმეტყველებდა ყველა მისი მჩაგვრელის
დაღუპვას და იუდეველთა გამარჯვებას. ერთხელ მან მორწმუნე-
ებს უამბო, რომ იაჰვემ უჩვენა მომავალი — აღდგენილი იერუსა-
ლიმი. საიდუმლოებით მოცული ვიღაც კაცი ქალაქში გაუძღვა
ეზეკიელს და ხელახლა აშენებული ტაძრის ეზოში შეიყვანა.
იაჰვემ უბრძანა მას, ყურადღებით დაეთვალიერებინა, დაემახ-
სოვრებინა ყველაფერი, რომ დაწვრილებით ეამბნა თანამემა-
მულეებისთვის ბაბილონში. ამრიგად, ეზეკიელი ამხნევებდა
ლტოლვილებს, ჰპირდებოდა წინაპართა მიწაზე დაბრუნებას;
აღუთქვამდა, რომ მათი მეფე იქნებოდა დავითის შთამომავალი,
რომელიც იაჰვეს სახელით მშვიდობიანად და სამართლიანად
იმეფებდა.

სამშობლოში დაბრუნება. ნაბუქოდონოსორის გარ-
დაცვალების შემდეგ ახალი ბაბილონის სამეფო დაცემის გზას
დაადგა. ახალი მეფე ნაბონიდი არც სარდლად ვარგოდა და არც
მმართველობა ეხერხებოდა. მას აინტერესებდა მხოლოდ რელი-
გიური საქმეები და სიძველეთა ძეგლები, რომლებსაც დიდი გა-
ტაცებით აგროვებდა საკუთარ სასახლეში. სახელმწიფოს გა-
საძლიერებლად დამონებულ ხალხებს თავიანთი ღმერთების ძეგ-

ლებს ართმევდა და ბაბილონში მიჰქონდა. ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. ბოლოს ნაბონიდმა სულ დაანება თავი სახელმწიფოს საქმეებს და ჩრდილო არაბეთის შორეულ სასახლეში სირიის უდაბნოს მახლობლად დაიდო ბინა. დედაქალაქს მართავდა ნაბონიდის ძე ბალტასარი. ამასობაში მესოპოტამიას კვლავ ცუდად წაუვიდა საქმე. 558 წელს პოლიტიკურ ჰორიზონტზე გამოჩნდა კიროსი, რომელიც პირველად ნაკლებად ცნობილი ბელადი იყო ტომისა, შემდეგ კი ასანის მეფე გახდა და გენიალური, მრისხანე სარდალი გამოდგა. მან დაიპყრო მიდია და თავი სპარსელთა მეფედ გამოაცხადა. ახალ დამპყრობელთან საბრძოლველად ნაბონიდმა ჩამოაყალიბა კავშირი; მას ახალბაბილონურ სამეფოსთან ერთად მიემხრნენ ლიდია, სპარტა და ეგვიპტე. კიროსმა გამოწვევა მიიღო, ლიდიის მეფე კრეზი დაამარცხა და მცირე აზია დაიპყრო, შემდეგ მთავარი მტრების, ქალდეველების წინააღმდეგ დაიძრა. 540 წელს მან ქალდეველები დაამარცხა, ხოლო ერთი წლის შემდეგ უბრძოლველად დაიკავა ბაბილონი. ამ ძლიერი ციხესიმაგრის კარი მას გაუღეს ღვთაება მარდუქის ქურუმებმა, რომლებიც ნაბონიდის რელიგიური პოლიტიკით შეშფოთებულები იყვნენ. ოც წელზე ნაკლები დროის მანძილზე კიროსმა შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც გადაჭიმული იყო ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ქალდეველთა მიერ დამორჩილებული ხალხები მას ისე ეგებებოდნენ, როგორც მხსნელს. კიროსი ქალდეველთა და ასურელთა მეფეებთან შედარებით სულ სხვანაირი დამპყრობელი და სახელმწიფო მოღვაწე გამოდგა. მათგან განსხვავებით იგი დაპყრობილ ხალხებს არ სპობდა, ქალაქებს არ ანგრევდა და თავის ჯარისკაცებს ძარცვა-გლეჯასა და უწესობას უკრძალავდა. დაპყრობილი ქვეყნის ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდა, ვაჭრები და ხელოსნები მშვიდად მისდევდნენ თავ-თავის ხელობას. სპარსელთა მეფე კიდევ ერთ რამეშიც გამოირჩეოდა, როგორც ახალი ტიპის მოღვაწე. მან დაპყრობილ ხალხებს დიდი ავტონომია მისცა და დაუბრუნა ბაბილონში წაღებული კერპები. მისი რელიგიური და პოლიტიკური შემწყნარებლობა იმაშიც გამოიხატა, რომ გადასახლებულ ტომებს სამშობლოში წასვლის ნება დართო და დაუბრუნა ქალდეველთა მიერ წართმეული ღმერთების ქანდაკებები და ქონებაც, რომელიც მათი ტაძრიდან ჰქონდათ წაღებული.

იუდეველი ლტოლვილები აუწერელი ენთუზიაზმით ეგებებოდნენ კიროსს. მათთვის კიროსი იყო არა მარტო განმათავისუფლებელი, არამედ იაჰვეს მოციქული, მისი დამსჯელი მარჯვენა. ქურუმებმა და წინასწარმეტყველებმა ხალხს გამოუცხადეს, რომ მათი განმათავისუფლებელი ღვთის მიერ ცსებული

ზესია და იაჰვეს რჩეული იყო. მალე მათ იმედი გაუმართლდა. ბაბილონის დაპყრობიდან ერთი წლის შემდეგ კიროსმა საგანგებო დეკრეტი გამოსცა და იუდეველებს იერუსალიმში დაბრუნების უფლება მისცა. მან ისიც კი ბრძანა, რომ მათთვის დაებრუნებინათ მღვდელთმსახურებისათვის საჭირო ნივთები, რომელიც ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმის ტაძრიდან წამოიღო. იუდეველებს დაუბრუნეს საბანელები — ოცდაათი ოქროსი და ათასი ვერცხლისა, ფიალები — ოცდაათი ოქროსი და ოთხას ათი ვერცხლისა, ათასი ცალი სხვა ჭურჭელი.

იუდეველები სამშობლოში დასაბრუნებლად დიდხანს ემზადებოდნენ. დაბრუნების მსურველებს თავი მოუყარეს ბანაკებში, სადაც წამსვლელთა სიებს ადგენდნენ. ძაგრამ ბაბილონის დატოვება ყველას როდი სურდა. მდიდრებს, რომლებიც მიწებს და სავაჭროებს ფლობდნენ, და დიდი თანამდებობის მქონე პირებს მაინცდამაინც აღარ მიუწევდათ გული გაპარტახებული და მოყრუებული ქვეყნისაკენ. სამაგიეროდ, მდიდრებიცა და ღარიბებიც უხვად იღებდნენ სახსრებს იერუსალიმის ტაძრის აღსადგენად. ასე რომ, სამშობლოში მომავალთ აურაცხელი განძეული მოქონდათ. დაბრუნების სურვილი ორმოცდაათი ათასამდე კაცმა გამოთქვა. მათ შორის იყვნენ ქალებიც, ბავშვებიც და მსახურებიც. უმეტესობას შეადგენდნენ ისინი, ვისაც უცხო ქვეყანაში ბედმა არ გაუღიმა. გარდა ამისა, სამშობლოში მიმავალთა შორის იყვნენ პატრიოტები, იაჰვეს თაყვანისმცემლები, ქურუმები, წინასწარმეტყველები და ლტოლვილები. შორეულ გზაზე მიმავალი ქარავანი რამდენიმე კილომეტრზე გაიჭიმა. ხალხს მიჰყვებოდა შვიდას ოცდათექვსმეტი ცხენი, ორას ორმოცდახუთი ჯორი, ექვსი ათას შვიდას ოცი სასაპალნე ვირი და ხუთას ოცდათხუთმეტი აქლემი. სამშობლოში დაბრუნებულებს მოუძღოდნენ უზენაესი ქურუმი იესუ, ზორობაბელი და თორმეტი უხუცესი. მგზავრებმა ძველი, სავაჭრო ქარავანთა მიერ ნავალი და გათელილი გზა აირჩიეს. ისინი ჯერ ევფრატს აპყვნენ, ნინევიის ნანგრევებს გასცდნენ, მიაღწიეს ქარანამდე, იქიდან აბრაამის გზას დაადგნენ, გაიარეს დამასკო და ერმონის მთები გენესარეთის ტბის მიმართულებით და იუდეველთა ყოფილი სამეფოს ფარგლებში შევიდნენ. და აი, მრავალი კვირის მგზავრობის შემდეგ შორიდან იერუსალიმის ნანგრევებიც გამოჩნდა. დაღლილ-დაქანცული მგზავრები ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ და იაჰვეს მადლობას სწირავდნენ.

ტაძრის აღშენება. მეტად მძიმე იყო ყოველდღიური ცხოვრება დანგრეულ იერუსალიმში. სამშობლოში დაბრუნებულებს, უპირველეს ყოვლისა, თავშესაფარზე ზრუნვა და ქალა-

ჭის ქუჩების ნანგრევებისაგან გაწმენდა მოუხდათ. ამიტომ იყო, რომ იაკვეს სამსხვერპლო დაბრუნებიდან მხოლოდ მეშვიდე თვეს აღმართეს. ტაძრის აღდგენას კი მეორე წელს შეუდგნენ. ეს ამბავი საძარიელებმა შეიტყვეს და მოციქულების პირით ითხოვეს, მშენებლობაში მონაწილეობის უფლება დაგვრთეთო. ზაგრამ ზორობაბელმა და იესუმ უარი შეუთვალეს. ისრაელიტელთა განდევნის შემდეგ ჩრდილო ქანაანში დამკვიდრებულ საძარიელებს ზიზღით ეპყრობოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც იაკვეს თაყვანისმცემლები იყვნენ. ამ უარს სავალალო შედეგი მოჰყვა. საძარიელები და სხვა ტომები, რომლებმაც იუდეველთა გაპარტახებული ტერიტორია დაიკავეს, ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მშენებლობას, ესხმოდნენ თავს, ანგრევდნენ აღდგენილ კედლებს და იერუსალიმში არეულობას თესავდნენ. სიძნელეებითა და სულ უფრო მძიმე ცხოვრებით გაწამებულმა იუდეველებმა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები შეწყვიტეს და თავის თავზე დაიწყეს ზრუნვა, რომ როგორმე დღიური ლუკმა ეშოვნათ. ლუკმაპურის ძებნაში მათ სარწმუნოების საქმეები მიივიწყეს და ტაძარზე არ ზრუნავდნენ. ამასობაში გავიდა თხუთმეტი წელი. მსოფლიოში დიდი ცვლილებები მოხდა. ძველი წელთაღრიცხვის 529 წელს კიროსი დაიღუპა მისი სასელმწიფოს აღმოსავლეთ საზღვრებიდან შემოჭრილ ტომებთან ბრძოლაში. ტახტზე ავიდა მისი ეჯი უამბიზი. მან მხოლოდ შვიდ წელს იმეფა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ეგვიპტის დაპყრობა შეძლო და ამგვარად ძველი სამყაროს უდიდესი იმპერია შექმნა. სპარსეთის მომდევნო მეფის დარიოს პირველის (522—485 წწ ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დროს წინასწარმეტყველებმა ანგეამ და ზაქარიამ იერუსალიმში ქადაგება დაიწყეს, ამხილეს ქალაქის მკვიდრნი უმოქმედობისათვის და იაკვეს სახელით ტაძრის ხელახლა აღდგენა დააწყებინეს. მშენებლებს ამჯერადაც ბევრი სიძნელე შეხვდა. სპარსეთის სატრაპმა თათნაიმ, რომელსაც ქანაანი ემორჩილებოდა, იერუსალიმში კოშისია გაგზავნა, მას უნდა გაეგო, თუ რა უფლების ძალით შეუდგნენ იერუსალიმის ტაძრის აღდგენას. იუდეველებმა კიროსის დეკრეტი დაიმოწმეს. ამიტომ თათნაიმ თავის მბრძანებელს მიმართა და პკითხა — როგორ მოეიქცეო. დარიოსი ლმობიერი კაცი იყო. მისი ბრძანებისამებრ მეფის არქივი გადაქექეს და დეკრეტი იპოვეს. მაშინ დარიოსმა ბრძანა, მშენებლობისათვის ხელი კი არ შეეშალათ, პირიქით — სამშობლოში დაბრუნებულნი სამშენებლო მასალითა და მსხვერპლად შესაწირავი პირუტყვით მოემარაგებინათ. მშენებლობა ოთხნახევარ წელიწადს გაგრძელდა. იაკვეს ახალი სასლი სრულიადაც არ ჰგავდა სოლომონის დიდებულ ტაძარს. ეს საცოდავი, პატარა და სადა შენობა მთელი ქვეყნის სილატაკისა და დაცემულობის სავალალო სიმბოლოდ

გამოიყურებოდა. წმიდათაწმინდა ტაძარი, სადაც ადრე ბრწყინვალებასა და დიდებულებაში ინახებოდა შჯულის კიდობანი, ახლა ცარიელი იყო. იერუსალიმი ჯერ კიდევ ნანგრევების უზარმაზარ გროვას წარმოადგენდა, მხოლოდ აქა-იქ ჩანდა საჩქაროდ ამოყვანილი პატარა სახლები, რომლებშიც დედაქალაქის მცირერიცხოვანმა მცხოვრებლებმა ჰპოვეს თავშესაფარი.

ეზრას მისია. ტაძრის აღდგენიდან ორმოცდასამმა წელმა განვლო. სპარსეთის ტახტზე მეფე არტაქსერქსე I პირველი (465—424 წწ ძველი წელთაღრიცხვით) იჯდა. იმჟამად ბაბილონში ცხოვრობდა განსწავლული იუდეველი ეზრა. იერუსალიმიდან მობრუნებულებს მასთან გულსაკლავი ამბები მოჰქონდათ: ეზრამ იცოდა, რომ იუდეველებმა უგულებელყვეს თავიანი რელიგიური მოვალეობა; ისიც იცოდა, რომ შეიძლებოდა მალე დაეკარგათ თავისი ეროვნებაც, რადგან მეზობელი არაბი ტომებიდან მოჰყავდათ ცოლები. ეზრა უკვე ღრმა მოხუცი იყო, მაგრამ მაინც გადაწყვეტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო და თავისი ხალხი ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა. მან არტაქსერქსეს გამგზავრების ნება სთხოვა. მეფემ შეიწყნარა მისი თხოვნა, გამგზავრების ნებაც დართო და იერუსალიმის ტაძრის შესამკობად მრავალად უბოძა ოქრო და ვერცხლი. გარდა ამისა, არტაქსერქსემ ქანაანის ნაცვალს დაავალა, ხანდაზმული რეპატრიანტისათვის ასი ტალანტი ვერცხლი მიეცა და სამგზავროდ საჭმელ-სასმელი გაეტანებინა.

ეზრამ ბაბილონში მცხოვრებ თავის თანამემამულეებსაც გაალებინა შესაწირავი. ამრიგად, მან უამრავ სახსრებს მოუყარა თავი და 458 წელს (ჩვენს ერამდე) გზას გაუდგა. მასთან ერთად გაემგზავრა ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი კაცი ცოლ-შვილითურთ. ოთხი თვის მგზავრობის შემდეგ ახალი რეპატრიანტები იერუსალიმში ჩავიდნენ. ეზრა ენერგიულად შეუდგა იუდეის ასაღორძინებლად გამიზნული რეფორმების გატარებას. იგი თავზარდაცემული იყო იმით, რაც სამშობლოში ნახა. რაკი იუდეველი ქალები ცოტანი იყვნენ, ბევრი იუდეველი ერთავდა ქანაანელ, ქეტელ, ფილისტიმელ, იებოსელ, ამონელ, მოაბელ, ეგვიპტელ თუ ამორეველ ქალს. ქურუმებსაც და ხალხის ბელადებსაც კი უცხოელი ქალები ჰყავდათ. ცოლად. იერუსალიმის ქუჩებში მრავალ ენაზე ლაპარაკობდნენ. რჩეულ ხალხს გადაშენების საშიშროება ემუქრებოდა. ეზრას თავზარი დეცა. მან ტანზე შემოიხია თავისი მოსასხამი. და მთელ დღეს ელდანაკრავი, გაოგნებული იჯდა. ეზრასთან შეიკრიბა ყველა, ვისაც ღვთის სიტყვისა ეშინოდა, და მასთან ერთად ლოცულობდნენ, საღამოს, მსხვერპლის შეწირვისას, ეზრა ტაძრის შესასველ-

თან პირქვე დაემხო და ისე ხმამაღლა აქვითინდა, რომ ყველანი ატირდნენ. ბოლოს და ბოლოს ეზრამ თავისი გადაწყვეტილება: გამოაცეშინა ბრძანება, რომ ყველა იუდეველს, ვისაც ცოლად ჰყავდა უცხო ტომის ქალი, ქონებასა და მოქალაქეობრივ უფლებას ჩამოართმევდნენ, თუ სამი დღის განმავლობაში თავისივე სამშობლოში არ დააბრუნებდა ცოლს. ამ უმოწყალო დეკრეტმა მრავალი მოსიყვარულე ცოლ-ქმარი გაჰყარა, ბევრი მზრუნველი დედა მოაცილა შვილებს და მრავალი ოჯახი დაამწუხრა. გარდა ამისა, დეკრეტი აუარესებდა იუდეველთა მეზობლობას მეზობელ ხალხებთან, რომელთაც ითაკილეს მათი ქალების შეურაცხყოფა. იუდეველმა ხალხმა თავისი რასობრივი და რელიგიური განსხვავება შეინარჩუნა, მაგრამ ამიერიდან განკერძოებული და მტრებით გარემოცული დარჩა.

ნეემიას მისია. არტაქსერქსე პირველის სასახლეში, სუზაში, იუდეველ ნეემიას დიდი თანამდებობა ეჭირა. ერთხელ მას იერუსალიმიდან უცხო კაცი, ანანი ეახლა და იუდეის ტრაგიკული მდგომარეობა აუწყა. დედაქალაქი დანგრეულია, ვერ იქნა და ვერ ააშენეს, მდიდრები ღარიბებს ჩაგრავენ, ვალებში მიწდვრებს, ვენახებსა და ბაღებს ართმევენ, მათ შვილებსაც მონურად აბუშავებენო. გადასახადებმა, ქვევახშეობამ და სიძვირემ მოსახლეობის უმრავლესობა გააღატაკა, ქურუმები და ძალაუფლების მქონენი ფუფუნებაში ცხოვრობენო.

სავალალო ცნობამ ნეემიას თავზარი დასცა. მრავალი დღის განმავლობაში ტიროდა, წუხდა, მარხულობდა და იაჰვეს ევედრებოდა, რომ სამშობლოში მცხოვრები მისი თვისტომები შეეწყნარებინა. ბოლოს მეფე არტაქსერქსემ შეამჩნია მისი მდგომარეობა და ჰკითხა: „რად შეჭმუნვებულ არს პირი შენი? არა ხარ სნეული და არა არს ესე თვინიერ გულისა სიბოროტისა?“ ნეემიამ გაუმეორა ანანის ნათქვამი: „ცხოველ იყავნ მეფე უკუნითი უკუნისამდე! ვითარ არა შეჭმუნდეს პირი ჩემი? ქალაქი, სახლი და საფლავი მამათა ჩემთა მოოხრებულ არს და ბჭენ. მისნი — ცეცხლითა დამწვარ!“ მეფემ ჰკითხა: „და რა გინებს შენ?“ ნეემიამ სურვილი გაუმხილა: „და თუ, მეფეო, იხილო ესე კეთილად, და თუ სათნო იყოს მორა შენი წინაშე პირისა შენისა, წარმგზავნე მე იუდეას, ქალაქსა, სადა არიან საფლავნი მამათა ჩემთანი და აღვაშენო ქალაქი იგი“. არტაქსერქსეს უყვარდა ნეემია და ენდობოდა კიდეც. მან გამგზავრების ნებაც დართო, იუდეის ნაცვლადაც დანიშნა და მეფეთა ტყეების მცველთან წერილი გაატანა. წერილში ნათქვამი იყო: ხე-ტყე არ დაუკავოთ და იმდენი მიეცით, რამდენიც სახლებისა და იერუსალიმის გალავნის აღდგენას დასჭირდებაო. მეფემ სპარსეთის ცხენოსანი

და ქვეითი ჯარის ძლიერი შეიარაღებული დაცვაც აასლა ნეემიას. იგი 445 წ. (ხელეს ერაძდე) ჩავიდა იერუსალიმში. ქალაქის მცხოვრებთაგან არავის შეუძინევია ნეემია. ხან ღღეს ათვალიერებდა იგი დანგრეულ გალავანს და ქალაქის დაბუკარ კარიბჭეს. მხოლოდ ამის შემდეგ გაბოაცხადა ჩასელის ძისაკი: „იხილეთ თქვენ ბოროტება ესე, რომელსა შინა ვართ. იერუსალემი ბოოსრეტულ არს და ბჭენი მისნი მიცემულ ცეცხლსა. ძოვედით, აღვაძესეთ ზღუდესი იერუსალემისი და ნუ ვიქნებით ამიერითგან ყოვედრებასა შინა“. ქალაქის დაცვა შეუძლებელი იყო. უდაბნოს ყაჩაღებსა და მტრულად განწყობილ ტომებს, რომლებიც იუდეის დაცარიელებულ რაიონებში დასახლებულიყვნენ, სულ იოლად შეეძლოთ იერუსალიმის დარბევა. ნეემია დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. მან ოჯახებს გაუთავთავისა აღსადგენი ზღუდე. ქურუმების ოჯახებიც კი ჩააბა საქმეში. მისმა ეხთუზიაზმმა და ენერგიამ ფრთები შეასხა ქალაქის მცხოვრებლებს და ისინი ძხნედ შეუდგნენ საქმეს. სამარიელთა, ამონელთა, არაბთა და სხვა მტრულად განწყობილ ტომთა ბელადები დასცინოდნენ და ჰკიცხავდნენ იუდეველებს, არავის სჯეროდა, რომ ისინი იერუსალიმის გალავნის აღდგენას შეძლებდნენ. ამონელთა ბელადმა ტობიამ დაცინვით თქვა: „აღაშენებენ იგინი და აღვიდეს მელი და დაარღვიოს ზღუდე იგი ქვისა“. მაგრამ, როცა გალავანი სანახევროდ აძოიყვანეს, ისინი გააფთრდნენ და იერუსალიმზე თავდასხმა განიზრახეს: ნეემია არ შეშინებულა და წინააღმდეგობის გასაწევად მოემზადა. მან ხმლებით, შუბებით, მშვილდისრებით და ფარებით შეიარაღა მშენებლები. ერს კი ასე აუწყა: „საქმე დიდ არს და ვრცელ, და ჩვენ განყოფილ ვართ ზღუდესა ზედა და შორს არს კაცად-კაცადი ძმისა თვისისაგან და ადგილსა, სადა ისმინოთ ხმა საყვირთა, შეიკრიბენით სწრაფით... და ნახევარსა ჩვენსა ეპყრას შუბი განთიადითგან ვიდრე აღმოსვლამდე ვარსკვლავთა“. ამიერიდან იერუსალიმელები გაიყვნენ ორ ცვლად: როცა ერთი მშენებლობაზე მუშაობდა, მეორე დარაჯად იდგა და ყოველგვარი თავდასხმის მოსაგერიებლად მზად იყო. გალავნის გასწვრივ დარაჯად დაყენებულ მებუკეებს საყვირის ხმით იმ უბანსა უნდა მოესმოთ დამცველები, სადაც საშიშროება გამოჩნდებოდა.

მტრებმა ყოველივე ეს შეამჩნიეს, ამიტომ აშკარად შეტევა ვერ გაბედეს და ლბიერ ხერხს მიმართეს. ისინი ოთხჯერ ეცალნენ ნეემიას გამოტყუებას ქალაქიდან, თითქოსდა მასთან მოლაპარაკება და კავშირის შეკვრა სურდათ. ეს რომ ვერ მოახერხეს, მოსყიდული იუდეველი რენეგატების დახმარებით ქალაქში პანიკის ატეხა სცადეს, მაგრამ ნეემია ფხიზლად იყო. მან თავისი გაიტანა: იერუსალიმელები მშენებლობაზე დღე და ღამეს ასწორებდნენ; ხშირად გამოძინებასა და ტანსაცმლის გამოცვ-

ლასაც ვერ ასწრებდნენ. იერუსალიმის ზღუდე ორმოცდათორმეტ დღეში აღადგინეს და დედაქალაქმაც შვებით ამოისუნთქა.

ნეემია ახლა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას შეუდგა. ღარიბები ბეგარისა და გადასახადებისაგან გაათავისუფლა, მხოლოდ თავისი სახლისათვის ითხოვა მცირედი შესაწირავი. შემდეგ კრება მოიწვია და მდიდრებს უბრძანა, დაეფიცათ, რომ მევახშეობაზე ხელს აიღებდნენ და ღარიბებს ვალებში ჩამორთმეულ მინდვრებს, ვენახებსა და ბაღებს დაუბრუნებდნენ.

ნეემიამ თავისი მისია აღასრულა და თორმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა სუსას, სპარსეთის მეფის სასახლეში. რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ გაემგზავრა იერუსალიმს, უნდოდა თავის თვალით ენახა, თუ რა ხდებოდა იქ. ჩასვლისთანავე დარწმუნდა, რომ ყველაფერი გაუარესებულიყო და აღშფოთდა. განსაკუთრებით ატკინა გული ქურუმთა სიხარბემ. თურმე ისინი ლევიტელებსა და მგალობლებს კუთვნილი ათეულის ნაწილს არ აძლევდნენ, ამიტომ მათ ტაძარში მუშაობისთვის თავი დაენებებინათ და სოფლის მეურნეობისთვის მიეყოთ ხელი. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ შაბათს სხვა დღეებისაგან აღარავინ არჩევდა. ამ დღეს მიწათმოქმედები ღვინოს აყენებდნენ, სასმელსაჭმელი ქალაქში მოჰქონდათ გასაყიდად და ქულბაგ-სავაჭროებში საქონელს ყიდულობდნენ. იერუსალიმში დასახლებულ ტვიროსელ ვაჭრებსაც კი აძლევდნენ შაბათობით ვაჭრობის უფლებას.

ნეემიამ ბოლო მოუღო ამ არეულობას ტაძარში და ბრძანა, შაბათის წინადღეს ქალაქის ჭიშკარი ჩაეკეტათ, რომ სოვდაგრებს ვაჭრობის საშუალება არ ჰქონოდათ. მან ისიც ნახა, რომ იუდეველები კვლავ ირთავდნენ უცხო ტომის ქალებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამგვარ ოჯახებში შვილებმა ებრაული ენა არ იცოდნენ. უზენაესი ქურუმის ერთ-ერთ შვილსაც კი უცხოელი ქალი მოეყვანა ცოლად. მოთმინებიდან გამოსულმა ნეემიამ დამნაშავენი იხმო, საყვედურითა და წყევლით აავსო, სცემა და წვერით ათრია. შემდეგ ფიცი დაადებინა, რომ უცხო ტომის ქალებს უკან გააბრუნებდნენ. გაჯიუტებულნი, და მათ შორის უზენაესი ქურუმის ძეც, ნეემიამ იერუსალიმიდან განდევნა.

„ნუუკვე მცველ ვარ ძმისა ჩემისა?“[1]

დავითის სახელმწიფოს გაყოფა ისრაელად და იუდეად ებრაელი ხალხის ერთ-ერთ უდიდეს ტრაგედიად იქცა. საკმარისია აღვნიშნოთ რამდენიმე ფაქტი, რომ ამაში დავრწმუნდეთ. სოლომონი გარდაიცვალა 932 წელს (ჩვენს ერამდე), 721 წელს დაეცა სამარია. ამრიგად, ისრაელის სამეფომ მხოლოდ ორას წელს იარსება. იუდეა, რომელმაც ასურეთს მოძმე ისრაელიტელი ტომების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა, მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ თავისი ცრუ მხსნელის ვასალი გახდა. სამარიის დაცემიდან უკვე ოცი წლის შემდეგ ასურეთის მეფე იერუსალიმის ზღუდეს მოადგა და იუდეველთა სამეფომ დამოუკიდებლობა მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით შეინარჩუნა. მან იარსება კიდევ ას თხუთმეტ წელს, ძველი წელთაღრიცხვის 586 წლამდე, როცა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაანგრია.

ეს ტრაგედია მეტად რთულმა გარემოებამ განაპირობა. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტომებს შორის მუდამ არსებობდა ძლიერი ეთნიკური და პოლიტიკური ანტაგონიზმი. დავითისა და სოლომონის მეფობის დროს ამ ანტაგონიზმს ანელებდა საერთო სახელმწიფოებრივი მიზნები და საერთო რელიგიური ცენტრი — იერუსალიმის ტაძარი. გათიშვის შემდეგ ისრაელმა დაარღვია ეს უმნიშვნელოვანესი ერთობაც და ბეთელსა და დანში საკუთარი რელიგიური ცენტრები შექმნა. ამ ამბავმა ორი ებრაული სამეფო ერთმანეთისაგან სრულიად გათიშა და მათ საშინაო ურთიერთობაზეც საბედისწეროდ იმოქმედა.

ვცადოთ და ანალიზი გავუკეთოთ ისრაელში მომხდარ ამბებს. რაც შეეხება მოსახლეობას, ისრაელთა ტომები სახელმწიფოში უმცირესობას შეადგენდნენ. ისინი განიცდიდნენ დიდი რელიგიური და კულტურული ტრადიციების მქონე ქანაანელი ტომების ძლიერ გავლენას. იერობოამი და სხვა ისრაელიტელი მეფეები იძულებული იყვნენ, ამ ტრადიციისათვის ანგარიში

---

[1] კაინის სიტყვები დაბადებიდან (დაბ. 4, 9).

ვაეწიათ და ამიტომ იაჰვეს კულტმაც კი კერპთაყვანისმცემლური ხასიათი მიიღო. ამას გამოხატულება ჰპოვა ოქროს კერპის დადგმასა და ქვეყნიდან იაჰვიზმის ორთოდოქსალური წარმომადგენლების — ქურუმებისა და ლევიტელების განდევნაში.

სუსტ ისრაელს არ შეეძლო ასცდესოდა აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოების — ფინიკიისა და დამასკოს გავლენას. ამ ქვეყნების რელიგიურმა კულტებმა ისრაელში ღრმად გაიდგა ფესვები, ხანდახან ისე ჩანდა, თითქოს იაჰვიზმი გასაქრობად იყო განწირული. აქაბისა და მისი ფინიკიელი მეუღლის იეზაბელის მეფობის დროს იაჰვიზმთან ბრძოლამ სისხლიანი ხასიათი მიიღო. ბიბლია გვამცნობს, რომ ფინიკიის ღმერთების თაყვანისმცემელი დედოფალი სდევნიდა და ხოცავდა იაჰვეს წინასწარმეტყველებს. მართალია, ამ დროს წინასწარმეტყველ ელიას ხელმძღვანელობით აჯანყებამ იფეთქა, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ელია იძულებული იყო, დაეტოვებინა ქვეყანა, აჯანყება მარცხით დამთავრდა. მხოლოდ იაჰვისტების ბელადი იუ მოერია უცხო კულტებს, როცა მეფე გახდა, მაგრამ იაჰვიზმის ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე თვით იუმ, ალბათ თავის ქვეშევრდომთა უმრავლესობაში პოპულარობის მოპოვების მიზნით, კერპთაყვანისმცემლობისაკენ იბრუნა პირი. ისრაელის პირველი მეფე იერობოამიც, რომელმაც ძალაუფლება წინასწარმეტყველ აქიას იაჰვისტური დაჯგუფების დახმარებით ჩაიგდო ხელში, კერპთაყვანისმცემლობას უწყობდა ხელს.

საერთოდ, თუ ისრაელის სამეფოს ისტორიას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ჩვენდა გასაოცრად დავრწმუნდებით, რომ ბიბლია ყველა მეფეს ან ბრალს სდებს უცხო ღმერთების თაყვანისცემისთვის, ან დუმილით უვლის გვერდს მათ რელიგიურ მოღვაწეობას, რაც აგრეთვე საკმაოდ მჭევრმეტყველურია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ შორის არ ყოფილა არც ერთი ერთგული იაჰვისტი, რომელიც ბიბლიის ისტორიული წიგნების შემდგენელთა მოწონებას დაიმსახურებდა.

როგორ იყო საქმე ამ მხრივ იუდეაში? თითქოსდა სწორედ იგი უნდა ქცეულიყო მოსეს რელიგიის საყრდენად, ეს ქვეყანა, მეზობლებისაგან მთიანი ქედებით დაცული, კულტის ტრადიციულ საგანს — შჯულის კიდობანს ინახავდა და მისი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას იუდეველები შეადგენდნენ. მაგრამ აქაც კი ყოველთვის უცხო ღმერთების კულტს ჰქონდა ფესვი მოკიდებული. ბიბლიამ იუდეის რვა მეფეს დასწამა კერპთაყვანისმცემლობა თუ ქურუმთა დევნა: აქაზმა საკუთარი ძე შესწირა მსხვერპლად, იოასმა ქურუმი ზაქარია მოკლა — კერპთაყვანისმცემლობა რატომ მისაყვედურეო. მანასემ სისხლიანი დევნა დაუწყო იაჰვისტებს.

მაგრამ იაჰვიზმი იუდეაში მაინც გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ისრაელში. ისეთი მეფეების წყალობით, როგორებიც იყვნენ ასა, იოსაფატი, იორამი, ეზეკია და იოსია, მოსეს რელიგია სულ უფრო და უფრო მომძლავრდა და ბოლოს გაიმარჯვა სხვა კულტებზე. ეს მოხდა უმთავრესად იოსიას წყალობით, რომელმაც ღრმა რელიგიური რეფორმები გაატარა და ძეორე შჯულის წიგნში მოცემული სამართლებრივი ნორმები აღადგინა.

ამრიგად, ხანგრძლივი და გააფთრებული რელიგიური ბრძოლა განუწყვეტლივ ტანჯავდა ორივე სახელმწიფოს. ამასთან, ამ ბრძოლას ათიანი ძაფი აკავშირებდა საერთაშორისო პოლიტიკურ ძალებთან. სამარიასა და იერუსალიმში მებრძოლი დაჯგუფებანი ეძებდნენ ხან სირიის, ხან ასურეთის, ხან ეგვიპტის მხარდაჭერას. ამრიგად, ისრაელი და იუდეა პოლიტიკური ინტრიგების ობიექტებად იქცნენ, რამაც ისინი საბოლოო დაღუპვამდე მიიყვანა.

უარესდებოდა აგრეთვე სოციალური ურთიერთობანი ორივე ქვეყნის შიგნით. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, შინა ომები, რევოლუციები, სასასლის გადატრიალებები და რელიგიური არეულობები არა მარტო ანარქიას იწვევდნენ, არამედ კლასობრივ წინააღმდეგობებსაც ამწვავებდნენ.

გადასახადებსა და ვალებში ჩაფლული ხალხთა ფართო მასები სულ უფრო ღატაკდებოდნენ, მაშინ როცა ერთი მუჭა შეძლებულები უზარმაზარ სიმდიდრეს იხვეჭდნენ.

გამორჩდნენ ბრძენი წინასწარმეტყველები: ამოსი, იერემია და ნეემია, რომლებიც კიცხავდნენ ექსპლოატაციას, მეუახშეობასა და მდიდართა სისასტიკეს, მაგრამ, ვაგლახ, შეგონებებს, ქადაგებებს და მოწოდებებს ძალა. არ შესწევთ ისტორიის მსვლელობის უკან მობრუნებისა.

ამ ურთიერთობათა თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოდგეს უკვე მოხსენიებული ისრაელიტელი გლეხის წერილი, ნაპოვნი 1960 წელს პალესტინის პატარა ქალაქ რიშონ-ლესიონის რაიონში. მეცნიერთა აზრით, ეს წერილი დაწერილა ჩვენს ერამდე VII საუკუნეში და შედგება ქოთნის ნამსხვრევებზე დაწერილი თოთხმეტსტრიქონიანი ტექსტისაგან. ტექსტი დაზიანებულია, მას შიგადაშიგ აკლია, მაგრამ მისი შინაარსი სრულიად ნათელია. გლეხი, რომელსაც ეს-ესაა აუღია მოსავალი, თავის ბატონს სწერს საჩივარს გადასახადების ამკრეფზე, რომელსაც მისთვის სრულიად უმიზეზოდ წაურთმევია მოსასხამი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ისრაელიტელი ღარიბებისათვის იგი საბანიც იყო, ჩვენთვის ნათელი გახდება მაშინდელი საგადასახადო სისტემის სიმკაცრე. იქნებ ეს მოსასხამი დაჩაგრული გლეხის ერთადერთი ქონება იყო.

დროთა ვითარებაში თვით მდიდრებმაც იწვნიეს ომებისა და პოლიტიკური არეულობის სიმწარე. მტრულად განწყობილი ტომების გამუდმებული თავდასხმები სისხლისგან ცლიდნენ ქვეყანას; დიდ ხარკს, რასაც მეზობელ სახელმწიფოებს უხდიდნენ, თავისი ჯიბიდან ფარავდნენ ისინი, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა ოქრო და ვერცხლი, რადგან გაღატაკებულ მასებს აღარაფერი გააჩნდათ. სისხლიანი უზურპატორი მანაიმი, მართვის ტერორისტული მეთოდების მიუხედავად, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით იძულებული იყო, ასურეთს დაყრდნობოდა. ტიგლათფალასარ მესამემ სამსახურისთვის საარაკო საზღაური — ათასი ტალანტი ვერცხლი მოითხოვა. მანაიმმა თითოეულ მდიდარს ორმოცდაათი შეკელი ვერცხლი გამოართვა და თანხა შეაგროვა. ერთი ტალანტი სამი ათას შეკელს უდრიდა; ასე რომ, მან თავის მფარველს სამი მილიონი შეკელი გადაუხადა. მაშასადამე, სამოცი ათას კაცს (ამ რიცხვს მივიღებთ, თუ სამ მილიონს გავყოფთ ორმოცდაათზე) დიდი ხარკი უნდა გაეღო იმისათვის, რომ სისხლიან უზურპატორს ტახტი შეენარჩუნებინა.

ამ ფაქტებს თუ გავიხსენებთ, გასაგები გახდება სასახლის მუდმივი გადატრიალებანი და მეფეთა მკვლელობანი ისრაელში. იუდეაშიც ხდებოდა მეფეთა მკვლელობები და სასახლის გადატრიალებები, მაგრამ იქ ყოველთვის ერთი დინასტია, მეფე დავითის შთამომავლობა მართავდა სახელმწიფოს; ისრაელში კი ორასი წლის განმავლობაში შეიცვალა უზურპატორთა მიერ ძალადობითა და სისხლისღვრით დამკვიდრებული ცხრა დინასტია.

დინასტიური შუღლი ისრაელისა და იუდეის მმართველთა შორის და ქურუმთა ბრძოლა ჰეგემონიისათვის ასუსტებდა ორივე სახელმწიფოს, ვნებდა ხალხის ინტერესებს. მართალია, ხანდახან ამ სახელმწიფოების მეფეები ზავს დებდნენ ხოლმე, მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათად, მაშინაც პოლიტიკური მანევრირების მიზნით და არა პატრიოტული სულისკვეთების გამო. მეტწილად კი ორივე სახელმწიფო გააფთრებით ებრძოდა ერთმანეთს და უყოყმანოდ მიმართავდნენ ხოლმე დახმარებისათვის ძველ, დაუძინებელ მტრებს.

დავასახელოთ ორივე ქვეყნის მმართველთა პოლიტიკური სიბეცის სამი თვალსაჩინო მაგალითი. იერობოამი, ვისი მიზეზითაც მოხდა განხეთქილება, უეჭველად ეგვიპტის ფარაონისაგან ღებულობდა სასყიდელს. მისი ამბოხის უშუალო შედეგი იყო ის, რომ სოლომონის სიკვდილიდან ხუთი წლის შემდეგ, ფარაონმა სუსაკიმ I-მა ააოხრა ქანაანი და წაიღო იერუსალიმის ტაძრის მთელი განძი. ისრაელის მეფე იოასმაც გაძარცვა იერუსალიმის ტაძარი და ნაწილობრივ დაანგრია ქალაქის ზღუ-

დე. მეფე ფაკიამ კავშირი შეკრა დამასკოსთან. მას უნდოდა იუდეა ანტიასურულ კოალიციას მიმხრობოდა, ამიტომ თავის მოკავშირესთან ერთად გაემართა მეფე აქაზის წინააღმდეგ, მოაოხრა იუდეა და იერუსალიმს ალყა შემოარტყა. მაშინ მეფე აქაზმა ქანაანში მიიწვია ასურეთის ჯარები. ასეთი პოლიტიკა იმ კაცის საქციელს წააგავდა, საკუთარი ხელით რომ იჭრის ყელს. ადრე თუ გვიან მას დაღუპვამდე უნდა მიეყვანა ორივე სახელმწიფო.

იმ დროს, როცა ისრაელის ათი ტომი უკვალოდ გაითქვიფა მესოპოტამიის ხალხთა ჭრელ კონგლომერატში, იუდეველებისათვის ეგრეთ წოდებული ბაბილონის ტყვეობა იყო არა ტყვეობა, არამედ უბრალო გადასახლება, ხშირად ძალიან სასარგებლო მატერიალური თვალსაზრისით. ამასთან, ისტორიული ამბები მათთვის ძალიან სასარგებლოდ შეტრიალდა. თავისი მეფობის პირველსავე წელს სპარსეთის მეფემ კიროსმა მათ სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. რეპატრიანტების პირველი ჯგუფი სამშობლოში გაემგზავრა ჩვენს ერამდე 537 წლის გაზაფხულზე; მაშასადამე, ექსორიაში ორმოცდაათი წელიც კი არ დაუყვიათ. მაგრამ, მიუხედავად ამ მოკლე დროისა, ბევრ იუდეველს უცხოეთში ცხოვრება გაუტკბა და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ეს იყო სხვადასხვა ხალხი: ვაჭრები, მიწათმოქმედნი და ხელოსნები, რომელთაც ახალ სამშობლოში აკავებდათ საქმიანი მოსაზრებანი. დარჩა აგრეთვე ბაბილონში დაბადებული თაობის ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც საკმაოდ გულგრილნი იყვნენ წინაპართა რელიგიის მიმართ. მაგრამ მათ ცხოველი ინტერესი შეინარჩუნეს ძველი სამშობლოსადმი; ტაძრის აღსადგენად უხვად გაიღეს სახსრები და უცხოეთში ძველ ადათ-წესებს იცავდნენ.

უეჭველია, რომ დაბრუნების სურვილი, უპირველეს ყოვლისა, გამოთქვეს ღარიბებმა, ქურუმებმა და ლევიტელებმა. ესენი იყვნენ იაჰვეს ერთგული თაყვანისმცემლები, მოსეს რელიგიის მიმდევართა ყველაზე კონსერვატიული ნაწილის წარმომადგენლები, რომლებიც არ შეუშინდნენ შორეულ გზასა და აოხრებულ იერუსალიმში ცხოვრებას. ამრიგად, იუდეაში მოხდა განსაკუთრებით ძლიერი კონცენტრაცია ორთოდოქსი იაჰვისტებისა. სწორად ამბობენ, რომ იუდეველებს სამშობლოდან წასვლისას ერის სახე ჰქონდათ, დაბრუნებისას კი — რელიგიური თემისაო.

ამ ფაქტით აიხსნება თითქმის ყველაფერი, რასაც ჩვენ ეზრასა და ნეემიას წიგნებში ვხედავთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს გაოცებას იწვევს რელიგიისა და ქურუმების კოლოსალური გავლენა იუდეველთა ახალ საზოგადოებაზე. ეს იყო წმინდა წყლის თეოკრატიული რეჟიმი. სათავეში იდგა უზენაესი ქურუმი; მას-

თან სათათბირო ორგანოს სახით არსებობდა უხუცესთა საბჭო, რომელშიც არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. ამ საბჭოსაგან წარმოიშვა შემდგომში მუდმივმოქმედი ორგანო — სინედრიონი.

მაგრამ თეოკრატიულ წყობილებას ხალხისათვის დემოკრატიული თანასწორობა არ მოუტანია. ქურუმები ფინანსებს ფლანგავდნენ, ხალხთა მასები კი უწყალო ექსპლოატაციას განიცდიდნენ.

ნეემიამ, რომელიც სიბერემ ვერ მოტეხა, ხელი მოჰკიდა ქვეყანაში წესრიგის დამყარებას. აი, როგორ აგვიწერს იგი იქაურ მდგომარეობას:

„და იყო ღაღადება ერისა და ცოლთა მათთა დიდი ძმათა ზედა თვისთა იუდასათა; და იყვნეს, რომელნი იტყოდეს: ძენი ჩვენნი და ასულნი ჩვენნი მრავალ არიან და გვნებავს, მოვიღოთ ფასითა იფქლი და ვჭამოთ და ვცოცხლებდეთ. და იყვნეს, რომელნი იტყოდეს: აგარაკნი ჩვენნი და ვენახნი ჩვენნი და სახლნი ჩვენნი ვსცეთ წინდად, და მოვიღოთ იფქლი და ვჭამოთ... და იყვნეს, რომელნი იტყოდეს: სესხით მოვიღებთ ვეცხლსა ხარკისა გამო მეფისა და მივსცემთ აგარაკთა ჩვენთა და ვენახთა ჩვენთა და სახლთა ჩვენთა. აჰა, ძეთა ჩვენთა და ასულთა ჩვენთა მივსცემთ მონებად და არიან ასულნი ჩვენნი მხევლებ და არა არს ძალი ხელთა შინა ჩვენთა. და აგარაკთა ჩვენთა და ვენახთა ჩვენთა ეუფლნეს სხვანი.

და შეეწუხენ ფრიად, ოდეს ვისმინე ღაღადება მათი და სიტყვანი მათნი ესე და განიზრახა გულმან ჩემმან და შევრისხენ დიდებულთა და ხელისუფალთა და ვარქუ მათ: აღნადგინებსა მოიღებთ ძმათა თქვენთაგან. ხოლო მიაქციეთ მათდა დღეს აგარაკნი მათნი, და ვენახნი მათნი, და ზეთისხილნი მათნი, და სახლნი მათნი, და აღნადგინები ვეცხლისა და იფქლისა და ღვინისა და ზეთისათვის, რომელი მოიღეთ მათგან... და ერისმთავარნი, რომელნი იყვნეს პირველ ჩემსა, დაამძიმებდეს მათ და მოიღებდეს მათგან პურსა და ღვინოსა და ვეცხლსა ორმეოცისა შეკელისა უმეტესსა. და მსახურნიცა მათნი უფლებდეს ერსა ზედა“ (ნეემია, თ. 5, 1 — 7, 11, 15).

ექსპლოატაციასა და შეძლებულთა მიერ თავის სასარგებლოდ ქონების მიტაცებასთან ერთად იმატა დემორალიზაციამ და ეროვნული საქმეებისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ. კაცი თუ ქალი აღარ ერიდებოდა მეზობელი, უცხო ტომის წარმომადგენლის მეუღლეობას. ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულმა ბავშვებმა ხშირად მშობლიური ენა არც კი იცოდნენ. იერუსალიმის ქუჩებში უცხო მეტყველება ისმოდა. ამას ისიც დაერთო, რომ ბევრი რეპატრიანტი ლაპარაკობდა ბაბილონში

გავრცელებულ არამეულ ენაზე. ერთი სიტყვით, იუდეველებს ეროვნული გაქრობის საფრთხე დაუდგათ წინ.

ეზრა და ნეემია თავგანწირვით შეებრძოლნენ ამ უბედურებას. მათ შემოიღეს მკაცრი საქორწინო კანონები. უცხოელ ქალებზე დაქორწინებულ იუდეველებს ან ცოლ-შვილი უნდა გაეწირათ, ან თავად უნდა დაეტოვებინათ სამშობლო. იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი მოგვითხრობს დიდგვაროვანი იუდეველის, ვინმე მანასეს ამბავს. მან უმაღლესი ქურუმის პოსტის მიღება მოინდომა, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან უცხოელი ცოლი ჰყავდა. მაშინ სამარიის მმართველმა იგი გერიზიმის მთაზე აგებული ტაძრის მთავარ ქურუმად დანიშნა. აქ მას შეუერთდა იერუსალიმიდან ამავე მიზეზით განდევნილ ქურუმთა და ლევიტელთა დიდი ჯგუფი.

მეზობელი ხალხებისაგან სრული მოწყვეტისაკენ მისწრაფებამ იუდეველთა რელიგიაზე დიდი გავლენა მოახდინა. იგი გადაიქცა შოვინისტური პოლიტიკის იარაღად; მან შებორკა მცირერიცხოვანი იუდეველები და გარე სამყაროს გავლენას ჩამოაშორა. იუდეველთა ყოფა-ცხოვრების ყოველი დეტალი განსაზღვრული იყო წვრილმანი რიტუალური წესებით. შაბათობით არავის შეეძლო სადმე გამგზავრება, უფლება არ ჰქონდა, თუნდაც ერთი თავთავი მოეწყვიტა, ძალიანაც რომ მოშიენოდა; ორმოში ჩავარდნილი საპალნიანი სახედრის ამოორევაც კი ცოდვად ითვლებოდა.

ებრაელ მწერლებს ჩამოთვლილი აქვთ ოცდაცხრამეტი საქმე, რომელთა გაკეთებაც შაბათს არ შეიძლებოდა. რიტუალის სიმკაცრის გამო ბევრმა მკვიდრმა დატოვა იუდეა.

ამ უნაყოფო და ფუჭ რელიგიურ ფორმალიზმს, რომელიც ძალზე წააგავდა ფეტიშიზმს, ქურუმები იყენებდნენ ხალხზე თავისი ძალა-უფლების განსამტკიცებლად. თვით მოსეს რელიგია კი ამის გამო კარგავდა თავის ეთიკურ სიღრმეს და უშინაარსო ხდებოდა...

საბედნიეროდ, იუდეაში არსებობდა სხვა რელიგიური მიმდინარეობაც, რომლის იდეები წინასწარმეტყველთა წიგნებშია გამოთქმული.

ბიბლიაში შესულია წინასწარმეტყველთა თექვსმეტი წიგნი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ამოსიასი, ესაიასი, იერემიასი და ეზეკიელისა. ზოგიერთ წინასწარმეტყველს ხალხის ფანტაზიამ სასწაულების ჩადენის ზებუნებრივი უნარი მიანიჭა. მაგრამ ამის გამო იმას ვერ ვიტყვით, რომ წინასწარმეტყველები ლეგენდარული პირები არიან. ამავე დროს არც ისაა საეჭვო, რომ ყველა ტექსტი, რომელსაც ბიბლია ამ წინასწარმეტყველებს მიაწერს, ნამდვილად მათ არ ეკუთვნის. ენათმეცნიერული კვლევის შედეგად ზუსტადაა დადგენილი, რომ ამ წინასწ-

წარმეტყველთა ქმნილებებად აღიარებული წიგნები ანოოლოგიებია, რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში, შეიგენილია მათი თხზულებების ნამდვილი ნაწყვეტებიდან და სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ უცნობ ავტორთა ტექსტებიდან.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასწარმეტყველთა წიგნები, რომლებიც ბიბლიაში შედის, იუდეველი ხალხის საერთო საკუთრებაა. მათში გამოხატული იდეები იუდეველთა შორის ვრცელდება ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნიდან.

წინასწარმეტყველებს არაფერი ჰქონდათ საერთო მოხეტიალე მქადაგებლებთან, თუმცაღა მათი საქმიანობა რელიგიური წინასწარმეტყველების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის უმაღლეს, დამაგვირგვინებელ ფორმას წარმოადგენს. ჯერ ერთი, წინასწარმეტყველობა მათი ხელობა არ იყო და ამას ლუკმა-პურის საშოვნელად როდი მისდევდნენ. წინასწარმეტყველები იყვნენ ბრძენნი, ხალხის მასწავლებელნი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, ღმერთის წინაშე ადამიანის ინდივიდუალური მორალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებული რელიგიური კონცეფციის გამომხატველნი. ესაია იყო მდიდარი მიწათმფლობელი, ამოსს დიდძალი საქონელი ჰყავდა, იერემია იყო არისტოკრატ ქურუმთა შთამომავალი, ხოლო ეზეკიელი — იერუსალიმის ტაძრის ქურუმი. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იაჰვემ მათ მნიშვნელოვანი რელიგიური და სოციალური მისია დააკისრა.

წინასწარმეტყველთათვის იუდეველთა რელიგიაში მთავარი მისი ეთიკური შინაარსი იყო. ამოსი პირდაპირ აცხადებდა, იაჰვეს კულტში რიტუალი და ცერემონიალი არაფრად მიმაჩნია, მთავარი ის არის, ადამიანები უნდა სამართლიანები და ღვთის ერთგულნი იყვნენო. მიქიამ ეს აზრი უფრო მარტივად გამოხატა. მან თქვა, რომ იაჰვე ადამიანისაგან, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს სიკეთეს, სამართლიანობასა და გულმოწყალებას. ესაიამ კი იაჰვე აქცია მთელი კაცობრიობის ღმერთად და უნივერსალური ნიშან-თვისებანი მიანიჭა. მისი მოძღვრების თანახმად, იუდეველებს შერჩა სახელი რჩეული ერისა, მაგრამ რჩეული მხოლოდ იმიტომ იყვნენ, რომ მთელი კაცობრიობისათვის უნდა ეხარებინათ მესიის მოვლინება და ამრიგად შესაძლებელი გაეხადათ ქვეყნიერების ხსნა. ეს მესიანური იდეა სრულიად ახალი იყო. შემდგომში მას დიდი გავლენა ჰქონდა ადრეული ქრისტიანობის იდეოლოგიაზე.

საყურადღებოა, რომ წინასწარმეტყველთა თხზულებებში გამოხატულ ღრმა მონოთეისტურ იდეაში ზოგი მეცნიერი ხედავს ბაბილონის ტყვეობის პერიოდის გავლენას. შესაძლებელია, იუდეველები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ზარატუსტრას სპარსელ მიმდევრებს. ზარატუსტრა ქადაგებდა, რომ სამყაროში

მოქმედებს ერთმანეთს მტრულად დაპირისპირებული ორი ძალა: სისათლის ღმერთი ორმუზდი და ბოროტების ღმერთი აჰრიმანი. უეჭველია, რომ ორმუზდის კულტს ბევრი საერთო აქვს იაჰვიზმთან. სპარსელები, ისევე, როგორც იუდეველები, არ სცნობდნენ საკულტო ქანდაკებებს, რითაც იაჰვისტ ხატთმებრძოლთა კეთილგანწყობილება დაიმსახურეს. ქრისტიანობის მთავარი დუალისტური რელიგიური კონცეფციები — ღმერთი და ეშმაკი, ცა და დედამიწა, სინათლე და სიბნელე — სპარსული ეპოქიდან მომდინარეობს. იუდეველებმა ისინი შეითვისეს სპარსეთის ბატონობის პერიოდში და თავის მხრივ ადრეულ ქრისტიანობას გადასცეს. ამრიგად, წინასწარმეტყველთა იდეები საუსებით რეალუციური იყო. მათ მოძღვრებაში რელიგიამ საზოგადოებრივი ინსტიტუტის ფუნქცია დაკარგა და თითოეული ადამიანის პირად საქმედ იქცა. წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ, რომ იაჰვე აფასებს არა კულტისა და რიტუალის გარეგან ფორმებს, არამედ ზნეობრივ სიწმინდეს, პატიოსნებას, სიკეთესა და სამართლიანობას. არისტოტელე წერდა: უცნაურობად მოვეჩვენებოდა, ვინმეს რომ განეცხადებინა, ღმერთი მიყვარსო. ზოგიერთი წინასწარმეტყველი კი სწორედ ღმერთის სიყვარულს ასწავლიდა. მათ ამ იდეით ჩაუყარეს საფუძველი ახალ ერას ხალხთა რელიგიურ ცხოვრებაში.

ამ ზნეობრივ პრინციპთა ლოგიკური შედეგი იყო იუდეასა და ისრაელში არსებულ სოციალურ ურთიერთობათა მკვეთრი კრიტიკა. წინასწარმეტყველნი სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ თანამემამულეებს რჯულისაგან განდგომისათვის, ზნეობრივი დაცემისა, სიხარბისა და მექრთამეობისათვის. ისინი ამათრახებდნენ ბოროტის ჩამდენ და გარყვნილ მეფეებს, ხალხს კი სიღატაკესა და ტანჯვას უწინასწარმეტყველებდნენ, თუ იგი ჭეშმარიტ გზას არ დაუბრუნდებოდა.

ჩვენ არაერთგზის ვთქვით, რომ კრიტიკის მიზეზი უმრავლეს იყო. მდიდრები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, ხალხის მასები კი ამ დროს დღითი დღე უარეს გასაჭირს განიცდიდნენ. მეფეები ტაძრების, სასახლეებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობაზე იძულებით ერეკებოდნენ ხალხს, თვითონ კი ცხოვრობდნენ დიდებულ სასახლეებში უთვალავი მსახურებითა და მხეველებით გარშემორტყმულნი. ქანაანში ძველთაგანვე იყო მონობა, მაგრამ ვალის გადაუხდელობის გამო მოვალის მონად ქცევა ფართოდ გავრცელდა მხოლოდ მეფეების ეპოქაში და ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ. სამხედრო ხარჯები დიდ ტვირთად აწვათ მიწათმოქმედებსა და მესაქონლეებს; ბოლოს და ბოლოს ყოველგვარ საარსებო სახსარს ართმევდა მათ. მდიდრების ექსპლოატაცია და თვითნებობა, გადასახადები და ვალები აძლიერებდნენ მშრომელი მასების სიღატაკეს და ადიდებდნენ ძალა-

უფლების მქონეთა სიმდიდრეს. წინასწარმეტყველი ესაია სასოწარკვეთით ღაღადებდა:

„ვაი თქვენდა, რომელნი სახლსა შეჰმატებთ სახლსა და აგარაკსა შესძინებთ აგარაკსა, და არა აქვს სსუასა ადგილი. ანუ თქვენ მხოლონი დამკვიდრებულ ხართ ქუეყანასა ზედა?“ (ესაია, თ. 5, მ. 8.).

წინასწარმეტყველები შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსებიც იყვნენ; მაგალითად, ესაია მეფე აქაბს ურჩევდა, სირია-ისრაელის კავშირის წინააღმდეგ დასმარება არ ეთხოვა ასურელებისათვის. იერემია სიცოცხლეს იგდებდა საფრთხეში და აღშფოთებით გმობდა პოლიტიკურ ფანატიკოსებს, რომელთაც ეგვიპტის დახმარების იმედი ჰქონდათ და იუდეას ქალდეველთა წინააღმდეგ აქეზებდნენ. მაშინაც კი, როცა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმს ალყა შემოარტყა, იერემია კაპიტულაციისაკენ მოუწოდებდა. მოვლენებმა მალე ნათელყვეს, თუ რაოდენ სწორი და გონივრული იყო მისი პოზიცია.

ეს სულიერი ბელადები, მოძღვარნი, შთაგონებული წინასწარმეტყველნი და დიდი პოეტები იუდეველების საუკეთესო თვისებებს განასახიერებდნენ. მათმა ზნეობრივმა პრინციპებმა, რელიგიურმა იდეებმა და სოციალური სამართლიანობისაკენ მოწოდებებმა წარუშლელი კვალი დაატყვეს მომდევნო ორი ათასწლეულის ევროპულ კულტურას.

ბიბლიაში ისრაელისა და იუდეის ისტორია დაყვანილია მეფეთა ჩამოთვლასა და მათი მმართველობის შეფასებაზე იაჰვიზმის თვალსაზრისით. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვერც კი ვიგებთ, რა ამოქმედებდა მეფეებს ამა თუ იმ შემთხვევაში, როგორი იყო ომების, მეგობრობის ხელშეკრულებათა და სხვა დიპლომატიურ ღონისძიებათა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მიზეზები. ბიბლია მხოლოდ იმას გვაუწყებს, თუ როდის მეფობდა ესა თუ ის მეფე. ერთი სიტყვით, ბიბლიური ისტორია არსებითად წარმოადგენს ფაქტების ლაკონიურ ჩამოთვლას, ყოველგვარი მიზეზობრივი კავშირის გარეშე.

საბედნიეროდ, ისრაელისა და იუდეის ისტორია დაკავშირებული იყო ძველი სამყაროს დიდი სახელმწიფოების — მესოპოტამიისა და ეგვიპტის ისტორიასთან. ბაბილონში, ასურეთში, ქალდეველთა ახალ ბაბილონურ სამეფოსა და ეგვიპტეში შემონახულია კოლოსალური არქივები, აგრეთვე წარწერები საფლავის ქვებზე, ტაძრებსა და კლდეებზე. ტექსტებში, რომელიც ამ სახელმწიფოთა ისტორიას ეხება, მრავალი შენიშვნაა, სენსაციურ შუქს რომ ჰფენს ისრაელსა და იუდეაში მომხდარ ამბებს.

ამ აღმოჩენათა წყალობით შესაძლებელი გახდა არა მარტო ბიბლიურ ცნობათა მიზეზობრივი კავშირის დადგენა, არამედ გაირკვა ისიც, რომ ეს ცნობები მეტწილად უტყუარია. გარდა

ამისა, მოხერხდა ისრაელისა და იუდეის მეფეთა მმართველობის წელთა მიახლოებითი გამოანგარიშებაც და ორივე სახელმწიფოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღების დაზუსტებაც. დავასახელებთ ასეთი დაზუსტების ერთ მაგალითს. ბიბლიაში ნათქვამია, რომ კიროსმა, ბაბილონის დაპყრობის პირველსავე წელს დააბრუნა იუდეველები იერუსალიმში. სპარსული წყაროების საფუძველზე ჩატარებული გამოთვლების წყალობით ვიცით, რომ ეს მოხდა ძვ. წ. 539 წლის ბოლოს. რაკი სამშობლოში მიმავალნი რამდენიმე თვეს ემზადებოდნენ გასამგზავრებლად, რეპატრიანტთა პირველი ჯგუფი გზას გაუდგა არა უადრეს ძვ. წ. 539 წლის გაზაფხულისა.

უაზრობა იქნებოდა, პირდაპირ მივყოლოდით ბუნდოვან და უაღრესად ლაკონიურ ბიბლიურ ტექსტს და არ გამოგვეყენებინა არქეოლოგიის მიერ მოპოვებული უმდიდრესი მასალა.

ამიტომ ისრაელისა და იუდეისადმი მიძღვნილი თავი წარმოადგენს სხვადასხვა ისტორიული წყაროების კომპილაციას; იგი, უწინარეს ყოვლისა, დაფუძნებულია მეფეთა მესამე და მეოთხე წიგნებზე და შევსებულია ცნობებით, რომლებიც ამოკრებილია ეზრასა და ნეემიას წიგნებიდან, ესაიას, იერემიას და ეზეკიელის წინასწარმეტყველებებიდან, აგრეთვე მესოპოტამიასა და ეგვიპტეში შემონახული დოკუმენტებიდან. არქეოლოგიური აღმოჩენები ეგვიპტესა და მესოპოტამიაში აღასტურებენ ადრე დასახელებული ბიბლიური ტექსტების სიზუსტესა და უტყუარობას. ეს აღმოჩენები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს, ყველაზე საინტერესოსა და მნიშვნელოვანს.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ განხეთქილებიდან ხუთი წლის შემდეგ ფარაონი სუსაკიმი შეიჭრა იუდეაში და გაძარცვა იერუსალიმის ტაძარი; და აი, ქალაქ კარნაკის ტაძარში აღმოჩნდა ბარელიეფი, რომელიც ამ ლაშქრობას ასახავს. ბარელიეფზე ვხედავთ ეგვიპტელთა ღმერთს ამონს, რომელსაც მოჰყავს ას ორმოცდათექვსმეტი თოკგამობმული იუდეველი ტყვე. თითოეული ტყვე განასახიერებს ფარაონის მიერ დაპყრობილ და აოხრებულ ერთ-ერთ ქალაქს. ქალაქთა სია გვამცნობს საინტერესო ღეტალს, რომელზეც ბიბლია დუმს; ჩანს, თურმე გააფთრებულ სუსაკიმს არ დაუნდვია მეფე იერობოამიც, რომელსაც იგი მფარველობდა და ახლად შექმნილი ისრაელის სამეფოს ტერიტორიაც მოუოხრებია.

ისრაელის უდიდესმა მეფემ ამბრიმ დაიმორჩილა მოაბელთა სამეფო და ორმოცი წლის განმავლობაში უზარმაზარ ხარკს — წელიწადში ასი ათას ცხვარს ახდევინებდა. იორამის მეფობის დროს მოაბელთა მეფე მეშა აჯანყდა და უარი თქვა ხარკის გადახდაზე. იორამმა მოიმხრო ედომი, იუდეა და მოა-

ბელთა წინააღმდეგ გაილაშქრა. ბიბლია გვამცნობს, რომ მათმა გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა მეშა და გაანადგურა მისი ქვეყანა.

ამიტომ ცოტა უცნაურად გვეჩვენება ბიბლიის ცნობა, რომ გამარჯვებულნი „უკუიქცეს მისგან და მოვიდეს ქვეყანასა თვისსა“. (მეოთხე მეფეთა, თ. 3. მ. 27.).

ეს საიდუმლოებით მოცული ფრაზა არქეოლოგიამ ამოხსნა. 1868 წელს გერმანელმა მისიონერმა ფ. ა. კლეინმა მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით იპოვა ცისფერი ბაზალტის უზარმაზარ ქვა, რომელსაც მოაბურ ენაზე შესრულებული წარწერა ჰქონდა. კლეინმა არაბებს ამ უძვირფასეს ძეგლში ორმოცი დოლარი შეაძლია, მაგრამ, ეიდრე მოურიგდებოდა, საფრანგეთის მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი და არაბებს ათას ხუთასი დოლარი შესთავაზა. ამიტომ მათ იფიქრეს, რომ ბაზალტის ქვას რაღაც ძაგიური თვისებები ჰქონდა. არაბები მას ცეცხლს უნთებდნენ ქვევიდან, ზედ კი წყალს ასხამდნენ, სანამ ქვა პატარ-პატარა ნამსხვრევებად არ იქცა. ამ ნამსხვრევებს ჰყიდდნენ, როგორც თილისმას. ფრანგი არქეოლოგები ბევრს ეცადნენ, ბოლოს დიდი თანხით შეისყიდეს ნამსხვრევები და ქვა აღადგინეს. ამჟამად იგი ლუვრში ინახება.

წარწერიდან ჩანს, რომ პირველად მეშა მართლაც დამარცხებულა, კირ-ჰასერეთის ციხესიმაგრეში ჩაკეტილა და ღმერთ ქამოსისათვის მისი გულის მოსანადირებლად თავისი ყრმა ძე შეუწირავს. მომდევნო სტრიქონებში კი აღტაცებითაა ნათქვამი, რომ მეშამ გაანადგურა დამპყრობლები და „ისრაელი სამუდამოდ დაიღუპა“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ორივე მხარე იკვეხნიდა გამარჯვებას; მაგრამ რამდენადაც იორამმა ვერ მოახერხა მოაბის საბოლოოდ დამორჩილება და, როგორც ბიბლია აღიარებს, „სამშობლოში დაბრუნება“, შეიძლება დავასკვნათ, რომ ომი მკაცრი იყო და საბოლოო გამარჯვებას ვერავინ მიაღწია; თუმცა მეშამ მართლაც გაათავისუფლა თავისი ქვეყანა მრავალწლიანი მონობისაგან.

ბიბლიაში მოთხრობილია ინციდენტი, რომელიც დიდხანს სრულიად გაუგებარი იყო. მეფე აქაბმა სასტიკად დაამარცხა დამასკოს მეფე ბენადად მეორე და ტყვედ წაიყვანა იგი, მაგრამ, წინააღმდეგ მაშინდელი ჩვეულებისა, არც თვითონ ბენადადი მოუკლავს და არც მისი დედაქალაქი დაუნგრევია. პირიქით — აქაბი ძალიან ჰუმანურად მოეპყრო ბენადადს, თავის ეტლში ჩაისვა, ძმა უწოდა, კავშირიც კი შეკრა მასთან და გაათავისუფლა.

სავარაუდო იყო, რომ აქაბისათვის, და საერთოდ, იმ ეპოქი-

ხათების უჩვეულო ამვავრი დიდსულოვნების უკან რაღაც საიდუმლო იმალებოდა.

საიდუმლო გაირკვა ასურეთის მეფე სალმანასარ მესამის (ძვ. წ. 859—825 წლები) წარწერის აღმოჩენის შემდეგ. სალმანასარი გვამცნობს, რომ მან დაამარცხა კოალიცია, რომელშიც თორმეტი მეფე შედიოდა. მათ შორის იყვნენ ბენადადი და აქაბი. მან გაანადგურა ოცდახუთი ათასი მოწინააღმდეგე და ალყა შემოარტყა დამასკოს, მაგრამ, ჩანს, ვერ შეძლო ქალაქის აღება, რადგან ნინევიაში დაბრუნდა და ხუთი წლის განმავლობაში აღარ ულაშქრია. წარწერის ტექსტიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ომში საბოლოო გამარჯვება არავის რჩენია. დამასკომ შეძლო თავდაცვა, აქაბი კი საშშობლისაკენ გაემართა ძლიერ დაზარალებული, მაგრამ დაუმარცხებელი.

ამ ახლად აღმოჩენილი ფაქტების შუქზე ნათელი ხდება ბიბლიაში მოთხრობილი ამბავი. რასაკვირველია, აქაბს შეკუნებული ჰქონდა ასურეთის სულ უფრო მსარდი ძლიერება და სულაც არ უნდოდა ასურეთიდან ისრაელში მიმავალ გზაზე მდებარე სირიის მეტისმეტი დასუსტება. როგორც შორსმჭვრეტელმა სახელმწიფო მოღვაწემ, მან აირჩია ერთადერთი გონივრული პოლიტიკა — კავშირი დამარცხებულ მტერთან. ეს კია, რომ კავშირი მტკიცე არ გამოდგა. გაბრუნდნენ თუ არა ასურელები შინისაკენ, სირიასა და ისრაელს შორის მტრობამ ახალი ძალით იფეთქა. ხელახლა დაიწყო ხშირი შეტაკებები და ერთ-ერთ ბრძოლაში აქაბი დაიღუპა.

მეცნიერულ სამყაროში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ეგრეთ წოდებულმა „შავმა ობელისკმა", რომელიც ინგლისელმა არქეოლოგმა ლეიარდმა აღმოაჩინა 1846 წელს ასურეთის ქალაქის ნანგრევებში, თელ ნიმრუდის ბორცვზე. შავი ბაზალტის ოთხწახნაგოვანი სვეტი ყველა მხრიდანაა დაფარული ბარელიეფებითა და ლურსმული წარწერებით. ერთ მხარეზე გამოხატულია მეფე სალმანასარ მესამე თავისი ამალით. ჩაშწკრიალებული მონები რიგ-რიგად მიართმევენ მას ძვირფას საჩუქრებს: სპილოს ძვალს, ქსოვილებს, სურებსა და კალათებს; მეორე ადგილას კი საბლებით მოჰყავთ ცხოველები: სპილოები, აქლემები, ანტილოპები, მაიმუნები, ხარები და ლეგენდარული მარტორქა.

მეორე ბარელიეფზეც სალმანასარია აღბეჭდილი. იგი ამაყად წელში გამართული დგას და მდიდრული მოსასხამით შემოსილი ვიღაც დიდებული თაყვანს სცემს მას.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლო ინგლისელმა როულინსონმა წარწერის ამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ მიწაზე გართხმული დიდებული არის ისრაელის მეფე იუდა, რომელმაც აქაბი დაიზაბელი მოკლა. ბარელიეფის ქვეშ ასეთი წარწერაა: „მეფე იუს მიერ ბეთ-უმბრიდან (ესე იგი ამბრის სამეფო საგვა-

რეულოდან) გაგზავნილი ხარკი: ვერცხლი, ოქრო, ოქროს ფიალა, ოქროს ლანგრები, ოქროს სასმისები, ოქროს ჭურჭლები წყლისათვის, კალა, მეფის სკიპტრა და მისგან მიღებული ბალზამის ხე". სხვა ტექსტი მოწმობს, რომ იუს ეს ხარკი გადაუხდია სალმანასარის მეფობის მეთერთმეტე წელს, ესე იგი, დაახლოებით 842 წელს ჩვენს ერამდე.

ბიბლია დუმილით უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ იუ იყო ასურეთის მეფის ვასალი. ასურული წარწერა კი გვიხსნის, თუ რატომ შეჭრილა დამასკოს მეფე ისრაელში და რატომ დაუნგრევია მისი ქალაქები. მან შური იძია, რადგან იუმ უღალატა სირიასთან შეკრულ ანტიასურულ კავშირს და, როცა სალმანასართან ახალი ომი გაჩაღდა, ასურეთს უბრძოლველად დანებდა, თანაც უზარმაზარი ხარკი გადაუხადა — ოქრო და ვერცხლი. ეს მხდალ პოლიტიკას საბედისწერო შედეგები მოჰყვა. დამასკოსთან ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ისრაელმა იოაქაზის მეფობის დროს სრული მარცხი განიცადა, მისი მძლავრი არმია კი შეამცირებინეს. მასში დარჩა მხოლოდ ორმოცდაათი ცხენოსანი, ათი საომარი ეტლი და ათი ათასი ქვეითი.

„შავმა ობელისკმა" გვიჩვენა, თუ რამდენად ბეცი და დამღუპველი იყო ისრაელიტელი უზურპატორების პოლიტიკა. მოკავშირეთაგან ბედის ანაბარად მიტოვებული სირია იძულებული გახდა, მარტო შებრძოლებოდა მძლავრ ასურეთს. ამ ბრძოლაში იგი დამარცხდა. თავის ბუნებრივ მოკავშირესთან ომით ღასუსტებული ისრაელი ბოლოს და ბოლოს სარგონ მეორეძ დაიპყრო. სამარია დაანგრიეს, ხოლო ისრაელის ათი ტომი გარეკეს მესოპოტამიაში, სადაც ისინი უკვალოდ დაიკარგნენ.

სარგონი მხოლოდ ერთხელაა დასახელებული ბიბლიაში ქალაქ აზოთის აღდგენასთან დაკავშირებით. სამარიის დამპყრობლის სახელი კი სახსენები არაა, მას „ასურეთის მეფეს" უწოდებენ. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ აქ სარგონი იგულისხმებოდა; მით უმეტეს მაშინ, როცა სამი სტრიქონის ზევით მოხსენებულია მეფე სალმანასარი. მხოლოდ ხორსაბადში მდებარე მეფის სასახლის კედელზე აღმოჩენილმა წარწერამ გაფანტა ყველა ეჭვი. გაირკვა, რომ სალმანასარს დაუწყია სამარიის გარემოცვა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გარდაცვლილა. ქალაქის აღება მოახერხა მხოლოდ მისმა მემკვიდრემ სარგონმა, რომელსაც ალყა კიდევ ორ წელს გაუგრძელდა. ამრიგად, ქალაქის გარემოცვა სულ სამ წელს გაჭიანურდა და სამარია დაეცა 721 წელს ჩვენს ერამდე.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ წარწერაში სარგონი გვაუწყებს: „მე ალყა შემოვარტყი სამარიას და დავიპყარ იგი. ტყვედ წავიყვანე ოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდაათი მცხოვ-

რები, როგორც სამხეთრო ალაფი. მე მათგან შეეკრენ სამეფო ჯარი, რომელსაც ორმოცდაათი სამარი ეტლი ჰქონდა... ქალაქი სელახლა აღვაშენე და აღრინდელზე უფრო დავამძვენე იგი; ზიგ დავასახლე ხემ ძიერ დამონებული ქვეყნების ხალხები. მათ დავუდგინე მთავარი და დავაკისრე იხეთიეე ხარკი, რიუორსაც იხდიდნენ ასურეთის სხვა ქვეშევრდომები".

ბიბლიაში საძეერაა მოხსენებული ფუფუნება, რომლითაც გამოირჩეოდა მეფის სასახლე სამარიაში. მეფეთა შესახებ ყოვნა ნათქვამია, რომ აქაბმა სპილოს ძვლის სახლი აგო. ამოსი წინასწარმეტყველებს: „და შეეგზავრო სახლი ზამთრისა და სახლი საზაფხულო; მას თანა, და წარწყმდენ სახლნი ჰილოს ძვალეულნი და არღარა იყვნენ სახლნი სხუანი მრავალნი, იტყვის უფალი" (ამოსი. თ. 3, მ. 15). ბილოს, ორმოცდამეოთხე ფსალმუნში ნახსენებია „ტაძარნი პილოს ძვალეულნი". მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ფსალმუნი არის აქაბისა და იეზაბელის საქორწინო ჰიმნი.

ბუნებრივია, ეს ცნობები ითვლებოდა გაზვიადებულად და აღმოსავლეთის ხალხთა მდიდარი ფანტაზიის ერთ-ერთ მაგალითად. სამარიის ნანგრევებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ ყველაფერი ეს მართლაც ცრუ მოსაჩმახი არაა.

1931—1935 წლებში ინგლისელი და ამერიკელი არქეოლოგების ჯგუფმა აქ გათხრები აწარმოეა. საგულდაგულო ძიების შემდეგ ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდა ციხის გალავნის საძირკველი, კოშკები და წვიმის წყლის შესანახი დიდი ჭურჭლები. მთავარი კი მაინც აქაბისა და იეზაბელის სასახლის აღმოჩენა იყო. იგი იდგა მთაზე, ქედის დასავლეთ მხარეს, საიდანაც ხმელთაშუა ზღვა მოჩანდა. ეზოში იპოვეს ბიბლიაში მოხსენებული ხელოვნური ტბის ნაშთები: ქვით მოპირკეთებული ნაპირები და ფსკერი. ეს ის ტბა იყო, რომელშიც აქაბის გასისხლიანებული ეტლი გარეცხეს. არქეოლოგებმა ნაშხვრევები გაცხრილეს და განცვიფრდნენ; აგურებს, ქვებსა და ფერფლს სპილოს ძვლის ფილების ათასობით ნატეხი ერია. ნატეხები დაფარული იყო ბარელიეფებით, რომელზეღაც გამოსახული იყო ლოტოსები, შროშნები, პაპირუსები, პალმები, ლომები, ხარები, არწივები, სფინქსები და ფინიკიელთა ღმერთები.

რა თქმა უნდა, სასახლე არ ყოფილა მთლად სპილოს ძვლისაგან აგებული, მაგრამ მის კედლებსა და ავეჯზე სპილოს ძვლის ფილები იმდენი იყო, რომ მართლაც შეეძლებოდა ეაკს ჰგონებოდა — სასახლე მართლაც სპილოს ძვლისაგანაა აშენებულიო.

ახლა კი დავტოვოთ ისრაელი და გადავიდეთ იუდეაში. თავიდანვე ერთბაშად ვაწყდებით საინტერესო გამოცანას, რომე-

ლიც ეხება ბრძენ და უბედურ მეფეს აზარიას. მეფეთა მეოთხე წიგნში ვკითხულობთ: „და შეახო უფალმან მეფესა და იქმნა იგი კეთროვან, ვიდრე დღემდე სიკვდილისა მისისა: და იყო იგი სახლსა თავისუფალსა“ (მეოთხე მეფეთა, თ. 15, მ. 5).

ბიბლიის მკვლევარები და არქეოლოგები ფიქრობდნენ, რომ აზარია თავისი სასახლის ქვეშ, მიწაში გამოთხრილ სადგომში ცხოვრობდა; ხოლო ქვეყანას მისი სახელით მორიგეობით მართავდნენ მისი შვილი იოთამი და შვილიშვილი აქაზი. მართალია, ბიბლიური სამართლის თანახმად, კეთროვანს იერუსალიმში დარჩენის ნება არ ჰქონდა, მაგრამ მეფისთვის გამონაკლისის დაშვება შეიძლებოდა. ვარაუდი არ გამართლდა. ეს გაირკვა, როცა რამას მიდამოებში აღმოაჩინეს რომელიღაც ციხის ნანგრევები. ამ ციხეს არც ერთი ისტორიული წყარო არ ახსენებს. მას ერტყა თითქმის სამი მეტრი სისქის გალავანი, ხოლო ჭიშკარი, რამდენადაც შემონახული ნაშთების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ჩამოსხმული იყო სპილენძისა ან ბრინჯაოსაგან. ფართო ეზოში სამი შენობა იდგა. ერთ მათგანს უკან დატანებული ჰქონდა საიდუმლო კარი, რომლითაც შეიძლებოდა ციხიდან შეუმჩნეველად გაპარვა.

ეჭვი აღებულია ეს ციხესიმაგრე და რატომ იყო იგი დედაქალაქთან ასე ახლოს? ყველაფერი მოწმობს, რომ ციხესიმაგრე აზარიას თავისთვის აუგია. ნანგრევებში იპოვეს ასტარტეს უამრავი ქანდაკება. წინასწარმეტყველებიც სწორედ მეფე აზარიას კიცხავდნენ ფინიკიის ქალღმერთის თაყვანისცემის გამო. გარდა ამისა, კერამიკის ერთ-ერთ ნატეხზე გამოსახულია მკვდომარე წყერიანი კაცის ფიგურა. რაკი დამჯდარს მხოლოდ ღმერთებს ან მეფეებს გამოსახავდნენ, უეჭველია, ციხე მეფის რეზიდენცია იყო.

ახლა გასაგებია, თუ რატომ უწოდებს ბიბლია აზარიას ადგილსამყოფელს „სახლს, მარტოდ მდგომს“, „თავისუფალ სახლს“ ან „თავისუფლების სახლს“. უბედური მეფე სხვა კეთროვნებივით გამომწყვდეული არ ყოფილა და შედარებითი თავისუფლებით სარგებლობდა თავის განცალკევებულ სასახლეში; აქედან, დედაქალაქთან სიახლოვის წყალობით, მას შეეძლო თვალყური ედევნებინა სახელმწიფო საქმეებისთვის.

სამარიის დაცემის შემდეგ იუდეამ შეიგნო საფრთხე, რომელსაც ასურეთი უქადდა. მეფე ეზეკია ეშურებოდა იერუსალიმის გალავნის გამაგრებას და ზარადხანაში იარაღს იმარაგებდა. მან იმის თადარიგიც დაიჭირა, რომ ქალაქს წყალი არ დაჭკლებოდა. იებოსელთა ძველი არხი, რომლითაც დავითმა ლაშქარი შემოიპარა ქალაქში, იმხანად ალბათ აღარ ვარგოდა, უეჭველია, ამოვსებული იქნებოდა, რადგან ქალაქისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ბიბლია გვამცნობს, რომ ეზეკიას ბრძა-

ნებით, კლდე გაუჭრიათ და ახალი არხით წყაროს წყალი პირდაპირ იერუსალიმში შემოუყვანიათ. აქ მას ცისტერნაში აგროვებდნენ.

როგორც ეს ხშირად ხდება, ეზეკიას არხი სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს. 1800 წელს არაბი ბიჭების ჯგუფი სილოეს ტბასთან თამაშობდა. ერთი მათგანი წყალში ჩავარდა და გაღმა ნაპირისკენ გაცურა. ამ დროს მან კლდეში ვიწრო ხვრელს მოჰკრა თვალი. ეს იყო ნახევარი კილომეტრის სიგრძის არხი, რომელიც კირქვის კლდეში მიიკლაკნებოდა და ბოლოს ქალაქის დასავლეთ უბანში შედიოდა.

საკვირველი ის იყო, რომ საშური საქმე ასე გაიგრძელეს: არხი რომ პირდაპირ გაეჭრათ და შემოვლით არ შეეყვანათ ქალაქში, თითქმის ორას მეტრს მოიგებდნენ. მაგრამ ადგილის ტოპოგრაფიის გულმოდგინე შესწავლის შემდეგ გაირკვა: მშენებლებს ეს იმიტომ ჩაუდენიათ, რომ გვერდი აევლოთ დავითისა და სოლომონის აკლდამებისათვის, რომლებიც კლდეში იყო გამოკვეთილი.

მხოლოდ 1880 წელს დამტკიცდა ეჭვმიუტანლად, რომ ეს არხი მართლაც ეზეკიასი ყოფილა. არხის შესასწავლად გაემგზავრა რამდენიმე ახალგაზრდა გერმანელი არქიტექტორი. ისინი ძლივს მიიკვლევდნენ გზას, ლაფი და წყალი მუხლამდე სწვდებოდათ. დიდი გაჭირვებით გააღწიეს შუამდე. უცებ ერთ მათგანს ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. ამ დროს კედელზე რაღაც საიდუმლო წარწერა მოხვდა თვალში. ეს ამბავი რომ მიუვიდა, წარწერის ასლის გადასაღებად იერუსალიმში ჩავიდა ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე არჩიბალდ სეისი. სამუშაო მეტად მძიმე იყო. სეისი საათობით იჯდა ტალახსა და წყალში, ხელში სანთელი ეჭირა და ასო-ასო იწერდა ტექსტს. მაგრამ მის წვალებას ამაოდ არ ჩაუვლია: წარწერა მართლაც არაჩვეულებრივად საინტერესო გამოდგა. ტექსტი შეიცავდა დრამატულ მოთხრობას იმის შესახებ, თუ როგორ კვეთდნენ მუშები კლდეში გვირაბს ორი მხრიდან. სამი წყართა რომ დარჩათ გასაჭრელი, ერთმანეთის ხმა გაიგონეს. როცა ბოლოს და ბოლოს გვირაბი გაიყვანეს და წყალი პირველად დაიძრა ქალაქისაკენ, სიხარულით ცას ეწივნენ.

წარწერის ებრაული ენა, უდავოდ, ეზეკიას ეპოქას ეკუთვნის.

ასურეთის მეფე სინაქერიბი ერთ-ერთ თავის წარწერაში ისეთ რამეს მოგვითხრობს, რომ ჩვენ ვხვდებით — მას იერუსალიმი ვერ დაუპყრია. მართალია, იგი ტრაბახობს, რომ ააოხრა იუდეა და ეზეკიასაგან ხარკად მიიღო ოცდაათი ტალანტი ოქრო და სამასი ტალანტი ვერცხლი, მაგრამ ამბობს — იუდეის მეფე დედაქალაქში ისე გამოეამწყვდიე, „როგორც ფრინველი გა-

ლიაშიო". რასაკვირველია, სინაქერიბი არ მიუთითებს მიზეზებს, რომელთა გამოც ქალაქს ალყა მოხსნა. ბიბლია მის უკანდახევას სასწაულად წარმოგვიდგენს, — თურმე იაჰვეს მიერ გამოგზავნილ ანგელოზს მტრის ბანაკში ას ოთხმოცდახუთი ათასი ასურელი მეომარი მოუკლავს.

მეცნიერები ცდილობდნენ, გამოეცნოთ, მაინც რა იმალება ამ სასწაულის უკან. ეს ამოცანა თითქოს ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ ამოხსნა. ერთ ეგვიპტელ ქურუმს უამბნია მისთვის, რომ სინაქერიბის არმიამ დროებით მოხსნა იერუსალიმის ალყა და ეგვიპტის წინააღმდეგ დაიძრა; მაშინ ასურელთა ბანაკს შეესივნენ მინდვრის თაგვები და ერთიანად დახრეს მშვილდების ლარები და სხვა ტყავი, თუკი სადმე იყო საბრძოლო საჭურველში. უიარაღოდ დარჩენილი მეომრები იძულებულნი იყვნენ, ბრძოლაზე უარი ეთქვათ.

თაგვები ძველ თქმულებებში ხშირად გვევლინებიან ეპიდემიის სიმბოლოდ. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ: სინაქერიბს ალყა იმიტომ მოუხსნია, რომ მის არმიას რაღაც ეპიდემია მოედო. ამ ჰიპოთეზას ამტკიცებს ინგლისელი არქეოლოგის სტრეჩეის მიერ ქალაქ ლაქიშის რაიონში აღმოჩენილი საერთო სამარხი, რომელშიც ორი ათასი მამაკაცის ჩონჩხი იყო.

როგორც ცნობილია, ქარხემიშთან ბრძოლაში ქალდეველებმა სასტიკად დაამარცხეს ფარაონი ნეხო. გამოჩენილმა ინგლისელმა არქეოლოგმა ვულიმ ამ ქალაქის ნანგრევები გათხარა და წააწყდა დიდი ბრძოლის ნაკვალევს. გარეუბანში ერთ-ერთი სახლის იატაკი ფერფლის ფენით იყო დაფარული, ფერფლის ქვეშ კი ეყარა ასეულობით ისრის ბუნიკი, შუბების დამსხვრეული პირები და ხმლების ნატეხები. ზოგი ოთახის შესასვლელში აუარებელი გაღუნული ბუნიკი აღმოჩნდა. ეტყობა, მათ ქვის კარნიზებზე და რკინის კარებზე ურტყამდნენ. ნამსხვრევების განლაგება ცხადყოფს, რომ თავდამსხმელები ოთახიდან ოთახში ახეივნებდნენ თავგანწირულად მებრძოლ თავდამცველებს. ბოლოს და ბოლოს თავდამსხმელებმა გაიმარჯვეს და სახლი დაანგრიეს.

სხვა აღმოჩენები შუქს ჰფენენ მაშინდელ პოლიტიკურ ინტრიგებს. ლურსმული ფირფიტები, რომლებზეც ასურული ტექსტებია აღბეჭდილი, ამტკიცებენ, რომ ხეთის ქარხემიში ასურეთის ვასალი იყო. მეორე მხრივ, ღმერთების ეგვიპტური ქანდაკებები, ბეჭედი, რომელზედაც ამოტვიფრული იყო ფარაონ ფსამეტიქ პირველის სახელი და მისი შვილის ნეხოს საბეჭდავები, ამტკიცებენ, თუ როგორი ძლიერი იყო ეგვიპტის გავლენა ამ რაიონებში. ეტყობა, ქარხემიშიც, იერუსალიმის მსგავსად, ასურეთსა და ეგვიპტეს შორის მერყეობდა, რამაც

ბოლოს და ბოლოს დაღუპვამდე მიიყვანა. ფარაონი ნეხო სულმდაბალი კაცი გამოდგა: მან უღალატა თავის ძოძხრეებს და ასურეთს დაუჭირა მხარი ნაბუქოდონოსორის წინააღმდეგ.

ძეგახსენებთ კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენის ამბავსაც: იარაღებს შორის ვულიმ იპოვა ბრინჯაოს ფურცელგადაკრული ბერძნული ფარი. მასზე გამოყვანილი იყო გორგოსას ჭრელიყელი, გაოშეტორტყმული ცხენებით, ძაღლებით, ირმებითა და კურდღლებით. საიდან მოხვდა ქარხემიშში ბერძნული ფარი?

ვულიმ გაიხსენა ჰეროდოტე, რომელიც გადმოგვცემს: ბრანქიდეში (ეფესოს ახლოს) აპოლონის ტაძარში აკურთხეს ფარაონ ნეხოს ძიერ ღაზაში მოპოვებული სამხედრო ნადავლი. ფარაონმა ამ ბრძოლაში იონიელი ჯაქირავებული მეომრები გამოიყვანა. ალბათ ფარი ეკუთვნოდა დაქირავებულ ბერძენს, რომელიც ღაზის განადგურების შემდეგ ფარაონის ჯარისკაცი გამხდარა და დაღუპულა ქარხემიშში.

ბაბილონის საბუთები ამტკიცებენ, რომ ნამდვილია აგრეთვე ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს ბიბლია იუდეველთა მეფის იექონიას შესახებ. იგი ნაბუქოდონოსორმა ტყვედ წაიყვანა ბაბილონში. როცა ბაბილონის ტახტზე ევილმეროდაქი ავიდა, იექონია ციხიდან გაათავისუფლა და მეფის სასახლეში დაუდო ბინა.

მეფეთა მეოთხე წიგნში ნათქვამია: „და ეტყოდა მას სიტყვასა კეთილსა და დაუდგა საყდარი მისი უმაღლეს საყდართა მეფეთასა, რომელნი იყვნეს მის თანა ბაბილონს და განძარცვა სამოსელი მისი საპყრობილისა, და ჭამდა პურსა მის თანა მარადის და მიეცემოდა საზრდელი მისი სახლისაგან მეფისა დღითი-დღე, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა“ (მეოთხე მეფეთა, თ. 25, მ. 28—29.).

1933 წელს ბაბილონში იპოვეს სასახლის მმართველის ჩანაწერები მეფის რეზიდენტებისათვის დღიური სასმელ-საჭმლის გაცემის შესახებ. სიაში შეტანილია იუდეველთა მეფე იექონია, მისი ხუთი ძე და რვა მსახური. ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ ბაბილონში დატყვევებულ მეფეთა მთელი ჯგუფი ცხოვრობდა. თითოეული ყოველდღე იღებდა თავის კუთვნილ ულუფას, ჰქონდა თავისი ტახტი და თავისი ოთახები სასახლეში. ამ უბედურთა შორის, აჩრდილებივით რომ ახლდნენ მეფეს, თავის დღეებს ლევდა მეფე იექონიაც.

არქეოლოგიური გათხრების წყალობით დავრწმუნდით აგრეთვე, რომ ისტორიული პიროვნებაა ბიბლიაში მოხსენებული გოდოლია, რომელიც ნაბუქოდონოსორმა იუდეის გუბერნატორად დანიშნა და მერე თანამემამულეებმა მოკლეს, როგორც რენეგატი.

ქალაქ ლაქიშის ნანგრევებში ნაპოვნია საბეჭდავი ასეთი

წარწერით: „იუდეის მმართველად დანიშნული გოდოლიას საკუთრება“.

ბაბილონის ტყვეობას რომ შევეხეთ, აღვნიშნეთ: ბევრმა გადასახლებულმა იუდეველმა უცხოეთში დიდი ქონება შეიძინა, ეს არქეოლოგიურმა მონაცემებმაც დაადასტურა. მაგალითად, ერთმა ამერიკულმა ექსპედიციამ ქალაქ ნიფურში თიხის ფილებზე ლურსმულით დაწერილი ას ორმოცდაათი დოკუმენტი აღმოაჩინა. ეს დოკუმენტები თავისებური საბანკო ფირმის („მურაშუსა და ძეთა“) არქივის ნაწილია და ასახავს ამ იუდეველი ოჯახის ფართო საერთაშორისო კავშირებს. აქ წარმოდგენილია კონტრაქტები მიწის, არხების, ბაღებისა თუ ცხვრის იჯარით გაცემაზე, გარიგებები ყიდვა-გაყიდვაზე, ხელშეკრულებები სესხებზე, ხელწერილები დაპატიმრებულ მევალეთა გამოსასყიდის მიღებაზე. შუამავლობისათვის ფირმა იმ დროს დადგენილ მაღალ გასამრჯელოს, ოც პროცენტს იღებდა. ხელმოწერებში ბევრია იუდეური გვარი. ეს გვიმტკიცებს, რომ მრავალი გადასახლებული შეძლებულად ცხოვრობდა.

ბიბლია დუმილით უვლის გვერდს იუდეის ისტორიის დიდ პერიოდს. იგი მოიცავს ორას საოცდახუთ წელს—ნეემიას მიერ იერუსალიმის გალავნების აღდგენიდან (ძვ. წ. 433 წელი) მაკაბელთა აჯანყების დაწყებამდე (ძვ. წ. 168 წელი).

ალბათ ამ ხნის მანძილზე საყურადღებო არაფერი მომხდარა. იუდეა სპარსეთის უზარმაზარი იმპერიის პატარა მიყრუებული პროვინცია იყო. სპარსეთის მეფეებთან შეთანხმებით, იუდეას მართავდნენ ქურუმები. იგი არსებითად იყო არა სახელმწიფო, არამედ პატარა რელიგიური თემი; სამყაროსაგან მოწყვეტილი იუდეველები მხოლოდ თავისი შინაური საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. სწორედ ამ ეპოქაში უნდა შექმნილიყო ძველი აღთქმა იმ სახით, რა სახითაც გვაქვს იგი დღეს. ქურუმები და სწავლულები ანალიზს უკეთებდნენ წარსულს და თავს უყრიდნენ დოკუმენტებს, რომლებიც ეროვნულ უბედურებათა მიზეზის ასახსნელად იქნებოდა გამოსადეგი.

ისინი დარწმუნდნენ, რომ იუდეველები მუდამ ღალატობდნენ იაჰვეს, არღვევდნენ მის აღთქმას, რისთვისაც დაისაჯნენ. ამის შედეგად ბიბლია იქცა მეფეებისა და ხალხის დიდ საბრალმდებლო აქტად, საბუთად, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ ხსნისა და კეთილდღეობის ერთადერთი გზა მოსეს რელიგიის ერთგულება იყო.

ძვ. წ. 333 წელს ქვეყნად დიდი ამბები დატრიალდა. მაკედონიის მეფემ ალექსანდრემ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა დარიოს მესამეზე ქალაქ ისოსთან. სპარსეთმა არსებობა შეწყვიტა. მის ტერიტორიაზე უზარმაზარი ბერძნული იმპერია აღმოცენდა. გამარჯვებული ალექსანდრე ეგვიპტეს გაეშურა და

წინააღმდეგობის გარეშე დაიპყრო იგი. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ მას გზად იერუსალიმში შეუვლია, რათა იაჰვესთვის ეცა თაყვანი. ბიბლია ყველა ამ ამბავს დუმილით უვლის გვერდს. მთაში განკერძოებით მცხოვრებ იუდეველებს არ ესმოდათ, რომ ისინი კაცობრიობის ისტორიის ახალ ერაში შედიოდნენ.

ძვ. წ. 332—331 წლებში მსოფლიოს ახალი მბრძანებელი ნილოსის შესართავის ერთ-ერთ კონცხზე აარსებს ქალაქ ალექსანდრიას — მეცნიერებისა და ხელოვნების მომავალ ცენტრს. ბაბილონის ეპოქის ლტოლვილ იუდეველთა შთამომავლებს იგი ისეთსავე უფლებებს ანიჭებს, როგორსაც ბერძნებსა და ეგვიპტელებს. ამ ნაბიჯს შემდგომში უმნიშვნელოვანესი შედეგები მოჰყვა.

ალექსანდრე დიდი გარდაიცვალა 323 წელს ჩვენს ერამდე. მისი იმპერია მისმა მხედართმთავრებმა, ეგრეთ წოდებულმა დიადოხოსებმა გაიყვეს. ამრიგად, სისხლისმღვრელი ომების შემდეგ წარმოიშვა სამი სახელმწიფო: ეგვიპტე, სირია და მაკედონიის სამეფო. პირველს განაგებდნენ პტოლემაიოსები, მეორეს სელევკიდები, მესამეს კი ანტიგონიდები.

ძვ. წ. 320 წელს პტოლემაიოს პირველმა იუდეა თავის სახელმწიფოს შეუერთა. იუდეველ ხალხს მოევლინა სრულიად ახალი, ბევრად უფრო საშიში საფრთხე, ვიდრე ჩაგვრა და ძალმომრეობაა. დადგა ელინიზმის ეპოქა — შემწყნარებლობის, სულის თავისუფლების, ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების ხანა. ამ განათლებისა და ჰუმანიზმის ცენტრი გახდა ალექსანდრია. პტოლემაიოს მეორემ შეკრიბა გარდასულ თაობათა ინტელექტუალური მემკვიდრეობის შემცველი დიდებული ხელნაწერები. მისი წყალობით შეიქმნა ბიბლიის ბერძნული თარგმანი, ეგრეთ წოდებული სეპტუაგინტა*.

ბევრ იუდეველს არ შეეძლო თავი დაეღწია ელინიზმის კეთილმოქმედი გავლენისაგან. ამ გავლენას განსაკუთრებით განიცდიდნენ ალექსანდრიის მკვიდრნი. დროთა განმავლობაში ისინი თითქმის მთლად ბერძნებად იქცნენ. მშობლიური ენა დაივიწყეს და მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდნენ. მათი წრიდან გამოსულმა მეცნიერებმა, ისტორიკოსებმა და პოეტებმა მსოფლიო სახელი მოიპოვეს.

საბერძნეთის გავლენა იერუსალიმსაც მისწვდა. იუდეველთა ახალგაზრდა თაობა გაიტაცა ბერძნულმა ფილოსოფიამ, ლიტერატურამ და ენამ. ბოლოს შიგ ქალაქის ცენტრში ააგეს სარბიელი, სადაც ახალგაზრდა იუდეველები ბერძენ ათლეტთა მაგალითს ბაძავდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ჯანმრთელი და ლამაზი სხეულის კულტი, ბერძნული პოეზიის მუსიკა

და ფილოსოფიური იდეების ძალა სძლევდა ფსალმუნთა გალობასა და რიტუალურ შეხლუდვებს.

მაგრამ იერუსალიმში არსებობდა აგრეთვე იაჰვეს ორთოდოქსი მიმდევრების ძლავრი დაჯგუფება, რომელიც მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა უცხო გავლენებს. რა თქმა უნდა, ასეთი განსხვავებული განწყობის მქონე მოსახლეობას შორის მკვეთრი შეჯახებები ხდებოდა. ქალაქი დიდი ხნით იქცა ინტრიგების, უწესრიგობისა და პოლიტიკური ბრძოლის სარბიელად.

ასი წლის შემდეგ იუდეას სელევკიდები დაეპატრონენ. ძვ. წ. 195 წელს ანტიოქოს მესამემ პტოლემაიოს V დაამარცხა და მთელი პალესტინა დაიპყრო. იერუსალიმის მახლობლად გაჩნდა ბერძნული კოლონიები, სამარია ახალი მმართველის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. იაჰვეს წმინდა ქალაქში ბერძნულმა წეს-ჩვეულებებმა მოიკიდა ფეხი. აი, რას წერს მაკაბელთა მეორე წიგნის ავტორი:

„რამეთუ არღარა მსახურებათა მიმართ საკურთხეველთა გულს-ჭოდგისე იყვნეს მღვდელნი, არამედ ტაძარი უგულებელსყვეს და მსხვერპლთათვის არა ურვებულნი ისწრაფოდეს ზიარების ყოფად სარკინებელოა უსჯულოთა... (მეორე მაკაბელთა, თ. 4, მ. 14).

კეთილსინდისიერ და ღვთისმოსავ ქურუმ იასონსაც კი ღვთის გმობა და ახალი ერესის თანაგრძნობა დაბრალდა.

ტახტზე ავიდა ბერძნული კულტურის ფანატიკური თაყვანისმცემელი ანტიოქოს IV ეპიფანე, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, თავის სახელმწიფოში ყველა სხვა ჩვეულება და რელიგია აღმოეფხვრა. ძვ. წ. 168 წელს ჩვენს ერამდე მან გაძარცვა იერუსალიმის ტაძარი და მთელი განძი მიიტაცა. როცა ამის გამო ხალხი აჯანყდა, ანტიოქოს IV-მ იერუსალიმში გაგზავნა, თავისი მხედართმთავარი, რომელმაც ქალაქი ცეცხლითა და მახვილით მოაოხრა, ციხის ზღუდეები დააქცია და ბევრი მცხოვრები ტყვედ წაასხა.

დადგა ტერორისა და დევნის ჟამი. ტაძარში ძალით დაამკვიდრეს ოლიმპიელი ზეუსის კულტი. სიკვდილით უნდა დასჯილიყო ყველა, ვინც იაჰვეს მსხვერპლს შესწირავდა, შაბათს იუქმებდა და ყრმათა წინადაცვეთის წესს შეასრულებდა. წამებასა და ტანჯვით აღსაესე სიკვდილს უსჯიდნენ ყველას, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა.

ბოლოს იუდეველები ქურუმ მატათიას მეთაურობით აჯანყდნენ. ძვ. წ. 165—135 წლებში, აჯანყებას რიგ-რიგობით ხელმძღვანელობდნენ მატათიას ვაჟიშვილები: იუდა, იონათანი და შიმონი — მაკაბელებად წოდებულნი. აჯანყებულები ისე გმირულად და გააფთრებით იბრძოდნენ, რომ სელევკიდების ჯარი

ინულებული გახდა, პალესტინის მრავალი ქალაქი დაეტოვებინა. ძვ. წ. 164 წელს აჯანყების ბელადი იუდა იერუსალიმში შევიდა და ტაძარში იაჰვეს კულტი აღადგინა.

ეპიფანეს ძე, ანტიოქოს V ევპატორი დიდი ჯარით მოვიდა აჯანყების ჩასაქრობად. მაკაბელები ვერ გაუმკლავდნენ ბერძენ ცხენოსანთა ძალას, საბრძოლო სპილოთა რიგებს და ბეთლემის მახლობლად დაყარეს იარაღი. მოულოდნელად კაპიტულაციის პირობები ხელსაყრელი აღმოჩნდა. მამის ამაო ცდა რომ იხილა, ახალმა მეფემ იუდეველებს დაუბრუნა სარწმუნოების თავისუფლება და გარკვეული ავტონომიაც კი მისცა; მაგრამ მაკაბელებს არ აკმაყოფილებდათ ეს ცრუ დამოუკიდებლობა. იუდას ძმებმა იონათანმა და შიმონმა განაახლეს ბრძოლა, რომელიც ძვ. წ. 142 წელს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენით დამთავრდა.

ამ გმირული ბრძოლის ისტორია მოთხრობილია მაკაბელთა ორ წიგნში. პირველი დაწერილია უცნობი იუდეველი ავტორის მიერ ებრაულ ენაზე, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ მისმა ბერძნულმა თარგმანმა მოაღწია. მეორე, რომელიც სხვა იუდეველ ავტორს ეკუთვნის, დაწერილია მშვენიერ კლასიკურ ბერძნულ ენაზე[1].

იმ დროიდან იუდეაში მეფობდა მაკაბელთა დინასტია, რომელსაც ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი მატათიას ერთ-ერთ წინაპრის ჰასმონის სახელის მიხედვით, ჰასმონიანთა დინასტიას უწოდებს.

ძვ. წ. 63 წელს პალესტინის ტერიტორიაზე შეიჭრა რომაელი მხედართმთავარი პომპეუსი, ალყა შემოარტყა იერუსალიმს და სამი თვის შემდეგ აიღო იგი. იუდეველთა დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო. პალესტინა რომის პროვინცია გახდა.

რომაელ მოხელეთა თავნებობა და ჩაგვრა თანდათან ისეთი აუტანელი ხდებოდა, რომ პალესტინაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ. ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს იმპერატორმა ტიტემ დიდი არმიით შემოარტყა ალყა იერუსალიმს. ქალაქის მცხოვრებნი ვაჟკაცურად და მტკიცედ იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დანებდნენ. იერუსალიმის მიერ განცდილ შემაძრწუნებელ ტრაგედიას აგვიწერს იოსებ ფლავიოსი. შიმშილითა და ავადმყოფობით დაუძლურებული ადამიანები ქუჩებში იხოცებოდნენ. ზოგჯერ დედები თავიანთ ჩვილ ბავშვებს ჭამდნენ. რომაელმა ლეგიონერებმა ათასობით იუდეველი ტყვე დახოცეს და ჯვარს აცვეს. ქალაქის აღების შემდეგ ტიტემ ბრძანა, მიწასთან გაესწორებინათ გადარჩენილი უბნები; იუდეველებსა

---

[1] ებრაელებს ეს წიგნები საღმრთო წიგნებად არ მიაჩნდათ, სამაგიეროდ, კათოლიკურმა ეკლესიამ ისინი კანონიკურ წიგნების რიცხვს მიაკუთვნა*.

და ქრისტეს თაყვანისმცემლებს არ შეეძლოთ ქალაქში ფეხის დადგმა, რადგან მაშინათვე სიკვდილით ისჯებოდნენ.

სამოც წელს იდგა დანგრეულ იერუსალიმში თავისი ულმობლობით განთქმული რომის ლეგიონი. ჩვენი წელთაღრიცხვის 117—138 წლებში იმპერატორმა ადრიანემ აქ რომაული კოლონია შექმნა. იმ ადგილზე, სადაც ძველად ტაძარი იდგა, იუპიტერის ქანდაკება აღმართეს; წმინდა ადგილის შებილწვამ და ყრმათა წინადაცვეთის აკრძალვამ 132 წ. იუდეველები კვლავ აამხედრა.

აჯანყებულებს, რომელთა რიცხვმა მოკლე ხანში ნახევარ მილიონს მიაღწია, მეთაურობდა შიმონ ბარ-ქოხბა. მან მოკლე დროში გაათავისუფლა იერუსალიმი და პალესტინის ტერიტორიის დიდი ნაწილი. ბრძენი რაბი აკიბა მას მიესალმა როგორც მესიას და ურჩია, თავი ისრაელის მეფედ გამოეცხადებინა.

ახალმა სახელმწიფომ დიდხანს ვერ იარსება. ადრიანემ ბრიტანეთიდან გამოიწვია თავისი მხედართმთავარი იულიუს სეეერუსი, რომელმაც კვლავ დაიკავა პალესტინა და 136 წელს აჯანყებულთა უკანასკნელი ციხესიმაგრე ბეთარი დაიპყრო. აქ დაიღუპა, თუ თავი მოიკლა ბარ-ქოხბამ. გადარჩენილი აჯანყებულები ან მონად გაყიდეს, ან ბაბილონში გაიქცნენ.

1961 წელს ისრაელის არქეოლოგთა ექსპედიციამ მკვდარი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვა ციხესიმაგრეში დაღუპულ უკანასკნელ აჯანყებულთა ძვლები და საბუთები.

ბაბილონის ტყვეობამ და გოდოლიას მკვლელთა გაქცევამ უკვე დაუდო სათავე ეგრეთ წოდებულ დიასპორას, ესე იგი, ებრაელთა გაფანტვას მთელ დედამიწაზე. სპარსულ და ბერძნულ ეპოქებში გაერცელებული იძულებითი განდევნა ნებაყოფლობით ემიგრაციად იქცა. დიასპორის პირველმა ცენტრმა ბაბილონში გვიან შუასაუკუნეებამდე იარსება. ეგვიპტეში, კუნძულ ელეფანტინზე და ალექსანდრიაში წარმოიშვა ებრაული კოლონია, მაკაბელთა და ბარ-ქოხბას აჯანყების შემდეგ უცხო მხარეს ლტოლვილთა ახალი ტალღები მიაწყდნენ; ამან ებრაელთა ადრინდელი ემიგრანტული სათვისტომოების მკვიდრთა რიცხვი გაადიდა.

დიასპორა თანდათანობით მოედო კირენაიკას, საბერძნეთსა და მცირე აზიას. ებრაელთა ყველაზე დიდი კოლონია ალექსანდრიაში იყო. იგი დაახლოებით ასი ათას კაცს ითვლიდა. მეორე დიდ ემიგრანტულ ცენტრს რომი წარმოადგენდა. იოსებ ფლავიოსს დიასპორის მასშტაბის დახასიათებისას, ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის შრომიდან მოჰყავს შემდეგი ციტატა: „ებრაელები თითქმის ყველა ქალაქში მკვიდრობენ, ძნელია მსოფლიოში სადმე იპოვო ადგილი, სადაც ამ ტომის წარმომადგენლები არ ცხოვრობდნენ“.

ეჟვსი ბიბლიური თქმულება გმირობასა, წამებასა და ღვთის სამართლიან მსჯავრზე

გმირი ივდითი. იუდეის ქალაქ ბეთოლში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი, რომელსაც ივდითი ერქვა. ივდითი დიდი ქონების პატრონი იყო, ჰქონდა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები, საძოვარზე უზარმაზარი ცხვრის ფარები დაუდიოდა, შინ მრავლად ჰყავდა მონა-მხევლები. ივდითის სილამაზე და მშვენების ამბავი მთელს ქვეყანაში კიდიდან კიდემდე იყო განთქმული. ბედს თითქო არაფერი დაუკლია მისთვის, მაგრამ ქმარი მოუკვდა და დამწუხრებულმა ქალმა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე გული აიყარა. სამნახევარი წელი ლოცვასა და სხეულის გვემაში გაატარა. სათნო და უმწიკვლო ქცევის ქვრივს ყველა პატივს სცემდა. იუდეველებმა იგი წინასწარმეტყველადაც კი მიიჩნიეს.

მაგრამ აი, ქანაანში შეიჭრა ნაბუქოდონოსორის უზარმაზარი არმია ოლოფერნეს მეთაურობით. ქალაქის მცხოვრებლებმა პირველ ხანებში ძალიან გამოიდეს თავი და არ დანებდნენ მტერს, რომელმაც ალყა შემოარტყა ბეთოლს, მაგრამ გავიდა ოცი დღე და წყალი შემოაკლდათ. ქალაქის თავის ოსიას სასახლის წინ ხალხმა მოიყარა თავი; შეკრებილებმა ტირილი და გოდება მორთეს და ეეედრებოდნენ — ქალაქის ბჭე გაეღო მტრისთვის. ოზიას გული უკვდებოდა, ქალაქის მკვიდრთა ასეთ ტანჯვას რომ ხედავდა, მაგრამ მაინც სთხოვა — ხუთ დღეს კიდევ გაუძელით, თან აღუთქვა, იაჰვე გვიხსნისო".

ივდითმა საქვრივო ძაძა გაიხადა, პირი დაიბანა, ნელსაცხებელი იცხო და თმა დაიხვია. მერე სადღესასწაულო სამოსელი ჩაიცვა, შეისხა ბეჭდები, საყურეები, ოქროს სალტეები —

უძვირფასესი სამკაული, რაც კი გააჩნდა, მორთულ-მოკაზმულმა შიმუნვარი — პირის ფარეში იახლა და ძტრის ბახაკისაკენ გაემართა. მსახურს თხიერით ღვინო მიეჭონდა, კოკით — ზეთი, მახალით — ფქვილი, ხმელი ხილი და წმინდა პური. გათენებისას ივდითი ჩამოდიოდა მთის ფერდობიდან, რომელზეც ქალაქი ბეთოლი იყო გაშენებული. იგი ძტრის მცველებმა შეაჩერეს, შეიპყრეს და ჰკითხეს: „ვინ ხარ შენ, სადაითგან მოხვალ და სად მიხვალ?" მან მიუგო: „ასული ებრაელთა ვარ მე და ვიველტი მათგან, რამეთუ მიცემულ არიან იგინი თქვენდა შესაჭმელად". ივდითი მცველებმა ბანაკში მიიყვანეს და სარდალს მიჰგვარეს. ოლომფორნე მიწოლილიყო სარეცელზე, მწერებისაგან მას იცავდა სამუძლე ბადე, ძოწით შემოსილს ტანსაცმელს ოქროს სამკაულები, ზურმუხტი და ძვირფასი თვლები უმშვენებდა.

ივდითმა დაიჩოქა და თაყვანი სცა. უცნობი ქალის მშვენებით გაკვირვებული სარდალი კი იდუმალ ტკბებოდა მისი ცქერით. ბოლოს გონს მოეგო და აღერსიანად ჰკითხა — აქ რამ მოგიყვანაო. ქალმა ამცნო თავისიანებისაგან წამოსვლის მიზეზი და თქვა:

„ძსევალი შენი ვარ მე და ოდეს მეუწყა ყოველივე, ვიველტოდი მათგან; მომავლინა ღმერთმან, რათა ვქმნა შენ თანა საქმე, რომელმან განაკრთოს ქვეყანა ყოველი, სადაცა ესმეს იგი".

ოლომფორნეს ეამა მისი სიტყვები და მსახურთ უბრძანა, ხელი შეაშველეთ და წამოაყენეთო. ივდითი წამოდგა. მისმა მშვენებამ კარავში მყოფი დიდებულები გააოცა. მათ აღტაცებით შესძახეს: „ვინ შეურაცხყოს ერი, რომლისა ასული არს ესე!" ივდითმა ხერხი მოიგონა — თიოქოს შთაგონება ეწვიაო, ისეთი სწორი უწინასწარმეტყველა დამპყრობლებს სრული გამარჯვება იუდეველებზე. გასარებულმა ოლომფორნემ ივდითს აღუოქვა, „უკეთუ იქმ ესე, ვითარცა სთქვი, ღმერთი შენი იყოს ღმერთი ჩემი". შემდეგ ბრძანა, ივდითისათვის კარგი ბინა მიეჩინათ.

სამ დღეს ზედიზედ იწვევდა დიდებულ ნადიმზე. ივდითმა პირი არ დააკარა უწმინდურ საჭმელს და მხოლოდ მისი მხევლის წამოღებულ საგზალს ჭამდა. ოლომფორნე საშველს არ აძლევდა და დაჟინებით ცდილობდა ქალის გულის მონადირებას. ივდითი მიხვდა, რომ მეოთხე დღეს, ვაზშმის შემდეგ, ოლომფორნე მას თავის კარავში დარჩენას სთხოვდა. ძილის წინ მან მსახური დაითხოვა, მთელ ღამეს იაკვეს წინაშე ლოცულობდა და ტირილით ევედრებოდა ღმერთს, რომ ღონე და მსნეობა მიენიჭებინა მისთვის განზრახვის აღსასრულებლად.

მეორე დღეს ოლომფორნემ წინანდელზე უფრო დიდი პურობა გამართა. მომაეალ ტკბობათა სასიხარულო მოლოდინში

უზომოდ დალია, ბიეგდო ხარეცელზე და დაიბინა. მაშინ ივდითმა სარდალს მისივე მახვილი დაკრა ორჯერ და თავი მოკვეთა, შეახვია სამუშლეში და საგზლის მახალში დაპალა. ფეხაკრეფით გაიპარა ბანაკიდან*, ბეთოლიასკენ გასწია და თანამეშამულეებს საძულველი დამპყრობლის თავი უჩვენა. ქალაქი ზეიმობდა. ყველა წაღლს სწირავდა იაჰვეს გამარჯვებისათვის და ადიდებდა გმირ ქალს, რომელმაც მტერს თავი მოკვეთა. ბამთენიისას ასურელებმა ოლომფორნეს სიკვდილი გაიგეს. შეძრწუნებულებმა მიატოვეს ბანაკი, ურიცხვი განძი, იუდეაში მოპოვებული დავლა და უკან მოუხედავად გაიქცნენ. ქალაქის დამცველები გამძვინვარებულნი დაედევნენ და მუსრი გაავლეს მტერს, თითო-ოროლა კაცმა თუ გაასწრო ცოცხალმა. გამარჯვებულებს დარჩათ უზარმაზარი ალაფი: უთვალავი ცხვრის ფარა, სახედრები და აქლემები, დიდძალი ოქრო-ვერცხლი, იარაღი და სამოსელი. ოლომფორნეს კუთვნილი ოქრო-ვერცხლი, პატიოსანი თვლები და ძვირფასი სამოსელი კი ერთიანად ივდიოს გადასცეს გმირობის ჯილღოდ.

ქალაქის მკვიდრნი სამ თვეს ზეიმობდნენ გამარჯვებას; ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლოცულობდნენ და ქნარებს უკრავდნენ. იერუსალიმიდან თვით მღვდელთმთავარი იოაკიმი მოვიდა, რათა პატივი მიეგო გმირი ქალისათვის და მონაწილეობა მიეღო საერთო სიხარულში.

ივდითმა ასხუთი წელი იცოცხლა; ხალხის პატივისცემა და სიყვარული არასდროს დაკლებია. მისი დიდი გამარჯვების დღე კი იმ დღესასწაულებს მიათვალეს, რომლებსაც ებრაელები ყოველ წელს აღნიშნავდნენ.

სპარსეთის დედოფალი ესთერი. სპარსეთის მეფემ არტაქსერქსემ თავისი მეფობის მესამე წელს დიდი პურობა გამართა და მოიწვია სპარსეთისა და მიდიის ყველა მთავარი და დიდებული. მათთან ერთად ნადიმზე მოიხმო მის მიერ დამორჩილებული ქვეყნების მეფისნაცვალნი, ინდოეთიდან დაწყებული ეთიოპიამდე. ნადიმი გრძელდებოდა ას ოთხმოც დღეს შეუსვენებლად; ბოლოს კი მეფემ შვიდდღიან ნადიმზე მიიწვია ქალაქ სუზის ყველა მცხოვრები, განურჩევლად სიმდიდრისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

სუფრა გააწყვეს ეზოში და მეფის სასახლის ბაღში. მზისაგან თავდასაცავად ეზო და ბაღი გადახურეს თეთრი, მწვანე და იისფერი ქსოვილებით, რომლებიც დამაგრებული იყო მარმარილოს სვეტებზე. სტუმრებს მხართეძოზე წამოსაწოლად მაგიდების ახლოს ზურმუხტისფერი და თეთრი მარმარილოს იატაკზე ოქროსა და ვერცხლის სკამლოგინები დაუდგეს. მსახური

სასმელ-საჭმელი შემოჰქონდათ ოქროს სინებითა და თასებით. სასახლის იმ ძხარეს კი, სადაც ქალთა სამყოფი იყო, დედოფალი ვაშთი მასპინძლობდა მთავართა, დიდებულთა და კარისკაცთა ცოლებს.

ნადიმის მეშვიდე დღეს არტაქსერქსემ მოისურვა სტუმრებისათვის ეჩვენებინა თავისი მზეთუნახავი დედოფალი. მეფემ მოითხოვა, ვაშთი სამეფო გვირგვინდადგმული ხლებოდა მას. დედოფალი გაჯიუტდა და ბრძანების შესრულება არ ისურვა. გაბრისხებულმა არტაქსერქსემ იქვე იხმო სპარსეთისა და მიდიის შვიდი მთავარი. მათ უნდა გადაწყვიტათ, როგორ მოჰქცეოდნენ თავნება ქალს. დარბაისელი დიდებულები ძალზე შეაშფოთა დედოფლის თავხედობამ. ისინი შიშობდნენ, რომ მას სხვებიც მიჰბაძავდნენ და მათ ოჯახებშიც დაირღვეოდა მყუდროება. ერთმა მათგანმა თქვა: „ესმეს ესე ყოველთა დედათა და არღარა პატივ-სცენ ქმართა თვისთა და თქვან: უბრძანა მეფემან მოყვანება დედოფლისა მისისა წინაშე პირსა მისსა, ხოლო იგი არა წარვიდა. ამიერითგან ესრევე მიუგონ მთავართა სპარსთა და მიდიელთა ცოლთა მათთა და განმრავლდეს შეურაცხება ჩვენი“.

მეფემ გადაწყვიტა, სამუდამოდ მოეკვეთა თავისი მეუღლე. ამავე დროს მან ქვეყნის ყველა კუთხეში დაგზავნა წიგნები, რომელშიც მეფის ყველა ქვეშევრდომს მათსავე ენაზე ასწავლიდა — ყველა ქალი თავისი ქმრის მორჩილი უნდა იყოსო. ამნაირად ჩააქრეს ძირშივე ქალთა ამბოხების საფრთხე.

მალე მეფემ ბრძანა, მთელ სახელმწიფოში შეერჩიათ ყველაზე ლამაზი ასულები და სასახლეში მოეყვანათ.

ისინი სანდო კაცის, საჭურისის, მეთვალყურეობის ქვეშ თორმეტი თვის განმავლობაში იზელდნენ სხეულს სურნელოვანი მურითა და სხვა ნელსაცხებლებით, ისვამდნენ თმასა და პირზე ნაირნაირ საღებავს და რიგრიგობით წვებოდნენ მეფის სარეცელზე. ოთხი წლის შემდეგ პირმშვენიერ ესთერს მოუწია რიგმა. იგი იუდეველი იყო, მაგრამ ეს ამბავი არავინ იცოდა, მას არაკისთვის გაუმხელია თავისი ვინაობა. მშობლები ესთერს ბავშვობაშივე დაესოცა. მას ზრდიდა ბიძაშვილი მარდოქე, იერუსალიმიდან გადმოსახლებული იუდეველი. ესთერი ძალიან მოეწონა არტაქსერქსეს, ყველა ცოლზე მეტად შეუყვარდა და სამეფო გვირგვინი დაადგა.

მარდოქე, მისი აღზრდილის თხოვნით, სასახლის მეკარედ დანიშნეს. მალე მან ისეთი ნდობა მოიპოვა, რომ მეფის საწოლის მცველი გახდა, ამან კი ორი კარის მცველი ძალზე გაანაწყენა.

ერთხელ მარდოქემ ყური მოჰკრა მათ ლაპარაკს და შეიტყო, რომ მეფეს მოკვლას უპირებდნენ. ყველაფერი უმალვე აცნობა ესთერს, მანაც არ დააყოვნა და მეფე გააფრ-

თხილა. შეთქმულები ჩამოახრჩვეს. მეფეს კიდევ უფრო შეუყვარდა თავისი სატრფო.

მარდოქემ სასახლეში ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ პირველ მინისტრს ამანსაც არაფრად აგდებდა. ამანი ყოველისშემძლე დიდებული იყო. მისი ყველას ეშინოდა. დაინახავდნენ თუ არა, მუხლს იყრიდნენ მის წინაშე. მარდოქე კი არც იჩოქებდა და არც თაყვანს სცემდა ამანს. ცოფმორეული ამანი უძლური იყო მის წინაშე, რადგან მარდოქეს პირადად მეფე მფარველობდა, მაგრამ, როცა ძმეთხვევით გაიგო, რომ მარდოქე იუდეველი იყო, მასთან ანგარიშის გასასწორებლადაც იპოვა გზა. პირველი მინისტრის დაყინებით არტაქსერქსემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც ითვალისწინებდა სპარსეთში მცხოვრები ყველა იუდეველის განადგურებას, რადგან ისინი თავიანთ საგანგებო წნე-ჩვეულებებს, კანონებსა და რელიგიურ წესებს იცავდნენ.

ეს რომ გაიგო მარდოქემ, ტანსაცმელი შემოისია, ძაძები ჩაიცვა, თავზე ნაცარი დაიყარა და ხმამაღალი, სასოწარკვეთილი გოდებით შემოიარა სუსის ქუჩები.

ესთერმა გადაწყვიტა, რამე ღონე ეხმარა*. მეორე დღეს მან ნადიმი გამართა; მიიწვია მეფე და მისი პირველი მინისტრი. სიამაყითა და ასეთი გამორჩევით გაყოყოჩებული ამანი უფრო თავდაჯერებული გახდა და ბრძანა აღემართათ ორმოცდაათი წყრთის სიმაღლის სახრჩობელა, რომელზეც მარდოქეს უპირებდა ჩამოხრჩობას*.

ღამით მეფეს ძილი გაუკრთა და ბრძანა, მოეტანათ მისთვის მოსახსენებელი წიგნი. აქ მან იპოვა ძველი ჩანაწერი, თუ როგორ იხსნა ერთხელ მარდოქემ სიკვდილისაგან. მრავალ საზრუნავს ეს ამბავი სულ დაევიწყებინა მეფისთვის, სამაგიეროდ, ახლა გადაწყვიტა ერთგული მსახურის დაჯილდოება.

მეორე დღეს ამანი მეფესთან გამოცხადდა. მას უნდოდა მარდოქეს სიკვდილით დასჯის განაჩენი დაემტკიცებინა. არტაქსერქსემ ჰკითხა, როგორ უნდა მოექცე კაცს, რომლისთვისაც განსაკუთრებული პატივისცემა გინდაო. ამანს ეჭვიც არ გაუვლია გულში, რომ მეფეს სხვა გუმანი ჰქონდა და მიუგო: „კაცსა, რომლისა ინებოს მეფემან დიდება მისი, მოართვან სამოსელი მეფისა, რომელი შეიმოსა მეფემან და ცხენი, რომელსა ზედა ჯდა მეფე, ოდეს წარვიდოდა დადგმად გვირგვინისა თავსა ზედა მისსა. და მისცენ სამოსელი და ცხენი ხელთა ერთსა მთავართაგანსა მეფისასა და შემოსონ კაცი იგი, რომლისა ინებოს მეფემან დიდება მისი და შესვან ცხენსა ზედა და მოიყვანონ იგი უბანსა და ხმობდენ: „ესე ეყოს კაცსა, რომლისა ენებოს მეფესა დიდება მისი!“ ამანს თავზარი დაეცა, როცა გაიგო, რომ მეფე მარდოქეს გულისხმობდა. მას კი, საკუთარი რჩევის თა-

ნაჩქარ, [illegible] მტერი უნდა შეესვა ცხენზე, მოეტარებინა ქალაქი და მეფის [illegible]ფრებულ ქვეყანერდოძთათვის ეუწყებინა: „ვინ ეყოს კაცსა, რომელისა ესებოს მეფესა დიდება ძისი!“

ის იყო ამ დამცირებით გაბოროტებული ამანი შინ დაბრუნდა, რომ მასთან საშურისები გამოცხადდნენ და აუწყეს მეფის ბრძანება; იგი ნადიმზე უნდა ხლებოდა მეფეს. ამასობაში ესთერი მეფეს გამოუტყდა, იუდეველი და მარდოქეს ნათესავი ვარო. ცრემლმორეული ევედრებოდა, გაეუქმებინა ბრძანება იუდეველთა შესახებ. ალბათ ესერქსე ძმაზდა ამანის მუხანათობას. გაძარცვა თუ არა იგი სასახლეში, ბრძანა, დაუყოვნებლივ აეყვანათ მარდოქესათვის გამზადებულ სახრჩობელაზე.

ესთერის თხოვნით მეფემ საშინელი დეკრეტიც გააუქმა და იუდეველებს იმის ნებაც კი მისცა, მთელ სპარსეთში ებიათ შური თავის მტრებზე.

ასე დაიღუპა საბოლოოთხმეტი ათასი კაცი, მათ შორის ამანის ათი ძე. მარდოქეს, ამანის სიკვდილის შემდეგ, მეფის სასახლეში პირველი მინისტრის პოსტი დაიკავა, მან იუდეველთა ყველა ტომს დაუგზავნა წერილები და მოუწოდა — გადარჩენის უკვდავსაყოფად ყოველ წელს საზეიმოდ აღენიშნათ დღესასწაული ფურიმისა, რაც ნიშნავს „ბედის დღესასწაულს“, რადგან იუდეველი სალხის ბედი მაშინ გადაწყდა.

ერთგული ისრაელიტელი ტობი სპარსეთის მიწაზე. გალილეის ერთ პატარა ქალაქში, სადაც ნეფთალემის ტომი იყო დამკვიდრებული, დაიბადა ტობი. იგი იზრდებოდა ისეთ ოჯახში, სადაც ყველა წინაპართა რჯულისა და ადათ-წესების ერთგული იყო. ასეთივე სულისკვეთებით აღზარდა მან შვილი ტობია. როცა ტობი ასურეთში წაიყვანეს ტყვედ, მან როგორღაც მოასვრხა და ცხოვრება მოიწყო. ბედმა გაუმართლა და გამდიდრდა, მაგრამ სიმდიდრეს მარტო თავს არ ახმარდა, უნაწილებდა ღარიბ-ღატაკ თანამემამულეებს, რომლებსაც სასტიკად ტანჯავდნენ ასურელები. განსაკუთრებული თავდადებით იხდიდა ტობი უკანასკნელ ვალს თვისტომთა წინაშე და ასაფლავებდა მათ მოსეს რელიგიური რიტუალის შესაბამისად, რისთვისაც იმ დროს მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული.

ერთხელ მიცვალებულთა დასაფლავების შემდეგ დაღლილ. ტობი ეზოში, ღობის ძირას მიწაზე წამოწვა. გალავანზე ბელურები ისხდნენ, თვალში ჩიტის სკორე მოხვდა და ბისტი გადაეკრა. ტობი უდრტვინველად იტანდა სიბრმავეს, ღმერთს არ უჩიოდა და ურჯულოთა დაცინვასა და აბუჩად აგდებას უდიდესი სიმშვიდით ხვდებოდა. სიკვდილის მოახლოება რომ იგრ-

ძნო, მოხუცმა შვილი ტობია გაგზავნა ღარიბ გაბაელთან, ვა-ლი, ათი ტალანტი ვერცხლი უნდა გაჰოერთმია და მრავალტან-ჯული მაძისთვის მოეტანა*. გამოუცდელი ყმაწვილის მგზავ-რობა თვით ანგელოზმა რაფაელმა იკისრა. მან ადამიანის სახე მიიღო. ისინი შორეულ ქალაქში მიდიელთა რაგას უნდა წასუ-ლიყვნენ. ახალგაზრდა ტობიამ ანაზდად შენიშნა სამგზავრო ტანსაცმელით მოსილი ლამაზი ჭაბუკი და ჰკითხა: „მაუწყე, ძმაო, ვისი სახლისა და ტომისაგან ხარ შენ?“ მან მიუგო — ისრაელის ძეთა ჩამომავალი ვარ და მიდიელთა რაგას მივეს-გზავრებიო. ტობია ასეთ პასუხს არ მოელოდა და ეს სასიამოვ-ნო ამბავი მამას ახარა. მან კი შვილს ურჩია, უცნობს დამგზავ-რებოდა. ახალგაზრდა ტობიას იმედი არ გაუცრუვდა. ანგელო-ზი რაფაელი მას გაუძღვა და მიდიელთა რაგას მიიყვანა; საცო-ლედ გამოუძებნა მისივე ტომის ქალი, რაგუელის ასული, ხო-ლო ტობიასთან ერთად სახლში რომ დაბრუნდა, მის მოხუც მამას თვალები აუხილა. უსაზღვროდ მადლიერმა ტობიამ შვილს უთხრა: „მიეც, შვილო ჩემო, ღირსეული სასყიდელი კაცსა, რომელი იყო შენ თანა, და შეამატე სასყიდელსა მას“. ტობიამ მიუგო: „მამაო ჩემო, არა მევნოს მე, თუ მივსცე ნაბე-ვარი ყოველისა მისგან, რომელი მომაქეს ჩემ თანა?“ მაგრამ რა-ფაელი უარზე დადგა, საზღაური არ აიღო და თავისი ვინაობა ამცნო მამა-შვილს.

ი ო ბ ი. არაბეთში, ესის მსარეს ცხოვრობდა ღვთისმო-სავი და მართალი კაცი იობი. ყოველმხრივ ბედნიერი იყო. ყავ-და შვიდი ძე და სამი ასული, შვიდი ათასი ცხვარი, სამი ათასი აქლემი, სუთასი უღელი ხარი, ტეირთის საზიდავად, ხუთასი სახედარი და ურიცხვი მსახური. იმ დროს, როცა მისი შვილე-ბი ნადიმობდნენ, იობი კი თავის მინდორზე ღმერთს მსხვერპლს — ყოველად დასაწველს სწირავდა, ღმერთთან შეიკ-რიბნენ ანგელოზები, რომელთა შორის ეშმაკიც შეიპარა. რო-დესაც ღმერთმა ჰკითხა — აქ საიდან გაჩნდიო, ეშმაკმა მიუგო: „მომივლიეს ყოველი ქვეყანა“. ღმერთმა ჰკითხა — ხომ არ გი-ნახავს იობი — კაცი სათნო და მართალი, რომელსაც არასოდეს ჩაუდენია ბოროტი? ეშმაკმა ღვარძლიანად მიუგო — ღვთისმო-სავობა აღვილია, თუ მდიდარი და ბედნიერი ხარო და გამოიწვე-ვად დაუმატა: „მიაკლინე ხელი შენი და შეახე ყოველსა, რაცა აქვს მას, ნუუკეე გაკურთხოს შენ?“ ღმერთი დათანხმდა, გამოე-ცადა იობი და ეშმაკს ნება დართო, რაც უნდოდა, ის ექნა მის-თვის.

მალე იობს თავს დაატყდა უბედურება, საბელებმა მოპარეს საქონელი და მწყემსები დაუხოცეს. ზეციურმა ცეცხლმა შთან-თქა ცხვარი და მსახურნი, ქალდეველებმა აქლემები გაურეკეს,

უდაბნოდან მოვარდნილმა ქარიშხალმა სახლი დაუქცია, მის ნანგრევებში მოჰყვნენ იობის შვილები. მოხუცმა ტანსაცმელი შემოიხია, გადაიპარსა თმა და ქედმოხრილმა ღმერთს შეჰღაღადა: „შიშველი მოვედ მუცლისაგან დედისა ჩემისა და შიშველიცა მივიქცე მუნ. უფალმან მომცა და უფალმანცა წარიღო. კურთხეულ იყავნ სახელი მისი!“

ღმერთი ძალიან კმაყოფილი იყო, მართალი იობის სიკეთეში რომ არ მოტყუვდა და ეშმაკს უსაყვედურა — შენი რჩევით უდანაშაულო კაცს განსაცდელი შევამთხვიეო.

ეშმაკი იხტიბარს არ იტეხდა და ბოროტად თქვა: „მიავლინე ხელი შენი და შეახე იგი ძვალთა მისთა და ხორცთა მისთა, გაკურთხევდეს იგი შენ ანუ არა?“

ღმერთმა ეშმაკს კვლავ დართო მოქმედების ნება და მანაც საშინელი კეთრი შეჰყარა იობს. ყოველივე ამასთან ერთად, დარდისგან გულმოკლულმა ცოლმა ლანძღვა-გინებით აიკლო იგი. გაცოფებული უკიოდა: „ვიდრემდე დაგითმენიეს უბიწობასა შინა შენსა? თქვი სიტყვა, საგმობად ღმრთისა, რათა მოჰკვდე!“ იობმა მშვიდად მიუგო: „იტყვი შენ, ვითარცა ერთი უგუნური დედათაგანი, უკეთუ კეთილი იგი მივიღეთ უფლისაგან, ბოროტი ესე ვერღარა მივიღოთ?“

იობის ტანჯვის ამბავი მის სამ მეგობარს ელიფასს, ბილდადსა და სოფარს მიუვიდა. მათ მაშინვე გასწიეს სნეულთან. საოწარკვეთილი იობი რომ დაინახეს, ატირდნენ, ტანსაცმელი შემოიხიეს და თავზე მიწა და ნაცარი დაიყარეს; მერე გვერდით მოუსხდნენ, შვიდი დღე და ღამე დადუმებულები იზიარებდნენ მეგობრის ტანჯვას. გაოგნებული იობი, როგორც იქნა, გონს მოეგო და გოდებით მოსთქვამდა: „წარწყმდინ დღე იგი, რომელსა ვიშევ და ღამე იგი, რომელსა ითქვა: წული არს! რად არა მოვკვედ მუცელსა შინა, ანუ ჟამსა, ოდეს გამოვედ საშოითგან?.. რამეთუ შიში, რომლისათვის ვზრუნევდ, მოიწია ჩემ ზედა, და რომლისა მეშინოდა, იგი შემემთხვია მე. ვერცა მშვიდობით ვიყავ, ვერცა მყუდროებით, ვერცა განვისვენე და მოიწია ჩემ ზედა რისხვა“.

შეშფოთებულმა ელიფასმა მოისმინა გოდება და იობს უსაყვედურა: „ანუ არა შიში ღმრთისა არს ნუგეშისცემა შენი და უბიწოება გზათა შენთა სასოება შენი?“ იობი მაინც ჩიოდა: „მიმცა მე უფალმან ხელთა ცრუისათა და შორის უღმრთოთა შთამაგდო მე; მშვიდობით ვიყავ და შემაძრწუნა მე; აღმიღო მე ქედითა და მცა მე და დამადგინა მე ვითარცა სასროლი; გარემომადგეს მე მოისარნი მისნი და განხეთქა მუცელი ჩემი და არა არს შენდობა ჩემდა, და დასთხია მიწასა ზედა ნაღველი ჩემი. განმაპო მე განპებითა მრავლითა და მერკინების მე ვითარცა მებრძოლი; ძაძა შევიკერე მე ტყავისა ჩემისათვის და დავ-

ფალ მიწასა შინა ძალი ჩემი. მეწამულისფერ არს პირი ჩემი, ტირილითა და თვალთა ჩემთა ზედა არს აჩრდილი სიკვდილისა. და არა იყო ცოდვა ხელთა ჩემთა და ლოცვა ჩემი წმიდა არს".

მეგობრებმა დიდხანს არწმუნეს — ალბათ რაიმე შეესცოდე, თორემ უცოდველი ადამიანები არ ისჯებიანო. იობმა შეპფიცა, ბრალი არა მაქვს რაო; ღმერთი დაიმოწმა, რომ ბოროტება არ ჩაუდენია და უდანაშაულოდ იტანჯება. მათ საუბარს კარგა ხანს უსმენდა ჭაბუკი ელიუ. ბოლოს იგი ოთხი მეგობრის საუბარში ჩაერია და უთხრა: ჩემი აზრით, ყველანი მტყუანი ხართო. ტანჯვა ყოველთვის როდია შეცოდების მოსაგებელი სასჯელი. ხანდახან ღმერთი სწორედ ერთგულებს მოუელენს ხოლმე მძიმე განსაცდელს, რათა გამოსცადოს ისინი, დარწმუნდეს მათ სათნოებასა და სიკეთეში. მართალია, იობს მეგობრებთან საუბრისას თავისი ბედის წყეველა არ შეუწყვეტია, მაგრამ ღვთის განგების მიუწვდომელი სიბრძნე მაინც სწამდა.

უსაზღვრო ნდობის საზღაურად ღმერთმა იობს მოუელინა ქარიშხალი, თან გამოეცხადა მას და ამცნო: ამაოდ ცდილობ ტანჯვის მიზეზის პოვნას, რადგან ღვთის ძლიერ და სიბრძნით აღსავსე მოქმედებას ადამიანის გონება ვერ მისწვდება. იობმაც შეინანა თავისი სიტყვები და ცოდვები აღიარა, ღმერთმა კი სამაგიეროდ დაუბრუნა მას შეილები* და მთელი ავლა-დიდება.

დ ა ნ ი ე ლ ი. ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო იერუსალიმი და ტყვედ ჩაიგდო იუდეის მეფე იოაკიმი. შემდეგ ნაბუქოდონოსორის ბრძანებით, მას სამეფო კარზე მიჰგვარეს ისრაელიტელი ჭაბუკები, — მეფეთა და მთავართა შთამომავალნი. მეფემ მოისურვა, რომ მათ ეს წავლათ მისი ქვეყნის ენა და მწიგნობრობა და ნამდვილ ქალდეველებად გაზრდილიყვნენ. ამ ლამაზ და ნიჭიერ იუდეველ ახალგაზრდებს შორის იყვნენ დანიელი და მისი სამი ახლო მეგობარი: ანანია, მისაელი და აზარია. ღვთისმოსავმა ყრმებმა უარი თქვეს სამეფო ტაბლის საჭმელზე, რომელიც მათ დაუწესეს, რადგან მის დამზადებისას მოსეს მცნებას უგულებელჰყოფდნენ. მათ თავის აღმზრდელს — საჭურისთმთავარს სთხოვეს — ნება მოგვეცით, მხოლოდ პური და ბოსტნეული ვჭამოთო. ახალგაზრდა იუდეველებს მარტო ბაბილონის ისტორიასა და ადათ-წესებს როდი აცნობდნენ, მათ ქალდეველ ულუკთა — მისანთა — ცოდნის საიდუმლოებასაც ასწავლიდნენ, ასტროლოგიასა და სიზმრის ახსნის ხელოვნებაში წვრთნიდნენ. სწავლების ვადა რომ გაუვიდათ, ნაბუქოდონოსორმა ბრძანა და აღზრდილები მას აახლეს გამოსაცდელად. თავისდა გასაოცრად, მეფე დარწმუნდა, რომ

ისინი გონებითა და სიბრძნით ბევრად სჯობნიდნენ ქალდეველ წინასწარმეტყველებსა და ჯადოსნებს. იუდეველ ახალგაზრდათაგან ყველაზე გონიერი დანიელი აღმოჩნდა.

მდიდარი ვაჭრის იოაკიმის პირმშვენიერი და ღვთისმოშიში მეუღლე სუსანა ერთხელ თავის ბაღში ბანაობდა. ბუჩქებიდან მას ორი ავხორცი ბერიკაცი უთვალთვალებდა. ისინი სუსანას შეუჩნდნენ, რომ თავის ნებაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ ქალმა ძალიან შორს დაიჭირა მათი ბილწი ზრახვა. მოხუცებმა ქალს სასამართლოს წინაშე სიძვა დასწამეს; როცა მოსთხოვეს, დაწვრილებით აღეწერათ ყველაფერი, რაც ნახეს, მათ ურცხვად განაცხადეს: ვიღაც ჭაბუკთან მწოლს შევუსწარით, მაგრამ ის კაცი გაიქცა და ვეღარ დავეწიეთო. სასამართლომ მათი ნათქვამი დაიჯერა და ქალს სიკვდილი მიუსაჯა. ის იყო, სუსანა დასასჯელად უნდა გაეყვანათ, რომ დანიელიც მოვარდა. იგი აქ ძოიყვანა ღვთიურმა ჩვენებამ*. დანიელი სასოწარკვეთილი ხმით შეევედრა, შეჩერდით, არ დასაჯოთ სუსანა, მას ბრალი არაფერში მიუძღვისო. მსაჯულებმა მას საქმის ხელახალი გამოძიების უფლება მისცეს. დანიელმა ცალ-ცალკე დაკითხა ცილისმწამებლები. გამოირკვა, რომ მათი ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ერთი ირწმუნებოდა — დამნაშავე წყვილი დანამასტაკის ქვეშ დავინახეო, მეორე ამტკიცებდა — მწვანედ შეფოთლილი მუხის ქვეშ შევისწარიო. ნათელი გახდა, რომ ბრალმდებლები ტყუოდნენ.

სამსჯავრომ მათ ჩაქოლვა მიუსაჯა, ღვთისმოსავი ქალი კი გაათავისუფლა.

ნაბუქოდონოსორმა ერთხელ ისეთი ჩვენება ნახა, რომ შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო. მაშინვე იხმო ქალდეველი წინასწარმეტყველები, ჯადოსნები და ულუკნი. ისინი ვერაფერს გახდნენ, რადგან მეფეს სიზმარი დავიწყებოდა. ნაბუქოდონოსორი მოითხოვდა, მისნებს კიდეც გაეხსენებინათ მისთვის ჩვენება და კიდეც აეხსნათ. ქალდეველები უმტკიცებდნენ — ადამიანთა სიზმრები მხოლოდ ღმერთებმა უწყიანო. მეფე განრისხდა და ბრძანა, მის ქვეყანაში ყველა ბრძენი დაეხოცათ. განაჩენი დანიელსაც ეხებოდა. ჯალათები უკვე მის შეპყრობას აპირებდნენ, მაგრამ დანიელმა უთხრა — მეფეს ჩვენებას ავუხსნი, ოღონდ მოსამზადებლად და მოსაფიქრებლად ერთი დღის ვადა მომეცითო. მთელი ღამე ლოცულობდა. ბოლოს და ბოლოს იაჰვემ შეიწყალა და საიდუმლო გაანდო.

მეორე დღეს დანიელი ნაბუქოდონოსორს ეახლა და მოახსენა:

„მეფეო, ჩვენება შენი ესე არს: აჰა ესერა კერპი ერთი, და დიდ იყო იგი ფრიად; და საშინელ იყო ხილვა მისი. თავი მისი — ოქრო წმიდა, მკლავნი და მკერდი მისი — ვეცხლისანი,

მუცელი და ბარკალნი მისნი — რვალისანი, წვიანი მისნი — რკინისანი, ფერსნი—ზოგნი რკინისანი და ზოგნი თიხისანი; და იხილე იგი, ვიდრემდე გარდამოსკდა ლოდი მთით, თვინიერ ხელისა და დაეცა კერპსა მას, ფერხთა მისთა თიხისა და რკინისათა და შემუსრა ყოველი სრულიად; და აღირივნეს რკინა და რვალი, თიხა და ვეცხლი და ოქრო და იქმნეს ვითარცა მტვერი კალოსა ზედა ზაფხულს და წარიტაცა ქარმან... და ლოდი იგი, რომელი დაეცა კერპსა მას, იგი იქმნა მთა დიდ და აღავსო ყოველი ქვეყანა". შემდეგ ტრანსში ჩავარდნილმა დანიელმა ამ უცნაური ჩვენების ახსნა დაიწყო: „შენ ხარ თავი იგი ოქროისა, და შენსა შემდგომად აღდგეს სამეფო სხვა უდარესი შენსა. და მეფობა მესამე, რომელ არს რვალისა, უფლებდეს ყოველსა ქუეყანასა... და მეფობა მეოთხე იყოს ძლიერი, ვითარცა რკინა. და ვითარცა რკინაქან შემუსროს და მტვრად აქციოს ყოველი... და დღეთა მათ მეფობათასა, — განაგრძო დანიელმა, — აღადგინოს ღმერთმან ცათამან მეუფება, რომელი საუკუნეთამდე არა განიხრწნას".

მეფემ ბრძნული სიტყვები მოისმინა, პირქვე დაემხო, იუღეველთა ღმერთს ხოტბა შეასხა და დანიელი დაადგინა მთავრად „ყოველსა ზედა სოფელსა ბაბილონისასა". დანიელმავე გამოსთხოვა მეფეს მისანთა და ულუკთა სიცოცხლე, რომლებიც კინაღამ სიკვდილით ღასაჯეს.

გავიდა რამდენიმე ხანი და მეფემ ბრძანა, რომ დეირის ველზე სამოცი წყრთის სიმაღლის ოქროს კერპი აღემართოთ. შემდეგ შეყარა ყველა მთავარი, ერისთაები და დიდებული და უბრძანა, თაყვანი ეცათ კერპისათვის. ასმაურდნენ საყვირები, სალამურები, ებნები, ბარბითები, ნესტვები და ქნარები. მეფის ქვეშევრდომები პირქვე დაემხნენ და თაყვანი სცეს ოქროს კერპს.

მხოლოდ იუდეველი ჭაბუკები სედრაქი (იგივე ანანია), მისაქი (მისაელი) და აბედნაგო (იგივე აზარია) იდგნენ ქედუხრელად, არ უნდოდათ თაყვანი ეცათ წარმართთა კერპისათვის. მეფემ ბრძანა, ურჩი იუღეველები დაესაჯათ და ანთებულ სახმილში — ღუმელში — შეეყარათ, თანაც იგი შეიდჯერ მეტად გაეხურებინათ. მაგრამ ცეცხლი არ მიკარებია იაპვეს ერთგულ ძიმდევრებს. დასჯილებს მფარველობდა ანგელოზი, რომელიც მათ დასჯის ადგილამდე მიპყვა. სახმილის ცეცხლს უვნებლად გადარჩენილი ჭაბუკები მეფემ მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე დანიშნა და ამიერიდან სიკვდილით დასჯა აღუთქვა ყველას, ვინც იაპვეს აუგად ახსენებდა.

მალე მეფემ მეორე ჩვენება იხილა. მას დაესიზმრა ნაყოფით დახუნძლული ცამდე აშოლტილი ხე. მისი ტოტები დაფარული იყო ფრინველებით, ძირში კი მინდვრის ცხოველები ბინადრობ-

ღნენ. ციდან დაეშვა ანგელოზი, გააპო ხე, გარეკა ფრინველები და ცხოველები, დატოვა მხოლოდ ფესვები, რომლებიც მიწაზე დაამაგრა რკინისა და სპილენძის ბორკილით.

დანიელს სასახლეში უხმეს. მან იოლად ახსნა გასაოცარი სიზმარი: „ხე იგი, რომელ იხილე... შენ ხარ იგი, მეფეო, რამეთუ განსდიდენ და განძლიერდი და ძლიერება შენი განდიდნა და მიიწია ცად; და უფლება შენი — ვიდრე კიდემდე ქვეყანისა. და რომელი იხილა მეფემან ანგელოზი და წმიდა გარდამომავალი ზეცითა, რომელმან თქვა: მოკაფენით რტონი ხესა ამას და ფესვი ხოლო დაშთეს მიწასა შინა... და ესე არს ჩვენება შენი, მეფეო; განგდევნონ კაცთაგან და საყოფელი შენი იქმნეს მხეცთა თანა ველისათა, და თივასა, ვითარცა ზროხასა, გაჭამებდენ შენ... და ჟამი შვიდი გარდახდეს შენ ზედა, ვიდრემდე სცნა, რამეთუ უფლებს ღმერთი მაღალი მეფობასა ზედა კაცთასა და ვისაცა უნდეს, მისცეს იგი“.

ასეც მოხდა. მეფეს გონება წაერთვა. იგი დამცირებული და შეურაცხყოფილი ცხოვრობდა პირუტყვთა შორის, ხარივით ძოვდა ბალახს. შვიდი წელი რომ გავიდა და ჯანმრთელობა დაუბრუნდა, მთავრებმა და დიდებულებმა კვლავ დასვეს ტახტზე. ამიერიდან მან უარყო ყველა ცრუ ღმერთი და ადიდებდა მხოლოდ ზეციურ მეფეს, რომელმაც იგი ამპარტავნებისათვის დასაჯა, დაამცირა და შემდეგ კვლავ აღამაღლა.

ბაბილონის სამეფო ტახტზე ავიდა ბალტასარი. ერთხელ მან სასახლეში დიდი პურობა გამართა და ყველა თავისი დიდებული მოიწვია. ტაბლებზე უხვად იყო სასმელ-საჭმელი. ყველანი, მათ შორის დედოფლები და მეფის ხარჭებიც, დაჯრნენ. ღვინონასვამმა ბალტასარმა ბრძანა სტუმრებისათვის მოერთმიათ იერუსალიმის ტაძრიდან ძველად წამოღებული ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი. ამ დროს გამოჩნდა ხელი, რომელმაც სასახლის კედელზე დაწერა სამი გაუგებარი სიტყვა: „მანე, თეკელ, ფარეზ“. ყველას ენა ჩაუვარდა. მონადიმეებმა საოცარ მოჩვენებას მიაპყრეს თვალები. მეფე გაფითრდა და შიშისაგან კანკალი აუვარდა. სასახლეში კვლავ დანიელი იხმეს. აი, რა უთხრა მან მეფეს: „არა დაიმდაბლე გული შენი წინაშე ღმრთისა და უფლისა ღმრთისა ზეცისა ზედა აღმაღლდი, და ჭურჭელი ტაძრისა მისისა მოიღე წინაშე შენსა. და შენ და მთავარნი შენნი და ხარჭნი შენნი და თანამწოლნი შენნი ბსვეშდით ღვინოსა ჭურჭლითა მით; ამისთვის პირისა მისისაგან მოვლინებულ არს ხელი ესე და დაწერილ არს ესრეთ: მანე — აღრაცხა ღმერთმან მეფობა შენი და აღასრულა იგი; თეკელ — აღიწონა სასწორსა ზედა და იყო იგი დაკლებულ; ფარეზ — განიყო სამეფო შენი და მიეცა უჟიკთა და სპარსთა“.

ბალტასარი მიხვდა, რომ დანიელის პირით ღვთიური სული

ლაპარაკობდა. წინასწარმეტყველი ძოწეულით შემოსა, კისერზე ოქროს მანიაკი დაჰკიდა და დაადგინა „მეხამედ სუფევისა მისისა“ — მესამე მბრძანებლად მის სამეფოში. წინასწარმეტყველება იმავე ღამეს აღსრულდა: ბალტასარი მოკლეს და ბაბილონის ტახტზე ავიდა მიდიელთა მეფე დარიოსი. მან პროვინციებში დანიშნა ას ოცი სატრაპი, მათ უფროსად კი სამი მთავარი დაადგინა. მათ შორის იყო დანიელიც. მეფეს უნდოდა, ძომავალში დანიელისთვის მთელი სამეფოს მართვა მიენდო. შურით აღვსილმა მთავარმა და სატრაპებმა გადაწყვიტეს ჩამოეგდოთ მეფის რჩეული; მაგრამ დანიელი ერთგულად და პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას და მისი ძვირის თქმა მეფისთვის ადვილი როდი იყო. ოღონდ ყველამ იცოდა, რომ დანიელი იაჰვეს სცემდა თაყვანს და გულმოდგინედ იცავდა რელიგიურ წესებს. მტრებმა გადაწყვიტეს, აქედან შეეტანათ მისთვის. მათ შეადგულიანეს დარიოსი. მეფემ გამოსცა ბრძანება და ყველა ქვეშევრდომს აუკრძალა ლოცვა ოცდაათი დღის განმავლობაში. დანიელს არ შეეძლო დამორჩილებოდა მოსეს მცნების საწინააღმდეგო ბრძანებას. აღებდა ხოლმე თავისი სახლის ფანჯრებს იერუსალიმის მხარეს და დღეში სამჯერ აღუვლენდა ლოცვას თავის ღმერთს. მოშურნეთ ეს შენიშნეს და მეფესთან დააბეზღეს. მეფეს ძალიან უყვარდა დანიელი და დიდი გულისტკივილით ბრძანა, მშიერი ლომებისთვის ჩაეგდოთ იგი მთხრებლში — დიდ ორმოში. ამ გადაწყვეტილებამ ისე დაამწუხრა მეფე, რომ ვახშამი არ უჭამია და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით ადრე მივიდა ორმოსთან და მწუხარე ხმით ჩასძახა დანიელს. „დანიელ, მონაო ღმრთისა ცხოველისაო, ღმერთმან, რომელსა ჰმსახურებდი შენ მარადის, არა განგარინა შენ პირისაგან ლომთასა?“ დანიელმა მიუგო: „მეფეო, უკუნისამდე ცხონდი! ღმერთმან ჩემმან მოავლინა ანგელოზი თვისი, რომელმან დახშნა პირნი ლომთანი და არა შეეჭამეს მე, რამეთუ წინაშე მისსა იყო სიწრფელე ჩემი და შენ წინაშეცა, მეფეო, შეცოდება არარა მექმნა“.

გახარებულმა მეფემ ბრძანა, მთხრებლიდან ამოეყვანათ დანიელი და დაებრუნებინათ მისთვის ძველი პატივი და თანამდებობა, ორმოში კი ჩააყრევინა ყველა, ვინც მას დასდო ბრალი. ლომებმა ისინი ასო-ასო დაგლიჯეს და შთანთქეს.

დანიელი კიროსის მეფობასაც მოესწრო. მას პატივს სცემდნენ, როგორც მეფის კარის დიდებულსა და შთაგონებულ წინასწარმეტყველს. დანიელი ჩვენებაში ხედავდა ხოლმე ცაზე გრიგალთა მიმოქროლას, ზღვიდან ამოსულ საოცარ ურჩხულებს და ებრაელ ხალხს უწინასწარმეტყველებდა: მოვა ღვთისგან ცხებული — მესია, — რომელიც ებრაელ ერს იხსნის ტანჯვისაგან და ქვეყნად სამართლიანობას აღადგენს. მესია ალით

გარემოცულ ტახტზე დაბრძანდება და მის ფეხთა ქვეშ ცეცხლის ბდინარე წარედინება, ათასობით მსახური აღასრულებს მის ბრძანებას, მორწმუნენი დაიცავენ საღმრთო წიგნებში ჩაწერილ მცნებებს.

როცა კიროსმა გადმოსახლებულ ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების ნება მისცა, დანიელი უკვე ძალზე მოხუცი იყო და შორი მგზავრობა აღარ შეეძლო. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დარჩა ბაბილონში და, როგორც დიდებული ხელისუფალი, ძვირფას სამეფო აკლდამაში დაკრძალეს*.

ი ო ნ ა. ერთხელ იაჰვემ იონას უბრძანა, ნინეიას წასულიყო და ცოდვილ მკვიდრთათვის ეუწყებინა, რომ მალე დაიღუპებოდნენ. „აღდეგ და წარეედ ნინეედ, ქალაქად დიდად. და ქადაგებდე მას შინა, რამეთუ აღმაღლდა ღაღადება უკეთურებისა მათისა წინაშე ჩემსა“. — უთხრა მას ღმერთმა. მაგრამ წინასწარმეტყველი შეაძრწუნა ამ მისიამ. მან ამაო შრომად მიიჩნია ქადაგება და ერის დარიგება ისეთ ქალაქში, რომელთანაც შედარებით იერუსალიმი უბადრუკი სოფელი ჩანდა. იმის მაგივრად, რომ აღმოსავლეთით წასულიყო, იონა იაფაში ჩაჯდა ხომალდში და გასწია საწინააღმდეგო მიმართულებით — თარშისაკენ. თავისი მსახურის ურჩობით განრისხებულმა იაჰვემ მგზავრებს საშინელი ქარიშხალი ჰოუელინა. გრიგალი ღრიალით ახეთქებდა ხომალდს უზარმაზარ ტალღებს. მეზღვაურები თვალმოუხუჭავად ხაპავდნენ წყალს და შეწყალებას სთხოვდნენ თავის ღმერთებს. იონას კი ამ დროს ღრმა ძილით ეძინა ქვევით. მენავემ გააღვიძა და უთხრა: „რად დაგდებულ ხარ და ხვრინავ? აღდეგ და შეევედრე ღმერთსა შენსა, და გვიხსნას და არა მოვწყდეთ“. შემდეგ კი წილი ყარეს, უნდოდათ გაეგოთ, ვინ იყო ამ უბედურების მიზეზი. კენჭი იონას შეხვდა. მეზღვაურებმა მას მოსთხოვეს: „გვითხარ, ვისთვის არს ბოროტი ესე ჩვენ ზედა?“ იონა გამოტყდა — იაჰვეს ნებას არ დაეშორჩილე და განრისხდაო. აღშფოთებულმა მეზღვაურებმა ჰკითხეს: „რა გიყოთ შენ, და დასცხრეს ზღვა?“ იონამ მდაბლად მოახსენა: „აღმიღეთ მე და შთამაგდეთ ზღვასა და დასცხრეს იგი და არღარა გავნოს თქვენ, რამეთუ მიცნობიეს, რამეთუ ჩემთვის არს ღელვა ესე დიდი თქვენ ზედა“.

მეზღვაურებმა გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ იონა — ამდენი უბედურებისა და უსიამოვნების მიზეზი. ჯერ მოინდომეს ხმელეთზე გადაესვათ და რაც შეეძლოთ, უსვამდნენ ნიჩბებს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიაღწიეს ნაპირს; ბობოქარი ტალღები უკან აბრუნებდნენ ხომალდს. მეტი ვეღარაფერი იღონეს და უიღბლო წინასწარმეტყველი ზღვაში გადააგდეს. იაჰვემ ვეშაპს უბრძანა იონა გადაეყლაპა. იონამ სამი დღე და

ღამე დაჰყო ზღვის ურჩხულის შუცელში, ღმერთს ადიდებდა და უგალობდა, რადგან მან იგი დახრჩობას გადაარჩინა.

ევშაპმა იონა პირიდან გამოაგდო და ხმელეთზე დასვა. წინასწარმეტყველი მაშინვე მორჩილად გაეშურა ნინევიას. აქ იგი განთიადიდან დაღამებამდე დაეხეტებოდა ქუჩებში, ღვთის მცნებას აუწყებდა ქალაქის მკვიდრთ და უწინასწარმეტყველებდა, რომ ორმოც დღეში ღმერთი ნინევიას შემუსრავდა. ასურეთის მეფემ დაიჯერა მისი წინასწარმეტყველება და ცოდვებ ‹ ‹ ‹

დიდაქტიკური ხალხური თქმულებები

ბაბილონის ტყვეობას მოჰყვა პერიოდი, როდესაც იუდეაში, ბაბილონსა და ეგვიპტეში მცხოვრებ ებრაელთა შორის განვითარდა მიდრაშად წოდებულ დიდაქტიკურ თქმულებათა თავისებური ჟანრი. ეს არის შეგონებათა შემცველი მოთხრობები, რომელიც ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რომ მსმენელთა პატრიოტული სულისკვეთება გაეღვიეებინა, ან იმდროინდელი აზროვნებისათვის საყურადღებო იდეები გამოეხატა. ამრიგად, ეს თქმულებები ნამდვილ ფოლკლორს განეკუთვნება. რაბინები ალბათ შეგონებებსა და ბიბლიის კომენტარებში ფართოდ იყენებდნენ ამ ლეგენდებს, რათა მათში წარმოსახულ ალეგორიათა მეშვეობით თავისი ნათქვამი უფრო სარწმუნო გაეხადათ.

როგორც ყოველ ჭეშმარიტად ფოლკლორულ ნაწარმოებში, ამ ლეგენდებშიც ჩანს დაძაბული სიუჟეტი, ცხოველი, დრამატული მოქმედება, სახეთა სიმდიდრე, სინამდვილესა და ფანტაზიას, ცხადსა და სიზმრებს შორის მყარი ზღვრის უქონლობა. მიდრაშები რამდენადმე მოგვაგონებდნენ ცნობილ არაბულ თქმულებას მეზღვაურ სინდბადზე „ათას ერთი ღამის ზღაპრებიდან". აქედან გამოსჭვივის ორიგინალური პოეზიის მომხიბლაობა, მისწრაფება ამქვეყნიური სამართლიანობისაკენ. ეს კია, რომ ებრაული თქმულებები, შექმნილი ღრმა რელიგიური მრწამსის მქონე, თავისი ისტორიის მანძილზე დიდი გაჭირვებისა და მძიმე განსაცდელის მნახველი ხალხის მიერ, შეიცავენ უფრო მნიშვნელოვან ფილოსოფიურ აზრებს, სიცოცხლის, სიკვდილის, უბედურებისა და ბედნიერების, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის მარადიულ პრობლემათა შესახებ.

ამ თქმულებათა ფაბულა ვითარდება პირობით-ისტორიულ ფონზე. მათში მოხსენებულია ჩვენთვის სხვა წყაროებიდან ცნობილი ისტორიული ფაქტები, ქვეყნები, ქალაქები და პიროვნებები. მაგალითად: ქალაქები ნინევია და ბაბილონი, მეფეები: ნაბუქოდონოსორი და ბალტასარი და სხვ. ამ ანონიმურ თხზულებებს ზოგჯერ ისიც ეტყობა, რომ მათ ავტორებს ნამდვილად სცოდნიათ ის ამბავი, რაც, მაგალითად, ბაბილონის

მეფის სასახლეში ხდებოდა. მაგრამ ამ თქმულებებში წარმოსახულ სურათებს მაინც არავითარი კავშირი არა აქვთ რეალურ ისტორიასთან და მათი სიმართლედ მიჩნევა არასგზით არ შეიძლება. მას შემდეგ, რაც მესოპოტამიის მეფეთა საბუთები ამოშიფრეს, ძნელი გახდა დაცვა იმ აზრისა, თითქოს მიდრაში ზუსტ ისტორიულ მონაცემებს შეიცავს. ბიბლიაზე მეტად ტრადიციულ შეხედულებათა მომხრენიც კი დღეს ამ თქმულებებს წმინდა ლიტერატურულ ჟანრს მიაკუთვნებენ.

მაგალითისათვის ავიღოთ იუდითის წიგნი. აქ მოხსენებულია აღმოსავლეთის ხალხთა მჩაგვრელი და ქალაქ ეკბატანის დამაარსებელი მითიური მიდიელი მეფე არტაქსადი. ქალდეის მეფე ნაბუქოდონოსორი მიჩნეულია ასურეთის მბრძანებლად, მეფის რეზიდენციად კი — ნინევია, რომელიც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე განადგურდა. რა თქმა უნდა, სპარსელი ოლოფერნე ვერ იქნებოდა ასურეთის არმიის სარდალი, ერთი სიტყვით, გულუბრყვილობა იქნება იმის მტკიცება, რომ ეს ისტორიული წიგნია.

მიუხედავად ამისა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ წიგნში ნამდვილმა მოვლენებმაც პოვეს გამოძახილი. მკვლევარები ცდილობდნენ, ამოეცნოთ მის ფაბულაში შეფარული ისტორიული მინიშნებები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს წიგნი უნდა მივაკუთვნოთ სპარსეთის მეფის არტაქსერქსე III ოქის ზეობას. ისტორიული საბუთების მიხედვით, მისი მეფობა ძველი წელთაღრიცხვის 359—338 წლებზე მოდის. ისიცაა ცნობილი, რომ მის მთავარსარდალს ერქვა ოლომფორნე და თანაშეძწედ ჰყავდა საჭურისი ბაგოე. იუდითის წიგნში ორივეა ნახსენები.

არტაქსერქსე III სასტიკი და ქედმაღალი კაცი იყო. მისი მეფობის დროს აჯანყდნენ პროვინციათა მმართველი სატრაპები, ეგვიპტეში კი ამბოხებამ იფეთქა. მეფის პირველი ექსპედიცია აჯანყებული ვასალის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა. ეს ამბავი რომ გახმიანდა, აჯანყებულ ეგვიპტეს შეუერთდა ფინიკია, კვიპროსი და სირიის ნაწილი. არტაქსერქსემ, როგორც იქნა, აზიაში წესრიგი დაამყარა და ქანაანზე გავლით ეგვიპტისაკენ გაეშურა. ძველი წელთაღრიცხვის 341 წელს კვლავ დაიმორჩილა იგი და სპარსეთის პროვინციად აქცია.

ეკლესიის ისტორიკოსი ევსევი, რომელიც IV საუკუნეში ცხოვრობდა, ამტკიცებს, რომ ეგვიპტეში ლაშქრობის დროს არტაქსერქსემ ქანაანიდან მრავალი ებრაელი წამოიყვანა და დაასახლა კასპიის ზღვის პირას, ჰირკანიაში. თუ გადასახლება მართლაც მოხდა, იგი უცილობლად დასჯად უნდა მივიჩნიოთ, როგორც ჩანს, ებრაელები საერთო ამბოხებაში მონაწილეობდნენ და ბეთოლის ალყა ამ აჯანყების ერთ-ერთი ეპიზოდია.

ივდითის წიგნი ზეპირი გადმოცემების საფუძველზე დაიწერა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა მაკაბელ მეამბოხეთა ბრძოლის პერიოდში. სელევკიდთა ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ებრაელები ქმნიდნენ ასეთ ლეგენდებს; მათ უნდოდათ ისტორიული მაგალითების საფუძველზე დაემტკიცებინათ, რომ ტრაგიკულ მომენტებში, ისტორიულ გარდატეხათა დროს იაჰვე თავის ერს არ მიატოვებდა. მაშასადამე, ეს თავისებური პროპაგანდისტული ლიტერატურა იყო. მისი დანიშნულება გახლდათ მეამბოხეთა გამხნევება, მათში შეუპოვარი წინააღმდეგობის სულისკვეთების დანერგვა.

ივდითის საქციელი გმირული კი იყო, მაგრამ ზნეობის თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, საეჭვო ჩანდა. ამას ისიც დაერთო, რომ ძველებრაული ორიგინალური ტექსტი დაიკარგა და შემორჩა მხოლოდ თარგმანები ბერძნულ და ლათინურ ენებზე. ამის გამო პალესტინის ებრაელებმა ივდითის წიგნი წმინდა წიგნად არ ცნეს. სამაგიეროდ, კათოლიკურმა ეკლესიამ მიაკუთვნა იგი კანონიკურ თხზულებებსა და ბიბლიაში შეიტანა*.

აღმოსავლური ზღაპრების ჯიპიური ნიმუშია ესთერისა და მარდოქეს თავგადასავალი, რაც მათ სუზაში, სპარსეთის მეფის კარზე გადახდათ. ავტორის დაუოკებელმა ფანტაზიამ წარმოუდგენლად გააზვიადა მის მიერ აღწერილი ყველა ეპიზოდი: მეფის პურობა გაგრძელდა ას ოთხმოც დღეს, სპარსელ გოგონებს თორმეტი თვის განმავლობაში „წმენდდნენ“ ნელსაცხებლებით და მერე მიჰგვრიდნენ მეფეს. ესთერს მთელი ოთხი წლის განმავლობაში ამზადებდნენ საქორწინოდ, სახრჩობელა, რომელზეც ამანი ჩამოახრჩვეს, ორმოცდაათი წყრთის სიმაღლე იყო. ბოლოს, ებრაელები სამოცდათხუთმეტიათას კაცს კლავენ შურისძიების მიზნით.

ამ დრამატულ ამბავში აღწერილი მოქმედება ხდება სპარსეთის მეფის, ბიბლიაში არტაქსერქსედ წოდებული ქსერქსეს (ძვ. წ. 486—465 წწ) დროს. ერთი თავშესაქცევი დეტალიც — მეფის ცოლი ვაშთი ალბათ ისტორიაში პირველი სუფრაჟისტი ქალია, რომელმაც თავისი ურჩობით გვარიანად შეაშფოთა სპარსეთის არისტოკრატი მამაკაცები.

ესთერის წიგნის ავტორი უცნობია, მაგრამ, თუ ძველებრაულ ტექსტში არსებული სპარსული რედაქციული ფენებისა და სამეფო კარის საფუძვლიანი ცოდნის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ეს წიგნი დაუწერია ებრაელს, რომელიც სუზის მკვიდრი იყო და ცხოვრობდა პალესტინაში მაკაბელთა აჯანყების დროს. უცნობ ავტორს ლიტერატურული ტალანტიც ჰქონია. თქმულების სტილი მოქნილია და ხატოვანი, ფაბულა დრამატულია და დაძაბული. გასაოცარია პლასტიკური და კოლორიტული სახეების სიუხვე. შემდგომში სხვა

ავტორებმაც შეიტანეს თავ-თავისი დამატებები პირველად ტექსტში და საბოლოო სახით ეს წიგნი ჩართეს ბიბლიაში.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ავტორს თხრობის ძირითადი ქარგა ნასესხები აქვს ბაბილონური ან სპარსული მითოლოგიიდან, თუმცა ამ მოსაზრების დასამტკიცებლად რაიმე კონკრეტული საბუთი დღემდე არაა ნაპოვნი. ეს მკვლევრები ეყრდნობიან მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტს, რომ სახელი ესთერი უკავშირდება ქალღმერთ იშთარის სახელს, მარდოქე კი ბაბილონის ღმერთის მარდუქისას. გარდა ამისა, ისინი ვარაუდობდნენ, რომ მთელი ისტორია მოგონილია ფურიმის დღესასწაულის წეს-ჩვეულებათა დრამატიზებისათვის. ამ დღესასწაულის წარმოშობა და სახელწოდება დღემდე არაა დამაკმაყოფილებლად ახსნილი.

ძნელია ესთერის წიგნი რელიგიურ ლიტერატურას მივაკუთვნოთ. მასში ღმერთის სახელი მოხსენებულია მხოლოდ ერთხელ, ებრაელთა მტრების ხოცვა-ჟლეტა კი უხეშად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომელთაც ქადაგებდნენ წინასწარმეტყველები: იერემია, ესაია და ეზეკიელი. მიუხედავად ამისა, მღვდლებმა ესთერის წიგნი მიაკუთვნეს ბიბლიის დიდაქტიკურ ტექსტს, რომელიც ქეთუბიმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ თქმულების კითხვა დღემდე ითვლება ფურიმის დღესასწაულის ძირითად ნაწილად. პირველმა ქრისტიანებმა უარყვეს თქმულება ესთერზე, მაგრამ შემდგომ კათოლიკურმა ეკლესიამ ჩართო იგი ბიბლიის კანონიკურ წიგნებში*.

ძველი აღთქმის „ისტორიულ" და დიდაქტიკურ წიგნთა ზღვარზეა აგრეთვე ტობის წიგნი, რომელსაც ასე ეწოდება იმ გმირის გამო, ვისი თავგადასავალიც უჩვეულო მხატვრული სახეებითაა აღწერილი. შესავალში წიგნის ავტორი მკითხველს აცნობს თქმულებისდროინდელ ისტორიულ ვითარებას და აღწერს ასურელი მეფეების სალმანასარისა (უფრო სწორად სარგონისა) და სინაქერიბის გამგებლობას, შემდგომ ასახელებს სპარსულ ქალაქებს რაგას და ეკბატანს. იგი ანგარიშს არ უწევს ქრონოლოგიას და ასი-ორასი წლით დაშორებულ ამბებს აერთიანებს. მოხუცი ტობი შვილს აძლევს რჩევა-დარიგებას, მისი შეგონებები მოგვაგონებს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, რომლის მაგალითებიც მრავლადაა სემიტ ხალხთა ლიტერატურაში. ანგელოზების, სატანისა და არამიწიერ არსებათა რწმენა კი ნასესხებია სპარსული რელიგიიდან. რომელთანაც ებრაელებს ურთიერთობა ჰქონდათ ექსორიის დროს.

ბიბლიური ლიტერატურის უდიდეს შედევრად ითვლება იობის წიგნი. სტილისა და აღწერილ სურათთა სიცხოველე,

მოქმედების დრამატული სიმძაფრე, ფილოსოფიური აზრის სითამამე და გრძნობის მგზნებარება — აი, ამ ნაწარმოების ღირსება. იობის წიგნში შერწყმულია ფილოსოფიური ტრაქტატის, პოემისა და დრამის ელემენტები. ღვთის მოწამის სახელი ყოველგვარი უბედურებისა თუ კატასტროფის გავრცელებულ სინონიმად იქცა.

წიგნი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ჯერ არის პროლოგი პროზად, მას მოსდევს პოეტური დიალოგები და ეპილოგი რომელიც „happy end"-ს* მოგვაგონებს. ტექსტის ლინგვისტური ანალიზის შედეგად გაჩნდა ვარაუდი, რომ ცენტრალური ნაწილი — მეგობართა საუბარი ადამიანის ტანჯვის და მისი არსის შესახებ — უფრო გვიანაა შექმნილი.

• თქმულებამ საბოლოო რედაქცია განიცადა და დღევანდელი სახე მიიღო, როგორც ჩანს, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, ესე იგი, ელინისტურ ეპოქაში.

უცნობმა ავტორმა, ან ებრაელმა კომპილატორმა, შექმნა არა ორიგინალური ნაწარმოები, არამედ შუმერულ ლიტერატურაში უკვე არსებულის ვარიანტი. ეს საოცარი აღმოჩენა ეკუთვნის ამერიკელ აღმოსავლეთმცოდნეს სამოელ კრამერს, რომელმაც დაწერა „ისტორია იწყება შუმერში". ნიფურის ნანგრეევებში აღმოჩენილი ლურსმული ფირფიტების გაშიფრვისას იგი წააწყდა პოემას, რომლის სიუჟეტური გმირი უთუოდ ბიბლიური იობის პირველსახე უნდა იყოს. იგი ყოფილა მდიდარი, ბედნიერი, ბრძენი და სამართლიანი კაცი, რომელსაც დიდი ოჯახი და ბევრი მეგობარი ჰყოლია. მოულოდნელად თავს დაატყდა ყოველგვარი უბედურება — სენი და ტანჯვა, მაგრამ თავის ღმერთს მაინც არ გმობდა და არ კიცხავდა. უბედური განგების ნებას დაემორჩილა და კვნესა-გოდებით ითხოვდა შეწყალებას. მისმა სათნოებამ და ღვთისმოსაობამ ღმერთს გული მოულბო. მან ბოლოს შეიწყალა სნეული და ჯანმრთელობა დაუბრუნა.

ძირითადი იდეისა და ფაბულის მხრივ მსგავსება იმდენად საოცარია, რომ ძნელია დაეჭვდე ამ ორი ვარიანტის საერთო წარმომავლობაში. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ერთმანეთისაგან ჰყოფს რელიგიურ წარმოდგენათა განვითარების ორი თუ სამი ათასწლეული. მართალია, ებრაული თქმულება შუმერულ სიუჟეტს ეყრდნობა, მაგრამ ლიტერატურულად და ფილოსოფიურად იგი მაინც უფრო სრულყოფილია.

იობზე შექმნილ თქმულებაში აღძრული პრობლემა ჩვენ უკვე შეგვხვდა, როცა წინასწარმეტყველებს შევეხეთ. მხედველობაში გვაქვს ადამიანის პასუხისმგებლობის, ტანჯვისა და დანაშაულის ურთიერთობის პრობლემა. მოსეს ხუთ წიგნში ეს საკითხი მარტივადაა გადაწყვეტილი. აქ ლაპარაკია კოლექტი-

ურ პასუხისმგებლობაზე: შეილებმა უნდა ზღონ მაშათა ცოდვა, თუნდაც რომ თვითონ არ მიუძღოდეთ არავითარი ბრალი. მაგრამ ეთიკური მონოთეიზმის თანდათანობით სრულყოფის კვალდაკვალ ფატალური პასუხისმგებლობის ეს იდეა დაუპირისპირდა ღვთიური სამართლიანობის ცნებას. იერემია და ეზეკიელი ქადაგებდნენ, რომ ყოველი ადამიანი თვითონ აგებს პასუხს ღმერთთან თავისი მოქმედებისათვის; ამით ეს წინასწარმეტყველები მოსეს ხუთი წიგნის მთავარი იდეის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. არსებითად, ეს იყო რეფორმაციული ნაბიჯი, რომელიც რელიგიურ აზროვნებაში კოლოსალურ პროგრესს ნიშნავდა. მაგრამ ამ იდეამ არამც თუ გადაჭრა ტანჯვისა და ცოდვის პრობლემები, რომლებიც ადამიანებს აწვალებდა, არამედ უფრო გაართულა ისინი. თუკი ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა აგოს პასუხი თავისი მოქმედებისათვის, მაშ რატომ იტანჯებიან ღვთისმოსავნი, მართალნი და სათნონი? თუ ღმერთი სამართლიანია, რატომ სჯის მათ მათთვის ყველაზე საყვარელ და მახლობელ ადამიანთა სნეულებით, სიღატაკითა და სიკვდილით?

სწორედ ეს საკითხები დგას იობის წიგნში. იობი დიდხანს და ამაოდ ედავება მეგობრებს, ბოლოს საუბარში ჩაერია ახალგაზრდა ელიუ. მან, არსებითად, კაპიტულანტური მოსაზრება გამოთქვა. მისი აზრით, ღმერთი თავის ყველაზე ერთგულ ადამიანებს განსაცდელში იმიტომ აგდებს, რომ მათი ღვთისმოსაობა და სათნოება შეამოწმოს. მას კამათის ყველა მონაწილე ეთანხმება. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ გამოცდის ასეთი მკაცრი მეთოდი ისევე ეწინააღმდეგება სამართლიანობის მცნებას, როგორც უცოდველთა დასჯა ავადმყოფობით, წამებით, სიღატაკითა და ახლობელთა დაკარგვით.

რა თქმა უნდა, ლიტერატურული გამონაგონია დანიელის წიგნიც. ყოვლად დაუჯერებელია მასში აღწერილი სასწაულები, აპოკალიფსური წინასწარმეტყველებანი და ისტორიული რეალიები. თქმულების ავტორები ყოველ ნაბიჯზე აცდენენ ბაბილონისა და სპარსეთის ისტორიის უცოდინარობას. ისინი მიდიის მეფეებს სპარსეთის მეფეებში ურევენ, ისტორიულ სიმართლეს ამახინჯებენ და ქალდეველებს ჯადოქარი ქურუმების კლასად წარმოგვიდგენენ, დანიელს კი „მეცნიერთმთავარს“ უწოდებენ.

განსაკუთრებით ფანტასტიკურია ცნობები თქმულებებში მოხსენებულ მეფეთა შესახებ. ნაბუქოდონოსორი გიგანტური სიმაღლის ოქროს კერპს დგამს და მოითხოვს, რომ ხალხმა თაყვანი სცეს მას. შემდეგ იგი ისრაელის ღმერთის მომხრე ხდება და დაადგენს, რომ სიკვდილით დაისაჯოს ყველა, ვინც ამ ღმერთს აუგად მოიხსენიებს. დარიოსი თავის ქვეშევრდომებს

უბრძანებს, ოცდაათი დღის განმავლობაში არც ერთ ღმერთს არ შესწირონ ლოცვა. როცა დანიელი ლომების მთხრებლიდან ამოვა, ივივე დარიოსი მის სამფლობელოში მყოფ ყველა ერს ავალებს მოსეს სარწმუნოება მიიღონ.

აგზებული სახმილიდან უვნებლად გამოსული სამი ებრაელისა და თვინიერი ლომების მთხრებლში მყოფი დანიელის სახეებში, რა თქმა უნდა, ბევრია ზღაპრული მომხიბლაობა. ეს სიუჟეტები ყოველთვის პოულობდნენ გამოხმაურებას ხალხის ფანტაზიასა თუ მხატვრობაში. ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს სასწაული ხელისა, რომელმაც სანადიმო დარბაზის კედელზე ამოკვეთა საიდუმლოებით მოცული სამი სიტყვა: „მანე, თეკელ, ფარეზ“.

ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა ჯერ კიდევ სამეცნიერო კამათის საგანია. საქმეს ართულებს ის, რომ ძველებრაულ და არამეულ ენებში მხოლოდ თანხმოვნები იწერება, ხმოვნები კი არა. სიტყვის აზრი იცვლება იმისდა მიხედვით, ჩასმულია თუ არა ხმოვანი, ვთქვათ „ა“ ან „ე“ თანხმოვანთა შორის. ამიტომ, ის ახსნა, რომელიც დანიელის წიგნშია გამოთქმული, ცოტად თუ ბევრად სარწმუნოდაა მიჩნეული.

აუარებელი გამონაგონის მიუხედავად, დანიელის თქმულებაში დასახელებულია რამდენიმე ფაქტი, რომელთაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი აქვთ ნამდვილ მოვლენებთან. ასეთია, მაგალითად, ნაბუქოდონოსორის გონების დაკარგვის ამბავი. სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ნაბუქოდონოსორის მემკვიდრე მეფე ნაბონიდი შვიდი წლის განმავლობაში ნამდვილად ყოფილა შეპყრობილი რაღაც ფსიქიური დაავადებით. კიდევ ერთი მაგალითი: ბიბლიაში ძალიან ხშირად დამნაშავეს ანთებულ ღუმელში შეაგდებენ ხოლმე. დიდი ხნის განმავლობაში ამოუხსნელი იყო უცნაური ამბავი მეფე ბალტასარის მიერ დანიელის ქალაქში „მესამე მთავრად“ დანიშვნისა. რაღა მაინცდამაინც მესამე კაცად მიიჩნიეს დანიელი და არა მეორედ? საკითხის ახსნა მხოლოდ არქეოლოგიამ შეძლო. აღმოჩნდა, რომ ნაბონიდის ძე ბალტასარი მამის სიცოცხლეშივე გამხდარა რეგენტი. ამრიგად, ბალტასარი ბაბილონს მართავდა, მაგრამ რაკი მამა ცოცხალი ჰყავდა, იგი სახელმწიფოში მეორე კაცი იყო; ამიტომაც მის მთავარ მინისტრს დანიელს შეეძლო მხოლოდ მესამე ადგილი დაეკავებინა იერარქიაში. ცხადია, ეს დეტალები ვერ გვაფიქრებინებენ, რომ დანიელის წიგნი ნამდვილი ისტორიული თხზულებაა. მაგრამ ისინი ამტკიცებენ, რომ ფაბულა ბაბილონურ გარემოში აღმოცენდა. გავიხსენოთ, რომ დანიელის წიგნი იყოფა ორ ნაწილად და რომ იგი დაწერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორის მიერ. ერთი მათგანია უაღრესად პოპულარული სიუჟეტის მქონე თქმულება,

მეორეა წინასწარმეტყველება, რომელიც აპოკალიფსური გამოცხადების სტილითაა დაწერილი.

იობის წიგნის მსგავსად, დანიელის წიგნსაც უცხოური მითოლოგიური წყაროები აქვს. უგარითის გათხრებისას აღმოჩნდა ძვ. წ. XIV საუკუნით დათარიღებული პოემა. მასში გადმოცემულია ვინმე დანიელისა და მისი ძის აკატის თავგადასავალი. პოემის გმირი არის ბრძენი, მიუკერძოებელი მოსამართლე, ქვრივ-ობოლთა შემწყნარებელი. როგორც ჩანს, ებრაელმა მწერლებმა სწორედ ამ პოემიდან ისესხეს დანიელზე შექმნილი თქმულების იდეა.

მის აპოკალიფსურ ნაწილში ნაწინასწარმეტყველებია ოთხი მომდევნო სამეფოს წარმოქმნა: ბაბილონისა, სპარსეთისა, მიდიისა და საბერძნეთისა. გაკვრითაა ნათქვამი ზოგი რამ იერუსალიმის ტაძრის შებილწვაზე, რაც ანტიოქოს IV ეპიფანეს მეფობის დროს (167 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მოხდა; ეს კი მოწმობს, რომ დანიელის წიგნის საბოლოო ვარიანტი შეიქმნა გვიანდელ ელინისტურ ეპოქაში. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ არამეულ და ძველებრაულ ენაზე დაწერილ ტექსტში უხვადაა მიმობნეული ბერძნული სიტყვები.

ებრაელთა ისტორიაში ეს იყო რელიგიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მძიმე პერიოდი და დანიელის წინასწარმეტყველებას ჩაგრულთათვის მხნეობა და გამარჯვების იმედი უნდა ჩაენერგა. წიგნში აღწერილი მხურვალე პატრიოტიზმით გამსჭვალული ხილვები ებრაელებს უწინასწარმეტყველებდნენ, რომ ქვეყანას მოევლინება ძე კაცისა და მათ უცხოელთა ბატონობისაგან იხსნის. დანიელი ქადაგებს აგრეთვე სასუფევლის დამკვიდრებას დედამიწაზე და მკვდრეთით აღდგომას, როცა ქვეყნის აღსასრულის ჟამი დადგება. მაგრამ ეს მესიანური იდეები მოკლებულნი არიან ვარკვეულ ხასიათს. წინასწარმეტყველება აღსრულდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები ცოდვათაგან განიწმინდებიან და უბიწონი გახდებიან.

როგორც ვხედავთ, დანიელის წიგნი, ისევე როგორც სხვა წინასწარმეტყველებისა და იობის წიგნი, ხაზს უსვამს ადამიანის პირად პასუხისმგებლობას ღმერთის წინაშე. მისმა მესიანურმა იდეებმა უღრმესი გავლენა მოახდინა ადრეულ ქრისტიანობაზე, ხოლო მასში მოხსენებული „ძე კაცისა" იესო ნაზარეველის ზედწოდებად იქცა.

ალეგორიული ხალხური ზღაპრების ამავე ჯგუფს განეკუთვნება იონას წიგნი. წინასწარმეტყველის დაუდგრომელი ცხოვრება, მისი კოლორიტული თავგადასავალი ებრაული ფოლკლორის ტიპიური ნიმუშებია, მაგრამ მკვლევარები ფიქრობენ, რომ ამ თქმულების წყარო უცნობ მესოპოტამიურ მითებშია საძებ-

რი. ზღვის ურჩხული თუ თევზი, რომელმაც იონა ჩაყლაპა, ძალზე ცოცხლად მოგვაგონებს ქაოსის მითიურ ქალღმერთს, თიამათს.

უეჭველია, რომ წიგნი ბაბილონის ტყვეობის შემდეგაა შექმნილი. ბაბილონელი კომენტატორები ცდილობდნენ გაეშიფრათ მისი ვითომდა ალეგორიული აზრი. მათი სიტყვით, ისრაელიტელებს დაეკისრა განსაკუთრებული წინასწარმეტყველური მისია, ამით ღმერთმა ისინი სხვა ხალხთაგან გამოარჩია; მაგრამ ისრაელიტელებმა ვერ აღასრულეს ღმრთის მცნება და ამიტომ, იაჰვეს ბრძანებით, ისინი შთანთქა ურჩხულმა — ნაბუქოდონოსორმა.

ჩვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაინც წიგნის დასკვნითი ნაწილის იდეას აქვს. როცა იონა ნინევიის გადარჩენის გამო განრისხდა, იაჰვემ მას სამართლიანობის თვალსაჩინო მაგალითი უჩვენა. თუკი იონა გამხმარი აყიროს ბედმა შეაწუხა, იაჰვეს რატომ არ უნდა შეეწყალებინა უზარმაზარი ქალაქი, რომელშიც ცოდვილთა გარდა ცხოვრობდნენ მართალი ადამიანები, უდანაშაულო ბავშვები და ცხოველები? აი, როგორ შეიცვალა იაჰვეს შეხედულებები! მოსეს, ისუ ნავესა და მსაჯულთა წიგნებში ხომ სულ სხვაგვარი აზრია გატარებული![1] ესაიას, იერემიას, ეზეკიელის წინასწარმეტყველებსა და დიდაქტიკურ თქმულებებში გამოვლენილი იდეები, რა თქმა უნდა, შემოქმედებით გავლენას მოახდენდა რელიგიურ კონცეფციათა შემდგომ განვითარებაზე. ამ საინტერესო პროცესის მიმდინარეობის გაგებაში დიდად გვეხმარება მკვდარ ზღვასთან მდებარე გამოქვაბულებში აღმოჩენილი გრაგნილები. 1947 წელს თაამირას ტომის ბედუინი მწყემსები შესასვენებლად შეჩერდნენ კლდოვან მიდამოებში აინფეშჰის წყაროს მახლობლად. გზააბნეულ თხის მაძებარმა ბიჭმა მრავალრიცხოვან გამოქვაბულებში ხეტიალისას ერთ-ერთში იპოვა თიხის დიდი ჭურჭლები, რომლებშიც საიდუმლოებით მოცული გრაგნილები ეყარა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ეს გრაგნილები იყო არქაული ძველებრაულით დაწერილი ცხვრის ტყავის გრძელი ნაჭრები.

თავდაპირველად არავის ესმოდა ამ მონაპოვრის ფასი. მეცნიერებს მხოლოდ მაშინ აეხილათ თვალები, როცა გრაგნილების ერთი ნაწილი შეერთებულ შტატებში მოხვდა, მეორე კი — სირიაში, წმინდა მარკოზის მართლმადიდებლურ მონასტერში. უილიამ ფ. ოლბრაითმა ხელნაწერებს უყოყმანოდ უწოდა „ჩვენი საუკუნის უდიდესი აღმოჩენა“.

---

[1] აბრაამის საუბარი ღმერთთან ასეთსავე თემაზე უეჭველად ჩამატებულია გვიან, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ, როცა სამართლიანობის პრობლემა ზედმიწევნით აქტუალური იყო.

მთავარი ისაა, რომ გრაგნილები შეიცავენ ძველი აღთქმის ტექსტს, რომელიც გადაწერილია ძვ. წ. III ან II საუკუნეში. აქამდე ცნობილ ნუსხათა შორის კი ყველაზე ძველი ჩვ. წ. IX საუკუნის ხელნაწერი იყო. ცხადია, რომ გრაგნილებს აქვთ განუზომელი მნიშვნელობა შედარებითი ფილოლოგიური გამოკვლევებისა და ბიბლიის სადავო ფრაგმენტების ახსნა-დადგენისათვის.

გრაგნილებზე ატეხილმა მითქმა-მოთქმამ ბოლოს და ბოლოს არაბეთის უდაბნომდე მიაღწია. ისიც გაიგეს, რომ მათ შესასყიდად ამერიკელებმა უზარმაზარი თანხა გაიღეს — ექვსი გრაგნილი იყიდეს ორას ოთხმოცდაათ ათას დოლარად. მკვდარი ზღვის პირად, უკაცრიელ კლდეებში ხეტიალი დაიწყეს ბედუინებმა, რომელთაც პირწმინდად გადაჩხრიკეს იქაური გამოქვაბულები და ნაპრალები. ამ ძიებას დიდი წარმატება მოჰყვა. ბედუინებმა ოცდახუთ გამოქვაბულში იპოვეს რამდენიმე ასეული გრაგნილი და ათასობით ფრაგმენტი ძველებრაულ, არამეულ და ბერძნულ ენებზე. შემდგომში სისტემატურად ჩატარებულ სამეცნიერო-არქეოლოგიური ექსპედიციების ძიებებს ახალ-ახალი აღმოჩენები მოჰყვა.

ამჟამად იმდენი მასალაა დაგროვილი, რომ, მეცნიერთა აზრით, სულ მცირე, ნახევარი საუკუნე მაინცაა საჭირო ტექსტების წესრიგში მოყვანისა და მეცნიერული დამუშავებისათვის. მაგრამ ახლა უკვე ცნობილია, რომ მათ შორის არის იერემიას წიგნი*, ამბაკუმის წიგნის კომენტარები და აპოკალიფსური ნაწარმოები „ნათლის ძეთა ბრძოლა ბნელის ძეთა წინააღმდეგ“.

რა თქმა უნდა, გაჩნდა საინტერესო კითხვა — როგორ მოხვდნენ ეს წმინდა ტექსტები მკვდარი ზღვის სანაპიროს უკაცრიელ გამოქვაბულებში? 1951 წელს ამ პრობლემაზე მუშაობდა სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც მალე გამოაქვეყნა ძიების შედეგები.

გამოქვაბულთა მახლობლად არის ნანგრევები, რომელსაც არაბები ხირბათ-კუმრანს უწოდებდნენ. ეს ნაგებობები დიდი ხნის განმავლობაში რომაული ციხესიმაგრე ეგონათ. ნაგებობა ოდესღაც ყოფილა თლილი ქვის ბლოკებისაგან აგებულ, პალმის ხის ტოტებით, ლერწმითა და ლამით დახურულ შენობათა კომპლექსი. არქეოლოგებმა ადვილად დაადგინეს, რომ ეს ნანგრევები ადრე წარმოადგენდნენ საცხოვრებელ სახლებს, სახელოსნოებს, რიტუალური დანიშნულების საბანელ აუზებს, საწყობებს და სხვ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო „სკრიპტორიუმად“ წოდებული დარბაზი, სადაც მწერლები საღმრთო წიგნებს იწერდნენ. აქ შემონახულია ქვის მაგიდები, სკამები, და, რაც მთავარია, თიხისა და ბრინჯაოს რამდენიმე

სამელნე, რომლებშიც შემორჩენილია მელნის კვალი. მიწის-ქვეშა საწყობებში, კერამიკულ ნაკეთობათა ნამსხვრევთა შორის, იპოვეს რამდენიმე ისეთივე ცილინდრული მოყვანილობის მთელი ჭურჭელი, როგორშიც გამოქვაბულებში ნაპოვნი გრაგნილები იყო შენახული. ამიტომ უეჭველია, გრაგნილთა მფლობელნიც ამ შენობებში ცხოვრობდნენ.

ამასთან ერთად, ნანგრევებში მრავალად აღმოჩნდა ფულიც. ყველაზე ძველი მონეტა დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის 125 წლით, ყველაზე ახალი კი — ჩვენი წელთაღრიცხვის 68 წლით. ამაევ წელს ხანძარმა გაანადგურა ამჟამად აღმოჩენილი ხირბათ-კუმრანის ნაგებობანი.

არქეოლოგებმა დაასკვნეს, რომ აქ ჰქონდა ბინა ესეველთა ებრაულ სექტას, რომელიც იერუსალიმიდან სინედრიონმა გამოდევნა. ეს ჰიპოთეზა ემყარება არა მარტო სარწმუნო არქეოლოგიურ მონაპოვრებს, არამედ ძველი მოგზაურებისა და ისტორიკოსების თხზულებებში არსებულ ცნობებსაც. ასე მაგალითად, რიმაელი პლინიუს უფროსი მოგვითხრობს — პალესტინაში ყოფნის დროს მკვდარი ზღვის სანაპიროზე ესეველთა დიდი დასახლება ენახეო. ალბათ ეს ის დასახლება იყო, რომლის ნანგრევებიც ხირბათ-კუმრანში აღმოჩნდა. ესეველებზე წერენ აგრეთვე ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი და ფილონ ალექსანდრიელი.

ნანგრევებში ნაპოვნი მონეტა, რომელიც მოჭრილი ყოფილა ჩვენი წელთაღრიცხვის 68 წელს, საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ კუმრანის ბედი. იერუსალიმში ებრაელი ხალხის აჯანყებამ იფეთქა. ამბოხებულთა წინააღმდეგ გაგზავნეს სისასტიკით განთქმული მეათე რომაული ლეგიონი. იერუსალიმის ტაძარი დაწვეს და აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს. ამის შემდეგ ესეველებს თავიანთი ბედის შესახებ არავითარი ილუზიები აღარ ჰქონდათ. ჯარისკაცები ქვეყანას ძარცვავდნენ. საფრთხე თანდათან მოიწევდა ესეველებისაკენ. ამიტომ მათ, უპირველეს ყოვლისა, წიგნების გადარჩენაზე იზრუნეს. ძვირფასი გრაგნილები თიხის ჭურჭლებში ჩააწყვეს და ძნელად მისაგნებ გამოქვაბულში შეაფარეს. ალბათ, იმედი ჰქონდათ, როგორც კი დაცხრება ომი და შფოთი, მაშინვე ხელახლა შეუდგებით ჩვენს საქმესო.

გამოქვაბულში ნაპოვნ საბუთებს შორის ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია ერთი გრაგნილი, რომელიც შეიცავს კუმრანის საზოგადოების საწესჩვეულებო კანონებს, გადმოცემებს, მორალურ მოძღვრებასა და ორგანიზაციულ პრინციპებს. ამ საბუთიდან ვგებულობთ, რომ ესეველები მტკიცედ იცავდნენ ქონებრივ ერთობას. ყოველდღე, მზის ჩასვლისას, სექტის წევრები საზეიმო ტანსაცმელს იცვამდნენ, განიწმინდებოდნენ აუზში და

სხდებოდნენ საერთო სერობაზე, რომელზეც წინამძღვარი პურ-
სა და ღვინოს აკურთხებდა. ესენელები ქადაგებდნენ მოყვასის
სიყვარულს, სიღარიბეს, მოწყალების გაღების აუცილებლობას,
კიცხავდნენ მონობას და სწამდათ, რომ გამოჩნდებოდა ღვთის
მიერ ცხებული დიდი წმინდანი, რომელიც დედამიწაზე შშვი-
დობასა და სამართლიანობას დაამყარებდა.

რატომ გახდა ეს ძველი გრაგნილი დაუსრულებელი დავისა
და კამათის მიზეზი? საქმე ის გახლავთ, რომ ესენელები საოც-
რად ჰგავდნენ პირველ ქრისტიანებს. ამიტომ აღმოსავლეთმცო-
დნეთა ერთმა ჯგუფმა, დიუპონ-სომერის მეთაურობით, გამოთქვა
აზრი, რომ სწორედ ესენელები წარმოადგენენ იმ შემაერთე-
ბელ რგოლს იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის, რომელიც
მეცნიერებაში აქამდე აღმოჩენილი არ ყოფილა.

ბიბლიოგრაფია

პოლონელი მწერლის ზენონ კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებები" საბჭოთა მკითხველმა ათიოდე წლის წინათ გაიცნო რუსული თარგმანის მეშვეობით. ეს წიგნი ჩვენში მეორედაც გამოქვეყნდა და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა.

„ბიბლიური თქმულებები" საინტერესო და თავისებური თხზულებაა. ავტორმა განიზრახა, გაეცნო მკითხველისათვის ძველი აღთქმის შინაარსი და ამასთან ერთად მიეწოდებინა მეცნიერული თვალსაზრისით სანდო ცნობები მის შესახებ.

ზ. კოსიდოვსკი ნამდვილი მეცნიერის თვალით უყურებს ბიბლიას. ბიბლიის შექმნის ისტორიის განხილვისას იგი იყენებს დიდძალ სამეცნიერო ლიტერატურას; მის წიგნში თავმოყრილია და შეჯამებული თანამედროვე და წარსული დროის მკვლევართა მიერ მოპოვებული უმდიდრესი მასალა. ამავე დროს „ბიბლიურ თქმულებებს" სულაც არ ემჩნევა გადატვირთულობა სპეციალური მასალით, იგი დაწერილია სადად და გასაგებად; ავტორის მსუბუქი იუმორი და ნათელი მსჯელობა მკითხველს უადვილებს მისი შინაარსის გაგებასა და აღქმას.

ზ. კოსიდოვსკიმ „ბიბლიურ თქმულებებში" მოინდომა ეჩვენებინა, თუ როგორ აისახა ისტორიული სინამდვილე ებრაულ ბიბლიაში — წიგნში, რომლის ავტორი ხალხია და რომლის შექმნასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას მრავალი საუკუნე დასჭირდა. ზ. კოსიდოვსკი არსად არ წარმოგვიდგენს ბიბლიის ისტორიას გაუბრალოებული სახით: ამ წიგნში ნათლადაა ნაჩვენები, რომ ბიბლიის კვლევა გულისხმობს ურთულესი საკითხების შესწავლას ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა თუ ლიტერატურის სფეროში. ავტორმა გვიჩვენა, რომ წიგნი, ან, უკეთ, წიგნთა კრებული, რომელსაც დღეს „ბიბლიას" ვუწოდებთ, მრავალგზის გადამუშავებულ და გადანასწორებ მასალას შეიცავს, რომ მასში მრავალი განსხვავებული რელიგიური თუ იდეოლოგიური კონცეფციის კვალი ჩანს; ამ წიგნის მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ბიბლიაში შეტანილია ზოგიერთი უძველესი, კაცობრიობის ჩვენთვის ცნობილი ისტორიის დასაწყისში შექმნილი მითი და მასთან ერთად — საუკუნეთა განმავლობაში შეცვლილი და გადაკეთებული თხრობა ნამდვილად მომხდარი ამბების შესახებ; პოლონელმა ავტორმა ისიც თვალნათლივ გვაჩვენა, რომ ბიბლიაში აწერილი ამბების გადმოცე-

ნაში არსებული უთვალავი შეუსაბამობა, აშკარა შინაარსეული წინააღმდეგობა და ანაქრონიზმი მოულოდნელი და გასაკვირვალი არაა; რომ ბიბლიის გმირთა მსჯელობა და მოქმედება — თანამედროვე ადამიანის თვალსაზრისით ზოგჯერ მიამიტი და გულუბრყვილო, ზოგჯერ კი უზნეოცა და სასტიკიც, დღევანდელი მორალის ნორმების მიხედვით მიუღებელი — შეესაბამება იმდროინდელ ისტორიულ პირობებს და მაშინდელ ადამიანთა მსოფლმხედველობას. მოკლედ რომ მოვჭრათ, ზ. კოსიდოვსკის წიგნი არის ნაშრომი მწერლისა და მეცნიერისა, რომელმაც ბიბლიაზე მსჯელობისას შეძლო ძირითადად სწორად გაეგნო გზა ბრმა რწმენის სცილასა და იაფფასიანი ნიჰილიზმის ქარიბდას შორის.

ზ. კოსიდოვსკის წიგნში ზოგი დებულება სადავოა; ზოგიერთი ცნობა შეიძლება მოძველებულიც იყოს: ბოლო ხანებში ისტორიული და არქეოლოგიური ძიება მახლობელ აღმოსავლეთში ძალიან ინტენსიურია, ამიტომ განუწყვეტლივ მატულობს ახალი მასალა — ზოგჯერ გასაოცარი და მოულოდნელი. ეს გარემოება სულაც არ ამცირებს „ბიბლიურ თქმულებათა" ღირებულებას; უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ბიბლიის შედგენილობისა და ისტორიის ვრცლად გადმოცემა ერთ წიგნში შეუძლებელია. ზ. კოსიდოვსკიმ თავისი წიგნი მთლიანად მოანდომა ბიბლიის ერთ ნაწილს — ძველ აღთქმას, რომელიც ძველ ებრაულ ენაზეა დაწერილი. „ბიბლიურ თქმულებებში" გაცნილული არ არის ბიბლიის მეორე, პირველთან შედარებით გვიანდელი ნაწილი — ახალი აღთქმა, რომელშიც აღწერილია ძირითადად იესო ქრისტეს და მის მოწაფეთა ცხოვრება და მოღვაწეობა. ახალი აღთქმა ებრაულ ბიბლიაში არ არის.

ძველი აღთქმის სხვადასხვა ნაწილსაც თანაბარი ყურადღება არ ექცევა ამ წიგნში. „ბიბლიურ თქმულებათა" ავტორი ძალიან დაწერილებით გადმოსცემს და აჩრევს ძველი აღთქმის ზოგ წიგნს, მაგალითად, „დაბადებას" ანუ „შესაქმეს", „გამოსვლათა", „მსაჯულთა", „ისუ ნავეს" წიგნებს. სხვებს იგი ნაკლებ ადგილს უთმობს, ზოგს კი ორიოდე სიტყვით ახსენებს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ზ. კოსიდოვსკიმ — ნებით თუ უნებლიეთ — თავისი წიგნის ძირითადი ნაწილი მოანდომა ბიბლიის კვლევას ისტორიული თვალსაზრისით; ავტორმა დეტალურად განიხილა ძველი აღთქმის ცალკეული ნაწილები იმის გასარკვევად, თუ როგორ არის ნაჩვენები ბიბლიურ წიგნებში ებრაელი ხალხის ნამდვილი ისტორია. „ბიბლიურ თქმულებებში" ნაკლებია თქმული ბიბლიაზე — ლიტერატურულ ნაწარმოებზე. იქნებ ამიტომაა, რომ პოლონელი ავტორის თხზულებაში ფსალმუნს — ებრაული და მსოფლიო პოეზიის შედევრს — ძალზე ცოტა ადგილი აქვს დათმობილი; თითქმის სულ არაფერია ნათქვამი ე. წ. „სიბრძნის ლიტერატურაზე", თუმცა ეს ჟანრი მახლობელ აღმოსავლეთში ძალზე პოპულარული იყო ძველად; გარდა ამისა, მსოლოდ გაკვრით არის ნახსენები ებრაული ბიბლიური ტექსტის თანდათანობითი ჩამოყალიბებისა და რედაქტირების ისტორია. მისი ცოდნა კი აუცილებელია, თუ გვსურს სწორი წარმოდგენა გვქონდეს ებრაული ბიბლიისა და მისი თარგმანების შესახებ.

მიუხედავად ამისა, ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებები" უთუოდ საყურადღებო წიგნია. დიდძალი მეცნიერული ინფორმაციის შემცველი, ცოცხალი და ხატოვანი ენით დაწერილი წიგნი უკვე დიდი ხანია გაიცნო და შეითვისა მკითხველმა საზოგადოებამ.

ჩვენს დროში ძალზე დიდია ინტერესი ძველი სამყაროსადმი. კოსმოსისა და ატომის ეპოქაში პარადოქსალურად არ უნდა გვეჩვენოს სურვილი გარდასულ ჟამთა საიდუმლოების ამოხსნისა, წარსულ ცივილიზაციათა და მკვდარ ენებზე არსებულ ლიტერატურათა შესწავლისა. პირველყოფილი ადამიანის კაჟის იარაღის, ფერფლით დაფარულ ნაქალაქართა თუ უცნობ დამწერლობათა კვლევას დღეს თავისი ადგილი უჭირავს თანამედროვე მეცნიერების აქტუალურ პრობლემათა შორის. ამას ისიც მოწმობს, რომ ბოლო ხანებში დაიწერა და გავრცელდა მრავალი წიგნი, რომლებშიც მოთხრობილია ისტორია მსგავსი კვლევისა და აღმოჩენებისა; მკითხველის წიგნის თაროზე, ხელოვანთა, ხსატვართა და მუსიკოსთა ბიოგრაფიებთან ერთად, გამოჩნდა სხვა წიგნებიც: მათი გმირები არიან მეცნიერები — არქეოლოგები, ანთროპოლოგები, ლინგვისტები... ამგვარი ლიტერატურის მიწოდება ქართველი მკითხველისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, დროულია და მიზანშეწონილი. ქართულად უკვე დაიბეჭდა რამდენიმე ასეთი წიგნი: კ. კერამის „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები" (თარგმნა ლ. ჯანაშიამ), ფრანგი მწერლის ლეო ტაქსილის „სახალისო ბიბლია" და „სახალისო სახარება" (ორივე ნათარგმნია ა. გელოვანის მიერ) და სხვა. ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიურ თქმულებათა" ქართული თარგმანის გამოქვეყნება ამ უკვე ჩამოყალიბებული კარგი ტრადიციის განგრძობას ნიშნავს. ზ. კოსიდოვსკის თხზულება რამდენიმე წლის წინათ თარგმნა აწ განსვენებულმა ფილიპე ბერიძემ: სამწუხაროდ, მთარგმნელი „ბიბლიურ თქმულებათა" დაბეჭდვას ვერ მოესწრო. უეჭველია, რომ ეს წიგნიც საინტერესო იქნება ქართველი ახალგაზრდობისათვის და ბევრს ახალს შესძენს მათ.

ზ. კოსიდოვსკის წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ ძველ აღთქმაში მოთხრობილი ამბები სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება. ბუნებრივია, რომ მათი ჩაწერა და ლიტერატურული დამუშავებაც სხვადასხვა დროს ხდებოდა. ძველი აღთქმა არის ძალზე რთული ისტორიის მქონე ლიტერატურული ძეგლი. მასში შემავალი ნაწარმოებები, რომლებიც სულ სხვადასხვა ხასიათისაა, იქმნებოდა ერთი ათასწლეულის განმავლობაში. ლინგვისტური და ისტორიული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ებრაული ძველი აღთქმის უძველესი ნაწილია დებორას საგალობელი, რომელიც მსაჯულთა წიგნის ტექსტშია შეტანილი. ეს საგალობელი დაწერილია ძვ. წელთაღრიცხვის XIII — XII საუკუნეებში. ხოლო დანიელის წიგნი შექმნილია გვიან, ელინისტურ ეპოქაში. ცნობილია (ამ ფაქტს ზ. კოსიდოვსკიც ახსენებს), რომ დანიელის წიგნში მინიშნებულია რეალური ისტორიული ფაქტები, რომელთა მიხედვით წიგნის დაწერა უნდა ვივარაუდოთ ძვ. წ. 167 წლის მახლობელ ხანაში. უნდა

შეენიშნოთ ისიც, რომ დანიელის წიგნში ტექსტის ნაწილი დაწერილია არა ძველ ებრაულ ენაზე, არამედ არამეულზე, ენაზე, რომელიც ებრაელებმა შეითვისეს გვიან, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ.

შინაარსობრივად განსხვავებული და სხვადასხვა დროს შექმნილი მრავალი თხზულების ერთ წიგნად გაერთიანებას დიდი დრო დასჭირდა. ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში ეზრამ, რომელმაც მრავალი რელიგიური და პოლიტიკური რეფორმა ჩაატარა, ხელი მოჰკიდა ბიბლიური წიგნების რედაქტირებას. მან შეკრიბა, გაასწორა და ერთ კრებულში მოაქცია ძველი აღთქმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი — მოსეს ხუთი წიგნი ანუ ხუმაში (თორა). მოსეს ხუთწიგნეული წარმოადგენს ებრაული კანონიკური ძველი აღთქმის ტექსტის პირველ ბირთეს. ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში, ხუთწიგნეულის გარდა, ცნობილი იყო მეორე ბიბლიური კრებულიც — წინასწარმეტყველთა წიგნები. ძვ. წელთაღრიცხვის IV — III საუკუნეებში ძველი აღთქმის შედგენილობას თანდათანობით შეემატა სხვა ნაწილებიც, რომლებიც ძველი აღთქმის კანონიკურ ტექსტშია შეტანილი (ეკლესიასტე, იგავნი, ცალკეული ფსალმუნები და სხვა). სინედრიონის რაბინთა კრება იამნიაში (ახ. წ. 90—100 წ. წ.) წარმოადგენდა შემდგომ ეტაპს ებრაული ბიბლიის ჩამოყალიბებისას. ამ კრებაზე, რომელსაც რაბი აკიბა მეთაურობდა, დავა იყო ისეთი წიგნების ბიბლიის შემადგენლობაში შეტანაზე, როგორიცაა ქებათა ქება, ეკლესიასტე, ივდითის წიგნი, სიბრძნე სოლომონისი და სხვა.

იამნიის კრებამ ებრაული ბიბლიის შემადგენლობა და ტექსტის ხასიათი საბოლოოდ ვერ დაადგინა და ებრაულ ბიბლიას ერთიანი სახე ვერ მისცა. ხუთი თუ ექვსი საუკუნის განმავლობაში ბიბლიის წიგნები განსხვავებულ ტრადიციას მისდევდნენ. ერთი და იგივე წიგნები სხვადასხვა მოცულობისა იყო, ზოგი უფრო მოკლე, ზოგი ვრცელი. მათი შინაარსიც ზოგჯერ მეტნაკლებად განსხვავებული იყო.

საბოლოო რედაქცია ებრაული ბიბლიური ტექსტისა მოხდა ჩვ. წ. VII — IX საუკუნეებში. ებრაელმა რედაქტორებმა განსაზღვრეს ბიბლიის კანონიკურ ტექსტში შემავალი წიგნების რაოდენობა, მოცულობა, თანმიმდევრობა, დანაწილება (თავებად და მუხლებად დაყოფა) და მისცეს ებრაულ ბიბლიას ის საბოლოო სახე, რომლითაც ჩვენ მას ამჟამად ვიცნობთ. ამ ტექსტს მასორეთულს უწოდებენ (მასორა, როგორც ვარაუდობენ, ებრაულად „ტრადიციას", „გადმოცემას" ნიშნავს). რედაქტორებმა, რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეწეოდნენ მუშაობას ებრაული ბიბლიის ტექსტზე, საბოლოოდ გასაოცარ შედეგს მიაღწიეს. მათ შეიმუშავეს ერთიანი ტექსტი, რომელშიც თითქმის არ არის განსხვავებული ადგილები და ვარიანტები. აი ეს ერთიანი, მთლიანი, დადგენილი ტექსტი ებრაული ბიბლიისა — მასორეთული ტექსტი არის ის, რაც ჩვეულებრივ მიაჩნიათ „ებრაულ დედნად". მაგრამ, როგორც დავინახეთ, მასორეთული ტექსტი თვითონ არის გვიან ჩამოყალიბებული. მასორეთული ბიბლიის დღეს ცნობილი ხელნაწერებიც გვიანდელია. ყველაზე ადრეული 895 წ. არის გადაწერილი. (ინახება

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში). აღსანიშნავია, რომ ორი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი მასორეთული ბიბლიისა დაცულია საბჭოთა კავშირში, ლენინგრადში (გადაწერილი 916 და 1008 წ.). საქართველოშიც მოიპოვება საყურადღებო ნუსხა მასორეთული ტექსტისა. ეს არის ე. წ. „ლაილაშის ბიბლია", ჩამოტანილი ლეჩხუმიდან. სოფ. ლაილაშიდან; იგი ინახება თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში; აკად. გ. წერეთელმა, სემიტური ენების სპეციალისტმა, იგი X — XI საუკუნეებით დაათარიღა.

მასორეთების მიერ ჩატარებულ მუშაობაში საგანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება ტექსტის გახმოვნებას. ადრე ბიბლიის ტექსტები იყო კონსონანტური ანუ თანხმოვნური: სიტყვებს არ წერდნენ მთლიანად — იწერებოდა მხოლოდ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები გამოტოვებული იყო. ასეთი სისტემა დაწერილობისა გვხვდება ყველა სემიტურ ენაში: ხმოვანთა ნიშნები მოგვიანებითაა შემოღებული და დღესაც არ ითვლება სავალდებულოდ ყველგან მათი გამოყენება; მაგალითად, დღესაც ჩვეულებრივია „თანხმოვნური" დაწერილობა არაბულში.

მასორეთული ტექსტის რედაქტორებმა ტექსტში აღნიშნეს ხმოვნები, პუნქტუაცია და მახვილები; ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა. ტექსტის გასმოვნება გახდა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მისი უნიფიკაციისა; ამის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო ერთი და იმავე თანსმოვნური ტექსტის სხვადასხვაგვარად წაკითხვა[1] და გაგება, რაც ადრე ხშირად ხდებოდა: ამას მოწმობს ბიბლიის თარგმანი, პირველ რიგში ბერძნული სეპტუაგინტა.

მასორეთული ტექსტის გავრცელებამ გამოიწვია ყველა უფრო ადრეული ხელნაწერის ხმარებიდან გამოსვლა; არ არის გამორიცხული აგრეთვე შესაძლებლობა, რომ მათ შეგნებულად სპობდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1949 წ. კუმრანის ხელნაწერთა აღმოჩენამ მეცნიერთა შორის დიდი სენსაცია გამოიწვია. არაბმა მწყემსმა ბიჭმა შემთხვევით მიაგნო რამდენიმე ხელნაწერს; ამას მრავალი სამეცნიერო ექსპედიცია მოჰყვა და მკვდარი ზღვის სანაპიროზე, ხრიოკ უდაბნოში, კლდოვან გამოქვაბულებში აღმოჩნდა ექვსასამდე სხვადასხვა წიგნის ათეული ათასობით ფრაგმენტი. არქეოლოგებისა, რესტავრატორებისა, ისტორი-

---

[1] საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი ქართული მაგალითი მოვიყვანოთ: სრ თანხმოვნები შეიძლება „გავახმოვნოთ" და წავიკითხოთ, როგორც ისარი (სახ. ბრ.) და ისარო (წოდ. ბრ.) სემიტურ ენებში სიტყვის თანხმოვნური ნაწილი (მას „ძირს" უწოდებენ) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მაჩვენებელია; ხოლო გრამატიკული მაწარმოებლები მეტწილად ხმოვნითაა ნაჩვენები. ერთი ძირის სხვადასხვაგვარმა გახმოვნებამ შესაძლოა ზმნაც მოგვცეს, მსგავსი მნიშვნელობის სახელიც. გარდა ამისა, სხვადასხვაგვარი გახმოვნება სემიტურ ენებში ზოგჯერ სრულიად განსხვავებულ ლექსიკურ მნიშვნელობებსაც იძლევა (შდრ. ქართული სრა, სარი, სერი, სარო, სორო, სურა, სურო სეირი და სხვ.)

კოსთა და ენათმეცნიერთა ინტენსიური მუშაობის შედეგად მრავალი მათგანი შეერთებულია, წაკითხული, შესწავლილი და გამოცემული. ამ ხელნაწერთა შორის ებრაული ბიბლიური ტექსტებიც არის (უძველესი მათგანის თარიღია ძვ. წ. III ს.) და მათი მნიშვნელობა ბიბლიის ისტორიისათვის ძალიან დიდია (კუმრანის ხელნაწერებში ნაპოვნია ყველა ბიბლიური წიგნის ფრაგმენტები, გარდა ესთერისა). დადასტურდა ვარაუდი, რომ მასორეთული ტექსტის ცალკეული ნაწილები ზოგჯერ ძალზე განსხვავებული უნდა ყოფილიყო ადრეულისაგან. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ფსალმუნთა წიგნი მასორეთულ ბიბლიაში შეიცავს 150 ფსალმუნს. ხოლო კუმრანში აღმოჩენილ „ფსალმუნთა გრაგნილში" არის რამდენიმე ფსალმუნი, რომელიც არ არის მასორეთულ ტექსტში და მოიპოვება ბერძნულ და სირიულ თარგმანებში; ამათ გარდა, „ფსალმუნთა გრაგნილში" არის აქამდე სრულიად უცნობი ფსალმუნებიც; კუმრანის ხელნაწერში განსხვავებულია ფსალმუნთა რიგიც, რომელიც მასორეთულს არ მისდევს. „ფსალმუნთა გრაგნილი", ისევე როგორც ზკვდარი ზღვის ყველა ებრაული ხელნაწერი, გაუხმოვნებელია.

ებრაული ბიბლიისა თუ მისი ცალკეული ნაწილების თარგმნა სხვა ენებზე ძალიან ადრე დაუწყიათ. ყველაზე ძველი თარგმანთა შორის არის ბერძნული, რომელიც ცნობილია სეპტუაგინტას სახელწოდებით. მისი უძველესი ნაწილი (მოსეს ხუთი წიგნი) ნათარგმნია ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში, ეგვიპტეში, იქ დამკვიდრებული ებრაული კოლონიისათვის, რომლის წევრებს თითქმის დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ენა. არსებობს ლეგენდა, თითქოს ეს თარგმანი შეუსრულებია სამოცდათორმეტ ბრძენს; მთარგმნელები შერჩეული ყოფილან ისრაელის თორმეტი ტომიდან, თითოეულიდან ექვს-ექვსი. სახელწოდება „სეპტუაგინტა" ლათინურად „სამოცდაათს" ნიშნავს (ზოგიერთი გადმოცემით, მთარგმნელი ამდენი ყოფილა).

სეპტუაგინტა ნათარგმნია მასორეთული ტექსტის წინადროინდელი დედნებიდან და ზოგ შემთხვევაში საკმაოდ განსხვავდება მასორეთული ებრაული ბიბლიისაგან. მაგალითად, იერემიას წიგნი სეპტუაგინტაში უფრო მოკლეა, ვიდრე მასორეთულ ბიბლიაში, დაახლოებით მერვედი ნაწილით, თავების თანმიმდევრობაც სხვაგვარია. ფსალმუნთა წიგნში მეცხრე ფსალმუნის შემდეგ ბერძნულის ნუმერაცია მასორეთულისას ერთით ჩამორჩება, რადგან სეპტუაგინტას ებრაულ დედანში მეცხრე და მეათე ფსალმუნების ტექსტი გაერთიანებული იყო. სეპტუაგინტის თარგმანი ცალკეულ შემთხვევებში შინაარსობრივადაც განსხვავებულია; ეს სხვაობა ზოგჯერ იმის შედეგია, რომ მთარგმნელებს მასორეთულისაგან განსხვავებული ებრაული დედანი ჰქონდათ ხელთ; ხან კი მათ დედანი ვერ გაუგიათ და ტექსტი შეცდომით უთარგმნიათ; ასეთი შეცდომების მიზეზი ხშირად სწორედ ებრაული უხმოვნო ტექსტი იყო: მაგალითად, ებრაული უხმოვნო ტექსტის ח ל ב, რომელიც ფს. 118,70 გვხვდება და „ქონს" ნიშნავს (ებრ. ხელებ), მთარგმნელებმა გაიგეს როგორც „რძე" (ხალაბ) და ასეც თარგმნეს.

სეპტუაგინტა ადრექრისტიანულ სამყაროში მეტად გავრცელებული იყო. აქედან მომდინარეობს მრავალი სხვა თარგმანი; მის მიხედვით არის გასწორებული აგრეთვე ზოგი სხვაც, მათ შორის უშუალოდ ებრაულიდან შესრულებულიც.

საქართველოში, უძველესი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაში, ბიბლიის თარგმანებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენში ბიბლიის ცალკეული ნაწილების თარგმნა დაუწყიათ ძალიან ადრე, IV — V საუკუნეებში. ივარაუდება, რომ ყველაზე ადრე ნათარგმნი უნდა იყოს ფსალმუნი (ძველი აღთქმიდან) და სახარება (ახალი აღთქმიდან). უძველეს ქართულ ტექსტებში, რომლებიც V—VI საუკუნეებშია დაწერილი, შემორჩენილია სახარების სხვადასხვა ნაწყვეტებიც. მაგალითად: „ეითარცა სუსმა ესე, გამოვიდეს და ხიელტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეძრწუნებულ სიყვნეს და დაკჳრვებულ. და არარაჲ ვის სუთსრეს, რამეთუ ხეშინოდა" (მარკოზ 16,8). ასეთ ტექსტებს „სანმეტს" უწოდებენ: ეს ტერმინი ნახსენები აქვს XI საუკუნის ცნობილ მთარგმნელს გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც სახარება ხელახლა თარგმნა და „ანდერძში" (ბოლოსიტყვაობაში) ითხოვა: ჩემს თარგმანში სსეიისას ნუ გაურევთ გადაწერისას და, თუ ჩემი არ მოგწონთ, ხანმეტი ან საბაწმინდური გადაწერეთო. „ხანმეტს" გიორგი იმიტომ ეძახის ამ უძველეს თარგმანებს, რომ იქ ზმნებში იხმარება (გარკვეულ გრამატიკულ ნიშნად) ხ, რომელიც გიორგის დროს (და უფრო ადრეც, უკვე VIII საუკუნეში) ენაში გამქრალი იყო (დღეს იგი შემორჩენილია მხოლოდ ხარ და სვალ (წახვალ, მოხვალ) ზმნებში. ხანმეტი ტექსტები, უკეთ რომ ვთქვათ, მათი ფრაგმენტები დღესაც საკმაოდ მრავლად გვაქვს შემორჩენილი; ბევრი მათგანი ჯერჯერობით შეუსწავლელია, მაგრამ ახლაც შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაში სანმეტობის არსებობის დროს, მაშასადამე, V — VII საუკუნეებში ქართულად ნათარგმნი უნდა ყოფილიყო მთელი ბიბლია — როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმა, რადგან ამ პერიოდის ხელნაწერებში მრავალი სხვადასხვა ბიბლიური წიგნის ფრაგმენტები მოიძევება.

უფრო მოგვიანებით, IX—X საუკუნეებში, ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ხელნაწერები მატულობს. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი ახალი აღთქმისა — ადიშის დიდებული ოთხთავი გადაწერილია 897 წელს, იგი წარმოშობით სამხრეთ საქართველოს განეკუთვნება. გადაიწერა შატბერდში, მაგრამ დიდხანს ინახებოდა სვანეთში, სოფელ პადიშში, და სახელიც იქიდან აქვს შერქმეული (ამჟამად ადიშის ოთხთავი მესტიის მუზეუმშია). X საუკუნეშია გადაწერილი კიდევ სხვა რამდენიმე ოთხთავი (ჯრუჭისა 936 წ., პარხლისა 973 წ. და სხვა).

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ძველი აღთქმის უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელსაც ოშკის (ზოგჯერ ათონის) ბიბლიას ეძახიან. სახელოვანმა მხედართმთავარმა, ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელმა იოვანე თორნიკ-ყოფილმა იგი 978 წელს გადააწერინა ოშკში (სამხრეთ საქართველოში) და შესწირა საბერძნეთში, ათონის

მთაზე ახლად დაარსებულ ქართველთა მონასტერს: ამ ხელნაწერის ერთ-ერთი ანდერძი გვაუწყებს: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა. შინ, დიდსა ოშკს... მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან, ძემან სულკურთ-ხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი... დაიწერა. წმიდაჲ ესე წიგნი ჴელითა სამთა მწერალითაჲთა; მიქაელისითა, გეორ-გისითა და სტეფანესითა... ოდეს ესე წიგნი დაიწერა, ქრონიკონი იყო რჟᲗ (ქრონიკონი რჟᲗ ანუ 298=978 წ.) ეს უძვირფასესი ხელნაწერი, რომელიც თავის დროზე სამი უზარმაზარი წიგნისაგან შედგებოდა და შეიცავდა მთლიან ძველ აღთქმას (ფსალმუნის, ნეშტთა და მაკაბელთა წიგნების გარდა) დღესაც ათონის მთაზე ინახება, ოღონდ ძალზე ნაკ-ლული და დაზიანებული. ოშკის ბიბლია საქართველოში ცოტა ხნით ჩამოიტანეს XIX საუკუნეში და ხელით გადაწერეს მისი რამდენიმე პირი, ამჟამად კი მოგვეპოვება ამ დიდებული ქართული ხელნაწერის ფოტოპირიც.

ათონის ქართველთა მონასტერში X საუკუნეში ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა მიმდინარეობდა. ათონელებმა მოინდომეს მრავალი ძველი ქართული თარგმანის ახლით შეცვლა. რადგან ძველი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ მოსაწონად აღარ მიაჩნდათ. ათონელ მოღვაწეებს მთელი ბიბლია არ უთარგმნიათ, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილების თარგმანი კი შეუსრულებიათ. ექვთიმე ათონელს უთარგმნია ფსალმუნი (დავითნი) და ახალი აღთქმის ორი ნაწილი — სახარება — ოთხთავი და იოანეს გამოცხადება (აპოკალიფსი). ექვთიმეს თარგმანები, რაღაც მიზეზთა გამო, არ გავრცელებულა და სულ მალე ექვთიმეს შემდეგ გიორგი მთაწმიდელს მოუკიდებია ხელი იმავე საქმისათვის; გიორგის ხელახლა უთარგმნია ფსალმუნი და ახალი აღთქმა. გიორგი თავის მუშაობას თვითონვე უწოდებს თარგმანს, მაგრამ დღევანდელი თვალსაზრისით მისი ნამუშევარი დამოუკიდებელი, ახალი თარგმანი არ არის: გიორგი იღებდა ძველ ტექსტს და ნაწილობრივ ასწორებდა მას, ასე რომ იგი ამ შემთხვევაში რედაქტორი უფროა, ვიდრე მთარგმნელი. XII საუკუნეშიც უცდიათ ქართული ბიბლიის ხელახლა თარგმნა თუ გასწორება. ამ დროისაა ე. წ. „გელათის ბიბლია", რომელშიც შემორ-ჩენილია ძველი აღთქმის წიგნების ნაწილი. „გელათის ბიბლია" თავი-სი ტექსტის მიხედვით საკმაოდ განსხვავდება ათონური ხელნაწერისაგან.

საქართველოს თავზე დატეხილ ისტორიულ ძნელბედობას XIII საუკუნეში მრავალი სავალალო შედეგი მოჰყვა. XIII — XVIს-ში მრავალი უძველესი ძეგლი ქართული მწერლობისა განადგურდა. XVII საუკუნისა-თვის, როგორც ჩანს, ქართველებს აღარ მოუპოვებოდათ ბიბლიის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული და გავრცელებული ტრადიციული ტექსტი. ამიტომაც იყო, რომ დიდი მწერალი და მეცნიერი, ქართული ლექსიკო-ნის — „სიტყვის კონის" ავტორი, სულხან-საბა ორბელიანი, ხელახლა შესდგომია ბიბლიის წიგნებზე მუშაობას. მას შეუკრებია ის წიგნები, რომლებზედაც ხელი მიუწვდებოდა, დაუყვია ისინი თავებად და მუხლ-ბად და ზოგი რამ, შესაძლოა, გაუსწორებია კიდევაც. საბას ვერ

დაუმთავრებია ეს შრომა: მისი ნარედაქციევი ტექსტის ერთადერთი დღემდე შენახული ცალი, ე. წ. „მცხეთის ბიბლია" სრული არაა. მასში ძველი აღთქმის ყველა წიგნი არაა შეტანილი (იგი ინახება თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში). აქა-იქ ტექსტში ცარიელი ადგილებია დატოვებული, ეტყობა, ნავარაუდევი იყო მათი შემდგომ შევსება. საბას ამ საქმეში მოწინააღმდეგეებიც ჰყოლია; ისინი ზოგიერთი სარწმუნოებრივი მოსაზრებით იწუნებდნენ საბას ნაშრომს და, შესაძლოა, მისი ნაწილებიც კი მოასპობინეს: „მცხეთის ბიბლიას" ერთგან ასეთი მინაწერი აქვს: „ღმერთო, წარწყმიდე, ვინც დაბადების წიგნი დააწვევინა საბას".

XVIII საუკუნეში ქართველმა მოღვაწეებმა ისევ დაიწყეს ზრუნვა ქართული ბიბლიისათვის. 1705 წელს მეფე არჩილმა მოსკოვში, მის მიერ გამართულ სტამბაში დაბეჭდა ფსალმუნი (გიორგი მთაწმიდლის ტექსტი). ვახტანგ მეექვსემ, რომელმაც თბილისში დააარსა საქართველოში პირველი სტამბა, 1709 — 1711 წლებში დაბეჭდა ფსალმუნი, ახალი აღთქმა და წინასწარმეტყველთა წიგნები. ეს უკანასკნელი ძირითადად „გელათური ბიბლიის" ტექსტს მიჰყვება. რუსეთში გადახვეწილი ქართველი ბატონიშვილები, რომლებმაც მთლიანი ბიბლიის ტექსტის გამოცემა განიზრახეს, იძულებულნი იყვნენ თითქმის თავიდან დაეწყოთ დაფანტული და დაზიანებული წიგნების შეკრება და რედაქტირება. ეს სამუშაო დაიწყო არჩილ მეფემ და დაასრულეს ბაქარ და ვახუშტ ბაგრატიონებმა. 1743 წელს მოსკოვში გამოვიდა პირველი გამოცემა ქართული მთლიანი ბიბლიისა — ძველი და ახალი აღთქმა. წიგნის წინასიტყვაობაში მოთხრობილია, თუ რა შრომა გასწიეს გამომცემლებმა ჟამთა ვითარებაში „განრყუნილი" და დაკარგული ბიბლიური წიგნების შეკრებისათვის. ეს გამოცემა — მას ხშირად „ბაქარის ბიბლიას" უწოდებენ — არის დღესდღეობით ერთად-ერთი, რომელშიც ბიბლიის ტექსტი ქართულ ენაზე სრულად არის წარმოდგენილი. „ბაქარის ბიბლია" არ არის ერთგვაროვანი შედგენილობისა: ნაწილი წიგნებისა გამომცემლებს შეუკრებიათ სხვადასხვა წყაროებიდან, ნაწილიც ხელახლა უთარგმნიათ. ამას ვიგებთ წიგნის წინასიტყვაობიდან და ტექსტზე დაკვირვებაც ამასვე გვიჩვენებს: ამ გამოცემაში ფსალმუნი და ახალი აღთქმა დაბეჭდილია გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტის მიხედვით (XI ს.); წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტი ძირითადად „გელათური ბიბლიისას" (XII ს.) იმეორებს და გადმობეჭდილია ვახტანგ მეექვსის გამოცემიდან, როგორც ვიგებთ წინასიტყვაობიდან. იგივე წინასიტყვაობა გვამცნობს, რომ ისო ზარაქისა და მაკაბელთა წიგნები გამომცემლებს სლავურიდან უთარგმნიათ, რადგან ძველი ტექსტი ვერ მოუპოვებიათ.

XIX საუკუნეში ხელახლა მოინდომეს ქართული მთლიანი ბიბლიის დაბეჭდვა [1]. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც 1884 წელს გამო-

[1] ბიბლიის ცალკეული ნაწილები, მაგ., ფსალმუნი და ახალი აღთქმა, XIX ს.და XX ს. დასაწყისში ბევრჯერაა გამოცემული. ყველა ეს გამოცემა საეკლესიო ხმარებისთვისაა განკუთვნილი და მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოს არაფერს წარმოადგენს.

აქვეყნა ძველი აღთქმა ორ ტომად. კომისიამ გამოიყენა უმთავრესად ბაქარის გამოცემა და აქა-იქ გაასწორა ტექსტი ოშკის ბიბლიის ხელნაწერი პირების მიხედვით, რომელიც, როგორც ვთქვით, XIX საუკუნის შუა წლებში გადმოუღიათ საქართველოში ჩამოტანილი ხელნაწერიდან. სამწუხაროდ, ამ გამოცემაში არსად არაა ნაჩვენები, თუ რა ადგილებია შესწორებული და რითი განსხვავდება იგი 1743 წლის მოსკოვური გამოცემისაგან.

ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ქართული ბიბლიური ტექსტების კვლევა. ბოლო ხანებში გამოქვეყნებულია ძველი და ახალი აღთქმის ცალკეული ნაწილები სხვადასხვა თარგმანებისა და ხელნაწერების მიხედვით, უკვე დაბეჭდილია ოშკის ბიბლიის ზოგი წიგნი (ნაწილი თბილისში, ნაწილი — პარიზში 1961 წ.). გამოქვეყნდა ფსალმუნი, ახალი აღთქმის უმნიშვნელოვანესი ტექსტები ძველი შატბერდული ნუსხების მიხედვით (897, 936 და 973 წლებისა), საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლეები — „პავლენი". როგორც ვხედავთ, ქართული ენისა და მწერლობის ამ უძველესი ძეგლის კვლევა ახლა მყარ ნიადაგზე დგას.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შესწავლამ, რომელიც შესაძლებელი გახდა ტექსტების გამოქვეყნების შემდეგ, გვიჩვენა: სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ და, სავარაუდოა, სხვადასხვა დედნიდან ნათარგმნი ცალკეული ნაწილები ბიბლიისა ერთნაირი არ არის და არც შეიძლება იყოს. შინაარსეული და სტილისტურ-ენობრივი სხვაობა ერთი და იმავე ადგილის ორ თარგმანს შორის შესაძლოა ძალიან დიდიც იყოს; დავასახელებთ ორიოდე მაგალითს: ფსალმუნის ძველ (მეათე საუკუნის ხელნაწერებში შემორჩენილ) თარგმანში ვკითხულობთ: „გულს-იდგინეს დამდაბლებაჲ ჩემი", ხოლო ეგეევე ადგილი გიორგი მთაწმიდლის თარგმანში ასეთია: „თუალნი მათნი ყვნეს დადრეკილ" (ფს. 16: 11). სხვა მაგალითი: „აქებდით მას სიხარულითა და გალობითა, აქებდით მას სიტყჳთა ტკბილითა" (ფს. 150,4 — ძველი თარგმანი); „აქებდით მას ბობღნითა და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა და ორღანოჲთა" (გიორგი მთაწმ. თარგმანი). დავასახელებთ კიდევ ესაიას წინასწარმეტყველების ერთ ნაწყვეტს, რომლის სხვადასხვა თარგმანს თვალსაჩინოებისათვის ორ სვეტში მოვათავსებთ:

„მოიხუენ ფქვილნი, ფქევდ ფქვილსა, აღიძარცუე პირის საფარველი ეგე შენი, გამოაჩინენ მკცენი შენნი, აღიკრიფე კუბასტი შენი. გამოაჩინენ წჳვნი შენნი, წიაღკედ მდინარეთა. გამოცხადნეს სარცხჳნელი შენი და გამოჩნდენ საყუედრელნი შენნი".

„მოიღე წისქვილი, დაფქევ, ფქვილი, აღსძარცუე საბურველი შენი, აღიკრიბენ მკცენი, გამოაჩინენ სხჳლ-ბარკალნი, წიაღკედ მდინარესა. გამოცხადნეს უშუერებაჲ შენი, გამოჩნდენ ყუედრებანი შენნი".

მარცხენა სვეტში დამოწმებული ნაწყვეტი (ეს. 47,2) აღებულია 978 წ. ოშკური ნუსხიდან (დაბეჭდილია 1961 წ. პარიზში), ხოლო

მარჯვენაში — XII ს. „გელათური ბიბლიიდან" (იგივე ტექსტი მცირეოდენი ცვლილებებით გვაქვს 1884 წ. გამოცემაშიც). ამ შედარებისას ვხედავთ, რომ ორივე ძირითადად ერთნაირ შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ სიტყვათა შერჩევისა და დალაგების მსრივ ძალზე განსხვავდება. ფსალმუნის ზემოთმოყვანილი ციტატები კი ერთსა და იმავე ადგილას სულ განსხვავებული შინაარსისაა სხვადასხვა თარგმანში.

კაცმა შეიძლება იკითხოს: მაშ, რომელია „ნამდვილი" თუ „სწორი" ტექსტი ქართული ბიბლიისა, რომელშია ორიგინალი უფრო ზუსტად გადმოცემული? თუ ჩავუკვირდებით საქმეს, დავინახავთ, რომ კითხვის ასე დასმა გამართლებული არაა.

ქართული ბიბლია, როგორც დავინახეთ, არ არის ერთდროულად ან ერთი პირის მიერ ნათარგმნი წიგნი, როგორიცაა, მაგალითად, გერმანული, „ლუთერის ბიბლიის" სახელით ცნობილი; იგი პირველად დაიბეჭდა 1534 წელს და ბოლო დრომდე უცვლელი სახით გამოდიოდა ოთხი საუკუნის განმავლობაში. ქართულად ნათარგმნი ბიბლიური წიგნების თარგმნის დრო, თუ მთარგმნელის ვინაობა მეტწილად უცნობია. უმეტეს შემთხვევაში არც ის ვიცით, თუ რომელი ენიდანაა ნათარგმნი ესა თუ ის ბიბლიური წიგნი. განსაკუთრებით ეს ეხება სწორედ უძველეს თარგმანებს.

ქართული ბიბლიის თარგმანის საკითხი ბევრ მეცნიერს აინტერესებდა — საქართველოშიც და მის გარეთაც. ზოგი ბერძნულს თვლიდა ქართულის წყაროდ, ზოგიც — სომხურს ან სირიულს. დღეს ცხადია, რომ ჯერ არ დამდგარა დრო ასეთი ზოგადი დასკვნების გამოტანისათვის ქართული ბიბლიური წიგნები ცალ-ცალკეა შესასწავლი; არც შეიძლება ერთი იყოს ისტორია და წარმომავლობა მეხუთე საუკუნეში თარგმნილი ხანმეტი ტექსტისა და მეთვრამეტეში ქართველი ბატონიშვილების მიერ სლავურიდან გადმოღებულისა. გიორგი მთაწმიდლის ფსალმუნი, ბერძნულიდან ნათარგმნი, განსხვავდება ძველი თარგმანისაგან, რომელშიც ბევრი რამ სირიულსა და სომხურს მიპყვება.

ქართული ტექსტები, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ებრაულისაგან საკმაოდ შორს დგას. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ქართული თარგმანები ისტორიულად ებრაულთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ძველი თარგმანები, როგორც დავინახეთ, ზოგჯერ უფრო ადრეულია, ვიდრე ებრაული მასორეთული ტექსტის საბოლოო რედაქცია. ქართული ტექსტი ხშირად თარგმანის თარგმანია და ამიტომ დედნიდან საკმაოდ დაშორებული.

ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ამცირებს ქართული ბიბლიური ტექსტის მნიშვნელობას ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიისათვის. ქართული მწერლობის ისტორია და ქართული სალიტერატურო ენის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული სწორედ ბიბლიის ქართულ თარგმანებთან. გავიხსენოთ, რას წერს აკად. კ. კეკელიძე: „ყოველ ქრისტიან ერს, რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა დაუწყია საღმრთო წერილის, ან ბიბლიის,

ქართულად — დაბადების თარგმნით". ბიბლიის თარგმანთა ენამ დაუდო საფუძველი ძველ ქართულ სალიტერატურო ენას და შემდეგი დროის ქართულ სამწერლობო ენაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა: „კლასიკური პერიოდის სამწერლობო ქართულს საფუძვლად დაედვა ბიბლიის თარგმანისა და მის ნიადაგზე განვითარებული საეკლესიო ლიტერატურის ენა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განაგრძობდა ტრადიციით არსებობას" (აკად. გ. წერეთელი). ბიბლიის ლექსიკა, ბიბლიური ციტატები, ბიბლიიდან აღებული მხატვრული სახეები მრავლად გვსვდება არა მარტო ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში, არამედ საისტორიო მატიანეებში, სიგელ-გუჯრებში და საერო ლიტერატურაშიც. წავიკითხოთ ვეფხისტყაოსანში სიტყვები: „თქვენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა", და მოგვაგონდება ფსალმუნი: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი" (ფს. 41,2)...

ბიბლიის თარგმანებმა შემოგვინახა ბრწყინვალე ნიმუშები ქართული ენისა; ოშკის ბიბლიის დასვეწილი პროზა, ფსალმუნის ძველი თარგმანების აღზევებული პოეტური სტილი, სასარების გულში ჩამწვდომი, სადა და ნათელი თხრობა ადრევე შეისისხლსორცა ქართულმა მწერლობამ. ამიტომ არის, რომ ქართული კულტურისა, ენისა და მწერლობის კვლევა შეუძლებელია ქართული ბიბლიის შესწავლის გარეშე.

ამავე დროს უნდა ვიზრუნოთ, რომ გვქონდეს ებრაული ძველი აღთქმის — მსოფლიო ლიტერატურის შედევრის — თანამედროვე ქართული თარგმანი. ჩვენმა მთარგმნელებმა უნდა მიაწოდონ მკითხველს ზუსტი, დედნის შესაბამისი და დღევანდელი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გამართული თარგმანი. უნდა ისიც დავსძინოთ, რომ ასეთი თარგმანები დღეს მრავალ ენაზე არსებობს.

ქართული ბიბლიის ერთიანი ტექსტის ქონება რომ საჭიროა, ეს ამ წიგნზე მუშაობის დროსაც ვიგრძენით: ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიურ თქმულებებში" სამასზე მეტი საკმაოდ ვრცელი ციტატია მოყვანილი ბიბლიიდან. ეს ციტატები (ლ. ტაქსილის წიგნებისაგან განსხვავებით) ერთბაშად არ ჩანს, რადგან მათი წყარო მითითებული არაა; ამავე დროს პერსონაჟთა მეტყველება თითქმის უკლებლივ ბიბლიური ტექსტიდან არის სიტყვა-სიტყვით აღებული. პოლონური ორიგინალისა და რუსული თარგმანისათვის დასამოწმებელი ტექსტი ადვილი სანახავი იყო: ორივე ენაზე არსებობს სრული, მთლიანი თარგმანი, რომელიც ებრაული ბიბლიის ტექსტს საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს. ქართული თარგმანისათვის კი ბიბლიური ტექსტი საძებარი და შესარჩევი გახდა. შეიძლებოდა სხვებისათვის მიგვებაძა და ციტატები 1884 წ. საეკლესიო გამოცემის მიხედვით მოგვეყვანა; მაგრამ ეს გამოცემა, როგორც ვთქვით, უმთავრესად 1743 წლის გამოცემას მისდევს; „ბაქარის ბიბლია" კი, ძალზე ჭრელია შედგენილობის მიხედვით, და ენის მსრივაც უეარგისია. იმდროინდელ გამომცემლებს არ გააჩნდათ მეცნიერული ცოდნა ქართული ენისა, ამიტომ ორივე გამოცემა ძალზე დამახინჯებუ-

ლია ენობრივად, ორიგინალში აუარებელია ყოველნაირი ხასიათის შეცდომები; განმეორებულია გვიანდელ გადამწერთა მიერ შერყვნილი სიტყვები და გრამატიკული ფორმები; ასე რომ ზოგჯერ გამოცემებში ისეთ რამეს წავაწყდებით, რომ აღარც ძველი ქართულია და აღარც ახალი.

ამის გამო საჭირო გახდა ზ. კოსიდოვსკის წიგნზე საგანგებო მუშაობა. „ბიბლიური თქმულებები" ებრაული ძველი აღთქმის შესახებ დაწერილი წიგნია; ამიტომ ჩვენ შევეცადეთ, შესაბამისი ციტატების ტექსტიც ისე შეგვერჩია, რომ ებრაული ტექსტი შეძლებისდაგვარად ზუსტად ყოფილიყო ქართულად გადმოცემული. სადაც შეიძლებოდა, მას უძველესი ქართული წყაროებიდან (მეცნიერული გამოცემებიდან ან ხელნაწერიდან) ვიმოწმებდით უცვლელად; ან არა და არსებულ ქართულ ვარიანტთაგან ვარჩევდით იმას, რომელიც ყველაზე უფრო ახლო იყო ებრაულთან. ზოგჯერ კი იძულებული ვიყავით სიზუსტის დასაცავად ქართული ტექსტი შეგვეცვალა კიდევაც. მაგალითად, ზ. კოსიდოვსკის ერთგან (რუს. გამოც. გვ. 29) ნათქვამი აქვს, რომ ესაიას წიგნში შემონახულია კვალი უძველესი ხალხური ლეგენდებისა, რომლებშიც აღწერილია ღმერთების ბრძოლა ქაოსის ურჩხულებთან. ასეთივე ლეგენდა არსებობს უგარითულ ეპოსში, სადაც აღწერილია ღმერთის ბაალის ბრძოლა შვიდთავიან ურჩხულთან — ლევიათანთან. ლევიათანი ნახსენებია ებრაულ ბიბლიაში (ესაია 27.1). მაგრამ ქართულში მისი სახელი არსად ჩანს: ოშკის ბიბლიაში ნათქვამია: „მას დღესა შინა მოავლინოს უფალმან მახვლი წმიდაი და დიდი და ძლიერი ვეშაპსა მას ზედა, გუელსა დრკუსა და მოკლას ვეშაპი იგი". 1884 წლის გამოცემაში კი ასეთ ხულობთ: „მას დღესა მოაწიოს უფალმან მახვლი წმიდა და დიდი ძლიერი ვეშაპსა ზედა გუელსა მლტოლვარესა, ვეშაპსა ზედა გუელსა გულარძნილსა და მოკლას ვეშაპი". ქართული ტექსტი რომ უცვლელად დაგვეტოვებინა, მიიჩქმალებოდა როგორც პოლითეიზმის კვალი ებრაულ ბიბლიაში, ისე კავშირი ებრაულსა და უგარითულ მითებს შორის. ამიტომ ციტატი შევასწორეთ ისე, რომ მას ზუსტად გადმოეცა ებრაულის შინაარსი. მეორე მაგალითი: ებრაულ ტექსტში ნახსენებია „სასლი ზამთრისა და სასლი ზაფხულისა" (ამ. 3, 15, რუს. გამოც. გვ. 399). ხოლო ქართულში გვაქვს „სახლი გარემო ფრთეედი სახლსა ზედა საზაფხულოსა". ასეთი ტექსტია წარმოდგენილი როგორც ოშკის ბიბლიაში, ისე 1743 და 1884 წლების გამოცემებში. აქაც სიზუსტისათვის ტექსტი შევასწორეთ. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. ციტატზე დაკვირვებისას კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ წინამდებარე თარგმანში უგულებელყოფილია ქართული ტრადიცია, რადგან ხშირად ციტატები (პერსონაჟთა მეტყველებაში) შინაარსეულად განსხვავებული აღმოჩნდა ქართული ტექსტისაგან და დაუახლოვდა რუსულს. მაგრამ ნამდვილად ამის მიზეზი ისაა, რომ ბიბლიის თანამედროვე რუსული თარგმანი (რომელიც დამოწმებულია ზ. კოსიდოვსკის წიგნში) უფრო ახლოა შინაარსეულად ებრაულთან, ვიდრე ძველი ქართული ტექსტები, რომლებშიც განსხვავებული მთარგმნელობითი ტრადიციის კვალი ჩანს.

გარკვეულ სირთულეებს ქმნის ციტატების ენის საკითხიც. არსებული ქართული თარგმანები ყველა ან ძველი ქართულითაა დაწერილი, ან ძველ ქართულს ბაძავენ. ეს წიგნი განკუთვნილია ძირითადად უფროსი ასაკის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომელსაც სკოლაში უკვე ნასწავლი აქვს ძველი ქართული ლიტერატურა; ამიტომ ძველი ქართულის ფორმები ძირითადად უცვლელად დავტოვეთ. ჩვენ ვთელით, რომ ასეთი რამ გამართლებულია: თუ დაინტერესებული მკითხველი მოინდომებს უშუალოდ ქართული ბიბლიის ტექსტის გაცნობას, ისევ ამგვარი ენით დაწერილ ტექსტთან ექნება საქმე (ოღონდ ნახავს აუარებელ შეცდომას, რომელიც ბაქარის ბიბლიაში და 1884 წლის გამოცემაში გვხვდება). ეს კია, რომ აქა-იქ გავამარტივეთ ორთოგრაფია — როგორც ეს არის ვეფხისტყაოსნის გამოცემებში (ამოვიღეთ ხმარებიდან გამოსული ასოები — ჲ, ჯ, ჴ, ѳ).

კიდევ ერთ სიძნელეს წარმოადგენდა საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა ქართული გადმოცემის მოწესრიგება. ბიბლიურ სახელთა ერთი ნაწილი უძველესი დროიდანვე ფართოდ გავრცელდა ქართულში; მათი ხმარების დროს, რა თქმა უნდა, ტრადიციული ფორმები არის გამოყენებული, თუნდაც რომ ისინი საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ებრაულისაგან. ასეთებია: სამსონ, მოსე, აბესალომ, დავით (შესაბამისი სახელების ებრაული ფორმა დაახლოებით ასეთია: შიმშონ, მოშე, აბიშალომ, დაუიდ). მაგრამ ზ. კოსიდოვსკის წიგნში ხუთასამდე საკუთარი და გეოგრაფიული სახელია და მათთვის შესაფერისი ფორმის გამონახვა ერთიანი პრინციპის მიხედვით ძალზე ძნელი აღმოჩნდა —პირველ რიგში იმიტომ, რომ თვითონ ქართული ტრადიცია არაა მყარი, ერთი და იგივე სახელი განსხვავებულადაა გადმოცემული არამც თუ სხვადასხვა ქართულ თარგმანში, არამედ ერთსა და იმავეში — სხვადასხვა ადგილას; მაგალითად, გვაქვს ლოტ და ლოთ, კაენ და კაინ; ზოგჯერ ეს სხვაობები კიდევ უფრო დიდია. პოპულარული ხასიათის წიგნში, რა თქმა უნდა, სახელთა ზუსტი ფონეტიკური ტრანსკრიპციის მოცემა მიზანშეწონილი არ არის და ამიტომ ისევ საშუალო გზა ავირჩიეთ: შეეცადეთ სახელის არსებულ ქართულ ვარიანტთაგან ის ფორმა შეგვერჩია, რომელიც ორიგინალთან უფრო ახლო დგას; ყოველთვის არც ეს გზა გამოდგა, რადგან ზოგჯერ ამათუიმ სახელის ქართულ ტექსტში დადასტურებული ყველა ფორმა ძალზე შორსაა ებრაულისაგან: მაგ. ებრაულის იშ-ბოშეთ სახელის ფარდად ქართულში გვხვდება მეფილბოსთი, მემფილბოსთე (Мемфилвосий). ასეთ შემთხვევებში ძალიან გაგვიძნელდა არჩევანი „ტრადიციულ" და „სწორ" ფორმათა შორის პირველ რიგში იმიტომ, რომ ძნელია დადგენა, რამდენად ტრადიციულია ესა თუ ის ფორმა საკუთარი სახელისა ქართულში!

თუ ამას დავუმატებთ, რომ ერთი და იგივე სახელი — განსაკუთრებით ეს გეოგრაფიულ სახელწოდებებს ეხება — განსხვავებულადაა წარმოდგენილი ებრაულ, ახლოაღმოსავლურ და ეგვიპტურ წყაროებში, ცხადი გახდება, რომ სახელთა მართლწერის მოგვარება ჩვენთვის

ერთ-ერთი რთული გადასაჭრელი საკითხი იყო. რედაქტორი არ არის დარწმუნებული, რომ მან შეძლო ყველა ამგვარ შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტი აერჩია, ან სუბიექტივიზმს ასცდენოდა; მაგრამ არცერთი ციტატი, არცერთი ფორმა საკუთარი სახელისა არ არის ქართულ თარგმანში მოცემული აწონდაწონისა და შერჩევის გარეშე; ამიტომ რედაქტორი ფიქრობს, რომ მკითხველი ყველა ზემოთჩამოთვლილ სიძნელეს გაითვალისწინებს და დარწმუნდება, რომ ამგვარი საკითხების საბოლოოდ გადაჭრა ერთი წიგნის ფარგლებში, ისიც სასხვათაშორისოდ, არ შეიძლება (ამ საკითხის სირთულეს ისიც აჩვენებს, რომ მართლწერა ქართულ სპეციალურ ისტორიულ ნაშრომებშიც ხშირად განსხვავებულია). მადლობით უნდა მოვიხსენიო ჩემი კოლეგები, ისტორიკოსები და აღმოსავლეთმცოდნეები, რომელთაც არაერთგზის მივმართე რჩევისათვის; ამავე დროს, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ყოველგვარი შეცდომისათვის თუ რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი ფორმისათვის მხოლოდ და მხოლოდ რედაქტორს ეკისრება.

იმედი მაქვს, რომ ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებების" ქართულ თარგმანი მკითხველის მოწონებას დაიმსახურებს და სურვილს გაუღვიძებს კიდევ უფრო მეტი ცოდნა შეიძინოს ძველი აღთქმის შესახებ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო პოეტთა და ხელოვანთა შთაგონების წყარო; ვინ იცის, ეგებ პოლონელი ავტორის მშვენიერმა წიგნმა ზოგ ქართველ ახალგაზრდასაც მოანდომოს ქართული კულტურის ბრწყინვალე ძეგლის — ქართული ბიბლიის შესწავლა და კვლევა; ამ დარგში ჯერჯერობით, ისევ ბიბლიის სიტყვით რომ ვთქვათ, „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ" (მათე 9,27).

მზეჭალა შანიძე

შენიშვნები

ბ3. 14.

აქ მან ცოლად შეირთო ევა და ევამ უშვა ძე ენოქი. აქ უზუსტობაა. ბიბლიაში ნათქვამი არ არის, საიდან ჰყავდა კაენს ცოლი. ეკლესიის კომენტატორები ამტკიცებენ, რომ ის იყო კაენის ერთ-ერთი და.

ბ3. 15.

კიდობანი სომხეთის მთის არარატის წვერზე შეჩერდა. სომხეთი და კერძოდ არარატის მთა ბიბლიაში ნახსენები არ არის. იქ ნათქვამია, რომ კიდობანი შეჩერდა „არარატის მთებზე". აქ კოსიდოვსკის უბრალოდ მოჰყავს ბიბლიური ტექსტის ტრადიციული საეკლესიო გაგება.

ბ3. 16.

დაწყეველა იგი. აქ უზუსტობაა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ ნოემ დაწყეველა არა ქამი, არამედ ქამის შვილი ქანაანი და მისი მოდგმა.

ბ3. 20.

პოლითეისტური აზრი აქვს: „და იყვნეთ, ვითარცა ღმერთი". ეს აზრი იმითაც მტკიცდება, რომ ბიბლიის რუსულ გამოცემაში (1956 წ.) მოცემული ადგილი თარგმნილია ასე: „ვითარცა ღმერთები, მცოდნენი კეთილისა და ბოროტისა".

ბ3. 29.

თარა ძალიან მდიდარი იყო. ამით თითქმის ამოიწურება ბიბლიის ცნობები თარაზე. შემდგომში კოსიდოვსკი თანამედროვე არქეოლოგიის მონაცემების საფუძველზე აღადგენს იმ დროისა და საზოგადოებრივი ფენების ყოფა-ცხოვრების სურათებს, რომელსაც ბიბლიის თანახმად მიეკუთვნებოდა თარა.

ბ3. 32.

თარა, ნაქორი და აბრამი ახალ სამშობლოში. ამ და ამის მომდევნო ნაწილში ბიბლიიდან ამოღებულია მხოლოდ ცნობები იმის შესახებ, რომ თარა მოკვდა ქარანში 205 წლისა და აბრამი თავის ძმისწულით ლოთით და მთელი ქონებით გადასახლდა ქანაანში. დანარჩენი ყველაფერი კოსიდოვსკის დამატებულია და ემყარება არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

სამყაროს, მზის, მთვარის, ვარსკვლავების შემქმნელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთადერთი ღმერთი... ბიბლიაში არაფერია თქმული იმის შესახებ, როგორ აღეძრა აბრაამს ერთადერთი ღმერთის რწმენა. ამ საკითხის გაშუქებისას კოსიდოვსკი, ჩანს, ძველებრაულ გადმოცემას ეყრდნობა. მაგრამ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ რწმენა, ერთადერთი, ყველგან არსებული და ყოვლისშემძლე ღმერთისა, ე. ი. მონოთეიზმი, არ შეიძლებოდა ჩასახულიყო ებრაელი ხალხის განვითარების ასე ადრეულ სტადიაში. აბრაამის ღმერთი არის ერთადერთი მხოლოდ მისი ტომისათვის. სხვა ტომებს სხვა ღმერთები ჰყავდათ. მეცნიერები ამას გენოთეიზმს უწოდებენ. მონოთეიზმი განვითარდა ებრაელებში ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის მეორე მესამედში და ასე თუ ისე დასრულებული ფორმა მიიღო პირველი ათასწლეულის ნახევარში.

ბ3. 39.

აბრამი შთამომავლობისთვის ზრუნავს. ამ ნაწილში კოსიდოვსკი უნებლიეთ მისდევს ებრაულ და ქრისტიანულ მორალურ ტრადიციას და ცოტაოდნად ალამაზებს აბრაამის სახეს, ამართლებს მას აგართან მომხდარ უსიამოვნო ამბავში. ბიბლიის ტექსტი კი აბრაამს გვისატავს აშკარად გულგრილს, თუ არა უსულგულოს, ამ საკითხში.

ბ3. 42.

...მოითხოვდნენ, საეჭვო უცხოელები აქ გამოგვგვარეთო. აქ კოსიდოვსკი მთლიანად არ იცავს სიზუსტეს. ბიბლიის თანახმად, სოდომელებმა უცხოელები მოითხოვეს არაბუნებრივი სქესობრივი კავშირისათვის. აქედან დამკვიდრდა ტერმინი „სოდომის ცოდვა". საბჭოთა მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ბიბლიის ტექსტის ამ ადგილას გამოხატულება ჰპოვა ადგილობრივი ნაციონალიერების ღმერთის საპატივცემულო უძველესმა ქანაანურმა საკულტო ადათებმა.

ბ3. 48.

აბრაამი მეორედ დაქორწინდა. ამ ნაწილში კოსიდოვსკი, როგორც ადრე, აბრაამის დამოკიდებულებას მისი მეორე ცოლის ქეტურასგან შეძენილ შვილებთან უფრო შელამაზებულად წარმოგვიდგენს, ვიდრე ამის უფლებას იძლევა ბიბლიის ტექსტი.

ბ3. 55.

რაქელი ხელცარიელი გაბრუნდა. ეს ეპიზოდი კოსიდოვსკის არაზუსტად აქვს გადმოცემული. ლიამ, რაკი იცოდა, რომ მისი ქმარი, ჩვეულებრივ, საყვარელ ცოლთან რაქელთან იძინებდა, მისცა მას მანდრაგორა, იმ პირობით, რომ იაკობი მომდევნო ღამეს მასთან გაატარებდა. სწორედ მაშინ ჩაესახა მას მეხუთე ვაჟი. მრავალშვილიანი დედის აღიარების ნიშნად

იაკობმა მეტი ყურადღება დაუთმო ლიას და მან მეექვსე ვაჟი და ერთი ქალიშვილიც შესძინა ქმარს.

33. 59.

ესიზმრა, თითქოს გააფთრებით ებრძოდა ღმერთს. აქაც უზუსტობაა. ბიბლიაში არ არის ნათქვამი, რომ იაკობმა ნახა სიზმარი. ბიბლიური ტექსტის თანახმად ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, თითქოს ცხადში ყოფილიყოს.

33. 63.

ელოჰიმი და იაჰვე განუწყვეტლივ ენაცვლებიან ერთმანეთს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელი ელოჰიმი (რომელიც ნიშნავს ღმერთებს) უბრალოდ როდი უძღვის წინ იაჰვეს სახელს (ზოგი ვერსიის მიხედვით იგი ნიშნავს მყოფს, სხვაგვარად კი — ზემოდან ჭექა-ქუხილის ღმერთის მცველს). მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს არის სხვადასხვა დასახელება ღმერთისა ძველებრაელთა ორ სხვადასხვა — იუდასი და ეფრემის — ტომობრივ დაჯგუფებაში. ამ ძველებრაული ტომების ლეგენდებისა და მითების კრებულმა შეადგინა საფუძველი ბიბლიის პირველი წიგნისა — შესაქმისა.

33. 106.

ამაყობდნენ თავისი სახელგანთქმული წინაპრით. რიგი თანამედროვე დასავლეთის მეცნიერებისა იოსებისა და „თორმეტი პატრიარქის" ისტორიას განიხილავს, როგორც გადამუშავებას ზოგიერთი ებრაული ტომის ლეგენდებისა, რომლებიც შეიქმნა ჩვენს ერამდე IX ან VIII საუკუნეში იუდეის სამეფოს დედაქალაქ იერუსალიმში, იმ ტომებზე იდეოლოგიური ზეგავლენის მოსახდენად, რომლებიც მეფე სოლომონის სიკვდილის შემდეგ საერთო ნაციონალურ სახელმწიფოს ჩამოშორდნენ და შექმნეს ისრაელის სამეფო დედაქალაქ სამარიით. ლეგენდას პატრიარქებსა და იოსებზე უნდა განემტკიცებინა ერთიანობისა და ნათესაობის სულისკვეთება ებრაულ ტომებს შორის და მოემზადებინა ერთიანი სახელმწიფოს რესტავრაცია.

...კიდევ დიდხანს დარჩნენ გესემის მიწაზე. დღეს არც ერთი მეცნიერი არ უარყოფს, რომ ჰიქსოს დამპყრობთა შორის შეიძლებოდა ებრაელებიც ყოფილიყვნენ. ეგვიპტელების მიერ ჰიქსოსების შევიწროვების შემდეგ, ბუნებრივია, ებრაელებიც უნდა წასულიყვნენ. საეჭვოა, რომ ისინი ეგვიპტის განთავისუფლების შემდეგ იქ დარჩენილიყვნენ. იმდროინდელი დოკუმენტები გვისახელებენ მთელ რიგ ებრაულ ტომებს, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში (ბიბლიაში „ეგვიპტის მონობის" სახელით რომაა ცნობილი) თავისუფლად ცხოვრობდნენ არაბეთის, სინას, და იორდანისიქითა სტეპებში, უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ებრაელთა მცირე ჯგუფები დარჩენილიყვნენ ჰიქსოსებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე და მოხვედრილიყვნენ ეგ-

ვიპტელთა მონობის ქვეშ. ასე რომ ამ შემთხვევაში კოსიდოვსკი მეტად დამჯერედ მისდევს ბიბლიის ტრადიციებს.

83. 108.

სასწაულებრივი ხსნა. ამ ნაწილში მოსეს ლაღი ცხოვრების სურათები ფარაონის კარზე კოსიდოვსკის შეთხზულია არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ბიბლიის ტექსტში მსგავსი არაფერია.

83. 111.

ორმოცწლიანი ექსორია. მოსეს მთელი განცდები მადიამის მიწაზე კოსიდოვსკის ლიტერატურული გამონაგონია.

83. 117.

ამაყი ეგვიპტური მხედრობის უბადრუკი ნაშთი. ამ ეპიზოდის აღწერისას კოსიდოვსკი ბიბლიის ტექსტს კი არ მისდევს, არამედ საეკლესიო ტრადიციებს. ბიბლიის თანახმად ღმერთმა მოავლინა ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, რომელმაც განდევნა წყალი. ამის შედეგად გაჩნდა შესაძლებლობა ვიწრო ყურე გადაელახათ მცირე ხმელეთით. როდესაც ფარაონის მხედრობამ ზღვის შუაგულს მიაღწია, ეტლები ჩაეფლო ათასი ფეხით აზელილ სველ ქვიშაში და ძლივსღა იძროდა. ამასობაში ქარმა მიმართულება იცვალა და ტალღები უკანვე მოაწყდა. ასე დაიღუპა ფარაონის მხედრობა. ამგვარად, ბიბლიის მოთხრობა ცოტა უფრო რეალისტურია.

83. 123.

კიდარი — თავსარქმელი, ჩალმა.

83. 151.

Past hoc, propter hoc — ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის შედეგად (ლათ.).

83. 153.

დოლმენი — არქეოლოგიური ძეგლი, საფლავზე აშენებული ერთი ან რამდენიმე ვეება გაუთლელი ან უსუშად გათლილი ლოდისაგან.

83. 260.

მათ ყველა აბუჩად იგდებდა. წინასწარმეტყველთა აქ მოტანილი დახასიათება ბიბლიაში არ არის. ესაა მრავალი მეცნიერის ეთნოგრაფიულ გამოკვლევათა საფუძველზე დამყარებული მხატვრული გამონაგონი.

83. 262.

მხოლოდ სამი ათას მეომარს დაუტოვა იარაღი... საულმა შექმნა მუდმივი სამხედრო ნაწილი, ან მუდმივ მზადმყოფი პოლკი, როგორებიც ჰყავდა აღმოსავლეთის ყველა მეფეს.

ბ3. 271.

ტასტის ხელში ჩაგდება მაშინ სათუო აღარ იქნებოდა. აქ კოსიდოვსკი არც ისე ზუსტად გადმოსცემს ბიბლიის ტექსტს. დავითს არავითარი იმედი არ ჰქონია საულის უფროსი ქალიშვილის შერთვისა და სიამოვნებით დათანხმდა მელქულთან ქორწინებაზე.

კერპის ქანდაკება დავითის ლოგინში ჩააწვინა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მელქულმა დავითის ლოგინში ჩააწვინა ქანდაკება, ძველებრაულ ბიბლიაში კი ლაპარაკია ტერაფიმზე — შინაურ მფარველ კერპზე. უფრო სწორად, საულის მოსატყუებლად მელქულმა გამოიყენა სწორედ ამ კერპის ქანდაკება.

ბ3. 273.

ბეთლემში გამგზავრება მომიხდა ოჯახურ დღესასწაულზეო. ბიბლიის თანახმად, აქ ლაპარაკია დავითის ტომის მფარველი კერპებისათვის ყოველწლიურ მსხვერპლშეწირვაზე. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ იაპვე არ იყო ძველ ებრაელთა ერთადერთი ღმერთი.

ბ3. 320.

აჩეხა ორი ხარი, რომლებიც სასნავში ჰყავდა გამოყვანილი. აქ კოსიდოვსკი არ არის მართალი. ეს არ იყო უგონობის აქტი. საულმა უბრალოდ თვალსაჩინო დიპლომატიის ძველი ტრადიციები გამოიყენა. სულ ასიოდე წლის წინათ შამილი უგზავნიდა კავკასიის მთიელ ტომებს ხორცს, მიწას და წყალს იმის ნიშნად, რომ მათ აკუწავდა, წაართმევდა მიწასა და წყალს, თუ მხარს არ დაუჭერდნენ. სწორედ ასეთ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა საულის მოქმედებაც.

ბ3. 322.

Deus ex machina — „ღმერთი მანქანიდან" (ლათ.). გამოთქმა, რომელიც გამოხატავს დრამის ან რომანის სიუჟეტის კვანძის გახსნაში რომელიმე პირის მოულოდნელ მონაწილეობას, რაც მოვლენათა მსვლელობიდან არ გამომდინარეობს.

ბ3. 376.

იერუსალიმიდან აღთქმის კიდობანი და იაპვეს სამსხვერპლო გამოიტანა და გადამალა. აქ კოსიდოვსკი გადმოსცემს ბიბლიის არაკანონიკური წიგნების ვერსიას, რომელიც შეიქმნა აღწერილი მოვლენებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ. იუდეველ ღვთისმეტყველებს სურდათ ამ გზით ეჩვენებინათ, რომ ღმერთ იაპვეს წმინდა საგნები არ შეიძლებოდა დაღუბულიყო ანდა ჩავარდნილიყო დამპყრობთა ხელში, როგორც უბრალო ნივთები.

ბ3. 377.

დედაქალაქში მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოდიოდნენ მგზავრები.

ბაბილონის აღწერა ეკუთვნის ავტორს და შედგენილია არქეოლოგიის მონაცემებისა და ბაბილონის დოკუმენტების საფუძველზე. ბიბლიაში იგი არ არის.

ბ3. 407.

ბიბლიის ბერძნული თარგმანი, ეგრეთ წოდებული სეპტუაგინტა. „სეპტუაგინტა" ნიშნავს სამოცდაათის თარგმნილს. ლეგენდის თანახმად, ბიბლიის თარგმანი ბერძნულ ენაზე განახორციელა 72 წევრისაგან შემდგარმა კომისიამ (ექვსი კაცი თითო ებრაული ტომიდან).

ბ3. 409.

კათოლიკურმა ეკლესიამ ისინი კანონიკური წიგნების რიცხვს მიაკუთვნა. მართლმადიდებლურ ეკლესიას შეაქვს იგი ბიბლიაში მითებით სავსე მაკაბელთა სამ წიგნთან ერთად, მაგრამ არ თელის კანონიკურად.

ბ3. 411.

„ღუთქვა, იაპეე გვიხსნისო. ბიბლიის ტექსტის თანახმად, ივდითმა რომ შეიტყო, ხუთი დღის შემდეგ უნდა შეეწყვიტათ წინააღმდეგობა, გამოცხადდა უფროსებთან და შესთავაზა მათ მხარი დაეჭირათ მისთვის ჩანაფიქრის განხორციელებაში. უფროსებმა გადაწყვიტეს ეცადათ ბედი.

ბ3. 412.

ქალმა ამცნო თავისიანებისაგან წამოსვლის მიზეზი. კოსიდოვსკის არ მოპყავს ივდითის ასსნა-განმარტება, უამისოდ კი თსრობა ბუნდოვანია. ივდითმა უამბო ოლომფორნეს, რომ ის მორწმუნე ებრაელია და არ შეუძლია უყუროს, როგორ აროვევენ მოსეს მცნებას ალყაშემორტყმული ებრაელები: ჭამენ პირდაპირ სისხლიან ხორცს. იგი დარწმუნებულია, რომ ღმერთი დასჯის დამნაშავეებს და მალე ბეთოლი, როგორც მწიფე თავთავი, გამარჯვებულთა ხელში აღმოჩნდება. ოლომფორნემ მხოლოდ ცოტა უნდა მოიცადოს.

ბ3. 413.

ფეხაკრეფით გაიპარა ბანაკიდან... ივდითს არ სჭირდებოდა „ფეხაკრეფით გაპარვა". მან გამოითხოვა ღამით ბანაკიდან წასვლის უფლება თავისი ტომის კანონების მიხედვით რელიგიური რიტუალის შესასრულებლად. ამიტომ ბანაკიდან მისი წასვლა არავის ეჭვს არ გამოიწვევდა.

ბ3. 415.

ესთერმა გადაწყვიტა, რამე ღონე ესმარა. აქ არც თუ ისე ზუსტადაა ბიბლიის ტექსტი გადმოცემული. მარდოქემ მოსთხოვა ესთერს ეშუამდგომლა მეფესთან განწირული ებრაელების გადასარჩენად. ესთერი ყოვმანობდა. სპარსელთა ჰარამხანებში ცოლები თავისი მბრძანებლის დაძახების გარეშე ვერ შედიან მასთან. მარდოქე დაემუქრა ესთერს, რომ ხალხი საუკუნოდ შეაჩვენებდა და ღმერთი დასჯიდა. მხოლოდ ამის შემდეგ,

ტირილისა და ლოცვის შემდეგ, გადაწყვიტა ესთერმა ემოქმედა. იგი თამამად შევიდა მეფესთან. მაგრამ როცა მბრძანებელმა მკაცრად შეხედა წესის დამრღვევს, ესთერს გული წაუვიდა. ამან მეფე ცოტა მოალბო. გონსმოსულმა ესთერმა უთხრა—ჩემი საყვარელი მეუღლე მომენატრაო და მიიწვია იგი ნადიმზე სასახლის მეორე ნაწილში, რათა მეფე ამით სახელმწიფო საქმეებისაგან არ მოეცდინა, ურჩია ამანიც წამოეყვანა.

...მარდოქეს უპირებდა ჩამოხრჩობას... აქ ლეგენდის გადმოცემისას გამოტოვებულია რაღაც, რის გამოც თხრობა გაბუნდოვანებულია. ნადიმზე გახალისებულ მეფეს სურდა რითიმე მადლობა გადაეხადა ესთერისათვის, მაგრამ ქალმა ვერ გაბედა თავისი თხოვნა მოეხსენებინა მეფისათვის, მხოლოდ ის უთხრა, მეორე დღესაც მობრძანებულიყო სადილად და ამანიც მოეყვანა. მეფე, თავისი მეუღლის სიყვარულითა და ერთგულებით გულაჩუყებული, რა თქმა უნდა, დათანხმდა. ამანიც ლამის მეშვიდე ცაზე იყო ამ დიდი ნდობისა და მეფე-დედოფალთან დაახლოების გამო. სწორედ მაშინ ბრძანა მან მარდოქესათვის სახრჩობელის აღმართვა.

33. 416.

ესთერი მეფეს გამოუტყდა.... ბიბლიის ტექსტის თანახმად, ესთერი მეფეს წინასწარ არ გამოსტყდომია. მეორე ნადიმმაც ისე ჩაიარა, როგორც პირველმა. მეორე დღესაც ქმაყოფილ მეფეს უნდოდა დედოფალი რაიმეთი დაეჯილდოვებინა. ამის პასუხად ესთერმა სთხოვა სიცოცხლე შეენარჩუნებინა მისთვის, რათა თავის საყვარელ მეუღლეს არ მოშორებოდა. როცა გაოცებულმა მეფემ ჰკითხა, ვინ ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, ესთერმა ამანზე მიუთითა და მხოლოდ ახლა გაუმჟღავნა თავისი ეროვნება. ამანი იქვე შეიპყრეს და მარდოქესთვის გამზადებულ სახრჩობელაზე ჩამოახრჩვეს.

33. 417.

ვერცხლი უნდა გამოერომია და მრავალტანჯული მამისთვის მიეტანა. საქმე ისაა, რომ, ბიბლიის თანახმად, ტობი გაღარიბდა. მაშინღა გაახსენდა, რომ მას მოვალე ჰყავდა, რომელსაც ათი ტალანტი ვერცხლი ემართა — ვეებერთელა თანხა, რომელიც ესესხებინა ტობის კეთილდღეობის ჟამს.

33. 419.

ღმერთმა მას დაუბრუნა შვილები... იობის დახოცილი შვილები, რა თქმა უნდა, მკვდრეთით არ აღმდგარან. იობს სხვა შვილები — ვაჟები და ქალიშვილები შეეძინა.

33. 420.

იგი აქ მოიყვანა ღვთიურმა ჩვენებამ. ბიბლიაში არაეითარი ღვთიური ჩვენება არ არის ნახსენები.

§3. 424.

ძვირფას სამეფო-ბაღდადაში დაკრძალეს. ეს ცნობები ავტორს ამოღებული აქვს არა ბიბლიიდან, არამედ გადმოცემებიდან.

§3. 427.

მიაკუთვნა კანონიკურ თხზულებებს და ბიბლიაში შეიტანა. მართლმადიდებლური ეკლესია არ თვლის ივდითის წიგნს კანონიკურად, მაგრამ ბიბლიაში შეაქვს. თვითონ ივდითს მართლმადიდებელნი ისტორიულ პირად თვლიან. იგი აღიარეს და შეიტანეს წმინდანების სიაში.

§3. 429.

კათოლიკურმა ეკლესიამ ჩართო იგი ბიბლიის კანონიკურ წიგნებში. მართლმადიდებლური ეკლესია არჩევს ესთერის წიგნში ორ ტექსტს: კანონიკურს, სადაც ღმერთის სახელი თითქმის არც არის ნახსენები, და მრავალრიცხოვან არაკანონიკურ ჩანამატებს, რომლებშიც მთელი თხრობა გააზრებულია რელიგიური თვალსაზრისით. ესთერი შეტანილია წმინდანებში და ითვლება ისტორიულ პირად. არის აზრი, რომ არაკანონიკური დამატებანი—თითქოსდა ანტისპარსული პოლიტიკური პამფლეტის გაშიფრვაა.

happy end — ბედნიერი დასასრული (ინგლ.).

§3. 435.

მათ შორის არის იერემიას წიგნი. აქ კოსიდოვსკის კალმის შეცდომა აქვს დაშვებული, ნაპოვნია თითქმის ორი მთელი გრაგნილი — წინასწარმეტყველ ესაიას წიგნის ორი ვარიანტი.

ა. ოსიპოვი, ტ. ტრიფონოვა

შინაარსი

შესავალი . . . 3
სამყაროს შექმნიდან ბაბილონის გოდლამდე . . . 11
სამყაროს შექმნა . . . 11
ადამი და ევა სამოთხეში . . . 12
კაენი და აბელი . . . 13
წარღვნა . . . 14
ბაბილონის გოდოლი . . . 16
გასაოცარი აღმოჩენები სამყაროს შექმნის, სამოთხის, წარღვნისა და ბაბილონის გოდლის შესახებ . . . 17
აბრაამი, ისაააკი და იაკობი . . . 29
აბრამის ოჯახი ცხოვრობს ურში . . . 29
თარამ ქარანში გადასახლება გადაწყვიტა . . . 30
თარა, ნაქორი და აბრამი ახალ სამშობლოში . . . 32
გზა ქანაანისაკენ . . . 33
აღთქმულ ქვეყანაში . . . 35
როგორ გახდა სარა ფარაონის ცოლი . . . 37
ლოთის საშინელი თაეგადასავალი . . . 37
აბრამი შთამომაელობისათვის ზრუნავს . . . 39
აბრამი აბრაამად იქცა . . . 40
სამი უცნობი სტუმრის მოსვლა . . . 40
სოდომი და გომორი . . . 42
როგორ მოატყუეს მეფე აბიმელექი . . . 43
ისაააკის დაბადება . . . 43
ისაააკი სამსხვერპლოზე . . . 45
სარრას სიკედილი . . . 45
როგორ დააქორწინეს ისაააკი . . . 46
აბრაამი მეორედ დაქორწინდა . . . 48
ისაააკისა და რებეკას ტყუპები . . . 48
ოსპის შეჭამადის ფასად . . . 50
ისაააკის წარმატებანი და უბედურებანი . . . 50
რებეკასა და იაკობის მზაკვრობა . . . 51
იაკობის კიბე . . . 52
როგორ ატყუებდნენ ერთმანეთს ლაბანი და იაკობი . . . 53
იაკობი გაიქცა . . . 56
იაკობი ღმერთს ებრძვის . . . 58
შეხვედრა ესავთან . . . 59
იაკობის ძენი დის სისხლს იღებენ . . . 60
იაკობი ბეთელსა და მამბრეში . . . 62
სიშართლე და ლეგენდა პატრიარქებზე . . . 63
იოსების ქარიშხლიანი თავგადასავალი . . . 86
მონად გაყიდული . . . 86
იოსები პეტეფრეს სახლში . . . 88
ფარაონის სასახლეში . . . 90
იოსები ეგვიპტეს მართავს . . . 92
იაკობის მოდგმას შიმშილი ტანჯავს . . . 92

იოსებმა ახალი განსაცდელი მოუელინა ძმებს . . . 95
ისრაელის მოდგმა ნილოსის შესართავში დასახლდა . . 96
ხალხური თქმულება თუ სიმართლე 98
მ ო ს ე 107
მონური შრომა 107
სასწაულებრივი ხსნა 108
ორმოცწლიანი ექსორია 111
ეგვიპტიდან გამოსვლა 114
ეადასვლა მეწამულ ზღვაზე 116
მოგზაურობა უდაბნოში 117
როკეა ოქროს კერპის გარშემო 119
კაეშირი იაჰვესთან 122
კადეშისაკენ მიმავალ გზაზე 124
ორმოცი წელი უდაბნოში 128
აღთქმული ქვეყნისაკენ 129
წინასწარმეტყველი ბალაამი 131
მოსეს უკანასკნელი დღეები 133
მოსე მითების შარავანდედში 135
ი ს უ ქ ე ნ ა ვ ე ს ი დ ა მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი 174
იერიქონი — ბურჯი ქანაანისა 174
დრამატული მოვლენები აის ეხესიმაგრის კედლებთან . 178
გაბაონელთა მზაკვრობა 180
ხუთი მეფის კოალიცია 181
ბრძოლა ჩრდილოეთ ქანაანის მეფეებთან 182
როგორ მართავდა ისუ ქანაანს 183
ისრაელი ქანაანში მკვიდრდება 185
დებორა — ისრაელის ჟანა დ'არკი 189
როგორ გაათავისუფლა ისრაელის ძენი გედეონმა . . 191
იეფთაე — გალაადის უბედური გმირი 195
სამსონი 197
სამსონმა ცოლის შერთვა მოინდომა 198
სამსონის თავგადასავალი ღაზაში 202
სამსონი და დალილა 202
სამსონის გმირული სიკვდილი 204
როგორ მოიპარეს იაჰვეს კერპი დანის ტომის წარმომადგენლებმა 205
ბენიამენის ტომის დანაშაული 206
სათნო და ერთგული რუთი 208
ბრძოლისა და გმირობის ეპოქა 212
ი ს რ ა ე ლ ი ს ო ქ რ ო ს ხ ა ნ ა 253
მღვდელთმთავარი ელი და სამოელის დაბადება . . . 253
ელის მოდგმის მოსპობა 255
შჯულის კიდობნის საოცარი ბედი 255
სამოელი — მმართველი 256
როგორ აკურთხეს მეფედ საული 258
საულის პირველი გამარჯვება 260
როგორ განარისხა საულმა სამოელი 262
იონათანის გმირობა 263
საბოლოო განხეთქილება სამოელთან 264
როგორ დაამარცხა დავითმა გოლიათი 267
დავითი, საული და იონათანი 269
დავითი გადაარჩინეს მელქუმმა და იონათანმა . . . 271
ქურუმთა დახოცვა და დავითის მიმოსვლა უცხო მხარეს 273
რ.ოგორ დაინდო დავითმა საული და შეიყვარა აბიგაილი . 275

დავითი ფილისტიმელთა სამსახურში. საულის ტრაგიკული ხვედრი 277
დავითი საულსა და იონათანს გლოვობს 281
დავითი არწეულია იუდეველთა მეფედ და ისრაელის ტახტისთვის იბრძვის 282
დავითის ქალაქი 286
დავითი — დიდი სახელმწიფოს დამაარსებელი . . . 289
დავითმა ურიას ცოლი მოსტაცა 291
ახალი საშარცხვინო ამბები მეფის სასახლეში . . . 292
აბესალომის აშბოხება 294
რესფა — ისრაელის ანტიგონე 298
სასახლის ინტრიგები 299
ისრაელისა და იუდეის მეფე სოლომონი 302
ორი დედის ამბავი 303
სოლომონი ნიჭიერი მმართველი 304
სოლომონი აგებს ტაძარს 305
სოლომონის სიმდიდრე 308
შებას დედოფალი . . . . . : 310
სოლომონის ჰარამხანა და უცხო ღმერთები . . . 311
სიმართლე და ლეგენდა ისრაელის სამეფოს შემქმნელთა შესახებ . . . . . : . 312
ისრაელი და იუდეა : 346
როგორ გაითიშა ისრაელისა და იუდეის გზები . . . 346
ისრაელი თაყვანს სცემს ოქროს კერპს 347
რა ხდებოდა იუდეაში? 349
ამბრი — ისრაელის უდიდესი მეფე 350
წინასწარმეტყველი ელია და იეზაბელი 352
ნაბოთეს ვენახი 354
მეფე აქაბის სიკედილი 355
ელიას ზეცად ამაღლება 356
ელისეს სასწაულები 356
როგორ განკურნა ელისემ კეთროვანი 357
აქაბის დინასტიის დაღუპვა 359
გოთოლია — იუდეის დედოფალი 361
ისრაელის აღსასრული და დაცემა 363
იუდეის სამეფოს ბედი 367
ბაბილონის ტყვეობა 377
სამშობლოში დაბრუნება 379
ტაძრის აღშენება 381
ეზრას მისია 383
ნეემიას მისია 384
„ნუუკვე მცველ ვარ ძმისა ჩემისა?“ 387
ექვსი ბიბლიური თქმულება გმირობასა, ფამფასა და ღვთის სამართლიან მსჯავრზე 411
გმირი იუდითი 411
სპარსეთის დედოფალი ესთერი 413
ერთგული ისრაელიტელი ტობი სპარსეთის მიწაზე . 416
იობი . . . . . : 417
დანიელი 419
იონა . . . . . : : 424
დიდაქტიკური ხალხური თქმულებები 426
ბოლოსიტყვაობა 438
შენიშვნები 453

Косидовский Зенон
БИБЛЕЙСКИЕ СКАЗАНИЯ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1976

რედაქტორი მზეჟალა შანიძე

პირველი გამოცემა

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქართველიშვილი
მხატვარი ჯ. ყაველაშვილი, მხატვრული რედაქტორი
გ. ღლონტი, ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა,
კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი,
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომშვები ი. ხაჩიძე

გადაეცა ასაწყობად 22/I-75 წ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-75 წ; ანაწყობის ზომა 5,5×9¼; ქაღალდის ზომა 84×108 1/32; ნაბეჭდი თაბახი 24,36; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,02; ტირაჟი 100.000 შეკვ. № 609;

ფასი 1 მან. 25 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7

კარგი, მისი ზნე-ხასიათი და ქცევა განსაზღვრულია მისი გარემოს გავლენით.

მთელი ეს ევოლუციური პროცესი, ბიბლიურ თქმულებებში რომ თვალნათლივ მოჩანს, ორგანულად შეესაბამება იმას, რაც ცნობილია თანამედროვე მეცნიერებაში პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ.

ბიბლიური გადმოცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აბრაამმა მონოთეიზმის ქადაგება დაიწყო. ბიბლიის სხვადასხვა რედაქციულ ფენათა დაწვრილებითმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ აბრაამი მონოთეისტად აქციეს ძ. წ. VI ს. ქურუმებმა, როცა ბიბლიის ტექსტის შესწორება-შელამაზებას შეუდგნენ. ცნობილია, რომ უფრო გვიანაც ებრაელებს არა ერთხელ უცია თაყვანი ქანაანის ღმერთებისათვის, რისთვისაც მათ მრისხანედ ამხილებდნენ წინასწარმეტყველები. როგორც ჩანს, პატრიარქების ეპოქის რელიგია იმდენად წმინდა მონოთეიზმი არაა, რამდენადაც გენოთეიზმი, რომელიც ქადაგებდა: მართალია, არსებობს მრავალი ღმერთი, მაგრამ თაყვანი უნდა სცე მხოლოდ ერთს — ტომის მფარველს. აბრაამის ღმერთი არ არის უნივერსალური, იგი ტიპიური ტომის ღმერთია, რომელიც მხოლოდ თავისი რჩეული ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

უკიდურესად პრიმიტიულია წარმოდგენა ამ ღმერთზე. მას უბრალო მოკვდავივით უჭირავს თავი, ერევა საყოფაცხოვრებო საქმეებში, ედავება აბრაამს და მის ხრიკებსაც კი იწონებს. იაკობი მთელი ღამის განმავლობაში ებრძვის ღმერთს და აიძულებს, კანონიერად სცნოს პირმშოება, რომელიც მან ესავს გამოსტყუა.

ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელების დაბრუნების შემდეგ, როცა წინასწარმეტყველთა გავლენით საბოლოოდ ყალიბდებოდა მონოთეიზმი, ასეთი რელიგიური კონცეფცია უკვე ანაქრონისტული იყო. ამ მიამიტი და პრიმიტიული წარმოდგენების არსებობა ბიბლიაში შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ქურუმმა რედაქტორებმა უცვლელად შეიტანეს ისინი ტექსტში იმ უძველეს ხალხურ გადმოცემებთან ერთად, რომლებსაც ისინი ეყრდნობოდნენ მუშაობის დროს.

ბიბლიურ თქმულებებში მკითხველს განსაკუთრებით ანცვიფრებს პატრიარქების ნათელი და მკაფიო დახასიათება. ყოველი ახე ინდივიდუალური და საოცრად რეალისტურია. როგორ არ ჰგვანან ერთმანეთს აბრაამი, ლოთი, ისააკი და იაკობი! რა ცხადი და დამაჯერებელია სარრას, რებეკას, რაქელის თუ უბედური აგარის ქალურობა! გავიხსენოთ თუნდაც ნადირობისა და თავისუფალი სივრცეების მოტრფიალე ესავი, მიწის დამუშავებას რომ არ კადრულობს! ესავი გულფიცხია, გუნების ამყოლი, მაგრამ ამავე დროს კეთილი. ვისიმე ჯავრის გულში ჩადე-

ხმა. მუსიკიისა და როკვით რელიგიურ ექსტაზში შესული წინასწარმეტყველებდა, რომ იაჰვე მალე გაიმარჯვებდა ისრაელის ძეთა მჩაგვრელებზე. თანდათანობით მთელი ქვეყანა მოიცვა ფანატიკურმა სიძულვილმა ფილისტიმელთა მიმართ.

სამოელი არც შეომარი ყოფილა და არც სარდალი; იგი გახლდათ მმართველი, ხალხის ბრძენი მოძღვარი, უზენაესი ქურუმი და მსაჯული. წელიწადში სამჯერ ჩადიოდა ბეთელს, გალგალს და მასეფას და სამართალს წყვეტდა. მისი განაჩენი და ბრძანება ურყევი იყო. სიტყვის შებრუნებას ვერც ერთი ტომის წარმომადგენელი ვერ შეუბედავდა. ისრაელიტელებს კვლავ გაუჩნდათ ბელადი, რომელმაც ქვეყანა შინაგანი აღორძინებისა და პოლიტიკური გაერთიანების მძიმე გზაზე დააყენა.

გავიდა ოცი წელი. საბოელმა მასეფაში შეყარა ყველა ისრაელიტელი და უბრძანა, გაერთიანებულიყვნენ მომავალი გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის. შეშფოთებულმა ფილისტიმელებმა მათ დიდი ლაშქარი შეაგებეს, რომ ჩაქროთ აჯანყების პირველი ნაპერწკალი. ბრძოლამდე უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ჭექა-ქუხილმა თავზარი დასცა ფილისტიმელებს. ისრაელიტელები გამხნევდნენ და თავს დაესხნენ მათ. დარბეული დამპყრობლები უკუიქცნენ და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

მოულოდნელმა მარცხმა ფილისტიმელებს ისე გაუფუჭა გუნება, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამგვარი ლაშქრობა აღარ მოუნდომებიათ.

ამიერიდან სამოელს დამშვიდებით შეეძლო განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება. რამათაიმი ისრაელის რელიგიური და ეროვნული დედაქალაქი გახდა. დიდმა წინასწარმეტყველმა და მსაჯულმა აქ იაჰვეს ახალი ტაძარი დააარსა. იგი ოცნებობდა, მის მიერ შექმნილი წყობილება განმტკიცებულიყო და რელიგიური და სამოქალაქო ძალაუფლება მის მოღვაწეობის მემკვიდრეობით გადასცემოდა. სამოელმა მართვა-გამგებლობა ასწავლა თავის ვაჟებს და ბერშებას მსაჯულებად დანიშნა. თვითონ უკვე მოხუცი იყო და შვილების დახმარებას საჭიროებდა, მაგრამ ბედის უცნაურმა ირონიამ მასაც ელის ხვედრი არგუნა. სამოელის შვილები უკეთურნი გამოდგნენ. ხარბნი და ანგარებით სავსენი ქრთამს იღებდნენ და უსამართლო განაჩენი გამოჰქონდათ. მალე ხალხის ნდობა დაკარგეს და პატივისცემა აიყარეს. ღრმად მოხუცი სამოელი კი იწყნარებდა შვილების საქციელს, ძალა აღარ შესწევდა, რომ შვილების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო და მათი ბოროტება აღეკვეთა.

ისრაელიტელებმა დრტვინვა დაიწყეს ამგვარი ყოფის გამო. ფილისტიმელებს კი კვლავ გაეღვიძათ აგრესიული ზრახვები და ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ. ამიტომ საჭირო გახდა ძლიე-